

# ყაყაუნისი



„ლიტერატურა და ხელოვნება“  
19 თბილისი 65

ტექსტი გამოსაკვებად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიაშ და სარგის ცაიშვილმა



## წინასიტყვაობა

ქართული „ყარამანიანი“ საფალანო-სათავადასავლო რომანია. ამ ქანრის ნაწარ-  
მოებები დიდად იყო გავრცელებული შუა საუკუნეების. განსაკუთრებით კი XVI —  
XVII ს.ს. აღმოსავლურ ლიტერატურაში. კერძოდ. იგი უშუალოდ უკავშირდება  
სპარსულ „ყარამანი-ნამესა“ და მის თურქულ რედაქციებს.

ირანში უკანასკნელ ხანებამდე ცოცხლობდა „სახალაო მთქმელების“ ინსტიტუტი  
ეს „მეისტორიენი“ უმთავრესად საჯარო თავყრილობებში, ბაზრებსა თუ ყავა-ხანებში  
ავლენდნენ თავიანთ ხელოვნებას. ხელოვნება კი საკმაოდ რთული იყო და არ ვუ-  
ლისხმობდა მხოლოდ ამბის უბრალო თხრობას. აი, როგორ აღწერს ყავა-ხანაში  
დაბუღებული პროფესიული მეზღაპრის გამოსვლას ცნობილი ირანისტი ა. რომას-  
კევიჩი, რომელიც კარგად იცნობდა ირანის ყოფას:

„ყისა-ხანი თავით ტერფამდის მოძრაობაა და სიცოცხლე. იგი ყვირის, გამწარე-  
ბით იქნება ხელებს, ხან შემპარაყი ნაბიჯით ტკეპნის ადგილს. ხან ტრიალებს თავ-  
ბრუდამბევეად. იგრიხება და ცდილობს მოძრაობით გადმოსცეს პერსონაჟა მოქ-  
მელება“<sup>1</sup>.

ყისა-ხანები („ამბის მთქმელები“) უკვე X საუკუნის წყაროებში იხსენიებიან  
ბუნებრივია, საუკუნეების მანძილზე მდიდრდებოდა მათი რეპერტუარი. სათხრობი მა-  
სალა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს. თაობიდან თაობას გადასცემდნენ ისინი ერთსა  
და იმავე ამბავს, თქმულებას. ლეგენდას. ზღაპარს. ეს იყო ხალხის ჯანათლების  
უმთავრესი წყარო წლების მანძილზე მაგრამ მხოლოდ ზეპირი გზით როდი ვრცელ-  
დებოდა ეს მასალა. ზოგჯერ ხდებოდა მათი ჩაწერა. ხოლო XIX საუკუნიდან მრავ-  
ალრიცხოვანმა ლითოგრაფიებმა შემოგვიანახეს მათი უმრავლესობა.

ამ ლიტერატურას ირანში უწოდებენ „ადაბიათე ამიანე“ („მდაბიური ლიტე-  
რატურა“). ეს, ცოტა არ იყოს. დამამცირებელი ტერმინი ოდნავადაც ვერ ვან-  
საზღვრავს მის დიდ მნიშვნელობას. იგი მხოლოდ მიუთითებს და გასაგებს ხდის  
იმ გარემოებას, თუ რატომაა თითქმის შეუსწავლელი ამ ტიპის თხზულებები. ირან-  
ელ მკვლევართა უმრავლესობას არ მიაჩნია ისინი ჭეშმარიტი ლიტერატურის  
კუთვნილებად. მათ არც წმინდა ფოლკლორული ხასიათი აქვთ. ზოგი მათგანი უკავ-  
შირდება რომელიმე ავტორის სახელს. თუმცა ან ძნელდება ამის დადასტურება, ან  
ესინი იმდენად არიან სახეცვლილნი. რომ აღარაფერი რჩებათ პირველწყაროსთან  
საერთო.

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა რამდენიმე საგულისხმო გამოკვლევა, მიძღვნილ-  
ად საკითხებისადმი. პირველ რიგში აღსანიშნავია ირანელი მკვლევრის მ. მაქაუბის

<sup>1</sup> A. A. Ромаскевич, Персидские сказки, 1934.

სტატიების სერია ჟურნალ „სოხანში“ („სიტყვა“). მან აღწერა რიგი დასთანებისა (საგვირგვინი-ეპიკური ან რომანტიკული ხასიათის თხრობა), შეკრიბა ცნობები მათ შესახებ და გადმოსცა მოკლე შინაარსი ყოველი მათგანისა. საინტერესო წინასიტყვაობა წარუძღვარა ლენინგრადელმა ირანისტმა ი. ბორშჩევსკიმ სპარსული დასთანებისა და ზღაპრების კრებულის რუსულ თარგმანებს („Плутовка из Багдада“, А. Москва, 1963).

ი. ბორშჩევსკის აზრით, სწორედ „ხალხური ლიტერატურა“ უნდა ეწოდოს იმ თხზულებებსაც, რომელნიც ხალხში შეიქმნა და იმ ლიტერატურასაც, რომელიც საზოგადოების მაღალ ფენებში წარმოიქმნა, მაგრამ მასობრივად გავრცელდა ხალხში. ორივე ეს ნიშანი ახასიათებს ხალხურ დასთანებს. მკვლევარი ცდილობს გამოყოს რამდენიმე ტიპი ამ დასთანებისა.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ისტორიულ-საგვირგვინო დასთანები. მათ საფუძვლად უდევთ რეალური ისტორიული ამბები. ასეთია, მაგალითად, „აბუ მუსლიმ-ნამე“.

მეორე ჯგუფს შეადგენს ავანტიურული სარაინდო (ჩვენ ვიტყვით, საფალაგონ-სათავგადასავლო) დასთანები. აქ ისტორიული ფონია მხოლოდ მკრთალად მოხაზული. ზოგჯერ იგი სულ არ ჩანს. მთავარ თემას წარმოადგენს სამიჯნურო-საფალაგონო თავადასავალი გმირისა, რომლის სატრფო ცხოვრობს შორეულ ქვეყანაში (რუმსა, ჩინსა ან სარანდებში) და რომლის შესაყრელად აუცილებელი ხდება უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა. სწორედ აქ ეძლევა დიდი გაქანება ფანტაზიას. ხშირად ეს ფანტასტიკური ელემენტი იმდენად დიდია, რომ ცალკე გამოყოფენ ამ ტიპის თხზულებებს.

დასთანების ამ ჯგუფს განეკუთვნება ჩვენთვის საინტერესო „ყაპარამან-ნამე“ („ყარამანის წიგნი“) ანუ „დასთანე ყაპარამანე ყათილ“ („ამბავი ყაპარამან მკვლელისა“). ეს არის საფალაგონ-სათავგადასავლო თხზულება, რომელიც კარბად არის ვაჟღენთილი რომანტიკული და ფანტასტიკური ელემენტებით.

„ყაპარამან-ნამე“ მიეწერება კლასიკური ხანის პეშავარს აბუ თაჰერ იბნ ჰასან იბნ ალი იბნ მუსა ტარტუსის, ზოგი ცნობით — ტარტუსის. ქალაქი ტარტუსი იხსენიება „პოდუდ-ულ-ალამში“ სირიის ქალაქების შორის. „ტარტუსის“ ეტიმოლოგია ბუნდოვანია<sup>2</sup>. ერთი ცხადია, ორივე ნისბა (გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით შერქმეული სახელი, მაგ. რუსთველი) ერთ პიროვნებას გულისხმობს<sup>3</sup>. ამ ტარტუსის მიეწერება აგრეთვე „აბუ მუსლიმ-ნამე“, „დარაბ-ნამე“, „ჰუმანგ-ნამე“, „ყისაიე ჯამშილ“ და სხვ. როგორც ვხედავთ, უმრავლესობა დასთანებისა თემატურად უახლოვდება „შაჰ-ნამეს“, რის გამო მას ფირდოუსის მიმბაძველადაც კი იხსენიებენ.

არავითარი ცნობები ამ ტარტუსის შესახებ არ შემონახულა. მისი მოღვაწეობის დროც კი მეტად პირობითადაა შემოსაზღვრული: XIV საუკუნის ერთ-ერთი ძეგლი

<sup>2</sup> 1964 წლის ივლისში თბილისში იმყოფებოდა ცნობილი ირანელი მკვლევარი ააილ ნაფისი. პირად საუბარში მან გამოთქვა მოსაზრება, ხომ არ არის ეს „ტარტუსი“ დამახინჯებული „ტუსი“?

<sup>3</sup> ეს, ისე როგორც ზოგი სხვა მოსაზრება ტარტუსის შესახებ, გამოთქმული აქვს კ. ჩაიკინს თავის საარქივო მასალებში (აზიის ხალხთა ინსტ. ლენინგრადის განც., № 128).

„აბუ მუსლიმ-ნამეს“ ავტორად სწორედ მას იხსენიებს. მით უფრო დაუდგენელია მისთვის ამდენი თხზულების, მათ შორის „ყაპრამან-ნამეს“, მიწერის საფუძვლიანობა. ამ ნაწარმოებთა გვიანდელი და მცირერიცხოვანი ნუსხები ნაკლებად უწყვეტ დახმარებას შეკლევართ. ამდენად, უთუოდ საყურადღებოა ერთი დეტალი, რომელიც დაუცავს „ყაპრამანის“ ქართული თარგმანის რამდენიმე ხელნაწერს (მაგ. საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნ. ინსტ. ნუსხები A 860, H—1655 და სხვ.) და რომელიც უცნობი სპარსული ნუსხიდან მოდის. დასაწყისშივე, ყაპრამანის პირველი გამოჩენის შემდეგ ერთ-ერთი მომდევნო თავი იწყება შემდეგი სიტყვებით: „პირველად წიგნის ამის სპარსულად აღმწერელსა თართუს (ვარ. თართუზ) პაქიმი სწოდებია“.

ეს ცნობა რამდენიმე მხრივია საყურადღებო ჯერ ერთი, ფორმა სახელისა ემთხვევა ტარტუსის, თანაც ემატება საინტერესო „პაქიმი“ (ბრძენი). მეორე, ხაზგასმულია, რომ ტარტუსიმ სპარსულად აღწერა ეს წიგნი. საქმე ისაა, რომ ზოგი მეცნიერის (ა. ქრისტენსენი) ვარაუდით ტარტუსი ჯერ არაბულად წერდა, შემდეგ კი მის თხზულებებს თარგმნიდნენ სპარსულად. მესამე, იქნებ არც ეს „პირველად“ იყოს შემთხვევითი. უნდა ვიფიქროთ, რომ „ყაპრამან-ნამემ“ განვლო ხალხური დასთანების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი დაღმავალი გზა ლიტერატურული ნაწარმოებიდან ფოლკლორულ ძეგლამდე<sup>4</sup>. თავდაპირველად ტარტუსის მიერ აღწერილმა ყაპრამანის თავგადასავალმა ალბათ ისე იცვალა სახე საუკუნეთა და მთხრობელთა წყალობით, რომ მცირედი შერჩებოდა საერთო პირველწყაროსთან.

ჩვენ ხელთ გექონდა „ყაპრამან-ნამეს“ ლითოგრაფიული გამოცემა<sup>5</sup>, რომლის მიხედვით სპარსული ორიგინალის სიუჟეტური ქარგა შემდგენიარად წარმოგვიდგება: ირანის მეფის თალეჟმორადს (სხვაგან იგი თამპურასად იხსენიება) ჰყავდა შვილი, სახელად ყაპრამანი, ხოლო მის ძმას აპრასხს—ვაჟი ყაპთარანი. ერთბეშდ დევებმა ხელსაყრელი ჯამი ჰპოვეს და სამი წლის ყაპრამანი გაიტაცეს, შვიდი წლის ყაპთარანმა კი გაქცევით უშველა თავს. დევებმა ყაპრამანი წაიყვანეს ყაფის მთის კალთებზე, ჰაიათის ველზე.

ვერ გაუძლო, შვილის დარდს თან გადაჰყვა ირანის ხელმწიფე. მის შემდეგ აპრასხი გამეფდა. ვარსკვლავთმრიცხველთა თქმით, მისი ძე ყაპთარანი და ძმისშვილი ყაპრამანი სახელოვანი ფაღვანები იქნებიან პუშანგ-შაჰის კარზე. აპრასხის სიკვდილის შემდეგ ყაპთარანი უარს ამბობს ტახტზე. ირანის დიდებულები იწვევენ შვიდი იყლი-მის ხმლით დამპყრობელს პუშანგს, რომელიც ერთ-ერთ მორიგ დასალაშქრავ სამეფოდ ინდოეთს აირჩევს ინდოეთის მეფეს რაიკინდს შეათარეს თავი პუშანგით უკმაყოფილო ნეფეებმა ქეივან-შაჰმა, ხავარ-შაჰმა და სხვებმა.

თექვსმეტი წლის ყაპრამანი ისეთი მძლე ფაჰლავანი შეიქნა, რომ მის აღმზრდელ დევებსაც კი სული შეუწუხა. ბოლოს მათ მიზნარე ყაპრამანი ყაფის მთიდან რები მასქუნს მოიყვანეს და დატოვეს. აქ წააწყდება მას ინდოეთს მიმავალი პუშანგის ლაშქარი. გოლიათი ყაპრამანი მიიტყვეს ყურადღებას, მაგრამ რამდენიმე ფაჰლავანი

<sup>4</sup> E. Э. Б е р т е л ь с, Персидская „любочная“ литература, сб. „С. Ф. Ольденбург“, 1934.

<sup>5</sup> ქეთაბე ყაპრამან, 1284 წ. 3. (1867 წ.).

წეწირება თავის ცნობისმოყვარეობას, ვიდრე მას არ გამოემყნაურება ყაპთარანი. კახარებული ბოძაშვილები ვანიზრახავენ ჰუშანგ-შაჰის ერთგულ სამხანბურს.

მეული წიგნი წარმოადგენს ისლამის დამყველი ირან-თურანელებისა (თუმც ეს ჰსლიმანური მომენტი არც თუ ისე წინაა წამოწეული) და ცეცხლთაყვანისმყველ ნლოელების გაუთავებელი ბრძოლების ისტორიას. ამ თონზეა გამოყვეთილი რამდენიმე ამიჯნური თავგადასავალი: შაჰბალ-ფერისა და ყამარ-როხის, თვით ყაპრამანისა და ნლოეთის მუფის ასულის სარეხურამანისა და ა შ. ადამიანებთან ერთად მოქმედენ დევბი, ფერიები. ჯადო-გრძნეულნი, აიარები. განსაკუთრებით საინტერესონი არიან ეს უკანასკნელნი. ფიქრობენ, რომ თავდაპირველად უნდა არსებულიყო რალაც ზედავითი სექტა აიართა. შემდეგ მათ მიეწერი სხვადასხვა ზებუნებრივი თვი-ებები (გარდასახვა, გაუჩინარება, ფრენა). ისინი ერთგვარად შეამავლებია ალა-მინურ რეალობასა და ფანტასტიკური სამყაროს წარმომადგენლებს შორის.

შეშუაიბარზე (ექვსფეხოვან მხეცზე) ამხედრებული ყაპრამანი თავისი ამალით, რომელნიც როგორც იტყვა, ადამის ტომთა გარდა შედიან აიარნი (გარდანქეშანი საპმანი), ფერიები (შაჰბალი), დევები, წარმატებით იბრძვის როგორც ძირითად ფრონტზე, ინლოელების წინააღმდეგ, ასევე ამარცხებს სხვადასხვა ავ სულებს (აზრაც ჯადო, დეზიდი აქსარი). დასასრულ, იგი ათავისუფლებს შაჰბალ-ფერის მეულღეს ყამარ-როხს, რომელიც დევებს ჰყავდათ გატაცებული შემდეგ ყაპრამანი ჯადოსნური ჟრინველის სიმურღის შემწეობით (მან სიცოცხლე შეუნარჩუნა მის ბარტყებს, ბოკლა გველეშაპი) ბრუნდება სამშობლოში. იმართება დიდი ღზინი, რის შემდეგაც ჰუშანგ-შაჰი თავის ნაცვლად ამეფებს ყაპრამანს.

ჩვენს წიგნოსაცეებში არ დაიძებნა „ყაპრამან-ნამეს“ სპარსული ხელნაწერები.

სამწეხაროდ, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდა უცხოეთში დაცულ ერთეულ ნუსხებზე. მაგ-რამ, როგორც უკანასკნელი დროის კვლევით დადასტურდა, ლითოგრაფიები საყმაოდ ზუსტად იმეორებენ ხელნაწერისეულ ტრადიციებს და იშვიათად შეაქმნ მასში უმნი-ჭნელო ცვლილებანი<sup>6</sup>. ამდენად, ჩვენს ლითოგრაფიულ გამოცემს შემოუნახავს ერთ-ერთი სპარსული რედაქცია. ეს რომ ასეა, ქვემოთ, ქართულ თარგმანზე მსჯე-ლობისას დავინახავთ ოლონდ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არის მოკლე რედაქ-ცია. არსებულა უფრო ვრცელიც. ამას მოწმობს, ჯერ ერთი, „ისლამის ენციკლოპე-დიაში“ გამოქვეყნებული სტატიის — „ყაპრამან-ნამეს“ ავტორის თ. მენცელის ნომა. რომ არსებობს ვრცელი სპარსული ვერსია რვა წიგნად. მეორე, სპარსული-დან მომდინარეობს ვრცელი თურქული და უზბეკური ვერსიები.

არც თურქული ვერსიებია სათანადოდ შესწავლილი. თ. მენცელი ზემოდასახელე-ბულ სტატიაში აღნიშნავს, რომ ვრცელი სპარსული ვერსია თურქულში შემცირდა ერთ წიგნამდე. 1962 წელს პარიზში გამოვიდა ირენ მელიქოვის წიგნი, მიძღვნილი „ახუ მულჰიმ-ნამეს“ თურქული ვერსიებისადმი. აქ იგი აღნიშნავს, რომ ოტომანთა იმპერიის პირველ საუკუნეებში ძალზე პოპულარული იყო სხვადასხვა ეპიური დას-თანები. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული იყო „ყაპრამან-ყათი-ლის წიგნი“, რომელიც შეიცავს „ჰუშანგ-ნამეს“ ოთხ ტომად და „გარდუნქემან-

<sup>6</sup> ო. ბორშჩევსკი, დასახ. ნაშრ., 20. მაგალითად, „ზახთიარ-ნამეს“ ლითოგრა-ფიები, ცალკეული სიტყვების გამოკლებით, ზუსტად მისდევენ ხელნაწერებს.

ბამეს" — სამ ტომად<sup>7</sup>. საკმაოდ ვრცელია უზბეკური „ყაპრამან-ნამეც“<sup>8</sup>. თურქული ვერსია ლექსნარევი პროზაა. ლექსები სპარსულ ძეგლშიც რომ იქნებოდა, ჩანს ლიტოგრაფიაში რამდენიმე გადაარჩენილი ბეითებიდან, აგრეთვე ქართულ თარგმანში ქართული ასოებით ჩაწერილი სპარსულენოვანი ნიმუშებიდან.

„ყაპრამან-ნამეს“ აღმოსავლური ვერსიების ზოგადი მიმოხილვისას რამდენჯერმე მოვიხსენიეთ ქართული თარგმანი. შევებოთ მას უფრო დაწერილებით.

„ყარამანიანი“ უთარგმნია ერეკლე მეფის სიძეს და სარდალს დავით ორბელიანს (1716—1795). მან კარგად იცოდა სომხური და სპარსული, რამდენჯერმე იყო ირანში, საიდანაც ჩამოიტანა „ყაპრამან-ნამეს“ სპარსული ხელნაწერი<sup>9</sup>. „ყარამანიანი“ ნათარგმნია 1762 — 1774 წლებში, არა უკვიანეს, რადგან იგი უკვე შეტანილია ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ 1774 — 1779 წლებში გადაწერილ კრებულში<sup>10</sup>.

ხელნაწერთა უმრავლესობა ადასტურებს დავითის მთარგმნელობას წამმდგარებული შემდეგი შესავლით: „წიგნი ყარამანიანი ნათარგმნი სპარსული საგან ქართულად ორბელის შვილის სარდალ სალთხუცის დავითისაგან ტპილი და ამოდ სასმენელი სავაქაყო“. ასე იკითხება ერთ-ერთ უადრინდელეს ნუსხაში ჩაჩიკაშვილი კრებულიდან (A—ნ50). ზოგან ეს შესავალი უფრო ვრცელია: „ამბავი სპარსთა ხელმწიფის შვილის ყარამან ფალანისა თურქთა ენისაგან ქართულსა [ეხასა] ზედან თარგმნილი საქართველოს [სარდლის] ორბელიანის დავითისაგან. თუმცა არა რიტორთა ენასა შეწყობილი არს, მაგრამ ამისთვის დავშვებ ამასა ზედან, რომე ყრმათათვის საამური და სწავლა (sic!) არის. მეორედაც ეს, რომე ვინაიდგან საქართველოში წიგნი ყარამანისა, ქართულსა ენასა ზედან დღესა აქამომდე [არსად იხოვბოდა] და ამას იქით იხოვბოდეს. მე ასე შევიძელ და გვაუკეთე. აწე ამას იქით რომელთაცა უკეთ გაკეთება გენებოს და შეიძლოს. თქვენ გამოართო, ანად რომე მეორედ აღმოწერილი უკეთესი იქნება“ (H—57).

თუ მთარგმნელის ვინაობის ჩვენებისას თითქმის ერთსულოვანნი არიან ნუსხები. სხვაობა თავს იჩენს დედნის სადაურობის აღნიშვნისას. როგორც ზემომოტანილი ციტატებიდანაც ჩანს, ზოგი ნუსხა წყაროდ სპარსულ ტექსტს მიიჩნევს. ზოგი — თურქულს. აკად. კ. კეკელიძის ვარაუდით „უფრო სწორი უნდა იყოს პირველი ცნობა“<sup>11</sup> მართლაც, ამის სასარგებლოდ თუნდ ისიც კმარა, რომ, როგორც ხეშოთ ითქვა, ქართულ თარგმანში ხშირად ვხვდებით ქართული ასოებით ჩაწერილ სპარსულ ლექსებს. ზოგჯერ მათ ახლავს თარგმანი, ზოგჯერ — არა. მაგალითად:

<sup>7</sup> ცნობა მოგვაწოდა ი. ბორშივესკიმ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

<sup>8</sup> *Собрание восточных рукописей АН Узб. ССР, т. II, Ташкент, 1954, № 1875.*

<sup>9</sup> *А. С. Х а х а я о в, Очерки, III, 1901, 194.*

<sup>10</sup> *კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, 355.*

<sup>11</sup> მხოლოდ რამდენიმეში, მაგალითად (H—4) გვხვდება შეცდომით სხვა სახელი: „...ორბელიანისა სარდლისა ქეშვიჩიბაშისა აეთანდლისაგან“ (იხ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., 354).

<sup>12</sup> *კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., 355.*

დარ ომად სალი ბა შიშაი მეი  
ჩი ფანუს ხიალი შამ დარ ვეი  
ბია საყი ქი ნოვრუზ ეს[ტ]ნოვრუზ  
ბიდე ჯამი ქი ამრუზ ეს[ტ]ამრუზ.

„მელღინე მოვა შევენებით, მინა საესე აქეს ღვინითა,  
ანათებს ფანოსივითა ამა ნადიმსა ლხინითა,  
მოდი, მელღინევე, საჩქაროდ, ახალი წელიწადია,  
საესე ფიალა მომართვი, დღეს უცხო ლხინი მწადია“.

ტრანსლიტერაცია საკმაოდ სწორია, თარგმანი — ზუსტი. ცხადია, ეს სპარსული ლექსი მხოლოდ სპარსული დედნიდან გაჩნდებოდა აქაც და მრავალ სხვა შემთხვევაში<sup>13</sup>.

მაგრამ ამ დებულების შექველობას ადასტურებს სპარსულ-ქართული ტექსტის შედარება. ქართული „ყარამანიანი“ ზუსტად მისდევს ლითოგრაფიული გამოცემის სპარსულ ტექსტს. განსხვავება ვარიანტული ხასიათისაა. ეს ითქმის როგორც ცალკეული დეტალების, ისე ზოგი სახელის შესახებ. დაიწყო ამ უკანასკნელით. თითქმის ყველა სახელი ემთხვევა, ამასთან ხშირად სპარსულის დახმარებით ხერხდება გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება. მაგალითად: ა) ზოგ ნუსხაში იკითხება „უმანგ ზღვისა პირი“, ზოგან — „უმემანგ“. სპარსულშია „დარიაიე ომან“. ამის მიხედვით ქართული გასწორდა „უმან ზღვისა პირი“. ბ) ხელნაწერებშია „პარამისაგანდაზ“. თითქმის სწორია, სპარსულის მიხედვით ჩაემატა „ნ“ — „პაპარამი სანგანდაზ“ (პარამ ქვისმტყორცნელი). გ) ზოგ ხელნაწერშია „გუფა“, ზოგში — „გოფუმა“. იქვე ქართულ ტექსტში სახელის მნიშვნელობაცაა წარმოდგენილი: „ძროხის ფეხიანი“. გასწორდა — „გოფუა“. საერთოდ ხშირია ეს პარალელური ქართულ-სპარსული ლექსიკა ერთსა და იმავე ან სხვადასხვა ნუსხებში: ნ ა რ ა დ ვ ე ი — ხ ე ა დ ი დ ვ ე ი; ხარაბა — გერანა; ზარხოში — მხიარული და ა. შ.

მთარგმნელს კარგად ესმის ტექსტი და სწორად გადმოაქვს იგი. რამდენიმე უზუსტობა კვლავ მის სპარსულ წყაროს მიგვანიშნებს<sup>14</sup>: ა) ქართულში გვხვდება „არჩიბად ვეზირი“. საყოთარ სახელად აქ გაგებულია სპარსული გამოთქმა „პარ ჩე ბადა ბად“ („რაც მოსახდენია, მოხდეს“). რომელსაც უსახელო ვეზირი წარმოსთქვამს. ბ) თარგმანში ხშირად იხმარება, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი სახელწოდება „ღამის სამოსი“: „ღამის სამოსი მოაღებინა და სწრაფად ჩაიცვა“. ეს არის სპარსული „ლაზასე შაბრავის“ სიტყვისიტყვითი თარგმანი. „შაბრავი“ ნიშნავს ღამით მავალს, ყაჩაღს, ავაზაკს. „ღამის სამოსის“ ნაცვლად აჯობებდა საყაჩაღო ტანისამოსი“.

<sup>13</sup> ჩვენს გამოცემაში ისინი გამოტოვებულია. კარგი იქნებოდა მათი საგანგებოდ შესწავლა სპარსული ბეგრების ქართული ასოებით გადმოღების თავისებურებათა გასათვალისწინებლად. სპარსული ლექსები უმეტესად ანონიმურია, ზოგჯერ ხერხდება ავტორის დადგენა (მაგ., ჰაფეზი და სხვ.).

<sup>14</sup> ცხადია, ტექსტში ისინი უცვლელნი დარჩნენ.

როგორც ითქვა, ზოგი სხვაობა სპარსულ ნუსხათა ვარიანტული წაკითხვებით მიქმდება იხსნას. ყარაჰანის მამას ქართულში ეწოდება „თაბურადი“. ჩვენს ლითოგრაფიაში მას ხან „თალეჟმურადი“ ჰქვია, ხან — „თაბურასი“. საინტერესოა, რომ უზბეკურ ვერსიაში მას „თახმირასი“ ეწოდება მის ძმას ქართული თარგმანით „გვარჯასი“ ჰქვია. ლითოგრაფიის „აპრასბი“ აშკარად უკავშირდება „გერშასბს“. ანალოგიური წარმოშობისა ცალკეული გადახვევები სიუჟეტის განვითარებაში. ძირითადი ხაზი კი ერთია ორივეგან.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ეხება ქართული „ყარაჰანიანის“ ერთ, თანაც მეტად მცირე ნაწილს. თუ ზოგი ხელნაწერისა და პირველი გამოცემების მიხედვით „ყარაჰანიანის“ ტექსტს თექვსმეტ კარად დაყოფთ, სპარსულ მოკლე რედაქციას, რომელიც ჩვენს ლითოგრაფიას დაუცავს, დაემთხვევა მხოლოდ ორი. ამრიგად, ქართულ „ყარაჰანიანშიც“ გამოიყოფა მოკლე და ვრცელი რედაქციები. მოკლე რედაქცია დაუცავთ უძველეს ხელნაწერებს, რომელნიც XVIII საუკუნის 70—80-იანი წლებით თარიღდებიან. მას აქვს თავისი ფინალი, რომლის მიხედვით, ისევე. როგორც სპარსულ ლითოგრაფიაში, უშანგს თავის ტახტზე აპყავს ყარაჰანი. მოკლე რედაქციის მთელი ტექსტი, ფინალის გამოკლებით, საერთოა ყველა ნუსხისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ვრცელი წარმოადგენს მის გაგრძელებას და არა დამოუკიდებელ ვერსიას.

ერცეოი რედაქცია აგრეთვე საკმაოდ ადრე შემუშავდა (ცალკეულ ნაწილებს ეხედებით XVIII ს. ნუსხებშიც, მაგ., თომა ჩაჩიკაშვილისეული S—3691, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკისა № 53) <sup>15</sup>. იგი იწყება მას შემდეგ, რაც გარდნაქმენის და სამანს უშანგ-შაჰი საპასუხო უსტარით ავზაენის ყარაჰანთან. ისინი აფრინდებიან ჰაერში და მიდიან გულისტან-ერამისაკენ, სადაც მათ ლხინში მყოფი ყარაჰანი და შაჰთალი ფერი ელოდებიან. მოციქულნი მიაერთმევენ მათ უშანგის უსტარს, „როგორც მელექსეთ უთქვამთ“:

უსტარი მომეც საამო, გულისა მოსალხენია,  
აწ პატრონისა ჩემისა უცხო ამბავი მსმენია.

ამ ლექსს მოკლე რედაქციაში მოსდევს ყარაჰანისა და მის მსვენელთა საარაკო მგზავრობა ყაფის მთისა და ოკეანის გავლით უშანგისაკენ, მათი შეხვედრა. უშანგის სიკვდილი და ყარაჰანის გამეფება. ვრცელში კი მოციქულთა დაბრუნებას მოსდევს ყარაჰანის ნადირობა, მისი გაუჩინარება და აქედან გაგრძელებათა ახალ-ახალი ციკლები <sup>16</sup>.

<sup>15</sup> ვრცელი ვერსიები ს. ყუბანეიშვილის აზრით XIX საუკუნეში წარმოიშვნენ (იხ. მისი შესავალი წერილი, რომელიც ერთის „ყარაჰანიანის“ ტექსტის პირველ თავებს და ინახება რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში). დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

<sup>16</sup> აღსანიშნავია, რომ ზოგ ნუსხაში (S 2840) ვრცელს დაუცავს გადაკეთების კვალი, კერძოდ, ყარაჰანის ფასკუნჯზე მოგზაურობის ეპიზოდი, რომელიც მოკლე რედაქციიდან მოდის.

ჯერჯერობით ლიად რჩება „ყარამანიანის“ მეორე ნაწილის წყაროს საკითხი. იგი უნდა შეედარდეს ვრცელ სპარსულ ვერსიას. აგრეთვე თურქულ რედაქციებს: თურქული წყაროს ვარაუდ საფუძველს უქმნიან ვრცელ რედაქციაში ჩართული თურქული ლექსები. იგარეთვე ქართული ასოებით ჩაწერილი<sup>17</sup>. ისმის აგრეთვე კითხვა, ვის ჯეჟუნენის ეს გაგრძელება თარგმანისა, დავით ორბელიანს თუ სხვას ვისმე? თარგმანის ხასიათი თუმცა დიდად არ განასხვავებს ამ ორ ნაწილს, მაგრამ ამ თვალსაზრისით შესწავლა მაინც აუცილებელი ჩანს.

„ყარამანიანი“, ისევე როგორც ამ ტიპის სხვა სარაინდო რომანები, არ გამოირჩევა მაღალი მხატვრული ღირებულებით. სიუჟეტის დახლართულობა, ურიცხვი და ერთმანეთს მიწსავსებელი პერსონაჟები, ტრაფარეტული ტაქტილოგია აქაც ჭარბად ხვდება მკითხველს მაგრამ იგი მაინც გამოირჩევა სადა და ლექსიკურად საინტერესო ენით. გარკვეულ ეპიზოდებში თხრობის უშუალოებითა და მიმზიდველობით, ზოგი მოკმედი პირის ცოცხალი დახასიათებით. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ სწორეუბარი რაინდი. საპიზიურანი (ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული), ზოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლი. უმწუთოა მფარველი ფალავანი ყარამანი, თავნება ამორძალი სარეიხურამანი, ერთგული, თან მიხეზრებული, თანაც გულბრწყინლო გარდანქმენი. ნაზი მიჯნური გულჩინი. ლაღატი სიკედილი რომ ურჩევნია, და ხვდება. შემთხვევითი არ იყო ის დიდი პოპულარობა და სიყვარული, რომლითაც „ყარამანიანი“ სარგებლობდა მთელ საქართველოში. ამას მოწმობს უამრავი ნუსხა. ახვალასხვა პირთა მიერ გულმოდგინედ გადაწერილი. მინაწერები ამ ნუსხებზე.

ჩვენს ხელნაწერთა საცავებში არსებული ნუსხებიდან კარგად ჩანს, რომ „ყარამანიანი“ დაინტერესებული იყო არა მარტო ხალხის დაბალი ფენები, არამედ მაღალი საზოგადოება. თითქმის მეტი წილი ამ ხელნაწერებისა გადაწერილია ქართული თავადიშვილებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა დაკვეთით. საკულესხმოა ის ფაქტიც, რომ. მაგალითად. ერთ-ერთ ნუსხაზე. რომელიც თავის დროზე შემოუწირავთ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის (H—2531), არის ოღაა ქვეყაძის მამის გრიგოლ ქვეყაძის მინაწერი, რომ მას 1838 წელს გადაუციხხავს „ყარამანიანის“ ეს ხელნაწერი. ილია თვითვე გადმოგვცემს, რომ ბავჯობაში ამგვარ შესატყვევარ საგმირო ამბებს უამბობდნენ მშობლები. ამიტომ არც ვასაკვირია, რომ მის თხზულებებში ხშირად იხსენიებთან „ყარამანიანის“ პოპულარული ფალავნები

ძველი თბილისის უბაღლო მყოფენ ი. გრიშაშვილი აღნიშნავს, რომ „ყარამანიანის“ კითხვა იყო ყველაზე დიდი გასართობი თბილისის მკვიდრთათვის. პოეტი ძველი თბილისის სურათს გვიხატავს: „ერთის მხრივ მშვენიერი ქართული 'ყარამანიანისა' და. მეორეს მხრივ. მისი ფანტასტიკური შინაარსი ბევრ მკითხველს თუ მსმენელს იზიდავდა. 'მსმენელსაც' იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად „ყარამანიანი“ მამაღლა იკითხებოდა და ოჯახის დანარჩენი წევრები კი ირგვლივ უსხდნენ და

<sup>17</sup> მაგალითად (S 164):

ღმურ დაღ ჩუნქი იარფანი იერიდან  
იახუნდ იარღლი გოგლარ ბირბირინდან  
იერ უზღარ დაღლარ ოღლი ფუშდა ლარდა  
ქიში გოგჩას ლურღით ქუშტა ლარდა.



სულგანაბლენი უსმენდნენ... ხალხი დიდის გაფაყიციებით ადგენებდა თვალყურს ამ წიგნის გმირთა ფათერაკიან თავგადასავალს, ხარობდა მათი სიხარულით, იტანჯებოდა მათი ტანჯვით და ყოველივე წვრილმანს ისე განიცდიდა, თითქოს მომსწრე ან დამსწრე ყოფილიყოს ამ ზღაპრული ეპოპის" (ძვ. თბილ. ლიტერატურული ბოქემა, გვ. 37).

დამახასიათებელია თავის უშუალოებით ამ თხზულების პირველი გამოცემლის დ. ლაზარევის შემდეგი განცხადება: „უნდა მოგახსენოთ მკითხველნი. რომ „ყარამანიანს“ არავითარი ვნება არ მოუტანია ქართველი ერისათვის, სამაგიეროდ, უფრო ნაყოფი გამოიღოს თავისი სახალისო და მიმზიდველის შინაარსით და დედა-ენასაებრ წერა-კითხვა შეაწავლა უსწავლელ მდაბიო ხალხს. მეტადრე სოფლებანიც, სადაც იმ დროს სამრევლო სკოლები სულ არ არსებობდნენ“.<sup>18</sup>

„ყარამანიანში“ შეინიშნება „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ გაუღენის კვალი, უპირატესად ანდაზებსა და გამოთქმებში<sup>19</sup>. თავის მხრივ მას გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს სხვა ქართულ სარაინლო რომანებთან (მაგ. „სელიანიანთან“, სადაც აგრეთვე გვაქვს ყაფის მთა, ეიათის მინდორი და ა. შ. თუ ეს სპარსული წყაროდან არ მოდის) <sup>20</sup>.

ეფიქრობთ, „ყარამანიანის“ ახალი გამოცემა დააინტერესებს ქართველ მკითხველს და ხელს შეუწყობს მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შემდგომ შესწავლას.



მე-19 საუკუნეში „ყარამანიანი“ რამდენჯერმე გამოიცა. როგორც პირველი გაზომილი დაკრები ლაზარევი შენიშნავს, უკვე 1872 წლიდან დაწყებულა „ყარამანიანი“ პირველი თავების გამოცემა<sup>21</sup>. ჩანს, იგი ემყარებოდა გვიანდელ, მე-19 საუ-

<sup>18</sup> ქუჩუკ-ყარამანიანი, კარი XVI, 1912 (ბოლოსიტყვაობა).

<sup>19</sup> მაგალითად: „თუცა ლომისა ზეადი ლეკვი ლომი იქნება, ძუცა ეგრეთვე ლომია“; „ისრეთნი მეცნიერნი და ტბილად მოუბარნი იყვნენ, რომე თუ თქვა, ზერელთაგან გველს გამოიყვანდნენ“; „გულოვანი ცხენსა ლაშქართა წინა გაიგდებდნენ... და ჯაბანთა შიშისაგან პირთა ზაფრანის ფერი დაედებოდათ“ და სხვ.

<sup>20</sup> საყურადღებო წერილები უძღვნა ქართულ სარაინლო რომანს გაიოზ იმედაშვილი („სელიანიანი“ და რაინდული რომანის ზოგიერთი საკითხი, ლიტ. ძიებანი, X; „სირინოზიანი“, ლიტ. ძიებანი, XI).

<sup>21</sup> ჩვენს წიგნსაცემაში მოიპოვება მხოლოდ 1875 წელს და შემდეგ გამოცემული წიგნები (იხ. ქართული წიგნი, ტ. I). ჩვენ ძირითადად გამოვიყენეთ ეს პირველი გამოცემა: ყარამანიანი, კარი I, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმნი საბლზნუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან, სამოთ სასმენელი, გამოცემული დავით ლაზარევისაგან და ნიკოლოზ კობლაძისაგან 1875. მომდევნო კარები ქვეყნდებოდა თითქმის ოცი წლის მანძილზე. XX საუკუნის დასაწყისში „ყარამანიანი“ რამდენიმეჯერ გამოიცა (1902 წლიდან 1914 წლამდე). პირველთა შორის მთავარია ოღნავ სახეცელთა სტილი და მართლწერა. მომდევნო გამოცემები ზუსტად იმეორებენ და ხშირად ავსებენ ერთმანეთს, რადგან ზოგჯერ ერთი გამოცემა არ იყო დამთავრებული, იწყებოდა მეორე.

უნის ნუსხებს. დ. ლაზარევი 1912 წელს, მე-16 კარის ბოლოსიტყვაში აღნიშნავდა, რომ მას ჯერ ხელთ ჰქონია სხვადასხვა პირის მიერ უშნო ხელით ნაწერი ნუსხა, მაგრამ შემდეგ ხელთ ჩაყარა უკეთესი ნუსხა, რომელიც გურამიშვილების ოჯახის კუთვნილება ყოფილა: „იმ დროს ჩვენს რედაქციაში, — წერს დ. ლაზარევი, — ერთი ყმაწვილი კაცი დაიარებოდა გვარად გურამიშვილი, იმან მნახა, რომ ამ წიგნს ჩაეჩინებდნენ და დიდი სურვილიც მქონდა მისი დაბეჭდვისა. მაშინ მან აღმოთქვა, რომ მოეტანა ჩემთვის უფრო გარკვევით დაწერილი „ყარამანიანი“, რომელიც თავის პაპისაგან დარჩენილია და მისი ბებიაც თურმე ისე ინახავს, როგორც ძვირფას ნივთს, რადგანაც სახალისო წასაკითხი ყოფილა. ამ ყმაწვილმა კაცმა დაპირებისამებრ მეორე დღესვე მომიტანა წიგნი მუშით, რომელიც წონით მთავრად ნახევარი ფუთი. ესეც მოლურჯო ქაღალდზე სხვადასხვა ხელით იყო დაწერილი. რა ეს წიგნი გადავთვალაოიერე და შევაადარე ერთი მეორესთან, ვნახე, რომ ისიც თორმეტი კარი იყო, მხოლოდ უფრო ეს ვარჩიე და გადაეწყვიტე კიდევ დასაბეჭდალ“<sup>22</sup>.

აღსანიშნავია ერთი ცნობაც. დ. ლაზარევის ხელთ არსებულ ნუსხებში „ყარამანიანის“ ბოლო თავები არ მოიპოვებოდა და მხოლოდ გვიან აღმოუჩენია მას ბოლო თავების შემცველი ნუსხა.

დ. ლაზარევის გამოცემა რომ გვიანდელ ნუსხებს ემყარება, ეს, ენობრივ ფაქტებთან ერთად, ყველაზე ნათლად ჩანს რედაქციულ აღნაგობიდან. იგი ისეთივე ვრცელი რედაქციის შემცველია, როგორც დაუცავს მე-19 საუკუნის მეტ წილ ნუსხებს. ამასთან აქაც „ყარამანიანი“ დაყოფილია კარებად, რასაც ძველი ნუსხები საერთოდ არ იცნობენ. აკად. კორნელი კეკელიძემ მიუთითა ამ გამოცემის ენობრივ ბარჯარნიშებზე (კერძოდ, რუსიციზმების კვალი). რაც აგრეთვე გვიანდელ ნუსხათა გავლენით უნდა აიხსნას. გამოცემა სავსეა დამახინჯებული ფორმებით.

წინამდებარე გამოცემის მომზადებისათვის საპირო გახდა „ყარამანიანის“ ხელნაწერილი მემკვიდრეობის გადათვალაოიერება. ამ ძეგლის დიდი პოპულარობის გამო. მოსალოდნელი იყო და. მართლაც, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ხელთნაწერთა საცავებში მოიპოვება „ყარამანიანის“ მრავალი ნუსხა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია „ყარამანიანის“ 55-მდე ნუსხა. „ყარამანიანის“ ნუსხები მოიპოვება თბილისის სხვა ხელნაწერთა საცავებში (მაგალ., ლიტერატურულ მუზეუმში). ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში (სამი ხელნაწერი, რომელთაგან საყურადღებოა № 53, რომლის ფოტოპირიც ხელთ გვქონდა)<sup>23</sup>, ქუთაისის, გორისა და ახალციხის მუზეუმებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდით „ყარამანიანის“ უძველესი ნუსხა უნდა იყოს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის კრებულში (A — 850) მოთავსებული ტექსტი (კერძოდ, პირველი ორი თავი). ე. ი. 1774 — 1779 წლისა<sup>24</sup>. ეს ვარაუდი თითქოს ეჭვის ქვეშ დადგა ამ ბოლო ხანებში. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1963 წ. 15 ოქტომბერი), გამოქვეყნდა ს. ჭიჭინაძის წერილი, სადაც აღ-

<sup>22</sup> ყარამანიანი, კარი XVI, 1912, 64.

<sup>23</sup> აღნიშნული ფონდის აღწერილობანი მოგვაწოდეს პროფ. ა. ბარამიძემ და დოც. ლ. მეფარიშვილმა, ჩისტვისაც მადლობას მოვუხსენებთ.

<sup>24</sup> ქ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., 355.

ნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძისეულ არქივში აღმოჩნდა „ყარამანიანის“ უძველესი ნუსხა. უფრო მეტიც, მკვლევარი შენიშნავს, რომ „ტაბიძისეული „ყარამანიანის“ ხელნაწერი მთარგმნელის, დავით ორბელიანის ავტოგრაფი უნდა იყოს; ამაში დაგვარწმუნა ლიტერატურულ მუხუეუში დაცულმა დავით ორბელიანის სხვა ხელნაწერებთან შედარებამ, აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ თხზულებაში, გარდა თექვსმეტმარცვლოვანი ქართული ლექსებისა, ქართული ტრანსკრიპციით ჩართულია სპარსული სტროფები, რაც სხვა ნუსხებს არ მოეპოვება. ამ მოსაზრებას ხელს ისიც უწყობს, რომ ხელნაწერის ტექსტის ნასწორები ადგილები მთარგმნელისეულობაზე მიკვიითოებს“, და ა. შ.

ეს ყარაული გაუგებრობაზეა დაყარებული. პირველივე შეხედვით ჩანს, რომ გადამწერის ხელიცა და ქალაღიცი გვიანდელია. უფრო მეტიც, ხელნაწერის ყველა გვერდზე არსებობს თარიღიანი კვირნიშანი — 1841 წელი. ე. ი. თითქმის მთელი საუკუნით გვიანდელი თარიღი. არც ის ფაქტია სწორად აღნუსხული, რომ თითქმის მართო ამ ხელნაწერში მოიპოვებოდეს ქართული ტრანსკრიპციით დაწერილი სპარსული ტექსტები. ჩვენს ხელნაწერთა საცავეებში არა ერთი ასეთი ნუსხაა დაციული. მაგრამ არცერთი მათგანი ავტოგრაფს არ წარმოადგენს.

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ნუსხის გარდა ჩვენ ვიცნობთ სხვა საცამოდ ძველ ნუსხებსაც. მაგალითად, H — 1655, რომელიც გადაწერილია 1784-5 წლებში და ტექსტულურადაც ახლოსაა ჩაჩიკაშვილის ნუსხასთან (აქაც „ყარამანიანის“ პირველი თავებია დაციული). ძალზე საინტერესო ხელნაწერს წარმოადგენს აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა S — 3691, რომელიც გადაწერია ცნობილ კალიგრაფს თომა ჩაჩიკაშვილს. ს. ყუბანეიშვილი თავის ზემოთ დასახელებულ წერილში ამ ნუსხას 1812 წლით ათარიღებს. მართლაც, აქ არის არაგადამწერის ხელით მინაწერი გლოსა, რომლის თარიღია 1812 წელი. ხელნაწერის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს ნუსხა შეიძლება კიდევ უფრო ადრეული წლით დათარიღდეს. ხელნაწერს მოეპოვება კვირნიშანი, რომელზეც აღნიშნულია თარიღი 1785 წელი, ე. ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი გადაწერილია არა უგვიანეს 1790 წლისა<sup>25</sup>. ამავე რივისაა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუხუეუში დაციული ნუსხა (№ 4586), რომელიც აგრეთვე გადამწერი ჩაჩიკაშვილთა ოჯახიდან მოდის, „ყარამანიანი“ აქაც მოკლე რედაქციას შეიცავს. გადაწერილია 1776 წელს — გადამწერი კორნელი ნიკოლოზის-ძე ჩაჩიკაშვილი.

ასევე საყურადღებოა ხელნაწერი S — 2840. როგორც ითქვა, იგი უნდა მოდიოდეს ისეთი ნუსხიდან. რომელიც გარდამავალი იყო „ყარამანიანის“ მოკლე და ვრცელ რედაქციებს შორის. მეორე კარის ბოლოში აქ დაციულია ერთი ეპიზოდი მოკლე რედაქციისა (ქროდ. ყარამანის მიერ ფასკუნჯზე შეჯდომა და ყაფის მისი დათვალიერება), რაც მოკლეს დასასრულიდან არის ამოღებული, მაგრამ შემდეგ თხრობა ისევ გრძელდება. როგორც ეს ვრცელ რედაქციებშია. ხელნაწერი საინტერესოა თარიღითაც და ძველ ხელნაწერებში შედის (უკანასკნელი კვირნიშანი 1816 წლის თარიღისა). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შედგენილობით ეს ხელნაწერი ერთ-ერთი ყველაზე ვრცელია და მოიცავს თითქმის მთელი „ყარამანიანის“ ნახევარზე მეტს.

<sup>25</sup> ეს მოსაზრება გამოთქვა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა ა. პატარძემ.

რედაქციულად ვრცელი და საინტერესო ნუსხაა აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა Q — 172, რომელიც გადაწერილია 1831 წელს და მოიცავს დ. ლაზარევის გამოცემის პირველ ათ კარს.

ტექსტის სათანადოდ გამართვისათვის მნიშვნელოვანია 1820 წელს პეტერბურგში ვადაწერილი ნუსხები, რომლებიც ამჟამად არიან ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში (164, 165) და შეიცავენ ყარამანიანის პირველ თავებს (დ. ლაზარევის გამოცემის მე-7 კარის დასაწყისის ჩათვლით). საყურადღებოა აგრეთვე ლენინგრადიანული ნუსხა № 53, რომელსაც დ. მეფარიშვილი 1769 წლით ათარიღებს, თუმცა ჩვენ ეს თარიღი ვერსად ვნახეთ. იგი შეიცავს მოკლე რედაქციას.

ვრცელი და შედარებით დაუზიანებელია ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები: H — 55 და H — 57, რომელიც ერთი გადაწერის მ. ყორღანოვის მიერ არის შესრულებული და მოიცავს ვრცელ „ყარამანიანის“ თიანეთის ორ ნუსხედს (სულ ორივე ხელნაწერი შედგება 1642 გვერდისაგან).

აქ მოხსენებული ორი ხელნაწერი ჩვენი ვარაუდით უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომაც ისინი დავედრეთ საუფლებლად წინამდებარე გამოცემას. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ნუსხებიც არ უნდა იყვნენ მნიშვნელობას მოკლებულნი და მომავალ გამოცემაში მათი მონაცემებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ახალი, ფაქტობრივად, მეორე გამოცემის ზოგი სხვა თავისებურებაც. როგორც გამოიკვია, „ყარამანიანის“ პირველი გამოცემა (დ. ლაზარევისა) ემყარებოდა ისეთ ნუსხას, რომელშიც უკვე აღრეული იყო თავების განლაგება. კერძოდ, მეორე კარს უნდა მოსდევდეს არა გამოცემის მესამე კარი, არამედ მეოთხეს პირველი ნაწილი, როგორც ეს რიგ ხელნაწერებშია. ხელნაწერებზე დაყრდნობით ეს ხარვეზი გასწორდა ახალ გამოცემაში და ამბის თხრობაში არსებული გაუგებრობაც აღმოფხვრა. ხელნაწერთა და პირველი გამოცემის შესწავლამ გვიჩვენა ისიც, რომ დ. ლაზარევის გამოცემაში კარების დაყოფა შემთხვევითია და არ ემორჩილება რაიმე პრინციპს, არ მისდევს გმირთა თავგადასავალს, ხან ადრე წყდება, ხან კი ორ და სამ სათავგადასავლო ამბავს შეიცავს. კარების განაწილება ყოველთვის არ თანხვდება ხელნაწერებისას. მაგრამ ხელნაწერების შესწავლასაც სხვადასხვაგვარი სურათი გვიჩვენა. როგორც ჩანს, „ყარამანიანი“ თავიდან არ ყოფილა კარებად დაყოფილი და იგი გვიანდელი ნუსხების გადაწერით უნდა ეკუთვნოდეს. „ყარამანიანის“ ადრეულ ნუსხები გვაძლევენ ჩვეულებრივ დასათურებებს, თ. ი. ცალკეული ეპიზოდებია გამოყოფილი სათაურით — აქა ა მ ბ ა ვ ი ა მ ი ს ა და ა მ ი ს ა. ეს ნუსხები არ იცნობენ კარებად დაყოფას. აღსანიშნავია, რომ კარებად დაყოფას არ იცნობს ზემოთხასხენები სპარსული ლითოგრაფიული გამოცემა. ყოველივე ამის გამო, წინამდებარე გამოცემაში უარყოფილია კარებად დაყოფა და დასათურება მისდევს ძველ ხელნაწერებს.

ტექნიკური მიზეზების გამო „ყარამანიანის“ სათავგადასავლო ციკლები გავეყავით ორ წიგნად. პირველ წიგნში გადმოცემულია მთავარი გმირის, ყარამანის საფალავნო ამბები (ეს მოიცავს პირველი გამოცემის დაახლოებით 7 კარს), ხოლო მეორე წიგნში მოთავსებული იქნება ყარამანის შთამომავლების, განსაკუთრებით მისი შვილიშვილის ქუჩუქ-ყარამანის საგმირო თავგადასავლები და ამდენად, მეორე წიგნსაც ერთგვარად დამოუკიდებელი ხასიათი ექნება.

ენობრივი თვალსაზრისით ტექსტი გამართულია ზემოდასახელებული ხელნაწერი-

ბის მიხედვით. როგორც სავარაუდოა, ხშირად გვხვდება სხვადასხვაგვარი პარალელური ფორმები, რაც საეროდ ახასიათებს ამ ხანის მეტყველებას. ისინი, ძირითადად, დატოვებული. ორთოგრაფია. გარკვეული მიზეზების გამო, შედარებით გამარტივებულია. რაც შემთხვევაში გასწორებულია აშკარად მახინჯი ფორმებით.

შედარებით უკეთ გაიშარა პირველი ორი კარის ტექსტი (გვ. 1 — 20წ) ძველი ნუსხებისა და სპარსული ტექსტის მეშვეობით (მაგ. დაბეჭდილი იყო: „შაგისთანა გაპირვებაში სარგებელი არაფერი მოსდევს“. გასწორდა: „მაგა ვაპრობითა სარგებელი არა მოგხვდება“; „ხარჯის ფასი“ — „ხარაჯის ფასი“; „მზის სიყოცხელ“ — „მზის სიყხე“ და სხვ.). ეს განსაკუთრებით ეხება საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებს. სპარსული წარმომავლობის ეს სახელები ზოგჯერ სხვადასხვა მგარამ კანონზომიერი ფორმითაა წარმოდგენილი. ჩვენ არ დავიყვანეთ ისინი ერთ ფორმად (მაგ. საბყირანი, სააბყირანი, საბყარანი; საქმანი, სამანი; შაჟალი, შაჟალი და სხვ.). სხვა შემთხვევაში ზღუნაწერითაა შეირჩა უფრო ზუსტი ვარიანტი. მოვერიდეთ მხოლოდ სპარსული სახელების მარბეული ფორმების აღდგენას (მაგ., დატოვებით სიმრული სპარსულ სიმურდის ნაცვლად. შდრ. დავრიში — დარვიში).

წინამდებარე გამოცემაში „ყარამანიანის“ ვრცელი რედაქცია წარმოდგენილი ამის გამო მასში ვერ მოხვდა მოკლე რედაქციის დასასრული, რომელშიც თავისუფურადაა გადმოცემული უშანგის გარდაცვალება და ყარამანიანის გახელმწიფება. მეცნიერული მიზნებისათვის კი ეს ეპიზოდი მნიშვნელოვანია, რადგან იგი პარალელს პოულობს „ყარამანიანის“ ერთ-ერთ სპარსულ ვერსიაში. ამდენად, ჩვენ საჭიროდ ეტანით მთლიანად მოგვეტანა ეს ტექსტი „ყარამანიანის“ უძველესი ნუსხის მიხედვით (A — 860):

აჟ ჩვენ მოვიდეთ მას ამბავსა. შაჟალი ფერის მეჯლისი  
შეაქნა და ყარამან ფალანათა უხუცესობის საამსა იჯდა. მაშინ  
ბარდანანეშანი და სამან შევიდნენ და უშანგ-შას მბიძგა სულში მუნ  
მსხდომთ მოახსენას და წიხნი ყარამანს მოართმეს, რომორც  
ბელქასეთ უთქვამთ:

უსტარი მომეც საამო, გულისა მოსალხენია,  
აჟ პატრონისა ჩემისა უცხო ამბავი მსმენია.

ყარამანან პატივცემულობით მოიკითხნა. შაჟალი ფერის მოახსენა: ჰე, ფა-  
ლანო, სამი დღე პეშანი მომეც, რათა მეცა გზისა ფიქრი ვნახო და მეცა  
თქვენთანა უშანგ ზელმწიფის სამსახურში გაიხლოო. ყარამანან უპასუხა: აჟ ნენა.  
თქვენი იქნას! სამსა დღესა მზადება იყო და დიდის თადარიგით აემზადნენ. ოთხი  
საკვირველი და ძვირფასი ტახტი შეამზადნეს: ერთი თვით შაჟალი ფერისათვის,  
ერთი ყარამანისათვის, ერთი ბარამანისათვის და ერთი კაჩინისათვის და ერთი  
საკვირველი ტახტი სარკიზურამანისათვის მოიღეს. საშოკი ათასი ფერიანი ზელ-  
მწიფისათვის სამღონოსა წასადლებლად მოამზადეს. რათა ხაზინანი აღევიდათ. და  
სხვანი ორასი ათასი ფერიანი მათის მძიმის ბარგის საზიდავად მომზადნენ. სანა  
დღესა ესე ყველა გაარიგეს. მეოთხესა დღესა ათორმეტნი ათასნი დევნი მოვიდ-  
ნენ, რომელთა პირთაგან ცეცხლი სცივდათ. ესენი ყარამანის ტახტისა წასადე-

ბად მოემზადნენ. მაშინ ყარამან გამოვიდა და ტახტსა შთაჯდა. დევთა უბრძანა: მე ფარმან ბარუყუსისათვის პაემანი მიმიცია, რომელ ადამიანთა ქვეყანასა ჩემი ტახტი მან მიიტაცაჲს. აჲ დღესა მოიციადეთ, ეგების დღეს მოვიდესო.

აჲუე ჩვენ მას ამბავსა მოვიდეთ. რა მან დღემან განვლო, განთავადისა ჟამსა ხახუს, ბროლის მთიდად მეორე მხრით ფარმან ბარუყუსი ფრთაგაშლით მოვიდა. პასუე წამსა მისთვის აღგილი მოამზადეს. და მფრინველი იგი მას ალაგსა გარდაძობდა. რა მფრინველმა შეხედა და ერთსა ალაგსა მრავალთა დევთა და ფერიათა ყრლობა დაინახა, მაშინ თქვა: რა საქმეა ესე, რომელ აქა შეკრებილხართო? მათ შოახსენეს: წასასვლელად ვემზადებით რუბი-მასქენსა, მაგრამ ყარამანს შენთვის პაემანი დაედო, აჲ თვალი შენის გზისაკენ ჰქონდა და მოგელოდა.

რა მფრინველმან ესე მოისმინა, დიდად გამხიარულდა. საქმელი მოიღეს და მცირე რამ ქამა. ღმერთისა მადლი მისცა, მოვიდა და ყარამანს წინაშე თავი მიწასა დასდვა და მოახსენა: ჰე, ფალავანო, შენი რუბი-მასქენს წამყვანნი მრავალნი არიანო, მაგრამ მე შენგან წყალობა დამემართა და პირითა მტყციტთა მიბრძანე, რომელ ადამიანთა ქვეყანას მე წამეყვანე. აჲ მზა ვარ სამსახურად წინაშე შენსაო. მაშინ ყარამანმან ბრძანება, გასცა მუნითგან აყრისა.

რა ესე სიტყვა მოისმინეს, გულისტამ-ირამის ქვეყნის დიდი და მცირენი ფალავანს წინაშე მოვიდნენ და ტირილით ფერხსა ეხვეოდნენ და მოახსენეს: ჰე, სასყარანო, ქვეყანასა ესე ხლმისა შენისაგან დახსნილნი და განთავისუფლებულნი არიანო. ქება დიდი შეასხეს. მაშინ ფალავანმან წყალობით შეიწყნარა და მადლობით უპასუხა, ყოველთავე გამოეხალმა. შთაღ ფერიმ ქმა თვისი მაგიერად ტახტსა თვისსა დასვა და ქვეყანა თვისი მას შეავედრა და მეორესა ძმისა თან წამოსაღების ხაზინის წამოღება უბრძანა. ყარამან მფრინველსა შეჯდა, ასაყრელსა საყარავსა კრეს და მასვე წამსა აიყარნეს. ათვრამეტნი ასნი ათასნი დევნი და ფერიანნი ერთობით ჰაერში აღფრინდნენ.

სამსა დღესა ვლეს და უციანის ზღვასთან მიიწვიეს. ყარამან ჰაერიდამ დატედა და ზღვასა მას თვალი ვერა სადა გარდაუწია. მფრინველსა ჰკითხა: ესე დიდი ზღვა რომელი არისო? მფრინველმან უპასუხა: ამა უციანეს ზღვა ქეიანო, რომელი ქვეყანას სრულობით გარს ახვევია. ქვეყნად სამოცდა ერთი ზღვა არის, ყოველივე ამა ზღვასა შიგან შემოვალს. ყარამან უთხრა: ჰე, მფრინველთა პირველო, ესეთი ვინმე იქნებოს, რომელ ესე ზღვა ენახოს და სიორი ექნასო? მფრინველმან უპასუხა: ჰე, ფალავანო, ნახეა, ბროლის მთა ოღეს გავლევით, თუ ვითარი შეკირევა გარდაეიხადეთ? ქვეყანასა ზედა ვინაა, რომელ შვიდი ყაფის მთა გარდაეკლოს თვინიერ შენგან კიდე. აჲ თუ გენებება, მალა ჰაერში ავიყვან, მცირეს ხანს უკვირტე, ნახე, თუ ყაფის მთა ვითარ დიდი არისო. ყარამან მიუჯო: დიდად კარგი იქნების თუ აღმიყვანო. თანა მხლებთა მოყვასთა ესე გამოუცხადა: მე ესრეთ მნებავს, მალად აღვიწიო და ყაფის მთა გავსინჯოო.

მას წამსა მფრინველმან ფრთა ერთი მეორესა შემოჰკრა, პირი ცას მიაპყრა და მალად შეფრინდა. მოკლედ მოგახსენოთ: ყარამან მესამეს ბურჯში აღიყვანა. ფალავანმან ქვე შთამოიხედა და ქვეყანა აღარა ჩნდა. ყოველივე ქვეყნის პირი ზღვის დაეპყრა. რა მცირედ კვალად ზევით აღიწია, ნახა, რომელ ვარსკვლავნი ხლოდ თაე-თავისსა ალაგსა ჩნდა. ყარამანს ხშიანობა მრავალი ესმა. თქვა: ესე ხშიანობა რა არის, რომე ზეიდად მოიწევსო? მფრინველმან უთხრა: ჰე, ფალავანო,

ამას ზეით ქურსის ალაგი არის, ესე ჰაერი მისსა სიახლოეს არისო, ესე სასმენი ხმა იმათი არისო. ყარამან უბრძანა: აწ ქურსის, რომელ იტყვი, რასა ჰქვიანო? მფრინველმან მიუგო: ცის ჩარხის ბრუნვისაგან მრავალი ქარი გამოდის, ჰაერი ნოჲუცავს და მის ქარისაგან ესეთი საზარელი ხმიანობა იქმნებისო. ამისთვის, რომელ ცა მსწრაფლად ბრუნავს და ესე ქარები მისგან გამოვალსო. ამ ქარს ზევით ეთერის ცეცხლია, რომე ამა ქარის პირი იმას დაუპყრიაო.

მას უკან მცირედ კიდევ მაღლად აღვიდნენ, ეგე ოდენად, რომელ მთოვარის სამყოფი ალაგი გამოჩნდა და მისი ბურჯი ერთის დღის სასახლის ოდნად ჩნდა და მის გარშემო, მწვანის ატლასის მსგავსად, გარს შემოხვეოდა და უცხოდ რასმე ელავდა. ყარამან მფრინველს კითხვიდა თუ, ესე რა არისო? მფრინველმან უპასუხა: ჰე, ფალავანო, ესე ყაფის მთა არისო, რომე ყაფის მთისაგან ერთი ესე არისო და ექვსი ყაფის მთა სხვა არისო. ესენი ერთმანერთს მობმიან და ქვეყანას სრულებით გარს შემოხვევიანო. ესე ყაფის მთები შვიდნივე განგებითა ღვთისითა ყოველნივე სულაერთთა საესენი არიანო, ვითარცა ქვეყანა.

რა ყარამან ესე სიტყვა მოისმინა, განკვირებული დარჩა ღვთის განგებულობისაგან. ესე ყაფის მთა ესე ოდენ დიდი იყო, რომელ ჰკუა კაცისა ვერ მისწვდებოდა. ყარამანმან მფრინველს ჰკითხა: ესენი სით გავიგონიაო? მფრინველმან უპასუხა: მე ესე პირველად აღამისაგან მსმენია, რომელი შენ გიაგებო. რა ესე მოიუბნეს, ქვემოთვე წამოვიდნენ. ყარამან ნახა, ამა დიდსა ზღვასა შიგან ერთი ალაგი მწვანე ადგილი იხილვებოდა. იკითხა, ესე რა არისო? მფრინველმან მიუგო: ესე უქიანის ზღვა არის, ქვეყანას გარს შემოხვევია და იმის გარეშემო ყაფის მთა არისო. ესე ყაფის მთა რომ ამ ზღვასა ახვევია, ამაზე ესე მცირე ალაგი დარჩომილა, რომელსა ხედავ და ქვეყანა ესე არისო შეიდი იყლინი, რომელ რუბი-მასქუნად უხმობენო. ესე არს ქვეყანა კაცთა საყოფი, ოთხივე მხარე ქვეყნისა, ესე იგი აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი და ამას შიგან სამოცდათორეუტი ზღვააო.

რა ყარამან ესე მოისმინა, დიდად გაკვირებული დარჩა და ღვთის განგებულებას აღიღებდა. მაგრამ მუნითგან ამა საკვირეულების ხილვით იარეს და თვისსა ლაშქარსა შინა მოვიდნენ. მის ლაშქრითა ერთად სიარულითა რუბი-მასქუნის ქვეყანა გამოჩნდა. მივიდნენ და მას მშრალს ალაგს ჯარდმობდნენ და კარავი კარავსა ზედან გამოაბეს. მაშინ ყარამან ფერებდა უბრძანა და რუბი-მასქუნსა გაგაზენა. ფერიებმა მსწრაფლ უშანგ-შას წინა მიიწიეს, ყარამანისა, შაჟალი ფერისა, ავბილი გაბირის სულთნისა ბაჰმან-შას, ბარამ ჯიბილისა, ყათრანისა, რაჰინდისა და სარვიხურამანისა და სხვათა ფალავანთ მოსვლისა ამბავი ახარეს.

რა უშანგ ხელმწიფემან ესე მოისმინა, უზომოდ გამხიარულდა. მაშინვე ბრძანა, უცხონი სარაფარდანი და კარავნი დადგეს. ფარჩებითა და ატლასებითა სასახლენი მოაკრეს. უშანგ ხელმწიფე თვისის ეეზირებითა, დიდითა და მცირითა, კარავსა შიგან დადგნენ და ლაშქარნი სარაფარდასა შიგან გარიგდნენ. თვალთ ყარამანის გზისაკენ ჰქონდათ თუ, ოდენ იქნების, ჰაერთი მოსრული დაევანახოთო.

აწ ყარამანისა ამბავსა მოვევთ. ყარამან მუნით აიყარა, ორი დღე ჰაერთი იარეს და მის ლაშქრის ერთის დღის სიახლოეს ჩამოხდნენ. გარდანქეშანი უშანგ ხელმწიფის ჯარში წარვიდა. ყარამანისა სიახლოესა მისგლა ხელმწიფესა ახარა. უშანგ ხელმწიფემან რამდენიმე ქვეყანა გარდანქეშანს უბოძა. უშანგ ხელმწი-

ფემან უბრძანა: ოცდაათობეტს ტახტს მჯდომელს მეფეს ოთხი ათას უფლის წულს, ოთხი ათასს სკამზე მჯდომს ფალაყანს და სხვათა თავადთა, ვაზირთა და მოხელეთა ყარამანს წინ მიგებტა უბრძანა. ესენი მაშინვე აემზადნენ და წინ წავებტად გამგზავრდნენ. ოთხასი ხადღმნი ინდღურთა დიდებულთა ცლანი, უცხოთა ძვირფასთა სამკაულთა მოკაზმულნი, სარკიხურამანს მიეგებნენ.

აწ იგივე ვთქვთ. ყარამან თვისსა ექვსფერხს და ოთხთვალოვანს ზღვის ნაღირს შეჯდა. ყათრან მარჯვნით და ბარამ მარცხნით მოსდევდნენ და აგრევე შაფალი ფერი და სხვანი გარიგებით მოვიდოდნენ და უშანგ ხელმწიფის ლაშქარს მოუახლოვდნენ. ათვრამეტი ასი ათასი დვენი და ფერიანი მათ სიახლოვეს ჰაერში მოვიდოდნენ. გარდანქმანი, შირფანჯა, ასამ, აჰანდუზ და მასთან ოცდაათხნი აიარნი, ხელთ ხანჯლისა მპყრობელნი, მოვიდოდნენ და ყარამანს შეეყარნენ. ყარამანის წინაშე პირი მიწასა გაეერთეს, დალოცეს და ქება შეასხეს და წინ წაიძღვდნენ.

მას უკან მეფენი, უფლისწულნი და ფალაყანნი მოვიდნენ, რომელნი ზემოთ მოვიხსენეთ. ამთაჲ თავი მიწას დასდევს და ქებით სალაში მოახსენეს. მერმე ხადღმნი მოვიდეს და ყარამანს სალაში მოახსენეს, მიბრუნდნენ და სარკიხურამანს ნახეს და ბარამის დიდას ყაშარლუხს მიესალმნენ. ბამანარას და სხვათა მიემშვიდობნენ. მენითგან წამოსულნი გზახედ ერთმანეთის შექცევითა იარეს და უშანგ ხელმწიფის ლაშქართა შიგან მოიჭიეს. სარანდიბის ქალაქის ხალხს, მცირეთა და დიდთა, ყარამან დალოცეს და ქება შეასხეს. ფალაყანს აქეთ ოცდაათხნი აიარნი ს. მან აღაშინათა მონათესავეს უკან მოსდევდნენ და ყარამანს ათერთმეტი დვენი, რომელნი პირითგან ეცხლს აფრქვედნენ. მარჯვნივ მოსდევდნენ და ფერიათა ლაშქარნი მარცხნივ მოვიდოდნენ. კაცთა ლაშქარი უკან მოსდევდა, დევთა ლაშქარნი ჰაერში მოვიდოდნენ. მაგრამ ფარმან ბარყუუს ყარამან ზედა ფრთით ასრე დაეჩრდილებინა, რომელ მზის შუქი არ მიადგებოდა. ესრეთ უცხოდ მოვიდოდნენ. რომელ ყოველი მათი მკვრეტელი გაევირებებას მიეცემოდნენ. ამ საკვირველებით მოვიდნენ უშანგ ხელმწიფის ლაშქარსა შიგან. მუნა მყოფნი დიდებულნი და მოხელენი ყოველნივე მოვიდნენ და ფალაყანს ფეხსა ეხვეოდნენ. ორისავ მხრით ოცდაათხი ათასი ჩაუშნი ოქროსა ჩოგნოსანნი გასწი-გასწისა იძახოდნენ. თავადნი და დიდებულნი. შათირის მსგავსად, წინ მოუძლოდნენ. ეგრეთ მოვიდნენ და უშანგ ხელმწიფის კარავსა გარდმოხდნენ.

რა ხელმწიფემან ყარამან დაინახა, ზე ადგა კარავთაგან და გარეთ გამოეგება. ყარამან ხელმწიფეებრის რიგით მიესალმა და ხელს აკოცა. აგრევე ხელმწიფემან უშანგ ყარამანს პირს აკოცა. მას უკან ხელმწიფემან შაფალი ფერის, ჩაპინდის, ბამანშას, ბარამს, ყათრანს და სხვათა სარსარდათა მიესალმა. ყოველნივე თავი თვისსა ალაგსა დასხდნენ. უშანგ-შამ უბრძანა: ქე. დევთა და ფერიათა ხელმწიფეო. მშვიდობა აქა თქვენი მობრძანებო. ვინათგან უშანგ ხელმწიფემ ეს სიტყვა ბრძანა. მას წამს შაფალი ფერი ზე ადგა, მრავალი ძვირფასი თვალი და მარგალიტი უძღვნა და ხელმწიფე დალოცა. მას უკან სუფრა მოიღეს და მეჯლიში შექნეს რა სიფრა აიღეს. ფარმან ბარყუში დასტური ითხოვა. რომე სარანდიბს წავიდეს რა ადამის საფლავი ილოცოს. მფრინველს დასტური მისცეს და წავიდა. მის წასვლას უკან ყარამანმან იმ მფრინველის ქება ყოველივე ხელმწიფეს მოახსენა. რა მფრინველი მივიდა და ადამის საფლავი ილოცა, გამობრუნდა და



ხელმწიფის სრას მიახლოვდა. ხელმწიფემან ბრძანა, გარდანქეშანი და ოცდა ოთხნი აიარნი მფრინველსა მას წინ მიეგებნენ, თაყვანის სცეს, დალოცეს და ქება შეასხეს და მომავალს წინ წამოუძღვენ. მუნა მყოფნი ლაშქარნი, დიდნი ანუ მცირენი, ამის ქერეტად გამოსულიყვნენ. მფრინველი კარავს ჩამოხდა.

რა ყარამანმა დაინახა, ზე აღგა, წინ გამოეგება და მშვიდობით მოიკრთხა მფრინველმან მადლობა მოახსენა. შევიდნენ და ხელმწიფეს თავი დაუქარეს დასხდნენ. უშანგ-შას მის მფრინველის ეგრე სალაში და მართებულად დაჯდონა დიდად მოეწონა. მერმე მფრინველმან ხელმწიფეს მოახსენა: უკაცრაოდ ვარ, რომე თქვენი საკადრისი ძლენი ვერა მოვილე რაო. ხელმწიფემ პასუხად უბრძანა: აწ უკეთესი ძლენი ვითარ იქნებისო, რომელ ესეთი საბყარანი მიძლენიო მშვიდობით მოხველ და კეთილი გვიძღვენო. ხელმწიფემ ბრძანა, საკმელი მოიღეს და მფრინველმა სკამა და ლმერთს მადლობა შესწირა.

მერმე უშანგ ხელმწიფემ გასინჯა, ნახა, რომ ყოველი ქვეყანა დაეპყრა და მტერი მისი არა სადა იპოვებოდა. მას უკან იფიქრა და თქვა: რაცა ამა სოფელსა ხმალი ვიქნე და სისხლი მრავალი დავსთხოე, კმა საყოფელია. აწ ეამი არს, რათა სულისა ჩემისა გზა განვაყო. რა ამა საგონებელს იყო, დღესა ერთსა ბრძანა და: ნადიმი იდი შექმნა და მას ნადიმსა ყოველნი მეფენი, ფალავანნი, ვაზირნი და გამგენი საქმისანი მოაწვია. და უცხო ნადიმი გარდაიხდა. ამა ნადიმსა შიგან ბრძანა და სარეიხურამან ყარამანისთვის რაჰინდს, მამასა მისსა სთხოვა. რაჰინდმან ნება დართო და თვისი ასული ყარამანს მისცა. ნადიმი გათავდა, სუფრა აიღეს.

რაჰინდ, ხელმწიფე ინდოეთისა, ზე აღგა და ქორწილის თადარიგი ძიძას უბრძანა. სარეიხურამანის ძიძა მოვიდა, გამოვიდა და ყოველთა დიდებულთა ცოლნი და ქალნი საქორწილო მოაწვია. ერთობით შეიყარნეს, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე, ვითა ხელმწიფეთა წესითა, ქორწილი გარდაიხადეს. ყარამან მივიდა და უშანგ-შას ხელს აკოცა. ხელმწიფემან ერთი ესეთი სამოსელი უბოძა, რომე ერთის წლის ქვეყნის გამოსავლად ღირდა. ერთი ძვირფასის თვლით შემკობილი გვირგვინის თავსა დაადგა და ყარამან საწოლს შეიყვანეს და იგინი გამობრუნდეს. ყარამან მას ღამესა საწადსა თვისსა ეწვია.

რა დილა გათენდა, ყარამან სიხარულით გამოვიდა და ტახტს დაჯდა. ეს უხაროდა, რომ დევისაგან არა ვნებოდა რა და ქალწული იყო.

მოკლედ მოგახსენოთ: ორნი იგი აშვი-მამიკნი თვისსა საწადსა ეწივნენ. ეგრეთე თქვენცა მიხვდით. აწ ჩვენ მოვიწივნეთ მას ამბავსა. სამან ერთსა დღესა მოვიდა ყარამანის სამსახურში, თავ-შთამოკიდებით დადგა. ყარამან მისი მხილველი სიცილს მიეცა. მასვე წამსა ბრძანა, საქორწილო მზადება იწყეს. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე სამანის და ბამანარას ქორწილი იყო და ორნივე საწადსა თვისსა ეწივნენ. მას უკან დღესა ერთსა შთალი ფერი მოვიდა, უშანგ ხელმწიფესა და ყარამანს თანა თავი მიწასა დასდვა, დალოცა და ქება შეასხა. მოახსენა: დღეთგან ნება მიბოძეთ, ჩემსა ქვეყანასა წავიდეთ. მათ ნება დართეს. შთალიმ ბრძანა და გზის თადარიგი იწყეს.

ამის შემდგომ უშანგ ხელმწიფეს, ყარამანს, რაჰინდს და სხვათა ფალავანთ: და ჩინელთა გამოესალმა, ყამარლუხ წამოიყვანა, ფერის ლაშქარნი იახლა, პაერთა შინა შეფრინდა და წარვიდა. მასუკან აქვალ დევის ქვეყანა სამან დევსა მისცა. მერმე ფარმან ბარყუსაჲ გამოესალმა და იგიცა თვისსა ადგილსა წარვიდა. მოკ-

ლელ ვთქვათ: უშანგ ხელმწიფემ ბრძანა და ერთი დიდი სეფე დადგეს, ყოველი მუფენი და უფლისწული მოვიდნენ და დასხდნენ. ხელმწიფემან უშანგ იმათ მრავალი საბოძვარი და ხილა ხალათი უბოძა. მერამ მობრუნდა, ყარამანს უბრძანა: ჰე, ჩემისა ბედნიერებისა ნათელი, აწ ამას უკან ერთმანეთს უნდა გამოვესალმეთ, ამისთვის, რომე რუბი-მასქუნის ქვეყანასა ერთი მტერი აღარა მივის. სა-მოცდლორი წელიწადისა ლაშქრობასა შიგან ვარ. ამა სამოცდლორსა წელსა ესე ოდენტა ფალავანთა და დიდებულთა ჩემის სამსახურისთვის ხმალი უქნევიათ. აწ ყოველთავე ნებას მიესცემ თავ-თავისსა ქვეყანასა წარვიდნენ. მე წავალ და აღამის საფლავს ვილოცავ და ყოველთა საქმეთაგან ხელს ავიღებ და ცოდვასა შევიტანებ და ღვთისაგან შენდობას ვითხოვ. იქილამ რომ შემოვიქცევი, წავალ და მამასა ჩემსა ვნახავ და მისსა სამარხოსა შიგან განეწეუსები. დღეს აქამოდენ რაჲცა სოფელსა შინა ლხინი და სიამოუნე გარდამიხდია, კმა არის. ამას იქით სიკვდილის გონებასა შინა უნდა წიყო. დღეთგან ხელმწიფობაცა, ომიცა და ლხინიც, ჰე, ყარამან, შენთვის დამიწოცავს და შენ გვერობსო.

აწ ჩვენ მოვიდეთ მას ამბავსა. უშანგ ხელმწიფემან რა ესე სიტყვა დაასრულა, რიხეთა შიგან ესრეთ აღუწერით, მაშინ უშანგ-შა ათას სამასის წლისა იყო. ამა თვისთა დღეთა შიგან ათასჯერ ძალიან ომი გარდაეხადა. ამ სიტყვის დასრულებას უკან აღდა და ყოველთავე გამოესალმა. ყარამან თან იახლა და აღამის საფლავსა სალოცავად გაემართა. რა მივიდა, მრავალი პირუტყვი დაანოციდა და ლოცვა გარდაიხადა. ყარამანს გამოესალმა, ლაშქარი წაიყვანა და მაქას მივიდა. იქაც ერთი სალოცავი აღავი იყო, მრავალი პირუტყვი დახოცა და იგიცა მოილოცა.

რა მისგანცა მოიცალა, ყოველთა დიდებულთა, განმგეთა და ლაშქართა დასტური მისცა, სადა გუნებოთ წადითო. თვითონ ორმოცი ათასი თვისივე ქვეყნის ლაშქარი იახლა, წარვიდა და იერუსალემი ილოცა. იქაც მრავალი ზვარაკი შესწირა და გლახათა ზუღან ურიცხვი საქონელი გასცა. იქთგან თვისის ლაშქარი წამოვიდა, ერანზე გამოიარა და თვისსა სამკვიდროსა ალაგსა თურქეთს მივიდა. მას ეამად ოდეს ინდოეთსა უშანგ ხელმწიფე ფლობდა, ყორჩი-ბაში ვინმე ახლდა, რომელსა მანუჩარს უხმობდნენ. ეს თურქისტანს თვისსა ალაგსა დაეგდო. ამა მანუჩარს ლაშქარი დიდი შეეყარა და უშანგ ხელმწიფის მამასა ებრძოდა. უშანგის მამას ილაილან ეწოდა. ამასაც ლაშქარი შეეყარა და მანუჩარის პირისპირ იდგა. სამსა დღესა და ღამეს იბრძოლეს. სძლია მანუჩარმა და გაიქცა ილაილან, მამა უშანგისა. სდიეს დიდსა ალაგსა და შეიპყრეს ილაილან. ესე ამბავი უშანგ ხელმწიფესა მოხსენდა. ხელმწიფემან უშანგ თვისი ორმოცი ათასი კაცი იახლა და მანუჩარზედან წარვიდა. ამა ამბისა მსმენელმან მანუჩარ ლაშქარი იხმო და წამოვიდა. მაშინ ორნივე ჯარნი ერთმანერთს დაუპირისპირდნენ და საომრად დაემზადნენ. უშანგ ხელმწიფემან საომრად ფალავანი არაჲინ გაუშვა, თვით მოედანსა ცხენი გაიგდო და მანუჩარს მიმართა. იქითგან მანუჩარც გამოვიდა და ერთმანერთის ომსა აპირობდნენ. მაშინ მანუჩარ მოუხდა და უშანგ ხელმწიფესა თავში ხმალი დაჰკრა, მუზარადი გაუქვეთა და თავსა დიდი შეკვეთა.

რა ხელმწიფე უშანგ დაიკოდა, მას წამს განრისხებულმან მაღლის ხმით შესძახა. მოუხდა და მანუჩარს თავსა ესეთი ხმალი დაჰკრა, რომე ორად გაკვეთა. ნახევარი ცალსა მხარესა გარდავარდა და ნახევარი — მეორესა. რა ყარამანმან და

ყათრანმან ხელმწიფე დაკოდილი ნახეს, ესენი განრისხნეს, მანუჩარის ლაშქართა შეუტეეს და რისხვა ღვთისა მას ზედან დააკვეთეს. მუნით გამობრუნდნენ და თავის ბინას მოვიდნენ, ხელმწიფესა დაკოდილი შეუხვიეს და სამთელებელი სალბუნი დაადვეს.

აწ ჩვენ მას ამბავსა მოვიდეთ, ილაილან ტყეობისაგან გამოიხსნეს. მოვიდა და ძე თვისი უშანგ ნახა, ერთმანერთსა მოეხვივნენ და სიხარულით თვალთაგან ცრემლი სდიოდათ. უშანგ ხელმწიფე წყლულებისაგან გამთელდა და ლოკით იმყოფებოდა. რა დრო სიკვდილისა მისისა მოვიდა და დიდი ხელმწიფე უშანგ ამიერ სოფლით გარდაიცვალა, პირველვე ქვეყანა და ხელმწიფობა ყარამანს დაულოცა“.



დასასრულ, მაღლობას მოგახსენებთ პროფ. ს. ყუბანეიშვილს, რომელსაც ადრე უმუშავია „ყარამანიანის“ ტექსტზე და რომელმაც გაგვაცნო მის მიერ გადაწერილი „ყარამანიანის“ რამდენიმე კარი და ის დასკვნები, რომელიც მიუღია ხელნაწერთა შესწავლის შედეგად.

მაღლობას მოგახსენებთ აგრეთვე მეცნიერ თანამშრომლებს ი. კალაძეს და ნ. წაქაძეს წინამდებარე გამოცემის ხელნაწერებთან შეჯერებაში დახმარების გამო.

**ა. გვახარია, ხ. ცანიშვილი**



## ყარამანიანი

პირველ ჟამად სპარსეთს შიგან იყო ხელმწიფე დიდი, რომელსა ეწოდა თახმურად. ესე იყო მორკმული და აღსრულებული ყოველსა ზედან სპარსეთსა. ჟამსა ამისა მეფობისასა ქაჯთა და დევთაგან კაცთა ნათესავთა მრავალი ზიანი ეცემოდა. თახმურად ხელმწიფემან ესე ყოველივე შეიტყო და არა მკირესა მწუხარებასა მიეცა.

მასვე ქვეყანასა განშორებული ვინმე იყო, რომელსა მალაილ ეწოდა. მაშინვე თახმურად ხელმწიფე მალაილთან მივიდა, ქაჯთა და დევთაგან კაცთა ზიანობა გამოუცხადა. ამა მალაილ განშორებულს ენუქ წინასწარმეტყველისაგან დევთა და ქაჯთა შეპყრობის წერილი ესწავლა და ამანცა თახმურად ხელმწიფესა ასწავლა. მას ჟამად დევთა და ქაჯთა მრავალი ზიანი დამართეს. ქაჯნი და დევნი შეიყარნეს და თვისსა უფროსსა თანა მივიდეს. რომელსაც თვისად მეფედ ზადოდნენ. ხელმწიფისა და მალაილასაგან შესჩიველეს. რა მათმან უხუცესმან ესე მოისმინა, საზარელი სულთქნა დვიძლითგან აღმოახდინა და ეგრე უთხრა: ჰე, ქაჯნო და დევნო! თქვენ არა იცით, მე კაცთა ნათესაეთაგან რამდენი კირი მიწახაეს და ანუ რა გარდამხდენია! თქვენ კაცთა ცხადად ვერას ავნებთ, უნდა, რომ გრძნებთთა ეცადოთო.

ქაჯთა და დევთა მოახსენეს: აწ თქვენ რასაცა გვიბრძანებთ, ჩვენ სამსახურად მზა ვართო. მაშინ მეფემან მათმან უპასუხა: მტერი თქვენი ერთი თახმურად ხელმწიფეა და მეორე — მალაილ განშორებული. მის განშორებულისა სიახლოესა მისელა არ ძალგიცსთ, ამისათვის, რომელ იგი ყოველთვის ლოცვად განმზადებულია და მარადის ანგელოზნი მცველად მისდა არიან და არაოდეს განეშორებიან. აწ უნდა გრძნეულება თქვენი იხმაროთ და თახმურად ხელმწიფე-ზედ მიხვიდეთ, და უთუოდ იმას ავნებთ რასმე. ამისთვის, რომ იგი ხელმწიფე ყოველთვის ლხინსა და განსვენებაში იმყოფება. მას ზედა ჟამსა იგდებთ, რომელ მაგიერი მიაგოთ. ქაჯნი და დევნი

მსწრაფლ განემზადნენ ხელმწიფისა საენებლად. თანხურად ხელმწიფესა ერთი ძე ესეა, რომელსა სახელად ყარამან ეწოდა, მას უამად სამისა წლისა იყო. შეგნებით მისი მსგავსი არავინ შობილ იყო. მეომრობა და ფალავნობა მაშინვე ეტყობოდა. და ამავე ხელმწიფესა ერთი ძმა ჰყვანდა, რომელსა სახელად გორჯასპის უხმობდეს. ასეთი ფალავანი იყო, რომე ვეშაპი მისის ხელისაგან შეძრწუნებულ იყო. ამა გორჯასპის ერთი ძე ჰყვანდა, სახელად ყათრანს უწოდდნენ. ამჟამად ყათრან შვიდის წლისა იყო.

## აჰა უარამანის ჭაჭთა და დევთაგან მოტაცების ამბავი

ყარამან და ყათრან ორნივე ძმათა შვილები იყვნენ. ყმაწვილთა წესითა ერთსა ბაღსა შიგან თამაშობდნენ. ამათი ზე გარდამო განგება თურე ესე იყო; ამჟამად დევებმან დრო დაიციეს და ორთავე მათ ყმაწვილთა ზედან სამტრო უამი იგდეს. ვინაჲსგან ყათრან უფროსი იყო, მას ვერ შებედეს. ყაჰრამან დევებმან ჰაერში აღიტაცეს და ეგრე წაიყვანეს. ესე ამბავი ხელმწიფესა მოხსენდა. ყოველსა მხარესა ძე თვისი ძებნა, მაგრამ მისი ამბავი ვერა სადა სცნა. ამა მწუხარებითა ხელმწიფე თანხურად დასნეულდა და ამიერ სოფლით მიიკვალა.

რა სოფელმან თვისი მუხთლად ქცეულება თანხურად ხელმწიფეზედ მოიხმარა და შვილის მწუხარებით მიიკვალა, იგლოვდა ყოველი სამეფო მისი და ტიროდნენ ყოველნი ერნი სპარსეთისანი. რა გლოვისაგან მოიცალეს, გახელმწიფდა ძმავე თანხურადისა გორჯასპი და განაგებდა სამეფოსა სპარსეთისასა. მას უამსა ოდეს ყაჰრამან დევებმან წარიტაცეს, ყაფის მთის ძირზედა, ჰაითის მინდორში მიიყვანეს, რომელ მათი სამყოფი იგი იყო და მუნ ზრდა დაუწყეს. დევთა განზრახვა ესე იყო: ვინათგან ყარამანს ფალავნობის სახე ეტყობოდა, თვისსა რიგზედან გაეზარდათ და ამის შემწეობით კაცთა ნათესავსა ზედან შური ეძიათ. ხანმან რაოდენმან განვლო. ყარამან ცამეტისა წლისა შეიქნა და მათ შიგან დიდად სახელოვნად გამოჩნდა. რა თექვსმეტისა წლისა შეიქნა, მართლად გამოცხადებული ფალავანი იყო. ესეთი სახე ჰქონდა, მისი წინააღმდეგი მის ჰერეტას ვერ გაუძლებდა. წერილში ესრედ იტყვიან: ამის გვარში ამისი მსგავსი არავინ გამოსულიყოს. ყარამან განრისხებული, რომელსაც დევს

ხელს მოჰკრევედა, ერთსა აღაჯზედან გასტყორცნიდა. რავდენსამე ხანსა ამა დევებთან დარჩა. დღესა ერთსა ორმოცდა შვიდი ზღვის ხარი მოკლა, ტყავი გახადა, საგდებელი დაწნა, ერთი მეორესა გარდააბა. აიღებდის ორმოცდაშვიდ ხარსა და მიწასა ზედა დასცემდის. იმ ქამანდს სარტყელში გამოიბეჭდა, ორმოცი დევნი გასწევდნენ და ადგილისაგან ვერ დასძრევდიან. ამა დევთა შიგან ყოფა და შეჭირვება ყარამან მოითმინა. რაოდენსაც დევები ეცდებოდნიან, — ყარამან მათის ქცეულებისა ყოფილიყო, — არა გაეწყობოდა რა. ნახა ყარამან ამ დევთა ქცეულება, რომე ბილწი იყო. თვისი საქმე მათგან გამოიკითხა და ეგრე რქვა: სწორე მაუწყეთ, მე თქვენ არა რაში გგე-ვარ, თქვენს სამყოფში მე ვითარ ჩამოვარდიო. რომელთამე გზით იყო, იგრძნა, რომე კაცთა ნათესავი იყო. დევთა მოპარვით მიეყვანათ.

რა ყარამან ესე დაიდასტურა, დევებს უმეტესი სასჯელი მოუმატა. ამისგან შეძრწუნებულმან დევებმან ყარამან მძინარე ჰაერში აღიყვანეს და თვისსავე ქვეყნის მხარეს ერთსა მთასა ზედან დაუტევეს და იგინი კვლა უკუიქცნენ. ყარამანს ჯერეთ კაცი არა ეხილვა და მხეტთაებრ მთებსა ზედან დავილოდა.

## სპა უშანგ-შას განხელმწიფება

ამჟამად ყარამანის ბიძა გორჯასპი ხელმწიფეც გარდაიცვალა და სპარსთა ქვეყანასა სხვა ხელმწიფე დაეპატრონა. ამა უშანგ ხელმწიფემან შვიდი იყლიმი ხლმითა დაიპყრო და სპარსთა სამეფოსაცა ესევე დაეპატრონა. ამა შვიდი იყლიმისა მეფენი, გარდახვეწილნი, რაჰინდ ინდოეთის ხელმწიფესთან მივიდნენ და უშანგ-შასაგან მათ ზედა მძლავრობა შესჩივლეს. ამათ ენებათ, რათა რაჰინდი უშანგ ხელმწიფეზედან მოეყვანათ და მისითა შემწეობითა სამეფო მათი მათვე დაეპყრათ. რაჰინდმან ამათ გულისათვის ბრძანება გასცა და წასასვლელი თადარიკი ბრძანა. ორმოცჯერ ასი ათასი მეომარი ლაშქარი მოაწვივა. ოცდაათი ათასი მეომარი სპილო შეყარა და უშანგ-შაზე საომრად წამოვიდა.

აწ ამბავი ესე დაუტეოთ და ცოტა რამ უშანგ-შას ამბავი მოგახსენოთ: რა უშანგ ხელმწიფესა ესე ამბავი მოხსენდა, რომელ მისნი გაქცეულნი მეფენი ინდოთა ხელმწიფეს შეხვეწნიან და რაჰინდ ინდოეთის ხელმწიფე შემწედ

უშოვნიათ და დიდის ლაშქრითა მოყავსთო, ამა ამბისა მსმენელმან უშანგმან ესრე თქვა: საწადი ჩემი ესე იყო, რომე ინდოთა ზედან წასულ ვიყავ, აწ ამბავი ესე ჩემთვის ერთი მიზეზია. მასვე წამსა ბრძანება გასცა, ჩვიდმეტი ასი ათასი მეომარი შეიყარა და ინდოეთისაკენ გამგზავრდა. ამის წასვლისა ამბავი ჯაშუშმან ინდოეთის ხელმწიფეს მოახსენა ვითა, უშანგ-შა ჩვიდმეტის ასას ათასის მეომრით წამოვიდა. რა ერანით გაქცეულს მეფეებს ესე ამბავი ესმათ, დიდსა მწუხარებასა მიეცნენ. ამა ამბისა მსმენელმან რაჰინდ ხელნი შეიტყუბნა და სიცილი დაიწყო. ესრედ თქვა: უშანგ-შას აღსასრული მოახლოებულა და სიცოცხლისა მისისა ფიალა აღვსებულა, თვარა მისთანას მცირის ლაშქრით ჩემებრ დიდ ხელმწიფესა ზედა საომრად ვითა მოვა?! ესე ჩემთვის კეთილი იქმნა, რომელ ჩვენი გზა კრძელი შემოკლდა და იგი ჩვენსა სიახლოვესა მოვალსო. მასვე ალაგსა დაიყოვნა, საცა ამბავი ესე მოხსენდა და მუნითგან აღარა წავიდა.

### აქა უშანგ-შას ინდოთა ხელმწიფეჲად გალაშქრება და გზასა ზედან შარამანის შეპრა

აქათგან უშანგ ხელმწიფემან სამის წლის საზრდო და თადარიკი მოამზადა და ინდოეთისაკენ გაემართა. ლაშქრისა სიდიდითა ნელიად ვიდოდა. მძიმითა სიარულითა მუნ მიაწია, საცა დევთა ყარამან მოეყვანათ, რომელ მთასა მას აწც სახელად ყარამანისა მთასა უწოდებენ. აქა დაიწყებინს ამბავი ყარამანისა. მაშინ ყარამანს ვინათგან კაცი ჯერეთ არა ენახა, მთასა და ველში მარტო ვიდოდა. მას დღესა ნადირი ერთი შემოხვედა და დევნა დაუწყო. მის ნადირის დევნასა შინა მთისა მალლისა წვერზე გავიდა და ოთხსავ მხარესა მიმოიხედა. ნახა, რომე მთისა ერთისა ძირსა ცოტაოდენი ლაშქარი მოდიოდა. რა ცოტას ხანსა უქვრიტა და მართლად გასინჯა. იხილა, რომე მცირე ლაშქარი არ იყო. ერთის ზღვის ოდენი ლაშქარი მოდიოდა. თვალუწდომი მინდორი სრულად კაცითა სავსე იყო. მათის ფეხისა ნმა ერთსა ალაგსა ისმოდა. მრავალი დროშანი გაეშალათ და მას დროშებთან ისრეთი ფალავნები იღგნენ, რომელ თვითო და თვითო სიმალლით დროშებს შეესწორებოდნენ. მათთა



მარტორქათა, სპილოთა და ცხენთა ხევილსა ქვეყანა შეეძრწუნებინა.

რა ყარამან ესრედ გაწყობილობა ლაშქართა ნახა, დიდად მოეწონა და მცირესა ხანსა მათსა ეგრე მომავალობასა უჭკრიტა. ნახა, რომე თოთხმეტი ბოლუქი ერთსა ვიწროსა გზის სიახლოვეს მოვიდნენ. თთხმოცი ათასი მარტორქაზედან მსხდომნი ფალავანნი. დროშა გაშლილნი მეწინავედ მოვიდოდიან. ამა დროშათა წინა ერთი ფალავანი მოვიდოდა, ყვითელს მარტორქაზედან იჯდა, რომელი დიდსა მთასა ემსგავსებოდა, სამოცი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა. თაჯი თავსა ეხურა და სამამაცოდ შეკაზმულ იყო. ერთსა მარტორქასა მისი საქურველი იარაღი ეკიდა და ეგრეთ მათ სხვათა ფალავანთა წინა უძლოდა და მათ უკან ჯარი მოსდევდა და ამა წესით მოვიდოდიან. რა ყარამან ამა ლაშქართა ესრეთ გაწყობა ნახა, თქვა: ახლოს მივალ და ამა ლაშქართა გავსინჯაო. მთიდან ძირს ჩამოვიდა და მის ვიწროსა გზის სიახლოეს მოვიდა, შუბს დაეუჯინა და ლაშქართა ჰკრეტა დაუწყო. ამა ლაშქართაგან ორმოცმან ცხენოსანმან კაცმან ცხენები გაქუსლეს და მის ვიწროს გზის სიახლოვეს მივიდესო.

რა ამა ცხენოსანთა შეხედეს, ნახეს, გზის სიახლოეს ერთი კაცი დგას, ორმოცდახუთი მწყრთა სიმაღლე აქვს. მარტორქაზედან ზის. ერთს მთასა ემსგავსების, შუბზედან დაყუდებია და მრისხანეს თვალითა ლაშქართა უჭკრეტს. ამა ცხენოსანთაგან ერთი წინარე მივიდა და ყარამანს მიუახლოვდა. ეგრე უთხრა: ჰე, კაცო, შენ ვინ ხარ, რომე ესოდენტა ლაშქართა წინა უდგეხარ და გზა შეგიკრავს? ან სირცხვილი არა გაქვს და ან არ გეშინისო?! რა ყარამან ესე სიტყვა მოისმინა, განრისხებულმან შემოხედა. რა ამა კაცმან მისი განრისხება ნახა, ერთობ შეშინდა. რომე სიკვდილად მიიწორა. და მსწრაფლ უკუმოიქცა. ყარამან საშინელითა ხმითა შემოსძახა: ეგრე ამაყად საუბარი და ეგრე მსწრაფლ გარე შექცევა ვითარი წესია? აწ სად წახვალ ხელთა ჩემთაგან? შენ გენება ჩემი გზილამ ჩამოყენება. მომიცადე და გიჩვენებ, გზილამ გადაყენება ვითა უნდაო!

რა ესე თქვა, თვისსა მარტორქასა ქუსლი შემოჰკრა და მსწრაფლ წამოეწია მას კაცსა. სარტყელსა ხელი მიჰყო, ცხენისაგან აიყვანა და თავსა შემოივლო, მიწასა ზედან ესრეთი დასცა, რომე ძვალი ხორცთაგან არღა გაერჩეოდა. რა მათ ლაშქართა ყარამანისა ესრეთი სიმხნე ნახეს, ერთობით შემოუტიეს. რა ყარამან მათ ლაშქართაგან მის ზედა სამტეროდ შემოტევა იხილა, მარჯვენა ხელი მარცხენას

გვერდზედან შემოიხვია და მარცხენა მარჯვენასა. ერთი ასეთი შეს-  
ძახა და ღვთისა სახელი ახსენა, რომე ოთხსავე მხარეს ოთხ-ოთხს  
ალაჯზედა მისი ხმა გაიგონებოდა. ამა ხმისა მსმენელნი, ამა ლაშ-  
ქართაგან ზოგნი უსულო იქმნენ და ზოგს ცნობა დაეფანტათ და  
ზოგთა ესრე ეგონათ, ესე მთები დაგლჯდა და ერთი მეორეს ეცარ.  
ამა ხმისა შიშითა წინა ლაშქარი უკანა მოიქცა და უკანა წინა. ერთმა  
მოლაშქრეთაგანმა ყარამანს დაუძახა: ჰე, ფალავანო! ეგე ძალი,  
რომე შენ გაქვს, თუცა შენ უშანგ ხელმწიფესთან მოხვიდე, პა-  
ტივსა დიდსა იშოვი, თვარა ყათრან ფალავანი, ბარამ ჯიბილი და  
გარდანქემანი, რომელნი ამას ახლავან, თუ ნებითა შენითა არ მოხ-  
ვალ, იგინი ძალად მიგიყვანენ და თავსა თვისსა გაცნობებუნო. რა  
ყარამან ესე მოისმინა, ესრეთ უპასუხა: ჰე საწყალო, ჩემი მეომარი  
ვეშაბი უნდა იყოს, თვარემ ყათრან, ბარამ ჯიბილი და გარდანქემა-  
ნი რასა ქვიან, ანუ უშანგ ხელმწიფე ვინ არისო?!

რა ესე სიტყვა დაასრულა, ომსავე მიჰყო ხელი. რა განრისხე-  
ბულმან ოთხმოცი ათასსა მარტორქაზედან მსხდომს ფალავანთ შე-  
მოუტევა, იგინი ერთი მეორესა ეცნენ და მსწრაფლ გაიქცნენ და  
ყარამან უკან მისდევდა. იგი წინა დროშასთან მომავალი სამოცის  
მწყურთის სიმაღლის მქონებელი ფალავანი ჯიბილ გაბალის სულთნის  
შვილიშვილი იყო, სახელად ბარამ ჯიბილ ეწოდა. რა ბარამ ჯიბილ-  
მან შემოხედა, ნახა, რომ ერთს ყვითელს მარტორქაზედან მჯდომს  
ვისმე ოთხმოცი ათასი ფალავანი წინა წამოუყრია, ვითა შავარდენსა  
ტრედისა გუნდი, და ხოცით მოსდევს. მცირესა ხანსა დადგა და  
მისსა ომსა უჭვრიტა. რომელსაცა კაცსა ყარამან ცხენიდან აიყვანდა  
და მიწასა დასცემდა, იგი მიწასავე თანა გასწორდებოდა. რომელ-  
საც კაცსა თავსა ხმალსა სცემდა, კაცსა და ცხენსა შუა გაჰკვეთდა.  
რომელსაც ერთსა მეორეს შემოსტყორცნიდა, ორივე უსულოდ  
იქნებოდნენ. რა ბარამ ჯიბილმან მისი ესეთი სიმხნე ნახა, დიდად  
ჩოქწონა და თქვა: ესე კაცი კარგსა ვისმე ჰგავსო. მასვე წამსა ბარამ-  
მან თვისი იარაღი მოითხოვა და საომრად შეეკაზმა. ჰკრა მარტორქა-  
სა ქუსლი და ყარამანს მოუხდა და თავსა ლახტი დაჰკრა. ყარამანს  
ჯერეთ სხვისგან ლახტი არა სცემოდა და ამისგან ეუცხოვა. მაშინცა  
ყარამანმან თვისი ლახტი თავსა შემოივლო და ბარამს დაჰკრა. ესე-  
თი ძლიერი ლახტი ბარამს არავისგან მოხვედრია, მაგრამ უვნებლად  
გარდაურჩა. ამა ორთა ლომთა ძლიერი ომი უშანგ-შას მოხსენდა,  
ვითა: ერთი ყვითელს მარტოსრქაზედა მჯდომი ფალავანი ვიწროს

გზის სიახლოეს იდგა. ლაშქართა შემოუტია, ოთხმოცი ათასი ფალავანი მარტორქაზედან მსხდომნი წინ წამოიყარა და მათგანნი მრავალნი კაცი მოკლა და აწ ბარამ ჯიბილი და იგი თმობენო. თუმცა ხელმწიფის მოწყალება არ შეეწია, მისი ომი არც ბარამ ჯიბილსა და არც ამა ლაშქართა ძალუკთო.

რა ხელმწიფემან ესე მოისმინა, არა მცირესა მწუხარებესა მიეცა. გაკვირვებით ბრძანა: ესე ვითა ეგების ერთისა მარტოსა კაცი-საგან ესოდენთა ლაშქართა წინა დგომა და ბარამისაებრ ფალავნისა ომისა გასწორება?! ესოდენი ხანია ბარამის ზურგი არავის უნახავს, შვილსა იყლიმსა შიგან ომი ვერავინ გაუსწორა, ორმოცი წელიწადია იმისი წინააღმდეგომი არავინ გამოჩენილა, ჯამი-ჯანუმა ციხეში რაოდენი სახელოვანნი ფალავნები დახოცა, რომე იმა ჟამითგან ამისი მოპირდაპირე აღარავინ გამოჩენილა. აწ რა მოხდა, რომ ერთი კაცი ესოდენთა ლაშქართა და ბარამს წინა უდგს და ეომებოს, ანუ ჩემებრ ხელმწიფესაგან ვითა არა ეშინისო? თვისსა ფალავნებსა უბრძანა; მოიჭირვეთ, ჟამია აწ ომისაო! წარმოდგენ დიდებულნი ყოველნი და სტრატეილათნი, ხელმწიფე დალოცეს და მოახსენეს: ჰე, მაღალო ხელმწიფეო! თუ მას კაცსა ერთი ძლიერი ძალა და ფალავნობა არა ჰქონდეს, ამა საქმესა ვერა იკადრებდა, თვარა ერთი კაცი რა უნდა იყოს, რომე ესე ოდენთა ლაშქართა და წარჩინებულთა ფალავანთა წინა უდგეს და ებრძოდესო. ამა სიტყვასა ზედან ხელმწიფე განრისხდა და ეგრე ბრძანა: აწ წარხდა სახელი თქვენისა ჰაბუკობისა! თუ თქვენ არ ძალგიცთ ბრძოლა მისი; მე წავალ და ხლმითა ჩემითა გარდაუწყვეტ, ანუ მოვკლავ და ანუ შეპყრობილს მოვიყვანო! ამა სიტყვასა ზედა ვერა რომელმან ფალავანმან სიტყვისა მოხსენება იკადრეს.

რა მცირე ხანი გამოხდა, ყათრან ფალავანი წამოდგა, რომელი ტახტისა პირველი ფალავანი იყო, ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: აღიღოს ღმერთმან მეფობა შენი! აწ რასაცა ბრძანებთ, შემძლებელი ხართ, მაგრამ ესე არს ვედრება მონათა შენთა, რათა ჩვენ სამსახურსა თქვენსა ზედან დავიხოცნეთ და მეფობა თქვენი, მშვიდობით სუფევდეს. ჩვენ ესე ოდენთა ფალავანთა რა ხელი გვეყრების, თუ ერთისა კაცისა ომი არ ძალგვიცს? აწ მე გავალ და იმა კაცსა ესე ოდენთა ფალავანთა და ლაშქართა დახოცასა შეევანანებ. თუ ხელმწიფე ინებებს, მეიღნისა პირსა ჩვენსა ომისა ჰკრეტასა მოიყურებსო.

ყათრან თვისი საომარი იარაღი მოითხოვა. მსწრაფლ მობილეს და მძიმედ შეიჭურვა და სხვანიცა ფალავანნი დაემზადნეს. ხელმწიფეც საჭკრეტლად წამობრძანდა და მას ალაგს მიიწინენეს, სადა ყარამანს და ბარამ ჯიბილს ომი ჰქონდათ. რა ახლოს მივიდნენ, ნახეს, რომ ბარამ ჯიბილის დასტანი არეულიყო და მის-მის ალაგს წყობით აღარ იდგნენ. ამა ლაშქართა შიგან ერთი ახალ მოწიფული ჰაბუკო იდგა, რომელიც ბრწყინვალესა ვარსკვლავსა ემსგავსებოდა, ორმოცდახუთი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა. ლახტი ხელთა ეჭირა, ბარამ და იგი საკვირველსა ბრძოლასა შიგან არიან, რომელ მნახავთათვის საზაროდ ემა იყო. რა ყარამან სხვათა მიმავალთა ფალავანთა მისვლას ცნა. მაშინ ძლიერებასა თვისსა მოუმატა, საზარელითა ხმითა შესძახა. ბარამს სარტყელსა ხელი ჩაუგდო, ცხენისაგან აიყვანა, იგი მოედანი ეგრეთ შემოატარა და საშულსა ადგილსა, მიწასა ზედან დასცა. ლომი იგი ლომთა ყარამან ცხენისაგან გარდახდა, ბარამს საგდებელი შეხსნა და მისითავე საგდებელითა ხელნი შეუტრნა და მოედანსა შიგან ეგრე დააგდო.

რა სერაბ ფალავანმან ბარამისა ესრეთ გახდომა ნახა, ერთსა ზღვის ნადირზედ იჯდა, სერაბ მოუხდა ყარამანს, თავსა მძიმე ლახტი დაჰკრა. მაგრამ რეცა არა სცემოდა, ეგრე არა შეეტყო რა. მაშინ ყარამანმან სერაბს ხელი მიჰყო, ცხენისაგან აიყვანა, თავს შემოივლო და მიწასა ზედან ესეთი დასცა, რომე სერაბის სახე მიწასა დააჩნდა. რა სხვათა ფალავანთა სერაბ ესრეთ დაცემული ნახეს, ერთობით შემოუტეის, მაგრამ ყარამანს ომი ვერავინ გაუსწორა და სირცხვილდალეულნი გაბრუნდნენ. რა ესე ძალი ყარამანისა ნახეს, დიდსა გაკვირდნენ და გულსა შიში ფრიადი მიეცათ და ამას იტყოდნენ: ნეტარ რომლისა ქვეყნისა ვეშაბი ჩამოვარდა და ანუ ესე რა მოგვევლინაო?! რა უშანგ ხელმწიფემან ესე საკვირველი საქმე იხილა. დიდად განრისხებულმან ყარამანის ბრძოლა თვით მოინდომა და ცხენი გაიგდო. ყათრან მივიდა, რომელი ტახტისა ფალავანთა უხუცესი იყო. ხელმწიფეს ცხენის სადავეს შეუტაცა და მოახსენა: ჰე ხელმწიფეო! ამა ახლისა ჰაბუკისაგან გაფრთხილება ყველასა გემატებეს! ჩვენნი ფალავანნი, რომელნი ქვეყნად კაცსა არა იღრიდნენ, ამას ომი ვერ გაუსწორეს. აწე მეცა ფარმანსა ვითხოვ, რომე, წავიდე და შევებაო. ესე სიტყვა თქვა და ხელმწიფესა გამოეხალმა, შავსა ტაიქსა შეჯდა და მოედანსა შიგან ჩავიდა საომრად.

რა ყარამან დინახა, სალაში მისცა და მანცა სალაში მოსცა.

ყარამანს ყათრან დიდად მოეწონა. რა ყათრანმან შეხედა ყარამანს, პირსა ხელმწიფობისა სახე შეატყო და გულსა შინა თქვა: ესე ცუდსა ვისმე არა ჰგავსო. ყარამანს მას ყამამდინ ხმა არავითვის გაეცა, მაგრამ ყათრან რომ მოეწონა, საუბარი დაუწყო. ყათრან უპასუხა: ჰე, ფალავანო! ვინ ხარ, რომ ესდენსა უწესოსა საქმესა იქ? ბოლოს სინანულად შეგეკენების! ესდენსა უთვალავსა ლაშქარსა ვითა ებრძვი და ანუ უშანგ ხელმწიფესა ვითარ ესწორები?! ჰე, ფალავანო, შენ არა უწვი, ამა ლაშქართა შიგან ისეთი ფალავნები არიან, რომე ყაფის მთის დევებს აღვილად ინადირებენ. აწ შენ, მარტო ერთმან მოლაშქრემან რა უნდა ქმნა? შენსა გონებასა შიგან გასინჯე, თუ ამა ფალავანთა და ლაშქართა ომი ვითარ გასაჭირი უნდა იყოს. აწ შენ წარმოვედ და ხელმწიფესა ჩვენისაგან შეცოდებისა შენდობასა გისურვებ. მეფე ჩვენი შეცოდებისა მიმტევებელი და მოწყალე და ფალავანთა პატივის მცემელი არის. შენ ამაცობა შენი დაუტევე და ხელმწიფესა ჩვენსა დაემორჩილეო.

რა ესე სიტყვა ყარამან მოისმინა, დიდად განრისხდა და გამწყრალმან ესრეთ უპასუხა: ჰე, ფალავანო! მე არცა რა ვას სიტყვით მოვსრულ ვარ და არცა ვის რჩევით გარე შევიქცევი. საწადელი ჩემი ესე არს, რომელ მინდორი ესე კაცთა სისხლითა შევღებო და ამა ლაშქართა ხორცითა ამა მთისა ნადირთა სერი უყოო. რა ყათრანმან ესე გაიგონა, თვითცა გასინჯა, რომე ფალავანი ესე სისხლისა ღვრითა არ განძღების. თუ უნდა უშანგ-შას ლაშქართა გარდა ერთი ესოდენი ლაშქარი სხეცა იყოს, მათგან ერთი ცოცხალი ვერა გადაურჩება. მაგრამ ომისაგან კიდე ღონე არა არისო.

ესე თქვა და ლახტსა ხელი მიჰყო და ყარამანს შეუტივა. ეგრე შესძახა: ჰე, ყარიბო ვინმე აქა მოსულო, გამიფრთხილდი, რომე უქკოსა თავსა შენსა ამა ლახტითა ჰქუა მოეცემისო. ლახტი თავზედან შემოივლო და ყარამანს დაკვრასა უპირობდა. ყარამანცა შეატყო. რომე ესე ფალავანი ქარგსა ვისმე გვანდა და თავისი ლახტი უფარა. მაშინ ყათრანმან მოუქნივა ლახტი და ყარამანს თავსა ასეთი დაჰკრა. რომელ ყველამ ტანისა ძვალმან თრთოლა დაუწყო, მაგრამ მას ნაკრავსა გარდაურჩა და გულსა შიგან ჰება დიდი შეასხა. ყათრანმა მეორე ლახტი დაჰკრა და ყარამანს მცირე უწყდა ცხენიდან გარდავარდნასა. მაგრამ კარგისა მხედრობითა შერჩა და არა გარდმოვარდა. მესამეცა ესრეთი ძლიერი ლახტი დაჰკრა, რომელ თუცა მთასა იალბუზისასა მოხვედროდა, იგიცა დაიქცეოდა, მაგრამ ყარამან მეტითა

სიმხნითა და მამაცობითა არა შეიძენია და ვერცა რა ეგოდენი ავნო. რა უშანგ ხელმწიფემან ამა ლახტისაგან ყარამანის გარდაჩენა განიცადა, ქება დიდი შეასხა. მობრუნდა, თვისთა ფალავანთა და სარდალთა უბრძანა: ყათრანის ომისა გამსწორებელი სხვაცა ყოფილა ვინმეო? მაშინ ფალავანთა წესი ესრეთ იყო, რომე სამის ლახტის დაკვრას ერთმანეთს დააცლიდნენ. რა ყათრანმან სამი ლახტი სცა, აწ რიგი ყარამანს ერგო. მთისა ოდენსა ლახტსა ხელი მიჰყო და საზარელითა ხმითა შესძახა და ყათრანს დასაკრავად მიმართა. რა ესე ნახეს, ყოველმან მისმან მხილველმან ყათრანისაგან იმედი გარდაიწყვიტეს. რა გაჯავრებული მოუხდა, ყათრანი ღმერთს ევედრებოდა და თავი უფალსა მიანდო. ლახტი თვისი თავზედან შეიღვა, მაგრამ ყარამანმან ესეთი ლახტი დაჰკრა, რომე ყათრანს ეგონა. ესე ყოველივე მთები თავზედან დამექცაო, მაგრამ მას ნაკრავსა გარდაურჩა. სხვაცა ორი ლახტი სცა და მასცა უვნებლად მოურჩა. მათ ორთა ლომთა ერთმან მეორესა ეგოდენი სცეს, რომე ლახტთა გაცივებული ცეცხლი ეთერსა ესწორებოდა და იგი ორნი ფალავანნი ცეცხლსა შიგან აღარა ჩნდებოდიან. მაშინცა ყარამან მეორედ მოუხდა და ყათრანს ძლიერი ლახტი დაჰკრა და თვისსა მარტორქისადაცა სადავე აღარა ასწივა და ხელმწიფისა დროშა სადა იღვა, მუნამდის მიიწია. რა ლაშქართა ყარამანის მარტორქისა და მისიცა ფშვინევა ესმათ, შიშითა მრავალი ჯაზანი კაცი უსულო იქნა. და არცა იმიწებრი ფალავანი მათსა სიცოცხლსა შიგან მოენახათ.

რა ყათრან ცეცხლისაგან უვნებლად გამოვიდა, ყოველნი მისნი მხილველნი ღმერთსა აღიდებდნენ. ყარამან უკუმობრუნდა და ერთი ლახტი ყათრანს დასაკრავად მიუტანა. მან კარგ მხედრობითა აიკოტუნა და რა ყათრანს ჟამი ერგო, მანცა რამდენიმე ლახტი დაჰკრა, მაგრამ მათ ლახტის ბრძოლითა ომი ვერ გარდაიწყვიტეს. დილით საღამომდინ იბრძოლეს. რა საღამოსა ჟამი მოახლოვდა, ყარამან ხელი მიყო ყათრანს და სარტყელსა და ცხენთაგან აღებასა უპირობდა. მისმან მხილველმან უშანგ ხელმწიფემან ხრმალსა ხელი დაიდვა და ერთობით ლაშქართა შემოუტიეს. რა ყარამან მათი ესე ერთობ შემოტევება იხილა, ყათრან ცხენისაგან აიყვანა და შორს გასტყორცა და თვით ამა ლაშქართა შემოუტივა. პირველ მოსვლასა აბდულ ყასემს შემოხვდა. ესეთი ლახტი დაჰკრა, რომე მიწასა თანა გაასწორა. იგი მუნ დაავდო და იამან ფალავანსა მიუხდა. იგიცა მსწრაფლ მოკლა. ამა ამბავსა შიგან მრავალმან ფალავანმან,

ზოგმან წინ მოასწრო და ზოგნი უკან მოექცნენ, მაგრამ ვერა ავნეს რა. ლომი იგი ლომთა ყარამან რომელსაც თვითოსა დაჰკრავდა, მისსა ნაკრავსა გამოჩენილნი ფალავანნი ვერა გაუძლებდნენ და მაშინვე უსულო იქნებოდნენ. რა ყარამან მას ზღვისა ოდენთა ლაშქართა შეერია, მაშინ რისხვა ღვთისა მათ ზედან დასცა. წინა მყოფნი ლაშქარნი უკანა მოექცეოდნენ და უკანა მდგომნი წინათ იყვნენ.

მას ღამესა განთიადისა ჟამამდე, მაშხალათა სინათლეზედან იბრძოდნენ და მის მეორესა დღესაცა მწუხრისა ჟამამდინ მათ ლაშქართა ხოცისა და სისხლთა ღვრისაგან არა მოიკალა. მრავალთა ფალავანთა და სარდალთა თავი უპატიოდ მიწათა ზედან ეყარა, მაგრამ თვითცა სახელოვანი ჭაბუკი ყარამან რამდენსამე ალავსა ისრითა დაკოდელი იყო. ჯერეთ ასაკითა ყმაწვილი იყო და ომსა შიგან გამოუცდელი. დიდად დაიღალა, მარტორქა ჯარისა ნაპირთა გაიყვანა და შუბსა ზედან დაეყუდა. მაგრამ ვის ძალ ედვა, რომელ მის ლომის სიახლოვეს მისულიყო. რა სიღამის ლაშქარი ქვეყანასა ესტუმრა, მაშინ მარტორქა თვისი მთისაკენ გაიბრუნა და თვისსავე სამყოფსა მთასა წავიდა.

რა სიბნელითა ქვეყანა შავსა უფსკრულსა დამსგავსებოდა, მის სიბნელისა გამო წასვლა ყარამანისა მათ ლაშქართაგან ვერავინ იგრძნა. რა მასვე მთასა ზედა მივიდა, რომელი სადგურად თვისად ჰქონდა, მარტორქისაგან გარდახდა და შესუსტებული მოსვენებასა მიეცა. თვისი ჯაჭვი და იარაღი იხილა, რომელ სისხლით გაბასრული იყო. წყლისა პირსა მივიდა, ჯაჭვი და რაცა ეცვა, ტანისაგან გაიხადა, წყლითა დარეცხა და წყლულიცა თვისი მაგრად შეიხვია.

აწ უშანგისავე ამბავი მოიხსენეთ: ხელმწიფე უშანგ თვისითა ლაშქრითა ერთსა ადგილსა დადგა. დასცეს კარავნი მრავალნი ველსა ზედან და უცხოთა ფარჩებიტა, სარაფარდებიტა მოახვიეს. სახელმწიფო ძვირფასი ტახტი დადგეს. ხელმწიფე მას ზედან დაბრძანდა, ფალავანნი და სარდალნი წესისაებრ დასხდნენ, სუფრა მოიღეს და მეჯლიში გამართეს. მუტრიბნი და მგოსანნი უცხოდ რადმე უბნობდიან. შექნეს სიხარული დიადი და ღვინის სმასა ხელი მიჰყვეს.

ხელმწიფე გამხიარულდა და უზომო საქონელი გასცა. მერმე თვისთა ფალავანთა და სარდალთა უბრძანა: ჰე, ფალავანნო! ამა ინდოეთისა გზასა ზედან იმა კაცისაგან ძნელსა ფათერაკსა გარდევკიდენით, რომელ, ერთი მარტო კაცი მოვიდა, ესოდენთა ლაშქარ-

თა და ფალავანთა გზა შეუკრა, მრავალნი ფალავანნი და მოლაშქრენი დახოცნა და თვით აგრეთვე უვნებლად წავიდაო. აწ ვინცა ამა ამბავსა გაიგონებს, ახლოს ვინმე ანუ შორსა მყოფი, რასა იტყვიანო? რა უშანგ ხელმწიფემან ესე სიტყვა დაასრულა, ყათრან ზე აღგა და მოახსენა: ჰე ხელმწიფეო, შვიდთა იყლიმთა მპყრობელო, სიმაღლესა თქვენსა ესრეთ მოხსენდეს: ფალავანი იგი, რომელი ვიწროსა გზასა თავსა იდგა, ამა ლაშქართა გარდა, ერთი ესოდენი ჯარი თუმცა სხვა ყოფილიყო, მაშინცა მას ვერასა ავნებდნენ და ვერცაღა თვით გარდურჩებოდნენ. ხელმწიფეო, მის კაცისაგან გაფრთხილება ყოველთა გემართებს. აწ მე წყალობას ვითხოვ, დასტური მიბოძოთ, მე მას ფალავანს გაუდგე. თუ ღვთითა შემოვხვდე, შევიპყრა და თქვენსა წინა მოვიყვანო.

ხელმწიფემ დაუმაღლა და წასვლის ნება დართო. ყათრან წასასვლელად მოემზადა, თვისი საჭურველი მოაღებინა, მძიმედ შეიჭურვა. ორმოცნი ათასნი ფალავანნი შესხდეს და თან იახლნენ. აიარებთაგან, ესე იგი გრძნულთაგანნი, გარდანქეშან აიარი, შირჩება და ასიმ წინ გაუძღვნენ. რომელსაც გზაზე ყარამან წასულიყო, ამათაც მას გზაზე იარეს. მთისა ერთისა ძირსა მივიდნენ. ფალავანნი მუნ ჩამოსხდნენ. გარდანქეშან აიარი და ორნი მისნი ამხანაგნი წავიდნენ და მის მთებისა ოთხივე მხარე მოიარეს და დაუწყეს ყარამანს ძებნა. ამა სიარულსა შინა ნახეს ერთსა ალაგსა ყარამან ლომთა ლომი.

## აჰა ამგავი ხარამანისა და ყათრანის ერთად შეხრისა

ყარამან მთასა მას ზედან ნადირობდა. ერთსა ქურციკსა ისარი ჰკრა, მოკლა, მწვადად ააგო და წვა დაუწყყო. რა გარდანქეშანმან ყარამან დაინახა, მაშინვე თვისნი ამხანაგნი ყათრანთან და მასთან მყოფთან ფალავანთანა გამოგზავნა და ყარამანის პოვნა აცნობა. რა ყარამანის პოვნა იუწყეს, მაშინვე შესდგნენ და გარდანქეშანთან მივიდნენ. ყათრანმან უთხრა: ჩვენ თუმცა ერთსა ღონესა არასა მოვიგონებთ, მისი პირის-პირ ომი არავის ძალგვიცს. თუ ხელოვნებასა არას ვეცდებით, სხვა ღონე არ არის რა. აწ ესე მომიგონია, ვინათგან ბრძოლა არა ძალგვიცს, ერთობასა უნდა ვეცადნეთ, ნუთუ სიტყვითა რითმე მოვალროთ. მე ესრეთ ვგონებ, მისი ამაყი გული მოღბეს, ჩვენ გაგვიერთდეს და ხელმწიფესაცა თანა წამოგყვესო.



სიტყვა ესე სარდალთა მათ ყოველთა მოეწონათ და ამა სიტყვასა ზედან ნება დართეს. გაემართნენ ყარამანისაკენ და წავიდნენ.

ყარამან მალლა აიხედა, ნახნა, რომ ცოტაოდენნი კაცნი დაქვეითებულან და მისკენ მოდიან. ერთობის კალთაც ჩამოუშვიათ, რომე შერიგების ნიშანი იგი იყო კალთის ჩამოშვება (მაგრამ ყარამან იმავე ომში შეერთდა, რომ ყათრანს საუბარი დაუწყო). რა ახლოს მივიდნენ, ნახეს. ფალავანი იგი იცნა, რომელ ვიწროს გზის პირზედ შებმოდა და მისთვის ძმობისა სახელი ეთქვა, რა იგი იხილა, ქორებრ სწრაფად მფრინავსავით წინ მიეგება. რა ახლოს მივიდნენ, ერთმანეთსა გარდაეხვივნენ და დაკოცნეს. ყარამან მობრუნდა და სხვათა ფალავანთაცა მიესალამა, მიემშვიდობა. მიექცა ეგრევე ყათრანს, ხელსა ხელითა მოეკიდა და მას წყალზე მიიყვანა და ერთსა კეთილს ალაგს დასხდნენ და ყოველნივე სარდალნი იახლნენ. ყარამანმან ნადირი იგი შემწვარი მოიტანა, ფალავანთა და სარდალთა მით უმასპინძლა და დიდის თავაზით ბოდიში მოითხოვა. ვინცა დაჯდომის ღირსი იყო, ქვე იჯდა და სხვანი შორად იდგნენ. აიარნი ნაჯახსა დაყუდებულნი თავს ადგნენ.

რა მცირე ხანი გამოხდა, ყარამან ჰკითხა: ჰე, ძმანო, მითხარით და გამომიცხადეთ მე, თუ თქვენ ვინ ხართ და ანუ რომლისა ქვეყანისანი? ესე ლაშქარი, რომელ შეგიყრიათ, რომლისა ხელმწიფისაკენ დაგმართებიათო? ყათრან დიდის თავაზით მდებლად უპასუხა: ფალავანთა ფალავანო, ჩვენ ერანელნი და თურანელნი ვართ და ხელმწიფე ჩვენი უშანგ-შა არის. აწ მეფემან ჩვენმან ინება და ინდოეთისაკენ გაილაშქრა და მუნ მივალთ, რომელ გზამან მისმან აქ მოგვიყვანა და შენებრ ჰაბუკსა შემოვხვდით. ჰე, ფალავანო! პირსა ყოვლისა ქვეყნისასა შენებრ ჰაბუკი არა გვინახავს. აწ კითხვასა მოვირცხვით, მაგრამ გვებრძანოს თქვენგან, თუ რომლისა სადაფისა მარგალიტი ხარ და ანუ რომლისა წალკოტისა ვარდიო? ყარამან პასუხად მიუგო: ჰე, ფალავანო, მართალსა იტყვი, მე ამა ქვეყნისა არა ვარ, თუმცა მე ადამიანთა ნათესავი ვარ, მაგრამ ამ ყამამდის ყაფის მთის კალთაში, ჰეიათის მინდორში ვიმყოფებოდი და მუნ აღზრდილ ვარ და ამ ახლო ხანებში ამა ალაგსა მოვიწიეო.

რა ესე სიტყვა ყათრან გაიგონა, ჰკითხა: ჰე, სახელოვანო ჰაბუკო, შენ ეგე უწყია, რომლისა გვარისა ხარ, ანუ ყაფის მთაში ვითარ ჩავარდნილ ხარ? რა ყარამან ესე სიტყვა გაიგონა, საზარელი სულთქნა ღვიძლით აღმოახდინა და ეგრე უპასუხა: ფალავანო, მე სამისა

წლისა დევებს მიუყვანივარ. მე სხვა არა მახსოვს რა, მაგრამ ესე ოდენ ვიცი, დევები მამისა ჩემისა დიდად მტერნი იყვნენ. დღესა ერთსა წალკოტსა შიგან მე მომიტაცეს და წამიყვანესო. ყათრან ეგრე უთხრა: ფალავანო, უცხოს, გულისა ჩემისა საამოსა სიტყვასა მეტყვიო. მაგრამ შენ სახელი მამისა შენისა გახსოვს თუ არაო? ყარამან უპასუხა: მე ეგრეთ ვგონებ, მამასა ჩემსა თახმურად, ვეკობ, ეწოდაო. ამას გარდა სხვა არა ვიციო.

ამისი მსმენელი ყათრან ზე ადგა და ყარამანს ყელსა მოეხვია. აქამდე სიშორის ცეცხლი მოედვით და თვალთაგან ორთავე წყაროსებრ ცრემლი გარდმოდიოდათ და ორნივე დაბნედასა მიეწურნენ. რა მუნ მყოფთა ფალავანთა და აიართა ესე ესრეთ იხილეს: დიდსა სიხარულსა მიეცნეს. რა იგინი გონებასა მოეგნენ, ყელგარდაქდობილნი ერთმანეთს ესალმოდინ. ყათრან უთხრა: ჰე, სასურველო ჩემო, მე ბიძისა შენისა გორჯასპისა ძე ვარ, აწ ვმადლობ ღმერთსა, რომელ შენი ხილვა მეღირსაო. ყარამანცა უზომოდ გახარებული უფელსა ადიდებდა. რა სიხარულისაგან სასაუბროდ მოიცალეს, ყათრან მოახსენა: მე ხელმწიფემან უშანგ შენთანა წარმომგზავნა და სიყვარულით მოგიკითხა. თვალი მარადის გზასა ზედან უჭირავს და ჩვენი მილოდინი აქვს. თუ ინებებ და ხელმწიფისა წინაშე მოხვალ, კარგი იქნებისო. ყარამან წასასვლელად ნება დართო, ხელმწიფისა სამსახური თავს იდვა და ეგრე უთხრა: რა შენ მირჩევ და მისთანა ხელმწიფის სანახავად მეპატიეები, მეც წამოვალო.

მას ლამესა მუნ განისვენეს და მათ მათი ამბავი ერთმანეთსა უამბეს. რა დილა გათენდა და საწუთროსა მაშვენებელმან მზემან თავი ამოყო და ქვეყნად თვისი ბრწყინვალეობა განთინა, ყათრანმა შირფანჯა აიარი ხელმწიფისა წინაშე მახარობლად გაგზავნა. იგი გრძნეულებითა სწრაფად წარვიდა და უშანგ-მას წინაშე გამოცხადდა. ხელმწიფესა პირ-მიწა-გაერთებით სალაში მოახსენა და მერმე ესრედ თქვა: მაღალსა ხელმწიფობასა თქვენსა მოხსენდეს, რომელ იგი ფალავანი ყათრანის ბიძაშვილი თახმურადის ძე ყოფილა, სახელად ყარამან ეწოდების და ესრეთ მცირე სამისა წლისა დევებს მიუტაცნია და მათში აღზრდილა. აწ ესერა თქვენსა სამსახურსა მოვლენანო.

რა ესე ამბავი ხელმწიფემან მოისმინა, დიდად იამა და უზომოდ გამხიარულდა და მას აიარსა მრავალი უბოძა. ესრეთ ბრძანება გასცა: რომელსაც თავი ჩემი უყვარდეს, ყარამანს წინა მიეგებოსო!

ლაშქართა შიგან დიდი სიხარული შეიქნა და წინა მიგებებად მზადება დაიწყო. ხელმწიფეს თანა ოთხიათასი ვახირი და თორმეტიათასი შინაყმანი დარჩნენ. და სხვანი წინა მიგებნენ. ესე წინა მიმგებებელნი იყვნენ რიცხვით თორმეტი ასი ათასი. რა ამათ ყარამან მომავალი დაინახეს, ერთობით ცხენისაგან გარდახდნენ და სალამი ჰკადრეს. ყარამანცა ივინი მოიკითხა და აგრეთვე ცხენთა შესხდომა უბრძანა. შესხდნენ და ხელმწიფისაკენ გამომართნენ. ყარამან დიდის თვაზით მოყვანდათ. წინ გარდანქეშან აიარი და ასიმ აიარი მოუძღვებოდნენ. მარჯვნივ ყათრან და სხვანი ფალავანნი, მარცხნივ ბარამ ჯიბილი და მასთან სარდალნი მოსდევდნენ. წინა და უკანა ლაშქარნი მოვიდოდნენ. გარდანქეშანი თვისის სწრაფად მავლობითა ესრეთ გამოჩვენებით მოუძლოდა, რომელ მისნი მხილველნი სიარულსა მისსა ინატრიდნენ. მარცხნით ბარამ ჯიბილი ესრეთ მშვენიერისა ქცევითა მოვიდოდა, რომე მისსა მნახავსა თვალისა მოშორება აღარ ენებებოდა.

რა ყარამან ეგრე ამაყად ქცევა ნახა ბარამისა, თვისსა ბიძაშვილსა ყათრანს ჰკითხა: ესე ფალავანი ვინ არისო? ყათრან უპასუხა: საყვარელო ძმაო ჩემო ყარამან! ესე სულთან ჯიბილის შვილიშვილია. მაგა ფალავანსა საკვირველი განსაცდელი მოვლენოდა. რამდენსამე წელიწადს ქვად ქმნილიყო და ზეგარდმოს განგებით აგრეთვე კაცად იქმნაო. ყარამან უთხრა: ეგე ვითა ეგებოდა? აწ მიამბე მაგისი ამბავი! ყათრან მოახსენა: ჰე, სიცოცხლისა ჩემისა სარჩეო! ამბავი ამისი დიდად გრძელი არის, მაგრამ აწ მოკლედ მოგახსენო, რომელ ესე სატრფოთ თვისითა წელსა ოცდაოთხსა თილისმითა გაექვავებინათ. არცა ზამთარი და არცა ზაფხული, არცა სინათლე და არცა სიბნელე არა იცოდნენ. ამა გარდანქეშანს აიარსა მეთილისმე იგი შეეპყრა და ამის პირდაპირ დაეკლა. და რა მისი სისხლი ამა ქვად ქმნილსა სცემოდა, ესე თვისით სატრფიალოთ ჯგუფით სულადვე მოსულიყვნენ და მას თილისმასა მორჩომილიყვნენ.

რა ყარამან ესე მოისმინა, დიდად განკვირდა და ქება შეასხა მისსა ამბავსა. კვლავ კითხვა დაუწყო. ყათრან მოახსენა: ჰე, ფალავანო! ამბავი მაგისი გრძელია და თუცა ღვთით ქამი დაგვეცა, თვისსა ამბავსა თვითოეულად თვითონ მოგახსენებსო. რა ესე საუბარი გაათავეს, მას ალაგს მიახლოვდნენ, სადა უშანგ ხელმწიფე ბრძანდებოდა. ცალსა მხარესა მურასა სვეტებიანი უცხო კარავნი დადგეს და სარაფარდანი შემოავლეს და ყოველთა დიდებულთა

ოქროს ხონჩები სავსე თვალ-მარგალიტითა ხელთა დაიჭირეს და ყარამანს თავსა გადააყარეს. და ფალავანთა ყოველთა დალოცეს და ქება შეასხეს. ოთხიათას ოთხასმან ნაჯახიანმან ჩაუშმან უშანგ-შას მაგიერ ყარამანს მიულოცეს და მოიკითხეს. ამათ გარდა ორიათას ორასმან აიარმან, რომელნი სიმხნითა და თვალმაქცობითა ხვრელთაგან გველსა გამოიყვანდიან, ესენი წინა ეგებნენ, თავ-თავის სიმხნის საკადრად მძიმედ მორთულნი იყვნეს. ვის რაგვარ ეფერებოდა, ხელთა ჯაგაირი ეპყრათ. ყარამანს თავსა გარდააყარეს, დალოცეს და ქებასა შეასხმიდიან და ესეთის თავაზით და პატივით ხელმწიფეს თანა მიიყვანეს. რა ყარამან ხელმწიფისა კარავი დაინახა, მარტორქისაგან გარდახდა და ქვეითად წამოვიდა. ხელმწიფეს მოახსენეს, ფალავანი იგი აგერ სარაფარდასთან მოვიდაო. ხელმწიფემ უბრძანა ვაზირთა და თვისთა მახლობელთა წინა მიგებება და ყარამანისა თვისსა წინაშე პატივითა შემოყვანა. მაშინვე ზე ადგნენ ოთხასნი ვაზირნი, გამოეგებნენ და მდაბლად სალამი მოახსენეს.

რა ყარამან სარაფარდა შეველო, ხელმწიფის ტახტი ნახა რვასვეტიანი, უცხოთა და ძვირფასით მურასად მოქედილი, რომელი ცეცხლებრ ელვარებდა. და მას ზედან ოცდაათის წყრთის სიმაღლის მქონებელი ხელმწიფე ბრძანდებოდა. რვაჯიდიანი გვირგვინი თავსა ედგა, მურასა ზოსტერი წელთა შეება და სამეფოს სამოსლითა შემოსილ იყო. შვიდთა იყლიმთა ხელმწიფენი ტახტს ქვემოთ გულზედ ხელმოჭლობილნი იდგნენ. მარჯვნით და მარცხნით მურასად მოქედილი საფალავნო სკამები დაედგათ და ფალავანი ისხდნენ, მაგრამ სამოცი სკამი პირველის ფალავნებისა ცარიელი იყო. ყარამან იხილა, შეატყო, რომ იგინი მისის ხელით დახოცილიყვნენ, გულსა შიგან შეებრალა და მათის დახოცაათვის შეწუხდა. წინა წადგა და რა ტახტისა სიახლოვესა მივიდა, მძიმედ ძირს თავი დაუქრა და ხელმწიფობა უშანგისა დალოცა. ხელმწიფე ზე ადგა და ტახტისაგან ძირს ჩამოეგება ყარამანს. ბეჭსა ხელი გარდასდგა და შუბლზედ აკოცა და პირველს საფალავნოს ტახტთან ალაგი უჩვენა. ხელმწიფე მიბრუნდა და თვისთა დიდებულთა უბრძანა: აწ თუ ნებაცა თქვენი იქნების, ყარამანს სააბყარანობისა ტახტზედან დავსვამ, ამისთვის, რომე უცხო ფალავანია და ხელმწიფის შვილიცაო. (სააბყარანობა, რომელ არს ყოველთა ფალავანთა უადრესობა).

რა ესე სიტყვა ხელმწიფემან ბრძანა, ყველამან ფალავანმან და დიდებულმან და მცირემან ნება დართეს და ერთხმად ილაღადეს:

ღირს არს ეგე სააბყარანობის სკამზედ ჯდომისაო, და ყოველთა მიულოცეს, მიიყვანეს და დასვეს სკამსა მას ფალავანთა უადრესობისასა. მასთან ყათრან დაჯდა და აგრეთვე ბარამ ჯიბილი. შვიდნი ათასნი ხელმწიფეთა ტომნი და ექვსი ათასნი სარდალნი და ფალავანნი თვის-თვისსა ალაგსა დასხდნენ. ამას გარდა ოთხი ათასი ფალავანი, ექვსასი აქიმი, ხუთას სამოცდაექვსი ვეზირი, შვიდას სამოცდაშვიდი მუნაჯიმი, ესენი ყველანი ქვე დასხდნენ. ხელმწიფისა ტახტს უკან თორმეტი ათასი შინაყმა მსახურნი იდგნენ უცხოს მორთულის იარაღით. ცალსა მხარესა ექვსი ათასი ჯალათი იდგა, მახვილი ხელთა ეპყრათ ესრეთ, რომე მნახავთათვის საზაროდ კმა იყენენ, და მათ უკან ცხრა ათასი მძიმედ მორთულნი ფარეშნი იდგნენ. შვიდასი მცირე ფალავანნი, რომელნი სხდომის ღირსნი არ იყვნენ, იგინი რიგზე ფერხხედან იდგნენ. მოვიდნენ მერიქიფენი და სუფრა გაშალეს და შეიქნა მეჯლიში. მოდგნენ მშვენიერნი ღვინის მწდევები უცხოსა ქცევისანი, რაგვარადაც პირველ მოშაირეთ უთქვამსთ ლექსი:

მელვინე მოვა შვენებით, მინა სავსე აქეს ღვინითა,  
ანათებს ფანოსივითა ამა ნადიმსა ღვინითა,  
მოდი, მელვინე, საჩქაროდ, ახალი წელიწადია,  
სავსე ფიალა მომართვი, დღეს უცხო ღვინი მწადია.

ესრეთ იყო წესი: პირველად ჭიქას ჩუმობით დალევდნენ, მეორეზე ხელმწიფისა სადღეგრძელო შეისმობდა და მესამეზე მუტრიბთა და მგოსანთა საკრავთა დაკრვისა და ზედან უცხოდ დამღერებისა ბრძანება მიეცემოდათ. შექმნეს ღვინი საკვირველი და მგოსანნი უცხოთა ხმითა იმღერდიან ესრეთ, რომე მსმენელთა ცნობასა მისტაცებდნენ. ღვინისა სმასა ხელი მიჰყვეს, ფალავანნი მეტისა სიხარულითა და ღვინისა სმითა უცნობოსა ემსგავსებოდიან. ესრეთი ღვინი შექმნეს, სპარსთა ესრეთ აღუწერიათ: ზეცით ანგელოზთა ყურება დაუწყეს და შეექცეოდიათ, მაგრამ სჯულსაებრ მათისა სიტყვა არის. რა ღვინისა სმითა სიხარული მოემატათ, ერთი მეორესა უცხოთა სიტყვითა ეხუმრებოდიან. ხელმწიფემ ყარამანს შეხედა და მხიარულითა პირითა მოსვლის მადლობა უბრძანა. და გარდასავალი თვისი ჰკითხა. ყარამან დიდის განკრძალვით თვისის ამბის მოხსენება დაიწყო: თვისის სამის წლისა დეეთაგან მოტაცება, ყაფის მთაში მიყვანა და ჰეიათის მინდორში გაზრდა, მათგან აგრეთვე აქ მოყვანა და მისგან ხელმწიფის ომი. ესე ყოველივე თვითეულად მოახსენა. ხელმწიფემან უშანგ დიადის წყალობის სიტყვა უბრძანა.

რა ხელმწიფისაგან ესრეთ წყალობის სიტყვა ესმა, ყარამან თვისი ნაქმარი საქმენი მოიგონნა და თავჩამოგდებით სიტყვა ველარ მოახსენა. ხელმწიფემ ყარამანს შეწუხება შეატყო და ეგრე უბრძანა: ჰეი, ფალავანო! მაგაზე ნუ სწუხარ, შენთან ნაქმართა საქმეთა და გარდასავალთ მაქებარი ვარ. მრავალი წყალობა უბოძა: მდიდარნი ხაზინანი, ჯარნი სამეფო. ნალარა, კარავი, სრა-ფარდაგი, სახელმწიფო დროშა და სხვა გაწყობილება. ყარამანმან ესე ყოველივე წყალობით მიითვალა და სხვათა ფალავანთა ზედა მანცა მრავალი გასცა მის დღის ხელმწიფის ნაბოძეარი. კვლავე ასეთივე მეჯლიში შეიქნა, რომელ მას დღეს მუნ მყოფთა და მათთა მზილველთა გულთა მწუხარებისა ფარდაგი აეხდებოდათ. მერმე ხელმწიფემან სარდალთა და ჯარის უფროსთა ესე უბრძანა: ინდოეთზე წასასვლელი ჯარის თადარიკი ნახეთ, რომელ აქედამ უნდა ავიყარნეთ და გავმგზავრდეთო.

რა ყარამან ესე მოისმინა, ზე ადგა და ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო შეიღთა იყლიმთა, ვმადლობ მოწყალებასა ღვთისასა, რომელ აწ თქვენსა სამსახურსა შინა ვარ. თუ ბრძანება თქვენი იქნას, ყათის მთის დევთა და თეთრის ზღვის თევზთა ადვილად ვინადირებ, თვარა ინდოთა ხელმწიფისა ბრძოლა ჩემთვის რა არისო! ესე ხელმწიფესა მწვე იამა და დიდად დაუმაღლა. და მუნვე დაჯდომა უბრძანა. რაცა მას ლაშქარსა შიგან ხელმწიფეთა ძენი და სარდალთა შვილნი იყვნენ, სრულ შემოკრიბეს. ორმოციანი ათასნი იყვნენ და ესე ყოველივე ყარამანს მიაბარეს. მცირესა ხანსა კიდევ ლხინად ისხდნენ, მერმე ნადიმი გაიყარა და ყველანი თვის-თვისსა სადგომსა წავიდნენ. უშმაგ-შას რომე ყარამანისთვის სახელმწიფო კარავი ებოძა, ყარამანისთვის დაედგათ და მუნ მიიყვანეს. სარდალნი და სარსარდალნი ყარამანს დაეთხოვნენ და თვისსა კარავსა წავიდნენ. გარდანქემან აიარიც დაეთხოვა თვისსა კარავსა წასასვლელად. ყარამან უბრძანა: ჰე, აიართა სარდალო! ამალამ მარტოსა ნუ დამაგდებ, ჩემთანა იყავ, მცირესა ხანსა ერთმანეთი შევაქციოთო. მანცა მადლობა მოახსენა და ორნივე კარავსა შევიდნენ და დასხდნენ. ყარამან ხელმწიფისაგან ბოძებულთ მსახურთ უბრძანა ღვინისა მოღება. მათ ღვინო მოიღეს და დასხდნენ და ნადიმი შექნეს. მღერასა და თამაშობასა ხელი მიჰყვეს. ყარამან უთხრა: ჰე, აიართა სარდალო, იგი ორნი ქალ-ყმანი, რომელ გაქვავებულ იყვნენ, მათი ამბავი მიაშბეთო.

## აქა გარდამწყვეტისაგან ბარამის გაქმნების ამბის თქმა შარამანთან

დაიწყო გარდამწყვეტისაგან ამბისა თქმა: ჯიბილგაბილის შაის ერთი ასული ესეა, რომლისა შვენებასა მხილველნი განეკვირვებინა. მისისა სიტუარფისა მსმენელნი შორითგან მისნი ტრფიალნი შეიქნებოდნენ. მთვარესა უმჯობესობდა და მზესა მისად სადარად არა იტყოდინან. მას ქალსა სახელად ყამარლუხ ეწოდა. მრავალნი მეფეთა შვილნი და სახელოვანნი ჭაბუკნი მისსა მამასა სთხოვდინან, მაგრამ მან ქალმან შერთვად არა ინების. პასუხსა ასე მისცემდის: ვინცა მე ფალავანად მაჯობებს, მას შევირთავო! რომელნიც მეფეთა შვილნი ანუ ფალავანნი ინებებდნენ და მას ქალს შეებმოდნენ, სიკვდილსა მიეცემოდინან, რომ ომი ვერავინ გაუსწორა.

ამჟამად გულისტან-ერამში ხელმწიფე ვინმე იყო, რომელსა სახელად შაჰფალი ფერი ეწოდა. ამ ქალისა სახელი მას სმენოდა, მისი ტრფიალი შექმნილიყო. მრავალი ფერიანი გამოგზავნა (ქართულად მოინა). მათ ფერიათა ჟამი დაეცათ და მოეპარათ. დღესა ერთსა ყამარლუხ შაჰფალი ფერი ნახა, ისიც მისი ტრფიალი შეიქნა, მაგრამ რადგან მოპარვით წაეყვანათ, ამას მწე თაკილობდა. ეგრე უთხრა: ჩემი აქა ძალით მოყვანისთვის თქვენი საწადელი რა არის? თუ ჩემგან ნების დართვა გინდა, მე ესრეთ აღთქმა აღმითქვამს: ვინც მე მეომრად მაჯობებს და მომერევა, მას შევირთავ და დავმორჩილდები. თუ ძალგიც, მოვედ და შევიბნათ, თუ ვერ მომერევი, ჩემგან ნებისა დართვა არ ეგებისო. შაჰფალი ფერისას იტყვიან, დიად სახელოვანი ფალავანი არისო. შეეკაზმა და მოედანს შესაბმელად გამოვიდა. აქათგან ყამარლუხ შეეკაზმა და ისიცა განვიდა. დიდხანს იბრძოლეს, ყოველივე საჭურველი ამოქმედეს, მაგრამ ბოლოს შაჰფალი ფერიმ სძლია და ყამარლუხ ქვე დასცა. რა ყამარლუხმან ესე ძალი და ჭაბუკობა შაჰფალი ფერისა ნახა, ნება დართო და ცოლად შეერთო.

რამდენმანმე ხანმან გამოვლო. ყამარლუხ შაჰფალი ფერისაგან დაორსულდა. და მას ჟამად მთასა ყაფისასა, სახელად ქუი ყამარლუდებულსა შინა ერთი დევი მკვიდრობდა, რომელსა სახელად აქვალ ერქვა. ას. ოთხმოცი მწყურთა სიმაღლე ჰქონდა. თურმე იგი ბილწი დევი შაჰფალი ფერისა ძველითგანვე მტერი იყო. ესე ამბავი სმენოდა, რომე შაჰფალი ფერის აღამიანთა ასული, უცხო რამ მშვენიერი ქალი მოუყვანია და ცოლად შეურთავსო. დღესა ერთსა იდუ-

შალ მივიდა და მპარობისა ჟამი დაიცა, ყამარლუხ მოიტაცა და ფარულად წარიყვანა. რა თვისსა სამყოფსა მიიყვანა, ყამარლუხმან ნება მისი არა ქმნა და არცა დაემორჩილა. აქვალის ესე სწყყენოდა, ყამარლუხ საპყრობილესა შეეყენებინა და რა დრო და ჟამი ყრმისა შობისა მოსულიყო, ყამარლუხ მას საპყრობილესა შიგან დაწოლილიყო და ესე ბარამ ჯიბილი ყოლოდა.

რა აქვალი დევს ბარამ ჯიბილის დაბადება სმენოდა, გამწყრალიყო და ყრმისა ზღვაში გარდადება ებრძანებინა. მასვე წამსა დევთა ესე ბარამ წაეყვანათ და რიგრევეანის ზღვაში ჩაეგდოთ. მაგრამ ოდეს ღმერთი კაცსა ფარევედეს, სხვისაგან არა ევენების რა. მას ჟამად უმულ ჰაიათ სულთანს, რომელს აზარ იქ დასტ მანდუვარ ერქვა, იმა ალაგსა გაეცლო და ყმაწვილი ზღვისა პირსა ენახა. დევთათვის მისი წამოყვანა ებრძანა. მათ მსწრაფლ ზღვიდან გამოეყვანათ და თვისსა სამყოფსა წაეყვანათ. მზრდელად ძიძანი მიეჩინათ. ზრდა დაეწყო და სახელად ბარამ დაერქმევიანა.

რა მოიზარდა, ძალიან ხელგამომავალი ფალავანი შეიქნა და უცხო თვალ-ტანადი იყო. იმ უმულ ჰაიათის დევები ერთობ ამოწყვიტა და ქვეყანა იგი გაეონრა. ესე ამბავი შაჰფალი ფერის მოხსენდა. რამდენიმე ფერიანი წარმოგზავნნა, რომე ბარამ ჯიბილი მოეტაცათ. ფერიანი მოვიდნენ დღესა ერთსა, ბარამ მოიტაცეს და წარიყვანეს. ამისი წაყვანა სამანდუნ დევმან შეიტყო, დევნი გამოუყენნა. მას ჟამად ოდეს ფერიათ ბარამ ჩინეთის ზღვას გაიყვანეს, დევნი იქ მოეწივნენ. შეექნათ ომი დევთა და ფერიათა. რა დიდი ხანი იბრძოლეს, იძლივნენ ფერიანი და გაიქცენენ. დევთა ეწადათ, რათა ბარამ შეეპყრათ და სამანდუნ დევთან მიეყვანათ. ბარამ არ დანებდათ. დევნი წავიდნენ და ბარამ მუნვე ნაომარსა ადგილსა დარჩა. ხანმან რაოდენმან გამოვლო. ბარამმან ხლმითა ჩინეთისა ადგილი მრავალი დაიჭირა, ხაზინანი იხელთა და ჯარი დიადი შეყარა. ჩინელთა ხელმწიფესთანა ქალისა სათხოვნელად კაცი გაგზავნა და ხელმწიფემან ქალისა მიცემა არა ინება. ბარამ ლაშქრითა მიუხდა და ძალითა თვისითა ქალი წაგვარა. საქმე ესე ხელმწიფესა ჩინეთისასა დიდად ეთაკილა, ცეცხლის მთაზედ ერთი ჯადოს მცოდნე იყო, რომელსა სახელად აზრალი ჯადოს უხმობდნენ. ჯე, ფალავანო, მეცა მრავალჯერ ჩავარდი მის ჯადოსა ხელთა და მრავალი განსაცდელი გამიწევია!

იგი მეთილისმე ჩინეთისა ხელმწიფისა მეგობარი იყო. მასვე



წამსა ხელმწიფემან ჩინეთისამან თამუჯ მეფე გაგზავნა წინაშე აზრალისა და მოხმარებასა ეაჯა. რა მას ბილწსა თანა ხელმწიფისა ელჩი მივიდა, მასვე წამსა თილისმის ლაშქარი შეიყარა და ჩინეთის ზღვის კუნძულზე მივიდა. იქითგან ბარამს თილისმა უყო და შეიპყრა. რა ჩინეთისა ხელმწიფესა ესე ამბავი მიესმა, წინა გამოეგება. ურიცხვი მისართმევი მიართვა და ბარამის მოკვლას ევედრებოდა. რა ბარამის სასიკვდილოდ წამოყენება ბრძანეს, ჩინეთის ხელმწიფის ქალი, რომელი ბარამს ცოლად ჰყვანდა, მივიდა და ბარამს ზედა გარდაეფარა. რა აზრალ ესე იხილა, ქალი იგი დაატუსაღა და ხელმწიფესა ესრე მოახსენა: ჰე, მაღალო ხელმწიფეო! ვინათგან ქალმან ამან ესრეთ მოხმარება ინება, ამათ ესრეთს საქმეს უზამ, რომე სიკვდილი ამათთვის სანატრელი იყოსო! ბრძანა ბარამისა და მის ქალისა გატიტვლება. ორთავე ტანსა საცმელი გახადეს და ერთს მინდორში გაიყვანეს. წყეულმან მეთილისმემან თილისმით შეულოცა და ორნივე ქვად იქცნენ და მას ბიაბანსა ეყარნენ. ჰე, ფალავანო! ამა ბარამისა გაქვავება თავით ბოლომდინ მოგახსენე. აწ ამათი მორჩენა და მის მეთილისმისა სიკვდილი მოგახსენოთ.

## აჰა ბარდანჰუანისაგან აზრალ მეთილისმის ამბის მბოზა

დაიწყო გარდანჰუანმან ამბისა მბოზა: დღესა ერთსა ხელმწიფემან ჩვენმან უშანგ ბრძანება გასცა, ლაშქარნი მრავალნი მოვიდნენ და ჩინეთისა დასაპყრობლად გაემგზავრა. მას ალაგსა მივიწივენით, სადაცა ორნი იგი გაქვავებულ იყვნენ და ეყარნენ. ზეგარდმოსა განგებითა მათ ქვაქმნილთა ესრეთი წყალობა მოვლენოდა, რაც პირუტყვი ავად გახდებოდა, იმას შეახვეწებდნენ და მაშინვე მორჩებოდა. დღესა ერთსა ამა ქვაქმნილთა ამბავი ხელმწიფესა უშანგს მოხსენდა და მათად სანახავად წაბრძანდა. რა ნახა ორნი ქვანი ერთმანეთის პირისპირ ეყარნენ, ხელმწიფემან მათი ამბავი იკითხა და ყოველივე მოხსენდა, რაგვარადაც ყოფილიყო. ხელმწიფე დიდად შეწუხდა და ეგრე უბრძანა დიდებულთა: აწ ამათ სული ედგმისთ თუ არაო? გაგზავნეს და მის ქვეყანისა კაცნი მოასხნეს და მათი ამბავი ჰკითხეს. მათ მოახსენეს: დიდებულო ხელმწიფეო, მაგათ ჯული ისევ უდგასთო. მე ვკითხე: რა ხანია, რომე ესენი ესრეთ არი-

ან, ან რაგვარ შეიტყობა ამათი სიცოცხლე-მეთქი? მათ კაცთა თქვეს: ოცდაოთხი წელიწადია, რომ ამა შექირავებაში არიან და ამათი სულისდგმა ამით ვიცით: რა დილა ინათლებს და მზისა სხივი ქვეყნად განეფინება, ამა ორის ქვიდამ მწუხარებასავით ხმა რამე გამოვა და რა მზე დავალს, ესეთი საგლოველი ხმა გამოვა, რომელ მსმენელთა გული დიდად შეწუხდება. და ვინცა მათსა ეგრეთსა მწუხარებისა ხმასა გაიგონებს, კაცი თუ პირუტყვი, თვალთაგან ცრემლსა იღენენო.

რა ხელმწიფესა ესე მოხსენდა, მას ღამესა მასვე ალაგსა დი-  
ყოვნა. რა დილა გათენდა და მზემან აღმოსავალით ოქროსა ბურჯი  
ამართა და თვისითა ბრწყინვალეებითა ქვეყანა დააშვენა, მათ ქვათა-  
გან ესრეთი მწუხარებისა ხმა გამოხდა, რომე მათისა სიბრალეულითა  
მუნ მყოფთა დიდთა და მცირეთა თვალთაგან წყაროსაებრ ცრემლი  
გარდმოედინათ. რა ხელმწიფემან ესე შესაბრალებელი საქმე იხილა,  
თვისთა დიდებულთა და სარდალთა უბრძანა: ნეტარ თუ ამათ ერთი  
ღონე ექნებათ რამე და ანუ ეშველებათო? დიდებულთა მოახსენეს:  
ჰე, შარიელო, ამა საქმისა წამალი ამის მეტი არა არის რა, თუმცა  
მას მეთილისმესა შეებას ვინმე და სძლიოს, ეგების მით ეშველოს.  
მაგრამ არ შეიტყობა, ესენი ცოცხალნი არიან თუ არა. თუმცა ხელმ-  
წიფობასა თქვენსა არ მოხსენებია, მაგრამ მრავალი უშველებელი  
საქმეებია ქვეყანასა ამას შინა და ესეცა ერთი იმათგანი არის. ხელ-  
მწიფემან უშანგ ბრძანა: თუმცა ამათ ეშველების რამე, მე თავსა  
ჩემსა და ხაზინას არ დავზოგავ და ვეცდები, რომ ამათ ვარგო რამეო.

რა ხელმწიფემან ესრეთ მონდომებით ამათი დახსნა ბრძანა, იმა  
ქვეყნისა კაცთა მოახსენეს: ჰე, შეიღთა იყლიმთა მპყრობელო, თეთ-  
რის ზღვის იქით ერთი ცეცხლის მთა არის და მას ალაგს ერთი  
საკვირველი მეთილისმე არის, სახელად აზრად ქვიან, წყეულსა მას  
გაუქვავებინა. რაგვარადაც ზემოთ ჩემგან მოგხსენდათ, აგრეთვე მათ  
კაცთა ხელმწიფეს მოახსენეს. რა უშანგ-შამ მათი საქმე შეიტყო,  
უმეტესად შეეწყალა, ბრძანა: იქნება ვინმე, რომელ იმა მეთილისმი-  
სა ალაგი იცოდეს? მათ მოახსენეს: მას ზედან ჟამი არავის დაუცია,  
რომელ მისი სამყოფი ენახა ვისმეო, ამისთვის, რომე ზღვას იქით  
შვიდი მთა არის ცეცხლისა. მას გრძნეულებითა არა ევენების რა და  
სხვას მისვლა ვის ძალუცს და თვისხი უმცროსნი მეთილისმენი  
ახლავან. მრავალი კაცთა ტომი გაუქვავებია და რამდენი მხეცად  
გარდაუქცევია და ზოგნი მფრინველად გარდაუქმნია. მრავალნი

მისგან ამა შეჭირვებაში არიანო. რა ხელმწიფემან ესე მოისმინა, სარდალთა უბრძანა: ესე მეთილისმე ჩვენთვის გამოცხადებული შეიქნა. დაემზადენით, რომე იმაზე წავიდეთო.

არჩიბადა ვეზირი მას უამად ვეზირთა უპირველესი იყო, წინ წადგა, ხელმწიფე დალოცა და ევრე მოახსენა: ჰე, შვიდთა იყლიმთა მპყრობელო, ამა საქმესა არა ეშველება რა, ამისთვის, რომე იმა მეთილისმისა ალაგი შვიდს ზღვას იქით არის და თვითონ ცეცხლის მთაში იმყოფების. ზღვის განვლა ხაზინათა დახარჯვითა, ხომალდითა შეიძლება, ცეცხლის მთაში შესვლა კაცთაგან შეუძლებელია. ხელმწიფეო, ზეგარდამოსა განგების მეტს, ამათი შველა არ შეუძლიაო. ხელმწიფემ უბრძანა: ვაზირო, ერთსა მეთილისმესა ქვეყანა ესე მოუოხრებია და მე სრულიად ქვეყნისა მპყრობელი ვარ, თუ მისსა საქმესა ერთი გზა არა მიეცა, ჩემისა გულისაგან ამის შეწუხება აროდეს დაილევა და მისი სევდა სიკვდილად მიმწურავსო. რა ხელმწიფემან ესე სიტყვა ბრძანა, მათისა სიბრალულთა თვალთაგან ცრემლი გარდმოედინა.

რა ხელმწიფე მათსა სიბრალულსა ესრეთ შეეწუხებინა, სარდალნი წინა წარმოდგნენ, ხელმწიფე დალოცეს და ევრე მოახსენეს: ვინათგან ხელმწიფობა თქვენი მათსა საქმესა ესრეთ შეიჭირვებს და წასვლა გნებავს, ჩვენ ყოველთა თავი თქვენსა სამსახურსა ზედან საკვდავად გვინდა! ბრძანებთ და წასვლასა ნულარ. მოეშვებით, ღვთისა შემწეობითა ამათ უშველით რასმეო. რა ხელმწიფემან ესე მოისმინა, წასასვლელად ბუკთა დაყვირება ბრძანა. ვეზირი იგივე წარმოდგა და მოახსენა: ერთსა მეთილისმეზე ესოდენტა ლაშქართა წასვლა არა სამჯობინარი არისო. ესე უმჯობეა, რომე ერთი მრავლისა ქვეყანისა მნახავი და გამოცდილების მქონებელი ნუთუ იგი შეეტყუოს და ფარულად ავნოს რამე, თვარა ლაშქრითა ვერას გავაწყობთ. მრავალი ხაზინანი დაიხარჯვის და მრავალნი სარდალნი და ფალავანნი დაიხოცებიან და მას ვერას ვავნებთო.

რა ხელმწიფემან ესე მოისმინა, დიდად მოეწონა და მე შემომხედევდა, მიბრძანა: სარდალო აიართაო, ამა ჩვენსა რჩევასა შენ რასა იტყვი, რომელ ჩვენი პირველი ვაზირი ამას არჩევსო? რა ესე მიბრძანა, მე თავყანის ვეც და მოვახსენე: რათგან ქვეყანა ესე ერთისა თილისმისაგან ესრეთ მოოხრებულა, აწვე წავალ და თქვენისა ბრძანებითა ვეცდები, რომ ერთი რამ მოუგვარო. რა ესე სიტყვა მოვახსენე, მიველ და ხელმწიფისა წინა მიწასა ვაკოცე და მოვახსენე:

ჰე, მაღალო შარიელო, მე მონა თქვენი რამდენჯერ იმა მეთი-  
ლისმისაგან განსაცდელს მიეცემივარ! ერთხელ შემილოცა და  
პირუტყუად გარდამაქცია და ოთხს წელიწადსა ბიბანსა შიგან ეგრეთ-  
დავდიოდი და სხვამან მეთილისმემან რაჯიბმან მომარჩინა მას-  
შეჭირებასა.

რა აზრად მეთილისმემან მორჩენილი მნახა, დიდად იწყინა. მე  
განვებ იმას სამსახური დაუწყე, მეწადა, რომ ეგების დრო დამეცა  
და მაგიერი მიმეგო, მაგრამ უამი ვერ დავეცე. ერთხელ რაცაღა მიწყი-  
ნა, კვალად შემილოცა და ორბად გარდავიქეცე. შვიდი წელიწადი  
ორბი ვაყავ და ჰაერთა შინა ვფრინევიდი. ერთი სხვაცა მეთილისმე  
იყო ხოტანგ ქალაქისა პატრონი, სახელად ათარ ეწოდა და ორბი-  
საგან იმან მომარჩინა და ჩემადვე სახედ ვიქმენ. რა ესე დავასრულე,  
შერმე მოვახსენე: დიდებულო ხელმწიფეც, თქვენისა დოვლათითა  
წავალ და ამა ორთა საყვარელთათვის თავსა ჩემსა დავსდებ-მეთქი.  
ღვთისა სახელი ვახსენე, ხელმწიფე დავლოცე და წასასვლელად  
გავემართე. რა ესე სიმხნე ხელმწიფემან ჩემგან იხილა, დამლოცა,  
ბეჭსა ხელი დამკრა და ეგრე მიბრძანა: გარდანქეშანო, წარვედ,  
ღვთისათვის მიმინდვიხარო. ვირემ შენსა ამბავსა არა ვსცნობ, მე  
აქითგან არ ავიყრები და ღვთით ბოლო კეთილიაო!

### აქა გარდანქეშანისაგან აზრად მეთილისმეზე წასლვა

რა ხელმწიფესა გამოვესალმე, სამის წლის ვადა მივართვი. შირ-  
ფანჯა აიარი თან წავიტანე, ამისთვის, რომე ჩემი სიცოცხლე და  
სიკვდილი ხელმწიფისათვის მოეხსენებინა და სახელსა ზედან ღვთი-  
სასა წაველ, ერთი წელიწადი ვიარე და თამლანანის ქალაქსა მიველ.  
ქვეყანა იგი ფერიათა იყო და მას შიგან მყოფთა ჩვეულება ესე იყო:  
ექვს თვე იძინებდიან, ექვსსა თვესა ეღვიძათ. რა ქალაქსა შიგან შე-  
ველ, პირველად ათარ მეთილისმესთანა მიველ, ამისთვის რომ იგიცა  
მიცნობდა და მეცა მისგან სიკეთე მენახა. თაყვანი ვეც და მის წინა  
მიწასა პირი დავდევი. რა შემომხედა, ეგრე მიბრძანა: შენ საბრალოც,  
აქ ჩემთან რაღად მოხველო? მე ქება დიდი შევასხი და მოვახსენე:  
ჰე, ქვეყნისა მეთილისმეთა ხელმწიფეო! სიკეთე, რომელ თქვენგან  
დამმართებია, ეგოდენი სხვისა არავისი მინახავს-მეთქი. მე გონება-  
სა შინა გავსინჯე ეგოდენი სიკეთე, რომელ შენ ჩემზედ ქმენ, მე  
სამსახურსა შენსა რად უნდა მოვმორკებოდი?! აწ გხლებივარ. რომ

სიცოცხლესა ჩემსა შენ გმსახურო-მეთქი. მანცა დამიმადლა და წელიწადი ერთი მას ვემსახურე.

დღესა ერთსა ათარ მეთილისმემან მნახა, რომელ მისსა სამსახურზედან ბეჯითად ვიციქვრდი, ეგრე მითხრა: ჩემსა სამსახურზედან რომ ესრეთ თავდადებული ხარ, საწადელი შენი რა არის, მითხარა?! თუ შემძლია, ჩემს თავს დაედებ და საწადელისა შენისა აღსრულებასა ვეცდებიო. მიველ, თაყვანი ვეც და მოვახსენე: ჰე, მეთილისმეთა ყოველთა უღარესო, წინათ რომელ შენ წყალობა მიყავ და ორბობისაგან მომარჩინე, იგი ამბავი წვრილად უშანგ-შას მოვახსენე. დიდად დაგიმადლა და ხელოვნებისა შენისა საკადრი მოკითხვა გიძღვნა და მეცა სამსახურსა შენსა წინაშე გამომგზავნა. ამას მეაჯა, რომე ხელითა შენითა აზრალი მეთილისმეს აუტეხო რამეო. ესე გვარი სიტყვანი მოვახსენენ და ქება დიდი შევასხი.

რა ესე სიტყვა დავასრულე, მცირესა ხანსა დაფიქრდა და პასუხი ესე მომიგო: აიარო, დიად დიდი საქმე მოგინდომებიათო. დღეს ქვეყანასა ზედა აზრალისთანა მეთილისმე არა პოვების. რასაცა ალაგსა მეთილისმენი არიან, ყველანივე მისნი შაგირდნი იყვნენო. მე მოვახსენე: უშანგ-შასთვის თქვენი ქება მომიხსენებია და მანცა აქა. თქვენსა სამსახურში წამოდგავნა-მეთქი. მან მითხრა: დიად ვიცო უშანგ-შა ვინც არის! გამიგონია, რომ ხმელეთზე გამოჩენილია და მრავალი ქვეყანა დაუპყრია და ჩემის ძმის ბურამ მეთილისმისათვის მრავალი სიკეთე უქმნია. თამყაჯის მთაზე ძმა ჩემი აქლემთა თაოსნისაგან დაუხსნია და მოურჩენიაო. მე მარადის ამას ვგონებდი, რომ სიკეთისა მაგიერი გარდამეხადა, მაგრამ ესე ძნელი საქმე მოუხდომებია. აწ რათგან საქმე ესრედ არს, ღონე ამისგან კიდე არა არის, სიკეთისაებრ მაგიერი სიკეთისა მიგება უნდაო. შენ მოემზადე და მზად იყავ! მე მოვახსენე: წინაშე თქვენსა მზა ვარ-მეთქი!

სამსა დღესა გზისა თადარიკი ნახა და რაცა იარალი უნდოდა, ყველაკა მოიმზადა. მეოთხესა დღესა მე მიმიხმო. რა მიველ, შემოილოცა და შემომიბერა. მასვე წამსა ორნივე მფრინველად ვიქეციოთ, ესრეთ, რომელ ორთავ ერთმანეთისაგან გვეშინოდა. მეორედ თვით შეილოცა და ორბად გარდაიქცა. ჰაერსა შინა აღვეფრინდით და შვიდი ზღვა განვლეთ და მას ცეცხლისა მთასა მივახლოვდით. რაგვარადაც უწინ მენახა, აგრევე მთასა და ველსა ცეცხლი ედებოდა, რომლისა ალი ჰაერსა შესწორებოდა და კვამლსა მისსა ქვეყანა მოეცვა. მის ცეცხლისაგან ესეთი ხმა გამოვიდოდა, რომე კაცსა ცნობასა მის-

ტაცებდის. რა მას ადგილსა მივიწივენით, მან მეთილისმემან მანიშ-  
ნა და ქვე ჩამოვხედით. შემილოცა და ეგრევე ჩვენ სახედ ვიქმენით.

ათარ მეთილისმემან მითხრა: აწ რომელ ამა მინდორსა ვარ, ამას  
სახელად ქუი ათუშ ჰქვია. აზრალი მეთილისმე ამა მინდორში იმყო-  
ფება, სიფრთხილით ვიყვნეთ, რომ მან ჩვენ არა გენახოსო. ერთი  
წრე შემომავლო ოთხსავ მხარესა და მე მას წრეში დამაყენა, აგრე  
მითხრა: გარდანქეშანო, ჩვენ რა ამ ადგილსა მოვედით, თავისაგან  
ჩვენისა უიმედო უნდა ვიყვნეთო, მისთვის, რომ აზრალი მეთილის-  
მის სასახლე ამ მინდორს ქვეშ არისო. ჩემგან იქ მისვლა არ ეგების.  
თუ შენ წახვალ, მე ერთსა შელოცვასა გასწავლი, რომ აზრალმა ის  
შელოცვა არ იცოდესო. იგი შელოცვა მასწავლა, ერთი მშვილდი და  
ოთხი ისარი ხელთა მომცა, ეგრე მითხრა: იპყარ ეგე მშვილდ-ისარი  
და რა რომ ცეცხლსა მას მიუახლოვდე, ლოცვა იგი თქვი და ერთი  
ისარი შესტყორცე. რა ისარი ესროლო, ნუ შეშინდები, შენც მას  
ისარს მიყევ და ცეცხლში შედიო. რა მცირესა ხანსა განვლი, ერთსა  
აივანს ნახავ, მაგრამ მრავალს საკვირველს მისსა მიდამოსა იხილავ.

მეორე ისარი იქ შესტყორცნე. სხვა და სხვა საკვირველი ფერად-  
ფერადი გამოჩნდების, მაგრამ შენ არ შეშინდე, იგინი შენ ვერას  
გავნებენ. რა მას ალაგს გაცილდები, ერთსა სხვასა აივანსა ნახავ-  
მიხვალ მას აივანს, ოთხსავ მხარესა საკვირველნი ნადირნი იქნებიან  
და გზებსა შეგვიკვრენ. მათ პირისპირ მეორედ ეგევე ლოცვა თქვი და  
მესამე ისარი ესროლე და მას სახლში შედი. რა შეხვალ, ერთი მა-  
ღალი კოშკი დაგხვდება და მას ზედან ერთი ტახტი დგას და მას ზე-  
და ერთს ვისმე სძინავს. პირი ვეშაპს უგავს, ფერხი აქლემს, მუცელი  
თხასა, ხელის თითები ლომის ბრჭყალებსაო. კიდევ ერთი ვეშაპი  
ტახტსა მას გარს ახვევია, იცოდე, რომე თვითონ აზრალი მეთილისმე  
იგი არისო. მძინარე იქნება, არ შეინდო, იგივე ლოცვა თქვი და მე-  
ოთხე ისარი იმას შესტყორცნე, გაექანე და მას ტახტზედან ადი.  
იმისგან ნურას იშიშვი ამისთვის, რომ ერთსა წელიწადში ორმოცს  
დღესა და ორმოცსა ღამესა დაიძინებს. რა გაელვიძების, ერთსა  
წელიწადსა და ცხრა დღესა ძილი აღარ მოუვიაო. დღეს რიცხვით  
ოცდაცამეტი დღეა რომ სძინავს, შეიდი დღე აკლია მისსა გამოლვი-  
ძებასა. ეამსა ჩქარად მიაშურვე, მას ტახტსა ადიო. ორის დიაცის  
თმა მამცა და მითხრა: მას მეთილისმეს ამითი ხელნი შეუყარ და აქ  
წამოიყვანეო. და რაცა სასწავლებელი იყო, ყველაყა დამარიგა.

წაველ სახელსა ზედან ღვთისასა, მას ჩემსა ამხანაგსა გამოვესალ-

მე, მშვილდ-ისარი ხელთა ავიღე და მოვიმარჯვე. ათარს უთხარ: ღვთისა სახელსა გაფიცებ, თუ მე აქათგან ცოცხალი ველარ გამოვიღე, ესე ჩემი ამხანაგი ან ინლოეთს და ან ჩინეთისა მხარესა გაგზავნე, რომ ჩემი სიკვდილი უშანგ-შას მოახსენოს და ჩემი სული კეთილის ლოცვით არ დაივიწყონ. შენცა შემობრალე, რაც ჩემ ზედან სიკეთე გექნას-მეთქი. ესე ვთქვი და თავი გარდავსდევ და წაველ. ფალავანთა ფალავანო, რა მივდიოდი, ოღენ პირველს ხანში მის მეთილისმისაგან შარბათი მესვა, იგი თვალწინ წარძომილგა და მეტითა შიშოთა თრთოლა დავიწყე, მაგრამ რადგან სირცხვილსა შთავარდი, თავზედან ხელი ავიღე.

### აქა გარდაწმენისაგან აზრალ მეთილისმის შეაქროვა

რა მას ცეცხლსა მივახლოვდი, იგი ლოცვა შეულოცე და ერთი ისარი შევსტუორცე და მეც უკან გავეყე და ცეცხლსა მას შიგან შეველ. ვიღრემდის ცეცხლისა ნაპირსა ვიყავ, ცეცხლის სიკბე მწვევდა და რა შიგან შეველ, კეთილი ჰაეა ჰქონდა. ესეთსა მოსვენებასა მივეცი, რომე ჩემსა სიცოცხლეში ეგეთი სიამოვნე არა მენახა, მაგრამ შიში აზრალისა გულსავე მქონდა. რა მცირე წინა წარესილევ, ერთი აივანი იდგა უცხოლ ნაგები და მის შიდამოსა მრავალი საკვირველი ვნახე სამოცდათორმეტის რჯულისა, ას ოცდაათხი ათასი ქცევა ერთმანერთს არა უგვანდათ. რა ათას რიგად შეკრებულ იყვნენ, მეორე იქ შეულოცე და მეორე ისარი ვესროლე. იგინი უკან გაბრუნდნენ და წავიდნენ და მას გავსცილდი. სადინარი იყო ცეცხლისა, იგი გავიარე და ერთსა სასახლეში შეველ. ანაზღად უანგარიშო მხეცნი მოვიდნენ. ენებათ, რომ ევნოთ რამე, იგინიც ილტვოდნენ და წავიდნენ.

ამა ხანში ერთსა აივანთან მიველ. მის თავსა ერთი კოშკი იყო აღგებული და მას შიგან ოქროს ტახტი იდგა და ტახტს გარშემო ერთი ვეშაპი ეხვია. რა მან ვეშაპმან მე დამინახა, თავი ზე აიღო. მე კვლავ ერთი შეულოცე და ისარი ვესროლე და ვეშაპი იგი აგრევე დადგა, ვითარ პირველ შესვლაზე უძრავად იყო. თავი უფალსა მივანდე და მას ტახტზედან გაველ, რაც ნიშანი ათარ მეთლისმემან მანიშნა, იგი ნიშანი მას ზედან ვნახენ. ლომის ბრკყალი, თხის მუცე-

ლი და აქლემის ფერხი ჰქონდა. ესრეთი ავი და საზარელი სანახავი იყო, რომელ საზაროდ კმა იყო. პირთაგან ყვითელი წყალი სდიოდა, კაცთა საწამლავსა ემსგავსებოდა.

ჰე. ფლავანო! რა ამა სახითა იგი ვნახე, თავმან ტკივილი დამიწყო, მაგრამ ნამუსმან კალთა შემიპყრა და სირცხვილსა ჩამაგდო. მიველ და კვლავ შეულოცე. მეგონა, რომ გამოიღვიძებდა, მაგრამ არ გამოიღვიძა. ვინებე, რომ თავი ტანისაგან განმეშორებინა, მაგრამ კიდევ ვიფიქრე, რადგან ამის შეპყრობისათვის მოვსულ ვარ, რომე ესე ცოცხალი წავიყვანო და თუ ძალი ღვთისა შემეწევა და ამას ამ სახით უშანგ-შას წინაშე მივიყვან, ჩემი სახელი ამაღლდების-მეთქი. ამოვიღე თმა, რომელი ათარ მომცა, წარვდეგ და ორივე ხელი მის თმითა მაგრა შეუქარ და კვალად იგივე ლოცვა შეულოცე, ზე ავაყენე და ათარ მეთლისმესთან ხელშეკრული მოვიყვანე. რა ათარ ესრეთ მისული მნახა, ხელი ბეჭედან დამდვა და პირზედან მაკოცა. მივიდა და აზრალს თმები დააქრა და ცეცხლში დაწვა. რა იგი თმა დაიწვა, იგი ცეცხლის მთები სულ გაქრა და მის ცეცხლის ალაგს ერთის შავის ქვით გალავანი შემოევლო და რამდენიმე თილისმით ადამიანი დაეტუსალებინა, ზოგი პირუტყყად გარდაექცია და ზოგი სხვა სახედ შეექნა. მრავალნი სულნი მოვიდოდნენ და ფერხთა მეხვეოდნენ.

მე ათარს უთხარ: ჰე, მეთილისმეთა ხელმწიფეო, ამა საწყალთა რა ეშველების, რომ ამა განსაცდელს მორჩენ-მეთქი? ათარმა ეგრე მიპასუხა: შენ ერთი შარბათი გისვამს და გემო მისი გიხილავს და მორჩომილ ხარ, აზრალი მეთილისმე უსულოდ შეგიქმნია და მისი თილისმა დაგირღვევია. აწ მოვედ და მისის თმისაგან მცირე მოიღე და ამათთან დაწვი და ეშველებათო. მიველ და ეგრე ვქმენ და რა იგი თმა დაიწვა, მათ ტყვეთაგანცა ეშველა და შავად კვამლი აღვიდა. რა მცირე ხანი გავიდა და კვამლი იგი გარდასწყდა, იგი საწყალად მხეცქმნილნი აგრეთვე კაცთა სახითა იქმნენ.

რა მათ აზრალი შეპყრობილი იხილეს, ფერხთა მომეხვივნეს. ამჟამად მათ სხვათა მეთილისმეთა ეძინათ. ათარმან მათი დახოცა ბრძანა. მე მოვახსენე: რა იქმნების, რომე ამათგანნი რაოდენნიმე ცოცხალი შევიპყრათ, რომელ აზრალის ხაზინანი ავკიდოთ და წამოვალეზინოთ-მეთქი. ათარმან მიპასუხა: ჰე, გარდაექეშანო, შენ ამათგან შეჭირვება რაცა გარდაგხედია, რად აღარა გახსოვს? თუცა აზრალი ზე შემეპყრა, მასვე წამსა მოგკვლევდიო, მაგრამ აწ თუ ეს აქა



მოკვდა, მათ ორთა ქვად ქმნილთა ქალ-ყმათა არა ეშველებს რაო. რაცა სხვანი მეთილისმენი იყვნენ, მაშინვე დახოცეს და მათთა სახლთა შევედით. ხაზინა და საქონელი ურიცხვი ეწყო და ერთიჲ ჭიქით წყალი იდგა. ათარმან მას წყალსა ჩახედა და ეგრე გვითხრა: თქვენ თქვენსა ქვეყანასა ვერა მიხვიდეთ, თუ ეგრეთვე მფრინველად არ იქცევითო. აწ მე თქვენ მფრინველად გარდაგაქცევ და რა ჩვენსა ქვეყანასა მივალთ, ისევ თქვენის სახითვე შეგქმნითო. გულსა შინა თქვენსა შიში ნულარა იქნებისო. ესე თქვა და იგი წყალი პირსა წაგვისვა. მცირესა ხანსა საზარელი კვამლი დადგა და რა იგი გარდასწყდა, ყველანი მფრინველად ვიქეცით, ესრეთ, რომჲ თვითო თვითოსა ცხენისა ტოლი მფრინველნი შევიქმნენით.

რა მათ პყრობილთა თვისი თავი აგრეთვე მფრინველად ქმნილნი ნახეს, დიდსა მწუხარებასა მიეცნენ და საწყლად ტირილი იწყეს. ათარმან მათ იმედი უბრძანა და იგინცა შესჯერდნენ. მერმე აზრალისა წარსაღებელად ხენი მოვიღეთ და კუბოსავით შევკარით. აზრად შეკრული მას შიგან ჩავაგდევით და მაგრად შევახვიეთ. იგი პყრობილნი, რომელნი მფრინველად შეიქმნენ, ზოგმან აზრალისა კუბოსა ასწივეს და ზოგთა თვალ-მარგალიტი იტვირთეს. ამა წესითა ჰაერსა შიგან აღვფრინდით და შვიდი ზღვა განვლეთ და ათარ მეთილისმისა ქალაქსა მივედით.

რა ერთი დღე გამოხდა, ათარმან მითხრა: ჰე, გარდანქეშანო! აქა დაყოვნებისა ეამი არ არის! ესე აზრალი ჩქარად უნდა მიიყვანოთ, ვირემდის არ გამოღვიძებია, თვარა თუ გამოღვიძია, შენცა გაგათავებს და ამა ჯავრითა ქვეყანასაცა სრულობით მოაოხრებსო. მე მოვასხენე: ჰე, ყოველთა მეთილისმეთა უპირველესო, ამას რომ გამოღვიძოს, თვისის თავისა მორჩენა შეუძლიან თუ არა-მეთქი? ათარმან მიპასუხა: ეგე რომლისა შელოცვითა მე შემიკრავს, მაგან იგი შელოცვა არა იცის და ვერცა თავსა თვისსა მოარჩენსო, მაგრამ ვინ იცის, ერთსა თავისა მცნაურსა მეთილისმესა შემოხვდეს, იგინი მოარჩენენ და საქმე ძნელად გაჭირდებისო. აწ გზასა ზედან თუცა გაღვიძება შეატყო, იგივე ლოცვა შეულოცე, პირზედან მიწა წასცხე და ეგრე ვითა უსულო შეიქნებისო. მე კვალად უთხარ: ჰე, მეთილისმეთა ხელმწიფეო, ესე პყრობილნი, აწ რომე მფრინველად არიან, ესენი ვითარღა მოვარჩინო-მეთქი. ათარმან ჭიქა მომცა ერთი სისხლთა საესე და ეგრე მითხრა: რაყამსა მიხვიდეთ, ეს პირზედან წასცხე და ეგრეთვე კაცად იქმნებიანო.

ესე მოვიუბნეთ და ერთმანეთს გამოვესალმენით. უშანგ-შასთანა მოკითხვა დაგვაბარა. ათარ მუნვე დარჩა და ჩვენ აზრად წამოვიღევით და წამოვედით. ჰე, ფალავანთა ფალავანო! ვირემდის ჩინეთისა ქვეყანასა მივალწევდით, ერთსა ალაგსა ჩამოვბედით. იგი პყრობილნი, რომელნი მფრინველად გარდაქცეული იყვნენ, რიცხვით ათსამეტ ათასობდნენ, ესე ყველანი სანადიროდ წავიდნენ. თურე მოწყალება ღვთისა ჩემზედან იყო. მე მას ალაგსა მიმეძინა და ჩემს ამხანაგსა შირფანჯასაც ძილი მოსვლოდა. მას ჟამად თურე აზრად მეთილისმემან გამოიღვიძა, თვალნი აახვნა და თვისი თავი შეკრული იხილა. რა ოთხსავე მზარეს თვალი მოავლო, შემომხედა და მე დამინახა, მაშინვე მიცნა, ამისთვის, რომე მისსა თილისმამი შრავალჯერ ჩაკარდნილვიყავ, ხან ათარს და ხან სხვას გარდავერჩინე და ჩემის გამოისობით ათარსაც დამტერებოდა. რა თავი თვისი ესრეთ გამადარი ნახა, ესე საქმე ათარსა დააბრალა. ცდილობდა თუმცა მას პყრობილობას მორჩომილიყო, მაგრამ ღონესა ვერასა ეწია. ოდეს ჩვენ ძილად ვწევბოდით, იგი ერთსა დიდსა ხესა ზედან მივაკარ. ეწადა, რათამცა იგი ხე ძირითურთ მოეგლიჯა. რა მას ხესა ძალი დაადგა და მეტითა მოზიდვითა მოეგლიჯა, მისი ხმა ჩემსა ამხანაგსა შემოსმოდა და გამოიღვიძებოდა. რა ესე საქმე ენახა, მფრინველისა ხმითა დამიწვილა. მას ხმასა ზედან მეცა გამომეღვიძა.

რა ზე ავიხედე, ვნახე, რომ წყეულსა მას აზრად მეთილისმესა გამოიღვიძებია და თვალითა საზაროთი მიმოიხილდება. ცდილობდა თუმცა ღონესა რასმესა სწეოდა. მეცა მსწრაფლ მშვილდსა და ისარსა ხელი მივყავ და სიკვდილსა მისსა ვლამობდი. მერმე ვიფიქრე და ეგრე ვთქვი: აწ თუცა მოვკლა, ესეოდენი ჭირნახული გამიცუდდების-მეთქი. მაშინ საჩქაროდ მიწასა დავეწოდე და ერთი მუჭი მიწა ავიღე, იგი ლოცვა შეულოცე და მიწა პირზედან შევაყარე და შეუბერე. მცირეს ხანს მტვერი ავარდა. რა მტვერი გარდასწყდა, ვნახე აზრალი მის ხითა, რომელსა ზედან ეკრა, მიწასა ზედა გარდაიქცენ და ეგრევე უსულო ვითა შებნედილი იდგა. მიველ და კვლად ხელნი მაგრად შეუკარ, და იგი პყრობილნი, რომელნი მფრინველად იყვნენ, იგინიცა მოვიდნენ. რა წასასვლელად ვემზადებოდით, ერთმან ძლიერმან ქარმან მოგვბერა, ჭიქა იგი, რომელი ათარ სისხლითა საცხე მომცა, წაიქცა და სისხლი იგი წვიმასავით გაიბნია. თვითო წვეთ მათ მფრინველთა ყველაქასა ეცა და ეგრეთვე თავ-თავის სახედ

გარდაიქცნენ, ვინ კაცი იყვნენ და ვინ დედაკაცი, ყველამა თავ-  
თავისი სახე მიიღეს და სიჭარულსა დიდსა მიეცნენ.

მასვე წამსა შირფანჯა გრძნეული უშანგ ხელმწიფესთანა წარ-  
ვგზავნე და თვისითა ხელოვნებითა მსწრაფლად ხელმწიფის წინ გა-  
მოცხადდა, ტახტისა წინ პირი მიწასა დასდვა, ქება შეასხა და ესე  
ჩვენი გარდასავალი ყველა მოახსენა. ხელმწიფესა დიდად იამა და  
მრავალი წყალობა შირფანჯას აღუთქვა. დიდებულთა თვისთა უბრ-  
ძანა და ყველანი წინა მომაგება. ზეენცა სწრაფითა სიარულითა ვიარ-  
ეთ და მას ალაგსა მივედით, სადაცა ხელმწიფე უშანგ ბრძანდებო-  
და. პირი მიწასა დავდე, დავლოცე და ქება მოვახსენე. მანცა მომი-  
კითხა და მრავალი მიბოძა და გარდასავალი თავისა ჩემსა მკითხა.  
მეცა ყოველივე მოვახსენე და ათარის მაგიერ თაყვანის ცემა ვკადრე.  
აზრალი მეთილისმეც მივიყვანეთ, ხელმწიფისა წინაშე ეგრე უპატი-  
ოდ შეკრული დავაგდევიტ. ყველას დიდად გაუკვირდათ და ქება  
დამიწყეს. ესრეთ საქებია კაცი იგი, რომელმაც ესრეთი მტერი  
შეიპყრას, კვალად საქებია, მისგან მრავალი განსაცდელი წაჰკიდებო-  
დეს, იგი ახსოვდეს და ესე ქაჯი ესდენსა ხანსა ცოცხალი შეინა-  
ხოსო.

უკვირდათ ყოველთა საქმე ჩემი და დიდსა ქებასა იტყობიან.  
მერმე ხელმწიფემან ბრძანა: ეგე აზრალი მათ ქვაქმნილთანა მიიყვანე  
და რა გვარადაც ათარ მეთილისმეს ესწავლებინოს, ეგრე უქმენითო.  
მაშინვე აზრალი მას ალაგს მივიყვანეთ, სადა ბარამ ჯიბილი თვისითა  
საყვარელითა ქვად ექმნა. მეფე და ლაშქარი ერთობით მას ალაგს  
შეიყარნენ. მე შეულოცე და აზრალს განაოღვიძა. თვალნი აახვნა,  
ოთხსავე მხარეს მიმოიხედნა, უშანგ-შა თვისითა ფალავნებითა და  
მრავლითა ლაშქრითა იხილა და თავისი თავი ეგრეთ უპატიოდ გამ-  
ხდარი და მაგრად შეკრული ნახა, საზარლითა ხმითა ვეშაპისა  
მსგავსად ყვირილი შექმნა. მე შემომხედა და აგრე მითხრა: ესე რა  
ამბავიაო? ჩემთვის უწინვე ათარს ესწავლებინა, რა საუბარი დაგი-  
წყოსო, შენ პასუხს ნურას მიუგებ და აგრევე შეულოცეო. მე პასუხი  
არა გავეცე და იგივე ლოცვა შეულოცე. მაშინ ხელმწიფისა პირველი  
ვეზირი წარმოდგა და ხოფთანგი შაჰარის ენით აზრალის ლაპარაკი  
დაუწყო. და ეგრე უთხრა: ჰე, მეთილისმეო, ესე ორნი, რომელ  
ქვად გიქნია, ამათ შეულოცე და აგრევე თვისად სახედ აქციეო. და  
ამა შეკირებებასა მოარჩინე და მე ხელმწიფისაგან შენსა სიკვდილსა  
ვიპატიეებო.

რა მან ბილწმან ესე მოისმინა, დიდად გაწყრა და ცეცხლებრ აღეგზნა. მიიხედა და მათ ქვაქმნილოა შეხედა, შეულოცა და შეუბერა. მას ჟამსა მის ორის ქვისაგან ესრეთი საზარელი ხმა გამოხდა, რომელ მისსა მსმენელსა ყოველთაგან თვალთა ცრემლი გარდმოსდინდათ. მის გარემოსა ქვეყნების კაცნი მისად ჭკრეტად მოსულიყვნენ. ეგრე იტყოდინან: ვის ძალუქს ოცდაოთხისა წლისა ქვად ქმნილისა სახედვე თვისად შექმნაო? კვალად მეორედ მათ ქვათაგან ესრეთი მწუხარებისა ხმა გამოვიდა, რომე მათითა სიბრალულითა მრავალი კაცი შეზნდა. მაგრამ მას წყეულსა მაშინაცა არა შეეწყალა. კვალად ვეზირმან უთხრა: მეთილისმეო, ჩემი ისმინე, ამ შეჭირვებისაგან გამათვისუფლეო. აზრალმა განრისხებიათა პასუხად უგო: ჰე, უმეცარხო, რაოდენიცა იუზნოთ, ესენი მეორედ მოსვლამდინ ესრეთ უნდა იყვნენ, ამათი მორჩენა აღარ იქნებისო!

რა აზრალმა ესე თქვა, ხელმწიფემან მე მანიშნა. მიველ და ბასრი ნაჯახი ესრეთი შემოვკარ, რომე იგი სძაბელი ორად გავსწყვიტე. იგი გაწყვეტილი მიწასა ზედან ასეთი დაეცა, რომე იგი ალაგი შეიძრა და მისი ხმა ორისა დღისა სავალსა გაიგონებოდა. მოკვდა იგი სძაბელი ბილწი და სისხლმან მისმან ოთხსავე მხარესა ღვარად დენა შექნა და მათ ქვადქმნილოც ეცა და მათგან ესეთი კვამლი გამოხდა, რომე ჰაერი სრულად დააბნელა. რა მცირე ხანი გამოხდა და შავი იგი ნისლი გარდაწყდა, ვნახეთ, რომ იგი ორნი ქვანი სახედვე თვისად ქალ-ყმად გარდაქცეულ იყვნენ, მაგრამ ნამძინარევისავით ვაშტერებულ იყვნენ და იყურებოდნენ. რა მას ბილწსა შემოხედეს, ორად გაკვეთილი იხილეს და მე თავსა მდგომად ნაჯახ-სისხლიანი მნახეს, ეგრე მითხრეს: ჰე, სახელოვანო, ესე რა ამბავია, ანუ ესე რომელი ხელმწიფეა, რომელ აქა მოსრულა, ანუ ეს ჯარი და ყრილობა რა არის, ან ეს ბილწი დევი ვინ არის და ვის მოუტლავს, ან ჩვენ რა დაგვმართვია, რომ ესრეთ დაშტერებულნი ვართო?

რა ხელმწიფემან მათი ხმიანობა გაიგონა, დიდად გამხიარულდა და მე მიბრძანა: გარდანქეშანო, მიველ და თავეთი საქმე შენ უამბეო! მიველ და უთხარ: ესე უშანგ ხელმწიფეა შეიდთა იყლიმთა მპყრობელი. აქა სიარულსა შინა თქვენ შემოგხვდათ და თქვენი ამბავი გამოიკითხა. ოცდაოთხი წელია თქვენ ამ მეთილისმისაგან გაქვავებული იყვნით, რომელ ვერცა სიცივესა და ვერცა სიცხესა ვერ შეიგებდით. ამა ქვეყანასა კაცთაგან ამბავი გამოვიკითხეთ და

ყოველივე შევიტყვეთ, თქვენი საქმე რაგვარადაც ყოფილიყო. ხელმწიფემან მე გამისტუმრა. წაველ და ესე მეთილისმე შევიპყარ და აქა მოვიყვანე, ხელითა ჩემითა მოვკალ და ამისი სისხლი თქვენ გეცათ და აგრევე თქვენის სახით შეიქენით-მეთქი. ესე ამბავი ყველა წვრილად ვაუწყებ.

რა ბარამ თვისი ამბავი შეიტყო, ხელმწიფესა თაყვანი სცა და მოახსენა: აღიღოს ღმერთმან მეფობა თქვენი, რომელ ჩემზიღაბ ეგეოდენი წყალობა მოგიღიათ და ამა განსაცდელისაგან გიხსნივარო. ორგულნიცა თქვენნი ესრე დაეცეს, ვითა ბილწი და მეთილისმეო. ხელმწიფემან ბრძანა, ორთავეს ძვირფასი ტანისამოსი და ბედაურნი ცხენნი მოგვარენითო. მასვე წამსა მოიღეს და ორნივე შემოსეს. ხელმწიფემან ბარამს ჰკითხა: ჰე, ფალავანო, შენ ამა შეჭირვებასა რომლისა მიზეზითა შთაეარდიო? ბარამ თვისსა ამბავსა მოყვა და რა გვარადაც ზემორე ხსენებულა, ეგრეთ თვითეულად მოახსენა. ხელმწიფემან უბრძანა: ფალავანო, ამა ჩინეთისა მეფისა ასულსა თანა გიქორწინებია თუ არაო? ბარამ მოახსენა: ოდეს ქორწილისა მზადებასა ვიყვენით, ამა მეთილისმისაგან ესრეთსა განსაცდელსა მივეცენითო. ხელმწიფემან ბრძანა და მის ქალისაგან ბარამისათვის ნება ითხოვეს. მან ქალმანცა ინება. შაჰან-შამ ბრძანება გასცა და საქორწილოდ თადარიგი იწყეს. ორსა კვირასა მზადება იყო და მერმე იგი საფერნი ქალ-ყმანი შეაერთეს. ორმოცსა დღესა და ღამესა გაუყრელი ნადიმი იყო და ბარამს საწადი თვისი აღუსრულდა.

ესე ამბავი გარდანქეშანმა ყარამანს მოახსენა. ამბისა ამის მსმენელი ყარამან დიდად განკვირდა და თქვა: ჰე, აიართა უხუცესო! ამავ ბარამის დედა, რომელ დევებს წაუყვანია, იგი რა იქნაო? გარდანქეშანმან მოახსენა: ესრედ ამბობენ, შაფალი ფერიმ ორმოცი ასი ათასი ფერია შეიყარაო და აქვალ დევზედან წავიდაო, მას უკან არა ვიციო, თუ რა მოხდა, ამისთვის, რომ მის ქვეყნიდამ აქ მოსვლა და ამბისა მოტანა საძნიალო არისო. რა ესე დაასრულა, გარდანქეშანი ზე აღგა და წასასვლელად დასტური სთხოვა. ყარამან ამ ამბისა მადლი უბრძანა და სადგომსა წასასვლელად დასტური დასცა და გარდანქეშანი თავისსა სადგომსა წარვიდა.

ამა უშანგ-შანსაგან ყარამანის თანა ხლება და ჰინდოთ  
ხელმწიფე რაჰინდზე წასლვა

პირველად წიგნისა ამის სპარსულად აღმწერელსა თართუს ჰაქიმე სწოდებია. მისი წერილი ამ გზით აცხადებდა: რა ერთმან დღემან გამოვლო, ხელმწიფე უშანგ დაბრძანდა და წინაშე მისსა ათჩვიდმეტი ასი ათასნი მამაცინი შეიყარნენ. მას ჟამად გარდანქეშანი ყარამახთან მივიდა და მოახსენა: ჰე, ფალავანთა ფალავანო! ჟამი არს ხელმწიფისა კარზედ მისვლისაო. ყარამან ზე აღვა, ძვირფასი სამოსლითა შეიმოსა და თვისსა მარტორქაზედან შეჯდა და ხელმწიფისაკენ წამოვიდა. კართან სამი ათასმან მეფეთა ტომმან თავი დაუქრეს, ზოგნი წინა გამოუძღვნენ და ზოგნი მარჯვნით და მარცხნით მოსდევდიან. რა ხელმწიფისა კარსა მოვიდნენ, მეფენი და დიდებულნი წინა გაეგებნენ და დიდის პატივით შეიყვანეს. ხელმწიფესა თავი დაუქრა და თვისსა ალაგსა დაჯდა. ჩაუშთაგან ესრეთ მალალი ხმიანობა შეიქნა: ჰე, ფალავანთა უხეცესო, მშვიდობა ნახვა და მობრძანება შენო! რა მცირე ხანი გამოხდა, მოიღეს სუფრა და ნადიმი დიდი გარდაიხადეს. რა სუფრა აიღეს, აყრისა თადარიკი იწყეს.

მეორესა დღესა რა დილა გათენდა და სიბნელისა ზეწარი დაიხია, მებუკეთა ასაყრელსა ბუქსა კრეს და ჩაუშნი აყრასა იძახოდნენ. ყარამან მარტორქასა შეჯდა, ყათრან, ბარამ ჯიბილი და ორმოცი ათასი მეფეთა ტომი, სარდალთა და დიდებულთა ძენი თანა იახლნენ და ხელმწიფისა კარზედან მივიდნენ. ლაშქარნიცა ყოველნი აიყარნენ და ინდოეთისაკენ გაემართნენ. დიდებული ხელმწიფე უშანგ ცხენსა ამხედრდა და ბედნიერი სადავე ინდოეთისაკენ გამართა. შირფანჯა აიარს ყარამანის წინ ძლოლა უბრძანა. ლხინითა და შექცევითა ნელიად ვიდოდნენ. მერვესა დღესა უმან ზღვისა პირსა მივიდნენ და გარდამოხდნენ. დასცეს კარავი ურიცხვი და ლაშქარი ყველაყა დაბინავდა. ფალავანნი და სარდალნი ხელმწიფისა წინა შეიყარნენ. მეჯლიში და სიხარული გამართეს. რა ნადიმი გაიჯარა, ხელმწიფე დალოცეს და თავ-თავისად წავიდნენ.

ამჟამად ლაშქარსა შიგან ცალსა მხარესა ხმიანობა და არეულობა შეიქნა. ცხენთა დასწყვიტეს და ბიბანსა მიბრძოდნენ. სპილონი და მარტორქანი ვეღარა შეეპყრათ. რა სარდალთა და ფალავანთა ესე ხმიანობა ესმათ, გაკვირვებულნი ერთი მეორესა ამბავსა კითხვიდნენ და არა იცოდნენ, თუ რომელი რა მომხდარიყო. ხელმწიფისა

კარსა შეიყარნენ. ამჟამად შირთანჯა მოიჭრა და უშანგ-შას მოახსენა: ჰე, ჰეყანაზედ დიდებულო ხელმწიფევე, ოდეს თქვენმან ლაშქარმან ამა ზღვისა პირსა მოიწია, ამა ზღვითგან ერთი მხეცი გამოვიდა. რა იგი მხეცი ამა ლაშქრისა ცხენმან დაინახა, ერთობ დაფრთხნენ და ბიაბანსა გარდაიხვეწნენ და იმა მხეცმან აგერ ლაშქართა მოატანაო.

რა ხელმწიფემან ესე მოისმინა, სარდალთა და ფალავანთა უბრძანა: ესე ვითარი მხეცია, აწ ჩვენცა წარვიდეთ და ვნაოთ. მაშინვე ხელმწიფე ცხენსა შებრძანდა, სარდალნი და ფალავანნი თან იახლნნა და ცხენ-რბევით ზღვისა სიახლოვესა მოვიდნენ. ნაჲეს, რომ ზღვიდამ ერთი საშინელი მხეცი გამოსულა და ლაშქართაკენ მოვა, ესრეთ, რომე სანახავად საზაროდ კმა იყო. სპილოსა გვანდა, ბოლო ფარშამანგსა უგვანდა, მუცელი ვეფხვსა, ზურგი ვეშაპსა, ერთი რქა შუბლზედან ება, რომელ დიდისა შუბისა სიგრძე იყო და მაშბალსავით ანათებდა. ამა რქაზედ ორი თვალი ედგა, ორნივე იაგუნდისავით ანათებდა და ორივე თვალი ამა რქისა ძირში ედგა და ამ ოთხს თვალს გარდა ექვსი ფერხი ება, ყურები ცხენსა უგვანდა და ფერად შავი იყო. მისი ბრკყალეები ფოლადსა ბასრსა ემსგავსებოდა. მცირესა ხანსა უყურეს. რა მან მხეცმან ლაშქარი დაინახა, შემოუტია და შიგან შემოვარდა. ლაშქარნი აქათ-იქით გაეფანტნენ, რომელსაცა კაცსა რქა წამოჰკრა, ზედან აიგო. რაოდენიცა მარტორქა ანუ სპილო დახვდა, რქასა შემოკრევედის და შიგან გაავლებდის. მრავალი სული მოკლა. რამდენიც შუბი ანუ ისარი ჰკრეს და ანუ ხმალი სცეს, მას ვერა აენეს რა. რა ისარი მოხვედებოდა, აგრევე გარდავარდებოდა და დაიმტვრეოდა, ხმალთა პირი დაბლაგვდებოდა და ოროლთა წვერი დააცვდებოდა და მას არცა ეგრე ევნებოდა რა.

რა ხელმწიფემან ესე ესრეთ დაინახა, ერთობით ლაშქართა შეტევება უბრძანა და მასვე წამსა შეუტრევეს. ესრეთი ხმიანობა შეიქნა, რომე ყურთა ხმა აღარა ისმოდა. რა მან მხეცმან ლაშქართა ზახილი გაიგონა, ყურნი დაილურსა და ლაშქართა შემოუტრევა. ესეთი ქარი მოილო, რომ მრავალი კაცი შიშითა ჰკუთისაგან შეიშალა. რა ხელმწიფემან და ფალავანთა იგი მხეცი აგრეთ გამწყრალი იხილეს და ლაშქართა ზედან მოსული, ფალავანნი წინ წაეგებნენ და მისსა ომსა აპირობდენ. წინათ ერთი ფალავანი მივიდა, რომელსა სახელად თაჰი თურქი ეწოდა. რა იგი მხეცი ეგრე ამაყად მიმავალი დაინახა, ბასრი ხმალი ქარქაშით ამოიწოდა, მას მხეცსა ესრეთ ძლიერად შემოჰკრა,

თუცა იგი ნაკრავი ყაფის მთას მოხვედროდა, ორად განიპებოდა, მაგრამ მხეცსა მას ბეწვიცა ვერა გაუყვეთა. მასვე წამსა მხეცი იგი მობრუნდა და მას ფალავანსა ესრეთი რქა შემოჰკრა, რომე საწყალო იგი ორად შუა გასწყვიტა. ერთსა მხარესა მოუხდა და რამდენნიმე ფალავანნი წინ წამოიყარა და უკან მოსდევდა.

ამჟამად ყოვლის მხრიდამ ურიცხვნი ფალავანნი მიეტევენეს. ეგოდენნი ლახტნი დაუშინნეს, რომე მისისა ცემის ხმა ოთხსა აღაჯსა ისმოდა, მაგრამ მხეცსა მას. მაშინცა არა ევენო რა. თვისითა რქითა მათ ფალავანთაგანნი მრავალი მოკლა და ლაშქარიცა ურიცხვი დახოცა და მის სიახლოვესა მისვლა ველარავინ გაბედა. რა ლაშქართაგან გაბრუნებასა აპირობდა, ოთხასი ფალავანნი საგდებლითა მოუხდნენ და თავსა საგდებელი გარდააყარეს და ოთხასივე საგდებლები გარდააცვეს. მაშინ მხეცმან მედგრად იწყინა და გაიწია და ოთხასივე მოსაგდებლე ცხენისაგან გარდმოყარნა, გამობრუნდა და მათსა დახოცასა ლამობდა. მათ ყოველთა საგდებელნი ხელთაგან, გაუშვეს და თავთა თვისთა მოსარჩენად გარდაიხვეწნეს. მხეცი იგი გაბრუნდა და წყნარად ზღვისაკენ მივიდოდა.

რა ხელმწიფემან ესე თვალითა თვისითა ნახა, დიდსა მწუხარებასა მიეცა და თვისთა სარდალთა უბრძანა: ესე საკვირველი საქმე როგორ გარდაგეხდა? ერთმან ზღვისა ნადირმან ესე ოდენნი ლაშქარნი და ფალავანნი დახოცა და თვით ეგრევე მშვიდობით წავიდა. ვინცა ამა ამბავსა გაიგონებს, ახლოს მყოფი ანუ შორსა, რასა იტყვიანო? ესე თქვა და თავჩამოგდებით იდგა. ესე ამბავი ყარამანს დიდად ეწყინა, საგდებელი ხელთა მიიტა. მისი საგდებელი ღვეისა ტყავი იყო დანწული, ათას ორასი ალყა ჰქონდა, იგი მოიმარჯვა და მხეცსა მას გამოუდგა, რა ზღვასა მხეცი იგი მიახლოვდა, მას ყამად ყარამან წამოეწია, საგდებელი შესტყორცა და მხეცსა კისერსა გარდააცვა. მხეცმან მან ესრეთი გაზიდა, რომე ყარამანს ესრეთ ეგონა, მკლავთა ძვალნი დამეღეწნესო. და მხეცმანცა მან რა ყარამან ვერა შეძრა, წინათ ფერხებით დაიჩოქა.

რა ყარამან მისი ეგეთი ძალი ნახა, თვითცა მარტორქისაგან გარდახდა და ქამანდსა ქვეითმან ძალიან გამოზინდა, მაგრამ მაშინცა ვერ დაიმორჩილა. მხეცი იგი ადგა და წასვლა დააპირა. ყარამან ორივე ფერხი გაიმაგრა და ველარ დაეძრა. რა მხეცსა წასვლისა გზა აღარა ჰქონდა, დიდად გაწყრა და რაცა ძალი ჰქონდა, კვლად გაიწია, მაგრამ საგდებლისა წვერი ხელთაგან ვერ დააძრო. ოთხისავე მრის-



ხანისა თვალითა ყარამანს შეშოხედა. რა ნახა, მისი მებრძოლი ერთი კაცის მეტი არავინ იყო, მაშინვე შემოუტრია. ყარამანცა ეგოდენი აცალა, ვირემდის ახლოს მოვიდოდა. რა ახლოს მოვიდა, ერთი ასეთისა ხმითა შესძახა, რომე მრავალნი კაცნი ცნობისაგან შესცდებოდნენ. რა ესე საზარელი ხმა მხეცსა ესმა, მასვე ალაგსა გაშეშდა. ყარამან საგდებელი ძალიან მოზიდნა და იგი მხეცი პირქვე დაეცა. ვირემდის აღგებოდა, ყარამან ქარივითა მიუხდა და ზედან შევარდა, ორნივე ყურები დაუჭირა და გარდუგრიხა. იგი საზარელი მხეცი ესრეთ შეშინდა, რომე ხეთა ფურცელივით თრთოლა შექნა. მერმე იმავე ქამანდით ექვსივე ფერხი მაგრად შეუყრა და ეგრე დააგდო. რა მაგრად შეკრულობითა შეასუსტა, მერმე თავსა საგდებელი მოაბა და ეგრე წამოიყვანა.

რა ხელმწიფისა წინა მოვიდა და იგი შეპყრობილი მოიყვანა, ხელმწიფესა დიდად იამა და სხვათა ფალავანთა მისი ნაქმარი საქმე მოეწონა. ერთობ დალოცეს და ქებასა შეასმდილიან და ეგრეთ იძახოდნენ: ფალავანთა უხუცესო, აღიღოს ღმერთმან ქაბუკობა შენი, რომე არა არს შენისა ომისა გამასწორებელი პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო! ხელმწიფემან მრავალნი ქალაქნი და ციხენი უბოძა და ბრძანა: ყოველთა წელთა ორმოცი ათასი ოქრო ყარამანს ამ სახელისათვის მიეცემოდესო, რომელ თვითო ოქრო თვითოს თუმნისა იყოსო.

ორმოცსა დღესა მასვე ალაგსა დადგნენ და რაცა მის მხეცისა შიშითა მარტორქა ანუ სპილო და ცხენნი დამფრთხალ იყვნენ, იგინი შემოეკრიბნნეს. მას ორმოცსა დღესა ყარამან იმ მხეცზე შეჯდებოდა და მინდორსა მოვლიდა. ოდეს ღამე შეჯდებოდა, მის მხეცისა რქა ესრედ გაანათლებდა, რომე დღესა ემსგავსებოდა. დახედნა იგი მხეცი და აწ საჯდომად თვისად იგი განაჩინა. ხელმწიფემან ბრძანა, ორმოცის დღის ნუზლი ხვამალდსა შეიტანეს, თვითცა შევიდნენ და მიერ კიდესა ინდოეთისაკენ გავიდნენ. ნაპირზე დასცეს კარავნი და სარაფარდანი შემოავლეს და დადგნენ ყოველნი კაცნი თავ-თავისსა ალაგსა. აწ ინდოეთისა ხელმწიფისა ამბავი მოგახსენოთ.

### აჰა ამბავი ჰინდოთ ხელმწიფისა რაჰინდისა

ხელმწიფესა რაჰინდს მოხსენდა, ვითა ზღვიდამ ურიცხვი ლაშქარი გამოვიდა და ნაპირსა დადგნენო. სრულად საომრად მომზადე-

ბულნი არიან და ესრეთ ეტყობათ, თქვენსა ქვეყანას მოვლენანო. რა ინდოთა ხელმწიფემან ესე მოისმინა, ეგრე ბრძანა: ჰე, სარდალნო: და ფალავანნო, მე მენება, რათა ლაშქრითა ჩემითა უშანგ-შაჰზედა წარსრულ ვიყავ და აწ იგი ჩვენზედა მოდის და ესე ჩვენზედა აითი-ლისა ნიშანი არის, რომე ჩვენი გრძელი გზა შემოკლდა და იგი აქ მოსულაო. იგი შეიღნი მეფენი ერანით გაქცეულნი, რომელი მაშინ რაჰინდს ახლდნენ, მათ მწუხარება შეექნათ და მოახსენეს: თუცა დიდისა ძალისა არა მქონებელი იყოს, აქა არ მოვიდოდაო. მაშინ რაჰინდმან ბრძანა: სარდალნო, წარვიდეთ და მცირესა ხანსა მათსა ლაშქარსა უქვრიტოთო. თვით რაჰინდ და ერანთა შეიღნი მეფენი. რომელ გაქცეულნი მის თანა იყვნენ, და სხვანი სარდალნი შესხდნენ და ერთსა გორასა გავიდნენ. ხელმწიფემან რაჰინდ შეხედა და ლაშქართა მტვერი დაინახა ესრეთი, რომელ ღრუბელთა შესწვდებოდა.

რა მტვერი გარდაიყარა, ოთხმოცი დროშა გამოჩნდა. ესე იყო ნიშანი ოთხმოცის ათასის კაცისა. ესენი მარტორქაზედან იხდნენ. ამათისა მარტორქისა ხეივლი ოთხსა ფარსანგსა ისმოდა. ამათ უკან ორმოცი ათასი ფალავანნი მოვიდოდნენ, რომელ თვითო და თვითო დროშებსა შესცილებოდნენ, რომელთა სამოცდაათხუთმეტი წყრთა სიმაღლე ჰქონდა და ათი წყრთა განი. ამათ ერთი ყვითელი მარტორქა მოუძლოდა და მას ზედან ტახტი იდგა. და ზედან მთისა ოდენი ლახტი იდვა, მარჯვნივ და მარცხნივ ფალავანნი და სარდალნი გარბეებით მოვიდოდნენ. ინდოთა ესე გაწყობა მოეწონათ. რაჰინდმან ქეივან-შას უბრძანა (რომე ესეცა ერანელთაგანი იყო): ამა ფალავანსა უშანგის ლაშქარში რასა უხმობენო? ქეივან-შამ მოახსენა: ჰე, მაღალო ხელმწიფეო, ამა მამაცსა ბარამ ჯიბილი ეწოდების, მაგრამ ამისებრი ფალავანი სხვა არა მინახავსო. თუცა ესე ფალავანი აქა არა იყოს, ჩვენ უშანგ ვერას გვავენებსო.

კვალად ერთი მტვერი ადგა და ორმოცი სასარდლო დროშა გამოჩნდა. მათ დროშათა წინა ერთი ფალავანი ნადირსა ზედან მჯდომი მოვიდოდა, რომელსა ორმოცდახუთი წყრთა სიმაღლე ქონდა. მარჯვნივ და მარცხნივ მრავალნი მეფეთა ტომნი და სარდალთა ძენი მოსდევდიან. რაჰინდმან ბრძანა: ესე ვინ არისო? ქეივანმან მოახსენა: ამა ფალავანსა ქუი ჰქვია. ესე ფალავანი შადათ ფალავანს აქეთ დარჩომილა, რომე მისსა მებრძოლსა ცოცხალსა არა დაარჩენსო. ამათ ჩაუშნი მოსდევდნენ ორმოცნი ათასნი, რომელთა ძელისა ოდენი ოქრო გაზიდული ეპყრათ. და რა ამათ გაიარეს, კვლავ დიდი-

ვე მტვერი გამოჩნდა, რომელსა შინა ოთხმოცი სასარდლო დროშა ჩნდა, რომე იმათაც სარდალნი და ფალავანნი მოსდევდნენ. რაჰინდმან ჰკითხა: ქეივან, ამათი უფროსი სარდალი ვინ არისო? ქეივან მოახსენა: ამათ უფროს სარდალს ჯანგიჯუთი ჰქეიანო. რაჰინდმან ბრძანა: სისტანელნი იქნებიანო.

ესე ლაშქარი ყოველი ერთსა მინდორში გარდახდა. მოიღეს მურასა კარავი რვა სვეტიანი და უშანგისათვის დადგეს, რომელსა შვიდასი თოკი ჰქონდა და სარაფარდანი უცხოთა ფარჩისანი მოავლეს. მას შიგან ძვირფასი ტახტი დადგეს, რომელსა ორმოცი ფერაზი მურასად მოქედელი ჰქონდა. იგი ხელმწიფისათვის განმზადეს და მას გარეშემო ოცდაათი სკამი დადგეს. მოდიოდნენ ლაშქარნი ურიცხვი: ჩინელნი, ხორაზმელნი, ბალხელნი, ხვარასნელნი, თურქი-ტანელნი, არაყელნი, გელანელნი და სხვათა ქვეყნისაგანნიცა მრავალნი. რა ამათ გამოვლეს, ერთი სარდალი მოსდევდა, სამოცდა ხუთი წყრთა სიმაღლე ჰქონდა. შავსა ტაიჰსა ჯდა და უცხოთა ქვეითა მოვიდოდა, რა გვარადაც მეღექსეთ უთქვამთ:

ამ ლაშქართა მკობილობა ვითა ესტჳა და ვით ვაჲადრო,  
თით საქმენი აცხადებენ, წყობილთ ვიმერთ ვით ვადრო,  
სინაზითა ტანთ მრხეველნი, მახვილ მკობით ტანად სარო,  
მათთა მტერთა შემხედველთა გულთ ლახვარი დაუარო.

მისი სამამაცო იარაღი ერთსა სპილოსა ეტვირთა და წინა მოუძლოდა, რომე საზაროდ კმა იყო. ინდოთა დიდებულთა რა ესე ნახეს, იკითხვიდნენ, უშანგ-შა ესე უნდა იყოს, რომელი ათასსალიტრიანსა ლაბტსა ხმარობსო. რაჰინდ იკითხა: ვინა არსო? ქეივან-შამ მოახსენა: ამა ფალავანსა სახელად ყათრანს უწოდებენო. მას ორმოცნი ათასნი უცხოდ მორთულნი მხედარნი მოსდევდნენ, და მას შიგან ფალავანნი ესეთნი იყვნენ, რომე სიდიდითა მთასა ემსგავსებოდიან. და მათ ფალავანთა შუა ერთი ახალმოწიფული ფალავანი მოვიდოდა, რომელსა ორმოცი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა და ოცი — განი. უღვაში ახლად აშლოდა და შეენებით მნახავთა განაკვირვებდა, მისი შიში ვარსკვლავთაცა ექნებოდათ. ერთსა ყვითელსა მარტორქასა იჯდა, რომე მნახავთა შეაზარებდა. წინა ერთი ნადირი მოუძლოდა, რომელსა ექვსი ფერაზი ჰქონდა და ოთხი თვალი. რა ინდოთა ხელმწიფემან ესრეთ ესე ნახა, თქვა: ღმერთო, ესე ვინააო? ქეივანმან მოახსენა. ხელმწიფეო, მე ამა ფალავანსა ვერა ვიცნობო. ჩემობისას ესე ერან-

ში არა ყოფილაო. რა ამათ გაიარეს, კვალად სამოცდაათი დროშა გამოჩნდა, რომელ სამოცდაათის ათასის კაცის ნიშანი იყო. ესენი სრულად ოქრო-ქსოილითა მოკაზმულნი იყვნენ და ნელიად მოვიდოდეს და მათ თანა კუბო მოაქვნდათ მძიმედ მოქედილი და მას შიგან ბანოვანი ჯდა. ათასი მონა ოქროსსარტყელოსანი მოსდევდა, რომელთა ხელთა ოქროს ჩანგი ეჭირათ. რაპინდ თვისთა მახლობელთა უბრძანა: ესე ვინაა, რომელ ჩემსა ქალზედ უმეტესობსო? ქეივან-შამ მოახსენა: უშანგის ცოლი არისო.

რა ამათაც გაიარეს, კვლა ერთი მტვერი გამოჩნდა, რომელი ღრუბელსა სწვდებოდა. ქოსისა და ნალარისა ცემისა ხმა იყო, პილოსა და მარტორქისა ხეივილი ორსა აღაჯსა ისმოდა და ამა ლაშქარში თვით ხელმწიფე უშანგ მობრძანდებოდა. თავსა ძვირფასი გვირგვინი ებურა და სამასი ფალავანი მოუძლოდა. მარჯვნივ და მარცხნივ მუნაჯი მინი, აქი მინი და უცხო მომღერალნი მოსდევდნენ. და ამათ თან აიარნი მოვიდოდნენ საომრად წელშერტყმულნი და საგრძნეულოდ მოკაზმულნი და მათ შუა გარდანქეშანი მოვიდოდა. თავსა ზედა თაჯი ედგა, თორმეტი ხანჯალი წელსა ერჭო, სამასლიტრიაჩი ოქროს ნაჯახი ეჭირა. ესრედ მოვიდოდა, თუმცა შეგეკვეთა, ჰაერში აღფრინდებოდა და თვისითა გრძნებითა ვარსკვლავსა სხივსა მოპარევდა, რაგვარადაც მელექსეთა უთქვამსთ:

მპარავი იყო ასრეთი, ყოველთ გრძნეულთა დარევდა,  
თუ ქაბას მივა, სალოცავს ფარდაგსა მოიპარევდა,  
ერთხელ მეჩიტში შესვლითა ყურანსა გარდასცვალებდა,  
უშანგის მტერს და ორგულსა ქვესკნელ-ჯოჯოხეთს გარევდა.

ესრეთნი გრძნეულნი იყვნენ, რომ მნახავთა შეეზარებოდა. თითოს თვალითა ჰაერში იყურებოდნენ და თითოთი — ქვეყანად და ხელმწიფეს წინა მოუძლოდნენ და კრძალვითა სიტყუასა მოახსენებდნენ. რაპინდმან იკითხა: ესენი ვინ არიანო? ქეივან-შამ მოახსენა: იგი უშანგ ხელმწიფე არის და ქვეითად რომელი მოუძღვის და სიტყუასა მოახსენებს, იგი გარდანქეშან გრძნეული არის, აზრად მეთილისმე ამას შეუპყრია, მოიყვანა და მოკლაო. და იმას რომ მოსდევს, ასიმ გრძნეული ჰქვია, ამან ხვარასტანის ხელმწიფესა თვისითა გრძნებითა თავი მოსჭრა და მოიტანაო. სხვათაცა სახელები მოახსენა და ესეცა თქვა: ამისგან გაბრთხილება გემართებს, რომე ნაღიმსა ზედან მოვლენ და თვისსა ხელოვნებასა გამოსცდიანო.

რა ხელმწიფემან ინდოეთისამან ესე მოისმინა, ეგრე ბრძანა: თქვენ შიში მაგათი ნურა გაქვსთ. ესეთნი გრძნეულნი მყვანან, რომე იმათ ცოცხალსა შეიპყრობენ და ჩემსა წინა მოიყვანენო. ესე თქვა და რაჰინდ გაბრუნდა და თვისსა ლაშქარში მივიდა. ინდოთა დიდებულნი შეიყარნენ და ხელმწიფისა წინაშე მივიდნენ და მოახსენეს: შენსა კერპსა გული მიანდევ და ვნახოთ, რასა გეტყვისო. ხელმწიფესა ესე სიტყვა მოეწონა და ბრძანა: ცეცხლი დიდი დააგზენითო. მონათა ეგრე ჰქნეს. ხელმწიფემან რაჰინდ გვირგვინი მოიხადა და ცეცხლსა თაყვანის სცა და ესრეთ ვედრებოდა: ესე უშანგ ხელმწიფე, რომელი ჩემზედან მოსულა, თუმცა შენ არა შემეწევი, სხვა ღონე არა მაქვსო. მაშინ ცეცხლისა მისგან ხმა გამოხდა ესრეთი: მონაო საყვარელო, ნუ გეშინის უშანგისაგან, იგიცა და მისი დიდებულა შენ დაგრჩებისო და მერმე ხვარასანსაც შენ დაიპყრობო! რა ინდოთა ხელმწიფესა და მისთა დიდებულთა ესმათ, ერთობით თაყვანის სცეს და სიხარული დიდი შეექნათ და ომისა თადარიკი იწყეს.

აწ უშანგ-შასამბავი მოიხსენეთ: ხელმწიფე უშანგ კარავსა გარდახდა. დიდებულნი და ფალავანნი წინაშე მისა შეკრბენ და ღირსებისაებრ მათისა ალაგსა დასხდნენ, სუფრა მოიღეს და მეჯლიში გამართეს. ღვინის სმასა ხელი მიჰყვეს და მუნ მყოფთა გულსა შეჰკირვება არა იყო. ყარამან უზომოდ გამხიარულებული იყო. რა მისთა მჰკრეტელთა იგი ეგრედ მოლხენილი იხილეს, იგრძნეს, რომე ომისა ჟამი მოახლებულ იყო და მისთვის მოელხინა. რა ნადიმი გარდასწყდა, ყველა თავ-თავისად სადგომად წავიდნენ. გარდანქეშანმან მეფისა ქეშითა უბრძანა: თქვენ ცოტას ხანსა გაფრთხილდით, ვირემდის მე მოვიდოდე, აწ წავალ და რაჰინდის ლაშქართა გავსინჯავო. მათ სიფრთხილე აღუთქვეს და იგი წაასვლელად გაემზადა.

აწ რაჰინდისავე ამბავსა ვიტყოდეთ: ინდოთა ხელმწიფემან ბრძანა: იგი ორნი ჩემნი გრძნეულნი მომგვარეთო. მონათა მსწრაფლ მოუწოდეს. ეგრე უბრძანა: უშანგის ლაშქარში მიდით და ერთი ზიანი უქმენითო. მათ თაყვანის სცეს და უშანგ ხელმწიფისაკენ გაემართნენ. რა ლაშქარში მივიდნენ და ოთხივე მხარე ლაშქრისა მოიარეს, გარდანქეშან გრძნეული ვერა სადა იხილეს. დიდად იამათ ამისთვის, რომე გარდანქეშანისაგან მრავალი ჭირი მოენახათ. რა უშანგისა კარავსა მივიდნენ, დარაჯთა ეძინათ და მათგანი მრავალი მოკლეს. რა კარვისა კართან წადგნენ, უშანგ-შას

აიართა ეძინათ და ნაჯახები თავით ეწყობოთ. რა მას ალაგსა ვერსით შეველეს, ერთსა მხარესა კარავი ხანჯლით გაარღვიეს და შიგან შევიდნენ. ხელმწიფე უშანგ ფალარათად ტანტზედა მძინარე იხილეს და გვერდთა მნათობნი ქალნი უწვნენ და მათცა ეძინათ. რა აიართა ესე ესრეთ იხილეს, მათ მწოლთა ქალთა და თვით უშანგ-შას ბანგი მისცეს და ვითა უსულო რა იქმნენ, ხელმწიფე უშანგ ზურგთა აიკიდეს, კარავთაგან უგრძნობლად გამოკლეს და ერთის მთისაკენ წაიყვანეს კაცთა უცნობელობისათვის. მათი საწადელი ეს იყო, რაჰინდთან გსრე მივიყვანოთ.

რა გარდანიქეშან აიარი, ესე იგი გრძნეული, დამე რაჰინდისა ლაშქართა შიგან შევიდა და ხელმწიფისა კარავსა მივიდა, თვალი მიმოავლო და ინდოთა აიარნი ვერა სადა იხილა, მობრუნდა და აიართა კარავსა მივიდა. ხმა უყო: აიარნო, თუ შინა ხართ, გამოვედით, რაჰინდ გიბრძანებსთო. რა არავინ გამოვიდა, იგრძნა, რომელ ივინი უშანგ-შას ლაშქარში წარსულ იყვნენ. დიდად შეწუხდა და სწრაფად რომელსაც გზაზე მოსულიყო, მუნვე მიიქცა და ერთისა მთისა წვერსა ზედა ავიდა. ინდთა ლაშქართა გარდახედა და მათსა სიმრავლესა კვირობდა, რომე ერთი თვალუწვდომი მინდორი სრულად ლაშქრითა სავსე იყო, რომელ თვალი არ გარდასწვდებოდა. რა ამა ხედვასა იყო, ყურთა ხმიანობა შემოესმა. მცირე წინ წადგა, ნახა, რომე ორს ქვეითს კაცს ზურგთა რალაც აუტვირთავს და მოდიან. მაშინვე გარდანიქეშანმან ხანჯალი ამოიღო და ფარულად ერთსა ალაგსა დადგა და მათსა საქმესა უმზერდა. რა იგი ორნი კაცნი გზასა ზედა მოვიდოდნენ, მათ გარდანიქეშანისა მუნ ყოფნა არ იცოდნენ და თვისსა ამბავსა მოლაპარაკობდნენ ესრეთ, რომე ჩვენი საქმე კარგად ამითი მოხდა, რომელ გარდანიქეშანი აქ არ დაგვესწრაო.

რა ესე სიტყვა გარდანიქეშანსა ესმა, ხმასა ზედან იცნა, რომე ერთი დუზდი ავსარ და მეორე შიქარგირ ინდოთა აიარნი იყვნენ. გულსა შიძან იამა და ეგრე თქვა: ღმერთო, კარგთა ნადირთა ვინადირებო და თვისის ხელმწიფის შეპყრობა ჯერეთ არა უწყობდა. ნაჯახნი მიწასა დაჰქრა და ვეფხსავით გარდახლტა. ეგრეთ შესძახა: ჰე, საწყალონო, სადა წახვალთო ხელთა ჩემთაგან, მე ვარ გარდანიქეშან აიარი, აწ ხანჯალსა ჩემსა ვითა გადაურჩებითო! რა ესე ხმა მათ აიართა გაიკონეს, საზარლად ამოიოხრეს, რომელი ზურგთა ეტვირთათ იგი განაგდეს და თვითონ გაიქცნენ, ერთი თვისისა ჯარისაკენ და მეორე მთისაკენ. გარდანიქეშანმან იფიქრა, ესე რომელი ლაშ-

ქართავენ წავიდა, არამც ხმა დაყაროს და საქმე საჭიროდ გახდეს, ამას გამოუდგებო. სწრაფად გამოუდგა და ქარივით უკან მიეწია და ნაჯახით მისსა სიკვდილსა ლამობდა. რა ინდოეთისა აიარმან თვისსა თავსა ესრეთ მოსრული საქმე ნახა, სახვეწრად ენა აუბნა. გარდანქეშანმან მისი ვედრება ისმინა, აღარ მოკლა, პირსა ესრეთი ძლიერი ხელი შემოჰკრა, რომე შეიღჯერ ყირაზედ გარდაბრუნდა და ეგრე გარდაიქცა. გარდანქეშანი შავარდენსავეთ სწრაფად ზედ შეახლტა, ორნივე ხელნი შეუყრნა და წინა წამოიგდო და მას ალაგსა მოვიდნენ, სადაცა ზურგიდამ ტვირთი გარდაეგდოთ.

რა გარდანქეშანმან დახედა, ნახა, შვიდთა იყლიმთა მპყრობელი ხელმწიფე ხელმეკრული და ბანგით შებნედილი ძევს. საზარელი სულთქნა გულით აღმოახდინა. მას აიარსა უთბრა: ჰე, წყეულო, ეს რა გიქნია? შენ არა მოგკლავ, ესე ხელმწიფე იტვირთე და ჩვენსავე ლაშქარსა მოიყვანეო! რა თვისისა ლაშქრისაკენ გამგზავრდნენ, განთიადისა ყამი მოახლოვდა. გარდანქეშანმან თქვა: არამც გზასა ზედა შემხვდეს ვინმე და ესე ხელმწიფე გამაგდებინოსო. მასვე მთასა შებრუნდა და ერთსა კლდესა, გაძოქვაბულსა შევიდნენ. მას გრძნულსა ხელ-ფეხი მაგრა შეუყრა. მუნ დააგდო, თვითან ანაზღად ძმარი სითგანმე მოიღო, ხელმწიფესა ცხვირთა ჩააწვეთა. მასვე წამსა ბანგი უკუქარდა, თვალნი აახვნა და თავისი თავი, ერთსა მთასა, კლდისა გამოკვეთილში იხილა. დიდად ეუცხოვა, სიზმრად ზმანება ეგონა და ეგრეთვე თვალნი დახუჭნა. რა მცირე ხანი გამოხდა, კვალად თვალნი აახვნა და მის წინა ერთი კაცი ხელფეხ-შეკრული მდებარე იხილა, მარჯვნივ მიიხედა და გარდანქეშანი ფეხზედ მდგომი დაინახა. დიდი იმედი მოეცა.

რა გარდანქეშანმან ხელმწიფე თვალახმული დაინახა, მიიჭრა და ფერხთა მოეხვია. ხელმწიფემან უშანგ ბრძანა: ჰე, აიართა სარდალო! ესე რა საქმეა, რომელი მომხდარა, ესე შეპყრობილი ვინაა და ანუ მე აქ რადა ვარო? გარდანქეშანმან პირველად ღმერთი აღიდა და მერმე ხელმწიფე დალოცა და ეგრე მოახსენა: ჰე, სახელოვანო ხელმწიფეო, ესე ალაგი ინდოსტანი და ქუისტანიაო. შეკრული ესე, რომელი აქა ძეს, ინდოთა აიარი არის, სახელად შიქარგირ ჰქვია. ჰე, ხელმწიფეო, შვიდთა იყლიმთა მპყრობელო, მე, მონა თქვენი, ინდოთა ლაშქრისაკენ წაველ და რა მათში მიველ, ესე აიარნი იქა ვერა ეპოვენ. სწრაფადვე გამოვბრუნდი და მთისაკენ წამოველ. თურმე ამა წყეულთა თქვენთვის ბანგი შეუსვამთ, თქვენებრი დიდი ხელ-

მწიფე ზურგთა უტვირთავხართ და თავეთთა ლაშქართა მიყავდით, გზასა ზედან ამათ შემოვხვდით. ერთი ეს არის, რომელი შეკრული ძეს და მეორე გარდამხვეწია. აწ, ხელმწიფეო, ამას სიფრთხილით უნდა მოქცევა, რომე ინდოთა ყარაულნი გზასა ზედან დგანან და ბრძანება თქვენი რა იქნებაო?

რა ხელმწიფემან ესე მოისმინა, გარდანქმანს ქება შეასხა უზომო და ეგრე უბრძანა: ჰე, მონაო ერთგულო, შენ ჩემთვის მრავალს ალავს თავდადებით ღიმსახურებიეს და აჰა ესე ყოველთა უმეტესი სამსახური შენი, რომელ ამა გრძნეულთა პყრობილობისაგან მისხენ! მაგრამ წყეული იგი ერთი აიარი, რომელი გარდაგხვეწია, ჩვენსა ამბავსა რაჰინდს აცნობებდა და საქმე არამცა ავად მოხდესო. მაშინ გარდანქმანმან პირი მიწასა დასდვა და ქებისა მადლობა კეთილმოუბართა ენითა მოახსენა და ესეცა ჰყაღრა: ჰე. შარიელო! აწ ჩვენთა ლაშქართა ჩემი მოლოდინი აქვსთ. თუ ბრძანება თქვენი ესრეთ იქნეს, მე აწვე სწრაფად წავიდე და ესე თქვენი ამბავი ყველა ვაცნობო და მუნითგან სახელოვანნი ფალავანნი თანა წამოვიტანო და თქვენსა წინაშე მოვიდეთ, რომე აქათგან წასვლასა გზასა ზედან მტერთაგან არა გევნოს რაო. ხელმწიფესა ესე სიტყვა მოეწონა და ჩქარად წასვლა უბრძანა.

გარდანქმანი თვისითა ხელოვნებითა მსწრაფლად წამოვიდა და თვისთა ლაშქართა შიგან ანაზღად გაჩნდა. პირველსავე მისვლასა ხელმწიფესა ხადუმთა და მხევალთა მადლად ხმიანობა და მოთქმატირილისა ხმა შორით მოესმა. რა გარეთ მდგომთა მონათა გარდანქმანი დაინახეს, მსწრაფლად შევიდნენ და მტირალთა მათ ბანოვანთა გარდანქმანისა მოსვლა მოახსენეს. იგინი თავშიშველნი ვამოცვიდდენ და რომელსა სახლსა შიგან ხელმწიფისა საჯდომად ტახტივანმზადებული იყო. მას ტახტსა ეხვეოდნენ და ბროლისა თითთა სუნელ კავზილდთა გლეჯასა იწყებდიან, ბროლისა მკერდსა იცემდიან და უცხოთა ხმითა მოსთქმედიან და მელნისა ტბათაგან წყაროსაებრ სისხლისა ცრემლსა მოადენდიან. რა იგინი ამა მწუხარებასა იმყოფებოდნენ, ანაზღად ყოველთა გრძნეულთა უხუცესი გარდანქმანი შინა შევიდა. ქალნი იგი მტირალნი, რომელნიმე შვენებით პხესა უმჯობესობდნენ და რომელნიმე მთოვარესა. წინა გამოეგებნენ და ტირილითა ეტყოდნიან: ჰე, ყოველთა ხელოვანთა უმჯობესო, შენ რომლისა სამსახურსა ზედან თავდადებულ იყავ. ესრეთ უფრთხილდებოდი. რომელ მისსა სიახლოესა მავნესა ფრინველსაცა არა



გარდააფრენდი, აწ ხელმწიფე იგი შეიძთა იყლიმთა მპყრობელი წყეულთა მათ გრძნეულთა წარუტაციათ, ტახტი და გვირგვინი მისი. ესრეთ ცარიელი დაუტევებიეს. გვაუწყე; თუცა მისისა სიცოცხლისა ამბავი იცოდე რამეო!

ამა საუბარსა ზედან, ვირემლის გარდანქეშანი ამბავსა იტყოდა, უშანგ-შას შვილი არდევან და ყარამან ტირილითა და თავსა ცემითა შემოვიდნენ, გარდანქეშანს ყელზე ეხვეოდნენ და ეგრე ეტყოდნენ: ჰე, ყოვლითა მამაკობითა სრულო. ყოველს ლაშქრობაში ხელმწიფეზე გაფრთხილებული იყავ, აწ ესე რა მოგვევლინა, რომ ველარა გაგვიგია რაო?! ესე თქვეს და ტირილითა თავსა ცემა დაიწყეს. ამჟამად გარდანქეშან აიარი არამს შიგან შეიყვანეს და ყოველნი მუნ მყოფნი გარდანქეშანსა შესცქეროდნენ, თუ რასა ამბავსა იტყვისო. მაშინ გარდანქეშანმან მათ პირმთვარეთა მოახსენა: თქვენ ნურასა შეიჭირვებთ. ხეგარდამოსა განგებთა ხელმწიფე უჭირველად არის. აწე მუნითგან მოვალო. რა ხელმწიფისა სიცოცხლე ბანოვანთა მათ მოისმინეს, აუარებელი თვალი და მარგალიტი უბოძეს და ყოველმან სულმან მოილხინეს. უშანგ-შას პირველი ცოლი, რომელი შვენებითა მზესა მოკამათობდა, ამა ამბისა სმენითა დიდსა სიხარულსა მიეცა. ერთი ასეთი ძვირფასი თვალი უბოძა, რომე ერთისა წლისა ქვეყნისა ხარაჯისა ფასი იყო.

ესე ამბავი დაეარდა ლაშქართა შიგან, ვითა ხელმწიფე აიართა მოუპარავთო. შეექნათ ჩურჩული და ერთი მეორესა ამბავსა კითხველიან. მაშინ ყარამან თვისსა ექვსფერხოვანს ნადირზედ შეჯდა და თავით ფეხებამდისინ ფოლადისა საქურველითა შეიჭურვა და ხელმწიფისა კარსა მოვიდა. ესეთი განრისხებული და ომისა მომდომებელი იყო, რომე მისის გულისა ძგერა შორად ისმოდა. ყათრანს შემოხედა და ეგრე არქვა: ჰე, ბიძისა ჩემისა ძეო, სადა არს ხელმწიფე ჩვენი და ანუ ესე რა დგომისა ჟამი არისო? ესეთი სახელოვანი ხელმწიფე ხელში ჩაუვდიათ და ესე ოდენნი სარდალნი უთაოდ შეუქნიათ, სადღა უნდა გამოჩნდეს სიმხნე ჰაბუკობისა ჩვენისაო! რა ესე თქვა, ესეთი საზარელი სულთქმა ღვიძლით აღმოახდინა, რომე მისნი მსმენელნი ვითა უცნობო იქმნენ. მაშინ ყათრანმან პასუხად უგო: ჰე, თვალთა ჩემთა ნათელო ყარამან, ესეთსა დროსა ვინ იქნება, რომე დაიყოვნოს, მაგრამ ჩემი მოცდა ეს იყო, ვითა გარდანქეშანი აიარი აქა არა იმყოფებოდა. იმედი მაქვნდა, რომე მაგას ხელმწიფის ამბავი ეცნა რამე და თქვენდა მოეხსენებინა. აწ ვმადლობ

დმერთსა, რომე გარდანქეშანი მოვიდა. აწ მივიდეთ და ამბავი შევიტყოთ.

მაშინვე მივიდნენ და გარდანქეშანს მიესალმნენ. ყარამან უთხრა: ჰე, ქვეყნისა ხელოვანთა თავო, ხელმწიფისა ამბავი რა იციო? გარდანქეშანმან დალოცა და მოახსენა: ფალავანთა უხუცესო, თქვენსა ჰაბუკობასა ესე ამბავი ესრეთ მოუხსენოს: ხელმწიფე ჩვენი ოთა გრძნულთა მოენადირათ და მე გზასა ზედან შევავდი. ერთი იგი აიარი შევიპყარ და მეორე გარდამეხვეწა. ხელმწიფე უვენებულად მათის ხელთაგან ვიხსენო. იგი გარდახვეწილი გრძნული ჩვენსა ამბავსა ინდოთა აცნობებდა და გზა შეკრული ექნებათო. მე მსწრაფლად გამისტუმრეთ და თქვენცა წამოდით, ხელმწიფე უვენებულად მოვიყვანოთო. რა სარდალთა ესე ესმათ, ბრძანეს და ყოველი სული ცხენსა ამხედრდა. ყარამან მარტო თვისი ექვსფერხოვანი ნადირი მთისაკენ გაქუსლა და წავიდა.

### აჲა დუზდი ავსარ გრძნეულისა და ყარამანისაგან ომი ძლიერი

რა ბილწი იგი დუზდი ავსარ აიარი გარდანქეშანსა გარდაეხვეწა, რაპინდის წინაშე მივიდა, თაჯი მოიხადა, მიწასა დასცა და მალლითა ხმითა ყვირილი იწყო. რა ესე ხმიანობა ინდოთა ესმათ, დიდად გაკვირვებულნი კითხვედნენ: რა მოხდა ესეთი, რომე ხელმწიფისა წინაშე ესრეთ იქცევით? მაშინ იწყო დუზდი ავსარ ამბისა მბობა, ვითა: ამის უძნელესი რაღა დაგვემართების? მე და შიქარგირ აიარი უშანგ-შას ლაშქარში მივედით, დრო დავეცით და უშანგ-შა მოვიპარეთ და წამოვიყვანეთ. ნარი-ურამ (ესე იგი მათმა სალოცავმა) საქმე მარჯვედ არ მოიყვანა. გარდანქეშან აიარი გზასა ზედან მომავალსა წინა შემოგვხვდა და საკვდავად მოგვინდომა. ვინათგან ჩვენი საქმე ესრეთ ვნახეთ, უშანგ-შა ზურგთა გვეკიდა, ძირსა ჩამოვაგდევით. მე მთისაკენ გავიქეც და ჩემი ამხანაგი აქეთ წამოვიდა. გარდანქეშანმან მე გამიშვა და ჩემსა ამხანაგსა გამოეკიდა. მე მოვინებე მიებრუნებულებიყავ და ხელმწიფე აგრეთვე ზურგთა მეტვირთა და წამომეყვანა, მაგრამ რა შეეხედე, გარდანქეშანი შვილის ნაბიჯის ზღტომით შიქარგირს მოეწია, ერთი ისეთი სილა შემოჰკრა, რომე შეიღზედ ყირაზედ გარდატრიალდა და მიწასა ზედან დაეცა და შე-

საპრობლად მას ზედან მივარდა. ვირემლის მას ჩემსა ამხანაგსა ხელთა შეუტრევედა, მე თავი ჩემი მოვარჩინე და გარდმოვხვეწე. მაგრამ იგი აიარი აწ მთაზედვე არის ამისთვის, რომე ანა ლაშქართა ყარაულისაგან ეშინიან და ერთის მხრისაკენ ვერსით წავა და უმანგ-შა ამავე მთაში ეყოლებათ.

რაჰინდმან რა ესე მოისმინა, დიდად გაკვირვებული არა მცირესა მწუხარებასა მიეცა და ეგრე ბრძანა: ეს რა სათაკილო საქმე დაგმართეაო ერთისა ქვეითისაგან. რომე თქვენ ორთა პასუხი ვერ მიგიციათ, შენი ამხანაგი შეუტყრია და შენ გამოქცეულ ხარო. დუზდი ავსარმან მოახსენა: ჰე, სახელოვანო ხელმწიფეო, რა იგი გარდანქეშანი ბრძოლასა იყოს, ყაფის ძთის დევენი მისგან შეძრწუნდებიან, მე მარტოს მისი ომი როგორ შემძლებოდა. ქვეყანისა მპყრობელო, ამა საქმესა გვიანობა არლა უხმს. რჩევა ესე არის: ბრძანე, ლაშქარი ცხენსა შესხდეს და ამა მთისაკენ წავიდნენ, უმანგ-შა ეგების ხელთ ვიგდოთო. რაჰინდმან ესე მოხსენება შეიწყნარა. ბრძანა, ქაბულ ჰინდი სამას ათასის გამორჩეულის ფალავნით წავიდეს და უმანგ-შას გზები შეუტრან. მას თან მისი მომხმარო არავინ მიუშვანო. ქეივან ჰინდს უბრძანა: შენცა სამას ათასი კაცი თან წაიტანე და მას მთასა მიმართე და უმანგ-შა მას ადგილებში ყოველგან მონახეო. რა ესენი მსწრაფად წარავლინა, რაჰინდცა მის მთისაკენ წაბრძანდა და ნარჩომნი სარდალნი და ლაშქარნი თან იახლა და უმანგ-შას შესაპრობლად გაემართა.

აწ ამბავი ესე დაუტეოთ და მცირე რამ უმანგ-შას ამბავი მოგახსენოთ: რა გარდანქეშანმან ხელმწიფისა ამბავი თქვა და ლაშქარნი წამოვიდნენ, მაშინ უმანგ-შას არამიდაპოთხმოცი ხაღუმი, თორმეტი ათასი ძიძა და ოთხ: ათასი ხოჯა ფოლადისა საჭურველით შეიჭურნენ და იგინიც მსწრაფლად მთისაკენ წავიდნენ. რომელსაცა გზასა ესენი წავიდნენ, ჩქართა სიარულითა თვისთა ლაშქართა გაუსწრეს და ინდოთა მომავალსა ლაშქარსა დაუპირისპირდნენ. რა ინდოელმან აიარმან დუზდი ავსარ ესენი დაინახა. სწრაფად მივიდა და ხელმწიფესა რაჰინდს მოახსენა, ვითა ესე მომავალი ლაშქარი უმანგ-შას ლაშქარი არის ლა მისი არამიო. მაშინ რაჰინდ ბრძანა და ასი ათასი გულოვანი მეომარი საომრად წინა მოაგება. ხაღუმნი მათგან არა შეშინდნენ და ქეივან-შას, რომელ სამასი ათასი მებრძოლი ახლდა, ხაღუმთა იმათ შეუტრევეს. პირველსავე მისვლასა მრავალი კაცი ცხენისაგან გარდმოაგდეს, მრავალთა ფალა-

ვანთა თავი მიწათა თანა გაასწორეს. ლაშქართა შიგან გაერივნენ: კარ. მოკალ. შეკარ, შეიპყარ! — ერთი მეორესა ხადუმნი ეძახდიან.

რა ესენი ბრძოლასა იყვნენ, ყარამან ექვსფერხოვანს და ოთხთვალოვანსა მხეცსა მჯდომი ერთის მხრით მოვიდა. რა ამათ ომსა შემოხედა. იხილა, რომე ერთი მურასად მორთული ქალი ზღვისა ოდენსა ლაშქარსა ებრძვის და მრავალსა კაცსა ხოცს. ყარამან დიდად გაკვირდა მისსა ეგეთსა ძლიერებასა და არა უწყოდა, თუ ვინ იყო. მაშინ შირფანჯა აიარი მოვიდა და ყარამანს იგი მებრძოლი აცნობა, ვითა ეგე დილშად დედოფალი არს ჩვენით. რა ყარამან მისი ეგეთი სიმხნე იხილა. ქება დიდი შეასხა და მტერთა საშინელითა ხმითა შესძახა, მხეცსა ქუსლი შემოპყრა და ლაშქართა შიგან გაერია. კაცსა უნაგირიდალმე მოხდიდა. მეორესა შესტყორციდა და ორნივე უსულლო იქმნებოდიან. რომელსაც ავეყანდიანს ფეხსა მოახვედრებდა, მიწასა თანა გაასწორებდა და რომელსაც თავსა ხმალსა დაჰკრავდა, ცხენითურთ შუა გაჰკვეთდა. რომელსაც მხარესა შეუტევდის, მისი ნახოცი მკვდარი მკვდარსა ზედან გორასავით შედგებოდა. მეორესა მხრიდამ დილშად დედოფალმან შემოხედა, იცნა, ყარამან თვისსა ექვსფერხოვანს ნადირზედ მჯდომი ინდოთა ლაშქართა შიგან გარეულა. ეგეოდენი ამოუწყვეტია, რომე სისხლისა ღვარსა მრავალი კაცი მიჰქონდა.

რა ყარამანისაგან ეგეთი ზიანი და მკვდარი ნახა, ქება შეასხა და ცხენი მიჰკენ გააჰვნა. რა ახლოს მივიდა. ეგრე უთხრა: შვილო ყარამან, დღეს დღე არის იგი, რომელ თავი ჩვენი ხელმწიფისათვის დავდვით და მტერთა მამაცად ვებრძოლოთო. ესე თქვა და ლაშქართავე შეუტევა და მრავალი სახელოვანი ფალავანი მოკლა. ამჟამად ყარამან. ომისა სურვილით მოწადინებან. ხელეუბნი გვერდებზე შემოიხეცია, ერთი ასეთი საშინელის ხმითა შესძახა, რომე მისსა მსმენელსა ესრეთ ეგონათ. ანუ ცა ქვეყანასა დაეცა და ანუ მეორედ მოსვლის საყვირისა ხმა არისო. სრულად იხდოთა ლაშქარნი ამა ამბისა სმენითა შეძრწუნდნენ. რა იგი ხმა უშანგ-შას მიესმა, მის პყრობილის აიარის ნაჯახი ხელთა აიღო და კლდისა ქვაბითგან გარეთ გამოვიდა. ერთსა ალაგსა დადგა და ლაშქართა უქვერტდა. თვალუწვდომი მინდორი სრულად ლაშქრითა სავსე იყო. რომელიმე იმათგანი მთისაკენ მივიდოდნენ და მათ მიმავალთა ზედან ძლიერი ბრძოლა იყო და ყარამანის ხმიანობა ხშირად და ხშირად ისმოდა. მაშინ ხელმწიფემან უშანგ პირი მიწასა დასდვა და ღმერთსა ჰმადლობდა. ყარამან ეგე-

ოდენთა ლაშქართა შიგან გარეული ვეშაპსავითა ბრდღვინეედა და მოლაშქრეთა თავი ხეთა ფურცელსავით მიწასა ზედან სცივოდა. მას დღესა ვინ აღრაცხევდა ნახოცსა ყარამანისასა!

ინდოთა ლაშქართა შიგან ერთი სახელოვანი ფალავანი იყო, რომელსა სახელად ქაბულ ინდი ეწოდა. რა ყარამანისა ესრეთი გაფიცებულნი ომი ნახა, განრისხებულმან მარტორქა მოქცლა და ყარამანს მოუხდა. პირბასრი შუბი მოუმართა და თვისითა ვანგებითა მას ზედან აგებასა უპირობდა. ყარამან შუბი იგი აიცილუნ., მოუბრუნდა და მას ქაბულ ინდსა მკერდსა შუბი აძგერა და ბექთა გაარონინა. იგი ფიცხლად გადავარდა. რა ინდოთა სახელოვანთა ფალავანთა იგი იხილეს. მათგანნი მრავალნი მოუხდეს და ყარამანს გარე შემოერთუნეს და ომი ძლიერი შეიქნა. მათგან ზოგი დახოცა ყარამან და სხვანი თვისსავე ლაშქარში მივიდნენ.

ამჟამად უშანგ-შას სარდალნიცა ურაცხვის ლაშქრით მოვიდნენ და გარდანქეშანი წინა მოუძლოდა. სადა ხელმწიფე უშანგ ეგულეზოდათ. მას ალაგს მივიდნენ. გარდანქეშანმან ხელმწიფეს ცხენი მიართვა, უშანგ-შა მას ზედან შებრძანდა. მაშინ ყარამანცა ხელმწიფისა სიახლოვსა მიიწია, გარდახდა და პირი მიწასა დასდვა. ხელმწიფემან უშანგ ყარამან ახლოს მიიყვანა, შუბლსა აკოცა და მისისა ნახვისათვის დიდსა სიხარულსა მიეცა. რა მითთ ჩამოვიდნენ, შეხედეს, ინდოთა ლაშქარი, თხუთმეტი ასი ათასი კაცი თვისის სარდლებით რაზმდაწყობილნი დგანან და უშანგ-შას ლაშქართა ებრძვიან. ბარამ ჯიბილი და სხვანიცა სარდალნი მოედანსა შიგან განსრულახ და ბრძოლა დიდი შექნიათ. აქათგან ყარამან რა ესე იხილა. ინდოთა ლაშქართა შეუტრია. ერთი ესეთისა საზაროსა ხმითა შესძახა, რომე ინდონი მრავალნი ცხენისაგან გარდმოვარდნენ. ზოგნი უსულო იქმნენ და ზოგთა ცნობა დაეკარგათ და გასაქცევლად სადავენი მიიბრუნვეს. ყარამან მიეწია და მათგან მრავალი კაცი მოკლა.

ამა გაქცეულმან ლაშქარმან რაჰინდის ურდოსა მიაწიეს. ამისი მხილველი ინდოთა ხელმწიფე რაჰინდ დიდსა მწუხარებასა მიეცა. თვისთა სარდალთა უბრძანა: რა მოხდა ესრეთი. რომე ესრეთ გამოიქეცითო? მათ პირი მიწასა დასდვეს და მოახსენეს: ჰე, სახელოვანო ხელმწიფეო, იგი კაცი, რომელი ექვსსა ფერხოვანსა ნადირზედ ზის, დღეს იმან ქაბულ ფალავანი მოკლა და ჩვენცა გამწყარალმან შენიგვიტია. ესრეთ დაგვფანტა და აწ განრისხებული შენზედა მოკლა. ხელმწიფეო, გაფრთხილდი, რომე ამა ჩვენთა ლაშქართა მისი ბრძო-

ლა არ ძალუტო. დადათუმცა ყაფის მთისა დევნი სრულობით აქადა იყვნენ, მისი პირისპირ ომი არ ძალეღებისტო, ხელმწიფე თვისსა თავსა გაუფრთხილდესო. რა ხელმწიფეს ესე მოხსენდა, ანაიდად შიხედა, ნახა, ყარამანს ბასრი ხმალი ხმელთა უჭირავს და ექვსფერ-ხოვანს ნადირზედ ზის და ლაშქართა შემოერთა. რომელსაც მხარესა შეუტევს, მისსა ომსა ვერვინ იკადრებენ, მაშინვე გაიქცევიან.

რა ინდთა ხელმწიფემან ესე ესრეთ იხილა, მაშინვე ბრძანა, ომისა გასაყარსა საკრავსა კართო. მათ ფიცხლავ დაუკრეს. რა ყარამან ომის გაყრის საკრავის ხმა გაიგონა, დიდად მოიწყინა და მაშინვე თვისსა მხეცსა სადავე ასწივა და თვისსა ლაშქრისაქენ გამობრუნდა და ყოველნი მეომარნი თვის-თვისად წავიდნენ. მას დღესა ოცდაათი ათასი ინდი მომკვდარიყო და თორმეტი ათასი ერანელთაგანი. ხელმწიფემ ბრძანა და მკვდარნი მიწასა მიაბარეს.

იქით რაჰინდ თვისითა ლაშქრითა გარდახდა და სანგარი შემოივლო. ინდოთაგანნი რაცა უფროსნი კაცნი დახოცილიყვნენ, ქაბულისაგან კიდე, ჩვეულებისაებრ ცეცხლში დაწვეს და ქაბულს კუბო შეუკრეს და უმანის ქალაქში თვისსა ძმასა სპანდიერ ბარს გაუგზავნეს, რომელსა ოთხმოცდაათი წყრთა სიმაღლე ჰქონდა და სამი ათასის ლიტრის ლაბტსა ხმარობდა. ინდოთა ხელმწიფესა რაჰინდს ერთი ასული ესვა, რომელსა სახელად სარვიხურამან ეწოდა. დიდად შვენიერი და ძლიერებითა წარჩინებული. სპანდიერი ამა ქალისა ამიყი იყო, მაგრამ საცხადოდ ვერ გამოეჩინა, ამისთვის, რომე ამა ქალსა აღთქმა დაედვა: ვირემდის ჩემი მომრევი ფალავანი არ გამოინდეს, მე სხვა ვინმე ქმრად არა შეეერთო. ამჟამამდენ ვინცა ფალავანი შებმოდა, ყველაქასა მორეოდა, ზოგნი დაეხოცა და ზოგნი ეაზატებინა. სპანდიერცა ამისთვის ზეპირად ვერასა იტყოდა, რომე მორევისაგან ერიდებოდა და გულსა შიგან მისსა სიყვარულისა ტვირთი მრავლად ჰქონდა.

მას ქალისა ჩვეულება ესრეთ იყო: ყოველსა წელიწადს შვიდ დღეს მეჯლიშს იქმოდა და ყოვლისა ქვეყნისა ხალხთა მოიწვივდა ამისთვის, რომ ყოვლის ქვეყნის ხელმწიფის ძენი და სახელოვანნი ფალავანნი მოვიდოდინან. მათსა ქაბუქობასა გამოსცდიდა, მაგრამ მისის ომის გამსწორებელი ვერავინ გამოჩნდებოდა. და ესე ქალი იმჟამად თვისსა საუფლისწულოში იმყოფებოდა. რაჰინდმან სპანდიერის დაბარებაც ბრძანა და თვისის ქალის სარვიხურამანისაცა. მიუწერეს საანდიერს წიგნი ესე ესრეთ: „დიდი ხელმწიფე ინდოეთისა

რაჰინდ, მოგიწერ შენ, პირველსა სარდალსა და სახელოვანსა ფალავანსა სპანდიერს. პირველად მოკითხვასა და შედეგით ესე ამბავი ვეუწყოს: უშანგ-შასაგან ჩვენთა ლაშქართა დიდი ზიანი დაემართათ და მისმან ფალავანმან ყარამან, ძმა შენი ქაბულ მოკლა. აწ წარმოვედ და მიიღე ჩვენგან ნიჭი დიდი, ჟამი არს სისბლთა ძებნისაო“. ქაბულ კუბოსა ჩააწვინეს, იგი კუბო და წიგნი საჩქაროდ გაგზავნეს. თვისსა ქალსა სარვიხურამანს წიგნი მიუწერა, უშანგ-შასაგან და ყარამანისაგან შესჩივლა და საჩქაროდ დაიბარა.

რა ესე წიგნი გაათავეს, ხელმწიფემან ბრძანა: ოცდაათი ათასი ინდონი, რომელ დახოცილიყვნენ, მათ მკვდართა მოგროვება და ცეცხლში დაწვა. დიდებულთა უბრძანა: ესენი ცეცხლისათვის მოწამენი შეიქნენო. მოიღეს შეშა და აღაგზნეს ცეცხლი დიდი და ესე მკვდარნი ერთობითა დაწვეს. ხელმწიფემან და მისმან დიდებულმან მას ცეცხლს ოთხსავე მხრით თაყვანის სცეს და მერმე თავ-თავისად გაიყარნენ. მას ღამესა მოისვენეს.

ოა დილა გათენდა და ქვეყანასა მნათობმან მზემან ოქროსა ბურჯი ამართა და ქვეყანა თვისთა ბრწყინვალეობითა განანათლა, ორისავე მხრით ორთა დიდთა ხელმწიფეთა ლაშქარნი დარაზმდნენ და საომარსა ნადარასა ჰკრეს. ყარამან საომრად შეეკაზმა და თვისსა ექვსფერხოვანსა და ოთხთვალოვანს მხეცსა შეჯდა, ხელმწიფის კარსა მოვიდა და ეგრე დადგა. სხვანიცა ფალავანი მძიმედ შექუტრვილნი, ზოგნი მარტორქასა მსხდომნი და ზოგნი ცხენსა, მოვიდნენ და იგინიცა დადგნენ. ამჟამად გარდანქეშან. აიარი, შვიდნი სხვანი სახელოვანნი აიარნი, ხელთა ხანჯლისა მქონებელნი და მათ თანა ორმოცდოთხი სხვანი აიარნი, მძიმითა მორთულობითა მოკაზმულნი, მოვიდნენ, ყარამანს და სხვათა დიდებულთა თაყვანისცეს, შეველეს და ხელმწიფისა საწოლსა შევიდეს. გარდანქეშანი ტახტის წინ წადგა, ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო შვიდთა იყლიმთაო, თუ ნება თქვენი იქნება, ერანთა და თურანთა დიდებულთა თაყვანისცემა თქვენი სურისთო. მაშინვე ხელმწიფემან უშანგ ძვირფასი სამოსელი შეიმოსა. საომრითა იარაღითა შეიკაზმა, ცხენსა შეჯდა, იგი აიარნი წინ წამოუძღვნენ და თორმეტი ათასი შინაყმა ჯაჭვითა და მუზარადითა საომრად შეკაზმულნი უკან მოყვებოდნენ და ეგრე გამობრძანდა. ყარა-

მან და ყათრან კართა ზედა დახედხენ, თაყვანის სცეს და ქება შეასხეს. და თანა ეახლნენ. ხელმწიფე მოედანზედა მობრძანდა. ლაშქარნი რაზმდაწყობილნი და წინათ ფალავნები, მათი განწესებული რიგით და რიგით მოვიდოდნენ, ხელმწიფეს თაყვანის სცემდნენ და აგრევე თვისთა ალაგსა დადგებოდნან. ესეთი საკვირველი სანახავი იყო. სპარსთ ესრეთ აღუწერიათ: ზეცით ანგელოზნი უქვრეტდნენ და განკვირდებოდნანო. ბარამ ჯიბილი, რომელი მეწიხავე სარდალი იყო, მოვიდა. ხელმწიფესა თაყვანის სცა, დალოცა და ქება შეასხა და თვისსა ალაგსავე დადგა. ეგრევე მემარჯვენენი და მემარცხენენი სარდალნი და ფალავანნი წესისაებრ მოვიდნენ, თაყვანის სცეს და თვისსავე განწესებულსა ალაგსა დადგნენ.

ყარამან და ყათრან შვიდასის ფალავნით ხელმწიფის ახლო წინ უდგნენ. ყარამან ხელმწიფესა მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო, დიდებით ამალღებულო! თქვენ თქვენსა ბედნიერსა ტახტსა დაბრძანდით და დღეს შენთა მონათა ომსა უქვრიტეთო. ხელმწიფე ტახტსა დაბრძანდა. მესტროლაბელნი იქით და აქათ უდგიან და ყველას სტროლაბი ხელთა უჭირავსთ. იქით რაჰინდ ტახტზედან დაბრძანდა, ორმოცი ასი ათასი მეომარი ინდონი მოვიდნენ, ხელმწიფე დალოცეს და მათცა საომრად რაზმი დააწყევს, აგრევე წინა მავალნი ფალავანნი თვისსა ალაგსა განწყვენეს. მოახსნეს მეომარნი სპილონი ურიცხვნი და სრულად ეგრე შემოირტყეს. იქითგან ინდონი კარგმემშვილდენი გამოვიდნენ და აქათგან ერანელნი. ერთმანეთსა, ვითა წვიმა, ისარსა დაასხმიდნან.

ინდოთა ფალავანი ვინმე იყო, რომელსა სახელად ბარამ ინდსა უხმობდნენ. იგი მძიმედ შეჭურვილი იყო და მოედანსა შიგან საომრად გამოვიდა. ამაყად რასმე იქცეოდა და ცხენსა აბრუნებდა. ორსავე ყურში მძიმე საყურე ეყარა და ლომსავით ბრდღვინვიდა და ერანით ფალავანსა გამოითხოვდა. ბარამ ჯიბილმან რა ესე ესრეთ ამაყად ნახა, ცხენი გაიგდო, იქითგან ბარამ ინდმან შემოუტევა. რა ერთმანეთს დაუსწორდნენ, ვირემდინ ინდი ლახტსა დაჰკრავდა, ბარამ ჯიბილმან სარტყელსა ხელი ჩაუგდო, ცხენისაგან მოხადა, წინა შემოიღვა, ერთი ხელი კისერსა ჩაავლო და მეორეთი ტანსა მოეკიდა. მედგრად გასწია და ვით მცირესა მფრინველსა, ეგრე თავი წასწყვიტა და მოედანსა ზედან გარდაავდო. რა ესე სიმხნე ბარამ ჯიბილისაგან ორთავე ლაშქართა ნახეს, ქება დიდი შეასხეს.

ამისი მნახველი ქეთალ ინდი მოედანსა გამოვიდა და ბარამ ჯი-



ბილის წინ მოასწრო და ერთი ლახტი უეცარი თავსა დაჰკრა. ბარამ ჯიბილი მოუბრუნდა და მანცა ლახტი მოუქნია. ინდომან თავსა ლახტი იფარა, ლახტი ლახტზედან მოხვდა და მის ლახტებისაგან საშინელი ცეცხლი გამოხდა. ბარამ ჯიბილმან გამწვარალმან მეორე ლახტი მოუქნია. ქეთალი ინდმან თავსა ფარი იფარა. ფარი ორად გასქდა და თავსა ესრეთ ძალიან მოხვდა. რომე თავი გეამსა შიგან ჩაუძვრა. და იგი საწყალობელი ცხენისაგან გარდმოვარდა. რა ინდთა ფალავნებმან ესე ნახეს, სხვანიცა გამოვიდნენ და თვითოთ თითოთ შემოვებმოდიან. შემოკლებით მოგახსენოთ: მას დღესა ას სამოცი მოწონებული ინდოთა ფალავანი ბარამ ჯიბილის ხელისაგან მოკვდა. ამისი მნახველი უშანგ-შა ბარამ ჯიბილს ქებასა შეასხმიდა. ინდოთა ფალავნებმან ესე საქმე ითაილეს და ერთობით ბარამ ჯიბილს შემოუტიეს. რა ბარამმან მათგან შემოტევება ნახა, ღვთისა სახელი ახსენა და მანცა შეუტია.

უშანგ ხელმწიფემან რა ესე იხილა, ყარამანთან მდგომს ვისმე თვალი უყო მიშველებებისათვის და ერანელთა სისხლის მღვრელთა ფალავანთა შეუტიეს. შეიქნა ომი ფიცხელი და მრავალთა ფალავანთა თავი მიწათა ზედან უპატიოდ ეყრებოდა. ინდოთა ლაშქართა შიგან ერთი სახელოვანი ფალავანი იყო, სახელად ზორაბს უწოდებდნენ. მას დღესა ათორმეტი ფალავანი მოკლა ერანელნი და გარისხებული ლაშქართა შიგან ვლიდა. ამა ზორაბს ყათრან შემოხვდა და ორთავ ერთმანეთს შეუტიევს. შეექნათ ომი ძლიერი, ვირე მწუხარისა ეამამდე და ვერა რომელმან აჯობეს. მწუხარისა ეამაა გასაყრელსა ნალარასა ჰკრეს და ყველანი თავთავისად გაიყარნენ. ხელმწიფემან უშანგ ბრძანა ერანელნი ათორმეტნი იგი ფალავანნი. რომელ დახოცილიყვნენ, მათი მოღება. მოიღეს დასამარხავად. მაგრამ რა ხელმწიფემან იგინი ნახნა, თვალთაგან ცრემლნი გადმოადინნა, დიდებულთა თვისთა უბრძანა: დღეს ესე ფალავანნი ვისი ხელითა დაიხოცნენო? მათ მოახსენეს: ინდოთა ლაშქართაგან ერთი ფალავანი გამოვიდა. რომელსა სახელად ზორაბ ეწოდების. ესე ფალავანნი მან დახოცა. მერმე ყათრან და იგი შეიყარნენ. მწუხარამდიონი აბრძოლეს. რა გაყრისა ნალარასა კრეს. იგინიცა ერთმანეთსა მოშორდნენო.

რა ხელმწიფესა ესე მოხსენდა, თვისთა დიდებულთა უბრძანა: ერთმან მეომარმან რომ ესოდენნი ფალავანნი დახოცოს და ყათრანს ომი გაუსწოროს, იგი ავი ფალავანი არა იქნებისო?! ჩვენთა ფალავანთა უთხარით, მისგან გაფრთხილდნენო. იგი დახოცილნი მიწასა

მიიბარეს. წუხდნენ ერანელნი მათისა დახოცისათვის. იქით რაჰინდ თვისითა დიდებულებითა, თვისსა სანგარსა გარდახდა და ნადიმი დაიდვა, ზორაბს საქონელი ურიცხვი და ქვეყანა მრავალი უბოძა.

სამსა დღესა ლხინითა განისვენეს, მეოთხესა დღესა გარდანქე- შან აიარი ინდოთა ლაშქარში მივიდა, ეწადა თუმცა დუზდი ავსარ აიარი ხელთა ეგდო, მაგრამ ვერა სადა ჰპოვა. გაბრუნდა და ქეივან- შას კარავსა მივიდა, მისთა დარაჯთა წამალი რამე შეაყარა და ვითა უსულო იქმნენ. თვითან კარავსა შიგან შევიდა. რა ქეივან- შამ შემო- ხედა და გარდანქეშანი დაინახა. ესრეთ შეშინდა, რომე უცნობო იქმნა და ველარა თქვა რა. გარდანქეშანმან ხელი შეუტკრა, წამოიყვანა და საპყრობილეში, საცა შიქარგირ დაქერილი იყო, იგიცა მას თანა შეიყვანა. და თვით გამობრუნდა. შიქარგირმან რა იგი პყრობილად ნახა. საზარლად ამოიოხრა და ეგრე თქვა: ბრალი არს შენებრ ხელ- მწიფისა საპყრობილეში ყოფნაო. ქეივან- შამ შიქარგირ ხმაზედან იცნა და ეგრე არქვა: აიარო, ჩვენი საქმე უშანგ- შასთან როგორ მოხდებისო? შიქარგირ მოახსენა: მე ესრე ვგონებ, ხელმწიფე ესე ქვეყანასა ჩვენსა დაიპყრობსო და თუმცა კეთილად ვმსახურეთ, პა- ტივიცა ჩვენი ინდოთაგან ამან უკეთ იცისო. შემცოდე ვართ, ამის- თვის მაგას გამოვექცეით და აქამდინ ინდოთა ვემსახურენითო. მაგრამ ერანელთა ხელმწიფე დიდად მოწყალე არისო.

რა ესე პყრობილნი ამა საუბარსა იყვნენ, ოთხსავე მხარეს საო- მარსა საყვირსა შებერეს და ორთაგანვე მხრით საომარნი იარაღნი,— ხმალი, ლახტი, შუბი და ისარი ერთმანეთსა ემღერებოდნენ. ერანელნი და თურანელნი სარდალნი ცხენსა შესხდნენ და ხელმწი- ფისა კარსა მივიდნენ. გარდანქეშანიც მოვიდა, დიდებულთა თაყვან- ნის სცა, შევლო და ხელმწიფესთანა შევიდა. პირი მიწასა დასდვა, დალოცა, ქება შეასხა და ესრეთ მოახსენა: ჰე, მაღალო ხელმწიფეო, სარდალნი ერთობით კართა ზედან დგანან და ბრძანებასა თქვენსა ელიანო. ხელმწიფე ზე იდგა, საომარი აბჯარი შეისხა და დიდებით მოედანს მოვიდა. აიარნი, სარდალნი და სულტანნი წინა მიეგებნეს, თაყვანის სცეს და ქებანი შეასხეს. დიადი რაზმი აწყვეს და წინათ ფალავანნი განწესდნენ. იქით ინდონიცა რაზმ- წყობილი მოვიდნენ.

ერთი ინდოელთა ფალავანი მოედანზე გამოვიდა და ერანელთა ფალავანი მრავალი მოკლა, რომე ზორაბისაგან ეს უნამეტნავესობდა. ვერავინ იცნა. თუ რომელი ფალავანი იყო. რა ყარამან ნახა, უომრო- ბა ველარ გასძლო, მოედანსა ვასვლასა ლამობდა. ვირემ გავიდოდა,

მარცხნისა მხრიდან ერთი ყვირილისა ხმა მოესმა და ფალავანი მძიმედ შექურვილი გამოვიდა. რა სწორად შეხედა, იცნა, რომ ბარამ ჯიბილი იყო, მისი ომი მას დაანება. ერთმანეთსა ნავარდი შემოუვლეს, მცირესა ხანსა იბრძოლეს, ბოლოს განრისხებულმან ბარამ ჰკრა ხმალი და მოკლა ფალავანი იგი ინდოთა. რა ზორაბ ინდომან ესე ნახა, გამწყრალმან ხელთა ლახტი აიღო და მოედანზედ გამოვიდა, ბარამ ჯიბილს მოუხდა და თავსა ლახტი მოუქნივა. ბარამმან იგი ლახტი აიცილუნა. ერთსა საათსა ერთმანეთსა საომრითა იარაღითა ებრძოლეს და ვერა რომელმან აჯობა. ზორაბმან ჯაჭვისა კალთაში ხელი ჩაუგდო და ცხენისაგან აღებას ულამოდა. რაზომსაცა ეცადა, ბარამ, ვითა მთა, ვერა შეძრა. მერმე რიგი ბარამს ერგო, ამანცა ხელი ჩაუგდო, სახელი ღვთისა ახსენა, ზორაბ აზიდნა, მარტორქისაგან აგლიჯა, ცალის სელით მალლა დაიჭირა, დაიქნია და მიწასა დასცა.

რა აიარებმან ესე ნახეს, სწრაფლად გაექანენ, ზორაბს ხელნი და ფეხნი მაგრად შეუკრეს, მიიყვანეს საპყრობილესა და პყრობილებთან შესვეს. რა ბარამისაგან ესე ნახეს, მისი შიშით მოედანზედან ფალავანი ველარავინ გამოვიდა და ათასი მეომარი სპილო ბარამს მიუსიეს და მრავალი საგდებელი გარდმოაყარეს. რა ბარამ ესე ნახა, ლახტი მოაწოდა და სპილოებსა შუაგულობასა შევიდა. რომელსაც სპილოს თავსა ლახტი ჰკრა, ტვინი გარდმოადინა, რომელსაც ხორთუმში მოახვედრა, მთლივ მოსწყვიტის და შორს გარდავარდის. სპილოზედ მსხდომან ფალავნებმან ყოელისავე მხრიდამ საგდებლები გარდმოაყარეს. ზოგი კისერზედ და ზოგი წელს და მკლავს გარდააცვეს და ეგრე გასწივეს.

რა ესე ესრეთ შეიგდეს და შეიპყრეს ბარამ, ყარამან ერთის მხრით შემოუტია. ერთი ესეთი შესძახა, ცა-ქვეყანისა დაცემისა ხმასა გვანდა. ნახეს, ყარამან თვისსა ექვსფერხოვანსა ნადირზედ იჯდა, მისი ოდენი ლახტი ხელთა ჰქონდა და ამაყის ქცევით მოედანსა მოვიდა. მისის შიშით სპილონი დაფრთხნენ. მიუხდა, სპილონი ზოგი დახოცნა ზედ მსხდომის ფალავნებითურთ და ზოგნი დაწყვიტნა და დაფანტა. რა მისგან მოიცალა, მერმე ლაშქართა შეუტია, წინა რაზმი უკანა მოაქცია და უკანა წინა. მარჯვენა რაზმი მარცხენასა ჰკრა და მარცხენა მარჯვენასა. ინდოთა ლაშქარი ესრედ არია, რომე მათგანმანცა ერთმანერთი მრავალმან მოჰკლა.

რა ხელმწიფემან უმანგ ესე იხილა, დიდად მოხარულმან სარ-

დალთა და ფალავანთა უბრძანა: ყარამანს მარტოსა ნუ გაუშვებთო. რა ფალავანთა ესე ესმათ, რამდენნიმე ფალავანნი უკანა გაუდგნენ და მას თანა მიაწიეს. ნახეს, ყარამან მტერზედან განრისხებულა, ღრუბელსავით გრგვინავს და მხეციცა მისი ესრეთ გამწყრალა, რომელ სამტეროდ მაზედან მისვლა სულიერსა არა შეუძლიან. ინდონი მრავალ გზის ეცადნენ, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. კვალად განრისხებულმან ყარამან ლაშქართავე შეუტია და ათას შვიდასი კაცი ჩამოაგდო. შეხედა რაჰინდს, ოთხსავე მხარესა ოცდაათი ათასი სპილო სანგრად შემოევლო, ერთსა სპილოსა ძვირფასი ტახტი ედგა და ხელმწიფე მას ზედან ბრძანდებოდა და ლაშქართა ბრძოლასა ეპკრეტდა. რა ყარამანმან ხელმწიფე დაინახა, მსწრაფლ შეუტია და განრისხებულმან საშინელითა ხმითა შესძახა.

რა იგი საზარო ხმა ლაშქართა ესმათ, ვითა უცნობო იქმნენ და ერთმანერთში აირივნენ. მრავალნი კაცნი ცხენისაგან გარდმოვარდნენ და სპილონი ზოგნი დაფრთხნენ და ველთა მირბოდნენ. ამისნი მხილველნი ინდონი სირცხვილეულობდნენ. მაშინცა იგი მეომარნი სპილონი ყარამანზედან მოუშვეს და სრულად გარე შემოერთყნენ. რა ყარამან თავი თვისი სპილოთა შუაგულობასა შემწყყვედელი იხილა, ხელნი გვერდებსა შემოიხვია, ერთი ასეთი შესძახა, რომე მას ზედან სამტროდ მომავალნი მრავალნი უკუიქცნენ და მომსვლელთაცა ცნობა დაეფანტათ. უშანგ ხელმწიფესა და მისთა ფალავანთა ენებათ, რომე ყარამანის სიახლოეს მიეწიათ და მტერთაგან ზურგი შეენახათ, მაგრამ სპილოთა სიმრავლისაგან მისვლისა გზა ვერა იშოვნეს. მეწინავეთა ლაშქართა შეუტიეს, მათგან მრავალი კაცი მოკლეს, მაგრამ ყარამანისა სიახლოვესა ვერცა ეგრე მიაწიეს.

მაშინ ყარამანს ერთის მხრიდამ ორმოცი სპილოზედ მჯდომი სახელოვანი ფალავანი მოუხდა და საგდებლები გარდააყარეს. მეორეს მხრიდამ ოთხმოცმან სხვა ფალავანმან საგდებლები გარდმოაგდეს. ამა საგდებელთაგან ოთხმოცი საგდებელი ყარამანს თავსა გარდაეცვა და ყოვლის მხრიდამ ძალისა მათისაებრ გასწიეს, ენებათ, რათა მხეცისაგან გარდმოეგდოთ. მაშინ ყარამანმან მათ საგდებელთა მოსწია და მათნი ალყანი ერთად მოკრიფნა. უეცრად ესეთისა საშინელისა ხმითა შეჰყვივლა, რომელ მისთა მსმენელთა ინდოთა ლაშქართაგან მრავალთა სული გვამთა განეშორათ. რაჰინდ მის ხმისა შიშითა უცნობო იქმნა და მცირეს ხანს შებნედილი იდგა. რა გონებადვე მოვიდა, თვისთა ვაზირთა უბრძანა: ეს რა ამბავი იყო, რომე ესრედ

ცნობა მიგვეფანტაო? ერთმან ვაზირმან მოახსენა: ჰე. დიდებულო. ხელმწიფეო, ფალავანი იგი, რომელი სპილოთა შუაგულობასა იბრძვის, იმან საზართა ხმითა შემოგვეყვილა და მასვე წამსა ფალავანთაგან ჩვენთა ჰკუა დაგვეფანტა და უცნობო ვიქმენითო.

მაშინ რაჰინდმან ბრძანა: ფალავანსა მაგას ნეტარ გული ფოლადისაგან შექმნილი ექნება თუ არაო?! რა ამა საუბარსა იყო და ხელმწიფემან ყარამანს შეხედა, მაშინ ლომმან ლომთამან ყარამან საგდებლები იგი მკლავსა გარდაიხვია და ესრეთ ძალიანი გამოზინდა, რომე ოთხმოცი იგი ფალავანნი ძირს გარდმოყარა. ამისა მხილველმან რაჰინდ ბრძანა გამორჩეულთა სპილოთა ყარამანზედან მიშეება. მათ ეგრე ჰქნეს. მწუხრისა ჟამამდინ ბრძოლა ძლიერი იყო, მრავალო სპილო მოკლა, მაგრამ მაშინცა აღარ მოეშვნენ. რა ქვეყანამან სიბნელითა შავისა უფსკრულისა მსგავსება დაირთო, ოთხსავე მხარეს სპილოთა სანგარი შემოავლეს და ყარამანს გამოვლისა გზა აღარსით მოსცეს. ადგილ-ადგილ მაშხალანი დაახტეს და ეგრე იბრძოდეს მას ღამესა განთიადამდინ. სამი ათასი სპილო მოკლა, მაგრამ ომი არცა ეგრე გარდასწყდა.

რა დილა გათენდა, განრისხებული ყარამან მედგრად იბრძოდა, ხმალთა მისთა ელკარება ქვეყანასა შეადრწუნებდა. ამჟამად ხელმწიფე უშანგ ბედნიერისა ტახტით გადმობრძანდა და ცხენსა ამხედრდა, ფალავანნი თანა იახლნა და ყარამანის მისაშველებლად ცხენი მიქუსლა. ეცადნენ თუმცა მიშველებოდნენ, მაგრამ სპილოთა სიმრავლისაგან ყარამანთანა ვერა მიაწიეს. ცდილობდა ყარამან რაჰინდისა სიახლოვესა მისვლასა და მას ზედან შურის გებასა. მაგრამ არა გაეწყო რა. ამა ბრძოლასა იყვნენ, ამჟამად სარვიხურამან მამასა თვისსა რაჰინდ მოეშველა.

### აჰა. სარვიხურამანის მოსვლა

ინლოეთისა მხრითგან ერთი ლაშქართა მტვერი გამოჩნდა. რა ჩრდილოსა ქარჰან შებერა და მტვერი გარდაიყარა. სამასი დროშა გამოჩნდა. ესე იყო ნიშანი სამასის ათასის კაცისა. წინათ ასი ათასნი ფოლადით შექედილნი კაცნი, ბელაურსა ცხენსა მსხდომნი, მსწრაფლ მოვიდნენ ინლოთა მოსაშველებლად და მათ შუა ერთი ახალ-მოწიფული ფალავანი მოვიდოდა. ოცდაათშვიდმეტის წყართის სიმაღლის

მქონებელი, უცხოთა სამოსლითა მოსილი. წინათ სპილო ერთი მოუ-  
ძლოდა, რომელსა მისი საჭურველი ეკიდა, თვითთა უცხოთა ტაიქსა  
იჯდა და ამაყისა ქცევითა მოვიდოდა, რაგვარადაც მელექსითა უთ-  
ქვამსთ ლექსი:

მოვიდა ლომი, ომში არს მდგომი, ვითარ სალი კლდე დგას შეუძრველად,  
შევენებით მკული, ტანითა სრული, ვითა გულითა შეექმნა გველად,  
წერცხალთა ხმითა, სირინოზთ თქმითა, უბნობდა მათყენ: ხმალი მაქვს მჭრელად,  
მისნი მსმენელნი იქმნენ მომკვნესნი, იქ მყოფთა ექმნათ ზარისა მტეხლად.

ესევეთარისა ტურფისა ქცევითა მოვიდოდა, რომელ მისნი  
მხილველნი მტერნი თუ მოყვარენი ქებასა დიდსა შეასხმიდნიან. რა  
თვისთა ლაშქართა შიგან მოვიდა, მასვე წამსა მოედანზედან გაიოვი-  
და და ომსა უქვრეტდა. ამისმან მხილველმან უშანგ ხელმწიფემან  
თვისთა სარდალთა უბრძანა: ესე ჭაბუკი ვინ არისო? გარდანქემანი  
წინ წადგა, ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: ამა ჭაბუკსა, რომელსა  
იკითხავთ, ესე რაჰინდის ასული არის, სახელად სარვიხურამან ეწო-  
დების, სამასის ათასის მეომრით წამოსულა მამისა მისისა მოსახმა-  
რებლად. რა მათ სარდალთა ესე ესმათ, ერთმანეთსა ეუბნებოდნენ,  
ამა ქალისა მეომრობა, რომელ გაგვიგონია, ამისგან სიფრთხილე  
ყოველთა გვმართებსო.

## ამა ომი ყარაგანისა და ჰინდოთ მეფის ასულის სარკინჭურამანისა

სარვიხურამან მცირესა ხანსა მოედანსა თავსა იდგა და ლაშქარ-  
თა უქვრეტდა. მამისა თვისისა ლაშქართა დამცრობა და მტერთაგან  
ძლიერობა შეუტყო და უშანგისა ლაშქართა მათ ზედან დათამამება.  
რა ყარამანს შეხედა, ხაია, რომ ერთს ფალავანსა ექვსფერხოვანსა და  
ოთხ-თვალოვანს ნადირსა მჯდომსა, სპილოთა სანგარი ამოუწყვე-  
ტია და მამისა მისისა სიახლოვესა მოწეულა. ეგოდენნი სპილონი  
დაეხოცა, რომელ მინდორი სრულად სავეს იყო და რაჰინდის ტახტი-  
სა წინა ესეთი ფიცხელი ომი შექნილა, რომელ სისხლის ღვარსა  
მრავალთა მოლაშქრეთა თავი და ხელფეხნი მოაქვდა. რა სარვიხუ-  
რამან ესე ფიცხელი ომი ნახა, ძიძასა თვისსა უბრძანა: ესე ვითარ  
მომხდარა, რომელ მამის ჩემის ურიცხვი ლაშქარი ამა მცირეთა  
კაცთაგან ესრედ გათავებულა, ანუ ესე ამაყი ფალავანი ვინ არის,

რომელ მარტოსა მამის ჩემისებრ დიდის ხელმწიფის წინააღმდეგი უკადრებიაო. ესე თქვა და თვისი რაში მოითხოვა. ძიძასა თვისსა უბრძანა: ესე სამასი ათასი კაცი წაასხი და მათ მდგომთა ლაშქართა შეუტეო. და მე ამა ფალავანზედა მივალ და ვამოვსკდი, ვითარი ქაბუჯი არისო.

რა ესე თქვა, მთისაოდენი ლახტი ხელთა აიღო და მოედანსა გამოვიდა. სპილოთა სანგარი გავლო და სადა ყარამან იდგა, მას აღვილსა მივიდა. ერთი ასეთი საომარი ხმა შესძახა, რომე მისნი მსმენელნი მრავალნი ჭკუასა შესცდნენ. ამისმან მსმენელმან რაჰინდმან ბრძანა: ესე ვინ უნდა იყოსო? თვისთა აიართა მოახსენეს: ჰე, შარიელო! სიხარულისა ამბავსა გახარებთ, რომე თქვენი ასული სარვიხურამან არის, თქვენად მოსახმარებლად მოსულაო. ამა ამბისა მსმეხელი ინდოთა ხელმწიფე დიდსა სიხარულსა მიეცა და ესრეთ ბრძანა: ვინათგან ესე მოვიდა, აწ მტერისაგან ნულარა იშვივითო! ამჟამად რა სარვიხურამან ყარამანისა სიახლოვეს მოვიდა, კვალად მეორედ საშინელითა ხმითა შესძახა.

რა ესე ხმა ყარამანს ესმა, მოიხედა და ნახა ერთი უცხოლ შორთული ფალავანი, მძიმისა ლახტის მქონებელი, შავსა ტაიქსა ზის და ლახტისა დაკრვასა უპირობს. ყარამან ეცადა, რომე ლახტი იგი აეცდინა, მაგრამ არა გაეწყო რა. მაშინ სარვიხურამან ბეჭსა ესეთი მძიმე ლახტი დაჰკრა, რომელ მისებრ ლახტი სხვისი არვისგან სცემოდა. მეორე ლახტი მოუქნია. ყარამან თვისი ლახტი შეუფარა, ლახტი ლახტსა მოხვდა და მათგან ესეთი ცეცხლი გამოხდა, რომელ მისმან აღმან ჰაერი დაფარა. მერმე ყარამანმან თვისი მძიმე ლახტი მედგრად მოუქნია, მაგრამ სარვიხურამანმან კარგ მხედრობითა აიცილუნა. შეექნათ ომი ფიცხელი და მათნი მხილველნი ორთავე ლაშქარნი ქებასა შეასხმიდინან.

რა იგინი ბრძოლასა იყვნენ, ძიძამან სარვიხურამანისამ სამას ათასის კაცით უშანგ-შას ლაშქართა შეუტია. იქით ინდოთაც შემოუტეეს და ომი ძლიერი შეეკმნათ, ვიდრე მწუხრისა ყამამდე. მრავალი ფალავანი მოკვდა და მოლაშქრეთა თავი ხეთა ფურცელთაებრ მიწას ზედან სცივოდა. რა მწუხრისა ყამი შეიქნა, ორთავე მხარეს გასაყრელსა საყვირსა შეჰბერეს და ორნივე ლაშქარნი ერთმანეთსა გაეყარნენ და თავის-თავისად წავიდნენ.

რა უშანგ-შას წინაშე დიდებულნი და სარდალნი შეიყარნენ, ყარამან და თორმეტი სხვა სახელოვანი ფალავანი მოიკითხეს და არა

მოსრულ იყვნენ. უშანგ ხელმწიფემან გარდანქეშანსა უბრძანა: სჯობს, რომე წახვიდე და ყარამანის ამბავი მოგვართვა. რა გარდანქეშანმან ხელმწიფისა ბრძანება მოისმინა, თაყვანის სცა, დალოცა და ქება შეასხა. რავდენნიმე აიარნი თანა იახლნა და სწრაფად წარვიდა. რა ნაომარსა აღგილსა მივიდნენ, იგი ათორმეტნი ფალავანნი დახოცილნი იპოვნეს და ყარამანისა ამბავი ველარა სცნა რა. მკვდარნი იგი ერანელთა ფალავანნი ზურგთა იტვირთეს და ხელმწიფისა კარზედან მიიტანეს და ყარამანისა ამბისა საცნობელადვე გაბრუნდნენ და ინდოთა ურდოსა მივიდნენ. ძებნეს ყარამან და ვერა სად პოეს.

მას დღეს ყარამანს და სარვიხურამანს ბრძოლა ჰქონდათ. ოდეს მწუხრისა ჟამსა გასაყრელსა საკრავსა შეჰბერეს, იგინი ერთმანერთსა არცა ეგრე გაეყარნენ. მოედნით გავიდნენ და ერთისა მთისა ძირსა მდღგრად იბრძოდნენ. ყარამან განრისხებულმან სარვიხურამანს თავსა ესეთი ლახტი დაჰკრა, რომე პირისა საბურავი ჩამოვარდა. რა პირსა საბურავი მოეშალა, ყარამან შეხვდა, მზისა მსგავსი სახე თვალითა გაიცადა და სუმბულისა მსგავსი კავ-ზილფი ბეჭთა გარდაშლოდა. შეიტყო, რომე მკვრეტელთა გონებისა მიმტაცებელი იგი ქალი იყო. მას ჟამსა ყარამან ათშვიდმეტისა წლისა იყო.

რა ეგეთი შვენება სარვიხურამანისა გაიცადა, მისის სურვილისა ტვირთი გაუმრავლდა. მასვე წამსა მხეცსა, რომელსა ზედან ჯდა, სადავე მოუბრუნა და თვისთა ლაშქართაყენ წამოვიდა. გზასა ზედა მომავალსა გარდანქეშანი წინა შეხვდა. რა გრძნეულთა უხუცესმან აიარმან ლომი იგი ლომთა ყარამან დაინახა, დიდსა სიხარულსა მიეცა. პირი მიწასა დასდვა, დალოცა, ქება შეასხა და მოახსენა: ჰე, ფალავანო ფალავანთაო, ომი მწუხრისა ჟამსა გაიყარა და თქვენ აქამდინ სადა ბრძანდებითო? ყარამანმან ესრეთ უპასუხა: ლაშქართა გასინჯვა ვინებე, ამა მთაზედა გაველ და მუნით უქვრეტდიო. ესე მიზეზი ამისთვის უთხრა, რომე ქალისა ბრძოლა ითაკილა და აღარ გამოაცხადა. რა გარდანქეშანმან ესე მოისმინა, სწრაფად გაბრუნდა და ხელმწიფესა უშანგს მოახსენა: ჰე, შარიელო, ყარამან ავერ სიხარლესა მოვიდა, ეგრე მითხრა, ამა მთაზედა ვლიდი და ლაშქართა უქვრეტდიო. გული ესრეთ უძგერდა, რომე მისი ხმა შორად ისმოდა, მე მას ზედან შევატყე, საცა ყოფილიყო, მაგრამ რა თვითონ არა მითხრა რა, არცა რა მოხსენება მე შევებდე.

ამჟამად ყარამანცა თვისსა კარავსა გარდანდა, საომარი იარაღი



მოიხსნა, ძვირფასითა სამოსლითა შეიმოსა და ხელმწიფისა კარს მივიდა. დიდებულნი და სარდალნი წინა გამოეგებნენ და დიდის პატივით შეიყვანეს. ყარამან ხელმწიფისა ტახტისა წინ წარდგა, პირი შიწასა დასდგა, დალოცა და ქება შეასხა. ხელმწიფემანცა მშვიდობით მოსვლა მიულოცა და მადლობა უბრძანა. ყარამან კვლავ თაყვანის სცა, მივიდა და თვისსა ადგილსა დაჯდა. ხელმწიფემან სუფრის მოღება ბრძანა. მოვიდა და ხალიჩი გამართეს. მოვიდნენ მერიქიფენი. რომელნი შვენებით ვარსკვლავთა ემსგავსებოდნენ, მოიღეს სურა და თასი ოქროსი და მსხდომთა ღვინისა სმასა ხელი მიჰყვეს.

რა ნალიჩი გაგრძელდა, ხელმწიფემან ბრძანა: ქეივან-შა, შიქარგირ აიარი და ზორაბ ფალავანი, რომელნი პყრობილად გვეყვანან, ჩვენსა წინა მოიყვანეთო. მონათა ფიცხლად ხელშეკრულნი მოიყვანეს. მათ პირ-მიწა-გაერთებით სალაში ჰკადრეს. ქეივან-შამ ტკბილ-მოუბრითა ენითა ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: ჰე, მაღალო ხელმწიფეო, ჩვენ, მონათა შენთა, რაცა დავაშავეთ, თავსავე ჩვენსა გარდავებდა. აწ აღთქმა დაგვიცს, თუ სიცოცხლისა ჩვენისა გზა მოგვეცემა, დღეითგან თავსა ჩვენსა თქვენს სამსახურსა ზედან გარდავავებთო. რა ქეივან-შამ ესე სიტყვა თქვა, შიქარგირ გრძნეული და ზორაბ ფალავანიცა დაემოწმნენ. მაშინ სვე-ბედი მათი მოეხმარა, ხელმწიფემან უშანგ ბრძანა და პყრობილობისაგან გახსნეს, ძვირფასითა სამოსლითა დამოსეს. ქეივან-შა დიდებულებთანა დასვეს. ზორაბ ბარამს შევედრეს და შიქარგირ გარდანქეშანს მიაბარეს.

აწ ამბავი ინდოთა. ხელმწიფისა მოგახსენოთ: დიდმან ხელმწიფემან რაჰინდ ასულის მოსვლისა სიხარულითა ბრძანა ცეცხლისა დაგზება. მონათა ეგრე ჰყვეს. წარმოადგინეს რავდენ-ნიმე კაცნი, ცეცხლსა შესწირეს და იგი საწყალნი მას შიგან დაწვნეს. ხელმწიფემან დიდებულთა და სარდალთა უბრძანა სარვიხურამანისა წინა მიგებება და პატივით მიყვანა. რა იგინი მივიდნენ, სარვიხურამანის ძიძა წინა ემთხვივით და იგი ვერა ჰპოვეს. ჰოიქენენ და ხელმწიფისავე წინაშე მოვიდნენ. ხელმწიფემან რაჰინდ ძიძას უბრძანა: სად არის სატრფო ასული ჩემი სარვიხურამანო?! ძიძამან მოახსენა: ჰე, დიდებულო ხელმწიფეო, რა ომი გარდაწყდა, მუნითგან მისი ამბავი აღარა ვიცოო. ამისი მსმენელი რაჰინდ არა მცირესა მწუხარებასა მიეცა. ძიძასა და ფალავანთა უბრძანა მისსა კვალზედან წასვლა. იგინი ფიცხლად წარვიდნენ. მას ადგილსა მიიწივხენ, სადაცა ყარამანსა და მას ბრძოლა ჰქონდათ. შეხედეს და სარვიხურამან დაინა-

ხეს. პირსა საბურველი მოშლოდა და მას იკეთებდა. მისი მხილველი ძიძა და სხვანნი ფალავანი ღიდსა სიხარულსა მრეცნენ. ძიძა ფიცხლად მივიდა და ფერხთა მოეხვია. სარვიხურამახ ცხენსა შეჯდა და ლაშქართაყენ წამოვიდა. ძიძასა თვისსა უბრძანა: მე ღიდსა განკვირვებასა მიცემულ ვარ, რომელ იმა ჭაბუკმან მოძინადირა და აღარც კი მიკადრა, მე დამაგლო და თვით წავიდაო.

რა ძიძამან ესე მოისმინა, ესრეთ მოახსენა: ჰე, კეკლუცთა დედოფალო, ჭაბუკმან ვინმე შენებრ უკლები შევენებით რომ ხელთა იგდოს და სიტურფე შენი განიცადოს, ხელი ვით არ შეახმეს, რომ გავნოს რამეო. მე ესრეთ ვგონებ, იმა ჭაბუკსა თავთაგან ჭკუა დაფანტვია და უცნობო ქმნილა, ცხენსა თვისსა რომელსამე მხრისაკენ წაუღიაო. ჰე, მნათობთა ხელმწიფეო, სიხარულსა ხუ მოეშლები. იგი ჭაბუკი, სადაც იქნება, ვპოვებთ და ხელთა ვიგდებთო!

სწრაფად ვლეს და თვისთა ლაშქართა შიგან მოვიდნენ. ხელმწიფესა მამასა თვისთანა შევიდა, მდაბლად სალამი მოახსენა, დალოცა და ქება შეასხა. ხელმწიფე ზე ადგა: ასული თვისი გულსა მიიკრა და მშვილობით მოიკითხა. სარვიხურამან თვისსა ადგილსა დაჯდა. სუფრა მოიღეს და ნადიმი ღიდი გამართეს. რა ღვინის სმასა ხელი მიჰყვეს, რაპინდმან ომის ამბავი იკითხა. თვისსა ასულსა უბრძანა: ჰე, თვალთა ჩემთა ნათელო, იგი ამაყი ფალავანი, რომელი შენ გებრძოდა, რა იქნა? სარვიხურამან მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო, სიღამემან გაგყვარა და ველარა ვიგრძენ, რომელსა მხარესა წარვიდა. მაგრამ მისი ფიქრი გულსავე ჩემსა არს და მისსა საქმესა გაუკვირვებვიარო. აწ უძილობისაგან მეტად შეწუხებული ვარ, დასტურის წყალობს ვითხოვ, რომ ჩემსა კარავში წავიდე და მცირეს ხანსა მოვისვენო.

ხელმწიფემან წასვლა უბრძანა. ადგა და გამოვიდა. ერთსა მონასა უბრძანა: დუზდი ავსარ გრძნეული მომგვარეო. მონამან ფიცხლად მოუწოდა და მან გრძნეულმან პირ-მიწა-გაერთებით სალამი მოახსენა, დალოცა და ქება შეასხა. სარვიხურამან უბრძანა: ჰე, სარდალო ყოველთა აიართაო, ამას ღამესა შიგან შენცა ჩეჰთან წამოდი, უშანგისა ლაშქარში მივიდეთ, ნუთუ დრო დავიციეთ და იმა ფალავანსა თავი ტანისაგან გავაშოროთო. დუზდი ავსარ მოახსენა: ჰე, ქვეყანისა ბანოვანთა თაო, იმა ლაშქართა შიგან ერთი აიარი არის, რომელსა სახელად გარდანქემანსა უბმობენ. მისისა გრძნეულებისა ქება ყოველსა ქვეყანასა განსრულა. ვის ძალუცს მისითა შიშითა უშანგისა

ლაშქართა სიახლოვესა მისვლა? ქალმან უპასუხა: ჩვენი საწადელი გარდანქეშანისა შეყრა არის და თუ იგი შემოგვხვდა, თვითვე შეინახებო.

ესე თქვა და იარალი მოითხოვა. მარჯვენით და მარცხნით ხანჯლები დაირჭო, წელთა ხმალი შეირტყა, ძიძა და იგი აიარი თან იახლა და ფარულად თვისთა ლაშქართაგან გავიდა. რა უშანგ ხელმწიფისა ლაშქართა მიუახლოვდა, აიარსა უბრძანა, რომელსა დუხდი ავსარ ეწოდა: იგი კაცი ვინ იყო. რომელი გუშინ მე მებრძოდაო? გრძნეულმან მოახსენა: მე ესე ოდენ ვიცი, რომელ ამა ფალავანსა სახელად ყარამანს უწოდებენ. ახლო ხანია, რომელ იგი უშანგ-შას მოსვლია და სხვა არა ვიციო. სარვიხურამახ უბრძანა: მისი კარავი რომელსა მხარესა დგასო? აიარმან მოახსენა: მე არცა მისი კარავი ვიცი და არცა მისსა სიახლოვესა მისვლა ძალმიცსო. უკეთუ გენებოს, აქავე მომკალ და ვერ გიახლებიო. რა ქალმან გრძნეულისა ეგეთი შეშინება ისმინა, ეგრეთ თქვა: ესრედ მოშიშრისა ამხანაგისა ყოლასა, ღმერთო, უყოლობა სჯობსო. დუხდი ავსარ მუნ დააგდო. ძიძა თან იახლა და ყარამანისაკენ გაემართა.

რა ლაშქრისა სიახლოვესა მივიდნენ და ერთი კაცი ცხენთა მძივბელი ჰპოვეს, უთხრეს: მოყვასო. ვინ ხარო? მან კაცმან უპასუხა: მე უშანგ ხელმწიფისა პირველი მეჯინიბე ვარო. კვალად ჰკითხეს: ხელმწიფისა და ყარამანის კარავი რომელი არისო? კაცმან მან კარავი მათი დანახვა. რა ამა საუბარსა იყვნენ, ქალი წინ წადგა, იგი კაცი შეიპყრა და ძელზედან ააბა, ამისთვისა, რომ მათი ამბავი არავის ეცნა და თვით წავიდნენ.

მას ლამესა უშანგ ხელმწიფესა დიდი ნადიმი გარდაეხადა. ლამესა ნახევრობამდის დიადი ღვინო ესვათ და ფალავანნი თავთავისად წასულთყვენ და თვითცა მოესვენა. ასიმს და შირფანჯა აიარს ნაჯახი ხელთა ეპყრათ და ხელმწიფისა კარზედან იდგნენ და სხვანიცა დარაჯნი მღვიძრად იყვნენ. მაშინ სარვიხურამან ამათში გაერია და მათ ვერა იგრძნეს. რა ოთხივე მხარე შემოვლო, ნახა, რომ ოცდაათხუთმეტი უცხო სახელმწიფო კარვები. მძიმისა ფარჩების სარაფარდით მოხვეულნი, იდგნენ და რომელსაცა მხარეს ხელმწიფე ბრძანდებოდა, სრულად გარშემო დარაჯნი ეხვივნენ, ჯოჯანი ხელთა ეპყრათ და მღვიძარობდნენ.

მუნით გაბრუნდნენ და ყარამანის კარავსა მივიდნენ. მისთა დარაჯთა სრულობით ეძინათ. მათგან რამდენნიმე კაცნი მოკლნნეს.

კარავსა ცალი მხარე ხანჯლითა გაურღვიეს და შიგან შევიდნენ. ყარამან ტახტზედა ძილად წვა და მისთა მონათაცა დასძინებოდათ. მონანი ზოგნი მოკლეს და ზოგთა ესეთი წამალი შეასვეს, რომე უცნობო იქმნენ. სარვიხურამანს ხანჯალი ხელთა ეპყრა და ყარამანს თავსა ტანისაგან განშორებასა ულამოდა. რა ახლოს მივიდა და ყარაჰანის სახე მართლად გასინჯა, ნახა, რომ მისი შუქი სარაფარდათა მისდგომოდა, მისთა დაწვთა ელვარება მზისა ელვარებასა ჰგვანდა. ორმოცდახუთი მწყურთა სიმაღლე ჰქონდა და ოცდაერთი მწყურთა მკერდისა სიბრტყე, რომე მისი მსგავსი ფალავანი არცა თვით ენახა და არცა ამბათა სმენოდა. მისებრი ჰაბუჯი არცა შობილ იყო და არცა იშობოდა. რაგვარადაც მელექსეთა უთქვამთ ლექსი:

ერთი ყრმა კაცი იხილა, უსწორო მამაცობითა,  
ვითარს ეძებდა სატრფოსა, აწ პოვა შემკულობითა.

ულვაში იისა მსგავსად ახლად აშლოდა, დაწვი ვარდებრ აღყვავებოდა და ზედან ნამისა მსგავსად ოფლი დასხმოდა. მეღნისა ტბათა საგუბარნი თვალნი დაეხუჭა, სიცხისაგან საბანი გარდებხადა და ბროლისა მსგავსი მკერდი გამოსჩენოდა. რა სარვიხურამან ყარამანისა ესეთი შეენება ნახა, მისისა სიყვარულისა ისარი გულსა გაეყარა. საზარლად ამოიოხრა, ხელი აუთრთოლოდა, ხანჯალი ხელთა გავარდა და უცნობო ვითა, ყარამანის სასთაულზედან მიწვა და მისსა ჰაეროვნებასა კვირობდა. პირველ მისი განზრახვა ესე იყო, რათა ყარამანისთვის ხანჯლითა თავი მოეკვეთა და რაპინდისათვის მიერთმიენა. მაგრამ ეშუისა საგდებელმან გული მისი ესრეთ შეკრა, რომე ცნობაცა მისთანვე დარჩა. რა სრულად გონებასა მოეგო, სიყვარულისა ტვირთი უფრორე განუმრავლდა და თვისი პირველი განზრახვა ყოველივე დაივიწყა. ეგრე თქვა: ჰე, ვითარსა მოუთმენელსა ჭირსა შთაეაგდე თავი ჩემიო. ამა საქმისა ღონე უნდა რომე ვძებნოო და ესე ლექსი თქვა:

ლომი მზერს ლომსა, სარეცელს მწოლსა, აპირებს ომსა, მაგრამ რის სწორსა,  
ფიქრობს, რამე ვაყო, სული განმეყო, ხელი ვითარ ვაყო უებრო მძოვრსა?!

ქალმან საწერელ კალამი მოიღო, ერთი წიგნი დაწერა და ყარამანს თავს ქვეშ დაუდვა. თითთაგან ბეჭედი წააძრო და თვით შემოიცივა. ზე ადგა და გამოვიდა კარავთაგან. სიშორისა მწუხარება უმრავლდებოდა. გულსა შიგან თქვა: ესეთი საქმე ჩემსა სიცოცხლეში არა დამმართებია. ესე რა მომეკვლინა, რომელ ცნობა მიმეფანტა.

მე ამა ლაშქართაგან უსახელოდ ვერ გავალ, ამას ღამე ჩემი ძალ-  
გული ამათ უნდა უჩვენო.

ესე თქვა, მცირე წარვლო და უშანგისა კარავსა მივიდა. მაშინ  
დარაჯთა ერთობით დასძინებოდათ. მათ მძინარეთა წამალი რამ  
უქმნა და უცნობო იქმნენ. რამდენნიმე მათგანნი მოკლნა და კარავსა  
შევიდა. უშანგ ხელმწიფესა ტახტედან ეძინა. თავით და ფერხით  
მურასა შამდნებით სანთლები ენთო. სარვიხურამან იფიქრა, არამც  
ფალავანნი ანუ აიარნი იყვნენ ვინმეო. ოთხივე მხარე შემოვლო და  
ვერაინ ჰპოვა. დარაჯთაგანნი კვალად რადენნიმე მოკლა და ენება,  
რათა ხელმწიფისა სიახლოვესა მისულიყო და საქმე მისი მარჯვედ  
მოეყვანა. ამ ხანში გარდანქეშან აიარს უცხო რამ სიზმარი ეზმანა. ზე  
წამოიჭრა, ნაჯახი და ხანჯალი ხელთა მიიკა და ხელმწიფისაყენ  
წამოვიდა. რა კარავსა მიახლოვდა, ქალი ხელმწიფისა სიკვდილსა  
ლამობდა. რა გარდანქეშანმან ესე დაინახა, თავთაგან ცნობა დაეფან-  
ტა. მსწრაფლად გარლახლტა და კარავსა შევიდა, ნახა ცალი მხარე  
ფარდისა გარღვეული და ერთი ახალი მოწიფული ფალავანი ხან-  
ჯალს ხელმოკრული, ხელმწიფისა საკვდავად განმზადებული. მცი-  
რეს ხანს დაფიქრდა, ნეტარ ვინ უნდა იყოს ესე კაბუჯიო?

ამეჟამად იგი ქალიცა ხელმწიფისა სასიკვდილოდ წინ წადგა.  
ამისმან მხილველმან გარდანქეშანმან ნაჯახი შესტყორცა და ხმა  
უყო: ჰე, მოსისხლეო, მზად იყავ, რომე მე ვარ გარდანქეშან აიარი,  
შენთა სულთა უწყალოდ ამომხდელიო! რა ამა ხმაზედან ქალმან  
მოიხედა, ნასროლი იგი ნაჯახი დასცა და განრისხებულმან ესეთი  
სილა შემოჰკრა, რომე გარდანქეშანი სამჯერ ყირასა გარდაბრუნდა  
და ქვე დაეცა. ამა ხმაზედან დანარჩომთა დარაჯთა გამოეღვიძათ  
და მალლად ხმიანობა შეექნათ. ქალსა აღარ დასცალდა, რომე გარ-  
დანქეშანი პყრობილად წაეყვანა. რა დარაჯთა ზახილი ესმა, კართა-  
გან განვიდა და რომელსა გზასა მოსულიყო, მასვე გზასა წარსასვლე-  
ლად გაემართა. დარაჯანი და შინა ყმანი გამოუდგნენ და მისსა შე-  
პყრობასა ცდილობდენ. ქალი მობრუნდა და მათგან მრავალნი  
მოკლა. და თვით აგრევე სწრაფად წარვიდა.

ამა ხმაზედან მრავალსა სარდალთა და ფალავანთა გამოეღვიძათ  
ზე აღგნენ, ხელმწიფისა კარავსა მოვიდნენ. ნახეს მრავალნი დარაჯ-  
ნი დახოცილნი. დიდად გაკვირდნენ და ხელმწიფისა კარავსა შევიდ-  
ნენ. გარდანქეშანი დაბნედილი მდებარე იხილეს. ხელმწიფესა გამო-  
ეღვიძა და ამა ამბავსა იკითხევდა. გარდანქეშანიცა ცნობასა მოვიდა.

ზე ადგა და ხელმწიფე დალოცა. ხელმწიფემან უბრძანა: ჰე, გრძნე-  
ულთა სარდალო, ესე რა ამბავია და ანუ რა სიზმარი იყო? გარდან-  
ქეშანმან მოახსენა: ამა ღამესა მე ჩემსა კარავსა მეძინა და ერთი  
საზარო სიზმარი ვნახე. მსწრაფლ გამომეღვიძა, მე ავდეგ და აქათ  
წამოველ. რა ამა კარავსა შემოველ, ერთი სისხლთა მღვრელი ფალა-  
ვანი იდგა, ხელთა მოწვდილი ხანჯალი ეჭირა და თქვენდა სასიკვდი-  
ლოდ განმზადებულ იყო. რა იგი ვნახე, ნაჯახი დავკარ. თუცა იგი  
ნაჯახი იალბუზისა მთასათვის დამეკრა, მასცა დავაქცევედი, მაგრა  
იმა ფალავანსა არა ევნო რა. მე მწადდა, რათა ცოცხალი შემეპყრა.  
რა ახლოს მიველ, ერთი ასეთი სილა შემომპკრა, რომე მასვე წამსა  
ცნობა დამეფანტა და ქვე დავეციო.

რა ესე ამბავი მუნ მყოფთა ესმათ, ქება დიდი შეასხეს: შაბაში  
მას ფალავანსა, რომე ესრედ დიდისა ხელმწიფისა კარავსა სამტე-  
როდ შემოსულა და გაუბედავს. და გარდანქეშანისებრი აიარი ერთის  
ხელის შემოკვრით ესრეთ შებნიდოს და ესოდენტა უთვალავთა  
ლაშქართაგან აგრეთვე უვენებლად გავიდესო! გარდანქეშანმან ხმა-  
მალლად დაიძახა: ღვთის მადლსა, ყარამანისა რამ შეიტყუევითო! მათ  
მღვეართა ხმიანობაზედ ყარამანს გამოეღვიძა. რა თვალნი აახვნა,  
ხანჯალი მიწასა დარქობილი და წიგნი თავით მდებარე ნახა, დიდად  
გაკვირებულმან აიღო, ხელმწიფისა კარსა მივიდა და იგინი  
უშანგ-შას მიართვა. ხელმწიფემან ვაზირსა უბრძანა წიგნისა წაკი-  
თხვა. წაკითხეს და ესრეთ ეწერა: ჰე, ფალავანო, ამას ღამე შინთანა  
საკვდავად შენად მოვედ, რა გნახე, ახალ-მოწიფული ყმა-კაცი  
ძილად მწოლი, შევიწყალე ჭაბუკობა შენი და თავი ტანისაგან აღარა  
გაგაშორე. რას წანს გამოგეღვიძოს, უშანგ-შაც წამოიყვანე და  
რაპინდის სამსახურში მოდიოთ. შენ არა გეკადრება უშანგ-შას სამ-  
სახური, ვინაა უშანგ ხელმწიფეო?

ვინათგან ხელმწიფეთა სამსახური გნებავს, მოვედ და ინდოთა ხელ-  
მწიფეთა დაემორჩილე, რომელ ფალავანთა პატივისცემა სხვათაგან  
ამან უკეთ იცისო. თუ ამა სიტყვასა არ მოისმენ, გამიფრთხილდი,  
რომე ერთსა ღამესა მოვალ და თავსა ტანისაგან განგაშორებო!

რა ესე სიტყვა ხელმწიფესა და სარდალთა ესმათ, დიდსა გაკვირ-  
ვებასა მიეცნენ და ესრედ თქვეს: ნეტარ ესე ვინ უნდა იყოს, რომე  
ესეგვარი სიტყვა უთქვამსო? ზორაბ ინდი ზე ადგა, ხელმწიფე და-  
ლოცა და ეგრე მოახსენა: რაპინდს ერთი ასული უზის, სახელეჲ  
სარკიხურამან ეწოდების. რა იგი ცხენსა ამხედრებულა, მისთვის

ომი ვერავის გაუსწორებია. იმას ესე აღთქმა დაუცს, რომე ვინცა მას ძალით მოერიოს, ქრმადაც იგი შეერთავსო. მისნი ტრფიალნი მრავალნი ხელმწიფენი და მეფეთა ტომნი ყოვლის ქვეყანით მოვლენ და ხელისა მისისაგან დაიხოცებიანო. ხელმწიფეო, აწ იგი ოცდასამისა წლისა არის და მისგან ნახოცთა ხელმწიფეთა ფალავანთა რიცხვი არა შეიგების. ესე საქმე უთუოდ მისგან ნაქმარი არისო. იგი დიდად სისხლის მღვრელი არის, რომელ ვისცა მოერევის, ცოცხალს არ დაარჩენს და აიარობითაც უცხოდ გამოჩენილი არის, რომელ ქვეყანისა აიარნი მას თანა არად გამოჩნდებიან. ესე საკვირველია, რომე ყარამან არა მოუკლავს, მე ესე ვგონებ, იგი ქალი ამა ფალავანსა გამიჯნურებია და ამისთვის საკვდავად ვეღარ გამოუმეტებიაო. ხელმწიფეო, მის ქალისაგან სიფრთხილე ყველაკასა მართებს! რა ესე ამბავი-სარდალთა და ფალავანთა ესმა, გულთა შიში გაუმრავლდათ. ყარამან მიხვდა, რომელ ესე იგი ქალი იყო, რომელ წინას დღეს მწუხრისა ეამამდინ ებრძოლა. ამა ქალისა საქმესა დიდად კვირობდა.

აწ სარვიხურამანისავე ამბავი მოვახსენოთ: ქალი იგი ძიძითა თვისითა მას ალაგსა მივიდა, სადაღუზდი აჯარ გრძნეული დაეგდო. თვისი ამბავი ყოველივე მას აიარს უამბო. გრძნეულსა დიდად მოეწონა და საფერი ქება შეასხა. მუნითგან წარვიდნენ და თვისთა ლაშქართა შიგან მივიდნენ. რა დილა გათენდა და სიბნელისა ზეწარი დაიხია, სარვიხურამან ზე ადგა, სახელმწიფო სამოსელი შეიმოსა და მამასა თვისსა თანა მივიდა. ხელმწიფისა რაჰინდისა ხელმწიფობა დალოცა და თვისსა ადგილსა დაჯდა. ხელმწიფემან რაჰინდ ასულსა თვისსა ქება დიდი შეასხა და საბოძვარი მრავალი უბოძა. მას ლაშქართა შიგან ათასზე მეტნი მეფეთა ძენი და სახელგანთქმულნი ფალავანნი, მის ქალისა სურვილითა მოსრულ იყვნენ და ტკბილსა სულსა მისისა სიყვარულისათვის გასწირავდნენ, მაგრამ სარვიხურამან არცა ერთსა მიხედვიდა. მისი საგონებელი მარადის ყარამან იყო და გონება მისი მისსა სურვილსა შეეპყრა. სხვა არავინ ეგონებოდა. ამჟამად ხელმწიფემან რაჰინდ ბარამ ჯიბილისა მოყვანა ბრძანა და იგი ვეშაპისა მსგავსი ფალავანი ხელშეკრული ხელმწიფისა წინა მოიყვანეს. რაჰინდმან უბრძანა: ბარამ, აწ ფიცო მომეც, რომე დღეითგან ჩემი ერთგული იყო და უშანგისა მტერი. დიდსა პატივისა მოგცემ და მრავალსა წყალობასა გიზამო. ბარამმან პასუხი არა მიუტო და თავმოხრილი იღვა.

აწ უშანგისავე ამბავსა მოვიდეთ: ჩინეთისა მეფის ასული, რომელ ბარამისა ცოლი იყო, მან წიგნი დაწერა ესრეთ: ჰე, შარიელო, შეიღთა იყლიმთა მპყრობელო, მოწყალეებასა თქვენსა ვევედრები მონა თქვენი, ბარამ არა დაივიწყოთ და პყრობილსა მას უშველეთ! რა ესე წიგნი დაწერა, ხელმწიფესა უშანგს მიართვა. რა ხელმწიფემან იგი წიგნი წაიკითხა, თვალთაგან ცრემლისა ნაკადი მრავლად გარდმოადინა, საზარლად ამოიოხრა და სარდალთმ უბრძანა: ხედავთ, რომე სახელოვანი ფალავანი ბარამ დაეკარგე! უშჯულოთა ხელთა შიგან ტყვედ არის და მე იგი აღარა მაგონდებისო, ესე ბრძანა და გარდანქეშანსა შეხედა და აგრე უბრძანა: აიართო სარდალო, ბარამისა ღონე სძებნე რამეო! მან მოახსენა: ჰე, მალალო ხელმწიფეო, მრავალჯერ ვძებნე და მისი ვერა რა გავიგეო. მაგრამ აწცა წავალ, ნუთუ მოწყალეებითა თქვენითა მისი ამბავი ვსცნა რამეო.

ესე თქვა და მსწრაფლ წავიდა. რა ინდოთა ხელმწიფისა კარსა მივიდა, შეხედა, ბარამ ხელშეკრული უძესთ. დიდებულნი ცეცხლისა თაყვანის ცემასა და რაჰინდისა მონებასა ეუბნებოან, მაგრამ ბარამ არცა ერთსა პასუხსა არას უგებდა. მისსა უპასუხობაზედა ხელმწიფე გაწყრა და ბარამისა თავისა მოკვეთა ბრძანა. სარვიხურამან ზე აღგა და მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო, ამა კაცსა ნუ მოკლავთ, ამისთვის, რომე ჩვენნი ფალავანნი, რომელნი მათ პყრობილად ყვანან, ნუთუ იგინი ამითი გამოვიხსნათო. ხელმწიფემან უბრძანა: ჰე, თვალთა ჩემთა ნათელო, აწ ესე თუ არა მოვკალით, ამისი შენახვა საძნელო არის ამისთვის, რომე უშანგ-შას ერთი ასეთი გრძნეული ყავს, თუმცა ქვესკნელად დავმალთ, იგი აიარი მაშინცა ჰპოებს და წარიყვანსო. სარვიხურამან მოახსენა: მე მიბოძეთ და ესე დაკრძალვით შევიწახავ, რომე თუნდა ქვეყანისა აიარნი, ღვენი და ფერიანნი შეკრბენ, მაშინცა ვერ წამართვანო.

გარდანქეშანი კართვან იყურებოდა. გულსა შინა ეგრე თქვა: უთუოდ შენ რაცა სთქვა, აღსრულებაცა ძალგიცსო. მაშინ ხელმწიფემან ბარამის სიკვდილი აღარა ბრძანა და თვისსა ასულსა შეჰვედრა. სარვიხურამან მისი წარყვანება ბრძანა და მონათა ბარამ ხელშეკრული სარვიხურამანისა კარავსა მიიყვანეს. რა მიმწუხრდო, ქალი მამსა გამოეთხოვა და თვისსა კარავსა მივიდა. მონანი და მრავალნი ყოველივე დაითხოვა და მარტო ძიძასა მისსა მოუწოდა და ერთსა მხევალსა ბარამისა მოყვანება უბრძანა. მან ფიცხლად ხელშეკრული



მოიყვანა. სარვიხურამან ბრძანა და ბარამ პყრობილობისაგან გახსნეს, ოქროსა სელი მოიღეს და მას ზედან დასვეს. ქალმან ღვინისა მოღება ბრძანა. მხევალმან მოიღო და ნადიმი დაიდვეს. რა სარვიხურამან ღვინო სვა, მიჯნურობისა ტვირთი უფრორე გაუმრავლდა, ბარამს უბრძანა: ერთსა სიტყვასა გკითხავ და თუ მართალსა მეტყვი, შენსავე სულსა გვამსავე შენსა შეინახავ და პყრობილობისაგანცა განთავისუფლებულ იქმნები და ტყუილისა თქმა თავსა შენსა შეგანებსო!

ბარამ ზე აღვა, საფერი ქება შეასხა და ეგრე მოახსენა: ჰე, კეკლუცთა დედოფალო, რასაცა მკითხავ, თუ ვიცი, მართალსა მოგახსენებო. ქალმან უბრძანა: უშანგისა ლაშქართა შიგან ერთი ახალ-მოწიფული ჭაბუკი არის, რომელი ექვსფერხოვანს მხეცსა ზის, რომე ირცა სპილოსა ჰგავს და არცა მარტორქასა. ანუ იგი ფალავანი ვინაა და ანუ იგი ექვსფერხოვანი მხეცი სით უშოვნიაო? ბარამან მოახსენა: ჰე, შევენებით ყოველთა უაღრესო და ძლიერებით ყოველთა უმჯობესო! თქვენ რომე ფალავანსა იკითხავთ, იგი ხელმწიფისა შვილია, მამასა მისსა თახმურად ერქვა, რომელი შვილთა იყლიმთა ფლობდა. ესე ფალავანი სამისა წლისა დევებს მიეტაცათ, ჰეიათის მინდორში მიეყვანათ და იქ აღეზარდათ. ათზე მეტი წელიწადი მათ შორის ყოფილიყო. რა ათექვსმეტისა წლისა შექმნილიყო, ამავე ქვეყნის მხრისაკენ ერთსა მთაზედან მოსრულ იყო. ჩვენ აქათ მომავალთ წინ შემოგვხვდა და ჩვენგანი მრავალი ფალავანი მოკლა დამსუქან თვისთავე ნებითა ხელმწიფესთანვე მოვიდა. რა ინდოეთისა ზღვისა პირსა მოვედით, მის ზღვითგან ისი მხეცი გამოვიდა. ათორმეტჯერ ასი ათასი კაცი ერთმანეთსა ჰკრა და მრავალი წარჩინებული ფალავანი მოკლა. ბოლოს მარტო საგდებლით ყარამან შეიპყრა, გახედნა და თვისად საჯდომად განიწესა. სახელად მას ფალავანსა ყარამან ყათილი სააბყირანი ჰქვია, რომელ ხელთა მისთაგან დევნი ყაფის მთისანი შეძრწუნებულანო.

რა ესე ქება ყარამანისა სარვიხურამანს ესმა, სურვილისა ეშუი ერთითასად გაუმრავლდა. მერე უბრძანა: შენ ვინ ხარ და ანუ სახელად რა გეწოდებდისო? ყმამან მოახსენა: მე სახელად ბარამ ჯიბილი მქვინ, სულთან ჯიბილი მაბილის შვილი ვარ და ამხანად უშანგ-მას მონა ვარო. ქალმან უბრძანა: ჩინეთისა ქვეყანასა ქვად ქმნილად რომელ იტყვიან, იგი შენ ხარო? ბარამ მოახსენა: მე ვარო. სარვიხურამან ჰკითხა: ჰე, ფალავანო, კვალად ჰკაცად ვითარლა იქე-

ცო? მან თვითეულად მოახსენა, რაგვარადაც ყოფილიყო და გარდანქმედებას მისთვის რაცა. შემწეობა ექნა, იგიცა აცნობა. ქალმან უბრძანა: გარდანქმედებანი თუ შენზე ეგოდენი ჰქონასხელობა ქნა. აწ რასთვის აღარ მოგიგონაო? ბარამ მოახსენა: რა იქნების, რომელ არა მოვეგონებოდე, მაგრამ მე ესრეთ ვგონებ, რომე ახლა აქა ახლო სადმე იყოსო.

მაშინ გარდანქმედანი კარავსა გარეთ იდგა და ესე საუბარი ყოველივე ესმოდა. სარვიხურამან თვისსა ჰიძისა უბრძანა: გავედ და ამა კარავსა გარეთ თუ ვინმე იყოს, შემოიყვანეო! რა ესე გარდანქმედანსა ესმა, ღვინოსმულსა დაემსგავსა, ერთსა ალაგსა მიწვა და თავი მოიძინარა. რა ძიძა კარავთაგან გავიდა, გარშემო შემოვლო, ნახა, ერთსა ალაგსა კაცსა ვისმე სძინავს. ძიძამან ფერხი დასცა და გარდანქმედანი წარმოახედა. აიარმან ინდოურისა ენითა უთხრა: დიაცო, განმეშორე, ღვინოსმული ვარო. ძიძამან გარდანქმედანი ზე ააყენა და სარვიხურამანთანა შეიყვანა. აიარმან პირ-მიწა-გაერთებით სალამი ჰკადრა და ქება დიდი შეასხა. ქალმან შეხედა და გარდანქმედანი იცნა. ეგრე უბრძანა: ჰე, ხელოვანო, სადაური ხარო? გარდანქმედანმან მოახსენა: ჰე, მნათობო, ინდოელი ერთი ღარიბი კაცი ვარ, საკრავთა მცოდნელი, და მით ვცოცხლობო. ქალმან უბრძანა: ჰე, ხელოვანთა ოსტატო, საკრავთა მცირესა ხანსა შეგვაქციეო. საკრავი მოიღეს. გარდანქმედანმან საკრავსა ხელი მიჰყო, ზედან დაემღერა.

მერმე სარვიხურამან უბრძანა: ჰე, პატროსანო ოსტატო, ერთსა ვისმესა გამსგავსეო. რა გარდანქმედანმან ესე მოისმინა, გულსა შინა თქვა: ნუთუ ესე იგი იყოს, რომელ ერთისა ხელისა ცემითა ქვე დამცაო? აწ სიფრთხილე მმართვეს ამისთვის, რომ ძნელსა ბადესა დავებიო, მაგრამ მართლისა თქმისაგან კიდე ღონე არა არისო და ეგრე მოახსენა: თქვენ ყოველივე უკეთ იცითო. ქალმან კვალად უბრძანა: შენ გარდანქმედანი არა ხარო? მან ეგრე მოახსენა: ათასიმცა მაქებარი გვერობს ესრეთ ცნობისათვისო! სარვიხურამან უპასუხა: შაბაშ შენსა სიმართლესა, რომელ მართალსა მითხრობო!

რა ესეგვარი სიტყვანი მოიუბნეს, კვალად სარვიხურამან უბრძანა. აწვე შენცა წადი და ბარამცა თანა წაიტანე და თქვენსავე ლაშქარსა მიდით და მამასა ჩემსა ჰასუხსა მე გავსცემო. თქვენთა ფალავანთა და ლაშქართა აცნობეთ, რომე ყოველნივე მზად იყვნენ და მოედანსა გამოვიდნენ. ხვალე ომი დიდი იქნებისო! ესე თქვა და ძვირფასი სამოსელი მოაღებინა, ორნივე ტანსა შემოსა და თვისთა ლაშქართა გაისტუმრა.

ორთავე სწრაფად იარეს და ხელმწიფისა უშანგისა კარსა მოვიდნენ. აიარნი მუნა მსხლომნი იყვნეს და მათსა ამბავსა უბნობდნენ. რა შემოხედეს, ბარამ ჯიბილი და გარდანქეშანი დაინახეს. ადგნენ და წინა მოეგებნენ. ყათრან, რომელი მანდატურთა უხუცესი იყო, რა იგინი თვალითა განიცადა, მსწრაფლად შევიდა და მათი მოსვლა უშანგ ხელმწიფესა ახარა. რა ესე ხელმწიფემან მოისმინა, დიდსა სიხარულსა მიეცა. მას დღესა ხელმწიფესა ერთი სამოსელი ემოსა, რომელი ერთისა წლისა ქვეყნისა ხარაჯისა ფასად ღირდა. იგი სამახარობლოდ მისცა, ზე ადგა და ბარამ ჯიბილსა წინა გაეგება, შუბლსა აკოცა, ხელითა ხელი დაუჭირა და ეგრე კარავსა შეიყვანა. ხელმწიფე თვისსა ტახტსა დაჯდა და ბარამს რაჰინდისა და სარვიხურამანის ამბავი ჰკითხა. მან ხელმწიფემან იგრძნო, რომელ ქალი იგი ყარამანისა ტრფიალი შექმნილიყო, რადგან ბარამმან ყოველივე თვითეულად მოახსენა.

რა მან ღამემან განვლო, სიბნელისა ზეწარი დაიხია და ქვეყანისა მანათობელმან მზემან თავი ამოჰყო, ორსავე მხარესა ორთავე დიდთა ხელმწიფეთა ლაშქარი დარაზმდნენ და საომარსა საკრავსა შეჰბერეს, ქოსთა და ნაღარათა ხმა გაახშირეს. გულოვანი ლაშქართა წინათ ცხენსა გაიგდებდიან და ომისა სურვილით მოწადინენი მტერთა ექალოდიან და ჯაბანთა შიშითა პირსა ზაფრანისა ფერი დაედებოდათ. მაშინ რაჰინდისა ლაშქართაგან ერთი გულოვანი ფალავანი მოედანსა გამოვიდა, ყვითელს მარტორქასა იჯდა და ძმინეჯ შეჰტურვილიყო. ათორმეტი ათასი ფალავანი უკან მოსდევდა. ესეთისა შვენებითა მოვიდოდა, რომე მტერთაცა დიდად მოეწონათ და ქება დაუწყეს. ამისმან მხილველმან უშანგ ხელმწიფემან თვისთა ლაშქართა და სარდალთა უბრძანა: ესე სახელოვანი ჰაბუჯი ვინ უნდა იყოსო? მაშინ ზორაბ ინდი წინ წამოდგა და მოახსენა: ჰე, შარიელო! იგი ფალავანი ინდოთა მეფის ასული სარვიხურამან არის. ფალავანთა უბრძანეთ, მისგან გაფრთხილდნენ, რომე ფათერაკსა არ წაეკიდნენო. რა ესე სიტყვა ფალავანთა ესმათ, ომად ემზადებოდნენ.

### აჰა ვარანელთა და თურანელთა ფალავანთა და სარვიხურამანის ომი ძლიერი

უშანგისა ლაშქართა შიგან სახელოვანი ფალავანი ვინმე იყო, რომელსა სახელად ბარამი სანგანდაზ ეწოდა. მოედანსა გავიდა და მის ქალისა ომსა ლამობდა. ხელთა ესეთი ოროლი ეჭირა, რომე

დიდსა ჭანდარსა ემსგავსებოდა. თავსა შემოივლო, სარვიხურამანს მიუხნდა და მისითა განგებითა მას ზედან აგებასა უპირობდა. ამის- მან მხილველმან უშანგ ხელმწიფემან ბრძანა: მებრალების სარვიხურამან, რომე ბარამი სანგანდაზის ხელთაგან გათავდებისო. ყარამან მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო სრულიად ქვეყნისაო, მას ქალსა ბარამისა ომი არად მიაჩნია და არც მისსა ომსა იკადრებსო. რაოდენი ბარამის მსგავსი ფალავანი მიწათა თანა გაუსწორებიო. მე ესე მომიხსენებო და აწ თვალითა თქვენითა ნახავთო.

რა ბარამმან შუბი მიუტანა, ქალმან შუბსა ხელი უტაცა და ზე აზიდა. ბარამმან შუბი ხელთა არა გაუშვა. მეტისა აზიდვითა ქალმან ბარამ მარტორქისაგან აიყვანა და ქვეყანასა დაჰკრა. ბარამ მეტისა სიფიცხითა ფეხსა ზედან დადგა. რა ქალმან იგი ეგრეთ დაინახა, აჯვანდისაგან ფერხი გამოიღო და ბარამს გულსა ესეთი აძგერა, რომე შეიღჯერ ჰაერში ყირაზედ გარდატრიალდა და ქვეყანასა დაეცა. მისი დაცემისა ხმა მთისა დაქვევისა ხმასა ჰგვანდა. მაშინ ანაზ- ლად ინდოთა აიარნი მოცვიდნენ, ბარამ სანგანდაზს ხელნი შეუკრ- ნეს და ეგრე პურობილად წაიყვანეს.

რა ესეთი სიმხნე ნახეს ქალისა, ორთავე კერძო ლაშქართა შოი- ნახეს, ქება დიდი შეასხეს და შაბაშ-შაბაშისა ხმა განამრავლეს. ქალი მოედანსავე იდგა და საომრად ფალავანსა ითხოვდა. მაშინ ერანელ- თაგანი მოჯათ ზანჯირ წოდებული ფალავანი მოედანსა განვიდა და ერთმანეთსა ნავარდი შემოუყვეს. ქალმან ლახტი თავსა შემოივლო და ერანელსა ფალავანსა მედგრად დაჰკრა. იგი საწყალობელი ცხე- ნისაგან სწრაფად გარდმოვარდა. აიარებმა იგიცა შეჰკრეს და წარი- ყვანეს. ამისი მხილველი უშანგ ხელმწიფე დიდსა მწუხარებასა: მიეცა და ეგრე ბრძანა: ფალავანო! ვერ ხედავთ, ესე თმაასაკვეცი ვითარსა საქმესა ჩადისო?!

რა ესე ხელმწიფემან ბრძანა, ყირისავარ თურქთა ფალავანი მოე- დანსა გავიდა. ქალმან იგიცა მსწრაფლად ჩამოაგდო. გრძნეულნი მოვიდნენ და იგიც საპურობილესა წაიყვანეს. ხელმწიფემან უშანგ თვისთა სარდალთა უბრძანა: ხედავთ, ამა ქალისაგან რავდენი ფალა- ვანი გათავდაო? მაშინ ხვარასნელი ფალავანი ივთი ალჯანგინ მოე- დანსა გავიდა. და იგიცა სხვათაებრ წახნდა. კვალად ბალხელი ფალა- ვანი ვინმე გავიდა, რომელსა დუზაბარს უხმობდიან. ერთმანეთსა შე- მოუვლეს ნავარდი, შეექნათ ომი ფაცხელი. ოცდაოთხი ლახტი ერთ- მანეთსა სცეს და ვერა რომელმან აჯობა. მაშინ განწყრა სარვიხურა-

მან, თვისი მძიმე ლახტი თავსა შემოივლო და გაფიცებული საკვდავად მოიმართა და მოუხდა. ღუზაბარმან ფარი თავსა დაიდვა და სიცოცხლისაგან უიმედო შეიქნა. ლახტი ფარსა მოხვდა. ფარმან ველარა დაუდგნა, ფარი გასქდა და კისერსა ჩამოეცვა. და ფალავანი იგი ბალხელი მიწასა დაეცა. ინდოთა გრძნეულნი თვისითა გრძნეულებითა მსწრაფლად მოვიდნენ და იგიცა წარიტაცეს.

რა ესე არყალიბი ხუნხარ დაინახა, მანცა მოედანსა ცხენი გაიგდო. მცირესა ხანსა იბრძოლეს და იგიცა ცხენისაგან გარდმოაგდო. რა იგი გარდმოგდებული ნახა საამსიმომ, გავიდა და იგიცა საწყალობელი ადვილად შეიპყრა. ამის მხილველნი ერანელთა და თურანელთა ფალავანნი მწვე თაკილობდიან. მაშინ მოედანსა გავიდნენ ყაზამფარ მარდანა, ქელან ქუფალანგი, პალპალან ქუნიშინ, დაბაზადი ჯანამ. ესენი ესრეთ სახელოვანნი ჭაბუკნი იყვნენ, რომე რკინასა კბილითა დაღეჭდიან და ბორცესა მჯიღვითა დააქცევდიან. ესენიცა მცირესა ხანსა ებრძოდნენ, ბოლოს საქმე ამათიცა წახდა. ქალმან ესე ყველაყანი შეიპყრა და თვისთა აიართა მისცა. მას დღეთა ინდოთა ლაშქართა შიგან ამა სიტყვისა ხმიანობა იყო: კარ, მოკალ, შეკარ, შეიპყარ და ერანელთა ფალავანსა ცოცხალსა ნულარა გარდაარჩინო! უშანგ ხელმწიფისა ფალავანნი მას დღესა სარვიხურამან სამოცდათხუთმეტი ფალავანი შეიპყრა. ამისი მხილველი დიდი ხელმწიფე უშანგ არა მცირედსა მწუხარებასა მიეცა.

რა ცოტა ხანი გამოხდა, მარჯვენისა მხრისაგან საშინელი ხმიანობა მოისმა. მსმენელთა ესრედ ეგონათ, ცა ქვეყანასა დაეცათ. რა ამა ხმაზედან მიიხედეს, ნახეს — ფალავანთა სისხლისმღვრელი და ამაყთა აიართა მომამშვიდებელი ლომი იგი ძლიერი ყათრან მოედანსა გამოვიდა. ამისთა მხილველთა სარვიხურამანის იმედი გარდასწყვიტეს. ერთობით ამასა იტყოდინ: ბრალი მნათობისა ამის, რომელ ესეთისა ვეშაპისა ხელთა შთავარდებისო. ხელმწიფემან უშანგ ზორაბ ინდსა უბრძანა: ჰე, სარდალო, სარვიხურამანისა და ყათრანის ომსა ვითარ ხედაო. მან მოახსენა: ჰე, შვიდთა იყლიმთა ხელმწიფეო, მე ესრედ ვგონებ, ამა ქალსა ყათრანმაცა ვერა ავნოს რაო. ხელმწიფემ ესე მოხსენება არა დია ირწმუნა. ეგრე ბრძანა: იგი საბრალო ქალი მეწყალვის, რომე ყათრანსა ვერა იცნობს, თუ ვითარი ფალავანიო. დღეს უთუოდ ამა ჭაბუკისა ხელითა გარდაუწყდებათ.

რა ყათრან სარვიხურამანისა სიახლოვესა მივიდა, მდაბლად სალაში ჰკადრა. ქალმან ჰკითხა: ჰე, ფალავანო, რა სახელოვანი საქმენი

გიქმნიათ უშანგისა ესეოდენთა შეყრილთა ფალავანთა, ანუ რა უნდა ქმნათო? ბრალი იგი დრაპკანი, რომელ ხელმწიფესა თქვენდა მიზეზად მიუცემიათ. მაშინ ყათრანმან ბასუხალ უგო: შენ, რომელსა სირცხვილისა ფარდაგი პირთაგან აგიკვეცია და ესე ოდენი უწესონი საქმენი გიკადრებია! მოედანი, რომელ ვაჟთა კაცთათვის საომრად განწესებულა და დიაცთა ომი ქაბუკათათვის საკაცხავად დადებულა, მე შენთანა ბრძოლად არა გამოვიდოდი ამისთვის, რომე დედათა ომი მესირცხოდა, მაგრამ შენ მეტითა ამაყობითა მრავალნი უგვანნი საქმენი ჰქმენ. უმეცარო, არა გასმიოდა სახელი ყარამანისა და ყათრანისა? აწ მოველ სულთა შენთა აღმომხდელი. სად წახვალ ხელთა ჩემთაგან, უთუოდ აწ ტანსა თავისაგან განგაშორებ და ქვეყანისა ზედან საკიცხველად დაგდებო!

რა სარეიხურამან ესე მოისმინა, გულსა შიგან დიდად გაწყრა და პასუხი ესრედ უგო: ფალავანო! ვითარ იგრძენ, რომელ მე ქალი ვიყავ, ანუ ეგრედ რად გამიციხეო? თუცა ლომისა ხვალი ლეკვი ლომი იქნება, ძუცა ეგრეთვე ლომიაო. აწ მზა იყავ და გაფრთხილდი, გაცნობებ ჩემსა დიაცობასაო! რა ესე თქვა, მარტორქისა ქუსლი შემოჰკრა და ზედან მიუხდა. ერთმანეთსა ნავარდი შემოუვლეს. უშანგ ხელმწიფე, ფალავანთა უხუცესი ყარამან და სხვანნი სახელოვანნი მათსა ბრძოლასა უკვრეტდეს. ქალმან შუბი გულსა საძვერლად მოუტანა. ყათრან სწრაფად ფარი მიაშველა, შუბმან ფარი გახეთქა და გულისა სიახლოვესა მიაწია. ყათრან მარტორქისა გავასა გარდაწვა და შუბისაგან ფარი დაემსხვრა და ხელთაგან გასცივიდა. ანაზად გარდანქეშანმან სხვა ფარი მიუტანა და ყათრანს მისცა.

რა ქალმან ნახა, რომე მის შუბისაგან ფალავანსა არა ვენებია რა, მაშინ მთისაოდენი ლახტი წელთაგან ამოიღო და ყათრანს მედგრად დასაკრავად მოუქნია. ამისმან მხილველმან ყათრან თავისი ლახტი თავსა იფარა. ლახტი ლახტსა მოხვდა და მათგან ესეთი ცეცხლი გამოხდა, რომე მოედანი ცეცხლითა აღივსო. ქალმან მრავლისა ლახტისა ცემითა ზე აღარ აახედა, მაგრამ ყათრან ათასითა ცდითა უვნებლად მოურჩა. რა რიგი ყათრანსა ერგო, მანცა რავდენნიმე ლახტი სცა, მაგრამ რეცა არა სცემოდა რა, ქალმან ეგრეცა არა შეიმჩნია. რა მეორედ რიგი ქალსა ხვდა, ესრედ ძლიერი ლახტი დაჰკრა, თუმცა მთასა იალბუზისასა სცემოდა, იგიცა დაიქცეოდა, მაგრამ ფალავანი მას ნაკრავსა უვნებლად გარდაურჩა.

მერმე ყათრან ავჯანღზედან დადგა და ერთი ესეთი ლახტი დაჰ-

კრა, რომე მისი ნაკრავის ხმა ოთხსა ფარსანგსა გაიგონებოდა, მაგრამ ქალსა არცა ეგრე ევნო რა. ყათრან თქვა: ჩემთა ნაკრავთა ღვენი და ფერიანნი ვერ გარდაურჩებოდნენ და მე ამა ქალმან ვითარ გამიძლო? მე ამა ქალისა საკვდავად მოვსრულ ვარ, აწ უნდა გარდაუწყვიტო! ესე თქვა და ხმალი ქარქაშთაგან აღმოიწოდა და ქალსა სასიკვდილოდ მიმართა. სარვიხურამანს უწინვე სმენოდა, რომე ყათრან ყარამანისა ბიძისა ძე იყო. ეგრე შესძახა: ფალავანო! რასა ლამი, რომე ხმალმოწვდილი მოხვალო? აწ მე გაცნობო ხლმისა მოწვდა და მტერთა სიკვდილი ვითარ უნდა, მაგრამ რა ვქნა, რომე ყარამანისა წყენასა ვერიდები და საკვდავად ვერა გიმეტებო.

რა ესე თქვა, მაშინცა ინლოური პირბასრი ხმალი ქარქაშთაგან აღმოახდინა და მანცა ყათრანს შეუტევა. პირველსა მისვლასა ყათრან ხმალი მოუქნია და თვისითა განგებითა სიკვდილს უპირობდა. ქალმა მეტითა სიფიცხითა და კარგ-მხედრობითა მოქნეული იგი ხმალი დაიციდინა და მხარსა ქვეშე გაუარა. რა ქალმან სადავე მოიბრუნა, ეგრე შემოსძახა: ფალავანო, აწ შენცა სიფრთხილე გმართებსო! რა ყათრანმან მიიხედა, ნახა, რომე ხმალსა და სიკვდილსა მას ზედან ახლოს მიეწია. ესელა შესძახა: ჰე, თმა ასაკვეცო, რასა საქმესა ლამიო?! რა ესე თქვა, ფარი იფარა და თავი უფალსა შევედრა.

ამა საქმისა მხილველთა ყათრანისაგან იმედი გარდაიწვიტეს, პაგრამ ქალმან ყარამანისა შიშითა ვერა გაბედა, რომე ყათრანისათვის პირი დაეკრა. ხმალი გარდაიბრუნა და ყუა დაჰკრა. ყათრან დაკრულსა ალაგსა დაიხედა, დაკოდილობა ეგონა. რა სისხლთა დენა ვერა ნახა, დიდად გაუკვირდა. მაშინცა ქალმან კვალად შემოუტევა. რა ყათრანისა სასიკვდილოდ გამომეტება ყარამან დაინახა, ქალსა საშინელისა ხმითა შემოსძახა: ჰე, სისხლთა მღვრელო, მაგ ფალავანსა არა ავნო რაო!

რა ყათრანსა ყარამანისა ხმა მოესმა, მაშინ სირცხვილისა აღმან ნამუსსა ჩააგდო, ქალსა ჯაჰვის კალთასა ხელი მიჰყო და ორნი იგი ძლიერნი მებრძოლნი ერთმანეთსა ერკინებოდნენ. ორივე მარტორქისაგან გარდახდნენ და ქვეითად ერთმანეთსა ებრძოდნენ, ჯაჰვსა და ჯავშანსა ერთმანერთსა ზეწარსავით ახევიდნენ. საღამომდინ ამა ბრძოლასა იყვნენ და რა მწუხრისა ჟამი მოახლოვდა, სარვიხურამან განრისხდა, ყათრან მედგრად ასწია, ვითა მცირე ყმა, ეგრე აიყვანა და მამისა თვისისა ღროშისა წინ მიიყვანა და ქვეყანასა დასცა. ორთავე ლაშქართა შიგან დიდად გაკვირვებისა ხმიანობა შეიქნა.

რა უშანგისა ლაშქართა ესე საქმე მოინახეს, სამასმან ათასმან მხედარმან ერთობით ქალსა შემოუტეეს. ქალმან ხმალსა ხელი მოივლო და მათ სიმრავლეთა შიგან გაერია. იქით მხრიდამ სამასი ათასი მებძოლი მხედარი ინდოთავან გამოვიდა და ამა ლაშქართა შემოუტია. ცხენტა მათთა ნატერფალი ღრუბელთა სწვდებოდა. ერთმანერთა შიგან აღერივნეს. ორთავე კერძო ლაშქართა მალლად ხმიანობა ესე იყო: კარ, მოკალ, შეკარ, შეიპყარ, ესე არს დღე მამაცთა გამოჩენისაო!

შეიქნა ომი ფიცხელი და საკვირველი, რომელ სპარსნი ესრედ აღწერენ: ზეცით ანგელოზნი უჭვრეტდნენ და მოეწონებოდათო.

მათისა ფერხისა ნატერფალმან ესეთი მტვერი შექნა, რომე ჰაერი დააბნელა და ლაშქარნი ერთმანერთს ვეღარა ხედვედიან. მას დღესა ინდონი მხნედ იბრძოდიან. იძლივნენ უშანგისა ლაშქარნი და გაიქნენ. მას უამად ყარამან ერთსა ალაგსა იდგა და ლაშქართა ბრძოლასა უჭვრეტდა. რა უშანგ ზელმწიფისა ლაშქარი ძლეული იხილა, ვერღარა მოითმინა, მსწრაფლად ზელმწიფისა წინა მივიდა, გარდახდა, პირი მიწასა დასდვა, ქება შეასხა და ზელმწიფობა უშანგისა დალოცა, აგრევე შეჯდა მხეცსა და მტერთა საომრად გაემართა. ხელნი გვერდებსა შემოიხვია, ესეთითა მალლითა ხმითა შესძახა, რომე მისნი მსმენელნი ქვეყანასა ზედა დაეცნეს, რომე ცისა დაკვეთებასა მგონებლობდნენ. ამა ხმისა სმენითა მრავალნი კაცი უსულო იქმნენ და ფალავანნიცა მრავალნი ცხენტავან გარდმოსცივიდნენ. მარტორქანი დაფრთხნენ, სპილოთა დაწყვიტეს და მინდორთა შიგან პირბოდნენ. ყარამან ბასრი ხმალი ბედნიერისა ქარქაშით აღმოაბდინა და ინდოთა ლაშქართა შიგან გაერია. ამისი მხილველნი ძლეულნი უშანგისა ლაშქარნი დათამამდნენ და იგინიცა ინდოთა მიეტევნენ. შეექმნათ ომი ძლიერი. მოლაშქრეთა თავი ხეთა ფურცელთაებრ მიწასა ზედან სციოდა და მრავალთა ფალავანთა თავი უპატიოდ ცხენტა ქვეშე ეყარა. ათშიდმეტი ფალავანი ერანელი მოკვდა და ინდონი ურიცხვი დაიხოცა, სხვათა მოლაშქრეთა რიცხვსა ვინლა ძალ იღებდა. ყარამან განრისხებული მედგრად იბრძოდა. მრავალი სპილოსა მსხდომი ფალავანი მოკლა და ინდოთა ზელმწიფისა დროშისა სიახლოესა მიაწია. რა ამა ბრძოლასა იყვნენ, სპანდიერ ბარი თვისითა ლაშქრითა რაჰინდისა მოსახმარებლად მოვიდა.



აქა სპანდიერ ბარის მოსლვა ჰინდოთ  
ხელმწიფის შეხვედ

სამხრით კერძო ერთი მტვერი ადგა, რომელ ჰაერი დააბნელა. რა მცირე ხანი გამოხდა, ჩრდილოთა კერძო ქარმან შებერა, მტვერი გარდააყარა, — ორასი დროშა გამოჩნდა. ესე იყო ნიშანი ორასის ათასის კაცისა. სწრაფითა სიარულითა ლაშქართა სიახლოვესა მოაწიეს და მათსა შუაგულობასა დადგნენ. ცხენნი და კაცნი სრულად რკინითა შეჭედდინი იყვნენ. სპანდიერ იკითხა: ინდოთა ლაშქარი რომელია? ერთმან ინდოთა მოლაშქრემან აუწყა, რომელიცა იყო. მაშინ სპანდიერ ბარმა რაში თვისი მოითხოვა, მოსართავი გაუმაგრა და ზედან ამხედრდა. მონათა უბრძანა: ინდოთა მეფესა ახარეთ მოსვლა ჩემი, აწ მტერთაგან ნულარა იშიშვისო. მონამან ფიცხლად რაჰინდს ესე საამო ამბავი მოახსენა. მაშინ ინდოთა ხელმწიფემან ხელნი შეიტყუბნა და კისკასით სიცილი დაიწყო.

სპანდიერ ბარმა თვისის ორასის ათასის მეომართა უშანგისა ლაშქართა შეუტია. მაშინ უშანგ ხელმწიფესა ლაშქართა არა მცირედი შიში დაეკათ. გაიქცა ლაშქარი უშანგისა და მისდევდა ლაშქარი ინდოთა ხელმწიფისა. სპანდიერ ბარი ხმალძოწვდილი ლაშქართა შიგან გაერია. რომელსა მათგანსა მოლაშქრესა ხმალსა თავსა დაჰკრევდა, ცხენსა და კაცსა შუა გაკვეთდა და რომელსაცა ხელსა მიჰყოფდა და მეორესა შესტყორცნიდა, ორნივე უსულო იქმნებოდიან. მას დღესა ერანელთა ფალავანი მისგან მრავალი მოკვდა. ამჟამად ყარამან და სარვიხურამან ერთმანეთსა ებრძოდიან, ვიდრე მწუხრისა ჟამამდე ბრძოლასა იყვნენ. ქალმან რა ამისი ისეთი სიმხნე ნახა, ესრეთ მოახსენა: შაბაშ, შაბაშ შენთა მკლავთა ძლიერებასა, რომელ შენებრივ ჭაბუკი პირსა ყოვლისა ქვეყანისასა არცა შობილ არს და ვგონებ არცა იშობოსო! ჰე, ფალავანთა ფალავანო, დღეს მე და შენ ბრძოლითა ვერა გარდავეწყვიტეთ. იმა პყრობილთათვის ნუ სწუხარ, ბოლო კეთილად იქნებისო!

რა ესე თქვა, ერთმანერთსა გაეყარნეს. მას ჟამად გასაყარელსა ბუქსაცა შებერეს და ორნივე ხელმწიფისა ლაშქარნი ერთმანერთისა ბრძოლასა მოეშალნენ და თავ-თავისად წავიდნენ. ხელმწიფე უშანგ თვისსა დიდებულსა ტახტსა დაბრძანდა და ფალავანნი წესისაებრ თავ-თავისსა ადგილსა დასხდნენ და ომისა ამბავსა უბნობდიან. რა მცირე ხანი გამოხდა, ფალავანთა ფალავანი ყარამან ხელმწიფისა

წინაშე შევიდა, წესისაებრ დალოცა და ქება შეასხა და თვისსა განწესებულსა ალაგსა დაჯდა. ხელმწიფემ მიმოიხედა, ორმოცდაათხი ფალავანთა სასხდომი სკამი ცარიელი იხილა. დიდსა მწუხარებასა მიეცა და ეგრე ბრძანა: სარდალნო! ხედავ, დღეს იმა ქალმან რა გვიყო და იგი დევთა ნაშობი სპანდიერ ბარი რა კარგსა ქამსა მოვიდა და მოეშველა და ვითარი ომი გარდაიხადაო?!

მაშინ გარდანქეშანმან მოახსენა: ჰე, შარიელო, დღეს თუმცა ყარამანის ჭაბუკობა ორ შეგვეწოდა, იგი ქალი ესეთსა საქმესა გვიზამდა, რომელ ქვეყანაზედა საარაკო შეექმნილიყავითო. მერმე სპანდიერის ამბავი ჩამოაგდო და ეგოდენი ქება წარმოთქვა, რომე მსმენელთა შიშითა პირსა ფერი შეეცვალათ. მაგრამ ყარამანის გული ესრეთ სძგერდა, რომელ მუნ მსხდომთა ეგონათ, ღრუბელი გვირგვინავს და მისი ხმიანობა არისო. ხელმწიფემან უშანგ ყარამანს მიხედა და მისის მხნეობისათვის ღმერთსა მადლობდა, მაგრამ დახოცილთა და პურობილთა ფალავანთათვის დიდსა მწუხარებასა იყო.

რა ყარამან ხელმწიფისა მოწყენა შეიგნა, ველარ მოითმინა, ესრეთ მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო! დაღალულობისაგან ესრეთ ვარ, რომე ხორცი დანაყილსა მიგავსო. ესე თქვა, ხელმწიფე დალოცა, ზე ადგა და თვისსა კარავსა წარვიდა. მეცნიერთა შეატყვეს, რომე არა დაღალულობისათვის წარვიდა, არამედ საწადისა რისათვისმე. რა ყარამან თვისსა კარავსა შევიდა, გარდანქეშან გრძნეულიცა მის თანა მივიდა, თაყვანის სცა, დალოცა და ქება შეასხა. ნახა, ყარამანს ღამე საცმელი სამოსელი შეუმოსიეს და აბჯრითა იჭურვება. ესრეთ სწრაფად იქცევა, თუ სთქვა, მზისა ჩარხთა ბრუნვასა ემსგავსებოდა. რა გარდანქეშანმან ყარამანისა ესეთი სიფიციხე ნახა, დიდად მოეწონა და საქებრად ენა დასძრა და აგრე მოახსენა: ჰე, სწორუპოვარო ფალავანო, ესე მორთულება და ქცევა ვისგან ისწავე, ანუ ესე სამოსი რად შეგიმოსავს და ანუ საწადი შენი რა არისო? ყარამან უპასუხა: მე ესე მწადია, რომე ამას ღამესა წარვიდე და რაჰინდისა საპურობილესა, რომელ ჩვენნი ფალავანნი პურობილ არიან, ივინი გამოვასხაო. გარდანქეშანმა მოახსენა: ჰე, სახელოვანო ჭაბუკო, დიდად საჭირო საქმე გიფიქრია. მართლად იცოდე, რომე შენის სისხლთა დაღვრისათვის ყოველნი ინდონი თავსა გასწირვენ, ორმოცდახუთი ასი ათასნი კაცინი შენნი მტერნი არიან და ამას გარდა მოსებრ დევთა ნაშობისა სპანდიერ ბარის ძმა ხელთა შენთაგან მომკედარა და აწ იგიცა მათთან არის. მაგა საქმეზედან წასვლა, რომელი შენ განგიზრახავს, ღმერთო, ძნელად გასაჭირავი არისო.

ყარამანმან პასუხად ესე უგო: ჰე, გარდანქეშანო, შენ რომ წასვლასა მიშლი, ძე ბიძის ჩემისა ყათრან სახელოვანი ჭაბუკი და სხვანიცა ძლიერნი ფალავანნი მტერთა ხელთა შინა პყრობილად არიან და ხელმწიფე ჩვენი უშანგ მათთვის შეიჭირებებს. ჩვენგან ამისი დათმენა ვითა ეგებოსო? რა გარდანქეშანმან ესე გაიგონა, ესრეთ მოახსენა: ფალავანო, საცდელად მოგახსენეო, ვინადგან შენ ეგე გწადიან, მეცა თანა გიახლები. ანუ პყრობილნი გამოვასხათ და ანუ თავი ჩვენი პატრონისა ჩვენისა სამსახურზედან დავედეთო! ორნივე აბჯრითა შეჭურვილნი ინდოთა ლაშქრისაკენ გამგზავრდნენ. ერთიმეორასა ეუბნებოდიან, ამას ღამე ინდოთა ფალავანნი მშეტოებრ ვინადიროთო.

### აქა ყარამანისა და გარდანქეშანისაგან მრანელ და თურანელ ფალავანთა გამოხსნა

რა ინდოეთისა დიდი ხელმწიფე რაჰინდ ომისაგან გაბრუნდა, თვისსა ტახტსა დაბრძანდა და ინდოთა დიდებულთა დასხდომა უბრძანა. იგინი თვის-თვისსა ადგილსა წესისაებრ დასხდნენ. რა მცირე ხანი გამოხდა, სპანდიერ ბარი შემოვიდა. რა ინდოთა დიდებულთა სპანდიერ დაინახეს, ყოველივე ზე ადგნენ. სპანდიერ ხელმწიფესა რაჰინდს თაყვანის სცა, დალოცა და ქება შეასხა, მივიდა და ტახტისა ძირსა დაჯდა. ხელმწიფემან ფალავანი მოიკითხა, გარჯილობისა მისისა მადლობა უბრძანა და ძვირფასი სამოსელი უბოძა. სუფრა მოიღეს და ნადიმი დიდი შექნეს.

რა მცირე ხანი გამოხდა, სპანდიერ ბარმა ხელმწიფეს მოახსენა: ჰე, შარიელო, ძმა ჩემი ჭაბულ რა იქნა, ანუ ვისთა ხელთაგან მოკვდაო? ამა სიტყვასა ზედან ხელმწიფემან რაჰინდ საზარლად ამოიოხრა და ესრეთ უბრძანა: მესისხლესა ჩემსა უშანგს ერთი ფალავანი ახლავს, რომელსა სახელად ყარამანს უხმობენ, ძმა შენი ხელთა მისთაგან გათავდაო. ამისმან მხილველმან და მსმენელმან სპანდიერ საზარელი სულთქმა გულით აღმოახდინა და ეგრე თქვა: ვინაა იგი ყარამან, რომელ ძმისა ჩემი სიკვდილი იკადრა და იგი ჯერეთ ქვეყანასა ზედან მოარული არისო?! დღეს იგი ომსა შიგან რად არა მაცნობეთ, რომე სისხლი ძმისა ჩემისა მეზღვია და იგი ორად გამეკვეთა და მისსა ხორცსა ზედან ნადირთათვის სერი ღამეგო.

რა ესე თქვა, დიდად ამოიოხრა და მკერდსა მჯიღვი დაიცა და ესე თქვა: ვაი ჩემდა, ძმაო ჩემო, რა ცუდთა კაცთა ხელთაგან გათავე-ბულხარო. აწ ყოველთა გვედრებით, ხვალ იგი კაცი მაცნობეთ, რომ საქმე მისი გარდავსწყვიტო. ამა სიტყვისა მსძენელნი სარვისხურამან გულსა შინა იტყოდა: ვინაა კაცი მისთანა, რომე თმისა მისისა შეშლა იკადროსო? თუ ვინმე წყენა მისი გაბედა, ხელთა ჩეჴთაგან ძნელსა ფათერაკსა გაეხვევაო.

ხელმწიფემან რაჴინდ ბრძანა ცეცხლისა ძლიერისა დაგზება. მონათა ეგრედ ჰყვეს, ვითარ ბრძანება ხელმწიფისა მათისა იყო. და ცეცხლი დიდი შექმნეს. მეფემან და დიდებულებმან მას ცეცხლსა ოთხსავე მხარესა თაყვანის სცეს და თხოვილისა მათისა აღსრულე-ბასა ევედრებოდეს. ამჴამად ლომი იგი ლომთა ყარამან და გრძნე-ულთა უხუცესი გარდანქეშანი მათ შიგან იღვნენ და მათსა ეგრე ქეულებასა უმზერდნენ. მაშინ ცეცხლისა მისგან ეშმაური ხმა რამე გამოხდა, ესრედ, რომე: დღეს ხმალთა შენთათვის მტერი შენი დამი-მორჩილებიეს, ყარამანის ფალავნობა დამითრგუნავს და სჴანდიერ ბარი, ძლიერი ფალავანი, შენდა შემწედ მომივლენიაო. აწ პყრობი-ლი იგი ყათრან წინაშე ჩემსა მოიყვანეთ და თაყვანი ჩემთა აცემი-ნეთო. უკეთუ თაყვანისცემა ჩემი არა ინებოს, სიკვდილსა მიეცითო!

რა ცეცხლისაგან ესე ხმიანობა ინდოთა ხელმწიფესა ესმა, პირი მიწასა დასდვა და ეგრე თაყვანებით ევედრებოდა: ამისი ძხილველი ყარამან გარდანქეშანსა ეზრახებოდა, ვითა ვინა ესე, რომელ ცეცხლისაგან ხმიანობსო? გარდანქეშანმან მოახსენა: ჰე, ფალავანო, ხმა იგი, რომელ ცეცხლთაგან ხმიანობს, ეშმაკთა ხმობა არისო და ცეცხლისა მის თაყვანისმცემელთა ამბავი ყველა წვრილად ამცნო. მაშინ ხელმწიფე რაჴინდ, უზომოდ გახარებული, პყრობილთა მო-ყვანებასა ბრძანებდა. მონანი მისსა ბრძანებასა მსწრაფლად აღას-რულებდნენ და ერანთა პყრობილნი ფალავანნი წინაშე მისსა წარმო-ადგინეს. ხელმწიფე მათსა დახოცასა ლამოდა.

ამისსა მხბლველსა ყარამანს გული ღრუბელთაებრ უგრგვინევდა. მაშინვე შეტევა ენება, მაგრამ გარდანქეშანმან მოახსენა, ჯერეთ ჟამი არა არს, მცირეს ხანს მოვიცადოთო. ყარამან სიტყვა მისი დაი-ჯერა და ჯერეთ შეტევა აღარა ინება. წინ წადგა და ფარულად იყურებოდა. რაჴინდ მივიდა და თვისსა ტახტსა დაბძანდა. დუზღო ავსარ გრძნეული წინ წარმოდგა და ყათრანს ეგრე უთხრა: ვაი, ფალავანო, შენ ვისთვის გასწირე თავი შენი, დღესა ამას შენ აღარა-

ვინ მოგიგონა, ხედავ, უშანგისა ლაშქართა რა უყავით? შენებრ სახელოვანი ფალავანი დაუჭირეთ და რისხვა ღვთისა მას ზედან დავეციეთო. ყარამანის იმელი გაქვნიდათ, იგი საწყალი სპანდიერის შიშით გარდახვეწილა, ხვალე უშანგისა ლაშქართა სპანდიატ გარდაუწყვეტსო. აწ სიტყვა ჩემი ისმინე და რაჰინდს ერთგულად ემსახურე, თუ სულისა შენისა გვამსა შენსა შენახვა გინდაო.

რა ყათრან ესე მოისმინა, მრისხანისა თვალთა შეხედა და პასუხი არა რა მიუგო. ამისი მსმენელი ყარამან დიდად განრისხდა და გარდანქეშანს უთხრა: ჰე, აიარო, ამა სპანდიერს, რომ იტყვიან, ვინ არის და ანუ სახელოვნება უქნიაო, რომე მე ამისგან შემეშინოს და გავიქცეო? რა ამა საუბარსა უბნობდიან, მაშინ სარკიხურამან ძიძასა თვისსა უბრძანა: ჰე, ძიძაო, მიკვირს, რომე გარდანქეშან აიარმან ესე პყრობილნი დაივიწყაო, მაგრამ ეს ფალავანი, რათაც ღონით არის, უნდა მოვარჩინო. ამათისა შეცოდებისა მიტევებასა მამსა ჩემსა ვეაჯი და თუმცა მოხსენება ჩემი არა ინება სმინებით, ესენი ანუ ძალით და ანუ ნებით სიკვდილისაგან უნდა დავიხსნაო. ძიძამან მოახსენა: ჰე, თვალთა ჩემთა ნათელო, მე ვგონებ, რომე გარდანქეშანი აქა ფარულად იდგესო.

რა ესე თქვა, ოთხსავე მხარეს თვალნი მოარჩა. ჯალათნი, რომელნი ხმალმოწვდილნი იდგნენ, მათ უკან მდგომი ორი კაცი იხილა, შავით მოსილნი, მაგრამ პირთა მათთა ელვარება მთიებსა ემსგავსებოდა. სწრაფლ-სწრაფლად მიმოიხედვიდნენ, სიფიცხითა, თუ სთქვა, ქართა უმაღესობდნენ. რა იგინი დაინახეს სარკიხურამან და ძიძამან მისმან, იცნეს, რომე ერთი იგი ღომი ღომთა ყარამან იყო და მეორე — გრძნეულთა უხუცესი გარდანქეშანი.

რა ქალმან ყარამანს შეხედა, სიყვარულისა ტვირთი გაუმრავლდა და ძიძასა თვისსა უბრძანა: ათასიმცა მაქებარი უნდა ამა მამაცთა გულსა, რომე ესდენთა ფალავანთა და ხმალ-მოწვდილთა ჯალათთა შიგან დგანან და მათ თანა შიში ყოლე არა არისო. რა ესენი ამა საუბარს იყვნენ, მაშინ რაჰინდმან ბრძანა: ჰე, სარდალნო, ამა პყრობილთა დახოცისასა რასა იტყვიეთო? მათ ეგრე მოახსენეს: ჰე, შარიელო, ამათ ზედა რისხვა თქვენი ესეთი უნდა მივიდეს, რომე მსმენელთა ყოველთა შეეშინოსთო.

მაშინვე რაჰინდმან ჯალათთა უბრძანა: მაგა პყრობილთა თავი ტანისაგან განაშორეთო! ამისი მსმენელი ინდონი ჭკრეტად წინ წამოდგნენ და ჯალათნი მათად დახოცად ემზადებოდნენ. რა მათი

მართლად სასიკვდილოდ გამომეტება ყარამან და გარდანქეშანმას დიდასტურეს, გარდანქეშანი წინ წადგა და რომელი ჯალათთა უხუცესი იყო, მას ესეთი მჯიღევი თავსა შემოჰკრა, რომე თავი ტანისაგან გაეყარა და ეგრე საწყლად მოკვდა. ყარამან მიუხდა სხვათა მათ ჯალათთა, თავი ტანთაგან განაშორა. რა მათის დახოცისაგან მოიცალა, ყარამან მოედანსა გამოვიდა, გვერდებზე ხელი შემოიხვია. ერთის ასეთისა საზაროსა ხმითა შესძახა, რომე მისნი მსმენელნი, ზოგნი უსულო იქმნენ და ზოგთა ცნობა დაეფანტათ. რაჰინდსა და სპანდიერს ესრეთ ეგონათ, ცა ქვეყანასა დაეცაო. ცხენნი და მარტორქანი დაფრთხნენ და დაწყვიტეს და სპილონი მინდორსა მირბოდეს.

რა სარვიხურამან ესე საქმე მოინახა, დიდსა სიხარულსა მიეცა. ლაშქარი ესრედ შეშინდა, რომე მეორედ მოსვლა ეგონა. რა ესე ხმა ყარამანისა ყათრან იცნა, მუხლსა წამოიჩოქა და რითაც ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, მეტითა გაზიდვითა დაწყვიტა. ყარამან და გარდანქეშანი მივიდნენ და პყრობილთა მათ ხელ-ფეხი დაუხსნეს. ზე აღგნენ და წასასვლელად გაემზადნენ. მაშინ სარვიხურამან ყარამანთან მივიდა, სალამი და მოკითხვა ჰკადრა და ქება დიდი შეასხა. ვირემდის ინდოთა ლაშქართა გამოივლიდნენ, ქალმან მოახსენა: ჰე, ფალავანო, თუმცა თქვენ ესე ოდენი ჯაფა არ გაგეწიათ, ამა პყრობილთა მეცა გვაათავისუფლებდი! მაგრამ ვითა ქაბუჯობას შენსა ფერობდა, შენ ეგრე სახელი ქმენი, აწ ძლიერება შენი სპანდიერსაც უჩვენეო.

რა ესე სიტყვანი დაასრულნა, ქალი უკუიქცა და თვისთავე ლაშქართა შიგან მივიდა. რა უშანგ ხელმწიფისა ლაშქართა ყარამან მიახლოვდა, მას დამესა ყუყაი ფილურსავარ იყო ტალა. ნახა რამდენნიმე ქვეითნი კაცნი მიმავალნი. რა ახლოს მივიდნენ, ყარამან და გარდანქეშანი იცნა და სხვანიცა პყრობილადყოფილნი ფალავანნი ძვალთა გაიცადნა. მასვე წამსა მივიდა და ესე ამბავი ხელმწიფესა უშანგს მოახსენა. იგი დიდსა სიხარულსა მიეცა, ბრძანა დიდებულთა წინა მიგებება. იგინი ფიცხლად მიეგებნენ. რა ახლოს მივიდნენ. ხელმწიფეცა წინა გაეგება, ყარამანს მოეხვია, შუბლსა აკოცა და მრავალი ქვეყანა უბოძა. მაშინ ყარამანმან მდაბლად თაყვანი სცა და ესრეთ მოახსენა: ჰე, მაღალო ხელმწიფეო, მე, მონა თქვენი, რასაცა სახელსა ვიქ, დოვლათით თქვენითა არისო. ესე სიტყვა ხელმწიფესა და დიდებულთა მოეწონათ, დალოცეს და ქება შეასხეს.

აწ მცირე ამბავი რაპინდისა მოგახსენოთ: ოდეს ყარამანისა ზახლისაგან ცნობა მიეფანტოდა, რა ხანი გამოხდა და გონებასა მოეგო, მიხედა და ინდოთა დიდებულნი ერთობით შებნედილნი ეყარნენ და პურობილნი ფალავანნი წინაშე მისსა აღარავინ იყვნენ და მოლაშქრენი ნახოცნი, კაცი კაცსა ზედან ეყარა. სპანდიერ ბარმა მოახსენა: ჰე, შარილო! ესე ვითარი ამბავი იყო, რომელ მოგვევლინა და ანუ ესე ჳირი და სირცხვილი თავსა ზედან ჩვენსა ვისგან მოვიდაო? ხელმწიფემან ესე უპასუხა: შემძლე ამისი ერთი ყმა კაცია, ჯერეთ ათშვიდმეტისა წლისა. ამა საქმისა მქონელი იგია და ძმაცა შენი ხელითა მისითა მოკვდაო. აწ იგი ორმოცი ასი ათასსა მოლაშქრესა შიგან ესრეთ თამამად შემოვიდა, თვისნი ამხანაგნი მოარჩინა და თვით აგრევე უვნებლად წარვიდაო. ამა სიტყუასა ზედან სპანდიერ თავი გაიქნია და საგონებელთა შთავარდა. მისი მხილველი სარვიზურამან ფარულად იცინოდა. მას ღამესა ოცდაათი თასი კაცი მომკვდარ იყო. რაპინდმან ბრძანა მათი ცეცხლშიგან დაწვა. მონათა მოიღეს და წესისაებრ ცეცხლთა შიგან დაწვეს. მას ღამესა სპანდიერ ბარი ამა საქმესა დიდად შეიჭირვებდა.

რა დილა გათენდა და საწუთროსა მაშვენებელმან მშემან აღმოსავალით ოქროსა სვეტი აღმართა, მაშინვე ორთავე კერძო ღამქართა საომრად მზადება იწყეს და წესისაებრ რაზმი აწყვეს. ინდოთა მხრითგან სპანდიერ გამოვიდა, თანა მრავალნი ინდოთა ფალავანნი იახლნენ. ერთსა სპილოსა მისი საომრად მოსამატი იარაღი ეკიდა და ამაყად ქცევითა მოედანსა მოვიდოდა, დიდად რასმე იქადოდა და საომრად ფალავანსა გამოითხოვდა. მაშინ უშანგისა ღამქართაგან მანთუს ყორჩი გავიდა. ხელთა ფოლადისა ოროლი ეჭირა და გულმესისხლედ სპანდიერსა მიუტანა. სპანდიერ ოროლსა მათრახი აუკრა და თავსა გარდაივლო, ხელი მიჰყო და მანთუს ყორჩი ცხენისაგან აიყვანა, ქვეყანასა დაჰკრა და იგი მსწრაფლად მოკლა. რა მუყაბარ წოდებულმან ფალავანმან ესე დაინახა, ლახტი აიღო და მოედანსა გავიდა. მიუხდა ლახტისა დასაყრავად, ხელი შეუშალდა, სპანდიერ ხელი შეაშველა და ლახტი ხელთაგან წაართვა. მისივე ლახტი მასვე დაჰკრა, ესრე ძლიერად მოხვდა, რომე თავი გვამსა შიგან ჩაუძვრა და იგიცა მოკვდა.

ამისი მხილველი ხათირ ფალავანი მოედანსა გავიდა და იგიცა ომსა ღამოდა. მაშინ სპანდიერ მიუხდა, გურზი ხელთაგან წაართვა, ხელი მიჰყო, უნაგირისაგან აიღო, გაზიდა და ორად გაგლიჯა და

უმანგ-შას შესტყორცა. თვით ვეშაპსავით განრისხებული მოედანსა ვილოდა და პირით პერეულსა ყრიდა. რა ესე შახათირ დაინახა, საზარლად ამოიხრა და ეგრე თქვა: ძმისა ჩემისა უკან მე რათლა უნდა ვიცოცხლო და იგიცა მოედანსა გავიდა და სპანდიერს დაუსწორდა. სპანდიერ განრისხებული მოუხდა, თავსა ესრეთი ლახტი დაჰკრა, რომე ძვალი ხორცთაგან აღარა გაირჩეოდა და იგიცა ესრეთ საწყლად მოკვდა. ამა საქმესა ზედან სპანდიერი დიდად გაამაყდა, ხმა მალლად ყიოდა: სად არის მპარავი იგი, რომელ წუხელის ჩვენთა ლაშქართაგან პყრობილნი გამოასხაო? აწ მოედანზედან რად არ გამოვაო?

ვირემდინ სპანდიერ ამა სიტყვასა დაასრულებდა, ყარამანს ენება, რათა მოედანსა გამოსულიყო. ბარამ ევედრა: ჰე, ფალავანო, აწ მისი ბრძოლა მე დამანებეო. ყარამან მას ჟამად მისი ომ.ა მას დაანება. ბარამმან ღვთისა სახელი ახსენა და ცხენი შოედანსა გაქუსლა. მისი მხილველი სპანდიერ წინა მოეგება და ეგრე შემოუძახა: ჰე, ფალავანო! ყარამან ჭაბუკი შენ ხარო? ბარამმან მიუგო: მე არა ყარამან ვარ, მე ბარამ ჯიბილი მქვიანო. სპანდიერ ხმამაღლად შემოსძახა: ჩინეთისა ქვეყანასა ქვადქმნილად რომელ იტყვიან, იგი შენ ხარო? ბარამმან მიუგო: მართალსა იტყვი, ჰე, მე ვარო! კვალად სპანდიერ უთხრა: შენ სიტყვა ჩემი ისმინე, მოვედ და მონად ჩემდა იყავ, თუ თავისა შენისა შენ თანა მშვიდობა გენებოსო. ბარამმან უთხრა: ჰე, სპანდიერ, რასთვის გაამაყდი და ეგრეთ იქადიო?!

რა ესე თქვა ბარამ, გურზი შეუშალდა. სპანდიერ ფარი თავსა იფარა, ლახტი ფარსა მოხვდა, ფარმან ველარა უძლო, ორად გასქდა და კისერსა გარდაეცვა და ორნივე მხარნი დიდად ატკინა. აწ ლახტთა დაკვრის რიგი სპანდიერს ერგო. ლახტი თავსა შემოივლო და თვისითა განზრახვითა, მის ერთისა ლახტისა ცემითა, მიწათა თანა გასწორებასა ულამოდა. რა ლახტი დასაკრავად მოუქნია, ბარამ სიფიცხითა აიციდინა. რა სპანდიერმან ბარამისაგან ლახტისა აცდენა იხილა, განრისხებულმან მეორე ლახტი მოუქნია. ბარამმან თავისი ლახტი მიაგება, ლახტი ლახტსა მოხვდა და მათგან საშინელი ცეცხლი გამოხდა. რასალა ვაგრძელებდე, ლახტი, შუბი და ხმალი ერთმანეთსა დააღეწეს და ვერა რომელმს აჯობა.

რა სპანდიერმან ბარამისაგან ესრეთ ომისა გასწორება მოინახა, მიბრუნდა და თვისთა ფალავანთა ანიშნა. თურმე სპანდიერსა ერთი ფოლადისა გურზი შეექნევივინებინა, ოცდაცამეტი აღლი სიგრძე ჰქონ-



და და თავი მისი დიდსა ბორცვსა უგვანდა, ცხრას ალაგს გახვრე-  
ტილი იყო და ორ-ორი ათასი ადლი ჯაჭვი ება. და მის ჯაჭვსა თავსა  
ხუთ-ხუთი ლიტრა რკინის ბურთი შეემა და რა ომი გაჰირდებოდა,  
მაშინ ამა გურზსა მოითხოვდა. რა თვისთა ფალავანთა ანიშნა, მათ  
სწრაფად იარალი მოზიდვით მოიღეს. სპანდიერ ხელი გაიწოდა, გურ-  
ზი იგი მათ ფალავანთა გამოართვა, შეიღჯერ თავსა შემოივლო. მი-  
სი ბრუნვისაგან ესეთი ხმა გამოხდა, რომე მისი ხმისა მსენელისა  
გულსა შიში არა მოაკლდებოდა. ამისი მხილველნი ბარამისაგან  
უიმედო იქმნებოდნენ.

ბარამმან თავი თვისი უფალსა მიანდო და ერთი ფოლადისაგან  
შვიდცეცად შექმნილი ფარი ჰქონდა, იგი თავსა დაიდვა. სპანდიერ  
მოუხდა და იგი საშინელი გურზი მედგრად თავსა დაჰკრა და შვიდო  
იგი რკინისა ბურთი ფარსა მოხვდა. ერთი ბარამს ბეჭსა მოხვდა და  
ერთიკა მარტორქასა თავსა ეცა. მარტორქა მაშინვე ქვე დაეცა. ბარამ  
გარდახდა და ქვეითი დარჩა. სპანდიერს ენება, რათა მეორე ლახტი-  
კა ბარამისათვის მედგრად დაეკრა და მიწასა თანა გაესწორებინ-  
ა. მაშინ ყარამანისა საშინელი ხმა მოესმა. ამა ბმიანობამან სპანდიერ  
დიდად გააკვირვა. რა მიიხედა, ნახა, ყარამან განრისხებული მისად  
ომად მიმავალობდა. ამისი მხილველნი ინდოთა ლაშქარნი შეშინდნენ.  
ერთმანეთსა ეცნენ და მრავალნი კაცნი ცხენთაგან გარდმოცვივდა.

სარვიხურამან იგრძნა, რომე ყარამანისა ხმისაგან სპანდიერს  
ცნობა მიფანტოდა. ძიძასა თვისსა თანა ხლება უბრძანა, იგი თან  
იახლა და მოედანსა თავსა გავიდნენ. სპანდიერს შეხედეს და მისსა  
საქმესა კვირობდნენ, ესრეთ უცნობო ქმნილ იყო, რომე ხან ცას  
უჰერეტდა, ხან ქვეყნად იყურებოდა, თურე ცისა ქვეყანაზედ და-  
ცემისა ხმა ჰგონებოდა. მაშინცა მისმან ფალავანმან სპანდიერს შე-  
საჯდომლად სპილო მოჰგვარა, მაგრამ ყარამანისა ხმისაგან იგი სპი-  
ლოცა ესრედ შეშინებულ იყო, რომე ერთსა ალაგსა ვეღარა დგებო-  
და. რა ყარამან ექვსფერხოვანსა ნადირსა მჯდომი მეიდანსა გამოვი-  
და, გარდანქეშანსა აღმასისა ნაჯახი ხელსა ეპყრა და წინა მოუძღვე-  
ბოდა. ესრეთ შეენებით მოვიდოდა, რომე მნახეთა მოეწონებოდათ  
და მათთა მტერთა შიში ყოლე არა მოაკლდებოდათ.

რა სპანდიერისა სიახლოესა მოვიდნენ, სპანდიერ ბარს მათი  
ნახვა არა დია იამებოდა, მაგრამ ღონე ომისაგან კიდე სხვა აღარა  
იყო. მაშინცა მომავალთა შესძახა და ვინაობა მათი იკითხა. გარდან-  
ქეშანმან ხმა უყო: ჰე, დევთა ნაშობო, ესე ფალავანი იგი არს, რო-  
მელმან ძმა შენი მოკლა. აწ გაფრთხილდი, რომელ შენზედან განრის-

ხებული მოვალსო. რა სპანდიერმან ყარამანს შეხედა, ესეთი საზარელი სულთქმა გულით აღმოახდინა, რომე მისი ხმა ორთავე ლაშქართა გაიგონეს. მერმე ყარამანს დაუძახა: ჰე, საწყალო, არამცა შენ ყარამან არა იყო და სახელი მისი დაგედვას, შენ ძმისა ჩემისა სიკვდილს ვითარ გაბედავდიო?! იგი მეიდანსა მოვიდეს, რომელი წუხელის რაჰინდისა ლაშქართა შიგან შემოვიდა და ერანთა პყრობილნი ფალავანი ააზატაო. ჩემი მეომარი იგი არისო! ყარამან პასუხი ესრეთ უგო: ჰე, წყეულო დევთა ნაშობო, ბევრსა საუბარს ნუ ჩმახავ, გაფრთხილდი, რომე შენცა ძმისა შენისა კვალსა მინდა გაგიყენო.

რა სპანდიერს ძმა თვისი მოაგონდა, ესრედ საწუხრად ამოიოხრა, რომე მამენელთა მოლაშქრეთა უზომოდ შეეწყალათ. რა ერთმანეთს დაუსწორდნენ, მაშინ სპანდიერ თვისი გურზი თავსა შემოივლო და ყარამანსა მოუქნია. ფალავანთა ფალავანმან ყარამან მარცხენითა ხელითა ფარი თავსა დაიფარა და მარჯვენასა ხელსა შიშველი ხმალი მიიცა. ვირგმდის მოქნეული გურზი თავისა სიახლოვესა მოვიდოდა, ყარამან მას გურზსა ხმალი მოუქნია და რკინისა ბურთი რომელნი ჯაჰვთა ესხა, ხუთი მათგანი მოსწყვიტა და მიწასა დასცა. დარჩომილი ოთხი იგი ბურთი, რომელი გურზსავე ებნეს, იგინი ფართთა აიციდინნა და თვით უვნებლად გარდარჩა. ამისი მხილველნი ერანელთა და თურანელთა ფალავანნი და მოლაშქრენი ყარამანს ქებასა შეასხმიდიან და ჩაუშნი „შაბაშ, შაბაშისა“ ხმასა გაამრავლებდნენ.

რა სპანდიერ ყარამანისა უვნებლად გარდარჩომა ნახა, არა მცირედსა მწუხარებასა მიეცა. მაშინცა განრისხებულმან მეორედ გურზი მოუქნია. ყარამან კვალად თავისი ბასრი ხმალი მიაგება და ოთხიცა იგი რკინისა ბურთი მოუწყვიტა. სპანდიერ მეტისა მრისხანებითა ცეცხლებრ ენთებოდა. მესამედ იგივე გურზი მოუქნია, ყარამან ფარი მიაშველა და იგიცა მას ფარსა აატანინა. რა სპანდიერ სამი გურზი სცა, აწ რიგი ყარამანს ერგო. ესრედ შესძახა: ჰე, მაცდურო, ესოდენი ფალავანნი, რომელ დახოცე, აწ მე სისხლსა ამათსა გაზღვევინებო.

რა ესე თქვა, ხმალმოწვიდილმან მიმართა და თავსა მოუქნია. სპანდიერ გურზი თავსა იფარა. ყარამან ხმალი დაიბრუნა და გვერდსა დასაძგერებლად მიუტანა. სპანდიერცა გურზი თავისაგან მოიშორა და გვერდსა დაიფარა. კვალად ყარამან ხმალი დაიბრუნა და მუზარადსა სცა. მუზარადი გაჰკვეთა და ბასრი ხმალი თავსა დაემღე-

რა, თვალსა სტუმრად ეწვია და ენასა ემუსიკებოდა, ყელსა გზა იპოვნა და გულსა არა სახარელი ამბავი მიაართვა. ფალავანი სპანდიერორად გაჰკვეთა და მარტორქაყა მისი უვნებლად არა დააგდო, პატრონისაებრ იგიცა ორად გაჰკვეთა და ოთხად კვეთილნი მოედანსა დაეცნენ. მათმან სისხლმან რუთაებრ დენა დაიწყო. ორთავე დიდთავე ხელმწიფეთა ლაშქარნი, ამა საქმისა მხილველნი, გაოცებითა იყურებოდნან.

მას ეამად სარვიხურამან თვისითა ძიძითა ყარამანს შემოხედა და ეგრე არქვა: ჩემებრ ათასიმცა ჭირისამცა შენსა შეეყაროსო. შაბაშ შენთა მკლავთა ძლიერებასა, რომე მტერი შენი ესრედ გაჰკვეთეთო! რა ესე უთხრა, თვისთავე ლაშქართა შიგან შევიდა, მაგრამ სპანდიერისა სიკვდილმან ინდოთა შიში უზომოდ გაუმრავლათ. ყარამან მოედანსავე დგა და საომრად ფალავანსა გამოითხოვდა, მაგრამ შისითა შიშითა ბრძოლად გასვლა ველარავინ გაბედა. რა აღარავინ გამოვიდა, რაჰინდისა დროშასა შეუტია. მისმან მხილველმან ინდოთა ხელმწიფემან, თვისთა სარდალთა და ფალავანთა შეტევება უბრძანა, მაგრამ მისი ომი ვერა რომელმან გაბედა.

ამა მიზეზითა არა მცირესა მწუხიროებასა მიეცა, თვისსა ასულსა უბრძანა: ჰე, თვალთა ჩემთა ნათელთა სარჩეო, თუ მაგა ფალავანსა შენ არა შეედი, სხვასა მაგისი ომი არავის ძალუცსო. ქალმან მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო, ვინათგან ჩვენი საქმე ესრეთ მოხდა, სხვა ღონე არა არის რა, ბრძანეთ და ომისა გასაყრელსა საკრავთა შებერონ. უშანგ ხელმწიფესა დამორჩილებისაგან კიდე აღარა გაგეწყობა რაო. ლაშქარნი ამოგვიწყდა და ფალავანნი დაგვეხოცა, ამისგან მეტი ბრძოლა და მტერობა ბედნიერობისა თქვენისა დასაკლისიაო. რაჰინდმან უბრძანა: ჰე, სიცოცხლისა ჩემისა უსანდომესო, ეგე საქმე წინათვე უნდა გვერჩია, თვარამ უშანგ ხელმწიფისა მრავალნი ფალავანნი და სარდალნი დაეხოცა, აწ მშვიდობასა დია არა დაინებებსო ქალმან მოახსენა; ესე სამსახური მე მიბრძანეთ და ბედნიერობითა თქვენითა კეთილად მოვახდინო. მამამან უბრძანა: ნათელო თვალთა ჩემთაო, აწ ვითარ გენებოს, ეგრე ჰმენო.

მასვე წამსა სარვიხურამან რავდენიმე ინდოთა ფალავანნი თანა იახლნა და უშანგ ხელმწიფისაკენ გაემართნენ. წინა ყარამან დახვდა, ქალი და ფალავანნი გაიცნო და ეგრე შემოსძახა: ჰე, მეფისა ასულო, კვალად საომრად მოხვალო? ქალმან უპასუხა: არა საბრძოლველად, არამედ მშვიდობისათვის ვისწრაფი. ჰე, ფალავანთა ფალავანო, თავი

ჩემი წინაშე შენსა მომილია, ვედრება მაქვს, რომე შეცოდება მამისა ჩემისა უშანგ ხელმწიფისაგან იურვოთო და დღეის წალმა მამაჩემი რაპინდ მისად სამსახურად მზა იქნებაო. ქალმან რა ესე თქვა, პირთაგან საბურავი ჩამოიხსნა. ყარამანის პირისპირ დადგა და თქვა ლექსი:

როს გარდიხედ საბურავი, შენ გამგზავსე მთვარეს პირად,  
რა გიხილე, დავიწუხე, თვალნი შენთვის იქმნენ მტრად,  
აღვიხილენ და გიხილე, ვით ჩავიჭერ ტრიალთ ძირად,  
მზეს გამსგავსო თუ მთვარესა, ან მუშთარი ხარ მნადირად.

რა ყარამან მისთა პირთა ელვარება გაიცადა, მისსა სხივსა ველარა გაუძლო, თვალთა ხელი მიიფარა. ყარამან თვალთაგან ხელი მოიშორა და ეგრე უთხრა: ჰე, ქვეყანისა მნათობო! რა ესე ალაგი მშვიდობისათვის შენ დალახე, მამისა შენისათვის ნულარა შეიჭირვებ, საწადელსა შენსა აწვე აღვასრულებო. რა ესე გვარნი სიტყვანი მოიუბნეს, ყარამან და სარვიხურამან უშანგისაკენ წარვიდნენ. რა ხელმწიფესა მათი მიმავალობა მოეხსენა, ფიცხლად წინა გამოეგება და ფალავანთა უადრესი სარვიხურამან და ყარამან მშვიდობით მოიკითხნა. მაშინ ყათრან წინ წადგა და ხელმწიფესა მოახსენა: ჰე, შარიელო, ამა ჰინდოთა მეფისა ასულსა ყარამან წინაშე თქვენსა შუა ჰყავს, რომე შეცოდება აპატიოთ რაპინდსა და აღარ მოიხსენიოთო.

ამისმან მსმენელმან უშანგ ხელმწიფემან დაჰბადებლისა ღვთისა სახელი ფიცა, რომა დღეითგან რაპინდს აღარა უმტერო, ამისთვის, რომე მაგა ქალისაგან სიკეთე მრავალი მომაგონდებისო. ყარამან მივიდა და ხელმწიფესა ხელსა აკოცა. ხელმწიფემან მისის გარჯილობის მადლობა უბრძანა და მრავალი ქვეყანანი უბოძა. სარვიხურამან მივიდა და ხელმწიფესა ფერხთა მოეხვია. რა ზე აღგა, მხარსა ხელსახოცი გარდაიგდო და ვითა შემცოდე დადგა. ხელმწიფობა უშანგისა დალოცა და მოახსენა:

ჰე, მალალო ხელმწიფეო, წინაშე თქვენსა ვიაჯი, რათა შეცოდება მამისა ჩემისა აღარ მოიხსენოთო! რა ესე თქვა, მიწასა დაემხო.

რა ხელმწიფემან ესრეთ სიმდაბლე და ვედრება სარვიხურამანისა ნახა, ფუცა ფიცითა საშინელილად, ვითა შეცოდებაცა რაპინდისა მომიტყევიბა და ინდოეთიცა მისთვის მიმიცემია. აწ წარვედ რაპინდისა თანა და წინაშე ჩემსა მოიყვანე, რომელ ერთმანეთის ნახვით გავიხარნეთ და მე ჩემსავე სახელმწიფოსა წარვიდეო. სამეოცდაროი წელიწადია ბრძოლასა და სისხლთა ღვრასა შიგან ვარ. აწ

სულისა ჩემისა გზისა გაგება მიჯობსო. ფალავანი, რომელნი ჩემისა ერთგულებისათვის მრავალსა ომსა გარდიხდიდნენ, ესენი თავთავისსა ქვეყანასა მინდა გავგზავნო და მეცა ჩემსა ადგილსა მნებაეს წავიდეო. ქვეყანა ესე ყარამანს მინდა მივსცე ამისთვის, რომე ამისგან კიდე სხვასა არავის შეეფერებოსო.

რა ესე სიტყვა დაასრულა, ბრძანა სარვიხურამანისთვის ცხენის და სამოსლისა მოღება. მონათა ცხენი ოქროს აკაზმულობითა მოკგვარეს და სამოსი ძვირფასი მოიღეს, რომე ერთისა სახელმწიფოსა ქვეყნისა ერთისა წლისა ხარაჯათა ფასი იყო. სხვანიცა ფალავანი ტანსა შემოსეს. ხელმწიფემან უშანგ თითთაგან ბეჭედი წაიყარა და მშვიდობისა ნიშნად რაჰინდსა მისატანად უბოძა. გარდანქეშანიცა თან წარიტანა და ინდოთაქენ მსწრაფლად წარვიდნენ. რა ინდოთა დიდებულთა სარვიხურამანისა მომავალობა დაიდასტურეს, მსწრაფლად წინა მოეგებნენ, ქვეითნი წინ წაუძღვენენ და რაჰინდისა კარავსა მიიყვანეს. ქალმან მამასა თვისსა ქება დიდი შეასხა და წინაშე მისსა დადგა.

დიდებულნი ინდოთანი სარვიხურამანს შესცქეროდნენ, თუ რასა ამბავსა იტყვიოსო, შიშითა პირსა ფერი აღარა ქონდათ. რა მცირე ხანი გამოხდა, ინდოთა ხელმწიფემან უბრძანა თვისსა ასულსა: ჰე, სიცოცხლისა ჩემისა მიზეზო, უშანგ ხელმწიფისა ამბავსა რასა გვეტყვიო? მაშინ სარვიხურამან ნაზის ქცევითა წინ წადგა და უშანგშას მაგიერ მოკითხვა მოახსენა და მშვიდობისა ნიშნად მოცემული ბეჭედი ინდოთა დიდებულთა უჩვენა. ამისი მხილველნი ინდონი დიდსა სიხარულსა მიეცნენ, ამისთვის, რომე ყარამანისა შიშითა თავისაგან უიმედონი იყვნენ. ქალმან მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო, უშანგშამ არა მარტო მშვიდობა ბრძანა, არამედ სრულიად ინდოეთიცა თქვენვე უცილობლად დაგიმკვიდრათ. და რაცა ამბავი ყოფილიყო, ყველა მოახსენა.

რა ინდოეთისა ხელმწიფემან ესე მოისმინა, მასვე წამსა ბრძანა, სამხიარულესა საკრავსა შეჰბერეთო და ჩაუშთა მალლად ხმიანობა შექმნან, რომე ინდოთა ხალხი ამა საქმესა ზედან გამხიარულდნენო, აწ ქვეყანამან მოისვენოს, რომე დღეის წალმართ მშვიდობა მოხდა, მტერთაგან ნულარა იშიშვიანო. ესე ამბავი გაისმა ყოველსა ინდოეთსა. იხარებდა ერი ინდოეთისა დიდისა სიხარულითა და აღარა იყო მტერთა შიში გულსა მათსა. მერმე ხელმწიფემან ბრძანა საძლნოდ ფეშქაშისა მზადება. ვინ აღრიცხვიდა მას ჟამისასა მათგან საძლნოდ

მომზადებულსა. და მეორესა დღესა უშანგ-შას ხლებასა აპირობდნენ.

აწ ამბავი უშანგ ხელმწიფისა მოგახსენოთ: ძლიერი და მაღალი ხელმწიფე უშანგ ბედნიერსა ტახტსა თვისსა დაბრძანდა. ერანელთა და თურანელთა ფალავანნი წესისაებრ თვისსა ადგილსა დასხდნენ. ნადიმი დაიდვეს, ლხინსა და განცხრომასა იმყოფებოდნან. მაგრამ ყარამანს მიჯნურობა დასტყობოდა, პირსა ფერი ჰკლებოდა და ხანდახან სულთქმასა მდუღარისა გულითა აღმოახდენდა. ხელმწიფემან შეხედა და ყარამანს სევდისა მომატება შეატყო. მაშინვე გულსა შინა თქვა: უთუოდ სარვიხურამანისა ეშყსა შეუპყრიაო. ესე გვარი საქმე თვით ხელმწიფესაცა გარდახდომოდა და მით უმეტეს დაიდასტურა. მასვე წამსა გარდანქეშანი მოიხმო და იგი ამბავი მისგან გამოიკითხა. მან მათი საქმე ყოველივე თვითეულად მოახსენა. მაშინ ხელმწიფემან ხმაძალლად ბრძანა: ხვალე ყარამანისათვის რაჰინდს თვისი ასული მინდა ვთხოვო. რა ესე სიტყვა თქვა და მათ მსხდომთა დიდებულთა ესმათ, ერთობით მოეწონათ.

აწ ინდოთავე ამბავი მოგახსენოთ: ინდოთა ხელმწიფემან, მშვიდობისათვის უზომოდ მოხარულმან, ნადიმი დაიდვა და მეჯლიში დიდი გამართა. ფალავანთა ზედან ურიცხვი საბოძვარი გასცა და ლაშქარნი საბოძვართა . აღავსნა. რა ნადიმი გარდასწყდა, სარვიხურამან თვისსა კარავსა წამოვიდა. ყარამანისა სიყვარულს გონება მისი შეეპყრა და არა იცოდა, თუ რასა იქმოდა. ძიძასა უბრძანა და ღამისა სამოსი მოაღებინა. სწრაფად ჩაიცვა, მარჯვნით და მარცხნით წელთა ხანჯლები გაირჭო, ძიძა თან იახლა და ვგრე თქვა: ღმერთო, თუმცა ჰაბუკი იგი ყარამან ჩემად ბედად იქმნებოდეს და სიყვარული ჩემი მას თანა მკვიდრობდეს, იმას ღამე მოწყალებითა შენითა მისი ნახვა მომხვდესო.

რა ესე თქვა, ორნივე სწრაფად წარვიდნენ. ჩქარითა სიარულითა ყარამანისა კარავთან მიაწივეს. ნახეს, დარაჯნი მღვიძარეობდნენ და ერთი მეორესა უტხოთა საუბრითა შეაქცევდნან. რა იგინი იმათსა ქცეულებასა ესრეთსა უტყვრეტდნენ, ამჟამად გრძნეულთა უხუცესი გარდანქეშანი ყარამანისა კარავსა მივიდა. რა ოთხსავე მხარეს თვალნი მოავლნა, ნახა ორნი ვინმე შავითა მოსილნი და ხელთა ხანჯლისა მქონებელი. სარათარდასა უკან ფარულად დგანან. გარდანქეშანი მათ არა შეეზრაბა. მცირეს ხანს დაუმზირა, ვნახავ, ესენი

ვინ არიანო. მათ გარდანქეშანი ვერ დაინახეს. ძიძამ ქალს მოახსენა: ნეტამცა გარდანქეშანი აქ სადმე ყოფილიყო და ამას ღამე იგი გვე-  
ნახაო. ქალმან უბრძანა: ძიძაო, მეშინის, თუმცა გარდანქეშანი აქა  
სადმე იყოს, გვიცნობს და საქმე ჩვენი გამჟღავნდებისო.

რა ესე საუბარი გარდანქეშანსა ესმა, იცნა, რომე სარვიხურამან  
და მისი ძიძა იყო. მასვე წამსა წინ წადგა. რა ძიძასა მისი ფერხისა  
ამიანობა ესმა, ხანჯალმოწვილმან მსწრაფლად შემოუტია. მაშინ  
გარდანქეშანმან ხმა უყო: ჰე, მნათობო, მოყვარე ვარ და არა მტე-  
რიო. რა ესე ხმა სარვიხურამანს ესმა, იცნა, რომე გარდანქეშან  
აიარი არის. დიდად იამა და ძიძასა უბრძანა: ხედავ, ჩვენი საქმე  
ვითარ კეთილად მოვიდაო? რა გარდანქეშანი ახლოს მივიდა, ქალმან  
მშვიდობით მოიკითხა და გარდანქეშანმან პირი მიწასა დასდვა, და-  
ლოცა და ქება დიდი შეასხა. ეგრე მოახსენა: ჰე, ბანოვანთა თავო,  
ესე რა მიზეზია, რომელ ესრეთსა უდროოსა დროსა აქა გარჯილხართ  
და ანუ საწადელი თქვენი რა არისო? ქალმან პასუხად გასცა: ჩვენი  
საწადი თქვენი ნახვა იყო და აწ გვიხარის, რომელ შენ აქა  
დაგვხვდიო.

გარდანქეშანმან თვისსა კარავსა მისვლა მოახსენა. იგინი წარვიდ-  
ნენ და გარდანქეშანის კარავსა შევიდნენ. სარვიხურამან პირსა  
საბურავი მოიხსნა. იგი სამყოფი ესრეთ განათლდა, თუ თქვა მზე მის  
კარავსა ამოსულიყო. ძიძასაცა ესრეთ შევენება ჰკრთოდა, რომე მის-  
ნი მნახვენი გავსილსა მთვარესა მისად სადარად არა იტყოდიან. მათ  
ორთა კეკლუცთა შევენებისა მკვრეტელთა ბრძენთაცა ცნობა მიე-  
ფანტოდათ. დაწვთა მათთა ელვარებამან იგი კარავი ესრედ ნათლითა  
აღავსო, რომე მისსა მიდამოსა სიბნელისა ზეწარი სრულობით დაი-  
ხია. სარვიხურამანს ბროლისა პირსა, ვითა ვარდსა დილისა ნამი,  
ეგრეთ სირცხვილითა ოფლი დასხმოდა, მაგრამ ეშყისა ესრეთისა  
აღსა გონება მისი მოეცვა და პირსა ფერი ჰკრთებოდა. გარდანქეშან-  
მან მოახსენა: ჰე, ქვეყანისა მნათობთა ხელმწიფეო, ეგე ფერთა შენ-  
თა კრთობა, ვგონებ, ეშყთაგან იყოსო.

რა სარვიხურამან ესე მოისმინა, სირცხვილითა თავით ფეხებამ-  
დინ ოფლმან დაასხა, თავი ქვე ჩამოაგლო და ზე ვედარ აიხედა. რა  
მტკრე ხანი გამოხდა, გარდანქეშანსა ეგრე უთხრა: მამაცნო თავსა  
თვისსა მოყვასსა თვისსა ანაცვალებენ, მაგრამ ხვაშიადსა თვისსა  
არცა ეგრე გამოუცხადებენო. აწ მე საიდუმლოსა ჩემსა გითხრობ  
და ვითარ სიკეთესა შენსა ფერობდეს, ეგრე დაფარეო. რა გარდანქე-

შანმან ესე მოისმინა, გულსა შიგან თქვა: ამა ქალისა ხელითა რაოდენნი სახელოვანნი ფალავანნი დახოცილან და მრავალნი პატიმრად შექნილან, აწ ხედავთ, სურვილსა ვითარ შეუპყრია, რომე რასა იქმს. არა იცისო. ესე ოდენთა ურიცხვთა ლაშქართა შიგან შემოსრულა. შიში ყოლე არა აქვს და მიჯნურობასა სირცხვილისა ფარდაგიცა პირთაგან აუხდიაო.

გრძნეულთა უხუცესმან გარდანქეშანმან თავი ქვე დაკიდა და მდაბლის სიტყვით ესრედ მოახსენა: ჰე, ქვეყანისა მნათობო, მე საიდუმლოსა საუბრისა საუნჯე ვარო. სიტყვა იგი, რომელი ჩემდა ფარულად ითქვას, ესრეთ გონეთ, ვითა ზღვასა შიგან მცირე ქვა შთააგდო, და მისი პოვნა ყოლე აღარა იქნას, ეგრეთვე ჩემდა თქმულისა საიდუმლოსა სხვისაგან შეგება არა იქმნებისო. და ვირემდის საწაღსა შენსა არა აღვასრულებ, მე თავსა ჩემსა მოსვენებასა არ მიესცემო. სარვიხურამან წელთაგან ხანჯალი ამოიღო და ყურთაგან საყურე გამოიყარა, ძიძასა უბოძნა, გარდანქეშანსა მიაერთიო. მან აიართა სარდალთა წინა მიიღო. რა გარდანქეშანმან იგი ნახა, უზომოდ მოეწონა. ესრეთ უცხო და ძვირფასი იყო, რომე მისთა ფასთა შეგება მეცნიერთაგან, ღმერთო, დიდად საძნიალო იქნებოდა.

რალასა ვაგრძელებდე, ძიძამან ქალისაგან ყარამანის მიჯნურობა გამოუცხადა და ანუ ვითარ სურვილსა მისსა შეეპყრა, ყოფილი ყოველივე უამბო. ამისმან მსმენელმან გარდანქეშანმან ამა სამსახურსა ზედან თავდადებით გარჯა აღუთქვა და ეგრე მოახსენა: ჰე, მნათობო! ხანჯალსა და საყურსა, თქვენგან ბოძებულსა, მაშინ შევიბამ. ოდეს შენ და ყარამანს ერთგან მსხდომსა გიხილავთ. ძიძამან ქალის მაგიერ სამადლობელი რამე სიტყვა იუბნა. რა გარდანქეშანი ძიძისა პირისპირ უჯდა, მისთა პირთა ელვარება სხვისაებრ გულსა გაეყარა. ძიძა ესრეთ შევნიერი იყო, თუმცა სარვიხურამანთან არა გენახა, ამას ბრძანებდი, ქვეყნად ამისი უმჯობესი სხვა ვინღა იქნებო! აიართა უხუცესი მისი ტრფიალი შეიქნა, მაგრამ გულსა შინა თქვა: ამა ძიძასა რაოდენიცა თმა თავთა ზედან ასხია, ეგოდენი ჩემებრ ფალავნი მოუკლავს, აწ ჩემი საქმე ვითარ იქნებო? და მისი მგონებელი უიმედო იქნებოდა.

გარდანქეშანმან ძიძასა თვალი ველარ მოაშორა, მაგრამ ნამუსიანობითა მისსა სურვილსა ფარევედა და არა იჩენდა. რა სარვიხურამან გარდანქეშანსა შეხედა, ძიძისა მიჯნურობა შეატყო, მაგრამ არა გამოაცხადა.



გარდანიქეშანმან სარვიხურამან დალოცა და ეგრე შოახსენა: ჰე, მთიებთა უბრწყინვალესო, სიტყვა, რომელი ჩემდა ბრძანებულ გიყოფიეს, მას სულიერსა არა გამოუცხადებ და შენსა საყვარელსა ადვილად შეგყრიო. მაგრამ მოხსენება ესე ჩემი ისმინე, მიჯნურობითა სირცხვილისა საბურველი პირთაგან არა აიხადო, რომე შენმან მნახვმან სურვილისა ტვირთთა მომატება არ შეგატყოსო. თუცა კაცმან მიჯნურობა არ დაითმინა, ღმერთო, იგი ფათერაკსა დიდსა წაეკიდებისო!

რა ესეგვარი სიტყვანი მოიუბნეს, ქალი ადგა და წასასვლელად გაემართა. რა შორით ყარამანის კარავი დაინახა, საზარელი სულთქმა მღუღარის გულით აღმოახდინა.

რა ესე თქვა, უშანგ-შაპისა ლაშქარში განვლო, ოხვრითა და ვაეზითა ინდოთა ლაშქართაყენ მიმავლობდა. გზასა ზედან მრავალი იტირა. რა თვისსა კარავსა მივიდა, მას ლამესა არცა თვალთა მისთა ძილი მიეცა და არცა გულმან მისმან ყარამანისა გონება დაუტევა.

რა დილა გათენდა და სიბნელისა ზეწარი დახია, მზემან ყოველთა მნათობთა დარია, აღმოსავლეთით თავი ამოყო და დასავლეთიცა უნათლოდ არ დააგდო, მაშინ ორთავე დიდთა ხელმწიფეთა ლაშქართა შიგან სასიხარულოსა საკრავსა შეჰბერეს. ამა მშვიდობისათვის ხარობდა ყოველი სული და მუნითგან არღარავის ჰქონდა საწუხარი. ძლიერი, დიდი ხელმწიფე უშანგ თვისსა ბედნიერსა ტახტსა დაბრძანდა, ძვირფასი სამოსელი შეიმოსა, სახელმწიფო ზოსტერი წელსა შემოირტყა და ხელმწიფეთ ხელმწიფობისა გვირგვინი თავსა დაიდგა. ესრედ შვენოდა, რომელ თუ ვთქვა, მნახვთა თვალისა მოშორება აღარა ენებებოდათ. გარდანიქეშანმან ოქროს სელი მოიდგა, ხელმწიფისა სიახლოესა დაჯდა და რაცა სარვიხურამანისაგან სმენოდა, ყოველივე ხელმწიფეს მოახსენა. ამა ამბისა სმენითა ხელმწიფე უშანგ დიდსა სიხარულსა მიეცა და გარდანიქეშანსა უბრძანა: ჰე, აიართა სარდალო, მე ამა საქმისათვის უფალსა ვმადლობ, რომე ყარამან თვისსა საფერსა მეუღლეს იშოვისო. აწ მზადება გვინდა, რომე ორნივე იგი მოწონებულნი ქალყმანი ერთად შევეყაროთ.

აწ ამბავი ინდოთა ხელმწიფისა მოგახსენოთ: დიდმან ინდოთა ხელმწიფემან რაპინდ უშანგისათვის საძღნოდ ფეშქაშნი მოამზადა, თორმეტ ათასსა სპილოსა ზედან თითო და თითო მურასად მოჰქედილი ტახტი იდგა და თვითო ზანგი მესპილოე მას ზედან იდგა და ყოველთა ხელთა ტაბაკითა საესე

ძვირფასი თვალი ეჭირათ და ამათგან ათი ათასნი შვენებითა კაცთა გულისა მიმტაცებელი ქალნი მოყვანდათ და მათ თანა ათორმეტი ათასი ოქროს სარტყელოსანი მონანი მოსდევდნენ. თორმეტ ათასს აქლემს უცხონი ფარჩანი ეტვირთა და ოცდაათი ათასს აქლემსა სრულიად თვალი, მარგალიტი და ოქრო ეკიდა. რაღასა ვაგრძელებდე, რაცა ინდოთა სახელმწიფოსა შიგან უცხო და ძვირფასი იშოებოდა, ყოველივე უშანგ ხელმწიფისათვის საძღნოდ მოჰქონდათ. მოიღეს ესე ზემოხსენებული ძღვენი და ქალმან შვენებითა უკლებმან სარვიხურამან მამისა თვისისა მაგიერ უშანგ-შას მიართვა.

რა ამა ფეშქაშთა მირთმევისაგან მოიცალეს, რაჰინდ ინდოთა დიდებულებითა უშანგ ხელმწიფისა სანახავად მოვიდა. უშანგ-შამ თვისთა მეფეთა, სარდალთა და ფალავანთა წინა მიგებება უბრძანა. იგინი ძვირფასითა სამოსელითა შეიმოსნენ და ინდოთა ხელმწიფესა წინა მიეგებნენ. წესისაებრ მიესალმნენ, ზოგნი წინა გამოუძღვნენ და ზოგნი აქეთ-იქით მოსდევდიან. რა უშანგ ხელმწიფისა კარსა მოახლოვდნენ, ოცდაოთხი ათასი ჩაუში იდგა, ხელთა ოქროსა ჩოგანნი ეპყრათ და მუნა მყოფთა ერთა შორად ღგომასა უხმობდიან, ესრედ იყო გარიგება უშანგ ხელმწიფისა. კარავში სახელმწიფო ტახტი ოცდაათშვიდმეტი მურასა სვეტიანი იდგა და მას ზედან თვით ბრძანდებოდა. ექვსი ათასი ოქროსა სელი მარჯვნივ და მარცხნივ გარიგებით იდგა და მას ზედან მეფენი, ფალავანნი და სარდალნი ისხდეს და მათ თავს ათორმეტი ათასი მონანი აბჯრითა და მუზარადითა შეკუტრილნი ადგნენ. წინათ სამი ათასნი ვაზირნი და ქვეყნისა გამგენი ისხდნენ. ამათთან აქემნი და ფსლოსოფოსნი ისხდნენ. ხელმწიფისა პირისპირ მანდატურთა უხუცესი იდგა და მასთან შვიდასნი მწერელნი იდგნენ, ხელთა ოქროსა საწერელნი ეპყრათ, მელანი მუშკითა შეემზადებინათ და ორენისა კალმითა რიტორსა ენასა ნარნარისა სიტყვითა ამოქმედდნენ. ქაღალდად დედანი გულსა მათსა არა დაუქერდნენ, თუმცა მათი საუბარი მას ზედან აღეწერათ. ესრეთ მეცნიერნი და ტკბილმოუბარნი იყვნენ, რომელ, თუ ვსთქვა, გველსა ხვრელით აღმოიყვანდნენ, მთოვარე მათისა საუბრისათვის თვისსა მსწრაფლად მოარულობასა დააწყნარებდა და ქაჯთა მათი მუსიკობა ენატრებოდათ. ესრეთი მრიცხველნი იყვნენ, რომელ შვიდთა იყლიმთა ხარაჯასა ერთისა ღალამ-დანაკვეთილობითა აღრიცხვიდიან.

რა ინდოთა ხელმწიფემან ამათი ესრეთ გარიგება ნახა, დიდად მოეწონა. რა ხელმწიფესა უშანგს შეხედა, ოცდაათორმეტის წყრთის

სიმაღლის მქონებელი ტახტსა იჯდა, თეთრი წვერი პირსა შექსა აყენებდა, თავსა ხოსროვიანი თავი ეხურა და ტანსა სამოსელი სრულად აღმასითა შემზადებული ემოსა. ტახტისა უკან ათორმეტნი ათასნი შინა ყმანი კარგისა ქცევისანი გარიგებით იდგნენ და მათად ქვემოთ ჩვიდმეტჯერ ასი ათასი მოლაშქრენი ერთი მეორესთან მხარმიყრდნობილნი იდგნენ. რა ინდოთა ხელმწიფე ახლოს მივიდა, ერანთა და თურანთა ხელმწიფენი ზე ადგნენ და წინა მოეგებნენ. რაჰინდს მიესალმნენ, მარჯვნივ და მარცხნივ მოუდგნენ და უშანგ-შას ტახტთან მიიყვანეს. ინდოთა ხელმწიფემან ტახტისა წინ თავი დაუკრა და ხელმწიფობა უშანგისა დალოცა და თვისთა შეცოდებათა მიტევება იაჯა.

რა უშანგ-შამ ესრეთ სიმაღლე რაჰინდისა ნახა, ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა, ხელსა ხელითა მოეკიდა და პირსა აკოცა. მერმე რაჰინდისათვის ტახტის მოღება ბრძანა. მონათა ფიცხლად მოიღეს და უშანგისა ტახტისა სიახლოვეს დადგეს და მას ზედან დაჯდა. ერანით გაქცეულნი მეფენი, რომელნი ინდოთა ხელმწიფესა თანა იყვნენ (ესე იყო სახელები მათი: ხავარ-შა, მერაჯ-შა, მოვლანა, გოვარჩეშმ და ყამულ ბულდარელი) ესენი თვითოდ და თვითოდ მოვიდნენ, უშანგ ხელმწიფესა თაყვანის სცეს და საფერი ქება მოახსენეს და თავიანთ დანაშაულის მოტეგებას ეაჯნენ. უშანგ-შაჰმა ისინი მოიკითხა, მათი შეცოდება აბატივა და თავიანთ შესაფერისსა ალაგსა დაჯდომა უბრძანა და იგინი დასხდნენ. აწ ბანოვანთა ხელმწიფე სარვიხურამან შემოვიდა, უშანგ ხელმწიფეს თაყვანი სცა, საფერი ქება შესახა და მრავალნი უცხონი მისართმეველნი უშანგ ხელმწიფესა მიართვა, კრძალვითა და მოწიწებითა ბოდიშსა მოითხოვდა.

რა მისი საუბარი ყარამანს ესმა, სირინოზთა და იადონთა ხმინობა ეგონა და მას ზედან ლექსი მრავალი თქვა ქალმან შუამავალმან. ხელმწიფემან მრავალი სამადლობელი სიტყვანი უპასუხნა სარვიხურამანს და ბანოვანთა თანა შესვლა უბრძანა. რა იგი მათ თანა შევიდა, იგი არე ესრეთ დააშვენა, თუ ვსთქვა, მზე ვარსკვლავთა სწვევოდა. ყამარლუხ ცოლი ყათრანისა წინა მოეგება, ხელსა ხელითა მოეკიდა და გვერდსა დაისვა. ბანოვანნი ერთობით ზე ადგნენ და სარვიხურამანს მიესალმნენ და ტკბილმოუბრითა ენითა ერთმანეთს შეაქცევდიან.

მას დღესა უშანგ ხელმწიფემან ნადიმი გამართა და ღვინის სმასა ხელი მიჰყვეს. ესრეთ იყო ჩვეულობა, პირველ ჭიქასა ჩუმობით

დალევდიან, მეორედ ხელმწიფისა სადღეგრძელო დაილეოდა, მესამის დალევაზედან დიდებულნი ერთიმეორეს უცხო სიტყვითა ეხუმრებოდიან და მეოთხეზედან მგოსანთა ტკბილად ხშიანობა შეიქნებოდა. შექნეს ლხინი საკვირველი, რომელ მისებრ სიხარულისა მნახავნი არავინ იპოებოდა. სპარსნი ესრედ იტყვიან: ზევით ანგელოზნი უქვრეტდნენ და მათთვის ესე განცხრომა შეშურდებოდათო. მაღალმან და ძლიერმან ხელმწიფემან უშანგ ბრძანა: შეიდთა იყლიმთა წიგნი მისწერეთ და ესე მშვიდობისა ამბავი აცნობეთ, ვითა ყოვლისა ქვეყანისა ფალავანთა ხმალი მათი ქარქაშსავე მათსა მიაქციეს და მშვილდსა მათსა საბელი ახსნეს. აწ ცხოვარნი მგელთა ნულარა იშიშვიანო.

გაისმა ესე მშვიდობისა ამბავი ყოველთა ქვეყანასა და იხარებდა ყოველი სული ესრედ, რომე, თუ ვსთქვა, შექირვება გულსა მათსა აღარა იპოებოდა. ხელმწიფემან ვაზირთა უხუცესი მოიხმო და ესრეთ უბრძანა: მნებავს, რათა სარვიხურამან ყარამანისათვის ვთხოვოთ, რომელ იგინი საწადსა მათსა მიხედნენო.

ვაზირთა უხუცესმან მოახსენა: ჰე, მაღალო ხელმწიფეო, ვინ არს ბრძანებისა თქვენისა შემცილებელი, მაგრამ მონათა შენთა ვედრება ესე არს, რომე აწ ეამი არა არს ქალის თხოვნისა, ვინათგან ყოველნი ღვინოსმულნი არიან. აწ ამა საქმეთა დავეხსნათ, ხვალე, ვითა ბრძანება თქვენი იყოს, იგი აღსრულდესო. ხელმწიფემან ესე მოხსენება მოიწონა. მცირესა ხანსა კვალად ლხინითა შეექცნენ და მერმე სუფრის აღება ბრძანეს.

რა ნადიმი გარდასწყდა, ყოველნივე თავის-თავად წარვიდნენ და ყარამანცა თვისსა კარავსა მივიდა. სარვიხურამან თვისსა კარავსა ჯდა და მარადის ყარამანისა საქმესა იგონებდა. ძიძასა უთხრა: ჰე, ძიძაო, ხედავ ბედსა ჩემსა, რომე გარდანქეშანსაც დავავიწყდითო. ძიძამან მოახსენა: ჰე, თვალთა ჩემთა ნათელო, ნუ შეიქირვებ, ვგონებ, იგი გრძნეულთა უხუცესი აქა მსწრაფლად გაჩნდესო.

რა ესენი ამა საუბარსა უბნობდნენ, გარდანქეშანი კარავსა შევიდა, ქალსა თაყვანის სცა, დალოცა და ქება შეასხა. ქალმან პატივითა მოიკითხა და დაჯდომა უბრძანა. მონამან ოქროსა სელი მოიღო და აიართა სარდალი მას ზედან დაჯდა. ქალმან მის ნადიმისა ამბავი ჰკითხა. გარდანქეშანმან ყველა მოახსენა. რა მცირესა ხანსა მოიუბნეს, ქალმან ბარამ ჯიბილის ამბავი იკითხა. აიარმან ყველა წვრილად მოახსენა, ანუ ვითარ საყვარელითა თვისითა ქვად ქმნილიყო, ანუ

მისითა შემწეობითა ვითარ განრომილ იყო. ქალსა მათი საქმე მეტად გაუკვირდა. გარდანქეშანმან მოახსენა: ჰე, კეკლუცთა ხელმწიფეო, თუმცა ბედნიერობისა წალკოტსა შინა კაცთა ბედი დაუცხრო-ველად მოქმედობს, მისი საქმე ყოველივე კეთილად მოხდება. თუმცა სძინავს და ანუ არა მოქმედობს, მისი საქმე აქაცა არა კეთილობსო. ქალმან უბრძანა: ჰე, გარდანქეშანო, ბედ-კეთილობისა წალკოტსა, რომელ იტყვი, მაგისი ამბავი მაცნობეო.

### აქა გარდანქეშანისაგან ბედ-კეთილობის წალკოტთა ამბის თქმა

დაიწყო გარდანქეშანმან ესრეთ საუბარი: ოდეს აზრალ მეთილისმემან მე არწივად გარდამაქცია, მის წყუელისა თილისმისაგან ათარ მეთილისმემან მომარჩინა. რა მან ბილწმან ჩემი მორჩენა იგრძნა, კვალად თვისი ხელოვნება ჩემზედან იხმარა, კანჯრად გარდამაქცია და უკიანეს ზღვის კუნძულსა დამიტევა. შვიდსა წელიწადსა მას კუნძულსა შინა ვლიდი. დღესა ერთსა ათარ მეთილისმე შემომხვდა. რა მნახა, მასეე წამსა მიცნა. ეგრე მარქვა: ჰე, საწყალო გარდანქეშანო, ეგ რა დაგმართებიაო? მე სიტყვისა თქმა არ ძალ მედდა, მაგრამ საუბარსა ყველასა ვისმენდი. რა თვალთაგან ცრემლი გარდმომცვივდა, მას მეთილისმესაცა შევეწყალე. ეგრე მითხრა: ჰე, გარდანქეშანო, შენისა ხსნისა ღონე ამისგან კიდევ არა არისო :აქა ახლორე ერთი აღვილია, დღეს ყოველნი ქაჯნი და თილისმისა მეცნიერნი მას ალაგსა შეკრებებიან. ქაჯთა ხელმწიფე მოვა და ტახტსა დაჯდება. ყოველნი ხელოვანნი თვის-თვისსა მოქმედებასა მოახსენებენ და რომელთაცა ხელოვნებასა შინა ნაკლულოვანება გვაქვს, იგი გვასწავლის. შენ მას ალაგსა მოდი და მის ტახტისა სიახლოესა მოაწიე, ნუთუ მას შეებრალო და მაგა შექირვებასა მოგარჩინოსო.

რა ესე მითხრა, ათარ მეთილისმე წავიდა. მეცა სწრაფითა სიარულითა მას ალაგსა მივაწიე. მოვიდნენ ქაჯნი და გრძნეულებითა საესენი მეთილისმენი, რომელთა რიცხვი არა შეიგებოდა. რა მცირე ხანი გამოხდა, ქაჯთა ხელმწიფეცა მოვიდა. სრულად აღმასითა შემზადებული ტახტი დაუდგეს და მას ზედან დაჯდა. რა იგი ტახტი დავიწახე, მიველ და მას ტახტსა წინა დავეცი და წყაროსაებრ თვალთაგან ცრემლი გარდმოვადინე. რა ქაჯთა ხელმწიფემან შემომხედა,

მასვე წამსა მიცნა და ეგრე თქვა: ჰე, ვის უქნია ესე უწესო საქმე; რომე გარდანქეშანი კანჯრად შეუქნიაო? თქვენ არა იცოდით, რომე გარდანქეშანი ჩემი ერთგული იყო? ამაზედან თქვენი ხელოვნება აღარავინ სცადოთო!

მაშინ აზრად მეთილისმე წამოდგა და შემცოდე ვითა დადგა ხელმწიფე მათი შერისხდა და ჩემი აგრევე კაცად შექმნა უბრძანა. მან თილისმა რამე მიქნა და ჩემსავე სახელ ვიქმენ. მერმე ქაჯნი წარმოდგნენ და თავ-თავისი ხელოვნება მოახსენეს და ვისცა აკლდა, მეფემან მათმან ასწავა. რა ამა საქმესა მორჩნენ, ქაჯთა ხელმწიფემან ბრძანა: ბედ-კეთილობისა წალკოტსა შიგან ვისიცი ბედი სწრაფად მოქმედობს, მას განსაცდელი არა წაეკიდებისო. რა ესე მესმა, მე მოვახსენე: ჰე, ქაჯთა ხელმწიფეო, ესე სიკეთე, რომელ ჩემდა ჰყავ და პირუტყვობისაგან მომარჩინე, ესე წყალობაცა მიყავ, რომე ბედ-კეთილობისა წალკოტი მიჩვენე-მეთქი.

მასვე წამსა ორსა ქაჯსა უბრძანა: გარდანქეშანსა ბედ-კეთილობისა წალკოტი უჩვენეთო, მუნითგან ჩინეთისა საზღვარსა მიიყვანეთ და მუნ დაუტევეთო. ქაჯთა მათ მსწრაფლად წამიყვანეს და მას წალკოტსა მიმიყვანეს. ვნახე ალაგი შვენიერი და მას შიგან მყოფნი მრავალნი. ზოგთა ეძინათ და ზოგნი მღვიპარეობდნენ; ზოგნი ნელიად ვილოდნენ და ზოგნი მსწრაფლად შავლობდნენ; ზოგნი ნელიად მოქმედებდნენ და ზოგნი ჩარხსა მსწრაფლად მოზიდევდიან. მაგრამ ერთი კაცი ჩარხსა სწრაფად აბრუნებდა, ჯუღრღმულით წყალსა იღებდა და ქვეყანასა ზედან აქცევდა. მათ ქაჯთა ვკითხე, ესე ვინ არის-მეთქი? მათ ეგრე მითხრეს: ესე ბედი უშანგ ხელმწიფისა არის, ესე რომელ აქა სწრაფად მოქმედობს, იგი ქვეყნად იმა ბედნიერობასა არისო. და ვისაც ბედსა აქა სძინავს და ანუ უღონოდ შავლობს. მას ქვეყნად კეთილი მრავლად არა დაემართებისო.

ერთი ბერიკაცი იყო, თუმცა ცქვიტად ვილოდა, მაგრამ სხვებრ არასა მოქმედებდა. მათ ჩემთან მყოფთა ვკითხე, ესე ვისი ბედია-მეთქი? მათ მითხრეს: გარდანქეშანო, ესე ბედი შენიაო. მე ხანჯალსა ხელი მოვიკარ და ვსთქვი, ამა ბერსა კაცსა მოვაკვდენ-მეთქი. ქაჯთა ეგრე მითხრეს: ჰე, გარდანქეშანო! თუმცა თვალითა ხედავ, თვარა კაცთაგან მაგათი ხელის შეხება არა იქნება, ამისთვის, რომე ხორციით არა არიანო. რა ესენი ესრედ ვნახე, მათ ქაჯთა ვუთხარ, აწ წავიდეთ-მეთქი. მუნითგან წამომიყვანეს და ჩინეთისა საზღვარსა გამიშვეს, რომელ აწ უშანგ ხელმწიფისა სამსახურში ვიმყოფები.

ეს ამბავი სარკიხურამანს დიდად იამა და გარდანქეშანს კება შეასხა. რა მცირე ხანი მოიუბნეს, განთიადისა ჟამიცა მოახლოვდა და გარდანქეშანი ზე ადგა, ქალსა თაყვანის სცა და ხელმწიფისა კარსა შეიყარნენ. გარდანქეშანი შევიდა, თაყვანის სცა და ხელმწიფობა უშანგისა დალოცა. ხელმწიფემან უბრძანა: გარდანქეშანო. ჟამი არს ყარამანისთვის სარკიხურამანის თხოვნისაო. აიარმან მოახსენა: ჰე, მაღალო ხელმწიფეო, ბრძანება თქვენი აღსრულდეს. დღეს, ვგონებ, ინდოთა ხელმწიფე თქვენსა მასპინძლობასა ლამობდეს, იგი გარდასწყდეს და მერმე ქალისა საქმე ენახოთო. უშანგ ხელმწიფემა ამა მოხსენებისა ნება დართო და ბრძანა: აგრე ვქნათო.

მაშინ უშანგ ხელმწიფე თვისსა ბედნიერსა ტახტსა დაბრძანდა. სარდალნი და ფალავანნი წესისაებრ დასხდნენ. მოვიდნენ ინდოთა დიდებულნი. თაყვანი სცეს და კება შეასხეს. რა მცირე ხანი გამობნდა, ინდოთა ხელმწიფე რაჰინდ მოვიდა და უშანგ ხელმწიფესა თავი დაუტრა და მოახსენა: ჰე, მაღალო ხელმწიფეო, ვედრება მაქვს, რომე ბედნიერმან ფერხმან თქვენმან თავი ჩვენი დალაზოს. სახლი და სამყოფი ჩვენი თქვენის მობრძანებითა განათლდებისო. რა უშანგ-შამ ესე მოისმინა, საწვევერად ნება დართო. რაჰინდმან მოახსენა: ბრძანეთ და ლაშქარი აიყაროსო. ხელმწიფემან ლაშქართა აყრა ბრძანა. მასვე წამსა აიყარნენ და ინდოელთაჲკენ გაემართნენ.

მათსა სიახლოესა ქალაქი იყო შეენიერი და ჰაერკეთილი. სარკიხურამან სწრაფად წავიდა და მის ქალაქისა ერნი უცხოთა ძვირფასის ძღვნით ხელმწიფეს წინა მოაგება. მის ქალაქისა ახლოს მინდორი იყო ტურფა და ყვავილნი მრავალფერნი. უშანგ ხელმწიფისა რვაასვეტიანი კარავნი მას ზედან დადგეს და ძვირფასთა ფარჩათა სარაფარდანი გარ შემოავლეს. ხელმწიფე უშანგ ნადირობითა მოვიდოდა. ერთსა ალაგსა ურიცხვი კანჯარი დგა. მეჯღელემან ალყა შემოავლო. რა ხელმწიფე მივიდა და მათი სიმრავლე ნახა, დიდად იამა. ვინცა მასთანა ხლებისა ღირსი იყო, მათ ეგრე უბრძანა: თავისა ჩემისა მზესა, ამა ნადირთაგან ცოცხალსა ნულარა გაუშვებთო. მაშინ ყოველნივე მიეტევნენ, ზოგთა მოკლეს, ზოგთა შეიპყრეს და ზოგნი ცულად რბიოდინ, მაგრამ მათ კანჯართაგან, ერთიცა ველარ გარდევხეწა.

ეგოდენი ნადირი მოკვდა, რომელ რიცხვსა მათსა ვინ შეიგებდა. ხელმწიფე მაღალსა ბორცვსა აბრძანდა, ქალაქსა და მისსა გარემოსა უპკრეტდა. მის ქალაქისა შენობა დიდად მოეწონა. მუნითგან გამობ-

რუნდა და სადაცა ლაშქარნი ველსა ტურფასა გარდამხდარიყვნენ, მას ალაგს მივიდნენ. რაჰინდ მივიდა და უშანგ ხელმწიფე ცხენთაგან გარდაახდინა. კარავსა შევიდნენ და წესისაებრ ჩინებულნი თვის-თვისსა ალაგსა დასხდნენ, წინა ნადიმი დაიდევს და ლხინი საკვირ-ველი გარდაიხადეს. და რაჰინდმან მრავალი თვალი პატიოსანი უძღვნა.

დღესა მეორესა უშანგ-შა რაჰინდმან ქალაქს მიიწვია. იგინი კარგ-ქცეულობითა წარვიდნენ. უშანგ ხელმწიფესა ორასი შათირი მოუძ-ლოდა, რომელ ყოველთა აღმასისა ეყვანნი მუხლთა ესხათ. ათასნი მერწყულნი წინა მოვიდოდნენ, მიწასა ზედან ვარდის წყალსა აქცევ-დიან ამისთვის, რომე მტვერი ხელმწიფესა და მასთანა მხლებთა ფალავანთა აღარა მიედიწოსთო. ოთხ ათასსა კაცსა ოქროსა ჯამნი ეპყრათ და მას შიგან მუშქსა და ამბარსა აკმევდიან. წინათ ბარამ ჯი-ბილი მოვიდოდა, რომელსა სამოცდახუთი წყრთა სიმაღლე ჰქონდა და მას ფალავანნი ერანთა და თურანთა მოსდევდიან. ხელმწიფისა წინ ყარამან ფალავანთა უხუცესი მოვიდოდა, რომელსა ორმოცდახუთი წყრთა სიმაღლე ჰქონდა. თვისსა ექვსფერხოვანსა და ოთხთვლო-ვანსა ნადირსა იჯდა და თავი თავსა ეხურა და აღმასითა შემზადე-ბული სამოსი ემოსა.

რა ყარამან ესეთისა ქცევითა მივიდოდა, მკვრეტელთა თვალისა მოშორება აღარ ენებებოდათ. ხელმწიფესა უშანგს ორი ათასი ჯალა-თი და ორასი ჩაუში მოუძლოდნენ. მარჯენივ და მარცხენივ სამას სამოცნი ვაზირნი მოსდევდნენ. გარდანქეშანი და სხვანიცა აიარნი ხელმწიფისა სიახლოეს მოვიდოდნენ. ორნი ათასნი მორთულნი მო-წანი, კარგ ქცევისანი, ხელმწიფესა ახლოს მოსდევდიან. მაღალსა და ძლიერსა უშანგ ხელმწიფესა თავი თავსა ეხურა და ძვირფასი სამოსელი ემოსა. ორასსა სპილოსა თვალი და მარგალიტი ეტვირთათ და გზასა ზედან მონანი ხელმწიფესა თავსა გარდააყრიდნენ და მუნა მყოფნი საქონელითა აღივსებოდნენ. მოქალაქეთა სამსა ფარსანგსა ძვირფასნი ფარჩანი გაეშალათ.

რა ქალაქისა კარსა მივიდნენ, ყარამან და სხვანიცა ფალავანნი ცხენთაგან გარდაახდნენ და ხელმწიფესა ქვეითნი წამოუძღვნენ. რა სახელმწიფოსა სრასა მივიდნენ, ხელმწიფე ცხენისაგან გარდმოხდა და ბედნიერსა ტახტსა დაბრძანდა. დიდებულნი წესისაებრ თავის-თავისსა ადგილსა დასხდნენ. სუფრა მოიღეს და ლხინი უცხო გამარ-თეს.



მგოსანთა ჩანგთა ხმინანობა გაამრავლეს და ამოთა ხმითა დამღერ-  
ლიან და ყარამან ლვინისა სმითა ზარხოში შეიქნა, გულსა ეშხიცა  
გაუმრავლდა. სარვიხურამან პირისპირ უჯდა და თვალს ყოლე ვერა  
მოაშორებდა. ქალისა გონებაცა მიჯნურობისა ქამანდსა შეეპყრა  
და თავი თვისი ყარამანისა ჭირისა სანაცლოდ უნდოდა.

რაჰინდმა უშანგისათვის მრავალი უცხო და საკვირველი მოსართ-  
მევი მოაღებინა, რომე ერანელ და თურანელ დიდებულთა გაუკვირ-  
დათ. რაჰინდ და თვისი ასული ზე ადგნენ, კისერსა ხელსახოცი  
გარდაიდგეს და შემცოდე ვითა დადგენენ და მოახსენეს: ჰე, შარიე-  
ლო, დღეითგან ჩვენ მონანი შენი ვართ და ბრძანებისა თქვენისა  
მორჩილნი. რასაცა გვიბრძანებ, ჩვენ სამსახურად მზანი ვიქმნებით.  
უშანგ ხელმწიფემან პასუხად უგო: რაჰინდ ინდოელთა ხელმწიფეო,  
შენ და ასული შენი ძმა და შვილნი ხართ ჩემნი. ესე ოდენთა თქვენ-  
გან ჩემზედან სიკეთისა მუქათფასა გარდავიხდიო. ქეივან-შას უბრძანა  
ხელსახოცთა მოხსნა. იგი სწრაფად მივიდა და კისერთაგან ხელსახო-  
ცი ახადა.

ხელმწიფემან უცხოსა სამოსლისა მოღება ბრძანა. მონათა ფიცხ-  
ლად მოიღეს და ორნივე სახელმწიფოსა ძვირფასისა სამოსლითა  
დამოსეს და თავი თავსა დაადგეს. აგრეთვე თვისსა ადგილსა დასხ-  
დნენ და ნადიმი დიდი გამართეს. ხელმწიფე უშანგ გამხიარულდა.  
ფალავანთა და ლაშქართა ზედან ეგოდენი გასცა, რომელ რიცხვი  
აბა შეეგებოდა. მას დღესა უმოვარი კაცი არ დარჩა და გლახაკნი  
უქონელობასა აღარა ჩიოდნენ.

რა ნადიმი გაიყარა და რაჰინდ თავისსა სადგომსა წავიდა, ერანთა  
და თურანთა ფალავანნი მას თანა მივიდნენ და კეკლუცთა ხელმწიფე  
სარვიხურამან ყარამანისთვის სთხოვეს. ინდოთა ხელმწიფემან ნება  
დართო და ფალავანთა მადლი გარდაიხადეს და ხვალისად საქორწი-  
ლო თადარიკი იწყეს. ამა ამბისა სმენითა ორნივე იგი ქალ-ყმანი  
დიდსა სიხარულსა იყვნენ, მაგრამ არ იცოდნენ, თუ დილა მათთვის  
საწუხარსა შობდა. ოდეს ხელმწიფემან უშანგ ინდოეთი დაიპყრა, მას  
ეჰმად ათას სამასი წლისა იყო. ამა თვისსა ცხოვრებასა შინა შვიდი  
ათასი ომი გამარჯვებოდა. ყოველი ქვეყანა მორჩილებდა ბრძანებასა  
მისსა. იხარებდა ყოველი სული ქვეყანასა და მშვიდობისათვის ფა-  
ლავანთა მშვილდსა საბელი ახსნეს და ხმალი ქარქაშსავე მიაქციეს.  
გაისმა ესე ამბავი შვიდთა იყლიმთა შინა და აღარა იყო შეჭირვება  
გულთა მოლაშქრეთასა.

## ამა შარამანისაგან ბარამის მამის მისაზველებლად წასვლა

დღესა ერთსა გარდანქემან აიარი ინდოეთისა მთასა ვლიდა. ერთსა წყაროსა პირსა მივიდა და ძილი მოუვიდა. ანაზღად ყურთა ხმიანობა მოესმა. სწრაფად ზე ადგა და მიმოიხედვიდა. რა მალსა აიხედა, ნახნა, შვიდნი ფერიანი ჰაერში მოფრინავდნენ, ქვე ჩამოვიდნენ და გარდანქემანსა პირ-მიწა-გაერთიანებით სალამი მოახსენეს. იგი ფერიანი გარდანქემან აიარსა კვლავცა ენახა, იცნა და მშვიდობით მოიკითხა. რა ესე გვარნი სიტყვანი მოიუბნეს, მათ ფერიათა მოახსენეს: ჰე, აიართა სარდალნო, ჩვენ შაჰვალი ფერისაგან გამოგზავნილნი ვართ და უშანგ ხელმწიფესთანა წიგნი გვაქვსო. მასვე წამსა გარდანქემანი წინა წარმოუძღვა და იგი ფერიანნი ხელმწიფისა წინაშე მიიყვანა. მათ წიგნი დაბეჭდილი მიართვეს. რა გახსნეს, ფერიათა ენითა იყო დაწერილი. გარდანქემანისა კიდე ფერიისა ენა არავინ იცოდა. წიგნი მას უბოძა და წააკითხა. მას წიგნსა ესრეთ ეწერა:

„ადიდნეს ღმერთმან მფლობა შენი სიგრძეთა შინა დღეთასა! გულისტამ ერამის სულტანი შაჰვალი ფერი ფერხთა მტვერსაძცა თქვენსა ეთაყვანოს, ჰე, შვიდთა იყლიმთა მპყრობელო! აწ საჩივარი ჩემი მოიხსენო. მთასა ყაფისასა და მინდორსა ეიათისასა შვიდნი დევნი პატრონობენ, რომელნი ოქმსა და ბრძანებასა იწერებიან. ამა შვიდთაგან ერთი აქვალი წოდებული ესრეთ უსამართლობს, რომე მეფეთა ტომსა ანუ ვაზირთა და დიდებულთა შვილსა თუ არა იხელთებს, სხვასა არასა სჭამსო. დღესა ერთსა ჩემზედაცა მტერობისა ეამი ივდო. აღამიანთა ნათესავი. ქალი მშვენიერი მეუღლე მყვა, იგი მომპარა და თვისსა საჩყოფელსა მიიყვანა. რა იგი ქალი მას დევსა არა დაემორჩილა, საპყრობილებსა შესვა ქალი იგი. ოდეს მპარაობით წაიყვანეს, ორსულად იყო და მას საპყრობილესა შვა ყრმა მშვენიერი და უწოდა სახელად ბარამ ჯიბილი. რა მას წყეულსა დევსა ყრმისა შობა სმენოდა, მასვე წამსა მონათათვის ებრძანა და რიგრევეანისა ზღვაში გარდაეგდოთ. სამან დევ წოდებულსა. ესე ამბავი ეგრძნა და იგი ყმაწვილი მოშთობისაგან მოერჩინა.

რა იგი ბარამ ათხუთმეტისა წლისა შექმნილიყო, მათ თანა აღარა დამდგარიყო და ჩინეთისა ქვეყანასა წასულიყო. ოდეს მე ესე ამბავი მომესმა, მისად საძებრად ჩინეთს მიველ. მეფე ჩინეთისა წინა მომე-

გება და დიდისა პატივითა შემიწყნარა. მასვე წამსა მე ძისა ჩემისა ამბავი ვკითხე. მან საზარლად ამოიხსრა, ეგრე მარქვა: გულისტამ ერამისა ხელმწიფეო, ძე შენი ბარამ აქა მოვიდა და ასული ითხოვაო. პირველად იგი ქალი აზრად მეთილისმესა ეთხოვნაო. რა ბარამმან მის თანა იქორწინა და ესე ამბავი აზრად მეთილისმესა ესმა, სწრაფად მოვიდა და თვისითა გრძნებითა ორივე შეიპყრა. ენება, რათა ბარამ მოეკლა და ქალი მას წაეყვანა. ოდეს ბარამ სასიკვდილოდ წააყენა, ქალი გარდაეხვია და იხვეწებოდა, მე მომკალით და ესე განათავისუფლეთო. რა ესე აზრალსა ესმა, დიდად იწყინა, ეგრე არქვა: ვინათგან შენ ბარამ ესრეთ შეგყვარებია, ორთავე ესრეთსა საქმესა გიზამ, სიკვდილი თქვენთვის სანატრელი იყოსო. მასვე წამსა თილისმა რამე უქმნა და ორნივე ქვად იქმნენ. კვალად შეულოცა და ვეშაპი საშინელი მათ ორთავე გარე შემოერტყათ.

რა ესე ამბავი მესმა, მენება, რათა ჩინეთისა ქვეყანა სრულობით ზღვაში შთამეყარა. მაგრამ ვაზირთა ჩემთა დამიშალეს. მუნითგან ავდეგ და მათ ქვაქმნილთან მიველ. რა ვნახე, ორთავე მშვენიერი პირი მზის აღმოსავლეთისაკენ ჰქონდათ. ოდეს მზე აღმოხდებოდა და ანუ შთახდებოდა, მათ ორთაგანვე ესრეთი საგლოველი ხმა რამე გამოხდებოდა, რომე მისსა მსმენელსა თვალთგან წყაროსებრ ცრემლი ეღინებოდა. რა იგინი ეგრეთ ვნახე, სისხლისა ცრემლი თვალთგან მრავლად გარდმოვადინე. მენება, რათა თავი ჩემი ძისა ჩემისა თანა მომეკვდინა, მაგრამ ვეშაპი იგი გრძნებითა შემზადებული რომელ მათ გარე ერტყა, მის გამოის მათსა სიახლოეს ვერა მიველ. მრავალგზის ვეცადენით, რომე ახლოს მივდგომოდით და იგი ქვაქმნილიც თანა მაინც წაგველო, მაგრამ არა გაეწყო რა. მრავალნი ფერიანი ამომიწყვიტეს და მას თილისმითა შემზადებულსა ჩვენგან არა ევნო რაო.

სამსა დღესა და ღამესა მათსა სიახლოვესა ვიდექით და მეოთხესა დღესა მწუხარებაგანმრავლებული ჩემსავე ქვეყანასა წამოველ, ცოლთა და შვილთა მწუხარებამან გულთა ცეცხლი მომიგზნა, ველარ მოვითმინე, ორმოცჯერ ასი ათასი ფერია შემოვიყარე მათსა ყარამანისასა, აქვალი დევსა ზედან წაველ. იგი დევთა ლაშქართა წინა მომეგება, გზასა ზედან შევებით. შვიდი დღე და ღამე ბრძოლა გვქონდა. მერვე დღესა ჩემნი ლაშქარნი დაამარცხეს. ორნი ძმანი ჩემნი და ასნი ჩინებულნი სარდალნი ცოცხალი შეიპყრეს და ლაშქართაგან მესამელი ველარ გარდებეწათო. მე რა მუნითგან მოველ

ჩემსავე ქვეყანასა, დავარ ციხესა ხმობილსა გავმაგრდი. მანვე წყე-  
ულმან აქვალი დევმან სამასჯერ ასი ათასი ხვალი დევი შემოიყარა  
და ციხესა გარს მომადგა და ყოველთვის ბრძოლასა ვართ. თუმცა  
ესე სიმაგრე თილისმითა შექმნილი არა ყოფილიყო, აქამდინ ესეცა  
აუღებელი არა დარჩებოდა. ჰე, შარიელო, ჩემთა შეჭირვებათა  
ნათალიცა ვერ მოგახსენე. თუმცა მოწყალება ღმერთისა და თქვენი  
არ შეგვეწევა, ჩვენ სიკვდილსა მოახლოვებულნი ვართო. მაღალსა და  
ძლიერსა ხელმწიფობასა თქვენსა არა ეკადრება, რომე ქვეყნად ესე-  
თი ძალი და უსამართლო მოხდეს და თქვენ იგი არა მოიკითხოთო“.

რა ესე წიგნი წაიკითხეს, ხელმწიფე უშანგ და ყოველნი მისნი  
დიდებულნი შაფალი ფერისათვის დიდად შეწუხდნენ და ბარამსა  
უჭკრეტდნენ. რა ბარამ ესე ამბავი მოისმინა, დიდად ამოიონრა და  
თვალთაგან წყაროსებრ ცრემლნი გადმოადინა. ხელმწიფემან უბრ-  
ძანა: ბარამ! ნუ შეიჭირვებ, ღვთითა გულისტამ ერამში მამის შენისა  
მოსახმარებლად წავალო. მაშინ ყარამან წინა წარმოდგა და ხელმოჭ-  
დობით, შემცოდე ვითა დადგა, ხელმწიფესა თაყვანის სცა და წასა-  
სვლელად ფარმანსა ითხოვდა. ხელმწიფე ზე აღგა და ეგრე უბრძანა:  
ჰე, ბედნიერობისა ჩემისა მიზეზო, რა არის მიზეზი შენი დამნაშავე-  
თა ადგილსა დგომისაო? ყარამან პასუხად მოახსენა: ჰე, მაღალო  
შარიელო, სააჯო ჩემი ესე არს, რომე ბრძანება თქვენი იყოს და  
გულისტამ ერამსა შაფალი ფერის მოსახმარებლად წავიდე, რომე  
მოწყალებითა ღვთისათა იგი მისთა მტერთაგან დავიხსნაო.

მერმე ბარამ ჯიბილმან მოახსენა: ჰე, ქვეყნისა მპყრობელო ხელ-  
მწიფეო! მე მონა შენი ოდეს ჩინეთისა საზღვარსა წელსა ოცდაოთხ-  
სა ქვად ქმნილი ვიყავ და მოწყალებითა თქვენითა მას შეჭირვებასა  
მოვრჩი, აწ ესე უმეტეს საწუხარია ჩემდა, რომელ მამაჩემი ესრეთსა  
შეჭირვებასა არისო. მეცა ბრძანებასა ვითხოვ, რომე ძმასა ჩემსა  
ყარამანსა ვეაზლო. ნუთუ ბედნიერობითა თქვენითა მტერთა მამისა  
ჩემისათა მუქათა ვავოთო. რა ბარამ ამა სიტყვასა ხელმწიფესა  
მოახსენებდა, ყათრანცა ზე აღგა და ყარამანისა გვერდით მოვიდა,  
მანცა ხელმწიფესა თაყვანის სცა, დალოცა და ქება შეასხა, მერმე  
გარდანქეშანიცა მათ თანა დადგა და იგიცა წასასვლელად ფარმანსა  
ითხოვდა. მცირეს ხანს ხელმწიფე თავჩამოგდებით იდგა და მათსა  
საქმესა ფიქრობდა. თუმცა მათი წასვლა ხელმწიფისათვის არა სიხა-  
რული იყო, მაგრა წასვლისაგან კიდეს სხვა ღონე არა იქნებოდა რა. ზე  
აიხედა, მათ ფალავანთა პასუხი ესრედ უბრძანა: წარკვდით, უფალი-

თქვენთანა იყოსო. მაგრამ თქვენსა რჩევასა გარდანქეშანსა ჰკითხვე-  
ლით და სიტყვასა მისსა დაიჯერებდეთ, ამისთვის, რომე ეგე გვარსა  
გზასა შიგან დიდად გამოცდილი არისო. ყოველმან სულმან ესე ფა-  
ლავანი ღმერთსა შეავედრეთო.

მათ ლამესა გზისა თადარიგი იწყეს და რა დილა გათენდა და ქვე-  
ყანისა მაშვენებელმან მზემან თავი აღმოაბრწყინვა, თუმცა ქვეყნად  
თვის ბრწყინვალეობა ფრიად განფინა, ეგრეთვე სარკისხურამანისა გუ-  
ლი შეჭირვებითა აღავსო. დიდებულნი ხელმწიფისა კარსა შეიყარ-  
ნენ. ოთხივე იგი ფალავანნი მოვიდნენ, უშანგ ხელმწიფესა თაყვანის  
სცეს და ქება შეასხეს და გამოესალმნენ. მას დღესა ეგოდენი ცრემ-  
ლი დაიღვარა, რომელ მდინარეთაებრ დენა დაიწყო. შვიდნი იგი  
ფერიანთა მოვიდნენ, უშანგ ხელმწიფესა თაყვანის სცეს და ქება  
შეასხეს. ხელმწიფემან მათ ფერიათა მათი ამბავი ჰკითხა. მათ  
მოახსენეს: შვიდნივე ესე ჩვენ ძმანი ვართ. ერთის დედისაგან ერთსა  
დღესა დაბადებულ ვართ და ჯერეთ ათას სამასისა წლისანი ვართო.  
ხელმწიფე მათსა საქმესა კვირობდა.

რა მცირე ხანი გამოხდა, ოთხნი იგი ფალავანნი თვისის ცხენითა  
და იარაღითა მათ ფერიათა ზურგზედ შეისხეს და სარანდობის მთი-  
საკენ გაემართნენ. რა ესეოდენი ერი უჭკრეტდა, მცირესა ხანსა  
თვალთაგან მოეფარათ და ველარა ხედვიდნენ. სარკისხურამან მაღალ-  
სა ბორცვსა აღსრულიყო და მუნითგან უჭკრეტდა. რა თვალთა მიე-  
ფარა, საზარელი სულთქმა მდუღრისა გულით აღმოახდინა და ესრედ  
თქვა: სად მიმეფარე, ლომო ლომთაო? რა ესე თქვა, პირსა ხელი იცა,  
ცნობა მიეფანტა და მიწასა გარდაიქცა. ძიძაც მწუხარედ მოსთქმიდა.  
რა ქალი გონებასა ველარ მოვიდა, ძიძამან ზურგსა იტვირთა და  
თვისსა კარავსა ეგრე მიიყვანა.

ოდეს ფერიანნი ჰაერში აღფრინდნენ და ოთხნი იგი ფალავანნი  
წარიყვანეს, ესრეთ მაღლა აღვიდნენ, რომე ყარამანისაგან კიდე  
სხვათა ცნობა აღარა შერჩათ. რა ქვე ჩამოიხედა, ქვეყანა ერთის  
კალსაოდენი ჩნდა და სხვა წყალსა მოეცვა. სპარსნი იტყვიან, ეს-  
რეთ მაღლად აღიწიეს, რომ ანგელოზთა ხმა ესმოდათო. რაღასა  
ვაგრძელებდეთ, შეიღსა დღესა და ლამესა ესრეთ მოუსვენებლად  
იარეს. მერვესა დღესა ჰაითისა მინდვრისა ნაპირს, მონათის მთასა  
მივიდნენ, რომელსაც ფერიაზედაც ყარამანი იჯდა, ესრედ შეწუხ-  
და, რომე საქარობისა ღონე აღარა ჰქონდა. ყარამან უბრძანა: ფერი-  
ავ, რისთვის ეგრე ხარო? მან მოახსენა: ჰე, ფალავანთა ფალავანო,

თუმცა ყაფის მთა ზურგთა მკიდებოდა და აღმოსავალით დასავალთ მიმეტანა, ესრეთ ვერა გამხდოდა, ვითა სიმძიმემან შენმან გამხადაო. მაშინ ყარამანმან ქვეყნად გარდახლომა უბრძანა. მის მთისა ძირსა ერთი წყარო დიოდა, რომელი ედემით მომდინარესა გვანდა. მისსა პირსა გარდახდნენ. ისრითა ნადირი მოკლეს, მწვადად ააგეს და თვით მცირეს ხანს მოსვენებას მიეცნენ. მაგრამ ყარამანს ყოლე არ დაეძინა. მათ ფერიათაგანმან ერთმან მეორესა უთხრა: აქ ძილისა ჟამი არა არისო. ამისთვის, რომე თუცა შაბანბაში დევმან ჩვენი მოსვლა იგრძნა, საქმე გაგვიჭირდებისო. მეორემან უთხრა: მაგა გვარსა სიტყვასა ნუ იტყვი, მცირეს ხანა მოვისვენოთ, იგი ჩვენსა ამბავსა ვერ იგრძნობსო.

- რა ესე თქვა, დაწვენენ და მოსვენებასა მიეცნენ. რა მათ ძილი მოუვიდათ, ყარამან სწრაფად ზე აღგა, ბასრსა ხმალსა ხელი დაიდგა და მის მთისა წვერსა ზედან აღვიდა. მუნით მინდორი ერთი კეთილსახილველი და მდინარენი უცხონი გამოჩნდა. მის მდინარისა პირსა ყვავილი მრავალფერი იხილვებოდა და მის მინდვრისა შუაგულობასა ერთი გუმბათი იდგა. კარნი და კედელნი სრულად ოქროსი ჰქონდა, რომე ბრწყინვალება მისი მისსა მინდორსა გაანათებდა. რა ყარამან იგი დაინახა, სწრაფად მისსა სიახლოესა მივიდა. ნახა იგი გუმბათი შვენიერი, რომელსა კარი აღმოსავლეთით ება და მას ზედან უცხონი და საკვირველნი სახენი ეხატა და მის პირდაპირ გურზი იყო შექმნილი ფოლადისა, რომელსა თავი მთისაოდენი ქონდა. მას ზედან ესრეთ ეწერა: „ვინცა მთასა მონათისასა მოვიდეს და ველსა ამას მოვლოს, თუ თავისა მშვიდობა უნდოდეს, რაცა ამა ზედან ეწეროს, იგი წარიკითხოს და საქმე თვისი ეგრე სიფრთხილით დაიჭიროსო. აქა ჭაბუკი ვინმე მოვა, ამა გუმბათსა იგი დააქცევს, ესე თილისმა მისსა სახელსა ზედა არის შექმნილი. რა ესე თილისმა დაარღვიოს, ამისსა გამკეთებელსა თვისსა ლოცვასა შინა მოიხსენებდესო“.

რა ფალავანმან ესე წაიკითხა, მის გუმბათისა კარნი გაახვნა და შიგან შევიდა. ნახა სასახლე უცხოდ ნაგები და მასზედან ვერცხლის კაცი მდგომელი, რომელსა ხელი თავსა დაედგა. ფალავანმან ხმა უყო: ვინ ხარ კაცი მდგომელი და ანუ ესე სამყოფი ვისი არისო? მის კაცისაგან ხმა არა გამოვიდა. ყარამან იგრძნო, რომე ვერცხლითა შექმნილი იყო და სული არა ედგა. წინ წარდგა და ხელით რამე ანიშნა. მაშინ მან ვერცხლის კაცმან თაყვანის სცა და ხელი, რომელი თავსა ედგა, თავისაგან მოიშალა და პირსა მიიფარა. რა ესე ესრეთ

ქმნი, პირთაგან ვერცხლი წარმოადინა. რა ყარამან იხლოს მივიდა. მის კაცისა პირთაგან გამოდენილი ვერცხლი სრულად ვეშადად შეიქნა და ყარამანს შემოუტეის. ფალავანმან იგინი უქირველად დახოცა, მარა მას ვერცხლის კაცისა სიახლოვესა ვერა მიაწია ამისთვის, რომე ოდესცა იგი მისსა ახლოს მისვლასა მოინდომებდა, იგი ვერცხლის კაცი პირთაგან ვერცხლსა გარდმოადენდა და იგინი ვეშადად იქმნებოდნენ.

ესე საქმე ფალავანსა დიდად გაუკვირდა. მობრუნდა და მის სახლისა გარემოსა მოვლიდა. ერთსა ადგილსა ოთხი ფერიისა სახე გამოეხატათ და მათს ძირსა ეწერა ესრეთ. „ჰე, კაცო, რომელიცა აქა მოხვიდე, თუ თავისა იმედი გქონდეს, აქა ახლორე მიწა მოთხარე. ხერელი რამე მოგხვდება, იგი განვლე, რა მას განვლი, კუბო არის დიდი და მის კუბოსაგან კაცი გამოვალს, შენ სასიკვდილოდ მოგიწოდომებს. თუ შენ იგი მოკალი, თილისმა ესე დაირღვევა და მრავალსა საკვირველსა ნახაეო“. რა ფალავანმან ესე წერილი წაიკითხა, ღვთისა სახელი ახსენა და მას ალაგსა მოთხარა. ხერელი გამოჩნდა, და განვლო და ნახა კუბონი მრავალნი მდგომარენი. მის ერთისა კუბოსაგან ერთმან დიდმან კაცმან თავი ამოყო და ყარამანს საყულოსა მოეჭიდა. ფალავანმან მსწრაფლად ყია შესტაცა, ორითა ხელითა მედგრადა გაზიდნა და თავი ტანისაგან მოაშორვა.

რა იგი მოკლა, ესეთი ხმა გამოხდა, რომე კაცსა ცნობა მიეფანტოდა. რა იგი ხმა გარდასწყდა, ფალავანმა მცირე წავლო, ნახა მცირე ველი შეენიერი და მის ველისა ოთხივე მხარე ტურფად ნაშენები და უცხოჲ ფარჩებიტა დაფენილი და ველისა შუაგულობასა მწვანე ბალახი და ყვავილი მრავალფერი. მას ზედან მარტორქა და სპილო ურიცხვი ება. რა ყარამან ესენი გაიარა, ერთი გალავანი დახვდა და მას გალავანსა ოთხსავე მხარესა ხანდაგი ევლო წყლიტა აღვსილი, ზედან ხიდი იდევ და მას ხიდისა თავსა კარი ება.

რა ყარამან მას ზედან შედგა და გავლასა ლამოდა, ანაზღად იგი ხიდი ნახევარი ჩაიქცა და წყალტა შთაცვივდა. რა ფიცარმან წყალი შეანჩქრია, მას წყალტაგან მრავალმან საკვირველმან მხეცმან და ვეშაპმან თავი ამოყო. ეს წყალი ყარამანს გარს შემოერთყა და საკვირველი რამ ხმიანობა შეიქნა. ყარამან ამა საქმესა გაკვირდებოდა, მაგრამ შიში გულსა მისსა ყოლე არა იპოებოდა. ხიდისა მას თავსა ძელი იყო დიდი აღმართული და მას ზედან ესრეთ ეწერა: „ჰე, კაცო, ვინმე აქა მოსრულო! თუ გინდა, რომე თილისმა ესე დაარღვიო,

ძელი ესე მოგლიჯე. რა ამა ძელსა მოგლეჯ, მილი რამე გამოჩნდება და მას შიგან ჩარხნი მბრუნავნი. მილი ჩარხებითურთ შემუსრე და საკვირველსა მრავალსა იხილავო“.

რა ფალავანმან ესე იხილა, წარიკითხა, მასვე წამსა მივიდა, ორითა ხელითა მოეკიდა, მედგრად გაზიდა და ძელი იგი მოგლიჯა. მილსა შთავიდა და მას შიგან ჩარხნი მბრუნავნი იხილა. ყარამანმან მას უფროსსა ჩარხსა მედგრად ქვა დასცა და ანაზღად შემუსრა იგი. რა იგი უფროსი ჩარხი შეიმუსრა, სხვანიცა ჩარხნი და მილნი მასთანავე შეიმუსრნენ. მათსა შემუსრვაზედან ხმა რამე საკვირველი გამოხდა. რა იგი ხმიანობა გარდასწყდა, აღარც წყალი იყო და აღარც მილი და აღარც ხიდი და არცა რა სხვა საკვირველი იხილვებოდა. ფალავანმან ფალავანთამან მას სასახლესა მიმართა. ნახა, სახლი მძიმითა ფარჩითა მორთული და კართა ზედან ორნი მანდატურნი მდგომარენი. რა მათ ყარამან დაინახეს, ორნივე ქოვიდნენ და ფალავანსა თაყვანის სცეს, აქეთ და იქით დადგნენ. ფალავანმან მათ შუა გავლო და არცა ერთსა შეეზარა. იცოდა, რომე თილისმითა შემზადებულნი იყვნენ.

რა შევლო და ერთსა დიდსა სახლსა მივიდა, ნახა კარსა მისსა ვეშაპი საშინელი მწოლარე, რომელსა პირთაგან ცეცხლი მოსდიოდა. რა აქათ და იქით მიმოიხედა, სრულად იგი სასახლე ვეშაპითა სავსე იყო და მათგან ნაცვიენი ცეცხლნი ღრუბელთაგან მოდენილსა წვიმასა ჰგვანდა. იგი სასახლე და მინდორი სრულად ცეცხლითა აღვსილ იყო. ფალავანთა ფალავანმან ყარამან ღვთისა სახელი ახსენა, მშვილდსა და ისარსა ხელი მიჰყო. რა წინ წადგა. მის ვეშაპისა შუბლსა ესრეთ ეწერა: „ჰე, კაცო, აქა მოსრულო! ვინცა წინათ თილისმებსა დაარღვევ და აქა მოხვალ, ესე სხვასა არავისა ძალუძს; ეგების ყარამან ფალავანთა ფალავანი უადრესი იყოს. ჰე, ყარამან! ამა თილისმათა დარღვევა ამა ვეშაპისა საქმეზედან ჰკიდიო. ოდეს ამისსა სიახლოვესა მოხვიდე, ვიდრემდის ვეშაპი პირითგან ცეცხლსა შემოგაყრიდეს, შენ ეცადე, რომე ქარისაგან უსწრაფედ პირსა ჩაუხლტე, თვარა თუ ამა ვეშაპმან ცეცხლთა შემოყრა დაგასწრა, საქმე გაგიძნელდებისო“.

რა ყარამან ესე სიტყვანი ვეშაპისა შუბლთაგან აღმოიკითხა, მასვე წამსა მამაცობისა სარტყელი გაიმაგრა და ქარისა უსწრაფედ მას კარსა მიმართა. რა ვეშაპმან ყარამან დაინახა, ბრუნვა დაიწყო, ენება, რაჲა ფალავანისათვის ცეცხლი შეეყარა. მაშინ ყარამან ღვთისა



სახელი ახსენა და ვეშაპსა პირსა ჩაუხლტა. რა ჩახლტა, არცა ცეცხლმან დასწვა და არცა სავენებელი რამ წაეკიდა, ესრეთ ეგონა, სახლისა კარი გამივლიაო. რა მცირე ადგილი წავლო, ნახა ქალაქი იგი ტურფა, მაშიგან დუქანნი და ქულბაქები გაწყობილნი. იქ კაცი ისხდნენ და ვერცხლისა და ოქროსაგან შექმნილნი და ყოველნი თავის-თვისსა საქმესა მოქმედებდიან. ამისი მხილველი ყარამან დიდად გაკვირდებოდა. მის ქალაქისა შუაგულობასა გალავანი იყო მცირე და მას ზედან ორი ფოლადისა ტახტი იდგა შვენიერი და მას შიგან თვალი პატიოსანი მრავალი ისხდა. მას ზედან კაცი იჯდა და ხელთა ოქროსა ბურთი ეპყრა. ვირემდის იგი კაცი ფალავანსა ბურთსა ესროდა, ყარამან მისი თილისმა შეიტყო, სწრაფად მივიდა და ძირსა მიწა მოუთხარა, ჩარხნი მისნი მბრუნაენი დაამტვრია. რა იგი ჩარხნი მოიშალა, იგი კაციცა ქვე ჩამოვარდა.

მაშინ ფალავანი მის გალავანსა შიგან შევიდა. ნახა კაცთა მრავალთა ყრილობა და მათ შუაგულობასა ხელმწიფე ვინმე ტახტზედან იჯდა და მათსა სამართალსა საჯევდა. რა ყარამან ახლოს მივიდა, ნახა, რომ, ესე ყოველივე ქვისანი იყვნენ დათლილნი. მას ხელმწიფესა ყელსა ოქროსა ჯაჭვითა თილისმა რამე ება, ფალავანი მივიდა და იგი ახსნა. მას ზედან ესრეთ ეწერა: „მე ყარუნ ხელმწიფე ვარ. შეიძთა იყლიმთა მპყრობელი. ოცდაათშვიდმეტჯერ ასი ათასი მეომარი შეეკრიბე, ვიათის მინდორსა გამოვიარე და მთასა ყაფისასა მოველ. წელნი ცხრანი დაეყავ და ათორმეტი თილისმა შევამზადე. ცხრა თილისმა ჩემი ხელითვე დავარღვივე და ხუთი აგრევე დაუტოვე. შეიდასი წელიწადი ვიცოცხლე. ბოლოს ესე მინდორი მომეწონა და აქა გალავანი ესე აღვაშენე და ჩემად სამყოფლად აღვირჩიე. ვეზირი მყვა მეცნიერი და თილისმისა ხელოვანი. მას ესე თილისმა ჩემსავე სიცოცხლეში შევაქმნევინი ამისთვის, რომე ვირემდის ქვეყანა იყოს, ესე ჩემად იადგარად დარჩომილ იყ:ა. დღესა ერთსა მასვე ვაზირსა ვკითხე: ამა თილისმათა დამრღვევი ვინ გამოჩნდებისმეთქი? მან ეგრე მითხრა: ორის მარჩისს პირველისა და ორის მუშთარის დასასრულსა ადამიანთა ტომთაგანი ფალავანი მოვა, რომელსა სახელად ყარამან ეწოდება. ამა თილისმასა იგი დაარღვევს და შაბანსარ დევსა სახელოვანსა ამა არესა შინა იგი მოკლავს. იმა დევსა საპყრობილესა სამნი ვინმე მის ფალავნისა სასურველნი პყრობილად იქმნებიან და მათცა იგი ფალავანი დაიხსნისო. რა ესე სიტყვა ვაზირისაგან მესმა, ჰე, ფალავანო, აქა მოსრულო, მეცა სამნი

უცხონი სახმარნი შენთვის ანდერძად დაწიგდია. ოდეს ამა ჯურ-  
ღმულსა შთახვალ, კუბო დაგხედება, მაშინგან რაცა იღვას, აღმოიღე  
და მუქაფად მისდა სულსა ჩემსა სამადლო რამე უქმენიო“.

რა ყარამან ესე აღმოიკითხა აღწერილი და ყარუნ ხელმწიფის  
აშბავი შეიტყო, მისსა საქმესა უზომოდ გაკვირდა. მისივე საფლავი  
მასვე ადგილსა იყო. ყარამან იგი საფლავი ნახა და მისსა ხელოვნე-  
ბასა აქებდა. რა იგი არე მოვლო, ერთი გზა ჰპოვა, რომელ მან გზა-  
შან ზრეფანსა ტურფასა გაიყვანა. მას ალაგსა საფლავი იყო დიდი და  
საკვირველი, რომელ ეგეოდენი სხვა არა ენახა. მას მოედნისა თავსა  
კარი ჩნდა ოქროსი და სრულად აღმასითა შემზადებული. ფალავანი  
სრწაფად მისკენ წარვიდა, რა ახლოს მივიდა, ესრეთი ხმა რამე გამო-  
ხდა, რომე კაცთაგან გონებითსა ცნობასა მისტაცებდის. მაგრამ  
გულსა ყარამანისასა შიში ყოლე არა შევიდა. ანაზად კაცმან ვინმე  
კარი გააღო, ხელთა გურზი ეპყრა და ყარამანს შემოუტია. ვირემდის  
იგი გურზსა დაჰკრევედა, ფალავანმან მას კაცსა პირსა ხელი შემოჰკრა  
და ქვე დასცა.

ჭაბუკი ყარამან მას კარსა შევიდა. სახლი დახვდა მშვენიერი,  
რომელ მისნი კედელნი თვალითა პატიოსნითა იყო ნაშენები. ცალსა  
მხარესა ფარდა იყო გაბმული ძვირფასისა ფარჩისა და მას იქით  
შადრევანი იყო ბროლისა აგებული. მას შიგან წყალი აღმოდიოდა  
და ავზი იყო შვენიერი, მით ივსებოდა. მის გვერდით კიბე იყო ბრო-  
ლისა, რომლისა ძირი ქვეყნად იღვა და თავი ორსა კაცსა ეპყრა.  
ფალავანმან მას ზედან ასვლა მოინდომა. მათ კაცთა კიბე იგი გააგ-  
დეს, გურზებსა ხელი მიჰყვეს და ყარამანსა შემოუტოეს. ყარამანმან  
თვითო ხელი თვითოთა მიჰყო, ერთი მეორესა შემოჰკრა და ორნივე  
დაიმტვრენენ. კიბე აგრეთვე თვისსა ადგილსა დადგა. ყარამან მას ზე-  
დან ავიდა. აივანი დახვდა უცხო, რომე მისებრი სხვა არა ენახა.  
კედელნი სრულად ჯავარიანი იყო ნაგები და მას შიგან ტახტი იღვა  
აღმასითა მოქედილი და ზედან ერთისა მარცვლისა მარგალიტისა  
გათლილი კუბო შეედგათ. მას კუბოსა ზედა უცხო სამამაცო საჭურ-  
ველნი და სამოსი პატიოსანი ეწყო. სახლსა მას შიგან საკრავი იკრო-  
და მრავალი, მაგრამ არცა მგოსანნი ჩნდა და არცა საკრავი იხილვე-  
ბოდა და ხმა საამო ისმოდა.

ესე საქმე ყარამანს მეტად გაუკვირდა. თურმე ესე საკრავნი  
კედელთა და ბანთა შიგან დატანებული იყო და მათნი ჯაჭვნი კუბო-  
სა დაესხნათ; ჩარხი იყო მომართული, იგი რა შეიძროდა, მათ საქ-

რავთავან ხმიანობა გამოხდებოდა. რა იგი ესრეთ ნახა, მისსა ამგებელსა ქება დიდი შეასხა. რა ახლოს მივიდა, მას კუბოსა ზედან ერთი ზოსტერი იღვა, ერთი გურზი და ერთი ხანჯალი. მათ ზედან ესრეთ ეწერა: „ჰე, ყარამან! ესე სამი იარალი შენთვის ანდერძი არისო. ესე იარაღები აიღე და სხეასა ხელსა ნურასა შეახებ. ამა სამთა იარაღთა ხასიათი ესენი არიან: მას ზოსტერსა სამოცდაოთხი იაგუნდი უზის, რომლისა ფასი არა შეიგების და ყოველსა ზედან თვითო ლოცვანი სწერიან და ვისცა ესე ზოსტერი წელთა ებას, მას ეშმაკეული და მტერი ვერას აენებს. ღვენი და ფერიანნი გრძნებითა თვალთავან არა მიეფარება და ვისცა ესე ჰქონდეს, ვითა ღლე, ღამე ეგრე დაინახოსო, ქვეითად სიარულობითა არა დაილაღვისო, უკეთუ მოსწყურდეს ანუ მოშივდეს, მისი ერთი ბალთი ოდეს პირსა შთაიდვას, აღარცა მოსწყურდებისო. წერილთა შიგან რომელ აღუწერიათ, ქამარი ქაიანური ესე იგი არისო“.

ყარამან ზოსტერი იგი აიღო და წელთა შეიბა. კვალად მიხედა, გურზსა ზედა ესრეთ ეწერა: „რა 'ესე ღამე ბუდით აღმოახდინო, ათოთხმეტსა ფარსანგსა გაანათებსო და რა ხელთავან გააგდო, მისი ხმა ორსა ფარსანგსა გავა და ვისცა იგი მოესმის, შიშითა ცნობა დაეფანტვისო“. სპარსნი ესრეთ იტყვიან, იგი გურზი პირველად რამინშას ჰქონია, მერე ყარუნ ხელმწიფესა უშოვნია, მაშინ ყარამანს დარჩა, მასუკან ნარიმანსა და მერმე ფრიდონ ხელმწიფესო. ყარამან გურზი იგი ბუდისავან აღმოიღო და იგი არე ესრეთ გაანათლა, თუ ვსთქვა, მზე მას შიგან აღმოსულაო. შეიდჯერ ზე შეავდო და მერმე ხელთავან გააგდო. ესეთი ხმა გამოხდა, ყარამანს ასრე ეგონა, ესე შენობანი ძირითურთ აღმოიფხვრაო. ხანჯალიცა აიღო და წელთა გაიკო. მისს ტარზედ ესრეთ ეწერა: „ამას თილი ყამყამი ჰქვია. ამისი ხასიათი ეს არის, თუცა ყაფის მთა ერთი ნაკვეთის ფოლადისა იყოს შექმნილი, და მას დაჰკრა, იგიცა ორად გაიკვეთება და მას არა დაუშავდება რაო“.

გურზი აგრეთვე ბუდესა შთადვა, გულსა შიგან ამას იტყოდა: წყეული იგი ღვევი სად უნდა ეპოვოო? ამა საგონებელსა იყო და მას ირესა ვლიდა. მობრუნდა და კვალად მასვე გუმბათსა მოვიდა. მას ალაგსა ერთი ჯურღმული ჰპოვა, ღრმა და ბნელი, რომე სანახავად საძნიადოდ კმა იყო. ზედან ლოდი დიდი იღვა. ფალავანმან ხელი მიჰყო და იგი ლოდი შორად გარდაავდო. შთახედა და სიბნელითა ვერა გაიგო რა. გურზი ბუდისავან აღმოიღო და ჯურღმულისა პირსა

დაიჭირა. ვირემდის კაცის თვალი სწვდებოდა, იგი ჯურღმული გაანათლა, მაგრამ ძირი არცა ეგრე გამოჩნდა. ლოდი დიდი აღილო და მას შიგან შთააგდო, ყური დაუგდო და ხმა მისი არა მოესმა. მის ჯურღმულისა პირსა ეწერა: „ვინცა აქ მოხვიდეთ და შაბან სარ დევისა პოვნა გინდოდესთ, ამა ჯურღმულსა შთადით და უთუოდ აქა პოებთო“.

რა ყარამან ესე აღმოიკითხა, საგდებელი წელთაგან მოიხსნა, ერთი წვერი ლოდსა მოაბა და ერთი თვით გამოიბა, სახელი ღვთისა ახსენა და მას ჯურღმულსა შთავიდა. ვირემდის ქამანდის წვერი სწვდა, ჩავიდა, და რა საგდებელისა სიგრძე დაილია, წელთა მობმული დაეკიდა. მაშინ გურზი ბუდისაგან აღძოახდინა. იგი ჯურღმულსა სრულად განათლდა, მაგრამ ძირი მისი ვერცა მაშინ დაინახა. მცირეს ხანსა საგონებელსა იყო. მერმე ესრედ თქვა, გულოვანთა შიში ყოლე არა ეკადრებო. რაცა ღვთისა განგებაა, იგი იქნასო. რა ესე თქვა, საგდებელსა წვერი შეაჭრა და თავქვე ბრუნვით წავიდა. ეგე ოდენი ხანი გამოხდა, რომე ყარამან დაბნედასა მიეწურა. თურე ზე გარდამოთა განგება მას ზედან ესე იყო.

რა მის ჯურღმულისა ძირსა მიაწია, ასი ვინმე ცხენოსანნი დახვდა, ხელი მოაშველეს და ვირემდის დაეცემოდა, მალლა დაიჭირეს და ეგრე ძირსა დასვეს და თვით უჩინო იქმნენ. მცირესა ხანსა ფალავანი შებნედილი იყო. რა გონებასა მოვიდა, ნახა, რომე მის ჯურღმულისა ძირსა იჯდა. ღმერთსა მადლობა მისცა, ზე აღგა, გურზი ბუდისაგან ამოილო, იგი მიდამო სრულად განათლდა. მას ალაგსა ერთი ხვრელი იყო და მას შინა შევიდა. რა იგი გაიარა, კარი დახვდა ფოლადითა მოჭედილი და ზედან რგოლი ესხა. მას რგოლსა ხელი შეახო და გამოზიდა. მის კარისაგან ესეთი ხმა გამოხდა, რომე მსმენელი ჭკუისაგან შეცთებოდა. კვალად მასვე რგოლსა გამოზიდა და კარი იგი გააღო.

რა შიგან შევიდა, ნახა, შვიდეკეცი ფარდა ეკიდა. რა იგი ფარდანი ახსნა, უცხო სასახლე გამოჩნდა, რომე მისებრი სხვა არა სადა იქნებოდა. ადამს აქეთ რაცა ხელმწიფენი გარდაცვალებულ იყვნენ, მათი სახე კედელსა ზედან ეხატა და მათი გარდასავალი ყოველივე ეწერა. ფალავანმან იგინი დიდსა ხანსა სინჯა, რა იგი არენი მოვლო, ერთსა სახლსა ტახტი იდგა ძვირფასი და ვეფხის ტყავის საფენლითა დაეფინათ. მას ზედან საზაროსა სახისა მქონებელი ღვევი იწვა და ეძინა. მისი ფშვინვა დიდთა დოლაბთა ხმიანობასა ჰგავდა. თავსა ბრწყინვალე ქალი აღგა და უცხოთა ხმითა მოსთქვამდა.

რა ყარამან იგი ნახა, მასვე წამსა იცნა, როჲე მიჯნურთა სულის წამღებელი და კეკლუტთა ხელმწიფე სარგისურამან იყო. ქალმანცა იცნა ფალავანთა უპირველესი ყარამან. მაშინვე ტირილითა მოვიდა და ესე მოახსენა: ჰე, თვალთა ჩემთა სარჩეო და გულთა განმანათლებლო, ფალავანთა ფალავანთა ყარამან! მე ცოდვითა ჩემითა ამა დევისა ხელთა ჩამოვარდი, შენი საქმე ვითარ მომხდარა, რომე შენცა აქა მოხვედიო? რა ესე თქვა, ტირილითა ფერხსა ეხვეოდა ფალავანსა. ცნობა დაეფანტა და სიცოცხლე აღარა ენებოდა. რა ცნობას მოვიდა, თვალთა ხელი დაიფარა და ესე ლექსი თქვა:

მოველ, მუშთარო, იქმენ ჩემს არო, არ მექმენ წყრომით შენით მომკვლელად, ჩემო ნათელო, სალის ქვის მთლელო, მოდი უწყალოდ დამპერ ბასრმპრელად, ირისებრ რთულო, შვენებით მკულო, ვაქებ წარბებსა, მშვილდებრ მოხრილად, სევდის ტყვედ მქნელო, ნარნარად მთქმელო, იყავ კრონოსის მშვენების  
მცველად.

ფალავანი ქალსა ყელსა მოეხვია, პირი პირზედან დასდვა და თვალთაგან ცრემლი ორთავეს სდიოდათ. რა ქილმან ყარამანისა სიაზლოესა ყოფა იგრძნა, დაბნდა და მიწასა გარდაიქცა. ყარამან უხვად ცრემლსა ბროლისა მკერდსა აპყურებდა. რა გონებად მოვიდა, ეგრე მოახსენა: ჰე, სულთა ჩემთა უსაყვარლესო! ესე ამბავი ცხადია თუ სიზმრად ზმანება არსო? ფალავანმან უპასუხა: ჰე, სიცოცხლისა ჩემისა სარჩეო! აწ ნულარა იშიშვი. მე შენთანა ვარ და ესე ამბავიცა ცხადი არისო. ქალმან მოახსენა: სწორუბოვარო ჰაბუკო, შენ აქა რამან მოგიყვანა, ეს ბილწი დევი რომ აქა წევს, ამასა ვერა ხედაო? აწ მოხსენება ჩემი ისმინე და აქათგან გაბრუნდი, რომე ამა წყეულმან შენი აქ მოსვლა არ იგრძნოს და შენ ამისგან ფათერაკი არ წაგეკიდოსო. მე ჰირთა შენთა სანაცულო ვიყო, ოღონდ შენ უვნებლად იყო სუფევითა და ათასიმცა ჩემებრი ჰირსამცა შენსა ემაგიეროს...

მაშინ ყარამან უპასუხა: ჰე, თვალთა ჩემთა ნათელო, ეგე ვითარ იქნების, მე ჩემსა მებრძოლსა დავემალო და შენ აქა დაგიტეო? მაშ მე პირსა ყოვლისა ქვეყნისა მოარული რაღათა უნდა ვიყო. აწ იხილე, ამა ბილწსა დევსა ხელთა ჩემთაგან რა დამართოსო. რა ესე თქვა, კვალად ჰკითხა: სიცოცხლეო ჩემო! მე ვრანელთა ლაშქარში დაგიტევე და ამ წყეულის ხელში ვითარ შთავარდიო? სარგისურამან მოახსენა: ფალავანო, შენ რომ სპანდიერი მოჰკალ, ის წყეული ამ დევის მეგობარი ყოფილა. რა სპანდიერის სიკვდილი შეეცყო, მა-

შინვე შენზე სამტროდ წამოსულიყო. რა ინდოეთს მოვიდა, შენ ფალავნებით შაჰფალი ფერის მისაშველებლად იყავ წასული. რა შენ ვერ გიხილა, მის წინამძღოლს ეთქვა: იმას ერთი სატრფო ქალი ჰყავს, სახელად სარვიხურამან ჰქვიანო. ეგების ჟამი დავიცეთ და იგი მოვიპაროთო. იმჟამად მე შენ წამოსვლაზედ დაბნედილი, ძიძასა ჩემსა ვეტყირთე და კარავში მივყვანიდი. გზაზედ დაგვხვდა, მომიტაცა და აქ მომიყვანა. რა ცნობას მოვეგე, ჩემი თავი პყრობილად ვიხილე. ამ წყეულმა ჩემთან განსვენება მოინდომა. მე უილაჯობისათვის ერთის წლის ვადა მივეცი, და აჰა, დღეს მეთხუტმეტე დღე არის, აქა ვარო.

რა ყარამანმა ესე ამბავი სწორად შეიტყო, დიდსა სიხარულსა მიეცა. მაშინვე საომრად ხმალსა ხელი მიჰყო, მას დევსა საშინელითა ხმითა შესძახა. რა დევსა ხმა ესე ესმა, დიდად გაუჰვირდა, სწრაფად ზე ადგა, თვალნი აახვნა სისხლიანნი, რომე მნახავთათვის საზაროდ კმა იყო. რა მიხედა, ქალი ნახა ერთსა ალაგსა მდგომარე და ტირილითა მომთქმელი. დევმან შესძახა: ჰე, როსკიპო დიაცო, ეგე ოდენსა რადა სტირ და შენსა ყარამანსა იგონებ?! ვირემდის მე მისსა თავსა მოკვეთილსა არა მოგიტან, შენ მაგა მწუხარებისაგან არ დასცხრებო. რა ყარამან ესე გაიგონა, მასვე წამსა დევსა მიმართა. ამისმან მხილველმან სარვიხურამან გლოვა და ტირილი დაიწყო, ყარამანს შესძახა: ფალავანო, თავსა შენსა უშველე, რომე საქმე ჩვენი ავად ჩანსო. მაშინ ყარამანმან გვერდებზედ ხელები შემოიხვია და ერთი ასეთი შესძახა, რომე, თუ ვსთქვა, ცა ქვეყანასა დასცემოდა, მას ხმას ჰგვანდა. დაუძახა: წყეულო დევო, სად წახვალ ხელთა ჩემთაგან, აწ მოვიდა აღსასრული შენი! მე ვარ ყარამან, სულთა შენთა ამომხდელიო.

რა დევმან ესე ხმა გაიგონა, დიდად გაოცდა და ყარამანს პირსა შეხედა. მისი ნახვა არა ღია იამა, ეგრე შემოსძახა: ჰე, ადამიანისა ნათესაო, შენსა წერასა მოუყვანიხარ, რომე შენი სიკვდილი აქ უნდა მოხდესო. რა ესე სთქვა, ხმალსა ხელი მოიკრა და ყარამანს შემოუტია. ამისი მხილველი სარვიხურამან მალლისა ხმითა მოსთქმიდა და სუნელთა თმათა იგლეჯდა. ყარამანმან გურზსა ხელი მიჰყო და დევსა პირისპირ დაუდგა. დევმან ხმალი ესრედ ძლიერად დაჰკრა, თუმცა მთასა იალბუზისასა სცემოდა, იგიცა ორად გაიკვეთოდა. მაგრამ ფალავანი მას ნაკრავსა უკნებლად გარდაურჩა. რა დევმან ყარამანისა უკნებლად გარდარჩომა ნახა, დიდად ეწყინა, გურზი ხელთა აიღო და ფალავანს თავსა დასაკრავად მოუქნია. ყარამან გურზი იგი

აიციდინა. აწ რიგი ყარამანს ერგო. თავის გურზი ძირს დადვა და ბასრსა ხმალსა ხელი მიჰყო. სახელი ღეთისა ახსენა და დევსა თავსა დასაკრავად მიუტანა. დევმან თავისი გურზი მოქნეულსა ხმალსა შეუფარდა, ყარამან ძალისა იმედელუმან მედგრად შემოჰკრა, გურზი ორად გაუწყვიტა და მთისაოდენი დევი ორად გაჰკვეთა. ნახევარი ცალსა მხარესა დაეცა და ნახევარი მეორესა. დევმან საზარლად დაიღრიალა და სულისაგან დაიცილა.

რა სარვიხურამან ესე ესრეთ ნახა, ფალავნისა სიყვარული ორითასად მოემატა. მივიდა, ფერხსა მოეხვია და საფერი ქება შეასხა. რა იგი დევი სიკვდილსა ესტუმრა და მიწასა ზედან მთისა ოდენი ორად გაკვეთილი იღვა, თითსა ესეთი ბეჭედი ეცვა, რომე ფასისა შეგება საჭირო იყო. ყარამან იგი ბეჭედი წაყარა და თვით შეიბა. მერმე იმ სახლისა ოთხივე მხარე მოვლო. სამოცსა ალაგსა წერილი ნახა. ოთახისა კარი შევიდოდა და მის ერთისა საწოლიდამ საზარელი ოხვრისა ხმიანობა გამოხდებოდა. სარვიხურამან და ყარამან მის საწოლისა კარსა მივიდნენ. კარი იგი ფოლადითა მოჭედილი იყო და კლიტითა მაგრითა დაეკლიტა. ფალავანმან იგი კლიტე კართურთ დაამტვრია და შიგან შევიდა. ნახა, ჯურღმული ღრმა მოთხრილი იყო, თავი რკინითა გარდაბეჭდათ და იგი მწუხარებისა ხმა მისგან აღმოხდებოდა. მის ჯურღმულისა თავი დაამტვრია და მას შიგან ჩავიდნენ. ესრედ ბნელი იყო, რომე თვალთა წინა არა გამოჩნდებოდა რა. გურზი ბუღისაგან ამოიღო და იგი არე სრულიად განათლდა. ნახეს კარი ერთი რკინითა დაჭედილი. ფალავანმან ხელი მიჰყო და სწრაფად დაამტვრია და მას შიგან შევიდნენ. სამნი აღამიანნი იყვნენ, ორი კაცი და ერთი ღიაცი, ჯაჰვითა შეკრულნი თავჰვე ეკიდნენ.

რა მათ ჰყრობილთა მათი ფეხის ხმიანობა მოესმათ, დევი მომავალი ეგონათ. ესრეთ შემოსძახეს: ჰე, ბილწო დევი, ესოდენსა რად გეტანჯავ, დაგვხოცე, რომე ამ მწუხარებასა მოვრჩეთო. რა ესე თქვეს, შიშითა დაბნედად მიეწურნეს. მაშინ სარვიხურამან შეხედა, იცნა, რომე ერთი თვისი მამა რაჰინდ იყო და ორნი სხყაბი. მსწრაფლად მივიდა და იგინი შეკრულობისაგან დახსნა. ყარამან რა იგინი ნახა, დიდად გაკვირდა. ოდეს იგინი გონებას მოვიდნენ, თვალნი აახვენეს და თვისი თავი ჰყრობილებისაგან გახსნილი ნახეს და ორნი ბრწყინვალე ვინმე მათ თავსა მდგომი იხილეს, დიდსა სიხარულსა მიეცნენ. რაჰინდმან იცნა, რომე ერთი ყარამან იყო და მეორე თვისი

ასული სარვიხურამან. ღმერთსა მადლობა მისცა და ამა საქმესა ჰკვირობდა.

ფალავანსა უთხრა: ჰე, ბედნიერობისა ჩემისა მიზეზო, ესე რა ამბავია, რომე შენ აქა მოსულხარო? ყარამან მივიდა და ხელმწიფესა ხელსა აკოცა და გარდასავალი თავისი ყველა მოახსენა და ესეცა ჰკითხა: ჰე, მალალო ხელმწიფეო, თქვენ ამა დევნისა, ხელთა ვითარ ჩამოვარდითო? რაჰინდმან პასუხად უგო: ინდოეთის ბრძოლასა შიგან ოდეს სპანდიერ ბარი ხელთა შენთაგან მოკვდა, თურმე მამა სპანდიერისა ამა შაბან სარ დევნისა მეგობარი ყოფილიყო. რა შვილისა სიკვდილი სმენოდა, ამისთვის კაცი გამოგზავნა და მტერზედან შურისგებასა შეხვეწნოდა. ამა ამბისა მსმენელი შაბან სარ განრისხებული შენზედან სამტროდ წამოსულიყო. რა ინდოეთს მოვიდა და შენ ვერა გპოვა, სარვიხურამანს შეჰყროდა და ეკითხა: ესე ვინააო? მისსა წინამძღომელსა ეთქვა: ესე არს სარვიხურამან, ყარამანისა სასურველიო. რა ესე სმენოდა, ქალი მოეტაცა და წამოეყვანა. გზიდამ კვალად უკუმოქცეულიყო და ღამე ჩემსა კარავსა მოვიდა, მე ეგრე მითხრა: ამა საქმისა მიზეზი შენა ყოფილხარო. მეცა შემიპყრა, აქა მომიყვანა და ამა საპყრობილესა დამაბაო.

აწ ამბავი სარვიხურამანისა მოიხსენეთ: ოდეს შაბან სარ დევმან მოპარვით წამოიყვანა ქალი, მწუხარებითა სიკვდილს ინატროდა. დევმან რა მასთან წოლა მოინდომა, ქალმან ხანჯალი გულსა დაიდვა. ფიცითა უთხრა: თუ არ დამესხნები, თავსა ჩესა ჩემისა ხელით მოვიკლავო. რა სამგზის დევი ამა საქმესა ეცადა და ქალისაგან ნება არ მიხვდა, განრისხებულმან უთხრა: ჰე, როსკიპო დიაცო, შენ თუ ყარამანის შეყრისა იმედი გაქვს, აქათგან კაცთა სამყოფი სამოცისა წლისა სავალი არისო. ვის ძალუცს ხელთა ჩემთაგან გამოხსნა შენო. მცშინ ქალმან პაემანი გასცა: ერთსა წელიწადსა მაცალე და რა წელიწადი აღსრულდება, შენსა ნებასა აღვასრულებო. დევი ამა სიტყვასა შესჯერებოდა და ვირემ პაემანი გათავდებოდა. ყარამან მოვიდა და დევი ხელითა ფალავანისათა მოკვდა.

რა ესე ამბავი ყარამან დაიდასტურა, დიდსა სიხარულსა მიეცა. მერმე მათ ორთა ჰკითხა: თქვენ ამა დევნისა ხელთა ვითარ ჩამოვარდით და ანუ ვინ ხართ, მაუწყეთ თქვენი ამბავიო. მან კაცმან მოახსენა: ანბავი ჩვენი და გარდასავალი გრძელი არის და რამცა მრავლითა საუბრითა შეგაწუხოთო, მცირეს რასმე ჩვენსა გარდასავალსა მოგახსენებთო.



! ამა ჯიბილ გაბირის სულტანის  
ბამან-შას ამბავი

მოახსენა ესრეთ, ვითა მე ჯიბილ გაბირის სულტანი ვარ და სახელად ბამან-შაჰ მეწოდების, და ესე ბანოვანი მეუღლეა ჩემიო. ესეცა მეფეთა ტომთაგანია და სახელად გულრუხ ჰქვიანო. ხანმან მრავალმან განვლო და ჩვენ ძე არა მოგვეცა, უფალსა ვევედრე და გლახაკთა ზედან მრავალი გავეცე, ნუთუ შვილი მოგვეცემოდა. ვედრება ჩვენი უფალმან ისმინა. დაორსულდა მნათობი ესე და შვა პირმთვარე ასული. მუნაჯიბნი და მესტროლაბენი მოვასხი. რამლთა ყრა ვუბრძანე, ვითა შეიგვეცის ესე ახლად შობილი ასული, რისა ბედისა იქნები-სო? მათ რამლი ჰყარეს და ერთმანეთსა პირსა შეაქცევდნენ. მე ვკითხე: მითხარით, რისა ბედისა იქმნების-მეთქი? მათ მითხრეს: ჰე, შარიელო, ფუცე, რომე ჩვენ არა გვავნო რა და მართალსა მოგახსენებთო. მე იგინი ფიცითა შევაჯერე.

პირველმან მესტროლაბემან თქვა: ამა ქალისა გამოის თქვენ მრავალსა ჰირსა ნახავთო. ერთის ხელმწიფისა შვილი ამა ქალსა გაუარშიყდება, მრავალსა ბრძოლასა გარდიხდის, მარა ბოლოს ქალსავე გაემარჯვებისო. ურიცხვნი მეფეთა ტომნი ამისი მიჯნურნი შეიქნებიან, ძაგრამ ყოველსა სძლევესო. აწ ნება თქვენი იყოს, ესე რამლი ესრედ აჩენსო. სხვანიცა მესტროლაბენნი ამას დაემოწმნენ. რა მათგან ესე მესმა, მიველ და ამა ჩემსა მეუღლესა გამოუტყადე. მან ეგრე მითხრა: თუ ამისგან მრავალსა ჰირსა გამოივლი და ქვეყანა ჩვენი მრავალსა შეჭირვებასა მიეცემის, რად გვინდა ესე ქალი? მოვკლათო, ჰირსაცა შენსა ენაცვალოსო. ძიძასა უბრძანეთ, ნულარა მისცემს ძუძუსაო და სიყმილითა მალ მოკვდებისო. რა ესე მესმა, ძიძასა ქალსა სიკვდილი ვუბრძანე. რა დილა გათენდა, მითხრეს, ქალი მიიცვალაო და დაემარხეთო.

ჰე, ფალავანო, თურე იგი ქალი ამა დედამან მისმან არა მოაშთო, ფარულად სხვასა ადგილსა საზრდელად ძიძასა მიაბარა. დაუწყეს ზრდა, ოდეს ქალი იგი წლისა ათისა შეიქნა, ესეთი შვენიერი თურე იყო, რომელ ბრძენთაცა ქება მისი გაუძნელდებოდათ. რა მის ქალისა ამა დედასა მისსა ქება დიდი სმენოდა, ნახვისა მისისა ღონე ეძებნა. ერთსა დიდვაჰრისათვის საფასე მისი მიეცა და ესრე ეთქვა: ერთსა ალაგსა მცირე ყმა არის მშვენიერი, იგი მოივაჭრე და შენ ხელმწიფესა მიჰყიდეო. ძიძასათვის ფარულად შეეთვალა, მაგა ქალსა ვაჟისა

ტახისაშოსი ჩააცვიო. და დიდვაჭარი იგი წარვიდა და ძიძისაგან მოიყიდა.

რა მას ვაჭარსა მოეყვანა და ამა ჩემსა მეუღლესა სმენოდა, ჩემთანა კაცი მოავლინა, ესრეთ რომე დიდ ვაჭარსა მცირე ყრმა მიუყვანია, ნება მიეც, რომე იგი მე ვიყიდო. მე მათი ეშმაკურობა და განზრახვა არა ვიციოდი. ნება მივეც, რომელ ეყიდა. რა იგი ჩემსა სარაიასა მოიყვანეს, მას დიდი პატივი მივეც და მოლარეთუხუცესად დავადგინე. ოდეს მე ნადირისა სრვად წავიდოდი, ესე დიაცი მას მონასა თურე მიიყვანდა და გვერდთ დაისვამდა. ერთმან მონათაგან ეს ამბავი მიაშბო. მე მათისა საქმისა უცნობოსა გულსა ეჭვი შემივიდა. მენება, რათა ესე მნათობიცა მომეკვდინა და იგი მონაცა მომეშთო, მაგრამ ეს სასიკვდილოდ ველარ გამოვიმეტე. ვეზირი მოვიხმე და მის მონისა სიკვდილისა რჩევა ვკითხე. მან ეგრე მითხრა: ჰე, შარიელო, ცხადად მაგისა სიკვდილსა ნუ ინებებო, ამისთვის, რომე ამა ქვეყანასა ერნი უბრალოდ სისხლთა დაღვრასა გიძრახვენო. მე მომეც და ფარულად მოვაკვდინო. მე ვუპასუხე: ჰე, ვეზირო, ეგრედ ქმენ-მეთქი. მასვე წამსა იგი მონა თვისსა სადგომსა წაიყვანა. მან ამბავი მისი გამოიკითხა. მონამან თვისი ამბავი უამბო წვრილად.

რა ვაზირმან სენა, რომე იგი ჩემი ასული იყო, ფარულად ერთსა სახლსა დიდისა პატივით შეინახა. ჩემთან მოვიდა და ეგრე მითხრა: მონა იგი ჰირისა თქვენისა სანაცვლო შეიქნაო. რა მან ჩემმან მეუღლემან ესე ამბავი სენა, დიდსა მწუხარებასა მიეცა და თვალთაგან წყაროსაებრ ცრემლი გარდმოადინა. ესრეთ თქვა, თურე აღსასრული მისი მოწვენილ იყო, მაგრამ ესე ძნელი საქმე მოხდა, რომე ხელმწიფესა ჩემზედან ეჭვი მოუვიდაო. ესე თქვა და არა მცირედ მწუხარებოდა. მე გაუწყყერ და ესე ჩემთან აღარა მოუშვი. ამისი სიკვდილი მენება, მაგრამ ველარა გამოვიმეტე. რაოდენიმე ხანი გამოვიდა, სევდითა დავსნეულდი.

დღესა ერთსა ვაზირი მოვიდა და ეგრე მითხრა: ჰე, შარიელო, ესეოდენსა რად შეიჭირებებ და ანუ შენსა მეუღლესა ცილსა რად შესწამებო? იგი მონა ასული შენი არის და ვითარ ყოფილიყო, ყოველივე მათუწყა. რა ესე მესმა, დიდად შეევწუხდი ამისთვის, რომე უბრალოდ ასული ჩემი რად მოვაკვლევინი-მეთქი. მაშინ ვაზირმან სიცილით მითხრა: ხელმწიფეო, ნუ შეიჭირებებ, სამახარობლო მომეც, შენი ასული ცოცხალია. ამა ამბისა სმენითა მე დიდსა სიხარულსა მივეც, მასვე წამსა ვეზირი წავიდა და ქალი ჩემსა წინაშე მოიყვანა.

მე მისის ნახვისათვის ღმერთს მადლობა მივეცი და გლახაკთა ზედან მრავალი გავეცი, სრანი უცხონი მოვუმზადე და ამას 'შიგან დავაყენე. სახელად მას ქალსა ყამარლუხ დავდე. ოთხასი ნაზად მქცეველნი ქალნი მხეველად მივუჩინე და ამა წესითა იყო. ყოველსა წელიწადსა ერთსა ტანსამოსსა შეკერევედა და ვაჭარნი ოცდაათ ათასად ფლურად იყიდდნენ. უცხოდ გაზრდილი და უცხოს ქცევისა იყო, რომე ქება მისი ყოველსა ქვეყანასა გაისმა.

მრავალნი მეფეთა ძენი და დიდებულთა ტომნი თხოვად მისად მოვიდოდნენ, მარა ქალი მათ არა მორჩილობდა, პასუხად ეგრე უგებდა: მე ძალითა ვინცა მომერევეს, ქმრად მას შევირთავო. მრავალნი მამაცინი ამ ქალისა ხელისაგან დაიხოცნენ. რა ესე ამბავი გულისტამ ერამის ხელმწიფეს შაჰფალი ფერის მისმოდა, ერთსა ღამესა ფარულად მოვიდა და ასული ჩემი მპარაობით წაიყვანა. შაჰფალი ფერი შვენიერი ჰაბუკი იყო. შემოკლებით მოგახსენოთ: მას ქალთან იქორწინა. მათ ერთი ძე მიეცათ, რომელსა სახელად ბარამ დაარქვეს, რომე მისი ამბავი ქვეყნად ცხადი არის. მე და ესე მნათობი შაბან სარ დევმან მოგვიტაცა და აქა მოგიყვანა და მწარითა ტანჯვითა გვინახავდა.

დღესა ერთსა ვუთხარ: მე შენზედან რა დავაშავე, რომე ესრედ წვალეებით გყევარ-მეთქი? დევმან მითხრა: მე შაბან სარ მქვია, აქვალნი დევი ძე ჩემი არისო. მას შენი ასული ყამარლუხ მოუტაცნია და ყამარდალის მთასა მიუყვანია. მას ქალსა ნება მისი არ უქნია, აწ მისის გულისათვის თქვენ აქა მოგიყვანეთ, რომე ყამარლუხმან თქვენი ამბავი გაიგონოს და ჩემსა შეილსა დაემორჩილოსო. ამ ჟამითგან ჩვენ ამა საპყრობილესა ვართო.

რა ყარამან ესე ამბავი მოისმინა, ესრეთ უთხრა: ჰე, შარიელო! შენთვის მიხარებია, რომე შაბან სარ დევი ხელთა ჩემთაგან მოკვდაო და შენის ასულისა ძე ბარამ, რომელი ჩინეთისა ქვეყანასა ქვად ქმნილიყო, მის შეჭირვებისაგან მორჩა და აწ ჩემთან არისო. რა ბამან-შამ ესე მოისმინა, დიდად მოხარული ღმერთსა მადლობდა. მერმე რაჰინდ ინდოთა ხელმწიფემან თქვა: ჰე, ფალავანო, ჩვენი აქათგან მორჩენისა ღონე რა არისო? ყარამან უპასუხა: ხელმწიფეო, ღმერთი შეჭირვებულთა მოწყალეა, ნუ შეიჭირვებთ! ვინცა მე აქა ჩამომიყვანა, ისივე გამოგვიხსნისო.

ფალავანმან იგი არე მოვლო, ერთი ორმო ნახა, რომლისა თავი ჩკინითა მაგრა გარდაეკელათ. ყარამან ხელი მიჰყო და მის ორმოსა

თავი აგლიჯა. მისგან შავი კვამლი აღმოხდა და ტირილისა ხმინობა შემოესმა. ფალავანმან გურზი ხელთა იპყრა და მას ორმოსა კიბითა შთავიდა. ერთი მხრით კარი შევიდოდა და სრულად ფოლადითა მოეკედათ. ზედან ესრეთ ეწერა: „ესე ალაგი გივი მარასის საპყრობილე არისო.. თუმცა ქვეყანასა გოლიათნი აქ შეიყარნენ, ამა საპყრობილისა დარღვევა არავის ძალუცთ, თვინიერ თუ ყარამან ხმობილი ჭაბუკი არა მოვიდაო. და თუ იგი მოვიდა, მას თანა ღვთის ყველა ადგილი მისთვის ადვილიაო“. ფალავანმან ხელი მიპყო და იგი კარი უჭირველად დაარღვია.

რა შიგან შევიდა, ჯურღმული დახვდა ბნელი, რომელი უკუნსა ჰგევანდა. გურზი მისი ჯურღმულისა თავსა დაიჭირა და იგი არე სულობით განათლდა. ნახა: ცალსა მხარესა ათორმეტნი კაცნი დგანან, ხელთა ჯაჭვები უპყრიათ და მათ ჯაჭვებსა ზედან ათორმეტი ხვადი დევი აბიან და წვანან, რომელ თვითო და თვითო ორმოცდაათნი მწყურთანი არიან და ზოგნი — ოთხმოცნი. აწ მოგახსენოთ. ყარამან იგინი ვითარ გამოიხსნა და ანუ მათ რაგვარ ერთგულად მსახურეს.

პირველ ამა ამბისა მეცნიერნი ესრეთ იტყვიან: ხანსა მრავალსა გაველო, რომე ესე დევნი ამა ბნელსა საკანშიგან ებნენ. ესრეთ ბნელი იყო, რომელ დღე და ღამე არა გაირჩეოდა. რა მათ ფერხთა ხმინობა მიესმათ, საგონებელსა ჩაცვიდნენ და ერთი მეორესა ჰკითხევდა: ესე ხმინობა რა უნდა იყოსო? ოდეს ფალავანმან კარი გააღო და შინა შევიდნენ, მათ დევთა შემოხედეს და ადამიანთა სახე გაიცადეს. მათ შუა ფალავანი მდგომი იხილეს ესრეთისა საშიშისა სახისა მქონებელი იყო, რომე მნახველთათვის საზაროდ კმა იქმნებოდა.

ერთმან დევმან თვისთა ამხანაგთა უთხრა: უთუოდ ესე ფალავანი ყარამან სააბყარანი არისო. ყარამან დევისა ენა იცოდა, ეგრე უთხრა: ქელან, ვისა მასგავსეო? რა დევთა სცნეს, რომე ფალავანმან მათი ენა იცოდა, ქება შეასხეს და მოახსენეს: ჰე, ფალავანო! ეგე თილისმისა წერილი, რომელ მანდა ძევს აილე და წარიკითხეო! ყარამან მიხედა და წერილი, რომელ ნახა, მას ზედან პირველად სახელი ღვთისა ეწერა და თორმეტიცა სხვა სახელები აღეწერათ. მეორესა პირზედან ესრეთ ეწერა: „ჰე, ვინცა აქა მოხვიდე და ესე წერილი აღმოიკითხო, შენ იუწყე, რომელ მე გივი მარას ხელმწიფე ვიყავო. მეფობისა ჩემისა ჟამსა ესე დევები მრავალსა წელიწადსა მებრძოდეს. ბოლოს ესენი შევიპყარ და ამა ბნელსა საკანსა შთავყარე და ამა თილისმითა

შეეკარო. თუმცა ამათვის ესე არ მექმნა, ესენი თვითო და თვითო ქვეყანასა მოაოხრებდნენ, ამისთვის, რომე ძლიერნი და ხელოვნებისა მრავლისა მოქმედნი და მეცნიერნი იყვნენ და ქვეყანაცა მრავალი ეპყრათ.

შენ, აქა მოსულო, რომელი ყარამან ხარ, და ამა დევთა გამოსხნისა მიზეზი შეიქნები, ამთგან მრავალსა სიყეთესა ნახავ. ესე თილისმისა ლოცვანი კარგა შეინახე, ამა ალაგით ქვეყნად ასვლა ამა დევთაგან კიდე არავისა ძალუცსო და ამათსა სამსახურსა ამა გზაზედან სცნობო. ამა ჟამთა დევებსა ყველასა ესენი უმჯობესნი არიანო. ერთსა სახელად სამან ადამიანთა მონათესავე ჰქვიანო ამისთვის, რომე მამა დევი ჰყოლია და დედა ადამიანიო. ამასა მრავალი ხელოვნება ძალუცსო. სამოცდათორმეტი ენა იცის და ოდეს ენებოს, სამოცდათორმეტ სახედ შეიქნებისო. მეორესა რადი დევი ჰქვიან. მისი შეძლება ესე არის, თუმცა განრისხდა, ერთსა ქალაქსა ძირითურთ მოჰგლეჯს და შორადა წარიღებსო. სხვათაცა სახელები ესე არს: თეთრი დევი, სამანდოვან, ქარუნ დევ, ყანთურ დევ, ყანთაურ დევ, სამან ღუნ, სილან დევ, ანათუს დევ, ქელან დევ და ყამურ დევ“.

რა ყარამან ესე წერილი აღმოიკითხა, წიგნი აიღო და თვით შეინახა. მიბრუნდა და მათ დევთა შეკრულობა განხსნა და მის ბნელისა საკანისაგან აღმოიყვანა. დევნი მივიდნენ და ფალავანს ფერხთა ეხვეოდნენ. ერთი მეორესა ეფიცებოდა, რომელ ჩვენსა სიცოცხლეში ყარამანსა სამსახურზედან არა ვიმტყუენო, რაო. ფალავანმან უბრძანა: თქვენ, დეკნო, მრავლისა გრძნეულობისა მეცნიერნო, აქეთაგან ასვლისა ღონე უნდა სძებნოთ რამეო. რა ესე სიტყვა დევებსა ესმათ, ერთობით პირი მიწასა დასდევს, ფალავანი დალოცეს და მოახსენეს: აწვე მაგა სამსახურად მზანი ვართო!

სამან ადამიანთა მონათესავემან სარკიხურაშან მზარსა შეისვა, რადი დევმან ყარამან და სხემან თვითო-თვითო აიყვანეს და მალლა შემოფრინდნენ. ეგეოდენი ვლეს, რომელ ქვეყნად ამოვიდნენ და რომელსაცა ჯურღმულსა პირველად ყარამან ჩახდა, მის თავსა გარდახდნენ. მუნითგან წარვიდნენ ყარუნ-შას სამყოფსა, მთასა მონათისასა მივიდნენ. მაშინ ყარამან უბრძანა: ჰე, სამან ადამიანთა მონათესავეო, წარვედ და ჩემთა ამხანაგთა ჩემი ამბავი აცნობეო. სამნი კაცნი არიან, ჩემი ცხენი და იარაღი მათ თანა არის, აქა ახლო სადამე იქნებაან, ივინი აქა მოიყვანეო, მაგრამ გაფრთხილდი, პირველსა მისვლასა გარდანქეშანმან არა გაენოს რაო.

მასვე წამსა სამან ჰაერში აღფრინდა და ქარისა უსწრაფედ წარვიდა. მას ალაგსა მიაწია, სადა იგი სამნი ფალავანნი იყვნეს და მათ თანა რაში ერთი მთისა ოდენი ება. სამან გულსა შინა თქვა: ღმერთო, გარდანქეშანი რომელი იქნებაო? რა მათ შორითგან უქვერეტდა, ნახა, ერთი მამაცი ფეხსა ზედან დგას, თაჯი თავსა ხურავს, ნაჯახი ხელთა უპყრია და მიმოიხედება. რა მცირე ხანი გამოხდა, მთისაკენ გამოემართა. სამან თქვა: ფალავან მან ყარამან რომელ ნიშანი მოთხრა, უთუოდ გარდანქეშანი ეს იქნებისო. იგიცა კვალსა მისსა გაუდგა.

მას მთასა ნადირი რამე გამოჩნდა დიდად საკვირველი ესრეთ, რომე დიდსა ძელსა რომელსა ტოტსა მოჰკრევედა, ძირითურთ მოგლეჯდა, პირით პერეულსა ჰყრიდა და მრისხანედ მოვიდოდა. რა გარდანქეშანმან ნახა, მხეცსა მას ქება დაუწყო. მან მხეცმან ქება მისი არა შეისმინა და სწრაფად გარდანქეშანსა მოჰმართა. გარდანქეშანიცა მისგან არა შეშინდა, შეიღი ნაბიჯი გარდახლტა და მას ნადირსა მიუახლოვდა. აღმასისა ნაჯახი თავსა ასეთი დაჰკრა, რომე იგი მხეცი მკერდამდინ გააპო და მიწასა დაეცა. ესრეთ დიდი იყო. რომე მისმან დაცემამან მიწა შეძრა.

სამან აღამიანთა მონათესავე ჰაერით უქვერეტდა. რა გარდანქეშანისაგან ესეთი სიმხნე ნახა, დიდად მოეწონა და ქება შეასხა. გარდანქეშანი მობრუნდა და ერთისა წყაროსა პირზე სისხლთაგან გაბასრულსა ნაჯახსა რეცხდა. მაშინ სამან ჰაერით ქვეყნად ჩამოხდა, აღამიანთა სახედ იქმნა და გარდანქეშანისაკენ გამოემართა. რა გარდანქეშანმან მისკენ კაცი ვინმე მიმავალი დაინახა, მსწრაფლად მკვეთელს ნაჯახსა ხელი მიჰყო, წინა წაუდგა და ეგრე შესძახა: მაგა ადგილთაგან ნულარ დაიძვრი, თუ თავისა შენისა მშვიდობა გინდო! სამან პასუხად უგო: ჰე, ქვეყანისა აიართა ხელმწიფეო! მოყვარე ვარ და არა მტერიო, მე ყარამანისა გამოგზავნილი ვარ და აჰა, ბეჭედიცა მისი, რომელი ნიშნად მომაქვსო.

რა გარდანქეშანმან ბეჭედი ფალავანისა იცნა, უზომოსა სიხარულსა მიეცა. სწრაფად მივიდა და სამანს პირსა აკოცა, ხელსა ხელითა მოეკიდა, წყლისა პირსა მიიყვანა და ორნივე დასხდნენ. სამან აღამიანთა მონათესავემ უთხრა: ჰე, აიარო, ყარამანს ვითარ გაეყარენითო? გარდანქეშანმან უპასუხა: ჩვენ ძილად ვიწევით და რა გამოგვეღვიძა, მისი სახედნი ექვსფერხოვანი ზღვის ნადირი ჩვენ თანა იყო და ყარამან ჩვენთან აღარა იყო. ვძებნეთ და კვალიცა მისი ვერა სადა ვპოვეთ. ფერიათა თქვეს: ესე ალაგი, ღმერთო, დიდად სა-

ზარო და საფათერაყო არისო. ამა ალაგსა სახელად სისხლთა მღვრელი ეწოდებისო.

ჩვენ იგი ფერიანი გავგზავნეთ ამბავთა საცნობელად. მათ ყოველსა მხარესა ძებნეს, მაგრამ ფალავნისა ამბავი ვერა სადა შეიგნეს. ორმოცსა დღესა იარეს, ბოლოს ხანჯალი ყარამანისა ჰპოეს და ჩვენთანა მოიღეს. ტირილითა გვითხრეს: უთუოდ იგი ფალავანი ყარუნშას თილისმასა ჩავარდნილა. საქმე ჩვენი ავად ჩანს, თავსა ჩვენსა უშველოთო, მას თილისმასა შინა მრავალნი ფალავანნი ჩაცვინულან და მუნითგან ველარა გამოსულანო. მას თილისმას გარდა შაბან სარღევი მას ალაგსა მკვიდრობს. თუ ყარამანს იგი დევი შეხვდა, ფალავნისაგან იმედი გარდიწყვიტეთო. სხვასა ვერასა ვიტყვითო. ტიროდნენ და თავსა იცოდნენ.

რა ესე ბარამმან გაიგონა, ზე წამოიჭრა, ფერთა უთხრა: იგი ალაგი მიჩვენეთ! თუ ყარამანსა ვნებია რამე, მეცა მას ალაგსა გარდავიწყვეტო. ჩვენ არ გაუშვათ, ეგრე ვუთხარით: დღეს აქა მოვიცადოთ და ხვალე რაცა განგებასა ეწადოს, იგი იქნასო. ვსტიროდით და თავსა ვიცემდით და ვერასა ღონესა ვეწიენით, მას ღამესა, ოდეს ძილად ვიწვევით, დიაცი ვინმე მოვიდა ბრწყინვალედ მოსილი და ძილსა შინა ეგრე მარქვა: ჰე, გარდანქეშანო, ნუ სწუხარო, ყარამან უვნებლად არისო. ყარუნშას თილისმასა შთავარდა, რომელი ქვესქნელსა არისო. მას ალაგსა შაბან სარღევი მოკლა და მესამესა თვესა აქა თქვენთანა მოვაო. თქვენ აქათგან ნულარსად წახვალთ, ამავე ალაგსა მოიცადეთო.

რა გამომეღვიძა და ესე სიზმარი ჩემთა ამხანავთა ვუთხარ, მათ იმედი დაიდევს. ფერიათა უთხრეს: თქვენ წადით და ჩვენი ამბავი შთალი ფერის აუწყეთ და დავარ ციხის ამბავი გვაცოდინეთო. მათ ფერიათა მოახსენეს: ოდეს ჩვენ თქვენთანა წარმოვედით, აქვალი დევმან ჩვენი წამოსვლა იგრძნო. აწ გზები შეკრული იქნება, უთქვენოდ ჩვენ ვერა წავალთ, გზასა ზედან დავგზოცენო. აწ თვე მესამე შესრულდა, რომე ამა ალაგსა ვდგევართ და ამბისა მომლოდინელნი ვართო.

რა ესეგვარი სიტყვანი მოიუბნეს, მუნითგან წამოვიდნენ და საცა უათრან და ბარამ ჯიბილი იყვენენ, მას ალაგსა მიაწიეს. რა ფალავანთა გარდანქეშანი დაინახეს და მასთან კაცი ვინმე მომავალი, რომელსა სახე კაცისა ჰქონდა და ფერხნი ვეფხვისანი ესხნეს, დიდად გაუკვირდათ. მისი მხილველნი ფერიანი ტირილით ესრეთ იტყოდ-

ნენ: ვაი. ქვეყანისა ოხრობისა ნიშანი გამოჩენილაო, რომელ ესენი საპყრობილითვან ამოსულანო. უკეთუ ყარამან ამა დევთა ხელთა შთავარდა, თქვენ თავისაგან უიმედო იქმენითო.

რა ესე თქვეს, დამალეასა ეცდებოდნენ. ყათრანმა ჰკითხა: ჰე, ფერიანხო, ესე მომავალი ვინაა, რომელ თქვენ ესრეთ შეშინდითო? ერთმან ფერიმან თქვა: ესე სამან აღამიანთა მონათესავეაო. ესე ამა ყაფის მთაში მკვიდრობდა, რომელ მას ალაგსა ათჩვიდმეტი ათასი კლდისაგან გამოკვეთილი ქვაბი არისო და მის თავსა ოთხი ათასი ციხე ღვას, მასშიგან დევნი მკვიდრობდნენ და იგინი ამა სამანისაგან შეიჭრუნებულ იყვნენო. პირველ ჟამად გივი მარას ხელმწიფემან ესე და მისი ამხანაგი თილისმითა შეიპყრა და ქვესკნელსა ჯურღმულსა დააბაო. აწ ესე არს, რომელ მორჩომილა და აქა მოვალსო.

რა ფერიათა ესე სიტყვა დაასრულეს, გარდანქეშანი და სამახ მოვიდნენ. მაშინ სამანმან ხელი გულსა დაიწყო და ფალავანთა სალამი მოახსენა. რა ფერიებმან ესე ნახეს, ცოტა იმედი მიეცათ. ყათრანმან უთხრა: გარდანქეშანო, ესე ვინ არის, რომელ შენთან მოვიდაო? გარდანქეშანმან უპასუხა: ამბავსა თვით მოგახსენებსო. სამან თქვა: ფალავანმან ყარამან მოკითხვა მოგახსენათო. თქვენ მოგელისთ, აწ სწრაფად წასვლა გმართებთო.

რა ფერიათა ესე შეიტყვეს, სიხარული დიდი შექნეს. მივიდნენ და სამანს ხელზე აკოცეს. სამანმან იგინი მშვიდობით მოიკითხნა, აქვალი დევისა და შაფალი ფერის ამბავი ჰკითხა. მათ, რაცა იცოდეს. ყოველივე მოახსენეს. მაშინ სამან მივიდა და ბარამს ყურსა ხელი მოჰკიდა. ეგრე უთხრა: ჰე, ფალავანო, ესე სიხარული ამბავი შეიდა მიხარებია, რომე პაპა და ბებიაშენი შაბან სარ ღვევისაგან რომელ პყრობილად იყვნენ, ყარამან იგინი მოარჩინა და ახლა მას თანა არიანო.

ბარამ ამა ამბისა სმენითა დიდსა სიხარულსა მიეცა, მასვე წამსა აღდგნენ და ყარამანისაკენ წარვიდნენ. რა მივიდნენ, ნახეს, რომე ყარამან ოქროსა ტახტსა იჯდა, სარგისხურამან და რაჰინდი გვერდსა უსხდნენ. აგრეთვე ბამან-შა და მისი მეუღლე ცალსა მხარესა უსხდნენ და ათერთმეტიანი ხვადნი დევნი ხელ-მოჭდობილნი წინა იდგნენ. ყათრან და ბარამ მივიდნენ, პირველად ყარამანს, მერმედ რაჰინდს და სარგისხურამანს მიესალმნენ. ყარამანმან ბარამს ხელსა ხელი მოჰკიდა და ბამან-შას უთხრა: ჰე, ჯიბილ გაბილის სულთანო, ესე შენისა ასულასა ნაშობი არის, რომელ ჩინეთისა ქვეყანასა ქვად-



ქმნილ იყო, ესე არს იგიო. ბამან-შა ბარამს ყელსა მოეხვია და სიხარულითა თვალთაგან ცრემლი სდიოდა. ეგრე უთხრა: გულთა ჩემთა ნაკვეთო და ჰიროთა ჩემთა გამაქარებელლო ბარამ! აწ უფალსა ვმადლობ, რომელ შენ ცოცხალი გიხილეო. ბებიაცა მოეხვია, თვალთა და ჰიროთა აკოცა და ცრემლით ღმერთს აღიდებდა. მას ღამესა მხიარულად მას ალაგსა განისვენეს. და რა დილა გათენდა, გულისტამ ერამისაჲენ გაემართნენ. რადი დევმან ყარამან ზურგთა შეიხვა და სხვანი სხვათა დევთა შესიხეს. ჰაერსა შეფრინდნენ და სწრაფად წავიდნენ.

### აჰა შარამანისაგან და სხვა ფალავანთაგან შაფალი ფერის უმეფელ მისლვა და ომთა ძლიერთა ამგავი

ოდეს შაფალი ფერიმ უშანგ ხელმწიფესა შემწეობა სთხოვა და ფერიანი სწრაფად გაგზავნა. ოთხმან თევმან გამოვლო და ამბავი ვერარა სცნა. შაფალი ფერიმ მისგან შემწეობისა სასო წარიკვეთა. მაშინ სირცხვილისათვის ციხეში მყოფმან ყოველმან სულმან თავსა თვისსა ზედან ხელი აიდეს და ნამუსისათვის ტკბილსა სულსა გასწირვიდეს. საომრად აბჯარი მოიმზადეს და მტერსა ზედან ომსა ისწრაფოდეს. დღესა ერთსა ციხისა კარი განაღდეს და გარეთა ლაშქართა ბრძოლა დაუწყეს. თუმცა ჯობნისა ღონესა ცდილობდნენ, მაგრამ გარეგანი დევთა ლაშქარნი უზომოდ გათამამებულ იყვნენ. სძლიეს დევთა ლაშქართა და ფერიანი ციხესავე შეაყენეს.

შაფალი ფერიმ ზვისთა დიდებულთა უთხრა: უშანგ ხელმწიფისაგან რომელ შემწეობა ვითხოვეთ, მე მისგან მოხმარებისა იმედი მაქვსო. ერთსა კვირასა კვალად მოიქირევეთ, თუმცა მეშველი არავინ მოგვევიდეს, მერმე აქვალი დევსა მე ხელთა მიმეციოთ და თქვენ დაემონენითო. ესე აქვალი დევი შაფალი ფერისა დიდად მოსისხლე იყო. წელიწადი ერთი გათავდა, რომელ დავარ ციხესა ადგა. დღესა ერთსა დევთა ლაშქართა უბრძანა: აწ წახდა სახელი ჰაბუკობისა თქვენისა! ესე სიმხნესა თქვენსა არა შევენისყე, რომე ესე ოდენსა ხანსა ციხე დავარისა ვერა ავილიათო. ხვალე ანუ თავი ჩვენი მიწათა თანა გავაქწოროთ და ანუ ციხე ესე ავილოთო. ხვალე იერიში მივიტანოთ, ფერიათა ომისა ღონე აღარა აქვსო, უთუოდ აღვი-

ლად ავიღებთო. შაფალი ფერი ხელთა ვიგდნათ და ესე ოდენი ჩვენი პირგარდახდილობა მას ვაზღვევინოთო.

ესე ამბავი ციხეთა მყოფთა მიესმათ. შექმნეს გლოვა და ტირილი, რომელი, თუ ვსთქვა, მათი ხმა ცად აღიწოდა. მას ღამესა მალვით კაცი გამოუგზავნეს და აქვალი დევსა ესრეთ მოახსენეს: ჩვენ შაფალი ფერისა შევიპყრობთ და ხელთა მოგცემთ, თუ ჩვენ შეცოდებასა ჩვენსა მოგვიტევენბო. რა აქვალი დევმან ესე მოისმინა, პასუხად უგო: ერთსაცა ცოცხალსა არა გარდაგარჩენო, ამისთვის, რომე ესე ოდენი ხანია ციხესა ვდგავარ, რად უწინვე არა მეხვეწენითო. რაცა ძალ გედვასთ, ეცადენით, რომ თქვენსა ღიაცსა და მამაცსა ერთობით მოვსრავო!

რა დილა გათენდა, ერთობით დევნი დაემზადნენ და მძიძისა სპეტურველითა შეიჭურვნენ. თვით აქვალი დევმაცა შეუტივა და სხვანიცა ციხესა ზედან მივიდნენ. პირველად მის ციხისა ამგებელსა თილისმისა ხელოვნებითა აღეშენებინა ესრეთ, რომე, ვითა ქვა წისქვილისა, იგი ციხე ეგრეთ ბრუნვიდა წლითი წლამდინ, ბრუნვისაგან არ დადგებოდა. ოდეს წელიწადი შესრულდებოდა, ერთსა დღესა აღარ იმოქმედებდა. ამა ციხისა ამბავი მან წყეულმან აქვალი დევმან იცოდა. ერთსა წელიწადსა მისთვის გარე მოადგა და რა წელიწადი შესრულდა, ციხეცა ბრუნვისაგან დასცხრა. მას დღესა იერიში მიუტანა, თვით ციხისა კარისა სიახლოვესა მივიდა და ორმოცი ათასი ხვალი დევი ზღუდესა მიესია. ციხისა კარი ფოლადითა შექმნილი იყო. აქვალი დევმან მას კარსა ესეთი ძლიერი ლახტი ჰკრა, რომელ კარი და ზღუდე სრულობით შეიძრა.

ამისი მხილველნი ფერიანი ტიროდეს და თავისაგან უიშედო იქნებოდეს. აქვალმა მეორე ლახტი კვალად ციხისა კარსა ჰკრა და ცალი მხარი კარისა შეაგდებინა. დევნი ციხესა შევიდნენ და ფერიანი საომრად წინ მიეგებნენ. შეექმნათ ომი ფიცხელი. მათთა ლახტისა და ხმალთა ცემისა ხმა ცად გაიწოდა. ჩინებულნი ფერიანი შაფალი ფერისა წინაშე მივიდნენ შეკრებილნი და ესრეთ მოახსენეს: ჰე, შარიელო, ხედავ, ჩვენმან უბედურებამ ვითარ გამოუხსნელსა ბადესა დაგვაბაო?! წუხდა შაფალი ფერი, მაგრამ ღონესა ვერასა ეწეოდა. დევნი დათამამდნენ და ფერიათა ღონე მოაკლდებოდათ. მოსრვიდნენ ღიაცთა და ჩჩვილთა ყრმათა, რომელ მათის გლოვისა და ტირილის ხმა შეიღსა ფარსანგსა ისმოდა. თუ ვსთქვა, მეორედ მოსვლამდე დღე და ჟამი იგი სიმწარისა მაშინ მათთვის მოიწია. შა-

ფალი ფერის ესე ტირილი ესმოდა, მაგრამ ბრძოლისა ღონე აღარა ჰქონდა. თვისთა დიდებულთა უბრძანა: საქმე ჩვენი ღმერთზედან მივაგდოთ და რაცუ მას ენებოს, იგი იქნასო. რა ესე თქვა, პირი მიწასა დასდვა და მღუღარითა გულითა უფალსა ევედრებოდა. მისნი მხილველნი ფერიანი ტიროდეს და თვალთაგან სისხლისა ცრემლსა იღენდეს.

რა ესენი ამა გლოვასა იყვნეს, მას ჟამად ყარამან მისისა ამხანაგებითა დავარ ციხისა სიახლოვესა მოვიდა. ყარამანს ყურსა საზარელი რამ ხმიანობა მიესმა. თანამხლებელთა ფერიათა უბრძანა: ესე რა ხმიანობა მოგვესმაო? მათ მოახსენეს: უთუოდ ეს ხმა აქვალი დევისა არისო. გავს, რომე ციხისათვის იერიში მოუტანიათო. ყარამან მიბრუნდა და სამან დევს უბრძანა: სამან, სწრაფად წადი და მის ციხისა ამბავი მალე მომიტანეო. მასვე წამსა სამან ჰაერსა აღფრინდა და ქარისაგან უმალვე წარვიდა. რა დავარ ციხესა მივიდა, ნახა, ციხესა მყოფნი ძნელსა შეჭირვებასა მიცემულან. ჩვილინი და ღიაცინი მოსჩვილინი და ფერიანი საწყლად მტირალნი.

რა ესე ესრეთ ნახა, სამან სწრაფად ყარამანთან მოვიდა. ეგრე მოახსენა: ფალავანო, თუ აწე მას ციხესა არ მიხვალ და არ შეეწევი, უთუოდ მათი საქმე გათავდებაო. რა ბარამ ესე მოისმინა. დიდსა მწუხარებასა მიეცა და თვალთაგან ცრემლი მრავლად გარდმოადინა. ყარამანს მოახსენა: ჰე, ფალავანო, ნულარა დაიყოვნებ, სწრაფად მოვეშველნეთ, რომე მათი საქმე ძნელსა ალაგსა მიწევნულაო. მასვე წამსა ყარამან და მასთან მყოფნი სწრაფად წარვიდნენ და დავარ ციხესთანა მივიდნენ. ნახეს დევნი ციხესა შესულნი და მეციხოვნეთა საქმე გაჭირებულნი. თუცა ფერიანი ცოტალა იბრძოდეს, მაგრამ დევთა ომისა გასწორება აღარა ძალედვათ. მათ დევთა შიგან ერთი დევი იხილეს, რომელსა ას ოცი წყრთა სიმაღლე ჰქონდა. თავი ღორსა უგვანდა, ზურგი თევზსა, ფერხი ღომსა და პირი კამეჩსა. პირთაგან ცეცხლსა აწვიმებდა და ფერიათა უწყალოდ ხოცდა. ყარამან იკითხა: იგი ბილწი სახილველი ვინ იქნებისო? ერთმან ფერიამან მოახსენა: აქვალი დევი ის არისო. ყარამან სამანსა და სხვათა დევთა უბრძანა: ციხისა შუაგულობასა რომელ მაღალი ბორცვი ჩანს, მე მას ალაგსა მიმიყვანეთ. მუნითგან ერთსა ესეთსა საშინელსა ხმასა შეეძახებ, რომე დევთა ბრძოლისაგან ხელი აიღონო. თქვენ სწრაფად გამობრუნდით და მას ჩემსა ხმასა იქ ნუ დაესწრებითო, თვარემ იგი ხმა თქვენცა გავნებსო.

რა დევებსა ესე ესმათ. ერთი მეორესა შესცქეროდნენ. მაშინცა ყარამან თვისი ექვსფერხოვანის ნადირით ჰაერში აღიყვანეს და მას ბორცვსა ზედან დასვეს და თვით გამობრუნდნენ და სწვათა მათ ფალავანთათანა მოვიდნენ. ყარამან რა მეციხოვნეთა ეგრეთ შეწყუხება ნახა, დიდად შეეწყალა. საომარი აიღო იარაღი და მოიმარჯვა. ხელეები გვერდებსა შემოიხვია და ესრეთი სმითა შესძახა, რომელ მსმენელთა ესრეთ ეგონათ, ცა ქვეყანასა დაეცაო. მისი მსმენელი დევთა ლაშქარი მრავალნი უცნობო იქმნენ და ცხიით გარეთ გამოვიდნენ. აქვალი წოდებულმან დევმან იკითხა: ესე რა ამბავი იყო და ანუ ესე ხმა ვისგან მოვიდაო?

რა მიმოიხედეს, ნახეს, ერთსა გორასა ერთი ახალმოწიფული ქაბუკი დგას, რომე წინააღმდეგომნი მისსა კვრეტასა ვერა გაუძლებდნენ. ერთი მეორესა კითხვიდნენ, ესე ვინააო, მაგრამ არცა ერთმან არა იცოდეს, თუ იგი ვინ იყო. ოდეს იგი ხმა შაფალი ფერიმ და მასთანა მყოფმან ფერიებმან გაიგონეს, გაკვირვებულნი მისსა ამბავსა იკითხვიდეს. შაფალიმ თქვა: არა ვიცი, თუ ვინაა, მაგრამ ვკონებ. რომე ღმერთმან შემწედ ვინმე მოგვივლინაო. რა მიმოიხედეს, იხილეს ბორცვსა ზედან კაცი ვინმე ექვსფერხოვანსა ნადირსა მჯდომი, რომელსა ორმოცდახუთი მწყურთა სიმაღლე ჰქონდა, მებრძოლთა ზარისა დამცემლად შუბსა დაბრჯენილი მიმოიხედიდა. რა შაფალმან იგი დაინახა, თვისთა ჩინებულთა უბრძანა: ესე მდგომი, ჰგავს, მამაცი ვინმე უნდა იყოსო.

ოდეს ყარამან თვისთანა მყოფთა შორით დგომა უბრძანა, რომე მისი ხმისა სმენითა არ შემცდარიყვნენ, სანამ და სხვაგან დევებმან ქადილში ჩამოართვეს და აღარა ახსოვდათ. რა ყამასა ყარამანმან, მას ბორცვსა ზედან მდგომმან. მედგრად შესძახა, სამან ადამიანთა მონათესავე და სხვანიცა მას თანა მყოფნი დევნი უცნობო იქმნენ. რა გონებასა მოვიდნენ, გარდანქეშანსა ჰკითხეს: ესე ხმა ყარამანისა იყოო? მან მიუგო: ჰე, მისიო. მათ დიდად გაუკვირდათ და ქება შეასხეს. ოდეს ყარამანისა საშინელი ხმა აქვალი დევსა სმენოდა. იგი დაბნედად მიწურვილიყო. რა ცნობადვე მოვიდა, იკითხა: ესე რა მოხდა და ანუ რა ხმა იყოო? ერთმან მისმან მალბობელმან დევმან მოახსენა: ჰე, დევთა ხელმოწიფეო, ესე ხმა მისგან მოვიდა, ამა გორასა რომე ადამიანი დგასო. რა აქვალიმ შეხედა, მანცა ყარამანს შეუტია და სხვათა დევთაცა შეტეევა უბრძანა.

რა ესე შეტეევა ყარამანზედან გარდანქეშანმან იხილა, მათ

ფლავანთა უთხრა: ეამი არს მოხმარებისაო. იგინცა სწრაფად წამოვიდნენ და დევთა ლაშქართა შიგან გაერივნეს. ვარდანქეშანსა აღმასისა ნაჯახსი ხელთა ეპყრა და რომელსაცა დევსა შემოჰკრევდა, ორად გაჰკვეთდა. ბარამს მძიმე ლასტი ექირა და ვისაც მოა ვედრებდა, მიწათა თანა გაჰსწორებდა. ყათრანს ბასრი ხმალი მოეწვავდა და რომელსაცა დევსა თავსა სცემდა, ორად გაჰკვეთდა. ერთი მეორესა უსმობდიან: კარ, მოკალ, შეკარ, შეიპყარ და ერთსაცა ცოცხალსა ნულარ გადაარჩინო! დევნი და ფერიანი უქვერტდნენ და მათსა საქმესა გაჰკვირდებოდნენ. კვალად ცალსა მხარესა ხმამაღლად ზახილი შეიქნა. სამან აღამიანთა მონათესავე, რადი დევი და ათნიცა მას თანა მყოფნი ხვადი დევები ხელთა გურჯისა მქონელნი ჰაერით მოუხდნენ, პირთაგან ცეცხლსა აწვიმებდნენ და ესენიცა დევთა ლაშქართა მედგრად ებრძოდნენ. შაფალი ფერის გულსა შიგან ესე ამბავი დიდად სიხარულად აღითვალვოდა, მაგრამ ჯერეთ ესე არა იცოდა, თუ მისნი შემწენი ვინ გამოჩენილიყვნენ.

მაშინ შვიდნი იგი ფერიანი მოვიდნენ, რომელნი უშანგ ხელმწიფესთანა გაეგზავნნა. მათ პირ-მიწა-გაერთებით სალამი მოახსენეს და მერმე ესრეთ ჰკადრეს: ჰე, შარიელო, ღვთისაგან რომელ შეწვენასა ითხოვდი, აწ ზე გარდამოსა განგებითა ესენი მეშველად შენდა მოვიდნენო. ყარამანისა, ბარამ ჯიბილისა, ყათრანისა და ვარდანქეშანისა სახელები და მათი ამბავი მოახსენა. მერმე მათ ათორმეტთა დევთა სახელები და ამბავი იკითხა, ყარამანს იგინი თილისმითგან ვითარ აღმოეყვანა და ანუ მამა და დედა შაჰალისა ვითარ დაეხსნა. ყველა წვრილად მოახსენეს. რა თვის ძის ბარამის და დედ-მამათა თვისთა ამბავი სცნა, მეტითა სიხარულითა, თუ სთქვა, ხელსა დაემსგავსა. მერმე თვისთა დიდებულთა უბრძანა რაჰინდისა. სარჯი ურამანისა და თვისთა დედ-მამათა მის წინაშე მიყვანა. ჩინებულნი მსწრაფლად მოვიდნენ, წინა გამოუძღვენ და შაფალისა სადგომსა მოიყვანეს. იგი წინა მიეგება, თაყვანის სცა და სიყვარულით მოიკითხნა. დასხდნენ და თვისსა გარდასავალსა უბნობდნენ.

მაშინ ბარამ ჯიბილი და ვარდანქეშანი ფერიამან შაფალის წინა მოიყვანა. ბარამ მივიდა და მამასა თვისსა ხელსა აკოცა. შაფალიმ ვერ იცნა, თუ ძე თვისი ბარამ იყო. მერმე მოახსენეს: ძე შენი ბარამ საყვარელი ეგე არისო. შაფალი ფერიმ რა ესე გაიგონა, მეტსა სიხარულსა ვედარ გაუძლო, დაბნდა და მიწასა გარდაიქცა. მონათა მკერდსა ვარდის წყალი აჰკურეს და ცნობასა რა მოეგო, მაშინ

გულსა მიიკრა და ეგრე უთხრა: ჰე, თვალთა ჩემთა ნათელო ბარამი ნეტარძი ესე ამბავი სიზმარია თუ ცხადიო?! და ორთავე სიხარულითა თვალთაგან ცრემლი სდიოდათ: მერმე გარდანქეშანი წარდგა და მოახსენა: უფალსა ვმადლობ, რომელ საწადელი თქვენი აღვისრულდათო. ნახვა და მუსაიბობა კმა არის, აწ გავიდეთ და ყარამინისა ბრძოლასა უყუროთო. ზე ადგნენ და ომისა საქვრეტლად გარე გამოვიდნენ.

ამჟამად ყარამან დევთა ლაშქართა მოუხდა და რისხვა ღვთისა მას ზედან დასცა. აქვალი დევმან თვისთა მახლობელთა უბრძანა: ესე კაბუკი ვინ უნდა იყოსო? მათ მოახსენეს: გაფრთხილდი, რომე ესე იგი არს, რომელმან სპანდიერბარი მოკლაო და მამა შენი შაბან-სარ ამასვე მოუკლავსო. რა ესე აქვალი დევმან მოისმინა, საზარლად ამოიოხრა და ესრე თქვა: ვაი, მამაო ჩემო შაბან-სარ! ამა ბილწისა ნაშობითა ხელითა ვითა მოკვდიო? რა ესე თქვა, მალლად ზახილი შექმნა, პირით ცეცხლსა ყრა დაუწყუო და ვეშაპსავით ბრდღვნიდა. ყარამანს შემოუტია და ეგრე შესძახა: ჰე, მიწათაგან ნაშობო, გამიფრთხილდი, რომე აწ მიწასთანა მინდა გაგასწორო! მერმე გავბრუნდე და მამისა ჩემისა სისხლისა ნაცვლად ქვეყანა სრულობით მოვაოხროო.

რა ესე თქვა, გურზი შეიმადლა, რომელი სიგრძით ასოცი წყრთა იყო და სიმძიმით ათას სამას ლიტრას მეტობდა. რა ყარამან მის ზედან მისული დევი ნახა, ფოლადისა შექმნილი ფარი თავსა დაიფარა, ამისი მხილველნი ყარამანისაგან უიმედო იქმნებოდნენ. გურზი ფარსა ესრეთ ძლიერად მოხვდა, რომელ მხეცსა, რომელსა ყარამან იჯდა, ფერხნი მიწათა დაეფლა. მის ნაკრავისა ხმა ხუთსა ფარსანგსა გაიგონებოდა. ფალავანი მტვერმან დაფარა და მის გამო აღარ იხილვებოდა. დევთა ლაშქარი უზომოდ ხარობდა და ყარამანის კეთილისმყოფელნი მწუხარებასა გაამრავლებდეს. რა მტვერი გარდაიყარა, ყარამან ვითა მთა, ეგრე უძრავად იდგა. მხილველთა ქება დიდ შეასხეს. აქვალი დევმან რა ფალავანი ეგრე უვნებლად იხილვა, ესრეთ განრისხდა, თუ ვსთქვა, მეტისა მრისხანებითა ხორცსა კბილითა იგლეჯდა. მეორე გურზი მოუქნია და ფალავანმან იგი მოქნეული გურზი აიცილინა. დევმან განრისხებულმან მესამე გურზი შეუმადლა, ყარამან სწრაფად ფარი მიამწეულა. დევმან ესრეთ მედგრად დაჰკრა, თუმცა იგი ნაკრავი მთასა ყაფისასა მოხვედროდა, ვგონებ, რომე იგიცა დაირღვეოდა, მაგრამ ფალავანი უვნებლად გარდაურჩა.

აწ რიგი ყარამანს ერგო. ბასრი ხმალი მოიწვავდა და დევსა გულ-მესისხლედ მოუხდა. დევმან გურზი ხმალსა შეუფარა. ფალავანმან ესრეთ ძლიერი შემოკრა, რომე გურზი ორად გაკვეთა და ათორმეტ-თა ხელთაგან დევსა ერთი ხელი გააგდებინა. დევმან იგი ხელი მსწრაფლად აიღო, მას მოკვეთილსა მკლავსავე დაიდვა და ანაზღად აგრევე მოება. ფალავანმან რა ესე ნახა, დიდად გაკვირდა. კვალად მეორედ შემოჰკრა და ორი ხელი მოსწყვიტა და მიწასა დაეცა. დევმან აგრეცა იგინი სწრაფად აიღო, ზედან მიიწყო და ორივე გაუმთელდა. ყარამან დიდად განრისხდა და გივი მარასის გურზი ბუღისაგან ამოიღო. მისმან ბრწყინვალეებამან ქვეყანა გაანათლა. რა მისი სხივი დევთა ლაშქართა მიადგა, შეფრთხნენ და ერთი-მეორესა ეცემოდნენ. ფალავანმან გურზი თავსა დაიბრუნა. მისი ბრუნვისაგან ხმა რამე საშინელი გამოხდა, რომე მის გურზისა ჩვეულება იგი იყო.

რა აქვალი დევმან გურზი იგი დაინახა, თავისაგან უიმედო შეიქნა. ფალავანი მოუხდა და გურზი მედგრად მოუქნია. აქვალი დევმან შეიგნო, რომე მას ნაკრავსა ვერა დაუდგებოდა, ანაზღად გრძნება რამე იხმარა, ჰაერსა აღფრინდა და ეგრე წარვიდა. ყარამან შესძახა: წყულო დევო, შენ ხელთა ჩემთაგან სადა მორჩები? ღვთისა სახელსა ვფიცავ, უკეთუ შვიდკეცსა დედამიწასა შთახვიდე და ანუ ზღვთა შიგან დაიმალო, მუნითგანცა გამოგიყვანო! ფალავანმა მალღითა ხმითა შესძახა და დევთა ლაშქართა შიგან გაერია. ერთსა აიყვანდა და მეორესა შესტყორცნიდა და ორთავე მიწათა თანა გაასწორებდა. მაშინ დევებმან ერთობით შემოუტივეს და აქათგან ფალავანთაცა შეუტიეს. კარ, მოკალ, შეკარ, შეიპყარ! — ერთი მეორესა უხმობდა. მას დღესა რისხვა ღვთისა დევთა ლაშქართა ზედან დაეცა. მრავალნი ამოსწყუნენ და მცირეღნი გარდიხვეწნენ და შეპყრობილთა რიცხვსა ვინღა შეიგებდა.

რა მცირე ხანი გამოხდა, შაფალი ფერი და მისნი დიდებულნი სრულად ჯავაირისა სამოსლითა მორთულნი მოვიდნენ. რა ყარამან იგინი ნახა, თვითცა გარდახდა და ქვეითად წინა მიეგება. შაფალიმ ყარამან გულსა მიიკრა და სიყვარულითა მოიკითხა. ეგრე არქვა: ჰე, სენთა ჩემთა მკურნალო და ქვეყანისა დამამშვიდებლო ფალავანო, იწ ბედნიერად ვხედავ თავსა ჩემსა, რომელ ხლება თქვენნი მელირსაო. ყარამანცა ტკბილად მოიკითხა. მერმე შაფალის დიდებულნი მოვიდნენ, ფალავანს ფერხთა მოეხვიენენ და საფერი ქება შეასხეს. რა მცირესა ხანსა მოიუბნეს, შესხდნენ და შაფალი ფერის სრასა მივი-

დნენ. ყარამანმან შაფალის ხელსა ხელი მოჰკიდა და აქვალ დევისა ტაატსა დასვა და თვით ტახტისა ძირსა დაჯდა. სამან აღამიანთა მონათესავე და გარდანქეშანი გრძნეულთა უხუჯესი წინა დაუდგნენ, ცალსა მხარესა რაპინდ დაჯდა და ცალსა მხარესა ბამან-შა და აგრეთვე სხვანი თვის-თვისსა აღვილსა წესისაებრ დასდნენ.

შაფალი ფერი ყარამანს სამადლობელსა სიტყვასა ეუბნებოდა ესრეთ ვითა: რაცა შენ გულისტან ერამსა ვალი დაადე, გარდანდა ვინა ძალუქსო. აღამიანთაგან აქამომდე ესე გვარი სიკეთე სხვასა სხვაზედან არა უქნია, მუქათა ამისი ღმერთმან შემოგზლოსო! მერმე ყათრანსა და გარდანქეშანსა მადლობა უბრძანა და ესეთი სამოსი უბოძა, თვითო და თვითო ერთის ქვეყნისა ხარაჯისა ფასი იყო მერმე ათორმეტნი იგი ხვალნი დევნი მოიკითხა. რა ამათი საუბარი გაათავა, ბრძანა პყრობილთა დევთა მოყვანება. იგინი სწრაფად წინაშე მათსა წარმოადგინეს. მათ უბრძანა: დევნო, ჩვენს რჯულზედ და წესზედ მოდიო, თუ თავისა თქვენისა მშვიდობა გინდათო. იგინი ფიცხლად დამორჩილდნენ და მათ რჯულსა და წესზედან მოვიდნენ. ფალავანმან ყარამან ალაილ წოდებული მათ უფროსად დაუდგინა. გაიბა ესე ამბავი გულისტან ერამისა ქვეყანასა და ესეცა ყოველთა ეუწყათ, ვითა ძე შაფალისა ბარამ ჩინეთისა ქვეყანასა წელსა ოცდაოთსა რომელ ქვად ქვნილიყო, აწ მამასა მის თანა არისო. მოვიდნენ ერნი მის ქვეყანისანი და ძვირფასსა მოსართმევსა მოართმიდნან.

დამშვიდდა ქვეყანა გულისტან-ბალი-ერამისა, ესრეთ ამენდა, ვითა პირველ ყამად ყოფილიყო. დღესა ერთსა ყარამან უშანგ ხელმწიფესა წიგნი მისწერა. სამან აღამიანთა მონათესავე მოიხმო, იგი წიგნი ხელთა მისცა და ეგრე უბრძანა: ხელოვნებითა შენითა სწრაფად წადი. ესე წიგნი უშანგ ხელმწიფესა მიართვი და ჩვენი ამბავი ყველა მოახსენეო. მან წიგნი ვამოულო, მაშინვე გარდანქეშანი ზურგსა შეისვა და თვისითა გრძნებითა ესრეთ ფიცხლად წავიდა, რომ ერთსა დღესა და ღამეს ინდოეთს მივიდნენ. უშანგ-ხელმწიფეს წიგნი მიართვეს, პირ-მიწა-გაერთებით თაყვანი სცეს და ხელმწიფობა უშანგისა დალოცეს. რა უშანგ ხელმწიფემ გარდანქეშანი იხილა და ყარამანის წიგნი წაიკითხა, უზომო სიხარულს მიეცა და ყველანი მათის ამბისა სმენითა მხიარულობდნენ. უშანგ-შამაც თავის მშვიდობით ყოფნის წიგნი მისწერა ფალავან ყარამანს და გარდანქეშანი და საჰმანი ბალი-ერამისაკენ გაისტუმრა.

ერთსა დღესა ბარამ ჯიბილმან მამასა თვისსა დედისა თვისისა



ამბავი ჰკითხა. შაფალი ფერიმ პასუხი არა მიუგო, ივალთა ცრემლი ხშირად გარდმოადინა ხელმიფარებულმან და ბამან-შამანც მრავალი იტირა. მაშინ ყარამან მოახსენა: ჰე, შარიელო! მე უშანგ ხელმწიფრ-სათვის ესე პირობა მომისხენებია, რიმე დედა ბარამისა ტყვეობისა-გან უნდა გამოვიხსნაო, ანუ აქვალი დევი უნდა ნოვაკედინო და ანუ თავი ჩემი მისსა გზაზედან უნდა დავდვაო. მე ერთი ყოლაუზი მომე-ცით, რომე აქვალი დევისა სამყოფი მიჩვენოაო. რა ესე ესმათ, რაცა დენი და ფერიანი იყენეს, ყველამ თავი ქვე დაჰკიდა და პასუხისა მოსხენება ვერავინ გაბედა.

აწ ამბავი სამან დევისა მოგახსენოთ: ოდეს ყა-რამანმან აქვალი დევი დაამარცხა. სამანდოვან მათ უკან გამოხდგო-მოდა. მაშინ ფალავანმან იკითხა: სამანდოვან რა იქნაო? რა ამა საუ-ბარსა იყენენ, სამან დევი შემოვიდა, ერთი დევი ხელშეკრული შგ-მოიყვანა, რომელსა ასორმოცი მწყრთა სიმადლე ჰქონდა. სამან დევ-მან ყარამანსა თავყანის სცა, მივიდა და შაფალი ფერის ხელსა აკოცა ფალავანმან უბრძანა: ჰე, გორაბო, ეგე პყრობილი ვინ არისო? მაშინ ფერიათა ერთხმად ღაღადყვეს: ეგე არს ქვეყნისა ჩვენის მოხრებე-ლი, მაგისგანა შეძრწუნებულა ქალაქი ესე. ესე არს პაპა-აქვალი დე-ვისა და მამა შაბან სარისა. სახელად იფრით ეწოდების და ქუი-ქა-ნანის ქვეყნის ხელმწიფეაო. ყოველსა ქვეყანასა ამისი მიში აქეს. წელიწადში ოთხი ათასსა ყმაწვილსა ვაქსა თუ ქალსა დაატყვევებდა, ყოველნი ხელმწიფენი წლითი წლამდინ ტყვესა და საქონელსა უძღვ-ნიან და რომლისაც მირთმეულს ფეშქაშსა დაიწუნებდა, ქვეყ-ნასა მისსა სრულობილ მოაოხრებდაო.

ყარამან რა ესე სიტყვა მოისმინა, სამანდოვანს უბრძანა: ეგე ვი-თა იგდე ხელთაო? სამანდოვან მოახსენა: ჰე, ფალავანო! ოდეს თქვენ აქვალი დევი დაამარცხეთ, მე მათ უკან გავეკიდე. რა ამან მე მნახა, მობრუნდა და ბრძოლა დამიწყო. ბედნიერობითა თქვენითა ვსძღ იე, შევიპყარ და აპა ესერა აქა მოვიყვანეო. მუნ მყოფთა ფერიათა სამან-დოვანს ქება დიდი შეასხეს. ყარამან მას დევსა უბრძანა: იფრით, არა იცი შენი ძისა ძე აქვალი სით წავიდაო? მან დევმან მადლა აისედა და მუნა მსხდომთა თვალი მოაპლო. ნახა ყოველი გარიგებით მსხდომნი და ფალავანი ყარამან ახლად ულვაშაშლილი, შეენიერისა აახისა მქონებელი და მტერთა ზარისა დამცემი, ტახტსა წინა ზის, გვერდსა ფალავანნი უსხედან და წინა ათორმეტი ხვალი დევი გულ-ხელდაწყობილნი დგანან.

რა ესეთი ფალავანი, ვეშპისა მსგავსნი, ნახა, იფრით თავისა იმედი გარდაიწყვიტა. გულსა შინა თქვა: მტერიცა ჩემი ჩავარდეს ხელთა შინა ამათსაო. შერმე ყარამანს პასუხი მოახსენა: აქვალის ამბავსა რომე იკითხავ. ესრეთ გავიგონე. ოდეს აქათგან გაიქცა, ბეყარარისა ციხესა მისულყო, შაფალის ცოლი და სხვაცა მრავალნი ტყვენი მას ციხესა ებნენ. იგინი გამოუყვანია, საქონელიცა წაუღია, ციხე იგი დაუცლია. ბროლი-აზამი გარდაუვლია და ჯამი ჯანუმის ქვეყანასა მისულა. მას ქვეყანასა ძმა ჰყავს, რომელსა სახელად ათარ ქვიან და მას თანა წასულაო. რა შაფალი ფერიმ ესე ამბავი მოისმინა, საზარელი სულთქმა ღვიძლით აღმოახდინა და თვალთაგან უხვად ცრემლი გარდმოადინა.

ყარამანმან რა იგი ესრეთ ნახა, უთხრა: ჰე, შაფალი, რასათვის ეგრე უიმედო იქმენიო? შაფალი ფერიმ პასუხად უგო: ჰე, ფალავანო, ვითარ უიმედო არა ვიქმე, ორმოცი წელიწადია სიცოცხლისა ჩემისა სარჩევი დევთა პურობილად ყავთ და ორი ძმაცა ჩემი მათთა ხელთა არისო. აქამდის მათის გამოხსნის იმედი მქონდა, ეგების გამოხსნილ იყვნენ. აწ ესრე უიმედო ვარ, რომე ამა სოფელს მათი ნახვა აღარ მომხვდების და მას საუკუნოსა თუ ვნახო. მას აღაგსა მისვლა არას დევსა და არას ფერიას არ ძალუძს, ამისთვის, რომე ქუი-ბროლისა სიგრძე და სივრცე არა შეიგებო. და გზანი ძნელნი არიან. ესრეთ რომე ფერიათა ქვეყანისაგან ექვისისა წლისა სავალია და გზასა ზედან სულიერი არა იპოების, ამისთვის, რომე დღითა მზისა სიცხისაგან ცეცხლი დაეგზების და ღამე სიცივისაგან ყინვა შეიქნების, რომელ სულიერთა მას მთასა გავლა არა ძალუძთო.

რა ყარამან ესე მოისმინა, დევთა უბრძანა: ამა გზისა ამბავი სწორე თქვენ გეცოდინებათ და რაც იცოდეთ, თქვითო. სამანდოვან მოახსანა: ჰე, ფალავანო, პირველემად მე და ჩემმან ძმამან იგი მთა გარდავლეთ, მაგრამ შეჭირვება მრავალი გამოვიარეთო. აწ საპურობილესა შინა ჭირი მრავალი მინახავს. ესრეთ დავძაბუნებულვარ, არცა იგი ძალმიძს, რომელ მე გარდვიდე და ვერცა შენ გარდაგიტანო. ფალავანმან ბრძანა: მაშ აქვალი დევმან ვითა გარდავლო? დევთა მოახსენეს: ქუი-ბროლზედან გარდასვლა ადვილია ხელოვნებითა, მაგრამ შენებრ ფალავანთა გარდაყვანა აქა მყოფთა არავის ძალგვიძსო. ყარამან ბრძანა: ჰე, დევნო და ფერიანო, მას მთაზედან გარდასვლა კაცთაგან შეუძლებელია, მაგრამ მე აქვალი დევზედან ხელსა არა ავიღებო, ამისთვის, რომე იგი ჩემგან დაკოდილი ნადირი არისო,

თუმცა იგი არა ვიხელთე, უთუოდ მისი ჯავრი მომკლავს. აწ წავალ და რაცა განგებასა ეწადოს, იგი იქნასო.

მაშინვე ბრძანა, წასვლისა თადარიკი იწყევითო. ერთი მოხუცე-ბული ფერია წარმოდგა და მოახსენა: ჰე, ფალავანო! კაცმან ქვეყნად რაცა საქმე მოინებოს, ადვილად არა უნდა დაიჭიროსო. ყარამან უბრძანა: ჰე, ფერიავე, შენ ამა გზისასა რასა იტყვიო? მან მოახსენა: შენ მას მთასა სიმურლი ფარმანა ბარყუშისაგან კიდე ვერავინ გარდაგიყვანსო. ფალავანმან ჰკითხა: იგი მფრინველი რომელსა ქვეყანასა იქნებისო? ფერიამან მოახსენა ჰეიათის მინდორსა მკვიდრობსო. ქვეყანა იგი მშვენიერი და არე კეთილი, მის მინდორსა შუაგულობასა მთა არის ბროლისა, რომელსა სახელად მცირეს მთასა ბროლისასა უწოდებენ. სიგრძე მისი ათი ათასი ფარსანგი აქეს და ეგრევე სიმაღლე და სიმრგვალე მისი ორმოცი ფარსანგი არის. მას მთასა ზედან ხე დგას ერთი, რომლისა ძირსა ათი ათასი მხედარი მოიჩრდილებს. ძირსა მისსა წყარო დის, რომელი ცხენოსანსა კაცსა მოიტაცებს და იგი მფრინველი მას ხესა ზედან ბუდობს. თვითცა დიდსა მთისაოდენია და საზრდელი მისი ყოველთა დღეთა შინა ხუთი სპილოა. ენა ექვსრიგი იცის ესრეთ, რომე კაცი მისსა საუბარსა კარგად ისმენსო. იგი მფრინველი ადამისა ქამისა ყოფილა და რჯულსა მისსა ზედა არის. მისგან კიდე ბროლი-აზამსა გარდამყვანი არავინააო.

რა ესე ამბავი ყარამანს ესმა, დიდსა სიხარულსა მიეცა. მოყვასთა თვისთა უბრძანა: ვირემდის მე უკმოვიქცე, ჩემად ნაცვლად სარვიხურამანს მორჩილობდეთო. სამსა თვესა მელოდეთ და ღმერთსა შემევედრეთო. მაშინ შაფალი ფერი მოვიდა და ყარამანს ფერხთა მოეხვია და ეგრე მოახსენა: ჰე, ფალავანო, ესე ოდენი თქვენი ჩვენთვის გარჯა ემა არისო. ამა გასაჭირსა გზასა ნულარა წახვალ, გზას ზედან არა წაგეკიდოს რაო. ფალავანმან უპასუხა: შაფალი, ოდეს მე უშანგ ხელმწიფესა გამოვეყარე, ესე პირობა აღუთქვი, რომელ დედა ბარამისა დევთა ხელისაგან უნდა გამოვიხსნაო. ვიდრემდის მოვიდოდე, თქვენ ჩემთვის ილოცევდეთო.

რა ესე სიტყვა დაასრულა, მასვე წამსა ზე აღგა, სამოცდაოთხი საომარი იარაღი მოიმარჯვა და მუნა მყოფთა გამოესალმა. რადი დევი მოიხმო, ეგრე უბრძანა: აწ გამოჩნდება სიმხნე და ხელოვნება შენი, რომე ფარმან ბარყუშისა სამყოფსა მიმიყვანო. მასვე წამსა დევმან ყარამან ზურგსა შეისვა და მის მფრინველისა მხარისაკენ გაემართნენ. სამსა დღესა ჰაერთა შინა იარა და მეოთხესა დღესა მის

მთისა სიახლოესა მინდორსა გარდასდა. რადი დევსა უბრძანა: წადი და სპილო ერთი ინადირეო. იგი სწრაფად წავიდა და მის ალაგსა სიახლოესა სპილო დიდი მოკლა და ფალავნისა წინაშე შოილო. ყარამან მათ სპილოსა შიგანი გამოართვა და მას შიგან შევიდა. რადი დევსა დატური მისცა. იგი ტირილითა გამოესალმა. რადი დევი წამოვიდა და ფალავანი სპილოსა მუცელსა შიგან დარჩა. მას ღამესა მუნ განისვენა.

რა დილა გათენდა და ფრინველი ნადირთა შესაპყრობად ბუდით გამოვიდა, პაერთ გარდმოხედა. იხილა მინდორსა შიგან სპილო მდებარე. მაშინ ფრთა ფრთასა შემოჰკრა და სპილოსა მოუხდა. მის ფრთისა ცემისაგან ესეთი საშინელი ქარი მოვიდა, რომე მცირე უკლდა, ფალავანსა ცნობა არა დაეფანტა. სპილოსა კლანჭი მოჰკრა. ზე აღიტაცა და თვისთა მართვეთა მოუტანა. იგი მუნ დაუდვა და თვით კვალად ნადირთა შესაპყრობლად წარვიდა. ფალავანი სპილოს მუცლითგან გამოვიდა. ნახა, მფრინველთა ბარტყნი მშენიერნი. რომელ ფრთენი იაგუნდთა უგვანდათ და ნისკარტი აღმასსა. რა მიმოიჰედა, მის მთისა წვერზედან ცეცხლი ეგზებოდა ძლიერი, რომე ალი მისი ღრუბელთა შესწვდებოდა. მის ხისა მიღამოსა ეგე ოდენი სპილოთა და მარტორქათა ძვალი ეყარა, რომელ მეცნიერნი რიცხვსა ეკრა შეიგებდნენ. ბარტყთა სპილოსა ჭამა დაუწყეს. მაშინ ფალავანმან საგდებელი შეიხსნა, ხესა მოაბა, მას ზედან მოეკიდა და ძირსა შთამოვიდა. მას ალაგსა წყარო დიოდა, რომელი ედემითა მომდინარესა გვანდა. ფალავანი მივიდა და მას შიგან ჩაჯდა. ვიდრე მწუხრისა ჟამამდე მას შიგან იჯდა.

რა მზე შთახდა, ესეთი სიცივე შეიქნა, რომე იგი წყალი და მთა სრულობით გაიყინა. რა ყარამან სიცივემან შეაწუხა, საგდებელი ხესა შესტყორცნა, მას ზედან მოაბა და თვით აგრევე ხესა გავიდა. იგი ბარტყნი მისგან არასა დაფრთხნენ. მას ღამესა მფრინველი-ბუდესა თვისსა არა მოვიდა და რა დილა გათენდა, ხეთაგან ძირსვე ჩამოვიდა. რა მცირე ხანი გამოხნდა, ბარტყთა მალლა ხმიანობა დაიწყეს. რა ყარამან მალლა აიხედნა, ნახა შავად ღრუბელი და მას შიგან ვეშაპი საშინელი, რომელსა პირთაგან ცეცხლი მოსცივოდა, თავი დიდსა მთასა უგვანდა და თვალთაგან სისხლი მოსწვეთდა და მის ბარტყებისა შეაჰკმელად მოვიდოდა: რა ფალავანმან იგი დაინახა, ომისა სურვილით მოწადინემან ესეთი ხმა შესძახა, რომე ბროლი-აზამისა შთამან ზანზარი დაიწყო; ოდეს ვეშაპსა ესე საზარელი ხმა

ესმა, დიდხანს ქვეყნად იპყრიტა და ვერა რა იხილა და აგრევე მართ-  
ვეთა შთასანთქმელად გაემართა. ფალავანმან ბედნიერსა ძმეილდსა  
საბელი გარდააცვა და ვეშპისა საომრად ისარი მიიტა და მოეწადა.

რა ბარტყთა შემწე მათი იხილეს, მცირე რამ იმედი ჰოცათ. მაშინ  
ყარამან მეორედ მალლა შესძახა. რა იგი ხმა ვეშაპსა ესმა, ნახა კაცი  
ვინჲ ხეთა ძირსა მდგომარე. მასვე წამა გულშესიხსლედ მომართა.  
ფალავანმან ისარი სტყორცა, ვეშაპსა პირსა ეცა, ისარი სამად  
გატყდა და აგრევე ქვე ჩამოცივდა. მეორე ისარი ესროლა, მეკრდსა  
მოხვდა, იგიცა შეიმუსრა და ქვე შთამოვარდა. ყარამან ამა საქმესა  
მეტად გაჰკვირდა. მესამე ისარი მშვილდსა ააგო, ესრეთ მედგრად  
მოზიდა, რომე გოზა გოზაზე მიუწია. ვეშაპსა ისარი თვალსა ნარჯ-  
ვენასა მოხვდა და კისერსა გავარდა. იგი სწრაფად ქვე ჩამოვარდა და  
მთისა ოდენი ვეშაპი ქვეყანასა დაეცა. აგრეთვე ზე ადგა და ფალა-  
ვანსა მომართა. მაშინ მეოთხე ისარი ააგო, გონიერად და წყნარად  
ესროლა. მარცხენასა თვალსა ჰკრა და ფრთამდინ ზედან დაესო. ვე-  
შაპი ორთავე თვალითა დაბრმავდა, მაგრამ ბოლოსა მიწასა ზედან  
ესეთსა დასცემდა, რომელ იგი ალაგი სრულობით შეიძროდის. მაშინ  
ყარამან ხმალმოწვდილი მიუზდა, ზურგსა სცა და ორად გაჰკვეთა.  
მიბრუნდა. ხმალი წყალზედან გარეცხა და აგრევე ქარქაშსა თვისსა  
მოაქცია.

რა მზე აღვილსა თვისსა შთახდა, ფალავანი ხესავე აღვიდა.  
ბარტყნი მოვიდნენ და ყარამანს ფერხთა ეხვეოდნენ. ფალავანი გაჰ-  
კვირდა მათსა ეგრე ქცევასა. რა დილა გათენდა, ყარამან ძირსვე  
ჩამოვიდა და წყალსა შიგან ჩაჯდა. რა მცირედ ხანი გამოხდა,  
მფრინველი იგი ჰაერით მოვიდა. ესრედ დიდი იყო, რომელ ცა აღარა  
გამოჩნდებოდა. მისსა მნახველსა დევსაცა შიშით გული გაუსქდ-  
ბოდა. რა ბარტყნი უენებლად დახვდნენ, დიდად გაჰკვირდა და  
ღმერთსა მადლობდა, ამისთვის, რომე მას ვეშაპსა მისი მართვენი  
კვლავაცა დაექამა. და ახლაცა მისი ეფიქრებოდა. ბარტყებმან შე-  
სძახეს: ჰე, ფრინველთა ხელმწიფეო, ქვე დახედე, ჩვენი მოსისხარი  
ვითა უპატიოდ გდიაო.

ფრინველმან დახედა და ნახა, მთის ოდენი ვეშაპი ორად გაკვე-  
თილი მიწასა ზედან უპატიოდ ეგდო. გულსა შიგან დიდად იამა და  
ბარტყთა თვისთა ჰკითხა: ესე მტერი ჩვენი ვინ მოკლავ? მათ ამბავი  
მისი მოაპსენეს და მკვლელი მისი ფალავანი აჩვენეს. მასვე წამსა  
ფრინველი ფალავანთან მივიდა და არაბულისა ენითა სალამი მოახ-

სენა და ეგრე უთხრა: ჰე, სარდალო, ვინ ხარ შენ, რომე ჩემზედან ესე გვარი სიკეთე ქმენო? მე მუქაფა ამისი რა გამსახურო? ბრძანე, რაცა საწადელი შენი იყოს, აღგისრულდება და მე თავსა ჩემსა შენსა ერთგულობაზედან დავსდებო! ყარამან უპასუხა: ჰე, პატიოსანო მფრინველო, იმა ვეშაპისა აღსასრული მოწეცნილ იყო და განგებითა ღეთისათა ხელთა ჩემთაგან მოკვდაო. მე ეგოდენი ვალდებულობა შენზედან არ მიქნია, მაგრამ მე ერთი ვედრება მაქვს წინაშე შენსა და მოიმედე ვარ, რომელ საწადი ჩემი აღმისრულო. მფრინველმან პასუხად უგო: ჯერ სტუმარი ხარ ჩემად წვეული, მცირესა ხანსა მომიცადე და რაცა განგებასა ღმრთისასა ეწადოს, იგი იქნასო.

რა ესე თქვა, მასვე წამსა გაფრინდა, მრავალი ცოცხალი ფრინველი შეიპყრა და ფალავნისა წინაშე მოიღო. ესეცა მოახსენა: ჰე, ფალავანო, მე ადამისა ტომთა საკმლისა შემზადება არა ვიცი. შენ როგორც გენებოს, ეგრე შეექეცო. ყარამან მფრინველნი იგი მოტანილნი გააკეთა, ბროლისა მთისა პირისპირ დააწყო. მისმან სიცხემან იგინი მწრაფლ შეწვა და ფალავანი მას ზედან შეექცა. მერმე მფრინველმან ჰკითხა, რაცა სიტყვა გქონდეს, აწ მიბრძანეო. ყარამან თქვა: საწადი ჩემი ეს არისო, რომე აქვალი დევი გამომექცა, ბროლი — აზამის მთა გარდმოუვლია და ჯამი-ჯანუმას ქვეყანას მისულა. მე მას ალაგსა მიმიყვანეო.

რა ესე სიტყვა მფრინველსა ესმა, დიდხანს საგონებელს იყო და მერმედ პასუხად ესე უგო: დიდად უშველებელი საქმე გიძებნია, მაგა ვაპრობითა სარგებელი არა მოგხვდება. აწ თუ რჩევასა ჩემსა ისმენ, აგრევე ადამიანთა სამყოფსა წაგიყვანო. ყარამან უთხრა: ჰე, ფრინველთა ხელმწიფეო, აქათგან ადამიანთა სამყოფსა წაყვანასა არა დია დაგიმადლებო. ვედრება ჩემი ეს არის, აქვალი დევისა სიახლოვესა მიმიყვანო, რომე შენგან კიდე ჩემი მას ალაგსა მიყვანა არა ვისსა ძალუძსო, თორემ ადამიანთა ქვეყანასა მიმიყვანნი დევნი და ფერიანი მეცა მეშოვებიანო.

რა ფრინველმან ესე საუბარი ისმინა, იგრძნა, რომე ფალავანსა გულოვნობისა ზოსტერი წელთა შეება და შიში გულსა მისსა არა იპოებოდა. მაშინ ფრინველმა პასუხად უგო: ჰე, ფალავანო, შაბაშ შენსა ეგეთსა მამაცობასა, რომელ აქვალისა ბრძოლა ეგრე გესწრაფებისო. აწ მეცა შენად სამსახურად წელთა ზოსტერსა მოვიმაგრებო. ანუ მთასა მაღალსა ბრძოლისასა გარდაგიყვან და ანუ თავსა ჩემსა სამსახურსა შენსა ზედან მოვიკლავო. მასვე წამსა წასასვლე-

ლად აემზადნენ. ვეშაპი იგი შოკლული ბარტყთა თვისთა საზრდოდ გაუჩინა. თვით შვიდისა დღისა საგზალი მოიზადეს. მფრინველმან პარჯვენასა ფრთასა ყარამან შეისვა და მარცხენასა ფრთასა საგზალი დაიწყო, ბარტყთა თვისთა გამოესალმა, ჰაერსა აღფრინდა და წარვიდა: სამი დღე და დამე ვლეს, მეოთხესა დღესა მფრინველმან თავი ცასა მიაპყრა და, ვითა ისარი მშვილდთაგან ტყორცნილი, ეგრე მდლად წარვიდა. მისთა ფრთეთა ქნევისაგან ესეთი ხმა გამოხდებოდა, რომე მისთა მსმენელთა გულსა შიში ყოლე არა მოაკლდებოდა.

ყარამან რა ესრეთ ნახა, მფრინველსა ჰკითხა: ესრეთ მდლა რისათვის წახველ და ანუ ესე სწრაფად ფრენა რისათვის მოუმატეო? მფრინველმან უთხრა: შენსა პირისპირ შეხედე და იხილე, რა ჩანსო? ოდეს ფალავანმან შეხედა, ნახა, ცეცხლი ერთი საკვირველი ეგზებოდა, რომლისა ალი ცად აღწეულიყო. ესრედ ეგონა, აღმოსავლით დასავლამდის სრულად ცეცხლი ეგზებოდა. მფრინველსა ჰკითხა: ესე რა არისო? მან პასუხად უგო: ბროლი-აზამის მთა იგი არსო. და აქედამ მას ალაგამდის შვიდის თვის სავალი არისო. თუ ესრეთ მდლა არა აღსრულ ვიყავ, მის ცეცხლისა შუაგულობასა მოხვდებოდი, და თუცა ათასი სული გვდგომოდა, ერთიცა აღარ შეგვრჩებოდაო.

დღესა მეხუთესა წესსავე ზედან თვისსა ფრინვედა, მაგრამ მხართაგან ესეთი ოფლი სდიოდა, რომე მომდინარესა წყაროსა ეგვანებოდა. ესრედ მდლად აღსრულ იყვნენ, რომე ვარსკვლავთა თვისსა ალაგსა ახლოდ იხილვიდნენ. სპარსნი ესრედ იტყვიან: ანგელოზთა საუბარი ესმოდათო. მფრინველმან უთხრა: ჰე, ფალავანო, აწ ქუი ბროლის მთის სიახლოესა მივწეულვართო. დღისით მზის სიციხითა საკვირველი ცეცხლი დაეგზება და ღამით სიცივითა ყინულად იქნებისო. თუ ამას დამეს ეს მთა გარდავლევით, ყოველსა შეჭირვებასა მოვრჩებიო. და თუ აქეთვე დავრჩით, ღვთით საქმე დიდად გასაჭირად შეგვექნებისო. თუმცა მთა ყაფისა ზურგთა მეტვირთა, ვგონებ იგიცა არა დამალაევდა, მაგრამ, ჰე, ფალავანო, აწ შენითა ზიდვითა დიდად ულონოდ ვიქმენო.

რა მზისა შთასვლისა ჟამი მოახლოვდა, მაშინ სიცივისა ნიშანიცა გამოჩნდა. მფრინველმან უთხრა: ფალავანო, აბრაამისა ლოცვა ილოცე და ღმერთსა ევედრე, რომ ამა სიცივისაგან დავიხსნათო. ყარამან გულმდუღარედ უფალსა შესტიროდა და აბრაამისა ლოცვასა ილო-

ცევდა. რა სიცივემან ფალავანსა ძალი დაატანა, ფრთათა ქვეშე ამოჯდა, ვირემდის გათენდებოდა. რა მეშვიდემან დღემან განვლო, მერკვესა დღესა ბარყუმ წოდებული მფრინველი ერთსა მშვენიერსა მინდორსა გარდახდა და ვითა სნეული, ეგრე ღონემოშლილი ხეთა ძირსა დაეცა. რა მცირე ხანი მოისვენა, ყარამანსა უთხრა: ჰე, ფალავანო, ესე ალაგი ჯამი-ჯანუმას ქვეყანა არისო. ესე ათარ დევისა სამყოფია და აქვალ ათარისა ძმა არის და მისი მორიდება გემართებსო.

რა ფალავანმან იგი ადგილი ნახა, დიდად მოეწონა. მაშინ მფრინველმან უთხრა: ფალავანო, აწ სიფრთხილისა ყამია, აქა უბრალოდ სამყოფი ადგილი არა არისო. ყარამანმან უპასუხა: ვინათგან ჩემზედან ესე ოდენი სიკეთე ჰქენ. რომლისა გარდახდა არა ძალმიცსო, აწ სამი დღე აქა მომიცადე ჩემი სიცოცხლისა და სიკვდილისა ამბავი სცან და უკეთუ მე აქა მოვკვდე, ჩემი ამბავი გულისტამ-ერამში მიიტანე, რომე მათსა ლოცვასა შინა ჩემსა სულსა მოიგონებენო. ფრინველმან მას ალაგს მოცდა აღუთქვა. ერთმანეთსა გამოესალმნენ. ფალავანმან ჯაჭვისა კალთა წელსა ჩაირჭვა და ჯამი-ჯანუმის ციხისაკენ გაემართა. მას დღესა და ღამესა ვლო და რა დილა გათენდა, შორით ერთი ცეცხლი დაინახა. დიდად შეწუხდა და თქვა: ვაი, თუმცა გზა ესე ცეცხლმან შემიკრაო.

რა ახლოს მოვიდა, ციხე იყო დიდი, სრულად ოქროთი ნაგება და რა მზე სხივსა მიჰფენდა, იგი ციხე შორიდან ცეცხლებრ იხილებოდა. მას ციხესა შინა მრავალთა დევთა ყრილობა იყო. მის ციხისა მალალსა ზღუდესა ზედან ოქროსა შექმნილი თილისმე ხელოვნებითა შემზადებული მამალი იდგა, რომელი სიდიდით ზროხისა ოდენი იყო. ესე იყო ჩვეულება მისი, ოდეს შორიდგან მომავალსა ვისმე იხილავდა, მალლად ხმინანობასა იწყებდის. და მაშიგან მყოფნი დევნი იგრძნებდნენ, რომე უცხო ვინმე მომავალი არისო. რა შან მამალმან ყარამან დაინახა, ფრთა ფრთასა შემოჰკრა და მალლად ზოილი იწყო.

რა იგი ხმა დევთა მოესმათ, აქვალი დევმან დიდად გაიკვირვა, ეგრე თქვა: ამა ციხისა სიახლოესა კაცი ვინმე მოსრულაო?! ვაიმე, თუ ყარამან ჭაბუკი იყოსო! დევთა უპასუხეს: ვის ძალ ედვა ყარამანისა აქა მოყვანაო?! აქვალმა უთხრა: დევნო, ესე იუწყეთ, არცა დევსა და არცა ფერიასა მისი აქა მოყვანა არა ძალუცსთო, მაგრამ არამტუ ფარმან ბარყუმმან მოიყვანოსო. რა ესე გვარსა საუბარსა უბნობდნენ, აქვალს შიში ყოლე არა მოაკლდებოდა. მაშინ ბრძანა



ქუი-ათეშისა და სხვათაცა დევთა ლაშქრისა მოწვევა. მათ ფიცხლად მოუწოდეს და საომრისა საქურველითა აქვალის კარსა შეიყარნენ. თვით აქვალი დევი ასოცი წყრთის სიმაღლის მქონე იყო, ზე აღდგა და იგიცა საომრად შეეკაზმა. სპილოსა შეჯდა და ციხით გარეთ გამოვიდა.

ყარამან ერთსა დიდსა ხესა ეფარა და მას ციხესა უჭკრეტდა: ნახა, რომელ ციხითგან ეგე ოდენი დევთა ლაშქარი გამოვიდა, რომე რიცხვი არ შეიგებოდა. მოვიდნენ და საომარსა მეიდანსა რაზმწყობით დადგნენ. რა ფალავანმან მათი ეგრე წყობა ნახა, დიდად მოეწონა და ჩქართა სიარულითა მათკენ წამოვიდა. სპარსნი ესრედ იტყვიან: ორმოცი ათასი ცეცხლთა მფრკვეველნი დევნი იყვნენ და სხვათა რიცხვსა ვინ მისწვდებოდაო. ვინცა მათგანი გულისტამერამსა ყოფილიყო და ყარამან ენახათ, იგინი სხვათა აცნობებდნენ, ესე არს ყარამან ფალავანთა ფალავანიო! ფალავანი ყარამან ფოლადისა საქურველითა შექურვილ იყო და გურზი იგი მანათობელი ხელთა ეპყრა.

მაშინ დევებმან ერთობით შეუტივეს და ფალავანმაცა გულუშიშრად მიმართა. აქვალისა ძმა იყო, რომელსა სახელად სურხავ ეწოდა. დევთაგან პირველად იგი მოვიდა საომრად და ყარამანს გურზი შეუმალლა. რა დევთა ესე ნახეს, ესრეთ იტყოდნენ: ბრალია საწყალობელი ესე ადამიანთა ტომი, რომე სურხავის ხელთაგან გათავდებისო. მადლია, რომე ცოცხალი შეიპყრას და ჩვენთანა მოიყვანოსო. ამისმან მსმენელმან აქვალმა მათ დევთა პასუხად უგო: უკეთუ მაგი ფალავანსა სურხავი ცოცხალი გარდურჩა, ჩვენთვის საამო ამბავი იქნებისო, ამისთვის, რომე მაგა ფალავნისა ძალ-გული მე გამომიცდიო. დევები ერთმანეთსა ეტყოდნენ: იმა ადამიანსა აქვალის გული დაუჩაგრავს და ესე გვარსა სიტყვასა მისთვის იტყვისო!

რა სურხავმან ყარამანს თავსა დასაკრავად გურზი მიუტანა, ფალავანმან ფარი თავსა იფარა. გურზი ფარსა მოხვდა და ყარამან მას ნაკრავსა უვნებლად გარდარჩა. რა სურხავმან ფალავანი ფეხსავე მდგომი იხილა, ესე საქმე დიდად ითაკილა. განრისხებულმან მეორე გურზი ესრეთ ძლიერად მოუქნია, რომე მას ნაკრავსა სულიერი ვინლა მოურჩებოდა. ფალავანმან მსწრაფლად ფარი მიაგება, გურზი ფარსა მოხვდა და მათგან ესეთი ცეცხლი გამოხდა, რომელ ორნივე ცეცხლმან დაფარა. მაგრამ ფალავანსა არცა ეგრე ევნო რა. დევმან შესამე ლახტი სცა, მარა საწადელი თვისი არცა ეგრე აღუსრულდა.

იწ რიგი ყარამანს ერგო. ბასრსა ხმალსა თილი ყამყამს ხელი მიჰყო და საზარელითა ხმითა შესძახა. მისნი მსმენელნი დევნი დიდად გაოცდნენ და მრავალნი ცნობასა მიხდნენ. ფალავანმან მედგრად ხმალი დევსა შემოჰკრა, სურხავმან ფარი თავსა იფარა, მაგრამ საწყალობელსა ვერცა რა მან არგო, ხმალი ფარსა მოხვდა, ორად გაკვეთა და დევიცა შუა გაიკვეთა. რა დევთა ესე ნახეს, გლოვისა და ვაებისა ხმასა გაამრავლებდნენ. მაშინ ერთი დევი მუქართ მოედანზედან გავიდა. ფალავანსა მიუხდა და თავსა ლახტი დაჰკრა. ყარამანს ვითამცა არა სცემოდა რა, ეგრე არა შეიმჩნია. მანცა დევსა თვისი სწრაფად მკვეთი ხმალი შემოჰკრა და დევი ორად განკვეთა.

ესეგვარადვე თვითოდ ოთხმოცდაათნი დევნი საომრად გამოვიდნენ და ყოველნივე ფალავანისა ხელითა დაიხოცნენ. რა ესრეთ თვითოდ ბრძოლითა ვერა გააწყვეს რა, მაშინ ერთობით დევთა შემოუტრეს და ფალავანი შუა შეიგდეს. შეიქნა ომი ძლიერი, რომელ დევთა ყვირილისა ხმა ცად აღიწყოდა. ბოლოს იძლივნენ დევთა ლაშქარნი და ერთობით გაიქცნენ. ყარამან აქვალი დევსა შემოხვდა, მაღლითა ხმითა შესძახა და საომრად ზედან მიუხდა. დევმან შესძახა: ჰე, ადამიანთა ტომო, რად გაჩნდი მაჰირვებლად ჩვენდაო?! რა ესე უთხრა, გურზი თავსა დასაკრავად მიუტანა. ფალავანმან იგი მოქნეული ფარსა აატანინა, მეორეცა მოუქნია და იგიცა ფარსა მოხვდა. რა დევმან ფალავანი მის ორისა ნაკრავისა უვნებლად გარდაჩენილი ნახა, დიდად განრისხდა. მესამედ ესრეთ ძლიერად მოუქნია, თუმცა მთასა იალბუზისათვის დაეკრა, ვგონებ იგიცა დაირღვეოდა.

რა ყარამან დევი ესრეთ გაფიცებულნი ნახა, იგრძნა, რომე მას ნაკრავსა სულიერი ვერა გარდურჩებოდა. მაშინვე ვეფხსაებრ სიფიცხითა შორად გაუხლტა. გურზი მიწასა ესრედ ძლიერად მოხვდა, რომე მიწა გასქდა და გურზი შიგან დაეფლა. რა დევმან სამი ლახტი სცა, აწ რიგი ყარამანს ერგო. უეცრად ესეთი საშინელი ხმა შესძახა. რომე ყაფის მთისა დარღვევისა ხმასა გვანდა. ფალავანმან ღვთისა სახელი ახსენა, ორმოცი ადლი ზე შეხლტა და დევსა გურზი დასაკრავად მიუტანა. დევმან თვისი გურზი შეუფარა, გურზი გურზსა მოხვდა და მათგან ესეთი ცეცხლი გამოხდა, რომელ მისი ალი ღრუბელსა სწვდებოდა. მისი ხმა შვიდსა ფარსანგსა გაიგონეს. აქვალმა თვისი გურზი ვეღარ შეიმაგრა, ორივე გურზი თავსა. ეცა და იგი ბილწი დევი საწყალად მოკვდა. მიწასა ზედან ესრეთ მედგრად დაეცა, რომე ქვეყანა შეძრა და წყეულმან აქვალი დევმან სული თვისი ჯოჯოხეთსა გაამგზავრა.

რა აქვალისა ძმამან ათარ დევმან ესე საზარელი საქმე იხილა, თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა და ესრეთ თქვა: ვაი, მუით დერიას ერნო და ფალავანო, რა ჭაბუკობისა თქვენიისა სახელი წახდა, რომელ ერთისა ადამის ტომთა მკლავისა ძალთა ვერა დაუდევითო. აწ დაიკარგა ნამუსი დევთა გვარისაო. ვინცა ამა ამბავსა ისმენს, შორსა მყოფნი ანუ ახლოსა, რასა იტყვიანო? ესე თქვა, მთისა ოდენსა გურჯსა ხელი მიჰყო და ყარამანისაკენ წამოვიდა. მაშინ გაქცეულნი იგი დევთა ლაშქარნი მობრუნდნენ და ერთობით ფალავანსა შემოუტიეს.

რა მათგან ესრეთი შემოტევა იხილა, ფალავანმან მკლავები გვერდსა შემოიხვია, ესეთი შეჰყვირა, რომელ დევთა ესრეთ ეგონათ, ცა ქვეყანასა დაეცაო. მაშინ ფალავანი დევთა შუაგულობასა შეიჭრა და ვიდრე მზისა დასავლამდის საკვირველსა ომსა იყენენ. მრავალთა სახელოვანთა დევთა თავი მიწათა ზედან ეყარა. და მრავალნი დაკოდილნი წყლულსა თვისსა ჩიოდნენ. ფარმან ბარყუმ წოდებული მფრინველი ყარამანისა საგონებელსა იყო. რა მისი ხმა მიესმა, ენება, რათა მისდა საშველად მოსულიყო, მაგრამ დევთა სიმრავლეთა ფალავნისა შეწევნად მოსვლა ველარ გაბედა. მას ღამესა ამა საგონებელითა მას ალაგსა დაეძინა.

აწ ამბავი ესე დაუტეოთ და მცირე რამ სხვა ამბავი მოვილოთ: ოდეს ყარამანმან სამან ადამიანთა მონათესავე უშანგ ხელმწიფესა თანა წარავლინა, რა ყარამანისა წიგნი და ამბავი ხელმწიფესა უშანგს მოხსენდა, დიდსა სიხარულსა მიეცა. სამანს მრავალი საბოძვარი უბოძა და აგრევე ფალავანთანა გამოისტუმრა. რა სამან ადამიანთა მონათესავემან გულისტამ ერამსა მოაწია, ნახა ფალავანი მუნა მყოფნი და ყარამან მათ შიგან ვერა იხილა. სწრაფად ამბავი მისი იკითხა. მათ მისი ამბავი ყოველი უამბეს. მასვე წამსა ჰაერში აღფრინდა და ქარისა უსწრაფესად წარვიდა. ბროლი-აზამი გარდავლო და ჯამი-ჯანუმას ქვეყანასა მოვიდა. რომელსა ალაგსა ფარმან ბარყუმ მფრინველი ჯდა, მას თანა მოვიდა. იგინი ერთმანეთსა პირველვე იცნობდნენ. მათ მათი ამბავი ჰკითხეს და ფალავნისა ამბავი მფრინველ-მან ყველა უამბო. მასვე წამსა სამან ყარამანისაკენ წავიდა და მფრინველიცა უკან გაეკიდა.

სამსა დღესა და ღამესა ფალავანი დევთა ებრძოდა ესრეთ მოუსვენებლივ, რომე არცა სასმელი და არცა საჭმელი არა ეხმია და დევთა მოწყვეტისაგან დიდად დაღალულიყო. რა სამანმან ფალავანი

დევთა შუაგულობასა შეწყვედული იხილა, ჯავრითა ცნობა დაეფან-  
ტა და ჰაერიდამ ქვე შთამოიჭრა და დევთა ბრძოლა დაუწყო. იქით  
ფარმან ბარყუმ მფრინველი ფრთისა ცემითა მრავალსა დევსა მოჰ-  
კლევდა. ფალავანმან იცნა, რომე ერთი სამან აღამიზად იყო და მე-  
ორე ფარმან ბარყუმ წოდებული მფრინველი. მათი მისვლა ყარა-  
მანს დიდად იამა. შეიქნა ომი ფიცხელი, მაგრამ დევთა ლაშქარნი  
არცა ეგრე გაიქცეოდნენ.

ანაზღად მარჯვენისა მხრით ერთი შვენიერი ჭაბუკი დევთა მოუ-  
ხდა, თაჯი თავსა ეხურა. ორმოცდა ხუთი მწყურთა სიმაღლე ჰქონდა  
და თვალთა პატიოსნითა შემზადებული სამოსი ემოსა, ხმალი  
ხელთა ეპყრა და დევთა ლაშქართა უწყალოდ ხოცდა. მისნი მხილ-  
ველნი და აქათ ყარამანისგან ძალ-დატანებულნი დევნი გაიქცნენ და  
ციხესა მიმართეს. სამან და მფრინველი ყარამანთან მივიდნენ,  
დალოცეს და ქება შეასხეს. ფალავანმან პირველად სამან და მერმე  
მფრინველი მოიკითხა და კვალად ჰკითხა: იგი ახალ მოწიფული  
ჭაბუკი, რომე დევთა უწყალოდ ხოცს და ჩვენად შემწედ მოსულაო,  
იგი ვინააო? მათ მოახსენეს: ჰე, ფალავანო, ჩვენ მას ვერა ვიცნობ-  
თო. რა მცირე ხანი გამოხდა, მოვიდა იგი მათი მწე, რომელ იგინი  
მას ჯერეთ ვერა იცნობდნენ. ფალავანსა სალამი ჰკადრა და კეთილ-  
მოუბრისა ენითა ქება შეასხა. გულსა შინა თქვა: ამისა მებრძოლსა  
გული ვით არა დაუდნებაო. ფალავანმან ქებისა მაღლი უბრძანა და  
პატივითა მოიკითხა. ხეთა ძირსა დასხდნენ და ტკბილ საუბრით  
შეექცნენ. მერმე ყარამან ჰკითხა: ჰე, პატიოსანო სარდალო, შენ ვინა  
ხარ, რომე ესეთსა ძნელსა დღესა მომეხმარეო? დაიწყო მან  
თვისთა ამბავთა თქმა.

### აქა ათარ დევის ასულის ზაჰმანარასაგან სიზმარის მგობა ყარამანის წინაშე

დაიწყო ესრედ მგობა ვითა: მე ათარ დევისა ასული ვარ და  
სახელად ბაჰმანარა მეწოდების. მე დევნი დიდად მძულდეს ესრეთ  
რომე ნახვაცა მათი მეზარებოდაო. დამესა ერთსა საწოლსა შინა  
ძილად ვიწევ. სიზმარი რამე საკვირველი ვნახე ესრეთ, რომე მეო-  
რედ მოსვლა ცხადად გამომიჩნდა. მამა ჩემი ათარ ჯაჰვეითა შეარუ-  
ლი მოყვანდათ. გზასა ზედან შევხვდი. მეცა შემიპყრეს. კისერსა  
ჯაჰვი მომაბეს და ეგრე თრევითა წამიღეს. რა მივედით, ბრწყინვა-

ლე ვინმე ხელმწიფე ცხენსა იჯდა და გარემოს მისსა ანგელოზთა ყრილობა იყო. წინასწარმეტყველნი წინაშე მისსა იდგნენ და ცოდვილთა შეცოდებათა მიტევებასა იაჯებოდნენ და იგიცა მიუტევებდა. რა ესე ვნახე, მეცა მიველ და ჩემსა პყრობილებითგან განთავისუფლებასა ვევედრებოდი. მან ეგრე მითხრა: შენი ჩემგან მოხმარება მაშინ იქმნება, რომე შენცა ყარამანს შეეწიო, სამან ადამიზადსა და ფარმან ბარყუმ მფრინველსა გაუშეგობრდე და დევთა უწყალოდ მოსრევედეთო; ქალაშ მეთილისმესა, რომელ ადამისა ბეჭედი აქეს, იგი გამოართვა და ყარამანს მისცე, რომე მისითა ქონებითა ყარამან დევთა და ფერიათა დაიმონებსო. რა იგინი დაიმონოს, იგი ბეჭედი ზაიდ ხანუმს მისცეს, ამისთვის, რომე ზაიდ ხანუმ ადამიანთა ტომი არისო. ბეჭედი იგი ადამს იმისთვის მიეცა და ქალაშ მეთილისმესა გრძნებით მოეპარაო. შენცა ყარამან სამან ადამიანთა მონათესავესა მიგათხოვებსო. რა ესე მითხრეს, ყელთაგან ჯაკვიცა ამხსნეს. ოდეს ესე ესრეთ ვიხილე და გამომელევიძა, მასვე წამსა დევთა რჯული და ქცევა მათი დავწყევლე და აწ ესერა აქა მოსრულ ვარ.

რა ყარამან ესე მოისმინა, ღმერთსა მადლობა მისცა და: ბამანარას ქება შეასხა. და ათარ დევისა ამბავი ჰკითხა. ბამანარამან მოახსენა: ოდეს მე ქალაქისაგან გამოველ, მუნითგან მამაჩემი ათარ ალარა მინახავსო. წარვალ და მისსა ამბავსა ვსცნობო. რა ესე თქვა, სწრაფად ციხისაკენ გაემართა. სამან თქვა: ამ ქალსა დევისაგან არა ევნოს რაო. ყარამანს გაეცინა და ეგრე უთხრა: სამან, ნუ გეშინის, მე რომე მაგის ძალ-გულსა ვიცნობ, მაგას ლეთით მტრისაგან არა ევნება რაო. ბამანარა მას ქალაქსა მივიდა. ერნი მის ქალაქისანი წინა მოეგებან და ფერხსა ეხვეოდნენ. ქალმან მამა თვისი სძებნა და ვერა ჰპოვა. მის ქალაქისა ერნი თანა იახლა და ფალავანთანა მოიყვანა. ესრეთ მოახსენა: ჰე, სარდალო, მამაჩემი ათარ ეძებნე, მაგრამ ვერა სადა ვპოვე. აწ ამა ქალაქისა ერთა ჰკითხეთ მისი ამბავიო.

ყარამან უბრძანა: მითხარით ათარის ამბავიო. მათ მოახსენეს: ფალავანო, ოდეს ათარ დევი თქვენ გამოგექცათ და ქალაქსა შემოვიდა, მაშინვე შაფალის ცოლი ყამარლუხ და სხვანიცა ტყვენი თანა იახლნა, მუით დერიას შუა ყამარდალსა მივიდაო. ყარამან იკითხა: ყამარდალი რომლისა მხრისაკენ არისო? ბამანარამან მოახსენა: ჰე, ფალავანო, ერთი ქვეყანა არის, სახელად მაჯამულ-ბარეინ ჰქვიანო. ესრეთ იტყვიან, ქვეყანასა ზედან სამოცდაერთი ზღვა არის და ყოველნი მას შიგან შეიყრებიანო. ერთსა ალაგსა ზღვა ბრუნავს და

მისგან ესეთი ხმა გამოვალს, რომე სამისა თვისა სავალსა გაიგონება. მის სიახლოვესა ერთი მაღალი კლდე არის, რომლისა თავი ღრუბელთა მიახლებულა, მას ზედან ციხე არის ნაგები, რომელ მისი აღება მტერთაგან შეუძლოა. მას სახელად ყამარდალ ჰქვიათ. ათარ დევი მას შიგან შესულა და პყრობილნიცა მუნ მიუყვანია.

რა ყარამან ესე მოისმინა, ეგრე თქვა: აწ ღონე რამე ძებნეთ, რომე მას ალაგსა მიმიყვანოთ, იგი ბილწი დევი შევიპყრა ანუ მოვკლა და ტყვენი ხელთა მისთაგან გამოვიხსნათ. ბამანარამან მოახსენა: ჰე, ფალავანო, მისი სიკვდილი კაცთაგან არა ეგების ამისთვის, რომე მას იარალი არა მოეკიდებისო. ყარამან თქვა: მისი სიკვდილისა ღონე ვითარ ეგებისო? ბამანარამ მოახსენა: ჰე, სარდალო, მეცნიერნი ესრედ იტყვიან: ათარს ესრეთი ვინმე მოჰკლავს, რომე იგი დევის გვარისა არა იყოსო. იგი უნდა წარვიდეს, რამინის საფლავი გახსნას, მისი მშვილდისარი ამოიღოს და მისი ბეჭედი თითსა წამოიცივასო. მისი ისარი ჰკრას და მით მოკვდებისო. თვარამ სხვით მისი სიკვდილი არა ეგებისო. ყარამან იკითხა: რამინის საფლავი რომელსა მხარესა იქნებისო? მან ეგრე მოახსენა: ზღვასა შიგან ერთი კუნძულია და მას ალაგსა არისო. ერთხელ ათარს გაველო და რა იგი საფლავი ენახა, ორმოცი ათასი ხვადი დევი მის საფლავისა მცველად დაეყენებინა და აწ იგინი მას საფლავსა სცვენ. მაგრამ ადამისა ბეჭედი სხვასა ალაგსა არისო.

ერთი რამინის ნათესავი ქალი იყო დიდად მოღვაწე, რომელსა სახელად ზაიდ ხანუმ ეწოდა. იგი ბეჭედი მას ჰქონდა და მის გამოის დევნი და ფერიანი ერთობით მსახურებდნენ. ჰე ფალავანო, მე ერთი დედიდა მყავს, სახელად ქალამ ჰქვიათ. ესეთი მეთილისმე და გრძნეულობისა მცოდნელი არის, რომე მისებრი ქვეყანაზედან არა იქხები-სო. დღესა ერთსა იგი გრძნეული ზაიდ ხანუმთანა მივიდა და მისსა სამსახურსა ცდილობდა. ანაზღად გრძნებითა თილისმა რამე უყო, ბეჭედი იგი მოპარა და წამოიღო. მის უამითგან აქამომდე, მის ბეჭედისა გამოით დევთა და ფერიათა იმსახურებსო. აწ, ფალავანო, შენ რამინისა საფლავსა მიდი, იგი დაარღვიე, მისი მშვილდ-ისარი ხელთა იგდე, მე ჩემსა დედიდასთანა წავალ. ნუთუ იგი ბეჭედი ვიხელთო. რა ბამანარამან ესე თქვა, მასვე წამსა გამოესალმა და წავიდა. სამან აღამიანთ ნათესავმან და ფარმან ბარყუმ მფრინველმან ყარამან ჰაერში აღიყვანეს და რამინისა საფლავისაკენ გაემართნეს. მრ-

გალი ზღვა და ხმელი გარდავლეს და გზასა ზედან მრავალი საკვირ-  
ველი სახილველი იხილეს.

აწ შემოკლებით მოგახსენოთ: მეხუთესა დღესა მას  
კუნძულსა მიახლოვდნენ. სამან მოახსენა: ფალავანო, საფლავი რა-  
მინისა ამა ალაგსა არისო. მივიდნენ და მას ალაგსა გარდახდნენ.  
იხილეს მინდორი ყვავილოვანი და ჰაერი კეთილი. ვლეს მცირე  
ზანი და რამინის საფლავსა მივიდნენ. ერთი მეიდნისა ოდენი ალაგი  
სრულად რკინითა მოქედილი იყო. და მისსა შუაგულობასა ლოდი  
დიდი იყო ამართული და თილისმითა შექმნილი ესრეთ, რომე სრუ-  
ლად ცეცხლი ეგზებოდა და ალი მისი ღრუბელთა შესცილებოდა.  
რა ესენი მას ალაგსა მივიდნენ, მაშინ დევმან იფრთმან იგრძნა მის-  
ვლა მათი. მასვე წამსა ორმოცი ათასი დევი თანა იახლა და საომრად  
ჰოედანსა გამოვიდა. აქათგან ამათ შეუტივეს და იქილამ დევთა  
ჰომართეს. შეიქნა ომი ფიცხელი. დევთა თავი ხის ფურცელივით  
ცვიოდა მიწასა ზედა.

იფრით დევი ყარამანს შემოხვდა, ეგრე შემოსძახა: თუმცა ფო-  
ლადისა გული არა გაქვს, შენ აქა მოსვლა ვითა გაბედეო. ესე თქვა  
და ლახტი შეუმაღლა. ფალავანმან სწრაფად ფარი მიაგება და იგი  
მოქნეული მას ფარსა აატანინა. კვალად ორიცა სხვა სცა და მას  
ნაყრავთა ფალავანი უვნებლად გარდაჩა. აწ რიგი ყარამანს ერგო.  
ბასრი ხმალი მოიწოდა, დევსა თავსა ესეთი შემოჰკრა, რომე იგი  
ბილწი ორად გაჰკვეთა. მისნი მხილველნი და მის თანა მყოფნი  
რამინის საფლავსა მივიდნენ. იგი საფლავი ესრეთ სწრაფად ბრუნე-  
და, რომე კაცის თვალი ვერა მოსწვდებოდა. კედელნი იყვნენ ტურ-  
ფად ნაგებნი და მას ზედან სახენი უცხონი გამოსახულნი.

ყარამან სამანსა კითხა: ესე სახენი ვისი იქნებისო? მან ეგრე  
მოახსენა: ესე შეთილისმეთა სახე არისო. ოდეს ამა საუბარსა იყვნენ,  
— კაცი ვინმე მოვიდა, ხელთა რვალისა ბურთი ეპყრა. სამანს ესროლა  
და თვით უჩინო იქმნა. რა სამან ესე იხილა, პირუტყულმა სამოც ნა-  
ბიჯსა უკუხლტა, ბურთი იგი ტყორცილი სამანისა ნაალაგევსა ეცა,  
მიწა გააპო და შიგან შთავარდა. ამისგან გაკვირვებული ყარამან მის  
თილისმისა შემამზადებელსა ქებასა შეაახმიდა და სამანისა სიფიცხე-  
ცა მოსწონდა.

აწ ამბავი ესე დაუტეოთ და მცირე რამ სხვა  
ამბავი მოვილოთ: ოდეს ბამანარა ყარამანს გაეყარა და ადა-  
მისა ბექდისა საშოვნელად წარვიდა, თვისსა სრასა მივიდა და თვისსა

დედიდისათვის მრავალი უცხო საძღნოდ მისართმევი მოამზადა. აღო-  
რა დაიყოვნა, სწრაფად წარვიდა. რა მთასა ცეცხლისასა მიახლოვდა.  
მასვე წამსა ქელაშ მეთილისმესა აცნობეს, ვითა, დისწული შენი  
ბამანარა მოვალსო. ამა ამბისა მსმენელი ქელაშ დიდსა სიხარულსა  
მიეცა და წინა მიგებებად აემზადა. რა მან ერთმანერთი იხილეს,  
მეთილისმე ყელსა მოეხვია და ეგრე უთხრა: ჰე, თვალთა ჩემთა  
ნათელო, რა მოხდა ესე, რომელ ჩემდა სახილველად მოხვალო?  
ფალავანი იგი, რომელ ადამიანთა სამყოფთაგან მოსულიყო, რა იქ-  
ნაო? მან ეგრე უპასუხა: იგი ფალავანი მამამან ჩემმან მოკლაო. მე  
ნახვა შენი მომსურდა და აჰა აქა გეახელიო. ამისი მსმენელი ქელაშ  
დიდად იხარებდა. ბამანარა წარიყვანა და თვისსა სამყოფსა მივიდ-  
ნენ. დევნი და ფერიანი წინა მიეგებნენ. ქელაშ სუფრის მოღება  
ბრძანა. მოიღეს და წინა ნადიმი დაიდეს და ლხინითა იხარებდნენ.  
რა ღვინისა სმითა ზარხოში შეიქმნენ, ქელაშ მეთილისმემან თქვა: მე  
დავებრდი და მრავლისა ღვინისა სმა აღარა ძალმიცსო. აწ მოსასვე-  
ნებლად წავალ და თქვენ ლხინითა შეექცეითო. რა ბამანარასა ესე  
ესმა, ესრეთ არქვა: ჰე, დაო დედისა ჩემისაო, მე ნახვისა შენისათვის  
ვზასა ზედან მრავალი ქირი მინახავს და შენ ჩემისა გულისათვის  
ერთსა ღამესაცა ლხინითა არა შეექცევი. მე ცხოვრებასა ჩემსა შენ  
ველარა გიხილავ, ვინათგან შენ ჩემი სიყვარული არა გქონია, მე აწვე  
წარვალო.

რა ესე თქვა, ზე ადგა. მაშინ მეთილისმე იგი ყელსა მოეხვია და  
ეგრე ეტყოდა: სიცოცხლისა ჩემისა სარჩეო, ძეო დისა ჩემისაო! ნუ  
წახვალ, ნახვითა შენითა მახარე. მეცა ამას ღამე შენთანა ვიქნებო.  
აგრევე დასხდნენ და ღვინისა სმასა ხელი მიჰყვეს. მეტისა სმითა  
ქელაშ უღონო იქმნა. რა ნადიმი გაიყარა, ანაზღად თილისმა რამე  
ქმნა და სახლსა რომელსა ისხდნენ, იგი სახლი და მას შიგან მსხდომ-  
ნი ჰაერში აღვიდნენ. და წალკოტი ტურფა გამოუჩნდათ. თურმე ეს-  
რეთ იყო ჩვეულება მისი ამისთვის, რომე ბეჭედი რომელი აქვენდა,  
იმისის მოპარვისა ეფიქრებოდა. ამისი მხილველი ბამანარა დიდად  
შეწუხდა. მეთილისმემან ეგრე უთხრა: სულთა ჩემთა უსაყვარლესო!  
ნუ შეიჭირვებ, ამას ღამე აქა განისვენე, ხვალე ექვს ათასს დევს  
თანა გაახლებ და რუბე მასკუნი ინადირეო.

რა ბამანარას ესე ესმა, მივიდა და ხელსა აკოცა. რა მცირე ხანი  
გამოხდა, ქელაშმა კვლავ თილისმა რამე უქმნა და მას ვარდისა  
წალკოტსა ტახტი დაიდგა ოქროსა. ბამანარას ეგრე უთხრა: მაგა



ტახტსა ზედან მოისვენე და მფრინველთა ზმასა უცხოთა ისმენდიო. მეცა ჩემსა ხალვათსა საწოლსა შევალ და მცირეს ხანსა მოვისვენებო. მას დევსა ერთი მცირე სახლი გაეკეთა, კედელი მისი სრულად ფოლადისა იყო, მისგან კიდე მას სახლსა ვერავინ შევიდოდა. ბეჭედი იგი, რომელ აქნდა, დღისით თითთაგან არა განიშორებდა, ღამე კოლოფსა ჩასდებდა და უბეთა შინა შთაიდებდა. რა ქელაშისა თქმული ბამანარას ესმა, გულსა შინა თქვა: თუ ჩემსა საქმესა სწრაფად არა ვეცადე, უთუოდ მამის ჩემის ამბავს შეიტყობს, მაშინ საქმე საძნიადო გახდებაო. მაშინ პირფერობა რამე იხმარა, თვალთაგან უხვად ცრემლი გარდმოადინა და ეგრე თქვა: ვაი ჩემდა, რამეთუ ესდენი ჭირნახულობა გამიკუდდა, თუცა ასე მაღიად გაგეყრებოდი, მიჯობდა ეგრევე შორად ვყოფილიყავ!

რა ქელაშმა ბამანარა მტირალი ნახა, ხელსახოცი ამოიღო და თვალთაგან ცრემლი მოსწმინდა. ეგრე უთხრა: ჰე, სასურველო ჩემო! ვინათგან შენ ჩემთანა ყოფა გსურის, წარმოვედ და ჩემსა საწოლსა მოისვენეო. მასვე წამსა წარვიდნენ და მას ფოლადისა შექმნილსა სახლსა შევიდნენ. ქელაშ მეთილისმემ თილისმა რამე ქნა, ვეშაძი დიდი მოვიდა და მას სახლსა გარე შემოეხვია. მეთილისმემან ბეჭედი იგი თითთაგან წაიყარა, კოლოფსა შთადვა და მას ვეშაძსა თავსა დაადვა. მის საწოლისა კარსა ორი რვალისა ლომი მეკარეთა დაეყენა. ტურფად კეკლუცი მხევალი ნაზისა ქცევითა შემოვიდა, ქვეშსაგები ძვირფასისა ფარჩისა გაშალა და ეგრევე გავიდა. ორნივე მივიდნენ და საძილოდ დაწვნენ.

რა მეთილისმესა დაეძინა. ბამანარა მსწრაფლად ზე წამოიჭრა და ქელაშს თავი ტანისაგან განაშორა. რა იგი მოკლა, მისი თილისმაცა განქარდა. ბეჭედი ადამისა კოლოფთაგან ამოიღო და თითსა წამოიკცა. მაშინ მის ქვეყანისა დევნი და ფერიანი ერთობით მოვიდნენ და ბამანარას სამონოდ დამეორჩილნენ. ოთხ ათასთა ხვადთა დევთა ქელაშისა ოქროსა ტახტისა აღება უბრძანა. იგინი სამსახურად ჰოეშადნენ. ბამანარა მას ტახტსა დაჯდა, ორმოცი ათასი იფრითი დევი, რომელნი პირთაგან ცეცხლსა აწვიმებდნენ, ოთხასი ათასი ათეშდალის დევები თანა საახლებლად აემზადნენ. იგი ოქროსა ტახტი პაერში აღიტაცეს და რამინის საფლავისაკენ გაემართნენ.

**ამა ჰარამანისაგან მრავალთა ღვთა ამოწყვეტა,  
რამინის საფლავის გახსნა და მის მშვილდ-ისრის  
გამოტანა**

ოდეს რამინისა საფლავისა მცველნი ღვენი ფალავანმან დაამარცხა და იფრით წოდებული ღვეი მოკლა, გარდახვეწილნი ღვენი ათართან მივიღენ. უამბეს რისხვა ღვთისა, მათ ზედან მოვლენილი და სიკვდილი იფრითისა გამოუცხადეს. ამისი მსმენელი ათარ ღვეი მწუხარისა გულითა ამას იტყოდა: ვაი, თუ სიკვდილი ჩემი ამა კაცი-საგან მოხდესო. ამისთვის მეშინის, რომე ერთხელ სიზმარსა შიგან ესრეთ მითხრეს: სიკვდილი შენი მისგან მოხდების, რომელსაცა ადამის ბექედი თითთა ეცვასო და რამინის მშვილდ-ისარი ხელთა ეპყრასო. მაგრამ ამისთვის არასა ვინაღელი, რომე ვის ძალუცს ქელაშისა სიკვდილი და მის ბექედისა ხელთა გდება, ანუ ვინ დაარღვევს თილისმასა რამინისასა, რომე მისი მშვილდ-ისარი იხელთოსო.

ათარ ღვეისა ძმა ვინმე იყო, რომელსა სახელად თანუზ ეწოდა. ათარმან მას უბრძანა: ძმარ ჩემო, ისმინე ესე თქმული ჩემი და აღამალღე სახელი შენი. აწვე ორასი ათასი ხვალი ღვეი თანა იახელ, რამინისა საფლავსა მიდი, იგი მიწათაგან შობილი ადამიანი ფალავანი შეიპყარ და აქა მომგვარეო. ამისი მსმენელი თანუზ სწრაფად აემზადა, ორასი ათასი ნარა ღვეი თანა იახლა და ყარამანისა საომრად გაემართა. ჩქარისა სიარულითა რამინისა საფლავისა სიახლოვესა მიაწიეს. მაშინ ყარამან ფალავანმან ბარყუშსა და სამანს ეგრე უთხრა: მოყვანსო, მზად იყვენით, რომე საომარსა მხარსა მერჩისო. მასვე წამსა სამან ზე ადგა და სწრაფად იგი მინდორი მოვლო. ნახა ღვეთა ლაშქარი მომავალი, საჩქაროდ უკმოიქცა და ყარამანს მოახსენა: ფალავანო, ათარ ღვეის ძმა თანუზ ორასის ათასის ხვადის ღვეითა აგერა ახლოს მოვარო.

ფალავანი განრისხებული წამოიჭრა, ბასრი ხმალი მოიწვავდა და ღვეთა ომსა ესწრაფებოდა. რა ღვეთა შემოხედეს, ვინცა წინათ მისსა ბრძოლასა დასწრებოდა, იცნეს ჭაბუკი სწორუპოვარი მათად ბრძოლად გამზადებულ იყო. ღვენი ერთი მეორესა ეტყოდნიან: ვის ძალუცს ამა ფალავნისა ომის გასწორებაო?! თანუზ თქვა: ამათი ომი ძნელი არის, ჰაერში აღვიღეთ, ქვა დაუშინოთ და მით დავხოცოთო. მასვე წამსა ჰაერში აღფრინდნენ და ლოდი დაუშინეს. სამანმან ფალავანი ერთსა ალაგსა შეაფარა. ღვეთა ეგოდენი ქვა დაუშინეს და

შთამოყარეს, რომე იგი მინდორი სრულად აღავსეს. რა ქვე შთამო-  
გინენ და ფალავანი უენებლად ნახეს, მძიმესა ლახტსა ხელი მიჰ-  
ყვეს და ყარამანს შემოუტიეს.

მოკლედ მოგახსენოთ: სამსა ღღესა და ღამესა მოუსყე-  
ნებლად იბრძოლეს. ფარმან ბარყუმ მფრინველი ფალავნისა ზურგსა  
ინახვიდა და სამანცა მედგრად იბრძოდა. ანაზღად ჰაერით ღვეთა  
და ფერიათა ხმიანობა შემოესმათ. რა ზე აიხედეს, მათსა სიმრავლესა  
ჰაერი სრულად დაებნელებინა. ოქროსა ტახტსა ტურფად მორთული  
ვინმე ჯდა. და ეგრე ჰაერში მოჰქონდათ. რა ოდეს თანუზ და მას  
თანა მყოფმან ღეფებმან იგი დაინახეს, ომსა მოეშალნენ და მის  
ტახტისაკენ გაემართნენ. ყველაკამ ერთობით თაყვანი სცეს და ხელი  
გულთა დაიწყვეს. რა ყარამან მათი ეგრე ქცევა ნახა, ღიდად გაუ-  
კვირდა და ეგრე თქვა: ნეტარ ვინაა ესე ტახტსა მჯდომი, რომე ესე  
ოდენნი ღეფნი და ფერიანნი ემონებინაო. სამან მოახსენა: არა ვიცი.  
თუ ვინაა, მოვედ მცირედ აქა მოისვენეთო. მასვე წამსა მას აღავსა  
დასხდნენ.

რა ცოტა ხანი გამობდა, ღვეთა ოქროსა ტახტი ქვეყნად შთამოი-  
ღეს. მას ზედან მჯდომი აღმასისა სამოსლითა მოსილი იყო. ზე ადგა  
და ფალავნისაკენ წარმოვიდა. მარჯვნივ და მარცხნივ ღეფნი და  
ფერიანი მძიმედ მორთულნი მოსღვედიან. ზე ადგა და წინ მოეგება.  
ბამანარამ პირი მიწასა დასდვა, ფალავანი დალოცა და ქება შეასხა.  
ბეჰელი ადამისა მოიღო და ყარამანს მიართვა. გვიან მოსვლისა-  
თვის ბოღიშსა ითხოვდა. ყარამან შადლი გარდაიხადა, ბეჰელი გა-  
მოუღო და თითსა შემოიცივა. მას ბეჰელსა სამი თვალი ჯდა. პირველ-  
ზედა ღვთისა სახელი ეწერა, მეორეზედან ადამისა, მესამეზედან რა-  
მინისა. იგი თვალნი ესრედ ანათებდნენ, რომე არა შეიგებოდა თუ  
რა იყო. ბამანარა მოუყვა მის ბეჰელისა შოვნისა ამბავი, მოახსენა  
წვლილად. ფალავანმან ქება ღიდი შეასხა.

მერმე უბრძანა: ამა თილისმისა საქმე ვითა იქმნებისო? ბამანა-  
რამან მოახსენა: ფალავანო, მე მაგისი ამბავი არა ვიციო. ზაიდ ხანუმ  
არის რამინისა ნათესავი, ამა თილისმისა დარღვევისა ამბავი მან  
უწყისო. ფალავანმან ჰკითხა: მაგა რომელსა იტყვი, რომელსა ქვეყა-  
ნასა იქმნებისო? მან ეგრე მოახსენა: მისი სამყოფი მთა შოვისა  
არისო. რა ყარამან ესე ესმა, სამანს ეგრე უთხრა: ჰე, მწეო ჩემო  
შოყვასო, ესე არს ჟამი შენის გარჯისაო. მასვე წამსა სამან ზე ადგა,  
თაყვანის სცა და მასვე წამსა თვისითა გრძნებითა ჰაერში აღფრინდა

და ქარისაგან უმაღლე წარვიდა. მას ალაგსა მიიწია, საცა ზაიდ ხანუმის სამყოფი იყო. მის ქვეყანისა ერნი სამანს წინათვე იცნობდნენ, შექნეს წუხილი დიდი და მას იტყოდნენ: ესე ქვეყნისა მამობელი გივი მარასის საპყრობილითგან ვის აღმოუყვანიაო? სწრაფად წარვიდნენ და ესე ამბავი ზაიდ ხანუმს აცნობეს.

მასვე წამსა იგი ზე ადგა და საწოლით გარე გამოვიდა. სამან ჰაერით ქვე შთამოვიდა და ზაიდ ხანუმს წინაშე პირი მიწასა დასდგა, დალოცა და ქება შეასხა. მივიდა ხელსა აკოცა, ყარამანის მაგიერ სალამი მოახსენა და მისი ამბავი ყოველივე უამბო. რა ესე ამბავი ზაიდ ხანუმს ესმა, ფიცხლავ ორმოცი ათასი ფერია თანა იახლა და რამინის საფლავისაკენ გაემართა. რა მის ალაგსა მივიდნენ, საცა ფალავანი იყო, ჰაერით ქვე შთამოვიდნენ. ყარამან წინა მიეგება. ნახა ზაიდ ხანუმ ტურფისა სახისა მქონებელი, მაგრამ მრავალ წელთა გამოვლილობა დაწვთა დასჩნეოდა. მისსა სიახლოვესა მხეცრეულთ ვინმე კაცი მოვიდოდა, რომელი მეცნიერობითა სრულობდა. სამან-ძან ზაიდ ხანუმს მოახსენა: ესე არს ლომი იგი ლომთა ყარამანიო. ნახა ჰაბუკი შვენიერი, მტერთა ზარისა დამცემი მისკენ მომავლობდა. რა ახლოს მივიდნენ, ერთმანერთსა მიესალმნენ და ტკბილითა საუბრითა მოიკითხეს.

ფალავანიცა კარგმოუბრითა ენითა მადლობასა ეტყოდა. ესე-გვართა საუბრითა რამინისა საფლავსა მივიდნენ. ნახეს საფლავი თილისმითა მორთული, ესრეთ სწრაფად ბრუნვიდა, რომე მისსა სისწრაფესა თვალი კაცისა ვერ მოსწვდებოდა. ჟალავანმან ზაიდ ხანუმს ჰკითხა: მასწავე, ესე თილისმა რითა დაირღვევისო? მან ეგრე მოახსენა: ისმინე სიტყვა ჩემი, რომელი აწ შენდა მოხსენებულ ვაყო. ამა თილისმისა დარღვევა ესრეთ იქმნებისო: რა აღმოსავლით მზე აღმოხდეს, მაშინ თვალი ადევნე და ესე საფლავი ორმოცჯერ რომ დატრიალდეს, დათვალე და საცა მეორმოცედ დატრიალდეს და ზედ ჩრდილი მიადგეს, იგი ალაგი დაისწავლე. მიდი და მას ალაგსა მოთხარე. მისსა თხრასა შიგან ფარსა ჰპოებ დიდსა რვალისასა. იგი აღიღე და საფლავისა შესავალი გზა დაგზვდება, მაგრამ მას შიგან შესვლა დიდად საჭირო არისო.

მას ღამესა მასვე ალაგსა განისვენეს და რა ცისკრისა ჟამი მოახლოვდა, დევთა და ფერიათა ლაშქარნი მის საფლავისა სიახლოვესა საჭკრეტლად დადგნენ და ამას იტყოდნენ: ვის ძალუცს ამა თილისმისა დარღვევაო. ოდეს საწუთროსა მაშვენებელმან მზემან თავდ

ამოკყო, აღრიცხეს მის საფლავისა ბრუნვა, რა მეორმოცედ მობრუნდა, მისი ჩრდილი ერთსა ადგილსა მიადგა. მასვე წამსა იგი ალაგი მოთხარეს, ფარი კპოეს დიდი რვალისა შექმნილი. რა იგი აღიღეს, კარი გამოჩნდა და მაზედან კიბე მიდგმული. ფალავანმან გივი მარასის გურზი ბუდისაგან აღმოიღო და იგი მიდამო სრულად განათლდა. ყარამან კიბესა ახდა, იგი კარი დაღეწა და შიგან შევიდა. სამან, ზაიდ-ხანუმ და ბამანარა უკანა მისდევდნენ.

ნახეს სახლი ტურფად ნაგები და ტახტი შიგან ოქროსა მდგომი. მის ტახტისა ძირსა ჩარხი იყო საკვირველად მომართული და მის გვერდით ქაჯი იდგა, ხელთა ლახტისა მქნეველი. ლახტსა მას ჩარხსა მდგრად სცემდა და იგი საფლავი მით ბრუნვიდა. ფალავანმან უთხრა: ქაჯო, მცირეს ხანსა მაგა ჩარხისა ცემასა მოეშალე. მან პასუხად უგო: ჰე, ფალავანო ყარამან, უკეთუ ეს ჩარხი ბრუნვისაგან დავაცხო, ესე საქმენი სრულობით მოიშლებისო. ფალავანმან უთხრა: ქაჯო, რასა მიცნობ, რომე მე ყარამან ვარო? მან ეგრე მოახსენა: მე ღვთისა მოსავი ვარ, ერთხელ ენუქ წინასწარმეტყველის წერილსა შიგან ვნახე, ესრეთ ეწერა, რომე ფალავანი ყარამან მოვალს და ამა საფლავსა იგი დაარღვევსო.

ფალავანმან უბრძანა: შენ აქა ვინ დაგადგინაო? ქაჯმან მოახსენა: მე ათარ დევისა ბრძანებითა აქა ვიმყოფებო. კვალად ყარამან უთხრა: ამა თილისმისა დარღვევა ვითარ ეგებისო? მან ესრეთ უპასუხა: უკეთუ შენ ეს ჩარხი დაღეწო, თილისმაც ესე განქრებისო. ფალავანმან თვისი გურზი ესრეთ მდგრად შემოჰკრა, რომე იგი ჩარხი სრულობით შეიმუსრა. მისსა დაღეწაზედ ესეთი ქარი აღდგა და ესეთი საშინელი ხმიანობა შეიქნა, რომე ცისა ქვეყანასა დაცემისა ხმასა გვანდა. რა ქაჯმან ესე ნახა, მიწასა ზედან დაემხო, ქება შეასხა და ესრეთ მოახსენა: მოკმატოს ღმერთმან მკლავთა შენთა ძლიერება, რომელ მე ამა შეჭირვებისაგან დამიხსენიო. შემდეგ ყარამანმან ჰკითხა: ამა საფლავისა გზა რომელი არისო? ქაჯმან ღერეფანი რამე უჩვენა და უთხრა: მანდეთ გავლეთო. რა ფალავანმან მცირე წაიარა, კედელი იყო მურასად ნაგები და კარი მისი ქვისაგან პატიონისსა შემზადებული და ზედან ოქროსა ალყანი ებნეს. მას ზედან ესრეთ ეწერა: „ვინცა ალყა ესე მოვლიჯოს, კარიცა ესე გაელეზბო“. მაშინ ფალავანმან ალყა იგი კარისა გამოვლიჯნა და კარი სწრაფად გაეღო. ხმა რამე საშინელი გამოხდა.

რა შინა შევიდა, ველი იყო ტურფა, მნახავთა მოსაწონარი და

კუბო იდგა ოქროსი, რომელსა ასოთხმოცი წყრთა სიგრძე ჰქონდა და ზედან თილისმა რამე დაწერილი ეკიდა. ცალსა მხარესა სახე იყო კაცისა გამოხატული და მეორესა გვერდსა ესრეთ ეწერა: „ჰე, ფალავანო ყარამან! თდეს შენ აქა მოხვიდე და ესე თილისმანი შემუსრო და საქონელი ესე იხილო, სიამპარტავენე გულსა შენა არა შთაგივარდეს. მშვილდი და ისარი ჩემი აიღევე და ათარ დევი მაშინ ხელითა შენითა მოკვდებისო. რა საწადელი შენი აღგისრულდეს, მშვილდი და ისარი ჩემი კვალად აქავე დააწყე ამისათვის, რომე სხვასაცა ფალავანსა გამოადგებისო. ესე თილისმანი აგრევე თვის-თვის ალაგსა გაამაგრე, რომე უწმინდურმან კაცმან საფლავი ჩემი არა დალახოს“.

რა ფალავანმან იგი ნაწერი აღმოიკითხა, მიმოიხედვიდა, მშვილდსა და ისარსა რამინისასა ეძებდა, მაგრამ ვერა სადა ჰპოვა. მაშინ თილისმა იგი კუბოსა ზედან კიდებული შემუსრა. მისგან ესეთი ხმა გამოხდა, რომელ მისნი მსმენელნი ცნობასა მიხედებოდნენ. რა მცირე ხანი გამოხდა, ფარმან ბარყუშ მფრინველი და მას თანა მყოფნი მას ალაგსა შევიდნენ და ფალავანსა ქება დიდი შეასხეს, მერმე ყარამან ზაიდ ხანუმს უბრძანა: მშვილდი და ისარი რამინისა სად უნდა იყოსო? მაშინ ქალი იგი წინა წაუძღვა და სახლი ერთი დაბეჭდილი უჩვენა. ფალავანმან სწრაფად გააღო და შინა შევიდნენ. თურგ ჯაბახანა რამინისა იგი იყო. ყოველი მისი სამამაცო საქურველი მას შიგან ეწყო. ერთი ფოლადისა ზანდუკი იდგა მრავლითა თილისმითა და კლიტითა დაკეტილი. ზაიდ ხანუმ მივიდა, კლიტენი იგი დაღეწა, ზანდუკი გააღო, მშვილდი და ისარი აღმოიღო და ყარამანსა ხელთა მისცა. მშვილდი იგი მარტორქისა იყო, რომელ მისებრ სხვა აღარა იქნებოდა. ფალავანმან მისსა გამკეთებელსა ქება დიდი შეასხა.

მუნითგან გამოვიდნენ და წასასვლელად გაემზადნენ. ბამანარამან მოახსენა: ფალავანო, ამა ოქროსა ტახტსა დაბრძანდი და ესე დევნი ჰაერში აღგიყვანენ და მას ალაგსა მიგიყვანენ, საცა შენ დავიმართებაო. ყარამან ბრძანა: მე თავსა ჩემსა დევთა ხელთა შიგან არა ჩავადებ, აგრეთვე ფარმან ბარყუშ მფრინველი წამიყვანსო. რა ესე მფრინველსა ესმა, ფალაურისა ენითა მოახსენა: ფალავანო, ჩემი საგონებელი მარადის ესე იყო, რომე ვაითუ ყარამანმან მე აღარა მომიგონოს. აწ ვმადლობ ღმერთსა, რომე სამსახური მიბრძანეო!

რაღასა ვაგრძელებდე, ფალავანი მფრინველსა შეჯდა, ბამანარა და ზაიდ ხანუმ მას ოქროსა ტახტსა დასხდნენ. იგი ტახტი ფერიითა ჰაერში აღიტაცეს, მფრინველიცა აღფრინდა და ქუთი-ყამარისაკენ გაე-

პართენ. ათარ დევი მას ალაგსა ლზინსა და განსვენებაში იყო და შიში მტერისა გულსა მისსა არა იპოებოდა. ანაზდად და მსწრაფლად დევი ვინმე შევიდა და ეგრე თქვა: ვაი, წახდა დევთა სახელიო. ყარამანსა რამინის თილისმა დაურღვევია, მისი მშვილდ-ისარი ხელთა უგდია, ზაიდ ხანუმ, ბამანარა, სამან ფალავან, ბარყუში. ურიცხვითა დევითა და ფერიათა მოდიანო. ასულსა შენსა და შენი მოუკლავს და ბეჭედი ადამისა ყარამანისათვის მიუტიაო. და ეგრე მოვლენო.

რა ათარ დევმან ესე მოისმინა, თვალთაგან ცნობა მიეფანტა და ვითა ფურცელი ქარისაგან, ეგრე თრთოლა დაიწყო, ღონე ველარ სძებნა, თუ რა ექნა თავისა თვისისათვის. მაშინ თანა მხლებელმან დევებმან მოახსენეს: ჰე, ხელმწიფეო ქუი-ყამარისაო! რა მოუძღურდი ესრეთ, აწ ბრძანე, ლაშქარი შეკრბენ, წინარე მივეგებოთ და ბრძოლა გარდავიხალოთო. და ანუ ბრძანებასა მისსა დაემორჩილე და თაყვანის ეციო. ათარ უპასუხა: ეგე ვითარი სიტყვაა, რომელსა პეტყვით? ხელმწიფესა რამინს არა დაემორჩილდი, რომელი ყოველთა ხმელთა ზედან ბრძანებას გასცემდა, აწ ჩემგან ამისი დამორჩილება ვითარ ეგებისო? მათ შეკრებულთ დევთ მოახსენეს: ვინათგან შენ მას არა დაემორჩილები, მამ გულისტამ-ერამის ხელმწიფის ცოლი მიეც, იგინი ამა საქმისათვის მოსრულან, რა მაგას მისცემ, შუთთასა ამისგან განთავისუფლდებიო.

ათარ დევთა ხელმწიფემან ბრძანა: ჰე, დევნო, პურობილობისა ამისათვის რაერთი დევნი და ფერიანი ამოსწყდენ, რომლის რიცხვი არა შეიგება და ამას გარე ძმა ჩემი საყვარელი აქვალ და ძმა ჩემი სასურველი სურხავ. სიკვდილსა მიეცენ, რომელთა სისხლნი მეორედ მოსვლამდის ღალადებს. აწ ნამუსი და სახელი ჩვენი სად წახდა ცეცხლის ბრწყინვალეებისაგან? ეს ბრძანება არა კეთილ არსო! მაშინ გასცა ბრძანება და დევთა ლაშქარი შეკრბენ და მზად განწესდნენ. აწ მეორესა მხარესა ყარამან და ამხანაგნი მისნი ურიცხვის ლაშქრით ჰაერით მოვიდნენ. რა ათარ დევმან იგინი იხილა, მასვე წამსა ბრძანება გასცა, რაზმი დააწყვეს. მემარჯვენე და მემარცხენე განუწყვეს და საომრად დაემზადნენ. იგი ორივე ლაშქარი, ორთა ზღვათაებრ მღელვარენი, დადგნენ.

მაშინ ყარამან ერთსა თვისსა სარდალს უბრძანა წინ წადგომა და მალღითა ხმითა ხმა უყო: ჰე, დევნო! პურობილნი ჩვენი მოგვეცით და თქვენ მშვიდობით დაგიტევენთო. ამისმა მსმენელმან ათარ

დევმან შემოსძახა: მაგვეარსა უქნელსა საქმესა ნუ ოუბნობთო! რა ყარამანთანა სარდალი იგი მოვიდა და დევთა თქმული მოახსენა, მაშინ ყარამან დღად განრისხდა, ზე აღგა, ფარი და გურზი ხელთა აიღო და საომარსა მოედანსა გამოვიდა. ოდეს დევთა იგი იხალეს, სიცოცხლისავან უიმედო იქმნეს ამისთვის, რომელ ყარამანის შეომრობა მრავალი მოენახათ.

ყარამან მოედანსა შიგან ერთი ასეთი საომარი ხმა შესძახა, რომელ ცა და ქვეყანა შეიძრა. ათარ დევს ესრეთ შესძახა: ჰე, წყეულო დევო! აწვე შაფალი ფერის ცოლი და სხვანი ტყვენი, რომელი პყრობილად გყვანან, მომგვარე წავიყვანო, სხვა შენთან არა რა საქმე მისო. რითაცა რითმე ღონით მე ივინი არა წავასხა, არა ეგების და არც უიმათოდ ჩემი გარე შექცევა იქნებისო. მაშინ ათარ დევი წინ წამოდგა და ეგრე უთხრა: ჰე, მიწისა შვილო! ამათის გამოისად ერთი აქვალის თანა ძმა და შვილი და რამდენნი სახელოვანნი დევნი ამოსწყვიტე. ესენი ყოველივე მათის მიზეზით მოხდა, აწ მათი ჩემგან მოცემა ვითარ ეგებისო? უკეთუმცა ასი ათასი შენი მსგავსი მოვიდეს, ამათის ერთის თმისა მოწყვეტა არ ძალუცსო. არავის მათი ჩემი დამ ხელთა დახსნა არა შეეძლებათო.

ესე თქვა და ერთი მთისაოდენი ლახტი შეუშაღლა. ყარამან ქეიომარს ხელმწიფისა ლახტი შეუფარა, დევის ლახტი მას ლახტს მოხვდა. მის ხმისა მსმენელთა ესრეთ ეგონათ, მთები ძირითურთ აღმოიფხვრაო. ყარამან მას ლახტსა უვნებლად გარდაურჩა, მაგრამ ესეთი ძალი დაადგა, რომ კოჭებამდის მიწაში დაეფლა, მაშინ ყარამანმან ერთის მალღისა ხმითა შესძახა და მიწიდან მსწრაფლ აღმოხლტა. დევმა ნახა მის ძალიანის დაკვრითა რომ არა ევნო რა, მეორედ გაჯავრებულმან ლახტი რავდენჯერმე თავსა შემოივლო და ყარამანს თავზედან დაკვრასა უპირობდა. ყარამან იხილა, რომ მისი ლახტისა დადგომა აღარა ეგებოდა. მაშინ თვისითა სისწრაფითა შორად გაუსხლტა. დევმან ლახტი ყარამანის ნადგომს ალაგს მოახვედრა და ლახტი ნახევრამდინ მიწასა შიგან დაათლო. ესეთი მტვერი ავარდა, ჰაერი სრულობით მტვერმან დაფარა. ფალავანი მას მტვერსა შიგან დაიფარა და აღარა ჩნდა.

ათარ დევმან რა მტვერისაგან ყარამან ველარ დაინახა, ესრეთ ეგონა, რომე მიწათა თანა გავასწორეო. ესე გაუშვა და განრისხებული თავისის ქალისაკენ გაბრუნდა. მაშინ ყარამანმან ერთი ისეთი შესძახა, რომელ ცისა ქვეყანასა ზედან დაცემისა ხმასა გვანდა. მისნი



მომსმენელნი დევნი ყოველნი დაოცდნენ. რა ამა ხმასა ზედან ათარ დევმან მიიხედა, ნახა, ყარამან მთასავით უძრავად მოედანსავე შიგან იღვა და მისსა ერთსა თმასაცა არა ვნებოდა რა. დევი ააპიტსავით გაწყრა და მაშინცა ყარამანს მოუხდა და ლახტი მოუქცია. ყარამან ვეფხვსავით სიფიცხითა შორად გახლტა და იგი მოქნეული ლახტი დაიციდინა. ამისთა მხილველთა დევთა და ფერიათა ყარამანს ქეაა დიდი შეასხეს. რა რიგი ყარამანს ერგო, მაშინ შინაგანიდამ ესეთი შეაძახა. რომელ მისსა მსმენელსა ესრეთ ეგონათ, ქვეყანაა სრულობით ცეცხლი მოედვა და მეორედ მოსვლა გამოჩნდებო. დევებუ ერთობით ცნობა დაეფანტათ.

მას უამად შაფალი ფერის ცოლსა საპყრობილესა შიგან ეძინა. ყარამანის შეძახების ხმა ყურთა შინა ესმა. მაშინ თვისთა მცველთა ჰკითხა: ესე რა ხმიანობა იყო? იმათ ყოველივე უამბეს, რაცა ყარამანს დევთათვის ექმნა. მაშინ ყამარლუხს მცირე რამე იმედი მიეცა და ღმერთსა მადლობდა. -

აწ ამბავი ყარამანისავე მოვიხსენოთ: რა მოედანსა შიგან ყარამან მთასავით დამყარებული იღვა. მაშინ რამინ ხელმწიფისა ნაქონი მშვილდი და ისარი მოიმარჯვა და ხელთა მიიცა. რა ათარ დევმან მშვილდი და ისარი იგი დაინახა. მაშინვე შეიტყო, რომ მისი საქმე სად მიწეულიყო. ყარამან მშვილდსა ესეთი მოზიდა. რომე გოზა გოზასა მიაწვდინა. ისარი სტყორცა. დევს მკერდსა მოახვედრა და ბეჭთა შიგან გააგდებინა. ათარ დევმან ძაღლითა ხმითა შეიყვირა და მიწათა ზედან მთისა ოდენი გარდაიქცა და სული ჯოჯოხეთს მიაბარა. ყაფის მთისა დევებმან რა ესე ნახეს, ყოველთა ერთობით შემოუტყიეს. მაშინ ყარამან მშვილდი ადგილსავე თვისსა შთასვა და ბასრი ხმალი ქარქაშით ამოიწვავდა და დევთა შიგან გაერია. ეგოდენი დახოცა, რომე მკვდარი მკვდარსა ზედან ეყარა. მთისა ოდენი შეგროვდა, როგორც მელექსეთა უთქვამსთ:

დევი ეყარა ნახოცი, რიცხვი არ შეიგვიოდა,

თავ-ბაღნიანნი ძლარბს გვანან, გას ცეცხლი მოედებოდა:

აწ ყარამანის ამხანაგნიც მოედანსა შიგან გამოვიდნენ და დევთა ლაშქართა შიგან გაერივნენ. კარ. მოკალ. შეკარ, შეიპყარ! — ერთიმეორესა უძახდნენ. რა დევთა ველარა დაუდგეს, გასაქცევად პირი აქციეს. მაშინ დევთა ლაშქარი ერთობით გაიქცა და ციხესა შინა შევიდა. ყარამანც ველარ მოითმინა და დევთა უკან მიდევნით იგიც. ციხესა შიგან შეპყვა და ამხანაგნიცა მიახი თან შეპყვნენ. მაშინ რის-

ზევა ღვთისა ღვეებთა დაეცა და მრავალთა უფროსთა ღვეთა თავი მიწათა თანა გასწორდა.

რა ღვეთა ომისა ძალი აღარა ჰქონდათ, თანუხს წინ მოვიდნენ და თავი მიწათა დასდევს და ყარამანის დამონებას ევეღრებოდნენ, რათამცა სიკვდილისაგან ხსნილ იყვნენ. თანუხ მათი ზეეწნა ისმინა, იგინიც თან წაიტანნა და ყარამანის წინაშე მივიდა და მათი შუამაგ-ლობა მოისმინა. ყარამან შეცოდება მათი მიუტევა. მუნითგან წარვი-დნენ და ათარ ღვეისა სასახლეში მივიდნენ. ყარამან და ზაიდ ხანუშ ათარის ტახტსა ზედან აღვიდნენ და დასხდნენ. სხვათა ერთობით ღვეებმან ხელნი გულსა ზედან დაიწყვეს და ეგრე გარიგებით დაღ-ვნენ. ათარ ღვეის მასლობელთა, რაც ათარ ღვეს უცხო და უცხო საქონელი დარჩომოდა, ყოველივე ყარამანის წინაშე მოიღეს და მიართვეს. აგრევე მისნი ხაზინის კლიტენი, ყოველივე ყარამანს მართვეს.

მამინ ყარამან უბრძანა: ჰე, ღვენო, საპყრობილესა შინა მყოფნი ტყვენი სად არიანო. ღვეთ ერთობით მოახსენეს: აქა ახლორე მზად არიან. ყარამან მსწრაფლ აღდგა, ღვეები წინ წაიმძღვანა და საპყრო-ბილისა კარს მივიდა. ერთობით მცველნი მოვიდეს და ყარამანს ფერ-ხსა მოეხვივნენ. ყარამან კარი გააღო და მათ პყრობილთ სანახავად შევიდა. ნახა, მარმარილოს ქვით ერთი აივანი ნაგები, მის აივანს შუა ერთი პატიოსანი თვალი, რომელსა შამ-ჩირალად უხმობენ, მუნ იღვა. რომელ ღამესა შინა ღღესავით ანათობდა. და მას ალაგსა ორმოცდა-ათი ფერია დიდრონის ჯაჭვითა დაბმულნი იყვნენ და ერთი მშვენი-ერი ღიაცი ოქროსა ჯაჭვით დაბმული მუნ იყო. როგორც მოშაირეთ უთქვამთ:

არა თუ საპყრობილეა, სამოთხეს ემსგავსებოდა,  
გაზაფხულისა შვენება აროდეს მოაკლდებოდა:

მრავალ ჟამ საპყრობილეში ყოფით ფერი ზაფრანას დამსგავსებო-და. რა ყარამან იგი იხილა, გულსა შინა თქვა: ბარამის ღედა ყამარ-ლუხ ეს უნდა იყოსო. ყარამანმან მაინარას უბრძანა ჯაჭვების ახსნა და მის წინა მოყვანა. მან მსწრაფლ გახსნა და მოიყვანა. ყამარლუხ რა იგი შეყრილობა ნახა და მათ შუა ერთი საკვირველი მოწიფული ზის, გულსა შიგან თქვა: ფალავანი, რომელი თქმულა, ესე უნდა იყოსო. ყამარლუხ ვინათგან უწინვე მაინარას იცნობდა, ახლო წაუღ-ვა და ჰკითხა: ესე ფალავანი ვანაა. მაინარამ უპასუხა: ეს იგი ფალა-ვანია, რომელი კაცთა ნათესავთაგან მოსულა შენად საპყრობილით

გამოსახსნელად. რა ყამარლუხ ესე სიტყვა მოისმინა, ნაზის ქცევით წინ წადგა და ყარამანს ფერხთ მოეხვია, როგორც მოშაირეთ უთქვამთ:

მერმეცა დიდის თავაზით ბოდმის მომთოველია,  
სიტყვა სიმდაბლით შეკადრა, თვალის ვერ გამმართველია,  
კოკობი ვარდი გაშლილა, აწ ნამისაგან სველია,  
და თავმოხრით უსულიანი ფალავნის მაქებელია.

ყარამან უპასუხა: ჰე, დედავ! შვილი შენი ბარამ სოფელსა ამაა და მას საუკუნესა ძმა არის ჩემი. ვინათგან შენ დედა მისი ხარ, დედაცა ჩემი ხარო, რად ფერხზედ მომეხვით, მაგას ნუ იყო. ყამარლუხ რა ბარამის სახელი მოისმინა, ერთი ამოიოხრა და თქვა: ჰე, თვალთა ჩემთა სინათლევ ყარამან! უცხო გულისა ჩემისა სახარელი სიტყვა მითხარ და დაკოდირსა გულსა და გონებასა ჩემსა სალბუნი დასდევ. მე მხვეალი თქვენი დავარის ციხესა შიგან პყრობილ ვიყავ, შევიტყვე, რომ თავსა ძისა ჩემსასა მრავალი განსაცდელი მოვლენოდა. ჩინეთის ქვეყანასა თილისმისაგან ქვად ქმნილიყო. მის მიზეზისაგან მის ყამითგან აქამომდე ვტიროდი და ვიგლოვდი და არა ვიცოდი, საქმე მისი ვითარ მოხდა.

რა ესე სიტყვა ყარამანს ესმა, ყოველივე მას უკან ბარამის გარდასავალი თვითოეულად დედასა მისსა ყამარლუხს უამბო და მაშისა მისისა და სხვათა ფერიათაცა დახსნა უთხრა. რაც გარდახდოდა, ყოველივე აუწყა. რა ესე სიტყვა დაასრულა, მუნ საპყრობილეთა მყოფთა ფერიათა ყარამანის წინაშე პირი მიწასა გაასწორეს, დალოცეს და ქება შეასხეს. მაშინ ყარამანმან შაფალი ფერის ძმა ტახტსა ზედან დაიწვია და დასვა და თვითცა დაჯდა რაოდენიცა დევნი იყვნენ, მოვიდნენ და ერთობით ყარამანს დაემონნეს და ენუქ წინასწარმეტყველის მცნება ირწმუნეს. ერთგულნი და ერთსულნი შეიქნენ.

მასუკან ყარამანმან ბეჭედი იგი ზაიდ ხანუმს უბოძა და იგი ათარ დევისა ალაგსა გაახელმწიფა. თანუზს მისის ტახტის პირველი ფალავნობა უბოძა. ზაიდ ხანუმმა მასვე წამსა უშანგ-შას სახელობით: სიქა მოაქრევიანა. ყარამანმან მის სახელმწიფოს და ქვეყნის საქმე ყოველივე განაგო, მუნით გამობრუნდა და რამინის საფლავსავე მოვიდა. მშვილდი და ისარი ისევ ადგილს დააწყო და თილისმეზი, რომელი დაემტვრია, ყოველივე განაგო და მრავალი საღვთოდ ზვარაკი დაკლა. ყარამან ერთსა თვისსა ვაზირსა უბრძანა: რაცა მას ყამად

მისგან მომხდარ იყო, მას კედელსა ზედან დაეწერა. მან მასვე წამსა აღწერა.

რა საქმისაგან მოიცალა და მოისვენა, მობრუნდა და ფალავანთ უთხრა: აწ ეამი არიხ. რომ გულისტამ-ერამში წავიდეთო, მარა რომლისა გზით სჯობს წასვლაო? მოისს დიდს ბროლის მთაზე გარდმოვიარე და მრავალი შექირვება გარდავიხადე. აწ ვმადლობ ღმერთსა, რომე ესოდენი ლაშქარი მყავს. ხაჰს, რომე სხვასა გზასა წარვიდეთ, რომ ამათ შექირვება არ გარდაიხადონო. რა დევთა და ფერიათა ესე სიტყვა მოისმინეს. ესრეთ მოახსენეს: ჰე, ფალავანო! ბროლის მთის კიდე ჩვენ სხვა გზა არა ვიცითო. მასვე წამსა სამან აღამიანთა მონათესავემან თავი მიწასა გააწორო და მოახსენა: ჰე, ფალავანო ფალავანთო, მე მისგან კიდე სხვა გზა ვიცი, მაგრამ დიდად ძნელიათ. უკიანეს ზღვის ნაპირზე გაივლის. ცალ მხარეს ზღვაა და ცალ მხარეს ბნელეთით. შეიღს დღეს და ღამეს ბნელსა შინა სიარული გვინდაო. მრავალი უცხო კუნძული და საკვირველი სანახავი არისო.

რა ყარამან ესე მოისმინა, თქვა: გზა ესე კეთილი არისო. მასვე წამსა ბრძანა და გზისა თადარიკი იწყეს. ყარამან ბრძანება გასცა ყამარლუხის ტახტის გაკეთებისათვის. ერთი ასეთი ტახტი შეამზადეს, შიგნიდამ გარეთ მყოფნი ჩნდეს და გარედამ მას შიგან მჯდომსა ვერავინ იხილევდა. ორას ათასს დევს უბრძანა მის ტახტსა ზიდვა. ორას ათასს დევს უბრძანა აქვალ დევის და ათარ დევის ხაზინის წამოდება. ბოლოს შეიდასი ათასი დევნი და ფერიანი შეიყარენ და ყარამანთან საახლებლად იახლნენ. მაშინ ყარამან ყამარლუხთან მივიდა და მოახსენა: ჰე, დედაო, ბრძანეთ ტახტსა შინა მობრძანება და დაბრძანდით. ღვთით წაგიყვანო, შენს საწაღსა გულისტან-ერამში მიგიყვანო.

ყამარლუხ მოახსენა: ჰე, ორთა თვალთა ჩემთა სინათლეო ყარამან! იყოს ბრძანება შენით! ყამარლუხ ყარამანის ბრძანებით ადგა და ტახტი. რომელი შეემკოთ. მას შიგან ჩაჯდა. მარჯვნივ და მარცხნივ შაფალი ფერის ძმები დასხდნენ. ყარამან აგრეთვე ფარმან ბარყუშზე შეჯდა. ბრძანა ლაშქართა აყრა. დევნი მოვიდნენ და იგი ტახტი აიღეს. მუნ დასარჩომ ხალხს გამოესალმნენ. დევნი და ფერიანი ჰაერში აღფრინდნენ და იგი კუბოც აღიტაცეს. დიდის ბროლის მთის გვერდი გაიარეს და უკიანეს ზღვას დააკეკრდნენ. მრავალი უცხო სანახავი იხილეს. აგრევე იარეს და ბნელეთის სიახლოეს მიაწიეს. სამან აღამიანთა მონათესავემან მოახსენა: ჰე, ფალავანო, ხაჰს, რომ აქა გარდავხდეთ, ბნელეთის გზის საქმე გამოვარჩიოთო.

მასვე წამსა ყარამან ბრძანა და ყოველნივე გარდახდნენ. ყარამანისათვის ერთი ათარ დევის ნაქონი კარავი დადგეს, რომელსა შვილასი სვეტი უდგა. სხვათა ლაშქართაცა ადგილსა და ადგილს კარავნი დასცეს. თერამეტი ასი ათასი დევნი და ფერიანი მას მინდორსა დადგნენ. სამსა დღესა ბნელეთის გზისა საქმე არჩივეს და გაარიგეს. მის ზღვის კუნძულში მრავალი ძვირფასი თვალი პოეს და ყარამანს მიართვეს. ყარამან უბრძანა: ჰე, სამან აღამიანთა მონათესავეო, რამდენი ათასი წელიწადია, რომ შენ საპყრობილეში იყავ, ესენი როგორღა გასსოვდაო? სამან მოახსენა: ჰე, ფალავანო, ამა ყაფის მთის კალაუბზე, ჰეიათის მინდორში, უკიანე ზღვის კუნძულში ასეთი ადგილი არ არის, რომელი მე არა მენახოს. თვითოსა და თვითოს ალაგს ეგე ოდენი საკვირველი საქმენი გარდამხდია, რომელ თვითოს თქმით ამბავნი გაგრძელდება. ყარამან დიდად ქება შეასხა. ბრძანა და იგი პატიოსანნი შამ-ჩირალის თვალნი კუბოს ოთხსავე მხარეს ჩაუსხეს და იგი კუბო მურასად მოჰედეს.

მუნიფგან აიყარნენ, ყარამანმან ქეიომარსის ლახტი ბუდიტგან ამოიღო, ხელთა დაიჭირა, წინა გაუძღვა. მის ლახტისაგან იგი ბნელი გზა განათლდა და იგი ლაშქარნი სინათლესა შიგან ვიდოდაან. მას ალაგსა დღე ღამესავით ბნელი იყო ესრედ, რომელ ვარსკვლავთაგან კიდე სხვა აღარა ჩანდა რა. დევთა და ფერიათა მალლად აღიწიეს ამისთვის, რომე ზღვის მხეცთაგან არა ვნებოდათ რა.

მ ო კ ლ ე დ მ ო გ ა ხ ს ე ნ ო თ: მალლად ჰაერში დიდი ხანი იარეს. ამა სვლასა შინა დღესა ერთსა ზღვითგან უცხო და საკვირველი ხმა შემოესმათ. ყარამან იკითხა: ჰე, ფალავანო, ეს ხმიანობა რისგან არისო? სამან აღამიანთა მონათესავემან მოახსენა: ფალავანთა ფალავანო, ეს ხმა უკიანეს ზღვის მხეცთაგან არისო. ამ ლაშქართ ხმიანობა სმენიათ და თქვენის ლახტის სინათლე დაუნახავსთ და მიად ჰვრეტად გამოსულანო. ყარამან დიდად გაკვირდა, ესე ვითარნი მხეცნი არიან, რომელ ესეოდენთა ლაშქართა ხედვენ და არა დაფრთხებიანო. სამან მოახსენა: ჰე, ფალავანო, ამა ზღვასა შიგან ესეთნი მხეცნი არიან, თუმცა დრო დაიცა, ესეოდენთა ლაშქართა სრულად შთანთქამსო. რა ყარამან ესე მოისმინა, ინება, რათა მხეცთათვის მცირეს ხანს ექვრიტა, მფრინველს უთხრა, რომელსა ზედან იჯდა: რა იქნების. რომე ცოტა ხანს ზღვის პირს ჩავიდეთ და მხეცთა თამაშა ვნახოთო?! ფარმან ბარყუშმან მოაპანა: აწ ეგრეთ ვქნათო.

მაშინ ლაშქართა გაეყარნენ და ზღვას დაუახლოვდა და მისის

გურჯით ზღვა იგი განათლდა. ყარამანმან იხილა, ზღვასა მას შიგან ერთი დიდი რამ სანახავი ჩნდა. და იძვროდა. სამან მოვიდა და მოახსენა: ჰე, ფალავანთა ფალავანო, ეგე რომელი იხილევების, ზღვის მხეცი არისო. აქ ფარულად არის, რათა ჩვენთა ლაშქართა ესე ვერ დაინახონ და ამან იგი ერთობით ანაზღად ჩანთქას. თქვენ ქვემოთ ნუ ჩახვალთ, ვიდრემდის მე წავიდე და ჩვენთა ლაშქართა ვაცნობო, რომე ამისგან გაფრთხილდნენ, რომე ფათერაკი არ წაეკიდოსთო. სწრაფად სამან მოვიდა, ლაშქართა აცნობა და თვით ეგრევე ფალავანთანა მივიდა.

ყარამან შეხედა, ზღვიდამ ორი სხვა მხეცი გამოვიდა, რომელი თვითო თვითოსა მთისა ოდენი იყო. იგი მხეცი, რომელი პირველად ნახა. იგი ორნი მხეცი მის თანა მოვიდნენ. ორთავე პირები დაედრინათ, რომელი ჯოჯოხეთისა კარსა ემსგავსებოდა. მას ერთსა მხეცსა მოუხდნენ, ერთი თავს მოეკიდა და მეორე ბოლოსა. მას მხეცსა გაზიდეს და შუა გაწყვიტეს. ნახევარი ერთმან შთანთქა და ნახევარი მეორემან. რა მისგან მოიცალეს, ერთი მეორესა დაემტერნენ და საომრად პირისპირ დადგნენ. ყარამან შეხედა, ზღვის კუნძულიდამ ერთი მთის ოდენი სხვა მხეცი გამოვიდა. ესრეთ დიდი იყო, რომელ მისსა სიგრძესა და განსა კაცთა თვალი არ გარდასწვდებოდა. იგი ორნი მხეცი, რომელნი ერთმანერთს ებრძოდნენ, მათ მოუხდა, ორივე ერთად ჩანთქა, გაბრუნდა და ზღვასა შიგან შევიდა. ყარამან ღვთის განგებულობას განკვირდა.

ყარამან და მისთა ლაშქართა შვიდი დღე იარეს და მერგესა დღესა ბნელეთს გასცილდნენ. ერთსა ალაგსა ჩამოხდნენ, რომე მას ალაგსა ვარდთა და მრავალ ფერთა ყვავილთა სიმრავლე იყო. ყარამან უთხრა: ჰე, სამან, აქ რომელსა ადგილსა გარდავხდეთ, ესე რა ალაგი არისო? სამან მოახსენა: ამა ადგილსა ხუზისტანს უწოდებენ. აქათგან გულისტან-ერამამდის სამისა დღისა სავალი არისო. რა ყარამან ესე სიტყვა მოისმინა, დიდად გამხიარულდა. მუნთოგან ადგა, ყამარლუხთან მივიდა და უთხრა: ჰე, დედაო, მიხარებია შენთვის, აწ გულისტან-ერამის ქვეყანას მიუახლოვდით. მწადს, რათა მამასა შენსა ბაჰმან ხელმწიფესა და ქმარსა შენსა შაფალი ფერის და ძესა შენსა ბარამს ამბავი ვაცნობო. აწ შენ რასა იტყვიო? ყამარლუხ მოახსენა: ჰე. თვალთა ჩემთა ნათელი ყარამან, დიდად კარგად ბრძანეთ! სჯობს. რათა კაცი წარგზავნოთ და ამბავი ჩვენი აცნობოთ.

ამა სიტყვასა ზედან ყარამან ზე ადგა და სამან აღამიანთა მონა-

თესავე მოიხმო. იგი მსწრაფლ მოვიდა. ყარამან უბრძანა: აწ უნდა წარხვიდე და ესე ამბავი ყოველი შაფალი ფერის მიაართვა. სამმანთავე დაუკრა და ჰაერში შეფრინდა და ტრიალით წარვიდა. თვისითა გრძნებითა სწრაფად იარა და საცა შაფალი ფერის სამყოფელი იყო, რომელსა დავარ ყალა ეწოდა, მუნ მიაწია. შაფალის სასახლეში შევიდა. ნახა, გარდანქეშან ქვაზედან ზის და აგრეთვე სხვანი ფალავნები თვისსა ადგილსა ისხდნენ და ყარამანის ამბავს უბნობდნენ. რა ფერხზედ მდგომთა ხალხთა სამან დაინახეს, დიდი ხმიანობა და სიხარული შეექნათ. რა გარდანქეშანმან სამან დაინახა, მსწრაფლად ფრინველვით შეფრინდა, სამანთან მივიდა, ყელსა გარდაეხვია და ესე ლექსით ქება:

აჰა, ამბავი მოკვართვი. კარგისა შეგობრისაო.

მუჰკით ნაწერი ქალღი უსწორს ფალავნისაო.

დიდად მიესიყვარულა და პირველად ყარამანის ამბავი ჰკითხა. სამან ყარამანის მაგიერ მოიკითხა და მასუჟან გარდანქეშან წაუძღვა და სამან შიგნით შეიყვანა, საცა შაფალი და ფალავნები ისხდნენ. სამანმან შაფალი-მას თავი დაუკრა და ქება შეასხა. შაფალი ფერხზედ წარმოდგა და სამანს პატივი სცა. მაშინ სამან წინ წადგა და შაფალს ხელზედ აკოცა, მერმე ყათრანს, რაჰინდს, ბარამ ჯიბილსა და სხვათა მუნ მსხდომთა მიესალმა. მათ შეყრილთა დიდთა და მცირეთა თვალი სამანს ზედა ჰქონდათ, თუ რასა ამბავსა იტყვისო. მაშინ სამანმან მოახსენა: ხელმწიფეო და ფალავანო, ყარამან სააბყარანმა ერთობით სალამი მოგახსენათო. ყველაყამ მადლობა მოახსენა. მერმე შაფალი ფერის ძმების მაგიერ ყველანი მოიკითხა და ყამარლუხის ამბავი ახარა და სხვათაცა ტყვეთა გამოხსნა მოახსენა.

რა ესე სიტყვა მოისმინეს, თხთხავე მხარეთაგან ეგოდენი თვალ და მარგალიტი გარდააყარეს, რომე სამან თვალმან და მარგალიტმან დაფარა და აღარა ჩნდა. მერმე დასხდნენ და ამბავი ჰკითხეს, რაცა ყარამანს ამბავი გარდახედოდა, თვითოეულად ყველა უამბო. დიდად გაკვირდნენ და უზომოდ გამხიარულდნენ. მერმე ჰკითხეს: ყარამან სად დაუტყვეო? სამან მოახსენა: აქედამ სამის დღის სავალს შორავსო, მუნ მოიცადათო. რა ესე მოისმინა, შაფალ უჰასუხა: ჰე, სამან, შეჭირვება მრავალი გარდაგიხდია, მაგრამ აწ ჩვენის გულისათვის კვალად უნდა გაისარჯო. და ყარამანს ჩვენ მაგიერ სალამი მოახსენო, გამარჯვება მიულოცო. მცირეს ხანს მუნ მოიცადოს, სად მოსვენებად გარდამხდარა, რომე ჩვენცა მას ალაგს წინ მივეგებნე-

თო. სამან მაღლი გარდაიხადა, მსწრაფლ წამოვიდა, ჰაერში შეფრინდა და მაშინვე ფალავანს წინ მივიდა და მათ მაგიერ სალაში მოახსენა და მათი ამბავი ყოველივე ფალავანს უამბო.

რა ყარამანმან ესე მოისმინა მაშინვე ბრძანა და შვიდასსვეტიანი ათარ ღვეის ნაქონი კარავი მინდორსა შინა დაადგმევინა. თვით ადგა და ყამარლუხთან მივიდა და მათის წინ მოგებების ამბავი უამბო და უთხრა: ჰე, ღეღო, რას იტყვი, მე აქათგან ჯერეთ აღარ მინდა წავიდე, მანამდის იგინი აქ არ მოვლენო. ყამარლუხს მოახსენა: ჰე თვალთა ჩემთა ნათელო, ვითარ გენებებოდეს, ეგრე ქენიო. მაშინ ყარამან ზე ადგა და კარზედ გამოვიდა. უბრძანა, შათალი ფერის ძმები ტახტზედ დასხდნენ. ყარამან საფალავნოსა სკამსა დაჯდა. ათვრამეტნი ასი ათასნი ღვენი და ფერიანი რიგზე დადგნენ. ერთი საზარო ხმა მოვიდა. მკირეს ხანს უკან მოვიდნენ ათერთმეტი ხვალი ღვეი, რომელი ყარამანს დაეყარნა, სამანის ამხანაგნი, იგინი იყვნენ და იგი ხმიანობა მათი იყო. რა ყარამანმან ღვეები დაინახა, ღიღად შეშინდა და ამისთვის, რომე ღვეთაგან მრავალი შეჭირვება მოახსოვდებოდა.

რა ღვენი იგი მოვიდნენ, ყარამანს წინ პირი მიწას დასდევს და სალაში მოახსენეს. ყარამანმან მათ ღიღად პატივი სცა და მშვიდობით მოიკითხა. შათალის ძმები მათ უჩვენა. იგინი მივიდნენ და ხელს აკოცეს, მერმე ყამარლუხთან მივიდნენ, პირი მიწას დასდევს დალოცეს და ქება შეასხეს და მოახსენეს: ჰე, კეკლუტთა დედოფალო. ჩვენცა პყრობილებისაგან ფალავან ყარამანის ხელისაგან ვიხსენითო. თქვენცა სააბყარანისაგან ნებასა თქვენსა ეწიენითო. ყამარლუხმან იგი ღვენი თითო-თითო მოიკითხა. მერმე ყამარლუხმან ყარამანს ჰკითხა: ჩემი ღედ-მამა ჯიბილის ქვეყანას იყვნენ, აქ რათ მოსულანო? ყარამან თვითო-თვითოთ უამბო იმის ღედ-მამის საპყრობილისაგან დასხნა. და მათ ღვეთა გამოხსნა, როგორც მომხდარიყო. რა ყამარლუხ ესე სიტყვა მოისმინა, ატირდა და წყაროსებრ თვალთაგან ცრემლნი გარდმოადინნა და მოახსენა: ჰე, ბედნიერო ფალავანო და თვალთა ჩემთა ნათელო. ჩვენ შენის ხელისაგან ვიხსენით ამა საპყრობილისაგანო.

აწ ჩვენ მოვიდეთ ამა ამბავსა. შათალი ფერის შვიდასი ასი ათასი ფერიები შეეყარა და ყარამანის მოსაგებებლად გაემგზავრა. შათალ-შა, ინდოეთისა ხელმწიფე რაჰინდ. ჯიბილიგაბარის სულთანნი თვითო-თვითოს ტახტსა დასხდნენ, ყამარლუხის



დედა სარკიხურამანით ერთს ტახტსა ზედან დაჯდა. ყათრან, გარდან-  
ქეშანი, ბარამ ჯიბილით ერთს ტახტსა ზედან დასხდნენ, სხვ:  
ფერიანნი მარჯვენით და მარცხენით დასტა დარიგებულნი დადგნენ  
და ჰაერში აფრინდნენ. იგი ტახტები, რომელსა ზედან იხსდნენ, აღი-  
ტაცეს და წარვიდნენ. ყარამან სადაც ჩამომხდარიყო, მას ალაგს  
მოახლოვდნენ.

მასუკან ყარამან სამან ადამიანთა მონათესავე სწრაფად გაგზავნა,  
პირველად ყათრან, ბარამ ჯიბილი და გარდანქეშანი მოიყვანეო,  
მათი ნახვა მსურსო. სამან მსწრაფლ აღფრინდა, მათთან მიიწია და  
ყარამანის სიტყვა მათ მოახსენა. იგი ფალავნები წამოასხა და ყარა-  
მანს წინაშე მოვიდა, მაგრამ ამ ფალავნებმა რა იხილეს, დიდად გა-  
კვირდნენ, რომ ერთს თვალუწდომს მინდორში ეგოდენი კარავი  
დგას, რომე მისი რიცხვი არ შეიგების, და ერთს სარაფარდაში ერთი  
ხელმწიფე ბრძანდება. ათვრამეტი ასი ათასი ხვადი დევი თავსა აღ-  
გას, რომელ ამათის ორთქლისაგან ჰაერი შეკრულა. ყათრანმან რა  
იგი ნახა, თქვა: ჰე, ფალავანო, აქა მდგომი რა ჯარი იქმნებისო?  
ჰამანმან მოახსენა: ესე ლაშქარი ყარამანისა არისო.

რა ესე გაიგონეს, დიდად გაკვირდნენ. მაშინ სამან მივიდა და  
ყარამანს მათი მოსვლა აცნობა. ყარამან ზე აღგა და წინ გამოეგება  
მივიდნენ და ერთმანეთს შეეყარნენ. უწინ ყათრანს მოეხვია და ერთ-  
მანეთს მიემშვიდობნენ. მერმე ბარამ მივიდა და რა ერთმანერთი  
დაინახეს, ბარამ მოახსენა: ჰე, სახელოვანო ფალავანო! ესე ოდენი  
შეჭირვება ჩემთვის გარდავიხდია, ამისი მაგიერი მე ვითარ შემოვიბ-  
ლო? მაგრამ ზე გარდმო განგებისაგან მოიმედე ვარ, რომელ ერთი  
ათასად შემოვიზლო. მაშინ ყარამან ბარამს ორთავე თვალთა აკოცა  
და უთხრა: ჰე, ძმარ და იმედო ჩემო, მე რასაცა ვიქ, საყვედურად  
არავის დავდებ ამისთვის, რომე სააბყარანობის პირობა საზღვარსა  
მინდა მოვიყვანო. აწ ვმადლობ ღმერთსა, რომე სწორედ მოვიყვა-  
ნე. ბარამს ხელი შეუტყრა და უთხრა: აწ წარვიდეთ, დედაშენი  
ნახეო.

რა იგინი გაბრუნდნენ, მუნ მყოფი ლაშქარი ყოველივე ჰვრეტად  
გამოვიდა. ყარამან და ბარამ წავიდნენ და საცა ყამარლუხის სარა-  
ფარდა იყო. მუნ მიიწიეს. რა ყამარლუხმან შემოხედა ყარამანს, ნა-  
ხა, ერთის მშვენიერის ფალავნის ხელი ხელთა ეპყრა და ეგრეთ  
მოვილოდნენ. რა ბარამ დაინახა, სისხლი მისი აღუღდა და თვალთა-  
გან ცრემლმან დენა დაუწყო და თქვა: ჰე, ბედნიერობისა ჩემისა ნა-

თელო ყარამან, როდესაც შენ გნახავ, სიცოცხლესა ჩემსა მატებს. აწ ესე ვინ არს, რომელ შენთან აქა მოვიდაო? თვალნი ჩემნი მას გარდეკიდა და სიყვარულისა სისხლი გონებასა შინა ჩემსა აღდღულდა და თვალთაგან ცრემლნი გარდმომედინა. არამც თუ ესე გვამთაგან ჩემთა ნაკვეთი ბარამ იყოსო?!

რა ესე თქვა, სიხარულითა ცრემლი თვალთაგან მრავლად გარდჰოადინა. მაშინ ყარამან უპასუხა: ჰე, დედაო! ესე ძე შენი საყვარელი და გონებისა შენისა სასიხარულო ბარამ ჯიბილი არისო. რა ბარამ დედა თვისი გაიცადა, სიხარულით თვალთაგან ცრემლი გარდმოდინდა. ვირემდის ერთმანეთს ეზრასებოდნენ, მანაჰდის დედმისი ყამარლუხ მოვიდა და ძე თვისი ბარამ გულსა მოიხვია და ორთავე თვალთა აყოცა. მასვე წამსა სიხარულითა ორნივე უცნობო იქმნენ და მიწასა ზედან გარდაქცევასა ლამობდნენ. მაშინ ყარამანძან ხელი მიაშველა და ბარამ შეიპყრა და ბამანარამ ყამარლუხ შეიპყრა. იგინი მათნი მომშველებელნი იქმნენ და მიწასა აღარ დაუშვეს. მცირეს ხანს უკან ყამარლუხ გონებად მოვიდა. ბარამ თვის ვეერლით იახლა და ესე ლექსი თქვა:

აწ რომელს ვხედავ ნეტარძი, სიზმარია თუ ცხადია,  
ეს უმჯობეა მთვარესა, მე ასე დამიქადია  
ძილი არის თუ ღვიძილი, ამისი ცნობა მწადია,  
და სიცოცხლე ჩემი ეს არის, ამას ჩემად ძედ ვხადია.

ბარამმან უთხრა: ჰე, საყვარელო დედაო! ღმერთსა საუკუნოსასა დავიფიცავ, რომელ ქვისაგან თვალსა გამოაჩენს და ხისაგან ნაყოფსა. რომელ ტყუვილად არ ვიტყვი. მე უბედური ოცდაოთხი წელი ქვად ქმნილი ვიყავ, ხელმწიფის დოვლათით ჩემის ხსნის მიზეზი იყო, რომელმან დღეს აქ ჩვენ ერთმანეთს შეგვყარა. რა ამა სიტყვასა იყენებ. ყარამან გარდანქეშანი და ყათრან შეასხა, ყამარლუხმან შეხედა და ნახა, რომელ ერთი სიფიცხის მქონებელი და მათ თანა სხვანი სარაფარდასა შიგან შევიდეს.

რა ყამარლუხმან იგინი გაიცადა, ზე ადგა და დიდის თავაზით პროკითხა. მაშინ იმათ მილოცვით მოახსენეს: ვმადლობთ ღმერთსა. რომე ფალავანთა უხუცესისა შემწეობითა გონებისა თქვენისა საწადლსა ეწიენითო. ყამარლუხ მაგიერი მადლობა მოახსენა. მაშინ ბარამმან დედასა თვისსა გარდანქეშანი აცნობა და მოახსენა: ჰე, დედაო, მე რომელ ჩინეთის ქვეყანას ოცდაოთხი წელიწადი ქვადქმნილ ვიყავ.

ამა გარდანქეშანმან მაშინ ჩემთვის მრავალი შეჭირვება გარდაიხად : და მიზეზობის გარდა მრავალი მხნეობა გამოაჩინა, რომელ გაკვირვებით დავრჩი. მასუკან ყათრანის გვართა შვილობა და ყარამანის ბიძის ძეობა და მისი სიმხნე ყოველივე დედასა თვისსა აცნობა. ყამარლუხმან კვალად პატივი სცა და ბოღიში მოითხოვა.

აწ მოვიდეთ ჩვენ მას ამბავსა, რომელ შათალ-შა, ბაამან-შა თვისის ცოლით და სარვიხურამან ურიცხვის ფერიას ლაშქრით მოვიდნენ. მაშინ ყარამან წინ მიეგება. რა მათ ყარამან დაინახეს, შათალ-შამ ბრძანა, ათორმეტმან ათასმან ფერიამ ოქროს ტაბაკით თვალი და მარგალიტი ხელთა დაიჭირონო. რას წამს ყარამანთან მოვიდნენ და ყარამანს შეეყარნენ, შათალ-შა და ყარამან ერთმანეთს მოეხვივნენ მასუკან ბაჰმან-შამ და რაჰინდ ყარამანს მიესალმნენ. ამით შემდგომად სარვიხურამან ნაზის ქცევით მოვიდა ყარამანის სიახლოესა. როგორც მელექსეთ უთქვამსთ:

მეორედ მოსვლა მოვიდა, აწ არის მეორედ მოსვლა.

მეორედ მოსვლას ემსგავსა, ამისი მზეებერ ამოსვლა:

სინაზით მოვიდა ყარამანსა თანა და თავი მიწასა დასდვა. ყარამანმან სარვიხურამანის თავს ხელი მიჰყო, ზე ააყენა და ესე ლექსითქვა:

შენთვის სადალა შევიქენ, ემუი არ გქონდა აქამდის.

ერთგულობით და სიშორით მე სისხლის ცრემლი აქა მღის.

მაშინ ფერიებმან ეგოდენი თვალი და მარგალიტი გარდააყარეს, რომე გორა და გორა დადგა და რიცხვი არ შეიგებოდა. იქილამ გამობრუნდნენ და ყარამანის კარავს გარდახდნენ და ათარ დევის ტახტსა დასხდნენ და ყარამან ფალავანთუხუცესობის სკამს დაჯდა. ყათრან მივიდა და ყარამანს ქვეით დაჯდა და გარდანქეშან აიარი მივიდა, ზაჯახისა ხელთა მპყრობელი. ეგრეთვე თავს დაადგა და სხვანი თვისსა ალაგსა დასხდნენ. მაშინ ბრძანეს და სუფრა მოიღეს. მეჯულიში გარდაიხადეს და ეგრევე რა სუფრა აიღეს; მასუკან ყარამანს რაც გარდახდოდა, ყოველივე თვითოეულად უამბო. მსმენელთა ყოველთავე ქება შეასხეს.

მაშინ გარდანქეშან შემოვიდა და მოახსენა: ჰე, ფალავანო, ერთი მფრინველი მოვა, რომელი მისსა ხმასა ესე ყოველივე ლაშქარი შეუძრწუნებია. ყარამან შეიგნა, რაც ამბავი იყო, მსწრაფლ ზე აღგა და კარავთაგან გარე გამოვიდა. რა მფრინველმან ჰაერთაგან ყარამან

დაინახა, მოვიდა და ყარამანს წინ გარდმოხდა და ერთმანეთს მიესალმნენ და დიდად გამხიარულდნენ. მფრინველმან მოახსენა: ჰე. ფალავანთა უხუცესო, აწ შენის ბრძანებით დასტური მანდა, რომე წავიდე და ბარტყთა ჩემთა დავხედო. ყარამან უპასუხა: ჰე, ყოველთა მღვრინველთა უპირველესო, შენ მე ეგეთი მეგობრობა მიყავ და ეგეთი მგზავრობა გარდამახდევინე, რომელ მე შენთან პირსირცხვილელი ვარ. აწ ღმერთმან მუქათა შემოგზღოს. აწ წადი, ღკთისათვის, მიმიბარებხარ და შენს კეთილს ლოცვაში მომიგონებდეთ. მე აწ რუბი მასქუნ, რომელ არს კაცთა ქვეყანა, მუნ მინდა წავიდეთ.

მფრინველმან მოახსენა: ჰე, ფალავანთა ფალავანო! მე ანას მოველი თქვენგან, რომელ მე წაგიყვანო, სადა წასვლად დაგიმართები: და მნებაეს, რომე ადამის საფლავი ვნახო და ვემთხვიო. ამისთვის. რომე მე ადამისაგან მესმა: წინასწარმეტყველთ საფლავის თაყვანისცემა მაღლი არისო. მაშინ ყარამანს პაემანი დაუდვა, წავალ ჩემს ბარტყებს ვნახავ და მესამეს დღეს ისევ აქვე მოვალო. ყარამანმან უბრძანა: წარვედ, ეგრე ქმენო. და წარვიდა მფრინველი იგი. მასუკან ყარამანმან მის მფრინველის ამბავი მუნა მყოფთა ყველაკა წვრილად უამბო: მსმენელნი მისსა ამბავსა დიდად გაჰყვირდნენ. მასუკან შაფალ-შა და ბამან-შა თვისის ცოლით წარვიდნენ ყამარლუხას სანახავად.

რა სარაფარდა შეიარეს და ყამარლუხმან მამა და დედა თავისი დაინახა. წინ მიეგება, ერთმანეთს მოეხვივნენ, ხან იცინოდნენ და ხან სიხარულით ტიროდნენ. მასუკან ყარამან მიბრუნდა, ათარ დევის ქალს ბამანარას უთხრა: ჰე, ჩემო სასურველო, აწ შენცა ჩემ თანა ადამიანთა სამყოფელს წარმოხვალ თუ არაო? თუ წამოსვლას არ ინებებ, აქ სამან ადამიანთა მონათესავეს მოგცემო. ბამანარამ უპასუხა: ჰე, ფალავანო, ჩემი აქათგან ადამიანთ სამყოფთა წამოსვლა და მოსვლა ადვილიაო. რა იქნება, მეც თქვენს სამსახურსა და მონებაში გიახლო, მასქუნის ქვეყანას მოვიდე და აქაობა გავიცადო.

**აქა ყარამანისა და სხვათა შოველთა დავარ-ციხეს  
მოსვლა, ყარამანისაგან გარდამხეზანისა და საჰმანის  
გაგზავნა უშანგ-შას წინაშე**

ღამემან მან გაიარა. რა დილა გათენდა, აიყარნენ და დავარ ციხესა მიახლოდნენ. მაშინ მის ქვეყნის ფერიანი ერთობით გამოვიდნენ და წინ მიეგებნენ. მაშინ ყარამან და მუნა მყოფნი მეფენი და

სხვანი ჰაერით ძირს ჩამოვიდნენ. ყარამანმან მეფენი იგი თვისსა საკადრისსა ცხენებსა შესხა და თვითცა თვისსა ექვსფერხოვანზედა და ოთხთვალოვანს ცხენზედ შეჯდა. მარჯვნივ ყათრან მოვიდოდა და მარცხნივ ბარამ ჯიბილი. წინ გარდანქეშანი მოუძლოდა და უკან სამან მისდევდა მასთან ათერთმეტნი ღვენი მოვიდოდნენ და ეგრე მას ქალაქსა შინა შემოვიდნენ.

მაშინ ფერიებმან ყარამანს მრავალი ძვირფასი თვალი გარდააყარეს. მივიდნენ და შაფალის სასახლეს გარდანდნენ. სამსა ღღესა ყარამან თვისსა ლაშქრით შაფალის პაემანი იყო. მასუკან ყარამანმან გარდანქეშანს უბრძანა: ჰე, ხელოვანთა უხუცესო, აწ ინებე და უშანგ-შას წინაშე მოვედ და ჩემი ამბავი და გარდასავალი ყოველივე უამბე. გარდანქეშანი ყარამანის ბრძანებით ზე აღგა და თაყვანის სცა. ყარამან მიბრუნდა და სამანს უთხრა: ჰე, ჩემთან სიმართლით მომქმედო, აწ იქნება, რომელ შეწუხება გასწიო და გარდანქეშანი თან იახლო და ინდოეთის ქვეყანას მიხვიდეთო?!

რა ყარამან ესე ბრძანა, სამან ზე აღგა და თაყვანისცემით პირი ქვეყანასა და მიწასა გაასწორა. მაშინვე გარდანქეშანი წამოიყვანა და მას გზასა გამგზავრდა და ინდოეთისა სამზღვარსა მიიწივნეს. გარდანქეშან ჰაერით ქვე ჩამოიყვანა. მაშინ გარდანქეშანი უცნოს ძვირფასის თვლით შესამოსლით შეიმოსა. სამანმან უთხრა: რა იქნება, მეცა უშანგ-შას სამსახურში მოვიდეთ?! გარდანქეშანმან უთხრა: მაშ შენ კაცთა სახითა იქმენიო. მაშინ სამან კაცის სახედ იქმნა და უშანგ-შას სასახლისაკენ გამგზავრდნენ.

რა ახლოს მივიდნენ, ასიმ აიარმან და შირფანჯა აიარმან გარდანქეშანი დაინახეს. მასვე წამსა მოვიდნენ და გარდანქეშანს ფერხთა მოეხვივნენ და ქება შეასხეს, მაშინ გარდანქეშანიცა მიესალმა და სამან მათ აცნობა და ერთმანეთი მოიკითხეს. მასვე წამსა წარვიდნენ და უშანგ ხელმწიფისა წინაშე მივიდნენ და იხილეს უშანგ ხელმწიფე, ტახტსა ზედან ბრძანდებოდა. ამათ პირი მიწასა ტახტისა წინ გაასწორეს და ქება შეასხეს. და მისთა აიართა მოახსენეს: ჰე, შარი-ელო! აპა გარდანქეშანი ესერა მოვიდაო! უშანგ-შამ რა ესე მოისმინა, დიდად გამზიარულდა. მისთა აიართა ესეთი ტანსაცმელი უბოძა, რომე ერთის სახელმწიფოს ხარაჯის ფასი იყო. მცირეს ხანს უკან გარდანქეშანი სარაიასა შიგან შემოვიდა. მუნა მსხდომნი ყოველნივე ზე აღგნენ და ქება შეასხეს. გარდანქეშანი ტახტისა წინ წადგა და პირი მიწასა დასდგა და ხელმწიფესა ქება დიდი შეასხა.

რა ხელმწიფემან შემოიხედა და სამან დაინახა, მაშინ სამანმან პირი-მიწას-გაერთიანებით სალაში მოახსენა და ქება შეასხა. ხელმწიფემ სამანის წინ წამოდგომა ბრძანა. რა სამან წადგა წინ, ხელმწიფეს სამანის ნახვით ესრეთ შეზარდა, სული გვამთა გაყრასა მიეწურა. კვალად გონებასა მოეგო და გარდანქეშანს უბრძანა: ჰე, აიართა უხუცესო! ყარამან საბყარანის ამბავი რა იციო? მაშინ გარდანქეშანმან მოახსენა: ჰე, ქვეყანისა მპყრობელო ხელმწიფეო! ფალავანმან ხელმწიფის ტახტს წინ პირ-მიწა-გაერთიანებით თაყვანის ცემა მოახსენა და სხვათა ფალავანთა ერთობით ბედნიერს ტახტის ფეხს კოცნა მოახსენეს და ყარამანის გარდასავალი თვითეულად ხელმწიფეს მოახსენა.

რა ხელმწიფემან ესე ამბავი მოისმინა, დიდად გაჰკვირდა და უზომოდ გამხიარულდა და რაცა მას მეჯლიშსა შინა იარალი იყო. ყოველივე გარდანქეშანს უბოძა. და მასვე წამსა ბრძანა ქალაქი და ყოველი ლაშქარი მომზადდეს, რათა ყარამანის მოსვლის ჟამი არისო. მერმე გარდანქეშანს უბრძანა: ფალავანი რას ხანში მოვაო? გარდანქეშანმან მოახსენა: ვირემდის მე არ მივალ, სააბყარანი მუნითგან არ წამოვაო. მასუკან მოახსენა: ჰე, ხელმწიფეო, ესე სამან, რომელი აქა გიახლათ, მათ ათორმეტთა დევთაგან არის, რომელსა სამან აღამიანთა მონათესაობით უხმობენო. მას ჟამსა, ოდეს ყარამან ჯამი ჯანუშას მივიდა, ბროლი-აზამის მთას სხვას ვერავინ გარდაყვა ამ სამანისაგან კიდე. ამას როდესაც ეწადოს, სამოცდათორმეტ სახედ გარდაიქცევა და სამოცდა თორმეტი ენა იცის.

მაშინ ხელმწიფემან ერთს მეცნიერს მწერალს ყარამანთან წიგნისა მიწერა უბრძანა და ფალავნის საფერი ქება მიუწერეს. რა წერისაგან მორჩნენ, წიგნი გარდანქეშანს და სამანს მისცეს. იგინი სწრაფლ ჰაერსა შიგან შეფრინდნენ და თვისითა გრძნებითა ყარამანთანა მსწრაფლ მიიწივნეს.

იმჟამად, რომე ყარამანს საჰმან აღამიანთ მონათესავე უშანგ-შაჰთან გაეგზავნა, გარდანქეშანიც თან გაეტანებინა და თავიანთ ამბავიც შეეტყობინებინა, იმათის მოსვლის გზის მაყურებელნი და უშანგის წიგნის მომლოდინენი იყვნენ და ლხინითა და ნადირობით დროს ატარებდნენ. დღესა ერთსა საჰმან და გარდანქეშან მოვიდნენ და ამალღებულის ხელმწიფის წიგნი ყარამანს მოართვეს. წიგნი გახსნეს, აღმოიკითხეს და მხიარულობას მიეცნენ. ყარამანმა სთქვა ლექსი:

უსტარი მომეც საამო, გულისა მოსალხენია,  
აწ პატრონისა ჩემისა უცხო ამბავი მსმენია.

იმჟამად ყოველთა ბალი ირამში მყოფთ ერანელთ ფალავანთა ყარამანისათვის ვედრება სწადლათ, რომე თავიანთ ქვეყანაში წასულიყვნენ; ამ ამბავზედ და უშანგ ხელმწიფის წიგნზედ ყველანი ყარამანს პირს შესცქეროდნენ და თხოვნა ვერ გაებედნათ და ამბობდნენ: ვნახოთ, სანაბყარანი წასვლისას რას ბრძანებსო. ყარამამა მათ შეატყო და შაჰფალ-შაჰს მოახსენა: ხელმწიფეო, ჟამი არის ახლა, დაატურს ვითხოვთ და წყალობას ვიაჯით, რომე დაგვიტხოვოთ, ჩვენ ჩვენს სამყოფს წარვიდეთო. რა ამათ ყარამანისაგან დათხოვნა შეიტყეს, უზომოდ განმხიარულდნენ. იმ ჟამად რანიც დევნი, თუ ფერიანი, თუ ხელმწიფენი და ხელმწიფის შვილები იყვნენ, შევიდნენ, ყარამანსა და შაჰალი ფერის თაყვანი სცეს, ყოველნი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ, ყარამანის ფალავნობას და ძალგულობას აქებდნენ. ყარამანს ყურება დაუწყეს და გულსა შინა ამბობდნენ: ნეტარ როდის ბრძანებს წასვლასა, რომე ჩვენც თან ვიახლოთ და ვემსახუროთო. ყარამანმა მათ თავიანთ ალაგას დასხდომა უბრძანა და სუფრის მოღება ბრძანა; მაშინვე ბრძანებისამებრ აღასრულეს, სუფრა მოიღეს და ისრეთი მეჯლისი გაიმართა, რომე მნახავთათვის გასაკვირველი იყო. ამ შექცევაში, ყარამან მუნ მსხდომთ ფალავანთ შემოხედა და უბრძანა: სარდალნო და ფალავანნო, დაემზადენით, ხვალ სანადიროდ წავიდეთო, რამდენსამე დღეს დავარ-ციხის გარშემოს შექცევით ვინადიროთ, მერმე შაჰფალ-შაჰს გამოვეთხოვოთ და ჩვენს ქვეყანას უშანგ ხელმწიფის სამსახურში წავიდეთო. რა ფალავანთა ეს მოისმინეს, დიდსა სიხარულსა მიეცნენ. მერე მცირეს ხანს შემდეგ ნადიმი გაიყარა. ყოველნი თავ-თავის სადგომს წავიდნენ და იმ ღამეს ნადირობის თადარიგსა შევიდნენ.

რა მეორე დილა გათენდა და ქვეყნის მაშვენებელმან მზემან სიბნელის ფარდა დახია და ქვეყანა თავისის ბრწყინვალეებით მოჰფინა, სარდალნი და ფალავანნი იარალით შეიკაზმნენ, ყოველნი მოვიდნენ და ყარამანის კარვის წინ დადგნენ, საფი გასწიეს და ყარამანის გამოსვლას ელოდნენ. ყარამან შიგნით კარავში ზე აღზდგა, ღვთის სახელი ახსენა, თვისის სამოცდა-ოთხის იარალით შეიკურვა, თავისის კარავიდან გამოვიდა და შეშფაიბარსა ამხედრდა. რა მუნ შეკრებილთა თვალი გადაავლო, ნახა, რომე რაჰინდ ხელმწიფე, სარ-

ვიხურამან, ყათრან, ბარამ ჯიბილი, გარდანქეშან და სხვანი ყოველნი შემსხდარან და მზად დგანან და სააბუიარანის გამოსვლას ელიან.

რა ყარამან მათ მიუახლოვდა, ერთმანერთს თავი დაუყოცხა და მიესალმნენ. სააბუიარანმა მათ ზედან გვიან გამოსვლის ბოდიში მოითხოვა და მათაც მდაბლად მადლობა მოახსენეს. რა ამათ ყოველთა ყარამან სრულის იარაღით შეჭურვილი იხილეს, საგონებელსა რასმეს მიეცნენ. რაჰინდ ხელმწიფე დიდად გაჰყვარდა, მივიდა და ყარამანს ჰკითხა: „ჩემო თვალის სინათლეო, ქვეყანაზედ სახელოვნად გამოჩენილო, ყოველთა საკვებარო და საქებელო შვილო ყარამან, ნადირობაში და შექცევასა შინა ეგ საომარი იარაღი რად გინდაო?“ ყარამანმა მოახსენა: „ჰე, ქვეყნის ხელმწიფეო! წუხელის მეტად შფოთიანი სიზმარი ვნახე, ვგონებ, რომე კეთილი არ არის და იმისთვის ესრეთ დავემზადეო“. ესე სთქვეს და აღმოსავლეთისაკენ სანადიროდ გაემართნენ.

### ამაჲ ყარამანისა და სხვათა სანადიროდ წასვლა და ამ ნადირობაში ყარამანისაგან ნადირის ნახვა და დაპარგვა

რა იმჟამად ყარამან და სხვანი სანადიროსა ალაგსა მივიდნენ, სამი დღე გულისტამის მთაში ნადირობას შეექცნენ, მრავალი საკვირველი რამ სანახავი იხილეს, მრავალი მხეცი და ნადირი მოსრეს და ამისთანას შექცევისათვის დიდს მხიარულებასა იყვნენ. მეოთხესა დღესა ყარამანს ნადირობაში ერთი ქურციკი ნადირი რამ შემოხვდა და იგი ნადირი გაიგდო ერთს მხარეს და წაჰყვა.

იმჟამად სარვიხურამან, ყათრან, ბარამ ჯიბილი და გარდანქეშანი ყარამანის სიახლოვეს ნადირობდნენ. იმ ნადირობასა შინა იმათაც ნახეს, რომ ყარამანის მხეცის წინ ერთი ჯეირანი წამოხლტა და ზედ ერთი ატლასის ჩული ეხურა, უცხოს მურასის თვალ-მარგალიტით შემკობილი. ამ ჯეირანს თვალეზი ადამიანს უგვანდა. ყარამანი იმ ჯეირანს გამოუდგა, ჯეირანი ყარამანს და მის მხეცსა დილის ნიავივით წინ მიუქროდა. რა მათ ისრე მსწრაფლი დევნა იხილეს, სარვიხურამან, ყათრან და გარდანქეშან მათ გამოუდგნენ. რამდენსაჲ ეცადნენ, რომ ყარამანს და იმ ჯეირანს მისწეოდნენ, მაგრამ ვერ მოეწივნენ, ვერცა თუ რამე გაიგეს, დაბრუნდნენ და კვალად ნადირობას შეექცნენ.

რა რომ საღამოს ჟამი შეიქმნა, სარდალნი და ფალავანნი ერთს



ილაგს შემოიკრიბნენ. რა დრო გარდავიდა, ყარამან აღარსაით მოვიდა. ფალავანთა და ლაშქართა კითხულობა შეექმნათ და ვერავისაგან ვერა სცნეს და ვერცა ვინ მისი მნახავი იპოვეს. ეს ამბავი რაჰინდს მოხსენდა და შაჰფალ-შაჰს სარვიხურამანმა უამბო: ყარამანს ერთი უცხო ჯერიანი აღუჩნდა და მას გაჰყვავ. მე, ყათრან და გარდანქეშან ბევრს ვეცადენით, მაგრამ ვერ მივეწიენით. იმ ლაჰარაკში იმ დამეს იქავ განისვენეს. რა დილა გათენდა, იგი ფალავანი არცა თუ მაშინ მოვიდა. სამ დღემდის ამათ იმ ადგილას დაჰყვეს, მაგრამ არცა თუ მაშინ გამოჩნდა. ბალი ირამის მთაში და ბარში ყოველს მხარეს მისის ამბავის საცნობლად ფერიები დაფანტეს, მარამ ვერა გაიგეს რა, ვერცა თუ მისსა მნახველს სულდგმულს შეხვდნენ. მისთვის დამშვრალნი და დიდად შეწუხებულნი ყოველს მხრიდამ მოვიდნენ. ორმოცი დღეც შესრულდა, რომ ყარამანისა ვერა სცნეს რა. ყველანი დიდად მწუხარებდნენ ყარამანისთვის.

შემდეგ შაჰფალი ფერიმ ზე აიხედა და თქვა: აღმოსავლეთის მხრისკენ ერთი ჯადო არის, სახელად აშქალ ჯადო ეწოდების, ნუთუ იმის ჯადოში ჩავარდაო? რა ეს სარვიხურამანმა გაიგონა, ტირილი და გლოვა შექმნა და თქვა: ვგონებ, რომ ამას ცილი აღარ უნდაო. ისეთი არავინ არის, რომ წამიყვანოს და აშქალი ჯადო მიჩვენოსო? ან მოკვლა და ან ყარამანი დავისხნა და ან მეც მისის ხელისაგან მოკვდეთო? რა ესე სთქვა, მსწრაფლ ზე აღზდგა და წასასვლელად დაემზადა, მაგრამ ფალავანთა არ გაუშვეს და მოახსენეს: ჰეი, ქვეყანაზედ ქებულო სარვიხურამან! ამდენი დევნი და ფერიანი და სხვანი მონანი აქ არიან შემოყრილნი, შენ რა გიჰირს, რომ წახვიდეთ? ხომ მოგეხსენებათ, რომ ამ გვარი საქმე მრავალჯერ უქმნია საბყირანსო. ამ სიტყვის თქმაში იგი თორმეტნი დევნი მოასხეს. ხელმწიფემა ბრძანა: ამ ჯარის დაფანტვა არ შეიძლება, ნუ დაფანტავთო. მანამდის ესენი წავიდნენ და იმ ფალავნის ამბავი შეგვატყობინონო. რა ესე ბრძანა, მაშინვე თითო დევი თითო მხარეს ყარამანის საქებნელად და მის ამბის შესატყობლად წავიდა.

### აქა ყარამანის საქებნელად ათორმეტთა დევთა წასლვა

ყველანი მსწრაფლ თითო მხარეს გაემართნენ. რადი ნარა დასავლეთისკენ წავიდა, სიფით ნარა შუავის მთისაკენ წავიდა, სამანდუნ ბადახშანის მთისაკენ წავიდა, აქაქუნ დევი ბეაბანის მთისაკენ წავიდა,

სეპლან დევი ქუი ბროლისაყენ წავიდა, თემურ-ნარა ქუი მარვისაყენ წავიდა, ქელან დევი სანგნისტანისაყენ წავიდა, სამან აღამიზად შარიზარისაყენ წავიდა, მნათუზ დევი ჯაზირეი ბიფრიდისაყენ წავიდა, სარყან დევი ბაჰრეინის ჯაზირისაყენ, ანთუზ დევი ჰაიათისაყენ. ყანუზ დევი ქუი ქაბუთისაყენ.

ყოველნი ყოველს მხარეს გაემგზავრენ და ყოველს ქვეყანაში ხმა გაადდეს, რომ უსწორო ფალავანი ზულუმათილამ გამოვიდა ნადირობაში და დაიკარგაო, ესოდენი ხანია ვერავის გაუგია რაო, რომლის მხრისკენ წასულაო. ესე ამბავი ყოველს მხარეს გამოცხადებული შეიქმნა, გამოცხადებით უთხრეს იქ ზულუმათისტანის სულთანებმა და ფალავანთა სარდლებმა: მაგისტვის ნუ შეიჭირებთ, ყარამანს ერთი ისეთი საზარო ნიშანი აქვს, რომ ვერც აშქალი ჯადო და ვერც სხვა ვინმე დააკლებს რასმესაო! ეაე თქვეს და იმ თორმეტ დევს მწუხარებით მოუცადეს. იმ თორმეტს დევთ იგი არე და სხვაც მრავალი ქვეყნები მოველოთ და ფალავნისა ვერა შეეტყოთ რა. ამ დევთაგან ათერთმეტნი დევნი მოვიდნენ, მაგრამ სამან აღამიზადი არ მოვიდა.

რა ამ დევების მოსვლა და ყარამანის უცნობლობა მოისმინა სარვიზურამანმა, იმედგარდაწყვეტით შეწუხდა და ენება რომ ყარამანის გულისათვის ხანჯლით თავი მოეკლა. მუნ მყოფთა არ გაუშვეს სასიკვდილოდ, მრავალი იმედიანი სიტყვები მოახსენეს და მისი მწუხარე გული იმით დააწყნარეს. მერმე შაჰფალი ფერიამ თვისანი მეცნიერნი, მუნაჯიბნი და მერამლენი მოახსმევინა და რამლის შეყრა უბრძანა. მათ რამლი ჰყარეს, მცირესა ხანსა დაფიქრდნენ და მოახსენეს: დიდო სულთანო, ნუ შესწუხდებიო, იგი ფალავანი ამ ორს წელს შემდეგ ბალი-ირამში მოვაო. ამ ორის წლის განმავლობაში თქვენ იმას ვერა ნახავთო. მხოლოდ სამანი კი ნახავსო. მართალი და სწორი ეს არის, თუ ეს ასე არ მოხდეს და ჩვენ გავმტყუნდეთ, ჩვენი თავი მოგვირთმევია, თავები დაგვაყრევინეთო. ამათგან რა ესეთი იმედიანი სიტყვა მოსმინეს, დიდსა მხიარულებასა მიეცნენ. საზაის მოუსვლელობისათვის იმედი დაედოთ და იტყოდნენ: სამან თუ საბყირანს არ შეჰყროდა და მისსა სამსახურსა შინა არ იყოს, უთუოდ აქამდისინ დაბრუნდებოდა.

ესე ამბავი აქა დაუტეოთ და მცირე რამ ყარამანისა მოვიხსენიოთ: იმჟამად რომ ყარამანი ფალავანებს გაეყარა, ნადირობაში ჯეირანს გამოუდგა, ერთსა ალაგას ახ-

ლოს მიეწია და თავისი დევის ქამანდი შესტყორცნა და იგი ჯეირანი ასეთი შეხლტა, რომ მის საგდებელსა შინა გაძვრა. იმ დღეს საღამომ-დისინ სღია და ვერა გააწყო რა. მრავალი უანგარიშო მთა და ბარი გადაარბენინა. რა საღამოს უამი შეიქმნა, თავისისა მხეცის სადავე მოსწივა და ერთსა ალაგსა დადგა და ოთხსავე მხარეს თვალნი მოავლო და იგი ჯეირანი ვერსად იხილა, მობრუნდა ერთის მთის ძირს, ნახა, რომ ერთი უცხო წყარო გამოდიოდა. ყარამანს ძლიერ მოეწონა და იმის გარემოს მწვანოვანსა და ყვავილოვანს ადგილას გარდახდა, ფალავანმა თავისი მხეცი ბალახსა მიუშვა და თვითონ ცეცხლი დაანთო, ნადირი რამე მოკლა და მცირესა რასმე შეექცა, შემდგომ თვისი ფარი თავით დაიდვა და მცირესა მოსვენებას მიეცა.

რა მხეცმან ნახა, რომ ყარამანმან დაიძინა, ძოვნას დაუტევა, მივიდა და თავსა დაადგა და უქეშკია. რა შუალამე შეიქმნა, იმ მთის წვერიდამ ერთი ისეთი საშინელი ხმა მოესმა, რომ იმ მთამ სრულე-ბით ზანზარი დაიწყო. მაგრამ ყარამან დაღალულობისაგან ასეთ მოსვენებასა მისცემოდა, რომ იმისთანა საშინელი ხმა ვერ გაიგონა. რა ეს ხმა მხეცმა გაიგონა, ყური დაუგდო. მეორედ უფრო უნამეტ-ნავესი ხმა მოესმა. თურმე ახლო მოსულიყო. მაგრამ ფალავან-მა იგი ხმაც ვერ გაიგონა. რა ყარამანის საჯდომმა ექვსფერხოვანმა ყარამანის გამოუღვიძებლობა ნახა, ტოტის ცემა შექმნა და ერთი ასეთი შეჰყვირა, რომ იმ მთამ და მინდორმა სრულეებით ზანზარი შექმნა. იმ ხმაზე ყარამან წარმოიჭრა და თავის ბასრ ხმალსა ხელი მოივლო და ორსავე მხარეს თვალნი მოავლო, მაგრამ ვერა რა იხილა. შემდეგ თვის შეშფაიბარს ყურება დაუწყო და გაშტერდა, იფიქრა ყარამანმა: ჩემი შეშფაიბარი უბრალოდ არ გამაღვიძებდაო. ნახა, რომ არა იყო რა, უბრძანა: რად გამამაღვიძეო, არ დამეხსნები, რომ მცირე ხანი მოვისვენოო? ესე თქვა და ფარი თავით დაიდო, დაწვა კიდევ და დაიძინა.

რა მცირე ხანი გავიდა, მხეცმა ნახა, რომ უფრო ახლოს მოვიდა ის საზარელი ხმა. მხეცმაც აქედამ ერთი საშინელი ხმა შესძახა და ტოტს ცემა დაუწყო. ასე რიგად სცემდა ტოტსა, რომ მისი ტოტის ნაცემის მიწა და მტვერი ჰაერსა სწვდებოდა. ყარამანმა ამ თავის საჯდომის ფეხის ხმაეზდ გამოიღვიძა და მსწრაფლად წარმოდგა, მცირესა ხანსა მიიარ-მოიარა და ვერა ნახა რა. განრისხებული თვის-სა მხეცსა მოუხლტა და თვისის ოთხმოცდაოთხ-ლიტრიანი მათრახით

გალახა და უთხრა: რომ არა არის რა, რა გაყვირებსო?! ძალიან დატუქსა და უბრძანა: თუ კიდევ გამავლიძე, ღმერთსა ვფიცავ, უშენოდ რაც უნდა დამემართოს, უსიკვდილოდ არ გაგიშვებო. ეს თქვა და კვალად დაიძინა.

რა იგი ძილს და მოსვენებას მიეცა, იმ საზარო მხეცმა ერთის ისრის მანძილზედ მოაწია. რა ყარამანის საჯდომმა თვალი დააკვირვა, ნახა, რომ იმ მთილამ ერთი საშინელი სანახავი გამოვიდა. ორივე თვალნი დიდრონს საკირის ცეცხლსა ემსგავსებოდა და მრისხანებით თვალეbs აბრუნებდა და სადაც ყარამანს ეძინა, მისკენ მსწრაფლად მივიდოდა. რა შეშფაიბარმა ესე იხილა, ძლიერ შესწუხდა, მაგრამ ყარამანის გამოღვიძებისაგან შეშინდა და მისთვის ველარ დაიჭიხვინა და ველარც ტოტს ცემა დაუწყყო. მცირესა ხანსა გაშტერებით ყურება დაუწყყო, შემდეგ მოვიდა და თაყს დაადგა ყარამანს, იფიქრა, თუ გამოვალვიძო, ვაი თუ კიდევ უჩინო შეიქმნასო და თუ არ გამოვალვიძო, უთუოდ ეს მხეცი მძინარეს მოჰკლავს ყარამანსაო. ესოდენი ჭირნახული და სახელი წაუხდებო.

რა ესეთსა განზრახვას იყო, ფალავნის გამოღვიძება ვერ გაბედა და იგიცა სიხალღვესა მოვიდა, მსწრაფლ შეშფაიბარი გარდახლტა, კული შეიქანდრაკა და მას მხეცსა მიმართა, მრისხანის გულით შეუტივა. ყარამანსაც შეშფაიბარის განრისხებაზედ გამოელვიძა. რა მარჯვნივ მიიხედა, ნახა, რომ ერთი საშინელი მხეცი, ექვსის სპილოს ოდენი, მისკენ მოვა. ისეთია, რომ თავი დიდს საყდრის გუმბათს მიუგავს, ექვსი თვალი ასხია, თვითო თვალი თვითოს აღგზნებულს ქურახანას უგავდა, ექვსი ტოტი ება, ლომის ტოტისმაგვარი. ასეთი ფშვით მოვიდოდა, რომ მისი ორთქლი ცეცხლებრ დამესანთებდა. განრისხებულმან შემოუტივა შეშფაიბარსა. რა შეშფაიბარმა მისგან შემოტევება იხილა, იმანაც მამაცურად შეუტივა.

რა ყარამანმა ამ ორის საშინელი მხეცებისაგან ერთმანერთის შეტაკება იხილა. მრისხანედ გულმა ძგერა დაუწყყო, ასე რომ მისის გულის ძგერის ხმა შორად ისმოდა. თვალეbs თვისის მრისხანებისაგან ცეცხლს დაამსგავსა და მაშინვე თვისსა ბასრს ხმალს ხელი მოავლო და ერთი ასეთი შესძახა, რომ იმ მთებმა სრულიად რყევა დაიწყეს. ასე რომ, რაც იმ მთაში მყოფნი ნადირნი იყვნენ, სულ სხვა და სხვა მხარეს გარდაიხვეწნენ. მერმე ყარამანმა თვისსა შეშფაიბარს უთხრა: შენ მაგისი მოპირდაპირე არა ხარ, მე მომანებეო. რა ესე უთხრა,

მსწრაფლ საშინელს მხეცს მიმართა. რა იმ მხეცმა ყარამანის ხმა გაიგონა, იმ მხეცმაც ერთი საშინლად შეჰყვირა და მიწასა და ქვას ბრღვნა დაუწყო და ჰაერში გაყარა. მერმე მისწვდა და ერთი საშინელი უზარმაზარი ხე მოგლიჯა ძირიანად და ყარამანს მოუხლდა, დასაყრავად მოუქნია. ყარამანმა ჯანი ჯანუმის ფარი თავსა იფარა და ღმერთსა მიენდო და დადგა. იმა მხეცმან ესრედ დაჰკრა რომ ყარამანს ეგონა, ეს მთები თავზედ დამექცაო. მაგრამ იმ დაკრულმან ვერა აენო რა.

იმ მხეცმან რა ყარამან ცოცხალი დაინახა, განრისხებული შეახლტა, ოთხივე ხელი ყარამანს შემოხვია და ასეთი მოუქირა. რომ სული შეუგუბა. ასე ფიცხლად მოექცა იგი მხეცი, რომ ყარამანს იარაღი აღარ ახმარებინა, თავის მოგლეჯას ლამოდა. ამაზედ ყარამან დიდად აჩქარდა, ცალის ხელით წვევრსა სტაცა და ცალის ხელით ერთი ასეთი მოუშტი დაჰკრა, რომ თავის ტვინი და ძვალი ერთმანეთში აურიო. მან მხეცმან სიმწარისაგან ასეთი დაჰკრა კული მიწასა, რომ მიწა სრულობით შეიძრა, დაიჰყვილა და მთასავით ძირს დაეცა. რასაც ხელი მოავლო, ქვასა თუ ხესა, ჰაერში ყრა დაუწყო, ერთი საშინელი კიდევ დაიჰყვილა და სული ხორცთაგან დაცალა. რა იგი ყარამანმა მკედარი ნახა ღმერთს მადლი მისცა, მივიდა და თავის საჯდომს ექვსფერხოვანს გარდაეხვია. გალახვის მაგიერად კეთილი საუბრით ბოდში მოსთხოვა, მერმე მივიდა და თვალებში აყოცა და ღმერთს მადლობდა ამისთანა რაშის შოენისათვის. იმ ღამეს მუნვე განიხვენა.

რა დილა გათენდა, ფალავანმა იმ მხეცსა ოთხი ტოტი მოსჭრა და ოთხიც კბილი დააძრო და შინათკენ წასასვლელად დაემზადა და ფიქრობდა: არ ვიცი, რომელ გზიდამ მოველ ამა ალაგსა და ან რომელ მხრისაკენ წავიდეო ბალი-იარამშიო?

ამ განზრახვაში და საგონებელში რომ იყო, იგი ჯეირანი თვალთა წინ აუჩნდა. რა ყარამანმა იგი ჯეირანი დაინახა, იფიქრა, ამ ჯეირანში ერთი რამ არისო, რომ არ მეშვებაო. ჩემს სიზმარსაც ეტყობა, რომ ჩემის საყვარლისაგან რამდენსამე ხანს მოშორებულა უნდა შევიქმნაო. აჰა. ეს არის, ამ მიზეზით სრულდებო. რა ესე სიტყვა დაასრულა, იფიქრა; რადგანაც ეს ჯეირანი არ მეშვება, არც მე გაუშვებო ანუ თავსა ჩემსა მოვეკლავ და ანუ აძის მართალს რასმე შევიტყობო. ახსენა ღმერთი, თვისი ქამანდი მკლავსა გარდიგდო, თვისსა მხეცსა ამხედრდა და გამოუდგა.

რა ჯეირანმა ფალავანი შემჯდარი დაინახა, აღმოსავლეთის მხრისაკენ გაიქცა. იგიცა უკან გამოუდგა: მცირესა ხანსა მისწვდა და თვალი დააკვირვა, შეშფაობარს სადავე ასწია და დადგა. ჯეირანმაც ყარამანს ყურება დაუწყო. ამ ჯეირანს თვალთაგან ცრემლი სდიოდა. რა მისი ამგვარი ცრემლთა დენა ყარამანმა დაინახა, დიდსა საკვირველებას მიეცა და კვალადცა შეუტია. იგიცა გაექცა. ყარამანს დილის ნიავეით წინ მიუქროდა. მზის ჩასვლამდისინ ფალავანმა იმ ჯეირანსა სდია, რა მზე ჩახდა, სადავეს ასწია, თვალი მოავლო, ნახა რომ ერთს ასეთსა მინდორსა გასულიყო, რომ მისს სიგრძესა და განსა თვალი ვერ გარდასწვდებოდა, მაგრამ იგი მინდორი უცხო სამყოფი იყო, უცხო ჰავა წყლიანი, მწვანოვანი, სურნელიანი, მრავალი უცხოდ ფერად-ფერადი ყვავილი იდგა ასე, რომ იმ სურნელებისაგან კაცი უცნობო შეიქმნებოდა. ღმერთსა მადლობა მისცა. თვისი დამშვრალობა იმა საამო ალაგის ხილვით დაივიწყა. კვალად თვალი მოარნა. იხილა, რომ იმ პატიოსანსა მინდორსა შინა ერთი უცხო ხე იდგა. მივიდა ყარამან და იმ ხის ძირს გარდახდა. იგი ჯეირანიც უჩინო იქმნა. მცირესა ხანსა ფალავანმა მშვილდ-ისარი ხელთა იპყრა, მინდორსა მას გავიდა, ერთი ნადირი მოკლა, მის ხის ძირს მოიღო, ცეცხლი აანთო, შეწვა და შეექცა, მაგრამ იმ ჯეირანის საგონებელსა ფიქრსა იყო: ნახე, ამ ჯეირანის გამოყოლით რა სასჯელსა და განსაცდელშიო მივეციო, რომ ესოდენი ხანია ჩემს საყვარელს და უსწორო ფალავანთ მოვშორდი, ივინი ჩემის ამგვარად დაკარგვისათვის რა მწუხარებაში იქმნებინ, ვერცა რა ამისი შევიტყვე რამეო და ვერც შევიპყარ. რა ესე სიტყვა დაასრულა, დაწვა და დაიძინა.

რა დილა გათენდა და ქვეყნის მაშვენებელმან მზემან თვისი ბრწყინვალეობა ქვეყანას მოჰფინა, ყარამანს გამოეღვიძა, ზე ადგა, ხელ-პირი დაიბანა, თვის შემოქმედსა მადლი შესწირა, თვის ექვს-ფერხოვანს მხეცსა ამხედრდა და მას მინდორსა თვალი მოავლო. ნახა, რომ იგი ჯეირანი იმ მინდვრის საშუალს ალაგის პარისპირი იდგა და ყარამანს უყურებდა. ყარამანმა თავსა თვისას უთხრა: თავო ჩემო, თუ ამ ჯეირანზედ ხელი აიღო, გაბრუნდე და იქვე დავარ-ყალას მიხვიდე, ფალავანნი და დიდებულნი რას მეტყვიან და ან რომ მკითხონ, ესოდენი ხანი ჯეირანსა სდივე, იგი რა უყავი, მე მათ პასუხი რა უთხრა? თუ უთხრა, სამი დღე ვზდიე, ვერ მოვეწიე, ბეზარი შევიქმენ და გამოვბრუნდი, მეტყვიან, ფალავანი სააბყირანის

დავასა სწევსო და ერთის ჯეირანისაგან ბეზარი შექმნილა, ვერ მოუკლავსო და ცარიელი შემოქცეულა. ეს ხმა ყველგან გამომეცხადება და მე მათთან აღარ მედგომება და ვერცა ამ სახელს და სირცხვილს გაუძლებო. მაშ, მმართველს ამ სახელის დებასა და ჩემის საყვარლისა და უსწორო ფალავანთაგან საყვედურს. ამ ჯეირანის გზაზედ ან მოკვდედ და ან მისი სწორე რამ შევიტყო, თუ არადა გეგზის შეწვევითა ღვთისათა ცოცხალი შევიპყრა და მათ ფალავანთათანა მისი უცნობო არ მივიდე!

ესე თქვა, მხეცა ქუსლი ჰკრა და იმავ ჯეირანს გამოუდგა. იგიც კვალად აღმოსავლეთისაკენ გაიქცა. რა ყარამან შეშფაიბარს შეასვენებდა, იგი ჯეირანიც დადგებოდა. რა შეუტევდა, იგიცა გაიქცეოდა. ამ ყოფით ჩვიდმეტი დღე და ღამე დაუსვენებლივ სდია. მეთვრამეტეს დღეს ყარამანს მეტის მრისხანებითა თვალეზი სისხლით სავსე. თასს დაემზგავსა და თქვა: რაც უნდა დამემართოს, ამას მოუკლავს არ გაუშვებო! მაშინვე ქარქაშთაგან ერთი ისარი აღმოახდინა, მშვილდსა დაუკილოვა და მისსა სიკვიდისა ლამობდა. რა მან ჯეირანმა ყარამანის ხელში მშვილდ-ისარი დაინახა, თვალის დახამხამების უმალ უჩინო შეიქმნა. რა ყარამან მისი უჩინოდ ქმნა იხილა, დიდსა საგონებელსა ჩავარდა და დიდად გაოცებულმან ოთხსავე მხარეს ყურება დაუწყო.

ერთის მხრიდამ საშინელი ხმა რამ მოვიდა. ისრეთი ხმა იყო, რომ მთამა და ველმა ზრიალი დაიწყეს. ყარამან თქვა: ეს რა საკვირველი ხმა არისო? მიიხედა, ნახა, რომ ერთი საშინელი ვეშაპი იყო, თავი დიდსა მთასა უგვანდა, თვალეზი ქურახანის სახმილს უგვანდა, პირი კლდესაგან გამოკვეთილსა ქებასა, კბილეზი ესრედ ეღრიქნა, რომ მნახავთათვის საზაროდ კმა იყო, პირთაგან ცეცხლსა აფრქვევდა და ყარამანისაკენ მოვიდოდა. ფალავანმა მსწრაფლად მშვილდ-ისარი მოიმარჯვა, თავისსა მხეცა ქუსლი ჰკრა და მას ვეშაპს შეუტია. ესრეთ თქვა: ღვთის ძალით ამ ვეშაპს ერთის ისრის კვრით შუა გავკვეთო. მხეცისაგან გარდახტა და ესრეთ შესძახა, რომ იმ მთამა და მინდორმა რყევა დაიწყო. რა მან ვეშაპმან ისრის ეღვარება და ისეთი მრისხანედ შეტეგება იხილა, იგი მსწრაფლ უჩინო შეიქმნა. ყარამან ამ საქმეზე დიდად გაოცებული იყო და ოთხსავე მხარეს ყურება დაუწყო. ვეშაპი ვედარსად იხილა, მივიდა და ერთ ხის ძირას გარდახტა, რაში ბალახსა მიუშვა, ფარი თავქვეშ დაიდვა, მიწვა და ვეშაპისა საგონებელსა შინა დაეძინა. ამ ძილსა შინა ფეხის ხმა მიესმა.

## აქა ზორაბის მოსლვა ყარამანის წინაშე, თვისის ამბის გმოზა და ყარამანისაგან მისი შემწეოზა

მასვე წამსა ყარამანს გამოედკიძა და ნახა, რომ პირისპირ ერთი ვილაც უდგას, ორმოცდაცამეტის მწყურთის სიმალლის მქონებელი. უცხო მურასად ქმნილის ოქროს ქსოვილით მოსილი ყმაწვილი კაცი იყო და ისრეთი მშვენიერი სახე ჰქონდა, რომ ყარამან მისსა მშვენიერებასა დიდად გაჰკვირდა და ღმერთს მადლობა მისცა, ესრეთი მშვენიერი ადამიანი ვითარ დაგიბადებიაო. რა თვალი დააკვირვა, ნახა, რომ იმ ყმაწვილსა ოთხი მწვანე ფრთა ჰქონდა და ორსავე თვალთაგან წყაროსაებრ ცრემლი სდიოდა. რა ყარამანის სიახლოვეს მოაწია, დაემხო, პირი მიწასა დასდვა და ყარამანს ფერხთა მოეხვია. მაშინვე ყარამანმა თვისის ხელით მიწითგან ააყენა, ხელი მოჰკიდა, გვერდით დაისვა და უთხრა: ყმაწვილო, ეგრე რად სტირიო? შენი ამბავი ყოველივე თვითეულად მაუწყეო, ძალი ვისგან დაგდგომია, ანუ უსამართლობა ვისგან გჭირსო, ყოველივე მაუწყეო, ძალითა ღვთისათა შემოძლია, რომე იგინი და მათი სახსენებელი ჭვეყნიდამ აღვზოცოო.

რა იმ ყმაწვილმა ყარამანისაგან ესრეთი იმედიანი, თავზედ მოწყალეზიანი ხმა გაიგონა, იმედი მიეცა, თავი დაჰკიდა და ღვიძლთაგან ისრეთი სულთქმა აღმოახდინა, რომ მსმენელთათვის დიდად შესაბრალისი იყო. თავი აიღო და მოახსენა: საბუყირანო, თუ წყალობას მოიღებ და ყურს მომიგდებ, ჩემს დაღონებულს ამბავს მოგახსენებ:

ჯინისტნის ჭვეყანაში შვილნი სულთანნი არიან, თვითო-თვითო ასი ათასის ჯინზედ ბრძანების გამცემნი. ერთსა სახელად საჰლან-შაჰ ჰქვიან, საგზაბარის ხელმწიფე არის; მეორესა თემუზ-შაჰ ჰქვიან, საბაჰარის ჭვეყნის ხელმწიფე არის; მესამესა მუჯგან-შაჰ ჰქვიან, ხურბათის ჭვეყნის ხელმწიფედ ბრძანდება; მეხუთესა ნაზათ-შაჰს უხმობენ. ზარბათის ჭვეყნის ხელმწიფეა; მეექვსესა ჰაჯიზაამას უხმობენ, ბეყარარის ხელმწიფე არის და მეშვიდესა შაჰრიჯანან ჰქვიან, იგი ბეყარის ხელმწიფე არის. საბუყირანო! ყოველთაგან შესაბრალისი საჰლან-შაჰის შვილი ვარ, სახელად ზორაბ მეწოდება. დღეს ამას მოგახსენებ, რომ ეს ექვსი ხელმწიფე მამის ჩემის ძმები არიან და ჰაჰათი-ჯანის შვილები არიან.

შავი და ბნელი იყო იგი დღე, მე რომ დავიბადე ჭვეყანაზედ. ბიძა ჩემს ხურბათის ხელმწიფეს ერთი ქალი დაებადა, სახელად მუშთარი ბანო უწოდეს. ხანსა რაოდენსამე უკან ეს შვილნი ხელმწიფენი საგზა-



ზარში ერთად შეიყარნენ და იგი ქალი ჩემთვის ითხოვეს. რა ფეხზედ სვლა შევიძელით, ორნივე ერთად სასწავლებელში მივცეცეს. თოთხმეტი წელიწადი სასწავლებელში გაზღვით ერთად და ერთმანერთის ისეთი. სიყვარული გექონდა, ისეთნაირად გვიყვარდა ერთმანერთი, რომ რასაც დღეს ერთმანერთი არ გვენახა, ასე გვეგონებოდა, რომ ის დღე ჩვენთვის არ გათენებულაო და სიკვდილსა მივიწურებოდით. სააბყირანო! რა ჩვენი ესეთი სურვილი ნახეს და გაიგონეს, შვიდნივე ხელმწიფენი სავზაბარში შეიყარნენ, ჩემის ქორწილის მზადება დაიწყეს და მოიხმეს მეცნიერებით სრულნი მდივანნი და დაწერეს რაყამნი მუშკით შეზავებულის მელნითა და გაგზავნეს ყოველგან ჩაფარნი. რანიცა თავიანთ საბრძანებელში მეფენი და წარჩინებულნი ფალავანნი იყვნენ და დიდებულნი, თუ ქალნი, თუ ვაჟნი იყვნენ, ყოველნივე დაიბარეს. სამ თვესა სავზაბარში ლხინსა და შექცევასა იყვნენ.

რალა გრძლად მოგახსენო, იმ ქამად ჩემის გულისა და გონებისა დამწველი და დამდაგველი მუშთარი ბანოს სახელი ჯინისტანში და ფერიისტანში უზომოდ განთქმულიყო, ასე რომ მუშთარი ბანოს სილამაზე და სიმშვენიერე მზის ბრწყინვალეობას მიემსგავსებოდა. რომელნიც დევნი, ფერიანი თუ ჯინნი ნახავდნენ, მისსა სიმშვენიერეზედ გაჰკვირდებოდნენ. სრულიად ჯინისტნის შვიდნი მეფენი და დიდკაცის შვილები მისნი არშიყნი შექმნილიყვნენ, მაგრამ ყოველნი ცუდად მამერალობდნენ: ვერცა ერთნი მუშთარის იშოვნიდნენ და ვერცა თუ ძალით გაუძალებდნენ მას. იმ ჯინისტნის ქვეყნის სიახლოვეს ერთი ციხე იყო, ყაფის მთის მხრისაკენ, სახელად ქული ბაბუდს უწოდებენ, რომელიც მზის აღმოსავლეთისაკენ იყო. იმ ციხის გარდა შვიდი ციხე კიდევ სხვა არის, ყოველივე დევებით სავსე. ამა ციხეებსა და ყაფის მთასა შიგან კიდევ ერთი სხვა ციხეა, იმ ციხეში ერთი დევია, სახელად აქვან ნარა დევს უხმობენ, იმ ქვეყანას იგი პატრონობს, ასოცი მწყრთა სიმაღლე აქვს, სამი ათასის წლისა არის, თავი სპილოს მიუგავს, მკლავები ლომის ტოტებსა, ფეხები ვეფხვსას. იმ ქვეყნის ხელმწიფე იგი არის. სააბყირანო! მრცხვენიან ესოდენის თქვენის თავის შეწუხებისათვის და ამდენის მოხსენებით, მაგრამ რა ვქნა, დაუნელებელი ცეცხლი მეკიდება.

შემდეგომ ფალავანმა უბრძანა: ძმაო ზორაბ! ყოველივე უკლებლად მიბრძანე, ნუთუ ძალითა ღვთისათა შეგეწიო რამეო. მოახსენა ზორაბმა: სააბყირანო, ერთ დროში გივი მარას ხელმწიფეს რომ დე-

ვები დაეტუსაღებინა, იმათ დაქერაში ის ერთი დევი გაქცეოდა. იგი გივი-მარას ხელმწიფის გაკეთებული საპყრობილე რომ შემუსრეთ თქვენ და იქილამ თორმეტი ხვალი დევი რომ გამოასხით, ის წყუელი აქვანიც მათგანი არის. გივი-მარას ხელმწიფემ იგინი რომ შეიპყრა, მაშინ ის გაექცა და ოკიანე ზღვაში ჩავიდა და იქ დაიშალა. გივი მარას ხელმწიფე ბევრს ეცადა, რომ იგი ბილწი ხელში ჩაეგდო, მაგრამ ვერა გააწყო რა და ვერც ხელში ჩაიგდო. ვიდრემდის გივიმარასი არ მოკვდა, მანამდის არავინ არ იცოდა, თუ სად ცხოვრობდა იგი წყუელი, რაკი გივი-მარას ხელმწიფე მოკვდა, მას უკან გამოჩნდა და მთელი ჯინისტანი და ყაფის მთა სულ შეაძრწუნა, ასე რომ რისხვა ღვთისა მათ ზედან მოაწია. რა ეს წყუელი აქვანი ყაფის მთის და სხვა სახელმწიფოში მივიდის, მისი შიშისაგან ყველანი გარდაიხვეწნენ და გაიქცნენ.

იმჟამად იმ წყუელ აქვანს ჩემი მუშთარი ბანოს ქება და სიმშენიერე სმენოდა. რა მისი ქება ესმინა, მაშინვე მისი ტრფიალი შექმნილიყო. შემდეგ ესეც სმენოდა, რომ სამი თვეა საეზაბარში ჯინისტის ხელმწიფეებს ზორაბისა და მუშთარი ბანოს ქორწილი აქვსთო. ამ სამის დღის შემდეგ მუშთარის ზორაბს მისცემენო. რა ესე გაეგონა, სიცოცხლისაგან უიმედო შექმნილიყო, მაშინვე ებრძანა: ორასი ათასი ცეცხლის მფრქვეველნი დევნი შემოეკრიბათ და სწრაფითა სიარულითა საეზაბარისაკენ წამოსულიყვნენ. ჩვენის მხრით უტოდინარობით აქვანი ნარა მოადგა საეზაბარს. ჩემი ბიძები, ხელმწიფენი და ჯინისტის დიდებულნი კი სამი თვე ლხინსა და შექცევაში იმყოფებოდნენ. ჯინისტის ბანოვანნი შაპრი-ჯანანში ერთს უცხოდ აგებულს ბროლის სასახლეში შემოიკრიბნენ და მუშთარი ბანო თავის შესაფერად უცხოს ძვირფასის სამოსლით და სამკაულით შეამკეს, მრავალი სუნნელი უკმიეს და უცხო სათამაშოები მოიღეს. ამ საკვირველის ქცევა-ყოფით და დიდებით მუშთარი ერთს კოშკსა შეიყვანეს. მეც იქ მიმელოდნენ. მრავალნი ძვირფასის სამკაულითა დართულნი ქალნი მუშთარისთან შეექცეოდნენ ჩემთვის უბედურად გათენებულსა დღესა.

იმჟამად მე მამისა ჩემისა სასახლეში ლხინსა და ნადირობაში შევექცეოდი. რა საღამოს უამი შეიქმნა, დიდებულთა მუშთარი ბანოსთან წამიყვანეს. რა იმ კოშკის კარზედ მივედით, მსახურნი და მასთან მყოფნი ბანოვანნი გამოგვეგებნენ, მრავალი პატიოსანი თვალი და მარგალიტი გარდამაყარეს. რაღა გრძლად მოგახსენო, ზემოთ

მოსხენებულნი ჯინისტნის სახელმწიფოს ერნი ყოველნი იქ მომე-  
გებნენ. იმ ჟამად ყოვლის უგრძობებლად შაჰრი-ჯანანის თავზედ  
ერთი ყვირილი და ხმიანობა შეიქმნა, რომ მეორედ მოსვლის ხმას  
ემსგავსებოდა. დევების ხმამ ქვეყანა მოიცვა ასე, რომ ყურთა ხმა  
ალარ ისმოდა. მცირე ხანს უკან აქვანი წარას ხმა გამოცხადებული  
შეიქმნა.

რა ესეთი ხმა შევიტყეთ, ჯინისტნის სულთანები და სულყველა-  
ნი უცნობო შევიქენით. იმ ჟამად შაჰრი-ჯანანში მყოფს ხალხს მისის  
შიშისაგან ცნობა მიეფანტათ და არ იცოდნენ, თუ რა ექმნათ. იმ  
ორასი ათასის დევების ხმასა და გურზების ტრიალსა ქვეყანა შე-  
ეძრწუნებინა. იმ დღესა და ღამეს ჯინისტნის ერზედ მეორედ მოს-  
ვლა აღსრულდა. შემდგომ ვნახე, რომ ასოცის მწყურთის მქონებელი  
აქვანწარა დევს ერთი დიდი ჩორსოს ოდენი გურზი ხელთ ეჭირა და  
ცხვირ-პირიღამ ცეცხლს აფრქვევდა. იმ ბროლის სასახლეზედ ჩამოხ-  
და და ერთი დიდი წარა გასწია და დაიძახა დიდის ხმით: მე ვარ  
აქვანწარა! ჰეი, ჯინისტნის ერნო, ჩემის ხელიღამ სიცოცხლეს სად  
გადაარჩენთო, მე ვარ აქვანი აჰანგის ხელმწიფეო. ესე თქვა და მა-  
შინვე სასახლეში შემოვიდა. ორმოცნი ათასნი ხვადნი დევნი თან  
შეჰყვნენ. იგი შვიდნი ხელმწიფენი რომელნიც იმჟამად იქ იმყოფე-  
ბოდნენ ჩემის ქორწილის მოსამზადებლად, შეიპყრეს და უწყალოდ  
მრავალი სტანჯეს ჩემის გულისთვის და თვითო-თვითაო ჯინჯილით  
შეჰკრეს.

შემდგომ მამაჩემიც შეიპყრეს, მერმე იქით მიმართეს, საცა მუშ-  
თარი ბანო იმყოფებოდა და იმ სასახლეში შევიდნენ. მეც თან შეე-  
ყვე. მინდოდა, რომ მუშთარი გამომეხსნა და ერთის მხრისაკენ გავქ-  
ეულიყავი. მოვიხედე, ვნახე, რომ თან დევები შემომყვნენ, ენებათ,  
რომ მეც დავეჭირე. რა მუშთარიმ ესე იხილა, დამიძახა: ჩემის სული-  
საგან უფრო სატრფო და სიცოცხლისა მომცემო, ჩემის მორჩენისა-  
თვის შენს სიყრმეს ნუ გააფუტებო, მე გაიშვი, რითაც გზით იყო  
და შენი თავი მოარჩინეო, ათასი ჩემისთანა შენის ჭირის სანაცვლო  
იყოლო! სააბყირანო! მეც იმ ჟამად ერთს ფანჯრიღამ გამოვარდი და  
ერთის მხრისაკენ გავიქეცე. რაც იმ ჰაერში დევნი იყვნენ, ყოველნი  
ერთად გამომიდგნენ და ვერც ერთი მომეწია. მე მოვრჩი, მაგრამ  
ვაპ ჩემს მორჩენასა და იმ დღის მამგონეს! იმჟამად ჩემს გარდა იქ  
მყოფნი ბანოვანნი და დიდკაცის შვილები თუ მცირენი ყოველნი

შეიპყრეს, იმ ღამეს შაჰრი-ჯანანში ორმოცი ათასი ჯინი მოკლეს. რა დილა გათენდა, აქვანნარა ტახტს დაჯდა, იგი ქვეყნები სულ დაიმონავა და სულ დევებით აავსო.

## ამა აქვანისაგან ჯინისტნის სულთნების შეაქრობა და აქვანის გახელმწიფება

რა მას ღღეს აქვანი ჯინისტანში გახელმწიფდა, მოინდომა, რომ ჯინისტნის ხელმწიფენი დაეხოცა, მაგრამ ქუი-სურხაბის სულთანნი აწყაბუზ ნარა შუა შემოვიდა და აღარ დაახოცინა. მოახსენა: უმაღლესო დევთა ხელმწიფეო! ამათის დახოცვით ზორაბს ხელში ვერ ჩაიგდებო, ესენი მტკიცედ დაიმონეო, თავიანთ ქვეყნები ისევ უბოძეთ, მაგრამ ეს პირობა დაადებინეო, რომ ზორაბი ცაში იყოს თუ ხმელეთზე, იპოვნონ და შენ მოგართვან და ბეგარად ყოველს წელიწადში შევიდასი ქალი და ვაჟი მოგართვან. თუ ეს ასე არ აასრულონ, ქვეყნებიც გაუოხრე და თვითონაც დახოცეო. მაგრამ ზორაბის დედამა ტყვედ შევინახოთ და ექვსი ხელმწიფე კი გაუშვათო. იმ აწყაბუზის რჩევა აქვანიმ მოიწონა, მაშინვე იგი ხელმწიფენი გაანთავისუფლა და იმ გვარი მტკიცე პირობები ჩამოართვა ყველა ხელმწიფეებსა.

მერმე აქვანიმ შაჰრი-ჯანანიდამ ყოველს მხარეს მრავალნი დევნი ჩემსა საძებნელად გამოგზავნა, მაგრამ ვერსად მიპოვეს. მეც რამდენიმე ღღეს უკან საბაჰარის ქვეყანაში ჩემს ბიძასთან თემუზ-შაჰსთან მივედი. ჩემი შეწუხება მოვახსენე, შევეტირე, ვგონებდი, რომ ჩემთვის წამალი რამ დაედვა. მე მისგან შეველასა მოველოდი, მაგრამ იმან აქვანის შიშით დამიჭირა, დამატუსალა, ენება, რომ რამდენიმე ჯინი გაპოეტანებინა და აქვანისთან გავეგზავნე. მაგრამ შემიწყალა ღმერთმან, მამიჩემის მსახურებთაგან რამდენიმე იმასთან იყვნენ, ერთს ღამეს ხელები გამისხნეს და გამაპარეს. რასაც ალაგას მიველ, მესისხლედ მეკიდებოდნენ, შენის გულისათვის ჩვენი ცოლ-შვილი დატყვევდაო და ქვეყანა მოოხრდაო, უსიკვდილოდ აღარც შენ გავიშვებთო, დამიჭირეს და რამდენსამე ჯინს გამატანეს და აქვანი ნარასთან გამგზავნეს. გზასა ზედან ჟამი დავიციე და გამოვეპარე. რა მუნიდამ შადიქამის ქვეყანაში მიველ, ველარც იქ დავდექ. მაშინდელიდგან აქამომდე მთებში და ბიაბანში დავალ.

ამისთანა მწუხარებასა შინა ვიმყოფებოდი და სიარულში ქუი-  
ქანანის ქვაბებში მიველ. იქ ერთი ბერი კაცი ვიპოვე, მივესალმე  
მწუხრის გულით და მანაცა მომიკითხა და მითხრა; ყარბო, დაჯე-  
ქიო. და ვკითხე, რა ხნისა ხარ-მეთქი. მან მითხრა: შვილო, ოთხი  
ათასის წლისა ვარო. მერმე მითხრა: შენ ვინა ხარო და ან საით  
გივლიაო და რომლის მიზეზითა აქ მოაწივეო, ანუ სახელად რა  
გქვიანო? მე მაშინვე თვალთაგან ცრემლი გარდმომდინდა, იმ თავით  
ამ თავამდინ ჩემი დარდი მას შევჩიველე. რა ყოველივე სრულობით  
მოისმინა, ისიც ჩემთვის დიდად შეწუნდა, ასე მითხრა: ზორაბ! თუ  
აქვანი დევისაგან მორევნა გინდა და იმ შენის დამდაგველის გამოხ-  
სნა, გულისტამ-ბალი-ირამს, დავარ-ყალას, რუბი-მასკუნდამ ერთი  
ყარამან წოდებული ფალავანი მოსულა, რომ ამქამად სააბყირანო-  
ბის დავასა სწევს. თვითონაც თახმურად ხელმწიფის შვილია, შენი  
ღონე იმის მეტი არავინ არისო. მისი ფალავნობის ამბავს ცოტას  
რამ მე გაუწყებ და გეტყვიო. დამიჯერე, მისს მოწყალე გულსა  
მიმართეო!

დიდად მიამა და მოვახსენე: მამარ, მიბძანე-მეთქი! მან მითხრა:  
შვილო! ერთი შენსავით შაჰფალ-შაჰს ცოლი აქვანის ძმას ქეივან  
დევს მოეტაცნა, რამდენსამე ფერიების ღიდრონი კაცის შვილები  
დაეტყვევებინა, თვითონ აქვანის ძმა ციხეზედ მისულიყო და დიდად  
შეეწუხებინა. მაშინ სააბყირან ფალავანი ყარამან შაჰფალ-შაჰს თვის  
შემწედ მოეყვანა. ქეივან დევს რომ მისთვის ველარა გაეძლო, იგი  
ტყვეებიც მოეტაცნა და ზულუმათისაკენ გაქცეულიყო. ყარამან  
გამოსდგომოდა, ქეივანიც მოეკლა და სხვა ათარიცა და რამდენიმე  
ათასის ლაშქრითა და იმ ტყვეებით დავარ-ყალას მოსულიყო. ახლა  
ის ფალავანი იქავ არის, შენც იქ მიდი და იმ სააბყირანს შეეხვეწე,  
როგორც ქეივან დევი მოჰკლა, ისე აქვანი დევს მოჰკლავს, შენს  
უშველებელ სენს ის განგიკურნებს-და სხვას მის მეტსა შენი შველა  
არავის შეუძლიან. მეც იმ კაცის სიტყვა ვირწმუნე, წამოველ, ღლე  
და ღამე გავასწორე. ბალი-ირამში სანადიროსა დაეხვდი, თქვენს წინ  
შიშით ვერ მოველ, ჯეირნად გარდავიქეც და ამ ალაგას მოგიყვანეთ.  
ვეშპის სახედ რომ გეჩვენე, ისიც მე ვიყავ, თქვენ გამოგცადე. ვნახო,  
ვეშპისაგან შეშინდება თუ არა-მეთქი. ჩემს გულსა და გონებასა შინა  
ვთქვი: ეს ყმაწვილი თუ ვეშპის უშიშარი არის, დევსაც შეებმის  
მეთქი. აწ ვცანი თქვენი ძალ-გული და ფალავნობა, ღმერთი გაგა-  
მარჯვებს, უიმედოდ ნურცა მე გამიშვებთ. მრავლის ჩემისთანისა-

თვის წყალობა გიღირსებით, ჩემს საქმესაც ერთი გზა მიეცი, თუ არა და შენის ხელით თავი გამაგდებინე და ამ მწუხარებას შომა-რჩინეო!

ყარამან ბრძანა: ძმაო ზორაბ! მაგისი ღმერთი მოწყალეა, მაგრამ იმისი არა იცი რა, აქვანიმ შენი სატრფო რა უყო? ზორაბმა მწარედ აპოიოზრა და მოახსენა: ჰე, სააბუიროანო! იძეამად, რა აქვანი დევმან ჯინისტნის სულთნები გაანთავისუფლა და თვისსავე ქვეყნებში განაწესა, მერმე მუშთარისთან წოლა მოენდომებინა. მუშთარი დიდად შეწუხებულა და თავისის თავის სიკვდილი ენება. მოციქულით მრავალი ელაპარაკნა, მაგრამ მუშთარი ბანოს ნება არ მიეცა. აქვანნარას მისი წყენისათვის და მისთანა უებროს ქალის სიკვდილისათვის ძალა აღარ დაეტანებინა, ეთქვა, თუ ძალა დავატანო, ვაი თუ თავი მოიკლას და ამისთანა მზე სადლა უნდა ვიშოვნო. აქვანისათვის ერთის წლის პირობა გამოერთმევიანა და ეთქვა, რა ერთი წელიწადი შესრულდეს, შენს ნებას დავმორჩილდებიო. აქვანი ამ პირობას შესჯერებია და ასე ეთქვა: ამ ერთს წელიწადს უკან თუ არ დამმორჩილდები, ვფიცავ თავსა ჩემსა, ზორაბის დედ-მამას შენ თვალწინ დავხოცავო. ამას წინად ერთი ჯინი მუშთარი ბანოს ჩემთან გამოეგზავნა. მოვიდა და ერთსა ალაგს მიპოვნა, ჩემთვის შემოეთვალა, ერთის წლის ვადა მაქვს, იგი ბილწი ჩემთან ახლოს ვერ გაივლის, თუ მიშველი რასმეს, ეს არის, თუ არა და ამაზედ დაჯერებული იყავ, რა ვადა მოვა, იგი ბილწი ჩემთან წოლას მოინდომებს და ვფიცავ დამბაღებელსა, რომ ჩემ თავს მოვიკლავ. მე და შენი შეყრა და სიხარული ამ სოფელს ხომ არ იქმნა და მეორედ მოსვლას დარჩესო!

რა ესე სიტყვები მოახსენა ზორაბ, გულმან ველარ გაუძლო, სირცხვილით თვალსა და პირსა ხელსახოცი მიიფარა და გულამოსკვნილი საწყლად ატირდა, ასე რომ მისის სიბრალულით ყარამანმაც ტირილი დაიწყო და ხელსახოცი თვალებს იწმენდა. ღმერთს მადლობა შესწირა და თქვა: ღმერთო, გმადლობ, რადგანაც ასე დაგიბადებია, რომ ვისაც გაუჭირდეს, მე მიმაშველებ და შენის შეწევნითა ამ გვარს დევებს უნდა მამბრძოლო და მამრიო. ამ ყრმისა საქმესა ზედაცა ხელი მომიმართეო, ამისი საქმეც შაჰთალი ფერიის საქმესა ჰგავს. მცირესა ხანსა დაფიქრდა, შემდგომ ბრძანა: ამას დაფიქრება აღარ უნდა, რაც გაეწყობა, ის უნდა ვცადო. შემდეგ ზორაბ მოახსენა: აქედამ ჯინისტნის ქვეყანას აღამის ტომი ოცს დღეს ივლისო. ჰე, სააბუიროანო! აქვანისა და მუშ-

თარი ბანოს პირობის ვადას ჩვიდმეტი დღე უკლია, რა ესეც გავა, აქვანი მივა და თვის ნებას აღისრულებს. მე რომ მუშთარის ფიცი ვიცი, სარწმუნო ვარ, რომ იგი არ დამორჩილდება და გაჯავრებული თავს მოიკლავს, ანუ აქვახი ძას მოჰკლავს. ჩემი ნაღველი და აზრი ეს არის, რომელიც მომხსენებია და ახლა ნება თქვენი აღსრულდესო.

ყარამანმა უპასუხა: თუმცა აგრე არის, მე ოცი დღის სავალს ჩვიდმეტ დღეზედ როგორ უნდა წავიდეთ? ზორაბმა მოახსენა: ფალავანო! იმა ჯინისტანში ჩემზედ უმაღესი არავინ იყო ფრენით. თუ მიბრძანებ, მარტოკა თქვენ სამს დღეზედ მიგიყვანთ და ერთ დღეზედაც თქვენს შეშფაიბარსაო. ესე სიტყვა ყარამანს დიდად იამა და ბრძანა: რახან მაგის შემძლებელი ყოფილხარ, ამ საქმეს დაყოვნება აღარ უნდა, ვახსენოთ ღმერთი და წავიდეთო. ზე აღდგა, შეშფაიბარი ერთს გამოკვეთილს კლდეში შეიყვანა, დააბა, საქმელი მიუყარა და ზორაბის მეგობრობა გამოუცხადა, ანიშნა შეშფაიბარს, რომ შეშფაიბარი ზორაბს უნდა წაეყვანა თვისთან. უთხრა: ზორაბს დაემორჩილეთ! ყარამანი ქვაბილამ გამოვიდა, ზორაბს უთხრა: ნულარ ვიყვნით, წავიდეთო. მაშინვე ზორაბმა ყარამანისთანა ფალავანი, თვისის სამოცდაოთხი იარაღით შეჭურვილი, შეისვა, სამსა დღესა და ღამესა მულქი-ჯანანის ქვეყნის სიახლოვეს მიიყვანა, შემდეგ, რა ჩამოახდინა, ზორაბი დაღალულობით ძლიერ შეწუხებული იყო, ისე, რომ მცირეს ხანს უსულო იქმნა.

რა ზორაბ გონებას მოვიდა, მოახსენა: ოპ, ფალავანო! ესრეთ ვგონებდი, თუმცა ყაფის მთის რამდენიმე კლთხე რომ ამეკიდნა და ორსა სამს ამდენ გზას გამეტარებინა, ეგრეცა არას შევიმჩნევდი, მაგრამ თუ ნახევარი დღე კიდევ მეზიდნე, ფიცით მოგახსენებ, ასეთი ძალა დამადგა, რომ უცილოდ მოგვედებოდი. ზე აღგა, ყარამანს ქება შეასხა, წავიდა და ყარამანის შეშფაიბარიც მოიყვანა. ფალავანს მისი მალე მოსვლა დიდად იამა და მანაც ზორაბს ქება შეასხა. იმ ღამეს იმ მთაში განისვენეს. რა დილა გათენდა, ზორაბი დიდის მწუხარებით იყო და ამას განიზრახვიდა, ამ ქვეყნის ხალხი რომ მნახვენ, აქვანი დევის შიშით, ჩემს დაქერას მოინდომებენ და ვაი, თუ ამ ფალავანს მათი პასუხის გაცემა არა შეეძლოს, ხომ ორნივე დაგვიპირეს და აქვანი ნარასთან მიგვიყვანეს. მერე ის წყეული ერთ წამში განუკითხავად გამათავებსო. ჩემი არა მენაღვლება რა, თავთავან აღებული ვარ, მაგრამ ფალავანს რაღას ვემართლებოდი, ამათ ხელში

რად ჩავაგდო? ამ სოფელს ხომ დავიკარგე, ვაი, თუ ამის ცოდვით საიქიოსაც დავიკარგო. ფალავნის იქ მიყვანას ძალიან ხასიოდა, შიშისა და ფიქრისაგან გაშტერებული იყო.

რა ყარამანმა შეხედა, შეატყო, რომ შიშით ცნობა დაჰფანტოდა. ფალავანმა უთხრა: ზორაბ! რას შეწუხებულხარ და ან რას ფიქრობ? მე რომ შენთანა ვარ, რატომ იმედინად და მამაცად არა ხარო? ნუ დაღონებულხარ, ღვთის იმედით შენის დაღონებულის გულის მხიარულება და შენგან შენი მზის მუშთარის შეყრა ხელითა ჩემითა აღსრულდება. დამიჯერე, საავო აღარა გაქვს. არა თუ მარტო ჯინისტანი, სრულიად ქუი-ყაფის დევნი და კვალად ქუი-შაპარის იფრითნი და ზულუმათის გებრანნი ერთად რომ შეიკრიბნენ, საომრად წინ მომეგებნენ, არც მათგან მეშინიან, ვერას რას დამაკლებნო!

### აჰა ყარამანის წასლვა შაჰრი-ჯანანში აჰვანი დევისაგან ზორაბის ცოლის მუშთარის გამოსახსნელად

რა ეს ბრძანა, თავისის სამოცდაოთხის იარაღით შეიკურვა და ჯანი ბეჟანის ფარი მხარსა გარდაიდო, ქეომარისის ქამარი წელთა შემოირტყა და ქეიმურას ხელმწიფის გურზი ხელთა მიიცა, ყარუხ დევის შუბი აიღო, თავისის ექვსფერხოვანს ნადირსა ამხედრდა და იმ ალავას ნავარდობა დაიწყო. რა ზორაბმა ესენი მისგან ნახა, დიდად იამა მისი ეგეთი სიფიცხე, მშვენიერება და იმდენი იარაღის ისე გაწყობა. იმედი დიდი მიეცა. და მანაც მას მინდორსა შინა ერთი მარტორქა შეიპყრა, შეჯდა და სწრაფის სიარულით შაჰრი-ჯანანის სიახლოვეს მივიდნენ. იგი არე ყარამანმა დიდად მოიწონა და მას ციხეს სინჯვა დაუწყო. საკვირველი ქვეყანა იყო. სიმშვენიერით ადამიანთ სამყოფზედ ეს უფრო კეკლუცი იყო და ამათს სამყოფს არც ერთი ქვეყანა ჰგავდა. მერმე ავჯახ-მუშთარის ქალაქი დაინახა.

რა შინჯვა დაუწყო, ნახა, სრულიად მწვანის ჰიქით იყო ნაშენი. რა მზე მიადგა, ჯინისტნის ქვეყანა სრულიად ზაფრანის ფერად შეიცვალა, იმ ქალაქსა შინა მყოფთა დედათა, ყრმათა წივილ-კივილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. რა ამათ მართლად თვალი დააკვირვეს, ნახეს, რომ რამდენთამე ჯინისტნის სარდალთა და დიდებულთა კისრებზედ დიდრონი ჯინჯილნი აბიათ, ხან აღმად ათრეიენ და ხან დაღმა. ეს წივილ-კივილი იმის გამო იყო, რომ წელიწადი



მობრუნებულიყო და აქვანის ქუი-სურხაბის სულთანნი აწყაბუზ ნარა დევი გამოეგზავნა ხარჯის მოსაკრეფად. შვიდასი ქალი და ვაჟი დაედვათ წელიწადში და იმას ჰკრეფდა. სურაბათის სულთნის ჰუმან ჯინისთვის და თალუთ სულთნის შამილ ჯინისათვის ჯინ-ჯილნი მოებათ და ისე სტანჯვიდნენ მეტყვენი ესრეთ, ზორაბ თქვენ იცით, მაგრამ მალაეთო და არჩენთო. საბრალო ზორაბმა რა იგინი ისე დაინახა, მაშინვე ცნობა დაეკარგა.

რა ყარამანმა შეხედა, უთხრა: ზორაბ, რა დაგემართათ? მანამ მე ცოცხალი ვარ, ნურვისაგან ნუ გეშინია და ნურცა რა გეფიქრებაო. მე სწორედ სასახლესთან მიმიყვანე და შენ თამაშა მიყურეო. ზორაბმა მოახსენა: ფალავანო! მიცნობენ, ცოდვა ვარო. ყარამანმა უბრძანა: ზორაბ! თვალი გაახილე, სწორედ დამინახეო, მე თუმცა არ შემეძლოს და ხელიდამ არა გამომივიდეს რა, არცა ამა მოედანზე გამოვიდოდი. შენ ნუ მომშორდები, უეცრად, ჩემდა შეუტყობლად არა აგიტეხონ რაო. შენ მიყურე შეწევნითა ღვთისათა ამ დევებს რას განსაძღვლს შევეამთხვევო! ესე თქვა და ზორაბი წინ გაიმძღვარა, რომ თვალით უყუროს. მაშინვე ყარამანმა თავისი შეშფაიბარი ქალაქისაკენ გააქუსლა.

რა ჯინისტნის ხალხმა ზორაბი მიმავალი და ყარამან უკან მიდევნილი დაინახეს, სრულობით წინ მოეგებნენ და თავი დაუკრეს, ტირილით მოახსენეს: ხელმწიფის შვილო! ეს რა ჟამი არის, რომ შენ აქ მოხველო, აქვანის ბრძანებით აწყაბუზ-ნარა დევი შვიდასის დევით მოვიდა შენ სათხოვნელად და ტყვეთ მოსაკრეფლად. შენი ბიძები ორნივე დაატუსაღა და ყელთა დიდრონი ჯინჯილები მოაბა. რა იგი ბილწი შენ განახავს, მაშინვე მოგკლავს და თავს ტანისაგან განგეშორებს. ან ეს ადამის ტომი რად მოგიყვანია? ამასაც მოაკვლევინებ, ეს მაინც გებრალეზოდეს. მოდი, დამიჯერე, უკანვე შეიქეცით, ჩვენ შენის გულისათვის რაც უნდა დაგვემართოს, ყოველნივე შენის ჭირის სანაცვალო ვიქმნეთო, ოღონდ შენი და მაგა ყრმის სიკვდილი არა ვნახთო.

ამათ საუბარსა ზედა ყარამან გულსა შინა იცინოდა. რა იგი ხალხნი გაბრუნდნენ, ქალაქსა შინა ხმა ასტყდა, ზორაბ მოვიდაო და თან ერთი აღამიანი მოსდევსო, აწყაბუზ ნარას შესაპყრობლად ჴოლიანო. ამ ქალაქის მამაცინი თუ დიაცინი, ყოველნივე ვინც-ვინ იყვნენ, მათკენ მორბოდნენ. ეს ამბავი აწყაბუზ ნარას მოახსენეს, ზორაბ მოდისო. აწყაბუზ განრისხდა და უთხრა: ჰე, თქვენ ძალღებო! ვიდრემდის

შიძი არ მოგეცით, მანამდისინ ზორაბი არ გამოაჩინეთო, აქვანის თავის მზემა, პირველად ზორაბს მოვეკლავ და მერე თქვენ ხელშეკრულთ აქვანისთან მიგასხამთო. ბძანა: ჯინისტინის სულაიხები ხელშეკრულნი აქ მოასხითო!

რა მოასხეს, სულთნებმა სიცოცხლის იმედი გარდაიწყვიტეს. იმ სულთნების ცოლ-შვილნიც მწუხარებით ტირილდნენ და იგლეჯდნენ თმათა, ასე, რომ მათი ტირილისა და მწუხარების ხმა ზეცამდის აღიწეოდა. იმაჟამად ყარამან და ზორაბ ქალაქში შევიდნენ. იმ ქალაქის ერნი სრულიად ბანთა და კედელთა ზედა გარდმოდგნენ, ვნახოთ, ვითარ დახოცვენო ამა ორთა ყრმათაო. ყარამანა სრულობით არა ეფიქრებოდა რა, ქალაქსა შინჯავდა და იმ ქალაქის შენობა, ბაღთა სიტურფე და მშვენიერად შემკობილობა დიდად მოეწონა. ცოტა გავლეა და თამუზ-შაჰს სასახლესთან მივიდნენ. ნახეს, რომ ამ სასახლის წინ ერთი ოქროს ტახტი დგას და ზედ ერთი ოთხმოცდაცამეტის მწყრთის სიმაღლის მქონებელი ლომივით დევი, ვეშპის ბოლოიანი ზის, გვერდით ერთი თვისი საფერი ლახტი უძევს, ამიერ და იმიერ ორასი დევი ოქროს ტახტზედ უსხედან და ჯინისტინის ხელმწიფენი ჯინჯილებით შეკრულნი წინ უდგანან, ამათთან შეიდასი ტყვე დგას, ხუთასი გაუკითხავი ხვადნი დევნი ამათი იასაულნი იყვნენ.

ყარამანმა რა ესე იხილა, მხეციდამ გარდახდა და ახლა უკან მიიღვენა და ანყაბუზს ქვევითად მიმართა. იმაჟამად ანყაბუზი იმ სულთნებს უწყრებოდა, მაგრამ შეიტყო, რომ კარზედ რაღაც არეულობა შეიქმნა. მიმოიხედეს, ნახეს, რომ ერთი ორმოცდახუთის მწყრთის სიმაღლის მქონებელი ადამიანი, უცხოს საომარი იარაღით შეჭურვილი, შემოვიდა, რომ კაცის თვალს იმისთანა იარაღი არ ენახა. ხელთ ერთი გურზი ეჭირა და იმ ტყვეებთან მივიდა. და რა ნახეს, მუნ მყოფნი დევები გაშტერდნენ. თქვეს: ნეტარ ეს ვინ უნდა იყოსო და ან აქ რას აკეთებსო?

რა ყარამან მას ტყვეებთან მივიდა, იმ იასაულთაგანს ერთს ასეთი სილა შემოჰკრა, რომ მაშინვე მიწასთან გაასწორა. მეორესაც ეგრეთ უყო. რა მათ სხვათა იმ ორის ამხანაგის ისე უწყალოდ დახოცა იხილეს, სრულიად გაიქცნენ. ყარამანმა ამ ხელმწიფეთა ხელები დაუხსნა და სხვანიცა პყრობილობისაგან გაანთავისუფლა. რა ანყაბუზმა ესრეთ იხილა, განრისხებულმა ცხვირიდამ და პირიდამ ასეთი ცეცხლი გარდმოუტევა, რომ მნახველთა ასე ეგონათ, მეხის ტეხა

არისო, ანუ სახმილი ენთებაო. მუნ მყოფს ჯინებს ასეთი ყოფა-  
ქცევა და სიფიცხე აჩვენა, რომ მრავალთა შიშით გულები დაუსკდათ.  
ანყაბუზ წამოხლტა და საჩქაროდ ყარამანს მომართა და ესრეთ შეს-  
ძახა: ჰე, მიწათაგან ნაშობო! შენ ვინ ხარ, რომ აგრე თავს იწევო და  
ან ამ საქმესა შერებო ჩემისთანა გამოჩენილს სპასალარს წინ? ამ-  
გვარნი პურობილნი ვითარ განათავისუფლო? მერმე დაუყოვნებ-  
ლად თვისი გურუნი რამდენჯერმე დაიბრუნა, ჰაერში შეაგდო, დაიჭი-  
რა და ყარამანს მოუქნია. რა ჯინისტნის ერთა ასე დაინახეს, დიდსა  
მწუხარებასა მიეცნენ და უთხრეს ზორაბსა, ეს რა საქმე იყო, რომ  
შენ ჩვენ გვიყავო, შვიდი სახელმწიფო დღეს ხელმეორედ დააქ-  
ციო?

### ამა სპჰმან ადამიანთ მონათესავის მოსლვა ჰარამანის წინაშე

იმეამად ჰაერიდგან ერთი რამ გამოჩნდა, რომ დევნი და ფერი-  
ანი და ჯინნი სრულებით გაოცდნენ და ყურება დაუწყეს. ესრეთ  
იტყოდნენ, ეს რა საკვირველება უნდა იყოსო? მასვე წამს ნახეს,  
რომ ჰაერიდამ მეხივით რაღაც ჩამოხდა და ხელთა სამას ლიტრიანი  
ნაჯახი ეჭირა. რა დევთა და ჯინთა იგი მართლად განიცადეს, იც-  
ნეს, რომ სპჰმან ადამიანთ მონათესავე იყო, რომელიც გივიმარას  
ხელმწიფემ მრავლის ცდით ძლივს ხელში ჩაიგდო და საპურობილეს  
დაამწყვდია. ესე იგი სპჰმანი არისო, რომლისგანაც ყაფის მთის  
დევნი შეძრწუნებულნი იყვნენო, გულდანდობით ვერ დაიძინებ-  
დნენო. რა სპჰმან სრულებით გაიცადეს ჯინთა და დევთა, მისის  
შიშისაგან შემოდგომის ფურცელივით კანკალა დაიწყეს. დღეო, ვაჰ,  
ჩვენსა დღესაო და ჩვენსა გაჩენასაო, რომ ამისთანა დროს შევეს-  
წართო. ესე გაუკითხავი მტერი ჩვენი თვალთ ვიხილეთო, ამის  
ხელისაგან სრულიად ქვეყანა ამოსწყდებო, ვერც ჩვენ გადაურჩე-  
ბითო და ვერცა ქუთი-ყაფის დევნიო და ვერცარა აჰანგის ციხის  
მყოფნი. რა ამ საგონებელში იყვნენ, უცნობო შეიქმნენ.

იმეამად, რა ყარამან თვისის შეშფაიბრიდან გარდახტა, დევთა  
მოინდომეს, რომ იგი შეშფაიბარი შეეპყრათ და აქვანი დევთან  
ფეშქაშად მიეყვანათ. რომელიც დევი მის შესაპურობლად მივიდო-  
და, მაშინვე მოჰკლავდა ამ ყოფით თითქმის რიცხვით ორმოცი დევი

მოკლა. რა მისგან ესრეთი ძლიერება განიცადეს სხვათა, ვერა რომელმან მასთან მისვლა ვერ გაბედეს. იმჟამად შეშფაობარი საკმანმა დაინახა, იცნა, მივიდა და მდაბლად თავი დაუკრა. მაშინვე საკმან გარდაეხვია და თვალეში აკოცა, ჰკითხა: სააბუიარანი რა იქმნაო? მან თავით ანიშნა, სააბუიარანი რომელს მხარესაც წასულიყო. საკმანმა შეშფაობარის სადავე დაიჭირა და დადგა. შემდეგ ზორაბი მოვიდა, ისიც მოეხვია, მიესალმა და მოიკითხა, ყარამანის სად ყოფნა მისგან შეიტყო. რა ჯინისტნის ხალხთა ესე ნახეს, დიდსა სიზარულსა მიეცნენ და ჰკვირობდნენ.

### აჰა ყარამანისა და ანყაფუზ დევის ომი და ყარამანისაგან მისი დამორჩილება და ანყაფუზისაგან ერთგულად მსახურება

იმჟამად, რა ანყაფუზ დეგმა ყარამანს თვისი გურზი მოუქნია. ყარამანმა ჯანი ბეჟანის ფარი თაქსა იფარა და იგი გურზი მას აატანინა. მისმა მხილველმა ჯინისტნის ერმა დიდი ქება შეასხეს. რა ანყაფუზმა ნახა, რომ თვისმა გურზმა ვერა ავნო რა, დიდად განრისხებულმან კბილებს თახთახი დააწყებინა და მეორედ კიდევ მოუქნია. მესამეც დაჰკრა, მაგრამ ყარამანმა, თუმც არა სცემოდა, არა შეიმჩნია. რა რიგი ყარამანს ერგო, ქეიომარს ხელმწიფის გურზს ხელი მიჰყო და ანყაფუზს მიმართა. რა ანყაფუზმა თვისზე ისე განრისხებული მიმავალი ნახა, თავსა ფარი იფარა და დადგა. ყარამანი მისწვდა და ლახტი ხელთაგან წაართვა და მეორეს ხელით ერთი ასეთი სილა შემოჰკრა, რომ სამჯერ ტრედივით ყირაზე გადაიარა და მიწასა დაეცა. ამათ მაყურებელმან დიდი ქება შეასხეს. საკმან მსწრაფლად მიიჭრა, სააბუიარანს ქება შეასხა და ანყაფუზს ორივე ხელები შეუკრა და კისერზედ დიდი ჯინჯილი მოაბა. შემდგომ მობრუნდა ყარამან, თვისსა მხეცსა შეჯდა და მალლისა ხმითა შესძახა: მე ვარ ყარამან სააბუიარანი! აწ ჩემის ხელიდამ სიცოცხლესა თქვენსა სადღა გადაარჩინეთო?! ესე თქვა და ბასრის ხმალსა ხელი მოივლო, გაერია დევთა ლაშქართა შინა და გაუკითხავად ზოცდა.

რა დევთა და ჯინთა ამა ფალავნისა ყარამანობა შეიტყვეს, მოვიდნენ, თავი დაუკრეს და შეჰფიცეს ერთგულობაზედ და დაემორ-

ჩილნენ. აქვანისაგანაც შესჩივლეს. ყარამანმა უთხრა: სულთანნო და დიდებულნო, დღეის წალმა აქვანი დევისაგან ნულარ იშიშვითო, ღვთის შეწევნით ისეთს საქმეს უზამ, თვისის ძმის აქვალი დევის სიკვდილი იმასთან თამაშობა იყოსო. მერმე ანყათუზის მოყვანა ბრძანა. მათ მსწრაფლად მოიყვანეს. რა ანყათუზმა ყარამან დაინახა, ხეთა ფურცელივით თრთოლა დაიწყო, მცირელა უკლდა ხორცთაგან სულის გაყრასა. ყარამანმა უბრძანა: ანყათუზ, ნუ გეშინიან! სწორე თქვი, სეილან-შაჰ და მისი ცოლ-შვილი, მუშთარი ბანო სადა ჰყავსო პყრობილადა, ანუ იგი წყეული აქვანი. დევი სად არისო? ანყათუზმა მოახსენა: სააბყირანო, თუ შემიწყალებ, სწორეს მოგახსენებ. მაშინვე ყარამანმა საჰმანს უბრძანა, იგი პყრობილობისაგან გაანთავისუფლო.

ანყათუზ ზე აღვა, მივიდა და ყარამანის წინაშე მიწასა აკოცა და სარულის ერთგულობის ფიცით დაემორჩილა და მოახსენა: ფალავანო! რა ჩემზედ ესეთი მოწყალება მოიღეთ, ვფიცავ ღვთისა სახელსა და თავსა შენსა, რომ დღეის შემდეგ ვითარ საჰმან, მეც საუკუნოდ შენი მონა ვიქნები და შენსა სამსახურსა ზედა მოვკვდებიო. ამ მოხსენებაზედ ფალავანმა ნება მისცა და უბრძანა: რაცა იცოდე, ყველა მიაბეო. ანყათუზმა პირი აღაღო და მოახსენა: ფალავანთა უპირველესო, აღმოსავლეთის მხრისაკენ, ყათის მთის ძირში ერთი მთა არის, სახელად აჰანგ-ყალას უბნობენ. რომელსაც თქვენ შეითხავთ, იგი ტუსაღნი იქ არიან, მაგრამ თვითონ აქვანი ახლა საბზავარში იქნებაო. სწორე ეს არის, რომელიც მოგახსენე. ამაზედ ყარამანმა ანყათუზს უბრძანა: შეგიძლია, რომ აჰანგის ციხეს მიმიყვანო თუ არაო? საჰმანმა აღარ დააცალა და უთხრა: მე მონასა თქვენსა შემიძლია, რომ ქუი-ბაბუთში მიგიყვანოთო. ყარამანმა საჰმანს უბრძანა: შენ ჩემს მაგიერ აქ უნდა იყო, ამად რომ არამც აქვანიმ შეიტყოს და წამოვიდეს, ჩვენ გზაზედ აგვიკლდეს და ეს ჯინისტნის ქვეყანა ააოხროსო. მერმე ამ ჩემს შემფაიბარს შენს შეტსა ვერავის ვანდობო, შენ უნდა შემინახო, ზორაბიც შენ უნდა გებარებოდესო. საჰმანმაც ნება დართო და მოახსენა, ნება შენი აღსრულდესო. რა ყარამანმა სამან დაარიგა, ანყათუზმა მოახსენა: შეწევნითა ღვთისათა შენ იმ ალაგს მშვიდობით მიგიყვან, თუ ჩემს სამკვდროს ქვეყანას ქუი-სურხაბს მევე წყალობას მიზამო. ფალავანმა ამა სააჯოსა ნება დართო და აღსრულება აღუთქვა.

ამა ჟარამანის ანუაფუზ ღევისაგან აჰანგის ციხეში  
მიუჰანა მუშთარის გამოსახსნელად და აქვალი  
ღევის სანისკვილოლ

მაშინ ანუაფუზმა თაყვანი სცა, მოვიდა, ზურგთა შეისვა, ჰაერში აღფრინდა და აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ. რამდენიმე კუნძული გაიარეს და ქუი-ბაბუთის ქვეყანას მივიდნენ. ანუაფუზმა მოახსენა: ფალავანო! ამ ციხეს კარი არა აქვს, რომ შევიდეთო. ამაზე უმაგრესი ციხე ცასა და ქვეყანაზედ არსად არისო. ქეიმურას ხელმწიფე შვილი წელიწადი ადგა, მაგრამ ვერ აიღო, ვერცა გააწყო რა: ღონემიღებული უკანვე შეიქცა. მერმე ჯიმშიდ-შაჰ მოადგა, მაგრამ ვერცა მან აიღო, იგიცა ცულად მაშვრალი გარე შეიქცა. კვლად თორმეტნი ადამის ტომნი ფალავანნი მოვიდნენ, რომელნი სახელოვანნი ხელმწიფენი ბრძანებულან, და ვერცა მათ აიღეს, იგინიც სამყოფთა თვისთა წაბრძანებულან. სხვა რამდენიცა ხელმწიფენი და გამორჩენილი ფალავანნი ამ ციხის აღებას შემოსდგომიან, მაგრამ ვერა გზით ვერ აუღიათ. რომელი ერთის სახელები მოგახსენო, რიცხვი არ შეიგება, იგინიც ყოველნი ძალგაცუდებულნი და იმედგარდაწყვეტილნი, დიდის იმედისა და სახელისაგან უიმედო ქმნილნი გარე შექცეულან. თუ ამ ჩემს მოხსენებას არ ირწმუნებ, ყოველისავე ამბავი იმა ქვებას ზედა სწერია, ან თუ ვითარ მოსულან და ან თუ ვინ ყოფილან და ან რა ჭირი და რამები გარდახდომიათ, ანუ როგორ გარე შექცეულან და თვითო თვითოს რა ერთი ხანი დაუყოვნიათ და ან რა ერთი მეომარი ამოსწყვეტიათ, ანუ რომელსა რიცხვსა ბრძანებულან და გარე შექცეულან. თუ ღმერთი იმ ციხეს ახლოს მშვიდობით მიგვაყვანსო, იქ იხილავ მათსა ამბავსა, მაშინვე ყოველსავე სცნობო.

რა ყარამანმა ანუაფუზისაგან ესე მოისმინა, დიდად შეწუხდა და მცირესა ხანს ფიქრსა რასმეს მიეცა, მაგრამ ციხეში შესვლისა ვერა იფიქრა რა. მალლა აიხედა და ანუაფუზს უბრძანა: იმ ციხეში შესვლისა ერთი რამ გამოვარჩივე და ვიფიქრე, თუ ეს ასრე არა. ვგონებ, რომ სხვა რიგად არა გაეწყოს რა და არც ამის მეტი წამალი რამა აქვს. მაგრამ თუ შეიძლო და ხელიდან გამოვივიდა, მე კი დიდი იმედი მაქვს ამ გამორჩევისაო. თუ ეს არ იქმნას და ვერ შეიძლო, რომელიც მე გამომირჩევია, სხვა რიგად ნულარას ვეცდებითო და არა გაეწყობა რა. ჩვენსავე გზაზე წავიდეთო. მაგ-

რამ ჩემსა აქედამ ამ რიგად წასვლას, ჩემსა სამყოფა მისვლას სიკვდილი ათასწილად მირჩევნია. ჯინისტანში რაღას პირით მივიდე, ცარიელს იქ მისვლასა და ტყვეთა ამბავთა უცნობლობასა აქ ჩემი მიწასთან გასწორება ბევრად უმჯობესიაო. ანყაფუზი წადგა და მოახსენა: რა გამოგირჩევია, სააბყირანო? მე წამალი მონასა შენსა მიბძანეო, ჩემგნით რაც შეიძლებოდეს, გაფიცებ ღმერთსა, სასიკვდილოდ ნუ დამზოგავო, ნურც შემინახავო.

ყარამანმა უბრძანა: ჩემო საყვარელო ძმარ და ამხანაგო ანყაფუზ, დღეს ღმერთის გარდა შენის მეტი არავინ მყავს აქ, ვიცი შენის ერთგულობისა და ფალავნობისაგან, რომ ჩემთვის თავგაწირული ხარ და სიკვდილს არ ერიდები, მაგრამ რაც გითხრა ასე უნდა მოიქცე. ჩემი რჩევა ეს არია: რომელიც გამომირჩევია: შენ უნდა დიდის ჯაჭვით ხელები შემეკრა, მაგრამ ჩემი საომარი იარაღი სულ ყველა ზედ უნდა მქონდეს. ასე ხელშეკრული ამიყვანე და ციხისაკენ წამიყვანე. მეციხოვნენი დევნი წინ გამოგებებიან. რა მე შეკრულს მნახავენ, ჩემსა ამბავსა გკითხვენ. შენ ესე უთხარ: აქვანი ნარამ ტყვედ შეიპყრა და აქ გამოგზავნა-თქო. რა ამ მიზეზით ციხეში ჩამიყვან, ღვთით ყოველივე გააღვილდებო. ანყაფუზ მოახსენა: ეგ რომელიც მიბრძანე, მაგას აგრე ვიქო, და აღვილდაც შემეძლიან, მაგრამ ვაი თუ გვენოს რამე და ბოლო ავად მოხდესო. ყარამანმან უბრძანა: კაცი ცდას არ უნდა დაზარდეს და ღმერთი იქნება შემწეო და თუ არა და ნება ღვთიანაა. სწორეს გეტყვი, ჯინისტანში ცარიელს მისვლას იმა ციხესა შინა სიკვდილი უმჯობესიაო. შენ ეს ჩემი ნათქვამი აღასრულე და ვნახოთ, ღმერთი რა წყალობას გვიზამსო.

ანყაფუზმა ნახა, რომ დაშლა აღარ გაეწყობა რა, სხვა რიგი მოხსენება ვეღარ გაბედა, წარმოდგა, ყარამანს მძიმის ჯაჭვით ხელები შეუტრა, მაგრამ თვისი სამოცდაოთხი იარაღი ზედ ჰქონდა, მაშინვე ყარამანი ჰაერში აღიყვანა და იმ ციხისკენ გაემართნენ. ანყაფუზმა გახედა, ნახა, რომ ჯინისტანის მხრისაკენ შავსა ღრუბელსავით ჰაერით რაღაც აჭანგის ციხისაკენ მოდის. რა კარგად დააკვირდნენ, ნახეს, რომ დევთა აურაცხელი ლაშქარი იყო, დასტად-დასტად დაწყობილნი მოდიან. ნახეს, რომ მათ შუა აქვალი დევი ურევია და მოახლოვდა.

ამაზედ ანყაფუზ ძალიან შეფიქრიანდა და უთხრა: ფალავნო! აჰა გზასა შინა აქვალი დევმან მოგვასწრა. ათასი სიცოცხლე რომ

გვქონდეს, ერთსაც ვეღარ მოვარჩინთო. თქვენც ასრე შეკრული ბრძანდებით. ეს თქვა და იმედი გარდიწყვიტა. ყარამანმა გაიცინა და უთხრა: ანყაფუზ, ნუ გეშინია, აჯალს უწინ არავინ მომკვლარო, შენ რომელსამე გზით და ხერხით ეცადე, რომ შენი თავი როგორმე მოიარჩინო და შენ მე ხელშეკრული აქვანს მიმეცი, ვნახოთ, ღვთით რასა იქსო. ამ სიტყვაში და ლაპარაკში რომ იყვნენ, ქუი-ბაბუთის წინ მიმავალმან დევებმან ანყაფუზთან მოაწივეს. ნახეს, რომ ერთი ადამიანი, ხელ-შეკრული ანყაფუზს ციხისაკენ მიჰყავს. რა ერთმანერთი გაიცნეს, მიესალმნენ და მოიკითხეს. ვიდრემდის ესენი ერთმანერთს მიესალმებოდნენ, აქვანი დევიც მოვიდა.

აქვანი იმიტომ მოდიოდა, რომ ანყაფუზი ჯინისტნის ქვეყანაში ტყვეების მოსაკრებლად გაეგზავნა და დაგვიანებისათვის განრისხებულყო. ანყაფუზთან მოდიოდა, რადგანაც მუშთარი ბანოსთან ერთი წლის ვადა დაედვა და ვადა შესრულებულიყო და რამდენიმე დღეც მეტი გასულიყო და ანყაფუზისაგან ამბავი არა რა მოსვლოდა და აქვანი იმიტომ დიდად განრისხებული იყო. თვისი შვილი ჭაბუნ ნარა ასი ათასის დევით გაეგზავნა და ეთქვა: ჯინისტნის მამაცნი გაწყვიტე და დიაცნი საბზავარში მოასხიო. თუ ანყაფუზ შენი შემწე არ შეიქმნას, თავი მოსჭერ და აქ მომიტანეო, ქუი სურხაბი შენთვის მომიციაო. მე კი აჰანგის ციხეში წავალო და იმ ტუსალებს ერთს გზას მივცემო. იმ მიზეზისათვის მიდიოდა აჰანგის ციხეში, რომ იქაური საქმე გაერიგებინა. მაგრამ ანყაფუზს ადრევე შეეტყო აქვანის გაწყრომა და ანყაფუზი წინ მიეგება. აქვანის თაყვანი სცა, მივიდა, ხელსა აკოცა და ყარამანი ხელ-ფეხ შეკრული მიართვა, მოახსენა: ჰე, ჭაბუთის მაღალო ხელმწიფეო! ნიადაგმცა შენი მტერი ასე შეკრული შენ წინ მოგივიდესო. აქვანიმ ყარამანს შეხედა, ნახა, რომ ერთი უსწორო ფალავანი სამოცდაოთხის იარაღით შეჭურვილი, ანყაფუზს ჰკილია, ესრეთ საშიშრად ჩანს, რომ მისნი შემხედავნი სულიერნი შიშით გონებას დაჰკარგავდნენ. მაგრამ ყარამანს კი ამდენის დევისაგან არა ეფიქრებოდა რა, იქით და აქეთ მინდოროთა, შენობათა და ტყეთა უშიშრად უყურებდა.

რა აქვანმა ყარამანისა იმ რიგი სახე ნახა, დიდად გაჰკვირდა და სხვანი, რანიც დევნი იყვნენ, უცნობოდ შეიქნენ, მის ყურებას ვერ გაუძლეს. რა ყარამანსა, შავის მთის ოდენას აქვან შეხედა, აქვანის ტანმა ხეთა ფურცელთაებრ თრთოლა დაიწყო და ცნობა დაჰკარგა, მსწრაფლად ისევ გონებას მოეგო და უბრძანა: ჰე, ანყა-



ფუზ! მე ჯინისტანში გაგზავნენ და შენ აქ რასა იქო? ან ეს ადამიანის ნათესავი სად ჩაიგდეს და ან სად მიგყავსო, შენ ხომ ამის მომრევეი არა ხარ? სწორედ მითხარ, ეს როგორ დაიჭირო? მოახსენა: ხელმწიფეო! მე რომ ამას წინად ჯინისტანში გამისტუმრეთ, მიველ თუ არა, შევიდასი ტყვე მოვპყრაფე, მოვინდომე, რომ საბზავარში თქვენს სამსახურში მომესხა. იმჟამად ვნახე, რომ ზორაბი მოვიდა და ეს ადამიანიც თან მოიყვანა. ჰე, ხელმწიფეთა ხელმწიფეო, შევიბენით, სამი დღე და ღამე ვიბრძოლეთ, მრავალს ვეცადე ომით და ვერა გავაწყე რა ამასთან. მეოთხე დღეს შევიდასი ნარა დევნი და მე დავემზადენით და თქვენის დოვლათით და ათასის ცლით დავიჭირე, შევეკარით და ვაპირებდი საბზავარში გზღებოდი, მაგრამ ამბავი შევიტყვე, რომ აპანგის ციხისაკენ წაბრძანებულყავით. მეცა ეს ადამიანი ავიყვანე და აპანგის ციხისაკენ წამოვიყვანე. ზორაბ და შევიდასი ტყვე დაქერილი ჩემ ძმას ოყაბ დევს მივაბარე.

აქვანმა რა ზორაბის დაქერა გაიგონა, დიდად იამა, აწყაფუზს უღირსი ქება შეასხა და გამარჯვება მიულოცა და საჯილდაო მრავალი აღუთქვა. ამბვის კითხვითა და შექცევით აპანგი-ყალას მივიდნენ. იმჟამად ანგურ დევი, რომელიც იყო ციხის თავი და აქვანის სარდალი, იმან შეიტყო, რომ აქვანი ციხეში მობრძანდებო. მაშინვე წინ მოეგება და ვითაც მართებდა, იმ რიგით და პატივით შეიყვანა. მივიდა აქვანი, თავისსა ტახტსა დაბრძანდა, ანგურ და აწყაფუზ მარჯვნივ და მარცხნივ დაისხა, სხვანიცა სხდომის ღირსნი მასსა ქვემოთა დასხდნენ. ნადიმი და მეჯლისი გაიმართა. უცხოდ შეექცნენ. რა დევთა ღვინომ დასძლია, ბრძანა, სეილან-შაჰ და მუშთარი ბანო და სხვა პყრობილნი ყველა მოასხმევიანა. რა მათ აქვალი იხილეს, თავიანთ თავის იმედი გარდაიწყვიტეს და ერთმანერთს ესალმებოდნენ. მათ უკან ყარამან მოიყვანეს, ამათ ქვემოთ დააჩოქეს. რა ყარამან აქვანი იხილა, ასის მწყურთის სიმაღლის მქონებელი ტახტსა იჯდა, ერთი გუმბათის ოდენი დიდი ლახტი წინ ედო, და შემდეგ შეხედა, ნახა, რომ ორმოცდაოთხ დიდებულსა და სულთანსა მის წინ ეჩოქათ და მუშთარი ბანოც მათში, ვითა მზე, ქვეყანას ამ არეს ისე ანათებდა. შეიტყო, რომ ზორაბის სანატრელი და სატრფო იგი არისო. ენება, რომ იმავე წამს იგი ჯინჯილები დაეწყვიტა და ტახტსა მჯდომი აქვანი მაშინვე მოეკლა, მაგრამ მოითმინა და გულსა შინა თქვა: ვნახოთ, საქმე სადამდისინ მიაწევსო. იმათაც

იხილეს, რომ იგი პერობილად ჰყვანდათ, თქვეს: ამ საბრალო ადამიანს რაღა დამართებიაო, რა? ესეც ჩვენს ჭირში ჩავარდნილაო.

რა მუშთარი ბანომ იგი ფალავანი ნახა, იმედი მიეცა და გულსა მისსა შიში აღარ იყო. იმეამად აქვანი დევმა ჯინისტნის ხელმწიფეთა შემოჰქედა და უბრძანა: დღეს წელიწადი შესრულდა ჩვენის პირობისაო! თუ მუშთარი ბანოს ნებას დააოთვევანებთ, ის არის, თუ არა, მამიჩემის მზემა, სულ ყველას სიკვდილსა მიგცემთო. მას უამს მათ ასეთი მრისხანება აჩვენა, რომ მუნ მყოღნი მისი შიშის ზარისაგან სულის ამოსვლას მიეწურნენ. ამ სიტყვის მსმენელნი სეილან-შაჰა და სხვანი დიდებულნი მუშთარი ბანოს დიდად შეეხვეწნენ და მოახსენეს: ქვეყნის მნათობნო! ეს ხომ მოგესენება, თქვენი ვადის აღსასრული არისო, ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი შენზედა ჰკიღია, ერთობით გვედრებით, ნება მისცე აქვანის და ამდენს სულს შენი გულისათვის ნუ დაახოცინებო, რამდენი ასი ზორაბისთანა მოსამსახურე ახლავსო. ღმერთი იწამე, დღეს ჩვენი სისხლი იპატივეო! რა მუშთარიმ მათგან ესე მოისმინა, ასე უპასუხა: აქვანი დევისთანა ათასიმც ზორაბის ჭირის სანაცვალს შეიქმნასო! მე სიკვდილისათვის ნურავინ მაშინებთ, მე მაშინ მოვკვდი, როდესაც ამ ციხეში დავტყვევდიო. ამ სიტყვის მსმენელმან ყარამან გულსა შინა მუშთარს დიდი ქება შეასხა. რა ეს სიტყვა აქვანიმ მოისმინა, ისე განრისხდა, რომ აღნთებულს სახმილს დაემსგავსა: აღიღო პირი და ასრეთ დაიჭყვივლა, რომ იქ მსხდომნი ყოველნი უცნობო შეიქნენ. ჯალათებს უბრძანა იმ პერობილთა დახოცვა. იმეამად ბრძანებისა მისისა აღმასრულებელნი ჯალათნი წინ წადგნენ და მათის თავების დაკვეთისათვის დაემზადნენ.

### **აჰა შარამანისაგან აჰანგის ციხეში აქვალი დევის მოკვლა, მუშთარი ბანოს და სხვათა პერობილთა გამოხსნა**

იმეამად ყარამან ფალავნობის ნამუსსა ჩავარდა. ღვთის სახელი ასხენა და მაღალის ხმით, ჩვეულებისამებრ ასეთი შესძახა, რომ აჰანგის ციხემ და ქუი-ბაბუთის ქვეყანამ და იმ არემარემ ზრიალი დაიწყო და იმ ხმაზედან ესრეთ შეიძრა, რომ კაცს ეგონებოდა, ცა ქვეყანას დაეცაო. იმ რკინის ციხეში მყოფნი დევნი უსულო შეიქმნენ. ხანსა რაოდენსამე გულშემოყრილნი ძირს ჩამოცვივნენ. იგი ჯინჯილნი, რომლითაც თვითონ იყო შეკრული, წვრილად

დაწყვიტა. მერმე სხვანი პერობილნი აუშვა, დევებს საომარი იარაღი წართვა და იმათ მისცა. მივიდა და სეილან-შაჰს მოახსენა: დღეიდგან ძალითა ღეთისათა ნულარა გეშინიანთო, მე თქვენის გამოსნისათვის მოვსულვარ. რა ყარამანისგან ესეთი სიტყვები ესმათ, დიდსა სიხარულსა მიეცნენ. რა ყარამან იმა პერობილთა ესეთი იმედიანი სიტყვები გააგონა, მაშინვე მალღისა ხმითა დიძახა: მე ვარ ყარამან ყათილი სააბყირანი!

რა აქვან დევი ცნობას მოეგო, ნახა, რომ ყარამანს ბასრი ხმალი ხელთ უჭირავს და პირისპირ უდგას, მალღის ხმითა ყარამანს შემოსძახა: ზულუმ მთა და ყაფის მთა სულ გააოხრე, ჩემი უსწორო ძმა ქეივან მოჰკალ და ახლა აჰანგის ციხეში მოხველო? ეს შენვე იცი, რომ შენმა წერამ აქ მოგიყვანაო სასიკვდილოდ. მაშინვე თვისსა გურზსა ხელი მიჰყო და ყარამანს მოუქნივა. ყარამანმა მსწრაფლად ქეიმურაზის ხელმწიფის გურზი მისსა გურზსა მიაგება. რა გურზი გურზსა მოხვდა, მათგან ასეთი ხმა გამოვიდა, რომ მათი ხმა ზეცას აღწევდა, მაგრამ ყარამანს არა ევნო რა და რიგი ყარამანს ერგო. ბასრსა ხმალსა ხელი მიჰყო, სახელი ღმერთისა აწსენა და აქვანს მოუქნივა. მან თვისი გურზი თავსა ზედან იფარა, მისგან შველას ელოდა, მაგრამ ესრეთ შედგრაღ დაჰკრა, რომ ყარამანმა გურზი შუაზედ გაუწყვიტა და ცალი მკლავიც გააგდებინა. აქვანიმ ხელი დაავლო თავისსავე მკლავსა და ყარამანს შესტყორცნა. ყარამანმა იგი ფარს აატანინა. მეორედ შემოჰკრა, ერთი ხელი და ერთი ფეხიც მოსწყვიტა. რა აქვანი გარდაიქცა, მესამეც შემოჰკრა მას ბილწსა და თავი ბურთივით გაუგორა. იმ ჟამად მისი სახსენებელი ქვეყნიდამ აღზოცა.

რა მისმა ციხის თავმა ანგურ დევმა და მუნ მყოფთა დევთა იხილეს, გაჯავრებულთ გულმეისისხლედ ყოველთა ერთპირად შემოუტივეს ყარამანს. მაშინ ყარამანმა სამი ნარა ერთმანერთზედ გასწია, ისე რომ მისის ხმისაგან ცა და ქვეყანა ირყეოდა. ყარამან ანყაფუზს უბრძანა: შენ ჯინისტნის ხელმწიფენი შეინახე, რომ იმათ ამ ომში არა ევნოს რა და მე ამათ ჩემი ძალ-გული ვაცნობო, რომ მცირეს ხანს აღარ დავავიწყდევო. ეს თქვა და შეუტივა. მცირესა ხანსა ყოველნი უჭირველად ამოსწყვიტა და განქარვა. ნახა, რომ ნახოცის დევების მდინარის სისხლს კაცი ვერ გაუვიდოდა. შემდეგ ღმერთს მადლობა შესწირა ყარამანმა და შეისვენა.

რა ანგურ დევმა და სხვათა გარდარჩომილთა იმათზე იმგვარი

რისხვა ღვთისა იხილეს, შეიგნეს, რომ ომით აღარ გაეწყობა რა. მაშინვე მოვიდნენ, ერთობით პირ-მიწა-გაერთებით ყარამანს თაყვანი სცეს და სეილან-შაჰ, მუშთარი ბანო და ანყაფუზი შემოიყვანეს შუა და მათი შუამავლობით ყარამანმა მათი დანაშაული ყოველივე შეუნდო. მერმე ყარამან შევიდა სასახლესა, სეილან-შაჰ და მუშთარი ბანო ტახტზედ დასხა, თვითონაც სკამი დაიდგა, ტახტს წინ დაბრძანდა. ჯიხისტხის დიდებულნიც მის გვერდით დასხდნენ. ყარამანმა მათთან საუბრობა დაიწყო. მაშინ ანგურ ნარა დევი მოვიდა, ყარამანს თავი დაუკრა და ქება შეასხა, მუხლსა აკოცა და ფიცით საუკუნოდ ყარამანის მონა შეიქმნა და სხვანი იქ მყოფნი დევნიც საუკუნოდ ყარამანის მორჩილნი შეიქნენ.

მერმე წავიდნენ, აქვანი დევის ცოლი და დედა მოიყვანეს და ორასი ადამის ტომიც თან ჰყოლოდათ და იგინიც თან მოასხეს. მარადის მათი საჰმელი ადამიანის ხორცი იყო. ის ადამიანები საჰმელად ჰყოლოდათ. ყარამანმა იგი ჰყრობილნი კაცნი მოიკითხა და იმედი მისცა. ყარამანმა აქვანის დედას შეხედა, დიდად გაუკვირდა და ბრძანა: დღეთა ჩემთა ამაზე უბილწესი არსად არ მინახავს რაო. სამოცდახუთი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა, თავი ვეფხვს უგვანდა, პირი საშინლად დაედრიჯა, კაცს ეგონებოდა, რომ ვინმე უნდა ჩაყლაპოსო. თორმეტი კბილი გარეთ დაკიდებული ჰქონდა, თვალეზი დიდსა ფარს უგვანდა, ზევით ქუთუთოები არა ჰქონდა, ძუძუები დიდრონს თულუხებსავით ეკიდა, ფეხები ფრინველს ემსგავსებოდა. აქვანის ცრლიც იმასა გვანდა. რა აქვანი იმათ მკვდარი ნახეს, დედამ და ცოლმა ბილწზედ ბევრი იტირეს, მისცივიდნენ და შექამეს. რა ყარამანმა ეს იხილა, დიდად გაუკვირდა. თურმე მათი წესი ესე იყო. მაშინვე აქვანის ცოლი ანგურ დევს ქუთუთოების სულთანს შერთო. მერმე ყარამანმა უბრძანა: მე მსურს, რომ ამ ზღვის კუნძულები ვიხილო, ამიყვანეთ და იქ წამიყვანეთო.

## **აჰა ყარამანისაგან ზღვის კუნძულში წასვლა, იმ ზღვიდან მხმცის გამოსვლა და იმ მხმცის ჰიდილი**

ანყაფუზ ნარამ ყარამანი შეისვა და ორნი დევნი სხვანი მოვიდნენ, სეილან-შაჰა და მუშთარი ბანოც იმათ შეისვეს, ანგურ დევი მართებულის ქცევით წინ გაუძღვათ, ოკიანეს ზღვისაკენ თამაშის საყურებლად გაემართნენ. რა იმ ზღვის ძირში მივიდნენ, რომელიც

ჯაზირაში იყო, მას შინა მყოფნი დევნი მოვიდნენ ანგურთან, ამბავის კითხვა დაიწყეს. ანგურ დევმა ყარამან სააბყირანისაგან აქვანი დევის სიკვდილი და ქუი-ბაბუთის თვისთვის ბოძება უამბო. იმ კუნძულებში მყოფთა დიდებულთა და მცირეთა ყველა წვრილად უამბო. რა მათ ესეთი საკვირველი ამბავი გაიგონეს, გაჰკვირდნენ და დიდსა სიხარულსა მიეცნენ, ამისათვის, რომ იმ წყეულისაგან მრავალ მწუხარებასა იყვნენ.

იმჟამად ანყაფუზმა ჯაზირაში მყოფნი დიდნი თუ მცირენი ყველა თან წამოასხა, ყარამანისათვის თაყვანი აცემინა და დაამორჩილა. რა ყარამანმა სრულობით მუნ მყოფნი დაიმონავა, მერმე ქუი-სურხაბისკენ წაბრძანდა. ანყაფუზმა ქუი-სურხაბში მრავალი საკვირველი სანახაობა აჩვენა. იმჟამად ყარამანმა იმ ჯაზირაში ასოცი ისეთი საკვირველი მადანი იპოვა, რომ იმისთანა მადანი არც ერთ ადგილას ენახა და მისთვის დიდსა მხიარულებასა იყო. ყარამანმა შეხედა ზღვის სპშუალო ალაგს და ერთი მოსული მთა იხილა, რომელიც სიმალით ცასა უწევდებოდა. თურმე ქუი-სურხაბი იმ მთას ეწოდებოდა. იმ მთის ნაყოფი ხე თუ მიწა ესრეთ წითელი იყო, რომ ყირმიზით შეღებილს ემსგავსებოდა. რა ყარამანმა იგი იხილა, ათი დღე იმ ალაგს დაჰყო და შეექცა. მეთერთმეტე დღეს ისევ აჰანგის ციხეში მიბრძანდა და მუნ განისვენა. შემდეგ ჯინისტისაკენ წამოსასვლელად მზადება იწყეს და რა მოემზადნენ, ყველანი წამოვიდნენ.

რა ყველანი მოემზადნენ წამოსასვლელად, იმჟამად ნახეს, რომ ხარის მსგავსად შექმნილმა თილისმამ იმ გალავნის პირზედ ტრიალი დაიწყო. რა ყარამანმა და მუნ მყოფთა დევთა შეხედეს და იგი ეგრეთ იხილეს, მას დღეს შემდეგ შვიდი დღე და ღამე დაუყოვნებლად იტრიალა. მერმე ესრეთ დაიყვირა, რომ იმ მთასა და ალაგს მისი გაუგონებელი არავინ დარჩა. მიბრუნდა და პირი ზღვას შეაქცია. ანყაფუზ მის თილისმისა ყოველივე მეცნიერი იყო, ზე აღზდგა და საბყარანს მოახსენა: ჰეი, ფალავანო, აბა იმ ზღვისკენ შეიხედე, ნახე, რა ამბავიაო?! რა ყარამანმა ზღვას შეხედა, ნახა, რომ ის ზღვა ისრეთ აღიოდა და ჩაღიოდა, რომ ქუი-ბაბუთის მთას სწვდებოდა. მცირეს ხანს უკან ნახეს, რომ ერთი კაცის თავი გამოჩნდა. ორსავე მხარეს თმები გარდაშლოდა და იმის თმებს ერთი თვალუწლომი მინდვრისოდენი ალაგი დაეჭირა. ცალის თვალადამ მეორეს თვალამდინ ერთი ალაჯი იქმნებოდა. რა ტანი დაუნა-

ხეს, ლომს ემსგავსებოდა და მისს მხარბეჰთა სისრულე მთასა მა-  
ლალსა ჰგვანდა. წელს ზევით ორმოცდაექვსი ხელი ება და ვეფხვის  
ტოტებს უგვანდა. თითოს ხელის სიბრტყე თითოს კალოს ოდენი  
ჰქონდა.

რა ფეხი ხმელეთზე გამოდგა, სიმაღლით თავი აპანგის ციხეს  
წეუსწორა და ოთხსავე მხარეს მიხედ-მონედა და ორმოცდაექვსის  
ხელით ტაში დაუკრა და დიდის კაკასით გაიცინა. მის სიცილზედ  
და ტაშის კვრისაგან ესეთი ხმა გამოხდა, რომ იგი პთა და ქვეყანა  
სრულიად შეიძრა. რა იგი კაცი იხილეს და მისი ხმა ესმათ, იმ  
ალაგს მყოფნი სულ გაიქცნენ. იმ ზღვის კაცმან აპანგის ციხეს მი-  
მართა და საცა ყარამან იყო, მას მიატანა, აქვანი დევის ბურჯის  
წინ. იმჟამად ყარამანიც იმ სასახლის ბანსა იჯდა. მაშინ იმ საში-  
ნელის კაცის მხილველნი ჯინისტნის ხელმწიფენი და დიდებულნი  
ყარამანის უკან დაიმაღნენ. რა იგი ზღვის კაცი მიახლოვდა, ყარა-  
მანმა ღვთის სახელი ახსენა და მშვილდ-ისარი მოიმარჯვა. უმაღვე  
საში ისარი ჰკრა. ესრეთ ძლიერად შესტყორცნა, რომ თუმცა საღანა  
კლდესა სცემოდა, შიგ გავარდებოდა, მაგრამ მას ვერა ავნო რა.

რა იმ ზღვისკაცმა ყარამანისაგან თავისუფედ ესე ომი იხილა,  
განრიახებულმა საცა. ყარამან იჯდა, იმ კაცმან იმ სასახლეს მოავ-  
ლო და იგი სასაბლე ესრეთ შესძრა, რომ დაქცევას მცირე უკლდა.  
იმ თილისმით შექმნილმა ხარმა პირით ცეცხლის ფრქვევა დაიწყო.  
ის ზღვის კაცი იმას არ შეეპუა, მიიხედა, მოიხედა და ყარამან დაი-  
ნახა. თავის ორმოცდაექვსის ხელით ტაში დაუკრა და კვალად კას-  
კასით გაიცინა. ასე რომ ამ ხმაზედ იმ გალავანმა წკრიალი დაიწყო.  
იგი ზღვის კაცი მივიდა და რამდენიმე თვისი ხელი ყარამანს სარ-  
ტყელში ჩაუდო და მაგრად დაუჭირა, ესრეთ, რომ მისმა ბრჭყა-  
ლებმა ჯაჭვი დაუხია და ხორცსაც მცირე არ ავნო. ენება, რომ  
ყარამანი აღეყვანა და ოკენანეს ზღვაში გარდაეგდო, მაგრამ ძალითა  
ღვთისითა ვერცა თუ ალაგიდამ შესძრა. რა ჯინისტნის ხალხმა და  
აპანგის ციხის მყოფთა დევთა ის მკლავები იხილეს, ყარამანის იმე-  
დი გარდაიწყვიტეს და რაც შეეძლოთ, შორს იმალებოდნენ. ანყა-  
ფუზ და ანგურ დევს თუმცა ეშინოდათ იმ ზღვის კაცისაგან, მაგრამ  
ფალავნობის ნამუსსა ჩავარდნენ და ყარამანთან დადგნენ. სხვანი  
კი გარდაიხვიწნენ და დაიმაღნენ, მაგრამ ამ ორთა თქვეს: რაც უნ-  
და დაგვემართოს, ვნახოთ, ეს ფალავანი ვითარ შეეგმის და რას  
იქსო?

იმ ზღვის კაცს ისეთი ჩვეულება ჰქონდა, რომ ხანდისხან ხმელეთზე გამოვიდოდა და უნდოდა, რომ ხმელეთი სულ ერთიანად მოენადირებინა. მაგრამ ის თილისმა, გალავანზედ რომ იყო შექნილი, იგი რამდენსამე დღის წინად შეიტყობდა და ტრიალს დაიწყებდა. მუნ მყოფნი ყველანი დაიმალებოდნენ და რა ხმელეთზე ფეხს გამოდგამდა, რომ სულიერს ველარავის ნახავდა, ზღვაშივე ჩავიდოდა.

რა იქამად ყარამანი მუნ მყოფი იხილა, დიდად გაჰკვირდა და მისი ზღვაში გადაგდება დააპირა. იმ ზღვის კაცმა რომ ვერ შესძრა, მეორე ხელიც მოიტანა. რა ყარამანმა ესრე იხილა, მაშინვე ხმალსა ხელი მოივლო, მკლავებსა შემოჰკრა და ორი მკლავი გააგდებინა და ის მკლავები მარმარილოს სვეტივით ძირს დაეცა. რა იმ კაცმა ყარამანისა ასეთი ძალა ნახა, ერთი ასეთი შესძახა, რომ მისის ხმისაგან ქვეყანა შეიძრა. იქილამ ახტა და ზღვის საშუალს ჩახლტა და ზღვა ორად გაიყო, ისე, რომ ოკიანეს ზღვის ძირი გამოჩნდა. იმ ჩახტომაზედ ლეღვა შეიქმნა, ისე, რომ იგი ქვეყანა სრულიად წყლით აღივსო და უცხო საკვირველნი მხეცი ამ ზღვის ტალღამ გამოყარა და ზღვის სხვა და სხვა საკვირველი ხმები გამოვიდა, ასე რომ კაცსა გონებას მოსტაცებდა. იმისთანა საკვირველება კაცის თვალს არ ენახა. ორმოცი დღე ზღვიდამ გამოსული წყალი იმ ქვეყანაში არ დაშრა. იმ ზღვიდამ ერთი ტირილისა და გლოვის ხმა გამოვიდოდა, რომ მსმენელთ ესრეთ ეგონათ, რომ ასი ათასი კაცი ერთად შეკრებილან და ტირიანო. რა იმ ქვეყნის ხალხმა ყარამანს შემოხედეს, ბასრი ხმალი ხელთა ეჭირა და მისი ხმლის პირისაგან სისხლი წვეთდა და იგი ზღვის კაცი აღარსად ჩანდა. და ყარამან ზღვისაკენ ესეთის მრისხანის თვალთ იყურებოდა, რომ მისის გულის ძგერა ერთსა აღაჯსა გაიგონებოდა. წინ ორი საშინელი მკლავი ეგდო, მისი თითები თვითო დიდსა მარმარილოს სვეტს ემსგავსებოდა. და ყარამან დიდად გოცებული უყურებდა. შეატყეს, რომ ეს ხელი მის ზღვის კაცისა იქნებაო. წარმოდგნენ და ყარამანს თავი დაუყრეს, დალოცეს და ქება შეასხეს, გამარჯვება მიულოცეს. ფალავანმა მრავალი მადლობა უბრძანა. მერმე დასხდნენ. ყარამანმა ბრძანა: ერთსა თეთრსა მარმარილოს ქვაზედა იმ ზღვის კაცის სახე გამოხატეთო.

რა ყარამანმა ესე ბრძანა, მაშინვე ანგურ დევი შეხლტა და ზღვაში ჩახლტა. სიმი დღე იმ ზღვაში იმყოფებოდა. მეოთხე დღეს

გამოვიდა და ერთი სამოცდაექვსი ადლიანი მარმარილოს სვეტი გამოიტანა. ამასზედ ოცდაცამეტი სტრიქონი რამ დაწერილი იყო. დიდის ცდითა ზღვის პირიდან აპანგის ციხეში მიიტანა და ყარამანის წინ დასდგა.

რა ყარამანმა გაშინჯა, დიდად გაჰკვირდა. ყარამანმა უბრძანა, ესეთი უცხო რამ საილამ იშოვნეო? მან მოახსენა: ჰე, სააბყარანო! ზღვის ძირში ორმოცი ალაჯის სივანე და ორმოცი — სიგრძისა ერთი ქალაქი ვიპოვნე. მისი ციხე თუ ქალაქი და სასახლე-კოშკები, ყოველივე შენობა მწვანის მარმარილოთი არის ნაშენი. ეს სვეტი ერთს დიდსა სასახლეს წინ იდგა. იმასთან ოთხი სხვა სვეტი დგას. რა ყარამანმა ესე მოისმინა, უბრძანა: ანგურ, იქნება იმისთანა წამალი რამე, რომ მეც იქ ჩავიდე და ის ქალაქი ვნახო? ანგურმა მოახსენა: ეგ როგორ შეიძლება, რომ ადამიანთ ტომი ზღვაში ჩავიდეს და არა ევნოს რაო?! ყარამანმა მიუგო: თუ ერთს წამალს არ მოიგონებთ, მე რომ ზღვაში ჩავიდე და ის ქალაქი ვნახო, იმისი ჯავრი მომკლავსო. ამ სიტყვასა ზედა ვინც იქ მყოფნი ჯინნი იყვნენ, ანუ დევნი, ყველანი იქ შეიყარნენ და ყარამანს მძიმედ სალაში მისცეს. ანყაფუზ დევმა ყარამანის ბრძანებული სიტყვა იმათ უვამბო და ესეც უთხრა, ესე იგი ყარამან არისო, რომ ყარუნ ხელმწიფის თილისმა და ქეიომარს ხელმწიფის თილისმა გატეხა და თორმეტი პყრობილნი დევნი გამოიყვანა და ქუთი-ყამარში ათარ დევი მოკლა, ესე იგი ყარამან სააბყირანი არისო. მერმე აქ მოვიდა, აქვანი დევი მოკლა და ახლა ოკიანეს ზღვაში ჩასვლა მოუნდომებია, ამის წამალი არის რამე თუ არაო, რომ ეს სააბყირანი, ჩავიდეს და უვნებლად იაროსო?

რა მათ შეკრებილთა ყარამანის სახე სრულობით გაშინჯეს, ერთმანერთს თვისის ენით ეუბნებოდნენ: ამას წინად მრავალნი სააბყირანები მოვიდნენ, მაგრამ ამისთანა სახის ფალავანი არ გვინახავსო, ეგების მეორედ მოსვლა მოახლოვებულთაო, რომ ამისთანა სააბყირანი მოგვევლინაო?! შემდეგ მოვიდნენ და ყარამანს ქება შეასხეს. დასხდნენ და ყარამანის ზღვაში ჩასვლას ფიქრობდნენ. და არჩივეს, ერთი ბროლის სახლი გააკეთეს, მის გარშემო სრულიად აღმასის შუშებით და ბასრის ხანჯლებით შემოკედეს, რომ მხეცთა ზღვაში არ ევნო რა. ადგილ-ადგილ დევების დასაპერი ადგილი გაუკეთეს და ყარამანს მოახსენეს. ყარამანი მაშინვე სანახავად წავიდა, მოიწონა და შიგან შევიდა. იგი შიგნიდან გარეთ ყვე-



ლასა ხედავდა. შემდეგ სამის წლის საზრდო მას სახლში შეზიდეს. ჯინისტნის სულთნები მივიდნენ ყოველნი, ყარამანს გამოესალმნენ, მოახსენეს: ფალავანო! ეს რა ფიქრი იყო, რომ თქვენ იფიქრეთ? ჩვენ ასე უპატრონოდ გვიშვებთ. სხვა სააბყირანებს ეგ არ უფიქრით და არც არავის მოუნდომებიაო. დიდის ვედრებით წაუსვლოლობას ევედრებოდნენ, მაგრამ არ დაიშალა. სეილან-შაჰს უბრძანა: თუ მე ოკიანე ზღვაში მოვკვდე და ველარ მოვიდე, თქვენ ბალირამში მიდით და იქ ჩემთან მოყოლოდნენ ფალავნებს უამბეთ ჩემი ამბავი. მე ერთი სასურველი მყავს, სახელად სარვიზურამან ჰქვიან. იმათ ჩემი ამბავი უამბონ, მერმე შაჰფალ-შაჰს შეეხვეწენით, რომ ისინი ისევ აღამიანთ სამყოფში მიასხან, უშანგ-შაჰის სამსახურში მიაწვიონ და ჩემი ამბავი უშანგისაც მოახსენეთ; ვითარ აპანგის ციხეში ერთი ბროლის სახლი გააკეთებინა, ზღვაში ჩავიდა და იქ მოკვდაო.

### აჰა ყარამანისაგან ზღვაში ჩასვლა და საკვირველების ნახვა

რა ესე ბრძანა, ორმოცნი დევნი მოვიდნენ, ჯინჯილები კისრებზედ გაიმაგრეს, რომლებიც მას ბროლის სახლზედ უნდა გამოებათ. ის ორმოცნი დევნი იმა ზღვის ქალაქისა უცხო ბელადნი იყვნენ, მრავალჯერაც ყოფილიყვნენ. აპანგიდამ აღჩინდნენ, იგი ბროლის სახლი ყარამანით ასწიეს და ზღვისაკენ გაემგზავრნენ. რა ყარამანმა ზღვასა ოთხსავე მხარეს ყურება დაუწყო, გაგონების გასაოცებელი საკვირველება ნახა, რომ კაცის თვალისაგან არ ნახულიყო. ყარამანმა რა ესენი ნახა, დამბადებელს მადლობა შესწირა. სამი დღე ზღვაში იარეს. მეოთხე დღესა დასავლეთის მხარიდამ ერთი გრიალი მოესმათ. რა შეხედეს იმა მხარისკენ, ნახეს, რომ ბნელში ერთი დიდი მთის ტოლი რაღაც გამოჩნდა. ყარამანმა რა იგი დაინახა, დევებს ჰკითხა: ეს რა ამბავიაო? დევებმა მოახსენეს: სააბყირანო; დასავლეთის მხარისაკენ ერთი კუნძული არის, სახელად საბურის კუნძული ჰქვიანო. ეს მხეცი მის ძირში იმყოფებაო, მაგრამ ეს მხეცი ვერ დაგვინახავსო. მესისხლე მხეცი კი არისო. ამ სიტყვის თქმაში გრიალი მოვიდა. თურმე ნიანგს გამოქცეოდა და ნიანგი უკან მოსდევდა.

რა დაინახეს იგი ნიანგი, ერთი ისეთი საზარო სანახავი იყო, რომ მნახველნი მის ყურებას ვერ გაუძლებდნენ. რა ანგურ და სხვათა იგი ნიანგი დაინახეს, თვისის თავის იმედი გარდაიწყვიტეს. ყარამანიც ღმერთს ევედრებოდა. იმ დევთა იგი სახლი ცალ მხარესაკენ გააქციეს დიდის ცდითა და ვაი-ვაგლახით და შემდეგ თითონაც ნიანგისაგან ცალის მხრისაკენ მსწრაფლად გაიქცნენ. რა ნიანგმა იგი მხეცი აღმოსავლეთს მხრისაკენ გაიგდო და უკან მისდევდა, ესენი დიდსა სიხარულსა მიეცნენ და თავის გზისაკენ წავიდნენ. ყარამან ორმოცი დღე და ღამე ოკიანეს ზღვასა განვლო. და რომელიც ოკიანეს ზღვის ძირში იყო, იმ ქალაქს მივიდნენ. ანგურ დევმა მოახსენა: იგი ქალაქი ეს არისო. ყველანი წავიდნენ ქალაქის თამაშის საყურებლად.

რა ყარამანმა იმ ქალაქის შენობა ნახა, ათი დღის სავალი მწვანის მარმარილოთი ერთი ქალაქი იყო აშენებული. დევები წავიდნენ. იგი ციხე და ქალაქი სრულიად დაიარეს და თვითეულად ერთ მაღალსა კოშკს ავიდნენ. ამ კოშკსა წინა ერთი უცხო მღებარე მინდორი ჰქონდა, იმ მინდორზე ოთხი უცხო სვეტი იყო დამდგარი, ამ სვეტებზე ასორმოცი მწყურთა კუბო იდგა, და თავით ერთი ოქროს სვეტი ჰქონდა და იმ ოქროს სვეტს ზევით ერთი მურასა თაჯი იდგა, რომ მისი თვლები უფასო იყო. და იმ ძვირფას თაჯზედ ცამეტი სტრიქონი რამ ეწერა. იმ სვეტის წინ კიდევ ერთი მარმარილოს სვეტი იდგა და იმა სვეტზედ უცხო იარაღი ეკიდა თორმეტ კუთხიანი, და იგი თორმეტი კუთხე ესრეთ ბასრად იყო, თუმცა დიდის მთისოდენის ფოლადისათვის დაეკრათ, მასაც შუა გაჰკვეთდა. ასეთის წამლით იყო გაწმენდილი, რომ ამდენხანს ზღვაში იყო და არ დაჟანგებულყო, ჟანგი არ მოჰკიდებოდა, მზესავით ბრწყინავდა. იმ იარაღს სიდიდე და სიგრძე ოცდაათი აღლი ჰქონდა და იმაზედ რამდენიმე სტრიქონი ეწერა.

რა იგი იარაღი ნახა ყარამანმა, დიდად მოიწონა და თქვა: ეს იარაღები ბარამ ჯიბილისათვის კარგიაო. მერმე აწყაფუზს უბრძანა: ეს კუბო ასწიე, ვნახოთ, რა არისო? აწყაფუზმა ხელი მიჰყო და აზიდა ის კუბო. ყარამანმა ჩახედა, ნახა, ასოცი მწყურთის მქონებელი ვიღაც იყო. თავი კაცსა უგვანდა და მას ქვევით თევზსა. აწყაფუზმა ის ისევ დახურა. და მას გარდა ოთხასი მწვანე მარმარილოს სვეტი იდგა და ყოველ სვეტზედ დაწერილი იყო. ყარამანმა იმ წერილების პირები გადმოაღებინა და შეინახა. შემდეგ ანგურს

უბრძანა: ამ სვეტებისა ერთი თახ წაშოიღო, ჩემი მოსვლა და წასვლა ზედ დაეწეროთო, და როცა ღვთის წყალობით ხმელთა გავალთ, აქ უნდა მოიტანო. ანგურმა ერთი სვეტი მოამზადა თან წამოსალეზად. ყარამან სიარულსა შინა ნახა, რომ ერთი დიდი გუმბათის ოღენი ქვა ეგდო, იმ ქვას რაღაც კარები ეტყობოდა, ყარამანმა ჰკითხა: ეს რა უნდა იყოსო? ანყაფუზმა ხელი მიჰყო გასაღებლად. ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ გააღო. ყარამან დიდად შეწუხდა: ამაში რა არისო, რომ ვერა ვნახეთო და უნახავი მივიღივართო?!

მერმე ანყაფუზმა და ანგურმა დიდის ცდით ძლივს გააღეს. შიგნით ასეთი ბნელა იყო, რომ კაცის თვალი ვერას დაინახავდა. ანყაფუზმა შამ-ჩირალი ხელთა დაიჭირა და ისე შევიდნენ. ერთი დღე და ღამე იარეს და იმ ქვაბის ბოლოს ძლივს მიაწივეს. ორმოცდაორი წვრილი ოთახები იყო და იმ ქვაბში იყო გამოჭრილი კარები. იმ ოთახებში სულ დაიარეს. და იმ ოთახებს შინა ერთი დევი ნახეს ოთხმოცდათხუთმეტი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა, საზაროდ სახილველი იყო, მაგრამ ისეთი დაბერებულყო, რომ წელში მშვილდისარევით მოხრილიყო მეტის სიბერისაგან. რა მან ბერმან დევმან ფეხის ხმა გაიგონა, შემოსძახა: შემიწყალე, ზარღან დევო, დავბერდი და შენი ბრძოლა აღარ შემიძლიანო! ანყაფუზი წინ წადგა და უთხრა: დევო, ვის ეხვეწები და ან ვისგან გეშინიანო? ჩვენ შენი მტერნი არა ვართო, ჩვენ ყარამან ყათილის სააბყირანის მონანი ვართო, და თვითანაც აქა ბრძანდებათ. იმ ბერმა დევმა უთხრა: ხვალნო დევნო, იგი სააბყირანი აღამის ტომი არისო? ის ამისთანა ზღვაში როგორ ჩამოვიდაო? მათ მიუგეს: ბროლის სახლი გააკეთა და იმით ჩამოვიდაო.

რა იმან ესე გაიგონა, დიდად გამხიარულდა. ის დევი სამი ათასის წლისა იყო, თურმე ჯერ ხმელეთი არ ენახა. შემდეგ შეეხვეწა იმა დევებსა, კარზედ გამოეყვანეთო, მეც მაჩვენეთ სააბყირანიო. მათაც გამოეყვანეს და იგი ბროლის სახლი დაანახვეს. ყარამანმა ნახა, რომ ანყაფუზსა და ანგურს ერთი ბერი დევი მოჰყვანდათ. რა მიახლოვდნენ, ამ დევთა უთხრეს: აი, ყარამანი ამ სახლში არისო. მოვიდა იგი დევი ამ სახლთან, თავი დაუქრა. შემდგომ ყარამანმა იგი ქალაქი სრულიად დაიარა, იგი გურზი და თაჯი და ერთი მარმარილოს სვეტი თან წამოიღო და ის ბერი დევიც თან წამოეყვანა. იმ დევებმა იგი კოშკი აიღეს და გამგზავრდნენ. შეიდი დღე და ღამე იარეს და მერვე დღესა ერთსა ხმელეთზე გამოვიდნენ და

დიდსა სიხარულსა მიეცნენ. ყარამანმა ღმერთს მადლობა შესწირა და მსწრაფლად იმ ბროლის სახლიდამ გამოვიდა და მრავალი საღმრთო შესწირა ღმერთს. შემდეგ იქილამ აჰანგის ციხეში მოვიდნენ მშვიდობით.

აჰანგის ციხეში მყოფნი სეილან-შაჰ და სხვანი დიდსა სიხარულსა მიეცნენ. მივიდნენ და ფალავანსა ხელსა აკოცეს და ციხეში შეყვანეს. ყარამანმა ბრძანა, მარმარილოს სვეტზედ იგი თარიღი დაეწერათ, რა დროსაც ყარამანი მოსულიყო, ან როდესაც ზღვაში ჩასულიყო, ან იმ ზღვიდამ ერთი გურზისა და ერთის თაჯისა და ერთის ბერის დევისა ხმელეთზე გამოყვანა, ორმოცი დღე და ღამე აქედამ ჩასვლა და შვიდი დღე იქილამ გამოსვლა, ყველა თვითეულად დააწერინა, რაც რომ გარდახედოდა. შემდეგ ანგურს უთხრა: აიღე ეგ სვეტი, ზღვაში ჩადი და იმ ალაგს მიიტანე და გაამაგრო. და ყარამანმა უბრძანა: იქილამ ერთი რამ ნიშანი მოიტანე. ფალავანს ყარამანმა ქება შეასხა და უბრძანა: ერთსა მწვანე მარმარილოს ჩემი სახე გამოხატეთო და ეს თარიღი დააწერეთო და ციხის სიახლოვეს დარგითო. სვეტი მოუშლელი იყოსო, ვიდრე წინასწარმეტყველების დრომდინა. იგი ზღვის საშინელი კაციც ყარამანის ნაკრავისაგან მომკვდარიყო.

რა ესე ამბავი ყველა შესრულა, წასვლის თადარიკი ნახეს, საცა ის ადამის ტომნი იყვნენ და ჯინისტის სულთნები, მუშთარ ბანო და სხვანი ხუთასი ათასნი იყვნენ. აქვანის ხაზინა, გურზი, თაჯი და წერილის პირები, რომელიც ოკიანეს ზღვიდამ გამოეტანა, თან წამოიღო და ყარამანი და სხვანი წამოვიდნენ. იგი ბერი დევიც თან წამოიყვანეს და ქუი-ბაბუთის ქვეყანა ანგურ დევის შვილს ქაბუნ ნარას მიაბარა. და ხუთასი ათასის ნარა დევით აწყაფუზ და ანგურ წინ გამოუძღვნენ, აღფრინდნენ ჰაერში ყარამანითურთ და წამოვიდნენ.

### **აჰა ყარამანისაგან ჯინისტანში მისლვა და ოკიანეს ზღვიდამ გერის დევის გამოყვანა**

იმჟამად, რომ აქვანი დევს თავისი შვილი ქაბუნ-ნარა ხუთა ათასი ხვადი დევით გაესტუმრებინა საბზავარიდამ ჯინისტანში, თუ აწყაფუზ დევი არ დაგემორჩილოსო, მოჰკალო და ჯინისტანი ააოხრო, მამაცნი გაწყვიტე და დიაცნი საბზავარში მოასხიო,

იმ ეამად ქაბუნ ნარა ჯინისტანში მისულიყო. საჰმან ადამიზად და ჯინისტანის დიდებულნი ჰუმან-შაჰსთან შეყრილიყვნენ, ლხინსა და შექცევაში იმყოფებოდნენ. ნახეს, რომ საბზავარის მხრიდამ შავის ღრუბლის მსგავსად რალაც გამოჩნდა და ამათკენ მოდიოდა. კითხულობა შეიქნა, ეს რა უნდა იყოსო? ანყაფუზისა ერთი ყმა შევიდა და მოახსენა: ჰეი, ყარამანის ნაბო, თქვენს სიმალღეს მოხსენდეს! აქვალი დევის შვილი ქაბუნ ხუთასი ათასი დევით მოდისო. რა ჯინისტანის ხალხთა ესე სიტყვა შეიტყეს, თვისის თავის უიმედონი შეიქმნენ. ზორაბს გმობა დაუწყეს ამ საჰმისათვის. საჰმანმა შეხედა და უთხრა: ჯინისტანის დიდებულნო, რაზედ გავისკდათ გულებიო, ესრეთ მწარედ რაზედ შეშინდითო, აქვანი დევის შვილი რა ძალდიაო, რომ თქვენ იმისგან ესრეთსა მწუხარებასა მიეციოთ? თქვენ აქ დასხედით, მე იმათ მარტო პასუხს მივცემო.

ესე თქვა და მსწრაფლად ზე წარმოღვა, შავის ფოლადით შეიქურვა და შვიდასი ქუი-სურხაბის დენი ამასთან მოემზადნენ, საფი გასწიეს და დადგნენ. მერმე ჰუმან-შაჰ გაწყრა, ჯინებს შემოუძახა, არა გრცხვენიათო? ბროლი აზამიდამ მოსულა დევი თქვენის ცოლ-შვილის დასახსნელადა და ხუთას ათას დევსა წინ უდგას და თქვენ კი თამაშას უყურებთო. ამ სიტყვაზედ შერცხვით და იგინიც მოემზადნენ და საჰმანს ბოდიში მოსთხოვეს. ორასმა ათასმა ჯინმა საჰმანთან საფი გასწიეს და დადგნენ. საბზავარიდამ დასტადასტა დენი მოვიდნენ. ეგონათ, თვითო და თვითო ჯინისტანს გავაოხრებთო. ნახეს, რომ ჯინნი სულ ერთად შეყრილიყვნენ და საომრად იდგნენ. ისინიც ჰაერიდამ მიწაზე ჩამოხტნენ და დასტადასტად გაეწყვნენ.

რა ქაბუნ-ნარამ მათი ყრილობა ნახა, განრისხდა. ერთს ხვადს დევს უბრძანა: მიდი ნახე, ანყაფუზ იქ არის თუ არაო. ის ერთის ეშმაკობით მოჰკალ და ჯინისტანის დიდებულნი დაიჭირე და ჩემთან მოასხიო. მაშინვე იმ დევმა თვისი ლახტი აიღო და ლაშქრის სიახლოვეს მივიდა. ნახა, ერთი საშინელი ხვადი დევი შვიდას დევთა და ამ ლაშქართა წინ უდგას, ხელთა ერთი აღმასის ნაჯახი უჭირავს, მზესავეით ბრწყინავს. ზორაბიც გვერდით უდგას. ამ დევმა უმან-შაჰს ქაბუნ დევის დავედრებული სიტყვა მოახსენა. რა უმან-შაჰმა ეს სიტყვა მოისმინა, დიდად შეშინდა და დიდსა მწუხარებას მიეცა.

იმეამად ამ დევმა შემოსძახა: ვიცი, ეს დევი ზორაბს მოუყვა-

ნიაო. პირველად ამ დევს მოვკლავ, მერე თქვენ ხელ-ფეხ შეკრულთ  
 აქვანი დევთან მიგასხამთო. რა ესე თქვა, მსწრაფლ საჰმანს გურზი  
 შეუმაღლა და საჰმანმა თვისი ნაჯახი იფარა. საჰმანმა მისი მოქნე-  
 ული გურზი არად მიიჩნია და უშიშრად დადგა. რა რიგი საჰმანს  
 ერგო, ჯინისტნელთა ესრეთ ეგონათ, საჰმანს ცნობა მიეფანტა და  
 შეშინდაო. მაშინ საჰმანმა განრისხებულმა ეარეთ შესძახა: ცო-  
 ცხალს სად მომირჩიებო? შესწვდა და იმას გურზი ხელიდამ წაარ-  
 თვა და შორს გადააგდო. შემდეგ ასეთი სილა შემოჰკრა, რომ შებნდა  
 და ძირს დაეცა. რა იგი დევი გონებას მოვიდა, საჰმან მისწვდა მას  
 დევსა. ორსავ ყურებსა მოსწია და მოგლიჯა. ხელში მისცა და ასე  
 უთხრა: წადი და ეს ყურები ქაბუნს მიუტანეო. მივიდეს, უმან-შაჰს  
 თავი დაუქრას და მონა შეექმნას. თუ არა და მოედანს გამოვიდეს,  
 შემომებასო და ყარამან ყათილის მონა მნახოს, როგორი ფალავანი  
 ვარო! მივიდა იგი დევი, ქაბუნ ნარას საჰმანის დავედრებული ყო-  
 ველივე წერილად მოახსენა. დიდად განრისხდა, ლომებრ და ბაბ-  
 რებრ ბრღვინვა დაიწყო და დევთა ერთად შეტევა უბრძანა. მათ,  
 ზოგთა ჰაერით და ზოგთა ქვევითად, ამა ლაშქართა შემოუტივეს.  
 იმჟამად ჯინთა ლაშქარნი დიდად შეშინდნენ. ხალხთა ტირილის  
 და გლოვის ხმა ზეცამდის აღიწივა. ჯინისტნის დიდებულთა რა  
 ესრეთ იხილეს, თვისის თავების სიცოცხლის უიმედონი შეიქმნენ.  
 რა საჰმან მოვიდა, უმან-შაჰას მოახსენა: თქვენ ამ ექვს დევთან  
 დადექით, მე იმათ ასის დევით პასუხს გავცემო. ესე თქვა და გაე-  
 რია ამ დევთა ლაშქართა და ერთმანერთსა ჰკრა ისე, რომ მარცხე-  
 ნა მარჯვენასა და წინა უკანასა და უკანა წინასა მოაქცია. ერთსა  
 წამზედ რისხვა ღვთისა მათზედ მოაწვიმა. ეს ხუთასი ათასი დევნი  
 გაკვირვებულნი იყვნენ საჰმანისაგან ესრეთსა ფიცხელსა ბრძოლასა.

რა უმან-შაჰამ და ჯინისტნის დიდებულთა და ხალხთა ესეთი  
 ფიცხი ომი ნახეს საჰმანისაგან, დიდსა სიხარულსა მიეცნენ. და  
 იმათაც საჰმანის მაყურებელთა ფიცხელი ომი შექმნეს. რა საჰმა-  
 ნის ომს ვეღარ გაუძლეს, შეშინებულნი დასტა-დასტად გაიქცნენ  
 ქაბუნისკენ. რა ქაბუნმა ესე იხილა, რომ დევნი სრულებით გაიქ-  
 ცნენ, დიდად გაწყრა და პირიდამ გაჯავრებულმა ცეცხლის ყრა  
 დაიწყო. ერთი ნარა გასწია და საჰმანს წინ მოეგება. საჰმანმა  
 ნახა, ესრეთ მამაცურად შეკაზმული იყო, რომ წინააღმდეგობნი  
 მისს ნახვას ვერ გაუძლებდნენ, ხელთა აღმასის ნაჯახი ეჭირა და  
 მრისხანედ ომობდა. რა საჰმანმა შემოხელა, ნახა, რომ ერთი ორ-

მოცდათვრამეტის მწყართის სიმაღლის მქონებელი ერთს მარტორქა-ზედ ზის, ხელთა ერთი მძიმე ლახტი უჭირავს და მისკენ მივა. საკმანმა მაშინვე იცნო, რომ აქვანის შვილი ეს არისო, და შესძახა: აწ ჩემის ხელიდამ შენს სიცოცხლეს სად გადაარჩენო? და შემოუტივა. ქაბუნ ნარამ ლახტი მოუქნია. საკმანმა ნაჯახის ტარით აიცილინა, შერამე მეორეცა და მესამეც აიცილინა. რა მათ ესრეთ მედგრად ოპი დაიწყეს, ორმოცმა ათასმა დევმა საფი გასწიეს და ოპს ყურება დაუწყეს.

### აჲა მცირე რამ უარამანის ამბავი

რა ყარამანი ჯინისტინსაკენ ხუთასი ათასის დევით წამოვიდა, გზა და გზა შექცევითა და ნადირობით მოდიოდნენ. აწყაფუზ წინ მოუძლოდა, მობრუნდა და ყარამანს მოახსენა: ის მთები რომ ჩანს, საბზავარის მთები არისო. რა ფალავანმა ესე მოისმინა, დიდად გამხიარულდა. რა ყარამანმა იგი სრულებით გასინჯა, დიდად მოეწონა და ბრძანა: მის უკეთესი ქვეყანა ამ არემარეში არ მინახავსო. იმ ქალაქში მივიდეთ, ვნახოთ, ვითარი მშვენიერი ქალაქი არისო?! მის ბრძანებისამებრ იმ ქალაქში მივიდნენ. კარავნი დასცეს, სარაფარდანი შემოაფლეს, დიახ უცხოთ ფარჩებისა. აწყაფუზ და ანგურ სეილან-შაჰს სასახლეში ჩამოხტნენ. რა ქაბუნ ნარა ჯინისტანში წასულიყო, ამიდ დევი ორმოცი ათასის დევით დაეგდო. ამიდმა ნახა, ქუთი-ბაბუთის მხრიდამ ესოდენი ლაშქარი მოვიდა, რომ რიცხვი არ შეიგებოდა. ქალაქსა და მისს არეში ჩამოხტნენ, ერთი უცხო ტახტიც მოიტანეს და სეილან-შაჰის სასახლეში ჩამოახდუნეს. იმათ ამ ჯარის მოსვლა აქვანის მოსვლა ეგონათ და თამაშად იმ სასახლეში შიგნით შევიდა. რა შევიდა, ნახა, რომ სეილან-შაჰა ტახტზე ბრძანდებოდა და ჯინისტინის ტუსადნი განთავისუფლებულნი აქეთ-იქით უსხდნენ.

ერთს ოქროს სკამზედ ერთი ორმოცდაცხრა მწყართის სიმაღლის მქონებელი ვინმე იჯდა, მარინის ვარსკვლავის მზგავსი იყო, ჯერეთ არც წვერი ჰქონდა და არცა უღვაში. ისრეთი ყრმა ფალავანი კაცის თვალს არ ენახა და არც თუ ყურსა სმენოდა. ამიდ დევი დიდსა მწუხარებასა მიეცა და თქვა: ეს რა ამბავიაო? ყარამან ანგურს ანიშნა, ჰკითხე აქვანის შვილი ქაბუნ ნარა სად არისო? ანგურ-

მა უთხრა: ამიდ, რას გაშტერებულხარ? ეს სკამსა მჯდომი ფალავანი ყარამან არისო, ამ ყამს სახელოვანი სააბყირანი ეს არისო, აპანგის ციხეში მივიდა, აქვანი მოკლა, იგი ქვეყნები და ციხე დაიმორჩილა და თვის ბანდად გახადაო. სეილან-შაპ და მუშთარი ბანო რომ მპყრობილად ყვანდა, იგინი განათავისუფლა და ხუთასი ათასის ღვეით აქ მობრძანდა, ქაბუნიის სასიკვდილოდაო. რა ანგურისაგან ესე გაიგო, ყარამანისაგან ისრეთი შიში მიეცა, რომ სულისა ხორცთაგან გაყრას მცირელა უკლდა.

მაშინვე ანგურს შეეხვეწა, ყარამანს შემარიგეო. ანგურმა შეარიგა და ორმოცი ათასის ღვეით იფიცა, მისი მონა შეიქმნა, ყარამანის წინ მიწასა აკოცა, ქება შეასხა და მოახსენა: ღღეს ორმოცდაათი ღღე არის, რომ ხუთასის ათასის ღვეით ქაბუნ ნარა ჯინისტანში წავიდაო. რა ყარამან ესე გაიგონა, მაშინვე ბრძანა: მოემზადენით, ჩვენც წავიდეთო. მსწრაფლად ჯინისტანისკენ ჯარს უკანილამ გამოუღვეთო. რა ასაყრელად მზადება იწყეს, იმ ქალაქში და ქვეყნებში ხმა გავარდა, რომ ყარამანს აქვალი მოუკლავსო, სეილან-შაპ და მუშთარ ბანო გამოუხსნიათ. ეს ფალავანი სააბყირანი ყოფილაო. რა ესრეთ სრულიად იქაურთა შეიტყვეს, მხიარულობას მიეცნენ და არ იცოდნენ, თუ რა ექმნათ, სიხარულით მკვდარნი მაშინ დაცოცხლდნენ, სრულიად შეიყარნენ და მოვიდნენ. რა სეილან-შაპ თვისსა ტახტზედ მჯდომი იხილეს, ღმერთს მადლობა მისცეს, ყარამან დალოცეს და ქება შეასხეს და მისს ნალახსა ეთაყვანებოდნენ. შემდეგ სეილან-შაპმა უბრძანა: ორი ათასი ჯინი ყარამანისათვის თან სახლებად მოამზადეთო. რა დილა გათენდა, ყარამანი ანყაფუზ ღვესა შეჯდა და ქაბუნს გამოუღვა. რა მისსა ქალაქსა მიახლოვდნენ, ყარამანმა ნახა, რომ ორსავე ალაგს დიდი, დიდი ომი იყო.

## აქა ქაბუნ ნარას და საპმანის ომი ძლიერი

მაშინ ორსავე მხრიდამ ასეთი ხმიანობა იყო, რომ ქვეყანა მოეცვა. ნახეს, რომ ღვენი ქალაქში შესულან და შიგნით ომი აქვსო. და მეორე რიგი ქალაქს გარეთ იბრძოდნენ. ყარამანმა თვალი დაავირვა, ნახა, რომ მედიდანსა შინა ორმოცი ათასს ღვეს საფი გაუწევიათ და იმათში საპმან იხილა. თვისი ბასრი აღმასის ნაჯახი ხელთ ეჭირა და ერთ ოთხმოცდაცხრამეტის მწყურთის სიმაღლის მქონებელს ღვეს ებრძოდა. იმ ღვეს თავი ღომს უგვანდა, მაგრამ სამა-



ნისაგან არა მცირედ შეშინებულიყო. რა ყარამანმა საჰმანისა ესეთს ალაგს უძრავად ომი იხილა, ანგურს უბრძანა: ორმოცი ათასის დევით მიდი და საჰმანს ჩემი მოსვლა აცნობეო! იგი ანგურ ჰაერით მიწასა გარდახტა. რა მათ იხილეს, საბზავარის მხრიდამ უანგარიშო ლაშქარი ჰაერში მოდიოდა, ერთი დიდი ტახტი ეჭირათ და იმათს ომს უყურებდნენ, აქვანი დევი ეგონათ და თავიანთ თავის იმედი გარდაიწყვიტეს. შემდეგ ნახეს, რომ ანყაფუზ და ანგურ დევი იმ ალაგს მოვიდნენ, საცა საჰმანს ფიცხელი ომი ჰქონდა, დაუძახეს და უთხრეს: რას აპირებ! იგი ჰაერში მყოფი ყარამან ყათილ სააბყირანი არისო, შენსა ომსა თამაშას უყურებსო. ქუი ბაბუთს მივიდა, აქვანი დევი მოჰკლა, იქაურნი პყრობილნი განათავისუფლა და ახლა ეს არის, რომ აქ მობრძანდაო.

რა საჰმანმა ესე სიტყვები მოისმინა, მაღლისა ხმითა უაიძახა: მე იგი ჯარი აქვანის მეგონა, თორემ მე იმათს არც ერთს ცოცხალს არ გადავარჩენდიო. ესე თქვა და ასეთი ნაჯახი დაჰკრა, რომ იგი ბილწი შუა გაჰკვეთა. რა იგი ბილწი მოკვდა, იქ მდგომთა ორმოცი ათასს დევს შეუტივა და მცირესა ხანს ერთმანერთსა ჰკრა და დახოცა.

იმჟამად ყარამან და ანყაფუზ ქალაქში შემოვიდნენ. ნახეს რომ ორი ათასი დევი გარს შემოხვევიან და ზოგიც ქალაქში შესულან, გარეთ იბრძვიან და უწყალოდ ხოცენ ისე, რომ მათის გლოვის ხმა ცაში აღწევდა. რა ყარამანმა მათი ესეთი მწუხარება იხილა, ღვთის სახელი ასეთი ხმით დაიძახა, რომ ცისა ქვეყანაზედ დაცემის ხმას ჰკვანდა. რა დევებს ეს ხმა მიესმათ, მრავალი შიშით დაიხოცნენ და ზოგი უსულოდ დაბნედილი ეყარნენ. ესენი ესრეთ გაწყვიტეს, რომ მათის სისხლით ქალაქი აღივსო. რა ყარამანმა მათი ომისაგან მოიცალა, უმან-შაჰს სასახლეში მიბრძანდა. იმ ქალაქსა შინა ხმა გავარდა, რომ ამ ფალავანს ყარამან ყათილს აქვანი მოუკლავსო, აჰანგის ციხე შეუშფუსრავს და ჯინისტნის სულთნები სეილან-შაჰს და მუშთარი ბანო განუთავისუფლებიო.

იმჟამად ჯინისტნის სულთნები და ხალხნი შეიყარნენ და ყარამანთან მივიდნენ. მრავალი პატიოსანი თვალ-მარგალიტით მიულოცეს და ღმერთს ავედრებდნენ. ყარამანმა სეილან-შაჰს სელი მოჰკიდა, ტახტზედ აიყვანა და დასვა, თვითონ ერთი მურასა სკამი დაიდგა და თავისს შესაფერს ალაგს დაბრძანდა.

იმჟამად ზორაბი შემოვიდა, ყარამანს მუხლს მოეხვია, მერამე.

თვისს მამას მოეხვია, ხელზედ აკოცა და მიესალმა. ერთმანერთის ნახვით და სიხარულით მრავალი ცრემლი გარდმოსცვივდათ. მერმე მუშთარი ბანო მოვიდა, ყარამანს თავი დაუკრა და ზორაბს გარდაეხვია. ერთმანერთს მიესალმნენ. სხვანი ჯინისტნის დიდებულნიც მოვიდნენ, ყარამანს ხელსა აკოცეს, ყველა იქ მყოფნი ტუსალნი მიესალმნენ. რა გამოვიდნენ, შვიდნივე ძმანი სულთნები ერთად დასხდნენ და ერთმანერთის ნახვითა დიდსა სიხარულსა და განცხრომაში იყვნენ. ყარამან ხომ თავის სააბყარანობის ადგილას იჯდა და სხვანიც თავ-თავის ალაგს დასხდნენ — ანყაფუზ და ანგურ და იმათი შვიდი ათასი დევი თავზედ დაადგნენ, საჰმან ადამიანთ მონათესავე ყარამანის წინ თვისსა ნაჯახს დაეყუდა და ბრძანებისა მორჩილებითა იდგა, მერმე აჰანგის ციხეში მყოფნი ტუსალნი ჰუმან-შაჰ, თავის ქალი მუშთარი ბანო და დიდრონი კაცის ცოლები და ქალნი მოვიდნენ და ყარამანი თვისის ენით დალოცეს და მრავალი ქება შეასხეს.

რა ზორაბმა თავისი საყვარელი მუშთარი ბანო დაინახა, ამოიოხრა და ცნობა დაეფანტა, დაბნდა, ერთს ჟამამდისინ უსულო იდგა. რა ცნობას მოვიდა, წამოდგა, გაოცებული იყურებოდა, სხვათაც ვინცაინ ტყვედ იყვნენ, ზოგთა შვილი იხილეს, ზოგთა ძმა, ზოგთა დედ-მამა იხილეს, და ერთმანერთის დიდის სიხარულით და ტირილით ერთმანერთს გარდაეხვივნენ და არ იცოდნენ, თუ რა ექმნათ. ერთმანერთს ჰკოცნიდნენ და სიტყვით ღმერთსა ევედრებოდნენ და ყოველი სული ყარამანს ლოცვიდნენ. ასე, რომ მცირეს ხანსა შემდეგ თვისს ალაგსა დასხდნენ. ყარამანმა ზორაბს ხელი მოჰკიდა, გვერდს დაისვა, ორმოც დღეს და ღამეს შადლუხის გაცემა და მილოცვა იყო. ორმოცი დღე რომ დასარულდა, ჯინისტნის დიდებულნი და დიდებულთა ცოლნი და თვითონ ყარამანი საბზავარში მოვიდნენ. რა მუნ მყოფთა ყარამანის მისვლა შეიტყვეს, წინ მოეგებნენ, ყარამან დიდის დიდებით ქალაქში შეიყვანეს და იგი ქალაქი უცხოოდ მოამზადეს დიდის გამოჩინებითა და დიდებითა. რომ კაცის ენა ვერ იტყვის იმდენი მუშკი და აზბარი უკმის, ჩირადლნით მოამზადეს და შეკაზმეს, რომ სურნელების სულით კაცი შებნდებოდა. მერმე ყარამანმა, ანყაფუზმა და ანგურმა ქორწილის მზადება იწყეს. უბრძანა და მაშინვე ბრძანებისამებრ ყველა მოამზადეს. ორმოც დღესა და ღამეს მუშთარი ბანოს და ზორაბის ქორწილი იყო..

რა ორმოცი დღე დასრულდა, მივიდნენ, ყარამან დალოცეს და შადლი მოახსენეს და ხელსა აკოცეს. ყარამანმა ზორაბს ხელი მოჰკიდა ანყაფუზ, ანგურ და საჰმან წინ გაუძღვნენ და სხვანი უცხო მურასად შექედილი შანდლები ხელთა აიღეს და ბროლის საწოლისაჲსა წავიდნენ. სრულიად იგი ქვეყნის ბანოვანნი სულ იქ შეყრილიყვნენ, უცხოს შექცევით თამაშობდნენ. რა ყარამან ბროლის საწოლის კარს მიბრძანდა, ზორაბი თან ახლდა და მუნ მყოფნი ბანოვანნი და მის ქალაქისა ერნი სრულიად წინ მიეგებნენ. ყველა თავის შესაფერი ჯავაირით მიულოცეს და ქება შეასხეს. რა მუშთარი ბანომ ყარამანი დაინახა, წინ მოეგება. ნახა, რომ ყარამანს ცალის ხელით ზორაბი ეჭირა, მივიდა და მეორე ხელითაც მუშთარი ბანო დაიჭირა და ხელი ხელთა ჩაუთვალა, დალოცა ესრეთ: ღმერთმან ერთმანერთს შეგაბეროსთ, მანამდისინ ცასა ქვეშე მზის ბრუნვა არ მოიშლებოდეს, მანამდის თქვენც ერთმანერთსა ნუ გაგყაროთო! მათაც თაყვანი სცეს, მადლობა, ქება და დღეგრძელობა მოახსენეს. ყარამანმა იგინი მას საწოლსა დაუტევა და თვითონ კარზედ გამობრძანდა, სამანს და ანყაფუზს უბრძანა: ჯინისტნის სამანსი ფალავანნი და მათნი სატრფონი მოასხითო! მათაც ბრძანებისამებრ აღასრულეს. ყველა თავ-თავის პატრონებს უბოძა, ამათც თაყვანი სცეს, დალოცეს და თავიანთ სახლებში წავიდნენ.

რა სიხარული და ქორწილი გარდაიხადეს, ყარამან თავისა საწოლს მიბრძანდა და მუნ განისვენა. რა დილა გათენდა, მუნ მყოფნი სეილან-შაჰის სასახლეში შეიყარნენ და შვიდი დღე და ღამე მეჯლიში იყო. მერვესა დღესა ყარამანმა ბრძანა: ღმერთმან თქვენ ყველანი ბედნიერებაში და მშვიდობაში გამყოფოთ, მე მიწა და გულისტამ-ბალ-ირამში წავიდეთ. ამით მოახსენეს: გულისტამ-ბალ-ირამში ჩვენც გიახლებითო. ყარამან ამით გარჯისათვის უარი უბრძანა, მაგრამ იმით არას გზით არ დაიშალეს. რა ყარამან ამითი ასე მონდომება ნახა და დაშლას აღარა გაეწყობოდა რა, ბრძანა: რადგან არ იშლით, ამ სამს დღეზედ უნდა წავიდეთო და მოემზადენითო იგინი სიხარულით მოემზადნენ.

მეოთხეს დღესა საჰმან ადამიზადი, ანყაფუზი და ამიდ დევი თავისის ხუთასი ათასი დევითა სააბყირანის კარზედ შეიყარნენ. და ჯინისტნის შვიდმა სულთნებმა შვიდასი ათასი ჯინი მოამზადეს, ცხრა მურასა ტახტი გააკეთებინეს, ზედ ლაჯვარდი ქოლგები დაადგეს. ყარამანმაც თვისი თადარიკი ნახა, შეიკაზმა და გარეთ გამო-

ვიდა. სულთახთა და დიდებულთა თავი დაუქრეს, დალოცეს და ქება შეასხეს, და მანაც მრავალის სიყვარულით მოიკითხა და სალამი ჩამოართვა. მოიღეს იგი ცხრა პატიოსანი ტახტები. პირველს ტახტსა ზედა ყარამანი დაჯდა და შვიდზედ შვიდნი სულთანი დასხდნენ და ერთს ტახტზედაც ზორაბი და მუშთარი ბანო დასხდნენ. რა ესენი ესრეთ დასხდნენ, მოვიდნენ ათასნი ჯიხნი, ტახტებო აიღეს და ჰაერში აღფრინდნენ და ხუთას ათას დევმაც ყარამანის ტახტი აიღეს და გულისტამ-ბალი-ირამისაყენ წვაიდნენ.

## აქა მცირე რამ შაჰფალ-შაჰის და სარჰინშარამანის ამბავი და ყარამანის გულისტამს მოსლვა

რა ყარამან დაიკარგა. ძლიერ შეწუხდნენ და მრავალი ეძებეს, მაგრამ მისი ამბავი ვერსად გაიგეს. თორმეტი დევი გაგზავნეს. მრავალი არე მოევლოთ და ფალავნის ამბავი ვერსად ვერ ეცნათ.

იმჟამად შაჰფალმა მერამლენი მოასხმევირა და რამლი აყრევირა. მათ მოახსენეს: ყარამანი ორ წელიწადს უკან მოვაო. ამ ორ წელიწადში ყარამანს ვერავინ ნახავსო, საჰმანის მეტიო. თუ ეს ასე არ აღსრულდეს, ჩვენი თავი დაგვიდვიო. დასწერეს იმ დღის თარიღი და მისსა მოსვლასა მეორე წლის გასვლას ელოდნენ და იგინიცა მას უყურებდნენ. ერთ დღეს შაჰფალმა იგი დაწერილი თარიღი მოითხოვა და იმ დღეს იგი დაწერილი იანგარიშეს, ნახეს, რომ ორი წელიწადი გასულიყო. გაწყრა შაჰფალ-შაჰ და მერამლეთა მრისხანის თვალთ შეხედა. მერამლეებმა კვალად რამლი შეყარეს და მოახსენეს: დღეს უთუოდ ყარამანის ამბავი მოვაო. ამ სიტყვასა ზედა იქ მყოფნი დიდად გამხიარულდნენ და სარჰინშარამანის პირი ვარდს დაემსგავსა და ენასა ბულბულივით აუბნებდა.

რა საჰმანმა გულისტამ-ბალი-ირამის მთები დაინახა, მივიდა და ყარამანს მოახსენა: სააბყირანო, ეს მთები ბალი-ირამისა არასო. ყარამანი დიდად გამხიარულდა და უთხრა: ჩემო საყვარელო და ერთგულო, შენ წინ წადი და ფალავანთა ჩვენი მოსვლა აცნობე და ისინი ჩვენის მოსვლით გაახარეო. მაშინვე საჰმანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და თვალის დახამხამებამდის გულისტამ-ბალი-ირამში შაჰფალის სასახლეში ჩამოხდა. რა მერამლეებმა იგი სიტყვა დაასრულეს, საჰმანიც შინ მივიდა და შაჰფალს თავი დაუქრა. რა შაჰ-

ფალმა და სხვათა ფალავანთა საჰმანი დაინახეს, დიდის მხიარულე-  
ბით შესძახეს: მშვიდობა შენი მოსვლაო! გარდანქეშანი მსწრაფ-  
ლად საჰმანთან მივიდა და ყარამანის ამბვის კითხვა დაუწყო. საჰ-  
მანმა შაჰვალ-შაჰს თაყვანი სცა და ყარამანის მაგიერად მოკითხვა  
მოახსენა. ყარამანის მოსვლა, იმასთან ჯინისტნის სულთნების  
ხლება, ზორაბის და მუშთარ ბანოს მოყვანა და ხუთასი ათასი  
დევების თავისთან ხლება და შვიდასი ათასი ჯინის ლაშქრის მოყ-  
ვანა, ესე ყოველივე მოახსენა.

რა მოისმინეს, დიდსა სიხარულსა მიეცნენ. შაჰვალ-შაჰმე მა-  
შინვე ბრძანა: ერთი ტახტი მოამზადეთო, იმ ტახტზედ ბაჰმან შაჰ,  
სარვიხურამანი, ყათრანი და გარდანქეშან დასხდნენ და თვითონაც  
ერთს ტახტზედ დაბრძანდა, აგრეთვე ზულუმათის სულთნებისათვის  
ტახტები გააკეთეს და დასხდნენ. დევებს უბრძანეს და ჰაერში აღი-  
ტაცეს და ყარამანის მისაგებებლად წაბრძანდნენ. ესეოდენა  
კაცთა სიმრავლე იყო, რომ ერთი კაცის ალაგას ორასი კაცი ძლიეს  
ეტეოდნენ. რა ყარამანმა შემოხედა, ნახა, რომ გულოსტამ-ბალი-  
ირამის მხრიდამ დევთა და ფერიის ლაშქრის სიმრავლეს ჰაერი  
სრულად მოეცვა. რა ყარამანთან მომავალთ ჯინთა ესე დაინახეს,  
შეშინდნენ და მტერნი ეგონათ. ყარამანმა ამათი შიში შეიტყო,  
უთხრა: ნუ შესწუხებულხართო, იგინი მტერნი არ არიანო, შაჰ-  
ფალისა და ზულუმათის დევნი არიანო, ყოველნი ჩვენ წინ მომგე-  
ბებლები არიანო.

ამ სიტყვის თქმაში რაჰინდის ტახტი ყარამანთან მოიტანეს.  
ჯინისტნის ბანოვანთა ნახეს, რომ ორნი ადამიანის ხელმწიფენი  
ისხდნენ, უცხოს ქცევისანი და მშვენიერნი, ერთი თეთრწვერა იყო  
და თავსა თავი ეხურა. ამასთან ორნი ვეშაპის მსგავსნი ფალავანნი  
ისხდნენ. სარვიხურამანს თავზედ შვიდკუთხიანი თავი ეხურა და  
მათ ესე ემასლაათებოდა. ესრეთ ამაყად იქცეოდა, რომ იმოდენა  
დევთა და ჯინთა ლაშქარი არად მიაჩნდა. მერმე გარდანქეშანს შე-  
ხედეს, ოცის მწყურთის სიმაღლის მქონებელი, პირის ფერი სისხლსა  
უგვანდა, თავს ერთი უცხო ქუდი ეხურა, ტანსა ოქროს ქსოვილი  
ეცვა, მარჯვნივ და მარცხნივ მურასა ხანჯლები ერჭო, ხელთა  
ნაჯახი ეპყრა და ესეთი ფიცხელი ყოფაქცევა ჰქონდა, რომ თუმცა  
მოენდომებინა, შვიდის ცის ჩარხის ბრუნვას გარდახტებოდა. ჯი-  
ნისტნის სულთნები ამათსა ესეთსა ქცევასა გაეკვირვებინა. რა ამათ  
ყარამანი დაინახეს, მსწრაფლ წინ მიეგებნენ, ყარამანიც მათ წინ

მოეგება. შაჰფალმა ყარამანი მკერდსა მიიკრა და ორსავ თვალებში აკოცა, ცრემლები გარდმოსცვივდა და უთხრა: შეილო ყარამან, უშენოდ ღმერთმან ნურც ჩვენ გვაკოცლოსო. მერმე ბაჰმანი და ბარამ ჯიბილი მოვიდნენ და მიესალმნენ, მერმე სარვიხურამანჩ მოვიდა, ყარამანსა ხელსა აკოცა.

რა ყარამან და სარვიხურამან ერთმანერთს შეეყარნენ, ერთი ათასად ეშხი და სიყვარული გაუმრავლდათ. ამასთან ყათრან მოვიდა და გარდაეხვია და სიყვარულით ერთმანერთსა მიესალმნენ. მერმე გარდანქეშანი მოვიდა, ხელსა აკოცა. ამასთან რაჰინდი, ამასთან საჰმანდოვანი მოვიდა. რალა გრძლად მოგახსენოთ, თორმეტნი დიდებულნი მოვიდნენ, ყარამანს ხელსა აკოცეს. და ამასთან შაჰფალ-შაჰ მოვიდა, ყარამან მკერდს მიიკრა და მრავალი ბოდიში მოახსენა. რა ჯინისტნის სულთნებმა ყარამანის ესრეთი დიდებულობა იხილეს, დიდსა განკირვებასა მიეცნენ. შემდეგ ზორაბი მოვიდა და რაჰინდს, ბაჰმან-შაჰს და შაჰფალ-შაჰს ხელსა აკოცა. მერმე სხვათა ფალავანთა მიესალამა. ყარამანმა მათ მოახსენა: ეს ყმაწვილი ჩემი ძმა არისო. ჯინისტანს წასვლის მიზეზი ეს შეიქმნაო. რა ყარამანის ესე მოისმინეს, ზორაბს პატივი სცეს და მრავლის სიტყვით შეაქევედნენ, ამასთან სეილან-შაჰ, უმან-შაჰ და შეილნი სულთანნი მიესალმნენ და ამიდ ხელმწიფე შაჰფალ-შაჰს მიესალმა. მერმე მუშთარი ბანო მობრძანდა, თვითო-თვითო ხელსა აკოცეს. რა ესრეთ ყველა მიესალმა, მას უკან ყოველნივე თავის ალაგას დადგნენ, მურასა კარავნი დასცეს და სარაფარდანი შემოავლეს და ყოველთა თვისსა კარავში განისვენეს.

შემდეგ სარვიხურამან და მუშთარი ბანო და ჯინისტნის ბანოვანნი ყამარლუხის სადგომსა შეეყარნენ და შემდეგ შაჰფალ-შაჰ თვისსა ქალაქში წაბრძანდა. იმ ღამესა რანიც ფერიის ბანოვანნი იყვნენ, ყოველნი სარვიხურამანთან შეიყარნენ, ნადიმი დაიდვეს, რაც მათ შეეფერებოდა. მუშთარი ბანოს ყარამანის ამბავი ჰკითხეს, მანაც ყარამანის ამბავი ყოველივე მოახსენა და თავისი ტყვეობა და გამოსხნა უამბო. რა მათ ესეთი ძალი და გულოვნობა მოისმინეს, დიდსა განკვირვებას მიეცნენ. ყარამან, ყათრანმა, ბარამ ჯიბილმა და გარდანქეშანმა იმ ღამეს ისეთი ღზინი გარდაიხადეს, რომ იმისთანა ღზინი არ ენახათ. იანგარიშეს თვისის ქვეყნიდამ წამოვლა, ხუთი წელიწადი გასულიყო. მერმე ყარამანმა ბრძანა: უშანგის ნახვა დიდის სურვილით მინდაო, ახლა უნდა წავიდეთო, ამდენი

ხანია აქ ვიმყოფებითო. რა ეს ფალავანთა მოისმინეს, დიდსა მხიარულებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა, დევთა, ფერიათა და ჯინთა დიდებულნი რაპინდის სასახლეში შეიყარნენ და თვისსა ალაგსა დასხდნენ. შემდეგ ყარამანი და სხვანი ფალავანნი მოვიდნენ, საჰმან და გარდანი ქეშანი წინ მოუძლოდნენ. რა ყარამან შემობრძანდა, თავი დაუჯერეს და ხელმწიფენი ფეხზედ ადგნენ, ადგილი უთავაზეს და თავის შესაფერს სკამზედ დაბრძანდა. იმასთან ყათრან დაბრძანდა და ამასთან სხვანი ფალავანნი დაბრძანდნენ. მას დღესა დავარ-ციხეს სამოცდათორმეტის ქვეყნის ხალხნი შეიყარნენ და ასეთი სიმრავლე იყო, რომ მათსა სიმრავლეს კაცის თვალი ვერ გარდასწვდებოდა. შაჰფალ-შაჰმა ბრძანა მეჯლისის გამართვა. იმ დღეს, როგორც მათ ფერობდათ, იმგვარი ლხინი გარდიხადეს და იმდენი საბოძვარი გასცა, რომ კაცს გაუტყვარდებოდა. ორმოცს დღეს იმ ლხინსა და შექცევაში და გაცემაში ბრძანდებოდნენ. იმჟამად ფერიის ქვეყანაში სხვა სიტყვა აღარა იყო რა, ყოველნი ყარამანის ნაქნარს ლაპარაკობდნენ, ან რაც დევთ ქვეყანაში გარდახდომოდა და ანუ თუ ჯინისტანში. დიდსა ქებასა შეასხმიდიან ყარამანს. ფერიანი სხვა და სხვა ქვეყნიდამ მოვიდოდნენ ყარამანის სანახავად, დიდად მოსწონდათ და ქებას შეასხამიდიან. ორს თვესა ამ ლხინსა და შექცევაში იყვნენ, მაგრამ რაპინდი და ბაჰმან-შაჰ ყარამანის პირსა უყურებდნენ, თუ ინებებს, შაჰფალ-შაჰისაგან დასტურს ვითხოვთო, რომ წავიდეთო.

იმ მეჯლისში ყარამანმა შაჰფალ-შაჰს მოახსენა: ხელმწიფეო, ხუთი წელიწადი არის, რომ აღამიანთ ქვეყნიდამ ამბავი არა შემიტყვია რა, თუ როგორ არიანო. მე ხელმწიფისათვის ექვსის თვის ვადა მიმიციაო და ეს ხუთი წელიწადია, რაც რომ ხელმწიფე არ მინახავს. შაჰფალ-შაჰმა ყარამანს მოახსენა: ჩემო თვალის სინათლევ და გულისა სიხარულო! ამ ერთ წელიწადსაც აქ განისვენეთ, ფერიანი გავგზავნოთ ინდოეთში და უშანგის ამბავი მოვისმინოთ და შემდეგ თადარიკი ისე დავიჭიროთ. ყარამანმა მოახსენა: ხელმწიფეო, ჩვენ ჩვენს თავად არა ვართ წამოსულნი, რუბი-მასკუნის ქვეყანა მისის ბრძანების მორჩილებასა ქვეშე არიანო. ექვსი თვის პირობა მიგვიცია და ეს ოდენი ხანი აქ დავგვიანებულვართ, ახლა წაუსვლელობა არ იქმნება, ამდენს ხანს ჩვენგან ხელმწიფის უნახაობა როგორ იქმნება, და ამას გარდა თქვენი სიმამრი ბაჰმან-შაჰ

შამბასარ დედის ხელში პერობილია და ამის ქვეყანაც სხვას უჭირავს და ჯიბილ გაბარის ქვეყნის ხელთა ესენი აღარა ჰგონიათ, იმედგარდაწყვეტილი იქნებიან და ამას იტყვიან, ალბათ ისინი ცოცხალნი არ არიან, თორემ აქამდისინ ამ ქვეყანაში გახელმწიფდებოდნენ. ამ მოხსენებას აღარ მოეშვა. შაჰვალ-შაჰმა თავი ველარ შეაწყინა და მოახსენა: ფალავანო, რადგან დაშლას აღარა გაეწყობა რა, წასასვლელად მოემზადეთო.

იმქამად შაჰვალი გამოეთხოვა და ქალაქსა წავიდა. უშანგისათვის და შარიზ-შაჰისათვის მრავალი უცხო ფეშქაშები მოამზადა, რაჰინდისათვის, ბაჰმან-შაჰისათვის, შარიზ-შაჰისათვის ყათრანისა და ბარამისათვის და გარდანქეშანისათვის, ყველასათვის თავ-თავის შესაფერი ფეშქაშები მოამზადა და თვის ხელით მოართვა. სარვიხურამანს თვისი შესაფერი ფეშქაში მიართვა და მდაბლად ბოდიში მოსთხოვა. შემდეგ ყარამანისა და რაჰინდისათვის ტახტები მოამზადეს, რაც გზისთვის თადარიკი იყო, ყველა მოამზადეს, შემდეგ ყარამანს მოახსენა: გზის თადარიკი მზად გახლავსთო. ყარამანმა ზულუმათის ხელმწიფენი და ჯინისტნის სულთნები მოასხმევინა და მოახსენა: ჰე, ხელმწიფენო, ჩვენთვის ესე ოდენი ჯაფა გასწიეთ და გაისარჯენით. არა მცირე ხანია, რომ თქვენის ქვეყნიდამ ხელაღებული ხართო და ჩვენთან ბრძანდებით. ჩვენ ახლა თქვენზედ ბოდიშს ვითხოვთ და ამას იქით თქვენ ღვთისათვის მიმიბარებინართ. აქედამ თქვენ თქვენსა ქვეყანაში წაბრძანდით და ჩვენ უშანგ-შაჰის სამსახურში უნდა გიახლნეთო და მის ხელმწიფობას უნდა თავი დაუყრათო.

რა ყარამანისაგან ესეთი ბრძანება მოისმინეს, ყველანი აღგნენ, თავყანი სცეს და მოახსენეს: ჰე, სააბყარანო, ჩვენგან აღამიანთ ქვეყანაში წასვლა და თქვენგან ხლება დიან დიდი წყალობა იქმნებაო. ჩვენ თქვენის ხლებისაგან და სამსახურისაგან ნუ გაგჟვრითო, ჩვენცა თქვენის საფარველსა ქვეშ წამოვალთო და შეიდი იყლიმის მაყრობელი ხელმწიფე უშანგი ვნახთო და თავყანი ვცათო. შემდეგ თქვენ ღმერთს შეგავედრებთ და ჩვენ მუნიდგან ჩვენსავე სამყოფში და ქვეყანას წავალთო. უშანგისა და თქვენი მაქებარნი ვაქნებითო. ეს ჩვენთვის უმჯობესი არისო. ამ თხოვნას აღარ მოეშვნენ. რა ყარამანმა შეიტყო, რომ თვისი გაყრა არ უნდოდათ, მოახსენა, თადარიკი ნახეთო, მოემზადენითო და ამას დღეს იქით წავიდეთო. ამ ბრძანებისა მსმენელნი დიდსა სიხარულსა



მიეცნენ. ყარამანმა ზულუმათის ხელმწიფეთა უბრძანა: ზულუმათი დამ შვიდასი ათასი ღვეი თან წამოასხითო და სხვანი დაითხოვეთო. ღვენი მოასხეს და სხვანი დაითხოვეს.

რა ათი ღღე შესრულდა, მეთერთმეტე ღღეს ყარამანმა აყრა ბრძანა და ყველა ხელმწიფენი და ბანოვანნი ოცდაოთხს ტახტზედ დასხდნენ. ყარამანმა ღვეთა და ფერიათა უბრძანა აღება ტახტებისა. იმათაც ასწიეს ჰაერში და ინღოეთისაკენ გაემართნენ. ესრეთ მალლად აღიწივნენ, რომ ქვეყანა მცირედლა მოჩანდა და გარეშემო ზღვას მოეცვა.

### ამა ხოსროვშირისა და გულჩინის ამბავი

იმჟამად ინღოეთი სამ სახელმწიფოდ იყო განყოფილი. სამნი ძმანი ხელმწიფობდნენ. უფროს ძმას სახელად რაიაზამ ერქვა; ათას ცხრაასის ციხის მქონებელი იყო, ოთხი ათასის ქალაქისა, ათას ორასის კუნძულისა. მეორესა ძმასა ქეთან-შაჰ ეწოდებოდა; ათას სამასის ციხის, სამი ათას შვიდასის ქალაქისა და კუნძულისა მპყრობელი იყო. მესამესა ძმასა რაჰინდ ერქვა; ხუთას სამოცის ციხისა და რვაასის ქალაქის მპყრობელი იყო. ესე რაჰინდ იყო, რომლის საბრძანებელი უშანგმა დაიჭირა. ამისი ქვეყნის დაჭერა შუათანა ძმას სინღეთის ხელმწიფეს ქეთან-შაჰს მოხსენდა, რომე, თქვენს სიმაღლეს ესრეთ მოხსენდეს, მუჰლაილან ხელმწიფის შვილი უშანგ-შაჰ წამოსულა, ინღოეთის სახელმწიფო სულ დაუჭერია და რაც დიდრონი კაცები ყოფილან, სულ ყველასათვის თავები დაუყრევინებიაო. თქვენს ძმას რაჰინდსაც დიდრონი ჯარები შეუყრია, თავისი ქალი სარვიხურამან და სპანდიერ ბარიც მოუყვანია შემწედ, მაგრამ უშანგს ერთი სახელოვანი ფალავანი ჰყავს, რომელსაც სახელად ყარამან ეწოდება, იმას ერთის დაკვრით სპანდიერ ბარი მოუკლავ და სარვიხურამან ცხენილამ ჩამოუგდიაო. თქვენს ძმას რაჰინდს ომით რომე ველარა გაუწყვია რა, უშანგს დამორჩილებია, მისი მონა შექმნილა და თვისი ქვეყანაც მისთვის მიუცია. შემდეგ უშანგ ხელმწიფეს თავის-ქვეყანა ისევ რაჰინდისთვის უბოძებია და ახლა უშანგ ისევ იმის სახელმწიფოში ბრძანდებოა.

რა სინღეთის ხელმწიფემ ქეთან-შაჰმა ესე მოისმინა, გაჯავრდა

და ისეთი დაიყვირა, რომ იმ მეჯლისში მსხდომნი ფალავანნი სულ დაოცდნენ და ერთმანერთს ყურება დაუწყეს. ქეთან-შაჰ ესრეთ განრისხდა, რომ ხან ადგა და ხან დაჯდა. რა მცირეს ხანს უკან დამშვიდდა, თვისთა დიდებულთა უბრძანა: ნახეთ, ჩემს გიჟს ძმას რა უქნია, რომე ინდოეთის მპყრობელი იყო, წასულა და ერთს ერანელს ჰყმობია. ის ჩემის ძმობის ღირსი აღარ არის და ან ის უშანგ ვინ არის, რომ მე წავიდე, არც ჩემი ძმა გაუშვა ცოცხალი და არც უშანგო! მერმე წავიდე და ერანის სახელმწიფო ასე გავაოხრო, რომ სულ სპილოების ფეხქვეშ გავამტკვრებინო.

მაშინვე მცირეს ლაშქრით წასვლა ბრძანა, მაგრამ დიდებულთა მცირეს ლაშქრით წასვლა დაუშალეს და მოახსენეს: ხელმწიფო, მცირეს ხანს დაწყნარდით და სხვა ქვეყნიდამ ლაშქარი შეიყარეთ, ყველა ქვეყნებში წიგნები მისწერეთ, რომე 'მათი ჯარები შაჰრი-რომის ქალაქს მოვიდნენ და იქ შემოგვეყარნენო. თქვენს უფროსს ძმას წიგნი მისწერეთ და დაიბარეთ. ქუი-სანგისტანში სპანდიერის ძმა ყარამიჯინიც დაიბარეთ, ისიც წამოვიდეს. ქუი-ათეშიდამ აზრად ჯადო რომ მოკლა გარდანქეშანმა, იმისი ძმა ოპყალი ჯადოც დავიბაროთ, თავიანთ ძმების სისხლი აიღონ. უშანგ-შაჰ მცირე ვინმე ნუ გგონიათ, რა ცხენსა შემჯდარა, ხმალი შემოუტყავს და ერანიდამ გამოსულა, რომელსაც ქვეყანაში მისულა, ვერც ერთს ქვეყანას ვერ გაუძლია. სამოცდაათი წელიწადია, რომ მისი ჯარი არავისგან არ დამარცხებულა. ესეცაა, რომ თახმურად ხელმწიფის შვილი ყარამან ყათილი მას ახლავსო. სანგისტანის სულთანს სპანდიერს ყათის მთის დევები ვერ გაუძლებდნენ, მაგრამ ყარამანმა ერთის დაკვრით მიწასთან გაასწორაო. ახლა უშანგ-შაჰის ტახტის პირველი ფალავანი ყარამან არისო, იმის პასუხის გაცემა არავის შეუძლიანო, თუ არ ოპყალი ჯადოს და ყარამიჯინსაო.

რა ესე სიტყვები მოისმინა, ქეთან-შაჰს მოეწონა და თქვა: მე უშანგისთანა ვისთვისმეო ჩემს უფროსს ძმას არც წიგნს მივწერ და არც ჯარს დავიბარებო. მაგრამ ყარამიჯინს და ოპყალი ჯადოს მისწერეს და სხვა ქვეყნის ჯარებიც დაიბარეს. ერთი წიგნიც თავის ბიძას მისწერა ქეთან-შაჰმა, სარჯან ჰინდიც დაიბარა, რომელსაც ექვსასი კუნძული ეჭირა. დიდად გულოვანი და ხელოვანი ფალავანი იყო, რომ ომში ვერავინ გაუძლებდა. მრისხანების ღროს მისის პირის შეხედვა დევსაც გაუძნელდებოდა, შიშით ნაღველა გაუსკდებოდა. ყოველ წელიწადში ამ სარჯანს სამი ხელმწიფე ხარ-

ჯას აძლევდა. ამას ერთი ქალი ჰყვანდა, სახელად გულჩინ ერქვა, რომ სილამაზით ინდოეთში არავინ შეედრებოდა. ამ გულჩინს სარვიზურამანსავით ალთქმა დაედვა. ესე იტყოდა, ვინც მე მომერევა მოედანზედ, იმას შევირთავო. ყოვლის ქვეყნის დიდებულნი მოვიდნენ მის შესართავად, მაგრამ ამ ქალის ხელით დაიხოცნენ, ომი ვერ გაუსწორეს. ორმოცდაოთხი ძმა ჰყავდა, რომელნიც დიდად ძაღვანნი ფალავანნი იყვნენ, მაგრამ როდესაც თვის დას შეემოდნენ, ყოველსა მოერეოდა. მარადის მისი შექცევა ლომისა და ვეფხვის, ბაბრის და ფალანგის ხოცვა იყო. ხუთი-ექვსის თვით ნადირობად მინდორსა შინა იყვის. ომში სარვიზურამანის გარდა ვერავინ გაუძლებდა. ერთი წიგნიც გულჩინს მისწერეს და დაიბარეს.

### აჰა ყარამიჯინის მოსლვა ქეთან-შაჰის შეიშვად

რა ყარამიჯინს თვისის ძმის სიკვდილის ამბავი მიუვიდა, გაბრაზებული ძაღლივით თავის ხორცს გლეჯა დაუწყყო. ხან აღვა, ხან დაჯდა, ჯავრით არ იცოდა, რა ექნა. მაშინვე დაიძახა, ჩემი იარაღი ნახეთო, ახლავ წავიდე, ჩემის ძმის სისხლი ავიღოო. იმჟამად ქეთან-შაჰის წიგნიც მიუვიდა და რა წაიკითხა, მაშინვე ორასი ათასი კაცთა მკამელნი შეჰყარა, დღე და ღამე გაასწორა, შაჰრი-რომს მოვიდა. რა მისი მოსვლა ქეთან-შაჰს მოხსენდა, მაშინვე წინ მიეგება და დიდის პატივით მოიყვანა. სინდის დიდებულნი შემოვიდნენ, მიესალმნენ და პატივი სცეს.

იმჟამად ქეთან-შაჰის წიგნი ოჰყალი ჯადოსაც მიუვიდა. რა წიგნი გახსნა, თავი აიღო და თქვა: მაინც ჩემის ძმის აზრად ჯადოს სისხლის აღება მეწადა და რადგანაც მიზეზი ეს არის, სჯობია, რომ წავიდე ქეთან-შაჰასთან. მაშინვე ბრძანა და სამასი ათასი ჯადოს ლაშქარი, უცხო და უცხოს ჯადოების მცოდნენი, უცხოს იარაღებითა შეიკაზმნენ და ქეთან-შაჰისაკენ წამოვიდნენ. იმ ხანში სარჯან პინდსა და გულჩინსაც წიგნები მოუვიდათ. სარჯანმა თვისი უფროსი შვილი თვის სახელმწიფოში დატოვა და თვისი ორმოცდასამი შვილით და გულჩინით და რვაასი ათასის ლაშქრით წამოვიდა. ყოველნი სპილოსა და მარტორქას ამხედრდნენ და ქეთან-შაჰისაკენ წამოვიდნენ.

ქეთან-შაჰას მოხსენდა, რომ ყარამან ქუთი-ყაფის მთაში წავიდაო.

რაპიხდ და სარვიხურამან აღარსად ჩანანო. რამდენი ხანია, რომ იმათი სახელი აღარსად ჩანსო. არ ვიციო, რომელს ქვეყანაში დაიკარგენო. მაგრამ ასე ვგონებო, რომ ყარამან დევების ხელით მოჰკვდარაო. უშანგს შვიდი ციხე და ერთი ქალაქი აუშენებია და სახელად უშანგაბადი დაურქმევია და თვითონ იქ ბრძანდება და რაც ლაშქარი ჰყოლია, ინლოეთის სახელმწიფოში დაუფანტავს გამოსაკვებად და თვითონ სუბათ არისო. ორის ხელმწიფით დარჩომილა.

რა ქეთან-შაჰმა ესე შეიტყო, დიდად იამა და ბრძანა: ლაშქრის რიცხვი ნახეთო! მათ მსწრაფლად ბრძანებისამებრ აღასრულეს, ას ოცდაჩვიდმეტი ასი ათასი ლაშქარი შეჰყარეს, ას ორმოცდაათი ათასი სპილო და ქეთან-შაჰაც ერთს მარტორქაზედ შებრძანდა. დიდის დიდებით გამობრძანდა და ლაშქრის გაწყობილებას ყურება დაუწყო. ლაშქრის გაწყობა დიდად მოიწონა. იმ ხანში სარჯანისა და გულჩინის ამბავიც მოხსენდა: რეასი ათასის კაცით მოდიანო. რა ყარამიჯინმა გულჩინის მოსვლა გაიგონა, დიდად გამხიარულდა, იმ მიზეზითა, რომ გულჩინის არშიყი იყო. მაგრამ ყარამიჯინს ეშინოდა გულჩინის მორევისაგან და მისთვის სიყვარული ვერ გამოეჩინა. ქეთან-შაჰმა ბრძანა: სარჯანი ჰინდი დიდი ხელმწიფეაო, უნდა მივეგებნეთო. ქეთან-შაჰ, ყარამიჯინ და ჰინდის დიდებულნი მისაგებებლად წავიდნენ. სარჯან ჰინდის ლაშქარში მივიდნენ. სარჯანი შვიდი ათასის დიდებულების შვილებით მოდიოდა, რადგანაც გულჩინის არშიყნი იყვნენ, სინდელ ფალავანთ ყარამიჯინის შიშით ვერ გამოეცხადებინათ.

რა სარჯანმა ქეთან-შაჰ ნახა, სპილოდამ ჩამოხდა და ერთმანერტსა მიესალმნენ. სარჯანმა რომ ყარამიჯინ დაინახა, თვისი მოსვლა ძალიან ინანა. გულჩინი მოვიდა შვიდასის დიდებულის ქალებით, ჩამოხდა, მიესალმა, თვის ბიძას ხელსა აკოცა. რა გულჩინ დაინახეს, ყოველ კაცისა თვალი გულჩინის სილამაზეს უჭკრეტდა. შემდგომ ყოველნი ფალავანნი თვისსა სადგომსა წავიდნენ. მას უკან ქეთან-შაჰის კარავსა შეიყარნენ. ქეთან-შაჰმა ბრძანა, მეჯლისი გაიმართა. მარჯვენა მხარეს გულჩინ დაბრძანდა, ნაღიმი დაიდევს. რა ღვინითა დაითვრნენ, ყოველმა ფალავანმა ქანდილი დაიწყეს და სხვა და სხვა რიგად შეექცეოდნენ. ყარამიჯინ რომე ღვინით ზარხოში შეიქმნა, ვეშაჰსავეთ ბრღვინვა დაიწყო. ქეთან-შაჰს მოახსენა: ამდენი ლაშქარი რომ შეგიყრია, ბრძანეთ, რომე უშანგზედ

წავიდეთ. ქეთან-შაჰმა ბრძანა: ოპყალი ჯადო არ მოსულაო. ყარამიჯინ ადგა და მოახსენა: ამდენი ლაშქარი რომ გახლავსთ, ოპყალი ჯადო რაღა საჭიროაო? მე რომე ერთ ალაგს ვიყო, ვის შეუძლიან ჩემს წინ იბრძოლოსო? ბრძანეთ და ავიყარნეთო. ქეთან-შაჰმა აყრა ბრძანა და ყოველნი ლაშქარნი აიყარნენ. ექვსი თვე იარეს და ინდოეთის სამზღვარზედ მოვიდნენ. უშანგის მხრიდამ ჯაშუში მოვიდა და ქეთან-შაჰს მოახსენა: უშანგ-შაჰ ასი ათასის კაცით უშანგაბადს ბრძანდებაო.

რა ეს მოისმინეს ქეთან-შაჰმა, ყარამიჯინმა, სარჯანი ჰინდმა, მაშინვე შაჰრი-რომიდამ გამოვიდნენ და ხომალდებში ჩასხდნენ და სამი თვე ზღვით იარეს. დღესა ერთსა ზღვა აუღელდათ, ხომალდნი დაეფანტათ. ყარამიჯინის ხომალდი ზღვის ლელვამ ცალკე გაიტაცა. ექვს თვეზე მათი ხომალდები ხმელეთზედ ძლივს გავიდა და ქეთან-შაჰის და სარჯან ჰინდის ლაშქარი სულ ერთად შეიყარნენ. შაჰამ ყარამიჯინს მოელოდნენ. სამს მანზილზედ ჩამოხდნენ, უშანგზედ ახლოს დადგნენ.

იმხანად რომ უშანგმა შირფანჯა აიარი ერანში გაგზავნა, თვითონ თვისის ძმითა შარიბ-შაჰითა და ქეივან-შაჰით და დოუთ-შაჰითი უშანგაბადს ბრძანდებოდნენ და სხვანი ლაშქარნი აქა-იქ დაეფანტა გამოსაკვებლად. ერთს დღეს შარიბ-შაჰს შვილი ხოსროვშირ სანადიროდ წავიდა რამდენიმე ხელმწიფის შვილითა, ასიმ ღიარიც თან ახლდა. სარანდიბის მთისკენ ნადირობდნენ. ის დღე დაღამე იარეს და შეეკეცოდნენ. ხოსროვშირს ის ჩვეულება ჰქონდა, რომე პირის საბურველს არ აიხდიდა ამ მიზეზისა გამო, რომე დიან ლამაზი და მშვენიერი იყო, რომ თვალი არ მეცესო. იმ ნადირობაში ხოსროვშირ თვის ამხანაგებს ასცდა და დასავლეთისაკენ წავიდა ისიმ აიარით.

## აჰა ხოსროვშირისაგან ნადირობაში გულჩინის შეპრა

რა ხოსროვშირ ნადირობად ვლიდა, ერთს კიდეს მიადგა. იმ კილიდამ დაინახა, რომე ერთის მხრისაკენ ერთი დიდი მტვერი გამოჩნდა. იმ მტვერს ცა და ქვეყანა დაებნელებინა. რა აღმოსავლეთის ქარმა მტვერი უკუ ჰყარა, ერთი უთვალავი ლაშქარი გამოჩნდა, რომელსაც თვალი ვერ გადასწვდებოდა. მოვიდნენ ერთს

ალავს და ჩამოხდნენ. ლაშქართა კარვები დასცეს, ას ორმოცი ათასი გაწვრთნილი სპილოები მოიყვანეს, ასე, რომ იმათი ღრიალით ქვეყანა იძროდა. ხოსროვშირ ძლიერ გაკვირვებული უქვრეტდა და გულსა თვისსა ფიქრობდა: ამდენი ლაშქარნი საიდამ შეყრილანო? ამ ფიქრში იყო, ნახა რომე ერთმა დასტა ნადირმა ხოსროვშირს წინ ჩამოუბრინა. შეხედა ხოსროვშირმა, ერთს ჯეირანს ისარი ჰქონდა ნაკრავი და ის ნაკრავი ისარი შიგვე იყო დარჩომილი. ერთი ისარიც ხოსროვშირმა შესტყორცნა და ის ჯეირანი მოკლა.

ასიმ აიარმა ყელი გამოსჭრა და ისარს სინჯვა დაუწყყო, ეს ისარი ვისი უნდა იყოსო, ჰკითხავდა ხოსროვშირს. მაშინვე ერთი უცხო ხმაურობა მოესმათ, ისეთი ხმაურობა იყო, რომე სარანდების მთა შეიძრა. ხოსროვშირმა და ასიმ იმა მხრისაკენ ყურება დაუწყეს. ნახეს, რომ ერთი ფალავანი, ოცდაცხრის მწყრთის სიმაღლის მქონებელი, ერთს მარტორქაზედ ზის მძიმის საჭურველით შეიარაღებული, პირს საბურველი აფარია, ხელთა მშვილდი უჭირავს და ჯეირანს მოზღვედა. ნახა, რომე თვისი დაკოდილი ჯეირანი სხვა ვიდასაც მოუკლავს. პირსაბურველს ქვეშ გახედა, ნახა, რომ ერთი ორმოცდახუთის მწყრთის სიმაღლის მქონებელი შავს რაშზედ ზის, შავის იარაღით შეჭურვილი, პირს საბურველი აფარია, ხელთა მშვილდი უჭირავს. ტანად ისეთი მოყვანილი იყო, რომე თუმცა მეომარს ნარა დევს ენახა, შიშით გული გაუსკდებოდა. ასე ეგონებოდა, რომე ყარამანის უმჯობეს მსგავსი არისო. ვისაც იგი ენახათ, ამას იტყოდნენ, ქვეყანაზედ ზეცით ანგელოზი ჩამოსულაო. ჯეირანი წინ უძევს, და მასთან ერთი ქვეითი კაცი დგას ოცდასამის მწყრთის სიმაღლის მქონებელი, უცხო ტანისამოსით მორთული. ისეთი ფიცხლად იქცევა, რომ თუმცა შეუკვეთო, ვარსკვლავთა სხივს მოიტაცებს. მარჯვნივ და მარცხნივ ხანჯლები ურჭვია, ხელთ ერთი აღმასის ნაჯახი უჭირავს და თავსა ადგას.

ხოსროვშირმა ჰკითხა ასიმს: ნეტარ ეს მომავალი ვინ უნდა იყოსო? ასიმმა მოახსენა: რა მოგახსენო, ხელმწიფის შვილო, არ ვცნობო. ესე მომავალი სარჯანის ქალი გულჩინ იყო. ეს გულჩინ თვისის ჯარიდამ ერთის დღის წინ წამოსულიყო სარანდების მთაზედა შვიდასის ფალავანი ქალებით სანადიროდ. მისის ნადირობის მიზეზი ეს იყო, რომე იმ მთაზედ მოსულიყო. მცირესა ხანსა თვისთა ამხანაგთა თანა ლაპარაკს შეექცეოდა, ღვინის სმაში ფალავნების ამბავი ჩამოეგდოთ, სარვისურამანის სილამაზეზე და ფალავნო-

ბაზედ ელაპარაკნათ და გულჩინისათვის ყოველივე წერილად მოგხსენებინათ და ეთქვათ, დღეს ქვეყანაზედ შენზედ ლამაზი და გულოვანი ფალავანი არ არისო. მათის იმ გვარის ქებაზედ გულჩინს თავი მოეწონა და თქვა: დღეს მე ისეთი ლამაზი და ძალოვანი ფალავანი ვარო, რომ არც დედანი და არც მამანი მე ვერ შეპირდაპირებინაო, ჩემის ერთის ნახვისათვის ჩემს კარზედ ჰყრიანო, ჩემის სამსახურის მონატრენი არიან, მაგრამ მე იმათ ჩემის ყაფიჩის ალაგსაც არ ვაგდებო.

ესე თქვა და მეჯლისი დაიშალა. თვისთან მყოფნი დაითხოვა და თვისსა კარავსა წავიდნენ. თვითონაც ძილად მოისვენა. სიზმარში ნახა, რომ ვითომც ერთსა პატროსანს მწვანეს ალაგს ერთს ხის ძირში იჯდა თვითონ. ერთი მთვარე ამოვიდა ისეთი, რომ ქვეყანა მთლად გაანათა. ის მთვარე ინდოეთის მხრიდამ მოვიდა, ზეციდამ ჩამოვიდა, საცა რომ გულჩინ ხის ძირში იჯდა, იმ მხარეს მოვიდოდა. უეცრად გულჩინმა შეხედა, რომ ყმაწვილად გარდაიქცა, პირზედ საბურველი ეფარა. გულჩინს უთხრა: მე შემომხედდეთ! რა გულჩინმა შეხედა, ერთი ისეთი ბრწყინვალე პირი დაუნახა, რომ მის დღეში მისთანა მშვენიერი ვინმე არ ენახა თვალით. მშვენივრად მორთული იყო, შვიდ-კუთხიანი სახელმწიფო თავი თავსა ეხურა და ისეთი საკვირველად შვეწოდა, რომ მისთანა მშვენიერი სახის მქონებელი თავის დღეში არ ენახა. გულჩინმა მისი უებრო სიმშვენიერე რომ ნახა, სიზმარში გაუარშიყდა და ეწადა, რომ აღარ განშორებოდა და მარად მასთან დარჩომილიყო. კვალად იხილა, რომ იმ წამს ის ყმაწვილი შავარდნად შეიქმნა და გულჩინს მოუხატა, ერთი ისეთი კლანჭი გაჰკრა, რომ მკერდი გაუბო, გული ამოკვლიჯა და ჰაერში აღიტაცა, სარანდიბის მთაზედ ჩამოხდა და გულჩინს თვისთან უძახდა.

ამა საკვირველ სიზმრის ზმანებაში გულჩინს გამოეღვიძა და ჰკვირობდა, თუ ეს რა უნდა იყოსო, მაგრამ იმ სიზმარში ნახული ყმაწვილის სიყვარული გულსა ისარივით დაესო. იმ ღამეს იმ ყოფით გაათენა. რა დილა გაათენდა, იგი სიზმარი არავის უთხრა. ამ მიზეზითა მეორეს დღეს სანადიროდ წავიდა, სარანდიბში ნადირობაში ერთს ჯეირანს ისარი ჰკრა და დაკოდილს მისდევდა, მის დევნაში ხოსროვმირს შემოხვდა. რა ნახა, რომ თვისი დაკოდილი ნადირი წინ ედვა, მაშინვე იცნა და გულსა თვისსა თქვა: უთუოდ მე რომ სიზმარში ყმაწვილი ვნახე, ეს ის არის. რა ქამარსა, ბეჭედსა

და თავსა თვალი დააკვირვა, თქვა: სწორედ იგი არისო. გულჩინმა ისურვა, რომ ცხენილამ ჩამომხდარიყო და იმის ცხენის ფეხებს მოხვევნილიყო. მარამ კიდევ თვისი თავი შეიმაგრა და თქვა: თავო ჩემო, მცირეს ხანს მოიცადე, პირველ გაშინჯე, როგორი ფალავანია, რადგან შენც ფალავნობასა ჩემობ, მერმე საქმე ისე დაიჭირეო. ამას წინად იმდენი ხელმწიფის შვილები არად მიგაჩნდა და არ შეიბრალებ და არც შეიწყნარეო და ამოსწყვიტე და ახლა აგრე რამ დაგამდაბლა? აწ უომოდ რად დავემორჩილო და ქვეყნის საკიცხველი შევიქმნაო. ამას იტყვიან, გულჩინ ერთს ვისმეს გაარშიყებიაო, არც გვარი ვიცით და არც ფალავნობაო. ამ ალაგსა ამ ყრმასა გამოვცდი, ვნახავ, ეგები ჩემი ნახული არ იყოს, რომელიც რომ მე სიზმრად მეზმანა, რაზედ მოვტყუდდებო?

### ამა ხოსროვშირისა და გულჩინის ომი ძლიერი სარანღიზის მთასა ზედან

რა ესე დაასრულა, მაშინვე თვისი საჯდომი მარტორქა მოიგდო და დაუძახა: ჰეი, თქვენ შეუგნებელნიო ეგ ჩემი ნადირი ვინ მოჰკალითო? აქედამ ჩემის ხელილამ სად წახვალთო?! ხელთა რომ მშვილდი ეპყრა, იგი ქარქაშში ჩადო და ერთი მძიმე ლახტი ხელთა მიიკა. თვისთანა მხლებელს ერთს ფალავანს დედაკაცს შესძახა: აწ მიდი და იგი ჯეირანი წაართვი და მომიტანეო! მისის ბრძანების მორჩილი მაშინვე მივიდა. იმ დედაკაცმა ხოსროვშირს ესრეთ უთხრა: შვილო, თუ შენის თავის სიცოცხლე გინდა, ცხენი და იარაღი მომეცი და შენ მშვიდობით გაგიშვებო. ამაზედ ასიმ აიარმა ხოსროვშირს მოახსენა: ცხენითა და იარაღით თუ მოვრჩით, უკეთესი რაღა გვინდაო?! სიცილი დაიწყეს. ასიმ თქვა: ვინცა გვკითხოს, ესე ვთქვათ, ძალად წაგვართვესო? რა ესე სიტყვა გულჩინმა გაიგონა, თვისთა მხლებელთა უთხრა: იგი ქვეითი კაცი ნახეთ, რა ჰქვიანიაო, როგორ კარგად ურჩევსო. ამ საუბარსა ზედა ხოსროვშირმა უპასუხა: ისეთი კაცი იქნება ვინმე, ჩემი ცხენი და იარაღი ძალით გამომართვასო? ჩემი იარაღის აყრა ადვილი არ არისო.

რა გულჩინმა ეს მოისმინა, თვისს ფალავან დედაკაცს უთხრა: მიდი და იგი ამაყად მყოფი ყრმა კაცი. ცხენილამ ჩამოაგდებო და აქა მოიყვანეო. რა ასიმ აიარმა ესე მოისმინა, წადგა და გულჩინს მოახსენა: დედისერთა არის, გთხოვთ, ნუ მოაკვლევინებო. იმ მსა-



ზურმა გულჩინის ბრძანება რომ მოისმინა, მსწრაფლად ერთი ლახტი აიღო და ხოსროვშირს შეუტრია. რა გულჩინმა შემოხედა, იფიქრა, ცოდვა არის, რომ ამისთანა დევის ხელით მოკვდესო, რადგან დედისერთა ყოფილაო. ამ მსახურმა ხოსროვშირს ლახტი დასაკრავად შეუმაღლა. ხოსროვშირმა იფიქრა, ამ ფალავანმა მართლა დააპირა ჩემი სიკვდილიო. ხოსროვშირ მსწრაფლ სწვდა, ლახტი ხელიდგან წაართვა და მასვე ისეთი დაჰკრა, რომ მაშინვე იგი მსახური მიწასთან გაასწორა.

რა გულჩინმა და იმ ხელმწიფის შვილებმა ნახეს, დიდად გაჰკვირდნენ და თქვეს: ეს ვინ არის, რომ ამისთანა ფალავანობა ქნაო? ხოსროვშირისაგან რა ამგვარი ძალეულობა იხილეს, გაოცებული უყურებდნენ. გულჩინმა თვის გუნებაში თქვა: მე რომ ამის საქმე ვნახე, ეს მცირე ფალავანი არ არის. მე ამას ვნახავ და გამოვცდი, თორემ საქმე საჭიროდ სჩანსო. ესე თქვა და ხელთა რომ ლახტი ეპყრა, ხოსროვშირს შეუმაღლა. ხოსროვშირმა ფარი იფარა და მას აატანინა. გულჩინს ერთის დაკვრით მიწასთან გასწორება ეგონა, მაგრამ უვნებლად გარდაურჩა. მერმე გაჯავრებულმა მეორე დაჰკრა, მაგრამ ვერცა იმით ავნო, მესამედ გულმეისისხლედ ისეთი დაჰკრა, რომ თუმცა სარანდიბის მთისათვის დაეკრა, იმასაც დაჰცევდა, მაგრამ მას ვერა ავნო რა. რა გულჩინმა შეატყო, რომ იგი უბრალო არავინ იყო და შაჰზადებიც დიდად გაჰკვირდნენ, ახლარიგი ხოსროვშირს ერგო. რა მუჰლეილანის ლახტი ხელთა აიღო და გულჩინს შეუმაღლა, გულჩინმა ფარი იფარა, ათასის ცდითა და მხედრობით მას აატანინა, მაგრამ ისეთი ძალა დაადგა, რომ რაც სიყრმით დედის რძე ეწონა, სულ ცხვირიდამ წამოედინა. მცირეს ხანს უცნობი იყო. რა გონებასა მოეგო, ერთი კიდევ დაჰკრა, მასაც გარდაურჩა, მესამე ლახტი უფრო ძლიერად დაჰკრა, მასაც გადაურჩა. ეს ძალა არავისაგან ენახა. ეს ორნი ფალავანი იმ მინდორსა მთვრალს ვეშაჰსავით ლახტითა, ხან შუბითა და ხან ოროლითა იბრძოდნენ. რა საღამოს ჟამი შეიქმნა, ხოსროვშირ განრისხდა, ლახტი შეუმაღლა, გულჩინმა ფარი იფარა, ლახტი ფარს ისრე ძლიერად მოხვდა, რომ თავზე დაახეთქა და გულდაღმა გარდაიქცა. ლახტი მარტორქას მოხვდა და თავი დაუნაყა, მარტორქა და გულჩინ ერთად დაეცნენ მიწასა.

იმჟამად გულჩინს პირს საბურველი მოეხადა და სუმბულისა მსგავსი კავ-ზილფები ჩამოეშალა. გულჩინმა თმები უკუ იყარა,

პირისახე გამოუჩნდა. რა ხოსროვშირმა დახედა, ნახა, რომ ერთი ისეთი ბრწყინვალე ქალია, რომ მისმა სხივმა შუქი შეაყენა, ახალს გაავსილს მთვარეზედ უმჯობესი იყო. რა ხოსროვშირმა იმის სილამაზე გაიცადა, ბრძანა: ჩემს დღეში ასეთი სილამაზე არავისი მინახავსო. მაშინვე ორთავეს ერთმანერთის ასეთი სურვილი მიეცათ, რომ ორნივე ეშხისაგან მთვრალეებს დაემსგავსნენ. ხოსროვშირ მცირედ განშორდა.

რა გულჩინის მსლებელთა ესრეთ იხილეს მიწაზედ დაცემული, შვიდასმა ქალმა შემოუტივეს და გულჩინ მოიტაცეს და ერთს სხვა მარტორქაზედ შესვეს და უნდოდათ, რომ ხოსროვშირისათვის შეეტივათ. მაგრამ გულჩინ არ ინება და თქვა: ერთი ვინმე რომ მე მომერიოს, თქვენ იმის ომს როგორ შეიძლებთო? მაშინვე დაბრუნდნენ და თვისის ლაშქრისაკენ წავიდნენ. თვისნი მსლებელნი გზაზედ დააფიცა, ამ საქმესა და ომს ჯარში ნურავის ეტყვიეთო. რა თვალთაგან მიეფარნენ, ხოსროვშირმა ასიმ აიარს უბრძანა: ჰეი, აიართა უბარველესო! ლეთის მადლსა, მიშველე რამე, შემატყობინე, ეს ვინ შემება და ან ვინ იყოო? ასიმმა მოახსენა: ახლა ხომ დაღამდა, ჯერ ლაშქარში წავიდეთ, ხვალ, საცა არის, ცაში თუ ხმელეთზე, არ დამემალება, ვიპოვნიო. რა ასიმ აიარმა ესეთი სიტყვა უთხრა, ამ სიტყვის იმედუელი ასიმ აიარი და ხოსროვშირ თვისსავე ლაშქარში წავიდნენ.

რა იმჟამად უშანგმა უცხო ლაშქრის მოსვლა შეიტყო, მაშინვე ნარქიამ აიარი მთაში ჯაშუსად გაგზავნა. მერმე საცა თავისი ლაშქარი საზამთროდ დაფანტული ჰყვანდა, ყოველნი თვისის სარდლებით დაიბარა. ხანდაუყოვნებლად მოდენა შეიქმნა. იმ ხანში უშანგს მოხსენდა, რომ რაპინდის ძმა ქეთან-შაპ ასორმოცჯერ ასი ათასის სინდისტნის ჯარითა და ასოცი ათასის მეომრის სპილოთი თქვენზედ მოდისო და უკან კიდევ ლაშქარს მოელისო. უშანგმა ეს რომ შეიტყო, თვით თადარიკში შევიდა.

ქეთან-შაპმა და სარჯანიმ მას ალაგს დაიყოვნეს, მაგრამ ყარაღჯინისა ვერა გაიგეს რა და ქეთან-შაპ დიდად შეწუხდა. სარჯანიმ უთხრა: ხელმწიფეო, ყარამიჯინს გარდა სხვა ფალავანი განა არა გვეყავსო? ამდენი ლაშქარი რომ ჩვენა გვეყავს, სხვა ფალავანი რაღად გინდაო? აღამს აქეთ ამისთანა უანგარიშო ჯარები არავის შეუყრიაო. ვისგან გვერიდება, ბრძანეთ, ავიყარნეთ, ვიდრემდის უშანგს ლაშქარი არ შეუყრია, მივიდეთ და შევებათო. ქეთან-შაპს

ეს რჩევა მოეწონა და მაშინვე აყრა ბრძანა. სინდისტნელთ დასტე-  
ბი დააწყეს, აიყარნენ და უშანგაბადისაკენ წამოვიდნენ. მეწინავე-  
და სარჯანი ჰინდი ხუთასი ათასი კუნძულის ლაშქრით წამოვიდა  
და მერმე ქეთან-შაჰ თავისის დიდებულებით აიყარა და მობრძან-  
და. იქილამ უშანგ აიყარა თავისის დიდებულებით და გაწყობილ-  
ობით, უშანგაბადილამ გამობრძანდა და მას ლაშქარსა წინა წაეგება,  
შვიდს ალაჯზედ ჩამოხდა.

რა დილა გათენდა, სარდლები და სარქრები უშანგის კარზედ  
შეიყარნენ. აიარებმა ამბავი მოართვეს და მოახსენეს, ღლეს ქეთან-  
შაჰ მოვა და შეგებმისო. რა უშანგმა ესე მოისმინა, ბრძანა: ერა-  
ნელნი და ჰინდელნი სარდლები დაეკაზმნენ. ოცდაათჯერ ასი ათა-  
სი ლაშქარი დარაზმეს და ყოველნი კაცნი თავ-თავის ალაგს დად-  
გნენ. დროშები და აღმები გაშალეს. უშანგმა ბრძანა: საომარსა  
ნაღარასა ჰკარითო. სინდელთა ლაშქრისაკენ ყურება დაიწყეს და  
ნახეს, რომე დიდრონი მტკერები აღდგა, იმა მტკერებთაგან საომარ-  
ის ნაღარის ხმა ისმოდა. მრავალი დროშა და აღმები იხილეს.  
მეწინავედ სარჯანი ჰინდი თვისის ლაშქრით მოვიდოდა, ხუთასჯერ  
ესი ათასი კაცით. რა ამათაც უშანგის ლაშქარი ნახეს, დიდად მოე-  
წონათ. იმის უკან სინდეთის ლაშქარი მოვიდოდა, დასტა-დასტად  
დადგნენ. მაგრამ უშანგის ლაშქარი არად ჩაიგდეს, თვალში დიან  
ეცოტავათ.

მერმე გულჩინ მობრძანდა, ორმოცის ფალავნით თვისის მამის  
მარჯვენა მხარეს დადგა და ერთი დიდად ამოიოხრა. სინდის ლაშ-  
ქარნი მოვიდნენ და თავ-თავის ალაგს დადგნენ. ქეთან-შაჰმა ას  
ორმოცი ათასის სპილოს ციხეები შეკრა და დადგა. იმ სპილოს  
თვითო-თვითო ციხეზედ თვითო სინდელნი ფალავანნი შეჭურვილ-  
ნი იდგნენ და ყველას ხელთა სხვა და სხვა რიგი საომარი იარაღი  
ეჭირათ. ქეთან-შაჰას ტახტი ორმოც სპილოზედ გაამაგრეს და მეს-  
პილოეთ სპილოები საომრად მოართვეს ისე, რომ სპილოების ღრია-  
ლით ცა და ქვეყანა იძროდა. ერანელთა ლაშქარი ამდენი სპილოე-  
ბის ღრიალის ხმაზედ დიდად შეშინდნენ. მაგრამ შარიზ-შაჰას შვი-  
ლი ხოსროვშირ ორმოცი ათასის ერან-თურანის ფალავნებით  
უშანგ-შაჰის ჯარის წინ იდგნენ. რა გულჩინმა შემოხედა, იცნა და  
თქვა: იგი შავს ცხენზედ მჯდომი ყრმა ფალავანი სარანდების მთის  
კალთაში რომ მომერივა, იგი ის არისო. მისმა ეშხმა და ქცევამ  
გულჩინის გული და გონება წარიტაცა, ნილაბქვეშ ერთი ამოიოხრა

და მაშინვე ცრემლები გადმოყარა. სინდელთა რა უშანგის ლაშქარი სრულიად გასინჯეს, ეკოტავათ და სიცილი შექმნეს და იტყოდნენ: ამ ერანელთა სულჯუჟა არა ჰქონიათო, რომე ამ ცოტა ლაშქრითა ამ ზღვის უმრავლეს ლაშქარს და დიდს სულთანს წინ უდგანანო. ამაზედ რაღა ყარამიჯინი გვინდაო. ხელმწიფეო, ბრძანეთ, შეუტით და ესენი სრულიად სპილოსა და მარტორქების ფერხტქეშ გავათელვინოთო.

ქეთან-შაჰმა ეს მოხსენება მოიწონა, მაშინვე ჩაუშებს უბრძანა, ჯარს შეატყობინონ, რომ უშანგის ლაშქარსა შეუტითონ და მაშინვე შეუტეთეს. რა უშანგმა მართლა გაშინჯა, შეიგნო, რომ იმ დღეს ომის მოწადინენი არიანო და ნახა, აღრიცხა, რომ შვიდი ათასი დასტა დააწყეს. მაგრამ ამ ლაშქრის შემხედველთა ესრეთ ეგონათ, ოკიანეს ზღვა ღელავსო, ამათ მარტორქის ყვირილსა და ცხენთა ხიხინის ხმას ქვეყანა მოეცვა და ყურთა აღარა ისმოდა რა. სინდნი და მათნი ფალავანნი ისეთის ამაყის ქცევით შემოებნენ, რომ მნახენი დიდად გაოცდნენ.

უშანგ-შაჰმა რომ იმათი ქცევა და ამპარტავნობა: ნახა, ღმერთს დიდად მადლობა მოახსენა და თვისი ბედნიერი ტახტის გარშემო შარიბ-შაჰას შვილი არღევან-შაჰ, ქეივან-შაჰას შვილი თაჯიბახტი, სარქარამ-შაჰის შვილი ფირუზ, სეილან-შაჰის შვილი მუზამფაზი, რაღა გრძლად მოგახსენოთ, ათას ორასი ხელმწიფის შვილი შემოიყარა და სხვა ფალავანნი ჰეითან ჯანგი ჯუში თვის ლალა ყაჰყაი ფილურსავეარ, თეირდაშტი, შაფურ ჰინდი, ფირუზ ისპაჰანი, ისპანდიერ ეჯახელი, თემურ სამარყანდელი, შიმარდან-ხორასანელი, ფალანგიშვან — ეს ყოველნი თავისთან მოასხა; რიცხვით შვიდი ათასნი მეომარნი იყვნენ ასეთნი, რომელნი რკინას კევივით დაღეჭდიან. ყოველნი საომრისა იარაღითა შეიჭურვნენ, ათას ორასნი შაჰზადნი, შვიდი ათასნი გულოვანნი, შვიდი ათასნი სარდალნი თვისის დასტებით დარაზმდნენ. უშანგ-შაჰმა და ყოველთა მალლისა ხმით შემოსძახეს და შეუტივეს. დაერივნენ ერთმანერთში. უშანგის დასტები იმათში ისე დაიკარგნენ, რომ ვითა ზღვაში ერთი მცირე რამ ჩაეგდოთ. მაგრამ ხოსროვშირ რომელსაც მხარეს შეუტევდა, როგორც შავარდენი მტრედის გუნდსა, ეგრე გაექცეოდნენ სინდელნი.

რა ნახეს, რომ ერანთა და თურანთა ლაშქრისგან შვიდი ათასი მოწონებული სარდალნი და ფალავანნი თავიანთ ლაშქარში დაე-

რივნენ, იმისთანა ზღვასავით მდგომს ლაშქარში ჩამოცვივდნენ, როგორც ზღვა ნიავემა ანჩქაროს, ესენი მათ ლაშქართა ისე არღვევდნენ. ამ ჯარს წინ ხოსროვშირ მოუძლოდა, ხელთ ერთი ვეშპის მსგავსი მძიმე ლახტი ეჭირა, რომ ვისაც ფალავანს დაჰკრავდა, მიწასთან გაასწორებდა. მას უკან უშანგ-შაჰ ბასარ-ხმალ-ხელმოწვდილი მოსდევდა, რომელსაც სცემდა, ცხენსა და კაცსა შუა გაჰკვეთდა. წინ რამდენიმე აიარნი მოუძლოდნენ, ხელთა ბასრი ნაჯახები ეპყრათ.

რა სინდთ დიდებულთა და ფალავანთა ესე იხილეს, თქვეს: ამათგან ესეთი საქმე ჩვენი ნაკლები სახელი არისო. განრისხდნენ და ალყა შემოავლეს. შეიქმნა ბრძოლა ისეთი, რომ მათის საომრის იარაღების ჯახიჯუხის ხმასა და ცხენის ხივილისაგან ყურთა ხმა აღარ ისმოდა. მრავალნი დიდებულნი და ფალავანნი ორსავე მხარეს დაიხოცნენ. მას დღეს ერთი ისეთი ომი გარდიხადეს, რომე თვალთა არავის არ ენახა. დილიდამ მოკიდებული ვიდრე მზის ჩასვლამდისინ უშანგის ლაშქარმა და სინდელთ ფალავნებმა ფიცხლად იომეს.

გულჩინ იმ დღეს ჰინდოურად იყო მორთული. ერთს მწვანეს მარტორქაზედ შემეჯდარიყო. მარტო თითონ თვის ამხანაგებს, ხელმწიფის შვილებს გამოჰარვოდა და უშანგის ლაშქარში დაიარებოდა. რომელ ფალავანსაც შემოხვდებოდა, განრისხებული ერთის გურზის დაკვრით მსწრაფლ ცხენიდან გარდმოაგდებდა. რა ამას ცხენიდან ჩამოვარდნილს ნახავდა, ახლა სხვას შეუტევდა. ამყამად სხვას მხარეს შეუტევა. ნახა, რომ ერთი ფალავანი ჯარს ხოცვით მოსდევს. შეატყო, რომ იგი შავს ცხენზედ მჯდომი ყრმა ფალავანი ის არის, რომელ წინა დღეს მასთან მცირედ გამოჩენილიყო. მისსა სიმამაცეს და ფალავნობას ქება შეასხა და სინდელთა შეხედდა. ნახა, რომ სინდელთ ფალავანთა დასტანი ერთმანერთში ირევიან და მირბიან. გულჩინმა თვის საჯდომი მარტორქა დააყენა, განრისხებულმა რომელსამე სინდელს უბრძანა: ნახეთ, ეს დასტები ვისგან გარბიან ასე უნამუსოდაო და ან ვინ არიანო? მაშინვე წადგნენ. ნახეს ერთი შავ ცხენზედ მჯდომი ფალავანი, პირს საბურველი აფარია, ხელთა მძიმე გურზი უჭირავს. ამა ფალავანთ და ლაშქართა ხოცვით მოსდევს. მოვიდნენ და ესრეთ მოახსენეს და იგიცა, საცა გულჩინ იდგა, მას მიუახლოვდა.

რა გულჩინმა კვალად შეხედა, მართლად გაშინჯა, თქვა: ეს ის ფილავანია, მე რომ მომერიანო. მაშინვე გულჩინ ხოსროვშირს წინ გადაუდგა და დაუძახა: ფალავანო, ხოცვისაგან ხელი შეინახეო, თვარემ გაგათავებო! ესე სიტყვა თქვა და თავსა გურზი შეუმაღლა. რა ხოსროვშირმა მისი ხელით მოქნეული გურზი ნახა, თავისი ლახტი შეუფარა და ამით გადაურჩა. ორიც სხვა ძალიანი ლახტი ჰსცა, მაგრამ ვერა ავნო რა. არა მცირედი ძალა ნახა, ასე, რომ ხოსროვშირს იმისი ძალი დიდად მოეწონა. რა გულჩინმა ნახა, რომ იმისთანა გამომეტებულის სამის ლახტით ვერა ავნო რა, მაშინ რაც სიყვარული ჰქონდა, ერთიათასად მოემატა. ახლა რიგი ხოსროვშირს ერგო. რა თავისი მძიმე ლახტი მოუქნივა, გულჩინმა ლახტი იფარა და ისრე გადაურჩა და ორიც სხვა ჰსცა. ამ ლახტის ცემასა ასი ათასის ჭირითა და ვაებითა მეტის სიფიცხით გარდაურჩა. რა ესენი ამა ფიცხელს ომსა შინა იყვნენ, სინდელთა ფალავნებმა ესე უშანგის ლაშქარი დაატრიალეს და ბაირაღებით მოასხეს.

ნახეს, რომ ერთის მხრიდამ ასეთი მტვერი გამოჩნდა, რომ ჰაერი და მზის ბრწყინვალეობა სრულად დააბნელა. რა იგი მტვერი უკუიყარა, ნახეს, რომ სეილან-შაჰ ასი ათასის უგაზელის ლაშქრით ჰინდოეთის მხრიდამ გამოჩნდა. რა სეილან-შაჰამ უშანგის ლაშქარი გაბრუნებული ნახა, თავის ფალავნებსა და ჯარს უთხრა: უგაზელნო ლომებო, ხომ იცით, უშანგ-შაჰისთანა მოწყალე და ღვთის მოყვარული ხელმწიფე არა გყავსთ, დღეს ის დღე არის, რომ უშანგისათვის თავი გარდავდეთო. მაშინვე დაეკაზმნენ ესენი და სინდელთა ლაშქართა დაერივნენ. ისევ დაიბრუნეს და ქეთან-შაჰასთან მიიყვანეს, ქეთან-შაჰამ რა თავისი ჯარი დამარცხებული ნახა, სარჯანი ჰინდს უთხრა მიშველება თვისი ჯარისა და იქიდანაც შემოვუტივეს. ასეთი ომი მოხდა, რომ იმისთანა ომი ჯერ არავის ენახა. მრავალი ფალავანი მოკვდა. უშანგის ლაშქარი დააბრუნეს და საშუალ მოედნამდისინ მიიყვანეს.

რა ცოტა ხანი გამოხდა, ნახეს, რომ აღმოსავლეთის მხრიდამ საშინელი მტვერი გამოჩნდა. რა მტვერი გადაიყარა, დაინახეს, რომ ხორასნის ხელმწიფე იყო თაჯისა და ტახტის მქონებელი. ასი ათასის ფალავნით და ხორასნის ლაშქრით მოვიდა. როცა რომ უშანგ-შაჰის ლაშქარი დატრიალებული ნახა, მაშინვე ცალის მხრიდამ ლაშქარში დაერივნენ. უშანგმა რა ესენი ნახა, თვითონაც დაბრუნდნენ, თორმეტი ფალავანი მოკლა და რამდენიმე ფალავანი დაკოლა.

უშანგ-შაჰმა. სინდელთ დროშებამდის ხოცვით მიჰყვა. მაგრამ სარჯანი-ჰინდის დასტა საცა განწესებული იყო, იქავ იღვა და არ გაიქცა. ამ დღეს ერანის სარდლებმა დიდი ომი გარდიხადეს. ქეთან-შაჰმა რა თავისი დასტები დამარცხებული ნახა, ყარუნ ჰინდს უბრძანა: ოცდაათი ათასი მეომრის სპილოთი და ათი ათასის კაცით ჩვენს ჯარს მოეხმარენითო. ყარუნმა იმა სპილოთი და ჯარით ერანელთა შემოუტრია. უშანგ-შაჰის ცხენები მათის სპილოებისაგან დაუფრთხნენ, სპილოების სანგარს ახლო არ მივიდნენ. ახლა ამათ დაატრიალეს, უშანგ-შაჰის დროშებთან მიიყვანეს და იმ დროშებთან ასეთი ომი გარდაიხადეს, რომ იმისთანა ომი არავის ენახა. სინდელებმა მოინდომეს სპილოების ძალით უშანგის ტახტი და დროშები დაემტვრიათ, მაგრამ ვერ მოუხდათ.

მაშინვე ნახეს, ინდოეთისაკენ ერთი მტვერი გამოჩნდა. რა მტვერი უქუიყარა, შვიდი ხელმწიფე გამოჩნდა, შვიდი დროშა შვიდასი ათასის ლაშქრით: ერთი ურმუზ-შაჰი იყო დასავლეთის ქვეყნისა ასი ათასის სისტანელის კაცით; ერთი სარბა-შაჰი იყო ასი ათასის კაცით; ერთი არაყის ხელმწიფე ასი ათასის ლაშქრითა; ერთი არდაშირ ასი ათასის ლაშქრითა; ერთი უღვიზ-შაჰ ასი ათასის კაცითა; ერთი მაჰმუდ-შაჰ ასი ათასის კაცითა. ეს შვიდი ხელმწიფე თავის ლაშქრითა საზამთროდ დაფანტული იყვნენ. უშანგის კაცი მისელოდა და იმის მისამველებლად მოვიდნენ. ნახეს, უშანგის ლაშქარი მტრისაგან დაჩაგრული იყო. დიდის ხმითა სახელი ღვთისა და უშანგისა ახსენეს, ასეთი კიჟინა დასცეს, ქვეყანა შეიძრა. სინდელთა შეუტრევს, ოცდაათი ათასი სპილო გააფრთხეს და უკან გააქციეს, სპილოს ფეხქვეშ მრავალი სინდი ამოწყვიტეს, სინდელნი გააქცივეს, ქეთან-შაჰასთან მიიყვანეს. იმის წინ დიდი ომი შეიქმნა, მაგრამ ერანის ლაშქრის ცხენები სპილოებზედ ფრთხებოდნენ, არ მიუდგნენ. რაღა გრძლად მოგახსენოთ: იმ დღეს უშანგ-შაჰის ლაშქარმა და ქეთან-შაჰის ლაშქარმა საღამომდინ შვიდჯერ ხან ამათ ხან იმათ ერთმანერთი გააქცივეს.

რა საღამო უამი შეიქმნა, შარიბ-შაჰმა გასაყარსა ნაღარასა ჰკრა. ორთავ ლაშქართა რა გაიგონეს, მაშინვე გაეყარნენ, თავ-თავისად წარვიდნენ, უშანგ თავის კარავში ჩამოხტა. მოეგებნენ დიდებულნი, უშანგ-შაჰ დიდებით შეიყვანეს, ტახტზედ დასვეს. უშანგ-შაჰ ყველას მიემშვიდობა და მაშინვე საომარი ტანისამოსი გიხხადა და სახელმწიფო ტანისამოსი შეიმოსა და ტახტზედ დაბრძანდა.

აგრეთვე ყოველნი შვადი იყლიმის ხელმწიფენი თავ-თავის განწყე-  
სებულს ალაგს დასხდნენ. უშანგ-შაჰმა თავის ფალავნებს თვალი  
გადაავლო, ნახა, რომ თორმეტი სკამი ცარიელი იყო და ხოსროვ-  
შირიც არ მოსულიყო. ერთი ძალიან ამოიოხრა და ასიმ აიარს  
უბრძანა: წადი, საომარი ალაგი დაიარეო და ეგები ფალავნებო  
ვინმე ნახოო. ასიმ აიარი და სხვები მსწრაფლ გამობრუნდნენ და  
საომარ ალაგს მივიდხენ. ნახეს, რომ შვიდნი კი მკვდარნი იყვნენ  
და ხუთს ისევ სული ედგათ. აილეს ისინი და წამოილეს, მაგრამ  
ხოსროვშირისა ვერა გაიგეს რა. ასიმ აიარი ხელმწიფესთან შევიდა  
და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეო! ნაომარ ალაგს მივედით,  
თორმეტნი ფალავანნი ვპოვეთ. შვიდნი კი მკვდარნი იყვნენ და  
ხუთნი — ცოცხალნი. იმ ხუთთა თქვენი ნახვა ჰსურთო. რა უშანგ  
ესე მოისმინა, მადლისა ხმით ტირილი დაიწყო და იქ მსხდომთა  
დიდებულთა ყველამ ტირილი იწყეს. ბოლოს უშანგმა ბრძანა მათი-  
დიდებით დამარხვა და ხელმწიფე და ყველა დიდებულნი დაჭრი-  
ლებთან წავიდნენ, შემდგომ უკან დაბრუნდნენ და ხელმწიფე  
თვისა ბედნიერს ტახტსა დაბრძანდა.

რა უშანგ-შაჰმა მიიხედ-მოიხედა, ნახა, რომ ხოსროვშირი არსად  
სჩანდა, მობრუნდა და ასიმ აიარს უბრძანა: ასიმ, ღვთის გულისა-  
თვის ხოსროვშირისა შეიტყე რამეთ და ამბავი მომიტანეო. ასიჲ  
აიარი მსწრაფლ საღამურის ტანისამოსით შეიმოსა და სინდეთის  
ჯარისაყენ გაემართა. რა ქეთან-შაჰას კარავს მიახლოვდა, ნახა, რომ  
სინდელნი დიდებულნი ხელმწიფის კარავში შეკრებილიყვნენ და  
სხვანი ფალავანნი. ასიმ აიარი კარავში შევიდა და ხალხში გაერივა  
და დადგა. ნახა, რომ ყველა იქ მყოფნი დიდად მწუხარებობენ. ში-  
ქარგირ აიარს შეასწრო ასიმმა, ანიშნა და კარში გამოვიდა. ასიმმა  
ამბავი ჰკითხა, რა მიზეზია, რომ ეგრე მოწყენით არიანო? შიქარგირ  
უამბო, ესენი ამაზედ არიან მოწყენით, რომ სარჯანი ჰინდს ერთი  
ქალი ჰყავს, რომ მეომრად ფალავანი არავენ შეედრებაო. ის ქალი  
სარვიხურამანის ყოფაქცევისა არის, დღეს ის მოედნიდამ აღარ მო-  
სულა, ნაომარი ალაგი სულ დაჩხრიკეს და ვერსად იპოვეს. მაგრამ  
რამდენიმე სინდელმა თქვა: ჩვენ ის ომში ვნახეთო. ერთს შავს  
ცხენოსანს პირზედ საბურველი ეფარა. ისა და გულჩინი ომობ-  
დნენო. სინდნი რომ ნიშნებს ამბობენ, იმ ნიშნებით ხოსროვშირ  
არისო. ამის მეტი მე სხვა ამბავი არა ვიცი რა. ასიმმა უთხრა: მეში-  
ნიან, ხოსროვშირს არა აუტეხოს რაო. შიქარგირს უთხრა ასიმმა:



შიქარგირ, შენ წადი, ხელმწიფეს ამბავი აცნობე, რომ ყოველს მხარეს ჯარი გაგზავნოს და მონახონო და მეც სარანდობისაკენ წავალო. შიქარგირ ხელმწიფისაკენ გაგზავნა და ასიმ აიარი მთისაკენ წავიდა. შიქარგირ მსწრაფლ უშანგს მიმართა, იქაური ამბავი ყოველივე მოახსენა. ხელმწიფემ შვიდ მხარეს შვიდი ფალავანი გაგზავნა ათი ათასის კაცით ხოსროვშირის საძებნელად და თვითონ მთის ამბვის მაყურებელნი იყვნენ.

ხოსროვშირი იმ დღეს იმ ომში გულჩინს შემოჰყროდა და იმ ორს ლომს იმ დღეს ერთმანერთისთვის საღამომდის მედგრად ებრძოლათ და ლაშქარს განშორებოდნენ და ერთმანერთისთვის ხელი აღარ აეღოთ სარანდობის კალთაში, ხან ლახტითა, ხან შუბითა, ხლმითა და ისრითა მედგრად ებრძოლათ. რა საღამოს უამი შეიქმნა, ხოსროვშირმა შვიდეცი ქამანდი მოიღო და მკლავსა გარდაიყარა. ამჟამად ათას შვიდასი ფალავანი ქალი მოვიდნენ. რა გულჩინ ნახეს, რომ ერთს ფალავანს ებრძვის, ამათაც საფი გასწივეს. რა გულჩინმა ესე ქალეზი დაინახა, დიდად იამა და იმთაც ქება შეასხეს. ამჟამად ასიმ აიარიც მივიდა, ნახა, რომ მურასად მორთულნი საფ-გაწვეით დგანახ და ერთი ჰინდი და ხოსროვშირ იბრძვიან. ხოსროვშირმა ასიმის მისვლა ვერა გაიგო რა. ხოსროვშირმა გულჩინს ქამანდი შესტყორცნა და წელში ჩაუგდო. რა ამ ქალეზმა ესე დაინახეს, იარაღები მოიშხადეს და მზად დადგნენ. ხოსროვშირმა ქამანდს ძალიან მოზიდა და ერთი ძლიერ შემოსძახა, გულჩინ ცხენიდან გარდმოაგდო. გულჩინს სუმბულის მსგავსი კავ-ზილფები ნათელ სახეზედ ჩამოეშალა.

ხოსროვშირმა ახლოდ ნახა, რომ ერთი მზის მსგავსი, მთვარის უმჯობესი ქალი იყო. ხოსროვშირმა მაშინვე სცნა იგი და თქვა გულსა თვისსა: სარანდობის მთაში ნადირობაში რომ მოვეკრიეო, ესე იგი არიო. და უწინაც დიდი სიყვარული ჩავარდნოდა, ახლა უმეტესი მიჯნურობის ცეცხლი მოედვა. ქამანდი ხელიდან გააგდო და მწუხარედ გულჩინს დაუწყო ყურება. ასიმმა ნახა, რომ ხოსროვშირი შეშლილა და გარეტებული დგას და ველარ გაუგია რა. ასიმს ხელთა ბასრი ნაჯახი ეჭირა. მსწრაფლ მიუხლტა და ენება, რომ გარდმოვარდნილ ფალავანისთვის დაეკრა, მაგრამ რა ასიმმა დახედა, მასაც ეშხის ისარი გულში გაეყარა გულჩინისა. რა გულჩინის მხლებელთა ქალეზმა ნახეს გულჩინ გარდმოვარდნილი, მსწრაფლ მისცივდნენ, ააყენეს, ერთ სპილოზე შესვეს და თავის ლაშქარისა-

კენ წაიყვანეს. რა მცირე ხანი გამოიარეს, გულჩინმა თქვა: ეს როგორ მომივიდა, რომ მომერიოო? ესე სთქვა და წარმოიდგინა ხოსროშვირის თვალტანადობა და ერთი დიდად ამოიოხრა და ტირილი დაიწყო ხოსროშვირის სიყვარულითა. იმათ ასე ეგონათ, გულჩინს მორევნა ეთაკილებათ და იმისთივს სტირისო. ქალებმა მოახსენეს: თქვენ მაგაზედ ნუ სწუხართო, თქვენ უმეცრად იყავით და იმიტომ მოვერიათ, თორემ ის თქვენი ამხანაგი არ არისო და ვერც მოვერეოდათო. მერმე ბრძანა: ეს ფალავანი ვერ შეიტყუეთ, ვინ არისო? მათ მოახსენეს, ვერაო. რამდენიც სიტყვა უთხარო, ხმა არ გამცა და ვერც პირი დაუნახეო, ესე თქვა და ლაშქარში მივიდნენ.

სარჯანი ჰინდს მოახსენეს, გულჩინ მოვიდაო. დიდად გამხიარულდნენ და რაც ხელმწიფის შვილნი იყვნენ, მიეგებნენ დიდის დიდებით.

გულჩინ ხელმწიფესთან შემოიყვანეს. ქეთან-შაჰას და თავის მამას სალაში მისცა, იმათაც მოიწვიეს. ქეთან-შაჰამ უთხრა: ჩემო თვალის სინათლეო, დღეს როგორ მოხდა, რომ ამა ლაშქრიდამ თქვენ ცალკე გარდასწყდითო?

გულჩინმა მოახსენა: დღეს ომში რამდენიმე ფალავანი მოვკალი, ზოგნი ჩამოვაგდეო და ზოგნი მომიჩინენ. ასე მგონია, რომ ტანი სულ დანაყული მაქვსო. თუ თქვენი ნებაც იქნება, დასტური მიბოძეთ, წავიდე, მოვისვენო. მათაც დასტური მისცეს. რა თავის კარავს მოვიდა, მეჯლისი გამართა. მესაყრავეთ საზანდართ რუბაბი უცხოხ ხმით დაუკრეს. რა ღვინით შეზარხოშდნენ, ამ ქალებმა ყველამ სხვა და სხვა რიგის ხოსროშვირის ქება დაიწყეს, მაგრამ გულჩინმა ხოსროშვირის ვითარება და ვინაობა ვერ შეიტყო. დიდად მოიწყინა, საითაც მიიხედვიდა, თვალწინ უდგა.

ხოსროშვირის ამოხსენეთ: ხოსროშვირს და ასიმს რა ქალები მოშორდნენ, ხოსროშვირმა მიმოიხედა, ასიმ დაინახა და დაუძახა, უთხრა: ასიმ, ქამანდით. ფალავანი რომ ჩამოვაგდე, შენ ნახეო და ან იცანი, ვინ არისო? ასიმმა თავის გუნებაში თქვა: ხოსროშვირ იმ ქალის ეშხს დაუბავს. თუ უთხრა, ვნახეო, ვაითუ გულში ექვი ჩაუვარდესო. მაშინ აიარობა იხმარა და ქება შეასხა, ხოსროშვირს მოახსენა: ხელმწიფის შვილო, არ ვნახეო, მაგრამ ერთი მურასად მორთული ფალავანი ინდოეთისაკენ წავიდაო, თქვენც იმას უყურებდითო. ამის მეტი არა ვიცი რაო. ხოსროშვირს მართალი ეგონა. ხოსროშვირმა ასიმს იმ დღეს გარდასავალი ყოველივე

უამბო და ერთი დიდად ამოიოხრა, ასე რომ ასიმისთანა აიარს გული მოუკლა. მაგრამ ასიმსაც ცეცხლი ედებოდა ქალისა. ესეც იცოდა ასიმმა, რომ ხოსროვშირ ერთს ალაგს ყოფილიყო, იმას არა ერგებოდა რა. მაგრამ ერთი ეშხის ისარი ასიმსაც გასწონებოდა გულში. ხოსროვშირმა ერთი ხანჯალი ამოიღო წელიდამ, რომ ერთი იყლიმის ხარაჯად ღირდა, ასიმს წინ დაუდგა და უთხრა: ასიმ, ჩემი ხელი და შენი კალთაო, ერთი წამალი დამადეო, რომ ის ბრწყინვალე ფალავანი ინდოეთის ჯარში ვინ არისო? ესე თქვა და ტირილი იწყო, მაგრამ ასიმი დააფიცა, რომ ეს ჩემი საიდუმლო არავისთან არ გამოაცხადო. ასიმმა მის ხანჯლისთვის დიდად დაუმაღლა. მერე თავიანთ ლაშქარში მივიდნენ.

უშანგს მოხსენდა ხოსროვშირის მოსვლა. მაშინვე უშანგმა უხმო და კართან მიეგება და ხოსროვშირს მოეხვია, გულზედ მიიკრა. იმანაც ხელმწიფეს ხელს აკოცა და მამასაც მიესალმა. მივიდნენ, თავ-თავის ალაგს დასხდნენ. ხელმწიფემ ხოსროვშირს ჰკითხა: სად იყავიო? მან მოახსენა, ჰეი, მაღალო ხელმწიფეო! დღეს ჯარიდამ გაველ, რამდენსამე სინდელს ფალავანს შემოვხვდიო, იმათ ვებრძოდი. რა დაღამდა, გამექცნენ. მეც ასიმს შემოვეყარე და მოვედიო. რა ეს მოახსენა, ხელმწიფემ ქება შეასხა, ასიმმაც იმას უმოწმა. მცირე ხანს შემდეგ კრება მოიშალა, ყოველნი თავ-თავის სადგომსა წავიდნენ. ხოსროვშირიც წამოდგა, თავის კარავში შევიდა და თავის ალაგსა დაბრძანდა. ველარ მოითმინა, ხმალი აიღო და კალთის ქვეშ დაიფარა, მოინდომა, რომ წასულიყო. თვისმა ლალამ თეიარდაშტიმ მოახსენა: მუჰლეღან ხელმწიფის თვალის სინათლეც, რა დაგმართებიო, რომ გონება აღარ დაგრჩაო, უდროოდ სად უნდა წახვიდეო. ხოსროვშირმა უთხრა: მამისა ჩემის კარავში მივალო და ისეც მალე მოვალო, თქვენ მცირეს ხანს მოისვენეთო. წავიდა. ასიმის კარავს შევიდა, ასიმიც ხელმწიფიდან მოსულიყო, მარჯვნივ და მარცხნივ ხანჯლები ჩაეწყო და უნდოდა ხოსროვშირს გაჰპარვოდა, სინდეთის ლაშქარში წასულიყო. მას დროს იხილეს, რომ ხოსროვშირ კარზედ მიაღდა. ასიმს შიშით ჰკუა თავიდან გაუფრინდა და მსწრაფლ ხოსროვშირს გამოეგება და ქება შეასხა და მოახსენა: ხელმწიფეო, როგორ მოხდა, რომ თქვენისთანა ბუმბერაზის ფეხმა ჩვენისთანა მიწა დალახაო? გაუძღვა წინ, თავის კარავში შეიყვანა. ხოსროვშირ დაბრძანდა, ასიმ თავსა დაადგა, ხოსროვშირ-

მა ასიმ თვისთან დასვა და ხოსროვშირ ამდენი ეხვეწა და ევედრა, რომ ერთი არ ითქმოდა.

ასიმმა მოახსენა: რაც გეჭირვება მონასა თქვენსა ზედან, ვხედნი და მუყანთი ხვეწნა რად გინდა, ჩემი სულიც რომ მთხოვო, არა მშურს თქვენთვის! ხოსროვშირმა უბრძანა: ჩემი ხვეწნა და ვედრება ეს არის, რომ სინდთა ლაშქართა წავიდეთ, სარანდბის მთაში ჩემი მეომარი ვინ იყო, იგი შევიტყოთ. ეს უთხრა და ტირილი დაიწყო. ასიმმა მოახსენა: ეს სალამური ტანისამოსი ამისთვის ჩამიცვამსო, რომ თქვენი სამსახური უნდა აღვასრულო. მუხლსა აყოცა და წავიდა. ხოსროვშირმა იმის კარავში ამბავის შესატყობლად მოუცადა. ასიმ ერანის ყარაულებს მიადგა და თვისი ჯარი გაიარა და სინდელთ ლაშქარში ფარულად შევიდა. რა სარჯანის კარავსა შევიდა, ნახა, რომ მისნი ქეშიკნი მღვიძარობდნენ. იქილამ გაბრუნდა და სხვა ბინაზედ მივიდა, ნახა, რომ ერთის მხრილამ საზანდარისა და საკრავის ხმა გამოდის უცხო, რომ იმისთანა ლხინი არავისგან ნახულა. მცირეს ხანს ყურება დაუწყო და თქვა: ხოსროვშირის მოწონებული ფალავანი, მგონია, რომ აქ იყოსო, მაგრამ როგორ შევიტყოთ? დაფიქრდა მცირე ხანს, ნახა, რომ რამდენიმე ფალავანი გამოვიდნენ, ცხენსა შესხდნენ და წავიდნენ. ახლოს მივიდა, ნახა, რომ ყველანი მურასის ტანისამოსით მოსილნი, მთვრალნი ლაპარაკით და შექცევით მოდიან. ერთმა უთხრა მეორეს: გულჩინს, ვეჭობ, ფალავნობის დავაზე ხელი აუღლიაო ამისათვის, რომ ის ფალავანი ორჯერ მოერიაო. მაგრამ, ვეჭვობ, გულჩინ იმ ფალავანს გააჩეხებია და გულოვნობით აღარ იმჩნევსო და არ ვიცი, ვინ არისო, და ან ვისი შვილი არისო? მეორემ უთხრა თუ, იმა ფალავანსა ფალავნობისა და ტანადობის მსგავსი თვალადობაცა აქვს კარგი, გულჩინის შესაფერიაო, რა იქნება, რომ მტრის ლაშქარში არ იყოსო?!

ასიმმა რა ეს სიტყვა გაიგონა, ერთი ამოიოხრა და თქვა: ხოსროვშირის მოწონებული სწორედ სარჯანის ქალი გულჩინ არისო, რომელიც ხოსროვშირს გააჩეხებიაო. ჯერ იმის პირი არ უნახავსო, ესე შეშლილად და პირისახე რომ უნახოს, მაშინ ჩემი საქმე როგორ იქნებაო? ქვეყანა იმის პირის სილამაზისათვის შეშლილნი არიანო და ჩემი პირისახე ყაფის მთის დევებმა რომ ნახონ, იმათაც გული აერევათო. ესე თქვა და გათენებამაც მოატანა. უკუ მიიქცა: ისევ თვის ლაშქარში მოვიდა, ნახა, რომ ხოსროვშირ ისევ თავის

კარავში უცდის. ასიმ შევიდა, თაყვანი სცა. ნაჯახი ხელიდამ გაავლო, მოახსენა: რა აქედამ წაველ, სინდის ჯარი სულ დავიარე, არც ერთი კარავი არ გაუშვი, მაგრამ თქვენი ნათქვამი ფალაენისა ვერა გავიგე რა. მე ასე მგონია, ის ჯარში არ იყოს. ვინ იცის, სინდის-ტანში რომლის ხელმწიფის შვილიაო ან სადაურიაო? თქვენ რომ ნადირობაში შემოგყრიათ, ახლაც გაჯავრებული მოსულა, ნდომია, რომ თქვენი ჯავრი ამოიყაროს, ახლაც რომ ისევე თქვენ მოერივე-ნით, ისევე წასულაო თავის ქვეყანაში. ასიმმა ამდენი ტყუილები უთხრა, რომ არც ერთი ერთმანეთს არ გვანდა.

ხოსროვშირმა ნახა, რომ სიტყვას ურევდა. ასიმმა ხოსროვშირ ექვეში ჩააგდო, მაგრამ აღარ შეიმჩნია, ადგა და თავის კარავში წამობრძანდა. თვისმა ლალამ შემოხედა, რომ ხოსროვშირ დიას შეწუხებული არის და თვითონაც შეწუხდა. მოახსენა, რადა ხარ დალონებული, უშანგის სიცოცხლეო? ხოსროვშირმა უთხრა: ყარამანის ნახვა მომინდაო და იმაზედ შეწუხებული ვარო. რა ხანმა განვლო, უშანგის ნაღარასა ჰკრეს. მაშინვე ხოსროვშირმა ბრძანა: საომარი იარაღი მოიტანეთო. სამოცდაოთხის იარაღითა შეიჭურვა, თავის შავსა ცხენს ჯაჭვი ჩააცვა და საომრად შეიკაზმა. შეჯდა და უშანგის კარზედ წამობრძანდა. იმ დღეს ხოსროვშირ ასეთს ომს მოემზადა, რომ იმ უწინდელს ფალაენებსაც არ ენახათ, იმათაც შეზარდებოდათ. ვინც იმ დღეს ხოსროვშირ ნახეს, დიდად გაკვირდნენ. ორსავე მხარეზე დასტები დააწყვეს, ზღვასავით დეღვა დაიწყო. ლაშქარმა აქეთ და იქით. საომარსა ნაღარასა ჰკრეს. უშანგის საჯდომი ტახტი ორმოც სპილოზედ გაამაგრეს, შვიდკეცი ქოლგა დაადგეს. რამდენიმე ხელმწიფენი მაზედან ტახტზედა დაბრძანდნენ. ხოსროვშირ ორმოცი ათასი მოწონებული ფალაენანი გამოარჩივა, მათ წინ საფი გასწივეს და დადგნენ. ხოსროვშირი ყარამანის ალაგს დადგა, ორი ათას ექვსასი დასტა გააკეთეს, მემარჯვენენი და მემარცხენენი წესით დადგნენ.

იქიდან ქეთან-შაჰას ასორმოცჯერ ათასი ლაშქარი წამზადა, ჩაუშებმაც დააწყეს ათას ორას დასტად, ასორმოცი ათასი სპილოც საომრად მოამზადეს, ჯარის წინ დააყენეს, სანგარი შეჰკრეს. მეიდანზედ ასეთის ყოფით გამოვიდნენ, რომ იმათ მტვერს ჰაერი შეეკრა. რა ქარმან შემობერა, მტვერი გარდიყარა და ორთავ ლაშქაროა ერთმანერთი დაინახეს. ამას ამბობდნენ, ის რომელი ფალაენი იქნება, რომ მოედანზედ სიმხნე იხმაროსო. ამ განზრახვაში რომ

იყვნენ, ნახეს, რომ ამ ორსაც ლაშქრის შუა ერთი მარტორქაზედ მჯდომი ფალავანი გამოვიდა. თავით ფეხამდისინ სულ მურასად შემკული იყო და ამისი მარტორქა ასე ჩქარა მოვიდოდა, რომ ვითომც ფრთები ასხია და ისე მოფრინავსო. ხელთა ერთი შუბი ეჭირა. მანამდისინ შუა მოედანზედ მოვიდოდა, სამოცდაოთხ რიგად იარაღი იხმარა და ათამაშა, რომ ყარამანისა და ხოსროვშირას გარდა არავისი ენახათ. ორნივე ლაშქარნი იმის ფალავნობას ჰკვირობდნენ, ორსავე მხარეს ქება შეასხეს.

მერე უშანგის ლაშქრისკენ მობრუნდა და ფალავანი გამოითხოვა. უშანგის ლაშქრიდამ ჰამიდბარ მოედანზედ გამოვიდა და უთხრა: ჰეი, შენ ვინა ხარო, რომ მოედანზედა ესე გვარსა საქმეს ჩადიო? შუბი მიუტანა, იმა ფალავანმა არად ჩააგდო. რა შუბი ახლოს მიუტანა, მარტორქის გავსა გადაწვა, აიცილინა. ჰამიდბარმა თავი ცხენს ველარ შეუნახა და რა მიახლოვდა, ჰამიდბარს სარტყელსა ხელი ჩაუგდო, აზიდა ცხენიდამ, შავის მთასავით აიყვანა ხელით და ქვეყანას დასცა ეს ფალავანი. სინდის ლაშქარსა ანიშნა, რამდენიმე ფალავანი მოვიდნენ და მაგრა შეკრეს და წაიყვანეს. იმ ფალავანმა კიდევ ფალავანი გამოითხოვა. აქედან ჰილან სამარყანდელი ფოლადითა შეიჭურვა და გამოვიდა, ლახტი ეჭირა, იმ ფალავანს ლახტი შეუმალლა, იმანაც შეიღკეცი ფოლადის ფარი იფარა, ვერა აენო რა ცხენს, თავი ველარ შეუნახა და გაიტაცა, უკანიდამ ელვასავით წამოეწივა, შესძახა და ხელთ რომ ლახტი ეჭირა, მოუქნივა. იმანაც ფარი უფარა, ლახტი ფარს მოხვდა და ფიცხლავ ამან თავი მოარიდა, ლახტი მხარს მოხვდა, გულს შემოეყარა და ჩამოვარდა. მოვიდნენ და ესეც წაიყვანეს.

კიდევ ფალავანი გამოითხოვა, ფარულ-შაჰის შვილი შეიჭურვა და გავიდა. ხელთა შუბი მიიცა და ტრიალით შეუტია. ასეთი ხმით შესძახა, რომ საზაროდ კმა იყო. რა შუბი ახლოს მიუტანა, იმან ფარი იფარა. ფარულ-შაჰას შვილმა ეს ფარი ასე გაფრინა, როგორც ატლასი ნემსმა. ამა ფალავანმა ფარი ხელთაგან გააგდო, თვითონ მარტორქაზედ გადაწვა, გავაზედ მოექცა და მორჩა. ორსაც მხარის ლაშქარმა ქება დიდი შეასხეს. აწ რიგი მას ფალავანს ერგო, ფარულ-შაჰას შვილს საყელოში ხელი წაუგდო, აზიდა ცხენიდამ, აგლიჯა, ძირს დასცა და ფეხზედ დადგა. იგი ფალავანიც მარტორქიდამ ჩამოხტა და ესე ორნი ფალავანნი მთვრალი სპილოებივით ერთმანერთს ებრძოლებოდნენ. ფარულ-შაჰამ რამდენიც მოინდომა

რომ ეჯობნა, ვერა გააწყო რა; შემდეგ ხანჯალს ხელი გაიკრა და მოუქნია, მარამ იმა ფალავანმა ცალის ხელით ხანჯლიანი მაჯა დაუჭირა და ცალის ხელით აზიდა, ქვეყანასა დასცა ხელები, მაგრად შეუკრა და ესეც იმ ფალავანებმა წაიყვანეს. კიდევ ის ფალავანი მარტორქაზედ შეჯდა და სხვა ფალავანი გამოითხოვა, მაშინ უშანგ დიდად შეწუხდა ფარულ-შაპას დაჭერისათვის, ასე რომ მეხსავით ქექა შექმნა. იმის ხმაზედ დასტები სულ ერთმანეთს ეძგვრნენ.

მაშინვე ქეივან-შაპა შეიჭურვა, ერთი მარტორქაზედ შეჯდა, ხელთა მძიმე ლახტი იპყრა და მეიდანზედ გამოვიდა. ქეივან-შაპას თავი დაუკრეს. ათას შეიდასნი ფალავანნი და ხელმწიფენი საომარ მოედანზედ მოპყენენ, ქეივან-შაპამა მადლობა მოახსენა მათ და გამობრუნდნენ, ქეივან-შაპამა იმ ფალავანს შესძახა: შე უნამუსო! მეიდანის ცარიელი გინახავსო! მოივლო ხმალს ხელი, ის ფალავანი თურმე სარჯანის ქალი გულჩინ იყო. იმას ხოსროვშირთან ომი უნდოდა, იმანაც ხმალსა ხელი მოივლო, მოქნეულს ხმალსა უფარა, ხმალი ხმალსა მოხვდა, ორსავ მხრიდამ ასეთი ცეცხლი გამოხდა, რომ ორნივე შიგ დაიფარნენ, ქეივან-შაპამ ნახა, რომ ხმლით ვერა ავნო რა, ხმალი თავის ქარქაში ჩაავო, ლახტსა ხელი მიპყო და მოუქნია. გულჩინმა ლახტი იფარა. ორნივე ლახტი ერთმანერთს მოხვდა, მაგრამ ამა ლახტისაგან არა ევნოთ რა. გულჩინს მეტად ძალა დაადგა. ქეივან-შაპამ ახლა შუბით შემოუტივა, მან ფარი იფარა, დაიციდინა. რაც იარაღები ქონდათ, ყოველივე იხმარეს, მაგრამ ერთმანერთს ვერა ავნეს რა. ქეივან-შაპა დაიღალა. რა გულჩინმა შეატყო, რომ ქეივან-შაპა დაიღალა, ერთი მძიმე ლახტი მოუქნია. იმან ფარი იფარა. ქეივან-შაპას მკლავებმა ველარ გაუძლო, ლახტმა ფარი გახეთქა. ქეივან-შაპა თავში მძიმედ დაიკოდა, პირსა სისხლი ჩამოედინა, მარტორქის კისერზედ მოეხვია და დაბნდა.

უშანგმა რა ესე იხილა, საყულო გარდაიხია და ტირილი დაიწყო. უშანგ ასეთი ფალავანი იყო, რომ მისსა ფალავნობას და ომსა ვერავინ იკადრებდა. რა გულჩინმა ნახა, რომ ქეივან-შაპა მარტორქის კისერზედ მოხვევოდა, უნდოდა, რომ ერთი კიდევ დაეკრა და მოეკლა.

იმყამად ხოსროვშირმა ერთი ისეთი დაიყვირა, რომ ცა და ქვეყანამ კანკალი დაიწყო, დასტები აირივა. გულჩინ, იმ ხმის გამგონე, ქვეიდამ შეიშალა, ველარა გაიგო რა და ქეივან-შაპა დაავიწყდა. შეხედა, ნახა, რომ ერთი მშვენიერი ფალავანი განრისხებული გა-

მოვიდა მოედანზედ, პირსა საბურველი ეფარა და ერთსა შავსა ცხენსა ზის, რომ მკვრეტელთათვის მოსაწონარია, ხელთა ერთი ვეშაპის თავის მსგავსი ლახტი უჭირავს. გულჩინმა შეატყო და თქვა: ეს ის ფალავანი არის, რომელიც მე მინდოდაო. ერთი დიდად ამოიოხრა და თვის თავსა უთხრა: მოემზადეო, თუ ამის ძალას გადაურჩი, დიდი ჰუნარი არისო, — და დადგა. ხოსროვშირმა განრისხებულმა მაშინვე ლახტი მოუქნივა. აქეთის მხრიდამ შვიდასმა ქალმა ეს რომ დაინახეს და იცნეს, მოვიდნენ და მზად დადგნენ — გულჩინს რომ ჩამოაგდებს, ეგების უშველოთო. გულჩინმა შვიდკეცი ფოლადის ფარი იფარა, ლახტმა ფარი დალეწა, გულჩინ მარტორქის გავასა გარდაწვა, ლახტი მარტორქის თავსა მოხვდა და პირს საბურველი მოეშალა, ასე ეგონათ, რომ მზე ღრუბლიდამ გამოვიდაო. რა ხოსროვშირმა შეხედა, იცნა, ერთი დიდი ამოიოხრა და თქვა: ეს სარანდიბის მთაზე რომ ვნახე, ის არისო. ვიდრე მობრუნდებოდა, იმ შვიდასმა ქალმა ერთი სხვა მარტორქა მოჰგვარეს, მსწრაფლ შესვეს.

სარჯანმა რა თავისი ქალი გულჩინ ჩამოვარდნილი დაინახა, ერთი ამოიოხრა და ხუთასი ათასი ჯეხვიერის ლაშქრით შემოუტივეს ხოსროვშირს. აქედგან უშანგ-შაჰმა ოთხასი ათასი კაცი სარჯანის შესატევლად გაისტუმრა — ხოსროვშირს მოეხმარენითო. ეს ცხრაასი ათასი კაცი მოედანზედ ერთმანერთსა დაერივნენ, შეიქმნა ომი. უშანგის ჯარმა დაატრიალა ქეთან-შაჰას ლაშქარი და დროშებამდის მიჰყვნენ. მრავალი დაიხოცა. ასეთი სისხლის ღვრა შეიქმნა, რომ მრავალი კაცი მოჰქონდა. მერმე ქეთან-შაჰამ ორმოცი ათასი კაცი მოაშველა. უშანგის ჯარი დაიბრუნეს. რა უშანგმა ესე იხილა, ტახტიდამ ძირს ჩამობრძანდა, ტახტი შარიბ-შაჰას მიაბარა, თვითონ ფოლადითა შეიჭურვა, შვიდასი ათასი ფალავანი და სარდალნი შემოიყარა და შემოუტივა. თვალი აღარ აახილვინეს მტერს, ისეე დაატრიალეს, ქეთან-შაჰასა წინ მიიყვანეს. იმ დღეს ამდენი სინდნი ამოწყვიტეს, რომ რიცხვი არ შედგებოდა. ქეთან-შაჰამ რომ თვის ჯარი დამარცხებული იხილა, ერთი ასეთი შეჰყვირა, რომ სინდნი შიშით დააწყალა. მაშინვე შეტევა ბძანა. ლაშქარმა სულ ერთად შეუტივეს, ორმოცმა ათასმა ლაშქარმა. ამ ორმა ზღვის ოდენმა ლაშქარმა ერთმანეთში ღელვა დაიწყეს. ერთი ისეთი ომი შეიქმნა იმ დღეს, რომ დასაბამიდამ იმ დღემდისინ არავის არ ენახა. სინდეთის ლაშქარმა უშანგის ლაშქარი დაამარცხა და უშანგის დროშებ-



თან მიიყვანეს. ხოსროვშირ და ყაჰყაი ფილურსავეარ დაბრუნდნენ. გულჩინ კიდე შემოხვდა შვიდასის ფალავანი ქალითა და ორმოცი ათასის ლაშქრით. გულჩინმა შემოუტივა ხოსროვშარს და გზა შეუკრა. ყაჰყაი ფილურსავეარმა უთხრა, ჩვენი საქმე როგორ იქნებაო? ხოსროვშირმა უთხრა: შენ მოჰყევით, ესენი მე ვერ მიცნობენო, მე ამათ თავს ვაცნობებო. გულჩინმა ხოსროვშირს ლახტი მოუქნია. ხოსროვშირმა ლახტს აატანინა. ახლა ხოსროვშირმა სცა ლახტს, გულჩინმა ველარ გაუძლო. ორმოცმა ათასმა ფალავანმა თქვეს: წავიდეთ, იმას ნუ გაუშვებთო, თვარემ ქვეყანას გააოხრებსო. ორმოცმა ათასმა სარდალმა და შვიდასმა ქალმა შეიგდეს შუაზედ ხოსროვშირ. ზოგი ხმალსა სცემდა, ზოგი შუბსა და ზოგი სხვა იარაღს, მაგრამ ღვთის მადლითა ვერა ევნო რა, ნარა გასწივეს და კიდე შემოუტივეს. გულჩინმა რომ ეს დაინახა, შეშინდა, არამც ხოსროვშირს აუტეხონ რამეო.

რა ხოსროვშირმა ამათგან შეტევა იხილა, შვიდთაჲიან ვემაპივით შეუშინებლივ ერთს წამზედ დაფანტა. ხოსროვშირ ასე დაქროდა ამოდენა ლაშქარში, ვითა ლომი კანჯრის ჯოგში: თვითოს ლახტის დაკვრითა ცხენსა და კაცსა ძირს დასცემდა, რომელსა ხმალსა სცემდა, ცხენსა და კაცსა შუა გაჰკვეთდა, რომელსა აიყვანდა, ერთს მეორეს შემოსტყორცნიდა, ორნივე უსულო იქმნებოდა.

რა გულჩინმა შემოხვდა ხოსროვშირის ესეთსა ბრძოლას, გულჩინ დიდად გაოცებული იდგა, თითი პირზედ ედვა და ისე იყურებოდა, მცირე უკლდა, რომ უშანგის ლაშქარი არ დამარცხდა.

## აჲა ოთხის სულთანის მოსვლა უშანგის შესაწავნელად

იხილეს, რომ ერთის მხრიდამ ძლიერი მტვერი ადგა, ასე რომ ცა და ქვეყანა სულ აღარა ჩანდა. რა მტვერი გადიყარა, ნახეს, რომ ოთხი ალაში გამოჩნდა, ოთხასის ათასის მეომარი ლაშქრით მოვიდოდნენ. ერთი ერაყის სულთანი ყეისარ-შაჰ იყო, ერთი არაბისტანის სულთანი სალსა-შაჰ იყო, ერთი — ბახტიერის სულთანი ყათას-შაჰა, ერთიც ზანგისტანის სულთანი. რა რომ ამ ოთხმა სულთნებმა უშანგ-შაჰის ლაშქარი დამარცხებული იხილეს, მშვილდებს ხელი დაივლეს და სინდელთ შეუტივეს. სინდელნი უკუ მიაქციეს. ხოს-

როვშირ სადაც ომობდა, იქვე მოიყვანეს. რა სადამოს უამი შეიქმნა, ორსავე მხარესა გასაყარსა ნაღარასა ჰკრეს. ხოსროვშირმაც ომზედ ხელი აიღო, ყაჰყაი ფილურსავარიც თან იახლა და წამოვიდნენ. უშანგ-შაჰაც წამობრძანდა, მოედნის თავს დადგა და სარდლები მოიკითხა. მცირე ხანს შემდეგ ის ოთხნი სულთანნი მოვიდნენ. რა ხელმწიფე დაინახეს, დიდად გამხიარულდნენ, ცხენთაგან ჩამობდნენ და მდაბლად სალამი მოახსენეს. ხელმწიფემან მათაც მადლობა მოახსენა. შემდგომ ცხენსა შესხდნენ და წავიდნენ, მაგრამ უშანგი ხოსროვშირისთვის დიდად სწუხდა.

ნახეს, რომ ხოსროვშირიც მოვიდა წითლად სისხლში შეღებილი, უკან ყაჰყაი ფილურსავარ მოსდევდა. რა მოვიდა, ცხენსა ჩამოხდა და ხელმწიფეს მუხლსა აკოცა, მერმე იმ ოთხ სულთანთა მიესალმა. შემდეგ ხელმწიფემ ხოსროვშირ გულსა მიიკრა, ორსავე თვალეში აკოცა და მრავალ გზით დაარიგა. მერე დროშებთან მივიდნენ. შარიბ-შაჰა მიეგება. რა ძმა და შვილი უვნებლად ნახა, ღმერთს მადლობა მისცა და თავსა მარგალიტი გადააყარა. ხელმწიფე მიბრძანდა თავის კარავში და ტახტსა დაბრძანდა. შემდგომ ყოველნი თავ-თავის კარავს წავიდნენ, საომარი ტანისამოსი გაიხადეს და სალხინო ჩაიცვეს, ხელმწიფის კარავსა შეიყარნენ და ნადიმი დაიდვეს. შემდგომ სუფრა მოიღეს, მოვიდნენ მერიქიფენი უცხონი იაგუნდის თასებით, ფალავანთა ღვინის სმა დაიწყეს. რა რომ ღვინით ზარხოში შეიქმნენ, ყველანი თავ-თავის კარავსა წავიდნენ. ხოსროვშირ თვისი მამა თვის კარავში მიიყვანა, თვითონაც გვერდით მოუჯდა, ასიმმა ნახა, რომ ხოსროვშირ თავის მამას გაჰყვა, თავსა თვისსა უთხრა: დრო ახლა გაქვსო, ამაღამ თვის მამას არ გაუშვებს, დრო მაქვსო, რომ ქალისკენ წავიდე, ეგების ვეჩვენო და ანუ ვნახო. მაგრამ მე ხომ ვიცი, ხოსროვშირ გულჩინის ტრფიალიო და გულჩინ ხოსროვშირისა არისო.

ესე თქვა და თავის ბინაზედ წავიდა. გულჩინ მოაგონდა და მისი ცეცხლი მოედვა. მაშინვე საღამურის ტანისამოსით მოირთვა, მარჯვნივ და მარცხნივ ხანჯლები გაიარკო. ზევიდამ ერთი ძონძი ჩაიცვა, ღვერიშივით მოირთვა. თავის მოსამსახურეებს ასე უთხრა: თუ ხოსროვშირი მოვიდეს და მომიკითხოს, ასე უთხარით, უშანგთან არის-თქო. ვიდრემდის ამ სიტყვას დაასრულებდა, ხოსროვშირ კარზედ მიადგა, მსახურნი კარზედ მიეგებნენ. ხოსროვშირმა უთხრა: ასიმ აქ არისო? ამათ ერთმანერთს ყურება დაუწყეს და არ იცოდ-

ნენ, რა ეთქვათ. თუ უთხრათ, აქ არის, ვაითუ ასიმმა დაგვესაჯოსო, თუ არა და რა უყოთო. ხოსროვშირმა შეატყო, რომ ამათში ერთი რამ ეშმაკობა არისო, ასიმს შეატყობინეს, რომ ხოსროვშირ კარზედ დგასო. ასიმს შიშით ფერი ეცვალა, ვეღარა მოიგონა რა და კარზედ გამოვიდა, თაყვანი სცა, ქება შეასხა და მოახსენა: რა მიზეზია თქვენი აქ მობრძანებაო? ხოსროვშირმა შეხედა, რომ საღამურის ტანისამოსით მორთულა, იარაღიც ქვეშიდამ შემოურტყამს, ზეიდა-მაც ძველ-ძველი ჩაუცვამს. ხოსროვშირმა თუმცა იგი გაიკვირვა, მაგრამ უბრძანა: ყოველთვის ჩემი დაჭირვების იმედო, რა იქმნება, რომ დღეს ვინც მეომებოდა, ის შემიტყო, ვინ არისო, ან მეც წამიყვანო. თუ არ წამიყვან, ამბავი მაინც ძომიტანეო. ან რადა ხარ მორთული საღამურის ტანისამოსით და ან საღ მიდიოდი? ასიმმა უთხრა: ჩემო ხელმწიფეო ხოსროვშირ! დღეს ჩვენი ხელმწიფე შვიდის იყლიმის მპყრობელი ძლიერ შეწუხებული იყო იმ ოთხს ფალავანზედ, რომელნიც დღეს შეიპყრეს. იქ მივიდოდი, ეგებიან დრო დამეცა და იმ ფალავნებისთვის მეშველა რამეო. დღეს რომელიც თქვენ გეომებოდათ, იმის ამბავიც მინდოდა შემეტყო. ხოსროვშირმა შეატყო, რომ ეს მოხსენება სულ ტყვილი იყო და დიდად შეწუხდა, მაგრამ აღარა გამოაცხადა რა.

ასიმმა მოახსენა: ხელმწიფის შვილო, წაბრძანდით თქვენ თქვენს კარავში და მე იმას უპოვნელს არ გაუშვებ. ესე თქვა და გაემგზავრა. ხოსროვშირი ასიმის კარავშივე დაბრძანდა და ასიმის მომლოდინე იყო. რა ასიმ ყარაულებთან მივიდა, ნახა, რომ ასი ათასის კაცითა თემურ-შაჰა დგას. რა ის გაიარა, სინდელთ ყარაულებისგანაც გაიპარა და გულჩინის კარავს დაუწყო ძებნა.

აქა ქეთან-შაჰის ამბავი მოიხსენიეთ: ქეთან-შაჰ რომ ომიდამ მობრძანდა, თვისსა ტახტსა დაბრძანდა. ყოველნი თავთავის განწესებულს ალაგას დასხდნენ, სარჯან ჰინდი ყველას თავს დაჯდა. მერმე გულჩინ მოვიდა თვისის შვიდასის ქალებით და დასხდნენ. მაგრამ გულჩინის გონებაში და გულში ხოსროვშირის ეშხის ტრფიალი განუშორებლად ეგზნებოდა. რანიც ფალავანნი იყვნენ, ყოველნი ხოსროვშირის ომსა და ფალავნობას აქებდნენ. იმ დღეს სინდის ფალავანნი ბევრი დაეხოცა. ერთმანერთს ეუბნებოდნენ, ხოსროვშირს ყარამიჯინის მეტი ვერავეინ გაუძღვებო. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ქეთან-შაჰამ ბრძანა: ის ოთხნი ფალავანნი მოასხითო. მსწრაფლ ფალავნები მოასხეს. ქეთან-შაჰამ ბრძანა: თა-

ვები დააყრევინეთო. რა იმ პერობილ ფალანებმა შეიტყეს თავების დაყრევინება, იმედი სრულებით ვარდაიწყვიტეს, გულჩინმა თქვა: ეს ხომ კაცობა არ არისო, რომ მე ეს სარღლები დავასოცინო ჩემის საყვარლის ფალანები, ჩემს წინაო. დრო იქნება, რომ ერთხელაც შევიყრებითო, რომ მითხრას, ჩემი ფალანები რატომ დაასოცინეო, მე რაღა უნდა უთხრაო? ესე გაიფიქრა გულში და ზე აღსდგა და თავის ბიძის წინ დადგა. ქეთან-შაჰამ უთხრა: ჩემო თვალის სინათლეო, რასა მთხოვ, მიბრძანეო? გულჩინ მოახსენა: ხელმწიფეო, ამათის დასოცით უშანგ-შაჰა არ გაიქცევაო და არც ის შავს რაშზედ მჯღდომი ფალანეანი მოკვდებაო. ესენი მე მომბარე, მე ამათ მაგრა შევიანახავო.

რა გულჩინისაგან ესა მოისმინეს, იქ მსხდომთა მოიწონეს. ისოთხი ფალანეანი ქეთან-შაჰამ გულჩინს მიაბარა. გულჩინმა თავუ დაუკრა და გარეთ გამოვიდა, თვისი შვრდასი ქალი თან გამოჰყვენენ, შესხდნენ ცხენებზედ და ისოთხნი ფალანეანი მოიყვანეს გულჩინის კარავში და იქ დაატუსაღეს. მაგრამ გულჩინმა დიახ პატივით შეინახა. ამ ფალანებს იმედი გარდაწყვეტილი ჰქონდათ. მაგრამ რა ამ ფალანებმა თავიანთი თავი ესრეთ იხილეს, იმედი მოეცათ. გულჩინ დაბრძანდა და მეჯღღიში გაიმართა. რა რომ ზარხომად შეიქმნენ, ყველამ თვითო თვითოდ ფალანების ქება დაიწყეს და ყარამანისა და სარვიზურამანის ამბავის საუბარში იყვნენ.

აქავ ასიმის ამბავი მოისმინეთ: რა ასიმ აიარი ქეთან-შაჰას კარზედ მივიდა, ნახა, რომ გულჩინ იქ არ იყო. ძებნა დაუწყუო, ნახა, რომ ერთს ალაგს სამასი წითელ-ყვითელი ატლასის კარვები იღგა. იქ მივიდა, ნახა, რომ დიახ ბევრი მამხალეები დაენთოთ. ერთის კარვიდამ ლხინისა და საკრავის ხმა გამოდიოდა. ასიმ მცირე ხანს დადგა. შეატყო, რომ ეს კარავი გულჩინისა იყო. ასიმ დაფიქრდა და თქვა: ამ მეჯღღისში როგორ უნდა შევიდეო? საზანდრობის მეტი წამალი არა მაქვს რაო. ჯიბეში ერთი დამბურა ჰქონდა ჰახრაკით, ის ამოიღო, გამართა ასიმმა და შორიანლო დაჯდა იმ კარავთან. როდესაც რომ საზანდრებმა დაუკრეს, იმანაც დაუკრა, ასეთის ხმით დაუკრა, რომ ვინც გაიგონა, იმის ხმისაგან შეიშალნენ. ამის ხმა გულჩინს მოესმა. მსწრაფლ უბრძანა გულჩინმა: წადით და ის დამბურის დამკვრელი მომიყვანეთო. წავიდნენ ორნი კაცი და ასიმ მოიყვანეს. ასიმმა თავი დაუკრა ნახა. რომ თქქეს-მეტი სვეტიანი კარავი დადგეს სულ ოქროსი, შიგნიდამ სულ მურა-

სად იყო მორთული. ადგილ-ადგილ უცხოს სუნნელს აკმევდნენ-  
ასე რომ, იქ მსხდომნი სუნნელას სულთ უცნობონი იყვნენ. მარ-  
ცხნივ და მარჯვნივ მურასად მორთულნი ქალები ისხდნენ იმ კა-  
რაჲში დიახ ლამაზნი და მშვენიერნი. ცალსა მხარესა საზანდარნი  
ისხდნენ, ოქროს სკამებზედ ერთი ბრწყინვალე ქალი იჯდა მურა-  
სად მორთული თვალითა და მარგალიტით, რომ მნახავნი მისი ყუ-  
რებით გაჰკვირდებოდნენ.

ასიმმა რომ გულჩინი დაინახა, მაშინვე წაიქცა და გულსა შე-  
მოეყარა. ეს რომ დაინახეს ქალებმა, მივიდნენ და თქვეს, ამ საბ-  
რალოს ბნედა სჭირებიაო. მეორემა თქვა: არა, ეს გლახა ვინმე  
არისო, ეს მეჯლიში რომ ნახა, შეშინდა და იმიტომ გულთ შემოე-  
ყარაო. გულჩინმა რომ შეხედა, ტანისამოსი უნახა, მაშინვე შეატყო,  
რომ აიარი იყო. რა მცირესა ხანსა ნაცემს კაცივით ეგდო, მერმე  
ახედა, ნახა, რომ მთვარესავით ქალები რამდენიმე თავს ადგნენ.  
ასიმმა უთხრა: ხელმწიფის შვილნო, მე ერთი დავრიში ვარ,  
თქვენისთანა ხელმწიფის მეჯლიში არ მინახავსო, მეშინიან,  
შიშით ლამის მოვკვდეო, ჩემი წვრილი შვილები დამრჩებიან, თქვენ-  
თვის ცოდვა არისო. მე ამ მეჯლიშის საკრავი არ ვიციო, მე სოფ-  
ლის საზანდარი ვარო, კალოობაში დავდივარ და იმით ჩემს შვი-  
ლებს ვინახავო, მე ამისთანას ალაგს ვინ მაჩვენებდაო. ესე თქვა და  
ტყუილად ტირილი დაიწყო. იმ ქალებს შებრალდათ და უთხრეს: ნუ  
გეშინიან, ჩვენ შენ არას გერჩით, ბევრს გაჩუქებთ. ასიმმა რომ  
საჩუქარი გაიგონა, იამა, ადგა და იმ ქალებთან დაჯდა. გულჩინმა  
თქვა: ხომ ჯოცი, რომ ეს აიარი არისო, მოდი, გამოვცდი, ვნახო, იმ  
ფალავანის ამბავი იცის რამეო თუ არაო. ესე სთქვა და ათასი  
ფლური უბოძა. ასიმს ღვინო მორათვეს და უბრძანეს, ღვინო და-  
ლივე და ფლურებიც შეინახეო. ასიმმა უთხრა: თუ მართლა მომ-  
ცემთო, წავალ, ქორწილში ერთს თაქას გავაჟეთებ, ნახევარს თქვენ-  
მოგიტანთ, რასაც მოვიგებო. ქალებმა სიცილი დაიწყეს და სთქვეს:  
მართლა გიყი ყოფილაო. ასიმმა ფლურები ნაბადს ქვეშ შეინახა,  
ღვინის სმა დაიწყო.

რა შეზარხოშდა, თვისი საკრავი გამართა და ასეთ ხმაზედ  
დაუკრა, რომ ყველა იქ მსხდომნი ქალები უცნობო შეიქმნენ. ასიმ  
აიყვანეს და ყველას ზევით დასვეს და თქვეს: ეს როგორი კალოს  
საზანდარიაო, ხელმწიფესაც არა ჰყავს ამისთანა საზანდარიაო.

გულჩინმა სთქვა: ეგონებ, ამას ღვინო მოეკიდა. ჰკითხა, სახელად რა გქვიანო? ასიმმა უთხრა, სახელად ჩაფარ ჰინდი მქვიანო, სარანდობის მთის კალთაში ერთი სოფელი არის, ცოლ-შვილი იქა მყავსო, ამ ჯარში დავდივარ, რასაც ეშოვილობ, იმათ უნახავო. როდესაც დალაძდება, უშანგის მეჯინიბეებთან დავწვებიო. ხანდისხან სოფლებში წავალო. გულჩინმა უბრაძანა: როდესაც ომი შეიქმნებაო, შენ სად წახვალ? ასიმმა უთხრა: მე ერთი დავრიში კაცი ვარ, მე ომში რა საქმე მაქვსო, გავალ ხოლმე და ერთ ალაგიდამ დაუწყებ ყურებასო. გულჩინმა უთხრა: დღეს მე ოთხი ფალავანი დავიჭირეო უშანგის ლაშქრისა და შეპყრობილი მყავსო, უშანგის ლაშქარში ერთი ფალავანია, შავს რაშუედ ზის, პირსა საბურველი აფარია, ტანად ალვის მგავსია, რომელმაც ერთის დაკვრით მე ჩამომავდო, თუ იცნობ, ის ვინ არისო? მე იმისთანა მოხდენილი ფალავანი არ მინახავსო. ესე სთქვა და ერთი დიდად ამოიხსრა.

ასიმმა იფიქრა, მე რომ მკითხავს, ის ფალავანი ხოსროვშირია. ასიმმა შეატყო, რომ ხოსროვშირზედ ნამეტნავად ეს ყოფილა იმის არშიყო და მისის ცეცხლით დამწვარაო. ასიმმა გულჩინისაგან რომ ამისთანა სიყვარული შეიტყო, ასე შეწუხდა, რომ სიკვდილს მიეცა. ასიმმა იფიქრა, ჯერ რომ ხოსროვშირის პირი-სახე არ უნახავს და ესე შესლილა, ამან იმის პირის სახის ბრწყინვალეობა რომ ნახოს, მაშინ როგორ იქნება ამის საქმეო. თუ უთხრა, ხოსროვშირ უშანგის ძმისწული არის, ბოლოს მე ამის პირს სადღა ვნახავო, სჯობს, რომე დავმალო, ეგების ხოსროვშირ შევადქლოო. ასიმმა უთხრა: დღეს რომ ცხენიდან ჩამოგავდო, ის ძალიანი ფალავანი არისო. ბოლოს გულჩინ უთხრა: მე სარჯან-ჰინდის ქალი გულჩინ ვარო. მეც ჩემი ბიძის ქალივით სარეიხურამანივით აღთქმა დამიდვია, ვინც მე მომერევა, იმას შევირთავ-მეთქი. ასიმმა ეს რომ გაიგონა, უნამეტნავესად ცეცხლი მოედვა.

ასიმმა უთხრა გულჩინსა: რომელიც რომ თქვენ მოგერივით, ის ყარფუხ ფალავანია, იმას ძალით და ფალავნობით ვერავინ ვერა სჯობსო. მაგრამ შავი არაბი არისო, სახელად გერან ზანგი ჰქვიანო, მეტისმეტი მეომარია, კაცსა დაუჭრელს და მოუკლავს არ გაუშვებსო. გულჩინმა უთხრა: კაცო, შენ რას ამბობ, იმ კაცის ხელეები მინახავს, თეთრი ხელეები აქვსო, სიტყვის პასუხიც დიახ კარგი აქვსო, შენ ტყუილს ამბობო. ასიმმა გულში შეინანა და თქვა, დავაშავეო, მერმე თქვა: ვერ მივხვდიო. ის კაცი უშანგის ყულიაო, სახელად ყაზამ-

ფარ ჰქვიანო, უშანგს დიდად უყვარსო, პატარა გაზარდაო, უცხო ფალავანიც არისო. უშანგის ჯარში იმის ლახტს ვერავეინ გაუძღვებსო. ყარამან ყათილის ჰეტოო. მაგრამ მეტად ავი შეხედულებიან არისო, რომ ვინც პირზედ შეხედავს, ავთვალადობისაგან გული აერევაო, მეტისმეტი ანჩხლი და ავგულისა არისო. უშანგ იმ კაცს ფალავნობისათვის ინახავსო, თორემ ათასჯერ მოჰკლავდაო. გულჩინმა შეატყო, რომ რასაც ასიმი ლაპარაკობს, სულ ტყუილს ამბობდა. მეტად მოიწყინა გულჩინმა და ვინც რომ ქალები ჰყვანდა, ყველანი დაითხოვა და რამდენიმე თვისი მხლებელნი თვისთან დარჩნენ. ასიმს გულჩინმა ჰკითხა: საზანდარო, შენ სად დაწვებიო, ალაგი სადა გაქვსო. ასიმჰა მოახსენა: მე ერთი საწყალი კაცი ვარ, სად წავიდე, აქ სადმე წავეგდებიო კარზედაო. ამ სიტყვის თქმაში გულჩინმა ძველ ჩოხის ქვეშ მურასა ხანჯლები დაუნახა, შეამჩნივა, რომ აიარი იყო. იმ კარავში ერთი ალაგი აჩვენა. ასიმ დაწვა და გულჩინმაც ტანთ გაიხადა და დაიძინა. ვინცა ვინ იყვნენ, თავ-თავის ალაგს დაწვნენ.

რა რომ ფეხი მიწყნარდა, ასიჰს სიცოცხლე აღარ დარჩა, ზე აღზღა და ძველ-ძული ტანისამოსი ტანიდგან გაიხადა, ოთხსავე მხარეს თვალი მოავლო, ნახა, რომ ყველას ძილი მოსვლია, ფეხ-მოპარვით მიეპარა, სადაც გულჩინ იწვა, იქ მივიდა. ოქროს შამდნებით სანთლები ენთო, თავით და ფეხით; მუშკ-ამბარი ეკმეოდა ოქროს ტახტზედ. გულჩინს ეძინა, საყელო გახსნილი, გული გავლებული, კოკობი ბროლის ძუძუები უჩანდა. ასიმს ცნობა წაუვიდა და მცირეს ხანს გაოცებული უყურებდა. მერმე თქვა: ეს ყურება რას მარგებსო, ამას ბეუშდარს მივცემო, დავბნედავ, მოვიპარავ და წავიყვასო, ვიდრე არავის გამოუღვიძნიაო. მაშინვე ერთი კოლოფი ამოიღო უბიდამ, გულჩინთან მივიდა, უნდოდა, რომ ბეუშდარი ბანგი მიეცა გულჩინისათვის. გულჩინს თურმე ფერიის ქალები ჰყვანდა ქეშიკად. მაშინვე გულჩინ ზეზე წამოაყენეს. გულჩინმა შეხედა, ნახა, რომ ერთი ქურდის მსგავსი კაცი, წელში მურასა ხანჯლები ურჭვია და დგას, გულჩინ წამოხტა.

ასიმმა რომ დაინახა; ტახტიდამ ძირს ჩამოხლტა. ასიმს უნდოდა, რომ გაქცეულიყო, მაგრამ გულჩინმა ხელი ფეხსა სტაცა, ასწივა, ზე აიყვანა და თავდაღმა დაჰკიდა. ასიმჰა ხანჯალს ხელი გაიკრა, ეგონა, გულჩინ შეშინდებაო და ხელიდამ გამიშვებსო, მაგრამ გულჩინმა ცალის ხელით ხანჯლიანი ხელი დაუჭირა. აჰ ხმაზე ვინც იყვნენ, ყოველთ გამოიღვიძეს და შესცვივნენ. ნახეს, რომ გულჩინს ერთი კა-

ცი ფეხდაკიდებულა უქიარავს უცხოს ტანისამოსით მორთული და მრავლის მურასის ხანჯლებით, ესრეთ, რომ მტერსა შეაზარებდა. ამ ქალებმა მოახსენეს გულჩინს: ეს კაცი ვინ არისო? გულჩინმა უთხრა: ეს ის საზანდარი არის, ძველ-ძული ტანისამოსით. რომ იყო. მოახსენეს: ეს ის ბერი კაცი არისო? ამას შავი წვერი აქვსო. — წუხელის რომ პირზედ ეფარა, ის ამოართვითო. ქალებმა ამოართვეს. არ რომ დაინახეს, დიდად გაკვირდნენ. ასიმ მაგრა შეკრეს. ასიმს გულჩინმა უბრძანა: შე პარამზადაო, აქ რად დახვალო? ასიმმა უთხრა: მთვრალი ვიყავო, მინდოდა, კარში გავსულიყავო, გზა ველარ გავიგეო. — ხელთ რომ ხანჯალი გიჭირავს, ეგ რაღა არისო? სწორე თქვი. ტყუილს ნუ იტყვი, თორემ იმისმა მზემა, რომელიც ორსავე თვალისაგან უფრო უმეტესად მიყვარსო, ცოცხალს არ გაგიშვებო! ერთსა ხანჯალსა ხელი მოიკრა და ასიმისკენ მრისხანეს თვალით შეხედა.

ასიმისთანა სისხლის მღვრელი ფალავანი ასე-შეშინდა, რომ სიკვდილად მიიწურვა. ესეც შეიტყო, ის რომ დაიფიცა, ზოსროვშირის თავი. ასიმ შეეხეწწა: ნუ მომკლავო, მცირეს ხანს დამაცალეო. ასიმმა უთხრა: მე უშანგის აიარი ვარო, სახელად ასიმ მქვიანო. გუშინ თქვენ მოედანზედ ოთხი სარდალი რომ დაიჭირეთ, მე იმითვის მოვსულვარ, ეგების როგორმე დრო დამეცა და გამენთავისუფლებინა. თქვენ რომ ცხენიდა ჩამოგადროთ, იმან გამომგზავნა, ეგების იმ ფალავნებს უშველო რამეო. ამ ჯარში დავდიოდი, თქვენს მეჯლიშში მოველ ამ სახითა, რომ დრო დამეცა, შენ მინდოდიო მომეპარე და მინდოდი წამეყვანე, უშანგ-შაპის ფალავნებზედ გამეცვალეო. მცირეს ხანსა გულჩინი დაფიქრდა და ასიმს უთხრა: მოდი, შენ აღთქმა დასდევი, რომ შენ მოპარვით აღარ მოხვიდეო, თვარემ ფერიები მოგკლავენო, ამიტომ რომ დედაჩემი ფერიის ქალი არისო, მეც იმისი შვილი ვარო, დღე და ღამე შვიდი ფერია ჩემი ქეშიკი არისო, ჩემზედ მანეს არ მოუშვებენო. მე შენდ ნათქვამი არა ვარ; რომ შენ დრო მიპოვნო და შენი წადილი აასრულოვო. იმ სარდლებისათვის ნუ შეწუხნები; იმ ფალავნებს არა უშავს რაო! ეს სიტყვა ბრძანა და ერთი ხელი ხალათი უბოძა და ასიმს უთხრა: ეს ჩემი და შენი ამბავი, ღმერთს გაფიცებ, არავის გამოუტყხადო. ეს უთხრა და გაანთავისუფლა. ასიმი დიდად დაღონებული ტირილით წავიდა.

რა თვისს კარავს მოვიდა, ნახა, რომ ზოსროვშირი იქავ ელის. შევიდა, თავყანი სცა და ქება შეასხა, მოახსენა: ხელმწიფისშვილო, სინდის ჯარადამ ეს არის. გაახელ, თავით ბოლომდინ სულ დავიარე:



მაგრამ იმ ფალავანისა ვერა გავიგე რა. მე ასე მგონია, გუშინ ის ფალავანი ომში მომკვდარაო, თუ ცოცხალ ყოფილიყო, ვიპოვნიდი. ესე თქვა და დაჩუმდა. ზოსროვეშირ დიდად გაჯავრდა და უთხრა: შე ავო კაცო! მე ვნახე, რომ ცოცხალი უკან წამოვიდა, ჩემი ხელითა შენი სიკვდილი მოახლოებულა. ეს თქვა და წავიდა თავის კარავში, შეწუხებულმა ტირილი დაიწყო და თავისმა ლალამ თეიარ დაშტიმ რომ ნამტირალევი ნახა, მოახსენა: ხელმწიფის შვილო, რატომ სტირიო? ზოსროვეშირმა პასუხი არ მისცა, დაღონებული დაჯდა და ლალამ აღარა უთხრა რა.

### აჰა სინდელთა და ერანელთა ომი

რა დილა გათენდა, მეომარნი მოედანსა გამოვიდნენ. იმ ყამად ინდოეთის მხრიდამ საომარსა ნაღარასა ჰკრეს. უშანგმა რომ გაიგონა, ამანაც ბრძანა: საომარ ნაღარასა ჰკარითო! ესე ორნი ზღვის ოდენი ლაშქარი ამხედრდა და დასტები დააწყეს, მემარჯვენე და მემარცხენე განაწესეს, დროშები აღმართეს და უშანგის ტახტი სპილოზედ დადგეს. ხელმწიფენი, სულთანნი ყოველნი თავ-თავის ალაგს დადგნენ. რომელნიც უმეტესნი ფალავანნი იყვნენ, ზოსროვეშირთან შეიყარნენ. ზოსროვეშირ გაუძღვა და ჯარს წინ დაუდგა. მაშინვე სარჯანნი-პინდი შავ მთასავით მოედანზედ გამოვიდა და უშანგის მხრიდამ ფალავანი გამოითხოვა და ვინც სარჯანს შეხედეს, დიდად მოიწონეს. მაშინ საჰმარანდ ფალავანი ოცდაცხრა მწყართის მქონებელი გავიდა მძიმის იარაღითა შეჭურვილი, სარჯანს დაუსისწორდა, შუბით შეუტევა. სარჯანმა აიცილინა, ხელთა მძიმე ლახტი აიღო და მოუქნივა. საჰმარანდმა ფარი იფარა. ლახტი ისეთი დაჰკრა, რომ ფარი გახეთქა, მხარს მოხვდა, ცხვირ-პირიდან სისხლი წასქდა, გულშემოყრილი მიწას დაეცა. მაშინვე მოსცივდნენ, მაგრა შეკრეს და წაიყვანეს, მერმე თელარ ქიმშირელი გამოვიდა. სარჯანმა ისიც ერთის დაკვრით ჩამოაგდო.

უშანგ დიდად გაჯავრდა, ზე ადგა, უნდოდა, რომ თვითონ გასულიყო, ნახეს, რომ ზოსროვეშირის დასტიდამ ერთი თეთრ-წვერა ფალავანი გამოვიდა. თავით ფეხამდინ რკინით შეჭურვილი იყო. ეს ფალავანი ზოსროვეშირის ლალა თეიარ დაშტი იყო. შუბი სარჯანს მიუტანა, სარჯანმა ფარი იფარა და ათასითა ცდითა აიცილინა. მერმე

ისარი შეტყორცნა და ინიც აიციდინა. ამან იპას, იმან ამას, ერთმანერთზედ დიდი ხანი იომეს და ორმოცი იარალი იხმარეს, ვერც ვერა ავნეს რა. სარჯან განრისხდა და მძიმე ლახტი მოუქნივა, თეიარ დაშტიმ შვიდეკეცი ფოლადის ფარი იფარა. ლახტი ესრეთ ძლიერად მოხვდა, რომ ფარი გახეთქა. თეიარ დაშტიმ თავი მოარიდა, ლახტი მხარს მოხვდა და უცნობო შეიქმნა, საჯდომიდან თავდაღმა ჩამოვარდა. რა ესე დაინახეს, სინდელთა კიჟინა და ნაღარის ცემა გაავრავლეს.

რა ესე უშანგვა იხილა, ისრე განრისხდა, რომ სიციოცხლე აღარ შერჩა. ამჟამად ერთი საშინელი ხმა მოვიდა, რომე მრავალი კაცი გონებიდან შეიშალა. ხოსროვშირმა რა თავისი ლალა ესრეთ იხილა, მაშინვე ერთი ნარა გასწია, გაჯავრებულმა თვისის რაშით შემოუტივა და შემოსძახა: შენ მეიღანი ცარილი დაგრჩომიარო, მომიცადე და მნახე როგორი ძალი მაქვს, ჩემს ფალავნობას გიჩვენებო! რა ქეთან-შაჰმა ხოსროვშირ დაინახა, ერთი დიდი ამოიოხრა და თქვა: თუ ეს ფალავანი არ იყოს, აქამდისინ უშანგს ათასჯერ დავამარცხებდითო. ორთავ ლაშქართა ხოსროვშირს ყურება დაუწყეს, ვნახოთ ეს ორნი ვეშაპნი ერთმანერთს რას უზამენო. რა სარჯანმა ხოსროვშირ დაინახა, მაშინვე ლახტი მოუქნივა. ხოსროვშირმა ფარს აატანინა. სარჯანმა ერთმანერთზედ სამი ლახტი სცა, მაგრამ ხოსროვშირს ვერა ავნო რა. მაგრამ დიდი ძალა დაადგა. აიარებმა თეიარ დაშტი მეიღნიდან წაიყვანეს.

ახლა რიგი ხოსროვშირს ერგო, თავისი მძიმე ლახტი მოუქნივა, სარჯანმა თვისი ლახტი იფარა, ლახტი ლახტსა მოხვდა და ამ ორსავე ლახტიდან ცეცხლი გამოხდა. სარჯანს ისეთი ძალა დაადგა, რომ ესრეთ ეგონა, ძარღვები დამწყვიტესო, თავით ფერხამდისინ ოფლში გაეცურდა. ესრეთი ძალა არავისაგან ენახა და ძლივს გარდურჩა. რა ხოსროვშირმა ნახა, რომ სარჯან არ ჩამოვარდა, ერთი ისეთი შემოუძახა, რომ ცამ და ქვეყანამ კანკალი დაიწყეს და მეორედ ლახტი მოუქნივა. იმან ფარი იფარა. ვიდრემდის სარჯანი ხმალს ამოიღებდა, ლახტი თავსა მოხვდა, თავი ოთხის თითის სივრცედ გაუხეთქა, პარზედ სისხლი ჩამოედინა, ცნობა დაეფანტა, ძირს გადმოვარდა და შავის მთასავით ძირს დაეცა. აიარებმა მოინდომეს, რომე იმისთვის მკლავები შეეკრათ და წაეყვანათ.

იმჟამად გულჩინმა ხოსროვშირს შეპოუტივა, სარჯანიც გონებას მოვიდა, ხმალსა ხელი მოივლო და აიარებს შეუტივა. აიარები გა-

იქცნენ. რა ხოსროვშირმა ესე იხილა, ცხენს დეზი ჰკრა და სარჯანს მიუხლტა. ხოსროვშირ შეშინდა, ცხენს ხმალი არა სცესო, მაშინვე ცხენილამ გარდობხტა და მთვრალს სპილოსავით სარჯანს შეუტივია. სარჯანმა რა ხოსროვშირ ქვეითად იხილა, დიდად იამა და კასკასით გაიცინა, რომ ორთავე ლაშქართა ამ სიცილის ხმა გაიგონეს, ხოსროვშირ თვალში ეფუქსავატა და უთხრა: შენ ახლა ჩემის ზელიდამ ცოცხალი სად წამიხვალო? და ხმალი მოუქნია. ხოსროვშირმა ფარი იფარა, მაშინვე მივარდა და სარჯანს მკერდსა ისეთი მუშტი დაჰკრა, რომ სარჯანისთანა ფალავანი გულადმა დასცა. უნდოდა რომე სარჯან შეეკრა. იმ ეჰჰად ზურგში ერთი მძიმე ლახტი მოხვდა, ესრეთ, რომე ხოსროვშირისთანა ფალავანი ცალს მუხლზედ დააჩოქა. ლახტის დამკვრელი გულჩინ იყო. მამა რომ ამ ყოფაში ნახა, მოეხმარა. ხოსროვშირმა უკუიხედა, ნახა, რომ ერთი ყვითელი მარტორქიანი ფალავანი დგას და პირს საბურველი აფარია და ხელთა ერთი მძიმე ლახტი უჭირავს. რა უწინ გასცილდა, ხოსროვშირმა ხელი მიჰყო და გამალეებული მარტორქა დააყენა. გულჩინმა უკუ მიიხედა, ნახა, რომ ფალავანს ხელი უტაცნია, მარტორქის ფეხი უჭირავს, ცალის ხელით პოზიდა ჩამოსაგდებად. გულჩინ მსწრაფლად ჩამოხდა, ხოსროვშირს შემოეძგერა და სარჯან გონებასა მოვიდა. ნახა, რომ თვისი ქალი გულჩინ იმ ფალავანს ეჭიდება. სარჯან ზე აღსდგა და ჩინრის ოღენი მკლავები ხოსროვშირს შემოხვია.

ხოსროვშირმა ნახა, რომ ეს ორნი ფალავანნი ებრძოდნენ და ორსავე მხრის ჯარი ამათ თამაშს უყურებდნენ, რომ ორი ვეშაპი ერთს ვეშაპს ეჭიდება. უშანგ-შაჰამ და შარიბ-შაჰამ რომ ნახეს, დიდად შეწუხდნენ, ერანელთა და თურანელთა დიდად მწუხარება შეექმნათ. ხოსროვშირმა ნახა, რომ აღარა გაეწყობოდა რა. მარჯვენა ხელი გულჩინს შემოხვია და მარცხენა სარჯანსა. აქედამ გულჩინმა და იქილამ სარჯანმა ორთავ რაც ძალი ჰქონდათ, ხოსროვშირ აზიდეს, მაგრამ ვერ დასძრეს. ხოსროვშირმა ფეხები გაიმაგრა, რამდენსაც ეცადნენ, ხოსროვშირ ვერ დასძრეს ალაგიდამ. დიდხანს ეცადნენ, ხან დაიჩოქეს, ხან ადგნენ, ჯაჭვი და ჯავშანნი ერთმანერთს შეაფხრიწეს, ამ სამმა ფალავანმა ასეთი ომი გარდიხადეს, რომ არას დროს არ ენახათ იმისთანა ომი. დილიდამ მოკიდებული სალამომდინ ირკინეს. ხოსროვშირმა შეატყო, რომ დიახ დაიდალნენ. ცალის ხელით გულჩინ და მეორეს ხელით სარჯან აიყვანა, თავსა შეპოივლო და დასცა. აიარები მოვიდნენ, გულჩინ ისევ წამოდგა, ის თვისნი შეიდ-

ასნი ქალნი ფალავანები მოვიდნენ, გულჩინ ცხენს შესვეს და წაიყვანეს. აიარებმა სარჯან შეკრეს და წაიყვანეს, უშანგის დროშასთან მიიყვანეს.

რა ქეთან-შაჰამ ენე იხილა, ბრძანა და თვისი ლაშქარი ერთად შეატევებინა. იქით მხრიდამ ერანელნი და თურანელნი მიიტევენ. ესოდენი ლაშქარი ერთმანერთში დაერივნენ, იქით-აქეთ სისხლის ღვრები ასდგა, მოლაშქრის თავები და ცხენები მოჰქონდა. თეთრი ცხენი და შავი ცხენი აღარ გაირჩეოდა, მარტორქები და სპილოები ერთმანერთსა ეძგერნენ, ასე რომე თავ-თავისას ველარავინ სცნობდა. იმ დღეს ასეთი ომი შეიქმნა, რომ დასაბამიდამ იმ დღემდინ იმისთანა ომი არ მომხდარიყო: ხან ესენი გააბრუნებდხენ და ხან ისინი გამააბრუნებდნენ. იმ დღეს ხოსროვშირმა ასეთი ომი გარდაიხადა, რომ თვითონ ყარამანისაგანაც სანატრო იყო. რამდენი დასტები დაშალა; რამდენი ფალავანი დახოცა, რამდენი ალმები ერთმანერთსა ჰკრა, ოცდაათჯერ ასი ათასი კაცი ზოსროვშირისაგან იყო, ვიდრე დაღამება შეიქმნებოდა, სულ ხლმის ცემაში იყვნენ. რა დაღამდა, ორსავე მხარეს გასაყარ ნაღარასა ჰკრეს. უშანგ მოვიდა, შეიღნის თავს დადგა, სარდლებს და ფალავნებს თვალი გარდაავლო. ყოველნი მოვიდნენ, ხელმწიფეს თავი დაუკრეს, მცირეს ხანს უკან ხოსროვშირი მოვიდა, სისხლით გაჰკრილი იყო, ასე რომ ზღვიდამ გამოსულს ნადირსა გვანდა. მოვიდა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და მოახსენა: თქვენის დოვლათით დღეს კარგი გამარჯვება მოგვიხდაო. უშანგ და ვინც იქ ზელმწიფენი იყვნენ, სულ წამოვიდნენ, უშანგ-შაჰას კარავში მოვიდნენ. უშანგ ჩამოხტა, თავისსა ტახტსა დაბძანდა, დიდებულნი და მცირენი ყოველნი თავ-თავის ალაგს დასხდნენ. რა ხოსროვშირ შემოვიდა, უშანგმა თავი დაუკრა და ფეხზედ წამოდგა. ხოსროვშირმა მდაბლად თავი დაუკრა და თვისსა ალაგსა დაჯდა, მერმე ხელმწიფეი ბრძანა სუფრის მოღება და მეჯლიშის გამართვა.

აქა ესენი ამ ლხინში დაუტეთოთ და მცირე რამ ქეთან-შაჰის ამბავი მოვიხსენიოთ: ქეთან-შაჰ დიდად დაღონებული გაბრუნდა, თვის კარავში მივიდა. სინდის ფალავნები შეიყარნენ, თვის ალაგს დასხდნენ. მცირე ხანს უკან გულჩინიც მოვიდა, თვისსა ალაგას დაჯდა. თვისსი მამა რომ ვერ დაინახა იმ მეჯლიშში, ცნობა დაეკარგა და ტირილი დაიწყო, მოახსენა: ხელმწიფეო! მამა ჩემი ერანელთ დაჰკერილი ჰყავსთო, იმათი ხუთი სარდალი ჩვენა გვყავსო. თუ თქვენნი ნება იქნება, უშანგს ელჩი გაუგზავ-

ნოთ, მამა ჩემი მოგვცენ და ჩვენ იმათი ფალავნები მივცეთ. ეს რჩევა სინდელთ ყველაპ მოიწონეს, ქეთან-შაჰმა ბძანა, მაშინვე ერთი წიგნი დაწერეს. მერმე ბრძანა: უშანგთან ვინ წავიდესო? გურგან შვილდოსანმა მოახსენა, მე წავალო. ზეზე წამოდგა, თავი დაუკრა. ქეთან-შაჰმა ორმოცი ფალავანი გაატანა. გურგან შვილდოსანი შეიკაზმა იარაღითა. გულჩინ მცირე ხანს იჯდა, მერმე წამოდგა, თავი დაუკრა და თვის კარავში წავიდა.

გულჩინმა უბძანა თავის შვილას ქალებსა, საღამური ტანისამოსი ჩაიცვიოთო. თვითონაც ჩაიცვა, გურგანს გაჰყვა. გურგან თვის ყარაულებს გასცილდა და უშანგის ყარაულებთან მივიდა. იმათაც კაცი გაატანეს ხელმწიფესთან. ხელმწიფეს ისევ მეჯლიში ჰქონდა, როდესაც ესენი მოვიდნენ. ორმოცდარვა სვეტიანი ოქროს წითლის ატლასით კარავი იდგა, კარავის წინა ათას შვილასი მაშხალა ენთო. ამ ლაშქარს დღესავით უნათებდა. ჩაუშებმა უშანგ-შაჰას მოახსენეს, ქეთან-შაჰის ელჩნი გახლავანო. ხელმწიფემ შემოყვანა ბრძანა. ჩაუშები წინ მიეგებნენ და ისე შემოიყვანეს. გულჩინიც ამ ყარაულებში აერივა და შინ შემოვიდა. გულჩინის ნატვრა ხოსროვშირის ნახვა იყო.

რა რომ ესენი შინ შევიდნენ, ცალს მხარეს საფი გასწივეს და დადგნენ. გურგან წინ წადგა, მიწას აკოცა, ხელმწიფე დალოცა, მერმე ქეთან-შაჰის წიგნი ამოიღო და მიართვა. იმანაც მისცა თავის ძმას შარიბ-შაჰას. წაიკითხა, რაც ეწერა, ყოველივე შეიტყეს. გურგანს საჯდომი ალაგი უჩვენეს. გურგან დაჯდა და პასუხს ელოდა. გულჩინ ყულებში იდგა და უშანგის მეჯლიშს უყურებდა. ერთი მძიმის ფარჩის ქოლგა იდგა, იმის ქვემოთ ორმოცდაოთხ კუთხიანი ტახტი იდგა მძიმედ დაფენილი, ზედ ხელმწიფე ბრძანდებოდა, მურასა თავი თავსა ეხურა შვიდი იყლიმისა, წელთა მძიმე ქეიანური ქამარი შემოერტყა და ისე ბრძანდებოდა. შარიბ-შაჰაც გვერდით უჯდა, უკან თორმეტი ათასი მურასად მორთული შინაყმანი იდგნენ. ტახტის ქვეით ოთხასი მცოდნე აქიმი ისხდნენ, მერმე სამოცდაათი დიდრონი სულთნები და სარდლები ისხდნენ ოქროს სკამებით. ამათში თვრამეტი ათასი ფალავნები სხვა ნახა, ამათ გარდა სამი ათასნი ხელმწიფენი და ხელმწიფის შვილები ნახა. შვილასი აიარნი ხელმწიფის წინ მდგომი ნახა, მაგრამ სამნი აიარნი ვერცხლის სკამებით წინ უსხდნენ. აჰ მისაგან ერთი ასიმ იყო. საითაც ასიმ იჯდა, გულჩინს დგომა იქ მოხლოდა. ასიმსაც უცხო მძიმე ხანჯლები აქეთ-იქით ერკო.

ვიდრე ქეთან-შაჰის წიგნს წაიკითხავდნენ და ხალხნი იმ წიგნის

პაუხეს შეიტყობდნენ, გულჩინმა ასიმს ორი ხანჯალი წელიდამ მოჰპარა. მერმე გულჩინმა ხელმწიფის შვილებისაკენ შეიხედა, ნახა, ყოვლის ზევით ერთი მურასა სკამი არის, ზედ ორმოცდაოთხი მწყართის მქონებელი ფალავანი უცხოს ტანისამოსით მორთული ხელმწიფის სიახლოვესა ზის, ამის პირის სილამაზეს ის მეჯლისი გაენათებინა. ხელმწიფე ლაპარაკში ასე ეუბნებოდა: ჩემო გულის სიცოცხლე და თვალის სინათლეო, ასე საყვარლად ელაპარაკებოდა. გულჩინმა თვალი დააკვირვა, იცნა, ეს ის ფალავანია, რომ პირსაბურველით გამოვა მეიდანზედაო, სამჯერ მე რომ მომერიაო და უნახავად ამისი არშიყი შევქმნილვარო. ასე რომ ასიმ მატყუილებს, ხელმწიფის ყულიაო, ახლა უშანგის ჯარში ამის მეტი უფროსი არავინ ყოფილაო, ვინცა ვინ აქ ისხდნენ, ყველანი თავაზით ექცეოდნენ.

გულჩინმა რომ ხოსროვშირ ასე ნახა, ეშხის ცეცხლი მოედვა, დიდად ამოიხრა, ცნობა მიეღო, მცირე ხანი მოიცადა და თქვა: ამდენი ხანია მე ფალავნობის დავსა ვწევო, ახლა მინდა, რომ ერანელთაგან თურანეთში გაუნამუსოვდეო. ესე თქვა და მერმე იმ თავისთან მდგომს ერანელს ჰკითხა: აიარო, ის ყველას ზევით ფალავანი რომა ზის, ის ვინ არისო? აიარმა უთხრა: ხელმწიფის შვილია, სახელად ხოსროვშირ ჰქვიანო, უშანგ-შაჰას ძმისწული შარიბ-შაჰას შვილიაო, მეტად უცხო ფალავანიაო. გულჩინმა უთხრა: პირსაბურველს რომ ჩამოიფარებს და მეიდანზედ რომ გამოვა, ის არისო, რომელმაც სარჯანი დაიჭირა? აიარმა უთხრა: ის არისო. გულჩინმა უთხრა: პირსაბურველს რად იფარებსო? აიარმა უთხრა: მეტად ლამაზი არისო და იმიტომ, რომ თვალი არ ეცესო, იმის გულისთვის იფარებსო. გულჩინმა აღარა უთხრა რა.

უშანგმა რა ქეთან-შაჰის წიგნი წაიკითხა, მაშინვე ბრძანა, სარჯან ხელ-შეკრული მოიყვანეთო. სარჯანმა თავისგან ხელი აიღო, იმედი გარდიწყვიტა. უშანგ-შაჰის მეჯლისში გურგან-ბელანდ-ქამან დაინახა და ორმოცი სხვა სინდის ფალავანი. მაშინვე შეატყო, რომ ჩემთვის მოსულანო. მაშინ არა მცირე ფონება მიეცა. უშანგმა რომ დაინახა, მაშინვე ბრძანა: ხელები გაუხსენითო და გაუხსნეს. სარჯანს მძიმე ხალათი უბოძა და სულთნებთან ალაგი უჩვენეს, მივიდა და დაჯდა. რა რომ უშანგისა ამისთანა წყალობა ნახა, დიდად გაუკვირდა და ქებ შეასხა, რა გულჩინმა თვისი მამა დაინახა, დიდად გამხიარულდა. უშანგ-შაჰასთან გურგანი და ორმოცი სხვა ფალავანი რომ

გაუგზავნა, ისინიც ისევ გაგზავნა და შვიდი დაჭერილი ფალავანი რომ გამოეგზავნა ქეთან-შაპას, გურგენმა შეუთვალა, გაანთავისუფლო, შენც ეგ ფალავნები გამოგზავნეო. სარდლებმა ეს ამბავი მოახსენეს ქეთან-შაპს. ქეთან-შაპმა ბრძანა, ტუსალები მოახსენეს, იმათაც ხალათები უბოძა და გამოისტუმრა. მოვიდნენ, უშანგ-შაპას თავი დაუკრეს და ქება შეასხეს. ხელმწიფემ ესენი რომ ნახა, დიდად იამა და გამხიარულდა. ვინცა ვინ სარდლები და ფალავნები იყვნენ, ყოველნი ზე ადგნენ და მიესალმნენ, ხელმწიფემ იმათ ყველას ხალათები უბოძა და თავ-თავის ალაგას დასხდნენ. ყველას ინამო უბოძა.

რა სინდის ფალავნებმა ესეთი სიუხვე ნახეს, დიდად გაუკვირდათ და თქვეს, ამისთანა სიუხვე რომ სჭირებია, ამიტომ დაუჭერია ამდენი ქვეყნებო. და სინდეთის ქვეყანაში მყოფს გულჩინსაც დიდად მოეწონა, რანიც ფალავნები იყვნენ. უშანგმა გურგანს თვალი დააკვირვა, ორმოცდაერთი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა, სახე მამაცურა, ხაშინელი სანახავი იყო. დიდად მოეწონა, წელთ ერთი მორთული მურასა ქარქაში ერთყა, ერთი უცხო მშვილდი ჰქონდა, რომ იმისთანა მშვილდი უშანგს არ ენახა. მაშინ წესი ისე იყო, რომ ფალავნები იარაღით შეიკაშმებოდნენ და მეჯლისში ისე დასხდებოდნენ. უშანგმა გურგანის შვილდი ვეზირებს ანიშნა, იმათაც დიდად გაუკვირდათ. მერე შარიბ-შაპამ ჰკითხა სარჯანს, ეს ფალავანი ვინ არისო და ან რა ჰქვიანო? სარჯანმა მოახსენა: ამას გურგან-ბელანდ-ქამაბ ჰქვიანო, დასაბამიდან ამათი გვარი ვიდრე აქამომდე სულ მშვილდის მოწვევაში არიანო, ასე, რომ ამათს მოწეულს შვილდს ვერავინ მოსწევსო. სარჯანმა რომ გურგანი ასე აქო, ერანელნი და თურანელნი დიდად შეწუხდნენ და მთვრალს ლომებსავით აქეთ-იქით ღრენა დაიწყეს. და თქვეს: სინდებმა მშვილდის მოწვევა და ისრის სროლა რა იცაანო.

სარჯანმა რომ ეს გაიგონა, გურგანს მშვილდი გამოართვა და დიდის თავაზით შარიბ-შაპას წინ დადვა. შარიბ-შაპამ უშანგს მიართვა. უშანგმა მცირე ხანს გაშინჯა, მერმე თემურნარას მისცა, ის ერანში მშვილდის მოწვევაში გამოჩენილი იყო. ზეზე წამოდგა, თავი დაუკრა, რაც ძალი ჰქონდა, მოსწივა, მაგრამ საბელიც ვერ დაუძრა. მეორედაც ეცადა, მაგრამ კიდევ ვერ დასძრა. დიდად ეწყინა და მშვილდი ხელმწიფის წინ დასდვა. მერმე მელაიაჯაზენელი წარმოსდგა, ისიც დიან კარგი მშვილდოსანი იყო. მაგრამ ვერც იმან მოსწივა, ასეთი ძალა დაატანა, რომ ორსავე ნესტოდამ სისხლი წავარდა, მაგრამ

ვერც იმან საბელი დაუძრა. მერმე იმან სამანდუხს მისცა, ვერც სამანდუხმა მოსწივა. ყველა ამისმა გამოჩენილმა ფალავნებმა მოსწივეს, მაგრამ ვერა გააწყეს რა. სირცხვილით ყველამ თავი დაღმა დაჰკიდა. უშანგი დიდად შეწუხდა, რაღა კვითხეო მათ მაგ მშვილდის ამბავიო.

ხოსროვშირმა რომ შეწუხებული ნახა, მოახსენა: შვილის იყლიმის მპყრობელო ხელმწიფეო! თქვენ ამაზედ ნუ შეწუხდებით. თუ მიბოძებთ, ერთს მეც ვეცდებით. ხოსროვშირმა მშვილდი ხელთა აიღო, ერთს სინდის უთხრა: ერთი ამისთანა მშვილდი კიდევ მომიტანეო, და იმანაც მოუტანა. ერთმანერთზე მიაკრა და ღვთის სახელი ახსენა. ასე მოზიდა ის ორი მშვილდი, რომ ორივე ჩინჩხვარივით დაამტვრია. რა უშანგმა ესე ნახა, დიდად იამა და უთხრა: ჩემო თვალის სინათლეო, შვილო, შენიმც პირი ნათელი იქნებაო, როგორც შენ მე გაპირვებაში გული გამიმბაგრეო. სინდელუბმა ნახეს, რომ სამასმა ფალავანმა ვერ მოსწივეს და ერთმა ფალავანმა მოსწივა, რომ თვალად მზესა ჰგვანდა, ტანად ალვის ხესა. ერთმანერთს ეუბნებოდნენ: ამდონმა ფალავნებმა ვერ მოსწივეს და ამ ყმაწვილმა როგორ უნდა მოსწიოსო? გულჩინმა იცოდა, რომ ხოსროვშირ ოთხი იმოდენაც რომ ყოფილიყო, მოსწევდა. ამას გარდა ბევრი ჰუნრები ჰქმნა, რომ ერანელნი დიდად გამხიარულდნენ. უშანგმა ხოსროვშირს ერთი ისეთი ხალათი უბოძა, რომ ერთი იყლიმის ხარაჯის ფასად ღირდა. გულჩინს ეშხი თუმცა ერთი ჰქონდა, ათასად გაუმრავლდა.

სინდის ფალავანთა ხოსროვშირისაგან იმ ორის მშვილდის მოწევანზედ დიდად შერცხვათ. გურგან ფეხზედ წამოდგა, იმისთანა მშვილდი მოატანინა, ერთმანერთზედ გარდაბა ესრეთ ძალიან მოზიდა, რომ ერთის მთისათვის რომ მოეწივა, ძირით მოგლეჯდა, მაგრამ საბელი ვერ შეუძრა. გურგანს შერცხვა, მერე უშანგს წინ დაუდვა თავ-ჩამოგდებით და ისევ თავის ალავს დაჯდა. სინდის ფალავნები დიდად შეწუხდნენ. სარჯანმა უშანგისაჲც სირცხვილით ვერ შეხედა. მიხედა და თქვა: ეს როგორ მოხდაო, ერთი ყმაწვილის მოწეული მშვილდი ამდენმა ფალავნებმა ვერ მოსწიესო? ესე თქვა და თავი დაჰკიდა. გულჩინ ყულუღჩებში იდგა. თვისი მამა რომ შეწუხებული იხილა და სინდის ფალავნები, მაშინვე წამოდგა, ხელმწიფეს თავი დაუტრა. ყოველმა სულმა იმას ყურება დაუწყეს, ეს ვინ არისო, თვალად მთვარის მსგავსი, ტანად ალვის მსგავსი, წარბები შავს მელანს უგავსო?! ხელმწიფე დალოცა და ქება შეასხა: მე ქეთან-შაჰის მცირე



მსახური ვარ, ნუ გეწყინებათ, მეც გავშინჯავ მაგ შვილდსაო! აიღო, ხელთა შეათამაშა და ჰუნრები ჰქმნა, მაგრამ ეს მშვილდები იმ მშვილდებზედ ნაკლები არ იყო. მოსწივა და სამჯერ წვერი წვერსა დაუდგა. ერთანელთა სარდლებს დიდად გაუკვირდათ, სინდნი დიდად გამხიარულდნენ ამ მშვილდის მოწევანედ.

უშანგმა დიდად მოიწყინა და თქვა: ამდენს ფალავანში ერთი მოსამსახურე წარმოდგეს და მშვილდი მოსწიოსო და ამდენმა კაცმა კი ვერაო? ხოსროვშირმა შეატყო, რომ ეს ის ქალიაო, რომ სამჯერ მე შემებო. გულჩინმა შეიტყო, რომ ხოსროვშირმა არა შეიმჩნივარა. გულჩინმა თავის გუნებაში თქვა: ბარაქალა ამ ფალავანს, რომ არც მე შემარცხვინაო, არც თავის თავიო. ხოსროვშირმა ბრძანა, თავისი მშვილდი მოათანინა, ხელთა აიღო, სამოცდაათი ვარჯიში ჰქმნა ასეთები, რომ კაცისაგან არ შეიძლებოდა. სინდის ფალავნები დიდად გაკვირდნენ ხოსროვშირის ვარჯიშობაზედ. დიდი ქება შეასხეს. მერმე ორმოცჯერ თავისი მშვილდი მოსწივა, გულჩინს მისცა. გულჩინმა ხოსროვშირს მშვილდი გამოართვა. ხელზედ ხელი მოუქირო, პირი დაანახვა, მშვილდი გამოართვა და გოზახედ აკოცა. ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ მოსწივა. მერმე სარჯანს მისცა, ვერც იმან მოსწივა. ისევ ხოსროვშირს წინ დაუდგა, ქება შეასხა და ბოღიში მოითხოვა. მერმე უშანგმა სინდის ფალავნები დაითხოვა, დასტური უბოძა და გაისტუმრა, და იმათაც ხელმწიფე დალოცეს და წავიდნენ. იმ ღამეს ქეშიკი ყაპყაი ფილურსავარ იყო. წინ გაუძღვა და თაჟიანთ ჯარს გააცილა და წავიდნენ. ხოსროვშირიც თავის სადგომს მივიდა. მცირესა ხანსა დადგა და თავისი მოსამსახურენი სულ ყოველნი დაითხოვა და წავიდნენ თავისსა ალაგსა.

იმჟამად სარჯანი და გურგანი ქეთან-შაჰას კარზედ რომ მოვიდნენ თავისი ფალავნებით, ქეთან-შაჰ სარჯანს წინ მოეგება და სალამი მისცა. და შემდგომ თავის ალაგს დასხდნენ. სარჯანმა უშანგისა და ხოსროვშირის ამბავი, რაც ხოსროვშირსა და გურგანს ექმნა, ყოველივე უამბო. გულჩინ კი არ გამოუტყვადეს. მერმე ქეთან-შაჰას მიზეზით დაეთხოვა, ხელმწიფე და ყველანი თავ-თავის ალაგს წავიდნენ. გულჩინ მივიდა, ის ტანისამოსი გაიხადა და მოირთო. ხოსროვშირის ეშხზედ ღვინი გამართა, ხოსროვშირის ხელმწიფის შვილობის შეტყობაზედ დიდად გამხიარულდა, ამისთვის უფრო, რომ ასიმს ეთქვა: ის უშანგის მსახურიო. იმის გამტყუნებაზედ უფრო გამხიარულებული იყო.

## ამა ხოსროვშირისაგან ასიმის გაგზავნა სინდთა ლაშქარში გულჩინის საცნობელად

რა ხოსროვშირმა ასიმ გასაგზავნად მოამზადა, ასიმმა წელთა ქამარი შეიხსნა, ნახა რომ ორი ხანჯალი აღარა ჰქონდა. დიდად ამოიოხრა და თქვა: ის ხანჯლები გარდანქეშანმა მომცა. შეიტყო, რომ უშანგის მეჯლიშში აიარი ყოფილათ, დიდად შეწუხდა და თქვა: ხვალ და ზეგ გარდანქეშანი რომ მოვიდეს, მკითხოს, ჩემი მოცემული ხანჯლები რა გიქნიათ? თუ ვიტყვი, ხელმწიფის მეჯლიშში მომპარეს, რას მეტყვის, შენ როგორი აიარი ხარო, რომ ვერ შეიტყევო? ეს სიტყვა რომ მითხრას, სიკვდილი მირჩევიანო. ესე თქვა და კარში გავიდა, ნახა, რომ ხოსროვშირი იმისკენ მოვიდოდა. მოეგება, თაყვანი სცა; შემოვიდნენ, მივიდა და ასიმის ტახტსა დაჯდა, წელიდამ ერთი ხანჯალი ამოიღო, მისცა, რომ ერთის ქვეყნის ხარაჯად ღირდა, და უბრძანა: დღეს რომ ფალავანი შემება, ის ვინ არის და ვისი შვილი არისო? დიდად შეეხვეწა და უთხრა ასე, რომ თვალებიდამ ცრემლი გარდმოყარა, თუ შემეიტყობ, ამდენს საქონელს გიბოძებ, რომ თვალთ არავის ენახოსო. ეს უბრძანა და დიდად ამოიოხრა.

ასიმმა ხოსროვშირის წინ მიწასა აკოცა და მოახსენა: ხელმწიფის შვილო! გათენება მოახლოვებულა, მაგრამ თქვენის გულისთვის წავალო. იმ ჟამად ასიმ სინდის ჯარში მივიდა, ნახა, რომ გულჩინის კარავში, საზანდრების ხმას ქვეყანა მოეცვა. ასიმმა თვისი მოსვლა შეატყობინა. გულჩინს იმისი მოსვლა დიდად იამა. შეიყვანეს ასიმ, გულჩინს თავი დაუკრა, ნახა, რომ გულჩინს პირს საბურველი აღარ ეფარა, დიდად მხიარული ზის. ასიმს საზანდრებთან ალაგი უჩინეს და დასვეს. თვისი საკრავი რუბაბი ამოიღო, გამართა, მცირეს ხანსა დაუკრა, მერმე გაუშვა საკრავი. შეხედა, რომ თვისი ხანჯლები გულჩინს წელთა ერკო. დიდად შეწუხდა და თავი დაჰკიდა და დაფიქრდა. გულჩინმა შეატყო, რომ ხანჯლები იცნაო და მკვდარს დაემგზავსა. მერმე მოახსენა ასიმმა გულჩინსა: ნუ გეწყინება და ეგ ხანჯლები ვისი გაკეთებული არისო? გულჩინმა გაიცინა და უთხრა: გურგან რომ მაშიჩემისთვის მოვიდა, ერთი აიარი მყავს, იქ ერთს კაცსა მიეცა და იმან მომიტანაო.

მერმე უთხრა: ასიმ, დღეს ომში სად იყავიო? ასიმმა მოახსენა: ხელმწიფის შვილო! მე ვინ და ომი ვინაო? როდესაც საომარს ნალარას გავიგონებ, მე შიშით გულს შემომეყრება და უჭკუო შევიქნე-

ბიო, თავს წავისურამ და ძილს მივეცემიო. ან არა, ომის დღეს გავალ და შორილამ უყურებო, ვიდრემდის ომი გარდასწყდება და მაშინ მოვალო. აქეთ-იქით ქალებმა სიცილი დაიწყეს და უთხრეს: ცოდვა არ არის, რომ შენ კაცი ხარ და ჩვენ ქალებიო. ჩვენ ყოველს დღეს ფალავნებს ვებრძვით და შენ არა გრცხვენინან, რომ აგრე გეშინიანო?! ასიმმა უთხრა: მე რომ მცირეს ხანს თქვენთან ვიყო, გულს გამიხეთქავთო. მაგრამ გულჩინს მრავალჯერ ენახა ომში, რომ ასიმს ნაჯახით ბევრი ფალავანი მოეკლა. გულჩინის ლალა გულნაზი გულჩინის წინ მძიმედ დაეჭრა და იმ მეჯლისში იწვა. გულჩინმა აღარ შეამჩნივა და ასიმმაც იცნა, რომ დღეს მე მკლავში რომ დავჭერ, ის ფალავანიო და თავის გულში სთქვა, ნუთუ დამინახა და მიცნაო, ასი ათასი სი-ცოცხლე რომ მქონდეს, ერთს ველარ მოვარჩინო. პირი მოარიდა და ზურგი შეაქცია, ისრე დაჯდა.

გულჩინმა შეამჩნია, რომ ასიმ გულნაზისაგან შეშინდა, უბრძანა: ასიმ, დღეს ერთი ფალავანი იყო, ჩემი ლალა რომ დასჭრა, ის შენა გგავსო, მაგრამ ის შენზედ უფრო მალალი არისო. ესე უთხრა და სიცილი დაიწყო. გულნაზმა გულჩინს შეხედა და მოახსენა: მართალს ბრძანებ, მაგას ჰგევანდაო, ეგ თუ არისო. გულჩინმა უთხრა: ეს არ არისო, და სიცილი დაიწყო, მე იმ ომში ვნახე, იმას შიქარგირ ჰქვიანო, გურგანი რომ იქ წავიდა, იმისთვის ორი ხანჯალი მოეპარაო. ასიმმა შეხედა გულჩინს და მოახსენა: სწორედ ბრძანებ, იმას შიქარგირ ჰქვიან, ქეივან-შაჰას აიარი არისო. იმისთანას ის ხმარობსო, ომში მრავალი ფალავანი მოუკლავსო. გულჩინმა გაიცინა და უთხრა: ასიმ, შენ სწორედ ამბობო, მე ის უშანგის მეჯლისში ვნახე, ერთს ვერცხლის სკამზედ იჯდა და რუბაბს უკრავდაო. ასიმ გაოცდა, ამას უშანგის მეჯლისის სად უნახავსო. მე შიქარგირ ვგონივარ, თორემ თუ მიცნა, ველარ მოურჩებო. გულჩინმა უთხრა: მართალი სთქვიო, დღეს რომ მამაჩემს ეომებოდა ის ვინ იყო და ან რა ჰქვიანო? მე იმისთანა მოხდენილი ფალავანი არ მინახავსო. ესე თქვა და ერთი დიდი ამოიოხრა. ასიმმა მოახსენა: იმას ყაზამფარ ჰქვიანო, ხელმწიფის ყული არისო, მაგრამ დიახ ძალიან ფალავანია, ბევრი ავიცა სჭირსო. გულჩინმა უბრძანა, მიაშბეო.

ასიმმა უთხრა: ერთი ესაა, რომ დედაკაცი არ უყვარსო, როდესაც დაითვრება და შინ მივა, ვისაც დედაკაცს დაახელებს, მაშინვე მოკლავსო. უშანგმა ორი ხელმწიფის ქალები მისცა, ორსავეს ცხვარსავით ყელები გამოსჭრა. იმ საქმეზე ის ორი ხელმწიფენი გა-

დაიმტერა. ბევრი ომები გარდაიხადეს და ბოლოს ორნწვე ყაზამ-  
ფარმა დახოცაო. რამდენჯერ ხელმწიფემ მისი სიკვდილი დააპირა,  
მაგრამ რადგან ძლიერი ფალავანი არის, ყარამანმა არ მოაკვლევინა.  
ახლა უშანგის ჯარში ყარამანის მეტი იმაზედ ძალიანი და გულოვა-  
ნი არავინ არისო. რამდენჯერმე ყარამანმა დაიჭირა და ჯინჯილით  
დააბა, მერმე კიდევ თვითონვე შეეხვეწა ხელმწიფეს და ააშვებინა,  
მაგრამ მინც კიდევ არ მოიშალაო. ამას გარდა მრავალი ავი ზნე და  
ხასიათი სხვა ჰსჭირსო. მაგრამ დიხს კარგი ვაჟკაცი არისო. იმის ქე-  
ბას ჩემს პირს ვერ ვატყვევებო.

რა გულჩინმა ასიმისაგან ისეთი საუბარი მოისმინა, შეატყო, რომ  
ეს იმისი ყარაზი მტერი იყო და რასაც ამბობს, სულ ტყუილი არის.  
მერმე ჰკითხა: იმ ფალავნობის შესაფერი სახე როგორი აქვს? —  
ასეთი სახე აქვს, რომ ვინცა ვინ ნახოს, ზიზლით გული აერევაო, ში-  
შით ნალველა გაუსქდებო. თვალნი მრუდე აქვს, წარბნი არ ასხია,  
პირი ყვავილისაგან დაგლეჯილი აქვსო. მეტად ავთვალადი და საზიზ-  
ლარიო, რომ უშანგის ჯარში იმაზე უფრო ავთვალადი კაცი არ  
არისო. ამ მიზეზითა პირსა საბურველს იფარებსო. გულჩინს დიდად  
გაუჟვირდა და თავის გულში იფიქრა, ნეტავი ეს აიარი რას ემართ-  
ლებო ხოსროვშირსაო, რომ ამდენს ტყუილს უგონებსო. დიდად  
ეწყინა გულჩინსა და მერმე უთხრა ასიმსა: კარგია, გაუშვი მაგდენი  
ლაპარაკიო, ახლა დაუკარო. ასიმმა მიჰყო ხელი საკრავს და ასეთი  
ხმით დაუკრა, რომ მისის ხმითა ყოველნი გაჰკვირდნენ. რა რომ გა-  
თენებამ მოატანა, გულჩინმა ასი ოქრო და ერთი ხალათი და ერთი;  
ხანჯალი უბოძა და ასიმი შინისაკენ გამოემგზავრა მწუხარებით.

რა ასიმი მოვიდა, ნახა, რომ ხოსროვშირი ისევ თავის კარავში  
ოჯდა, ამბების მომლოდინე იყო. ასიმი წინ წადგა და თავყანი ჰსცა-  
ხოსროვშირმა შეხედა, ნახა, რომ ასიმს ერთი ხელი ხალათი ტანზედ  
ეცვა და უბეში ერთი ქისა ფლური ედვა, წელში ერთი მურასა ხან-  
ჯალი ერჭო და თვითონაც მთვრალია. ხოსროვშირმა ჰკითხა: ჩემო  
ნუგეშის მომცემო ასიმ, რა ამბავს მეტყვი? ასიმმა მოახსენა: ხელმწი-  
ფის შვილო, რა აქედამ წაველ, არსად არ დამდგარვარ, სინდისტნის  
ჯარში რაც კი კარვები იყო, სულ თვითო-თვითო დავიარე და ვერა  
გავიგე რა. ხოსროვშირმა შეატყო, რომ ასიმის სიტყვა ყოველი სულ  
ტყუილი იყო, თვის გუხნებაში თქვა, რომ ამაში ერთი ეშმაკობა არი-  
სო. ეს უნდა შევიტყო. მერმე უთხრა: ეგ ხალათი, ეგ ოქროები და  
ეგ ხანჯალი ვინ მოგცაო? ასიმმა მოახსენა: ხელმწიფის შვილო, ჯარ-

ში ერთს კარავში მიველ და იქილამ მოვიპარეო. ხოსროვშირმა უთხრა: აბა, მოიტანე ეგ ხანჯალი, მიჩვენეო? ასიმმა ფიცხლავ ამოიღო და ხოსროვშირს მისცა. ხოსროვშირმა დიდად მოიწონა, დახედა, რომ ტარზედ ეწერა, სარჯანის ასული გულჩინისა ვარო. ეს რომ წაიკითხა, ეშხის ცეცხლი მოედვა, ერთი დიდად ამოიოხრა და ყარამანის მსგავსი თვალები ცრემლით აივსო, იმ ხანჯლიდამ საყვარლის სული მოედინა და ის ხანჯალი გულზედ მიიკრა, ასიმს დიდად გაუქვირდა და ის ხანჯალი ხოსროვშირს მიართვა. ხოსროვშირს ასეთნაირად გაეხარდა, რომ ასე ეგონა, გულჩინთან ვზივარო და მას ვემუსაიფებო. დიდად გამხიარულებული ადგა და შინ წავიდა. რა დილა გათენდა, ორსავე მხარეს საომრად დაემზადნენ და დასტები დააწყეს.

ქეთან-შაჰამ ბრძანება გასცა, რომ დღეს სპილოებით უნდა ვიომოთო. ასორმოცი ათასი სპილო ერთის მხრიდამ გაუშვეს ასე, რომ ამათმა ყვირილმა ქვეყანა მოიცვა. სპილოების უკან ასი ათასი სინდისტნის ჯარი მოჰყვა ხმალ ხელ-მოკრული. ნარა გასწივეს და უშანგის ჯარს შეუტყვეს. უშანგმა ნახა, რომ სპილოები საომრად მოურთავთ, ზურგზედ ხმლები დაუკრავთ და ციხეები გაუქეთებიათ, შიგთვითო ფალავანი ჩაუსვიათ, ზოგს ზამბურაკი და ზოგს იარაღები ეკირათ. სხვა და სხვა სპილოები სულ ერთმანერთზედ გადაებთ, მემარჯვენე და მემარცხენე სარდლები მოასხა და თავის ალაგას გაისტუმრა. ხოსროვშირმა ასი ათასი კაცი მარჯვენის მხარისაკენ გაისტუმრა, ორი ათასი კაცით შარიბ-შაჰ ბაირალებთან დააყენა, სხვანი თვისთან შეყარა. სინდებს ოთხმოცი ათასი სპილო წინ მიაგება უშანგმა. ამათაც ღმერთი ახსენეს, თავი კალთაში გამოიხვიეს. და იქით მხარეს — ორი ათასი სპილო, და აქეთ — ოთხმოცი ათასი სპილო, ეს სპილოები ერთმანერთში დაერივნენ. ასეთი ომი შეიქმნა, რომ ყოველი კაცი გოცებულებო. ამ სპილოებზედ ამდენი ფალავნები სულ დაიხოცნენ, ასე რომ ერთი ცოცხალი აღარ დარჩა. ერანელთა, სინდელთა და ჰინდელთა ასეთი ომი შეექმნათ, ორსავე მხარეს ასე გაჭირდა, რომ ღვთის მეტი ამათი გამშველებელი არავინ იყო. სპილოების ხმითა ქვეყანა იძროდა.

იმ დღეს იმ ომის შიშითა ზღვაში ნიანგნი და მთაში ნადირნი სულ დაფრთხნენ. ორივე ლაშქარნი იმ სპილოებისაგან ბეზარი შეიქმნენ, მრავალი სახელოვანი ფალავანი ამოწყდა სპილოების ფეხქვეშ. ორნივე ხელმწიფენი დიდად შეწუხდნენ ამ სპილოების შებმაზედ. ამ სპილოების ხმითა ცხენნი და მარტორქანი სულ დაფრთხნენ და გარ-

დღევანდელ, მრავალი ეცადნენ, რომ გაეშორებინათ, მაგრამ ვერ მოაშორეს. რომელიც ფალავანნი მივიდოდნენ, დახტულდნენ. შიშით ველარავინ მიუდგა. შორს დასტები დადგნენ და ყურება დაუწყეს სარანდების მთის კალთაში. მაგრამ ხოსროვშირი თორმეტი ათასის ხელმწიფის შვილით დავიდოდა და ასწავლიდა, ხან ამ დასტას შეუტევდა, ხან იმ დასტას შეუტევდა და დაჰფანტავდა. ხოსროვშირი-ნახა, რომ ოცდაათი ათასი კაცი დგას, მათში შვიდასი პირსაბურველიანი ფალავანია. ზოგნი მარტორქაზედ იხდნენ და ზოგნი რაშზედ იხდნენ, ამათში ერთი ქალი ერივა, მურასად მორთული პირსაბურველიანი, ერთს უცხოს მარტორქაზედ ზის და ამ სპილოების ომის თამაშს უყურებს. ხოსროვშირი მაშინვე შეატყო, რომ ეს გულჩინ არისო. ომისაგან ხელი აიღო და გამობრუნდა. ეს სპილოები ამ საშინელს ბრძოლაში იყვნენ.

ნახეს, რომ სარანდების მთიდან ერთი საშინელი ხმა მოვიდა, ასეთი ხმა იყო, რომ ცისა ქვეყანაზედ დაცემის ხმასა გვანდა, ამ ხმაზედ სპილოები გაშველდნენ და გარეტებულრევით დადგნენ. მცირეს ხანს უკან ნახეს, რომ სარანდების მთიდან ერთი საშინელი მხეცი გამოვიდა, ასე ღრიალებდა, რომ მისი ხმითა ქვეყანა ირყეოდა. რა სპილოებს მოუახლოვდა, საკვირველი ხმები აღმოუტევა, ოცდასამი რიგი ხმები იყო. იმ მხეცსა თავი მარტორქას უგვანდა, თვალები ცეცხლსა, ოთხი თვალი ედგა, შვიდი ფეხი, ბოლო ვეშაპს უგვანდა, მუცელი სპილოსა და ზურგი ვეფხვსა, შვიდი სპილოს ოდენი იყო. რა რომ იმ მხეცმა სპილოს ჯარი დაინახა, შეუტივა და ურიცხვი ამოწყვიტა, აქეთის ჯარის სპილოები აქეთ გამოიქცნენ და იქითისა იქითა, მაგრამ რომელსაც მოეწივა, გაუკითხავად ხოცდა. მაგრამ უშანგის სპილოები გაუშვეს, ქეთან-შაჰის სპილოებს გამოუდგნენ.

გულჩინ შეშინდა, ერთს გზაზედ ავიდა და იქიდან ყურება დაუწყო. იმ მხეცმა სპილო რომ ველარ მოახელა, ქეთან-შაჰას ჯარს შეუტივა და ქეთან-შაჰას და სარჯანს მიუახლოვდა. იმათაც შეიტყვეს, რომ მხეცსა უსიკვდილოდ ვერ გარდაურჩებოდნენ, გაექცნენ და რომელთავე ფალავანთა სიმხნე იხმარეს და დაუდგნენ, მაგრამ ვერა რომელი იარაღი მოეკიდა, არც ხმალი, არც შუბი, არც ისარი და არც ლახტი არ მოეკიდა. ვინც გაიქცნენ, მორჩა და რომელიც დარჩნენ, ამოწყვიტა, ასე რომ სისხლის მდინარე აღინა, შუბლზედ ერთი დიდი რქა ება. ღორის ყურები ჰქონდა. იმ რქის ძალით ესრეთ მიიხოცდა, ქეთან-შაჰის ნახევარი ჯარი ამოწყვიტა. და რა ამათგან მოიცალა,

ახლა უშანგის ჯარსა შეუტევა. რა ხოსროვშირმა იხილა, დიდსა მწუხარებასა მიეცა და თქვა: ეს მხეცი ჯარსაც გააოხრებს და ხელმწიფესაც მოჰკლავსო, ფოლადის ჯაჭვი მოითხოვა და შავად შეიკაზმა და იარაღი აღარ ჰქონდა და ერთი ყარაშანისეული ხმალი იქონია, რომელიც რომ რამინ-შაჰისაგან ყოფილიყო ნანადერძევი ყარაშანისათვის. ხოსროვშირმა ყარაშანისეული ვეშაპის ტყავის ქამანდი აიღო და თქვა: ან თავსა ჩემსა მოვიკლავ დღეს და ანუ ჯარს დაეიხსნო ამ მხეცისაგან. რა მან მხეცმან ჯარს მომართა, საცა ხელმწიფე იდგა, იქით მხარესა შეუტევა. ხოსროვშირმა პირდაპირ მისვლა ვერ გაბედა, უკანიდამ მოექცა. ქეთან-შაჰამ და მათმა ჯარმა იმათზე მისვლა რომ ნახეს იმ მხეცისა, წარმოდგნენ და თამაშა დაუწყეს და გულჩინიც უყურებდა, უშანგის და შარიბ-შაჰის ხმა ცამდინ აღიწევა, ყოველნი მუხლმოყრილნი ღმერთს ევედრებოდნენ.

იმეამად ხოსროვშირი უკანიდამ ერთს ფარსანგზედ მოეწია, ახსენა ღმერთი და ქამანდი შესტყორცნა, იგი ქამანდი კისერსა გარდაეცვა; რა ქამანდი გარდაეცვა, ხოსროვშირმა უკუ მოსწევა, მაგრამ მან წყეულმა მხეცმა ესრეთ გასწევა, რომ ხოსროვშირ საჯდომიდამ გარდმოავდო, რამდენიმე მკლავების ძარღვები შეაწყვიტა, სისხლი მდინარესავით სდიოდა, ესე რომ ფოლადის ჯაჭვი სისხლით აევსო, ერთსა აღაჯზედ ათრივა, ასე ეგონათ, რომ ხოსროვშირ მოკვდაო, გლოვისა და ტირილისა ხმა ზეცამდისნინ აღიწევა; ეს მხეცი ჯარს მიუახლოვდა, მაშინ ხოსროვშირ გონებას მოეგო, ნახა, რომ თავის საჯდომიც უკან მოსდევდა, ახსენა ღმერთის სახელი, იხმარა სიმხნე და ვეფხვებაავით წარმოხტა. რა ესე სიმხნე ხოსროვშირისა იხილეს დიდსა სიხარულსა მიეცნენ და დიდსა ქებას შეასხმიდიან. ხოსროვშირმა ფეხები გაიმაგრა და გამოზიდა, მხეცი იგი დააყენა, რა მხეცმან უკუ მოიხედა, კვალად ძალიან გაზიდა, მაგრამ ველარ დასძრა და განრისხებულმა ხოსროვშირს შემოუტევა. ხოსროვშირმა ყარაშანისეული რამინ-შაჰის ხმალი ამოიღო და გულუშიშრად დაუდგა. მხეცმან ხოსროვშირის საჯდომს შეუტევა, ჰკრა რქა და მოკლა, კვალად გაიწია. ხოსროვშირმა ხმალი ძირს დასდვა, ფეხები გაიმაგრა და გამოზიდა.

რა ქამანდმა ყელში წაუჭირა, ხრიალი დააწყებინა და უმეტესად გამწარდა, ხოსროვშირს შემოუტევა. ხოსროვშირმა ხმალი მიიცა ხელთა და რა ახლო მოვიდა, მოუქნივა იგი, მხეცი რქაზედ აგებას უპირებდა, მაგრამ ხოსროვშირმა ასეთი მედგრად შემოჰკრა ხმალი,

რომ იგი დიდი რქა გააგდებინა. მან მხეცმა რომ თვისი თავი ესრეთ იხილა, ესრეთ გამწარდა, რომ ხოსროვშირს შემოუტევა. ხოსროვშირმა მეორედ კიდეც სცა ხმალი, ორი თვალი და ნახევარი თავი მოჰკვეთა; გამწარებული მხეცი ესრეთ აღემატა და ტოტები ესრეთ დასცა, რომ ხოსროვშირ პირქვე წაწვა, მსწრაფლ წამოხლტა ზეზეც და მესამედ ხმალი ფეხებში სცა და სამი ფეხი მოჰკვეთა, მხეცმა გამწარებული ასეთი თავით შემოჰკრა, რომ წვრილის რქითა გულის ფოლადი გაუხეთქა და გულდაღმა გადაეარდა. იგი მხეციც იქით გარდაეარდა. ხოსროვშირ დიდად მოუძღურდა და დაილალა, მაგრამ კიდეც სიმხნე იხმარა, მეოთხე ხმალი სცა, ბოლო მოაგდებინა, მხეცი კიდეც წამოხლტა, შემოუტევა. ხოსროვშირმა ხმალი მიაგება, პირსა სცა და თავი შუა გაუკვეთა, ნახევარი აქეთ დაეკიდა და ნახევარი იქითა, მხეცი კიდეც არ წაიქცა. მეხუთე ხმალი წელში სცა და წელმოსწყვიტა და ეს საზარელი მხეცი დიდს მთასავით ძირს დაეცა.

ხოსროვშირმა მაშინვე დაიჩოქა და ღმერთს მადლობა შესწირა. მიბრუნდა, ყელი გამოსჭრა და მისი სახსენებელი ქვეყნიდამ აღხოცა. მისთა მხილველთა უშანგ ხელმწიფემ და ყოველთა ღმერთს მადლობა მისცეს, მაშინვე შირფანჯა აიარი მოვიდა და საჯდომი ცხენი მოჰგვარა. ხელმწიფე უშანგ, შარიბ-შაჰა წინ მოეგებნენ, თვალი და პირი გარდაუყოცნეს და მიულოცეს. რა ჯაჭვი გახადეს, ნახეს, რომ სულ სისხლით სავსე იყო. მკლავები შეუკერეს და სამთელელები წამლები დაადვეს. იქით მხარეს გულჩინ მხიარული გაბრუნდა, მეჯლიში გამართა, აქეთ ხოსროვშირს ასეთი ტანისამოსი მოართვეს ხალათად, რომ თვითო თვითო ქვეყნად ღირდა; მოვიდნენ, კარავში მეჯლიში გამართეს, ხოსროვშირ მცირეს ხანს იჯდა, მერმე დაღალულობის მიზეზით დაეთხოვა და თვისსა კარავში მივიდა.

## აჰა ხოსროვშირისა და გულჩინის ერთად უხუცა

რა ხოსროვშირ თავისსა კარავში მივიდა, ცოტას ხნის შემდეგ კაცი გაგზავნა და ასიმ აიარი მოიხმო. ხოსროვშირმა უთხრა ასიმს: აიარო, ღმერთი მოიგონე და ჩემი სავედრებელი აღასრულე; წადი. იმ ფალავნისას და ბინა მაცოლინე. მაშინვე ასიმმა თავი დაუკრა და მსწრაფლ წასასვლელად დაემზადა. ნახა, რომ შირფანა და ჯეიარ დაშტი შემოვიდნენ, რომელნიც ხელმწიფეს ხოსროვშირის მოსაკითხავად გამოეგზავნა, მათ მოიკითხეს და კარგად ყოფნის ამბავი მიუ-



ტანეს ხელმწიფეს. ესენი რომ წავიდნენ, ხოსროვშირ მსწრაფლ გამოვიდა და ასიმის კვალს გამოუდგა. რა ასიმ აიარი მივიდა გულჩინის კარავთან, მაშინვე აცნობა თვისი იქ მისვლა. გულჩინმა მსწრაფლ ბრძანა ასიმის თვისი მეჯლიშიში შეყვანა. მსახურებმა შეიყვანეს და ასიმ ტახტის წინ დასვეს და თვისი საკრავი მომართა. რა ასიმმა საკრავი მომართა, ისეთის ტკბილის ხმით დაუკრა, რომ კაცს გონებას მოსტაცებდა. ხოსროვშირ ასიმს უკან დასდევნებოდა და ესეც იქ მივიდა, შევიდა და ფარულად დადგა. იმჟამად გულჩინთან მეჯდომარემ სურხავმა ხოსროვშირს თვალი შეასწრო და დაინახა, გულჩინს ჩუმად მოახსენა, რომ ხოსროვშირ აქ არისო და იყურებო. გულჩინს სინარულით აყვავდა, სურხავს უთხრა: ასიმ ხოსროვშირზედ ალაპარაკეო, იმისთვის რომ ხოსროვშირმა თვისის ყურით გაიგოს, რომ ეგ წყეული სულ აძაგებს და მაგისთანა კარგი ერთგული მსახური რომ ჰყოლიაო, შეიტყოს ვითარი მტერიაო მისი.

იმჟამად უშანგ ხელმწიფეს შირფანჯა აიარი და თეიარ დაშტი რომ გამოეგზავნა ხოსროვშირის მოსაკითხავად, იმჟამად ესენი მივიდნენ, ხოსროვშირის კარგად ყოფნის ამბავი მოახსენეს და ხელმწიფე დიდად გამხიარულდა. იმჟამად უშანგ-შაჰას მეჯლიშიც მოიშალა და ყოველნი მოსვენებას მიეცნენ. შირფანჯა და თეიარ დაშტი ერთმანერთს ეუბნებოდნენ: ხოსროვშირს რომ სალამური ტანისამოსი ჩაეცვა, არამც თუ სინდეთის ლაშქარში წავიდესო? მივიდნენ, ნახეს, რომ ხოსროვშირი თავის კარავში აღარ იყო, იმათაც სალამური ტანისამოსი ჩაიცვეს და გამოუდგნენ, მაგრამ სხვა და სხვა მხარეს წავიდნენ. რა სინდეთის ურდოს შიატანეს, თეიარ დაშტიმ ერთის კარვიდამ ლხინისა და შექცევის ხმა შეიტყო, მივიდა და კარავში შევიდა, საცა ხოსროვშირ იდგა, იქ დადგა. რა რომ ხოსროვშირმა იგი ნახა, დიდად იამა. შირფანჯა აიარმაც იმ ურდოს კარვები ყოველი დაიარა, ბოლოს ისიც იქ მივიდა და ხოსროვშირთან დადგა ისიც ესე, სამნი ერთად შეიყარნენ. მაშინ სურხავმა იფიქრა და თქვა თავის გულში: დიდად სამხიარულო და საკვირველი საქმე იქნება, თუ რომ ხოსროვშირ გაუარშიყდებოდეს გულჩინსაო. გახედა, ნახა, რომ ერთი შავით მოსილი კაცი მოვიდა და დადგა ხოსროვშირის უკან და მეჯლიშს ყურება დაუწყეო. იმის უკან ერთი შავით მოსილი კაცი კიდევ მოვიდა და ისიც ხოსროვშირის უკან დადგა და იმანაც იმ მეჯლიშიში ყურება დაიწყეო. სურხავმა რა შირფანჯა დაინახა, დიდად მოეწონა, მაგრამ ვერ იცნო, თუ ვინ იყო. ხოსროვშირმა ასიმ დაინა-

ხა და იცნა, რომ იმ ტახტსა წინ დაეჩოქა და საკრავს უკრავდა, მაგრამ თვალი იმ ქალზედ ეჭირა და ცნობა მიეფანტა იმ ქალის სიყვარულისაგან. შირფანჯამ შეხედა, ნახა, რომ იმ ტახტზედ ერთი ქალი ზის, რომ მის შუქსა ის მეჯლისი გაენათებინა, მისი ეშხის ისარი შირფანჯას გულსა გაეწონა ისე, რომ იმ ქალის ქება ენით არ ითქმოდა. გულჩინის გარდა უკეთესი არა იყო რა. შირფანჯამ ხოსროვშირს შეხედა, ნახა, რომ ხან გაწითლდება, ხან გაყვითლდება. მერმე თეიარ დაშტიმ შეხედა, რომ გულჩინის ხმაზედ ხელი ეღვა, თვალი ხოსროვშირზედ ეჭირა, აიხედა გულჩინმა და ასიმს უთხრა: ნახე, იმ შავმა ცხენზედ მჯდომმა უშანგის ყულიმ ყაზამფარმა რამდენი ვაჟკაცობა ჰქმნა! თუ დღეს ის არ მოსულიყო, ის მხეცი მამაჩემსა და ქეთან-შაპას ორსავე დახოცდაო. ბარაქალა მის დედასა, რომ იმისთანა შვილი უშობიარო და საქებელია მისი მამა, რომ იმისთანა შვილი შეუქმნიარო. და ქვეყანაზედ საქებია, ვინც იმისთანა მამაცი და ძალოვანი გამოვაო, მაგრამ ესაა საკვირველი, ასიმ, რომ შენ იმას ყულს ეძახიო, მე ვნახე, რომ უშანგ-შაპს იმაზედ უსაყვარლესი არავინ ჰყავსო.

ასიმმა მოახსენა: მართალია პატივსა სცემსო, მაგრამ ხელმწიფეს ბევრჯერ უნდოდა მისი სიკვდილიო და ხელმწიფის ძმისწულმა იპატიარო. უშანგმა რომ იმისთანა პატივი მისცა, ამ მიზეზისათვის პატივი დასდევო, რომ იმისთანა საშინელი მხეცი მოკლარო. ეს რომ მოისმინა გულჩინმა, სურხავს თვალით ანიშნა, რომ ასიმ ალაპარაკეო. სურხავმა უთხრა: ასიმ, შენ რომ ამბობ, მხეცის მკვლელი უშანგის ყულიარო, მე ვნახე. რომ უშანგ-შაპის მეჯლისში იმაზე უკეთესი არავინ იყო, როდესაც ელაპარაკებოდა ხოლმე, თვალის სინათლეს ეძახდა, ჩემო სიცოცხლეო! ასიმმა უთხრა: ის რომ გინახავს, უშანგის ძმისწულარო, შარიბ-შაპას შვილიო, იმას ხოსროვშირ ჰქვიანო, თავის დღეში ცხენს არ შემჯდარა და არც ფალავანიარო, არც თავის დღეში ხმალი მოუქნევიარო. როდესაც ომი შეიქმნება, იმას რამდენსამე ფალავანს მოუყენებსო, რომ ომი არ ნახოს, მეტად მხდალი და ქალაჩუნა არისო, დედის მუცლით ისე მხდალი არის დაბადებული. უშანგ-შაპა ამის წამოყვანას დიდად სწუხდა. მერმე სურხავმა უთხრა: მამ იმ ყაზამფარს პირს საბურველი რად ჩამოუფარავსო? ასიმმა უთხრა: მეტად ავთვალადი არის და საზარელი სახისარო. ამის მიზეზით უშანგ-შაპმა უთხრა, რომ პირს ნულარ დამანახებო.

სურხავმა ჰკითხა: იმ ყაზამფარს ცოლი ჰყავს თუ არარო? ეს სურ-

ხავი ასიმს სცდიდა და ალაპარაკებდა იმ ხოსროვშირის გასაგონებლად. ასიმმა უთხრა: ის მცვედანია, უშანგმა ორი-სამი ხელმწიფის ქალი უთხოვა ცოლად, მაგრამ მაშინვე დახოცაო. ხოსროვშირს ესეთი ლაპარაკი ყველა ესმოდა, მაგრამ იმდენი უმგზავსოდ ილაპარაკა ხოსროვშირზედ, რომ ყურით არ გაიგონებოდა. ხოსროვშირი დიდად განრისხდა, უნდოდა რომ გამოჩენილიყო და ასიმ აიარი მოეკლა, მაგრამ კიდევ მოითმინა ამ მიზეზითა, რომ გულჩინს ეწყინებო და მეჯლიში წაუხდებო. სურხავმა ინდოურად უთხრა და ანიშნა გულჩინს ხოსროვშირის დანახვა. გულჩინმა რომ დანახა, სამნი შავით მოსილნი ერთს ალაგს იდგნენ აიარულად მორთულნი, მარჯვნივ და მარცხნივ ხანჯლები ერჭოთ, დიდის მრისხანის თვალით უყურებდნენ, ინდოურად ჰკითხა: ისინი ვინ არიანო? სურხავმა უთხრა: წინ რომ დგას, ის ხოსროვშირ არისო. იმას უკან რომ დგას, თეიარ დაშტი არისო, ხოსროვშირის ლალა არისო, მესამე კი არ ვიციო. გულჩინმა უთხრა: რა იქნება, რომ ტახტზედ მოვიწვიოთო. სურხავმა უთხრა: ჯერ დრო არ არისო. ეს აიარი კიდევ ვალაპარაკოთ, რომ იმათაც თავიანთ ყურით გაიგონონ ხოსროვშირის ძაგებო, კაცნი იცნანო, რომ ეს იმათი ხმა არისო და იმათი გაზრდილიო, რომ ამდენს ავს ლაპარაკობსო.

მერმე მობრუნდა, ასიმს ჰკითხა: კიდევ რა სჭირს იმ კაცსა ურიგო? ასიმმა უთხრა: იმის ურიგობას ვინ მოსთვლისო, ხელი დაშვეებული აქვსო და თვითონაც ფუშინიაო და ქაჩალიო. მერმე იმ ქალებმა უთხრეს: ბევრს ნულარ უძრახავ, სირცხვილი არისო ამდენის თქმა. სურხავმა თქვა: მე რამლის ყრა კარგად ვიციო, რამლს ვყრი. ვნახოთ, ესენი იმ ყაზამფარს ჰსჭირსო თუ არაო. აილო რამლი და შეჰყარა. მერმე გულჩინს შეხედა და მოახსენა: ბრწყინვალეო, ჩემს რამლში ასე დავინახე, აქ ერთი ხელმწიფის ფალავანი ყაზამფარ არისო. მობრუნდა, ასიმს ჰკითხა: ახლა ერანის და თურანის ჯარში ფალავანი ვინ არის? ასიმმა უთხრა: ყაზამფარ არისო. მაგრამ მე რომ წამოველ, ის ავადმყოფი გაუშვი, ჩემს მოსვლამდინ თუ არ მოკვდა.. კარგი იქნებაო. გულჩინმა რომ ეს გაიგონა, მოიწყინა. სურხავმა უთხრა: აბა ერთი რამლსა ვკითხოთო, ცოცხალია თუ არაო? მნათობო, ის ყაზამფარ ცოცხალიაო, მაგრამ ერთი რამლსა ვკითხო, გუშინ რომ მხეცი მოჰკლა, ის მართლა ყაზამფარი არის თუ არაო? შეჰყარა რამლი და მოახსენა: ის მხეცის მკვლეელი არავისი ყული არ არისო. ისიც ერთი სულთანი არისო. უშანგის ლაშქარში იმაზე უფროსი

არავინ არისო, თვითონაც ხელმწიფის შვილი არისო. ერთი ვინმე გაარშიყვებია და ვეჭობ, ისიც არშიყი იყოსო და იმის მეჯლისში არისო. იმას ორი ფალავეანი სხვა ახლავსო.

ეს რომ თქვა, ასიმ აიარი ექვში ჩავარდა და თქვა თავის გულში: ის უპგზავსო აქ არ იყოსო. ოთხსავე მხარეს თვალი მოავლო და თქვა თავის გუნებაში, თუ რომ მე მომატყუა, ავადმყოფობა მოიგონაო, ის არ ვიცი. თუ არა და, ეს რას ამბობსო, არამც აქ იყოსო? მერმე გულჩინმა ბრძანა: სურხავ, მაგას რომ ამბობ, ვისიც არშიყია, იმის მეჯლისში არისო, მაგ შენის სიტყვის სიმართლე რით უნდა გამოაჩინო? და ან იმისი საყვარელი ვინ არისო? ეს უნდა შევიტყოო. სურხავმა უთხრა: ჩემი რამლით თუნდა შვიდ ზღვის ქვეშ რომ იყოს, მაინც შევიტყობო, აბა ერთსაც ვყრი და ვნახო, ეხლა რას იტყვის? მერმე კიდევ შეჰყარა. რა ხოსროვშირმა დაინახა რამლის ყრა, თავის ლალას და შირფანჯას უთხრა: ახლა ამ მერამლე მ ჩვენ რომ შეგვარცხვინოსო, მოდი, გავბრუნდეთო. თორემ ვაი თუ შეგვიტყოსო!

იმეამად ასიმ ზე აღზდგა, ხელმწიფის ასული დალოცა და გამოეთხოვა, დავითვერ, გთხოვთ, ახლა დასტური მიბოძოთ, რომ წავიდეო. გულჩინმა შეატყო, რომ ასიმი გაპარვას აპირებსო. გულჩინმა უთხრა: ასიმ, ჯერ მოიცადეო, სურხავის სიმართლე და სიმტყუნე გამოვაჩინოთ და მერმე წადიო. ასიმი დაღონებული დაჯდა. სურხავმა რამლი კიდევ შეყარა და მოახსენა: ის ხელმწიფის შვილი სარანდიბის მთის ძირზედ ერთი ხელმწიფის შვილის მეჯლისის თამაშას უყურებსო. ხოსროვშირმა, თეიარ დაშტიმ და შირფანჯამ ძლიერ მოიწონეს სურხავის მერამლობა. გულჩინმა უთხრა: სურხავ, დათვერ, თუ რას ამბობო? არ ვიცი, სარანდიბის მთის კალთაში ჩვენს მეტი ვინ არისო? ამის მეტი მეჯლიში არსად არისო და ამ მეჯლიშში, ვგონებ, უცხო კაცი არავინ არისო. ის სამნი კაცნი სადღა არიანო. უნდა აღზდგე და იპოვნო. სურხავმა მოახსენა: ხელმწიფის ასულო, სწორედ აქ არისო, ნება თქვენი ასრულდესო, რაც გნებავდეთ, ისე ჰქმენითო. გულჩინმა უთხრა სურხავს, ახლა ისინი როგორ უნდა მოვიპატიოთო? სურხავმა მოახსენა: ზე აღზდგე, რამდენიმე ქალთ ხელთა ტაბაკები მიეც ჯავაპირით სავსე და მიდი, თავს გადააყარე, დაუჩოქე, შეეხვეწე და მოიყვანე და ტახტზედ დასვიო.

გულჩინმა მსწრაფლ უბრძანა თავის მხეველთა და ყველამ თვითო ტაბაკი ჯავაპირი ხელთა დაიჭირეს. გულჩინ წინ წაუძღვა დიდის

რხევითა და სინაზითა, სადაც რომ ხოსროვშირ იდგა, მას მხარეს წავიღწენ. ეს ქალები თავისკენ მიმავალი რომ დაინახა ხოსროვშირმა, დიდად იამა. რა გულჩინი ხოსროვშირის სიახლოვეს მივიდა, იმ ტაბაკებით თვალ-მარგალიტნი თავს გარდააყარეს და გულჩინი, დილა-ფრუხ და სურხავ წინ მიეგებნენ, პირ-მიწა-გაერთებით ქება შეასხეს. მერმე გულჩინმა მოახსენა: მშვიდობა თქვენი მოსვლო, ბედნიერი იყოს თქვენი აქ მობრძანებაო, გთხოვთ, რომ მობრძანდეთ თქვენი ბრწყინვალეობა და ჩვენი მეჯლიში განანათლოთ! რა ხოსროვშირმა ამათგან ესე სიტყვა გაიგონა, გულჩინს მოახსენა: 'ბრწყინვალე და მშვენივით შემკულო, მიმამგზავსეთ ვისმეს? გულჩინმა მოახსენა: ჰეი, შენ ხელმწიფის შვილო! მე ზეცაში გეძებდი და შენ ქვეყანაზედ ხელში ჩაგიგდეო, ხელმწიფის შვილო, განა ვერ გიცნობთ, რომ თქვენ ხოსროვშირ ბრძანდებით, თქვენსა თავსა ჩემთან რადა ჰფარაეთო. მზისა სხივისაგან უფრო გაბრწყინებული ხარო.

მერმე სურხავ წინ წადგა, შირფანჯას უთხრა: ეს ჩვენი ხელმწიფის ასული გულჩინ არისო და ეგეც თქვენი ხელმწიფის შვილი ხოსროვშირ არისო. ერთმანერთს გაარშიყებიან ამ ომში, მადლობა ღმერთსა, რომ ესენი ერთმანერთს შეეყარნენ და ნახვა მოუხდათო. ამის სამახარობლად გემარაიებს, რომ წყალობა მოიღოთო და თქვენ ეგ ხელმწიფის შვილი წამოიყვანოთ ჩვენს მეჯლიშში. საწუთროსაგან ეამი მოვიცათო და წინააღმდეგნი დავთურგნოთ და იმათ ერთმანერთის ნახვით იხარონო. ესე თქვა და პირ-მიწა-გაერთებით სალაში მოახსენა. თეიარ დაშტიმ და შირფანჯამ მოახსენა: ხელმწიფის შვილო, რა იქნება, დაუჯეროთ, ესეც ერთი ხელმწიფის ასულიაო, თვითონაც დიდი ხელმწიფე არისო, დღეს თავის მეჯლისში გვიწვივსო, და იმუსაიფოთ, თქვენი ბრწყინვალე სიტყვა გააგონოთ, ჩვენც, თქვენი მონანიც, თან გიახლებით, თქვენ ერთად ყოფნის გამო ჩვენც გაგვახაროთ და გვიმსახუროთო.

რა ხოსროვშირმა გულჩინისაგან ესეთი სიტყვები გაიგონა, დიდად გაუკვირდა და მოეწონა ამისი სიმდაბლე. გულჩინს ქება შეასხა და მოახსენა: ხელმწიფის ასულო, ჩვენ მაგ სიმდაბლის ღირსნი არა ვართ, მაგრამ რადგანაც თქვენ სიმდაბლით მიბრძანებთ, გიახლებით. კისერი გარდაადლო და დადგა გაოცებული. რა გულჩინმა ხოსროვშირისაგან ესე გაიგონა, გულჩინ წინ წადგა, ხოსროვშირს ხელი დაუჭირა და წაიყვანა, თავის ტახტზედ აიყვანა და თვითონ თავზედ დაადგა სამსახურად. ხოსროვშირმა რა გულჩინისაგან ესე ნახა, იღარ

დაჯდა და გულჩინს უთხრა: ეგ რიგი არ არის, რომ მე ვიჯდე და შენ ფეხზედ იდგეო, ან თქვენ დაბრძანდით და ან თუ არა, არც მე დაჯვადებო, მეც წავალო. რა გულჩინმა ესე გაიგონა, გარდაიარა და ხოსროვშირთან დაჯდა. მერმე თეიარ დაშტის და შირფანჯას უთავაზეს, ალაგი უჩვენეს და დასიეს.

ეს ამბავი რომ შეიტყეს, ასიმზედ იარაღები მოიმარჯვეს, თვალი ხოსროვშირზედ ეჭირათ, რომ როდის ბძანებს ასიმის სიკვდილსა, რომ ასო-ასო დავეკვოთო. ასიმმა თქვა: ეს საქმე ხომ გამიმეღავენდა, ახლა თავს უშველიო, და ჩივილით თავსა თვისსა ეუბნებოდა: მე რა მჭირდა რომ ამტონს ცილს ვწამებდი ხოსროვშირსა და ამტონს ტყუილს უგონებდიო?! მე ერთი აიარი ვიყავ, ხოსროვშირისათვის რომ სიმართლით მემსახურნა, დიდი პატივი და წყალობა მომემატებოდა და რა მსჯიდაო? უსაცილოდ რაც მიყოს, სამართალი არისო. ესე სთქვა და დიდად შეწუხებული და დაფიქრებული ერთს ალაგს დაჯდა. გულჩინმა ერთი მძიმე მურასა ხალათი, სახელმწიფო თავჯი, მურასა ქამარი ხოსროვშირს შესძღვნა. ისრეთი მძიმე და მურასად შემკობილი იყო, რომ ხოსროვშირისათვის კაცს რომ შეეხედნა, მეტის სილამაზითა და ბრწყინვალეობითა კაცი თვალს ვერ გაუმართავდა. გულჩინი აღდგა, ფილა აიღო და ხოსროვშირ დალოცა. ხოსროვშირიც წამოდგა, იქ მსხდომნიც ყოველნი წამოდგნენ. მერმე გულჩინმა ის ფილა ხოსროვშირის ეშხზედ დალივა, მერმე სურხავს დააღვეინა, სურხავმა შირფანჯას დააღვეინა, და მერმე სულ ყველამ დალივეს.

იმ დამეს იქ მყოფ ქალებს სულ ყველას ხოსროვშირის სილამაზზედ თვალი ეჭირათ, და თეიარ დაშტის მოყვანილობაზედ და შირფანჯას სისწრაფეზედ გაკვირვებულნი იყვნენ. იმ დამეს გულჩინმა ხოსროვშირის ეშხზედ ისრეთი მეჯლისი გამართა, ისრე დახვდა და იმდენი შაქარლამა მოატანინა, რომ ყოველი კაცი გაჰკვირდა, საზანდრები ჩარიგებულნი უცხოს ხმას უკრავდნენ და ესენი შეექცეოდნენ. გულჩინმა თვალი მოავლო, ნახა, რომ ასიმ აიარი იქ არ იყო, ხოსროვშირის მოწვევაში გაპარულიყო. თეიარ დაშტის შეხედა გულჩინმა და შეატყო, რომ ასიმზედ ისე განრისხებულყო, რომ ხოსროვშირის დასტურს აღარ ელოდა, წასვლას და იმის სიკვდილს აპირებდა. მერმე შირფანჯას შეხედა, ნახა, რომ ხმალზედ ხელი უძქეს და თეიარ დაშტის უყურებს. ხოსროვშირის აღარ შექოხედეს და თეიარ დაშტიმ ანიშნა, ჯერ მოიცადე, დრო არ არისო.

გულჩინმა ესენი ყოველივე შეიტყო. ასიმ დიახ შებრაღდა, რომ თვისის ენისაგან ამ ჳირში ჩავარღაო, მერმე თქვა: ჩემის-მიზეზითა იმ საბრაღოს არა აუტყდეს რაო. სურხავს ანიშნა, რომ რაც ქაღები არიან, ყოველნი ზე აღზდგენო. ხოსროვშირიც წამოღგა და მოახსენა გულჩინსა: „ჳეი, სულთა ჩემთა უსაყვარღესო და შევენება მოუტღებღლო, მაგ შენის სიმღაბღლით მე ზეცას ამიყვანეო. ეს ლხინი, ეს შეტყევა და თქვენთან ხღება მე სიზმრად ჳმანება მგონია და ჩემთვის საყვირველი სასწაულია ეს თქვენთან ხღება. ღმერთმან ჩემი სათხოვარი აღმისრულია და თქვენი თავი ქვეყნად მომცა. ჩემი საწაღელი თქვენი შეყრა და ნახვა იყო, მიბრღანეთ თქვენი სამსახური და როგორც ჩემგან შეიღღება, ისრე გემსახუროთო. თუმცა ჩემი სული ითხოვო, ვგონებ, რომ თქვენდა ძღვნად არ დავზოგო! ესრეთის მშვენიერი აღერსით მოექცა ხოსროვშირ გულჩინსა, რომ ეშხი ათასად მოუმატა.

გულჩინი წამოღგა და ხოსროვშირს მოახსენა: ხმელეთზეღ გამოჩენიღო სულთანო, უსწორო-ფაღაღვანო და სულთა ჩემთა უსაყვარღესო! ჩემი მოხსენება ეს არის, რომ თქვენს მხღებღელს აპატიოთ და დასთმოთ. ასიმის დანაშაული ჩვენ გვაპატიოთ. ხოსროვშირმა ასიმს თავისი დანაშაული აპატივა, და გულჩინმა ღიღად მადღობა მოახსენა და თავისსავე აღაგს დაჯღდა, და აგრეთვე სხვანიც თავ-თავის აღაგს დასხღნენ. ხოსროვშირმა თვაღი მოავღლო, ნახა, რომ ასიმ იქ არ იყო, შეატყო, რომ ასიმ გაპარულიყო. შირფანჯას უბღანა: ჩემო საყვარღლო ერთგულიო, გარღანქემანის მაღიერო, აქ ასიმ აღარ მოვიღა, ვიცო, რომ ჩემგან ეშინიანო, წაღი, ჩემის გუღისათვის ხათრიჯამი გახადე და აქ მოიყვანე, რომ იმით გული დაუამღესო. შირფანჯა ზე აღზდგა და წავიღა. რა ასიმის კარაღეთან მივიღა, ასიმს შეატყობინეს, შირფანჯა მოვიღაო. რა ასიმმა ესე გაიგონა, სიცოცხღლე აღარ შერჩა, თვაღები მთვრალს კამბეჩსავით დაუწითღდა, ცნობა დაეკარგა, არ იცოღა, რა ექმნა, შიშით თავსა თვისსა ყვეღრება დაუწყო, თავი და ბეღი იწყევეღა და თქვა: მე ვინა და ინღოეთის ხელმწიფის ქაღი ვინაო, რომ ამღენს ციღს უგონებღიო, ფუ, ჩემს თავსაო, ახღა რომ შირფანჯას გარღაურჩე, აღარ მოგკეღდებიო! ჩემო თავო, ეცადე, რომ ერთის მხრიღამ საითმე კარაღი გაარღვიო და გაიქცეო.

შირფანჯა შევიღა. ნახა, რომ ასიმს იარაღი შემოღურტყამს და გაპარვას ლამის. შირფანჯა სიცოღლით ასიმის აღაგს დაჯღდა და უთხ-

ზა: შენ უმსგავსო, ავბირო და ავყბაო, შენი დანაშაული გაპატივა ხოსროვშირმა. ასიმი ამის სიტყვას არ ენდო, მერმე შირფანჯან უშანგის და ხოსროვშირის მზე შეჭტოცა, რომ ხოსროვშირმა შენი დანაშაული გაპატივო, ნულარ იშიშვი და თქვენ დაგიბარათო, ადგე, წავიდეთ ამალამ იქ ქალების მეჯლიშშიო. ასიმ წამოიყვანა. რა მოვიდნენ, ასიმ შეიყვანეს. ასიმმა პირ-მიწა-გაერთებით სალამი მოახსენა და დალოცა და ქება შეასხა. ხოსროვშირმა მადლობა მოახსენა და დანაშაული აპატივა, მერმე მეჯლისი მოშალა. ხოსროვშირმა უბრძანა შირფანჯას და ასიმს და რამდენიმე მსახურიც გაატანა: წადითო, ერთს უცხოს ალაგსა კარავი დაეციოთ და თქვენცა ამ მეჯლისის მაგიერი სხვა მეჯლისი გამართეთო!

წავიდნენ და ერთს ხის ძირს უცხოდ მოფინეს და ორი მურასა ტახტი დადგეს, ქალებისათვის უცხო საჯდომები გააკეთეს, გულჩინისათვის და სურხავისათვის და საზანდართათვის; მერმე მოიტანეს მურასა სუფრის იარაღები. რა ესენი მოამზადეს, ხოსროვშირმა თავის ლალას თეიარ დაშტის პირზედ შეხედა და ყარამანის მსგავსი თვლები ცრემლით აევსო, ნათელს პირზედ ჩამოედინა. თეიარ დაშტი მივიდა, მოეხვია და შეეხვეწა, გული დაუღვა, დამშვიდდა. მერმე თვისსა რაშებზედ შესხდნენ და წამოვიდნენ. გულჩინი ქეთან-შაჰასთან წავიდა. რა სალამი მოიშალა, გულჩინმა, გულრუხმა და სურხავმა ქეთან-შაჰას და სარჯანს თავი დაუკრეს და გულჩინის კარავში მოვიდნენ, იქილამ ცხენთა შესხდნენ. იმ ალაგს მივიდნენ, საცა ხოსროვშირს მეჯლისი ჰქონდა, ნახა, რომ გულჩინ თვისის შვიდასი ქალებით მოვა. ხოსროვშირ დიდის სიყვარულით წინ მიეგება და თავს მარგალიტი გადააყარა. რა მოეგება ხოსროვშირი, გულჩინს ხელი დაუკირა, გარდიყვანა და ტახტზედ დასვა; თვითონაც სხვა ტახტზედ დაჯდა და სხვა ქალები თავ-თავის ალაგს დასხდნენ. თეიარ დაშტი შირფანჯა და ასიმ თვისსა ალაგას დასხდნენ მურასად მორთულნი, უცხოდ ზდილნი მერიჩიფენი შემოვიდნენ, მურასა თასი მოიღეს. ხოსროვშირსა და გულჩინს მიართვეს, ეგრეთვე სხვათა მსხდომთა.

მერმე ასიმმა საკრავს ხელნ მიჰყო და თვისი დანაშაულის პატივებზედ რამდენიმე ლექსი წარმოთქვა, და ესეთის ხმით იმღერდა. რომ მუნ მსხდომნი ასიმის ყოფაქცევას განეკვირებინა. ხოსროვშირმა: შირფანჯა აიარს თვალით ანიშნა, მანაც ეგეთის ხმით სიმღერა დაიწყო, რომ ასიმის ხმის სიამოვნებისაგან გულჩინ უცნობო შეიქმნა.



პერმე გულჩინმა ანიშნა სურხავს, ხოსროვშირის ქება უცხო სმით იმღერა. ამგვარს უცხო სექცევაში იყენენ.

რა ლხინში და შექცევაში იყენენ, ასიმ ზე ადგა და კარში გამოვიდა და თვის სახლში მივიდა, თვისის სალაროდამ ორი უცხო რამ გამოიტანა და მსწრაფლ მასვე მეჯლისში მოვიდა, ხოსროვშირ დალოცა და ქება შეასხა, წადგა და საშუალო მეჯლისის ალაგს დააწყო. ნახეს, რომ იმ ალაგს ერთი მურასა ხე აიმართა, ძირი ვერცხლისა ჰქონდა, შტონი — ოქროსა გაზიდულნი, მწვანის ზურმუხტისანი ხილნი ესნა სხვა და სხვა გვარისანი; მას ხის თავზედ ერთი ოქროს ფარშევანგი იჯდა, მუშეითა და ამბარით სავსე. ასიმმა ფარშევანგს შემოჰკრა, უსულო ფრინველი დატრიალდა და ასეთი სურნელება გამოხდა, რომ მუნ მსხდომნი ყოველნი იმ სურნელებით უცნობო შეიქმნენ, ერთი ჯამი აიღო ღვინით სავსე, ხოსროვშირს მიართვა. მან შესვა. მერე ხოსროვშირმა გულჩინს მიართვა; იმანაც მისის ეშხით სავსე შესვა, მაგრამ რამდენსაც დაცლას ცდილობდნენ და შესვამდნენ, უფრო და უფრო იმსებოდა. დიდად გაუკვირდათ ეს საქმე. სურხავ წარმოდგა, სამჯერ შესვა ჯამი, ნახა, რომ კიდევ აიძსო. მუნ მსხდომნი ყველანი იმ ჯამის საქმეს ჰკვირობდნენ. ადგა ასიმი, იგი ჯამი ხოსროვშირს მიართვა და იგი მურასა ხე გულჩინს მიართვა, მდაბლად ბოდში მოითხოვა. მასუკან ასიმს იმ ხისა და ფიალისა ამბავი ჰკითხეს. ასიმმა ესრეთ მოახსენა: ეს ხე და ფიალა გარდანქეშან ითარმა მაჩუქაო, ამ ჯამისა ერთი უცხო მოთხრობა არისო, ყარამან რომ მოვა, ღვითთ იმისგან ჰსცნობთო. ეს სთქვა და თავი დაუკრა და ქება შეასხა.

იმ ღამეს სარანდიბის მთის კალთის ქვეშ შეექცნენ, და რა გათენებამ მოაწივა, თეიარ დაშტი ზე ადგა და მოახსენა: ხელმწიფის შვილო! ეამი არის, ლაშქარში წავიდეთო, რომ ეს ჩვენი ამბავი ვერავინ ჰსცნასო. რა გულჩინმა ესე გაიგონა, ასეთი შეწუხებული სულთქმა გულითგან აღმოიხდინა და თვალთაგან ცრემლი ვარდის მსგავსის დაწვებზედ გარდმოედინა და უცნობო შეიქმნა, ალვის მსგავსი მკლავები ხოსროვშირის ბროლის მსგავს კისერზედ შემოხვია და ხოსროვშირ მკერდსა გარდაეხვია, ერთმანერთს ალერსი დაუწყეს. მასუკან მწუხარებით გაიყარნენ და თავ-თავის ლაშქარში წავიდნენ. ხოსროვშირ მივიდა, უშანგს იახლა, გარდაიარა და ხელმწიფის შვილებს ზევით დაჯდა, და ყოველდღე ხელმწიფესთან ლხინით შეექცეოდნენ. ხოსროვშირისა და გულჩინის ფარულად ლხინი უშანგ ხელმწიფეს

მოსხენდა. რა უშანგმა ეს ამბავი შეიტყო, უზომოდ შეწუხდა და დიდად დაფიქრდა. უშანგის შეწუხება და ფიქრი ეს იყო, რომ ხოსროვ-შირზედ ავი სიზმარი ენახა, დიდად შეწუხებული იყო, ღამე და დღე აღარ ეძინა, მაგრამ არავის განუცხადა, და როდესაც ხოსროვშირს შეხედავდა, გული ათას რიგად ეკრებოდა; დღე და ღამე უშანგის ლოცვა და ვედრება ეს იყო: ღმერთო, ხოსროვშირ შენის მოწყალებით დაიფარეო. აქეთ მხარეს სარჯანი ჰინდმაც გულჩინისა და ხოსროვშირის ამბავი შეიტყო, აგრეთვე ისიც დიდად შეწუხდა და არ იცოდა, რა ექმნა, ხოსროვშირის სიკვდილი განიზრახა გულსა თვისსა და არავის განუცხადა, გულჩინის ქამის დაცემას ელოდა.

### აჰა ყარამიჯინის მოსვლის ამბავი

იმჟამად ქეთან-შაჰა მეჯლისში ბრძანდებოდა, რომ ოჰყალი ჯადოსი და ყარამიჯინის ამბავი მოუვიდა. ყარამიჯინ და ოჰყალი ჯადო როჰაბის ციხილამ ზღვის პირს რომ მოვიდნენ და ზღვაში შემოვიდნენ, იმათი განზრახვა ეს იყო, რომ ინდოეთის ქალები დაეპყრათ და უშანგისთვის თავის ძმის სისხლი ეზღვევიანთ.

იმჟამად ზღვაში რომ შემოვიდნენ, ხომალდნი ზღვის ღელვამ დაფანტა და ერთმანერთს დაშორდნენ. ქეთან-შაჰა და სარჯანი ჰინდი ერთს მხრისკენ გავიდნენ და რამდენჯერმე ხომ უშანგ-შაჰას შეეებნენ და ხოსროვშირის ძალით იძლივნენ და ძალაგამოკლებულთ უშანგ ხელმწიფისაგან რამდენიმე დღის პაემანი ითხოვეს, ყარამიჯინისა და ოჰყალი ჯადოს მოსვლის იმედი ჰქონდათ, უამათოდ საომრად შებმის ძალა არა ჰქონდათ. იმ ჟამად რომ ხომალდები დაიფანტა, ყარამიჯინ რამდენიმე ხომალდით ერთს კუნძულს გავიდა, რომელსაც ბალი-ბიყამანურ ერქვა ეშმაკთა სამკვიდრებელი იყო. კვირაში ერთხელ ეშმაკთ უფროსი იმ კუნძულსა მოვიდოდა. რა უსჯულონი ქაჯნი და დევნიც იყვნენ ქვეყანაზედ, სულ იქ შეიყრებოდნენ ხოლმე.

შემდგომ ყარამიჯინ თავის ლაშქრით ოცდაათი დღე იარა და სინდისტნის ქვეყანას ხმელეთზედ გავიდა, ორმოცი ათასის კაცითა და თავის საომარის იარაღით შეჭურვილნი. ყოველს მხარეს კაცი გაგზავნა ქეთან-შაჰას შესატყობინებლად, თუ ხმელეთზედ გამოვედითო. სამი დღე იარეს ხმელეთით, ინდოეთის საზღვარს მოახლოვდნენ.

ქეთან-შაჰასაგან ვეზირი მიეგება ყარამიჯინს და ყოველივე წვრილად მოახსენა: ქეთან-შაჰა ხმელეთზედ გამოვიდა თავის ლაშქრით, უშანგს შეება, რამდენჯერმე უშანგისაგან ძლეული იქმნა და ერთი თვე პაემანი სთხოვა, თქვენი შეწევნის იმედი აქვსო, ეგების თქვენითაც არის რომ რამ შეიძლოსო, მოლოდინის სურვილით თვალი გზაზედ უქირავსო.

იმჟამად ესე ამბავი ქეთან-შაჰას მოხსენდა, რომ ყარამიჯინ ორმოცი ათასის ფალავნით მოდისო. რა ქეთან-შაჰამ ესე ამბავი სცნა, მსწრაფლ ბრძანა, რომ თვის კარზედ სამხიარულო ნაღარისთვის ეკრათ და ბრძანება გასცა, რომ სინდეთის ლაშქარნი და დიდებულნი ყარამიჯინს წინ მიეგებნენ. ლაშქარნი მსწრაფლ მოემზადნენ მისაგებებლად და წავიდნენ. იქილამ ყარამიჯინ და აქედამ სინდეთის ხელმწიფე ერთმანერთს შეეყარნენ. რა ყარამიჯინმა დაინახა, რომ სარჯან ჰინდი თვისის ლაშქრით და დიდებული სარდლებით წინ მიეგებნენ, ყარამიჯინ მსწრაფლ სპილოდამ გარდმოხტა, ქეთან-შაჰას, სარჯანს და გურგანს სიყვარულით მიესალმა. მას უკან ცხენებზედ და სპილოებზედ შესხდნენ და ჯარში მოვიდნენ. ასორმოცი ათასის კაცთა მკამელნი ჯინნი მოვიდნენ და ცალსა მხარესა ჩამოხტნენ, ლომისა, ვეფხვისა და ბაბრის კარვები დაიდგეს, ყარამიჯინისთვის ერთი ვეფხვის ტყავის კარავი დადგეს ორმოცდახუთფეხიანი. შიგ ერთო მძიმე ტახტი დადგეს თვის შესაფერი ყარამიჯინისთვის. იმ დღეს შვიდი კაცი დაკლეს და ერთს დიდს ქვაბში მოხარშეს და სხვათა ჯარისკაცთათვის აგრეთვე რამდენიმე კაცი და სპილონი დაკლეს და მოხარშეს. ყარამიჯინ თავის კარავში ჩამოხდა. სინდელეგმა, რომელმანც დინახეს, საზაროდ კმა იყო.

სინდის ფალავანთა და დიდებულთა ყარამიჯინს მოწვევა სინანულად აღუჩნდათ და ესრეთ იტყოდნენ, არა ჯერ იყო კაცის ხორცის მკამელთა მოწვევა ჩვენგანაო, ამიტომ რომ ამ იყლიმებში კაცთა მკამელთ არ გაუშვებენ, თუნდა კიდეც ამისის შემწეობით უშანგ ვძლიოთ და გავაფუჭოთო, რადგანაც ადამიანთ მონათესავეთ მტერნი არიან. იქმნება რომ ჩვენზედაც იხმარონ ბოროტმოქმედებაო. ამის მიზეზით დიდად შეწუხებულნი იყვნენ. მეორეს დღეს ქეთან-შაჰა თვის ტახტზედ დაბრძანდა და ყველა დიდებულნი იახლნენ, ყარამიჯინიც მობრძანდა. ქეთან-შაჰა კარზედ მიეგება და მიიწვია, ყარამიჯინ ყველა ფალავნებზედ ზევით დასვეს და სხვანი კაცის მკამელნი

და მათნი დიდებულნი, ზოგნი დასხდნენ და ზოგნი თავს დაადგნენ და სხვანი სინდის ფალავანნი თვის ალაგსა დასხდნენ. მეორეს მხარეს გულჩინ მობრძანდა თავისის შვიდასის ფალავანი ქალებითა, ქეთან-შაჰას და თავის მამას თავი დაუკრა და თვისსა ღირს ალაგს დაბრძანდა.

იმჟამად ყარამიჯინს გულჩინმა შეხედა და ერთი მწარე სულთქმა გულიდამ აღმოახდინა და თქვა: ვაჰ თქვენ, ერანისა და თურანისა, სინდეთისა და დეშტიყიფხალის ყოვლის ხელმწიფის ფალავანნო, რომ ამ ვეშაჰისაგან დაიხოცებითო! მაგრამ ეს უნამეტნავესი სამწუხაროა ჩემთვის, რომ ხელსროვირ ამის ხელით მოკვდებათ. ესე სთქვა და დიდად ამოიხრა და ვარდის მსგავს დაწვებზე მარგალიტის მზგავსი ცრემლნი გარდმოედინა ნიკაბ ქვეშ. რა ყარამიჯინმა გულჩინს შეზოხედა, მისი ტრფიალის ისარი გულსა განეწონა და უცნობო შეიქმნა და ტრფიალის თვალით მცირეს ხანს გულჩინს უყურებდა. შემდგომ ხელმწიფემა ბრძანა სუფრის მოღება, მეჯლიში გაიმართა, მოვიდნენ უცხოთ მორთულნი მერიქიფენი და ნაზის ქცევით ღვინოს აწვდიდნენ დიდებულთა და ფალავანთა. რა ღვინით ზარბოში შეიქმნენ, კაცის მკამელნი ზე აღზდგნენ, მეჯლიში და კაცთა სიმრავლე ნახეს. ასე რომ კაცთა ჭამის ნდომით კბილებს ერთმანერთს ცემა დააწყებინეს. მერმე ყარამიჯინმა რამდენიმე სავსე ფიალა დალივა და დიდი გუმბათის ოდენა თავი აიღო, იმ მეჯლიში მსხდომთ თვალი გარდაავლო. ვინც რომ იმისი ყურება ნახეს, მისის შიშისაგან ცნობა მიეღოთ ისე, რომ სიცოცხლე აღარ შერჩათ.

უშანგ ხელმწიფეც ნადიმად ბრძანდებოდა და მათი სიმხიარულის ნაღარის ცემის ხმა მიესმათ, აიარებს თვალი გარდაავლო და იმჟამად შირფანჯა აიარი მივიდა, უშანგ ხელმწიფეს თავი დაუკრა, დალოცა და ქება შეასხა და მოახსენა: დღეს ჩვენ სხვა სახით შევიცვალენით. მე და ღუზდი ავსარ აიარი და ქეთან-შაჰის ურდოში მივედით და მოსი დიდებული მეჯლიში ვნახეთ, რომ კაცის გონება ვერ მიხვდება. რამდენიმე საშინელი მხეცნი სადავე-შედებულნი საფი-გაწეულნი იდგნენ, რომ დიდად გაკვირდითო, მერმეთ შიგნით შევედით და მეჯლისს უყურეთო, ყოველს ფალავანს ზევით ერთი ოთხმოცდა ხუთის მწყართის სიმაღლის მქონებელი იჯდა, მეტისმეტი შავი პირი ჰქონდა, საშინელი სანახავი თვალები ჰქონდა, ისე ღია დაჭყეტილი ეპირა, პირის ნახევარი ათი მტკაველი ჰქონდა, კბილები — ხუთ-ხუთი მტკაველი. თავის სიდიდე აბანოს გუმბათის ოდენა ჰქონდა, ყუ

რები წისქვილის დოლაბს უგვანდა, ფრჩხილები ბასრს ხანჯალსავით  
ჰკვეთელი ჰქონდა, მისის შიშით სინდელთ ფალავანთ ცნობა მიხდო-  
დათ; მისსა მოსვლას ინანებდნენ.

რა ყარამიჯინმა ქეთან-შაჰას შეხედა, მოახსენა: თქვენი და უშანგ-  
გის ბრძოლა როგორ მოხდაო, თუმცა ცოცხალი გარდაგრძობით  
უშანგ-შაჰა, მაგრამ მე წყალობა მიყავით, მე მიბოძეთ, რომ ჩემის  
ძმის სპანდიერის სისხლი ვაზღვევინო და ან ჩემის ძმის მკვლეელი მო-  
ჰკალითო, ან რა იქმნა, მიბძანეთო? ეს სიტყვა მოახსენა და გუმბათის  
ოდენა თავი დაჰკიდა და მოწყენით დაჯდა. მერმე ქეთან-შაჰამ უბძა-  
ნა: ჰეი, სახელოვანო ფალავანო, აქ რომ მოვედით, უშანგს მრავალ-  
ჯერ შევებენით, მაგრამ იმათში ერთი ფალავანია, იმისი მოპირდაპი-  
რე ჩვენ არა გვყავსო, რომ პასუხი მისცეს. თუ ამათში ის არ იყოს.  
აქამდისინ უშანგს ბოლოს მოუღებდითო. ყარამიჯინმა რა ქეთან-შა-  
ჰისაგან ესე სიტყვები მოისმინა, ერთს საშინელ მესხავით იქეხვა და  
ვეშაპსავით ბრდღვნა დაიწყო, მოახსენა: ჩემის ძმის მკვლეელი ფალა-  
ვანი ის არისო, რომ აქებთო? ქეთან-შაჰმა მოახსენა: შენი ძმის  
მკვლეელი ის არა არისო, იმ ფალავანს ყარამან ყათილი ჰქვიანო, აქ  
არ არისო, იმის მოადგილე ის არის, რომელსაც ხოსროვშირ  
ჰქვიანო.

რა ყარამიჯინმა ესე მოისმინა, ცოფიან მგელსავით მისი ბრძოლა  
მოინდომა და ძაღლივით ღრენა დაიწყო. თავისთან მსხდომთა ფალა-  
ვანთა უბრძანა: დაემზადენით, იარაღი მოიმარჯვეთ, რომ ხვალ ომ  
არისო. შირფანჯა აიარმა ესე შესმენილი ამბავი ხელმწიფეს მოახსე-  
ნა: მერმე უშანგმა თვისთა ფალავანთა შეხედა, ნახა, რომ ხოსროვ-  
შირსა და სხვათა ათიოდ ფალავანთ გარდა ყარამიჯინის შიშით პი-  
რსა ფერი აღარ ედვათ და სუყველას სისხლი გაუშრათ, ყველამ თავე-  
ბი დაჰკიდეს. რა უშანგ-შაჰამ შეხედა და თხილა, რომ ფალავანთა ფე-  
რი მიხდოდათ და თავები დაეკიდათ ყარამიჯინის შიშით, მაშინ  
უშანგმა მაღალის ხმით წარმოსთქვა: ჰეი, თქვენ გამოჩენილნო და სა-  
ხელოვანნო ფალავანნო! რა დაგემართათ, რომ ერთის პირუტყვისა  
და წყეულისაგან თქვენ ესრეთ შეშინდითო? ორმოცდასამი წელნიწა-  
დია, რაც რომ ქვეყანაზედ ხმაღს იქნევთ და ყათის მთის უკან ფაშ-  
კუნჯის ფრთის და ჯანგის მებრძოლნი და ხართუაფის მთის დევების  
ბრძოლაში ზურგი არ იღრიკეთ და მაგისაგან როგორ შეშინდით, მე-  
ტადრე ყარამან ყათილისთანა ფალავანი თქვენთან მოძმე არის, ამას  
გარდა ხოსროვშირისთანა ფალავანი თქვენში არის, ვისი ფიქრი და

შიში გაქვსთო, საომარი იარაღი მოიმზადეთ და ნახეთო! სარდალნი და ფალავანნი მსწრაფლ ზე აღზდგენენ, უშანგს თავი დაუტკრეს. ყოველნი თვისსა სადგომსა წავიდნენ. ყარამიჯინის შიშით ასე გაშტერებულნიყვნენ, რომ ვერა გაეგოთ რა.

### აჲა ხოსროვშირისაგან ქეთან-შაჰის მეჯლისისაკენ ბამზავრება და ყარამიჯინის ლახტის აღება

იმჟამად ხოსროვშირი თავის კარავში წაბრძანდა და მხიარულად დაბრძანდა. შირფანჯა იახლა და უბრძანა: შირფანჯავ, დღეს ხელმწიფის მეჯლიშში ფალავანნი რა სახით შეიცვალნენ ყარამიჯინის შიშით. შირფანჯავ მოახსენა: ხელმწიფის შვილო, დღეს ამ ჯარში ყარამიჯინის მოპირდაპირე ყარამან ყათილის მეტი და თქვენის მეტი არაიენ არისო. ხოსროვშირს ეს დიდად ეწყინა და უთხრა: შირფანჯავ! ერთს წყეულს ეშმაკს აგრე როგორ აქებო? მე კაცი არ ვიქნებო, თუ ამალამ არ წავიდე ქეთან-შაჰის მეჯლიშში და ის არა ვნახოვო. ესე თქვა და მაშინვე ზე აღდგა, საღამური ტანისამოსი ჩაიცვა, ყარამანისეული ხმალი წელთა შეირტყა, მარჯვნივ და მარცხნივ ხანჯლები ჩაირჭო და წასასვლელად დაემზადა. შირფანჯა აიარი ბევრს ეცადა, რომ არ წასულიყო, მაგრამ ვერ დააბრუნა. რომ არ დაიშალა, თვითონაც თან გაჰყვა.

მცირე ხანი იარეს და ქეთან-შაჰას კარავთან მივიდნენ. ნახეს, რომ ქეთან-შაჰს ისევ ნადიმი ედვა. ასეთს ლხინსა და შექცევაში იყვნენ, რომ უკეთესი აღარ იქნებოდა. გახშირებულ ღვინის სმაში იყვნენ, ყარამიჯინს ყურება დაუწყო. ნახა, რომ ერთი საშინელი სანახავი იყო, თხის ბალნის მსგავსად შემოსილი, ასეთის სახის მქონებელი იყო, რომ თუმცა ეს სახე გამოჩენილთა დევთა ენახათ, მათაც შიშით გული გაუსკდებოდათ, სპილოს ხორცსა სჭამდნენ, ზედ ღვინოსა სმიდნენ, ერთი დიდი გუმბათის ოდენა ლახტი ყარამიჯინს გვერდით ეყუდა. იმ ლახტსა ორმოცდასამს ალაგს ფოლადის რგოლები ება, ზედ ფოლადის ჯინჯილები ეკიდა, დიდად საზარელი, უზარმაზარი იყო. იმ ჯინჯილებს ორმოც-ორმოცი მწყურთა სიმალლე ჰქონდათ. მარცხენა მხარეს გულჩინ პირსაბურველით იჯდა, მაგრამ ის მეჯლიშში იმას ერთი იოტის ფასადაც არ მიიჩნდა და ღმერთს ევედრებოდა ფარულად: ღმერთო, ამ ეშმაკისაგან ხოსროვშირ დაიხსენო ამ ნატვ-

რაში რომ იყო, თვალი მოარნა, ნახა, რომ ხოსროვშირ ყულუღჩებში იდგა, შავის ტანისამოსით მოსილი, პირი მზესავით უბრწყინავდა ლომის მსგავსად გულოვნად იდგა და თამაშას უყურებდა, მარინის ვარსკვლავის მსგავსად ყარამიჯინს გულმესისხლედ უყურებდა.

გულჩინმა მართლა თვალი დააკვირვა, შირფანჯაც დაინახა და ხოსროვშირიც. ამგვარის გულოვნობისათვის ღმერთს მადლობა მისცა და თქვა: ამდენი მტერი ჰყავს და ამდენი გამოჩენილი ფალავანნი ამის გულისათვის სისხლს დაღვრიან და ეს ესრეთ უშიშრად აქ მოსულაო, კაცისაგან ამისთანა გულოვნობა როგორ იქმნებაო? იმ სიტყვაში და იმ ფიქრში რომ იყო, ამჟამად ყარამიჯინიც დაითრო, თვალების ბრუნვა შექმნა, ჰანდრის მსგავსი მკლავები გაშალა, ხელი გარდაყო და თვისი დიდი ლახტი აიღო, მარჯვნივ და მარცხნივ დაიბრუნა და დასდვა. მერმე დაიძახა: სინდისტნის ფალავანო და სარდალო, ყველამ იცოდეთ, რომ მე მამაცობის დავასა ვწევ, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდისინ დევი, ფერია თუ ადამის ტომი, ვინც ამ ჩემს ლახტს ხელს გაუმართავს, მე იმის ყურ-მოჭრილი ყმა ვიქნები და იმის მონა, ვიდრემდისინ ცოცხალი ვარო. თუ აიღებს ვინმე, გულჩინის სიყვარულის დავას აღარ გაუწევო, ორმოცდახუთი წელიწადი არის ყაფის მთაში და უკიანეს ზღვის კუნძულში მყოფნი დეენი, ფერიანი, იფრითნი და სხვანი მრავალნი ფალავანნი მოვიდნენ, ამ დავაზედ ეს ჩემი გურზი ვერ დაძრეს და სირცხვილეულნი უკან შეიქცნენო! მერმე ის ლახტი კვალად აიღო, მოიბრუნა და დასდვა.

რა ეს ნახეს, სინდისა და ჰინდის ფალავანნი მოვიდნენ, თავი დაუკრეს და მოახსენეს: გამოჩენილო ფალავანო, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ისრეთი ფალავანი არ არის, რომ მაგ თქვენის ლახტის აღება შეიძლოსო. რა ესრე სიტყვა ხოსროვშირს ესმა, მეტის ჯავრისაგან სიცოცხლე აღარ შერჩა. გულმან ძგერა დაუწყო და განრისხებული ყარამიჯინისაქენ წავიდა. რა შირფანჯა აიარმა ესე ნახა, სიცოცხლე აღარ შერჩა, უკან კალთაში ხელი სტაცა და ესრეთ უთხრა: ხელმწიფის შეილო, რა პირობას მიდებდი, რომ ჩემის სიტყვიდამ არ უნდა გარდასულიყავო. ხოსროვშირ აღარ დაბრუნდა და არც მოიხედა. კიდევ შირფინჯმა მოახსენა: შენ ხომ შენს თავს მოარჩენ, მაგრამ ღმერთს რა პასუხს გასცემ, რომ ჩემი სისხლი აქ დაიღვაროს შენი მიზეზითაო? ესე სთქვა და შემოდგომის ფურცელივით თრთოლვა დაიწყო. იმჟამად გულჩინს თვალი ხოსროვშირზედ ეჭირა, დიდად შეწუხებული იყო და არ იცოდა, რა უნდა ექნა. სურხავს და გულ-

ნაზს ანიშნა და დაანახვა, იმ დროს რომ ხოსროვშირ ყარამიჯინის ომს აპირებდა. ისინი იძახდნენ: ღმერთო, რა საფათერაკო საქმეაო!

რა ხოსროვშირმა ყარამიჯინისაგან იმისთანა სიტყუები მოისმინა, კანჯარით გარდახტა და ლახტისაკენ წარვიდა. იმ მეჯლისში მსხდომთ დიდებულთა და ფალავანთა ნახეს, რომე ყარამიჯინის ლახტის ასალეზად მსახურთაგან ერთი ვინმე შავით მოსილი გამოვიდა, ირგვლივ ხანჯალ-მოსილი, ლომგული ყმაწვილი, მზისაგან უბრწყინვალესი. ისრეთის ამაყის ქცევით მოვიდა იმ ლახტთან, რომე თუმცა ძველთა ფალავანთა ენახათ, შიშითაც ცნობა მიეღებოდათ. რა ყარამიჯინმა ხოსროვშირ დაინახა, ხელმწიფეს მოახსენა: ეს ვინ არის ონ ვისი მონაო? მე მიბოძეთ, რომ ამას ღვინის მწდველად დავიყენებო. რა ხოსროვშირმა ეს სიტყვა მოისმინა, ყარამიჯინის ლახტს ხელი მიჰყო და ამდენის მტრისაგან არ შეშინდა, აიღო, ყარამიჯინს შეუმაღლა. რა იქ მსხდომთ ხოსროვშირისაგან ლახტის შემაღლება ნახეს და საომრისა ხმის შეძახება, ყველანი უცნობო შეიქმნენ. რა ყარამიჯინმა თვისი ლახტი ხოსროვშირისაგან თვისზედ შემაღლებული ნახა, იგრძნა, რომ თუმცა ყაფის მთა დახვედრიყო, ისიც ვერ გაუძლებდა. ყარამიჯინი შიშით ტახტიდამ ძირს ჩამოვარდა. ყარამიჯინს ლახტი დასცდა და მისს საჯდომს ტახტს მოხვდა და დაღუწა. რა რომ ლახტი ყარამიჯინს დასცდა, ხოსროვშირ დიდად განრისხდა, უნდოდა, რომ მეორედ დაეკრა, მაგრამ ლახტი შორს გარდააგდო და ყარამანისეულ ხმალს ხელი მოიკრა. შემდეგ გამობრუნდა, კარვის კართან რამდენიმე ფალავანნი დახოცა და იმ ბნელა დამეში გამოვიდა იმ ჯარიდამ. დილის ნიავსავით ესრეთ მსწრაფლად იარა, რომ შირფანჯა ველარ მოსწეოდა.

რა ინდოეთის ყარაულებს მოახლოვდნენ, ყარაულთ უფროსმა შეატყო და ხმა უყო, ვინ ხართო? ხოსროვშირ ბასრის ხმალს ხელი მოივლო და რამდენიმე ყარაულთაგანი დახოცა და მსწრაფლად წარივიდნენ. იმჟამად იგი ყარაულნი ერთად შეიყარნენ. ნახეს, რომ რამდენიმე ფალავანნი დაეხოცა, ზოგი ორად იყო გაკვეთილი, ზოგს თავი და მკლავი არა ჰქონდა, ცხენი მკერდამდინ იყო გაკვეთილი. რა რომ ესეთი სანახავი იხილეს, მათი ფალავანობა დიდად გაუკვირდათ. ხოსროვშირმა და შირფანჯამ თვის ყარაულებთან მოაწივეს. მას ჟამად ყარაულთ უფროსი ყაჰყაი ფილურსავარ იყო, ორმოცი ათასის კაცით ინდოეთის მხრისაკენ ქეშიკობდა, ნახა, რომ ორნი შავით მოსილნი კაცნი მოვიდნენ. ყაჰყაი ფილურსავარმა შემოსძახა: უმსგავსო,



თქვენ სიცოცხლესა ჩემის ხელიდამ სად გადაარჩინთო? და ხმალს ხელი მიპყო და მომავალთა შემოუტევია. შირთანჯა წინ წადგა, ყაპყაი ფილურსავარსა ხმა უყო, ჩვენ უცხონი არა ვართო. ყაპყაიმ გაიცინა, რომ შირთანჯა იყო, დაუძახა: შირთანჯავ, ამ დროს საილამ მოხვალო? ყარამიჯინის შიშით ზეცას ფრინველს ვერ გაუვლია და ხმელეთზე კანჯარს, ეგ რომ გვერდით მოგდევს, ვინ არისო? შეხედა, ნახა, რომ ხოსროვშირ იყო, გარდახტა სპილოდამ, პირ-მიწა-გაერთებით თაყვანი სცა და დალოცა, ქება შეასხა და ბოდიში მოითხოვა: უკაცრავოდ გახლავარ, ვერ გიცანიო. ერთი შეკაზმული სპილო მიართვა, ზედ შესვა და რამდენიმე ცხენოსანით ჯარში მოვიდნენ. ხოსროვშირი თავის კარავში მიბრძანდა, ტახტზედ ავიდა და დაიძინა. შირთანჯაც თავის სადგომსა წავიდა.

აქეთ მხარეს ქეთან-შაჰას მეჯლიშში მსხდომნი სარდალნი და ფალავანნი ერთს საათს უკან გონებას მოეგნენ და ერთმანერთს ყურება დაუწყეს და გაოცებულნი ერთმანერთს ეუბნებოდნენ: ეს რა მოგვევლინაო, რომ ამისთანა საქმე მის დღეში არ მომხდარაო, ეს როგორი საკვირველი საქმე არისო, რომ ამისთანის მალღის ხელმწიფის მეჯლიშში ერთი იმგვარი კაცი მოვიდეს და ამდენი საქმეები ჩაიღინოს და კიდევ მშვიდობით გავიდეს?! ეს უფრო გასაოცებელი არის, ყარამიჯინისთანა საზარელი და სახელოვანი ფალავანი იყოს და იმისთანა კაცმა ესენი გაბედოს?! მაგრამ ხოსროვშირსაც ამგვარად მეჯლიშში მიხდომა ყარამანისაგან ესწავლა, ესეც მას გავსო, როგორც ყარამან მივიდა რაჰინდის მეჯლიშში და რამდენიმე ფალავანნი განათავისუფლაო, და ის დიდებული მეჯლიშში დაამარცხა და რამდენი უცხო ფალავანნი დახოცაო.

ამ სიტყვის თქმაში რომ იყვნენ, ყარამიჯინმა შეხედა თავის ტახტს, რომ მიწასთან გასწორებულიყო და თვისი ლახტი იქითკენ ეგლო, მოუტანეს ერთი სხვა ტახტი, დაუდგეს ყარამიჯინსა. მივიდა და დაჯდა, წვერზედ ხელი ჩამოისევა, მცირეს ხანს თავ-ჩამოგდებით იჯდა, მერმე მალლა აიხედა, დიდის გუმბათის ოდენა თავი აიღო და ქეთან-შაჰას ასეთის მრისხანის თვალთ შეხედა, რომ მისის შიშით ყოველნი იქ მსხდომნი შეშინდნენ. დიდად განრისხებულმა შემოსძახა ქეთან-შაჰას: სასაცილოდ ამიგდე, განა შენი მასხარა ვარო, ერთი ჯადო მუხთალად მოგიყვანიათ, გააზრახეთ და ეს ხიფათი მომეციოთ! ვფიცავ თავსა ჩემსა; არც შენ, არც სარჯანს, არც გულჩინს, არც გურგანს და არც აქ მჯდომთ არც ერთს ცოცხალს არ გადაგარჩენ-

თო, სულ ხმაღს ქვეშ დაგვუწავთო, მერმე წავალ და რუბი-მასკუნს აცამიანის თესლს გავწყვეტო და სულ კაცის მჭამელებით ავავსებო. მასწვდა და ლახტი ხელში დაატრიალა. რა ამისგან ლახტი ხელთ აღებული ნახეს, ყოველნი ზე ადგნენ, თავი დაუკრეს და მოახსენეს: „პეი, ფალავანო, ამაში ჩვენ დანაშაული არა გვაქვსო, შეგვიბრალე, ნუ დაგვბოცავ და არც ის ჯადო ყოფილაო, ის რომ მოვიდა, ესეები ჰქმნა, ხოსროვშირ იყო, უშანგ-შაჰის ძმის წული, შარიბ-შაჰას შვილი. თუ ეს არ იყოს აქამდისინ უშანგ-შაჰას ბოლოს მოუღებდითო. ჩვენ რომ შემოგჩიოდით დიდად მწუხარეთ, ეს არისო, ამისთანა ფალავანი ქვეყანაზედ არ არის ყარამან ყათილის მეტი. ყარამანიც ეგრე იყო. ერთხელ რაჰინდის მეჯლიშში შენი ძმაც იქ იყო, რომ მივიდა, ის მეჯლისი დაამარცხა, რამდენიმე ტუსალი ვრანელნი ფალავანნი დაინხნა და თან წაასხა და მერმე შენი ძმა სჰანდიერიც იმან მოკლაო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, დაჭრილნი და დახოცილნი კაცნი მოასხეს და მოიტანეს. მოახსენეს, ამ ლაშქრის კარვიდამ ორნი შავით მოსილნი კაცნი გამოვიდნენ, ამ თქვენ დიდებულს მეჯლისში არეულობა რომ შეიქმნა, ჩვენც მიეცვივდით იმ კაცებს, გვინდოდა, რომ დაგვეჭირა, მაგრამ მათ ხმლებს ხელი დაივლეს და ესენი ასე დახოცესო. სარქაბი ჰინდი შემოვიდა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და მოახსენა: ჰინდოეთისა მაღალო ხელმწიფეო! ამალამ ყარაულებად დავდიოდით, ვნახეთ, რომ ამ ჩვენის ლაშქრიდამ ორნი შავით მოსილნი კაცნი მოვიდოდნენ, შევძახეთ, ვინ ხართ-მეთქი? ვიდრე ჩვენ ამას ვიტყოდით, შემოგვიტივეს, ოცდაათი ფალავანი დაგვიხოცეს და თვითონ უჩინონი შეიქმნენ, ვერ შევიტყეთ, ქაჯნი იყვნენ თუ დევნი. ეს თქვეს და თავ-ჩამოგდებით დადგნენ. ეს ამბავი უშანგსაც მოხსენდა, წუხელის ყარამიჯინი ქეთან-შაჰას მეჯლისში მჯდარა, როცა დამთვრალა, თვისი ლახტი მოუთხოვნია და მეჯლიშში უკვენია, რომ ვინც ამ ჩემს ლახტს აიღებსო და ხელს გაუმართავსო, მე იმას აღარ შევებმიო, და ვიდრე ცოცხალი ვარ, იმის მონა ვიქნებიო. აუღია ის ლახტი, რამდენჯერმე მარცხნივ და მარჯვნივ დაუტრიალებია და დაუღვია. ერთი მსახურთაგან შავით მოსილი კაცი გამოსულა, ის ლახტი აუღია და ისევ ყარამიჯინისათვის მოუქნევია. ყარამიჯინ შორს გარდახტომია და მისის ტახტისათვის დაუცია და მიწასთან გაუსწორებია. მერმე იმ მსახურთაგან მრავალი ფალავანი დაუხოცია და ისე წამოსულა და არც იციან, თუ ვინ არის და ეს საქმეები ვისი ჰქნარია.

რა უშანგმა ეს გაიგონა, დიდად გაჰკვირდა და უთხრა: ჰეი, თქვენ ქვეყანაზედ გამოჩენილნო ფალავანნო, ეს როგორ იქმნება, რომ ერთმა კაცმა ესრეთი საქმე ჰქმნას და შეიძლოს, იმდენს ფალავანებში შევიდეს, მეტადრე ყარამიჯინისთანა ფალავანი იქ იყოს და იმისთანა საქმეები ჩაიღინოს, გამოვიდეს და ისევე მშვიდობით მორჩესო? ეს ვის შეუძლიან და ან ვინ უნდა იყოსო? ამ სიტყვაში რომ იყვნენ, ხოსროვშირი და რომელნიც ხელმწიფის შვილები იყვნენ, ყველანი ერთად შემოვიდნენ და ხელმწიფეს თავი დაუკრეს და ქება შეასხეს. ხელმწიფე ხოსროვშირს მიესალმა და თავი დაუკრა და თავის ალაგას დაჯდა, სხვა დიდებულნიც თავ-თავის ალაგს დასხდნენ. მერმე უშანგმა ქეთან-შაჰის მეჯლიშის ამბავი უამბო. რა ეს ამბავი მოისმინეს, ყოველნი დიდად გაჰკვირდნენ. უშანგმა ბრძანა: ვინ უნდა იყოს ესარ? რატომ პასუხს არ მაძლევთო? არც ერთმა პასუხი არ მოახსენა. მერმე ყაჰყაი ფილურსავარ ზე აღზდგა, ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: თვითმპყრობელო ხელმწიფეო, ეგ ამბავი ხოსროვშირს ჰკითხეთო. ეს რომ მოახსენეს, ყველამ შეიტყეს, რომ ხოსროვშირის საქმე იყო. ხოსროვშირმა იგრძნა, რომ ეს ყაჰყაი ფილურსავარს მოეხსენებინა ხელმწიფისათვის. ხოსროვშირი დიდად შეწუხდა და თავჩამოგდებით დაჯდა. მერმე უშანგმა უბრძანა: ჩემო სიცოცხლეო, ან ჩვენ რატომ გვიზამ და ან შენს თავს რად აძლევ მაგვევარს განსაცდელში, მეტადრე ყარამიჯინისთანა ფალავანი იქ იყო. ამას გარდა სხვა მრავალი სასწავლებელი დაარიგა დიდად შეწუხებულმა უშანგმა, თავი ძირს დაჰკიდა, ამიტომ, რომ მრავალი ავი სიზმარი ენახა ხოსროვშირზედ. იმაზედ დიდად იმიშვიდა უშანგი.

იქით მხარეს ყარამიჯინმაც შეიტყო, რომ ეს საქმე ხოსროვშირისაგან ყოფილაო. მაშინვე უბრძანა, რომ საომარსა ნაღარისათვის შეებერათ და საომრად მომზადებულ იყვნენ.

### აჰა ომი უშანგის ლაშქართა და ყარამიჯინისაგან მრავალთა ფალავანთა დახოცა

რა დილა გათენდა და მზემან თვისი ბრწყინვალე სხივი მოჰფინა ქვეყანასა, ორივე მხრის ლაშქარნი დაემზადნენ საომრად, შესხდნენ ზოგნი სპილოზედ და ზოგნი მარტორქაზედ და გამოვიდნენ მოედანზედ, საფი გასწივეს და დასტა-დასტად დადგნენ. მემარჯვენენი და

მემარცხენენი განეწყენ და საომრად დადგნენ. ასორმოცი ათასი სპილოს საფი გასწივეს და სანგრად შემოივლეს. მერმე ყარამიჯინმა კიდევ მოასხმევირა სამოცი ათასი სპილო, სულ ფოლაღით შეჭურვილი. ერთს ყარამიჯინის იარაღი აპკიდეს და თვითონაც ფოლაღით შეიჭურვა, ბაბრისა, ლომისა და სხვა მხეცთა ტყავები ჩაიცვა და ზედ ჯაპკვი ჩაიცვა და დიდს მინარასავით სპილოზედ შეჯდა. ის ორმოცი ათასი კაცის მჭამელები გარს შემოიხვია და დადგა. რა უშანგის ჯართა ყარამიჯინი დაინახეს, მისის შიშით ერანელთ ფერი აღარა ჰქონდათ სახეზედ. იმათაც რა უშანგ-შაპის ლაშქრის გაწყობილობა ნახეს, დიდად მოეწონათ და ქება შეასხეს. მაგრამ უშანგის ჯარი თვალში ეცოტავათ. ფალავნებს თვალი მოედანზედ ეჭირათ და იძახდნენ, ვნახოთ, ვინ გამოვავო და ან ვისი ცხენი უპატრონოდ გაბრუნდებათ.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ყარამიჯინის მხრიდამ ერთი კაცის მჭამელი გავიდა მოედანზედ და დადგა. უშანგის მხრიდამ ფალავანი გამოითხოვა. იმჟამად თარალჯავანი მოედანზედ გამოვიდა. ოცდოთექვსმეტი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა. იმ კაცის ჰამიას დაუსისწორდა და შემოუტივა. ლახტი შეუმაღლა, მარდუმხორმა აიციდინა. მეორედ კიდევ დაპკრა, მაგრამ ვერა ევნო რა. მერმე ხმალი ჰსცა, ვერცა რა მან ავნო. აწ რიგი მარდუმხორს ერგო. მარდუმხორმა ერთი ასეთი ლახტი დაპკრა, რომ კაცი და ცხენი მიწასთან გაასწორა. ინდოეთის მხრიდამ ბარაქალის ხმა ზეცად აღიწივა. უშანგის მხრიდამ ჰეითალ მისლი მეიდანზედ გავიდა, რამდენიმე ხმალი და ლახტი ჰკრა, მაგრამ ვერა ავნო რა. რა რიგი მარდუმხორს ერგო, ამანაც რამდენიმე ლახტი სცა, მაგრამ ვერა ავნო რა. მარდუმხორი განრისხდა ასეთი ლახტი ჰსცა, რომ კაცი და სპილო მიწასთან გასწორა. მარდუმხორმა უშანგის ლაშქრიდამ კიდევ ფალავანი გამოითხოვა. ორმოცის მწყრთის მქონებელი ყაპყაი ფილურსავარ მოედანზედ გამოვიდა. მარდუმხორს ლახტი შეუმაღლა. მან ფარი იფარა. მაგრამ ლახტი ისე ძლიერად მოხვდა, რომ ფარი და თავი ერთმანერთსა შეაწყლიტა და დიდს მთასავით სპილოდამ ძირს დაეცა. ინდოეთის ლაშქარნი დიდად გაამაყებულნი იყვნენ იმ ფალავანისაგან და იმ ორის კაცის სიკვდილი აზღვევირა ფილურსავარმა.

რა ყარამიჯინმა ნახა, რომ ერთის დაკვრით მოკლა, იმაზედ გაამაყებული გული დიდად დაეჩაგრა. და ერან-თურანის მხარეს ქებისა და ბარაქალის ხმა ზეცამდის აღიწივა. იქით მხარეს ყარამიჯინ ისე განრისხდა, რომ მეხვივით ჰქეა დაიწყო, უნდოდა მოედანზედ გამო-

სულიყო. მაგრამ ქელურ მარდუმბორმა არ გამოუშვა და თვითონ გამოვიდა მოედანზედ. ალმასის ნაჯახი ეჭირა, ყაპყაი ფილურსაევარს მოუქნივა, ყაპყაის საჯდომ სპილოს მოხვდა და თავი გააგდებინა. ყაპყაი და სპილო ორნივე ძირს დაეცნენ. ქარისებრ მსწრაფლად შირფანჯა მოუხლტა ქელურს, ასეთი დაპკრა, რომ ძირს გარდმოაგდო. ერთი სპილო შირფანჯამ ყაპყაის მოპგვარა, ზედ შესვა. ყაპყაი ქელურს მიუხლტა, ერთი ასეთი დაპკრა, რომ მიწასთან გაასწორა. უნდოდა კვალად ყარამიჯინს, რომ მოედანზედ გამოსულიყო და არ გაუშვეს. ადამბორი მოედანზედ გამოვიდა. ერთმანერთზედ რამდენიმე იარაღი იხმარეს. ყაპყაი ფილურსაევარმა ხმალი მოუქნივა, ადამბორმა ფარი იფარა, მაგრამ ასეთი ხმალი სცა, რომ მკერდამდინ გაპკვეთა. უშანგის ლაშქრის მხრიდამ ქება ზეცამდინ აღიწივა.

ყარამიჯინმა რა იმის სიკვდილი ნახა, მეტის მწუხარებითა თავში კვამლი აუვიდა. იმ წამს სარჯან მარდუმბორი მეიდანზედ გამოვიდა. ყაპყაის თავზედ ასეთი ლახტი დაპკრა, რომ ფარმა ველარ გაუძლო, თავი მოარბდა, სპილოს მოხვდა და თავი დაუნაყა. სპილო და ყაპყაი ორნივე ქვე დაეცნენ. მსწრაფლ თემურ წინ გარდაუდგა, ყაპყაი ფილურსაევარ მეიდნიდამ წაიყვანა. თემურმა თვისი ლახტი სარჯანს მოუქნივა, მან ფარი იფარა, თემურის ლახტი სარჯანის ფარს მოხვდა, სპილო და კაცი მიწასთან გაასწორა. თემურ სამარყანდელი მოედანზედ ამაყად დავილოდა და ფალავანს გამოითხოვდა. ერთი მარდუმბორი მოედანზედ გამოვიდა. თემურმა ისიც მოკლა. ამ ყოფითა თემურმა ოცდაათი ფალავანი მოკლა მარდუმბორებისა.

რა ყარამიჯინმა ამდენი კაცის დახოცვა ნახა, დიდად დაიღრიალა და მოედანზედ გამოვიდა, ერთი ასეთის ხმითა დაიყვირა, რომ ცა და ქვეყანა შეიძრა. ინდეთისა და სინდეთის დასტები ერთმანეთს ეცნენ, რამდენსამე ფალავანს იმის ხმის შიშითა გულეები დაუსქდათ. სპილოები ერთმანეთში აირივნენ. ამ ხმაზედ უშანგის ლაშქარში რამდენიმე კაცი ცხენიდან გარდმოვარდა, სპილოთა და მარტორქათა ფეხქვეშ დაიხოცნენ და ყველას თვალი ინდოეთის ლაშქრისაკენ ეჭირათ, იძახდნენ: ეს რა ხმა იყო? ნახეს ერთი დევის მსგავსი, ოთხმოცდაოთხის მწყართის სიმაღლის მქონებელი, შავის ფოლადით თავით ფეხამდისინ შექურვილი, ერთი უცნაური ლახტი ხელთა უჭირავს, ჯინჯილებით ალმასის ბასრი ხმალი და ხანჯალი ჰკიდია. ასე ბრწყინავს, როგორც ის მოედანი მისს ბრწყინვალეობას მოეცვა, ერთი ასეთი ყოფაქცევით გამოვიდა მოედანზედ, რომ თუმცა ყაფის მთის დევეებს ენახათ, შიშით

დაწყალდებოდნენ. ვინცა ვინ უშანგის მხრილამ ყარამიჯინ დაინახეს, დილად შეშინდნენ.

ყარამიჯინმა ცხენი თემურისაკენ გაიგდო. საბრალო თემურმა რა თვისკენ მისული ნახა, დილად შეწუხდა, რა უნდა ექმნა, არ იცოდა. თემურისგან გაქცევა და მისი მორიდება სირცხვილი არ იყო, მაგრამ თვისსა ფალავნობასა და სახელსა აღარ აკადრა, თავი სასიკვდილოდ მისცა და თვის შემოქმედსა თავი შეაბრალა. მაგრამ იმ წყეულის ყვირილის ხმაზედ მცირე ხანს უცნობო შეიქმნა. რა ისევ გონებას მოეგო, იქილამ ყარამიჯინმა შემოუტყია. ასე ეგონა ყარამიჯინს, უწინ იარაღს ეს ჩემზედ იხმარებსო, მაგრამ თემურმა თავისი ფარი იფარა, თვითონ უნდოდა. რომ იმ წყეულის ლახტს გარდარჩომოდა. რა ყარამიჯინმა ამ ყოფაში ნახა, შეატყო, რომ ეს ვერ გამიძლებსო. თვისი მძიმე ლახტითა საბრალო თემური მიწასთან გაასწორა.

რა უშანგმა თემურისა ესე უწყალოდ გათავება იხილა, საყელო გარდაიხივა და თვალთაგან ცრემლი გარდმოედინა. აქეთ მხარეს ყარამიჯინმა კიდევ ერანელთაგან ფალავანი გამოითხოვა. ერანელთაგან ყამაჯაით თურქისტნელი გამოვიდა, ორმოცდასამის მწყურთის მქონებელი. ყამაჯაით გურზი მოუქნივა. ყარამიჯინმა არაფრად მიიჩნივა, ხელი მიპყო საყელოს, ერთის მცირეს ვაშლივით აგლიჯა, მიწას დაჰკრა და მიწასთან გაასწორა. იდევ ფალავანი გამოითხოვა. ირყასჯიბილ მოედანზედ გამოვიდა, ისიც მსწრაფლად მოკლა. რა ესე ნახეს, მისი შიშითა ვერა რომელმან ფალავანმა გაბედა მოედანზედ გამოსვლა. სინდისტნის მხრილამ ზურნისა და ნალარის ხმამ ზეცად აღიწივა. მარდუმხორები რომელსაც მკვდარ კაცს მოახელებდნენ, მაშინვე ჰყლაპავდნენ ხოლმე. უშანგ-შაჰმა რამდენჯერმე მარჯვნივ და მარცხნივ მიიხედა, მოიხედა, რომ ყარამიჯინისათვის მოედანზედ ფალავანი გამოეგზავნა საომრად, მაგრამ შიშით ყველა ფალავანს ფერი არა ჰქონდათ. აღარცერთს ფალავანს აღარ შეეძლოთ ყარამიჯინის ზმი და ვერც ერთმა ვერ გაბედა მოედანზედ გამოსვლა.

### აჰა ხოსროვშირისა ღა ყარამიჯინის ომი ძლიერი

რა ხოსროვშირმა ინდოეთის მხრილამ ესრეთი სიმხიარულე ნახა, თავის ჯარისა ესეთი მწუხარება, თავის მამაცურმა გულმა მოთმენა ველარ შეძლო. მსწრაფლ ერთი საშინელი ნარა გასწივა და შესძახა

მეიდნისაკენ და წამოვიდა. რა თავის რაზმთან მოვიდა, ერთი საშინელი ნარა კიდევ გასწია და ასეთი დაიყვირა, რომ ისეთი ხმა თუ არ ყარამანისაგან, სხვა არავისგან გაეგონათ. ესრეთ ეგონათ, რომ ყარამან მოვიდაო, მაგრამ ინდელნი და სინდელნი კი იცნობდნენ, რომ ეს ხმა ხოსროვშირისა იყო. უშანგმა ფალანგებს შემოსძახა: ღვთის გულისთვის, ნუ გაუშვებთო ხოსროვშირს! ფალანგნი ბევრს ეცადნენ, რომ ხოსროვშირი არ გასულიყო, მაგრამ არ დაიშალა. თეიარ დაშტი და ყაჰყაი ფილურსავარი აქეთ და იქით მოექიდნენ და ბევრს ეხვეწნენ, მაგრამ ხოსროვშირმა არც ერთის თხოვნა არ შეისმინა. რა ესენი მაგრად მოექიდნენ, იმჟამად ყარამიჯინმა ერთი ღიღის ხმით შემოსძახა: ჰეი, ერანელნო და თურანელნო და დეშტიყიფჩაღელნო ფალანგნო და ხელმწიფის შვილნო, ქვეყანაზე მამაცობისა და ფალანგობის დავას რომ სწევთ, რატომ მეიდანზედ არ გამოხვალთ? აბა მე ვარ ყარამიჯინი, ყველამ მიცანითო, ვისაც გნებავდეთ, მოედანზედ გამოდითო, ან სად არის ის გრძნეული, რომელმაც მაცდურობით-წუხელის გრძნეულობა იხმარა, ახლა გამოვიდეს და მიცნას, რომ ჩემს დედას ვითარი ფალანგნი დაუბადებია! და ერთი საშინელი ნარა გასწივა და მოედანზე ტრიალი დაიწყო. რა ხოსროვშირმა ესეთი ხმა გაიგონა ყარამიჯინისაგან, დიდად განრისხდა, უნდოდა რომ ფალანგებისათვის მკლავები ხმლით დაეყრევილებინა და იმათგან განთავისუფლებულიყო.

ყარამიჯინმა ნახა, რომ ორსავე ლაშქრის შუიღამ ერთი დიდი მტვერი აღვიდა. რა ქარმა შემოჰბერა, მტვერი უკუიყარა. ნახეს, რომ ერთი ოცდაცამეტის მწყურთის მქონებელი შავის ფოლადით შექურვილი თავით ფეხამდისინ, ერთს მწვანე მარტორქაზედ მჯდომი, მთვარის მსგავსი მოვიდოდა, ხელთა ერთი ფოლადის ლახტი ეჭირა და ტრიალით მოვიდოდა. ასეთის ქცევით მოვიდოდა, რომ ორისავე მხრის თვალი იმაზედ დარჩათ. რა ყარამიჯინ მოახლოვდა, თვისი მძიმე ლახტი შეუმალლა და ისეთი დაჰკრა, რომ ყარამიჯინს დიდი ძალა დაადგა. ვიღრე ყარამიჯინ მობრუნდებოდა, გულჩინმა ერთი კიდევ დაჰკრა, მაგრამ იმა ლახტმა ყარამიჯინს ვერა ავნო რა. რა რიგი ყარამიჯინს ერგო, ერთი ძალიანი ლახტი გულჩინს მოუქნივა. გულჩინმა ფოლადის ფარი თავსა იფარა, მაგრამ იმ წყეულმა ისეთი ძალიანად დაჰკრა, რომ ფოლადის ფარი სულ დაუღეწა და მისსა საჯდომს მარტორქას მოხვდა და მიწასთან გაასწორა. ვიღრე მარტორქა მიწა-

ზედ დაეცემოდა, გულჩინ მსწრაფლ შორს გარდახტა და ფეხზედ დადგა.

რა ხოსროვშირმა გულჩინის გარდმობხტომა ნახა, სიცოცხლე აღარ შერჩა. მარჯვენა ხელი ყაპყაი ფილურსავარს ჩაუგდო სარტყელში და მარცხენა ხელი თეიარ დაშტის და ესე ორნივე ფალავანნი საჯდომთაგან მოხადა და შორს გარდასტყორცნა და თვითონ განრისხებულმა ყარამიჯინს შეუტივა. ძირს გარდმომხტარ ფალავანზედ ხოსროვშირმა ყარამიჯინი აღარ მიუშვა სასიკვდილოდ. და ხოსროვშირმა შესძახა: ჰეი, შენ წყეულო! მაგ ფალავანისაგან ხელი აიღეო, ბულბულთან მალრანს სამტეროდ რა ხელი აქვსო, შენი მებრძოლი მე ვარო!

ამ სიტყვასა ზედან მას გარდმოვარდნილს ფალავანს ერთმა ქალმა მარტორქა მოჰგვარა, შესვა და ხოსროვშირს ორთავ თავი დაუქრეს. ისინი პირველ გზაზედ წავიდნენ. ამ ორსა მხარის ლაშქართ თვალი ამ ჩამოვარდნილ ფალავანზედ დარჩათ, ვერ იცნეს, თუ ვინ იყო. ლაშქარი დიდად გაამტერა და არცა არავის ამისთანა ძალ-გულლობა ენახათ. მაგრამ ამ სარჯანის ქალის გულჩინის ამბავი ხოსროვშირის მეტმა არავინ იცოდა, და გულჩინ იმ მიზეზით შეება ყარამიჯინს, რომ არამც ხოსროვშირს აწყინოს რაო. მივიდა, მეიღნის თავსა დადგა და იმა ფალავანის ომს ყურება დაუწყო. ხოსროვშირ და ყარამიჯინ ორნივე მოედანზედ საომრად შეიყარნენ, და იმათ მკვრეტელთ ასე ეგონებოდათ, რომ ერთი ანგელოზი და ერთი დევი შეიყარნენო. აქედამ უშანგ-შაჰამ და შირფანჯამ და ერანელთა სარდალთა და ფალავანთა ყველამ ქუდები მოიხადეს და ღმერთს ევედრებოდნენ ხოსროვშირის მშვიდობით დაფარვისათვის და მორჩენისათვის. ხოსროვშირმა რომ იგი ფალავანი ყარამიჯინის ხელისაგან დაიხსნა, ყარამიჯინ დიდად განრისხდა და კბილების ცემისაგან ესეთი ხმა გამოსდიოდა, რომ ცის გრგვინვას ემზგავსებოდა და შესძახა ყარამიჯინმა ხოსროვშირს: შე უბედურო, შენ რომ ჩემზედ საომრად მოედანზედ გამოხველო და ჩემისთანა ვეშაპზედ შენ ვითარ გაბედეო და ან უშანგის ლაშქარში არავინ იყო შენის მეტი მეომარი? სად არის ის გრძნეული ხოსროვშირ, რომ მოედანზედ არ გამოვაო, და ან ამ ლაშქარში შენ ვინა ხარო და ანუ რა გქვიანო? ხოსროვშირმა შესძახა: შენ ვინა და ან ხოსროვშირ ვინაო, მე ხოსროვშირის ერთი მცირე მონა ვარო. ხოსროვშირმა მე შენთან საომრად მოედანზედ გამომგზავნაო, ჯერ მე პასუხი მომეც, მერმე ხოსროვშირსაო. რა ყარამი-



ჯინმა ეს სიტყვა მოისმინა, ერთი საშინელი ხმით შესძახა და თვისი შიშველ ლახტი ხოსროვშირს შეუმაღლა. ამისმა მხილველმა ერანელმა და თურანელმა ლაშქარმა მწუხარების ხმა გაამრავლეს, დაეცნენ მიწასა და პირ-მიწა-გაერთებით ღმერთს ევედრებოდნენ.

რა ხოსროვშირმა ყარამიჯინისაგან ლახტის შემალღება ნახა, შეატყო, ამას ვერც ფერია და ვერც სხვა სულიერი ვერ გაუძლებდა და თქვა: თუ ამა ლახტს არ მოვერიდე, მოვკვდებიო, და თუ მოვერიდები, ჩემი სახელის ნაკლებობა იქმნებაო, ნამეტნავად ყარამან ყათილი თავის მამაცობის დავთრიდამ მომშლისო და ნაკლებად დამადებსო. რა საგონებელსა იყო, ხოსროვშირმა ბასრსა ხმალსა ხელი მოიკრა. ვიდრე იგი ლახტსა დაჰკრავდა მას, ასეთი ხმალი შემოჰკრა, რომ ოთხი ჯინჯილი მოსწყვიტა. და თვისი ფოლადის ლახტი თავსა დაიფარა, იგი ლახტი ესრეთ მოხვდა ხოსროვშირს, რომ მისმა ხმამ ცეცხლი და ჰვეყანა მოიცივა და საშინელი ცეცხლი გადმოსცივიდა ფარსა და ლახტსა ზედა. მუნ მყოფთა ლაშქართა ველარ დაინახეს, თუ ხოსროვშირ რა იქმნა, ცეცხლმა დაჰფარა ხოსროვშირი.

რა ესრე იხილეს, ხოსროვშირისაგან ხელი აიღეს და იმედი გარდაიწყვიტეს. რა იგი ლახტი ხოსროვშირს მოხვდა, მისმა მკლავებმა ველარ გაუძლო და მკლავები მოეკაკვა, თავი მოარიდა და მკერდს ასეთი მოხვდა, რომ სული შეუგუბდა და ცხვირ-პირიდან სისხლი წასქდა. რაც დედის ძუძუს წოვნით სიტკბო ენახა, იმის ოდენი სიმწარე ცხვირიდამ წარმოედინა და მისი საჯდომი მარტორქა ლახტის ძალამ მუხლამდისინ მიწაში ჩასვა. თვითონაც მცირეს ხანს უცნობო შეიქმნა. რა ცნობას მოვიდა, თვისსა შავსა მარტორქას ქუსლი ჰკრა და იმ ალაგიდამ სხვას მხარეს გარდინხლტუნა და თვისსა უვნებლად გარდარჩომაზედ ღმერთს მადლობა შესწირა. მაგრამ ყარამიჯინს კი ასე ეგონა, ხოსროვშირ თვისის რაშით მიწასთან გავასწორეო. როგორც ყარამიჯინს ეგონა, ეგრეთვე უშანგ-შაჰას ხოსროვშირის გათავება. უშანგმა იმედი გარდაიწყვიტა ხოსროვშირისა. ნახეს, რომ იმ ლახტს მშვიდობით გარდაურჩა, ისე, რომ ვითომც იმას არა მოხვედრიყო რა. რა რომ ხოსროვშირი უვნებლად იხილეს, ყველამ დიდი ქება შეასხეს. რა უშანგ-შაჰამ ხოსროვშირის მშვიდობით გარდარჩომა იხილა, ღმერთს მადლობა შესწირა და სამხიარულო ნაღარის ცემა დააწყებინა.

რა ყარამიჯინმა მოიხედა, ნახა, რომ იგი ლახტნაცემი ფალავანი მშვიდობით გარდარჩენია და მყარს კლდესავით დგას. ყარამიჯინმა

თავის ლახტს დახედა, ნახა, რომ ოთხი ჯინჯილი ხმლისაგან მოწყვეტილია. მობრუნდა და ერთი ლახტი კიდევ დაჰკრა. ხოსროვშირმა კიდევ ორი ჯინჯილი ხმლით გააგდებინა და მას ლახტსაც მშვილობით გარდურჩა. ვიდრე მესამედ მოუბრუნდებოდა, ქეთან-შაჰას აიარები მოვიდნენ და ყარამიჯინს უთხრეს: კარგად გაუფრთხილდიო, რომ ხოსროვშირ თვითონ ეგ არისო. რა ყარამიჯინმა ესე შეიტყო, მსწრაფლ მოუბრუნდა ხოსროვშირს კიდევ და ერთი ასეთი მძიმე ლახტი დაჰკრა, რომ მხილველთა ეგონათ, ეხლა კი გააწყალაო, მაგრამ ხოსროვშირს იმითაც არა ევნო რა. ყარამიჯინმა რომ ვერა გააწყო რა, ძალსავეით ყეფა დაიწყო და კბილების ღრჰენა შექმნა. ახლა რიგი ხოსროვშირს ერგო. რა თვისი მძიმე შუბი სამჯერ თავს შემოივლო. ვითამც ცამან დაიქუხა, ისე ზრიალი დაიწყო და ცხენის ყურს განაწონა. ყარამიჯინს მიუხლტა და შუბი დაუსისწორა. მან ფარი იფარა, ჰკრა ფარსა და შიგ გაატანინა. ყარამიჯინმა ფარი მას შუბსა დაანება და თვითონ თავი მოარიდა. ხოსროვშირი ცხენმა განიტაცა და იგი ფარი თან წაიღო შუბის წვერითა.

ახლა თვისი მძიმე ლახტი მიუტანა ყარამიჯინს, შეუმაღლა და მანაც თვისი ლახტი იფარა. ხოსროვშირმა ლახტი მედგრად დაჰკრა ყარამიჯინსა, მაგრამ ყარამიჯინ მშვილობით გადაურჩა. ასეთი ძალე კი დაადგა, რომ იმისთანა ძალა არაეისგან დასდგომოდა. მცირეს ხანს თავი გარდაიგდო და ისე იდგა გულშეღონებული. ამ ამბავზე უშანგის სამხიარულო ნაღარის კვრას ქვეყანა მოეცვა. რა რომ მესამედ ხოსროვშირმა ყარამანისეულ ბასრსა ხმალსა ხელი მოიკრა და ყარამიჯინს მიუხლტა შემოსაკრავად, ყარამიჯინმა შვიდკეცი ნინანგის ფოლადის ფარი იფარა. ხოსროვშირმა ხმალი მას ფარსა ჰკრა და ფარი შუა გაჰკვეთა, ყარამიჯინმა თავი მოარიდა, მას დასცდა და სპილოს მოხვდა, სპილოს თავი გააგდებინა, შავი მთის ოდენი ყარამიჯინი და სპილო მიწასა დაეცნენ. ხოსროვშირი ყარამიჯინს გასცილდა და რა ყარამიჯინის გარდმოფარდნა იხილეს, ოცდაათი ათასმა მარდუმხორმა ხოსროვშირს შემოუტივეს და ყარამიჯინის ორმოცდარვა შვილმა. ვიდრემდის ხოსროვშირი ყარამიჯინს მოუბრუნდებოდა, მსწრაფლ ყარამიჯინსაც სპილო მოჰგვარეს და ზედ შესცეს. ხოსროვშირი შუა ჩაიგდეს და გარს შემოეხვივნენ.

რა უშანგ-შაჰამ ესე დაინახა, სიცოცხლე აღარ შერჩა, მსწრაფლ ოცდაათჯერ ას ათას ერანელთა და დემტყიფჩაღელთა შეტევება

უბრძანა. მათაც შემოუტყვეს. მრავალი მარდუძხორები დაიხოცნენ და ყარამიჯინი იმ არეულობაში ფრანგ-თურქისტნელს შემოჰხვდა და ერთის დაკვრით მიწასთან გაასწორა. მერმე თემურ ეჯაზელს შეჰპოხვდა და ისიც მოკლა, მერმე ყეიფურ მაზანდარელს, დამარიჯანს და სხვებს. რალა გავაგრძელო, იმ დღეს ყარამიჯინმა სამოცი სარდალი და ფალავანი მოკლა.

რა ხოსროვშირმა ყარამიჯინის იმისთანა სიმხნე ნახა, დიდად ვანრისხდა და ყარამიჯინს შვილები დაუხოცა. მერმე ყარამიჯინს შემოუტყვა, ყარამიჯინმაც შემოუტყვა და თავის მძიმე ლახტი დაჰკრა, ამან იმას, იმან ამას, ერთმანერთს ვეშაჰსავით ერკინებოდნენ. იქითის მხრიდგან ქეთან-შაჰამ ჰინდთა და სინდთა სულ ერთად შემოტევება უბრძანა. დიდის ზღვის ლელვასავით შემუტყვეს. რა აქეთ მხარეს შარიბ-შაჰამ ესე ნახა, თვისსა ლაშქარსა სულ ერთად შეტევება უბრძანა. ამათაც შეუტყვეს. ეს ორნივე უთვალავნი ლაშქარნი ერთმანერთში დაერივნენ, ასე იტყოდნენ მხილველნი, რომ ქვეყანაზედ კაცი აღარ დარჩომილაო.

იმ დღეს ისეთი საზარო ომი შეიქმნა, რომ ფალავანთა ხმისაგან და სპილოს ბრღენისაგან, და მარტორქის ღრიალისაგან, ნადარის ხმისაგან, ისრის შრიალისაგან, ხმალთა ცემისაგან, შუბთა ძგერისაგან და ლახტთა ხეთქისაგან ცა და ქვეყანა სრულად იძრწოდა. ასეთი დღე იყო, რომ მეორედ მოსვლას ემზგავსებოდა, ბერი კაცი და ყრმა, თეთრი ცხენი და შავი ცხენი სრულად გაერთებულყო. იმ დღეს სარანდობის მთის კალთებში, მინდორში, უშანგაბადის და უკიანეს ზღვის პირზედ ასეთი საშინელი და ფიცხელი ომი მოხდა, რომ, რაც ქვეყანა დაარსებულა, იმ გვარი ომი არ მომხდარა. იმ დღეს საღამომდის ესრეთ იბრძოლეს.

იმ დღეს ყარამიჯინმა უშანგის დასტები ერთმანერთში მიურმოურვიჲ და დიდად შეაწუხა. თუ იმ დღეს ხოსროვშირი იქ არ დასწრებოდა, იმ ჯარს დიახ მალე დაიმორჩილებდა. ყარამიჯინს ერთს წამს ვერ გაუძლებდნენ ერანელნი და თურანელნი. ყარამიჯინმა უშანგის დასტებს შემოუტყვა, დასტები სულ დაფანტა და თვით უშანგის ტახტამდის მიაღწივა, დიდის ცდითა და ბრძოლით ძლივს დააბრუნეს უკან.

რა საღამოს ჟამი შეიქმნა, ფალავანთა მკლავნი დაეღალათ და ხმალიც ხერხს დაემზგავსნენ, ცხენთა სიარული აღარ შეეძლოთ, შუბნიც დაჩლუნგდნენ, მშვილდთა საბელნი დაუდუნდათ, ფარნი

ცხრილს დაემზავვასათ. რა ესრეთ მოუძღურდნენ, ორსავე მხარეს გასაყარს ნალარასა შეკბერეს, ორსავე მხრის ჯარნი თვისსავე ალაგს მიიქცნენ, მაგრამ ხოსროვშირ და ყარამიჯინ აღარ დაბრუნდნენ. რამდენიც ფალავანნი წინ წადგნენ და სთხოვეს, ხოსროვშირმა არც ერთს არ დაუჯერა. ერანელნი ფალავანნი ცალს მხარეს დადგნენ და ჰინდელნი ცალს მხარეს, შუალამემდის ამით მედგრად იბრძოლეს. ასე, რომ ამ ორის ვეშაპის ბრძოლითა სარანდების მთა სულ იძრწოდა. რა ომი გაუძნელდათ, ხოსროვშირ განრისხდა, ერთი ლახტი დაჰკრა, ყარამიჯინმა ლახტს ფარი უფარა, ამა ლახტმა ფარი დაამსხვრივა. ყარამიჯინმა ლახტს თავი მოარიდა, სპილოს მოხვდა და თავზე დაუღწა, სპილო მიწასა დაეცა, ყარამიჯინ ქვეშ დაიტანა.

ვიდრე ხოსროვშირ მობრუნდებოდა, ყარამიჯინს სხვა სპილო მოჰგვარეს და შესვეს. უშანგი ხოსროვშირს წინ გადუდგა და სთხოვა ჩემო თვალის სინათლევ, გეყოფა ლომის და დევის ბრძოლა, ახლა ხელი აიღეო, დრო არის ღვთით მტერი შენგან იძალაო, ხვალ კიდევ შეებმითო, გამობრუნდიო! ხოსროვშირმა მოახსენა: ჯერ ეს გაბრუნდესო, და მერმე მეო, მე რომ უწინ გავბრუნდე, ესენი რას იტყვიან, ხოსროვშირ შეშინდაო, ამიტომ გაბრუნდაო და გაიქცაო. იქიდან ქეთან-შაჰამ და მარდუშხორებმა ყარამიჯინ წაიყვანეს და ქეთან-შაჰას კარზედ მივიდნენ, მეჯლიში გამართეს, მცირეს ხანსა ღვინო სვეს. რა ყარამიჯინ ღვინით დაითრო, დიდს გუმბათსავით თავი აიღო, თავის შვილებისაკენ მიიხედა, ნახა, რომ ორმოცდაოთხი შვილი აკლდა, ერთი ძლიერ ამოიოხრა და თვალთაგან თვითო რუს ოდენი ცრემლი გარდმოედინა, და ასეთი კანკალი დაიწყო და კბილების ცემა, რომ მისი ხმა ნახევარს აღაჯზედ ისმოდა. იქა მსხდომთა შიშისაგან აღარავის შეეძლოთ, რომ სიტყვა ეთქვათ ყარამიჯინისათვის.

უშანგ-შაჰამ ხოსროვშირი წაიყვანა და თავის კარავში მოვიდნენ, შემდეგ შვიდნი იყლიმის ხელმწიფენი სარდალნი და სპასალარნი უშანგ-შაჰის კარავში შეიყარნენ. უშანგმა ბრძანა, რაც იმ დღეს ომში დახოცილნი ფალავანნი იყვნენ, ისინი სულ მოატანინა და დაამარხვინა. მაგრამ უშანგმა რა თვისი ფალავანები დახოცილნი ნახა, დიდად შეწუხდა, მრავალი იტირა გულმწუხარედ. მერმე რანიც სარდალნი იხუ სპასალარნი უშანგ-შაჰას კარზედ შეიყარნენ, მივიდნენ, უშანგ-შაჰას თავი დაუკრეს და თვისსა ალაგს დასხდნენ. მცირეს ხანს შემდეგ ხოსროვშირიც მოვიდა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და ხელსა აქოცა. უშანგმა ადგილი უთავაზა, გარდიყვანა და თვისსა ალაგსა.

დასვა, მერმე ხოსროვეშირის ლალა თეიარ დაძტმა და ყაჰყაი ფი-  
ლურსავარმა უშანგს თავი დაუკრეს და ხოსროვეშირს ქება შეასხეს.  
მერმე შირფანჯამ უთხრა: ჰეი, ფალავანნო, მიკვირს თქვენის ფალავ-  
ნობისაგან, რომ ორნი მთისოდენი ფალავანნი ხოსროვეშირმა ერთი  
ცალის ხელით და მეორე მეორეს ხელით ერთს მკირეს ბურთივით  
ფილოთ და შორს გარდაგყარათ? მათ მიუგეს: შირფანჯავ, ჩვენ ეგ  
არ გვიკვირსო! აქლემიც დიდი არისო, მაგრამ ლომის კლანჭს ვერ გა-  
უძლებსო. ამა სიტყვასა ზედა ხელმწიფემ და დიდებულთა ყველამ  
მრავალი იცინეს.

იქით მხარეს ქეთან-შაჰას მეჯლიშში ყოველნი კაცნი, დიდნი თუ  
მკირენი, ხოსროვეშირის ფალავნობასა და ძალგულოვნობას აქებდ-  
ნენ, აქა-იქა ლაპარაკობდნენ გაკვირვებითა. მაგრამ რა მეჯლიშში  
ხოსროვეშირის ქება ყარამიჯინს ესმოდა, დიდად სირცხვილეული  
თავ-ჩამოდებით იჯდა და სწუხდა ხოსროვეშირის ომის გაუსწორებ-  
ლობაზედ და გულჩინის სიყვარულზედ, რომ დავა დათხოვნილ იყო.  
დიდად სცხვენოდა, რომ გულჩინისათვის პირს ველარ შეეხედა. ქე-  
თან-შაჰამ იხილა, რომ ყარამიჯინ დიდად შეწუხებული არის ხოს-  
როვეშირის ომის გაუსწორებლობისათვის. ქეთან-შაჰას ასე ეგონა,  
რომ რომელსაც დღეს ყარამიჯინ უშანგ-შაჰას შეებმის, იმავ დღეს  
დამარცხებსო და უშანგი ვერ გაუძლებსო.

### აჰა ოჰყალი ჯადოს ამბავი

ესენი რომ ამ მწუხარების ფიქრში იყვნენ, კარზედ რალაც არეუ-  
ლობა შეექმნათ. აქა-იქა კითხვა შეიქმნა ამბვისა. ნახეს, რომ შვიდნი  
შავით მოსილნი კაცნი ხელმწიფესთან შემოვიდნენ, ღორის ტყავის  
ჯაჭვები ეცვათ, მათი წვერ-წარბ-წამწამი ერთმანერთში სულ და-  
ბურდნული და დახონჯილი ჰქონდათ. თავიანთ ღლეში პირზე წყალი  
არ შეესხათ, ფრჩხილები ჭლანკვის ოდენი ჰქონდათ სიგრძითა. პირი-  
დამ ისეთი სიმყარალის სული ამოსდიოდათ, რომ კაცნი იმათი სიმყარა-  
ლის სულით ვერ მიუდგებოდა. ყველას ხელთა თვითო გველი ეჭი-  
რათ მათრახად, მოვიდნენ, ქეთან-შაჰას თავი დაუკრეს და ქება  
შეასხეს და მოახსენეს: მოგვილოცავს ოჰყალი ჯადოს მოსვლაო! სა-  
მასის ათასის თილისმის მცოდნე ჯადოთი მოვაო.

რა ქეთან-შაჰამ, ჩარჯანმა და გურგანმა ოჰყალი ჯადოს მოსვლა  
გაიგონეს, დიდად გამხიარულდნენ, მეჯლიში გამართეს, ესენიც თა-

ვის ალაგს დასხეს. რა გულჩინმა იმისი მოსვლა გაიგონა, დიდსა მწუხარებას მიეცა, რომ სიცოცხლე და ცნობა აღარ დარჩა. მაშინვე სურხავს, თვისსა აიარს, ანიშნა და უშანგთან გაგზავნა, ოპყალი ჯადოს მოსვლა აცნობა. შეუთვალა, გაფრთხილდითო, რომ ამისი ომი ქვეყანაზედ კაცს არ შეუძლიანო. ესენი შეუთვალა და სურხავ გაგზავნა, ის სურხავ ისეთი ფიცხი აიარი იყო, თვისის სისწრაფით ცის ჩარხის სიმრგვლეზედ გარდახტებოდა. სურხავ დილის ნიავსავით სწრაფად წავიდა, უშანგ-შაპას ყარაულებთან შივიდა. ყაპყაი ფილურსავარს ესე ამბავი ყველა წვრილად უამბო და გამოეთხოვა, ისევე თავის ჯარში წამოვიდა, ნახა, რომ ქეთან-შაპას ისევე მეჯლიში ჰქონდა და დიდად მხიარულობდნენ. ამ სიტყვაზედ შეეკეოდნენ და იძახდნენ: დღეს ერანელთა და თურანელთა აღსასრული მოვიდაო. იმ ღამეს გათენებამდისინ სამხიარულო ნაღარას ცემა არ გაწყვიტეს, მრავალს ალაგს მაშხალები დაანთეს და მოასხეს თავიანთი გაწვრთნილი სპილოები. სინდურად უთხრეს სპილოებს; აბა, მზად იყავით ხვალისთვისაო, რომ ომი უნდა გარდინადოთო. და საცა სპილოებო ჰყვანდათ, სულ ერთად შეპყარეს. ასეთის დიდის ხმითა ღრიალებდნენ, რომ იმათმა ხმამა ცა და ქვეყანა მოიცვა.

რა დილა გათენდა, უშანგ-შაპასთან ყაპყაი შევიდა, იმ სურხავის ნათქვამი ამბავი ყველა მოახსენა. რა უშანგ-შაპამ ესე შეიტყო, შარიბ-შაპას, ქეივან-შაპას და დაუთ-შაპას შეხედა და უთხრა: ხელმწიფენო, იმა წყეულს ჯადოს როგორ უნდა შევებათო? განსოვსო, ჰეილან ჯადოზედ რა შრომა გარდაგვხდაო? თუ გარდანქემან აიარი ირ ყოფილიყო და იმას ეშმაკობით არ მოეკლა, დიას გვიჭირდა იმისი სიკვდილიო.

რა ხოსროვშირმა ხელმწიფისაგან ესენი მოისმინა, მოახსენა: ერთს ქაჯს ჯადოს რა შეუძლიანო, რომ მაგისთანა სიტყვებს ბრძანებთო და ამა ხალხს აშინებთო? თქვენ თავს ნუ შეიწყენთ და მე იმის თამაშას გიჩვენებთო. გაამაყებულმან კვებნა დაიწყო, მაგრამ ტყვილი არც ერთი არ იყო. რა ხოსროვშირის მამამ შარიბ-შაპამ გაიგონა, დიდად იწყინა იმ თავის შვილისაგან კვებნა და უთხრა: ჩემო თვალის სინათლევ და გულისა სიხარულო, მაგისთანა ღვთის საწყენს სიტყვებს ნუ ბრძანებო.

ამ სიტყვაში რომ იყვნენ, ნახეს, რომ აღმოსავლეთის მხარეს შავმან ღრუბელმან ჰაერი მოიცვა, საკვირველი, საშინელი ხმიანობა ისმოდა იმ ღრუბლიდამ. ყოველნი კაცნი გაჰკვირდნენ, ყურება დაი-

წყეს. ეს ჰაერში მომავალნი სარანდობის მთის კალთაში ჩამოხდნენ. რა რომ ის საკვირველი ღრუბელი გარდაიყარა, სამი ჯადოს ლაშქარი გამოჩნდა, თვითო-თვითო სულ სხვა და სხვა სახის მქონებელნი, სრულებით შავით მოსილნი იყვნენ. რომელნიმე ლომზედ ისხდნენ, რომელნიმე ვეფხვზედ, რომელნიმე ბაბრზედ, რომელნიმე ვეშაპზედ და იმათში ერთი ოცდათხუთმეტის მწყურთის მქონებელ ჯადოს ერთი ღორის ტყავის მსგავსი ჯაჭვი ეცვა, თვალნი ლურჯნი ესხნენ, ზევითი ქუთუთოები არ ჰქონდა, თვალთა ბრუნვა ელვას უგვანდა, მეხის ქექასავით საზარო იყო. ერთს ვეშაპზედ გველების მსგავსი უცხო ჯადოს მანქანები ეყიდა, ეს მოსულნი ოპყალი ჯადო და მისი ჯარი იყო. რა ჩამოხტნენ, სალაფარდა გასწივეს, მრავალნი კარავნი დასცეს. იქითის მხრიდამ ქეთან-შაპ, სარჯანი ჰინდი და გურგან-ბელანდ-ქამანი მოეგებნენ. უშანგის და თავის ომის ამბავი ჰკითხა და ქეთან-შაპამ ყველა წერილად უამბო.

## აჰა ომი უშანგისა და სინდელთ ხელმწიფისა

რა ესე ამბავი გაათავეს, ქეთან-შაპამ ყველას ბრძანება გასცა, თვის ჯარზედაც და ჯადოს ჯარზედაც, რომ ხვალ ომი არის, დაემზადნითო: იმ ღამეს ორსავე ჯარში არავის დაეძინათ, გულოვანთა ომის ნდომითა და მხდალთა—შიშითა. რა დილა გათენდა, საომრად დაემზადნენ, იარაღნი მოიმართეს, სპილოსა და მარტორქაზედ შესხდნენ, დასტები დააწყეს, მემარჯვენენი და მემარცხენენი განაწესეს, რაზმები დააწყეს და საომრად გაემართნენ. უშანგის ჯარს დაუპირდაპირდნენ. ჯადოს ლაშქარნიც საომრად მომზადებულნი დადგნენ. იქედამ უშანგ-შაპამ ნახა, რომ სინდელთ ოპყალი ჯადოს იმედითა დასტები დააწყეს და უცხო და უცხო დროშები აღმართეს, ამანაც ნება მისცა ერანისა და თურანის და დეშტი ყიფჩალის ჯარსა. ამათაც რაზმები დააწყეს და საომრად დაემზადნენ. ხოსროვშირ ხელმწიფის შვილებითა და ფალავნებით ჯარის ნაპირს გავიდა და დადგა. ესეთი მტვერი აღზდგა ცხენის ფეხისაგან, რომ მზის შუქი დაფარა. რა მტვერი გარდაიყარა, ამა ორთა ზღვის ოდენათა ლაშქართა ერთმანერთი დაინახეს. გულოვანთა ფალავანთა მეიდანზედ ყურება დაიწყეს და იტყოდნენ, თუ ვინ გამოვა მეიდანზედ, ვისი ცხენი უპატრონოდ დარჩებაო.

რა ოპყალი ჯადომ უშანგის ჯარსა თვალი გარდაავლო, დიდად მოეწონა და კიდევ გაჰკვირდა მათს სიკეთეს. მოუბრუნდა ყარამიჯინს და უთხრა: ყარამიჯინო! შენის ძმის მკვლელი არ არისო. გარდნქეშანიო? ამაზედ ყარამიჯინს სინდთა ხელმწიფემ აღარ დააცალა და ესე უთხრა: ყოველის გრძნების ხელმწიფეო, არც შეხია ძმის აზრალის მკვლელი არის და არც სპანდიერ-ბარისა; ყარამან ყათილი და სხვანი ქუი-ყათის მთაში წასულან და იქ არიანო. ოპყალი ჯადომ კიდევ იკითხა: თქვენს ჯარში ისეთი ვინმე არის, რომ უშანგის ჯარის სარდლებისა და ფალავნების სახელები იცოდესო? სარჯანი ჰინდი ზე აღზდგა და მსწრაფლად მოახსენა: მე დიახ კარგად ვიციო. ოპყალი ჯადომ ერთი ვირის ტყავი მოიღო, საწერელი და კალამი, და ეგრე უთხრა: შენ თვითო-თვითო სახელები მითხარო და მე დაეწერო. სარჯანმა სულ თვითო-თვითო ფალავნების სახელები უთხრა და ოპყალი ჯადომ დასწერა.

შემდეგ ერთი დიდის სინით ცეცხლი მოატანინა, წინ დაიდგა, ანცი ჯადოს მეიდანზედ გასვლა უბრძანა, იგი ფიცხლად გავიდა, უშანგის ჯარიდამ ფალავანი გამოითხოვა და უშანგის ჯარიდამ ზოაქ ნოვეჯუანი გამოვიდა. ესე უთხრა: გამოვსულეარო და შენს ჰუნარს ვნახავო! ოპყალი ჯადომ იკითხა, უშანგის ჯარიდამ გამოსული ფალავანი ვინ არისო? გურგან-ბელანდ-ქამანმა მოახსენა: ეგ ძალიანი გულოვანი ფალავანი არის, სახელად ზოაქ ნოვეჯუანი ჰქვიან. ეგ ერთის ქალის გულისთვის თურქისტნის ქალაქს გარდაემტერა, მივიდა, ერთს მთაში დადგა. თურქისტნის მეფემ ჯარი შეიყარა, ჩვიდმეტჯერ მიუბდა, მაგრამ ვერ დაამარცხა, ჯარი ამოუწყვიტა, შემდგომ თურქნი წარვიდნენ, უშანგს შესჩივლეს. უშანგი ჯარით მივიდა და ეგ ყათრანმა დაიჭირა და უშანგს დაუმონავა. რა ოპყალი ჯადომ ესე მოისმინა. თავის წერილს ხელი მიჰყო, ამისი სახელი იპოვნა, მოსჭრა და ცეცხლში ჩააგდო. რა იგი ცეცხლში ჩააგდო, ზოაქს თვალნი დაუბნელდა და წინ მდგომი ჯადო ვერ დაინახა, რომელსაც მარტორქაზედ იჯდა, იმასაც თვალნი დაუბრმავდა. ანცი ჯადომ მსწრაფლად საგდებელი გარდააცვა, შეჰქრა, მოიტანა და ოპყალი ჯადოს წინ დააგდო.

რა უშანგის ჯარმა ესე ნახეს, დიდად გაჰკვირდნენ. შემდეგ ასფარელმა, ორმოცდაათის მწყურთის მქონებელმა, შავის ფოლადით შეიჭურვა, მსწრაფლად ანცი ჯადოს მიმართა. რა ოპყალი ჯადომ ესე ხახა, დიდად მოიწონა და გურგანს ჰკითხა: უშანგმა ამისთანა ლომგულნი ფალავანი სად იპოვნაო, ამისი სახელი რა არისო? გურგანმა



მოახსენა: მაგისი სახელი ბარამ-ასფარელი არისო, ასეთი ფალავანი არის ეგ, რომ უშანგი ასი ათასის კაცით ხუთჯერ დაამარცხა. მასუკან ესეც ყათრანმა დაიჭირაო და უშანგს დაამონაო. ოპყალი ჯადომ ამის სახელიც იპოვნა, მოსჭრა, შეულოცა და ცეცხლში შეაგდო. მსწრაფლ ასფარელსაც თვალნი დაუბრმავდა, იარაღი ხელითგახ გაცევიდა, მისი მარტორქაც დაბრმავდა, იგიცა შეიპყრა. ანცი ჯადომ, მაგრა შეპყრა, ოპყალი ჯადოსთან მიიყვანა და დროშასთან დააგდო. ანცი-ჯადომ კიდევ ფალავანი გამოითხოვა. უშანგის ჯარიდამ ყაზამფარ-ზადი გამოვიდა, მარტორქას ქუსლი ჰკრა და უნდოდა მსწრაფლად მისულიყო და ერთი გურზი დაეკრა.

რა იგი მოედანს იხილეს ისეთი ამაყი და მუქარით მიმავალი, სანამ იგი ჯადოსთან მივიდოდა. იმისი სახელიც იკითხა, ოპყალი ჯადომ და გურჯან მოახსენა: ამას ყაზამფარ ზადი ჰქვიანო, ეს ერთს მთაში ერთს დედა-ლომს გაუზრდია თვისის ძუძუთიო, გავერანებულ გაველურებული მთაში დავიდოდა და ამას ერთი ხათის ხელმწიფე შემოპყროდა. თურმე ამას კაცი რომ არ ენახა, ერთი დიდი ხე მოგლიჯა და ისე შეუტივა ჯარს. ჯარი ბევრს ცდილიყვნენ დაქერასო, მაგრამ ვერ დაეჭირათო. შემდეგ იმოტენა ჯარისთვის შემოუტეგია და სულ გამოექცევა. ხელმწიფეს რომ ვერაფერი ვერ გაეწყო, ერთს ქალაქს შეპფარებიყო, იქაც მიხდომოდა და მრავალი კაცი დაეხოცა და იქილამ ერთი მშვენიერი ქალი მოეტაცნა და ერთს ციხეს მოსდგომოდა, ენახა, რომ ციხის კარი დაკეტილია. ის დაკეტილი კარი ერთის გამოწვევით გამოეგლიჯა და შიგ შესულიყო, იქ მყოფნი სულ ამოეწყვიტა და ქალი იქ შეეყვანა და იქ დაბანაკებულიყო. ხათის ხელმწიფე მრავალჯერ მიხდომოდა, მაგრამ ვერა დაეკლო რა. შემდეგ უშანგმა ხათის ქვეყანა რომ დაიჭირა, ესეც მაშინ ყათრანმა დაიმორჩილა და უშანგს დაამონაო.

ოპყალი ჯადომ იმისი სახელიც იპოვა, მოსჭრა, შეულოცა და ცეცხლში შეაგდო. მსწრაფლ ყაზამფარ უჩინო შეიქმნა. ვერა სცნეს, თუ ყაზამფარ რა იქმნა. რა ესეთი საქმე იხილეს, ორივე მხრის ლაშქარი დიდად შესწუხდნენ. ყაზამფარ მსწრაფლ შეიცვალა და თვისი თავი ერთს თეთრ ძაღლად შეიქმნა და რომელ მარტორქაზედ იჯდა, ისიც ერთს ვეფხვად გარდაიქცა. რა იმ ძაღლმა ნახა ისეთი სწაზარელი ვეფხვი, ბევრს ეცადა, რომ ჩვეულებისამებრ კაცობრივის ხმით ელაპარაკნა, მაგრამ ვეღარ ილაპარაკა. თუ ილაპარაკებდა, ძაღლის ყეფა გამოსდიოდა პირილამ. თვისი მარტორქა, რომელიც რომ ვეფხვად

გარდაიქცა, ცდილობდა, რომ ყაზამფარ მოეკლა. ყაზამფარმა ამისი მეტი ღონე ვეღარ მოიპოვა და თავის ჯარისკენ გაიქცა და იგი ვეფხვი იმას გამოუდგა და ეს თეთრი ძაღლი ფალავნებში შეეკარდა, იგი ვეფხვი ამას უკან მისდევდა, ფალავნებმა ისარს ხელი მოიკრეს, უნდოდათ, რომ იგი ძაღლი მოეკლათ. მაგრამ უშანგმა უბრძანა ფალავანთა, რომ იგი ძაღლი არ მოეკლათ და იმ მხეცისაგან გაენთავისუფლებინათ. ამისმა მხსნელმა ხოსროვშირმა ისარს ხელი მოავლო და იმ მხეცსა ჰკრა და მოკლა. რა იგი ვეფხვი დაეცა, ნასეს, რომ ერთი მარტორქა იყო, რომელზედაც ყაზამფარ ჯდებოდა.

რა იგი მხეცი ძაღლმა მკვდარი ნახა, თვალთაგან ცრემლი მოედინა და სარანდიბის მთისაკენ წავიდა. რა ესე იმ ძაღლისაგან ნახეს, ყველანი შეწუხდნენ და იგი ძაღლი შეეცოდათ. შარიბ-შაჰამ ხელმწიფეს მოახსენა: ეს სულ ჯადო არისო, გემართებს, რომ ჩვენ ამ ჯადოსაგან გავფრთხილდეთო. რა ესე სიტყვა დაასრულა, შემდეგ ანუი ჯადომ კიდევ ფალავანი გამოითხოვა. უშანგის ჯარიდამ ზორაბ სისტანელმა სპილო გაიგდო და მას ჯადოს მიუხდა. ოჰყალი ჯადომ იკითხა: ამ ფალავნის სახელი რა არისო? გურგანმა მოახსენა: ამას ზორაბ-სისტანელი ჰქვიანო, დიან ხელძალიანი ფალავანი არისო, ქეომარს ხელმწიფის ნათესავი არისო. ოჰყალი ჯადომ მისი სახელიც იპოვნა, მოსჭრა და ცეცხლში ჩააგდო. ზორაბს მაშინვე თვალთ დაუხუნელდა და თავისსა სპილოსაც. ორნივე წაიქცნენ. იგიც ჯადომ შეჰკრა და წაიყვანა. რაღა გრძლად მოგახსენოთ, ამ ჯადოს მანქანებმა, ას სამოცი ფალავანი დაიჭირა, ერანელნი და თურანელნი. ამისი მნახავი ხოსროვშირი დიდად აჩქარდა და არ იცოდა, რა ექმნა. გულმა ცის ჰეჰასავით ძგერა დაუწყო. რომელსა ალაგსაც იდგა, მასვე ალაგს ერთი ასეთი-შესძახა, რომ ცის ქუხილსა ჰგვანდა, თვისსა რამსა ქუსლი ჰკრა და შეიდანს გავიდა და ფალავანი გამოითხოვა.

## ამა ხოსროვშირისა და გულჩინის შეპყრობა ოჰყალი ჯადოსაგან

რა უშანგ-შაჰამ ესე იხილა, მისმა სულთქმის კვამლმა სრულიად ჰერი დააბნელა. რა წყეულმა ოჰყალი ჯადომ დაინახა ჰინდელნი და სინდელნი ამისთანა მდგომარეობაში, რომ სულყველას თვალთაგან სისხლის ცრემლი სდიოდათ და შეწუხებულნი და შეშინებულნი იყ-

ნენ, ოპყალი ჯადოს დიდად მოეწონა თავის მანქანები. რა ხოსროვ-  
შირი დაინახა, ესე სთქვა: დიდად მიკვირს, რომ უშანგს ამისთანა  
ფალავნები საიდგან უშოვნიაო და მეტადრე ამისთანა ვეშაპიო! ხოს-  
როვშირზედ თქვა, თუ ქვეყანაზედ ხელმწიფობა და სააბყირანობა  
იყოს, ეს უნდა იყოსო. მერმე გურგანს ჰკითხა: ეს ვინ არისო, რომ  
ამისთანა ყოფაქცევით მოვაო? მე მგონი, ამას საშინელი ვეშაპიც  
რომ იყოს, წინ ვერ დაუდგესო. გურგანმა მოახსენა: ჯადოთა ხელ-  
მწიფეო, ქვეყნის დამქცევი, მოედანზედ ფალავნის ამომწყვეტი, ტახ-  
ტის დამამტკრეველი, უშანგ-შაპას ძმისწული შარიბ-შაპას შვილი სა-  
ხელოვანი ფალავანი ხოსროვშირ ეგ არისო. რა ესე თქვა, გურგანი  
მსწრაფლ დაჩუმდა და თავი ქვე ჩამოაგდო. ოპყალი ჯადომ მისი სა-  
ხელიც იპოვა, მოსჭრა, შეულოცა და ცეცხლში შეაგდო. რა მისი  
სახელი ცეცხლში ჩააგდო, მსწრაფლ ხოსროვშირს თვალები დაუბ-  
ნელდა და თვალთაგან ცნობა დაეფანტა და არ იცოდა, თუ რას იქ-  
მოდა. მისმა რაშმა დაიწყო სიარული და ოპყალი ჯადოს წინაშე  
მიიყვანა. ხოსროვშირი ცხენიდან გარდმოვარდა და ოპყალიმ მისი  
შეკვრა ბრძანა. მსწრაფლ ისიც მაგრა შეკრეს.

რა გულჩინმა ხოსროვშირი დაკვირილი ნახა, კინაღამ ჰკუიღამ  
შეიშალა და არ იცოდა, თუ რა ექმნა. მსწრაფლ ხმალს ხელი მოიკრა  
და ოპყალი ჯადოს მიუხლტა. თვისსა გუნებაში ესე იტყოდა გულ-  
ჩინი: რადგან ის შეპყრობილი არისო, მაშ მე ჩემი სიცოცხლე რაღად  
მინდაო? რა ოპყალი ჯადომ გულჩინი თვისზე სასიკვდილოდ მისუ-  
ლი ნახა, ოპყალი ჯადოს მისი და ხოსროვშირის ტრფიალი ადრევე  
სმენოდა, ჯადოთი შეპყრობა უწინვე განებრახა, შებერა და შეულო-  
ცა. შებერვაზედ გულჩინ გველივით მოიკლაკნა, დაეცა, ხმალი ხელი-  
ღამ გააგდო, თვალნი დაუბნელდა. მერმე სურხავ აიარმა მოინდომა  
ოპყალის სიკვდილი, მასაც თვალი დაუბრძავა. ოპყალი ჯადომ მათი  
შეკვრა ბრძანა და ორნივე მაგრა შეკრეს. ამასობაში კიდევ დაღამდა.  
ორთავე ლაშქართა გასაყარსა ნალარასა ჰკრეს და თავ-თავისად წა-  
ვიდნენ.

მაგრამ უშანგ-შაპ თავპირცემით და მკერდგადახეული წავიდა თა-  
ვის კარვისაკენ და მეჯლიში შეიქმნა. რა უშანგმა მიიხედა, ნახა, რომ  
ცალი მხარე საფალავნე სკამები ცარიელი არის. თავპირცემით ტირი-  
ლი დაიწყო. რა იქ მსხდომთა ხელმწიფის ტირილი იხილეს, იმათაც  
ყოველთა ტირილი იწყეს და დიდად შეწუხდნენ. უნამეტესად შარიბ-  
შაპ სწუხდა და სისხლის ცრემლსა აფრქვევდა. რა უშანგ-შაპასათვის

თავის მამის მუკლეილან-შაჰას ხმალი შემოერტყა, თორმეტის წლისა ყოფილიყო და ცხენსა შემჯდარიყო და თამალაჯის ხელმწიფეს შებ-მოდა, ამისთანა განსაცდელს არ შესწრებოდა. ორმოცდაათი წელი-წადი იყო, რომ ამისთანა განსაცდელი არ ენახა. ესენი ამ მწუხარე-ბაში დაუტევით და მცირე რამ ოპყალი ჯადოს და ქეთან-შაჰას ამბა-ვი მოვიხსენოთ.

### აჰა ქეთან-შაჰასაგან გურბანისა უშანგთან გაგზავნა და ოპყალი ჯადოს თან გაყოლა საღალატოდ

ქეთან-შაჰ და ოპყალი ჯადო ნადიმად დასხდნენ და ვინცა ვინ და-ჭერილი სარდლები ჰყვანდათ, იგინი მოიყვანეს და ანცი ჯადოს მია-ბარეს; თვითონ კი ლხინსა და შექცევაში იყვნენ. ოპყალი ჯადომ ქეთან-შაჰას მოახსენა: ხელმწიფეო, მე აღთქმა მქონდა, რომ რასაც დღეს მოვსულიყავ, იმავ დღესვე გარდამეწყვიტა და ვინცა ვინ თქვე-ნი მტერნი იყვნენ, ხელმეყრული თქვენ წინაშე უნდა წარმომედგინა. მაგრამ დღეს ომი არ გარდასწყდაო. სჯობს, რომ გურგან-ბელანდ-ქა-მანი უშანგ-შაჰასთან მოციქულად გავგზავნოთო და შეუთვალოთ: ეს რაც მოხდა, მოხდაო და რაც ინდოეთში ქვეყნები გიჭირავს. ესენი დაგვანებო და შენ ერანში წადიო. და ვინც შენნი დაჭერილნი ფა-ლავერები გყვანან. იმასაც ისევ შენვე გამოგიგზავნი-თქო. და ამას შემ-დეგ ერან-თურანი და ჰინდოეთი ერთი იყოსიას-თქო. ესენი გურგანის პირით შეუთვალოთ და მტე რამდინიმი შევირდით გურგანს გავეყე-ბიო. ამალამვე მათს საქმეს დავასრულებო.

როგორც ოპყალიმ თქვა, ხელმწიფემაც იმისთანა წიგნი მისწერა. გურგანს ხელთ მისცა და გურგანი გაემგზავრა უშანგ-შაჰასაკენ. ოპ-ყალი ჯადოც ორმოცის თვისის შიგირდით თან გაჰყვა და ესე დაარი-გა თვისნი შეგირდნი, უთხრა: როცა წავიდეთ, თქვენც იმ კაცებში აერიენით და თვითონ-თვითონ სარდალს შეულოცეთო. მე რომ ერთი ნარა გავწიო, თქვენ მსწრაფლ ხმლებს ხელი მოიყარით, უშანგის ჯარს შეუტიეთო. ესე უთხრა და სამასი ფალავანიც სხვა წაიყვანა თან.

რა უშანგის ყარაულებთან მივიდნენ, კიდევ გათენდა. იმ ღამეს ყარაულთ-უფროსი ყაჰყაი ფილურსავარ იყო. ნახა, რომ სამასი კაცი

ინდოეთის მხრიდან მოდიან. სპილო მიუქუსლა და შესძახა: ვინა ხართ? რა ოპყალიმ ყაპყაი ფილურსავარ ნაბა, დიდად მოეწონა, მისი სახელი იკითხა და უთარეს. შემდეგ გურგანი მიესალმა. ყაპყაი ფილურსავარმა გურგანს ჰკითხა: რისთვის მოხვალთ? გურგანმა უთარა: ქეთან-შაპამ გამომგზავნა უშანგ-შაპასთანო. რაც მოხდა, მოხდაო, შევრიგდეთო. ყარაულმან ასიმ გაგზავნა უშანგ-შაპასთან და მოახსენა: ქეთან-შაპას მოციქული გამოუგზავნიაო შესარიგებლად და რასა ბრძანებთო? რა ასიმ მივიდა, ხელმწიფეს ესე მოახსენა, ხელმწიფემ მოსვლის ბრძანება მისცა. ასიმ აიარი გურგანთან მოვიდა, გურგან და მისთან მყოფნი წაასხეს, რა ესენი ხელმწიფის კარზედ მოვიდნენ, ჩაუშებმა გურგან ხელმწიფესთან შეიყვანეს. რა გურგან შევიდა, ხელმწიფეს სალაში მოახსენა და წიგნი მიართვა. გურგანს ალაგი უჩვენეს, სკამზედ დასვეს. ოპყალი ჯადო და პასნი შეგირდნი ყოველნივე მათთან მოსული ზე იდგნენ გურგანს უკან. ამ მოსულთა რა უშანგის დიდება ნახეს, დიდად მოეწონათ, რომ ამდენი ხელმწიფენი, სულთნები და დიდებულნი იყვნენ, რომ ანგარიშს ვერ აიღებდნენ. რა მათ ჯადოთ იგინი ნახეს, დიდად გაოცდნენ.

მას დროს ოპყალი ჯადო უშანგს პირს უყურებდა და ულოცავდა, და სხვანი ჯადონი სხვათა ფალავანთა ულოცავდნენ და სამასი სინდელნი ფალავანნი ოპყალი ჯადოს პირში უყურებდნენ და მზად იდგნენ. იკით მხარეს ქეთან-შაპამ ყარამიჯინს უბრძანა: შინც მზად იყავიო შენის ჯარითა, როცა ოპყალი ჯადოს ხმა გავიგონოთ, ჩვენც უნდა მივიშველოთო. იგინიც შესხდნენ, ღარაზმდნენ და მზად დადგნენ. რა შარიბ-შაპამ ქეთან-შაპას წიგნი აიღო და კითხვა დაიწყო. ერანელნი და თურანელნი ფალავანნი იმ წიგნს ყურს უგდებდნენ, თუ რა სწერიათ, ესე აღარავინ იფიქრა, თუ ჯადო იქნება ვინმეო. მაგრამ აღარა გაეწყობოდა რა, უშანგს თორმეტის წლიდამ ომი დაეწყო. წელიწადში ორმოცდასამი ომი ჩარდახდოდა და გაიმარჯვნა. მაგრამ ამ სინდელთის ომში ასე გაამპარტავებულებოდა, რომ თავისი მტერი არად მიაჩნდა.

რა შარიბ-შაპამ ამ წიგნსა კითხულობდა, ოპყალი ჯადოს თვალი შეასწრო, ნაბა, რომ გურგანის უკან ერთი საზარო სახის მქონებელი ოცდაცამეტის მწყართის სიმადლისა ვინმე დგას, თმა-წვერი და უღვაში ერთმანერთში განრთხმია, თვალთა ქუთუთოთ არა ჰქონდა, არც წარბი და არც წამწამი, თვალნი ცოცხლებრ უელავდა, ანთი ომზავსო იყო, რომ მნახავთათვის საზაროდ ემა იყო. თვალნი უშანგზედ

ეჭირა, პირსა სძრავდა, უშანგს ჯადოთი ულოცავდა. შარიბ-შაჰამ რომ ნახა, იცნა მაშინვე, რომ ჯადო იყო, თავთაგან ჭკუა დაეფანტა, კიდევ თვალნი მოავლო, ნახა, რომ ორმოცნი სხვა ჯადონი იყვნენ სინდელთ ფალავნებში არეულნი თითო და თითო ფალავნებს ულოცვენ. შარიბმა ყოველივე წვრილად შეიტყო, რომ იგი უცხოს სახის მქონებელი ოპყალი ჯადო იყო და იგი ორმოცნი მისნი შეგირდნი იყვნენ. ამთ გარდა კიდევ სამასნი სინდელნი ფალავანნი იყვნენ, რომ თითო-თითოდ ყარამანს მიემსგავსებოდნენ.

რა ესენი შარიბ-შაჰამ ნახა, შეიტყო, რომ ესენი თავისის მაცდურობით ჩვენ ავითებენ რამესაო. მერე უშანგ-შაჰას შეხედა, ნახა, რომ დიახ მოშლით იყო და საქმისა ვერა შეიტყო რა. დიდად გაჰკვირდა და თავის გუნებაში თქვა: ეს ამისთანა მეცნიერი და საქმის შემეტყობი რამ გააშტერა ასეო, ვერაფრისა ვერა შეუტყვია რაო. მერე თვალნი მოავლო შირფანჯას, ასიმს, გავარას, ფალნაგს, არვანსა და ფარდას და მათ გარდა კიდევ სხვებს, სამოცდათხუთმეტს აიარსანიშნა, რომ „ისმიზანი“ თქვათო. წიგნის კითხვა გაათავა, უშანგს მიმართა და მოახსენა: ხელმწიფეო, გონება შემოიკრიბეო, სინდელნი აქ არა თუ შესარიგებლად მოსულან, არამედ საღალატოდო, ოპყალი ჯადოც აქ არის მოსულიო. წინ რომ გიდგას, ის ოპყალი ჯადო არისო, ვეჭობ, რომ ეშმაკურის ჯადოს შელოცვით შეუკვრიხარო და იმისთვის ვერა შეგიტყვია რაო. რა შარიბ-შაჰამ ესე მოახსენა, უშანგ-შაჰამ შემოუძახა: ფალავანნო, მაგას ნუ გაუშვებთო! ვიდრე უშანგ ფალავანთა ამ სიტყვას დაუძახებდა, მან წყეულმა ჯადომ თვისი ეშმაკური ლოცვა დაასრულა. ხელმწიფემ ხმალსა ხელი მოივლო, ზე, წამოხლტა, მაგრამ ჯადოსაგან შეკრული იყო. ტახტიდამ გადმოვარდა, ხმალიც ხელითგან გავარდა.

რა ხელწიფე ტახტიდამ გადმოვარდნილი ნახეს, ფალავანთა ლომებსავით ბრღვნა დაიწყეს, ხმალსა ხელი მოივლეს, უნდოდათ, რომ სინდელნი ფალავანნი ამოეწყვიტათ, იგინიცა ყოველნი გრძნებით იყვნენ შეკრულნი. რა ზე აღგნენ, იგინიც იქვე დაეცნენ, აღარა შეეძლოთ, რომ მათ ან ხელმწიფისათვის ეშველათ და ან თავიანთ თავისათვის მოეველოთ. რა ოპყალი ჯადომ იგი ფალავანნი დაცემული ნახა, თვისი ჯადოს ძალით პირსა ხელი დაიდვა, ასეთი შეჰყვირა, რომ მისსა ხმაზედა მრავალი კაცი მოკვდა. სპილოთა და მარტორქათ დაწყვიტეს ჯინჯილები და ჯარისაკენ გასცივიდნენ. ასეთი ხმა იყო, რომ ცისა და ქვეყნის დაცემის ხმასა გვანდა. რა სინდელთა ფალავან-

თა ოპყალის ხმა ესმათ, ხმალს ხელი დაიდევს და ერანელთა ფალავანთა დაუშინეს. ერანელთ ძალა არ ედვათ, რომ მტერთათვის პასუხი მიეცათ, არამედ იყვნენ ჯადოთ შეკრულნი, პირქვე და გულადმა ეყარნენ. რამდენიმე ფალავანი ესეთი ყოფით მოკლეს. რომელთათვის შარიბ-შაჰას ესწავლებინა, იმათ ეშმაკეული ვერ მიუდგა. მათ ხმლებს ხელი მოივლეს და ესეთი ომი ატეხეს, რომ უარესი აღარ უნდოდათ. ასეთი საშინელი ომი იყო, რომ მეტი არ შეიძლებოდა. მაგრამ რა გაეწყობოდათ, სამოცდაათი ფალავანი გრძნებისაგან შეკრული უშანგის წინ მოკლეს, უშანგთან რამდენიმე ხელმწიფენიც დაიჭირეს და შეკრეს.

უშანგ-შაჰას კარავში რომ ომი შეიქმნა, მისნი ლაშქარნი შესხდნენ და მიაშურეს მას ომსა. სინდელნიცა მზად იყვნენ, ოპყალის ხმის სმენაზედა იგინიც წამოვიდნენ, მოუხდნენ და დაერივნენ უშანგის ლაშქარსა სხვისა და სხვის მხრიდამ, მრავალი კაცი ამოწყვიტეს. ერთის მხრიდამ ყარამიჯინ მოვიდა, ერთის მხრიდამ — ქეთან-შაჰა, ერთის მხრიდამ-სარჯანი ჰინდი, ერთის მხრიდამ — სამასი ათასი ჯადოს ლაშქარი; ყოველნივე თითო და თითო სხვა და სხვა მხეცზედ. ამ ლაშქარს ჯადონი ულოცავდნენ, საშინელი ქარები აყენეს, გველები, სხვა და სხვა საშინელი მხეცები აწვიმეს. ერანელნი ასე შეშინდნენ, რომ თვისის სადგომებიდამ ველარ გამოვიდნენ, ვერცაღა ხელი გამოიღეს და ვერც ერთმანერთს მიუდგნენ; ესრეთ ეგონათ, რომ ჩვენ თავზედ მეორედ მოსვლა მოვიდაო. უშანგის ჰარამხანა და ჯაბახანა გაიტანა შარიბ-შაჰამ და წავიდა. რა ჯარისაკენ მიიხედა, ნახა, ამ თავის ჯარის თავზედ საშინელი ღრუბელი მოხვევია, უცხო და უცხო მხეცნი ვეშაპნი ირევიან, მას ღრუბელში ერთის მხრიდამ სინდელნი მისევეებიან, ასე რომ ერანელთა მწუხარების ხმას ქვეყანა მოუცავს.

რა შარიბ-შაჰამ თვისის ჯარის ესეთი ყოფა ნახა, დიდად შეწუხდა მრავალი იტირა და თქვა: ვაჰმე, ერანელთა და თურანელთა სარდალნო და დიდებულნო, რამდენ რიგად ქვეყანაზედ გამარჯვებულნო, ვაჰ, რა ავს ალაგს უპატრონოდ და უღვთოდ იხოცებითო! ამას მოთქმით ტიროდა. მერე შირფანჯამ მოახსენა: თუ მიბრძანებ, წავალ, ჩვენს ჯარში ვისაც ფალავანს ვიპოვნი, თქვენს წინაშე მოვიყვანო. თავის ნაჯახზედ და ყოველს იარაღზედ „ისმიზამი“ დააწერა, თვითონაც გაუწყვეტლად „ისმიზამს“ ამბობდა და ისრე იმ ლოცვის ძალით უშიშრად წავიდა. რა ჯარის სიახლოვეს მივიდა, ნახა, რომ ასეთი თოვლი მოსულა, რომ მის ჯარის გარშემო სპილოებს და მარ-

ტორქებს მუცლებამდის შემოწლომიათ. ფალავნებს ხელები სიცივი-საგან რკინაპავით გაშავებიათ. რა შირფანჯა დაინახეს, ერთობით და-უძახეს: ჰე, გარდანქემანის ნაიბო, ჩეყხო მსსნელო, გვიშველე რამეო, სიცივემ მოგვწყვიტაო. მსწარფლ შირფანჯა შეიჭრა, ქეივან-შაპას „ისმიაზამი“ შეულოცა. იმაზედ მაშინვე თოვლი აილო და იმათ წინ მზე გამოვიდა. იგინი ადგნენ, საომარი იარაღი გაიწყვეეს და შირფან-ჯა წინ გამოუძღვა და შარიბ-შაპასთან მოვიდნენ.

რა შარიბ-შაპამ და ქეივან-შაპამ ერთმანერთი იხილეს, უშანგ-შაპ მოიგონეს და ტირილი დაიწყეს. მერე შარიბ-შაპამ დაუთ-შაპაც მო-ნახა. იპოვნა იგიცა და იქ მიიყვანა, მერე ზორაბ-შაპ იპოვნა, იგიცა მიიყვანა, გაბრუნდა, კიდევ მისირის სულთან მალსულდ-შაპ იპოვნა, იგიცა შარიბ-შაპასთან მიიყვანა. რალა გრძლად მოგახსენოთ, შირ-ფანჯამ იმ ოსტატობით ოცდარვა ხელმწიფე თვითო-თვითო იყლიმის მპყრობელი და ათას ორასი სარდალი გამოიხსნა იმ გაჭირვებიდამ და შარიბ-შაპასთან მოიყვანა. რომელნიც გამოვიდნენ იმ გრძნებიდამ, უკან მიიხედეს, ნახეს, რომ ის სიცივე და სიბნელე მხოლოდ ერთს ალაგს მეტი არსად იყო. რა შარიბ-შაპასთან მივიდნენ, ნახეს, რომ უშანგ-შაპ არსად იყო. მისი ხელმწიფობა და ტკბილი მოუბრობა მო-აგონდათ და მრავალ რიგი მოწყალება. რა ნახეს, რომ უშანგ-შაპ არ-სად იყო, ისეთი ტირილი შექმნეს, რომ მეორედ მოსვლას ემსგავსე-ბოდა. რა მცირე ხანი მოიტირეს, მერმე შარიბ-შაპამ უბრძანა ათას შვიდას ფალავანსა და ვინცა ვინ. იყვნენ, ან ვისაც იარაღი ჰქონდათ ანუ ტანთსაცმელი, რომ ყველაზედ „ისმიაზამი“ დაეწერათ. სამას ფალავანს და სარდალს უბრძანა იმ ბნელის ნისლიდგან მოსვლა ჯარებში თვისთან. შემდეგ ყველას უბრძანა, რომ „ისმიაზამი“ ეთქვათ.

რა ისმიაზამი თქვეს, სიბნელე სრულიად განიდევნა და რა იმ ბნელში მყოფთა ფალავანთა ესე მისულნი ფალავანნი იხილეს, ძლი-ერ გაიხარეს და ღმერთს მადლობა შესწირეს. აიარები სიჩქარით ჯართა შინა შარიბ-შაპასთან გზავნიდნენ. ამაობით ცამეტი ასი ათასი კაცი შარიბ-შაპასთან შეიყარნენ და სხვა ჯარები კიდევ სხვა და სხვა მხარეს წავიდნენ. იმ დღეს ერანელნი რვაასი ათასი კაცი მოკლეს და დაიჭირეს. ჯადოსაგან შეშინებულმა შარიბ-შაპამ უშანგბადს მიაშუ-რა და იმ ქალაქში შევიდა თვისის ჯარითა. რა ციხის კედელთან მო-ვიდნენ, კედლებზე სულ „ისმიაზამი“ დააწერეს. იმ ქალაქში დადგნენ და რაც ჯარი ჰყვანდათ, ყოველივე ციხეში შეიყვანეს. სამასი ათასი



ბურჯსა და ქალაქს ციხეთა განაწესეს მეომართა, თვითო-თვითო შა-  
გირდი „ისმიზამის“ მცოდნე თვითო მარეს დააყენეს და ჯართა  
მიუჩინეს. აიარნიც სხვა დაფანტულს ლაშქრის მოსაგროვებლად გა-  
ზანეს. აიარებმა ოთხასი ათასი იპოვნეს და სულ შემოკრიბეს  
იგინიცა იმ ქალაქში, აგრეთვე ოცდარვა ხელმწიფე იპოვნეს, იგინიც  
შარიბ-შაჰასთან შეკრიბეს. აგრეთვე რაც ჯაბახანა ჰქონდათ, იგ-  
ცა გააწყვეს და ციხის სიმაგრეს რაც უნდოდა, ყველაფერი გააწყვეს.  
რაც ჯარი იყო, იქ დააყენეს და სხვა ჯარი სარანდობის მთის კალთებ-  
ში გაგზავნეს და ოცდარვა ხელმწიფენი შარიბ-შაჰას იახლნენ.

რა ამით თვის ურდოს ყურება დაუწყეს, ნახეს, რომ რამდენიმე  
უცხო სახელოვანნი ფალავანნი უშანგის ტახტის წინ დახოცილნი  
ეყარნენ. რა ის ფალავანები დახოცილნი იხილეს, დიდად შეწუხდნენ.  
ნახეს, რომ უშანგ-შაჰაც გრძნებით შეეკრათ და სამოცდაათნი სხვა  
ხელმწიფენი, თვითო-თვითო იყლიმის მპყრობელნიც და ასოცი სხვა  
ფალავანნიც. შემდეგ ნახეს, რომ ქეთან-შაჰ თავის ჯარით მოვიდა და  
უშანგის ურდოს ჩამოხდა. ქეთან-შაჰ ავიდა და უშანგის ტახტზედ  
დაჯდა. სარჯანი ჰინდი, გურგან-ბელანდ-ქამანი შვიდ-შვიდს ადგილს  
იყენენ დაჭრილნი, იგინიც იქ მოვიდნენ და ცოტას ხანს შემდეგ  
ოჰყალი ჯადოც მოვიდა. ქეთან-შაჰმა ადგილი უთავაზა. ოჰყალი ჯა-  
დოც უშანგის ტახტზედ დაჯდა ქეთან-შაჰასთან და რაც იქ დახო-  
ცილნი ფალავანნი იყენენ, იგინი სულ გარდააყრევიან. ოჰყალი-ჯა-  
დომ მოახსენა: რაც დაჭრილნი ფალავანნი არიანო, იგინი მაგრა შე-  
ჰკარითო. იგინი შეჰკრეს. რა მისგან მოიცალეს, სინდელნი ფალავან-  
ნი გარდვიდნენ და ერანელთ ფალავანთ ტახტზედ დასხდნენ, ყარა-  
მიჯინ ყარამანის ტახტზედ დაჯდა.

მერმე ოჰყალი ჯადომ ბრძანა: უშანგ-შაჰ დასასჯელს ალაგას  
მოიყვანეთო და აგრეთვე სხვანი მასთან პყრობილნიო. რა მოსაყვა-  
ნად წავიდნენ, ნახეს, რომ არც ერთს მათგანს ცნობა აღარ ჰქონდათ.  
გრძნებას ისე დაეკარგა მათი ცნობა, რომ არაფერი არ გაეგებოდათ.  
ისინი მოიყვანეს, ოჰყალი ჯადომ ერთი შეულოცა, შეჰბერა და ყო-  
ველნივე ცნობას მოვიდნენ. რა უშანგ-შაჰ ცნობას მოვიდა, ნახა, რომ  
დიდრონის ჯაჭვებით არიან შეკრულნი სამოცდაათნი ხელმწიფენი  
და სამასნი ფალავანნი, შვიდნი აირნი და სამოცნი ვეზირი. ყოველ-  
ნივე დიდრონი ჯაჭვებით შეკრულნი იყენენ და იმის ტახტზედ ქე-  
თან-შაჰ იჯდა. რა ოჰყალი ჯადოს შეხედა, ნახა. რომ ისეთი საჩარო  
სახის მქონებელი იყო, რომ მისსა მხილველს შიშით ნაღველა გაუ-

სქედებოდა. პირიდან ასეთი კვამლი ამოსდიოდა, რომ იგი მეჯლისი ჯოჯოხეთს ემზგავსებოდა. ყარამიჯინი ნახა, რომ ყარამანის ტახტზედ იჯდა. რა ესე იხილა, თვისი თავი ღმერთს შეავედრა. აგრეთვე რა ფალავანთა ხელმწიფე ხელმეკრული იხილეს, მთვრალ სპილოსავით ბრღვინვა დაიწყეს. უნდოდათ, რომ ჯაჭვები დაეწყვიტათ და ხელმწიფისთვის ეშველათ, მაგრამ ვერც ხელმწიფეს უშველეს და ვერც თავიანთ თავს, ესენიც ღმერთს მიენდნენ. თვისსა ხელმწიფეს ყურება დაუწყეს.

ქეთან-შაჰამ უბრძანა უშანგ-შაჰას: ჰეი, შენ ღმუტი ყიფჩაღლო, შენ რამდენი ხელმწიფენი გაათუქეო და რამდენი ქვეყნები ააოხრეო?! ვინ იცის, ვისი ქვეყანა ვის მიეცი და ვისი ვისაო. ყოველი ქვეყანა შენ დაიმონე, ვისაც წაეკიდეო. ახლა შენ ინდოეთს მოხველ. ახლა ნახე, შენ როგორ ჩაიყლაპო! ეხლა შენს თავს როგორ ხედავო? რა უშანგმა ეს მოისმინა, გულმა ძგერა დაუწყო ისე, რომ ცის გრვინვას ჰგავდა, ყარამანის მსგავსი თვალეები სისხლით ავესო და უთხრა: შე უმსგავსოვ, შენც ქვეყანაზე მამაცობის დავასა სწევო და ფალავნობის სახელს ირქმევო?! ერთი შენსავით გრძნეული მოგიყვანიაო და მაგის შემწეობით ვეშაპის მსგავსნი ფალავანნი ეშმაკობით შეგიპყრიაო. ეგ მიგაჩნია სახელად? ესე თქვა და ლომსავით ბრღვნა დაიწყო, კბილთა ღრქენა შექმნა. რა სინდელთ ფალავანთა უშანგისაგან ესეთი სიტყვები ესმათ ამისთანა ალაგს, დიდად მოეწონათ და დიდი ქება შეასხეს მისსა მამაცობასა და გულის სიმაგრესა.

რა ქეთან-შაჰმა ესე მოისმინა, დიდად განრისხდა და უშანგის სიკვდილით დასჯა ბრძანა. გურგანმა გონებასა შინა თქვა: რამდენი ხანი უნდა გამოხდეს, რომ ქვეყანამ ამისთანა ხელმწიფე ველარ ნახოსო, და ეს ასე უბრალოდ კვდებო. ესე თქვა და ზე ადგა, ხელმწიფეს, ოპყალის, სარჯან ჰინდს და ყარამიჯინს პირ-მიწა-გაერთებით თავი დაუტკრა და მოახსენა: ვინ იცის, უშანგს რამდენი ხელმწიფენი ამოუწყვეტია, მათის სისხლით ქვეყანა შეღებილა, რომ არავინ იცისო და მერე ამის ჰარამი ხაზინა, ჯაბახანა ამის ძმას მოურჩენიაო. უშანგაბადში შესულა თვისის ოსტატობით, რამდენი უცხო და უცხო ფალავანი ჯადოსაგან მოურჩენიაო და უშანგაბადში არისო. და იგი უსწორო ფალავანი ყარამან ყაფის მთაში არისო. ამდენი საქმე იმის გამო არის; რამდენიმე ფალავანნი შემწენი ჰყვანანო და იმითია ამაყად. ეს ასე ადვილად არ მოიკვლისო, და რომ ბრძანებ; ყარამანიც ამ ორსა და სამს დღეში შემოსასვლელი არისო, ისიც ხელში უნდა ჩა-

ვიგდოთო. მას უკან ასეთის ტანჯვით უნდა დაეხოცოთო, რომ ვინც ეს ჩვენგან ნაქმნარი საქმენი შეიტყოს, ინდოეთში მოსვლა ვეღარ გაბედოსო. ესე თქვა და დაჩუმდა. ამათაც გურგანის ნათქვამი მოიწონეს, უშანგ გურგან-ბელანდ-ქამანს მიაბარეს. უშანგ-შაპა წაიყვანა, თავის სახლში დაატუსაღა და ოთხასი ჯადოც ქეშიკად დაუყენა.

ეს ამბავი იმ უამად ოპყალი ჯადოს მოხსენდა, რომ შარიბ-შაპას შეულოცავს და თქვენგან ნაქმნარი ჯადოები განუქარებიაო, ჯარები გამოუყვანია, გაუმაგრებიაო უშანგაბადი და უშანგაბადი ასეთი დიდი ციხე არისო, რომ ხუთასი კარი აქვსო და ასეთი მაგარი არისო, რომ კარსა და კარს შუა ხუთას-ხუთასი ბურჯი აქვსო. თვითონ კარზედ თვითო იყლიმის მპყრობელი დაუყენებიაო ხუთას-ხუთასი ფალავანითა და ხუთი ათასის კაცითა. რა ოპყალი ჯადომ თავის ჯადოს განქარება შეიტყო, დიდად განრისხდა და კბილებს თახთახი დაჰყებინა.

### აქა ოპყალი ჯადოსაგან მრავლის ჯადოების შექმნა

ოპყალიმ მსწრაფლად უბიდამ ერთი კოლოფი ამოიღო, შეულოცა და მიწაზედ დააგდო. ეს კოლოფი ერთ შეიდთავიან ვეშაპად გადაიქცა და ის ვეშაპი განრისხებული ბრდღვინავდა. სინდელნი ფალავანნი ესრედ შეშინდნენ მის ვეშაპისგან, რომ ცნობა მიეღოთ და არ იცოდნენ, თუ რა ექმნათ. მერე ოპყალი ჯადომ ბრძანა, თვრამეტი დაქერილნი ერანელნი ფალავანნი მოასხეს, შეისუნთქა მან ვეშაპმა იგი ერანელნი ფალავანნი, შავს ნაცრად გარდააქცია. რა სინდელთ ფალავანთა ესე ნახეს, უნამეტნავეს მწუხარებასა მიეცნენ. მის ვეშაპის შიშისაგან. თვითონაც ერთს ბერს დევად გადაიქცა, ას სამოც მწყურთად გაიზარდა, მას ვეშაპზედ შეჯდა, თავისი სამასი ათასი ჯადონიც თან წაასხა და ჰაერში ავიდა. რა ჰაერიდამ დახედა, ნახა, რომ უშანგის ლაშქარნი ზოგნი ციხეში შესულან და ზოგნი სარანდობის მთის სიმაგრეში შესულან და დგანან. რა ციხისა ესეთი სიგრძე ნახა თქვა: აღმოსავლეთიდან დასავლეთამდისინ რაც დევნი არიან, ან იფრითნი და ან ჯინნი რომ აქ შეიყარნენ, ამ ციხის ერთის ქვის მოგლეჯას ვერ შეძლებენო, არამც თუ აღებით აიღებენო:

რა ოპყალი ჯადომ თვისის ჯადოს მოშლა შეიტყო და ამ ციხის

ამისთანა სიმაგრე, განრისხდა და თქვა: აქაც ვინმე ჯადო ყოფილაო. პირზედ ხელი მიიფარა და ჯადოს მანქანებით ერთი ასეთი შეჰყვირა, რომ მისმა ხმამ ქვეყანა მოიცვა. სარანდიბის მთამ მის ხმაზედ გრგვინვა დაიწყო. შეძრეგ ერთი იხნა შეაგდო ჰაერში, იგი მინა ჰაერში გასქდა. რა იგი მინა გასქდა, საშინელი ქარები აღსდგა და საზარელი შავი ღრუბლები აღიმართა და იმ ღრუბლიდამ სულ ვეშაპები აწვიმა და ქვეყანაც დაბნელდა. რა შარიბ-შაჰამ ესე ნახა, ბრძანება გასცა, რომ ყველა ჯარს „ისმიაზამი“ ეთქვათ. ღვთის მოწყალებამ და „ისმიაზამის“ ძალამ ასე დაიფარა ერანელნი, რომ მის ჯადოს მანქანება სულ განქარდა. რაც გველი თუ ვეშაპი „ისმიაზამის“ სიახლოვეზე რომ მოვიდოდნენ, სულ განქარდებოდნენ. რა უშანგის ჯართა ესე იხილეს, რომ ჯადოსაგან არა ევნოთ რა, ღმერთს მადლობა შესწირეს. რა ოპყალი ჯადომ ნახა, რომ იმ ჯადომ ვერა ავნო რა, უბილამ ერთი წითელი მინა ამოიღო, შეულოცა, ჰაერში შეაგდო და ჰაერში გასქდა. რა რომ ის მინა გასქდა, იმ მინილამ ასეთი ცეცხლები გამოვიდა, რომ ცა და ქვეყანა მოიცვა.

რა ციხეში მყოფთა ესეთი საშინელი ცეცხლები დაინახეს, დიდად შეწუხებულნი ღმერთს ევედრებოდნენ და თავიანთ სიცოცხლის იმედი გარდაიწყვიტეს. მაგრამ იმ ციხეში მყოფნი დედანი ესრეთ ტიროდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ, რომ იმათი ტირილის ხმა ზეცად აღიწეოდა. შარიბ-შაჰ და სხვანი დიდებულნი სასახლის კარზედ შეიყარნენ. შარიბ-შაჰ შევიდა უშანგ-შაჰას ჰარამში, ნახა, რომ მეორედ მოსვლის მსგავსის ხმით ტიროდნენ. შარიბ-შაჰ დაინახეს თუ არა, ყოველნი ზე წამოცვიდნენ და კალთას მოეჭიდნენ. შარიბ-შაჰამ იმათ დიდი იმედი მისცა და უთხრა: ნუ გეშინიანთო, ამას, რასაც ხედავთ, ჯადო არისო, ღვთის შეწევნითა „ისმიაზამი“ თქვითო. და თვითონ ხათუნებს შებერა და შეულოცა. რა რომ „ისმიაზამი“ გაათავა, ნახეს, რომ ის დიდრონი მთის ოღენი ცეცხლები განქარდა.

რა ესე ნახეს, ყოველნი შარიბ-შაჰას ფეხს მოეხვივნენ. შარიბ-შაჰა გამოვიდა, ხუთას ალაჯზედ „ისმიაზამი“ დააწერიანა, ხუთას კარზედ აამართვინა, სარდალთა და ფალავანთა ყოველს იმედი დაუდვა და უბრძანა: ნუ შეწუხდებითო და დღეს და ან ხვალ ყარამან მოგვეშველებათო, მამაცად დაუხვდეთო. თქვენ ღმერთს ევედრენითო, ამ განსაცდელისაგან მალე დაგვიხსნისო. შარიბ-შაჰამ სარტყელში ჯაჭვის კალთები გაიმაგრა და ყველა დასტებში მივიდა, ყოველნი დაამედოვნა და უთხრა: ნუ სწუხართო და ღვთის ვედრებას ნუ განიშო-

რებთო, მალე განქარდება ეს ჯადოებო, მე ეხლა ციხის გარეთ გავა-  
ლო. რა გარეთ გავიდა, ნახა, რომ ფალავანნი და სარდალნი ციხეს  
გარეთ ჯარს უვლიდნენ და „ისმიაზამს“ ულოცავდნენ და მით ჯადოს  
აქარებდნენ.

ოჰყალიმ კიდეც უბილამ ცხენის ძუა ამოილო, შეულოცა და შეკ-  
ბერა და ჰაერში შეაგლო, ეს ძუა მრავალ შვილთაჲიან ვეშაპებად  
გარდაიქვა და ციხეს შეუტივეს, ისე, რომ სულ პირილამ ცეცხლი  
აწვიმეს და ციხეში დენა დაიწყეს, მაგრამ „ისმიაზამის“ ძალით ისი-  
ნიც განქარდნენ. რა შარიბ-შაჰასი ამისთანა შეძლება ნახეს, შიგნით  
ლაშქარმა და გარეგან ლაშქარმა ყოველმან დიდი ქება შეასხეს იმას  
და უშანგ-შაჰის ხელმწიფობას, ჰკვირობდნენ და ამბობდნენ, თუმცა  
იგი აღარ არის, მაგრამ ერანელთ ისრეთი მომვლელი ჰყავსთ, რომ  
ოჰყალი ჯადოს მანქანებამ მათ ვერა დააკლო რაო. თუ ვეზირი  
ჰყვანდეს ხელმწიფესა, იმისთანა უნდა ჰყვანდესო, რომ ამ გვარ  
ძნელსა საქმეში ამისთანა ძალიან მტერს პირის-პირ უდგეს და თავი-  
სის ხელოვნებით არას ეპუებოდესო. ესე თქვეს. სინდისტნელთა და  
დაფიქრებულნი დადგნენ.

რა ოჰყალი ჯადომ თავისი თავი უღონოდ ქმნილი ნახა და იხილა,  
რომ ეშმაკობით ციხეს ვერა ავნო რა, ჰაერილამ ძირს ჩამოვიდა და  
ქეთან-შაჰ, სარჯანი ჰინდი და გურგან-ბელანდ-ქამანი დაიბარა და  
უთხრა: თქვენ-ოცდაცამეტი ათასის კაცით მოემზადენით, სულ ფო-  
ლადის იარაღით შეიჭურვენით, ას სამოცი ათასი სპილოც საომრად  
მომზადეთ, ჯაჭვნი ჩააცვით და საომარნი რკინანი დაჰკიდეთო. ყა-  
რამიჯინს უბრძანა: ორმოცი ათასის მარდუმხორებით შენც საომრად  
მომზადეთო, თვით ოჰყალი ჯადომაც თვისის ლაშქრილამ ორასი ათა-  
სი ჯადოები აარჩივა და საომრად მოემზადნენ. იმ საომრად მომზა-  
დებულ სპილოებზედ ციხეები დადგეს და ყოველის მხრილამ უშანგა-  
ბაღზედ იერიში მიიტანეს. ოჰყალიმ ყარამიჯინს უბრძანა: შენ თავა-  
ხანის კარზედ მიდი, ეგების დასტაჩუბით ის კარი დაამტკრიო. ათი  
ათასი ჯადო შენ უკან მოგყვეს, რომ რაც შენზედ იქილამ მომავალი  
ისარი ანუ ქვა და ანუ სხვა საომარი იარაღი იყოს, იგი ჯადოთა შე-  
ჰკრან და მათგან შენ განაგარინონო.

რა ესე ყარამიჯინს ესმა, მაშინვე შავის ფოლადით შეიჭურვა.  
თვისი დასტაჩუბი აილო, ათი ათასი ჯადო თან წაიყვანა და თავახა-  
ნის კარს შეუტრია. რა მიუხანლოვდა და მას ციხესა: შინა მყოფთა  
უშანგის ჰარამთა ყარამიჯინის მოსვლა იხილეს, რამდენსამე შიშისა-

გან ნაღველა გაუსქდათ და რამდენიმე უცნობო შეიქმნენ. რა ყარამიჯინმა შეუტივა, ყოვლის მხრიდამ სცეს ხმიანობა და შეუტივეს. ერთი ისეთი ყიჟინის ხმა შეიქმნა, რომ მსმენელთათვის საზაროდ კმა იყო. მეცხოვნეთა რა ესე ნახეს, მრავალი საომარი იარაღი მოიღეს და გარეთ ლაშქართა სროლა დაუწყეს. მაგრამ ივინი ვერაფრით უკუ ვერ იქციეს, ამ მიზეზითა, რომ ჯადონი თვისის ხელოვნებით შეულოცავდნენ და მომავალი იარაღი სინდელთ და მარდუმხორებს არას ავნებდა. რა ციხეში მყოფთა ესე იხილეს, უნამეტნავესად მწუხარებას მიეცნენ და თავისა თავისაგან ხელი აიღეს. რა ყარამიჯინმა თხრილებს მიაღწია, ოთხს თხრილსა ზედან გარდახლტა და მეხუთეში ჩავარდა. იქილამ მსწრაფლ ამოხლტა, ციხესთან მიაღწია და სისხლისმსმელს ვეშაპსავით ბრდღვინევდა. გაჯავრებულმან ერთი დასტაჩუბი ესრედ მედგრად დაჰკრა კარსა, გალავანმა დასაქცევად ზრიილი დაიწყო.

რა უშანგის ჰარამის ხაღუმთა ესე იხილეს, თავნი მოიხადეს და ისრეთი ტირილი და კივილი დაიწყეს, რომ მათის მწუხარების ხმა ზეცად აღიწევოდა. ოპყალიმ ორასი ათასი სინდელის ჯარი, ორასი ათასი ჯადო, ხუთი ათასი მარდუმხორი შეჰყარა და რაც სარანდების მთაში ერანელნი კაცნი იყვნენ, იმათ გაუსივა. იმათი მწუხარების და ღვთის ვედრებისა ხმა ზეცამდი აღიწევოდა. მერმე ოპყალი ჯადომ ბრძანა: თაჯახანის კარის პირდაპირ ხუთასი ძელი ამართეთო და ზედან თოკები ჩამოჰკიდეთო. ერთი ისრეთი მალალი ძელი იყოს იმათში, რომ ამ ციხეზედ უმალღესი იყოსო. ეს ჯარები მივიდნენ და მას ძელებს გარს შემოერტყნენ. იმ ჟამად ოპყალიმ შეულოცა და ჰაერში ერთი ტახტი დადგა. სინდისტინის ხელმწიფე ქეთან-შაჰ, სარჯანის ჰინდი და გურგან-ბელანდ-ქამანი მას ზედან დასხდნენ, რომ უკეთესად ეცქირნათ და ყოველი კარგად ენახათ. მერმე ოპყალი ჯადო ერთს ქვევრზედ შეგდა, გველი მათრახად დაიჰკირა. იმ ქვევრიდამ მრავალი საშინელი და უცხო და უცხო, სხვა და სხვა რიგი ჯადოები გამოდიოდა, გველნი, ვეშანნი, ცეცხლი თუ სხვა და სხვა სასახაეები. რა უშანგის ჰარამთა ესე იხილეს, თავიანთ თავისაგან ხელი აიღეს.

მერმე ოპყალი ჯადომ ბრძანა: უშანგ-შაჰ, ერანელნი, თურანელნი, ჩინელნი თუ ვინცა ვინ პყრობილნი იყვნენ, ყოველნივე ჯაჰვით შეკრულნი მას ძელებთან თრევით მიიყვანეს, ქეთან-შაჰას და ოპყალი ჯადოს წინ დააყენეს. რა უშანგმა შეხედა, ნახა, რომ ოპყალის გრძნებით ჰაერში ერთი ტახტი გაუყეთებია, ქეთან-შაჰა, სარჯან და

გურგანი მას ზედან სხედან. ოპყალი ჯადო მრავალს რიგს საკვირველებას ჯადოს მანქანებით ცეცხლსა და ვეშაპებს ციხეზედ აწვიმებს. ყარამიჯინ განრისხებულს ვეშაპსავეთ ციხესთან ტრიალებდა და თაჯახანის კარისთვის ესრეთი დასტაჩუბი დაუკრავს, რომ ბურჯნი და კედელნი სრულიად დაძრულან. სარანდიბის მთაში მყოფთა ერანელთა და თურანელთა მწუხარება განმრავლებიათ. მერმე მას ძელებს შეხედა და იგრძნა, რომ თავიანთ დასახჩრობად აღუმართავსთ.

მაშინ უშანგ-შაპ სვინდისს მოეგო, თვისნი ცოდვანი თვალთა წინ წამოიყენა, თავი უფალს მიანდო და იმ ცოდვით მიტევებას ევედრებოდა, ესე პყრობილნიც ღმერთს ევედრებოდნენ, ამათაც ტირილი და ვაება იწყეს. ისრეთი ხმა შეიქმნა, რომ მათი მწუხარება ცამდის აღწევდა. ერთმანერთს ესალმებოდნენ და თავნი უფალს მიანდევს. რა პყრობილთა ჰარამისაკენ მიიხედეს და თავიანთი ცოლ-შვილი დაინახეს, შორილამ ტირილით ესალმებოდნენ. ვინც ვინ ციხეში მყოფთა, შარიბ-შაპამ, მასთან მყოფთა ხელმწიფეთა და უშანგის ხალუმთა თაჯახანის კარზედ ხუთასი ამართულთ ძელი იხილეს, დიდად გაკვირდნენ. გაოცებულნი უყურებდნენ და ამბობდნენ, ეს რა უნდა იყოსო? ნახეს, რომ ჯინჯილებით მაგრა შეკრული ერანის და თურანის ხელმწიფე, აღმოსავლეთილამ დასავლეთამდე ბრძანების მიმცემი, ზღვისა და ხმელეთის განმგებელი და შვიდის იყლიმის მპყრობელი უშანგ-შაპ მოათრიეს. ესე თვისის ძალით მრავალთა ფალავანთა შემპყრობი, შვიდის დიდის სახელმწიფოს დაძვერი მრავალთა გულოვანთა შემბორკილებელი, ლომებრ და ვეფხვებრ გულოვანი ხელმწიფე თავშიშველი და შეკრული, როგორც უბრალო ყულულჩი, ისრე უპატივოდ და უწყალოდ მოათრიეს. ვინც სხვანი ერანთა და თურანთა, რუბი-მასკუნთა ფალავანნი დაჭერილნი ჰყვანდათ, იგინიცა ჯაჭვებით მაგრა შეკრულნი მოათრიეს და მას ძელებთან დააყენეს.

რა ციხეში მყოფთა ესე იხილეს, მაშინვე იგრძნეს, რომ ძელებზედ უნდა ჩამოახჩრონო. მკერდგადახვეით და თმა-ზილფ-გლეჯით ისრეთი ტირილი შექმნეს, რომ სარანდიბის მთამ მათის ხმისაგან ზრიალი შექმნა. ისრეთი საცოდავი და შესაბრალისი ხმები აღმოუტივეს, რომ უხორცო ანგელოზნიც რომ ყოფილიყვნენ, იგინიცა ტირილს იწყებდნენ. რა უშანგ-შაპას პირველმან სატრფო ცოლმან დილშად დედოფალმან ესე იხილა, მეტის მწუხარებისაგან არ იცოდა, თუ რა ექმნა. ხანჯალს ხელი გაიკრა და უნდოდა. რომ თავი თვისი მოეკლა.

მაგრამ სხვანი მიეხვივნენ, ხანჯალი ხელიდამ წაართვეს და თავი აღარ მოაკვლევინეს. რა შარიბ-შაჰამ თვისი ძმა ესრად ყოფაში იხილა, სხვა ველარა მოახერხა, პირქვე დაემხო და ტრემლის დენით ღმერთს ევედრებოდა მისი განრიგებისათვის.

იმყამად ოჰყალიმ იგი პყრობილნი ძელებთან ახლოს მიყვანინა, უშანგაბადისაკენ გაბრუნდა და ციხეში მყოფთ შესძახა: ჰე, ერანელხო, თურანელხო და დემტიყიფჩაღელხო! ნუ მინდობიხართ მაგ თქვენგან ქვით და მიწით აგებულს ციხესა, უბრალოდ ნუ იხოცებით, მანდელამ გამოდით, თორემ ერთს შეულოცავ, მაგ ციხეს შიგმყოფითურთ ძირიან მოვგლეჯ, უკიანეს ზღვაში გარდავაგდებ და დაგლუპავთ თქვენ ყოველთაო! მერმე ჯალათებს უბრძანა და უშანგ-შაჰ ძელზედ ჩამოსაკიდებლად მიიყვანეს, რა შარიბ-შაჰამ ესე ნახა, უნდოდა, რომე თვითონაც ციხიდან გარდმოვარდნილიყო და თავი მოეკლა, მაგრამ ზორაბ-შაჰამ დაიჭირა და თავი არ დაანება, შარიბ-შაჰა ეხვეწებოდა, დამეხსენ, თავი მოვიკლაო, რომ ჩემის ძმის სიკვდილი არ ვნახოვო. ან არა, ყოველნი გავიდეთ, ესე ციხე მივეცეთ და ჩვენ ჩვენს ხელმწიფესთან დავიხოცნეთო. მაშინ მუზამფარ-შაჰამ ამისი ნება არ დართო და უთბრა: ჩვენ ამას კი ნუ ვიქთ, რომ ციხე დავანებოთ, თუ ციხე მივეცით, საქმე ავად მოგვივაო, ამისთვის, რომ ჩვენს ცოლ-შვილს ჩვენს თვალწინ გააწბილებენო. ჩვენ ციხის კარი გავადოთ, ხმლებს ხელნი მივეყოთ, გავსცვივდეთ და ჩვენს ხელმწიფესთან დავიხოცნეთო. ამ რჩევაში რომ იყვნენ, შარიბ-შაჰამ და სხვათა შეხედეს, ნახეს, რომ შირფანჯა და ასიმ აიარი ჯალათებში იდგნენ და რომელიც ჯალათი უშანგს მიუხალოვდებოდა, აღმასის ნაჯახს შემოჰკრავდნენ და თავს გაავდებინებდნენ, სამი ჯალათი შირფანჯამ მოკლა და ორი ასიმმა. რა უშანგ-შაჰამ შირფანჯასი და ასიმისა ესრეთი ერთგულობა ნახა, დიდად დაუმაძღა და გულსა შინა მცირე რამ იმედი მიეცა.

რა ოჰყალიმ ჯადომ იმ ორთაგან ისრეთი საქმე იხილა, მსწრაფლ შეულოცა. ასიმ და შირფანჯა ყორნად გარდაჰქცია. მერმე უბიდან ერთი ფრინველის ფრთა ამოიღო, შეულოცა და ჰაერიდამ გარდმოავლო. იგი ფრთა მიმინოდ იქცა, მათ ორთა ყორანთა შეუტრია და მრავალი სცემა. მერმე იგი ყორანნი აღფრინდნენ და ციხისკენ წავიდნენ. მერმე ოჰყალიმ შეულოცა და იმ ძელებზედ მათ პყრობილთა სახე გამოიხატა. მნახავთ ეგონათ, ხელმწიფე უშანგ და სხვანი პყრობილნი მათზედ ჩამოკიდესო. რა ერანელთა და თურანელთა



უშანგ-შაპ ძელზედ ჩამოკიდებული იხილეს, მწუხარება განამრავლეს და სთქვეს: ვაპ, ჩვენს თვალებსა, რომ ამას რას ვხედავთო. ესე სახელოვანს და მრავალ რიგად გამარჯვებულს ხელმწიფეს ამისთანა გაჭირვებულს ადგილს ვხედავთ და ვერ შეგვიძლიან, რომ უშველოთო. ეს სულ ჩვენის ცოდვისაგან იქმნაო! ესეთი გლოვა და მოთქმით ტირილი შექმნეს, რომ უმეტესი აღარ შეიძლებოდა. შარიბ-შაპას მეტის მწუხარებისაგან ცნობა დაეფანტა და არ იცოდა, რა ექმნა, ხან წინ წარსდგებოდა და გარდავარდნას აპირებდა და ხან უკან დადგებოდა.

იმ უმად განრისხებულმა ყარამიჯინმა თვისი მძიმე დასტაჩუბი სამჯერ თავსა შემოივლო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაჰკრა და თავახანის კარის ცალი მხარე ჩამოაქცია და უნდოდა, რომ ერთის მხრიდამ მაინც როგორმე უშანგაბადში შესულიყო. მეციხოვნეები წინ მოეგებნენ და საშინელი ბრძოლა ასტეხეს. მერმე შარიბ-შაპამ და სხვათა ნახეს, რომ ყაზამფარ-ხათი ძაღლის სახის მქონებელი, იმ ჯარში დავიდოდა, ვისაც ნახავდა, ფერხთ ქვეშ ეხვევოდა და ვედრებასავით. რაღასაც მოქმედობდა. ეს ძალღი უშანგ-შაპასთან მივიდა, ფერხსა აკოცა და პირი მიწასა მოითრია. ხელმწიფემ მაშინვე იცნა, რომ ეს ყაზამფარხათი არისო. თვალთა ცრემლნი მოედინა, მაღლა აიხედა, კვალად ღმერთს ვედრება დაუწყო და თქვა: ჰე, საბოთ ღმერთო, მე ამას გვედრები, რომ ამდენნი ფალავანნი დაიხსნა და ჩემი გამოხსნა და სიცოცხლე, ვითა შენი ნება იყოს, ეგრედ ჰყავო. დიდი შემცოდვ ვარ წინაშე შენსა და სამართალი შემომეგო და ახლა აღმითქვამს, რომ უკეთუ ამ განსაცდელსა მოვრჩე, ყოვლის შეცოდებისაგან ხელი ავიდლოვ!

### **აჰა ყარამანისა, სარვიხურამანისა და სხვათა ხელმწიფეთა და ფალავანთა წახვლა პრანისაჰენ**

რა ყარამან ოცდახუთჯერ ასი ათასის დევითა და ჯინის ლაშქრით, ზულუმათისტნის და ჯინისტნის დიდებულებითა შაჰთალი ფერის გამოესალმნენ, ბალი-ირამიდამ აიყარნენ და ინდოეთისკენ გამოემართნენ, შვიდი დღე და ღამე იარეს. ამ სიარულში მრავალი უცხო ქვეყანა, რომელიც ურჯულოთა ქვეყნები იყო, ყველანი დაიმორჩილა და საბოთ ღმერთი აწამებინა. ვინც ყარამანს ადამიანნი ახლდნენ, თავიანთ ნახვა ესრეთ სურდათ, ვითა წყურვილისა კაცსა კეთი-

ლი წყარო და მუდამ მას საგონებელსა იყენენ, რომ როდის იქნება, ჩვენის ქვეყნის სამზღვარს მივალწიოთო. რა ამ საგონებელსა იყენენ, მიმავალობაში ნახეს, რომე აღმოსავლეთის მხრიდამ ერთი დიდი შავი ღრუბელი გამოჩნდა. თურმე იგი მთა იყო, ისრეთის სიმაღლის მქონებელი, რომე იმ მთის დასასრული არ იხილვებოდა. წვერი ღრუბელსა შინა დამალული იყო. რე მთასთან ერთი კიდე იმისთანა მაღალი მთა იყო. ამ ორს მთასა წვერნი ერთმანერთისთვის მიებჯინათ, ესრეთ, რომე მნახველთა ეგონებოდათ, სულ ერთიანი მთა არისო, შუაში ერთი ალაჯის ტოლი მინდორი იყო. რა კაცი იმ მინდვრის შუა ალაგს დადგებოდა და მაღლა აიხედავდა, ის ორი მთა ესრეთ იყო იმ ალაგს შეერთებული, რომე კაცს ეგონებოდა, კარგს ხელოსანს აქ თალი შეუკრავსო.

ვიდრე ყარამანი მის მთის ამბავს იკითხავდა, საჰმანმა მოახსენა: საბაყირანო, ეს ყაფის მთა არისო, ამ მთას იქით ადამიანთ ქვეყანა არისო და სინდისტნის საზღვარიო. ამ მთას ერთი კარი აბია ორმოცდაათი მწყრთა სიგანე აქვს, ასი მწყრთა სიმაღლე და ოცდაათი მწყრთა სისქეო. ეს კარი სრულიად ფოლადისა არის და იმ ამართულს მთასა აბია. იმ კარის ამყოლები სრულიად ოქროსი არისო, გასაღები არსაითა აქვს და არც გაიღებო. იმ კარის ძირზედ ორი ისეთი გრგოლი აბია, რომ თითოში თითო სპილო გაძვრება და იმ გრგოლების სიმსხოს გამორჩენილნი ფალავნნი ხელს ძლივ შემოაწვდენდნენ. ვინც აქედან ადამიანთ სამყოფში მისვლას მოინდომებს — დევნი თუ ფერიანი. თუ იფრითნი, ის კარები უნდა ასწიონ და იმაში გაიარონ, თორემ სხვა გზა არსაით არისო. ამ მთას აქეთ დევთა მამული არისო და მთას იქით ადამიანთ მამულიაო და, რაც ამ ყაფის მთის დევნი არიან ანუ იფრითნი, სულ ყველანი მოვიდნენ და მის კარის აწევა მოინდომეს, მაგრამ ვერცა ვინ დასძრა და სირცხვილეულნი ისეე გაბრუნდნენო. ამ მთის სიახლოვეს ერთი ფალანგსარ დევი არის, საშინელო ჯადო, ისეთი წყეული რამ არის, რომე ამ არემარეში რაც დევნი არიან, მისის შიშისაგან ძრწიანო, ორი კიდევ სხვა ძმა ჰყავს დიდად გრძნეულნი, ერთსა სახელად ოჰყალი ჯადო ჰქვიან და მეორეს — აზრად ჯადო. ესე წყეული ცეცხლის მთაში იმყოფებო.

რა ყარამანმა ესე მოისმინა, დიდად იამა და ვინც ჯარი ახლდა, უბრძანა, წარვიდნენ და მის კარის სიახლოვეს ჩამოხდნენ. შაჰფულ-შაჰა, რაჰინდ, ბაჰმან-შაჰა, ყათრან, ბარამჯიბილი და სხვანი მივიდნენ და თავთავიანთ კარებში ჩამოხტნენ. ყარამანმა მას მთას შეხედა და

ნახა, რომე მისი სიმაღლე ცამდის აწეული იყო, ამ მთაზედ მრავალი უცხო ხეები იდგა, დიახ მშვენიერნი, და მწვანე აღმოსავლეთის მხრიდამ მრავალი მდინარეები გამოდიოდა და დასავლეთის მხრისაკენ მივიდოდა. იგი მთა დიდად მოეწონა, რომ მისთანა მთა არსად ენახა. ისრეთი უცხო და უცხო ყვავილნი იდგნენ მას მთასა ზედა, რომე მთის სუნნელებისაგან კაცს ცნობა მიეღებოდა. რა კარი გასინჯა, დიდად მოეწონა. რომ უცხოს ბასრის ფოლადის იყო, ერთ ნაკვეთად შექმნილი, ისრეთის ხელოვნებით იყო შექმნილი, რომე ყოველს მისს მნახავს სულდგმულს მოეწონებოდა და მიხედვაზედ სხვა და სხვა რიგზედ ეჩვენებოდა. რა კაცი შეხედავდა, იგი ადგილი, მთა, ხე და ყვავილნი ყველა მწვანე სარკესავით ჩანდა. იმ კარსა ფარსავით გაკეთებული ვერცხლის ლურსმნები ადგილ-ადგილ ჰქონდა.

რა ყარამან იმ კარის სიხლოვეს მივიდა, მის კარის ნახვაზედ გაჰკვირდა, მის კარის სისქე და სიმაღლე გასინჯა, ღმერთს მადლობა მისცა და მისს ოსტატს ქება შეასხა და როგორც საჰმანს მოეხსენებინა, იმ კარის ამბავი ან სისქე, სიმაღლე, სიგანე და გრგოლების სიდიდე უფრო უმეტესი იყო, და სხვა გზა არსაით იპოებოდა იმ კარის გარდა. თუ იმ კარს ასწევდნენ და მის ქვეშ არ გაივლიდნენ, სხვაგან იმას სულდგმული ვერსად გარდაუვიდოდა. რა ყარამანმა ესე გასინჯა, სურხარ ნარას უბრძანა: მოვედ, ასწივე, ვნახო როგორ ასწევო. იგი, ოთხმოც და ჩვიდმეტის მწყურის სიმაღლის მქონებელი დევი მივიდა და სამჯერ ასწივა, მარამ ვერა დააკლო რა და ვერცა თუ შესძრა. ყოველს ფალავანს დიდად გაუკვირდა. მას უკან აწყაფუზ-ნარა დევი მოვიდა და ვერც იმან ასწივა. მერმე ბნელეთის ქვეყნის დევნი მოვიდნენ, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერც იმათ ასწივეს. მას უკან რაინდ-დევი მოვიდა და ვერც იმან ასწივა. მერმე ყარამანმა ბარამს შეხედა.

რა ყარამანის შემოხედვა ბარამმა ნახა, მაშინვე სწრაფად მივიდა. მის კარის გრგოლებს ხელი სტაცა და ისრეთ ასწივა, რომე თუმცა ყაფის მთისათვის აეწივა, მასაც აგლეჯდა, მაგრამ იგი კარი ვერ შესძრა და ისრეთი ძალა დაადგა ბარამს, რომე ორსავე ნესტოდამ სისხლი წასქდა და განრისხებულმან ისრეთი მუშტი დაჰკრა მას კარსა, რომ ყაფის მთამან სრულიად ზრიალი დაიწყო და ვინც დევნი იყვნენ, ბარამისაგან იმისთანა მუშტის დაკვრას გაჰკვირდნენ და მისი ფალავნობა მოეწონათ. მერმე ყათრან წარმოსდგა და ვერც ამან დასძრა. რა დევთა და ფერიათა ესე ნახეს, დიდად გამხიარულდნენ ამისათვის,

რომ თუმცა ჩვენ ვერ ავსწიეთ, ვერც ამათ ასწიესო, ყველანი თავთავისად წარვიდნენ და ერთმანერთს ეუბნებოდნენ, რომ ამ კარს სააბყირანიც ვერ ასწევსო.

რა სარვიხურამანმა გაიგონა, რომ დევნი ყარამანისას ამას ამბობდნენ, თუ ვერც იგი ასწევსო, დიდად ეწყინა, ველარ მოითმინა, წამოდგა და ყარამანის კარავს შევიდა. საჰმან და გარდანქეშან წინ მოეგებნენ. რა შემოვიდა, ყარამან ზე აღდგა და გვერდით დაისვა. სარვიხურამანმა მოახსენა: ჩემო თვალის სინათლეო ფალავანო! საჰმანს კი ნუ ეწყინება და, ვინც დევნი და ფერიანი არიან, ყოველსა თავი თავს მიუღღვიათ და ამას ჩურჩულებენ, რომ კარის აწევა ვერც ყარამანს შეუძლიანო და ამა სიტყვაზედ ვწუხვარო. ყარამანმა გაიცინა და უთხრა: ჰეი საყვარელო, მაგაზედ ნუ შესწუხდები, უნამუსონი ნიადაგ ნამუსიანზედ იცინიანო, ღვთის შეწევნით, ხვალ ნახამო. მცირე ხანს შეექცნენ და მერმე მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა, ქვეყნისა მანათობელმან შავი ნისლი გადაყარა და თვისი ბრწუნვალება ქვეყანაზედ მოჰვინა, ყოველნი ფერიანი, დევნი და ჯინნი სულ ყარამანის კარზედ შეიყარნენ და იმის გამოსვლას ელოდნენ. ყარამან ზე აღდგა, ღვთის სახელი ახსენა და მძიმედ მოირთო, სამრის იარაღით შეიჭურვა, ოქროს თაჯი თავსა დაიხურა და კარზედ გამოვიდა. ყველანი დიდად მხიარულობდნენ, ვინც იქ ადამიანნი იყვნენ, ერთმანერთს სიხარულით ეუბნებოდნენ; დღეს ჩვენის ქვეყნის მიწის დანახვა გვეღირსებაო.

რა ამ ფიქრებში იყვნენ, სარვიხურამანის კარვის მხრიდამ ერთი დიდი ტირილისა და ყვირილის ხმა მოესმათ. რა ყარამანმა ეს გაიგონა, მსწრაფლად შემოჟოძახა: ღვთის გულისთვის, შეიტყვევით, ეს რა ამბავი არისო? რამდენიმე ფერიის ქალები შესცვიდნენ და ნახეს, რომ სარვიხურამან იქ არსად იყო. მკერდგარდახეულნი და თავპირცემით ყარამანთან შემოვიდნენ და მოახსენეს: წუხელის სარვიხურამან, ყამარბანო და მუშთარბანო უჩინო შექმნილანო. იმათი შესამოსელი და იარაღი იქავ არის და თვითონ აღარსად ჩანანო. რა ყარამანმა ესე მოისმინა, საზარლად ამოიოხრა და სთქვა: ამდონი ხანი არის, რომ იმ საბრალო ქალების გულისათვის რამდენჯერ დევებმა მძინარეს აღმიტაცეს ჰაერში და ოკეანეს ზღვაში ჩამაგდეს, მაგრამ ღვთის მოწყალეობით დევნი დავბოცე და ისინი მოვარჩინეო, იმათის გულისათვის ქეივან ნარამ ჰეიათის მინდორში ჯოჯოხეთის ორმოში ჩამაგდო, შვიდი დღე და ღამე თავდაღმა ორმოში წისქვილის ქვასავით

მივდიოდით და ორი ნაწილი ქვესკნელისა გავიარე და იმ ბნელს ორმო-  
ში ძლივს ჩავალწივე, რამდენი დევები დაეზოცე, ღვთის ძალით და  
ისევ ზე ამოვალწივეო. ესეები სულ იმათის გულისათვის დაეშვერო.  
ესრეთ მეგონა, რომ ჩემი ჭირები დასრულდა-მეთქი, მაგრამ ნახეთ,  
სოფლის ქცევამ რა ავს დროს შემასწრო, რომ სევდა განმიახლდაო.

ესე თქვა და მცირეს ხანს დაფიქრდა და შაჰთალ-შაჰამ და ყველამ  
საყელოები გარდაიხიეს, ტირილი დაიწყეს და სთქვეს: ჩვენ ესრეთ  
ვამბობდით, რომ ამ შექირვებისაგან მოვრჩითო და ახლა უარეს გან-  
საცდელს შევესწარიოთო. ყარამანმა ზე აიხედა და საჰმანს უთხრა: ჩე-  
მო მწუხარების ამბანაგო, ეს რა მოგვევლინაო. მან მცირეს ხანს თავი  
დაჰკიდა, დაფიქრდა და მერმე ყარამანს მოახსენა: ფალავანო, მე  
თქვენ აღრევე აქი მოგახსენეთ, რომ იგი წყეული ოჰყალი ჯადოს ძმა  
ფალანგსარ ჯადო ამ არეში იმყოფება-მეთქი, ეს ალაგი ფერიებს  
წაართვა და აქ მკვიდრობს, მაგრამ იმისი ბინა არავინ იცის, ჩვენ რომ  
ქეომარს ხელმწიფემან „ისმიზამის“ ძალით თორმეტნი დევნი და-  
გვიჭირა და ყარუნ-შაჰას ტუსალხანაში ჩაგვეყარა, იმ დღიდან აქომამ-  
დე ამის შიშით ვერა სულიერს აქ ვერ გაუვლია და ვერც ზე ფრინვე-  
ლი და ვერც ქვე ნადირა გაივლისო, ახლა ჩვენ რომ აქ ერთად შეყ-  
რილნი გვნახა, იცოდა, რომ აქ ჯარით ვერას გაარიგებდა და ეს იმის  
საქმე არისო. ახლა შენ რომ ესოდენი ჯარები შემოგიყარია, დასაბამი-  
დამ აქამომდე ეს ამბავი არავის უქმნია, ბრძანეთ წარვიდეთ, ზღვა  
და ხმელეთი სულ მოვიაროთ და რაც არის, ამბავი მოგახსენოთო;  
მერმე საჰმანმა ორასი დევი სხვა და სხვა მხარეს გაგზავნა და თვი-  
თონაც ერთ მხარეს წარვიდა.

კიდევ მეორე ღამეს შაჰთალ-შაჰა, ზორაბ-შაჰა და საბზავარის  
სულთანნი უჩინო შეიქმნენ, მაჰლაილ ავსარ დევი მოვიდა და ყარა-  
მანს მოახსენა: წუხელის შაჰალ-შაჰა და საბზავარის სულთანნი და  
ზორაბ-შაჰა უჩინო შეიქმნენო. ამ ამბავზედ ყარამან დიდად შეწუხდა  
და უბრძანა: მაჰლაილ, წადი, რაც მეფენი ფალავნები და სარდლები  
არიან, იმათ ტანისამოსზედ და საომარ იარაღზედ და აღმებზედ, ყვე-  
ლაზედ „ისმიზამი“ დააწერინეო. მაჰლაილ წავიდა და როგორც  
უბრძანა, აასრულა. მერმე: ყოვლის მოსვლის გზისაკენ ყარაულები  
დააყენეს. შემდეგ ყარამან ზე აღზღვა, ლაშქარი სულ რაჰინდს და  
ჯიბილ გაბირის სულთანს ბაჰმან-შაჰას მიიბარა; ყათრან და ბარამ-  
ჯიბილი თავის მაგივრად დაადგინა, თვითონ კი შეშფაიბარსა ამ-  
ხედრდა და ქუი-ყათის მთისაკენ წავიდა.

რა მცირე ხანი იარა, ისეთი ადგილები ნახა უციო და უცხო, რომე არც ბნელეთში და არც ჯინისტანში იმისთანა ადგილები არ ენახა და არა-მცირედ მოეწონა. ყარამანმა თვისსა შემფაიბარსა ქუსლი ჰკრა და დილის ნიავსავით გაფრინდა. რაზოდენიმე ხანი იარა და ერთი ნადირი ნახა, ისარი ჰკრა, იგი მოკლა; შემფაიბარიდამ ერთს კარგს წყლიან ადგილს გარდახტა, ცეცხლი დაანთო, მწვადი შესწვა და შეექცა; შემფაიბარი ბალახზედ მიუშვა, თვითონ დაწვა და მოსვენებას მიეცა. იმ ღამეს მუნ განისვენა, რა დილა გათენდა ზე აღდგა, ღმერთს მადლობა შესწირა, შემფაიბარზე შეჯდა და ერთის მხრისაკენ წარვიდა, თუმცა უნდოდა, რომ თავის ჯარისკენ დაბრუნებულყო, მაგრამ სთქვა თავის გუნებაში: მათ დაკარგულთა შეუტყობინებლივ დაბრუნებას, მე ამ გზაზედ სიკვდილი მიჩჩენიაო. ესე სთქვა და მხეცი დასავლეთის მხრისაკენ გაიბრუნა და წავიდა.

იმჟამად რომ ყარამანმა საჰმან, რადინარა და ანყაფუზნარა ორასი ათასის ხვალი დევით გაისტუმრა დაკარგულთა ქალების საძებნელად, ისინი თითოს მხარეს წარსულიყვნენ, მრავალი ეძებნათ, მაგრამ მათი ამბავი ვერა ეცნათ რა, გამობრუნებულყოყვნენ ისევ და ჯარში მოსულიყვნენ და შეერთებულყოყვნენ. ნახეს, რომ ყარამან არ მოსულიყო. მოინდომეს, რომ კვალად წასულიყვნენ და ყარამან მოენახათ, მაგრამ მაჰლაილ ავსარმა არ გაუშვა და უთხრა: ძმებო, თქვენ ნულარ წახვალთ, იცოდეთ, რომ ამ ჩვიდმეტს დღეს სააბყირანს ვერავინ ნახავსო და აღარც ვინ ჯარიდამ დაგვაკლდებო. მათაც დაუჯერეს და იქვე დარჩნენ.

რა ყარამანს დასავლეთის მხრისაკენ გაემართა, შვიდი დღე და ღამე იარა, მრავალი უცხო და უცხო საკვირველი ადგილები ნახა და უანგარიშო და საზარელი მხეცები იხილა. მერვესა დღესა ნახა, რომ ერთს ხევში ცეცხლის მსგავსად რალაც ანათებდა. ახლოს მივიდა, ნახა, რომ ერთი საშინელი ვეშაპი იყო. რა შემფაიბარმა იგი ვეშაპი დაინახა, საშინლად დაიჭიხინა, ტოტს ცემა დაუწყო და მიწას ბრდღენიდა. რა მან ვეშაპმან იგი ხმა გაიგონა, დიდის გუმბათის მზგავსი თავი აიღო, ქურახანის ცეცხლის მზგავსად თვალნი ადახილა და ყარამანს შემოუტივა. რა ყარამანმა იგი თავისაკენ მომავალი იხილა, შემფაიბარიდამ გარდახტა და ესრეთ შესძახა, რომ ცამ და ქვეყანამ ზანზარი დაიწყეს, და ისრეთის მრისხანებით წარვიდა იმ ვეშაპზედ, რომ თუნდა დევსა, ფერიასა, ანუ ქაჯსა, ანუ ადამის ტომს,

რომ ენახა ეგრეთ განრისხებული, მისსა შეხედვას ვერ გაუძლებდნენ. რა მან ვეშაპმან ისრეთი განრისხება ნახა, უჩინო შეიქმნა.

რა იგი ვეშაპი ველარ დინახა, დიდად გაჰკვირდა და თქვა: უთუოდ ეს ერთი რამ გრძნეულება იქმნებაო. მერმე ღვთის სახელი ახსენა, შეშფაიბარსა ამხედრდა და თავის გზას გაემართა, ხუთი დღე კიდევ სხვა იარა და ზღვის პირზედ მივიდა, რა მცირე ხანი გაიარა, ერთი მაღალი მთა ნახა. მას მთაზედ ერთი ფილაქანის კიბე იყო, ზევიდამ ზღვის პირამდინ ჩატანილი. მის კიბის დასასრულს ერთი მარმარილოს კოშკი იყო, ისრეთი მაღალი, რომ წვერი ცას შესწვდებოდა.

რა ყარამანმა იგი კოშკი ნახა, მხეცილამ ჩამოხტა, შევიდა, დაიარა და დიდად მოეწონა. მას უკან ფილაქანის კიბეზედ აღვიდა და მის ზღვის ნაშენობას ყურება დაუწყო და დიდად მოეწონა. იგი კოშკი ზღვაში იყო გარდამდგარი და დიდი ხნის აშენებული იყო. ეტყობოდა, რომ ძველთაგან იყო აშენებული. ყარამანმა მცირე ნადირის ხორცი სჭამა, რამინ-შაპის ფარი თავით დაიდვა, დაწვა და ზღვისაკენ ყურება დაიწყო. ნახა, რომ ეს ზღვა აღელდა, ზღვიდამ საკვირველნი და საშინელნი ნადირნი გამოვიდნენ, ყველას თვითო-თვითო უცხო ღამის მანათობელი თვალი ხელთა ეკირათ. გამოვიდნენ. ზოგნი ბალახსა სძოვდნენ, ზოგნი ხეზედ ავიდნენ და ხილს ჭამა დაუწყეს. ზოგთა კი მეჯლისი გამართეს. მცირე ხანს უკან ორმოცის მწყურთის სიმაღლის მქონებელნი ზღვის ცხოველნი გამოვიდნენ, ზოგსა ღამის თავი ჰქონდა, ზოგსა ვეფხვისა, ზოგსა ძაღლისა და ზოგსა მაიმუნისა.

რა ესენი გამოვიდნენ, ერთი ოქროს ტახტი გამოიტანეს. იმ ტახტის გარშემო იმდენი თვალი, შამჩირალი დააწყეს, რომ მისი სინათლე ერთსა აღაჯსა დღესავით ანათებდა. მერმე ერთი კიდევ სამოცის მწყურთის სიმაღლის მქონებელი გამოვიდა, დათვის თავი ჰქონდა, ხელნი ვეშაპის ტოტებს უგვანდა. მას უკან ერთი ადამიანის მზგავსი ოთხფეხი რამ გამოჰყვა, ზედ ერთი აბანოზის კუბო იდვა. კუბოსი ოთხი მხარე მინისა იყო. ის კაცი მივიდა და მას მურასა ტახტსა დაჯდა, იგი კუბო მას მოართვეს და წინ დაიდვა, იმ კუბოდამ ერთი მთვარის მზგავსი და ტანადობით ალვის შესადარი ქალი გამოიყვანა, რომელსა მწუხარებისაგან პირსა ფერი აღარა ჰქონდა. რა ყარამანმა კარგად თვალი დააკვირვა, იცნა, რომ ქუთი-ყამარის ხელმწიფის ქალი დილაფრუზ დედოფალი იყო, უშანგ რომ ქუთი-ყამარის სულთანზედ მივიდა, მაშინ ის ქალი უშანგმა თვისს ცოლად მიიგვარა. და ესე უშან-

გის ცოლი იყო, ამასთან უშანგს ერთი შვილი ჰყვანდა, სახელად არ-  
დევან-შაჰ ერქვა.

რა ყარამანმა ესე ნახა, თქვა: ვაითუ მე რომ ყაფის მთაში წამო-  
ველ, უშანგ-შაჰას აენეს ვინმემ რამეო? მაგრამ სად იწლოეთის ქვეყა-  
ნა და სად ყაფის მთაო, ესე თქვა და თავში ხელნი შემოიკრა. ამა  
ზღვიდამ გამოსულთა ნადიმი დაიდვეს და მეჯლისი გამართეს, დი-  
ლაფრუზ კი სტიროდა და მისი ტირილი მათთვის ლზინი იყო. იმ ტახ-  
ტზედ მჯდომმა უთხრა: ჰეი, დილაფრუზ! ვადა ხომ დღევანდლამდინ  
იყო და ახლა ჩემის დამორჩილებისას რაღას მიზეზს იტყვიო? თუ  
ამას ფიქრობ, რომ მოგეშველება ვინმე, აქედან ადამიანთ ქვეყანა  
ოცის წლის სავალია და შენ ადამიანს ველარ ნახავო. ამაღამ უნდა  
დამნებდეო, თუარა ჩემის ღმერთის ფალანგსარის მადლმა, ათას ნაჭ-  
რად გარდაგაქცევო. დილაფრუზმა მიუგო: შე წყეულო! თუ გინდა.  
ასი ათას ნაჭრადაც რომ გარდამაქციო, მაინც ჩემგან შენი დამორჩი-  
ლება არ შეიძლებაო. იგი განრისხდა და სთქვა: ოთხი პალო დაურ-  
ჭეთ და შუაში ცეცხლი დაანთეთო და მას პალოებზე გააკარით ეგ  
დიაცი, რომ ცეცხლში უნდა დაეწვაო. რა მან მშვენიერმან ესე მო-  
ისმინა, დიდად მწუხარე ღმერთს ევედრებოდა.

რა ყარამანმა ესე მოისმინა, თქვა: ხედავ, ის წყეული რას ვნებას  
აძლევსო! მსწრაფლ შავარდენისაგით წამოფრინდა და გუნებაში  
იფიქრა, თუ აქედამ შეუტვივო, ვაი თუ ის ქალი მომტაცონ და ზღვაში  
შეიყვანონ, მაშინ უშანგს რაღა უთხრა, ან რა პირითლა ვნახო? ძირს  
ჩამოეპარა, ზღვის მხარე დაუჭირა და იქილამ ესრეთ შეჰყვირა, რომ  
ზღვამ ღელვა დაიწყო და იგი არემარე სრულიად შეიძრა. ხმალხელ-  
მოკრულმან შეუტვივა. იმ ხმაზედ ვინცა ვინ ზღვიდამ გამოსულნი  
იყვნენ, დიდად შეშინდნენ, ზოგნი ზღვისაკენ გაიქცნენ და ზოგთა  
მთას მიაშურეს. იგი ტახტზედ მჯდომი ესრეთ შეშინდა, რომ მას  
ალაგიდამ ველარ დაიძრა. ყარამანმა მას ტახტზედვე მოასწრო და  
მკერდსა ისრეთი მუშტი დაჰკრა, რომ სამჯერ გარდატრიალდა. ხელი  
სტაცა, დაიჭირა, ორივე ხელნი მაგრად შეუკრა. სხვანიც რამდენიმე  
დახოცა და რამდენიმე დასტა-დასტად გაიქცნენ და ზღვაში შე-  
ვიდნენ.

დილაფრუზს რა იგი საშინელი ხმა მიესმა, ნახა, რომ ერთი ადა-  
მიანი ზღვის მხრიდამ მოიჭრა, ერთის მუშტის დაკვრით იგი  
ტახტზედ მჯდომი დაბნინდა, შეკრა და დააგდო. რა კარგად გასინჯა  
ნახა, რომ ერთი მთვარის მზგავსი და უსწორო ფალავანი იყო. დი-



ლაფრუზ დიდად გამხიარულდა და თქვა: ნეტარ ეს ვინ უნდა იყო-სო? ნახა, რომ ყოვლის გაჭირვებულის მხსნელი, პყრობილთა განმათავისუფლებელი ყარამან ყათილ სააბყირანი იყო. რა სწორედ იცნა, მეტი სიამოვნებით უცნობო იქმნა. ყარამან დიდის თავაზით დილაფრუზს მიეგება, თავი დაუქრა და ხელი აუხსნა. დილაფრუზი ყარამანს მოეხვია. შვილის მზგავსად შეიტკბო და უთხრა: ჩემო სიცოცხლო ყარამან, ღმერთმან უშენოდ ჩვენ ნუ გვაყოფოსო. რა ყარამან მართლად გასინჯა, დილაფრუზს დიდად მოეწონა, რაც ყარამან ენახა, ერთი ათასად გარდაქცეულიყო. ისრეთი იარაღები ეშოვნა, რომ კაცის თვალი მისთანა იარაღს ვერ ნახავდა და ღმერთს მადლობა შესწირა.

მერმე ყარამანმა მოახსენა: ხელმწიფის დედოფალო! თქვენ აქ რომლის მიზეზით ჩამოვარდნილხართო!? დილაფრუზმა უპასუხა: ფალავანო! თქვენ რომ შვილის ფერით შაჰფალ-შაჰას მისაშველებლად წაბრძანდით, მესამე დღეს მე ხელმწიფეს დავეთხოვე, ქუი-ყამარისაყენ ჩემი შვიდი ათასის ყულებით წაველ. მიმავლობის ქამს ერთს ალაგს დავდექით და იმ დამეს იქ დავიძინეთ. რა გამომეღვიძა, ენახე, რომ აქ ვიყავი. თურმე იმ ალაგსა ფალანგსარ-ჯადო პატრონობს, იმას მოუპარავარ, ის წყეული თავის თავს ღმერთს ეძახის. და ეს თქვენ რომ დავიჭერიათ და შეპყრობილი რომ გყავთ, ეს ზღვის ხელმწიფე არის, და ამას სახელად მაჰიარ ჰქვიანო. ამას ის ღმერთად სწამსო და იმას ემსახურებო, იმან მე ამას მიბოძა და ამან შემომიკვთა, ერთს წელიწადს ამასთან დავწოლილიყავ და ამის ნება აღმესრულებინა. მეც უილაჯობისაგან შვილის წლის პირობა მივეცი. ამათი ერთი სამყოფი ზღვაში აქვთ, დღე იქ მყოფობენ და დამე აქ გამოვლენ. ამათ ერთი ხასიათი აქვთ, რა მზე ამოვა, თუ ზღვაში არ არიან და მზე ნახეს, მაშინვე დაიხოცებიან. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, კიდევ გათენდა და მზეც გამოვიდა მან შეპყრობილმან დაიყურიალა და მოკვდა.

რა ყარამანმა ეს ნახა, დიდად გაჰკვირდა და ღვთის განგებულებას აღიდებდა. მერმე დილაფრუზს ჰკითხა? არ იცი, ფალანგსარ-ჯადო სად იქნებო? დილაფრუზმა მიუგო: არ ვიციო, და მოახსენა: სააბყირანო! ვმადლობ ღმერთსა, რომ მე ამათის ხელიდამ დამიხსენო, მაგრამ მიბრძანე, თქვენის მობრძანების მიზეზი რა არისო? ყარამანმა თავისი თავის გარდასავალი ყველა წვრილად უამბო, მერე თავის შემუთაბარხედ დილაფრუზს შესვა, თვითონ ჯაჭვის კალთები წელში

ჩაირჭო და წინ გაუძღვა. სამი დღე და ღამე იარეს და რა მეოთხე დღეა გათენდა, ერთი საშინელი მაღალი მთა გამოჩნდა, რომ მის სიმაღლეს თვალი არ შესწვდებოდა და მის მთის ძირსა მრავალი უცხო და უცხო მხეცნი და ნადირნი იყვნენ. რა ესენი ნახეს მიმავალი, ყოველთა ერთად საშინელი მწუხარების ხმა აღმოუტევეს და მომავალთა მომართეს, პირი მიწასა გააფრთეს და ვედრება რამ დაუწყეს. რა ყარამანმა და დილაფრუზმა ესენი ნახეს, დიდად გაუკვირდათ და თქვეს: ამ ალაგში კაცი არ არიან, რომ ესენი იმათ გაესწავლებინოსთო; ეს ერთი საკვირველი რამ არისო. ესე თქვეს და წავიდნენ. რამდენი წინ წადგნენ, უფრო და უფრო გამრავლდნენ. მხეცთა და ნადირთა ესეთი ხმა გაამრავლეს, ვითა ცხვარნი ბატკანთა შიგან დაერივნენ. დილაფრუზ დიდად შეშინდა ამ ამბავზედ. რა ყარამანმა დილაფრუზ ესრეთ შეშინებული ნახა, ქეომარსის ქამარი შეიხსნა, დილაფრუზს შემოარტყა და მოახსენა: დედოფალო! ნუ გეშინიან. ვისაც ეს ქამარი არტყია, იმას ვერცა დევი, ვერცა ფერიანი და ვერცა ჯადონი ვერას ავნებენო.

ის დღე იარეს და ერთს კარსა მიაღგნენ, ის კარი გააღეს და ერთი უცხო სასახლე გამოჩნდა, რომ მის უმშვენიერესი აღარა იქნებოდა რა; სახელმწიფონი ტახტნი იდგნენ, ვერცხლისაგან შექმნილნი, მაზედ ფრინველნი ისხდნენ. რა ფრინველთა ესენი მისული ნახეს, ერთიანად საშინლად დაიჩხავლეს და ტირილი დაიწყეს. ერთი კიბე გამოჩნდა. მას კიბესა ყარამან და დილაფრუზ შეჰყვნენ და იმდენი იარეს, სანამდინ იგი კიბე დასრულდებოდა. რა იგი კიბე დასრულდა, მის კიბისა თავსა ერთი ქვაბი გამოჩნდა და მას ქვაბსა შინა კიბე იყო გაკეთებული. მაგრამ იგი კიბე ასეთი განიერი იყო, რომ ორმოცი კაცი ერთიანად სიგანეზედ კარგად ავიდოდა. მის კიბის სიმაღლე ორმოცდა რვა ფეხი იყო. ყარამანმა „ისმიაზამი“ სთქვა და თვით შემფაიბარს წინ გაუძღვა და მას კიბეზედ ავიდნენ. რა იგი კიბე დასრულდა, ერთი კიდევ სხვა ქვაბი გამოჩნდა და მის ქვაბისა კარზედ ორნი ბერნი დევები ისხდნენ ორმოცდარვა მწყრთის მქონებელნი იყვნენ, ოკიანეს ზღვის თამაშს უყურებდნენ.

რა ყარამან და დილაფრუზ დაინახეს, ორნივე ზე წამოდგნენ. დიდრონი ძელები ამ დიდრონს ქვაბებში გაუყარეს და ხელი მიჰყვეს, ყარამანს შემოუტივეს. ერთი წინადად მოუხდა და მეორე უკანადად, ერთმა მოუქნივა და იგი ფარს აატანინა და მეორემ უკანადად ბეჭებში დაჰკრა, მაგრამ ვერც ერთმა ვერა ავნო რა, მას წინა

დღესა ხმალი დაჰკრა და ბეჭამდისინ გააპო და კვალად მას მეორესა მოუქნივა, იგიცა შუა გაწყვიტა, ორნივე ძირს დაეცნენ. დილაფრუზმა ყარამანს ქება შეასხა. შიგნით შევიდნენ, ნახეს, რომ ერთი გრძელი ქვაბი იყო, მარჯვნივ და მარცხნივ ოთახები იყო გამოჭრილი და ყველასა რკინის კარებები ება. რა ყარამანმა და დილაფრუზმა იგი ქვაბი ნახეს, დიდად გაჰკვირდნენ. კიდევ ერთის კაცის სიმაღლეზე სხვა ქვაბი გამოჭრილიყო და სულ ტიტველა ბებრებით იყო სავსე, მაგრამ ასე დაბერებულიყვნენ, რომ თვალები მწვანე მინას დამგზავსებოდათ, ასე რომ სიბერისაგან თავები მუხლიდგან ველარ აეცილებინათ. თურმე სულ ესენი ჯადონი ყოფილიყვნენ, თავიანთი სიცოცხლე ამ უკეთურებაში გაუტარებიათ, ჯადოებით უცხოვრიათ, ეს ალაგი მოუწონებიათ და აქ იმყოფებიან. რამდენსამე ამ ჯადოს სული ამოსვლიათ, ამ ქუთი-ყაფის დევთა და გრძნეულთა თურმე ამათგან უსწავლიათ და ამათგან მიუღიათ გრძნება.

რა მათ ბებრებთა მათი ფეხის ხმა ესმათ, თვისნი შეგირდნი ეგონათ, ყველას სახელები დაუძახეს, წუხელის რამდენი ადამიანი გინადირნიათო, მათი ვულები მოგვიტანეთ. რომ ვჰამოთო. რა ყარამანმა ესე მოისმინა, საგდებელი შესტყორცნა და თვითო-თვითო ჩამოყარა და მოკლა. მას დღეს რიცხვით ორმოცდა ჩვიდმეტი ჯადო მოკლა. რა იგინი დახოცა, რკინის კართან მივიდნენ და ის კარი დიახ მაგარი იყო, მაგრამ დიახ ბევრს ეცადა და გაალო. რა იგი კარი გაალო, ნახეს, რომ ერთი ასეთი მშვენიერი და უცხო სასახლე გამოჩნდა, რომ მის უმშვენიერესი აღარა ინახებოდა რა, მრავალი უცხო და უცხო სანახევები იყო დახატული. მის სახლის საშუალს ერთი დიდი ტახტი იდგა და მის ტახტის გარშემო ლომისა და ვეფხვისა და უცხო ნადირის ტყავებით დაფენილი იყო, მას ტახტზედა ერთი სამოცდა ხუთის მწყართის სიმაღლის მქონებელი ვინმე იწვა: თავი ვეფხვს უგვანდა, ყურები დათვისა, ხელები ლომის ტოტებსა, შუბლი თხას უგვანდა, ფეხები სპილოსა, სამოცდარვა კბილი ედგა, მაგრამ ერთი კბილი ჰქონდა, რომ თვითო მტკაველი იქით და აქეთ გაეშო, კბილის ფერი ლურჯ იაგუნდს უგვანდა და ეძინა.

ყარამანმა ნახა, რომ მას ტახტის ფეხთა ერთი მანათობელი ქალი რკინის ჯაჭვით შეეკრათ და დაებათ, და ამ მშვენიერსა ქალსა შიშისაგან ფერი წასვლოდა. რა დილაფრუზმა ესე ნახა, შიშისაგან პირს ფერი აღარ შერჩა, ოყაბილამ ჩამოხტა და ყარამანის უკან დადგა. რა იმა ქალმა ესენი დაინახა, დიდად გაოცდა და სთქვა: ამდენი ხანია მე აქ

ჯაჭვით შეკრულ ვიმყოფები და ამის მეტად აქ კაცი არავინ მინახავსო. ნახა, რომ ერთი ორმოცდაცხრის მწყურთის მქონებელი, სამოცდათორმეტის იარაღით შეკურვილი, ხელთა ბასრის ხმლის მქონე ვამაწვილი კაცი იყო, წვერი ახლად მოსვლოდა. რომელიც მას განრისხებულს ნახავდა, მისის შიშისაგან გული გაუსკდებოდა. რა მისთანა მშვენიერი ვაჟი ნახა, თავისი თავი დაავიწყდა, ცოდვა არ არის რომ ამისთანა თავის უმეტრებით განსაცდელს მიეცესო? აქ ადამის ტომი რად უნდა იყოსო? ესე სთქვა და შემოხვდა, და მის შეკურვილის კაცის უკან ერთი მშვენიერი ქალი მდგომარე იხილა და მის უკან ექვსფეხოვანი და ოთხთვალი ნადირი ჯაჭვით და საომარის იარაღით შეკაზმული იდგა. რა ის მხეცი დაინახა, ყარამანის შემთავიბარს მიამგზავსა და შიშისაგან ცნობა დაეკარგა. ხან იმას ამზგავსებდა და ხან სხვას. ტირილი დაიწყო და თქვა: ნეტარ სიზმარია თუ ცხადიო. ეს ჩვენი ყარამანის სახეაო. მართლა თვალი დააკვირვა და იცნა, უშანგ-შაპის ხათუნი დილაფრუზი, უშანგ-შაპამ ქუთი-ყამირს გაგზავნა და იქ რომ დაიკარგა, ის არისო. რა იგი იცნა, ერთი მწარეთ ამოიოხრა და თქვა: ყოველის შეწუხებულის ნუგეშო და ჩემის თვალის სინათლე ფალავანო ყარამან! კიდევ შენ მოესწარ ჩემ მფრინველის მსგავსს ამოსულს სულსაო, ესე თქვა და დიდად ამოიოხრა, გულს შემოეყარა.

რა ყარამანმა იმ ქალისაგან თავის სახელის ცნობა გაიგონა, დიდად გააკვირდა, მსწრაფლად წარმოდგა, რომლითაც ჯაჭვით შეკრული იყო, იგი დაწყვიტა. რა ყარამანმა და დილაფრუზმა შეხედეს, იცნეს, რომ ეს ქალი ქეივან-შაპას ქალი ყამარლუხ. იყო, ყათრანის ცოლი. დილაფრუზს დიდად იამა, მივიდა და თავი კალთაში ჩაუდვა და იტირა. რა ყამარლუხ გონებას მოეგო, თვალნი გაახილა, ნახა, რომ თავი დილაფრუზის კალთაში ედვა, და ყარამან ფალანგსარს თავს ადგა. მსწრაფლად ადგა და საყვარლად მიესალმნენ ერთმანერთსა. რა ესე ორნი ხელმწიფის შვილნი ფალანგსარს შეხედავდნენ, შიშისაგან ცნობა მიეხდებოდათ, და რა ყარამანს დაინახავდნენ, ისევე გონებას მოეგებოდნენ, მაგრამ იმ წყეულს ფალანგსარს ესრეთ ეძინა, რომ ამათმა ესოდენმა ლაპარაკმა ვერ გამოადვიდა. ამ ქამად დილაფრუზმა უთხრა: სნაბყარანო და ჩემო თვალის სინათლევე, ღვთის მოწყალეობით, ბედნიერი დრო მოგვეცაო და რატომ არ მოჰკლავ მძინარესო?

რა ყარამანმა ესე გაიგონა, დიდად გაიცინა და მოახსენა: ამისთანები რომ მძინარე დამეხოცნა, რა სნაბყარანობა იქმნებოდაო, ფალანგსარის რიგში არ შემოვყო, მუხთლად სიკვდილი დიდად უწესო

არისო. ესე თქვა და ღვთის სახელი ესრეთ დაიძახა, რომ იმ საშინე-  
ლი ხმისაგან ის კლდე და არემარე სრულობით შეიძრა, მეორედ მო-  
სვლის ხმასა ჰგვანდა. რა ამ ხელმწიფის ქალებს ესეთი საშინელი ხმა  
ესმათ ყარამანისაგან, დიდის გაოცებით ღმერთს მადლობა მისცეს და  
თქვეს: ღმერთო, მადლობა შენთვის, რომ ერთის კაცისათვის ესეთი  
ძალა მივიცია, რომ ამისთანა საშინელს ალაგს უშიშრად შენს სახელს  
გამოაცხადებსო.

იმჟამად ყარამანის ყვირილის ხმაზედ ფალანგსარ ჯადოსაც გა-  
მოეღვიძა და თვალნი აახილა, ნახა, რომ ყარამანი და ორნი ქალნი  
ყარამანის საჯდომ შეშფაიბარით იქ იდგნენ. დიდად შეშინებულმა  
ფალანგსარმა ერთი დიდად შეჰკვივლა, ზე ახლტა და მრავლის ეშმა-  
კობით სავსე მინები ჰქონდა მომზადებული იქით და აქეთ, მათგან  
ერთს მინას ხელი მიჰყო და ყარამანს ესროლა, ის მინა ძირს დაეცა  
და მრავალნი გველნი და ვეშაპნი გამოცვივდნენ იმ მინიდან და ყვე-  
ლამ ყარამანს შემოუტევეს. რა ყარამანმა ის ეშმაკეულობა ნახა, მ-  
შინვე „ისმიაზამის“ ლოცვა თქვა: შებერა იმ ჯადოსა და იგი ჯადო  
განქარდა. რა ფალანგსარმა თავისი ჯადო განქარებულნი იხილა, დი-  
დად შეშინდა, განრისხდა თვისსა მძიმეს ლახტსა ხელი მიჰყო და ყა-  
რამანს მოუქნივა. ყარამანმა მის მოქნეულსა ლახტსა, ხმალი მიაშვე-  
ლა და მისმა მოქნეულმა ლახტმა ყარამანს ვერა ავნო რა. მერმე ყა-  
რამანმა ფალანგსარს ასეთი სილა შემოჰკრა, რომ შეიღჯერ ყირაზედ  
გარდატრიალდა და დაეცა, მისწვდა და იმ ორის ფარისოდენი ყურე-  
ბით ასეთი მოზიდა, რომ ხეთა ფურცელთაებრ თრთოლა დაიწყო, და  
გველივით კლაკენა შექმნა. შემდეგ თვისის ქამანდით მაგრა შეკრა,  
ის ქამანდი ვეშაპის ტყავისა იყო, (იმ ვეშაპისა იყო, რომელიც ფარ-  
მანბარყუშს მართვეთა უქამდა), მაგრა შეკრა და „ისმიაზამის“ ლო-  
ცვით ძირს დააგდო, შებერა, ხელი მოჰკრა და ზე წამოაყენა დიდის  
მინარის მსგავსი. რა ამ ქალებმა, ყარამანისა ესეთი სიმხნე ნახეს, დი-  
დი ქება შეასხეს და პირ-მიწა გაერთებით ღმერთსა მადლობა მის-  
ცეს. შემდეგ მოუხტა ყამარლუხი და ფალანგსარს თავს მრავალი სცე-  
მა და სამ-ოთხ ალაგს გაუტეხა. ამაზედ ყარამანმა სიცილი დაიწყო  
და უთხრა: ყამარლუხ, მაგას ეგეთის მცირე დაკოდილობით ვერას  
ავსებო, მინამ ხმლით არ დავეფეთო. ამ ლაპარაკში ერთი მწარის  
მწუხარების ხმა მოესმათ, ის ხმა უფრო ადამის ტომისას ჰგვანდა.  
მობრუნდა ყარამან და ფალანგსარს უთხრა: სარვიხურამან და მუშ-  
თარი ბანო რა უყავო? ისინი გვიჩვენეო და შენ აღთქმა დასდე, რომ

შენს სიცოცხლეში ჯადო აღარ შექმნა და შენ განგათავისუფლებო. ფალანგსარმა მიუგო პასუხი: ფალანგო, მე ისინი დავხოცეო ჩემის ძმის აზრალჯადოს მაგიერადო და იმისი სისხლი ავიღეო. რა ყარამან-მა ამათი დახოცა მოისმინა, ერთი მწარედ ამოიოხრა და თქვა: ვაი, თუ ამ წყეულის სიტყვა მართალი იყოს, ვაჰ, რა ტყვილად დავშვერ და ტყვილად ვეწვალე, ჩემმა ამდენმა ამავმა ტყვილად ჩამიარაო. მაგრამ ამ წყეულის სიტყვა დასაჯერი არ არისო.

## აჰა უარამანისაგან სარკინხურამანისა და მუშთარის გამოხსნა საპუროზილედამ

იმჟამდ კვლავ კენესის ხმა გამოვიდა. ყარამანმა თვალი მიავლ-მოავლო და ერთი რკინის კარი დაინახა. იმას ყური დაუგდო, გაიგო, რომ იმ მწუხარების ხმა იქილამ გამოდიოდა, მსწრაფლად იმ კართან მივიდა, ცალის ხელით ფალანგსარი და ცალის ხელით ქეიომარის ლახტი ეჭირა, შემოჰკრა ლახტი და იგი კარი დაღეწა, შიგან შეიხე-და, ნახა, რომ ასეთი ბნელი იყო, კაცის თვალს იმაზე უბნელესი არა ენახა რა. იმ ლახტს ბუდე წაპყარა და იმ ლახტიდამ ასეთი სინათლე გამოჰკრთა, რომ იგი ბნელი ალაგი დღესავით გაანათა. შევიდა ყარა-მანი, ნახა, რომ ორნი კაცი თავქვე ეკიდნენ. რა ახლოს მივიდნენ, გა-შინჯეს, იცნეს, რომ ერთი შაჰფალ-შაჰა იყო და მეორე — ზორაბ-შაჰა. მსწრაფლად მივიდა ყარამანი, შემოჰკრა თავისი პირბასრი ხმა-ლი და ჯინჯილები დააწყვიტა. მანამ ძირს დაეცემოდნენ, შეაშველა ზელი და ხელით დაიჭირა, ალაგზედ დაცემა აღარ აკადრა.

ნახა ყარამანმა, რომ მცირეს ტუსალობით ფერი მიხდოდათ. შაჰ-ფალ-შაჰა გონებას მოეგო, უთხრა: სააბყარანო, შენ აქ რასა იქო? ზორაბ-შაჰაც გონებას მოეგო, ყარამანი დაინახა და პირ-მიწა-გაერ-თებით ღმერთსა მადლობა მისცა, მოიხედა და ის ორი ქალი დაინახა, მუშთარ ბანო ეგონა, თვალი დააკვირვა, ნახა, რომ ის არ იყო, ყარა-მანს ჰკითხა: სააბყირანო, ფალანგსარ ჯადოსი რა იციო და ან არ გი-ნახავსო? რა სრულობით შეხედა, გაშინჯა, რომ წყეული ფალანგსა-რი შეეპყრა და ყარამანს წინ ხელშეკრული იდგა. რა ის ხელშეკრული ნახეს, ამათ დიდად ქება შეასხეს და ყარამანმა ჰკითხა: სპასალარნო, ქალების ამბავი არ იცით რაო? ზორაბ-შაჰამ უთხრა: არ ვიციოთ, ეს წყეული ჩვენ სატანჯველათ რომ შემოვიდოდა ხოლმე, ერთი კარი

აჩვენეს, ამ კარიდამ ძირს ჩავიდლოდა და არ ვიცი თ აქ რა არის და რა არაო.

მივიდა ყარამანი, ნახა, რომ ერთი კიბით ჩასავალი ბნელი ორმო იყო და ზედ ერთი დიდი ფიქალი ეხურა, იგი ფიქალი შორს გადააგდო, ცალის ხელით ფალანგსარი ეჭირა და ცალის ხელით ხმალი. ჩავიდა, ნახა, რომ ორმოცდარვა ფეხი კიბე იყო. იგი ქალები თან ჩაჰყენენ. ყარამანის საჯდომი მხეცი კი ზევით გაუშვეს და რა კიბეს ჩასცილდნენ, ნახეს, რომ ორი ქალი თმებით ეკიდნენ და კვსესოდნენ. რა ახლოს მივიდნენ, ნახეს, რომ ერთი ყოველთა უმჯობესი სარვიხურამან იყო და მეორე — მუშთარ ბანო, ყარამანმა რა ესენი ამ ყოფით ნახა, დიდად განრიხსდა, მობრუნდა, ფალანგსარს ასეთი ხილა შემოჰკრა, რომ რვა კბილი ჩააგდებინა, მივიდა და ესენი ჩამოხსნა. ნახეს, რომ არც ერთს გონება არა ჰქონდათ, ერთი ყამარლუხმა ჩაიწვინა კალთაში და მეორე დილაფრუშმა. ქალებმა ჰკითხეს: სააბჭირანო, ეს ხომ სარვიხურამანი არისო და ესე მეორე ვინა არისო? ყარამანმა უხრა: ჯინისტნის ზორაბ-შაჰის ცოლი მუშთარ ბანო არისო. რა სარვიხურამანი გონებას მოეგო, იხილა რომ დილაფრუშის კალთაში თავი ედვა. მსწრაფლად ზე აღზდგა და თავი დაუკრა. ესე მოახსენა; ბანოვანთა უწარჩინებულესო დედოფალო! შენ აქ რას იქო? იმჟამად მუშთარიც გონებას მოეგო. რა ყარამანი დანახა, ფალანგსარიც მასთან ხელ-შეკრული, დმერთს მადლობა შესწირა. ყარამანმა შაჰთალის უთხრა: ახლა კი ლაშქარში წავალთო.

რა ის კიბე გაშინჯეს, ყარამანმა ოთხსავე კუთხეს მიიხედა. ნახა, რომ კედელში ერთი რკინის კარები ება და ერთი ფოლადის რგოლი შოგ გაეყარათ და ის რგოლი შიგ ჯაჰვით დამაგრებული იყო. მივიდა ყარამანი, იმ რგოლს გამოსწივა და იგი კარი დალევს. ყარამანი შევიდა და ივინიც შეჰყენენ. ნახეს, რომ იმ სახლის საშუალ ალაგს ერთი ორმო იყო და იმ ორმოს ერთი ფიქალი ეხურა. ყარამანმა იგი შორს გადააგდო. რა ჩავიდნენ და ნახეს, დიდად ბნელი იყო. ქეორმარს ხელმწიფის გურზი მიანათა, ნახეს, რომ ერთი რკინის კიბე იყო ჩასასვლელი. იქ ჩავიდნენ, მიიხედეს, მოიხედეს, ნახეს, რომ მრავალი ოთახები იყო გამოჰკრილი და რკინის კარები ჰქონდა და ზედ ერთი რგოლი ება. რა ყური მიუგდეს, ერთი კენესისა და მწუხარების ხმა გამოისმოდა. ჯინჯილები იყო შიგ დავლილი, ასე დიდრონი და მსხვილი, რომ კაცი ხელს ვერ შემოაწვდენდა, ყარამანმა იმ რგოლს გამოსწივა და ის კარები გააღო. ნახა, რომ იმისთანა ავი საპყრობილე

კაცის თვალისაგან არ ინახებოდა. რა ის საპყრობილე ნახეს, ყარამანს გარდა ყველას შეეშინდათ. ნახეს, რომ იმ სიბნელეში რამდენიმე ვეშაპის მსგავსი ფალავანნი დიდრონის ჯინჯილებით და ჯაჭვებით შეკრულნი იყვნენ. ამათ გარდა ნახეს, რომ ოთხნი მთვარის მსგავსი ქალნი მათთან დაებათ.

რა ესე ნახეს სხვათა, ყარამანის მეცნიერებას ქება დაუწყეს. ყარამანმა თვალი დააკვირვა ამ პყრობილთა ზედა, რომ იმათში ერთი შარბი-შაპას შვილი ხოსროვშირ იყო, უსწორო ფალავანი, რომელიც ყარამანს შეედარებოდა, შემდეგ შაჰმან ასფარელი ნახა. რა ესენი ყარამანმა განიცადა, ერთი მწარედ ამოიოხრა და დაიძახა; ვაი, ჩემო გულის სიხარულო, ძმაო ხოსროვშირ, ეს რა ამბავიაო? ამჟამად სარვიხურამანმაც თავში შემოიკრა და ერთი მწარედ ამოიოხრა, ნახა, რომ ერთი თვისი ბიძაშვილი სარჯანის ქალი გულჩინ იყო და მეორე, გურგან-ბელანდ-ქამანის ქალი გულრუხ იყო. მერმე ქეთან-შაპას ქალი. სურხავარდ იყო. და მეოთხე გავ-შაპის ქალი ფარუხ-შაჰად იყო. სარვიხურამანმა იმათ ხელები დაუხსნა და სხვათაც ყველას, ისე დაოსებულეყვნენ, რომ პყრობილობისაგან აღარც ერთს გონება აღარ ჰქონდათ, დაბნედილნი იყვნენ. რა ესენი ესრეთ ნახა ყარამანმა, მრავალი იტირა და ხელსახოცით ცრემლებს წმენდა დაუწყო. შაჰვალ-შაჰამ და ზორაბ-შაჰამ ჰკითხეს: ფალავანო! ესენი ვინ არიანო? ყარამანმა უთხრა: ფერიების ხელმწიფევე, მაშინ რომ შვიდი ფერი გამოგეგზავნათ და მე თქვენთან წამოველ, ესენი უშანგ-შაჰასთან გაუშვიო და ახლა აქა ვხედავო, არ ვიცი, რა ამბავიაო.

იმჟამად ეს პყრობილნიც გონებას მოეგნენ. რა ხოსროვშირმა თავისი თავი განთავისუფლებული ნახა, რომ ჯაჭვით შეკრული აღარ იყო, ყური მიუგდო და ლაპარაკის ხმა გაიგონა, მაგრამ ვერ გაარჩივა სისუსტისაგან. ხოსროვშირმა ერთი ასეთი ამოიოხრა, რომ იმ საპყრობილემ და იმ კლდემ იმ ოხვრის ხმისაგან სულ რყევა დაიწყო, და თქვა: ვაჰ, ჩემს ფალავნობასა, რომ ჩემი საწადელი მეორედ მოსვლამდინ დამრჩაო. ნეტავი, ყარამან, შენი სახე თვალით დამანახვო და ან ეს ჩემი მწუხარება შენ მოგახსენო, რომ ამ ჩემის ტანჯვისათვის თავი დასდო და მე აქედამ დამიხსნაო. მე ხომ ვიცი შენგან ჩემი სიყვარულიო, ვგონებ, შენ ჩემის გულისათვის შენს თავს განსაცდელში მისაცემად არ დაზოგავო. ესე თქვა და ატირდა და თვალთაგან მარგალიტის მსგავსი ცრემლები გარდმოყარა. მაგრამ ჯადოს გრძნობისაგან თვალეზი დამდგარი ჰქონდა და თვალით ვერასა ჰხედავდა. რა



ყარამანი და ესენი ამ საპყრობილეში შევიდნენ, ფალანგსარ ჯადო ეგონათ, ამ ფალანგსარს ჩვეულება ჰქონდა, რომ ორ დღეში ერთხელ შევიდოდა და სატანჯველს მოუმატებდა. ახლაც ეს ეგონათ, რომ ჩვენის ტანჯვისათვის მოვაო.

რა გულჩინმა ესეთი მწუხარებისა ხმა გაიგონა ხოსროვშირისაგან. გულსა ცეცხლი მოედვა და მღუღარე ცრემლი გარდმოყარა, და თქვა: გულისა ჩემისა სიხარულო და თვალთა ჩემთა ნათელო, დიდის ხელმწიფის შვილო, უსწორო ფალანგო, ხოსროვშირი! დიდი ბედნიერება იქმნებოდა ჩემთვის, რომ მე შენის ჰირის სანაცვლოდ შეგქმნილიყავო და ანუ შევიქმნაო, და მე შენის ეგეთის მწუხარებას ხმა ჩემის ყურით არ მესმოდესო, და ან ეს წყეული კაცის ხორცსა არა ჰსჯამსო, რომ მე მომკლას და მოვრჩეო ამდენის შენის მწუხარების ხმის გაგონებისაგანაო! რა ხოსროვშირმა გულჩინისაგან ესეთი სიტყვები გაიგონა, უნამეტნავესი მწუხარება მიეცა და უთხრა: გულჩინ, შენგან ეგეთი ლაპარაკი ჩემთვის უნამეტნავესი მწუხარება და სატანჯველიაო, ჩემი შვება და ასი სიხარული ის არისო, რომ შენ აქედამ განთავისუფლდეო და საპყრობილეში არ მეგულებოდეო. რა ესე მოისმინა ბაჰმან ასთარელმან, ესრეთ უთხრა: ჰეი, შენ წყეულო ფალანგსარ, ამდენის ჩვენის ტანჯვისათვის როგორ არ შეირცხვინეო და ან ეს ხელმწიფის შვილი როგორ არ გებრალეზაო?! წყეულო, გეხვეწებით, რაც მაგისტვის სატანჯველი გინდოდეს, მაგის მაგიერად ჩვენა გვტანჯეო, ხომ იცი მაგას ხელმწიფენი როგორ ნებიერად და სათუთობით ზრდიდნენო, რომ ვარდის კონასაც არ ესროდნენ, რომ არ ეტყინოსო. ესე სატანჯველი აკმარეო და ან ხელმწიფის შვილობით მაინც შეიწყნარეო! ესე თქვა და გულითა და ღვიძლითგან მწუხარების ხმა აღმოუტევა.

რა ეს ლაპარაკი ყარამანმა მოისმინა, შეიტყო, რომ ფალანგსართა თვალეზი ჯადოსაგან დაყენებული აქვსთ და ველარას ხედავდნენ. ყარამანი ამ სიტყვის გამგონე დიდად შეწუხდა, ასე, რომ სიცოცხლე აღარ შერჩა. მსწრაფლად მიიპრა და იმ ფალანგებს ჯაჭვები დაუწყვიტა და ხელები დაუხსნა. მივიდა ხოსროვშირთან, დიდის ტირილით გარდაჰკოცნა, მკერდსა მიიყრდნა ყარამანმა და ორსავ თვალეზში აკოცა ხოსროვშირს და უთხრა: მუჰლეილან-შაჰას შვილო, უშანგის ძმისწულო, ჩემო საკუთარო ძმაო ხოსროვშირი, ნუ სჭმუნავ მე ვარ თქვენნი ყული და მოსამსახურე ყარამან ყათილი სააბყირანიო. რა ხოსროვშირმა ყარამანის ხმა იცნა, მეტის სიამოვნებისაგან დიდხანს გა-

ოცებული იყო. რა გონებასა მოევო, გარდაეხვია და შუბლსა აკოცა და უთხრა: ყოველთა სააბყირანთა უმაღლესო და ყოველთა ფალავანთა მჯობო ფალავანო, დიდის ამალღებულის უშანგ-შაპას და ჩემო საყვარელო ძმამ ყარამან! ვაპ, ჩემსა სიცოცხლესა, რომ თვალთა სინათლე არა მაქვს, რომ შენი უსწორო და მშვენიერი სახე დავინახო, რომ შენის ნახვით ჩემი თავი ვაცოცხლო. რა ესე სანუკველი ტკბილი საუბარი ესმა ხოსროვშირის, გულჩინი დიდს მხიარულებასა მიეცა და ჰკითხა: მაღალის ხელმწიფის შვილო ხოსროვშირ, ძლიერი ფალავანი და ქვეყნისა შემაშინებელი, დევთა და ქაჯთა ამამწყვეტი ყოვლისა სააბყირანის უმჯობესი სააბყირანი ყარამანი ეგ არისო? ხოსროვშირმა მიუგო: ეს არისო, მაგრამ ეს ჩემთვის უნამეტნავესი ცეცხლი არისო, რომ თვალეები არა გვაქვსო, რომ ამის მშვენიერი სახე ვინილოთო.

რა სხვათა სპასალართა და ფალავანთა, საპყრობილეთა შინა მყოფთა, ყარამანის იქ ყოფნა შეიტყეს, მეტის სიხარულისაგან უცნობო შეიქმნენ, პირს ხან ფერი ეცვლებოდათ და ხან მზის მსგავსად გაუბრწყინდებოდათ, გონებას ვერ მოეგნენ, თუ რა უნდა ექმნათ, ღონესა რასმეს ეძებდნენ, რომ ყარამანთან მოსულიყვნენ და მუხლს მოხვეოდნენ, მაგრამ უსინათლობისაგან ვერ შეიძლეს. რა ყარამანმა ესენი ესრეთ ნახა, დიდათ შეწუხდა, მობრუნდა და განრისხებულმან, ფალანგსარს შეხედა და უთხრა: ამ ფალავნებს თვალეები აუხილეო. თორემ ამის მზესა ვფიცავ, რომ ცოცხალს არ გაგიშვებო. ფალანგსარმა მოახსენა, მე ეგ არ შემიძლიანო და არც ხელიდამ გამომივა მაგათის თვალეების ახილვაო; ეგენი ინდოეთში ოპყალი ჯადოს დაუბრმავებიაო და ხელმეკრული ჩემთან გამოუგზავნიანო; და ეგრე შემოუთვლია, ესენი ასე შეინახე, ვიდრე უშანგ-შაპას საქმეს ბოლოს მოუღებდეო, მერმე მოვბრუნდები და ჩემის ძმის აზრად ჯადოს სისხლს მაგათგან ავიღებო და მერმე ჩემის ძმის სისხლში უნდა ერანი გავაოხრო, ეგენიც დავხოცო, მე ამის მეტი არა ვიცი რაო.

რა ყარამანმა უშანგზედ ჯადოს მისვლა გაიგონა, დიდსა მწუხარებასა მიეცა და თვისსა ლაშქარს წასვლა დააშურა. სწრაფად მივიდა, ხოსროვშირს ხელი დაუჭირა და წამოიყვანა. სარვიხურამანმა; გულჩინ და სხვათაც სხვა ფალავანთა ხელი მოჰკიდეს და გამოიყვანეს. მას ალაგას მოვიდნენ, სადაც რომ ყარამანს ის ორი ბერი დაეხოცა. ქვაბის გარეთ ტახტზედ დასხდნენ. ყარამანმა ფალანგსარ ჯადო საშუალო ალაგს დააყენა. რა იმ ალაგას შინა მყოფთა მხეტთა,

ნადირთა, მფრინველთა ფალანგსარი ხელშეკრული იხილეს, საკვირ-  
ველი და საშინელი ხმები აღმოუტივეს მფრინველთა თუ პირუტყუ-  
თა, ასე, რომ მეორედ მოსვლას ემგზავსებოდა მათი ხმიანობა და გამ-  
გონეთათვის საზაროდ კმა იყო. შეკრბენ სულ ერთად და ქვაბის კარ-  
ზედ მივიდნენ და ყოვლის მხრიდამ ფალანგსარს შემოუტივეს. ჯა-  
დოს მანქანებით ადამიანები ზოგნი ლომად იყვნენ გარდაქცეულნი,  
ზოგნი ვეფხვად, ზოგნი ფრინველად, ზოგნი ბაბრად, ზოგნი სპილოდ,  
ზოგნი მგლად, ზოგნი ჯეირნად, რა ყარამან ყათილმა და სხვათა  
ფალავანთა მათგან ფალანგსარ ჯადოს შემოტევება ნახეს, დიდად  
გაუკვირდათ და შეატყვეს, რომ ჯადოთი იყვნენ ყველანი თავთავის  
სახიდად შეცვლილნი.

### **ამა ყარამანისაგან ფალანგსარ-ჯადოს სიკვდილი და მერამე ხოსროვშირისა და გულჩინის და სხვათა ფალავანთა თვალეზის ახილვა**

ყარამანმა ფალანგსარს უბძანა: ფალანგსარ, ესენი ისევ თავის სა-  
ხედ შესცვალე და ჩემის ძმის ხოსროვშირის მზემა, მშვიდობით  
გამყოფებო. ფალანგსარმა მოახსენა: მე ეგენი არ გარდამიქცევია  
თავის სახიდადო და არც შემიცვლია და არც ხელიდამ გამომივყო. და  
თუნდაც კიდევ შემეძლოს, არ იქნება მაგათი ისევ სახედ შეცვლა  
ამად, რომ ჩემი ძმა ოპყალი მოვა და მომკლავსო. რა ყარამანმა ფა-  
ლანგსარისაგან ესეთი პასუხი მოისმინა, განრისხდა და ხმალსა ხელი  
მოიკრა, შემოჰკრა და შუა გაჰკვეთა. ერთი საშინელი დაიჰყრიალა და  
სული ეშმაკსა მიაბარა, ნახევარი იქით დაეცა და ნახევარი აქეთ და  
იგი გრძნეული მოკვდა. რაც ჯადოთ გარდაქცეულნი სხვა და სხვა  
სახეთ იყვნენ, ყოველნი თავ-თავის სახედ შეიცვალნენ, ზოგნი კაცად,  
ზოგნი დედაკაცად, ზოგნი ფერიად, სწრაფად მივიდნენ და ყარამანს  
ფერხთ მოიხვივნენ, შერე შაჰფალ-შაჰას თავყვანი სცეს, მაგრამ ხოს-  
როვშირსა და გულჩინს ერანთა და თურანთა სპასალართა და ფალა-  
ვანთა თვალეზი ისევ უსინათლო ჰქონდათ.

იმჟამად ზულუმათში, გირდაშის მთაში, ყარამან რომ ამ სამ ჯა-  
დოს დაებრმავებინა, შვიდი თვე უსინათლო ევლო. მრავალჯერ მო-  
ენდომებინათ დევებს ყარამანის სიკვდილი, მაგრამ ყარამანის ხმალს  
სახელად თილი ყამყამი ერქვა და იმ თილი ყამყამის შიშით ახლოს  
ვერ მიდგომოდნენ. მას ჟამიდან ფერების ხელმწიფის ქალი ყარამა-

ნის არშიცი შექმნელიყო, ყარამანის ჯადოთი დაბრმავება გაეგონა, უმულ ჰაიათის სულთანის აზღანუზის ქალსა უძაინ ფერიას ეამი დაეცა და ის ჯადო მოეკლა და მისი სისხლი ყარამანის თვალებზე წაესვა და თვალები ახილვებოდა, იმჟამად ის მოაგონდა.

ყარამანმა ფალანგსარის სისხლი თვალებზე წაუსვა და ღვთის მოწყალებით და ყარამანის მეცადინეობით ორნივეს თვალები აეხილათ და ყარამანის სახე დაინახეს. მხიარულად მადლობელნი მივიდნენ და ყარამანს მკერდს გარდაეხვივნენ. ყარამანი და ხოსროვშირი დიდხანს ერთმანერთს ესაყვარლენ. მერმე გულჩინს, გულრუხს და სურხავს და სხვათა სპასალართა და ფალავანთა ც თვალებზედ მოუსვეს და ყველას თვალები აეხილვათ. მივიდნენ და ყარამანს ფეხთ მოეხვივნენ. შემდეგ უშანგ-შაჰის ცოლს დილაფრუზს თაყვანი სცეს. შემდეგ ყარამანმა იმ ფალავანთა თავიანთი გარდასავალი ჰკითხა. იმათ ყარამანს მოახსენეს. მერე ფერიის ქალები მოვიდნენ, შაჰფალ-შაჰას თაყვანი სცეს. მერე ყარამანმა ხოსროვშირის ჰკითხა: თქვენი აქ ტუსალობის მიზეზი რა არისო? ხოსროვშირმა პირველიდან უკანასნელამდე თვითეულად მოახსენა.

რა ყარამანმა ხოსროვშირისაგან უშანგ-შაჰზედ ოჰყალი ჯადოს მისვლა გაიგონა, მეტის მწუხარებისაგან ასეთის მრისხანის სახით შეიცვალა, რომ იქ მყოფთა კაცთა თუ დევთა მისის სახის შეხედვას ვერ გაუძლეს. ყარამანმა თვისი შეშფაიბარი მოითხოვა, უშანგ-შაჰას ცოლი დილაფრუზ შეშფაიბარზედ შესვა, თვითონ ჯაჭვის კალთები წელთა ჩაირჭო და გამოუძღვა თვისის ამხანაგებითა. მიუთის ზღვის პირისპირ წამოვიდნენ. სამი დღე იარეს, მეოთხეს დღესა ერთ ალაგს ჩამოხდნენ. ყარამანმა სულ ერთად შემოკრიბა და ჰკითხა: ესენი სადაურნი არიანო? მოახსენეს: ესენი სულ ერანელნი და თურანელნი არიანო. მერმე ფერიებს თვალი გარდაავლო და ერთი ფერია დაინახა, თვალად მშვენიერი და ტანად ახოვანი, ბრძანა მისი მოყვანა, მსწრაფლ მოიყვანეს. შეხედა ფალავანმა, იცნა, რომ ინდოეთიდან ბალი-ირამში თვისი მომყვანი ჰეირან ფერია. იყო. ფალავანმა მოიკითხა და უბრძანა: ჰეირან, შენ აქ რას იქო? ფერიამ მოახსენა: სააბყირანო, იმჟამად რომ თქვენთან ბალი-ირამში გიახელო, იქილამ რომ გამოებრუნდი, ფალანგსარ ჯადოს შემოვეყარე. მან ჯადოთი დამიჭირა და დამატუსაღაო. რაც თქვენ გაგყრივარ, მას შემდეგ იმ წყეულს ტანჯვაში ვყვანდიო. ახლა მადლობა ღმერთსა, სააბყირანო, კიდევ თქვენის მიზეზით იმა წყეულის ხელისაგან დავიხსენო.

მერმე ყარამანმა უბრძანა: მსწრაფლად წადი ყაფის მთის კარისა-  
კენ და ჩვენ ლაშქარში მიდი, ჩვენ ფალანგებს უთხარი, ცხენები  
მსწრაფლად მოასხი-თქო ამ ფალანგებისათვის, მაგრამ გაუფრთხილ-  
დი საჰმანსა და გარდანქეშანსა. უეცრად არ შეეყარო, თორემ ისინი  
მოგკლავენ, ვერ გიცნობენო. რომ მიხვიდე და ნახო, უწინვე აცნობე  
შენი თავიო, ორსავე შენი მისელა შეატყობინე. ჰეირან ფერიამ თავი  
დაუკრა, შეფრინდა, ერთს საათზედ ქუი-ყაფის მთის კარზედ მივიდა.  
ნახა, რომ კარს წინ დიახ უცხო მშვენიერი მინდორი იყო. მაგრამ  
მინდორი სრულიად ჯარით სავსე იყო და რაჰინდ-შაჰას სახელწი-  
ფო სადგომზედ კარავი დაედგა. დიდებულნი მუნ შემოეყარა და  
ბრძანდებოდა. ამ მოთხრობაში და ლაპარაკში იყვნენ: დღეს ჩვიდმე-  
ტი დღეა ყარამან ყათილის წასვლაო.

რა ამ ლაპარაკში და შექცევაში იყვნენ, ნახეს, რომ დასავლეთის  
მხრიდამ ელვარების მსგავსად მოძავალი ფერია: ფრთა ფრთაზე ე-  
მით, გულოვნად მოვა. ვინც იხილა,-დიდად გაჰკვირდნენ. ესრეთ ჩქა-  
რად მომავლობდა, რომ თვითო ფრთის მოქნევაზედ თვითო ალაჯს  
გამოივლიდა. იმის ფრთის ცემის ხმამ დიდად გააკვირვა. თქვეს:  
უთუოდ მომავალი ფალანგსარიაო. მაშინვე საჰმანმა თვისი ოთხმოც-  
ლიტრიანი აღმასის ბასრი ნაჯახი აიღო, მაღლა შეფრინდა და ჰეი-  
რან ფერიას მიმართა. რა ჰეირანმა საჰმან იცნა, ესრეთ შეშინდა, რომ  
ყოველი ძარღვიდამ სისხლმა წვეთა დაუწყო. რა საჰმანმა შეხედა,  
იცნა, რომ ჯინისტნიდამ ყარამანის ქუი-ქაბუთს მომყვანი ჰეირან ფე-  
რია იყო. ჩემი ტუსალობიდამ მორჩენის მიზეზით ეს არისო. რა  
ერთმანერთი გაიცნეს, მივიდნენ და ერთმანერთს გარდაეხვივნენ.  
დიდ ხანს ესაყვარლნენ ჰაერში, ერთმანერთი მოიკითხეს მდაბლა,  
საჰმანმა ჰკითხა: ძმარ საიდამ მოხვალ და ან სად მიხვალო? ჰეირანმა  
უთხრა: მახარობელი ვარ, ჯარში ჩავიდეთო და იქ მოგახსენებო. მა-  
შინვე ჰაერიდამ ჩამოხდნენ, მოვიდნენ ხელმწიფის კარზედ.

რა გარდანქეშანმა, ყათრანმა, ბარამ ჯიბილმა, რაჰინდმა ჰეირან  
ფერია დაინახეს, წინ მიეგებნენ მიესალმნენ, ჰეირან ფერიამ რაჰინდ-  
შაჰას თავყვანი სცა და ყარამანის ამბავი მოახსენა. რა ყარამანის სახე-  
ლი გაიგონეს, მაშინვე ლაშქარნი საბზავარის სულთანს ჰუმაინ-შაჰას  
ძიაბარეს და სხვანი ოცდაოთხი სულთნები ორმოცი ათასის კაცით.  
დიდის გამოჩენით, ორასი მძიმედ მორთული შეკაზმული მარტორქე-  
ბი გაუგზავნეს. ფალანგებმა და ხელმწიფეებმა ჰეირან ფერია წინ წა-  
იმძღვარეს და ყარამანისაკენ წავიდნენ.

## აპა ყარამანის ჯართა, ხელმწიფეთა და შალაპნეხის ერთად შეყრა და სინარული

იმჟამად ყარამანთან მიაწივეს. ყარამანი ერთს ხის ძირს კაი მწვანესა, უცხო ყვავილიანს ალაგს ბრძანდებოდა და სხვანი თავ-თავისად შეექცეოდნენ. რა საჰმან დაინახეს, დიდად შემინდნენ ყოველნი, ყარამანისაკენ წაივინდნენ. ყარამანთან მყოფნი ხელმწიფენი თუ ასულნი. ყოველნი დაოცდნენ, კითხვა შექმნეს, რა ამბავიაო? ვიდრე ამ სიტყვას დაასრულებდნენ, საჰმანი მსწრაფლად მივიდა, ყარამანს მძიმედ თავი დაუყრა და ხელსა აკოცა, რაჰინდი მოვიდა, შემდეგ აწყაფუზნარა მოვიდა. მათაც მძიმედ თავი დაუყრეს. მერმე ვინცა ვინ ყარამანთან მყოფნი იყვნენ, იმათაც მიესალმნენ. მერმე შაჰფალ-შაჰ, ბაჰმანი და ყველანი ყარამანს მიესალმნენ. მერმე გარდანქეშან, ყართან და ბარამ ჯიბილ, მოვიდნენ და ტკბილად მიესალმნენ. რალა გრძლად მოგახსენოთ, ოცდაოთხი ათასი სულთანი, ორმოცი ათასი დევი და ფერია მოვიდნენ, ყარამანს თავი დაუყრეს, ქება შეასხეს და ხელმოჭლით ყარამანს თავს დაადგნენ.

რა ყართანმა, ბარამ ჯიბილმა, გარდანქეშანმა დილაფრუზს შეჩედეს, მერმე შარიბ-შაჰას შვილი ხოსროუშირ დაინახეს, იმასთან ბაჰმან ასფარელი, ზორაბ სისტნელი და ზოაქ ნოვეჯოვანი. გრძლად რალა მოგახსენოთ, უშანგ-შაჰის პირველნი ფალავნები იქ იხილეს, დიდად გაოცდნენ, მივიდნენ და ტკბილად მიესალმნენ. მერმე მივიდნენ, ხელმწიფის ცოლს დილაფრუზს მძიმედ თავი დაუყრეს. რა ერთმანერთის აღერსსა მორჩნენ, ყარამანმა აყრა ბრძანა. ყოველნი ფერიანი ცხენთა შესხდნენ და ყაფის მთისაკენ გამოემართნენ. გზაზე ფალავნებმა ერთმანერთს თავიანთ თავის გარდასავალი უამბეს. რა ერთმანერთის ძმობით მოვიდნენ, საცა რომ დარჩომილი ლაშქარი იყო, და იმ ზღვის ოდენტა ლაშქართა შეიტყვეს, ყარამანის მოსვლა, ყველანი, თუ ფერიანი თუ დეენი თუ ჯინნი წესისამებრ გაეწუნენ ყარამანის პატივის საცემად. ყველანი წესისამებრ დასტა-დასტად დადგნენ და საფი გასწივეს.

რა ერთმანერთა ფალავანთა ესე ოდენი უცხო ლაშქარი ნახეს, დიდად გაოცებულნი ღმერთსა მადლობდნენ, რომ ერთის ფალავნისათვის ესე ოდენი დეენი და ფერიანი დაგიმორჩილებიაო. ლაშქრის სიდიდეს გაოცებულნი უყურებდნენ, მივიდნენ და ყოველნი თავ-თავის ალაგას ჩამოსხდნენ. უშანგ-შაჰის ცოლი დილაფრუზი და სხვანი

ქალნი რაპინდის სადგომსა მივიდნენ და დადგნენ. შემდეგ ყარამანმა საპმანს და გარდანქეშანს უბძანა: 'შვიდი ათასის ღვეით უშანგის ცოლსა და სხვათა ქალებთა უქეშიკეთო, და მათაც იმ ღამე კარგად უქეშიკეს და არა ევნოთ რა. რა დილა გათენდა და მზემ თვისი შარავანდელი ბრწყინვალეობა ქვეყანას მოჰფინა, მაშინ შესხდნენ და ქუი-ყაფის კარის პირდაპირ დადგნენ. ერთმანერთს მოუთხრობდნენ, რომ ყარამან ყათილი იმ კარსა ასწევსო თუ არა. ყოველი ლაშქარი შეიკაზმა და ყარამანიც შეიკაზმა და თავის შემფაიბარზედ შეჯდა, საპმანი და გარდანქეშანი გაუძღვნენ, მარჯვნივ და მარცხნივ ერანელნი და თურანელნი სარდალნი, სპასალარნი და ყველა ფალავანნი მისდევდნენ და უკან ბანოვანნი და სხვა ლაშქარნი წესისამებრ დადგნენ და ქუი-ყაფს ყურება დაუწყეს.

იმჟამად ყარამანმა ხოსროვშირის უბრძანა: ფალავანო, მიდი და ის კარი ასწიეო, რომ ამ ლაშქარმა გაიაროსო. უნდა ხელთ გეჭიროს, ვიდრე ეს ლაშქარი გაივლისო, ხოსროვშირმა მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: ერთ ალაგს თქვენისთანა სააბყირანი რომ ბრძანდებოდეს, ჩვენგან ვით გეკადრება ამგვარს ალაგს ფალავნობა გავებდო, მაგრამ თქვენს ბრძანებას ვემორჩილებიო. თავი დაუკრა, მივიდა და რგოლებს ხელი გაუყარა, ესრეთ აზიდა, რომ იმ მთამა და არემარემ მისი ძალისაგან რყევა დაიწყო. ცოტა გეწყდა, რომ იმ კარის რამდენიმე კუთხე არ დაიქცა, მაგრამ კარი მაინც ვერ დასძრა. რა ღვეთა და ფერიათა ხოსროვშირისა ესეთი ფალავნობა ნახეს და ძალი, დიდად გაუკვირდათ. ერანელნი ფალავანნი ერთი მეორეს ეუბნებოდნენ; ერთი ესა, რომ ხოსროვშირმა ვერ შეიძლო და ვერ ასწიავო, ჩვენ როგორ უნდა შევიძლოთო? ხოსროვშირმა გაჯავრებულმა ერთი ისეთი მუშტი დაჰკრა, რომ იმ მუშტის ძალისაგან დიდროვანი გორები გასქდა და ძირს ჩამოვარდა, მაგრამ ხოსროვშირსაც ასეთი ძალა დაადგა, რომ ორსავ ცხვირის ნესტოდამ სისხლი წავარდა. მობრუნდა, ყარამანს თავი დაუკრა და უთხრა: ამ კარის აწევა, სააბყირანო, თქვენს გარდა სხვას ვერავის შეუძლიანო. ახლა ნება თქვენიო, მობრძანდით, ინებეთ ასაწევადო.

ყარამანმა ბრძანა: ამ კარიდამ შორს ჩამოდექითო. თვისის მხეცი-დამ ჩამოხდა, ჯაჰვის კალთები წელში გაიჩჭო, უშანგ-შაჰას ცოლს და სხვათა ხელმწიფეთა თავი დაუკრა და ყაფის მთის კარს მიმართა. ერთი ასეთი მშვენებითა და მრისხანე ქცევით წავიდა, რომ იქ მყოფნი ღვენი თუ ფერიანი არა მცირედად შეშინდნენ. ესრეთ თქვეს:

თუმცა შვილთაგანი ვეშაპი წინ დაუდგეს, ესრეთ მრისხანედ მიმავლობს, რომ ისიც ვერ გაუძლებსო. იმ დღეს გაშტერებულნი უტკეპროდნენ, იმ კარს ფალავანი ვით ასწევსო. ყარამანი მივიდა და ცალი ხელი ცალს რგოლს გაუყარა და მეორე ხელი მეორე რგოლს გაუყარა და ღმერთსა ესრეთ ევედრა. შემოქმედლო ცისა და ქვეყნისაო, ჩემისთანა მცირეს მონისაგან ვით შეიძლება ესეთის საზაროს საქმის შეჭიდებაო. ერთი შენი მიწა მონა ვარო, ჩემგან შეუძლებელია, თუ შენ არ შემეწევო, ამდენს უცხოლს ლაშქარში სახელოვნად მამყოფეო! ესე თქვა და კარი აზიდა, პირველ აწვევაში მუხლებამდის ამოიტანა.

რა ის კარი ფალავანმა მიწას მოაშორა, ასეთი საშინელი ხმა გამოხდა, რომ საზაროდ კმა იყო. ვინცა იგი ხმა გაიგონეს, შეშინდნენ და შორს გაეცალნენ. იმ მთაში რაც მყოფნი ნადირნი იყვნენ თუ ფრინველნი, იმ ხმის შიშისაგან შორს გარდაიხვეწნენ და დიდრონი მთები დაიგლიჯა და გარდმოსცვივდა აქა-იქა. რა ესეთი შეძლება ყარამანისა ნახეს, იქ მყოფთა ღმერთს მადლობა მისცეს, რომ ერთის კაცისათვის ესეთი შეძლება და ძალა მიგიციო. ერთი მეორეს ეუბნებოდნენ, ფალავანმა ველარ შეიძლო მუხლს ზევით აწვეაო და სირცხვილით ველარ გაუშვია და ვერც ზევით აუწევიაო. რა ესეთ განკიცხვაში იყვნენ, ყარამანმა შეატყო, გარდანქეშანს უთხრა: მოდი, უწინ შენ გაიარე ამ კარშიაო. გარდანქეშანი დიდის მწუხარებით მივიდა და იმ კარში შევიდა, ნახა, რომ ეს ვეება მთა გარდაბრუნებულა და ჰაერში ღვას. დიდად შეშინდა და თქვა: ვაჰ, თუ ფალავანმა ველარ შეიძლოს შემაგრება და ამ კარმა მომკლასო? ყარამანმა შეატყო, რომ გარდანქეშანი შეშინდა, დააცალა, რომ პატარა წინ წარსდგა, ყარამანმა იმის შესაშინებლად დაიძახა: ველარ შევიძელ ამ კარს აღებაო.

გარდანქეშანმა რა ესე გაიგონა, დიდად შეშინებული უკანვე გამოიქცა. ყარამანმა დიდად გაიცინა და იგი კარი ისეთი შეიქნა, რომ თავსა შეიცილა და ორსავე ხელით დაიჭირა. ამ კარის შეგდებაზედ ერთი ასეთი ხმა გამოხდა, რომ ცისა და ქვეყნის დაცემის ხმასა ჰგვანდა. იმჟამად ქვეყანა ირყეოდა. ამ ხმისა გამგონეთ დევთა თუ ფერიათ ასე ეგონათ, რომ ყარამანმა იმ კარის დაჭერა ველარ შეიძლო და გააგდო. გარდანქეშანის თანა აიარა იქილამ ასეთი გამოქცეული ნახეს, რომ თვითოს გარდახლტომაზედ ათს ფარანგს გამოივლიდა, ამან უფრო დაარწმუნა, მაგრამ რა სწორედ შეიტყეს, ნახეს,



რომ საბაყირანს კარი თავს შეუცილებია და ხელის გულზედ უძევს. ამისნი მნახავნი კაცნი თუ ფერიანი დიდად გაჰკვირდნენ და ყველამ ერთხმით ქება შეასხეს. რა ხოსროვშირმა გარდანქეშანი გამოქცეული ნახა, მსწრაფლად მივიდა, ყარამანს თავი დაუყრა და იმ კარსა გავიდა. ნახა, რომ ერთი ისეთი დიდი მინდორი იყო, რომ თვალი არ გადასწვდებოდა. იმ კარის პირისპირ სამი მარმარილოს სვეტი იდგა.

შემდეგ სარვიხურამანი გავიდა, შემდეგ ყათრანი და ბარამ ჯიბილი და იმას უკან ქალები და ვინცა ვინ სხვა ჯარი იყვნენ. ყარამანს სამი დღე და ღამე ხელთ ეჭირა თავის გამოცდის გულისათვის და სახელოვნად გამოჩენისათვის. (მგონია, რომ არა ფალავანს არ შეუძლიან ამგვარი საქმეო). შეიყარნენ ფალავანნი და სპასალარნი და დიდებულნი, მოვიდნენ ყარამანთან და მოახსენეს: სახელოვანო ფალავანო, ვედრება შეისმინეო, ამდენი ხელმწიფენი გეხვეწებიანო, ან ისინი შეიბრალებ და ან შენი თავიო, სახელად და ფალავნობად ესეც კმარაო, სამი დღე არის ამ საშინელს მთის ქვეშ უდგეხარ, მშვიერი და მწყურვალეო, მრავალი მტერი გყავს ჯადოს მქნელიო, ავის თვალი-ს. უნდა გეშინოდესო, მოერიდეო, არ გეცესო. რა დიდად ევეჯრნენ, ყარამანმა მათი ვედრება შეისმინა და უთხრა: ამ მთის სიახლოვედამ გამოეცალეთო, შორს დადექით, ამისთვის, რომ ამ კარს ხელიდამ გავაგდებ და თქვენ ზეიდამ ჩამოცვივნულმა მთებმა და გორებმა არა გაწყინოსთ რაო. საკმანმა ლაშქარი აპყარა და შორს წაასხა.

ყარამანმა ფალავნებს უბრძანა: თქვენც უკან დადექითო. იმათ მოახსენეს: ფალავანო, ჩვენ რომ შორს დადგომას გვიბრძანებ, შენ რაღას აპირებო? ყარამანმა უბრძანა: თქვენ შორს გამეცალენით და ჩემსას ღმერთი გაარიგებსო. ამჟამად ისინი შორს გაეცალნენ. ყარამანმა ის კარი ხელიდამ მცირედ ძირს ჩამოზიდა, შემდეგ რაც ღონე ჰქონდა, ის კარი ძალიან ზევით შეაგდო და თვითონ მსწრაფლ შევიარდნის უმალ შორსა გარდაუხლტა, ასე რომ ორმოცს ნაბიჯს გასცილდა იმ კარსა. რა იმჟამად ის კარი შეგდებული ნახეს, დევთა და ფერიათა თუ ჯინთა და ადამიანთა გაუყვირდათ. ზევით შეგდებისაგან ესეთი ხმა გამოხდა, ვითა ცა ქვეყანას დასცემოდა. ამ საზარელის ხმისა მსმენელნი სპილონი და მარტორქანი დაფთხნენ და განიხვეწნენ. მრავალთა დევთა და ფერიათა გული შიშით უთრთოდათ. სამსა დღესა და ღამესა იგი მთა და მინდორი იძროდა. რა ყარამანი იმ კარისაგან გამოსული ნახეს, მეფეთა და დიდებულთა დალოცეს და ქე-

ბა შეასხეს, მივიდნენ და სადაც მარმარილოს სვეტი იყო ამართული, იქ ნახეს ერთი სხვა ყვითელი მარმარილოს სვეტი, რომელსაც სამოცდათექვსმეტი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა, თავი ოთხკუთხედ მოყვანილი ჰქონდა, ზედან სამის ხვადის დევის სახეები იყო გამოხატული, და კიდევ კაცთა სახენი იყო გამოხატული და ამ ოთხთა სახეთა წერილი ჰქონდა და იგი წერილი გარდაიკითხეს, მაგრამ ვერა ჰსცნეს, თუ რა წერილი იყო.

მოვიდნენ მეორე სვეტთან. იგი სვეტი მწვანე მარმარილოსი იყო, კაცის სახეთა გამოკვეთილი ჰქონდა, სიმაღლე სამოცი მწყრთა, ამაზედაც ეწერა. იგი კი გარდმოიღეს, შემდეგ მესამე სვეტთან მივიდნენ, რომელიც იყო შავი მარმარილოსი და ერთის დევის სახე გამოკვეთილი, მასზედაც ეწერა. იგიცა გარდმოიღეს, მასუკან ყარამანმა უბრძანა საჰმანსა და რაინდ-ნარასა ერთის მარმარილოს სვეტის მოტანა. მსწრაფლ ერთი მარმარილოს წითელი სვეტი მოიღეს, ხელოვანთა კარგად გათალეს და რაოდენი სიმაღლე და ანუ სიგანე ჰქონდა, იმგვარი გააკეთეს. ყარამანის მისვლა, დევთა და ფერიათა ამოწყვეტა, დაჭერა. ჯინისტინისა და ფალანგსარ ჯადოს სიკვდილი და ამ კარის აღება, სამი დღე და ღამე ხელთ დაჭერა, ესე ყოველივე მასზედ დააწერეს და იგი სვეტი ყარამანმა თვისის ხელითა ამართა და მიწას დაასო, შემდეგ ფალავანი თავის ჯარში მოვიდა, დიდნი თუ მცირენი წინ მოეგებნენ, დალოცეს და ქება შეასხეს. მას დღეს რაჰინდისას და ბაჰმანთან განისვენა.

**აჲა ჟაფის მთიღამ ყარამანისა და სხვათა ჯართა,  
დიდებულთა და მცირეთა აჲრა და ერანისაჰენ  
ბამგზამრება**

მეორესა დღესა ასაყრელ ნალარას ცემა დაუწყეს. საჰმანი ჯარს ეუბნებოდა, დღეიდგან ადამიანთ ქვეყანაში მივალთო, აიყარნენ და საჰმანი წინ წამოუძღვა. ოთხი ტახტი დევებმა ზურგთა შეიგდეს, ჰაერში აღფრინდნენ და ინდოეთისაკენ სამი დღე და ღამე იარეს, მივიდნენ, საცა ადამიანნი იმყოფებოდნენ. რა ქვეყნისა მაშენებელმან მზემან სიბნელისა ფარდა დახია და ნათლისა სხივი მოჰყვინა ქვეყანასა ზედა, საჰმან ადამიანთ მონათესავე მოვიდა, ფალავანს თავი დაუქრა და მოახსენა: ეს მთები რომა ჩანს, ამ მთებს პირიქით შეუობა

არისო. რა ბანოვანთა იგი სიტყვა გაიგონეს, დიდად მხიარულება შეეკმნათ. შვიდი დღე და ღამე იარეს და მის მთისა ძირზედ მივიდნენ. შეხედეს, ერთი უცხო ქალაქი დაინახეს ყარამანმა საჰმანს უბრძანა: ერთი კაცი მოიყვანეთ იქიდან, შევიტყოთ, რა ქალაქიაო და ან ვინაიო?

მაშინვე საჰმანი შეფრინდა ჰაერში და წავიდა იმ ქალაქის სიახლოვეს. ნახა ასი სახელმწიფო დროშა და ასი წყვილი ნაფარ-ხანა, ასი ათასი კაცი დასტა-დასტად მიდიან. ერთსა დროშაზედ ვეშაჰის სახე იყო გამოხატული, იმ დროშას ქვეშ ერთი ოცდათხუთმეტის მწყართის სიმაღლის მქონებელი კაცი, თეთრწვერა, შავით მოსილი, ერთს უცხო მარტორქაზედ ზის და ამათთან ერთი ყმაწვილი ოცდარვა მწყართის სიმაღლის მქონებელი, თვალად ხოსროვშირის მსგავსი, ერთს უცხოს რაშზედ იჯდა. მაგრამ ბერ კაცსა და იმ ყმაწვილსა ესე ოდენი ცრემლი სდიოდათ, რომ მინდორს მიეფინებოდა. ხელმწიფურის ყოფით მიდიოდნენ, ამა ლაშქართა იხილეს, რომ ცილამ რაღაც ღრუბლის მსგავსი რამ დაეცა. რა საჰმანი ძირს ჩამოვიდა, ცალი ხელი იმ ბერს კაცს მოავლო და მეორე იმ ყმაწვილსა ორნივე აღიტაცა და ჰაერში წაიღო, რა ლაშქართა ესე იხილეს, ესრეთ შავმა ღრუბელმა ორნივე ხელმწიფენი მოიტაცა და ჰაერში წაიყვანა, მისი მნახვნი ლაშქარნი დიდს შიშსა და მწუხარებასა მიეცნენ და დიდად შეწუხებულნი მას ალაგს დადგნენ, ჰფიქრობდნენ.

იმჟამად საჰმანმა მსწრაფლად იგი ბერი კაცი და ყმაწვილი ყარამანის ტახტის წინაშე მიასხნა. რა იგი ბერი კაცი და ყმაწვილი იხილეს, ხელმწიფობის ნიშანი ჰქონდათ, მაგრამ იმათი ვინაობა არ იცოდნენ. რა ისინი ცნობას მოვიდნენ, ოთხსავე კუთხეზე მიიხედ-მოიხედეს. ნახეს, რომ ყოველს ტახტზედ თვითო ხელმწიფე ზის და სახელმწიფო ქალები თავს ადგათ, თვითო ტახტი თვითოს დევს ადგას ზურგზედ და თვითო დევნი სამოცის მწყართის სიმაღლის მქონებელნი არიან. ამ ტახტების საშუალ ერთი დიდი ტახტი დგას, მას ზედა ორნი ადამიანნი ხელმწიფედ სხედან, მაგრამ ამათი ვინაობა ვერ სცნეს. მიიხედეს მარჯვნივ და მარცხნივ, ოქროსა და ვერცხლის სკამებზედ საშინელნი ფალავანნი და დევნი სხედან და მარჯვნივ კერძო ადამიანთ ფალავანნი ისხდნენ. ამათ ყველას ზევით ერთი ფალავანი იჯდა ორმოცდაცხრა მწყართის სიმაღლის მქონებელი, რომლისა ჰერეტას ზვადნი დევნი ვერ გაუძღვებდნენ. წელთა ქეომარს ხელმწიფის ქამარი ერტყა, ხელთაც იმისი ლახტი ეჭირა, რომელსაც ადამიანნი

და დევნი ემსახურებოდნენ. ამასთან ფარდა იყო გაბმული, თვალითა და მარგალიტით შემკული, მას უკან ქალნი ისხდნენ მშვენიერნი, მთვარისა მეჯუფთარენი და მზისა მოკამათენი. ამა სპასალარის ქვეით უშანგ-შაპას ფალავანნი ყათრან და ბარამ ჯიბილ ისხდნენ. მარჯვნივ კერძო ერთი ფალავანი იჯდა, ხოსროვშირს ემზავესებოდა.

რა მართლა გაშინჯა, იცნა, რომ ხოსროვშირ იყო და ამას წინ გარდანქეშან იღვა, და მნათობთა ქალთა საშუალ შვიდთა იყლიმთა დედოფალი, თვისის შვილის უშანგ-ხელმწიფის მეუღლე, დილაფრუზ იჯდა. რა მოხუცებულმან კაცმან ესენი იხილა, დიდსა განკვირვებასა მიეცა და ზე ადგომა ინება, ვინემ ადგებოდა, გარდანქეშანი სწრაფად მივიდა და ფეხსა მოეხვია. ხოსროვშირმა იცნა, რომ იგი მოხუცებული კაცი თვისი პაპა იყო, მსწრაფლად ზე აღზღვა. ყათრანიც, ზოაქიც ზე ადგა, ყველანი ფეხს მოეხვიენენ. რა ყარამანმა ესე ნახა და მისი ვინაობა შეიტყო, დიდად გაჰკვირდა, აგრეთვე დილაფრუზიც მივიდა და მკერდს მოეხვია. შემდეგ მოხუცებულმან არდევან-შაპას უთხრა: თვალთა ჩემო ნათელო, მოდი ხოსროვშირსა, დედაშენსა და ამ ბანოვანთა დედოფალს დილაფრუზს მიესალმეო. რა მან ყმაწვილმან არდევან-შაპამ დედა თვისი იცნა, მსწრაფლად მივიდა და ფეხსა მოეხვია. რა დედამაც ძე თვისი ნახა, მეტის სიხარულისაგან უცნობო იქმნა, ერთი ყამი ცნობა მიხდილი იღვა, შემდეგ ფალავანმა იკითხა იმ ბერი კაცის ვინაობა, მაშინ გარდანქეშანმა მოახსენა: ეს არს შვიდთა იყლიმთა მპყრობლისა უშანგ-ხელმწიფის მამა, მუჰლეილან-შაპ.

რა ყარამანმა ესე სცნა, სწრაფად ზე ადგა, მივიდა, თაყვანი ჰსცა და ხელსა აკოცა. მუჰლეილანი ყარამანის სიმაღლემ და მკერდის სიბრტყემ დიდად გააკვირვა და დიდად მოიწონა, იმიტომ, რომ იმას გარდა სხვა კაცი იმისთანა არ ენახა. მოუბრუნდა ხოსროვშირს და უთხრა: ეს სწორუპოვარი ფალავანი ვინ არისო და ან სახელად რა ეწოდებო? ხოსროვშირმა მოახსენა: ხელმწიფეო, ყარამან ყათილი რომ მოგეხსენებათ, ეს არისო, რომელსა აღმოსავლეთი დასავლეთამდინ კაცთა ნათესავნი დევნი, ქაჯნი და ფერიანი ამას ომს ვერ გაუსწორებენო, და ყათის მთაში საშინელი ბრძოლა გარდაუხდია და გამარჯვებაც ყოველივე უამბო. მუჰლეილანი მისსა ეგეთსა ფალავნობასა გაჰკვირდა, დიდად მოსწონდა, მობრუნდა და ტკბილად მოიკითხა. ჯინისტნის, ზულუმისტნისა და გულისტამ-ბალი-ირამის დევ-

ნი და ხელმწიფენი რიცხვით ოცდაოთხი ტანტიდამ გამოვიდნენ და მუჰლილან-შაჰას თაყვანი ჰსცეს. მიესალმნენ, ტყილად მოიკითხეს, მერმე მანცა გარდანქეშანს უბრძანა: შენ აქ რას იქო, ან ხოსროუშირ და ან ზოაქ ნოვეჯუანი, ანუ ერანის ფალანგები და ანუ დილაფრუზ დედოფალიო აქ რას აკეთებენო? ეს რა ამბავია, შემატყობინეო და ან ამ საშიშარ დევებთან რომ მოგზაურობთ, არ იშიშვითო?

გარდანქეშანი მოჰყუა ამბავის თხრობასა, რა ინდოეთილად წამოსულიყვნენ, იმ ქამილად ვიღრე ამ ქამამდე, ყოველივე მოახსენა. შემდეგ მუჰლილან-შაჰას მოახსენა: თქვენი აქ მოსვლის მიზეზი რა არისო? ხელმწიფემან ბრძანა: იმქამად რომ ყარამიჯინი და ოჰყალი ჯადო ინდოეთს მოსულიყო, უშანგი და მისი სპასალარები დაეძებუნებინა, ეს შარიბ-შაჰას შეეტყო რომ უშანგ-შაჰას ამ ცოტას ხანში დიდი განსაცდელი გარდახდებო. მაგრამ შიშით უშანგ-შაჰასათვის ვერ გამოუცხადებია, მერმე სტროლაბის მეცნიერებით ეცნა, რომ ჩრდილოეთილად და დეშტი-ყიფჩალიდამ უშანგ-შაჰას ეშველება რამეო. მოეფიქრებინა და ეთქვა ჩემს შვილს, იმ მხრისაკენ მამაჩვენი მუჰლილან-შაჰაზე უდიდესი ხელმწიფე არავინ არისო, თუ მოგვეშველება, ისაო. მაშინვე ერთი წიგნი მოეწერა. რა ის წიგნი ვნახე, მრავალი ვიტირე ამ მიზეზისათვის, რომ სამოცდასამი წელიწადი გასულიყო, რაც თალი-ჯამზედ წასულიყო. მას აქეთ, არც უშანგ-შაჰა მენახა და არც შარიბ-შაჰა. რა დროსაც ის წიგნი მივიღე. ჩემ დიდებულთა ჩემსა წინაშე წაიკითხეს. რა უშანგისა ესეთი ამბავი გავიგონე, დიდად შევწუხდი და ლომივით ბრღინვა დავიწყე. მსწრაფლ ბრძანება გავეცი, რომ მცირენი და დიდებულნი სულ ჩემთან შეყრილიყვნენ. მსწრაფლ ლაშქარი შევეყარე და რიცხვით შეიდი ათასი კაცი და გამოვემგზავრე და წამოველ და ჩინეთის სამზღვარს მოვედი. მაშინ ღრუბელსავით საჰმანი დაგვეცა და მოგვიტაცა და აქ მოგვიყუანა, რა მუჰლილან-შაჰამ ესე დაასრულა, ყარამანმა მაშინვე აყრა ბრძანა.

### აჰა ყარამანისაგან დეშტი-ყიფჩალის ქალაქში წასვლა

იმქამად იხილეს, რომ ჰაერილად ლაშქარმა დენა დაიწყო. იმ ალაგს, ჩამოხდნენ, მრავალი უცხო და უცხო კარავნი დადგეს, სალაფარდები გასწივეს, ოცდაოთხმა სახელმწიფომ უცხო ფარჩის კარები დადგეს და უცხო ფარჩის სალაფარდები მოაკერეს, მაგრამ იმ

ქვეყნის კაცთა რომ არა აწყინეს რა, იმაზედ დიდად გაჰკვირდნენ. ყარამანმა საჰმანსა და გარდანქეშანს უბძანა: მიდით, სეფი ბანოს უთხარით, იმ დევთა და ფერიათა ჩვენის ლაშქრისა ნურა ეფიქრებათ რა. მუჰსლილან-შაჰას ამბავიც მოახსენეთო, რომ ხათრიჯამი შეიქმნასო; ჩვენი ამბავიც უამბეთ, ჩვენ მაგიერადაც მოიკითხეთო. საჰმანი და გარდანქეშანი მაშინვე მივიდნენ, იმ ლაშქარში ჩამოხდნენ და ორნივე იმ ლაშქარში შევიდნენ. რა იმ ლაშქარში მყოფთა იხილეს, მოახსენეს დიდებულთა: ერთმან დევმან ერთი ადამიანი მოიყვანაო და ლაშქარში უშიშრად შემოვიდნენო, სეფი ბანოს კარს მიმართესო. რომელმაც კაცმა საჰმანი დაინახეს, დიდად შეშინებულნი დასტა-დასტად იქით და აქით გაიქცნენ.

რა გარდანქეშანმა მათი გაქცევა ნახა, დაუძახა; დეშტი-ყიფჩაღელნო, ნუ გეშინიათო, ჩვენ მტერნი არა ვართო, უშანგ-შაჰას მონანი ვართო, სეფი ბანოსთან მოვალთო, მახარობელი ვართო. ამაზედ დეშტი-ყიფჩაღელნი დიდად გაჰკვირდნენ, ამან დეშტი-ყიფჩაღლის ენა რა იცისო? — ერთმანერთს ეუბნებოდნენ. თვალი დააკვირვეს, კარგად გაშინჯეს, იცნეს, რომ ჩაბუქ აიარის შვილი გარდანქეშანი იყო. სეფი ბანოს მოხსენდა, გარდანქეშან თქვენის აიარის შვილი არისო.

რა სეფი ბანომ გარდანქეშანის მისვლა შეიტყო, დიდად გამხიარულდა, გარდანქეშანის მამა ჩაბუქ აიარი იქ ახლდა, მაშინვე ზე ადგა და კარს გამოვიდა, მაგრამ დიდად დაბერებული იყო. ერთი ასეთის სიხარულით და ყოფაქცევით მიეგება თავის შვილსა, მნახავნი დიდად გაჰკვირდნენ მისსა ესეთსა სიმხნესა. რა გარდანქეშანმა თვისი მამა დაინახა, მოეგება, თაყვანი სცა და ხელსა აკოცა, ჩაბუქ აიარი მოეხვია, ორსავ თვალებში აკოცა და ერთმანერთს მანამდინ დიდად ესაყვარლნენ. შემდეგ დეშტი-ყიფჩაღლის დიდებულნი და ფალავანნი მოვიდნენ და გარდანქეშანს მიესალმნენ და სეფი ბანოსთან გარდანქეშანი შეიყვანეს. ნახა გარდანქეშანმა, რომ სეფი ბანო დიდად მოხუცებული იყო და შავით მოსილი. რა გარდანქეშანმა შავით მოსილი იხილა, დიდად გაცოცდა და მისი შავით მოსილობა იკითხა და მანაც ბრძანა თვისი შავის ცმის მიზეზი რა არის. გარდანქეშანს უთხარეს, გზაზე ამბავი მოგვეწია, უშანგ-შაჰა ოჰყალი ჯადოს დაუქერია და ძელზედ დაუკიდნიაო. გარდანქეშანი თავ-პირ-ცემით მივიდა, სეფი ბანოს კალთასა აკოცა და სეფი ბანომ გარდანქეშანი ტკბილად მოიკითხა და უბრძანა: საკვირველს განსაცდელს და უბედურებას შევესწარით. გზაზე რომ მოვდიოდით, იმ მიმავლობაში არდევან-შაჰა და

მუჰლეილან-შაჰა ერთმან შევმან ღრუბელმან შოიტაცა. გარდანქე-  
შანმა სიტყვის თქმა აღარ დააცალა და მოახსენა: ყოველთა ბანოვან-  
თა დედოფალო, ნუ სწუხარ, ისინი ამ ცოტას ხანში მოვლენო, — და  
იმათი ამბავი ყოველივე მოახსენა.

ეს სიტყვა რომ დაასრულა, ნახეს, რომ ჰაერიდამ ოცდაოთხი ხელ-  
მწიფე ოცდაოთხის ტახტით სეფი-ბანოსას ჩამოხდნენ. იმ ლაშქარში  
ვინცა ვინ ბანოვანნი იყვნენ, შევიდნენ, სეფი ბანოს თავი დაუკრეს.  
ზე აღზდგა და სეფი ბანო წინ მოეგება, დილაფრუზს საყვარლად  
მიესალმა და სხვანი ბანოვანნი მდაბლად მოიკითხა და თავის ალაგს  
დასხდნენ. რა იმჟამად ხოსროვშირი დაინახა, მეტის სიხარულისაგან  
უცნობო შეიქმნა. ხოსროვშირი მივიდა და ხელსა აკოცა, სეფი ბანო  
გარდაეხვია და დიდხანს გარდახვეულნი იყვნენ და სიამოვნებისაგან  
სეფი ბანომ მრავალი იტირა, შემდეგ ყათრან, ბარამ ჯიბილ შევიდ-  
ნენ, სეფი-ბანოს თაყვანი სცეს. შემდეგ არდაშირ-შაჰა, მუჰლეილან  
შაჰა შევიდნენ, იმათთან ყარამანი, რაჰინდი, ბაჰმან-შაჰა და ზოაქ  
ნოვჯუზანი, ბაჰმან ასფარელი, ზორაბ სისტანი, ამას გარდა ოცდა-  
ოთხი დევთა და ფერიათა ხელმწიფენი შევიდნენ და თაყვანი სცეს.

რა სეფი ბანომ ესე ოდენი უცხო ქვეყნის ხელმწიფენი ნახა და  
უცხო და უცხო სანახენი, დიდად შეშინდა და გაოცებულმან ყურე-  
ბა დაუწყო. რა ყარამანს შეხედა, დიდხანს მის გულოვნობას თვალი  
ვერ მოაშორა. ხოსროვშირი მივიდა, და ყარამანი აცნობა. სეფი ბანო  
მაშინვე ზე აღსდგა და ტახტს წინ წარმოუდგა. ყარამანიც სწრაფად  
წინ წადგა ტახტს წინ თავი დაუკრა. სეფი ბანო მოეხვია და ყარამანი  
მდაბლად მოიკითხა და სხვანი იქ მყოფნი ფალავანნაც, ყველანი  
თვითეულად მოიკითხა. შემდეგ ბრძანა: საფალავნო მურასა ტახტები  
მარჯვნივ და მარცხნივ დადგითო, მივიდნენ და ყველანი თავ-თავის  
ადგილს დასხდნენ. სხვებიც მოიკითხა და მათაც მადლობა მოახსენეს,  
შემდეგ ბძანა სუფრის მოღება და მეჯლიში გაიმართა, რაგვარადაც  
მათ შეეფერებოდათ, მცირეს ხანს შეექცნენ. შემდეგ ყარამანმა  
უშანგ-შაჰას ამბავი იკითხა. რაც უშანგ-შაჰას ოპყალი ჯადოსაგან  
განსაცდელი მისდგომოდა, სრულებით მოახსენა. რა ყარამანმა იგი  
ამბავი მოისმინა, მთვრალს ვეშაჰსავით არ იცოდა, რას იქმოდა,  
მარჯვნივ და მარცხნივ მიმოიხედვიდა, უეცრად ერთი ასეთი დაიყვი-  
რა, რომ, თორმეტს აღაჯს ოთხსავე მხრის მიწამ რყევა შექმნა, თვა-  
ლები მეტის მრისხანებით ცეცხლის მსგავსად შეეცვალა და ამ ხმაზე-  
დან დევნი და ფერიანი და ადამიანნი ერთმანერთს ეცნენ და და უც-

ნობო შეიქმნენ. რა გონებას მოეგნენ, შეხედეს ყარამანს. ასეთი გან-  
რისხებული იყო და ასეთი მრისხანე სახე დაედებოდა, რომ თუმცა  
შვიდთავიან ვეშაპს შეეხედა, იმჟამად ყარამანის ყურებას ისიც ვერ  
გაუძლებდა, შიშით გული გაუსქდებოდა. სეფი ბანო ამ ხმაზე უცნო-  
ბო შექმნილიყო და გონებასა მოეგო. ყარამანის ესეთს ძალას, სიმ-  
ხნეს და ხმას დიდად გააკვირებულყო და არავის ძალედვა მრისხა-  
ნების დროს ყარამანისათვის სიტყვა მოეხსენებინა ან ავი და ან  
კარგი.

მცირეს ხანს ყარამანი მრისხანებისაგან დასცხრა, მობრუნდა და  
ფალავანთა გულმტკიცუნულად უბრძანა: ეს ამბავი რად დამიმაღეთ  
აქამდინაო და არ შემატყობინოთო? მაშინ მოწინებით მოახსენეს:  
ფალავანო, იმისთანა ქვეყანაში ვიყავით, რომ ამისთანა ამბის მოხსე-  
ნება არა სჯობდა და ვერც გაგიბედეთო. ყარამანმა მწუხარების  
ხმით უბრძანა: დიდებულნო, ფალავანნო! დღეის იქით ჩვენგან მეჯ-  
ლისში ჯდომა და სმა და ლხინი ჩვენთვის მწუხარება არისო, ვიდ-  
რემდის ოპყალი ჯადოს და ყარამიჯინს, უშანგ-შაჰასთვის რაც უქმ-  
ნიათ, მაგიერი არ გარდაუხადოთო. მანამდის ჯავშანი და ჯაჰვი არ  
გავიხადოთო და არც ზოსტერი შემოვიხსნათო და აღარც დღე მო-  
ვისვენოთ და აღარც დამეო.

ესე თქვა და მაშინვე რაჰინდ-შაჰას ტახტი მუჰლეილ-შაჰას მია-  
ბარა და თვისი სპასალარობა და ჯარის გამგეობა ყათრანს მიანდო,  
ჰალალ შვიდთავიანი დევი ამათ ქეშიკად დაუდგინა და დაარიგა და  
უბრძანა: ამათ კარგად ემსახურეო, თუ ამათში წახდა რამეო, ვეღარ  
მომრჩებო, ესრეთ განაწესა ყველანი და უბრძანა: თქვენც ხვალ  
აიყარენითო და უკან გამომიდექითო. რადი ნარას უბრძანა: ჩემი  
ექვსფეხოვანი საჯდომი შენ შეისვიო. ანყაფუზ ნარას უბრძანა: შენ  
ჩემი საომარი იარაღის ზანდუკიო. საჰმან აღამიზადს უბრძანა: შენ მე  
შემისვიო. ჩემო მეგობარნო და ჩემო საყვარელნო ძმანო, რა შეძლე-  
ბაც გქონდეთ, ეცადენით, რომ დღესა და ამდამ ინდოეთის ქვეყანა-  
ში უშანგაბადის ციხეში მიმიყვანოთო!

### აქა ყარამანისაგან უშანგაბადის ქალაქს წასლვა უშანგის მოსახმარებლად

იმჟამად ზე აღგნენ, კარში გამოვიდნენ და ბრძანებისამებრ, ყვე-  
ლამ თითო ზურგთ შეისევს და ჰაერში აღფრინდნენ და ინდოეთის



მხრისაკენ ასე სისწრაფით წავიდნენ, რომ თვალთაგან გაუჩინარდნენ მაგრამ იმ დევების ფრთის ერთმანერთის ცემის ხმიდამ ისეთი ხმა გამოდიოდა, რომ საზაროდ კმა იყო. ყარამანის გულოვნობასა ყოველნი სულნი დიდად გაჰკვირდნენ. იმ ლაშქარმა იმ ღამეს იქ განისვენეს. რა დილა გათენდა, ივინიცა აიყარნენ და ყარამანს გამოუდგნენ. მსწრაფლად რვა დღე და ღამე იარეს და ინლოეთის საზღვარზედ მივიდნენ.

ყარამანი ინლოეთის მიმავლობაში ერთს დიდსა ციხეს შეხვდა თვისის სამის დევითა. იმ ციხეში კაცის სიმრავლე იყო, გარს უცხო გვარნი შესდგომოდნენ და დიდსა ომსა და სისხლის ღვრაში იყვნენ რა მიახლოვდნენ, ნახეს, რომ გარს შემოდგომილნი ლაშქარნი დევნი იყვნენ, და დევებს თვალეზი ლომისა ესხათ, თითო დევს სიმაღლე ორმოცდაათი მწყურთა ჰქონდათ, თავი და ტანი თხის ბალნის მსგავსნი, სხვა ტანისამოსი არ ეცვათ რა. ყოველს ხელთა ბასრი ხმლები ეჭირათ. ყოველის მხრიდამ ციხეზედ იერიში იყო შიტანილი, მეცახოვნენიც მოჰკებებოდნენ წინა და დიდი ბრძოლა და სისხლის ღვრა ჰქონდათ ერთმანერთში. მაგრამ ამ ციხეში მყოფნი დაეძაბუნებინათ ამ ციხის მოერიშეებს. მათ გარდა ორმოცი ათასნი კიდევ სხვა ალაღი იდგნენ დასტა-დასტად, ერთი ბაბრის ტყავის დროშა აეშართათ, ან დროშასთან სამოცდათხუთმეტის მწყურთის სიმაღლის მქონებელი დევი იდგა, თავი ლომისა ება და ერთს დიდს სპილოზედ იჯდა. და იგი ლაშქარნი რასაც კაცს დაიჭურდნენ, იმასთან მიიყვანდნენ.

რა ყარამანმა ესენი ესრედ იხილა, ღმერთსა მადლობა მისცა და თქვა: მადლობ შენთვის, ღმერთო, რომ ამისთვის გაგიჩენივარ, რომ საცა ამისთანა გაჭირვებულნი არიან, იქ უნდა მიმიყვანო და მებრძოლო ხოლმეო. შემდეგ საჰმან დევს უბრძანა: სჯობს ეს საქმე — გაჭირვებულნი ამათის ხელიდან დავიხსნათო. მაშინ ჰაერიდამ ძირს ჩამოვიდნენ. რადი ნარან ექვსფეხოვანი მხეცი მსწრაფლად მიჰგვარა. ყარამანი შეჯდა და იმ დროშასთან მდგომს მიმართა. საჰმან ციხის მხრისაკენ გაგზავნა. რადი ნარა ერთს მხარეს, აწყაფუზ ერთ მხარეს და სამი დევნი თვითო თვითო მხარისაკენ გაგზავნა და თვითონ იმ დასტაზედ მივიდა. ერთს წამზედ ამ სამმა იმ შირსარელების ლაშქარი ერთმანერთზედ ჰკრეს, დახოცეს და ამოწყვიტეს, ისე რომ ცათა ღმერთი შეარისხეს, დაფანტეს და მრავალი შეიპყრეს. ყარამანმაც ორმოც ათასს ლაშქარს შეუტრია და ერთი ნარა გასწივა. შემდეგ მოეგებნენ ისინიც წინ, უნდოდათ, რომ პირისპირ ომი გაებედათ.

ჩავრამ იმ საბრალთ როგორ შეეძლოთ ყარამანის ომი, ერთს წამ-  
ხედ მრავალნი ამოწყვიტა.

შემდეგ თავის ხელმწიფეს ქეჰლან-შაჰას მოახსენეს. ქეჰლან-შა-  
ჰამ სპილო მიქუსლა და ყარამანს შემოუტივა. ოცდათვრამეტ ლიტ-  
რიანი ნაჯახი ეჭირა, იგი ყარამანს მოუქნიევ. ყარამანმა იმის მოქნე-  
ული ლახტი აიციდინა. შემდეგ ყარამანმაც ლახტი მოუქნიევა. იმ სა-  
წყალობელმა ლახტსა ნაჯახი უფარა. იგი ლახტი მას ფარსა და  
ნაჯახს ასეთი მოხვდა, რომ ორივე მკერდსა დაეცა, თავისი ხაჯახი  
და ფარი ყოველნივე ძირს ჩამოცვივდნენ. საჰმანი მივიდა და მაგრა  
შეკრა. რა რომ შირსარელებმა, თვისი ხელმწიფე დაჭერილი  
იხილეს და იგი საჰმან დევიც დაინახეს, დიდად შეშინდნენ და დას-  
ტა-დასტად გაიქცნენ. შემდეგ ანყაფუზ და რადი მოვიდნენ და ორნი  
მინარის მსგავსნი ხვადნი დევნი მოასხეს შეპყრობილნი. ყარამანი  
ჰიბრძანდა, ქეჰლანშირსარის ტახტსა დაჯდა და იგი პყრობილნი დე-  
ვი თავის წინ მოასხმევინა, მაგრამ იმ ციხეში მყოფნი დიდად ჰკვი-  
რობდნენ, ეს ვინ გაგვიჩნდაო, რომ ჰაერიდამ სამმა ვინმემ ამდენი  
შირსარელები ამოწყვიტაო და იმათგან განგვათავისუფლესო.

რა ამ ლაპარაკში იყვნენ, საჰმანი დაინახეს, ალმასის ნაჯახი ხელ-  
სა ეჭირა და დიდს მინარის მსგავსად იღვა და იგი ნაჯახი, რომელიც  
ხელთ ეჭირა, ელვის მსგავსად ბრწყინავდა, ორი მწვანე ფრთა ესხა,  
გაფრინდა და იმ ციხეს მიმართა. რა მივიდა, ერთს ბურჯხედ ჩამოხ-  
და. რა ციხესა შინა მყოფთა ესე იხილეს, დიდად შეშინდნენ. შემდეგ  
საჰმანმა ინდოურის ენით უთხრა: ნუ გეშინიანთ, ეს ჰაერით მოსული  
უშანგ-შაჰას პირველი ფალავანი ყარამან არისო და ყაფის მთილამ  
მოვაო. რა გაიგონა, რომ უშანგზედ მტერი მოსულა, იმის შემწედ  
მოვიდოდა, რა თქვენ მაგ შეჭირვებაში განახათ. მოვიდა და თქვენ  
შეგეწიათ და იმ მტრისაგან დაგიხსნათო. მე მისი მდაბალი ერთი მცო-  
რე მონა ვარო, ჩემგან ნუ გეშინიათო, მოდიო, სააბყირანი ნახეთო.

რა ყარამანის სახელი გაიგონეს, დიდს მხიარულებასა მიეცნენ,  
ჰაშინვე საჰმანთან შეიყარნენ იმ ციხეში მყოფნი დიდნი და მცირე-  
ნი. საჰმან წინ გამოუძღვა და იგინი ყარამანთან მოასხა. რა ყარამან-  
მა იგინი იხილა, დიდად იამა. რა თვალი გარდაავლო, სამნივენი იხი-  
ლა, რომ დიდებულთა ჰგვანდნენ. ყარამანმა დასხდომა უბრძანა და  
დასხდნენ. ყარამანს დიდის განკვირვებით უჭკრეტდნენ, რომ თვალი  
ვერ მოეშორებინათ. შემდეგ იგინი დევნი იხილეს, ხელმოჭდომით  
თავს ადგენენ საჰმან, რადი ნარა და ანყაფუზ ნარა. ქეჰლან შირსარი,

ხელშეკრული ხელთ ეჭირათ. რა იგი შეპყრობილი იხილეს, დიდს-სიხარულსა მიეცნენ, შემდეგ ყარამანმა იმ სამს მოხუცებულს უბრძანა, ან ეს ციხე ვისი არის და ან ეს ქვეყანა რა ქვეყანა არისო, და ან ეს მტერი გარს რომ გადგათ, ვინ არისო? ამ მოხუცებულთაგან ერთმა მოახსენა: ამ ციხეს სახელად შაჰარი-აყვალაი ჰქვია-ნო. რაჰინდის ხაზინა და ქონება აქ ინახება ხოლმეო. ეს ბერი კაცი რომ ზის, რაჰინდის მამა არისო. რა ესრეთ სიბერისაგან მოხუცდა, ქვეყანა შეიღს დაანება და თვითონ იმ ციხეში განსვენებით ცხოვრობსო. მაგრამ რამდენიმე წელიწადია, ეს შირსარელები გარდაგვეკიდნენ. ყოველწლივ მოვლენ და შეგვებმიან, მაგრამ ციხის სიკეთისაგან და სიმაგრისაგან ვერას დაგვეაკლებნო, მაგრამ სიმრავლით მეტად დაგვიძაბუნესო.

რა ყარამან ყათილმა იმისი ხელმწიფობა შეიტყო, სწრაფად ზეიდგა, მივიდა, თავი დაუქრა და ხელს კოცნა მონიღომა. ქეჰან-შაჰამ ხელს საკოცნელად არ მიუშვა, ზე აღზდგა და ზოხეგია მდაბლად ერთმანერთი მოიკითხეს და დასხდნენ. შემდეგ ყარამანს თავისი იქ მისვლის მიზეზი ჰკითხა. ყარამანმა დაკარგვა, ყაფის მთაში მისვლა.

უშანგთან მისვლა და ყაფის მთის ამბავი რაჰინდისა მამას ყველა წვრილად მოახსენა. ქეჰან ხელმწიფემ რა თავისის შეიღის დევების ხელილამ გამოხსნა გაიგონა, მეტის სიამოვნებისაგან უცნობო შეიქმნა. რა გონებას მოეგო, ყარამანს დიდი მადლობა მოახსენა. იმ ღამეს იქ განისვენეს. რა დილა გათენდა, ქეჰლან შირსარ პყრობილს მოყვანა ბრძანა. ყარამანმა უბრძანა ქეჰლან შირსარს: შენ ადამიანთ მონა შეიქმენ და ქეჰან ხელმწიფეს დაემორჩილე! როდესაც ამათკენ მტერი მოვიდოდეს, შენ მოეხმარებოდე და მტერს პასუხს მისცემდე, თუ ამ პირობას დასდებ, სიკვდილისაგან განგათავისუფლებო.

ქეჰლანშირსარი მსწრაფლად წინ წადგა, პირ-მიწა-გაერთები თაყვანი სცა, დალოცა, ქება შეასხა და მოახსენა: სააბყირანო, თუმცა ათი ათასი წელი სიცოცხლე ჰქონდეს თქვენი ცხენის სადავეს. არც ერთ წამს არ მოვშორდებიო, თქვენი ბრძანების მორჩილი ვიქნებიო, ყარამანმა უბრძანა საჰმანს, ქეჰლან შირსარს ხელები გაუხსენო და ვინცა ვინ სხვანი შირსარელები იყვნენ, წინ მიწას აკოცეს და დამორჩილდნენ. ქეჰლან შირსარმა ვინცა ვინ დაფანტული შირსარელები იყვნენ, ყოველნივე შემოკრიბნა, რიცხვით ოცი ათასნი იყვნენ. ყოველნი ყარამანს დაემორჩილნენ. შემდეგ ქეჰან-შაჰამ ყარამანთვისის სამის დევით და ქეჰლანშირსარით დაჰპატიჟა და ქალაქში

წამოასხა. მოქალაქენი გამოეგებნენ ყარამანს, მრავალი ძვირფასი თვალი და ჯავაპირი გარდაყარეს, შეუძღვნენ და შეიყვანეს. რა სასახლეში შევიდნენ, რაპინდის მამა და სარვიხურამანის დედა შემოვიდნენ და ყარამანს ხელზედ აკოცეს და ვედრებით და ტირილით სარვიხურამანის ამბავი ჰკითხეს. ყარამანმა უთხრა: თვისი მამა და ის ერთად მოდიანო.

რა ამ სიტყვის თქმაში იყვნენ, ნახეს, რომ ჰაერიდამ შავი ღრუბელი გამოჩნდა, რომლის მხრიდამ ყარამანი მოსულიყო. იმ მხრიდამ ახვა და სხვა ხმები მოესმათ, მოქალაქენი დიდად გაშტერდნენ. იმ ეამში ჰაერიდამ დევნი და ფერიანი იმ არეში ჩამოხდნენ. მრავალნი კარავნი დადგეს, სალა-ფარდანი შემოავლეს, შემდეგ ერთი უცხო ქშენიერი ტახტი დადგეს ქეჰან-შაჰას პირდაპირ. იმეამად საჰმან გარეთ გამოვიდა, რაპინდ-შაჰას ტახტი ნახა. რა მათ საჰმანი ნახეს, ჰკითხეს, შენ აქ რას იქო? საჰმანმა ყარამანისა და თავიანთ ამბავი ყველა წვრილად უამბო. ფალავნებს დიდად იამათ და გაუკვირდათ ყარამანს ქება შეასხეს. იმეამად გარდანქეშანი მივიდა, ყარამანს ხელსა აკოცა, რაპინდი და სხვანი ერანელნი ფალავანნი შევიდნენ. ყარამან წინ მოეგება და ერთმანერთს მიესალმნენ. ყარამან მობრუნდა, ქეჰან-შაჰას მოახსენა: მობრძანდით, თქვენ შვილს მიესალმენითო, პიეგება და ერთმანერთი სიყვარულით მოიკითხეს. შემდეგ სხვანი ფალავნები მოვიდნენ და მიესალმნენ, დასხდნენ და მეჯლიში გამართეს და ძლიერ სიმხიარულე შექმნეს. ქალაქსა მას სამ დღესა და დაჰესა ესეთსა განცხრომასა და ლხინსა იყვნენ. მეოთხეს დღეს, ყარამან გამოეთხოვა მათ, მოახსენა: მე მსწრაფლად უშანგაბადს უნდა წავიდეო. ქეჰან-შაჰამ უთხრა: სააბყირანო, ყველანი ერთად წავიდეთო, მაშინ ქეჰან-შაჰ და ბეჰითალ ბანო ქეილან შირსართან წაასხე!.. ციხე ქალაქი სართან ჰინდს მიაბარეს და სხვანი ჯარნი და ფალავანნი წავიდნენ.

რა დილა გათენდა და ქვეყნისა მაშვენებელმან მზემან თვისი სხივი ქვეყანას მოჰფინა, მაშინ გაემზადნენ და სარანდობის მთის პირისპირ წავიდნენ. ორი დღე და ღამე იარეს და მესამესა დღესა უშანგაბადის ირეს მიაწივეს და უშანგაბადი დაინახეს. რა ხელმწიფეებმა და ფალავნებმა შეხედეს, ნახეს, რომ ორს ალაგს ორი რიგი ჯარი თავშიშველი ტირილით და ვაებით ღვთისაგან შეწყვენას ითხოვდნენ, მცირედნი ციხეში მოსულან და იქიდან იბრძვიან, მაგრამ ბრძოლის ღონე მიაკლებიათ. და იმ ციხის გარშემო ოცჯერ ასი ათასი მამაცი გარს

შემოსდგომიათ და ყოვლის მხრიდამ ციხეზედ იერიში მიუტანიათ, ას ორმოცი ათასის სპილოსათვის ჯაჭვი ჩაუცმევიათ და ციხეზედ მიუშვიათ, მუასარი გაუხდიათ. ამას გარდა, ოცდათხუთმეტი ასი ათასი მარდუმხორები, დიდრონი მინარის მსგავსნი, რომელთა რკინის კეტები ხელთ უჭირავს, მისულან, რამდენიმე ალაგსა ციხე გარდაუქცევიათ ციხეში შეჭრილან და რამდენიმე ციხეში მყოფნი დაუჭერიათ და ბორკილი შეუყრიათ და სჰამენ კაცებსა თუ დედაკაცებსა. ორასი ათასი ჯადოს ლაშქარი მრავლის ჯადოს მანქანებით ეშმაკურობენ. თაჯახანის კარზედ ას ოთხმოცდაოთხის მწყართის სიმაღლის მქონებელი ჯადო ერთსა დიდს სპილოზედ ზის და ხელთ ერთი მძიმე დასტაჩუბი უჭირავს, ზედ ხანჯლები მოუსხავს, უკან ათი ათასი ჯადო უდგას. თაჯახანის კარისათვის დასტაჩუბი შემოუყრავს და ცალი მხარე სულ დაუქცევია, ციხიდან რამდენსაც ისარს ესვრიან ანუ ქვასა ანუ სხვას, ესენი თვისის ჯადოთი აქარებენ.

რა ციხეში მყოფთა ბანოვანთა ამათი ესეთი საზარლობა დაინახეს, შიშისაგან თმა გაგლეჯით ღმერთს ევედრებოდნენ, რომ იმათი წივილ-კივილის ხმა ცამდის აღიწეოდა. ერთი რიგი ლაშქარი სარანდობის მთის სიმაგრეში შესულან. ისინიც გულოვანად იბრძვიან, მაგრამ მარდუმხორებს და ჯადოს ლაშქართ ისინიც დაუძაბუნებიათ და მათგან მრავალი შეუპყრიათ. თაჯახანის კარის პირისპირ ხუთას სამოცდასამი ძელი აჟმართავთ. თვითო ზეზედ თვითო ხელმწიფე ჯინჯილით შეკრული მიუბამთ. სამოცი ათასი ჯაჭვითა და ჯავშნით შეჭურვილნი მამაცნი ერთს ოქროს ტახტს შემოხვეულან და ციხეში თამაშს უყურებენ. დიდად მწუხარობდნენ იმ ციხეში მყოფთა ტირილზედ: იმ ტახტს იქილამ ას სამოცი მწყართის სიმაღლის მქონებელი, აზრალის სახის მქონე, ერთს შვიდ თავიანს ვეშაპზედ შემგდარა და ხელთა მათრახად ერთი გველი უჭირავს და მეორეს ხელით შინა უპყრია და სხვადასხვა ჯადოებს მოქმედობს, მრავალს საშინელს მხეტთა და ვეშაპთა ციხეთა უსევს. და ჯალათებისათვის უბრძანებია ხელმწიფეების ძელზედ ჩამოკიდება. შვიდის იყლიმის მპყრობელი ხელმწიფე უშანგ-შაპ ღიღის ტირილით და ვედრებით ღმერთს ევედრებოდა. მათსა ესეთსა მწუხარებისაგან მცველნი განეცვიფრებინა.

რა სწორედ თვალი დააკვირვეს, იცნეს, რომ ის ციხე სწორედ უშანგაბადი იყო. ციხეში მყოფნი დაგლეჯილნი დედაკაცინი უშანგის პარემი იყო და ძელებთან მდგომი პყრობილი ხელმწიფეებიდამ ერთი უშანგ-შაპ და სხვანი ერანელნი სპასალარნი იყვნენ. და ციხეში

მდგომი თეთრწვერიანი ქუდმოხდილი, ღვთის მვედრებელი თავისი შვილი შარიბ-შაჰა იყო. რა ესენი დაინახა მუჰლეილან-შაჰამ, თავი-დამ თაჯი მოიხადა და მიწაზედ დაახეთქა, ტირილი და თავში ცემა დაიწყო. შემდეგ უშანგ ხელმწიფის ცოლმა დილაფრუშმა მწარედ გლეჯა და ტირილი დაიწყო და თავში ცემა გაამკრავლა.

რა ყარამან ყათილმა, ხოსროვშირმა, ყათრანმა, არდაშირ-შაჰამ, ბარამ ჯიბილმა, ზოაქ ნოვჯოვანმა, ქეივან-შაჰამ, ბარამ-შაჰამ, ბაჰმან ასფარელმა, გარდანქეშანმა, ქეჰლან შირსარმა და სხვათა ღვეთა და ფალავანთა უშანგ-შაჰა იმ ყოფით იხილეს, ბაბრებრ და ლომებრ ბრღლენვა დაიწყეს. და ყარამანი მოვიდა, იკითხეს, ეს რა ლაშქარიაო და ან ყარისათვის რომ დასტაჩუბი დაუკრავს, ეს ვინ არისო? ხოსროვშირმა მოახსენა: სააბყირანო, იმ ყარისათვის რომ დასტაჩუბი დაუკრავს, სპანდიერის ძმა ყარამიჯინია და იმ ტახტზედ მჯდომი რაჰინდის ძმა ქეთან-შაჰა არისო და ის ვეშაჰზე მჯდომი, ყაფის მთაში რომ ფალანგსარ ჯადო მოჰკალით, მისი ძმა ოჰყალი ჯადო არისო.

რა ყარამანმა შვილის იყლიმის მპყრობელი ხელმწიფე უშანგი ამ ყოფით ნახა, მეხივით ქეჰა დაიწყო და მეტის მრისხანებისაგან უცნობო შეიქმნა. ხან ადგა და ხან დაჯდა. ერთის უბრალოს ვისთვისმე საშველად თავის თავს რამდენს განსაცდელს მისცემდა, ხან ფაშკუნჯზე შეჯდა, ხან დეჯზე და ფერიაზედ, ჯინზედ, ქეესკნელად ჩავიდა, ზღვაში რამდენი ქეეყანა მოიარა. ახლა რომ თავისი ხელმწიფე ამ ყოფით იხილა, ნახეთ, თუ რას იქმოდა. მაშინვე ბრძანა, ოცდაოთხი ხელმწიფე, ოცდაოთხჯერ ასი ათასი ღვეისა და ფერიდს ჯინისა და ყოველი შემოკრებული ლაშქარი დასტა-დასტად გაყო, ბნელეთის ხელმწიფეს თვისის დასტით ჩაფურ-შაჰას, უმულ-ჰაიათის ხელმწიფეს ჯამუ-შაჰას და ჰეიათის ხელმწიფეს ჰუმინან-შაჰას მიაბარა და უბრძანა: თქვენ იმათში მყოფთ ხელმწიფეთა და ჩვენთა ლაშქართა უშველეთო, მაგრამ ვაი, თქვენ, თუ ერთი მარდუმხორი ჯადო ცოცხალი გარდაგირჩენიათო! და მათზე გაისტუმრა. შვიდი ღვეთა ხელმწიფე, შვიდი ათასის ღვეით მთის მხარეს გაისტუმრა, ქუი-ქაბუთის ხელმწიფე ანყაფუზ ნარა დევი და ქუი-სურხაბის ხელმწიფე ანგურ დევი ოთხი ასიათასი ხვადის ღვეითა ჯადოებზედ გაისტუმრა, უბრძანა: იმათზე გეჭიროს თვალი, რომ არც ერთი არ წაგვივადესთო, თორემ ყველას დაგხოცო!

შემდეგ რაჰინდ, მუჰლეილან-შაჰა, ქეჰლან-შაჰა, ხოსროვშირ, ყათრან, ბარამ ჯიბილ, ბაჰმან ასფარელი, ზოაქ ნოვჯოვანი, ზორაბ

სისტანი, და სხვანი სარდალნი და ფალავანნი, ასი ათასის მეომრითა და ბალი-ირამის ხელმწიფეს შაჰფალ-შაჰას გაატანა და უბრძანა: წადით თქვენ ქეთან-შაჰაზედ. სარინჯი-ჰინდზე, გურგან-ბელანდ-ქამანზედ მიდითო. ესენიც ესრეთ წავიდნენ. შემდეგ საბზავარის ხელმწიფეს სეილან-შაჰას და იმის შვილს ზორაბ-შაჰას, ასეჯი-მუთაირის ხელმწიფეს თამუზ-შაჰას სამი ათასის ჯინის ლაშქრით უბრძანა: თქვენ მიდით, ქალაქში მყოფნი გაამაგრეთო, მაგრამ ვაი თქვენ, თუ ქალაქს გარეთ მდგომნი ერთი გარდაგებეწოსთო! შემდეგ გოვაჰანგის ხელმწიფეს სამი ათასი ფერია და სეილან-ხვადი დევი გაატანა და უბრძანა: თქვენ მიდით და ძელები რომ არისო ამართულო, იმის ძირს იფრთხილეთო, რომ იქილამ არავინ გარდაიხევეწოსო. ისინიც იქით წავიდნენ. შემდეგ ხურამაბადის ხელმწიფე ფარი-ხან ორასი ათასის ნარა დევით უშანგაბადის სასახლისაკენ გაისტუმრა და უბრძანა: თქვენ მიდით და სასახლე დაიცავით. სინდლებმა და მარდუმხორებმა იმ ჰარამს არა ავნონ რა. და ისინიც ბრძანებისამებრ წავიდნენ. ნარაკნეთის ხელმწიფეს მუზამფარ-შაჰას, იაყუთის ხელმწიფეს ყეირან-შაჰას ასი ათასი დევი უბოძა და უბრძანა: თქვენ წადითო, იმ ასოთხმოცი მწყრთა სიმაღლე რომ აქვს და შეიღდავიან ვეშაჰზე რომ ზის, იმაზე მიდით, მაგრამ ახლოს ნუ მიუდგებით, მხოლოდ იმაზე თვალი დაიჭირეთ, ესენიც გაისტუმრა.

რა რომ ესენი ყარამანმა განაწესა, მას უკან საჰმან ადამიანთ მონათესავეს, რადი ნარას და მუჰლეილან-შაჰას ყარამანმა უთხრა: ჩემნო საყუთარნო, საყვარელნო მეგობარნო! დღეს ის დღე არის, რომ ჩემგან სააბყირანობის ტახტის დავა უნდა აღვასრულო და აღმოსავლეთით დასავლეთამდინ სრულისა მამაცობისა და სახელისა პოენის დღე არისო ჩემთვის და ველარც ამისთანა ჟამს შევესწრები, როგორც ეხლა დრო მაქვსო. რაც ქვეყანაში დევნი, ფერიანი, ჯინნი, ადამ ხორნი ადამის ტომნი და ყველა სულნი ამ ალაგს შეყრილნი არიანო. რომელი უბრალო კაცი დღეს ჩემთან ხმალს მოიქნევს, უნამეტნავეს წყალობას მიიღებსო ჩემგან. ამჟამად მე თაჯახანის კართან ჩამომახდინეთო. მაშინვე საჰმანმა აღიყვანა და დილის ნიავსავით დედამიწაზე ჩამოსახლომად წამოვიდნენ და მის ფრთის ცემისაგან ესეთი ხმა გამოვიდოდა, რომ საზაროდ კმა იყო. და იმათმა ფრთის ცემის ქარმა ჯადოს მანქანები დაუშალეს და ესენი ციხის სიახლოვეს მოვიდნენ.

იმჟამად ციხეში მყოფნი კაცნი და დედაკაცნი თავ-პირ-ცემულნი

ღმერთსა ევედრებოდნენ, და შარიბ-შაჰაც მიწაზედ პირ-მიწა-გაერთებით ღვთისაგან შეწევნას ითხოვდა. შარიბ-შაჰ მეცნიერი კაცი იყო, თუ არ ღვთის ვედრებას. იმეამად სხვას არას იტყოდა და ამ მიზეზისათვის ჯადოს მანქანებმან შარიბ-შაჰას ვერა ავხო რა. ამისათვის ყოველთვის ღმერთსა ევედრებოდა. რა ღვთის ვედრებას მორჩნენ, ერთმანერთს ესალმებოდნენ და ერთმანერთს მოუთხრობდნენ, ამათ ხელში ჩაცვივნას სიკვდილი სჯობიაო. რა ესე სიტყვა მოიუბნეს, მაშინ ზოგი ციხეზე გარდასავარდნელად გაემზადნენ, ზოგი ომით სიკვდილსა განიზრახავდნენ, ყოველნივე ესრეთის გულის განზრახვით მზად იყვნენ. ქვევიდან უშანგ-შაჰ რა ამათს ამ რიგს ტირილით ვედრებას უყურებდა, თვითონაც ღიღის გულმოდგინებით ღმერთს ევედრებოდა და მისგან შეწევნას ითხოვდა.

### ამა შარამანის ლაშქრის მოსვლა ჰაერშია

მაშინ ღმერთმან იმათი გულ-მხურვალე ლოცვა შეისმინა. და იმ ეამად შეხედეს, ნახეს, რომ აღმოსავლეთის მხრიდან სამი შავი ღრუბელი გამოჩნდა და უშანგაბადს მიატანა. იგი ღრუბლები ისრეთის სისწრაფით მოვიდოდნენ. რომ თითოს თვალის დახამხამებამდე თითოს აღაჯს გამოვილიდნენ, მაგრამ იმ ღრუბლებიდან ისრეთი ხმები ჰრდიოდა, რომ საზაროდ კმა იყო. იქ მყოფნი ლაშქარნი, შიგნითნი თუ გარეთანი, დიდად გაკვირვებულნი იყურებოდნენ და ამას ამბობდნენ: ეს რა უნდა იყოსო? კვალად ნახეს, რომ ოცდაოთხი საშინელი ღრუბელი კიდევ გამოჩნდა, ამათ უკან კიდევ ერთი ისრეთი ღრუბელი გამოჩნდა, რომ სიდიდით ცა და ქვეყანა დააბნელა. იმ ღრუბელს თვალი დააკვირვეს, ნახეს, რომ მრავალი უცხო და უცხო ალაგი გაჰოჩნდა. შიგნით მყოფნი დიდად შეშინებულნი იყვნენ და ამბობდნენ; ვაი, თუ ისიც ჯადოს ლაშქარი იყოსო?! გარეთ მყოფნი უმეტესად ჰკვირობდნენ, ეს საკვირველი ხმები და ეს საშინელი ღრუბლები რა უნდა იყოსო? რა ეს პირველი ღრუბელი ციხის პირდაპირ მოვიდა, ნახეს, რომ სამი დევი იყო, თითო თითო ღიღის მინარას ემსგავსებოდნენ, თავები ღიდრონს გუმბათს უგვანდათ და თვალები ღიდრონს ანთებულს სარკესავით ეგზნებოდათ, ხელის ბრჯყალნი ოცდაათი მხარი ჰქონდათ და სხვადა ნაკვეთნი ამათნი შესაფერნი საშინელი და საზარელი ჰქონდათ.



რა ციხეში მყოფთა ამათი მოსვლა ნახეს, მსწრაფლ შარიბ-შაჰას. იცნობეს, მაშინვე კარზედ გამოვიდა. რა შეხედა ისიც დიდად გაჰკვირდა. ნახეს. რომ ერთ დევზედ ერთი აღამიანი ზის და მისას სიმძიმესა ესრედ შეუწუხებია, რომ ღონე აღარ შერჩომია, და რომელსაც მხარეს ყარამიჯინი ომობს, იმ მხარეს მიატანეს. ერთს მის მსგავს დევს მისი ზანდუკი ეპყრა და მოჰქონდა, იმას უკან კიდევ ერთს დევს ერთი ექვსფეხოვანი და ოთხთვალოვანი მხეცი ეკიდა, რომელსა კული ფარშევანგს უგვანდა და ესრედ მოვიდოდნენ. ესე სამნი იმ გორაზედ ჩამოხდნენ, ზანდუკი გახსნეს, სამოცდაორი საომარი იარაღი ამოიღეს და ის ფალავანი ამეებით შეიჭურვა. თავსა ისრეთი მუზარადი დაიხურა, რომ იგი მთა, მინდორი და ქვეყანა სრულიად გააწითლა. ფაშეუნჯის ფრთები მუზარადში ჩაირქო, ის ექვსფეხოვანი მხეცი სხვა და სხვა საომარის იარაღით შეეკაზმეს, ქეიომარს ხელმწიფის გურზი ტანტზედ დაჰკიდეს. რა გურზსა მას ბუდე წაჰყარეს, მზემიდგომილსავით ბრწყინვა დაიწყო, ესრე, რომე ვინც იმ ლანტისაკენ შეიხედვიდა, მის ბრწყინვალეებას ვერავინ გაუძლებდა. ყარუნ-შაჰას საფლავიდამ რომ შუბი გამოეტანა, იგი შუბიც ქეიომარსისა იყო, იგი ხელთა მიიცა. რა მასაც ბუდე წაჰყარეს, ესრეთი საშინელი თილისმების ხმა გამოვიდა, რომ საზაროდ კმა იყო. შემდეგ ქეიმურაზის ფარი მხარსა გარდიგდო. იმ ციხეში მყოფნი ქალნი და კაცნი გაკვირვებულნი უყურებდნენ და იტყოდნენ: ღმერთო, ეს რა ჭირი და ბალა არისო?! თქვეს, უთუოდ ესენიც ჯადოები არიანო, ვაი, თუ ამათაც ოჰყალი ჯადოს მოსვლა შეეტყოსთ და ესენიც ამის მოსახმარებლად და ხელოვნების გამოსაჩენლად მოსულიყვნენო. უნამეტნავეს მწუხარებასა მიეცნენ.

რა ყარამან შეიჭურვა, მაშინ ერთი თეთრი ძალი მოვიდა, ყარამანს ფერხთ მოეხვია და ტირილი დაიწყო. და ყარამანსაც ესრეთ შეებრაღა, რომ თვითონაც ტირილი აღმოუტევა, მობრუნდა და დევებს უთხრა: სპასალარებო, მითხარით, ამ ძალისაგან ეს ტირილი და წკმუტუნი და ჩემთან მოხვევენა რა არისო? მაშინ რადი ნარამ მოახსენა: სახელოვანო სააბყირანო, შენი სააბყირანობის სახელი ქვეყანაზედ გამოცხადდა და ეს მხეცი და პირუტყვი ხარობენ თქვენის ნახვითო. შემდეგ საჰმანმა მოახსენა: აღმოსავლეთით და დასავლეთამდის სახელ განთქმულო ფალავანო, ყაფის მთაში რომ ვნახეთ, ესეც იმასა ჰგავს. მგონი, რომ ესეც ოჰყალი ჯადოს გრძნებით არის ამ სახედ გარდაქეულიო. რა გიხილათ, გიცნათ, მოვიდა და გეთაყვა-

ნებათო, ყარამანმა სრულიად შეიტყო, რომ ეს ცხოველი ყველანი  
ერანელნი და თურანელნი სპასალარები არიან ამ სახედ გარდაქე-  
ულნი. შემდეგ თქვა: პირველად უნდა ოპყალი ჯადო შევიპყრა და  
შემდეგ ყარამიჯინო. ყარამანმა საჰმანს უბრძახა: მიდი იმ ციხეს-  
თან, თაჯახანის კარზედ დადექიო და იქ მყოფნი უშანგის ლაშქარი  
არისო და ის თავმოზდილნი ქალნი უშანგ-შაჰის ჰარამი არისო და  
ერან-თურანთა ფალაყანთა ცოლებიო, ის იმათთან მდგომი, თავმოზ-  
დილი ბერი კაცი, უშანგ-შაჰას უფროსი ძმა ხოსროვშირის მამა შა-  
რიბ-შაჰა არისო, მიდი და იმის წინ მიწას აკოცე და ჩვენი მოსვლა  
მოახსენე: და ის მარდუმხოვრები რომ შესულან, ისინი თვითო-თვი-  
თოდ ციხილამ გარდმოყარეო.

მაშინვე ბრძანებისა მისისა მორჩილმან, საჰმანმა თვისი ოთხმოც  
ლიტრიანი ნაჯახი მხარზედ ვარდიგდო, ფრთა ფრთასა ჰკრა და  
მსწრაფლად წავიდა ციხისაკენ, შემდეგ რადი ნარას უბძანა: შენ მი-  
დი, ციხეში მყოფნი მარდუმხოვრები სულ გარდამოყარეო და საომრად  
მტერს ნულარ მიუშვებო. შემდეგ აწყაფუზს უბძანა: შენ მიდი და იმ  
ძელებქვეშ მყოფთა ერანელთა და თურანელთა ფალაყანთ ჩემი მო-  
სვლა შეატყობინეო. მაშინვე აწყაფუზ ნარამ თვისი დასტაჩუბი მხარ-  
სა დაიდვა და მსწრაფლად ყარამანის ბრძანება აღასრულა, რა ესენი  
გაისტუმრა, მიბრუნდა და იმ თეთრ ძაღლს უთხრა: შენ აქ მომიცა-  
დეო და მე წავალ, ღვთის შეწევნით ოპყალი ჯადოს აქ მოვიყვანო.  
შემდეგ შეუფაირბარზედ შეჯდა და ოპყალი ჯადოსაკენ წავიდა. შა-  
რიბ-შაჰამ და ციხეში მყოფთა ნახეს, რომ სამმა მინარის მსგავსმა  
ღევმა ერთი კაცი ერთს ექვსფეხოვანს და ოთხთვალოვანს ნადირზედ  
შესვეს და სამოცდა ორის საომრის იარაღით შეკაზმეს:

რა ერანელთა ის იარაღი დაინახეს, ღიდად გაჰკვირდნენ, იმისთა-  
ნა იარაღი თავიანთ ღლეში არ ენახათ. მივიდნენ და შარიბ-შაჰას  
მოახსენეს: ეს რა მოგვევლინა და ან რა გვეჩვენა, ან რა უნდა იყოს?  
მაშინ უნამეტნავეს მწუხარებას მიეცნენ. შარიბ-შაჰამ უთხრა: ძმანო,  
თქვენთვის მიხარებია, რომ ის ექვსფეხოვანს ნადირს მჯდომი სრუ-  
ლიად ქვეყნის ვეშაჰი და სააბყირანად აღმორჩეული, ქუი-ყაფის  
ზღვისა და ხმელეთის დამპყრობი, თანმურად ხელმწიფის შვილი ყა-  
რამან ყათილი არისო. ეს იგი ფალაყანი არის, რომელიც ქუი-ყაფის  
მთილამ ჩვენს მოსაშველებლად მოვიდაო. აწ ღმერთმან, ამღესას  
ხელმწიფის ვედრება ისმინა და ამ მტრის ხელში ჩვენი დატყვევება  
არ ინებაო. სტროლაბითაც ისრე შევიტყვე, რომ ჩვიდმეტს წელი-

წადს უკან სარანდების მთის სიახლოვეს უშანგაბადის ციხეში უნდა მოსულიყო და აი დღეს სწორეთ ჩვიდმეტი წელიწადი შესრულდა. რა ფალავანთა ესე გაიგონეს, დიდსა მხიარულებას მიეცნენ. შემდეგ ნახეს, რომ ჰაერიდამ სამოცდათხუთმეტის მწყართის სიმალლის მქონებელი, ოთხმოცი ლიტრიანი ბასრი ნაჯახი ხელთა უჭირავს და მსწრაფად ერთი საშინელი დევი მოვა, რომ იმის მრისხანედ შეხედვას ვერც ყარამიჯინი და ვერც სხვა გაუძლებს. იმისი ჰაერში დანახვა და ციხის ბურჯზე ჩამოხდომა ერთი შეიქმნა. სადაც რომ შარიბ-შაჰა იყო, იმ ბურჯთან ჩამოხდა.

რა ბანოვანთა იგი მისული დაინახეს, დიდს მწუხარებას მიეცნენ, შიშისაგან ველარ მოითმინეს იქ დგომა, გაიქცნენ ტირილით და ვაებით. საჰმანი მივიდა შარიბ-შაჰას წინ, პირ-მიწა-გაერთებით თაყვანი სცა და ხელსა აკოცა და მოახსენა: ვადიდებთ მალალსა ხელმწიფობასა უშანგისასა და თქვენსა, სასურველო ძჰაო, მიხარებია თქვენთვის, რომ ყარამანი მოვიდაო. ეს მოახსენა და მიიხედა. ნახა, რომ რამდენიმე მარადუმხორები დედაკაცებს თმებით გალავანს გარეთ სწევდნენ და ერთი მეორეს ეჭიდებოდნენ და შეწევნას ითხოვდნენ მუნ მყოფთაგან მასვე წამს საჰმანი მიიჭრა სწრაფად და ასეთი ნაჯახი სცა მარადუმხორს, რომ წელამდინ გაჩეხა და ესეთის ხოციოთ ერთის თვალით დახამხამებამდინ ორმოცი მოკლა. რა ესრეთ ნახეს. საჰმანს ერთობით შემოუტევეს, ესრეთ ეგონათ, რომ ეს ჩვენი მოპირდაპირე არ იქნებაო. რა საჰმანმა ამათი ესრეთ შემოტევება იხილა, თავისი ნაჯახი წელში ჩაირჭო და გაექანა, ცალის ხელით ოცდაათის მწყართის სიმალლის მქონებელი მარადუმხორი დაიჭირა და შეორეს ხელით — მეორე. ერთმანერთს შემოჰკრა და ორნივე მიწასთან გაასწორა. რა ესეთი სიმხნე ნახეს საჰმანისაგან, ციხეში მყოფთა მარადუმხორებმა, სუყველანი ყოვლის მხრიდამ ციხიდამ გარდაცვივდნენ და დაიხოცნენ, და უშანგ-შაჰას სასახლეში საჰმანის შიშით მარადუმხორი ველარ დადგა.

რა შარიბ-შაჰამ და ბანოვანთა საჰმანისა ესეთი სიმხნე ნახეს, დიდს მხიარულებას მიეცნენ, ენებათ რომ მისულიყვნენ და საჰმანს ფეხთ მოხვევოდნენ, მაგრამ საჰმანმა არ მიუშვა, და მოახსენა შარიბ-შაჰას: მე ყარამანის ერთი მცირე მონა გახლავარო, უბრძანეთ ბანოვანთა, რომ თავები დაიხურონ და თქვენც თავი დაიხურეთო. საჰმანის სიტყვა ყველამ აასრულა და ყველამ თავები დაიხურეს, ერანელთა და თურანელთა ფალავანთა დიდი სიხარული მიეცათ და ესე

იძახდნენ, ყარამანს ერთი დევი გამოუგზავნია და შარიბ-შაჰასთან მოსულა და იმ სასახლეში მყოფნი მარადუმხორნი სულ დაუხოციაო. რასაც მწუხარებაში მეციხოვნენი იყვნენ მიცემულნი, საჰმანის შიშით ახლა მარადუმხორები სიკვდილს მიეცნენო და ცდილობენ, რომ სწრაფად გაასწრონ საჰმანს და გადარჩენონ!

იმჟამად ნახეს, რომ ის სამოცდათორმეტის მწყურთის სიმალლის მკონებელს ერთი ფოლადის დასტაჩუბი უჭირავს, თავი ვეფნვს უგავს და თვალები სიდიდით თითო თითო დიდრონის ფარის ოდენი აქვს, შიგნით თვალის კაკალს შვიდი რიგი ხაზი აქვს შემოვლებული, სხვა და სხვა ფერისა, ზოგი წითლად ელავს, ზოგი ყვითლად, მწვანედ და შავად, ხელები ბაბრის ტოტს უგავს და ფრჩხილების სიგრძე ათ-ათ მტკაველი აქვს. ასეთი ფიცხია, რომ მისის სიფიცხის მკვეთელობას კაცი თვალს ვერ მოჰკრავს. ორი ფრთა აქვს ყვითელი, ხან შეიკრებს და ხან გაიშლის და ხან გარდახტება სწრაფად ბურჯიდამ ბურჯზედ, ხან გარდაფრინდება ხოლმე. ხელთა ერთი დასტაჩუბი უჭირავს, თვითოს მოქნევით თხუთმეტს მარადუმხორს ზოცავს. რა ვერ გაუძლევს ამის ომსა, გაიქცენ. გაჯავრებული იმ გაქცეულთა, რომელსაც მოასწრობდა, იმ ყვითელს ფრთას ასეთს შემოჰკრავდა, რომ შუაზედ გასწყვეტდა. რა ესრეთ ციხეში მყოფთა იხილეს, დიდსა მხიარულებას მიეცნენ. ისიც შეიტყეს, რომ ყარამანის გამოგზავნილი რადი ნარა არისო, ჩვენ საშველად მოსულაო. მტერნი სულ შემეუსრა და ამოწყვიტა, ასე რომ სულ ღმერთი შეარისხა.

რა ციხეში მყოფთა ლაშქართა მტერი დაჩაგრული ნახეს, დასტად დასტად უშანგის სასახლეში მივიდნენ და შარიბ-შაჰას მოახსენეს: ყარამანს ერთი დევი გამოუგზავნიაო. ციხეში მყოფნი მარადუმხორნი სულ ამოწყვიტაო. რა მარჯვნივ მიიხედეს, საჰმან დაინახეს, რომ ხელთა ნაჯახი უჭირავს და ესოდენი მარადუმხორები დაუხოცია. რომ რიცხვი არ შეიგება. იმ ჟამად რადი-ნარაც მოვიდა, ხელთა დასტაჩუბი ეჭირა. საჰმანმა დევის ენით დაუძახა: მოდი, შარიბ-შაჰას იახელო, ეს ბერი კაცი რომ დგას, შვიდის იყლიმის მპყრობელის უშანგ-შაჰას უფროსი ძმა არისო და ყარამანის ბატონიო და ესე ბანოვანნი უშანგის დედოფალნი არიანო. რა რადი ნარამ გაიგონა, თვისი დასტაჩუბი წელში ჩაიჩუო, მივიდა და შარიბ-შაჰას ხელსა აკოცა. და შემდეგ საჰმანმა მოახსენა, რადი ნარა აქ გახლდეთ და მე წავალ, ფალავანს ვიახლებიო.

საჰმანმა მიმავლობაში ნახა, რომ მთაში მყოფი ლაშქარი დიდად

დაძებუნებულნი იყვნენ მტრისაგან. საჰმან ჰაერიდამ ჩამოვიდა და იმ ლაშქარში მივიდა. და მაღალის ხმით შესძახა: მე ვარ სააბყირან ყარამანის ყული, საჰმან-ადამიანთ მონათესავე, ჩემის ხელიდგან საღ გარდაიხვეწებითო?! გაერივა მარდუმხორებში და ერთს წამზედ დაფანტა, დახოცა და ამოწყვიტა, ჯადოს მანქანებამ საჰმანს ვერა ავნო რა რა ერანთა ფალავანთა ესე საქმე იხილეს, დიდად გაჰკვირდნენ.

იმჟამად რა შარიბ-შაჰამ აჰანგ დასტ აიარი სწრაფლ გაუგზავნა და საჰმანის ვინაობა აცნობა ერანთა ფალავანთა და უთხრა, მიზარებია თქვენთვის. ნუ გეშინიანო, რომ ყარამანის ყული საჰმან-ადამიანად არისო. რა შარიბ-შაჰას გაგზავნილი კაცი იხილეს, სულ ყველანი შეიყარნენ და ციხის ამბავს ჰკითხავდნენ. შემდეგ ციხისაკენ მიიხედეს, ნახეს, რომ სიმხიარულისა და კიჟინის ხმა ცამდის აღიწეოდა და მარდუმხორების შეწუხების ხმა დიდად გამრავლდა. რა ესრეთი საკვირველება ნახეს, დიდად გაოცებულნი უყურებდნენ. იმჟამად ნახეს, რომ ყარამანი ერთს მაღალს ალაგს ავიდა. ნახა, რომ საჰმანს და რადი ნარას იმ ციხეში მყოფნი სულ დაუხოციათ და გარდმოუყრიათ და ციხეში მტერი აღარ დაუყენებიათ. ციხეში მყოფნი ხელმწიფენი თუ დიდებულნი თუ მკირენი, მაღლისა ხმით ამას იძახდნენ ყოველნი სულნი; მშვიდობა შენი მოსვლა, სააბყირანო! დიდად მხიარულობდნენ.

რა ყარამანმა ესრეთ ნახა, თაჯახანის მხრისაკენ შეიხედა, ნანა რომ, ციხის პირისპირ, ოთხმოცდაოთხის მწყურთის სიმაღლის მქონებელი, ერთს მაღალს საშინელს სპილოზედ შემჯდარა და ხელთა ერთი დასტაჩუბი უჭირავს და ციხის კარისათვის შემოუკრავს და ნახევარი ჩამოუქცევია და ლამის შიგნით შესვლას აპირებს. აგრეთვე მეორე მხარეს შეხედა, ნახა რომ ჰაერში ას სამოცის მწყურთის სიმაღლის მქონებელი ოპყალი ჯადო ერთს შვიდ თავიანს ვეშაპზედ შემჯდარა და თავის ამართულ ძელებთან უბძანებია ჯალათებისათვის. რომ უწინ უშანგ-შაჰ ჩამოჰკიდეთო, ამისთვის, რომ მაგასად დიდრონი ხელმწიფენი ჩამოუკიდნიაო. რა ყარამანმა უშანგ-შაჰ თავშიშველი და მაგრა შეკრული ნახა, სიცოცხლე აღარ დარჩა, მწარის მრისხანებით კანკალი დაიწყო. შემდეგ თავის ექვსფეხოვან მხეცს უთხრა: ჩემო საყვარელო და სასურველო. დღეს ის დღე არის, რომ სამოცდათორმეტი ხელმწიფე აქ არის შემოყრილი და ქვეყანაში შენი სახელი უნდა გამოიჩინო, ყველა დიდებულნი აქ არიანო ზღვისა და ხმელეთისა, ყაფის მთისა და ბნელეთისა, ფერისა და ჯინისტინისა,

სხვისა და სხვისა დიდებულნი და მცირენი, იმრიგად უნდა გაისარჯო, რომ ყოველნი გააკვირო, მცირენიც და დიდებულნიც.

ესე თქვა და ღვთის სახელი-ასეთის შალალის ხმით შეჰყვირა, რომ ოთხსა აღაჯუზედ ოთხსავე კუთხეზედ გაისმა. ცამა და ქვეყანამ სულ ზანზარი დაიწყო. უმანგ-ბათის ციხემ რყევა შექმნა და რამდენიმე ალაგი გარდაიქცა. ჯადონი რომ ჰაერში იღვნენ და გრძნებას მოქმედებდნენ, იმ ხმის შიშისაგან ყველანი ძირს ჩამოცვივდნენ, მრავალთა სპილოთა და ცხენთა ქვეშე დაიხოცნენ, რომელიც ას ორმოცი სპილო ციხეზედ იერიშად მიეყვანათ, იმ ხმის შიშისაგან დაფრთხნენ და უკან გაიქცნენ და იმ დასტა-დასტა მდგარს ჯარში გაერივნენ. იმჟამად ყარამანის საჯდომმა პირი დაალო და ასეთი საკვირველი ხმები გამოუტევა, რომ მსმენელთა ჰკუა მიეფანტათ. იმის ხმა არაფრის ხმას არ ემსგავსებოდა, ათ-რიგი მხეცის ხმა გამოუტევა იმის ყვირილის ხმა ესეთის საშინელი ხმა იყო, რომ მსმენელთა ეგონათ. შვიდნივე მთანი მიწას დაეცნენო. ამ ყარამანის შესუფთაბარისაგან სპილონი დასტა-დასტად ეძგერნენ სინდებსა და მრავალი ფეხქვეშ ამოწყვიტეს. დასტები დაშალეს. იმ მხეცის ხმაზედ ოპყალი ჯადოს ცნობა დაეფანტა და თვისის ვეშაბით ძირს ჩამოვარდა, დიდხანს გონებადაკარგული ეგდო.

რა ყარამანმა ოპყალი ჯადო უცნობო იხილა, შემოსძახა დიდის ხმით: მე ვარ ყარამან ყათილი სააბყირანიო და შენის ძმის ფალანგსარის მკვლელიო! წყეულო, ჩემის ხელიდამ საით გადაარჩენ შენს თავსაო! და უნდოდა, რომ გულშემოყრილისთვის ერთი ლახტი დაეკრა და მიწასთან გაესწორებინა: მაგრამ იგი მრისხანე გული დაიმშვიდა და თქვა: დღეს აქა ფერიანი, დევნი, ჯინნი თუ კაცნი უეცრად არ მომიკლავსო და ვინც დამმორჩილებიო, შემიწყალებიო და ვინც გამქცევია, აღარ მიდევნიაო. დღეს სამოცდათორმეტი ხელმწიფენი აქ არიან შემოყრილნი, ამათ არც ერთს ერთმანერთის ენა არ ესმოდათ, ჩემის ხელით დავიმორჩილე და აქ მოვასხი მე ესენი, ზღვიდამ ხმელეთიდამ. და ასეთი მთილამ მოვასხი, რომ აღამიანის სახელი არ გაეგონათ, აქ შემოვკრიბეო და ესეც მინდა, რომ ჩემი სახელი სამოცდათორმეტ ხელმწიფესთან და ლაშქართან სააბყირანად გამოვაჩინო. მე მინდა, რომ ვიდრე ქვეყანა არის, მეორედ მოსვლამდის ჩემი სახელი და ვაჟკაცობა გამოვაჩინო, რომ ჩემს უკან ვინც სააბყირანი გამოვიდეს, ჩემი ვაჟკაცობა ძეგლად ააშენონო, და ჩემს უწინ ასეთი სააბყირანი არ ყოფილაო, რომ მე მისსა კვალს შევდგომოდო.

ახლა რომ ეს წყევული გულშემოყრის დროს მოვკლა, რაც სახელი მიქმნია, ყველა გამიფუჭდებაო და არც ვაქცაეცობის ნიშანიაო.

ოპყალი ჯადოს ეშმაკობით გაქცევა სწაღდა, მაგრამ ყარამანმა ხელი მიპყო. თვისსა ქამანდსა და მსწრაფად თვის ექვსფეხოვანს ქუსლი შემოპყრა და ის ქამანდი შესტყორცნა და ოპყალი ჯადოს კისერზედ გარდააცვა. მოზიდა ქამანდი და იმ გრძნებით შექმნილს ვეშაპიდამ ჩამოაგდო და თრევით მოიტანა თვისთან. მაპლაილ აესარ აიარი მსწრაფლად მივიდა ოპყალი ჯადოსთან და ერთი ძალიან სილა შემოპყრა და ორივე ხელები მაგრა შეუტყრა. შემდეგ ყარამანმა „ის-მიაზამის“ ლოცვით მაგრა შეაკერევიანა. შემდეგ იმ ძელებთან მყოფთ მარღუშხორებს შეუტივა, დაფანტა და ამოწყვიტა. რა ყარამანმა უშანგ-შაპ ნახა, თვის ექვსფეხოვანის ცხენილამ ჩამოხდა და პირ-მიწა-გაერთებით თაყვანი სცა და ხელსა აყოცა. მსწრაფლად მკლავები გაუხსნა, შემდეგ მივიდა, ხუთას სამოცდასამნი ხელმწიფენი და ფალავანნი რომ იყვნენ შეპყრობილნი, იმათ ხელები დაუხსნა. შემდეგ საპმან და რადი ნარა მოიპყრენ მსწრაფლად ციხეში მყოფ სპასალარებთან და ერან-თურანის ფალავნებთან, ნახეს, რომ შარიბ-შაპას თვისი ძმის ცხენი და იარაღი ხელთ ეჭირა. საპმანი და რადი ნარა წინ გაუძღვნენ და უშანგთან მიიყვანა. ნახეს, რომ უშანგ-შაპ და სხვანი ერანის ფალავნები ყარამანის ხმისაგან უცნობო შექმნილიყვნენ და ჯერეთ გონებას ვერ მოპყებოდნენ.

რა მცირეს ხანს უყან უშანგ-შაპ გონებასა მოეგო, ნახა, რომ იგინი სრულად განუდევნიათ და შორს გასცლოდნენ და თვისი თავიცი ნახა ტუსაღობილამ განთავისუფლებული. დიდად გაოცებულმან თქვა: გმადლობ შენთვის, ღმერთო, რომ ამისთანა საშინელს და საზაროდღესა მტრის ხელილამ დაგვიხსენო! ხუთას სამოცდასამნი მეფენი და ფალავანნი ვიყავით დაპყრილნი და შეკრულნი. ჩვენის თავის იმედი ვინ იყო, რომ ამისთანა ჟამზედ მოგვეხმარაო? რა შეხედა, ნახა, რომ ორმოცდაცხრა მწყურთის სიმაღლის მქონებელი ვეფხვებრ კისკისით ასეთი ფალავანი დგას, რომ არასდროს იმისთანა ფალავანი თვალთაგან არ ნახულა, სამოცდაოთხის იარაღით შექურვილი. ისეთი იარაღი აქვს, რომ თვითო იარაღი შვიდ-შვიდ წელიწადს ხელოვნებს ძლივ გაუყეფებინებიათ. ქეიმურაზ ხელმწიფის მუზარადი ნახა, რომელსაც შინა ფარამანია ბარყუშის ფრთები ჯიღასათის აქეთ-იქით ერქო და იმ ფრთის წვერები მურასად გაკეთებული იყო, იგი ფრთა ესრეთ გრძელი იყო, რომ წელამდის ჩამოსწვდებოდა, მაგრამ ესრეთ

მურასად იყო შექმნილი ის ფრთა, რომ მცირე მზე რომ მისდგომოდა, კაცსა ათას ფერად ეჩვენებოდა. რა ქვიშურაზის ლახტი და ქამარი და სხვა იარაღებიც იხილეს, ერან-თურანელთა მისის ბრწყინვალეებისაგან თვალი ვერ გაუმართეს და ვერცა მისი ვინაობა იცნეს. ამ ჩვიდმეტს წელიწადში ყარამანსა ასეთი მშვენიერი სახე დასდებოდა, რომ ყოველნი მისსა ეგეთსა მშვენიერებას განცვიფრებულყვნენ.

რა უშანგ-შაჰამ იგი ყარამანის საჯდომი მხეცი ნახა, იცნა, მაშინვე ბძანა: ეს გულოვანი ფალავანი ყარამან ყათილი სააბყირანი არისო! რა ესრეთ გაიცადა, ხელები გაშალა, ყარამანისაკენ გაიქცა და უთხრა: შეილო ყარამან ყათილო, ვმადლობ ღმერთსა, რომ კიდევ ჩემმა თვალებმა შენი სახე იხილაო! გარდაეხვია და თვალებზედ აკოცა და ყარამანმა ხელსა აკოცა. ყარამანმა საჰმანს, რადი ნარას და ჰეილან ავსარს ანიშნა და მაშინვე ოჰყალი ჯადო შეკრული ხელმწიფის წინაშე მოიყვანეს. რა ხელმწიფემ ოჰყალი ჯადო ხელშეკრული იხილა, ღმერთს მადლობა მისცა. რა ხელმწიფის ძმამ შარიბ-შაჰამ ყარამანი დაინახა, ჩვიდმეტს წელიწადში ესეთი ფალავანი შექმნილიყო და მშვენიერი სახე დასდებოდა, რომ ქვეყნის ფალავანი მასთან ერთს მცირეს მიწას ემსგავსებოდნენ, შარიბ-შაჰა ატირდა, მივიდა, ყარამანს გარდაეხვია და უთხრა: ვმადლობ ღმერთსა, რომ ცოცხალმა კიდევ შენი ლამაზი სახე ვიხილეო! ესე თქვა და ორსავე თვალებში აკოცა და ამოიხრა, ატირდა და უთხრა: შეილო ყარამან, სად არის ქვეყნის მშვენებით აღმატებული ქვეყანაში და ინდოეთში, მრავლის ხელოვნების მკმნელი, ჩემი შეილი, შენი მოადგილე და შენებრ ომში მებრძოლე, შეიდის იყლიმის ხელმწიფის მოედანზედ მრავლის სახელების გამომჩენი, ხოსროვშირი? რაც შენ ყათის მთაში წასულხარ, მელა-მგელმა თამაშობა დაიწყეს მოედანს ზედაო, ესე თქვა და თვალთაგან ცრემლები გარდმოყარა: ახ, შეილო ჩემო საყვარელო ხოსროვშირ, დღე და ღამე შენგან საგონებელი ყარამან ყათის მთილამ მოსულა და შენ სადღა ხარო? რა ესე თქვა უცნობო შეიქმნა.

რა ერანელთა ფალავანთა ხოსროვშირის სახელი გაიგონეს, დიდის მწუხარებით ყველამ თვალთაგან ცრემლნი გადმოიღინეს. ამ სიტყვასა ზედა უშანგ-შაჰაც შეწუხდა და გულთ შემოეყარა. შემდეგ ყარამანმა რადი ნარას და მაჰლაილ ავსარს უბრძანა: წადით და იმ ტახტზედ მსხდომნი სინდისტნის ხელმწიფენი ხელშეკრულნი მოასხითო. შემდეგ საჰმანს უბრძანა: ოჰყალი ჯადო აჰანგ დასტა აიარს მიეცი და შენ წადი ყარამიჯინი შეპყრობილი მოიყვანეო. საჰმანმა ოჰყა-



ლი ჯადო აპანგ დასტა აიარს მისცა და თვით ყარამიჯინისაკენ წარვიდა. ნახა, რომ ყარამიჯინს რამდენიმე მარდუმხორები შემოუკრებია და ერთის მხრისაკენ გაქცევას აპირობს, და ციხეში მყოფნი ვინცა ვინ არიან, კაცნი თუ ღვთაყაენი, ყოველნი ერთი ხმით ციხიდან გარდმოიძახიან, უშველეთ, ყარამიჯინი გაიქცაო, ნუ გაუშვებთო! ამჟამად ნახეს, რომ თავიანთ მომშველელი და მარდუმხორების ამომწყვეტი საჰმან ადამიხად განრისხებულს ვეშაპსავით ყარამიჯინს წინ გარდაუდგა. რა ციხეში მყოფთა ესე იხილეს, დიდს სიხარულით უყურებდნენ.

რა ყარამიჯინმა საჰმანი დაინახა, სპილო მიქუსლა და საჰმანს თვისი მძიმე დასტაჩუბი მოუქნივა. იმ ციხეში მყოფნი დიდად შეწუხდნენ და თქვეს: ვაჰ, თუ ამ წყეულმა საჰმანს ავხოს რამეო. საჰმანმა მას მოქნეულს დასტაჩუბს თვისი ას ოთხმოცდობრიანი ნაჯახი შემოჰკრა და რამდენიმე ხანჯლები და ჯაჭვები დასწყვიტა და ის დასტაჩუბი ზურგსა მოხვდა. მაგრამ ვითა მცირე ჯოხი დაუკრავსთ, ისრე არად შეიმჩნევა. ყარამიჯინს ეწადა, რომ სწრაფად გაეგლო და გაქცეულიყო. რა საჰმანმა ესე იხილა, წამოეწია და თვისი ნაჯახის ჯიგლიგი ზურგსა ესრეთ წაჰკრა, რომ ცხვირ-პირიდან სისხლი წასქდა, თვალთ დაუბნელდა და ძირს გარდმოვარდა. საჰმანმა ორივე ხელები მაგრად შეუკრა, ჯაჭვი ყელზედ მოაბა და უშანგ-ხელმწიფესთან მოიყვანა. ამჟამად რადი ნარამ და მაჰლაილ ავსარმა, ქეთან-შაჰა, სარჯანი ჰინდი, უურგან-ბელანდ-ჰამანი და სხვანი სინდისტნის დიდებულნიც ხელ-შეკრულნი თავიანთ ტახტით და სპილოებით უშანგ-შაჰას წინ მოასხეს. რა სინდისტნის ფალავნებმა ყარამან დაინახეს, უნამეტნავესის შიშისაგან სიცოცხლე აღარ შერჩათ და დასტად დასტად გაიქცნენ. უშანგ-შაჰას ლაშქართა იმ დროს ჟამი დაიცეს. გაქცეულს მარდუმხორებს დაეროვნენ და სულ კუდით ქვა ასროლინეს.

მაშინ მარდუმხორებმა და სინდელებმა ნახეს, რომ ჰაერიდამ შავი ღრუბელი გამოჩნდა. რა იგი შავი ღრუბელი იხილეს, ერანელნი დიდად შეშინდნენ და სთქვეს: ვაჰ, თუ სხვა უარესს განსაცდელში ჩავცვივდეთო. მსწრაფლ გამობრუნდნენ და საცა უშანგ-შაჰა და ყარამანი ბრძანდებოდნენ, სულ ყველანი იმათთან შემოიკრიბნენ... რა ხოსროვშირის დედამ ყარამანი დაინახა, თავპირის ცემით და დიდის ტირილით მოვიდა, ყარამანს გარდაეხვია და უთხრა: შვილო ყარამან. სად არის ჩემი საყვარელი ხოსროვშირ, რომ შენ და იმას ერთად არ

კიყურებთო? რა ყარამანმა ესრეთი მწუხარების ხმა გაიგონა, აღარ დააცალა, მსწრაფლად მივიდა ხელსა აკოცა და მოახსენა: ბანოვანთა თავო, ნუ შეწუხებულხართ, შენი შვილი ხოსროვშირ ფალანგსარ ჯადოსაგან მოვარჩინეო. სხვანი ფალავანნიც, რომელნიც აქ ჯადოს ჰანქანებით შეეპყრათ, ყველანი ღვთით მშვიდობით არიან, იგინი და სხვა ჩემნი ლაშქარნი ერთად მოვლენო. სხვაც ბევრი რამ მაქვს მოსახსენებელი, მაგრამ როდესაც ღვთის მოწყალებით დრო იქმნება, მაშინ მოგახსენებო.

რა შარიბ-შაჰამ, ერენელთა და თურანელთა ფალავანთა და ბანოვანთა ყარამანისაგან ესე მოისმინეს, უზომოსა სიხარულსა მიეცნენ. ყველამ ყარამანი ღმერთსა შეავედრეს და დიდი ქება შეასხეს. ყარაჰანმა საჰმანს უბრძანა: ყარამიჯინი და ოჰყალი ჯადო უშანგ-ხელ-ჰფიფესთან მოასხითო, რა ყარამიჯინი, ქეთან-შაჰა სარჯანი ჰინდი, ჯურგან-ბელანდ-ჰამანი, ოჰყალი ჯადო და სხვანი სინდისტის დიდებულნი და ფალავანნი ხელშეკრულნი და ტყვედ უშანგ-შაჰასთან პოყვანილნი დაინახეს, ერანელთა ღმერთს მადლობა შესწირეს. ყარამიჯინმა დიდად განრისხებულმან ერთი ძალიანი შეჰყვირა, გაიწია და იგი ჯაჰვი, რომლითაც შეკრული იყო, დაღეწა და ყარამანს შემოუტივა. ყოველთა იქ მყოფთა ფალავანთა ყარამიჯინისა ესრეთი ვულოვნობა დიდად გაიკვირვეს. რა ყარამანმა იხილა, რომ ყარამიჯინმა ჯაჰვები დაწყვიტა და მას შეუტივა, ესრედ განრისხდა, რომ შისი გულის ძგერის ხმა ოთხას ალაჯსა ისმოდა. ტანის ბალანი აეშალა და ჯაჰვში და ჯაეშანში ისრებსავით დაეჩარხნენ. ამ პირველს უშანგ-შაჰასთან შეყრილობაში ყარამიჯინის სითამამე ყარამანმა დიდად ითაკილა და ისრეთის მრისხანების თვალთ შემოხედა, რომ ყარამიჯინისთანა ფალავანმა ყარამანის ესრეთს მრისხანებით შემოხედვას ველარ გაუძლო, გონება მიეხადა და აირქვე მიწასა დაეცა. მაგრამ ყარამანის მრისხანება არც თუ მაშინ დასცხრა, ორივე თვალი მრისხანებისაგან ცეცხლებრ უელეებდა და ვერა რომელმან შებეღ სიტყვის მოხსენება.

რა მრისხანებისაგან დასცხრა და ნახა, რომ ყარამიჯინი გულთ შემოყრილი გდია, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ნახა, რომ საჰმანს ყარამიჯინის მაგრად შეეკრა ნებავს. ყარამანმა შემოსძახა: დაეხსენ ჰაგ წყეულსა, ვნახოთ, რა შეუძლიანო. რა ყარამიჯინი გონებას მოეკო, ზე აღზდგა და ესრედ შეშინებულყო, რომ შემოდგომის ფურცელსავით თრთოდა; აქეთ იქით მიიხედ-მოიხედა, ყარამანი და იგი

საჰმან დევი დანახა და სხვა დევებიც ხელმოქდობილი ყარამან: უყურებდნენ. იგინიც ესრედ განრისხებულნი იყვნენ, რომ თუ ყარამანს ებრძანა, ერთის თვალის დახამხამებაზედ მიწასთან გაასწორებდნენ. რა ყარამიჯინმა ყარამანის ესრეთი მოწყალება ნახა, დიდად გაუჟვირდა და სთქვა: ესრეთი მოწყალება თუ არ სააბყირანი: საგან, სხვა არავისგან არ იქმნებოდა, რაც მე ამან დამითმოო. მსწრაფლად მოვიდა, ყარამანის წინაშე პირი მიწაზედ დასდვა და თავის დანაშაულის მიტევებას ევედრებოდა. მიბრუნდა და უშანგ-ხელმწიფე დალოცა, შემდეგ ცალს მუხლზედ დაიჩოქა და ყარამანს მოახსენა: ჰე, სააბყირანო! უბრძანეთ, თავი გამაგდებინონ, რომ სხვათა უმეცართა შენისთანა ფალავანზედ ესე ვითარი არ იკადრონო.

რა ყარამანმა მისგან ესრეთი მხურვალე ვედრება მოისმინა, შეიწყალა. მივიდა, ზე ააყენა და კისერზედ ხელი გარდასდვა და უშანგ-შაჰასთან მიიყვანა. ყარამიჯინმა უშანგს და შარიბ-შაჰას ხელსა აკოცა. შარიბ-შაჰამ იგი თვისს სარწმუნოებაზედ მოაქცია, კერპობაზედ ხელი ააღებინა და საბაოთ ღვთის მლოცავი გახადა. შემდეგ ყარამანმა საჰმანს უბრძანა, ერთი მურასა მძიმედ შეკაზმული ცხენი მოაყვანინა. უშანგ-შაჰას შვიდკუთხიანი თაჯი თავსა დახურეს და სახელმწიფო ტანისამოსით შემოსეს. შემდეგ ყარამანი მივიდა, მხარსა შეუჯდა. იყვანა და ცხენსა შესვა. საჰმან, რადი ნარა და მაჰლაილ ავსარი უშანგ-ხელმწიფეს წინ გაუძღვნენ. შემდეგ შარიბ-შაჰაც ცხენსა შესვეს, ვინცა ვინ პყრობილი იყვნენ, სამოცდასამნი ხელმწიფენი, ხუთასნი დიდებულნი და ფალავანნი, უშანგ-შაჰასთან განთავისუფლებულნი, ყველანი ცხენებზედ შესხდნენ.

სააბყირანიც თვისსა ექვსფეხოვანს ზღვის ნადირსა შეჯდა და იმ სამს დევთა უბრძანა, ოჰყალო ჯადო, ქეთან-შაჰა, სარჯანი ჰინდი. გურგანი და სხვანი სინდისტნის პყრობილი დიდებულნი უშანგ-შაჰას წინ გაუძღვარეთო. და მათაც ბრძანებისამებრ ყოველნი ხელმეკრულნი წინ გაუძღვარეს. მარჯვენას მხარეს სამოცდათორმეტის მწყურთის სიმაღლის მქონებელი რადი ნარა დევი მოზღვედა თვისის მძიმე ლახტითა. მარცხენას მხარეს ოთხმოცდაცხრის მწყურთის სიმაღლის მქონებელი მაჰლაილ ავსარი მოსდევდა, შვიდი თავი ება, მხარზედ ერთი უცხო დასტურჩუბი ედვა, ამ დასტურჩუბს ჩვიდმეტი ჯინჯილი ება, იმ ჯინჯილების ბოლოზედ ხუთას-ხუთას ლიტრიანი ბურთები ება. ხელმწიფეს წინ საჰმანდ ადამიზად მოუძღოდა სამოცდათხუთმეტის მწყურთის სიმაღლის მქონებელი იყო, ხელთა ოთხმოც

ლიტრიანი ნაჯახი ეჭირა, მეორეს ხელით ოპყალი ჯადო ეჭირა და ესრეთის ყოფით მიუძღლოდა ხელმწიფეს, რომ მნახავთათვის საზაროდ კმა იყო. ყარამანი და სხვანი ხელმწიფეს აქეთ და იქით მისდევდნენ და ისრეთის დიდებით მიჰყვანდათ. მრავალი ჯადოს ლაშქარში შეეპყრათ და წინ მიჰყვანდათ, მრავალნი სულნი ოპყალი ჯადოს სხვა დასხვა სახედ გარდაეჭკია. ჯადოს მანქანებით, ზოგნი ნადირად და ზოგნი ფრინველად.

რა მათ ყარამანი დაინახეს, მოვიდნენ და ოპყალი ჯადოსაგან შესჩივლეს. და რა იგი ბილწი შეკრული ნაბეს, ერთობით შეუტივეს, უნდოდათ, რომ ოპყალი ჯადოსათვის ევნოთ რამე, მაგრამ ვერა შეეძლოთ რა. ხან ოპყალი ჯადოს შეუტევდნენ და ხან ყარამანთან ტირილით მოვიდოდნენ, პირს მიწაზედ უსკამდნენ, თავიანთ თავზედ მტვერს იყრიდნენ და ოპყალი ჯადოს სიკვდილს ევედრებოდნენ. იმჟამად უშანგ-შაჰის სალა-ფარდასთან მოვიდნენ. ყარამანმა ნახა, რომ იქ რამდენიმე ფალავანნი დაჭრილნი იწვნენ. ამაზედ დიდად შეწუხდა და ისრეთის თვალით შემოხედა ოპყალი ჯადოს, რომ შიშით გულის გახეთქას მცირედა უკლდა. რომელნიც ერანელნი ფალავანნი ან სხვანი იყვნენ, დიდის დიდებით იახლნენ. უშანგმა ბრძანა იმ ციხის პირისპირ სახელმწიფო კარავის დადგმა. მაშინვე ორმოც-კუთხიანი კარავი დადგეს, იმ კარავში ერთი სახელმწიფო ტახტი დადგეს, რომელსა ოცდაათობმეტი ოქროს ფეხი ჰქონდა. იგი ტახტი მძიმის ფარჩით დაფინეს და მზის საჩრდილოდ თავს სახელმწიფო ქოლგა დაადგეს. იმას უკან ოთხას ოთხმოცდაოთხი ვეზირის სკამები დადგეს, ამასთან სამასი სამუნაჯიბო სკამები დადგეს, მარჯვენა და მარცხენა, შვიდთა იყლიმთა ხელმწიფეების სკამები დადგეს, სამოცდასამი სკამი სხვა დადგეს სხვათა დიდებულთათვის, ესენი სულ მურასად იყო. ამათ გარდა შვიდასი ოქროს სკამები დადგეს ხელმწიფის შვილებისათვის. რვაასი ვერცხლის სკამები დადგეს სპასალარებისათვის. ათას სამასი ფოლადის შექმნილი სკამები დადგეს ფალავანებისათვის.

რა ყოველი ესრეთ გააწყეს და მორჩნენ, ყარამანმა საჰმანს უბრძანა: უშანგ-ხელმწიფის ტახტის მარჯვენა მხარეს ორი ტახტი დადგითო, ერთი რაჰინდისათვის და მეორე ჯიბილ გაბარის სულთანისათვის. ამათთან ერთი მურასა ტახტი ფერიათ ხელმწიფის შაჰვალ-შაჰისათვის. ამას გარდა უშანგ-ხელმწიფის ტახტის მარჯვენა მხრისაკენ ქვევით, შვიდი ტახტი დაადგმევინა ჯინისტინის ხელმწიფე-

თათვის. მარცხენა მხარეს თორმეტი ტახტი დადგეს ბნელეთის ხელ-  
მწიფეებისათვის. ამის გარდა ყარუნ-შაჰს თილისმიდამ გამოყვანილს  
თორმეტის დევებისათვის თორმეტი ტახტი დაადგმევინა. ამას გარდა  
ქუი-ქაბუთის სულთანის ანგურდევისა და ქუი-სურხაბის სულთანის  
ანყაფუზ დევისათვის თითო ტახტი დაადგმევინა. ამას გარდა სხვათა  
დევთა და ფალავნებისათვის ფოლადის სკამები დადგეს, სხვაც კი-  
დეუ მრავალი სკამები დადგეს.

რაღა გრძლად მოგახსენოთ, ესრე კარგად გააწყეს ყოველივე რომ  
კაცის გონება ვერ მისწვდებოდა. ხელმწიფის ტახტის უკან უცხო და  
უცხო ტახტები დადგეს ბანოვანთათვის. იქ მყოფთა დიდებულთა დი-  
დად უკვირდით, ყარამანს რად უნდა ამდენი ტახტები და სკამებიო?  
რა ყოველივე ესრეთ გაარიგა, მხეცილამ ჩამოხდა, ყარამიჯინიც ჩა-  
მოხდა. მივიდნენ და უშანგ-შაჰ ცხენილამ ჩამოახდინეს, მარჯვენა ხე-  
ლი ყარამანს ეჭირა და მარცხენა ყარამიჯინსა და ესრეთის დიდებით  
ტახტზედ აღიყვანეს. შარიზ-შაჰაც ტახტზედ აიყვანეს და დასვეს.  
ყარამანიც თვისსა ბედნიერს საფალავნო სკამზედ დაჯდა. შემდეგ  
ერანელნი და თურანელნი სპასალარნი, დიდებულნი და ფალავანნი  
თავ-თავიანთ განწესებულს ალაგს დასხდნენ. თორმეტი ათასნი ოქ-  
როს ქსოვილით მურასად მორთულნი მსახურნი ხელმწიფეს თავს  
ადგნენ ჩვეულებისამებრ, ვით უშანგის ხელმწიფობას ეკადრებოდა.

იმჟამად ნახეს, რომ ჰაერიდამ ოცდათხუთი დიდრონი ღრუბელი  
გამოჩნდა, ესრეთ რომ აღმოსავლეთით და დასავლეთით აღარა  
იხილვებოდა. მათმა სიმრავლემ მზის სხივი დაჰფარა. სადაც უშანგ-  
შაჰს ლაშქარი იდგა, იქით მომართეს და ლაშქარმა ჰაერიდამ მიწა-  
ზედ ჩამოხდომა დაიწყო. იმათი ხშიანობა ცის ქვეყანაზედ დაცემის  
ხმასა ჰგვანდა. იქ მყოფნი ერანელნი დიდს შიშსა და მწუხარებას  
მიცნენ. ჰაერში ყურება დაიწყეს და მრავალი რიგი საშინელი სანა-  
ხავები ნახეს. დიდრონი მინარის მსგავსნი დევები, რომელნიმე ლო-  
მის თავიანი, რომელიმე ვეშაპის თავიანი, სხვისა და სხვის მხეცების  
მსგავსნი. ყოველნი თითო ნადირზედ შემსხდარიყვნენ და მოვიდოდ-  
ნენ. ერანელნი და თურანელნი ვინცა ვინ იქ იყვნენ და მათ ხედვიდ-  
ნენ, დიდსა შიშსა მიეცნენ, არამც ესენიც ჯადოთ ლაშქარნი იყვნენ  
და ავს ფათერაკს ხელმოკორედ მიგვეცნო. შემდეგ თუმცა შეიტყეს,  
რომ ყარამანის ლაშქარნი იყვნენ, მაგრამ დევთაგან კიდევ იმიშვიდ-  
ნენ, ვაითუ ამათგან გვეცნოს რამეო.

რა ყარამანმა ერანელთა და ხელმწიფეების ისრეთი შეშინება იხი-

ლა, მაშინვე ზე აღზდგა, ხელმწიფესა და დიდებულთა მოახსენა: თქვენ იმათგან ნურას იშიშვით, ის შავი ღრუბელი რომ ჩანს, დევთა ორთქლია და ესე ხმები მათის ფრთების ქნევის ხმა არისო. იქ ოცდა-ოთხჯერ ასი ათასი დევისა, ჯინისა და ფერიის ლაშქარი არის. ღვთის შეწევნითა და ხელმწიფეო, თქვენის დღეგრძელობით წაველ და ესე ყოველნი ჩემის ხმლით დავიჭირე და მრავლის ცდით დავი-მორჩილე, ჩემთვის შესაწევნელად და თქვენს მონად გავხადე. იმათ-გან ასეთი ხათრიჯამი ვარ, რომ ჩვენის მტრისა მტერნი არიან და მოყვრისა-მოყვარენიო. იმჟამად ოცდაოთხი სახელმწიფო ტახტი გუ-მოჩნდა, თვითო-თვითო იყლიმის ხარაჯით იყო გაკეთებული. მისებ-რი ხელოვნება კაცს თვალით არ ენახა. მოვიდნენ და იმ ალაგს ჩა-მოხდნენ. ერან-თურანის დიდებულნი სრულებით შეიკრიბნენ, დას-ტა-დასტად დაეწყვნენ და იმათ თამაშას უყურებდნენ. ლაშქართა და ციხეთა შინა მყოფთა დიდი სიხარული და ხალარის ცემა შეექმნათ. მეორედ მოსვლის დაფის ცემის ხმას ემსგავსებოდა. ყოველი სული იმას ნატრობდა და ხარობდა, ყარამანი ყაფის მთილამ მოსულა და ახ-ლა რა რიგი სახის ფალავანი შექმნილათ, ის ვნახოთო, მისს შეენება-სა აღმოსავლეთილამ ვიღრე დასავლეთამდის განუნათლებიაო.

იმჟამად ყარამანმა საჰმანს უბრძანა: შენ წადიო და ყაფის მთი-ლამ მომავალნი ჯარნი მიწაზედ ჩამოახდინეო და ყველანი ხელმწი-ფენი თვისის დიდებულებით ხელმწიფე უშანგ-შაჰას იახლონო. პირველად უშანგ-შაჰას მამა მუჰლეილან-შაჰა, შემდეგ ამათთან ხოს-როვეშირი, ზოაქ ნოვეჯოანი, ბარამ ასფარელი, ზორაბ სისტანელი და ყანთურ დევი შირსარი ოცი ათასის ქუი-ათეშის დევებითა, ჯიბილ-გაბარის სულთანი, ბაჰმან-შაჰა, ყათრანი, ბარამ ჯიბილი, გარდანქე-შანი აჰანგის ციხისაგან აქვან ნარა, ჯინისტნიდან დახსნილი შვიდასი ადამიანთ ფალავანნი, კიდევ დევთაგან საჰმან ნარა, ბაჰთარი მოეთის ზღვის გამოყვანილი ბერი დევი, ოცი ათასი ქუი-სამავათის დევები მოვიდნენო, ამასთან ქუი-სურხაბის ციხილამ, ოკიანეს ზღვის ძირილამ რომ დევები გამოვასხი, იმ ზღვის ქალაქში რომ ვიყავი და მრავალი უცხო სანახავები ვნახე, იქილამ ბროლით ქმნილი სახლი რომ გამო-ვიტანე, ისიცა და სარვიხურამანის დედა ბერთან-ბანო, უშანგ-შაჰის დედა სეფი ბანო, უშანგ-შაჰის ცოლი დილაფრუზ, რაჰინდ, გულჩინ ბანო, სურხავარდ ზორაბ-შაჰის ცოლი, მუშთარ ბანო და აჰანგის ცი-ხილამ ქუი-სურხაბის მთაზედ ნაშოვნი ადამიანთ ქალი და შვიდასი ბა-ლი-ირამის ქალნი მოვიდნენ და იგი ბროლის სახლიც თან მოიტანო-ნო. იმათგან ხუთი ათასი ფერია, ხუთი ათასი იფრითნი, ამათ გარდა

ბნელეთის ქვეყნის ფალავანნი, სურხაბის არდევანი მოვიდეს, მუჭიდის ზღვის ორმოცნი დევნი მოვიდნენ, საფი გასწიონ და დადგნენ, ვინცა ვინ პყრობილნი ჰყვანან ან სინდისტნელნი და ან მარღუმხორნი და ჯადონი, ხელმწიფეს მოართონ. თვითონ შაჰთალ-შაჰ ოცი ათასის გულისტამის დიდებულებით ხელმწიფეს იახლოს და ყარი ხვადი დევი წინ გამოუძღვეს. შემდეგ ამასთან შვიდნი ჯინისტინის ხელმწიფენი და საბზავარის და შაჰარი ჯანანის სულთანნი სეილან-შაჰა ასთასის საბზავარის და შაჰარი ჯანანის დიდებულთა და ფალავნებთა გულისტამ-ბალი-ირამის ფალავნებით და ფერიებით მოვიდნენ, ამათთან ზორაბ-შაჰა მოვიდეს. ამათთან ქუი-სურხაბის ფალავანნი ყამთუს ხვადი დევი მოვიდეს. შემდეგ აზავჯი-მუთარი სულთანი თამუზ-შაჰ ასი ათასის ჯინითა და თვისის პყრობილებითა სეილან-შაჰის ჯარში მოიყვანონ, ოცი ათასის ჰეიათის დიდებულები და მათ წინ ჩაი-სარგათის სულთანი ყანთუზ ხვადი დევი მოვიდეს, შემდეგ ხურამაბადის სულთანი შაჰარი-გუჰრანგის ხელმწიფე ჰუმიათ-შაჰა ასი ათასის ხურამაბადის ლაშქრითა თვის ძმის თამუზ-შაჰასთან შეიყარნენ და მოვიდნენ, თვითონ ომიან-შაჰა ოცი ათასის გუჰრანგის დიდებულებითა ყველანი.

რალა გრძლად მოგახსენოთ, როგორც ყარამანს საჰმანისათვის ებრძანა, ყოველნი ესრეთ დასტა-დასტად მოვიდნენ და შვიდი იყლიმის ხელმწიფესა უშანგს ხელს აკოცეს და ყველანი თავთავის შესაფერის და განწესებულს ალაგს მივიდნენ და დასხდნენ, შემდეგ ხელმწიფემ სუფრის მოღება ბრძანა. და მოიღეს მათი შესაფერი სუფრა. რავგვარადაც მათ შეეფერებოდათ, მეჯლიში გაიწართა. რა ღვინის სმის ქეიფში შევიდნენ. ყოველი ფალავანნი ყარამანის სიკეთეს და ფალავნობას აქებდნენ. რა უშანგ-შაჰამ თვისი ესეთი დიდება ნახს. ღმერთს მადლობა შესწირა და მუნ მსხდომნი ყოველნი მოიკითხა. შემდეგ ბძანა: ქეთან-შაჰა, სარჯანი ჰინდი და გურგან-ბელანდ-ქამანი მოასხითო. მაშინვე სამნივე ხელშეკრულნი მოართვეს.

**აჰა განაკითხვა უშანგ ხელმწიფისაგან  
ქეთან-შაჰასნი, სარჯანი ჰინდისა და გურგან-  
ბელანდ-ქამანისა**

რა ხელმწიფის წინაშე, დააყენეს, ხელმწიფეს თავი დაუკრეს-უშანგ-შაჰმა შეხედა ქეთან-შაჰას და უთხრა: გწამს ცისა და ქვეყნის დამბადებელი ღმერთი, რომ ერთს კაცისათვის, რომელსაც სახელად

ყარამან ჰქვიან, ასეთი ძალი და ძლიერება მიუცია, რომ ესე ოდენი ქვეყანა დაუჭერიო და ამასთან საშინელი დევები დაუმორჩილებიო?! აწ მოვედ, შენცა შენსა ძმასავით ცეცხლის მონებისაგან ხელი აიღეო, ცისა და ქვეყნის შემოქმედი ღმერთი იწამეო და შენსავე ქვეყანასა ისევ მოგცემო. თუ რომ ერთის ღმერთს არ იწამებთ, უბრძანებ, რომ დაუყოვნებლად სიკვდილსა მიგცენო და თქვენს სახსენებელს ქვეყანაზედ ამოვაგდებო. რა ესეთი სიტყვა გაიგონა ხელმწიფისაგან, სიმშვიდისა და შერისხვის ბრძანებამ, ქეთან-შაჰამ, სარჯან და გურგანმა მაშინვე ხელმწიფის ტახტსწინა თაყვანი სცეს და მოახსენეს: ყოვლის ქვეყნის ამალღებულო ხელმწიფეო! ჩვენ თქვენი მცირე მონა გახლავართ და რომელიც თქვენი ბრძანება არის ის აღსრულდესო! დღეს წაღმა თქვენის ბრძანების მორჩილნი ვართო.

რა ხელმწიფემან იმათი დამორჩილება მოისმინა, ბრძანა, პყრობილებისაგან გაანთავისუფლეთო. წარმოდგნენ, უშანგ-შაჰას ხელსა იკოცეს. შემდეგ ბრძანა: ალაგი უჩვენეთო, თავ-თავის შესაფერს ალაგს დასხითო. მიუძღვნენ, ალაგი უჩვენეს და ესენიც მათ მსხდომთან დასხდნენ. შემდეგ ხელმწიფემ ბძანა: ოპყალი ჯადო მოიყვანეთო და მსწრაფლად მოიყვანეს. ხელმწიფემ უბრძანა: ოპყალი, მოდი ამდენს ეშმაკურს ჯადოებზედ ხელი აიღე, საბაოთ ღმერთი იწამე და შენ უვნებლად განგათავისუფლებო. რა ოპყალი ჯადომ ესე გაიგონა, ღმერთს გმობა დაუწყუო. იქამად გარდანქეშან თავს ადგა, ხელმწიფემ და ყარამანმა მისი სიკვდილი ანიშნეს. გარდანქეშანმა თავისი ბასრი ნაჯახი ესრეთ შემოჰკრა, რომ თავი ბურთივით გააგდებინა. რა იგი საძაგელი მოჰკლა, ისრეთი კვამლი ავარდა, რომ იგი ადგილი ჯოჯოხეთს დაემგზავსა. რომელნიც მისგან სხვადასხვა სახედ შეცვლილნი იყვნენ პირუტყვად, მხეცად, თუ ფრინველად, ყოველნი იქ მოვიდნენ. გარდანქეშანმა მათ ყველას იმ ბილწის სისხლი ასხურა და თვისადვე იქცნენ.

ბოლოს იგი თეთრი ძალდი მოვიდა, რა მასაც სისხლი ასხურეს და თავის სახედ შეიცვალა, ნახეს. რომ ყაზამფარ ხათი იყო. მან ხელმწიფე დალოცა, ყარამანს ქება შჰასხა, მივიდა და თავის ადგილს დაჯდა. შემდეგ ორი ფრინველნი მოვიდნენ და იმ სისხლში ბანება დაიწყეს. მათგან ისრეთი საშინელი კვამლი ავარდა, რომ იქაურობა ჯოჯოხეთს დაემგზავსა. რა კვამლი გარდასწყდა, ნახეს, რომ ერთი შირფანჯა და ერთი ასიმ აჩარნი იყვნენ. მოვიდნენ, ხელმწიფე დალოცეს და ყარამანს ქება და მადლობა მოახსენეს. შემდეგ მეჯლისი



გაიყარა. ყარამანი და სარეიხურამანი თავისსა კარავსა მივიდნენ. ყარამანმა საჰმანს, გარდანქეშანს და რადი ნარას უბრძანა, ზოსროვ-შირისა და გულჩინის ქორწილის თადარიკი ნახეთო. მათ ქორწილის თადარიკი იწყეს და მერმე წესისამებრ თავისსა ქორწილი უყვეს. ათს დღეს ლხინი და ქორწილი იყო და შემდეგ ზოსროვშირ და გულჩინ თავისსა საწოლსა წავიდნენ, და იყვნენ მარადის ლხინსა და შექცევასა შინა და არა რას მწუხარებდნენ.

### აჰა აღრაფ ჯადოს სიკვდილი და ფალავანებისა და ქალეზის გამოსხნა

იმჟამად, რა ოჰყალისა, ფალანგსარისა და აზრად ჯადოს უფროს-მა ძმამ აღრაფ ჯადომ ესე შეიტყო, მაშინვე ესე სთქვა: ვითა ჩემნი ძმანი ერთანელთაგან ამოწყვეტილანო? მაშინვე ამაღ სამტეროდ წამოვიდა, უშანგის ლაშქარში მოვიდა და გრძნებით ყათრან, ზოსროვ-შირ და გარდანქეშანი კარვებიდამ მძინარენი მოიპარა და თავისსა სამ-ყოფსა, რომელსა ცეცხლის ზღვა ეწოდების, მუნ მიიყვანა. კვალად გამობრუნდა მეორეს დღეს და შაჰთალი ფერიის ორი ქალი ხოფ-შაჰ და შუშან-შაჰ მოიპარა და ესენიც საპყრობილეში შეიყვანა. რა ყარამანმა ესე ამბავი შეიტყო, დიდს ხანს დაფიქრდა და შემდეგ სთქვა: ყოველი სიხარული დამშაამდაო. დადგა და ღმერთს მხურვალის გულით და ცრემლით ვედრება დაუწყო იმათი პოკნისათვის. შემდეგ საჰმანს უბრძანა: ეს ამბავი ვისგან გგონიაო, ან აშისი მომქმედა ვინ უნდა იყოსო? საჰმანმა მოახსენა: ფალავანო, ოჰყალი ჯადოს უფროსი ძმა ჰყავს, რომელსა სახელად აღრაფი ეწოდება, ის ჩრდილოეთის მხრისაკენ ცეცხლის ზღვაში მკვიდრობს და უეჭველად რა თავისი ძმების ჩაძალღება შეუტყვია, მოსულა, ჟამი დაუტია და იგინი მოუპარავსო.

მაშინ ყარამანმა უბრძანა: თქვენ აქ კარგად იფრთხილეთ, რომ კიდევ არავის ავნოს რაო ლაშქარსა და მე შეწევინაო ღვთისითა წავალ, ნუთუ იგი ფალავანნი დავიხსნაო. რა ესე სთქვა, ხელმწიფეს გამოესალმა, მშვილდ-ისარი აიღო, თილი-ყამყამი წელთა შემოირტყა. სხვა იარაღი არა რა წაიღო, შემფაიბარზედ ამხედრდა და ჩრდილოეთისაკენ გაემართა. გზასა ზედან ურიცხვნი ვნებანი და განსაცდელნი განვილო, ოცდასამი დღე იარა. ერთს ბიბანს ალაგს, სიარულში, ერთი

ორძოს პირზედ მჯდომი ჯადო იხილა. ღმერთს მადლობა მისცა და სთქვა: ვგონებ, რომ იგი ფალავანნი ამ ორძოსა შინა იყვნენო. თვისი შეშფაიბარი მსწრაფლ გაქუსლა, იმ ორძოს პირს მივიდა, დადგა და სთქვა: ამაში ჩავარდნას სიკვდილი მიჩვევიაო, მაგრამ ჩაუსვლელობაც ხომ არ იქმნებო და რაც ღვთის განგება იყოს, იგი აღსრულდესო, ყარუნ-შაპას თილისმაზედ ესე ხომ უფრო ძნელი არ იქმნებო? მაშინ ორი ნაწილი დედამიწისა გავიარეო, ღმერთმან დამიფარაო და ხსლაც ღმერთივე დამიფარავსო!

აღრატ ჯადომ შორითვე ყარამანი დაინახა, ერთი დაიწვილა დამ ორძოში ჩაიჭრა. რა ყარამან ორძოს პირზედ მდგარიყო, ამ ფიქრსა და საგონებელსა იყო, უჩინოდ რაღამაც ასწივა და იმ ორძოს ძირს დასვა. ამ ორძოს ძირს ერთი სახლი იხილა, მას შიგან ტახტი იყო მდგომარე, მას ზედან ორნი ვინმე იხსდნენ, ხელმწიფეების ტანისამოსით მორთულნი. შაჰფალი-ფერის ქალები იყვნენ ზელებშეკრულნი. რა ყარამანმა იგინი იხილა, მწარედ შესწუხდა, მივიდა ჯაკვები დაუწყვიტა და იგინი გაანთავისუფლა. ხოფ-შაჰამ მოახსენა: ვმადლობ ღმერთსა, საბუირანო, რომ კიდევ შენის შემწეობით გამოვიხსენითო. მაშინ ყარამანმა იგინი კარზედ გამოიყვანა. იმათ თავიანთ ამბავი უამბეს. ყარამანმა იგი ორძოს პირზედ მჯდომი ჯადო დაიჭირა და მაგრად შეკრა. მუნ კიდევ მრავალნი ფერიანი იყვნენ პყრობილად, იგინი გაანთავისუფლა და უბრძანა: თქვენ გაისარჯენით და აღრატ ჯადოს სამყოფის სიახლოვეს მიმიყვანეთო, რომ მალე მივეშველო. მან წყეულმან იმ პყრობილებს არა აუტეხოს რაო. მაშინვე ფერიათა ყარამან და ის ორნი შაჰფალის ქალები ზურგთა იტვირთეს და ქვეყნად ამოიყვანეს. იგი წყეული ჯადო შეკრული ერთს კლდეზედ გარდაადგეს და იმან სული თვისი ჯოჯონეთს მიაბარა.

ერთმა ფერიამ შეშფაიბარი იტვირთა და სამს დღეს ჰაერში იარეს. მეოთხეს დღეს ცეცხლის ზღვასთან მიაღწივეს. იგი აღგილი ისრეთო საზარელი სანახავი იყო, რომ მხილველი ყურებას ვერ გაუძლებდა. რა ძირს ჩამოხდნენ, ყარამანმა მხურვალედ ილოცა, რა წამოღგა: „ისმიაზამი“ დაწერა, ისარს დააკრა და მას ცეცხლსა შესტყორცნა, მაშინვე ის ცეცხლი გაქრა. ნახა, რომ აღრატ ჯადო იქა ზის და რაღასაც ლაპარაკობს. თურმე იგი წყეული ყარამანის ამბავს ლაპარაკობდა ესრეთ, ვითა ყარამანთან გაგზავნილი ჯადო აღარ მოვიდა, რომ ეს ფალავნები სხვადასხვა ტანჯვით მოკვლათ. ამ ლაპარაკში რომ იყო, ნახა, რომ თვისი გრძნებით მოკიდებული ცეცხლი უეცრად

განქარდა და მცირედა უკლდა აღრადის სიცოცხლის გაფრენას. აღრად განკვირვებული და შეწუხებული იკითხვიდა, ეს რა უნდა იყო? ამასობაში ყარამანის ყვირილის ხმა მოესმა. ამაზედ ჯადო დიდს მხიარულებას მიეცა და ენება, რათა ყარამანი შეეპყრა და მსწრაფლ ოთხმოცს სხვასა და სხვას თილისმის გაკეთებას ეცადა. მაგრამ ძალითა ღვთისითა ყარამანს ვერა აენო რა.

რა ესე იხილა, მსწრაფლ უჩინო შეიქმნა, გაიქცა, შინ შევარდა და დაიძალა. მაგრამ ყარამანმა „ისმიაზამის“ ლოცვით ჯადო გამოაცხადა, შეიპყრა და ჯაჭვით მაგრა შეკრა. ეგრეთვე სხვანი ჯადონი აპირებდნენ დამალვასა, მარამ ვერ შეიძლეს. ყველანი დაიჭირა, შეკრა და ისრე დაყარა. იმჟამად იგი ერანელნი ფალავანნი ხოსროვშირ, ყათრან და გარდანქეშანი საპყრობილეში იყენენ და სიცოცხლისაგან სასო წარკვეთოდათ. ამას ამბობდნენ: ავერ ჩვენი სიკვდილის დღე მოახლოვდა, დღეის წაღმა მოვშორდით ჩვენს ხელმწიფესა და მეგობართა. ჩვენი სიკვდილი კიდევ მადლობა ღმერთსა, მაგრამ ამ წყეულსა კიდევ ჯადო გაუგზავნია ყარამანის შესაპყრობლად და არამც სააბყირანიც დაიჭიროს და მოკლასო. ამ ლაპარაკში დიდად სტიროდნენ, ერთმანერთთან დანაშაულის შენდობას ითხოვდნენ და ერთმანერთს ესალმებოდნენ. ამ დროს ყარამანის ყვირილის ხმა შეესმათ. რა დაიდასტურეს, რომ ეს ყარამანის ხმა არისო, უზომოსა მხიარულებას მიეცნენ და ესრეთ ეგონათ, დღეს ვიშობენითო. კარისაკენ ყურება დაიწყეს და ამბობდნენ, ვნახოთ, ყარამან რას იქსო. ამ სიტყვაზედ ნახეს, რომ ყარამანმა აღრად ჯადო ხელფეხშეკრული იმათთან შეათრია და დააგდო. შემდეგ მივიდა და იგი პყრობილნი გაანთავისუფლა. შემდეგ ფალავანნი მივიდნენ ყარამანს პირსა და მუხლზედ კოცნა დაუწყეს და ქება შეასხეს.

ყარამანმა უბრძანა: გარდანქეშანო, მოვედ და ესე ჯოდონი დახოცო. გულდამწვარმა გარდანქეშანმა იგინი სხვა და სხვა ტანჯვით დახოცა. შემდეგ ყარამანმა ბრძანა და იგი ჯადოთ სამყოფი დაანგრიეს და ზღვაში გარდაყარეს, რომ აქ სხვა ჯადო აღარ დადგესო. ამ დაქცევაში ურიცხვი ძვირფასი საქონელი იპოვნეს. ყარამანმა იგინი უშანგისათვის შეანახვინა, დაბეჭდა და წამოვიდნენ. ფერიებმა ესენი ზურგთა შეისვეს, პაერში აღფრინდნენ და უშანგ ხელმწიფის წინაშე მოიყვანეს. ხელმწიფე და დიდებულნი წინ მიეგებნენ და ყარამან დიდის პატივით მიესალმნენ. რა სალამსა და ერთმანერთის მშვილობით ნახვის მილოცვას მორჩნენ, ოცდართხნი ხელმწიფენი უშანგ-შაჰას

გამოესალმნენ თავიანთ ქვეყნებში წასასვლელად. ყარამანმა ყველას თავისი საფერი ფეშქაშები მიაართვა და ბოდინში მოითხოვა. უშანგმა მათ თავიანთ ქვეყნები უბოძა, თავის სახელზედ თეთრის მოჭრა უბრძანა და სთხოვა, თქვენს ლოცვაში ნუ დამივიწყებთ ხოლმეო, ვისთვისაც რა შემეცოდებინოს, მომიტევეთო, თქვენს წიგნსა და ამბავს ნუ დამაკლებთო და თქვენს ქვეყნებს გაუფრთხილდითო. და თუ გაგიჭირდესთ რამე, ანუ მძლავრი მტერი მოგიხტესთ, მაცოდინეთ ხოლმეო. მათ მდაბლად თავი დაუქრეს, მაღლობა მოახსენეს და თავიანთ ქვეყნებში წარვიდნენ. უშანგ ხელმწიფე, ყარამან, სარვიხურამან და სხვანი ვინც მუნ ჯარჩნენ, მარადის ლხინსა და შექცევასა შინა იმყოფებოდნენ და ღვთითა მწუხარება აღარა ჰქონდათ და სიხარულსა და შვებასა შინა დროს ატარებდნენ.

### აჟა აგვაპი ინდოეთის ხელმწიფის რაიაზამისა

იმჟამად, ოდეს ყარამანის შემწეობით უშანგ-შაპ ინდოეთი და სინდეთი დაიპყრა და საბრძანებლად თვისად ჰყო, მაშინ რაჰინდისა და ქეთან-შაპს პირველსა ძმასა რაიაზამ ხელმწიფეს, რომელიც იყო მქონებელი ათას ცხრაასის ციხისა, ოთხის ათასის ქალაქისა და ათას ორასის კუნძულისა, მას მოხსენდა ესრეთ, ვითა: ერანიდამ ერთი ხელმწიფე მოსულა, სახელად უშანგ ეწოდება. თქვენი ორი ძმა ინდისა და სინდის ხელმწიფენი, რაჰინდ და ქეთან-შაპ დაუტყერიათ, თვის სარწმუნოებაზედ მოუქცევიათ, ჩვენი ღმერთებიც სულ დაუმტკრევიათ და საბაოთ ღმერთი უწამებიათ. მაგრამ პირველად თქვენი უმცროსი ძმა რაჰინდ შებმიაო.

უშანგს ერთი სახელოვანი ფალავანი ჰყავს, სახელად ყარამან წოდებული. იმის შემწეობით ძლეულა და მას ფალავანს სპანდიერ სარდალი ერთის დაკვრით ოთხად გაუტყვეთია. მერე რაჰინდს რომ ბრძოლის ღონე აღარა ჰქონია, დამორჩილებია და თავისი ასული სარვიხურამან ყარამანისათვის ცოლად მიუციაო. და მერე უშანგ-შას ინდოეთი ისევ რაჰინდისათვის მიუცია და ეხლა იმისი მონა არისო. მერე ეს საქმე თქვენს შუათანას ძმას ქეთან-შაპს შეუტყვია, განრისხებულად ძლიერი ჯარები შეუყრია, ყარამიჯინიც მიუწვევია და აზრადის ძმა ოჰყალი ჯადოცა. თუმცა უშანგ-შაპისათვის მრავალი

ძვირი შეუმთხვევიათ, მაგრამ ბოლოს ისევ ყარამანს უჯობნებია. ოპ-  
ყალი და მისნი ძმანი ფალანგსარ და აღრაფი ამოუწყვეტია და ხელ-  
მწიფე ქეთან-შაც დაუმორჩილებია და ყარამიჯინიცაო და თავის  
სარწმუნოებაზედ მიუქცევიათ, და თქვენის ბიძის სარჯანის ასული  
გულჩინ ხოსროვშირისათვის ცოლად მიუთხოვებიათ. და სინდეთი  
ისევ ქეთან-შაჰისტვის მიუციათ და ახლა შენნი ოპანი ძმანი უშანგ-  
შას მსახურებენო.

რა რომ რაიაზამ ესე მოისმინა, ერთი საშინელი შესძახა და ქვე-  
ყანას დაეცა და თავსა და პირში ცემა შექმნა და თავს ნაცარი დაიყა-  
რა და ამას იტყოდა: ვაი, ვაი, ქვეყანავ დაქცეულო, რომ ამისთანა  
საქმე ჩემს ყურს არა სმენია და ეს როგორ დაითმობა, რომ ჩვენი  
კერპი ბაბუთი დაუმტვრევიაო?! მე როგორ უნდა ვიცოცხლო! ესე  
სთქვა და მეტის ჯავრისაგან რამდენსამე ხანსა უცნობო შეიქნა. მერე  
აიხედა და ღიღის ხმით შესძახა: აღმართეთ ჩვენი ღმერთი ბაბუთი  
და აღაგზნეთ ძლიერი ცეცხლი, რომ გამოვეთხოვოთ და წარვიდეთ  
და ის ჩემის ძმების მომტყუებელნი სულ ამოვსწყვიტო და აღარც  
ჩემი ძმები გავიკითხო, რომ დაუსჯულელებულან და უშანგს და ყარა-  
მანს კი ქვეყნისაგან აღმოვხოცავ და ოთხ-ოთხად დავსკრი, რომ ჩემი  
შეძლება იმათ მინდა უჩვენო!

მაშინვე სინდთა, ბრძანებისა მისისა მორჩილთა, აღმართეს ერთის  
კაცის სახედ სპილენძის კერპი და აღაგზნეს საშინელი ცეცხლი. შე-  
მოკრბენ სრულებით ერანი და მერე თვით ხელმწიფეც მობრძანდა.  
სიმრავლივ დაიჩოქეს და ყოველთავე თავიანი სცეს მხარ-ჩახდით.  
ვითა ინდოთა წესია. იმჟამად იმ ცეცხლიდამ ერთი ხმა გამოხდა  
ესრფთ მეტყველი: ჩემო მონავ, სარწმუნო რაიაზამ, შენ ახლავე წა-  
დიო და ვილაც ერანელი კაცი მოსულა, სახელად რომ უშანგ ეწო-  
დებოა, ისი და ყარამან დაიჭირე და ჩემთან მოასხიო. და თუ ჩემი  
თაყვანისცემა არ ინებონ, ორნივე ოთხად გასკერო ამისთვის, რომ  
სხვათ იმათ მზგავსად ამისთანა უმზგავსო საქმე აღრაგინა ჰქნასაო.

რა ესე ეშმაკის ხმა გაიგონეს, რომელიც ცეცხლით გამოლაპარა-  
კობდა, მაშინვე დაემხენ და თავიანი სცეს. ზეაღსდგნენ და მაშინვე  
შემოიყარეს, თვისნი ბრძანების მორჩილნი. მისწერეს წიგნები ყო-  
ველსა ქვეყანასა, საცა სახელოვანნი ფალავანნი იყვნენ, ყველა იხმეს.  
რა ჯარი შემოიყარა, ამხედრდა ხელმწიფე რაიაზამ, გამოემართა და  
რამდენსამე დღეზედ უშანგ ხელმწიფის სიახლოვეს მოაწივა.

აწ უშანგ-შას ამბავი მოისმინეთ: იმჟამად ხელ-

მწიფე უშანგ თვისის ყარამანით და ფალავნებით მეჯლისში ბრძანდებოდა. აიარნი შემოვიდნენ და მოახსენეს: ხელმწიფე ინდთა და აინდთა შიმალ-შა (რაიაზამ) აგერ სიახლოვეს მოვიდაო ძლიერის ჯაჩითა თქვენს საბრძოლად. რა ხელმწიფეს და ყარამანს ესე ესმათ, თუმცა არ იამათ, მაგრამ არც ეწყინათ. ქეთან-შამ და რაჰინდმა რა ეს გაიგონეს, დიდს მწუხარებას მიეცნენ. ყარამანმა შეხედა და მოახსენა: ხელმწიფენო, ნუ სწუხართ, ღმერთით ჩვენა ვსძლევთო. რა ესე სთქვეს, ხვალისათვის ჯარს ომი გამოუტყხადეს და იმ ღამეს გამრავლდა ხმიანობა, ვითა: ყველამ საომარი აბჯარი ჩაიცვით და ხმალი ქარქაშით აღმოიწოდეთ, ბედნიერი მკლავი საომრად მოამზადეთ, მწვილდს ისარი დაუკლოვეთ და საბაოთ ღმერთი შეიწიეთო.

### აჰა რაიაზამისა პირველის ფალავნის ყაჰარისა და ხოსროვშირის ომი ფიცხალი

რა დილა გათენდა, ორისავე მხრის ლაშქარი ამხედრდა. მემარჯვენენი და მემარცხენენი და მეწინავენი, წესისამებრ დასხდნენ. მაშინ რაიაზამის პირველი ტახტის ფალავანი ყაჰარ შეიკაზმა სრულიად შავის ფოლადითა და საომარს მოედანს გამოვიდა და დიდებულნი გამოჰკყვენ. საშუალს მოედანს მოიყვანეს. მერე მათ თავი დაუტყრეს და გაბრუნდნენ. ამჟამად ყაჰარმა ცხენი გაქუსლა და შუბსა თამაშობა დააწყებინა და ერანის მხრიდამ ფალავანი გამოითხოვა. ხოსროვშირ ღამოდა გამოსვლასა და ყარამანმა არ გამოუშვა და უთხრა: მოიცადე, ცოტა ხანს უყუროთ და ვნახოთ, ვითარი ფალავანიო.

ამ დღეს ყაჰარმა საშინელი ბრძოლა გარდაიხადა, უშანგშას მხრიდამ ოცდაექვსი ფალავანი მოჰკლა და რამდენიმე ცოცხალი დაიჭირა. განრისხებული მოედანზე ტრიალებდა და ფალავანს გამოითხოვდა. მერე შესძახა. სად არის ჭაბუკი ხოსროვშირი, რომელიც თავის თავს უსწოროს ფალავანს უწოდებს; რატომ მოედანზედ არ გამოვა, რომ ჰე და იმან ერთმანეთი ვიცნათო?!

რა ხოსროვშირმან ეს გაიგონა, მაშინვე განრისხებული ყაჰარს მიუხდა და, შესძახა: ჰეი, ფალავანო, რაზედ გაამაყდი, ჯერ სხვის ძალი არავისგან გინახავს და ამისთვის შენი მებრძოლი აღარავინ გგონია. გამიფრთხილდი, რომ ჩემის მკლავის ძალი მინდა გაცნობო! მიუხდა და ერთი ლახტი მოუქნია. ყაჰარმა ფარი იფარა, ლახტი ფარსა მოხვდა და ყაჰარს ასე ეგონა, ეს მთები თავსა დამეცაო. ფარმა

ველარ გაუძლო, შუაზე გაიხა, სპილოს თავსა მოხვდა და მიწასთან გაასწორა. სპილო და ყაპარი ორნივე ძირს დაეცნენ. ყაპარ მფრინველივით ზე ახლტა და ხოსროვშირს ქვევითად ხლმით მიუხდა. ხოსროვშირიც გარდახდა და თავისი ხმალი მის მოქნეულს ხმალს შეუფარა. რა ხმალი ხმალსა მოხვდა, ორივე შეიმუსრა.

მაშინ ყაპარს სპილო მოჰკვარეს. შეჯდა და ხოსროვშირიც ამხედრდა. განრისხებული ყაპარი მოუხდა, ხმალი მოუქნია, ამან ფარი იფარა, ხმალი ფარსა მოხვდა, ფარსა ასცდა და ხოსროვშირ მცირედ მკლავს დაჰკოდა. ხოსროვშირმან განრისხებულმან ცხენი განზედ გაიყენა და შესძახა: აწ ნახე ჩემი ხლმის მკვეთელობაო! მოუხდა და მედგრად ხმალი მოუქნია. ყაპარმა ხმალსა ხმალი მიაგება. ხმალი ხმალს მოხვდა და დასცდა და ყაპარს თავსა მოხვდა და ოთხის თითის სიღრმეზედ თავი გაუჰო. პირს სისხლი გარდმოედინა, თავთავან გონება დაჰკარგა. რა გონებას მოეგო, ხოსროვშირს მიუხდა და სარტყელსა ხელი ჩაუგო და მედგრად აზიდა, მაგრამ ვერცა თუ შესძრა. მცირეს ხანს ერთმანეთს ერკინენ, მაგრამ ნახეს, რომ ორისავე მხრიდამ გასაყარს ნალარას ჰკრეს და ქვეყნის სიბნელემ ეს ლომგულნი ფალავანნი გაჰყარა.

ორივე ლაშქარი თავთავის ბინაზედ წავიდნენ. რაიაზამ ომიდან გამობრუნებული რა თავის კარავს მიბრძანდა, მაშინვე მეჯლისის გამართვა ბრძანა და ყაპარს მძიმე ხალათი უბოძა და ლხინსა და შექცევას ხელი მიჰყო. ხელმწიფემ ყაპარს ქება შეასხა და გამარჯვება მიულოცა და უბრძანა: შენი და ხოსროვშირის ომი როგორ მოხდაო? ყაპარმა მოახსენა: ხელმწიფეო, ხოსროვშირ რა არის და ან იმის ომი რა უნდა იყოსო?! ორს დღეს შევისვენოთ და მესამეს დღეს ვილასაც ყარამანს ეძახიან, ერთის ხლმის დაკვრით თავისას საჯდომით ოთხად გავკვეთო! თუ რომ ეს ასე არა ვქნა, მე ყაპარს ნულარ დამიძახებთო!

რა ორმა დღემ განვლო, ერთმანეთში ომი აღარ მოხდა. ყარამანმა დაიძახა მეჯლისში ხელმწიფესთან; სარდალნო და ფალავანნო, იქნება ის წყეული ყაპარ ხოსროვშირს ძლიერად დაეჭრას და ამ ორს დღეს ომი აღარ ინებესო?! რა ესე სთქვა, სამანს, გარდანიქმანს და რადი ნარას უბრძანა მცირეს ხანს სანადიროდ წარვიდეთ, მაინც ჯერ ხანად ომი აღარ მოხდაო. რა დილა გათენდა, სამან, რადი ნარა და გარდანიქმან ყარამანს იახლნენ. ყარამანიც შეეკაზმა, შეშფაობარს შეჯდა და ხელმწიფეს და სარვიხურამანს გამოეთხოვა და სანადიროდ წარვიდა. ერთი ქურციკი აღუჩნდა. მას გამოუდგა და იმისმა

გამოდგომამ მუნ მიიყვანა, საცა შაფალი ფერი ჩამომსხდარიყო, ოდეს ყარამანს დაეთხოვა და თავის ქვეყანაში მივიდოდა. რა მას მიახლოვდა, ქურციკს ისარი ჰკრა და მოჰკლა. რა მათ ყარამან იხილეს, დიდს მხიარულებას მიეცნენ და რამდენისამე ხანს აღარ გამოუშვეს და ლხინსა და შვებას იყვნენ.

აწ უშანგშას ამბავი მოიხსენეთ: რა ორმან დღემან განვლო, ყარამან აღარ მოვიდა. ხელმწიფემ უშანგ ბრძანა: ფალავანნო! მოემზადენით ხვალ საომრადო. მაგრამ სააბყარანი ხვალაც რომ არ მოვიდეს, ყაპარს ვინ უნდა ებრძოლოსო? და მწუხარებდნენ. მაშინ სარდალთა და ფალავნთა მოახსენეს: თქვენ მაგაზედ ნუ შეწუხდებით, თუ რომ სააბყარანი არ მოვიდეს, ჩვენ თქვენი მონანი ყაპარს ან პასუხს მივცემთ და ან თქვენს სამსახურზედ დავიხოცებითო.

რა ხელმწიფემ ამათი ესრეთი გულოვნობის სიტყვა მოისმინა, გამხიარულდა და თავ-თავის შესაფერი ხალათები უბოძა, დალოცა და ესრეთ უბრძანა: ქვეყანაზე უწარჩინებულესნო ფალავანნო! განხოთ თქვენს მტერზედ წარმატებულნი, რომ ვერაოდეს მტერმან თქვენმან თქვენზედ ძლევა ვერ მოილოს, რომელიც ჩვენს ხელმწიფობას და ან თქვენს ფალავნობას შვენისო. ხვალ თქვენი ჭაბუკობა უნდა გამოაცხადოთო! რა ესე მოისმინეს, ყველამ საომრად მზადება იწყეს.

### ამა სარკინხურამანისა და შაპარის ომი, ოდეს შარამან სანადიროდ წარვიდა

რა ორმან დღემან განვლო და ომი აღარ მოხდა, მაშინ რაიაზამ ყაპარს უბრძანა, ხვალის ომისას რას ბრძანებო? მანამ ყაპარ პასუხს მოახსენებდა, რაიაზამის აიარნი შემოვიდნენ და ხელმწიფეს თავი დაუკრეს და მოახსენეს: ხელმწიფეო, ჩვენ უშანგის ურდოში ვიყავით და ასე გავიგონეთ, ყარამან სანადიროდ წავიდა და უჩინო შეიქნაო. უშანგ ხელმწიფე დიდად შეწუხებული ბრძანდებოდა და ამას ამბობდა: ყარამან რომ ხვალაც არ მოვიდეს, ყაპარს ვინ უნდა გაუძლოსო? და ამ მწუხარებაში არიანო.

რა ყაპარმა ესე მოისმინა, რაიაზმს მოახსენა: ხელმწიფეო, ყარამან სანადიროდ კი არ წასულა, ტყუიანო. მე არ მოგახსენეთ, ერთის დაკვრით ორად გავსწყვეტ-მეთქი. იმჟამად აქ იმისი აიარნი იქნებოდნენ, ამბავს მიუტანდნენ და შიშით გაპარულაო. მაგრამ შე დიდად



დავაშავე, რომ აშკარად ვსთქვი, უნდა გონებაში მქონოდა და იმის შეზამდისინ არ გამომეცხადებინა, რომ ეგების არ გაპარულიყო. რა ესე დაასრულა, ხელი შეიტყუბა და კისკისით გაიცინა და სთქვა: ნეტარ, ყარამან, რომლის ტანჯვით უნდა მოვკლავ?! მერე კიდევ რაიაზამ ხელმწიფეს მოახსენა: ხელმწიფეო, ნუ შესწუხდებით, ყარამანს ხვალ უპოვნელს რა გაუშვებ და ხელებშეკრულს აქ მოგართმევო. და ამას გარდა ხვალ რაც ფალავანი იმისი მოედანზედ გამოვა, ჯერ არავის მოვკლავ. ყველას ცოცხალს მოვიყვანო.

ამჟამად იმდენი იქადა, რომ ხელმწიფე მეტის სიამოვნებით უცნობოსავით შეიქმნა. ამავე წამს ხელმწიფემაც შეიდი ხალათი ერთმანეთზედ უბოძა და რამდენიმე ქისა ოქროც უბოძა და სხვანიც სარდალნი და ფალავანნი წყალობით აავსო და უბრძანა ყველას, საომრად მოემზადენითო. წარვიდნენ და ხელმწიფის ბრძანება აღასრულეს. რა დილა გათენდა, ორისავე მხრიდამ საომარს ნალარას ჰკრეს და ორივე მხრის ლაშქარი ამხედრდა. დასტები დააწყვეს და თავთავის ალაგს დასდგნენ. იმჟამად ყაპარმა ხელმწიფეს თავი დაუკრა და მოედანზედ გამოვიდა. და რაც სინდელნი ფალავანნი იყვნენ, უთავაზეს და მოედნის საშუალსა ალაგამდისინ მოჰყვნენ. მაშინ ყაპარმა თავი დაუკრა და ესენიც წამოვიდნენ და თავთავის ალაგს დასდგნენ.

ამჟამად ყაპარმა დიდის ხმით შესძახა: შენ, რომელსაც ქვეყანაზედ ფალავნად აღარავის უღრიდი, ყარამანსა; არ შეგრცხება, რომ ჩემის შიშით ნადირობა მოუგონე და გარდახვეწილად და ის რომ გაპარულა, შენ ვილასის ძალით იბრძვი და ან ვისით იმედიანობ? დღეს ის დღეა, რომ შენ ტახტიდამ უნდა ჩამოგაგდო, შენი ჯარი სრულიად სპილოსა და მარტორქას ფერხს ქვეშ მოვსრა და ახლა თუ შენ ჰკუთა გაქვს, შენ ტახტიდამ ჩამოდი და დიდებულნი აქ მოახსი, რაიაზამს თაყვანი ეც და დაემონე, შენს შეცოდებას მე ვიპატიებო. მერე შუამავლად მე შემოვალ, ერთს მცირეს ქვეყანას მოვაცემინებ, რომ სარჩოდ გეყოსო. და თუ ამ ჩემს სიტყვას არ მოისმენ, მაშ, ჩემს საომრად მოედანზედ ფალავანი გამოგზავნე და შენ თამაშა უყუტრე, რაც დავმართოო.

რა უშანგ ხელმწიფემ ამისგან ეს მოისმინა, შეწუხდა და თვალებოცრემლით აევსო. რა ბარამ ჯიბილმა ხელმწიფე შეწუხებული იხილა, თავი დაუკრა და ყაპარის საომრად გაემართა. შეხედა, რომ სარვიხურამან ამ სიტყვების გამგონებ, ველარ მოითმინა. ერთი დიდი

შესძახა, ღვთის სახელი ახსენა, მარტორქას ქუსლი ჰკრა და მოედანს გავიდა. განრისხებულმა შესძახა: ჰეი, შე ბილწო ძაღლო! შენ ვინ ძაღლი ხარ, რომ ყარამან მაგ სიტყვით ახსენეო. და ან რა სახელოვნება გიქნია, რომ ყარამან შეშინდეს და გაიპაროსო. ყარამან ასეთებს მორევიო, რომ ისინი ყულუხჩათაც არ გიკადრებენო.

რა ესე სთქვა, ლახტი მოუქნივა. ყაპარმა გურზი იფარა და მით გადურჩა. მაგრამ ასეთი ძალი დაადგა, რომ დედის ხსენი პირით ამოსთხია. გონება დაეფანტა და წელში მშვილდით მოიკაცვა და მის საჯდომ სპილოსაც რუსაებრ პირით სისხლი წასკდა და ფურცელივით თრთოლა დაიწყო. მეორეცა დასცა და მასცა გარდურჩა, მესამეცა სცა და დააცდინა. რაღა განევაგრძელო, იმ დღეს იმ ორთ სალამოდის იბრძოლეს ხან შუბით, ხან ხრმლით, ხან ლახტით, ერთმანეთზე ას ორმოცი იარაღი იხმარეს, მაგრა ერთმანეთს ვერა აენეს რა. რა დაღამდა, გასაყარს ნაღარას შებერეს.

რა უშანგ-შამ სარვიხურამანის ესრეთი ომი იხილა, დიდის მხიარულობით დალოცა და ქება შეასხა. ვინც სარდალნი და ფალავანნი იყვნენ მადლობა და ქება მოახსენეს. ყველამ საომარი აბჯარი განადა და სალხინო შეიმოსეს. მეჯლისი გაიმართა და ყოველნი თავთავის ალაგს დასხდნენ. ხელმწიფემ სარვიხურამანს უბრძანა: ჩემო გულის სიხარულო, დღეს შენ ასეთი საქმე ჰქენ, რომ ქვეყანაზედ არავის უქნია. ეს სიტყვა უბრძანა და მძიმე ხალათები უბოძა. სარვიხურამანმა ხელმწიფეს მუხლს აკოცა, რაჰინდს და სარჯანს ხელს აკოცა და ნადიმს შეექცნენ. რა რომ ფალავანნი ღვინისაგან ზარხოშნი შეიქნენ, იმ ჟამს ბარამ ჯიბილმა, ზოაქ ნოვჯავანმა, ბამან ასფარმა, ყაზანფარ ხათაიმ, დაუთშამ. სარჯანმა და გურგანბულანდ ქამან ორმოცდახუთი ფალავანით ხვალისათვის ყაპარის ომი გამოითხოვეს. უშანგ ხელმწიფემ ხალათები უბოძა და დასტურიც მისცა ხვალის ომისა. წარვიდნენ და საომრად მოემზადნენ.

იქით მხარეს რაიაზამ თავის ტახტზე დაბრძანდა და ყოველნი ფალავანნი თავთავის ალაგს დასხდნენ. ყაპარიაზამ დაღონებული და შეწუხებული გუშინდელი თავისი კვეხნისა და მეტისმეტის ლაპარაკისა, დღეს სარვიხურამანის ომის გაუსწორებლობისათვის სირცხვილულად თავჩამოგდებული იჯდა. შიმალ-შამ უბრძანა: შენ, ყოველისა ფალავანისა ურჩიულესო, დღეს შენი და სარვიხურამანის ომი როგორც გარდასწყდა ან როგორ მოგეწონა იმისი ომიო? ყაპარიაზამ მოახსენა: ხელმწიფევე, სარვიხურამან რა არის და ან იმისი ომი რა

უნდა იყოს? დღეს თქვენი დამერიდა, თორემ სარვიხურამანს მოჰკვლავდიო! იმისთვის რომ ამეტეხა რაიზე, ხვალ და ზევ თქვენის საყვედურის ბრძანებისაგან მე ველარ მოვისვენებდიო. ამას მიბრძანებდით, ჩემი ძმისწული შენ არ მოგეკლაო, ისევ ჩვენი კერძი შეიქნებოდაო და ჩვენი მომხრეო. თუ ამ მიზეზით თქვენ არ დაგრიდებოდით, იმ სარდალს ერთის იარაღის ხმარებით მოჰკვლავდიო.

რაიაზამს ეს მოხსენება ყოველივე მართალი ეგონა. მერმე უბრძანა. მე შენთვის მიბრძანებია, თუ შენ შეგიძლია, ჩემი ძმა რომ ხელთ იგდო, ისიც მოჰკალ. თორემ სარვიხურამანის თავაზა როგორ იქნება ომშიო?! ყაპარმა მოახსენა: ხელმწიფევე, რადგან ეგ დასტური თქვენგან მებოძა, ხვალ ჩემი ჭაბუკობა გასინჯე. ვინც შეიდანზედ ჩემი მეომარი გამოვა, ვითარი სატანჯველით ჩემის ხელით აღსრულდებაო. ამას გარდა მრავალი თავისი ფალავნობა დაიქადა ხელმწიფის წინაშე.

რა დილა გათენდა და ქვეყნისა დამამშვენებელმან მზემან ნათელი მოჰფინა, ორისავე მხრიდამ ლაშქარი ამხედრდა და ორსავე მხარეს საომარ ნალარას ჰკრეს. იმავე ეამს ყაპარიაზამ თავის შავის რაშით მოედანს გამოვიდა და ნავარდი შექმნა. ფალავანი გამოითხოვა. ბარამ ჯიბილმან ხელმწიფეს თავი დაუკრა და თავისი მწევანე მარტორქა მოედანზედ გამოიგდო და ყაპარიაზამს დაუსწორდა და ხელით სალამი მოსცა. იმასაცა ბარამ მოეწონა დიდად და სალამიც ჩამოართვა, დაუძახა: უშანგის ჯარში შენ ვინ ხარ, და ან სახელი რა გქვიანო? ბარამ ჯიბილმან მიუგო: ფალავანო, მე ბარამ ჯიბილს მეძახიან და უშანგის მონა ვარო. ყაპარიაზამ მიუგო: ჩინეთის ქვეყანაში გაქვაგებული რომ იყავ თილისმით. ის შენ იყავი? პასუხა ჰიუგო: მე ვარო. ყაპარიაზამ უთხრა: მოდი, ჰე, ფალავანო, დამიჯერე, მე შენ არ გამოგიმეტებ, თუ შენ ჩემი კერძი შეიქნები და გაპირვებაში ჩემი მომხრეო. და თუ უშანგისაგან და ყარამანისაგან ხელს აიღებ მე და შენ ძმანა ვიქნებითო.

ბარამ ჯიბილმან მიუგო: ჰოი, ფალავანო, ათას ნაჰრად რომ გამხდიდე, იმ ჩემს თითო ნაჰერსაც არ შეუძლია უშანგისა და ყარამანისა სამუხთლედ ხელის აღებაო. და თუ შენ ჰკუთა გქონდეს, მოხვიდოდი, უშანგისა და ყარამანის მონა შეიქნებოდი და სიკვდილამდინ იმათ სასახურზედ ხელს არ აიღებდიო, თორემ რაიაზამ ვინ არის, რომ შენისთანა გამოჩენილი ფალავანი იმას ემსახურებოდესო? მოდი უშანგეშაჰსთან, რომ შენი პატივი, რომელიცა მართებულა, იმან მოგცესო.

უშანგ-შას ასეთი ხელმწიფენი ახლავან, რომ რაიაზამს მოსამსახურე-  
დაც არ იკადრებენო.

რა ყაპარიზამშან ბარამისაგან ესრეთი სიტყვები მოისმინა, დი-  
დად განრისხდა და შემოუტია, მძიმე ლახტი შეუმაღლა და უთხრა:  
შე უმსგავსო. შენ ვინა ხარ, რომ რაიაზამისთანა დიდი მაღალი ხელ-  
მწიფე არ მოგწონს და მისთვის უმსგავსო სიტყვასაც ლაპარაკობო?  
ავჟანდაზედ შედგა, თავისი მძიმე ლახტი დაჰკრა და მკირედ ხან ბა-  
რამი წელში მშვილდებრ მოხარა, რომელსაც მარტორქაზე იჯდა, -  
ისიც ისე ჩაზნიქა. ამ ლახტის ძალმა მკირედ დარჩა, რომ წელი არ  
მოსწყვიტა; ბარამმან სიმხნესა ძალი მისცა და უხანგი ჰკრა და მარ-  
ტორქა გარდაიხლტუნა და დადგა. მოუხდა ყაპარიზამ და ერთი მძი-  
მე ლახტი კიდევ დაჰკრა. ბარამ სიმხნით გარდაუტრია.

რა რომ სამს ლახტს გარდაუტრია, აწ რიგი ლახტის დაკვრისა ბა-  
რამს ერგო. სამი მძიმე ლახტი ბარამმანცა მას დაჰკრა, მაგრამ სიმ-  
ხნით და სიფიცხითა მანცა აიციდინა. ერთმანეთზე თორმეტი რიგი  
იარაღები დალეწეს. იმჟამად განრისხდა ყაპარიზამ, შედგა ავჟანდასა  
და ერთი მძიმე ლახტი თავს მოუქნია. იმან თავისი ლახტი ლახტს შე-  
უფარა და ასე ძლიერად მოხვდა, ლახტმან ველარ გაუძლო და თავი  
ორად გაუპო, რომ ოთხი თითით გაუხეთქა. ბარამ უცნობო შეიქნა  
და თავის მარტორქას კისერზე შემოეხვია. მარტორქა გაბრუნდა და  
თავის ლაშქარში შეიყვანა. რა ხელმწიფემ ბარამ ისე დაინახა,  
აიარებს უბრძანა და მსწრაფლად მიეშველნენ და ბარამ ხელმწიფეს-  
თან მოიყვანეს, დაჭრილი შეუხვიეს. ბარამ მივიდა და დროშასთან  
დადგა.

ამჟამად ზოაქ ნოვეჯავანმა უშანგ ხელმწიფეს თავი დაუკრა და  
მოედანზედ გამოვიდა და სამი მძიმე ლახტი დაჰკრა. ყაპარიზამს ამ  
ლახტების დაკვრა დიდად მოეწონა და ამანაც სამი ძლიერად დაჰკრა  
და მრავლის ცდით გარდაუტრია. ერთმანეთში შვიდ-შვიდი საომარი  
იარაღი იხმარეს. განრისხდა ყაპარიზამ და დაუძახა; ყალავანო, მო-  
ემზადე, გამიფრთხილდიო, და ერთი მძიმე ლახტი მოუქნია. ამანაც  
თვისი ლახტი თავსა იფარა და ლახტი ლახტსა მოხვდა. ზოაქს მკლავ-  
მან ველარ შეუძლო და მარტორქას თავს მოხვდა და მარტორქა და  
ზოაქ ნოვეჯავან ორნივე პირქვე დაეცნენ. და სწრაფად ზოაქ ფეხზე  
წამოხლტა, ხმალსა ხელი მოივლო და ყაპარიზამის მარტორქას ფე-  
ხები დააყრევინა და ყაპარიზამ და მარტორქა ერთად დაეცნენ.

ყაპარიზამ მსწრაფლად ზეადსდა. ზოაქ ნოვეჯავან ხმალი მოუქ-

ნივა. ყაპარიზამ თავისი ხმალი იფარა. ასეთი მოხვედა ხმალი ხმალ-  
სა, რომ ორისავე ხმალი დაიმტვრა. ზოპაქ ნოვეჯავანმა ხმალი გააგ-  
ლო, მისწვდა სარტყელსა და სამჯერ ძლიერად აზიდა, მაგრამ ვერცა-  
ლა თუ ალაგიდამ დაძრა. მიჰყო ხელი ყაპარიზამ, ასწივა ხელითა და  
აზიდა და მიწასა დასცა. ორივე ხელი მაგრა შეუქრა და აიარებს მია-  
ბარა.

ყაპარიზამს ერთი შეკახმული სპილო მოგვარეს და შეჯდა და  
მაშინვე მსწრაფლად ბაჰმან გულოვანი ორმოცდარევს მწყრთის მჭო-  
ნებელი ფოლადით შეიჭურვა და მრისხანედ და მსწრაფლად ცხენს  
შესჯდა. შუბი ილლიას განიწოდა, მედგრად მოუხდა. ყაპარიზამ რა  
ესრეთი მრისხანედ მომავალი ნახა, შეიღკეცი ფოლადის ფარი  
მკერდსა იფარა და მამაცად დადგა. ბაჰმანმა ასეთი ჰკრა შუბი ფარ-  
სა, როგორც მკერვლის ნემსმან ატლასის საკერავში გაიაროს, ისე  
იმაში გავლო. ყაპარიზამ რა ესრეთ მკვეთელობა ნახა, ფარი ხელი-  
დამ გააგლო და თვითონ ცხენქვეშ მოექცა. რა შიმალ-შამ ესრეთ  
მოიხილა, მაშინვე ერთი კარგი ფარი გამოუგზავნა.

რა ყაპარიზამ ფარი ხელიდამ წარმართული ნახა, ესრეთ განრის-  
ხდა, რომ თვალეზი თასითა სავსე სისხლს დაემსგავსა. ბაჰმან მობ-  
რუნდა და მძიმე ლახტი თავსა მოუქნია. ამან თავისის ლახტით აიცი-  
ლინა. ახლა რიგი ერგო ყაპარიზამს. იარაღი აღარ იხმარა, მისწვდა  
და სარტყელს ხელი ჩაავლო, ასწივა და ცხენიდან აგლიჯა, ველარ  
შეიმაგრა და ფეხზე დადგა. მოსწვდა ისიც, სპილოდამ გარდმოიღო.  
ორთავე ვეშაპის მსგავსნი ფალავანნი ერთმანეთს ერკინენ. ორნივე  
ესრეთ დიდად დაილაღნენ. რომ არც ერთს ღონე აღარ შერჩათ. მაგ-  
რამ ყაპარიზამ სიმხნეს ძალი მისცა, ასწია, აიყვანა და მიწასა დასცა.  
მსწრაფლად აიარნი მოსცივიდნენ, ხელეზი შეუქრეს და წაი-  
ყვანეს.

მაშინვე ყაზანფარ ხათაიმ ხელმწიფეს თავი დაუქრა და თავისი  
რაში მოედანზედ გამოიგდო და მსწრაფლად მრისხანედ მიუხდა. სამი  
ასეთი მედგრად დაჰკრა, რომ ყაპარმა იარაღი ველარა მოიხმარა და  
შეიშალა. ყაპარიზამს მეტად მოეწონა ამისი ფალავნობა და ასე  
სთქვა: უშანგ-შას სად უშოვნია ამისთანა უცხო ფალავნებო? მო-  
უბრუნდა ესეცა, ამანაც სამი მძიმე ლახტი დაჰკრა. ერთმანეთზე ოც-  
დაშვიდი იარაღი იხმარეს და ვერც ერთმა ვერ ავნეს რა. განრისხდა  
ყაპარიზამ და ერთი მძიმე ლახტი შეუშალა და ყაზანფარმა ლახტი  
ლახტსა შეუფარა. ლახტსა მკლავმან ველარ გაუძლო და მკერდს ეწ-

ვია და ცხვირიდამ და პირიდან სისხლი გადმოსჩქეფდა. ძირს დაეცა, მსწრაფლად აიარები მოსცვივდნენ, ხელები შეუკრეს და წაიყვანეს.

რა ქვივან-შას შვილმან დაუთ-შამ ესრეთ მოიხილა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და მრისხანედ შემოუტივა სპილოთი, ჯერ შუბითა, მერე ხმლითა და მერმე გურზითა. სამი იარალი ერთმანეთზედ იხმარა და ვერცა ერთითა ვერა ავნო რა. ახლა ყაპარიანამმან ერთი მძიმე ლახტი დაჰკრა. იმისმა საჯდომმა სპილომ ველარ გაუძლო და წელი მოსწყდა. დაუთშა და სპილო ორნივე ერთად დაეცნენ. მსწრაფლ ყაპარიანამ მიუხდა, ხელები შეუკრა და აიარებს მისცა.

რა ეს სარაბ აჯდარ სავარმა დაინახა, თავისის თორმეტგერხოვნის მხეციტ მოედანსა გამოვიდა და ყაპარიანამს მოუხდა და სამი მძიმე ლახტი თავს დაჰკრა, მაგრამ ვერა ავნო რა. ყაპარიანამ სარტყელსა ხელი მიჰყო და მხეციტად აგლიჯა და მიწას დასცა. ამასაც ხელები შეუკრეს და წაიყვანეს.

სარჯანი ანდამ რა ეს დაინახა, ხელმწიფეს თავი დაუკრა, სპილოთი მოედანს გამოვიდა, მოუხდა ყაპარიანამს, ერთი ლახტი დაჰკრა. იმ ერთმა ლახტმა ვერა ავნო რა. მეორე დაჰკრა, არცა რა იმით ევნო. მესამედ განრისხებულმაც დაჰკრა. ამან ფარი იფარა. ფარმან ველარ გაუძლო, სპილოს თავს მოხვდა და მიწას გაასწორა. მსწრაფლად აიარებმა სხვა სპილო მოართვეს. განრისხებული შესჯდა ყაპარიანამ, სარჯანს სამი მძიმე ლახტი დაჰკრა, მაგრამ ვერა ავნო რა. ერთმანეთზედა ორმოცი ხელი იარალი იხმარეს და ვერ რომელმან სძლია. განრისხებულმან ყაპარიანამ ერთი ასეთი მძიმე ლახტი ჰკრა, რომ უცნობო შეიქნა. ამასაც აიარებმა ხელი შეუკრეს და წაიყვანეს. შამილ-შამ ბრძანა, საფალავნოს სამხიარულოს ნალარას ჰკარიტო.

რალა გრძლად მოგახსენოთ, ამ დღეს ორმოცდაათი ძლიერი ფალავანი დაიჭირა ყაპარიანამმა უშანგ-შასი. რა სალამო ჟამი შეიქნა: ორსავე მზარეს გასაყრელსა ნალარასა ჰკრეს და ორისავე მზრის ხელმწიფენი დაბრუნდნენ, თავ-თავის ლაშქარში თავ-თავის ალაგს ჩამოდნენ. უშანგ ხელმწიფე დიდად შეწუხებული ტახტზედ დაბრძანდა და თავისი პირველი ვეზირი შარიფ თან ახლდა. რითაც გაეწყობოდა ხელმწიფეს იმგვარს უკუსაყრელ სიტყვას მოახსენებდა, მაგრამ ხელმწიფე დიდად შეიჭირვებდა ფალავანთათვის. მერმე მეჯლისში დაბრძანდა და გაიმართა მეჯლისი და შეექცეოლდნენ.

შიმალ-შა დიდად მხიარულად გაამაყებული გაბრუნდა და თავის ტახტზედ დაბრძანდა და ყოველნი ფალავანნი და თავადნი თავ-თავის

ღირსსა ალაგს დასხდნენ. რა ყაპარიზამ შევიდა, ხელმწიფემ სამი ხელი მძიმე ხალათი და ძვირფასი თაჯი და ქამარი უბოძა და ესრეთ უბრძანა: ჰეი, ფალავანო, შენი პირიმც ნათელი იქნებო, როგორც მე დღეს ერანის ჯარში სახელოვნად გამომაჩინეო. ხელმწიფემ დალოცა და თავის განწესებულს ალაგს დასვა და ხელმწიფემ უბრძანა ყაპარიზამს: ყოველთა ფალავანთა უწარჩინებულესო, დღეს ვინცა ვინ ფალავანნი დაიჭირე, ისინი დავხოცოთ, თუ რომ ერთ-ორს დღეს შევინახოთ? ყაპარმა გაიცინა და მოახსენა: ხელმწიფეო, თუ მაგათი დახოცა მდომოდა, მუნვე დავხოცდი. ჯერ უშანგ-შაჰ, ყარამანი, სარვიხურამანი, გულჩინი, ხოსროვშირი და თქვენი ძმანიც დავატყვევო და შემდგომ თუ ამათ ჩვენ ღმერთებს და ცეცხლს თაყვანი სცეს, ხომ არ დავხოცოთ, თუ არადა ყოველნი დავხოცოთ და მაგათი კალო ვლწოთ. ამჟამად ის ფალავანნი იმალ-შას ჩაუბაროთ, რომ კარგა შეინახოს. რა ესე სიტყვა შეასრულა ხელმწიფემ, გათენებამდის სულ ღზინში და გაცემაში ბრძანდებოდა.

რა დილა გათენდა, ორისავე მხრის ლაშქარი გამოვიდა და მოედანზედ დასტები დაეწყო. პირველად ყაპარიზამ გამოვიდა, მოედანსა და ერთი ძლიერად შეჰყვირა ამ სიტყვით და დაუძახა: უშანგ-შაჰ, შენ ხომ ჩემი სიტყვა არ დაიჯერე და შამილ-შას არ დაემონე. ნახე ახლა, მე შენ რას გიზამ! მებრძოლი ფალავანი გამოგზავნე და შენ თამაშა მიყურეო! ნახე! მოედანზე მოსულის ფალავნის თავს რას მოვგვრიო! მოედანზე ცხენს თამაშობა დააწყებინა.

ამჟამად ჰეითალი ჯანგი ჯუმ ხელმწიფეს თავი დაუკრა და მაშინვე ხმაღს ხელი მიჰყო და მრისხანედ შემოუტია, ხმალი მოუჭნია. ყაპარიზამ ფარი აღარ იფარა, შესწვდა და ხმალიანი მაჯა დაუჭირა. ვეღარ შეიმავრა ჰეითალ ჯანგი ჯუი, აყენდაზედ შესდგა, ესრედ მრისხანეთ ხმალი სცა, სპილოს ფეხები დააყრევინა. სპილო და ყაპარიზამ ორნივე ერთად დაეცნენ. ვირემდისინ წამოდგებოდა, თეძოში დაჰკოდა მძიმედ. განრისხდა ყაპარიზამ, მისწვდა სარტყელსა და აზიდნა, აგლიჯა ცხენისაგან, თავს შემოივლო და მიწას ასეთი დასცა, რომ იმისი სახე მიწას გამოესახა. შეჰკრა და აიარებს მისცა.

ამჟამად შამალ-შამ თავისი საჯდომი სპილო გაუგზავნა. სანამ ყაპარიზამ სპილოს შეჯდებოდა, მაშინვე მალაჰილ უშანგს თავი დაუკრა, ცხენი გაქუსლა, ყაპარიზამს მოუხდა და სამი მძიმე ლახტი დაჰკრა. ყაპარიზამ თავის ლახტი იფარა და მით აიციდინა. რა რომ იგი ყაპარს ერგო, ერთი მძიმე გურზი დაჰკრა მალაჰილს, მანაც ლახტი

იფარა და ვერ შეიმაგრა. გულს მოხვდა და პირილამ სისხლი ამოჩქედდა, უცნობო შეიქმნა. ძირს დაეცა. მსწრაფლ აიარებმა ხელები შეუტრეს და წაიყვანეს. ამ ყოფაქცევით სამოცდასამი ფალავანი შეიპყრა და ჯინჯილებით დააბა.

რა სალამო ჟამი შეიქნა, ორივე ლაშქარი თავ-თავის ალაგს დაეწყო. და რა დილა გათენდა, ყაპარიზამ მოედანს გამოვიდა და სალამომდინ ოცდაშვიდი ფალავანი კიდე შეიპყრა. უშანგ-შამ ნახა, რომ თავისის ფალავნებისაგან ას ოცდაათი ფალავანი ეპყრა. იმჟამად ჯავრით ხელმწიფეს სიცოცხლე უმწარდებოდა. აქეთ და იქით ბრძანება მისცა და ჯარმან ერთიანად შემოუტია. ორივე მხრის ჯარი ერთმანეთს დაერია და ასეთი ყოფა შეიქნა, რომ კაცის თვალს არ ენახა. ასეთი სისხლი დადგა, რომ ცხენოსანნი შიგ სცურავდნენ და ის დღე მეორედ მოსვლის დღეს ჰგეანდა.

ყაპარიზამის შემწეობითა ინდთა უშანგის ლაშქარი უკუაქციეს. ეს რა უშანგმა ასრე ნახა, თავის ლაშქარი, თავისი ტახტი თავის ძმას შარიფ-შას მიაბარა. თვითონ ჩამოხტა და თავით ფერხამდის ფოლადით შეიქურვა, შეჯდა ცხენსა და რამდენიმე რჩეულნი ფალავანნი თან იახლნენ და ხელმწიფემ ამ გამომფრთხალს ჯარზედ ღმერთი ახსენა, შეუტია. რა უშანგ ხელმწიფე ჯარში ნახეს მედგრად მბრძოლი, მისნი ფალავანნი და ჯარიც უკუიქცა და სალამომდი ესრეთ მამაცად იბრძოლეს. რა რომ სალამო შეიქნა, ორსავე მხარეს ასაყრელის ნაღარასა ჰყრეს. ორისავე მხრის ლაშქარმა სადავეს ასწივეს და თავ-თავის ბინახედ წავიდნენ.

უშანგ-შამ უბრძანა შარიფ-შას, დღეს შვიდი დღე შესრულდა, რომ შიმალ-შასთან ის ოცდაათორმეტი ჩემი ფალავანი არის დაქერილი. სტროლაბი აიღე, ჩახედე, ნახე, როგორ იქნება ჩემი საქმე, ან რა გვეშველება, ან სააბყარანი რა დროს მოვა? აილო სტროლაბი და ჩახედა შარიფ-შამ. მცირეს ხანს უყურა, მერმე მოახსენა: ხელმწიფევ, მიხარებია თქვენთვის, რომ სააბყარანი ამალამ მოვა და ხვალ პყრობილთ ფალავანთ სულ განათვისუფლებსო. ღვთის მოწყალებით ახლა ძლევის ვარსკვლავი იმათკენ დაბრუნდა, თქვენ ნულარ სწუხართო!

ხელმწიფემ ბრძანა: ის ჟამი ნეტარ იქნება, რომ სააბყარანის ბედნიერი პირი გვენახოს და იმასთან შვებით გველხინოსო! იქით მხარეს ყაპარიზამ მოახსენა: ხელმწიფევ, ხვალ ლაშქარმან შეისვენოს და ზეგ თუ უშანგ-შას საქმე არ გარდავსწყვიტე, მე ყაპარიზამ აღარ



მერქმისო! იმყამად უშანგ-შას აიარები იქ იყვნენ. მოვიდნენ და ეს ამბავი ასე მოახსენეს. ხელმწიფემ ბრძანა: ჰეი, ყაპარ, რომელსაც ღმერთს ჩვენ გაუჩენივართ, ისივ ღმერთი დავეითარავსო! აგრე რატომ იქადიო? მეჯლიში აღარ მოშალა, სმასა და ლხინს მოუმატა. ესე ამბავი აქ დაუტეოთ და სხვა მცირე ამბავი მოგახსენოთ.

აქა ყარამანის მოსვლის ამბავი მოიხსენეთ: იმ დღეს და იმყამად ნადირობაში უჩინო შეიქნა, ის ამბავი მოგხსენდებათ. ყარამან რუჰავაზან და ჯადუიზადასთან შეექცეოდა, მაშინ ბრძანა: ფერიათ სულთანო, ამას იქით ჩვენს ჩვენს ქვეყანას უნდა გაგვისტუმროთ. ნამეტნავათ რომ ყაპარიაზამისთანას ფალავანს გარდავეკიდენით, რამდენიმე დღე იმას ვებრძოლეთ. მეშინია, არამც თუ იმან ჩვენს ჯარს რამე ავნოსო და ჩემი ძმადნაფიცნი ფალავანნი არამც თუ იმან დამიხოცოს და მეორედ მოსვლამდისინ საუკუნოდ იმათთან მოვალე დავრჩეო. რუჰავაზან მოახსენა: დიახ კარგი იქნებო! მაშინვე ლაშქრის მოწვევა ბრძანა. ფალაჯანმა ყაბული არა ქნა ლაშქრისა. ჩვენ ოთხნი გაგვისტუმრეო. ჩვენ რომ ჯარით მოვიდეთ, ასრე იტყვიან, ყარამანს შეეშინდა, წავიდა და ღვეისა და ფერიათ ლაშქარი მოიყვანაო და თუ ეს ლაშქარი არ მოეყვანა, უთუოდ ჩვენ ვაჯობებდითო. ამაზე დიდად დამძრახვენი და თუ რომ შეგიძლიათ, ჩუმად გამგზავნეთ, რომ არაეინ შემიტყოსო.

მაშინვე შათალი სულთანმა ბრძანა და მოასხა ფერიანი. რამდენიმე ფერიამ აიყვანეს ყარამან და ჯარში მოიყვანეს. რა სარდალთა და ფალავანთა დაინახეს, დიდა სიხარულს მიეცნენ და ხელმწიფემ დიდი და მცირე ყოველივე წინ მიაგება და ფალავანი დიდის დიდებით და პატივით მოიყვანეს ხელმწიფის წინაშე. რა ხელმწიფემ დაინახა, ზე ადგა და მიეგება და მშვენიერად პირს აკოცა და მკერდსა მიიყრდნო და იმისის ნახვისათვის ღმერთს მადლობა მისცა და დიდად დალოცა და ბრძანა: ვმადლობ ღმერთსა, რომ თქვენი თავი დღეს მომცა, რომელთა სიმხნითაც ჩვეული ვარ მრავალგზის მტერზე ძლევასა და ახლაც ვიდიდებთ ჩემსა მტერსა ზედაო.

ყარამან დაემხო და მიწას ეამბორა. ხელმწიფე დაბრძანდა და ყარამანც თავის განწესებულს უპირველეს ალაგს დაიწვია. მოვიდნენ ფალავანნი, ხელმწიფის მოსვლა მიულოცეს და თავ-თავის ალაგს დასხდნენ. მერმე ხელმწიფემ ყაპარიაზამის ომი და მისგან ფალავანების დაჭერის ამბავი უამბო. რა გარდანქეშანმან ეს ამბავი გაიგონა ხელმწიფისაგან, მსწრაფლ გამობრუნდა და შირფანჯაც თან გამო-

იყოლა. მაშინვე რაიაზამის ურდოში მივიდნენ. ის ფალავანნი იმალ-შას ებარნენ. ტუსალთ აიარები მოვიდნენ, იმალ-შას კარავს შემო-უარეს და კარავთან რომელნიც ქეშიკნი იდგნენ, იმათ ბეუშარი მის-ცეს და უცნობო შეიქმნენ.

მაშინვე გარდანქეშანი და შირფანჯა შევიდნენ და ტუსალნი ფალავანნი ერთობით განათავისუფლეს, იმალ-შას და პყრობილთ მცველებს ყოველთავე თავები დაჰკვეთეს, მოვიდნენ, ხელმწიფეს იახლენ. ამავ ეამს რაიაზამს იმალ-შას სიკვდილი და ფალავანების განთავისუფლების ამბავი მოახსენეს და დიდს მწუხარებას და დიდს ურვას მიეცნენ. რაიაზამ ბრძანა გლოვითა, ყარამანს ახლა ომი ვილამ უნდა გაუსწოროს? ფალავანთ მოახსენეს: ხელმწიფევე, მაგაზე ნუ შესწუხდებით. აქათ ორნი ფალავანნი არიან, რომელთაც სახელად ერთსა ჰქვიან სალსალ საზადვარ და მეორესა არყასხუნზარი. რა ისინი დაბადებულან, ჯერ იმათთვის ომი არავის გაუსწორებია. იმათ მძიმე ფეშქაშები გაუგზავნოთ და ყარამანისაგან შეეჩვილოთ. მივიწვიოთ და მოვიყვანოთ და ყარამანს იმათით ვსძლიოთ. თუ რომ ორნი არ მოვიდნენ, ერთ-ერთი ძმა მაინც მოვა. იმათ ერთი აიარი ჰყავთ სახელად ფარანდევნი ჯანსუზ ეწოდება. თუ ის მოვიდა და მოჰყვა თანა, მთელი ქვეყანა რომ გარდანქეშანად გარდაიქცეს, იმას უსიკვდილოდ ვერავინ გარდაურჩებაო.

იმდენი ქება მოახსენეს, რომ იმალ-შას სიკვდილი დაავიწყეს. მაშინვე ბრძანა და ერთი წიგნი მისწერა და თავისი შეჭირვება ყოველივე გამოუტხადეს და ამასთანავე იმალ-შას სიკვდილიცა. ესეც ბრძანა, თუ ვინ იცის, დაიგვიანონ, უშანგ-შას ერთ თვეს მუღათი უნდა ვსთხოვოთო. ერთს ვეზირს მისცეს წიგნი და ოცი ფალავანი გაატანეს და საჩქაროდ ფეშქაშებით გაისტუმრეს. და ხელმწიფემ უბრძანა, ჩქარა უნდა მიხვიდეთო. ეს რომ გაისტუმრა; ხელმწიფემ იმალ-შას დამარხვის თადარიგში შევიდა. იმჟამად ყაპარიაზამ ზე აიხედა და ხელმწიფეს მოახსენა: ხელმწიფეო, ყარამანის მოსვლაზე თქვენ ნუ შესწუხდებით! ვილაც უმსგავსო ყარამან არის, ხვალ იმას ჩემის ხმლით ორად გავკვეთო.

რაიაზამ რა ეს მოისმინა, მართალი ეგონა და დიდ მხიარულებას მიეცა. ამჟამად ასიმ აიარი რაიაზამის ჯარში ყოფილიყო. მივიდა უშანგ ხელმწიფესთან და იმ დამის იქაური ამბავი ყოველივე უამბო: ხელმწიფემ მწუხარებით ყაპარს ხვალის ომის ამბავი ჰკითხაო. ყაპარმა ხვალის ომის ბრძანება მისცაო, ხვალ თუ ყარამან ოთხად გაჭრბლი

არ გაჩვენეთ, ჩემს სახელს ყაპარს ნულარ დამიძახებთო. რა რომ ყაპა-რაიზამ ესრეთ მოახსენა, ხელმწიფემ დიდად მოიღვინა და ბრძანა, შეიღსა და რვას დღეს ომი დაეყენო და მერმე შეევაბათო.

რა უშანგ-შას ესენი ყოველივე თვითეულად მოხსენდა, სარდალთა და ფალავანთა ასე უბრძანა: ამ რვასა და ცხრას დღემდისინაცაო ყაპარისა და ყაპარამანის ომი არისო. თქვენც მზად იყვენითო, რომ ამ დღეებში რაიზამის საქმე გარდავსწყვიტოთ და მერმე ჩვენც ერანში და თურანში წავიდეთო. ყარამანმა მოახსენა ხელმწიფეს, ღვთის ძალით შიმალ-შას საქმეს მალე დავასრულებ და დროშებს პირქვე დაუშობო. რა ეს სთქვა, ლხინსა და შექცევას მოუმატეს.

ამჟამად გარდანქეშანი ზე ადგა, ხელმწიფეს თავი დაუკრა, დალოცა და ქება შეასხა. და მოახსენა: ხელმწიფეო, თქვენ შექცევაში და ლხინში ბრძანდებოდეთ, მე გული მაწვევს, რომ ამალამ წავიდე რაიზამთან და მცირეს ხანს ვიტირო და იმის დიდებიდამ ცოტა რამ საქონლის წილი დავიდეაო. გარდანქეშანმან რა ეს დაასრულა, ყარამან უხუმრა: გარდანქეშანო! რაიზამს შენგან მორიგება აქვს და გაფრთხილდი, რომ შენ ხელში არ ჩავიდლოს და არ მოგკლასო. გარდანქეშანმან გაიცინა და ყარამანს მოახსენა: ვაიმე, ვაიმე, შენ ჩემს წასვლაზედ არას დროს კარგს არას იტყვი. ასეთს რიგად დამადგამ ყბას ხოლმე, რომ ამჟღომია და რის ძნელის მეცადინეობით გამოვსულვარო და ახლაც გულში შიში ჩამიგდეო.

რა ეს მოისმინეს გარდანქეშანისაგან, ბევრი იცინეს ერთობით. მერე ხელმწიფემ უბრძანა: გარდანქეშანო, რა არის, რომ მცირეს საქონლისათვის თავს დასდებ ხოლმე. რა არის ამისთანა სიხარბე, რომ შენს თავს სიკვდილს მისცემ ხოლმეო?! გარდანქეშანმან კვალად მოახსენა: ხელმწიფეო, როგორც ჩემგან მოხსენებულია, შენ ამალამ იმალ-შას საქონელს სულს აღარას გაუშვებო. ამისათვის, რომ იმალ-შას დანარჩომი საქონელი ბეითალმანი არის და იმას აქ აღარავინ დარჩომია და იმისი ბეითალმანი ჩემი არის. უარესი მე ვარ და თქვენის ბედნიერის პირით ყველამ დამლოცეთ და ვნახოთ, ჩემი საქმე როგორ წარიმართებაო.

ეს მოახსენა ხელმწიფეს და მერმე თავის სადგომს მივიდა და თავისი თავი ერთს უცხოს ყმაწვილსავით შავის ტანისამოსით მოირთო. როგორც თითონ მოირთო, ეგრეთვე შირფანჯა და ცამეტი სხვანი მორთო შავად. და შესცვალა სახითაც, ასე რომ ვისაც ვნახა, დიდის ხაზინის შემნახავებს დამსგავსებოდნენ, ამათ თავისებრივ ბრძანება

მისცა, საითაც მე წავიდე, თქვენც მე მომყევითო. თუ ვინმე გზას შემოგზვდესთ და გკითხოსთ რაზე, თქვენ იმას ხმა არ გასცეთო. გაუძღვა.

ერთს უცხოს ფარულს გზაზედ იარეს და რაიაზამის ურდოში შევიდნენ. მიიარ-მოიარეს, ნახეს, ყოველნივე მწუხარენი იყვნენ. მობრუნდნენ და იმალ-შას კარავთა მივიდნენ. მსწრაფლად ქეშიკნი მოეგებნენ და ჰკითხეს: ვინა ხართო? გარდანქეშანიშა მიუგო: ჩვენ ხელმწიფის ხაზინის შემნახავის ყმაწვილები ვართ და ხელმწიფესთან სიტყვა გვაქვს მოსახსენებელიო. რა ხელმწიფეს მოახსენეს, ბრძანა, მოვიდნენ და მნახონო. რა რომ შევიდნენ, მაშინვე გლოვა და ტირილი მორთეს და მკერდსა და თავს იცემდნენ ასეთის მწუხარებით აჩვენეს თავისი თავი, რომ ხელმწიფესაც დიდად შეეწყალა და ამანაც ტირილი დაიწყო.

მცირეს ხანს უკან ხელმწიფემ ჰკითხა ამათ ვინაობა და რასათვის მისვლა. გარდანქეშანი ატირდა და მოახსენა, იმალ-შა მოკვდა და ღმერთმან თქვენ ცოცხლებით და სუფევით გამყოფოსთო. მე იმალ-შას სწორე და მისანდო ყმა ვარო. თვითონ ამათაც იციან, რომ არც ესენი და არც სხვანი ჩვენზე უდიდესნი ვინმე იმას ჩემსავით არავინ უყვარდაო. ჩემი მოხსენება ეს არის, რომ იმალ-შას სალარო იმისი მოლარეთ-ხუცისაგან იავარი შეიქნება. მრავალი რამ დახარჯა და რა იმალ-შა მოკვდა, იმის სალაროს ხელი მიჰყო, აფუჭებსო. რომელნიცა იმის სიცოცხლეში მოლარეთ-ხუცის შემდეგნი და მასიამოვნენი იყვნენ, ისინიც მიუმზარია და ხაზინას აფორიაქებსო. და რომელნიც საბრალონი იმალ-შას ერთგულნი მონანი იყვნენ, ესენი გამოჰყარა და მტერობს და ხაზინა იმას უჰყარიაო. მეც ასე მითხრა, ხვალ ყარამან რაიაზამს მოჰკლავსო და ამ ხაზინიდან ჩვენ ცარიელნი ნუ დავრჩებითო. მე იმის სიტყვა არ დავიჯერე, თქვენის ერთგულობისათვის აქ ამისთვის გიახელ, რომ თუ ამალამ ხაზინას არ მიეპატრონენით, სულ აიკლებსო. ეს ასე საჩქაროდ მომიხსენებია და ნება თქვენის ხელმწიფობისა აღსრულდესო.

რა გარდანქეშანიშან ეს ასე მოახსენა, ისინიც ასე დაემოწმნენ, რა ეს მოისმინა, ხელმწიფე მაშინვე ცეცხლივით აენტო და ამათ უბრძანა: თქვენ ახლავე საჩქაროდ გაბრუნდით და ხაზინა ამალამ თქვენ გეზაროსთ. ნურც იმ მოლარეთ-უხუცესს მიუშვებთ და ნურცავის სხვასა და ხვალ მე გიჩვენებთ მოლარეთ-ხუცის ტანჯვით სიკვდილსაო. მაშინვე გარდანქეშანს ხელჯოხიანნი გააყოლა და ნიშანიც უბოძა.

ბეჭედი და შესთვალა, ამავე საათს ხაზინა და ერთობით კლიტეები ამ თექვსმეტთავე უნდა მოჰბარდესთო და ხვალ ჩვენც აღრე მოვალთ და როგორც სჯობს, ისე მოხდებოდ.

რასაც წამს იასაულნი მივიდნენ და ხელმწიფის ბრძანება გამო-  
ტყუცხადეს, მაშინვე სალაროები, ხაზინა ერთობით თავისის გასაღებე-  
ბით ამ ქვეყნის დამტკიცეს კაცს ჩააბარეს. მერე ეს საბრალო მოლა-  
რეთ-ხუცესი მივიდა, ჰკითხა ამათ: ხელმწიფე რაზე გამიწყრა, ხაზინა  
რად გამომაბარაო? გარდანქეშანმა მიუგო, ჩვენ სხვა არა ვიცით რა.  
რაიაზამის მოლარენი ვართო და ამაღამ ამისი მიბარება გვიბრძანაო.  
მოლარეთ-უხეცესმა ამათ თავი დაუტყრა, თავისი მოლარენი ყოველნი-  
ვე თან გამოიყოლა და თავ-თავის კარავს განისვენეს.

გარდანქეშანმა რა ესენი გაიცილა, მაშინვე ხაზინის კარი გააღო.  
ერთი დიდი სკივრი ნახა. შირფანჯას უხმო: აიარო, მოდი და ეს გა-  
სინჯე და კარგად ნახეო. ნახეს და დიდად მოეწონათ. გარდანქეშან-  
მან უთხრა: ფალავნობის სიმხნის დროს ეს არისო. ეს საუნჯე, რაც  
არის, ახლავე უნდა ვეცადნეთ რომ ამაღამვე ესენი ჩვენს ხელმწიფეს  
მიერთვასო. ეს უთხრა და შირფანჯა გამოისტუმრა და ეს სკივრი გა-  
მოატანა. უთხრა: წადიო და სამოცი რჩეული აიარო საჩქაროდ მოას-  
ხი, რომ სრულებით ამ ხაზინის სიკეთე თან წავიღოთო.

მასვე წამს წამოვიდა და ეს სამოცი რჩეული აიარნიც თან წაიყვა-  
ნა. შევიდნენ სალაროსა შიგან და რაც რომ საუკეთესო რჩეული რამ  
იყო სალაროებში, სულ ასწივეს და წაიღეს და მშობლობით მივიდნენ.  
გარდანქეშანმან თავისა სადგომს ყოველივე სრულებით ასწერა ეს  
ხაზინა. გარდანქეშანმა თქვა: ხელმწიფესა კარგი რამ უძღვნათ, რო-  
მელიც ხელმწიფის საკადრისი იყოს, ხელმწიფეს მიერთოს და ეგრე-  
თვე ნახევარი სააბყარანსა და ნახევარი ჩვენ გავიყოთო.

ეს პირობა დადეს და გარდანქეშანი და ეგრეთვე სხვანი აიარნი  
ხელმწიფის კარს გავიდნენ მასვე ღამესა. და რა ხელმწიფემან გარდან-  
ქეშანი დაინახა და ისინი შესულნი ნახა, გარდანქეშანს ჰკითხა: რა  
საქმე აღვისრულებია და ან რა იციო? გარდანქეშანმა ყოველივე ამ-  
ბავი თვითთულად მოახსენა და ყოველივე გაუკვირდათ, ხელმწი-  
ფემ ჰკითხა: ჰე, გარდანქეშან, ხელთ იგდე რამეო? გარდანქეშანმან  
მას წამსვე იმ ხაზინის ნუსხა ამოიღო, თავი დაუტყრა და მოართვა. რა  
ხელმწიფემ წერილი წაიკითხა, მერე შარუხ-შას მისცა და უბრძანა,  
ხმამალა წაიკითხეო. შარუხ აღდა და თავი დაუტყრა და ხმამალა  
წაიკითხა ნუსხა.

რა ესოდენი საუნჯის და ხაზინის მოტანა მოისმინეს, ყოველთა ფალავანთა და სარდალთა დიდად გაუკვირდათ. მერმე ხელმწიფემ უბრძანა: აიარო, მაგ ხაზინილამ ჩემთვის რა მოსართმევი გაქვსო? გარდანქეშანმა მოახსენა: ხელმწიფევე, ნუსხა ამისთვის დაწერე და მოგართვით, რომ ეს დანარჩენი საქონელი ჩემისა ხელმწიფისა იყოს. და რომელიც ამ ხაზინაში თქვენი ხელმწიფობის შესაფერია, მეტობითაც მიირთვითო და ეგრეთვე სააბყირანს უნდა მიერთვას და აგრეთვე სხვათა ფალავანთა და სარდალთა და ყოველთავე წილი უნდა დაედვასო და სხვა, რაც დარჩეს, ჩემთა ამხანაგთა აიართა და მე სწორედ უნდა გავიყოთო. გარდანქეშანმან ეს მოხსენება ყოველივე ასრე აღასრულა და თვისი წილი, რაც ერგო ისიც ისევე თავის ამხანაგებს აჩუქა და თვითონ ესე თქვა: ერთი სახელიც ეს ჩემი ასრე დარჩეს, მე სხვა არა მინდა რაო. რა ეს ნახეს ყოველნი აქებდნენ და უკვირდათ.

იმჟამად რაიაზამს ერთი აიარი ჰყვანდა და თავჩამოგდებით დიდის მწუხარებით თქვა: თუ რომ ქვეყანაზედ კაცს აიარი ჰყვანდეს, გარდანქეშანისთანა უნდა ჰყვანდესო. ზე აღგა და რაიაზამის წინაშე წარსდგა და იმ ღამეს გარდანქეშანისაგან იმალ-შას ხაზინის წაღების ამბავი ყოველივე მოახსენა. ხელმწიფე დიდად განრისხდა და იმისგან მოხსენებულნი არ შეიწყნარა, აგრე როგორ იქნებოდაო. მას ჟამსვე უბრძანა ვეზირთა; იმალ-შას ხაზინა გასინჯეთ, მართლა ასე მომზდარა თუ არაო. წავიდნენ ვეზირნი, მოლარეთ-ხუცესი ჰპოვეს. შევიდნენ ხაზინაში და ვერაფერი ველარა ჰპოვეს რა და შექნეს გლოვა და ტყება და წამოვიდნენ ხელმწიფის წინაშე და მოახსენეს დიდის მკმუნვარებითა.

რა ხელმწიფემან მოისმინა, დიდის მრისხანებით ხმითა თავისთა დიდებულთა მოუწოდა. მას ჟამსა ხელმწიფესთან ამდენი სპასალარნი და სარდალნი ფალავანნი და სპანი შემოკრბენ, რომ ქვეყანას ემძიმებოდა. რა ესე ერთობით სიმრავლე იხილა ხელმწიფემ, დიდის ვაებით ხმა ჰყო და ცრემლოოდა. მათცა რა ესრეთ შეწუხებული ნახეს, თვითცა იგლოვდნენ ერთობით. ყაჰარიაზამ ზე აღგა და მოახსენა: ჰე ხელმწიფეო! ამა საქმისათვის დიდად ნუ სწუხარ. რა დილა გათენდება, ყარამანს და უშანგს ორთავეს მოვსრავ და თქვენთა ხაზინათა თქვენვე მოგართმევთ. და ახლავე უბრძანეთ ყოველთავე, რომ ომის მზადება იწყონ და ხვალე იხილავთ ამის მუქაფას, რას განსაცდელს შევამთხვევ იმათაო! რა ეს მოისმინეს, ყოველნი დიდად გამხიარულდნენ და საომარი იარაღი შეიმოსეს და განიზრახავდნენ:

სწორედ ყარამანს მოჰკლავსო და იმის ხაზინას იავარ ჰყოფსო. რა ეს საქმე ასრე დაამტკიცეს, უშანგ-შას აიარები იმჟამად იქ დაესწრნენ. მოვიდნენ საჩქაროდ და ყოველივე ესე ამბავი ხელმწიფეს მოახსენეს.

რა უშანგ-შამ ეს ამბავი მოისმინა, მასვე წამს ბარამ ჯიბილს მოუწოდა და ეს ამბავი ყოველივე აუწყა: ხვალე იმათ ჩვენზე ასე დაუმტკიცებიათ და თქვენცა უბრძანეთ სპათა ჩვენთა, რომ ომის თადარიკი იწყონო. ხვალე ღმერთის მოწყალებით ასეთი ომი უნდა მოხდეს, რომ რაიაზამის დროშები უნდა დასრულდეს და იმისი ხაზინა სრულებით იავარ ვჰყოთო.

იმ ღამეს ყოველნი მზად იყვნენ და რა დილა გათენდა, საომარს ნაღარასა ჰკრეს და უოველნივე მოედანსა გამოვიდნენ და თავ-თავის განწესებულს ალაგს დადგნენ. უშანგ-შამ შეხედა ყარამანს, თილი ყამყამის მეტი არა ერტყა რა, ჯუბა და ჯავშანი ორივე გაეწყო და სხვა იარაღი არა ჰქონდა რა. რა ხელმწიფემ ნახა, სწორედ, რომ იარაღი არა აქვს რა. ტკბილის ხმით უბრძანა: რატომ არა ბრძანებო და იარაღს არ მოატანინებ და მოედანს არ დასდგებიო?! ყარამან მოახსენა: მე ყაპარიზამის საომრად არ გავალ, მწადს, რომ სარტყელსა ხელი მოვავლო და მიწასა განვართხა და ამ თილი ყამყამით თავი წარვკვეთო და საომარი იარაღი დღეს ჩემთვის საჭირო არ არისო.

იმავე ჟამად იქით მხარეს ყაპარიზამ მოახსენა რაიაზამს: დღეს ის დღეა, რომელიც აღმითქვამს, ყარამან თავისის ცხენით ოთხად უნდა გავწყვიტო ერთის ხმლის შემოკვრით და თქვენ თამაშა მიყურეთო! მსწრაფლ მოედანს გამოვიდა და დიდის ხმით შემოსძახა: ჰე, ყარამან, დღეს ის დღეა, რომ ან შენ ჩემის ხელით უნდა აღსრულდე და ან მე შენის ხელითაო. ახლა შიშის დროს აღარ არის, მოედანს გამოდი და ჩემს ძლიერებას გაცნობებო! აქათ ყარამანმა თავის ხელმწიფეს თავი დაუტრა და ხელსა აკოცა და მოახსენა: შვიდთა იყლიმთა მპყრობელო ხელმწიფევე! თქვენის ბედნიერის პირით დამლოცეთ! ამანაც მხურვალის გულით დალოცა და უთხრა: წადი, ღვთისათვის მიმიბარებინებარო.

გარდანქეშანი წინ გაუძღვა ყარამანს და მოედანს გავიდნენ. ყარამანს საომარი იარაღი არა ერტყა რა და წინ დაუდგა. რა ყაპარიზამმა ესრეთ უიარალო დანახა. დიდის ხმით გაიკინა და უთხრა: შენ რამდენსამე დღეს ჩემის შიშით გაიქეც და შენმა წერამ და ბედმა აქავე ჩემთან მოგიყვანა, რათა შენი სიცოცხლე ჩემის ხელით უნდა

აღსრულდეს. მოდი, თუ დამიჯერებ, გაბრუნდი და საომარის იარაღით შეიჭურვე. ასე არა თქვან, რომ ყარამან ყაპარიაზამმა უიარაღოდ მოკლაო. ყარამანმა უთხრა: ჰეი, ფალავანო უგვაროვ და უმსგავსოვ, მაგისთანა კვენხა სირცხვილია, როგორც შენ დაგიკვენხია, ხვალე ყარამანს ოთხად გავკვეთო. აგრეთვე მეც ვთქვი, შენი სარტყელის ხელის ჩაგდება და მიწას დაცემა. აღრევეც ამისთვის არ გამოგიმეტე, რომ მესმოდა შენი სიჭაბუქე და შევნიერება და ამაღად გადრობდი, რომ იქნება მიცნასო.

რა ეს ყაპარიაზამ ყარამანისაგან მოისმინა, განრისხდა და თქვა: წყეულიმცა არს ბედი ჩემი, რომ ამისთანა უმსგავსო კაცმა მე საომრად დამიწუნოსო! რა ეს თქვა მსწრაფლვე ბასრსა ხმალსა ხელი მიპყო და რა შემოსაკრავად მიუხდა, ყარამანმა თილი ყამყამი შეუფარა და მოხვდა, ყაპარის ბასრი ხმალი სამად გარდაიბტვრა. რა ყარამანმან ეს მოიხილა, თილი ყამყამი ქარქაშსავე თვისსა ჩააგო და სარტყელსა ხელი მოჰკიდა და ცხენილად გარდმოიღო, ღვთის სახელი ახსენა, თავსა შემოივლო, ესე შავის მთისოდენი ფალავანი მოიქნია და ესრეთ ძლიერად დასცა მიწასა. რომ ყოველ მხარეს მოესმათ. მსწრაფლად ბასრსა ხანჯალსა ხელი მოივლო და შავარდნის მსგავსად გულსა წიხლი დაჰკრა და ლამობდა თავის მოკვეთასა.

რა ყაპარიაზამ ესრეთ იხილა, შემოსძახა დიახ საცოდავის ხმით: ჰე, ფალავანთა თავო, შენს ღმერთს გაფიცებ, ნუ მომკლავ, დიდი ხანია თქვენი ხლება მინდოდა და ახლაც არის მალირსე შენი სამსახურიო. რა ყარამანმა ესრეთი ვედრება მოისმინა, დიდად შეეწყალა და თავი აღარ მოჰკვეთა და ხელით აზიდნა და ფეხზე ააყენა. და ყაპარიაზამ დაემხო და ფერხთა აკოცა. ყარამანმა უთხრა: დღეის იქით მე და შენ ძმანი უნდა ვიყვნეთ. გნებავს, შენსავე ხელმწიფესთან წადი და თუ არა, ჩემთან იყავ და ჩემის ხელმწიფის მეორე კაცი შენ იქნები და გთხოვ, რომ შენ ჩვენის ხელმწიფის წინაშე გამოცხადდე და იქილამ მიყურო, რაიაზამის ჯარს რა ღვთის რისხვა დავმართო!

რა ეს მოისმინა, ყაპარიაზამ მძიმედ თავი დაუტკრა და შეეხვეწა: დღევანდელი ომი მე დამაცალეო და კიდეც მენდენით, რომ არც არას მე დავაკლებო. ყარამანმა დასტური დასცა და თავი დაუტკრა და თავისი მხრისაკენ წამოვიდა. რა ხელმწიფემ დაინახა, მაშინვე ბრძანა, სამხიარულო ნაღარას ჰკარითო. ყაპარიაზამ თავის რაშზე შეჯდა და მობრუნდა და რაიაზამს დაუძახა დიდის ხმითა: საბაოთ ღმერთი ვიწამე, რომელიც ცისა და ქვეყნის შემოქმედი და დამაარსებელი



ირის და უშანგ-შას მონა შევიქენ და ყარამანის ამხანაგი და ძმად ფიცი და ახლავე ჩემი მეზობელი ფალავანი გამომიგზავნეო!

რა რომ რაიაზამ ესეთი სიტყვა მოისმინა, ასე განრისხდა, რომ კბილით ხორცს იგლეჯდა და თითო ნაკადი სისხლი გარდმოეცემოდა. რა ყარაიფ ესე გვარი სიტყვა მოისმინა, დიდის მწუხარებით აღვსილმა რაიაზამს თავი დაუქრა და საომრად გამოეთხოვა. რაიაზამანცა დიდად დალოცა და თავის პირველს კერძს, რომელსაც ამანათ ერქვა, იმას შეავედრა. ყარაიფ თავის მარტორქაზედ ამხედრდა და შუბის მხარზედ ტრიალით ყარაიაზამს მიუხდა და შემოუძახა: შე უნამუსო და პურ-მარილის მგომბელო და უძგავსო, რაიაზამისაგან რა ნაკლებობა ნახე, რომ ამისთანა მაღალი და სახელგანთქმული ხელმწიფე დაუტევე და ერთის უსჯულოს მონების ქვეშ მიხველო. ახლა შენს სიცოცხლეს ჩემის ხელით სადღა გარდაურჩებო?! შუბით შემოუტია და ყაპარიაზამ ფარი იფარა მკერდსა ზედა და აიცილინა. მეორედ მობრუნდა და მძიმე ლახტი თავს დაჰკრა და ვერცა რა ამით ავნო. მესამედაც გურზი შემოსტყორცნა და ესეც აიცილინა.

რა რომ რიგი ყაპარიაზამს ერგო, მოუხდა და ღვთისა სახელი ახსენა. ერთი მძიმე ლახტი თავსა ჰკრა და თუმცა დიდის სიმხნით არ ჩამოვარდა, თვალთ კი დაუბნელდა ეგრეთვე მეორედ და მესამედცა მიუხდა, მაგრამ ისიც ძლიერად იდგა. ორთავე ერთმანეთზედ სამოცსამოცი ხელი იარაღები იხმარეს, მაგრამ ვერა რომელმან სძლია. ყაპარიაზამ მობრუნდა და თავის თავს დიდად განურისხდა. შენ ჩემო თავო, შენ ვინ იყავ, რომ სააბყარანს დღეს ომი არ დააცალეო და ყარაიფს ომი ვერ გაუსწორეო! განურისხდა თავის თავსა და ერთი მძიმე ლახტი აიღო, თავსა შემოივლო, მიუხდა და დაჰკრა. ესრეთ ძლიერად მოხვდა, რომ ყარაიფს თვალთაგან სისხლი წასკდა და ველარას ხედვიდა. მარტორქას ყელზე მოეხვია და თავისი ჯარისაყენ წაიყვანა. ყაპარიაზამს უნდოდა, რომ უკან მისწოდა და მეორეც დაეკრა. და რა ესე საქმე რაიაზამ ესრეთ მოიხილა, მაშინვე თავის ლაშქართა ერთობით შეტევაბა უბრძანა და ერთობით შემოუტევეს.

რა უშანგ ხელმწიფემ იმათი ერთობით მოსვლა მოიხილა ამ ერთს ფალავანზედ, ამანაც ერთობით მისვლის დასტური ბრძანა და სწრაფად მიეშვა და ზღვისოღენი ჯარი აქედამაც მიეშველა და შეექმნათ ძლიერი ომი და სრვა ორსავე მხარეს. ასეთი ძლიერი ბრძოლა შეექმნათ, რომ მამაშვილი ერთი მეორეს ვეღარა სცნობდნენ და ძმა ძმასა. ამისთანას ძლიერს ბრძოლაში იყვნენ, თუცა მზის დასვლასა და სა-

ღამოს არ მოესწრა, იმ დღეს რაიაზამის საქმეს უთუოდ დაასრულებდნენ.

რა გასაყარს ნალარას ჰკრეს, მაშინვე ჯილაკი ასწივეს და ყარამან და ყაპარიაზამ და აგრეთვე სხვანი ცალ მხარეზე გარმოსდგნენ და ყარამანმა ხმა მაღლა შესძახა რაიაზამს: დღეს მინდოდა შენთა დროშათა და აღმებთა დამხობა და შენცა სიცოცხლეს განგაშორებდით, მაგრამ რა ვქნა, რომ ეს გასაყრელი ხმა უშანგისაგან წესად დაიდგაო და იმის წყენას მოვერიდე და ამალამ შენ ცოცხალი იმის წყალობით ხარო. და ხვალე კარგად მოემზადე, რომ შენცა და შენს ხაზინას ორსავე უპატრონოს გავხდიო!

რა ეს დაასრულა, ფალავანნი ერთობით ყაპარიაზამს მიესალმნენ და ერთმანეთი მოიკითხეს. საომარნი გაიხადეს და სამეჯლისო ტანისამოსი შეიმოსეს. მერმე ყარამან და ყაპარიაზამ და ერთობით ფალავანნი ხელმწიფესთან წავიდნენ და თაყვანი სცეს. ხელმწიფემ მაღლობა უბრძანა და ყარამანს ხელი მოჰკიდა და მიიყვანა და მკერდსა მიიკრა და უაღერსა და შუბლსა აკოცა და მძიმე ხალათი უბოძა. ეგრევე ყაპარიაზამს უბოძა შესაფერი ხალათი და ყარამანმა მოჰკიდა ხელი ყაპარიაზამს და გვერდით დაისვა და ამათს პირდაპირ ზოსროვშირ და ბარამ ჯიბილი ისხდნენ და ეგრეთვე სხვანი ფალავანნი განწესებულს ალაგსა.

იმჟამად ისხდნენ ერთად შვიდი ათასშვიდასი ფალავანი, რომ ერთმანეთზე უკეთესნი იყვნენ და შეიქნა მეჯლისი და დიდი სმა და მხიარულება. ხელმწიფემან ყარამანს უბრძანა: ნუმც მომეშლება სიცოცხლე შენი, რომ დღეს ზრუნვა აღარასი მაქვს და ამისთანა სახელოვანი ფალავანი მოიყვანე და დაიმორჩილე და ძმად ფიცადაც უნდა გვეყავდეს და სამართალია, რომ მეორედ მოსვლამდისინ შენი სახელი იხსენებოდესო! ხელმწიფემან თავისი მძიმედ მორთული თაჯი იიღო და თავისი ხელით ყარამანს თავს დახურა და ეგრეთვე თავის ბრწყინვალე ხათთან გაიხადა და ამასვე ჩააცვა და ასი ათასი დიდი ფლური კვლაცა მიუმატა პირველსა მისსა განწესებულსა ჯამაგირს გარდა. ამას გარდა ყაპარიაზამსაც მრავალი წყალობა უბოძა და გული მოუგო და იმ გზით შეექცეოდნენ.

იქით მხარეს რაიაზამ დიდად შეწუხებული და მგლოვიარე მივირდა შინა და იმ ღამეს აღარც მეჯლისი და აღარც პურის ჭამა აღარ ჰქონდათ. რა დილა გათენდა, თავის ვეზირთ მოუწოდა და დიდად შეწუხებულმან რჩევა ჰკითხა: რა ვქნათ, ხომ ნახეთ, ყაპარიაზამმა ყა-

რამანს ველარ გაუძლო და ამის მიზეზით დაემორჩილა. მე უწინვე ვიცოდი, რომ იმის სიკადადული სულ ტყუილი რამ იყო. ის იმას ვერ აჯობებდა. ახლა ჩვენ ეს გვმართებს. რომ ექვსის დღის პაემანი ვსთხოვოთ უშანგ-შასა და იმა ფალავანთან საჩქაროდ კაცნი გავგზავნოთო.

ამ არჩევანში რომ იყვნენ. ეშიკალაბაში შემოვიდა, ხელმწიფეს მოახსენა: ორნი უცხო კაცნი გეახლენ და თქვენს ნახვას ისწრაფიანო. სწრაფად ინახვინა. ხელმწიფეს მძიმედ თავი დაუქრეს და ქება შეასხეს და მოიღეს სკამები და დასხეს. და აგრეთვე შარბათი მოიღეს და შეექცნენ და შემდგომ ხელმწიფემან უბრძანა: ძმანო, ვინა ხართ, სით მოხვალთ ან რა ამბავი იცითო? ესენიც მსწრაფლად ზედგნენ, მძიმედ თავი დაუქრეს და მოახსენეს: აღიღოს ღმერთმან მეფობა შენი ხელმწიფევე, მოგვილოცავს და გვიხარებია თქვენთვის, დიდი სულთანნი ჯალაირისა აღლან ხუთი ათასის კაცით თქვენს შესაწევნელად მოვიდა და ყარან შირსეევარ და ჩალაქ ჯანფეიმა აიარნი თან ახლავსო. ერთსა მანძილსა ჩამოხდა და ჩვენ აქეთ გამოგვისტუმრა და ახლა ნება თქვენიაო.

რა რო ესე ამბავი რაიაზამ მოისმინა, დიდსა მხიარულებასა მიეცა და ბრძანა, სამხიარულოსა ნალარასა ჰკარითო, და ჯარშიაც დიდი მხიარულება შეიქნა. და იმათ მრავალი წყალობა უბოძა და გაისტუმრა, თქვენ წადით და მეც წინ მივეგებებიო. ხელმწიფემ ბრძანება გასცა ყოველთა სარდალთა და ფალავანთა ზედა: დღეს აღლან აპანდილი მობრძანდება და დღეის იქით ნულარ იშიშვით, ახლა ჩვენ ვსძლევთ იმისის შეწევნითაო. და ახლავე მოემზადენით, რომ ხვალე დიდის დიდებით შემოიყვანეთო. მეჯლისი ბრძანა, დიდად გამხიარულდა და სამხიარულო ნალარას ცემა ისმოდა.

იქით უშანგ ხელმწიფე ისევ ლხინსა და შექცევაში ბრძანდებოდა. რა რომ აქედამ რაიაზამის სამხიარულო ნალარას ხმა მიესმათ, მსწრაფლ ასიმ აიარიც შევიდა ხელმწიფესთან და თავი დაუქრა და მოახსენა: ხელმწიფევე, დღეს რაიაზამ ხომ ისე შეწუხებული გაბრუნდა. რა შინ მივიდა, ვეზირნი იხმო და კარნი დახშეს. მცირეს ხანს უკან ორი სპილოზე მსხდომი უცხო კაცნი იახლნენ და მსწრაფლ შიშალ-შასთან შევიდნენ და მცირეს ხანს უკან სამხიარულოს ნალარას ჰკრეს. ვიკითხე ამბავი და ასე მითხრეს: ხუთი ათასის ლაშქრით ჯალაირის სულტანი აღლანი ერთს მანძილზე ჩამომხდარა და თავისი ფალავანი ყარანი შირსეევარ და ჩალაქ აიარ ჯანფეიმაც თან ახლავსო.

რაიაზამის ჯარში ერთი დიდი ლხინი და შექცევა არის. ხელმწიფემ ბრძანება გამოსცა, რომ ხვალ ერთობით წინ უნდა მივეგებოთ და დიდის პატივით უნდა შემოვიყვანოთ.

უშანგ ხელმწიფემ ბრძანა: მე იმის მოსვლით არაფერი არა მევენება რა. ლეთისა მოწყალებით მასცა ვაჩვენებთ ჩვენსა ძლიერებასაო. რა ესე ბრძანება ხელმწიფემ გაათავა, ყაპარიაზამმა მოახსენა: ხელმწიფეო, ვიშივიში ესრეთსა კადნიერად მოხსენებასაო. აჰანდილისთანა ფალავანი არა უწყი, თუ რომ ყოფილიყოს ოდესმე და ან ახლა იყოს ვინმე. რა ის ცხენსა ამხედრებულა, ჯერ იმისთვის ომი არავის გაუსწორებია. ავგული და დიდად ამაყი კაცი არის. თუ წამალი გაგვეწყობა რამე, ისევე სააბყარანისაგან, თორემ სხვის იმედი არა მაქვს, რომ იმას უპირდაპიროს ვინმეო. თხმოდღაშვიდის მწყრთის სიმალლის მქონებელია და მკერდის სივრცე ოცი მწყრთა აქვს. ესრეთ ძლიერად მებრძოლი არის, რომ თვალი უკეთესსა ველარას იხილავს. მრავალნი გულოვანნი და ჩინებულნი ფალავანნი მოვიდნენ, მაგრამ იმას ომი ვერაფერს გაუსწორა. და ვერცა ვინ თითოს იმისგან ნაკრავს გადაურჩაო.

ამდენის იმისის ქებისათვის ფალავანნი არა მცირედ შესწუხდნენ და დიდს შიშს და მწუხარებას მიეცნენ. რა ყარამანმა ყაპარიაზამისაგან ესოდენი ქება მოისმინა. ესრეთ მიუგო: ფალავანო, ესოდენი უჯგერო ქება რა არის იმისთანას უსჯულოს კაცისა, რომ ლამის აშვიკი გამხადო? თუ ის დაიჯერებდეს, ახლავე ჩვენ დაგვემორჩილოს და ჩვენი შემწე შეიქნასო. უცხოა, მაგრამ იმისთანა ავგული კაცი როდის დამორჩილდება კაცსა, რომ მშვიდობით ამყოფოს თავისი თავიო. რა ეს დაასრულა, გარდანქეშანს შეხედა და ხუმრობით უბრძანა: ესენი ხომ გესმის და ახლა შენი საქმე როგორ იქნება? სელამის ხელით ესის მათრახით ძლივს დაგინხენით, მაგრამ ვგონებ ჩალაქის ხელით მრავალი სასჯელი მიიღო და ვიშივი, რომ თავიც არ წაგვეტოს ტანისაგანაო. გარდანქეშანმან პასუხი მიუგო: ფალავანო, შენ სერი მიყურე, იმას რას ეუზამო: რამდენი ათასი იმისთანა აიარი შინახავს, მაგრამ მე არავისგან შევშინებულვარო.

მერე ხელმწიფემ ბრძანა: ახლა ხუმრობის ეამი აღარ არის, მოემზადე და ახლავე წადი და იმათი შეყრის ამბავი ყველა გვაუწყეო. მას წამს თავი დაუკრა ინდის სახედ შეიცვალა და წავიდა. რაიაზამს წინ გაუძღვა. მივიდნენ. აღლანც ლაშქართა წინ მოეგება. რა აღლან რაიაზამს დაუახლოვდა, ცხენთაგან გადმოხდა და წინა მიეგება. რა რომ

რაიზამ მისი ქვეითად მომავლობა ნახა, სწაღდა, რომ თითონაც ტახტიდამ გარდმოსულიყო, მაგრამ აღლან არ ინება. სწრაფლ გამოე-ქანა და ხელსა აკოცა. მანცა მეკრდსა მიიყრდნო და საყვარლად მიე-სალმა. ესრეთის სიყვარულითა სადგომს მივიდნენ. რა გარდანქეშან-მა კარგად გასინჯა აღლან, ასე შეშინდა, რომ შემოდგომის ფურცე-ლივით თრთოლა დაიწყო და თავის გულში თქვა: მრავალი გულოვანი ფალავანი მინახავს, მაგრამ ამისი მსგავსი მე არა მინახავს რაო. ღმერ-თო, შენ დაიფარე სააბყარანი ამისის ხელისაგან და ჩვენც გვიხ-სენო.

რა თვალი მოავლო, ჩალაქ ჯანფეიმა აიარი იხილა. ცხრაშეტის მწყართის სიმაღლისა მქონებელი, ასეთი სწრაფი მიმოხვრა ჰქონდა, თუმცა მოენდომებინა, მესამეს ცაში ვარსკვლავთ სხივთ მოსტაცებ-და. სანახავად შესაზარი იყო. თავის გულში თქვა: მეც ამისგან დიდი შიში და გაფრთხილება მმართებსო, მცირეს ხანს იფიქრა, ჩალაქი რომლის ხელოვნებით და ცდით ჩავიგდო ხელში და შევიპყრაო.

ესე თქვა და შევიდა ხელმწიფესთან. ნახა, ხელმწიფის მარჯკნივ მხარეს ერთი უცხო მძიმედ ნაკერი კარავი დაუდგამსთ. იქ შევიდა აჰანდილ და მცირეს ხანს მოისვენა. ესოდენი შაქარლამა ყურსი და შარბათი მოიღეს, რომ თვალთაგან არ ნახულიყო. მერმე ზე ადგა აჰანდილ და ხელმწიფესთან მივიდა. რა ხელმწიფემ შესული ნახა, უთავაზა და ფეხზე აუდგა და მიიყვანა და უპირველეს ალაგს დაი-წვია და ეგრეთვე ფალავანნი და სარდალნი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ და მეჯლიში გაიმართა.

რა რომ სასმელი დალიეს, ხელმწიფემ მრავლის წყალობის სიტყ-ვით აჰანდილს გული მიუგო, აღლანმაც ხელმწიფე დალოცა და მოა-ხსენა: უშანგისა და ყარამანის საქმე როგორ არისო? რაიზამ პირვე-ლიდგან უჯანასკნელამდისინ რაც რამ მომხდარაყო, ყოველივე თვი-თეულად უამბო. რა სიტყვა დაასრულა, თვალთაგან ცრემლი გარდმოუშვა და ხმითა ტირილი შექმნა და ესრე შესჩივლა აღლანსა. რა აღლან ხელმწიფე ესრეთ შეწუხებული იხილა, მოახსენა: ხელმწი-ფეო, მაგაზე ნულარ შესწუხებებით, ათის დღის ზავი სთხოვეთ და ათს დღეს უკან თუ რომ ყარამანცა და უშანგ ხელმწიფეცა და ეგრე-თვე რომელნიც თქვენი ძმანი იქ არიან და ეგრეთვე ყოველი იმისი დიდებულნი თუ რომ სრულიად ჩემის ხელით არ დაეხოცო და არ ავაოხრო, მაშ ჩემი სახელი აღლან აჰანდილ აღარ იქნება! მე თუმცა

თქვენად მოსაშველებლად მოვსულვარ აქა, მაგრამ მე ჩემმა ბუთმა და სალოცავმა ასე მიბრძანა: ახლავე წადიო და უშანგ-შა და ყარამან ორნივე შენის ხელით უნდა ასწყვიტო და ჩალაქ აიარიც თან უნდა წაიყვანო და რაიაზამის წინააღმდეგომი ყოველნივე უნდა ამოსწყვიტოთო. და ეს ბრძანებაცა მაქვს ჩვენის დიდის ოქროს ღმერთისაგან, რომ რა უშანგის საქმე დაასრულოთო, მერე ყოველი ხმელეთის სახელმწიფო საქმე რაიაზამს უნდა ჩააბაროთ და ისი ბრძანდებოდესო!

რა რომ ყოველი სიტყვა ასე დაასრულა, დიდი და პატარა დიდს შეგებას და სიხარულს მიეცენ და იმჟამად გარდანქეშანი იქ იდგა და ყურსა უგდებდა და ამისსა ეგრეთსა კერპთმსახურობაზე დიდად ეციცხოდა და თავის გულში ამას იტყოდა: ვაიმე, საცოდაო, რა დიდად გაცდუნებს ეშმაკი, თორე შენ ვერც უშანგ ხელმწიფეს და ვერც ყარამანს ვერც ერთს ვერას ავნებ და ვერც ჩალაქ აიარი მე ხელში ჩამიგდებსო, და გულსა შინა იტყოდა: ვაი, თუ ყარამან გამიწყრეს, თორემ ამას ახლავე თავს წარვკვეთ. და ისევე მოიფიქრა და თქვა: ჯერ მოდი ამ ჩალაქის საქმე მოვრჩე და მერე მაგისი მე ვიციო.

რა რომ გამობრუნება დააპირა, მსწრაფლად ჩალაქმა თვალი შეჰკრა და გარდანქეშანი დაინახა, რომ მრისხანეს სახით იდგა. ამას ჯერ ამათი მოლაშქრე ეგონა. მეორედ რომ შეათვალიერა, თავის გულში თქვა: სწორედ გარდანქეშან ეს უნდა იყოს, და თუ რომ გარდანქეშანი ეს არ არის, უშანგის ჯარისკაცი მაინც არისო. კიდევ შეხედა, რომ კარგად გასინჯოს. ნახა, რომ ბაგეებს ათრთოლებდა და ცალი თვალით ადლანს უყურებდა და მეორეთი ჩალაქ აიარსა. ჩალაქ ზე ადგა და მიზეზად ეს მოიგონა, გზით შორით სიარულმა არა მცირედ დამალა და წყალობას ვითხოვ, რომ ამალამ განსვენებისა დასტური მიბოძოთ, რომ მე ჩემს სადგომს განვისვენო. თავი დაუქრა და გამობრუნდა.

რა სადგომს მივიდა, ჩალაქმა ინდური ტანისამოსი ჩაიცვა, სახითაც შეიცვალა, ჰინდსა დაემგზავსა. ნულლში ბეუშდარი გაურია, მარცხენასა ხელსა მოიცა და მარჯვენასა ხელითა უწამლო ნულლსა სჭამდა. საჩქაროდ მივიდა და რა გარდანქეშანი წასვლას ლამობდა, ამანაც მიუსწრა. ნულლის ჰამით შემოეყარა და ეს წამლიანი ნულლი ამას უთავაზა. გარდანქეშანმა თავი დაუქრა და ჯიბიდან თეთრი ამოიღო და უთხრა, მომყიდეო. ამანც ერთიანად მისცა. გამოართვა და ამოდ ჰამით მთის ძირისაკენ წავიდა. ჩალაქმან ნულლის ჰურჭელი იქ დააგდო და გარდანქეშანს უკან გამოეკიდა.

რა გარდანქეშანს წამლის ძალი მოუვიდა; მთვრალივით წაიქცა და შებნდა. ჩალაქ აიარი მივიდა, ხელები შეუქრა, ზურგს აიკიდა და შინ მოიტანა. მოკვლას უპირებდა. მერე თქვა: ეს რომ მოვკლა, ამისნი შეგირდნი უთუოდ გამრჯიან. ეს უმჯობესია, რომ ამისნი შეგირდნიც ერთიანად აქ შევეკრიბო და ყველა ისე დავზოცო. ეს ერთ კილობანში შეკრული და შებნედილი ჩასდო, დაკეტა და თითონ კარხედ გამოვიდა. მას ღამესა რაიაზამ ბრძანა: ჰე, ფალავანო, აწ ომის მზადების დრო არის, რომ ამ ათს დღეს უკან დიდი ომი უნდა იქნას და თადარიკით იყვენითო. ადგნენ და ყოველნივე თავ-თავის სადგოას წავიდნენ.

რა დილა გათენდა. ჩალაქ ერანელთა ტანისამოსითა შეიმოსა, წავიდა და უშანგ ხელმწიფისა კარავსა შევიდა. უშანგ ხელმწიფე ისევ მეჯლისში ბრძანდებოდა და გარდანქეშანის მოსვლასაც მოელოდა. რა ინათლა, უშანგ ხელმწიფემ შირფანჯა აიარს უბრძანა: არ გიკვირს, რომ გარდანქეშანმა ასე დაიგვიანა? ნუთუ ჩალაქისა ხელთა გაებაო? უბრძანა: წადი და ამისი ამბავი საჩქაროდ შემიტყეო! შირფანჯამ თავი დაუქრა და გამობრუნდა და რაიაზამის ურდოსაკენ წამოვიდა. ჩალაქმა რა ესე მოისმინა, იგიცა უკან გამოჰყვა და ორნივე რაიაზამისა სადგომს მოვიდნენ. შირფანჯამ მიდამო სიარული შექნა. ჩალაქ მასვე წამსა წავიდა, ერთი ვირი იშოვა და ერთი ხურჯინი გადაჰკიდა. ერთ კერძო ორი ნახუქი ჩასდო და მეორეს მხარეს ერთი ქოთანნი მაწონი ჩასდგა ბეუშდარით შემზადებული. წაიყვანა ვირი და სადაც შირფანჯას გამოსაბრუნებელი გზა იყო, ვირი იქ დააყენა და თითონ შორიახლო მიეფარა.

რა რომ შირფანჯამ გარდანქეშანისა ვერა გაიგო რა, დაღონებული გამობრუნდა. ამა ფიქრში იყო, რომ საჩქაროდ მივალ და ხელმწიფეს გარდანქეშანის კირში ჩავარდნას ადრე ვაცნობებ, რომ უშველონ რამეო, საჩქაროდ მოდიოდა. ამ სიარულში ეს ვირი შეხვდა, მიმოხხედა: არავინ იყო, მივიდა, ნახა ხურჯინისა შიგან ამოდ ნამზადისი. ამოიღო იგი ნახუქი და მაწონი, დაჯდა, კარგად შეექცა. თურმე საწამლავი შეემზადებინა. რა გაათავა პურის ჭამა, მაშინვე მოეკიდა და დაეცა. მას წამსვე ჩალაქ მიუხნდა, ხელები შეუქრა, ვირს გარდაჰკიდა და ესეც გარდანქეშანთან დააძინა. გარდანქეშან მცირეს გონებაზე მოეგო და ნახა, რომ ესეც ამასთან მოეყვანათ და გაეცინა და უთხრა ჩალაქმა: გარდანქეშანო, აიარობაში რომ არავის იდრიდი, ახლა რას იტყვიო? ამოიყვანა, შეჰკიდა და ორასის მათრახით კარგად

შეარბილა. და ეგრეთვე კიდობანსა ჩასვა ორივე. და ეგრე უთხრა: კარგად მიიძინეთ, სანამდინ თქვენთა ამხანავთა უველას აქ გიჩვენებდეთ თქვენ რომ იმალ-შას სიკვდილი გიხაროდათო, ვეკვობ, თქვენცა ნახოთ გემო სიკვდილისაო. მოვიდა და რაიაზამის წინა სამსახურაში დადგა.

რა შელამდა, უშანგ ხელმწიფემა ბრძანა: ვაჟო, ეს რა დაგვემართა? ვინც გავგზავნეთ, ველარ მოვიდნენო. მეჯლისი გათავდა. ხელმწიფე სადგომს წავიდა და მოისვენა. რა დილა გათენდა, ჩალაქ უშანგის ჯარში შემოვიდა. ორთავე ხელმწიფესთან ორკერძივე მეჯლისი შეიქნა. უშანგმა ასიმ აიარს და სურაბს უბრძანა: აიარნო, თქვენ ორთავემ იქნება საჩქაროდ ამბავი მაცნობოთ, რომ აიარებს რა დაემართათო? რა ეს ბრძანება მოისმინეს, მაშინვე სადგომს მივიდნენ. ინდოურის სახით შეიცვალნენ და წავიდნენ. სანამ ესენი იქ მივიდოდნენ, ჩალაქ აიარმა მიუსწრა. საჩქაროდ ინდოურის სახით შეიმოსა, წინ მოეგება, უსალამა, მოიკითხეს. ამან უთხრა: მე ამათი არ ვიცი რაო, რას ამბავს მკითხავთო? ამოიღო, ერთს ნულლი მისცა-და მეორეს ხურმა, ამათაც ფული აჩუქეს, წავიდნენ. რაიაზამის კარავთან რომ მიაწივეს, ორთავე ბაუშდარი მოეკიდათ და წაიქცნენ. საჩქაროდ ჩალაქი მიეპრათ და შეჰკრა ორივე და გარდანქეშანთან მიიყვანა. ამათ უუუსაყრელი წამალი მოსცა და გამოიღვიძეს. ნახეს ერთმანეთი, დიდად შესწუხდნენ. ეგრეთვე განწესებული ორას-ორასი მათრახი დაჰკრეს და კიდობანსავე შესხეს. ჩალაქი ისევ საჩქაროდ გაბრუნდა.

რა უშანგ გამობრძანდა, მიიხედ-მოიხედა და ბრძანა: ღმერთაა ვფიცავ, რომ ის აიარნი დაჰკერილნი არიან. თორემ ერთიც არის. ამბავს მომიტანდაო. შეხედა ხელმწიფემ. სულჯანს და სელიმს უბრძანა: სალამოძღინ მომიცადეთ. და სალამოს ჟამს წადით, ეგების თქვენ ამბავი შეიტყოთ რამეო. მივიდნენ თავ-თავის სადგომს კარგად მოემზადნენ. ხელმწიფეც სასამართლოდამ შინ წაბრძანდა. ფალავანნი და სარდალნიც დიდად სწუხდნენ აიარების დაკარგვასა; ამავე ჟამს ჩალაქ სწრაფად შინ მიიჭრა და თხუთმეტი აიარი წამოიყვანა. მთის გზა შეჰკრა. ესენი დაარიგა, ვინც მე გიჩვენოთ, ისინი შეიპყარიო.

მცირეს ხანს უკან მოადგნენ ამათ ეს ორნი აიარნიცა. ჩალაქ მიეგება, სალამი მისცა და უთხრა: კაის კაცთ გეცხართ, ამბავი მიბრძანეთ რამეო. ამათ ლაპარაკი მოაყოლა, ხელით ნიშანი მისცა სხვათა აიართა და საჩქაროდ მოსცივდნენ, ხელეზი შეუკრეს და ესენიც იქ მიიყვანეს. ახლა ერთობით შეჰკიდეს და მრავალი მათრახი ჰკრეს.



ცემამ ტანი სულ დაუხეთქა ყველას. მერე გარდანქეშანმა უთხრა: აიართა თავო, ასე რომ გეტანჯავ, ჩვენი დანაშაული არა არის რა. მერე ჩალაქმა გაიცინა და უთხრა: მე თქვენ რას გტანჯავთ, ეს ჯერ შექცევა გეგონოსთ თქვენის თავისა. როცა შაბრანგს ხელთ ვიგდებ, მაშინ გაუწყებთ დასჯასა, როგორც გეკადრებათ!

ესე თქვა და დაჯდა და აიარნი გარს შემოისხა და ხმასა და ლხინს შეეძკეოდა. გარდანქეშან კიდევე შეეხევეწა და სთხოვა თავისუფლება ერთობით. ჩალაქმა უთხრა: სწორეს გეტყვი, თქვენი თავისუფლება არაოდეს არ შეიძლება. თქვენთვის განმზადებულია, უნდა ცოცხალი დაგატყაოთო და რაიაზამის კარავს წინ თავდაღმა უნდა დაგკიდოთ. უამისობა არ აქნებაო! რა ეს მოისმინეს, დიდად შესწუხდნენ. ჩალაქმა ამათ ისევ ბეუშდარი მისცა და უცნობნი გახადა და კილობანს ჩააგდო.

რა დილა გათენდა. ჩალაქი ისევ უშანგის კარავს შევიდა. შეკრბენ ყოველნი სარდალნი და ფალავანნი. ხელმწიფემ ყარამანს უბრძანა: საკვირველად ეს მიკვირს, არც დღისით წასულნი ვინმე მობრუნდა და არც ღამის წასული. ეს რა დაგვემართაო? მერმე ყარამანმა მოახსენა: ხელმწიფეო, ისი აიარნი ყველანი დაქერილნი არიან. მაგრამ მე ასე მოიმედე ვარ, რომ გარდანქეშანმა თავისი სიმხნით თავისი თავი გამოიხსნას და გამოვიდესო.

ხელმწიფემ ბრძანა: მე ასე ვგონებ, როგორც კი იმას ხელში იგდებდნენ, მაშინვე თავს მოჰკვეთდნენო. ამ თქმაზე ხელმწიფეს ცრემლი მოერია და ველარ დაფარა, როგორც უყვარდა. მერე აღმა აიხედა და შაბრანგს შეხედა და უბრძანა: შაბრანგ! აბა რას გვიპირობ, სამართლად რიგი მაინც შენ გერგოო! შაბრანგ მცირეს ხანს თავი ჩააკიდა, ფიქრად მოიპოვა: სწორედ ამ ლაპარაკში ის წყეული ჩალაქი აიარნი აქ ფარვით მოისმენს ხოლმე და მერე თავის მაცდურობას ის, რასაკვირველია, იქ იხელოვნებს და ყველას შეიპყრობსო. შაბრანგ ზეიდგა და ხელმწიფეს მაღალისა ხმით მოახსენა: ხელმწიფეო, მე ყოველნი ინდოეთის სარდალნი და ფალავანნი მიცნობენ. რამდენის გზითაც რომ შევიცვალო სახე, როგორც შევალ, მაშინვე მიცნობენ და დიდის სასჯელითაც მომკლავენ. ვითხოვ ამ წყალობასა, რომ მე იქ ნუ გამგზავნიოთ. ხელმწიფეც დაფიქრდა და ბრძანა: იყავ. ნუღარ წახვალ, ორიოდ დღე კიდევ მოვიყურეთ და ვნახოთ, ეგება შევიტყოთ რამეო.

რა ჩალაქმა შაბრანგისაგან გული დააჯერა, რომ აღარ წავიდა,

თავის გულში თქვა: როდესაც იქნება, შენც ჩემს ბაღეს ვერსად წაუხვალ! დღეს შენმა ბედმა იშოვა შენი სიცოცხლე. წავიდე და ახლა ცოტას ხანს გარდანიქმანთან შევექცეო. ესე თქვა და გამობრუნდა და შინ მოვიდა და ლხინს და სმას შეექცეოდა. აქითგან რა შაბრანგმა იღროვა, ძველი უბრალო ძონძები შეიმოსა და ინდის სახედ შეიკვალა. თავისი საკრავი ხელთ დაიჭირა და სწრაფად აპანდილის სადგომს მივიდა, მიმოიხედა და ჩალაქის სადგომი იპოვნა. ამოიღო რუბაბი და გამართა და ნელიად უკრავდა.

ჩალაქ ლხინსა და შექცევასა შინა იყო. რა ამ საკრავის ხმა გაიგონა, მას წამსვე აიარსა უხმო და უბრძანა: წადი და ის რუბაბის მკრელი შემომიყვანეო. აიარი გამოვიდა და შემოიყვანა. ჩალაქმა უთხრა: ოსტატო, აქ ჩემს წინ მოდი, რუბაბი დაუყარ, ამ ცოტას ხანს შეგვაქციე და მერე კაის საჩუქრით გაგისტუმრებო. შაბრანგ მივიდა, წინ დასჯდა და რუბაბი დიახ ტკბილს ხმაზე დაუკრა. მცირეს ხანს უკან რუბაბი ძირს დასდო. მერე ჩალაქმა ჰკითხა: შენ ვინა ხარო და ან საიღამ მოხვალო? უცხოს კაცს ვისმეს ჰგეგხარ, შენ ჩვენგანი არა ხარო! შაბრანგ მიუგო: მე რაიაზამის ჯარისკაცი ვარ. რამდენიმე სარდალნი და ფალავეანი არიან, მე იმათთან დავიარები და ამ რუბაბით შევაქციე ხოლმე და დღეს ვსთქვი, მოდი, წავალ ჯალაიარის ჯარში მივალ ეგების ვიშოვნო რამე-მეთქი. მოველ და თქვენს კარავს შემოველ და აქ თქვენ გაიხელ და თქვენის დოვლათით აქაც ცოტა რამ ვიშოვნე და ახლა ამ წყალობას ვითხოვ, რომ თქვენც მალე გამისტუმროთ და აღარ დამავგიანოთ, არამც დამიდეს, მეშინიან, არავინ მომკლასო.

მერე ჩალაქმა უთხრა: ჩემო ოსტატო, ამდამ აქ ჩემთან იყავ, კარგად შეგვაქციე და ხვალ კაის საჩუქრით გაგისტუმრებო. რა ეს უბრძანა. თავი დაუკრა, საკრავი აიღო და უკეთეს და უკეთეს ხმაზე დაუკრა, დიახ უცხოდ შეექცნენ. რა რომ დაღამდა, ჩალაქი ზარხოში შეიქნა, კიღობნები გაალო და ამოიყვანა უშანგის აიარნი. რა შაბრანგ ესენი დაინახა, თავის გულში თქვა: ღვთით ჩვენი საქმე კარგად მოვაო.

ესე აიარნი ცნობას მოიყვანეს და ჩალაქმა უთხრა: გარდანიქმანო, დღეს უშანგმა შაბრანგს შენს საქებრად გზავნიდა. შეშინდა და წამოსვლის უარი მოახსენა, თორემ იმასაც მალე გავაბამდი და ერთად ჩამოგატყავებდით რაიაზამის წინა. მაინც ასე იქნება, ხვალ მე

ის ვერსად წამივით. ესე თქვა და გარდანქეშანს ღვინო პირზე შეასხა.

რა ეს ლაპარაკი ჩალაქისაგან შაბრანგ მოისმინა, დიდად შესწუხდა და თქვა: ამაღამ მე თუ ამათ საქმეს არას ვეცადე. ხვალ ჩემი გასვლაც სათუო იქნება, თორემ ამათსა ვილა ინალღლისო. ისევ რუბაბს მიპყო ხელი და ყოველნი იქ მათურებელნი დაატკბო.

გარდანქეშანს რა კარგად უკუეყარა, შაბრანგ იცნა და კარგად გაარჩივა. აგრეთვე ანიშნა ამ პყრობილებს. რა რომ გაარჩივეს ასე ამათ, ცოტას დაუქლდათ, კინაღამ არ გამოუცხადდათ. მერე რამ შექცევაში იყვნენ. და შეიქნა შუალამე. ასუფრა აიღეს. ამათ ისევ ბეუშდარი მისცეს და უცნობო შეიქნენ და კილობნებში ჩასხეს. და სხვანი დაითხოვა ყველანი. შვიდი შეგირდი იქ დაიყენა და შაბრანგს უთხრა. ოსტატო, შენც აქ დაიძინე და ხვალ გაგისტუმრებო. თავი დაუქრა.

რა რომ ყველამ გუნებიერ დაიძინეს, შაბრანგ ჩუმად ადგა, ამოიღო ბეუშდარი და უწინ ჩალაქს მიეჭრა და ასუნებინა და კიდევე ძალიან მოჰკიდა. ახლა ერთობით ამ სახლში მყოფთ შეგირდებს ყოველთავე თვითეულად მიუბრუნდა და შემოსავალი კარებიც მაგრა დაჰკეტა. რა რომ ამათ საქმისაგან მორჩა, მიეჭრა და კილობნები დააღო, და გარდანქეშან და სხვანი ამოიყვანა. უკუსაყრელი წამალი მოსცა ამათა და გამოათხიზლა.

რა სცნეს ეს საქმე შაბრანგისაგან, მივიდნენ და ფერხთა ეხვეოდნენ. გარდანქეშანმა უთხრა: სამართალია, რომ ღღეს ყოველთა აიართა უპირატესობა ჩვენმა ხელმწიფემ შენ გიბოძოსო. მაგრამ შაბრანგს არ ენება. მიბრუნდნენ, კიდევე ბეუშდარი მისცეს, რომ უფრო მაგრამ მოჰკიდებოდათ, მერე ესენი შეკრეს მაგრა და ერთის მთის ძირისაკენ წავიდნენ. დააწყვეს ერთად. მერე უკუსაყრელი წამალი მისცეს.

რა გონებას მოვიდნენ, დიდად შესწუხდნენ და ჩალაქმა თქვა: აიართა სარდალო შაბრანგ! მე სწორედ ინდი მეგონეო. აფერუმ შენს ღუშაშსა, რომ გარდანქეშან ღღეს შენ ყმად იშოვნეო. შაბრანგს ხვეწნა დაუწყო და ევედრებოდა განტევებას. ასეთის სიტყვით ეხვეწებოდა, რომ ქვაც კი მოლბებოდა. შაბრანგს ენება, რომ განეთავისუფლებინა ყველანი, მაგრამ გარდანქეშან განროსხდა და შემოსძახა მესისხლეს ხმითა: ჰეი, მე შენდა სასაუბროდ არა მცალსო! უბრძანა აიართა: ესე ყოველნი ეხლავე საჩქაროდ დაატყავეთ და

ბალახით დასტენეთო. მისცვივდნენ საჩქაროდ და ბრძანებული აღ-  
ასრულეს. გაუძღვა წინა და იმავე ალაგს მიატანიდა ეს ტყავები და  
აპანდილის კარს წინ დაუკიდა თავდაღმა.

რა საქმეს მორჩა, ჩალაქის სახლში მიბრუნდა და რაც კარგი  
რამ ჰქონდა, აიღეს და წამოიღეს. რა უშანგის ჯარში მოვიდნენ,  
სარდალნი და ფალავანნი ერთობით ხელმწიფეს ახლდნენ და ხელ-  
მწიფე დიდად შეწუხებული ბრძანდებოდა, გარდანქეშანი თუ რომ  
• ცოცხალი იყოს, აქამდისინ თავის თავს როგორ ვერ გამოიხსნიდა.  
მე იმედი აღარ მაქვს იმისი მოსვლისათ. ამ ლაპარაკში რომ ბოძან-  
დებოდა ხელმწიფე, იმ დროს სარდალი ყაპყაი ფილურსავარ შე-  
ვიდა და მოახსენა: ხელმწიფეო, მომილოცავს, გარდანქეშანი და აგ-  
რეთვე სხვანი აიარნი გეახლენო. რა ეს მოისმინეს, ერთობით დიდი  
სიხარული შეექმნათ. შემოიყვანეს გარდანქეშანი, მიესალმნენ და  
ხელმწიფეს კალთას აკოცა და ხელმწიფემ უბრძანა: გარდანქეშანო,  
ღმერთი რომ შენს თავს მართმევდა, შენდა ნაცკლად რას მიბოძებ-  
და? მიიყვანა, მკლავსა მიიყრდნო და შუბლსა აკოცა და თავის  
სკამსავე დასვა და გარდანქეშან თავისი ამბავი ყოველივე თვითეუ-  
ლად უამბო.

რა რომ ამბავი დაასრულა, შაბრანგს სარდლობა უბოძა და არ  
მიიღო; ვერ შევეცილებიო. სხვაგვარად მრავლის მოწყალებით კმა-  
ყოფილი გახადეს და ეგრეთვე სხვათა აიარებს უბოძა წყალობა. და  
რა ეს ასე მოხდა, გარდანქეშანმა მოახსენა; ხელმწიფეო, მე აღა-  
ლანთან საქმე რამ მაქვს და ამაღამ მე ნულარ მომიკითხავთო. რა ეს  
მოახსენა, ყარამანმა უთხრა ხუმრობით: გარდანქეშანო, მოდი, და-  
მიჯერე, შენ იმის კარზედ სიარულს დაეხსენ, თორემ ის ახლა უფ-  
რო დიდად გაფრთხილებული არის და ერთს ხითათში არაში გაგა-  
ბასო. გარდანქეშანმა მოახსენა: სააბყარანო, ეგ როგორი ხუმრობა  
არის, ღვთის გულისათვის, თქვენ ხუმრობით მეტყვით ხოლმე და მე  
კი მართლა ამიხდება ხოლმე. მე რომ იმან შემიპყრას და მომკლას.  
შენ რა გერგება? როგორი ხუმრობა არის? შენისთანა მწყალობე-  
ლი მე რომ მეგობრად მყვანდეს, იმისთანას მტერს რას შევეპოვე-  
ბი?! მაგრამ ეს ძნელი საქმეა, საითაც გავემზადები, თითოს ამისთა-  
ნას ისარსა მკრავ და სულ მომშლი ხოლმეო და შიშში შემიყვან.

ამ ლაპარაკზე დიდებულთა და სარდალთა მრავალ იცნეს. გარ-  
დანქეშანმა თავი დაუტყრა და წასასვლელად გაემართა. რა დილა გა-  
თენდა, იქით მხარეს რაიაზამის ლაშქართ ნახეს, რომ აღლანის კა-

რავს წინ შეიღნი დატყავებულნი ვინმე თავდაღმა ჰკიღიან. რა სწორედ შეიტყვეს, რომ ჩალაქ თავისი აიარებით იყო, დიდი გლოვა და ტირილი შეექმნათ. აღღან რაიზამ ხელმწიფეს იახლა, დიღად შეწუხებულღი და თვალცრემღიანი და მოახსენა: ხვალე ბრძანეთ, რომ საომრად მოემზადნენ. ანუ თავსა ჩემსა მოვიკლავ და ან ჩემსა აიარებღისა სისხლსა ავიღებო. რა ეს დაასრულა, რაიზამ უბრძანა ხვალღის ომღის მზადებან და ყვეღანი წავიღნენ და დღიწყეს მზადება.

გარღანქემან გამობრუნღდა, უშანგ-შას იახლა და რაიზამღისა და აჰანღიღღის ამბავღი ყოვეღივე თვითეულად უამბო. ამათაც მზადება იწყეს და იმ საღამოს ორსავე მზარეს საომარს ნაღარას ჰკრეს. რა დღღა გათენღდა, და მზემან ნათელი თავისღი მოჰფინა, ორღსავე ხელმწიფღისა მზარღდამ ლაშქარღი მოეღანსა გამოვიღდა და დასტებღი დააწყვეს და თავ-თავღის განწესებულს აღაგს დაღგნენ. უშანგ ხელმწიფეც თავღის ბეღნიერ ტახტზეღ დაბრძანღდა და ყოვეღნი ფალავანღნი და სარღალღნი ყარამანს შეჰყურებღნენ და ამას იტყოღნენ: თვითონ ინებებღს გასვღასა ფუ ჩვენ გვიბრძანებღსო. იქღით მზარეს რაიზამ ხელმწიფღის ტახტი გამართეს და მობრძანღდა და დასჯღდა და ეგრეთვე მღსინღი ფალავანღნი თავ-თავღის განწესებულს აღაგს გაწყვენენ.

ამყამად მივიღდა აღღღან აჰანღიღღი, ხელმწიფეს თავღი დაუკრა და მღმღიმღისა იარაღღით შეჰყურვიღღმან მარტორქა მოეღანსა გამოიღგღო. თავღის მზარღდამ სარღალღნი და ფალავანღნი ყოვეღნივე სულ ჰქევითად გამოუღღღენენ და მოეღანსა დღღღის დღღღებით გამოიყვანეს. ამათ მოუბრუნღდა და მადღღობა უბრძანა და უკანვე დააბრუნღა. რა რომ ეს აჰანღიღღი ასე მოსული იხიღღეს, უშანგღის ძაღღოვანღნი და სარღალღნი მრავალღნი დღღად შეშინღნენ ამღის აზოვანობაზე და ორსავე მზარეს ძღღიერსა საომარსა ნაღარას სეღემღნენ. აღღღან წინ წადგა და მადღღღისა ხმღითა შესღახა და თქვა: ვღსცა უცენღივარ, ხომ მიცნობღს და ვინც არ მიცნობღს, აწ მიცნას! მე ვარ აღღღან აჰანღიღღი. დღღეს ამ მოეღანზეღ მე სხვა კაცი არ მღინღაო იმღის გარღდა, რომელსაც ჰქევეანაზეღ ხმა მოუთენღია. ყარამან თუ სააბყარანობღისა დაღვასა სწვეს, ნუ შეშინღებღა, დღღეს ჩემს საომრად მოეღანს უნღდა გამოვიღღესო!

ყარამანმა რა ეს მოღსმინა, სწრაფად ხელმწიფეს თავღი დაუკრა და ხელმწიფემაც უბრძანა: წადღი და ღღეთღსათვღის მიმღბარებღიხარო! საჩქაროდ გამოემართა მოეღანღსაყენ. იხიღღა, რომ ამასაც სარღალღნი და ფალავანღნი ჰქევითად გაყოღღას უბღირებღნენ. ყარამანმა უთხრა:

არც ერთის გაყოლა არ იქნება გარდანქეშანის მეტისაო. მარტო ის გაუძღვა და ახლოს პირდაპირ შეჰყარა. ყარამანმა სალამი მისცა, და აჰანდილმა სალამი არ ჩამოართვა. ყარამან თვალში ეფუქსავეტა და დიდის კასკასით გაიცინა და უთხრა: ყარამან, მაგ ტანის პატრონი სააბყარანობის ტანტზედ რომ დასჯექ, როგორ არა გრცხვენია და ან არ გეშინიან ჩემის მოსვლისაო?! ახლა ნახე ჩემი ჰაბუკობა და გამიფრთხილდი! ეს უთხრა და შუბი ილღიასა განიწონა, საკვდავად შემოუტივა. რა ახლოს მივიდა, ყარამან თავის შეშფაიბარის გავას გარდაწვა. აჰანდილი გასცდა და გაიარა.

რა ეს მოიხილეს, ორსავე მხრის ლაშქარნი დიდად გაჰკვირდნენ და ყარამანს ქება შეასხეს. კვალად აჰანდილი მოუბრუნდა და თავისი მძიმე ლახტი ყარამანს შეუმალლა, ავეანდას შედგა და თავის კერპების სახელი, ილათ-მალათის სახელი ახსენა. ყარამანმა თავისი ლახტი თავსა იფარა, ასეთი ძლიერად დაჰკრა, რომ იმ ლახტების ცეცხლისაგან აღარც ერთი აღარა ჩნდა. ყარამანსაც ასეთი ძალა დაადგა ამ ლახტის დაკვრისაგან, რომ სხვა დროებში ამისთანა ძლიერად არავისგან მოხვედროდა და შეშფაიბარიც კოჭებამდის მიწაში ჩაეფლა და თავიდან ფეხებამდინ ოფლი შეასკდა. ყარამანმა რა ეს სცნა, რომ შეშფაიბარი ისე შეუშინდა, მრისხანედ ესეთი ქუსლო შემოჰკრა, რომ ჰაერში შეაფრინა.

რა ეს იხილეს, ყველას უკვირდათ, რა აჰანდილმა შემოხედა და სცნა, რომ უვნებლად გადაურჩა მისსა ნაკრავსა, დიდად განრისხდა და თქვა: ვაიმე, აკი ისევ ცოცხალი გარდაამრჩენიაო?! მესამეც კიდევ ჰკრა რაც ძალი ჰქონდა, მაგრამ ამასაც უვნებლად გარდაურჩა. რა რიგი ყარამანს ერგო, შუბი დაიტრიალა და მკერდსა საკრავად განუწონა, აჰანდილ მეტის სიფიცხით მარტორქისაგან ძირს გარდაიჭრა და ყარამანის შუბი მით აიციდინა და ამასაც დიდი ქება შეასხეს მხილველთა. მეორედ მოუბრუნდა ყარამან და თავისი მძიმე ლახტი მოუქნია. იმანაც ლახტი შეუფარა და ეს ლახტები რა ერთმანეთს მოხვდა, ასეთი ხმა გამოხდა ამ ლახტებისა, რომ ვითომ მთა მთას დასცემოდა და აღლანის მარტორქას მეტის ძალისაგან პირი-დამ სისხლი ამოსჩქეფდა. მესამეც დაჰკრა და მასცა უვნებლად გარდაურჩა.

რა ერთმანეთის ძალი გასინჯეს, ორნივე მესისხლედ იბრძოდნენ, რომ ამათი ბრძოლა ქვეყანას უკვირდა. ამათ ერთმანეთზედ სამოცდაცამეტი იარაღები იხმარეს და შეალეწეს ერთმანეთს, მაგრამ

ვერა რომელმან სძლია. ადლან მარტორქა გაიყენა და ყარამანს ერთი მძიმე ლახტით მოუხდა. თავს მოუქნია, ამანაც ლახტი იფარა, ერთმანეთს მოხვდა და ყარამანსაც მცირედ რამ გულსა მოხვდა და ცოტას ხანს დაასუსტა. ისევ სწრაფად შეშფაიბარს ქუსლი ჰკრა და განზე გაიყვანა და ამ ფალავანს დიდი ქება შეასხა.

ახლა ყარამანმა ღვთისა სახელი ახსენა, თავისი მძიმე გურზი თავსა მოუქნია. ადლან მარტორქისაგან გარდაიჭრა ძირს და ამ მარტორქას თავსა მოხვდა და ტვინი მიწასა გაურია. სწრაფად ბასრისა ხმალსა ხელი მიჰყო და ეწადა. ადლანსაც, რომ ყარამანის შაშფაიბარისათვის ფეხები წარეკვთა. ყარამანმა რა ეს იხილა, თითონაც სწრაფად გარდახდა და გარდანქეშან იმასთან დიახ ახლოს იყო. ყარამანს მოახსენა: არიქა, მაგ წყეულმა შეშფაიბარი არ მოგაკლას იმის სამუქვათოდო!

რა ესენი ორნივე ქვეითად შეიყარნენ, ადლანმა ყარამან თვალში იფუქსავატა. ხმალი მოუქნივა. ამანაც თავისი თილი ყამყამი შეუფარა, ერთმანეთს მოხვდა, იმისი ხმალი სამად გატყდა. რა ეს ხმალი გატეხილი იხილა, ადლან დიდად განრისხდა და რაც ნატეხი ხელში შერჩა, ყარამანს შემოსტყორცნა და მცირედ რამ პირის სახეზე დაჰკოდა და ყარამანს ლოყახ სისხლი ჩამოსდიოდა. ყარამან განრისხდა, მიუხდა და ხმალი ისევ ქარქაშსავე თვისსა ჩააგო და მუშტი ძლიერად გულსა შემოჰკრა, ესრეთ ძლიერად მოხვდა. რომ თვალთა დაუბნელდა და უკან-უკან წასაქცევად ბარბაცით წავიდა. ამანაც მეტის გულოვნობისაგან დააცადა, ადლანც ისევ ჩქარა მოეგო გონებაზედა და ორნივე ახლა დახელდახელდნენ და შექმნეს ძლიერად ჭიდაობა. აჰანდილ ყარამანსა სარტყელსა ხელი ჩაუგდო, აზიდა, მაგრამ ვეღარცა თუ ალაგიდამ მოაცილა.

შექმნეს ძლიერად ბრძოლა და ერთმანეთს საომარი ჯაჭვ-ჯავშნები შემოაგლიჯეს. და ყარამანს აჰანდილმაცა ერთი მძიმედ მუშტი გულსა შემოჰკრა და მანცა დიდად შეაწუნა ყარამან, ნათაზი შეეკრა და ვერ ამოისუნთქა. მერე ყარამან მიუხდა, სარტყელსა ხელი ჩააელო, აზიდა და ვერცა ამან დასძრა. მერე ადლან ბასრსა ხანჯალსა ხელი მიჰყო, ყარამანს დაცემას უპირებდა, მსწრაფლად ესეთი სილა შემოჰკრა, რომ ადლანს თვალთ დაუბნელდა და ხანჯალიც ხელიდამ გააგდო და შესძახა: ჰეი, შენ კერპთა თაყვანისმცემელო, მე გაჩვენებ, როგორც უნდა ხანჯლის ხმარებაო.

ამა სიტყვის თქმაზედ ორსავე მხარეს გასაყრელსა ნალარას

ჰკრეს და ამათაც ხელი აიღეს. აღლანმა უთხრა: ჰეი, ფალავანო, მართალია, ჰაბუკობა შენი მომეწონა, ამდამ წადი, ყველას გამოვსალამე და დილას მე გაცნობებ ჩემს თავსა, ვინცა ვარო! ყარამანმა უთხრა: ძალითა ღვთისათა ვერას მავნებო! გაბრუნდნენ, თავ-თავის სადგომს მივიდნენ, საომარი იარაღი აიხსნეს და სამეჯლისო ტანისამოსი შეიმოსეს და ხელმწიფეს იახლნენ.

რა ყარამან ხელმწიფემ შესული ნახა, ფეხზე წამოუდგა, მოეხვია, მკერდსა მიიყრდნო და თავის ალაგს მიიწვია. ხელმწიფემ ჰკითხა ყარამანს: აღლან როგორ მოგეწონა ან რას ძლიერების მქონე არისო? ყარამან მოახსენა: მე ჯერ მაგისტანა მოპირდაპირე ომის გამსწორებელი ფალავანი სხვა არავინ შემყრია. თუ მე არა მჯობს, ნაკლები აღარც ის არის, და თუ რომ თქვენს ხელმწიფობას დემორჩილებოდეს, ჩემს ალაგს ეხლავე იმას მივცემო. ხელმწიფევ, დღეს მე იმ ფალავანმა დიდად შემაფიქრაო. ამ ლაპარაკში გარდანქეშანი იქ დაესწრა და ყარამანს უთხრა: ჰე, ფალავანო, თქვენ რომ ყოველთვის მე დამცინით ხოლმე, ნახეთ, თქვენც აღლანმა როგორ შეგაფიქრათო. აბა, დღეის იქით ჩემს კიცხვაზე ხელი აიღეთ თორემო აღლან ისევ ცოცხალი არისო.

რა ეს მოისმინეს, სარდალთა და ფალავანთა მრავალი იცინეს. ყარამანმა უფრო უარესი უთხრა: გარდანქეშანო, მე ხომ ხელშეკრული კიდობანში არავის ვსდებვიარ და არც არვის ცალის ხელით დაუკიდებვიარ და ყოველთვის ორასი მათრახი ვისმე უტია ჩემთვისაო?! რა მცირეს ხანს ესრეთ შეექცნენ, მერე ადგნენ ყოველნი, ხელმწიფეს თავი დაუკრეს და თავ-თავის სადგომს ომის მზადების თადარიგში იყვნენ.

იქით მხარესაც რაიზამ ტახტს დაბრძანდა. აჰანდილ საომარი იარაღი შემოიხსნა და სამეჯლისო ტანისამოსი შეიმოსა და რაიზამს ეახლა. რა რომ შევიდა, წინ მოეგება და უპირველეს ალაგს გარდიწვია. საუბარი რამ დაიწყეს და მერე რაიზამმა ყარამანის ამბავი ჰკითხა: როგორი ჰაბუკი არისო? აღლან მოახსენა: ხელმწიფეო, რა თავს მოვსწრებვიარ, მე ჯერ მაგისტანა ძლიერ ფალავანს არავის შევყრვიარ და სამართლად ღირსი ყოფილა ეგ სააბყარანობისა. მაგრამ ხელმწიფევ, ჩემი საკადრისი საბრძოლო ფალავანი კი არ ყოფილა. მე რომ დღეს ვნახე, რამდენიც ხანი გამოვიდა, უფრო და უფრო მოუძღურდა. საომრის ნადარისა ხელის აღების ხმამ მოგვასწრა, თორემ იმას თავს მოვკვეთდი და თქვენ მოგართმევდითო!



ყველას მარტალი ეგონა, მეჯლიში მოიშალა თავ-თავის სადგომს წავიდნენ და ომის მზადების თადარიგში იყვნენ.

რა დილა გათენდა, ორისავე მხრიდამ ხელმწიფენი მობრძანდნენ და ეგრეთვე თავ-თავის განწესებულს ალაგს დასტები დაეწყო. აღ-  
ლან და ყარამან გამოვიდნენ და მოედანზე შეიყარნენ. იმ დღეს  
ერთმანეთზედ არათფერი იარაღი არ უხმარიათ, რა მძიმეს გურზებს  
ერთმანეთსა მედგრად სცემდნენ, აგრეთვე ლახტებით, მაგრამ ვერა  
რომელმან სძლია. რა რომ მზე დავიდა, ორსავე მხარეს გასაყრელ-  
სა ნალარასა ჰკრეს და გაიყარნენ. რა დილა გათენდა, ორნივე მოე-  
დანსა გამოვიდნენ. იმ დღესაც იბრძოლეს, მაგრამ ვერა რომელმან  
აჯობა. იმ დღესაც ასე უვნებლად გარდაჩნენ. ამ ყოფაქცევით  
ცამეტი დღე იბრძოლეს.

რა ყარამან ომისაგან გარე მიიქცა, დიდად განრისხებული თავის  
თავს ებჭობოდა: ქვეყანაზედ ჩემი სახელი ცის კილით კიდემდე გა-  
ნითქვა და სააბყარანს მეძახიან და ცამეტი დღეა ერთს წყეულს  
კერპის თაყვანისმცემელს კაცს ვებრძვი და იმისი მორევა ვერ შევ-  
ძელ. გაამაყებული გარდავალ ხოლმე და უპირატეს სკამს დაჯდებ-  
ბი ხოლმე. ამისთვის მაინც როგორ არ უნდა მრცხვენოდესო?! რა  
სადგომს მივიდა, დიდად განრისხებული იყო. აღარც საომარი იარა-  
ღი აიყარა, აღარც მხიარულის პირით ვისმე ეჩვენა.

რა ხელმწიფეს მოახსენეს ყარამანის შეწუხება, სწრაფად უხმო.  
მოიყვანეს. ხელმწიფეს თავი დაუკრა, ტახტის წინ მიწას დასჯდა.  
უშანგ ხელმწიფემ უბრძანა: სააბყარანო, რატომ თქვენს ალაგს არ  
დაბრძანდითო? ყარამანმა მოახსენა: ხელმწიფეო, მე როგორ  
სააბყარანობის ღირსი ვარ და ან იმ ალაგს ჯდომასაო. ცამეტი დღე  
არის, ერთს ურჯულს კერპის კაცს ვებრძვი და ვერა ვაენე რა. დი-  
დებულო ხელმწიფეო, იმ ერთის მღვთის სახელს გეფიცები, თუ რომ  
იმ წყეულმა ხვალაც კიდევ ომი გამისწორა და ვერა ვაენე რაო, ეს  
სწორედ ასე იცოდეთ, მე მოედნიდამ ცოცხალი აღარ გამოვბრუნ-  
დები, ჩემის ხელით თავს მოვიკლავო. ამ ღამეს არცა სჭამა და არც  
დაიძინა.

რა ხელმწიფემ ყარამან ესრეთ შეწუხებული იხილა, ასეთი ტი-  
რილი და ცრემლი მოუვიდა, რომ ველარც ამან მოისვენა მწუხარე-  
ბისაგან. და უფრო ამისი ეშინოდა, რომ ყარამან ღვთის სახელს  
ტყუილად არ ახსენებსო. იმ ღამეს არც ხელმწიფე და არც მათხო  
დიდებულნი ყარამანს არ მოშორდნენ.

ჩქით მხარეს რაიაზამს ადლანი აჰანდელმან მოახსენა: დიდი ხანია ყარამანს გთავაზობთ და ვერ გამოვიმეტე და ხეალე ყველანი მზად იყვენით, ყარამანს უთუოდ თავს მოვკვეთ და თქვენს ძმას და ჟუზანგ-შას ხელებშეკრულს ცოცხალს მოგართმევო. იმათაც დილად იამათ. იმ დამეს კარგად განისვენეს. და რა დილა გათენდა, ორისავე მხრიდამ ხელმწიფენი გამობრძანდნენ და თავ-თავის მხარეს დასტები დაეწყო. ადლან გამოვიდა მოედანსა და ყარამანს შესძახა: დღეს ის დღე არის, მე და შენ ერთმანეთს გავეყრებით. ან შენი ღვდა უნდა ატირდეს და ან ჩემიო!

ამეჟად ყარამანს გარდანქეშანი წინ მოუძლოდა და მოახსენა გარდანქეშანმა: მე თუ თქვენი ამაზე ასე აჩქარება მცოდნოდა, იმ წინა დამეს თავს წარგვეთდიო. რა ეს ყარამანმა მოისმინა, ასე ეწყინა, რომ ცეცხლივით აენთო და მაღლის ხმით შემოსძახა: გამეცალე, შე წყეულო; ახლავე, თორემ ასეთს სილას შემოგკრავ, რომ მას წამსვე სული ამოგხდეს. შენგან ეგ თქმა ვის ეკადრებო? საშინლად განრისხებულმან სისხლისმღვრელის თვალების ერთი ესე შემოხედა გარდანქეშანს, რომ ამ საბრალოს ხის ფურცელსავით თრთოლა დააწყებინა. ეგონა, მართლა აღმისრულებსო. უკან ჩამოეფარა.

ამავე წამს ამავე მრისხანეს პირით და სახით ყარამან ადლანს მიუხდა და უთხრა: ფალაგანო, მოდი, დამიჯერე, ამდენს უმსგავსოს საქმეს ნუ შერები. ჩემთან მოდი, მეძმე, საბაოთ ღმერთს თავიანი ეც, ჩემს ხელმწიფეს უშანგ-შას დაემონე. ამგვარი საქმე აღარა გაგიჟირდება რა, თორე უსათუოდ ასე იცოდე, თავს მოგკვეთ და შენს სისხლს დავაქცევო! რა ეს ყარამანისაგან ადლან ასე მოისმინა, ტაში შემოჰკრა და ერთი ხმამაღლა გაიკაცკასა. მერე ამან უთხრა: მე დღეს ამ მოედანზედ დაქადებული ამისთვის გამოველ, რომ შენ თავი მოგკვეთო და ქვეყანა დაეისხნა შენის ხელისაგანო.

ეს სთქვა და თავისი მძიმე ლახტი თავსა შემოივლო, მოუხდა ყარამანს და სამი ერთმანეთზედ სცა და ვერა ავნო რა. ეგრეთვე ყარამანს ერგო ლახტის ცემა სამ გზით, მაგრამ ვერცა რა ამან ავნო. ამ ბრძოლაში სამოცდაათი ხელი სხვადასხვა იარაღები იხმარეს ერთმანეთზედ, მაგრამ ვერა რომელმან სძლივა და მზეც დასასვლელათ მიეწურა. ყარამან მობრუნდა და ღვთის სახელი ახსენა. თავისი მძიმე ლახტი თავსა შემოივლო, ადლანს მოუხდა და დაჰკრა. ამანაც ლახტი იფარა, ამ ორისავე ლახტისაგან ესეთი ძლიერი ცეცხლი

გამოსკდა, რომ ორნივე დაფარა და აღლანის მარტორქამაც ველარ შეუძლო და ძირს დაეცა. აღლან სწრაფად ფეხზე აიჭრა და ყარამანს ქვეითად მიუხნდა, სარტყელსა ხელი გაავლო და აზიდა და ვერ გარდმოიღო.

მერე ყარამან თავისი შაშვაიბარისაგან გარდახდა და ორნივე მედგრად იბრძოდნენ ქვევითად. აღლანმა სამჯერ ძლიერად აზიდა და ყარამან ალაგიდამ ვერ შესძრა. ყარამანმა აღმა აიხედა და თავის შემოქმედს შეევედრა და ერთის საშინელის ხმით ღეთისა სახელი ახსენა. ასეთი ხმით დაიქუხა, რომ ორსავე მხარეს ლაშქარი შეიძრა და მრავალი კაცი ცხენთაგან ძირს დაეცნენ და გაოცებულნი უყურებდნენ და ესრეთ იტყოდნენ: ყარამანისაგან ეს მეშვიდე ამისთანა ხმა გაგვიგონია სხვასა და სხვას ღროსა. მაგრამ ეს უფრო ყველაზე უწარჩინებულენი ხმა არისო.

ამ ღვის სახელის ხსენებაზე მედგრად ზე აზიდა, თავის სწორად მალლა შეიცილა, ასეთი დაიქნია და დასცა ძირსა, ასე ეგონათ, მთა დაეცაო. მსწრაფლად ბასრსა ხანჯალსა ხელი მიჰყო და თავი მოჰკვეთა. მსწრაფლად შაშვაიბარზე შეჯდა და ხელმწიფეს მისი თავი მიართვა და მიულოცა და საჩქაროდ მოედანსავე გამოვიდა და ფალავანი გამოითხოვა. ყარან შირსევარმა რა ესე საქმე იხილა, პატრონისათვის გულდამწვარმან და განრისხებულმან მსწრაფლად ხუთი ათასი კაცით ყარამანს შემოუტივა. რა ყარამანმა ეს ლაშქრის მოსვლა მოიხილა, მალღისა ხმითა ღეთისა სახელი ახსენა და შიგან გაერია, ვითა სონღული წეროთა დასტასა რევდეს და ხევდეს, ეგრეთვე ყარამან მათსა დასტებს თხათაებრ ხოცდა და ეძახდა: ვერცა ერთი ცოცხალნი ჩემს ხელსვე ველარსად მოურჩებიოთ.

რა უშანგ ხელმწიფემ ყარამანის მარტო შესვლა მათს შუა რაზმში მოიხილა, საჩქაროდ ხოსროვშირს და ყაპარიაზამს და ეგრეთვე ყათრანს უბრძანა: ეხლავე საჩქაროდ სამი ათასის ღეშტი ყივიჩაყის ჯარით ყარამანს მიეშველენითო. მათცა მსწრაფლ შეუტივეს და ესრეთი ძლიერი ომი შეიქნა, რომ სისხლის ღვარი ცხენიანს კაცს მოიტაცებდა, ერთმანეთსა უყიოდნენ: კარ, მოკალ, შეკარ, შეიპყარ, ნურცა ერთსა ცოცხალს ნუ გარდაარჩენო!

ამეჟამად ყარან შირსევარ ხოსროვშირს შემოეყარა და სამი მძიმე ლახტი დაჰკრა ხოსროვშირსა და ვერა აენო რა. ხოსროვშირ განრისხებულმან ასეთი ხმალი შემოჰკრა, რომ შუა გაჰკვეთა. ერთ საათში ჯალაირის ჯარს ყათლანი უყვეს, დაფანტეს. შამილ-შამ რა

ესრეთ იხილა, დაღონებულმა თქვა: თუ ამ ჯარს სხვა ჯარი მოვაშველო, უშანგიც მოაშველებს და სჯობს ვასაყრელის ნაღარს ჰკრანო. ბრძანა მაშინვე. ვასაყარს ნაღარას ჰკრეს და ორივე ლაშქარი გაიყარა და თავ-თავის ალაგს წავიდნენ. საომარი აბჯრები აიყარეს, სალხინო შეიმოსეს და ხელმწიფეს იახლნენ და თავ-თავის განწყობებულს ალაგს დასხდნენ. მცირეს ხანს უკან ყარამანც მოვიდა.

რა კარავს იახლა, ხელმწიფე ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა, ყარამანს წინ მოეგება, ყელსა მოეხვია, დალოცა და შუბლსა აკოცა და უბრძანა: სააბყარანო, დღეს ასეთი საქმე ჰქენ, რომ მეორედ მოსვლამდის შენი სახელი იხსენებო! თავისი თავი მოიხადა და თავისის ხელით ყარამანს თავს დახურა და რაც ხელმწიფეს იმ დღეს ტანისამოსი ეცვა, ყოველივე გაიხადა და ყარამანს უბოძა. მერე ბრძანეს და მეჯლიში გაიმართა და ყოველნი ფალავანნი და სარდალნი ყარამანს ჰქებას შეასხამდნენ. ყარამანმა მოახსენა ხელმწიფეს: დღეს გარდანქეშანი დავტუქსე და შემარიგეთო. მსწრაფლ მოიყვანეს და შეარიგეს.

იქით მხარეს რაიაზამ ოძიდამ გაბრუნდა და დიდად დაღონებულნი თავის კარავს გარდახდა. და რა დილა გათენდა, სართაფ-აქიმი მოიხმო და უშანგ ხელმწიფესთან გაგზავნა და ორმოცის დღის პაემანი სთხოვა. უშანგ ხელმწიფემ მიუგო პასუხი: ვეზირო, მინდოდა, რომ ხელვე მე იმის საქმე დამესრულებინა, მაგრამ რადგან დაჩაგრული კაცია, აღარ გამოვიმეტე. რაც იმისი აჯა არის, აღმისრულებია და პაემანიც მიმიცია! გამოეთხოვა ვეზირი და წავიდა. ხელმწიფემ უბრძანა ყოველთა დიდებულთა, სარდალთა და ფალავანთა ამ ორმოცს დღეს ომი აღარ იქნება და შეეკეცით, როგორც გენებოსთო!

რა სართაფ-ვეზირი რაიაზამს ეახლა და უშანგისაგან ორმოცის დღის თხოვნის შერიგების ნების დართვის ამბავი მიუტანა, დიდად გამხიარულდა და თავის სარდალთ და ფალავანთ გამოუცხადა: ორმოცის დღის პაემანის შესრულებამდის ჩვენი დაბარებულის ფალავანის მოსვლის იმედი მაქვს, რომ უწინაც მოვიდეს და თქვენც მხიარულად იყვენითო.

იმეამად რაიაზამს თავისი ვეზირი ოცის კაცით გაეგზავნა სალსალთან და არყასთან. შვიდს დღეზედ ჩამგუნის ციხეზედ მისულიყვნენ. ეს ამბავი სალსალს მოხსენდა, რაიაზამის ელჩი მოვიდო. სალსალ და არყას ბრძანეს ელჩის მიყვანა. რა ვეზირი შეიყვანეს:

მდაბლად თავყანი სცა და თავისის ხელმწიფისაგან ვედრება ყოველივე მოახსენა. სკამზე გარდაიწვივეს და შარბათი მოიღეს და ტკბილის საუბრითა მოიკითხეს. ამოიღო ვეზირმა წიგნი და სალსალს მიართვა.

რა რომ გახსნა და წაიკითხა, სალსალმა დიდის კასკასით გაიცინა და თავის ძმას არყას მისცა. მანცა წაიკითხა და მრავალი იცინა და სთქვა: ამისთანა ვის რა გაუგონია, რომ კაცმა თავისის მეტის ნდომითა თავი ასე აიმაღლოს, რომ სააბყარანობა მოინდომოს? რადგან ის ფალავანი ასე გაამაყებულა, ჩვენც გვმართებს, რომ მივიღეთ და ჩვენი თავი მას ვაცნობოთ. თუ რომ ჩვენი მცნება არ დაიჯეროს და ომი მოინდომოს, იმას გამოვიტხოვ, იმ ახალს სააბყარანს გავსწევ და შუა გავგლეჯ და იმ ნაგლეჯითა უშანგის ლაშქართაც სულ ამოვსწყვეტ! იმათზე იარაღის ხმარებას როგორ ვიკადრებ, სუყველას ამოვსწყვეტ და იმათს ხაზინას და საქონელს რაიაზამს მოვართმევო.

ესე სთქვა და მაშინვე ორმოცი ათასის ლაშქრით რაიაზამის საშველად გამოემართა უშანგაბადისაკენ. ფარან დევი ჯანსუხ აიარი წინ გამომიძღვარეს და რამდენსამე დღეს უკან მოვიდნენ. რა ერთის დღის სავალს დაახლოვდნენ, ვეზირმა ისინი იქ დაუტევა და თითონ რაიაზამისაკენ სამახარობლოდ გამოეშურა და მოვიდა. რაიაზამ დაღონებული იჯდა და ფიქრობდა: ამ ორმოცის დღის პაემნის შესრულებას ორი დღე აკლია და თუ ის ფალავნები ვერ მომისწრობენ, არ ვიცი, უშანგის საქმე და ჩემი როგორ გარდასწყდებაო?

რა ამ ფიქრისაგან მოიცალა, ვეზირი შევიდა და თავი დაუკრა და ყოველივე ამბავი წვრილად მოახსენა. რა ხელმწიფემ ესე საქმე ასე მოისმინა, მაშინვე ბრძანა, სამხიარულოს ნაღარასა ჰკართო. ყოველი სული დამხიარულდა და ამას ამბობდნენ: ახლა კი უშანგშას და ყარამანის ჯავრს ამოვიყრითო!

იმჟამად უშანგ ხელმწიფის აიარნი მოვიდნენ და თავი დაუკრეს და მოახსენეს: ხელმწიფეო, რაიაზამისაგან თქვენთან ორმოცის დღის პაემნის თხოვნის მიზეზი ეს ყოფილიყო: იმ დღეს რომ იმაღ შა მოკლა ყარამანმა, მეორეს დღეს ერთი ვეზირი ოცის კაციტ ჩუმად გაეგზავნა. ორნი ფალავანნი ყოფილან, ერთსა სახელად სალსალ რაზდავარ და მეორეს არყას ხუნხარ ჰქვიან. ისინი დაუბარებია, წამოსულან და ათასი რჩეული ფალავანნი იმათ გამოუყოლებით სხვას ჯარებს გარდა და დიდის დიდებით ერთი დღის სავალს ჩა-

მომხდარან და რაიაზამ მისაგებებლად ემზადებო. იმათ ერთი აიარი მოჰყავთ, სახელად ჯანსუზ ფარანდეი ჰქვიანო. დიდი ეშმაკი და თვალთმაქცი თურმე არის და ახლა ნება თქვენი არისო.

რა უშანგ-შა ეს საქმე ასე მოისმინა, ბრძანა: ასეთი რა საქმეები იქნება, რომ აჰანდილის მჯობი იყოს? დაეხსენ, მოვიდნენ და ჩვენს თავსაც ვაცნობებო. ახლა კიდევ გარდანქეშანმა მოახსენა: ხელმწიფევე, რომელთაც დღეს რაიაზამ მოელის, ის ფალავანნი ყველანი დიდად სახელოვანნი არიან და ფარანდეი ჯანსუზ აიარისთანა აიარი დღეს აღარავინ მეგულება და ღმერთმან გვიხსნას იმისი ხელისაგანო. ესე თქვა და ყარამანს შეხედა და მოახსენა: სააბყარანო, ამ შენის ხელმწიფის მზეს გაფიცებ, იმის ხელში ჩავარდნის სიტყვას ხუმრობითაც ნულარ მიბრძანებ, რომ არ ამიხდესო და იმ აიარმა არსად მომასწრასო.

რა ყარამანმა ესე მოისმინა, დიდად გაიკასკასა და მრავალი იცინა. მერე უთხრა: გარდანქეშანო, ნუ გეშინიან, და თუმცა დაგიჰქერს, ისევ მალე განთავისუფლდებიო. გარდანქეშანმა მოახსენა: სააბყარანო, მადლობა მომიხსენებია, ჩემთვის მაგისთანა მკითხაობისა და მისნობისათვის. მე ჯომ იმის ხელში ჩავარდე, ის ხომ მაშინვე ასო-ასო დამჰკრის და მერე ვილას უყრი ქერსა? დამეხსენ, შენი მისნობა არ მინდაო! ყარამანმა უთხრა: გარდანქეშანო, შენ რომ იმ აიარმა მოგკლას, მერე მე იმისი აიარებს ერთს აღარ ვაცოცხლებ, სულ თავებს დავაყრევიებო. გარდანქეშანმა მოახსენა: მე მაგისთვის მადლობას არ მოგახსენებ! რაკი მე მომკლავს, შენ რომ სულ ქვეყანა ასწყვიტო, მე რა შემემატებაო?

რა ეს თქვა, მრავალი იცინეს. და გარდანქეშანმა მოიხედა და შირფანჯას და სხვა აიარებს შეხედა და უთხრა: ქვეყანაზე უწარჩინებულესნო აიარნო! არამც და არამც სანამდისინ იმ წყეულის საქმე არ გარდასწყდეს, თქვენ რაიაზამის ჯარში არსად შეხვიდეთ, თორემ რამდენ გზითაც გინდათ, შეიცვალნეთ, ის მიინც გიცნობთ. ხუმრობა არ არის იმის ხელში ჩასცვივდეთო. რა რომ ეს აიარნი ასე დაარბიგა, მერე ერთობით სარდლთა და ფალავანთა უთხრეს: გარდანქეშანო, შენ რომ ამ შენს აიარებს ხმელეთზედ არავის უდრი, ეს რა ამბავია, რომ ერთის საძაგელის ბიჭისაგან აგრე იშიშვი? თურმე საკუთრად შენ გეშინია და ამათ რაღას ემართლებიო?

ასე თქვეს და ყარამან და ხოსროვშირი და აგრეთვე ერთობით დიდებულნი ზეადგნენ და კარსა გამოვიდნენ. მაშინვე ას ოცლარეა-

ნი ფალავანნი გარდაარჩიევს, შებრუნდნენ და ხელმწიფეს ხვალის ომის საქმეს ეაჯებოდნენ. რა ყარამან ესე ესრეთ ამ ფალავანთ დე-ქადებით გასვლა მოისმინა, დიდად ეწყინა და თავის გულში თქვა: ამისთანა სიქადული როგორ ეკადრებათ და ან როგორ გაბედეს აქ ჩემთანაო? ისევ გული დაიმშვიდა და არავის არა უთხრა და ეს განიზრახა: ხვალ მე ამათ იმათზე გამოესცდი და მე არ გავალო. ხელმწიფემ დასტური უბოძა. გარდანქეშანსაც უბრძანა: შენ ტყუილად თავს არიდებ, ახლავე უნდა წახვიდე და რაიაზამის ამბავი ყველა წვრილად შემატყობინო.

მაშინვე თავი დაუტრა, გამობრუნდა და ინდის სახელ შეიცვალა და წავიდა. რა რაიაზამის ჯარში მივიდა, მათი ამბავი ყოველივე წვრილად შეიტყო, ამათსავე ახალს მოსულს ფალავანებს დახედა და შიშის ზარმა ასე აიტანა, რომ შემოდგომის ხის ფურცელივით თრთოლა დაიწყო. საბრალო გარდანქეშანმა თავის გულში თქვა: ვაი, ჩემს თავსაო, ამათის ხელიდამ რომელიდა ფალავანნი და სარდალნი უნდა გარდაარჩნენო, სანამეტნაოდ ის ფალავანნი, რომელთაც დღეს დასტური დაცაო. თავჩამოგდებული დადიოდა და შემდეგ თქვა: თავო ჩემო, ეს ამბები ხომ ყველა მოვიყუბრე და ესეც ჩემის თვალით ვნახე, რომ რაიაზამ ხელმწიფემ სალსალს ხელი მოჰკიდა და მიიყვანა და სააბყარანობის სკამსა დასვა. ესენი ხომ ყველა ვნახე და მოდი, თავო ჩემო, საჩქაროდ გავეცალო, ან ნულლით ან სასმელის შემოძლევით არავისგან მოვსტყუვდე, თორემ თავიც რომ მოვირჩინო, მაინც ყარამანის საყუედურს ველარ მოუტრჩებიო!

საჩქაროდ გამობრუნდა და უშანგ ხელმწიფეს იახლა და იქაური ამბავი ყველა თვითეულად მოახსენა, როგორც შეყრილიყვნენ და ან როგორც მეჯლისში ყარამანზედ დაექადნა და ესეც მოახსენა, ხვალ იმათგან წიგნი მოგერთმევათ და თუ რომ იმათი მორჩილი არ შეიქნება ყარამან, ცოცხალს არ დავარჩენთო. მაგრამ ამისი კი გვეფიქრება, ვაითუ ახლავე ჯარიდამ გავეპაროსო. გარდანქეშანს ამ ლაპარაკში ასე უნდოდა, რომ ყარამან იმათზე განარისხოს და ხვალის ომში სხვა არავინ გაუშვას, თორემ როგორც ლომს თხა, ისე ამათი ფალავანები აღარად მიაჩნია იმათს ფალავანებთან, ასე თვალი შეშინდებოდა. რა გარდანქეშანმა ამბავი დაასრულა, ხელმწიფემ ბრძანა: ჩვენ საბაოთ ღმერთს მივენდვნეთ და ისინი თავიანთ კერებებს და ვნახოთ, ვინ იძლევაო!

რა დილა გათენდა, იქით მხარეს სალსალ რაზდავარ ბრძანა და

წიგნი ძისწერა და ფარანდღი ჯანსუზ აიარს მისცა. უბრძანა: ახლავე უშანგ-შას მთართვიო. ფარანდღიმ თავისი შვილი და შვილი შეგირდიც თან გაიყოლია და ერთსა აიარს უთხრა: შენ ერანელთ სახედ შეიცვალე და ჩვენ რომ წავიდეთ, ცოტას უკან შენც წამოდი და უშანგის კარზედ მოიცადე და ჩვენ იქილამ აქეთვე წამოვალთო. ისინი ჩუმად აიარს გამოგვაყოლებენ და შენ ეს შემიტყე, ის ჩუმად წამომსვლელი გარდანქეშანი იქნება თუ სხვა აიარიო.

რა ესე დაარიგა, მსწრაფლად უშანგის კარზედ მოვიდა. ყაპყაი ფილურსავარ იგი იხილა, შევიდა და ხელმწიფეს მოახსენა. მაშინვე მიიყვანეს. რა ეს აიარი შევიდა, მასვე წამს ხელმწიფეს თავი დაუკრა და წიგნი მთართვა, და იგი აიარი სკამს დასვეს და შვილი თავისი შეგირდი თავს დაიყენა. რა ეს ფარანდღი ჯანსუზ იხილეს, დიდად მოეწონათ. ხელმწიფემ წიგნი აილო და შარიფ-შას მისცა. შარიფ-შაზე აღგა და წაიკითხა. ესრეთ მოეწერათ: ჩვენგან გეუწყოს სალსალ რაზდავარ და არყას ხუნხარისაგან. შენ რომ უშანგ-შა და ყარამან ხართ და თქვენ რომ დიდრონი სულთნები დაგიმცრიათ და ქვეყნები წავიერთმევიათ, შენ ასე გგონია, რომ ყარამანის ამხანაგი აღარავინ იყოს. მაშ სალსალისა და არყასის სახელი არ გაგიგონია, რომ მოხველ და ინდოეთს აოხრებ? თუ რომ ყარამანმა ყაფის მთაში ერთი-ორი დევი მოკლა და დაიმორჩილა, ამისთვის გაამაყებულა? თუმცა ჩვენ გვინდოდეს? სრულებით ხმელეთს დავიპყრობდით. ყარამანს ჩვენ ქუი-ყაფის დევები ნუ ვგონივართ. ჩვენც ამ ქვეყნის დევები ვართ და ადამიანთ ვეშაპები და ჩამგუნის ციხის მამაცი ვართ! თუმცა ხმელეთი დევთა და ფერიათ აღივსოს, ჩვენს თვალში მდოგვის მარცვლის ჯდენითაც არად მიგვანია! ახლა, უშანგ და ყარამან, თუ რომ ჰკუა გაქვთ, ჩვენი სიტყვა ისმინეთ: შვილი იყლიმი და რაც საქონელი ან ხაზინა რომ გქონდეს, ეგ სულ ხსლავე რაიაზამს მთართვი და შენ წადი და დეშტი ყივიჩალს მამაშენთან იცხოვრე და რაიაზამ და ჩვენ გვლოცეო! ყარამანმა ყოველივე თავისი იარალი და ცხენი მე მომართვას და კიდევ დაიფიცოს, რომ თავის დღეში აღარც იარალი შემოირტყას და აღარც ცხენს შეჯდეს და აღარც თავისი თავი ფალავნად ახსენოს და ჩვენის ბრძანების მორჩილიც უნდა იყოს. თუ რომ ამას ასე არ დაგვიმორჩილებდით, ომის უკან გაჩვენებთ ჩვენს თავსაო!

რა ესოდენი უმსგავსო სიტყვები მოისმინა ხელმწიფემ, ლომსავით ბრდღვინვა შექნა და მეტის მრისხანებით პასუხი აღარ მისცა.



ყარამანმა შემოხედა და უთხრა: აიარო, იმ თავში გამწევებს უთხარიო, ამდენს უმსგავსოს რატომ ლაპარაკობთ, რომელიც არ შეფერებათ? ამისთანა ლაპარაკით ვის შეაშინებთ ან ვის აკვირებთ თქვენს ფალავნობასა-თქო? თუ რომ უშანგ-შამ შვიდი იყლიმი თავისის ხმლით დაიპყრა, მაშა ამაზე უძლიერესი სხვა უნდა ჩნდიყოს ვინმე, რომ იმანაც თავისის ძალით ამას წაართვას, თორემ ეს თავისი ნებით არავის მისცემს და ნამეტნავად რაიაზამისთანას საძაგელს წუწყს ინდს, რომ ძალლების შემნახავადაც არ იახლებს. თუ რომ ჩემსას რასმე ამბობთ, ეს ჩემი იარაღები ყოველივე თვითეულად სხვადასხვა თილისმიდამ გამომიტანია, რომ ეს ჩემი იარაღი ხმელეთის ფასად ღირს. და ვინც მოედანზე ჩემი მომრევი გამოვა, ჩემი იარაღი იმას დარჩება! ღმერთსა ვფიცავ, ამისთანა უმსგავსოს სიტყვის შემოთვლისათვის მე იმას აღარ შევიწყალებ და თავს მოვკვეთ ორთავეს და კარგად მოემზადნენ სამეიდნოთა. ჩვენსა და იმათს საქმეს ერთი ხმალი გარდასწყვეტსო!

ესე თქვა და დაჩუმდა. მერე ხელმწიფემ ის წიგნი აიღო, დახია და აიარს თავს გარდააყარა და შემოუძახა: გაეთრიე ეხლავე, პასუხი ასე უთხარ! აიარი გაბრუნდა და წავიდა. ის რომ წავიდა, ხელმწიფემ გარდანქეშანს უბრძანა: ჩემს სამსახურზე ყოველთვის თავდადებულო, აბა შენც ახლავე იღუმალ წადი და იმათ დახედე და იქილამ საჩქაროდ ამბავი რამ მომიტანე, რომ ომის მზადებაში არიან თუ არა, ესენი ყველა შემიტყვეო.

გარდანქეშან მობრუნდა და შაბრანგს უთხრა: ჩემო სიცოცხლეე მეგობარო შაბრანგ, შენც ჩემთან უნდა წამოხვიდე, რომ მე იქნება იქ მომიგვიანდეს და შენ საჩქაროდ უნდა აქავე იახლო და ომის მზადების ამბავში თუ არიან, უნდა აქაც ჩქარა შეატყობინო. ესე თქვა და საჩქაროდ სახე შეიცვალა და მსწრაფლად რაიაზამის კარავს შევიდნენ. ის აიარნი, რომელიც უშანგის საზვეკრავად იყო გამოგზავნილი, გელიქ-შა, აპყვა უკან და სანამ რაიაზამის კარავს არ შევიდნენ, თვალი არ მოაშორა. მერე საჩქაროდ გაიქცა და ფარანდელი ჯანსუზს იმ აიარების მოსვლა აცნობა. ფარანდელი რაიაზამს იახლა და ყოველივე ამბავი ყარამანისაგან შეთვლა მოახსენა.

რა სალსალმა და არყასმა ყარამანისაგან ესრეთი შეუპოვრად სიტყვების შეთვლის ამბავი მოისმინეს, მეტად ღიღად განრისხდნენ და რაიაზამს მოახსენეს: ხელმწიფევ, რადგან ყარამანმა დაგვიწუნა და თავის თავს უსწოროს ფალავანს ეძახის, თქვენც ახლავე ბრძა-

ნეთ, რომ ამ სამს დღესვე ომის მზადების თაღარიგში შევიდნენ, რომ მეოთხეს დღეს უნდა შევიბათ. უთუოდ ყარამანს თავს მოვ-  
ჰკვეთ და უშანგ-შას სიცოცხლეს განუქარვებ და იმათს ხაზინას  
თქვენ მოგართმევთო.

რა ეს საქმე ასე დაასკვნეს, მერე ფარანდღი ჯანსუზ აიარი მო-  
ბრუნდა და ამ თავის აიარს უთხრა: სჯობს, რომ შაბრანგს ერთი  
რამ მოუხერხო და შევიპყრა და თავი მოვკვეთო და მერმე გარდან-  
ქეშანის საქმეს შეუდგეო. გამოვიდა გარეთ და შორიღამ ყურება  
დაუწყო. გარდანქეშანმა რაც რომ რაიაზამის ამბავი მოისმინა, მა-  
შინვე შაბრანგს უთხრა: ახლავე წადი და ყველა უბანს აცნობე, რომ  
იმათაც ხვალის ომის მზადება იწყონო. რა ეს უთხრა, შაბრანგ საჩ-  
ქაროდ წავიდა მთის გზისაკენ.

რა ეს ჯანსუზ აიარმა ნახა, საჩქაროდ მოეწია და შემოსძახა: შენ  
ჩემის ხელიღამ ცოცხალი ველარსად წახვალო! მანაც ხანჯალს ხელი  
მოივლო და ფარანდღი ჯანსუზს შემოუტია. რა შაბრანგის ესოდენი  
გულოვნება იხილა, დიდად მოეწონა. რა ახლოს მივიდა, შაბრანგს  
ცალის ხელით თვალეში კირი შეაყარა. ველარა დაინახა რა. საჩქა-  
როდ მიექრა. წყეულმა სწრაფად თავი მოკვეთა და ხელმწიფეს მი-  
ართვა. ხელმწიფემ მადლობა უბრძანა და მერე ჰკითხეს: ამას სა-  
ხელა რა ჰქვიანო? და მერე ჯანსუზ მოახსენა: შაბრანგ აიარი გახ-  
ლავსთ და გარდანქეშანისა დიდი შემწე ეს იყოო. რაიაზამს დიდად  
იამა და თქვა: ეს იმალ-შას აიარი იყო და ახლა უშანგს ეყმოო.

რა ეს გარდანქეშანმა მოიხილა და შაბრანგის თავი მოიტანა იმ  
წყეულმა, ამან დიდად შეწუხების გამო თვალთაგან ცრემლი ვე-  
ლარ დააყენა და კიდევ ეშინოდა, არ დამინახოსო. ამავე ჟამს ფა-  
რანდღიც გამობრუნდა. ერთი ძველი თოფრა იშოვა. პურის ნამ-  
ტვრევები და ყურძენი ჩააწყო და ამას წინ გაუსწრა, და ამ გარდან-  
ქეშანის გამოსავლელს გზაზე დააგდო და თითონ ცოტა მოფარებით  
მოშორდა და თქვა: ეგება გარდანქეშანმა ეს ცოტაც არის გემოთ  
ნახოს და მერე მე ვიცი, რაც იმას მოუვლო!

გარდანქეშანი გამობრუნდა. შინათკენ წამოვიდა და გზაზედ ეს  
თოფრაკი პურის ნამტვრევებით და ყურძენი დაუხვდა. რა გასინჯა,  
მაშინვე მიხვდა და თქვა: იმ წყეულს ჩემთვის რა მახე მოუშაღებია.  
მოდი, აქ დაეჯდები. ცოტა ხანს ამას ცოდლობას დაუწყებ, მერე წავ-  
სწვები და თავს მოვიმთვრალებ. რა დამინახავს, მაშინვე ჩემს თავის  
მოსაჭრელად გამოექანება და თუ ხელი მოგავლე, ვეჭვობ, შაბრან-

გის სიკვდილი შევინანო. მივიდა, თოფრას ცოფილობა დაუწყო. ცოტას ხანს უკან წამოდგა, ბარბაცი შექნა და მივიდა და ერთს ალაგს მიეგდო.

რა ფარანდეი ჯანსუზ ეს ასე იხილა, დიდად იამა, მაგრამ შიშით ახლოს ვერ დაეკარა და შორიდან ასე შესძახა: ჰეი, გარდანქეშანო, შე აქედამ შენ კარგად გიყურე, რომ არც პური და არც ყურძენი შენ გემოთ არა ნახე, მაგრამ შენ ასე გინდა, რომ ახლოს მიმიტყუო და შაბრანგის სისხლი მაზღვევინო. მე შენის დაჰერის ყამი კარგად ვიცი! წადი და ეგენი კარგად მოამზადეო. ეს თქვა და ფიცხლად გაექცა, რომ თვალწინ მიეკარგა. და გარდანქეშანმა რა ეს მოიხილა დიდად ქება დაუწყო და მოეწონა, იმას ჰკუა-ქეცვა და აიარობა ერთმანეთზე უყეთესი აქვსო. ესე თქვა და დიდად შეწუხებული, გულხელდაკრეფილი ხელმწიფეს იახლა.

რა ასრე შეწუხებული იხილეს, ხელმწიფემ უბრძანა: აიარების სპასალარო და თავო, რა არის შენის ეგრე შეწუხების მიზეზი ან შაბრანგ სადა გყავსო? იმან დიდის მწუხარებით მოახსენა: ჰეი, ქვეყანის მპყრობელო ხელმწიფეო, შაბრანგ თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნაო. იქაური ამბავი ყოველივე თვითულად ხელმწიფეს მოახსენა. იქ მყოფნი ყოველნივე, ყარამან, ხოსროეშირი და სრულიად ფალავანნი დიდად შესწუხდნენ. გარდანქეშანმა მოახსენა: ხელმწიფეო, მე თუ ის წყეული ვერ მოვკალ, უთუოდ ჩემს თავს მოვიკლავო. ეს თქვა და სამი აიარი გაგზავნეს და შაბრანგის გვამი მოიღეს და მიწას დამარხეს.

მერე ხელმწიფემ სარდალთ და ფალავანთ უბრძანა, ომის თადარიგი იწყეთო. მეოთხეს დღეს საომრად მოედანს გამოვიდნენ. ორისავე მხრიდან თავ-თავის განწესებულს ალაგს დასტები დააწყვეს. ორსავე მხარეს საომარსა ნალარასა ჰკრეს და ყოველსა კაცსა მოედანზე თვალი ეჭირა, რომელი ფალავანი გამოვა და ვისი ცხენი უპატრონო უკუ იქცევაო. ნახეს, რომ არყასმან რაიაზამს თავი დაუკრა და გამოეთხოვა და მოედანს გამოვიდა. და რამდენიმე ფალავანნი და სარდალნი წინ გამოუძღვნენ. მოედანის პირთან მოჰყვნენ, თავი დაუკრეს და უკან გაბრუნდნენ. მერე ამან დიდის ხმით შემოსძახა: მე ვარ არყას ხუნხარი, ძმა სალსალისა, რომელსაცა ჩემი ომი გინდოდესთ, მოედანსა გადმოდიეთო.

ფალავანი გამოითხოვა და უშანგ-შას მხრიდან ზორაბ აჯდარხუარ გამოვიდა, ხელმწიფეს გამოეთხოვა, მოედანს დიახ გულოვნად

გამოვარდა. ფიცხლად შემოუტრია, სამი მძიმე ლახტი თავსა ჰკრა, მაგრამ ვერცალა თუ შეატყობინა. მერე გამწარებული არყას მოუხდა, სარტყელსა ხელი ჩაავლო, აწიდა, თავს შეიცილა და ასეთი დასცა მიწასა, რომ გონება მთეხადა. აიარები მისცვივდნენ ზორაბს, ხელები შეუტრეს და წაიყვანეს.

რა ესე იხილა ბაჰმან აიარმა, ხელმწიფეს თავი დაუტკრა და მოედანს გამოვიდა, შუბი მკლავსა განიწონა, მკერდსა საკრავად მიუტრია. მან ფარი იფარა და მას აატანინა, ამანაც ავეჯანდიდან ფეხი გამოჰყო, ბაჰმანს გულსა ჰკრა და ცნობა მიეხადა, ცხენთაგან ძირს მიწას დაეცა. სწრაფად აიარნი მოცვივდნენ, ხელები შეუტრეს და წაიყვანეს.

რა ესე ასე მოიხილეს, ყაზამფარ ხათაიმ ბასრსა ხმალსა ხელი მიჰყო და სწრაფათ შეუტრია. რა დასაკრავად შეუმალლა, არყას ხუნხარა ხმლისა მაჯას მისწვდა და ესეთი ძლიერად მოუტკირა ხელი, რომ ხმალიც ძირს დაეცა და თითონაც დასუსტებული ცხენისაგან გარდმოვარდა და იგიცა წაიყვანეს.

იმჟამად სარჯან ინდი გავიდა და სამი მძიმე ლახტი დაჰკრა. მაგრამ არყასმა ძლიერებით არად მიიჩნია. რა რიგი ამას ერგო, არყასმა ერთი მძიმე ლახტი თავსა ჰკრა. მანცა ფარი შეაშველა, მაგრამ მისი ძლიერად დაკრული ვეღარ შეიმაგრა, მცირე რამ გულსა მოხვდა და სრულებით სპილოსა. იგი და სპილო ორივე ძირს დაეცნენ და იგიცა აიართა წაიყვანეს.

მერე ქეივან-შას შვილი დაუთ-შა მოუხდა და ესეცა დაიჭირა. რაღა გრძლად თავი გაწყინოთ, იმ დღეს ას ოცდაცხრა ფალავანი შეება, ყოველივე დაიჭირა და წაიყვანა. და რა შელამდა, გასაყარსა ნალარასა ჰკრეს და მებრძოლნი ყოველნივე თავ-თავისად გაიყარნენ. უშანგ თავის ტახტს დიდად შეწუხებული დაჯდა. და ამ დღის ომის საქმეს და ამ ფალავნების დაჭერას ლაპარაკობდნენ.

იქით მხარეს რაიზამ მწიარულის გულით ტახტსა დაბრძანდა და არყასს გამარჯვება მიულოცა და თავისი თაჯი თავსა დახურა. იმ დღეს სალსალს და არყასს სამ-სამი ხელი უცხო ძვირფასი იარაღები და ხალათები უბოძა და შეიქნა სმა და ლხინი. და მაშინ სალსალ ძმასა თვისსა უთხრა: ბედნიერიმცა არის დღევანდელი თქვენი ომი, მაგრამ ხვალის ომი მე უნდა დამაცალოთ და მოედანიც მე უნდა დამიცალოთ. არყასმა ნება დართო. და რა მეგლიში მოიცალა, ცოტა განისვენეს.

რა დილა გათენდა, ორისავე მხრიდამ საომარსა ნაღარასა ჰკრეს და თავ-თავის ალაგას დასტები დაეწყო. იმჟამად სალსალმა ხელმწიფეს თავი დაუკრა და ფარანდელი ჯანსუზ წინ გამოუძღვია. რა მოედანს გამოვიდა, უშანგისაკენ შესძახა მალღის ხმითა: ვინცა ვინ ძლიერნი ფალავანნი ხართ, მოედანს გამოდით და უშანგ-შას თქვენს თამაშს ვაყურებიანებო! რა დაგმართოთო. ესე თქვა და მოედანს ნავარდი შექნა.

აქედამ ბარამ ჯიბილი ხელმწიფეს ეახლა, თავი დაუკრა და მოედანს გავიდა. მასვე წამს სალსალს მიმართა და ერთი ასეთი მძიმე ლახტი ჰკრა თავსა, რომ თუ არ დიდის ძლიერებით, ვერავინ გაუძლებდა. და სალსალსაც დიდად მოეწონა ამისი ასე სიმხნე და მეორეცა და მესამეცა ერთმანეთზე უმძიმესად ჰკრა, მაგრამ ლახტსავე აატანინა და უვნებლად შორჩა. რა რივი მასცა ერგო, ერთი მძიმე ლახტი ბარამს ჰკრა, ასე ძლიერად მოხვდა, რომ თავიდან ფეხამდისინ სულ ოფლში გაცურდა. რა მეორე და მესამეცა ამისთანა მძიმე ლახტები ერთმანეთზე მოხვდა, დასუსტდა და მარტორქისაგან ძირს ჩამოვარდა. მსწრაფლთ ხელი შეუტყრეს და წაიყვანეს.

რა ყათრანმა ესე მოიხილა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და შუბსა ხელი მიჰყო და სალსალსა მოუხდა. სალსალმა ფარი იფარა, მაგრამ ფარმა ვერ შეიმავრა და შიგ გავარდა. სალსალ მეტის სიფიცხით მარტორქას გავაზედ გარდასწვა და შუბი და ფარი ორივე გაიციდინა და უვნებლად გარდარჩა. მსწრაფლად აიარებმა სხვა ფარი მართვეს. ცხენსავე თვისსა გასწორდა.

რა ყათრან მეორედ მობრუნდა და ლახტის დაკვრას ემზადებოდა, იმჟამად ყარამანისაგან ერთი დიდი საშინელი ხმა ესმა და სალსალმა იკითხა: ეს რა ამბავი არისო? აიარებმა უთხრეს: ყარამან ლაშქარს მოუხდა და ორმოც ათასს ფალავანებში შიგ შემოერია და სრულებით დაუანტა და პერობილნი ფალავანნიც განათავისუფლაო. იწყინა სალსალმა და რაიაზამს მოახსენა: ამისთანა უმსგავრო საქმე რატომ ჰქნა, რომ არას ფალავანს არ ეკადრება? მე იმას ამ საქმეს არ დაუთმობ. თუ იმასაც ახლავე არ დავიჭერ, ჩემი სახელი სალსალ და არყასის სახელი ნუღარ იხსენება! და თუ სხვა ვინმე მომაველებო, ეს იცოდეთ, რომ თქვენცენ მე აღარ მოვბრუნდებიო.

ამგვარის ქადილით არყას წაიყვანა და მალღის ხმის ძახილით უკან მისდევდნენ. ყარამან მათი ძახილი გაიგონა და მუქარა მიეს-

მა, ორასნი ფალავანიც თან ახლდნენ და ხუმრობით მიდიოდნენ. ნახა, რომ ორი ვინმე ფალავანი იმისკენ პირდაპირ მიდიან, ესენი შინათკენ დაითხოვა და უთხრა: თქვენ წადით და მე ამათ ცოტას რასმე ჩემს ძალას ვაჩვენებო. ხოსროვშირს ხელი მოჰკიდა და თავისთან მოაცდევინა. ამათთან გარდანქეშანიც იქ დასდგა. და ფალავანთა, რომელნიც დაითხოვა, საჩქაროდ იარეს და უშანგ-შას იახლბენ. რა ამათი მისვლა სცნა ხელმწიფემ, უთავაზა, წამოუდგა, განთავისუფლება მიულოცა და თავ-თავის აღგავს დასხდნენ. მერე ყარამანის ამბავი იკითხა და ყოველივე წვრილად მოახსენეს.

რა იგი არყას და სალსალი ყარამანს მიუახლოვდნენ, არყასმა შემოუძახა: შენ იგი ხარ, რომ ჯარში მუხთლობით შეხველ და ფალავნები მოგიპარავსო? აწ გიჩვენებ სინანულსაო! მიუხდა და ერთი ძლიერი ლახტი ჰკრა და ყარამანმა ლახტსა აატანინა, მაგრამ ყარამანს დიდად მოეწონა იმისი ძლიერება. ორიცა სცა, მაგრამ ვერა ავნო რა. რა რიგი ყარამანს ერგო, მანცა ესეთი ძლიერად დაჰკრა, რომ თავის სიცოცხლეში ამისთანა მძიმე ლახტი არავისგან მოხვედროდა. მანცა ლახტი იფარა, მკლავით ველარ შევიმაგრა, მარტორქას მოხვდა და თავი სრულიად გააგდებინა და დარჩა ქვეითად.

რა ეს ნახა სალსალმა, მოუხდა ყარამანს და ერთი მძიმე ლახტი ჰკრა. ასეთი ძლიერი მოხდა, რომ შეუფაიბარი მის ლახტის ძლიერებისაგან კოჭებამდის მიწასა დაეფლა. ყარამანმა ქუსლი ჰკრა და გაამხნო. რა რიგი ყარამანს ერგო, ლახტი თავსა შემოივლო, მრისხანედ მიუხდა, თავსა ჰკრა. მანცა ლახტი იფარა. ამ ძლიერად დაკრულს ლახტს მარტორქამ ველარ შეუძლო და წელი მოსწყდა და მიწას დაეცა და ორნივ ძმანი ქვეითად დარჩნენ. რა ყარამანმა ესენი ასე იხილა, შეებრალა და აღარ ეომა და ორთავეს ესრედ უთხრა: ფალავანო, აქ თუ მე თქვენ ორნივე დაგზოცოთ, ჩემი რა სახელოვნება იქნება და ან თუ თქვენ მომკლავთ, ვინ დაგინახავსო? ერთმანეთის ძლიერება ხომ კარგად გამოვცაღდეთ. თქვენ ამაღამ შინ განისვენეთ და ხვალ მოედანზე ჩემის ხელმწიფის წინ გარდავსწყვიტოთ ერთმანეთის საქმეო.

რა ეს ყარამანისაგან მოისმინეს, ესენიც დამორჩილდნენ და ნება დართეს. რა ამ პირობით შეიკვრნენ, გარდანქეშანს უთხრა. ახლავ საჩქაროდ ორი მარტორქა კარგის მძიმის იარაღებით ამათ მოართვიო. საჩქაროდ წავიდა და მოართვა. ისინი იქით გაისტუმრა და ყარამანს ც შინ მივიდა.

რა რაიაზამს ეს ორნი ფალავანნი მშვიდობით მოუვიდა, დიდათ იამა. მეჯლისი გამართა და ამათ ყარამანის ამბავი ჰკითხა, რა უყავითო? მათ მოახსენეს: ხელმწიფევე, ეს ორი მარტორქა იმან ფეშქაშად მოგვართვა და ზავი გვთხოვა, რადგან ჩვენ ორნი ვიყავით და ის მარტო იყო: ჩვენც ავიღეთ და გავუშვით და აღარ შევიპყარით. და ხვალე პირობა იყოს, რომ იმასაც მოვკლავთ და უშანგ-შასაცა და იმის შვიდს იყლიმს შენ მოგართმევთ და თქვენ ეპატრონნეთო.

აქეთ ყარამან მივიდა. უშანგ ხელმწიფე წინ მიეგება, მოიკითხა, იმ დღის ომი მიულოცა. ხელი მოჰკიდა და წინ დაისვა. მერე ფალავნების ამბავი ჰკითხა. ყარამან მოახსენა. როგორც გარდახედოდა. ხელმწიფემ ჰკითხა. როგორი რამ ძალის მქონენი არიანო? ყარამან მოახსენა: არა დია ძლიერნი გახლავან და ხვალე ძალითა ღვთისათა იმათ ორთავე ამა სოფლიდან გამოვასალმებო. ესე თქვა და ლხინი დიდი გაიმართა. იმქამად შირფანჯა აიარი რაიაზამის ურდოდამ მოვიდა. შევიდა იქაური ამბავი და იმათგან ქადილი ხელმწიფეს და ყარამანს მოახსენა. ხელმწიფემ ამაზე უბრძანა: ხვალ ომი იქნება და ყველას გამოუტხადეო.

რა მეჯლისი გათავდა და დილა გათენდა, ორისავე მხრიდამ საომარსა ნალარასა ჰკრეს და ორისავე მხრიდამ დასტები დაეწყო. არყას მივიდა და რაიაზამს თავი დაუყრა და მოედანს გამოვიდა და უშანგისაკენ შემოსძახა: დღეს პირობა არის და ყარამანის მეტი ნურავინ გამოვა, მე მისად საბრძოლად გამოვსულვარო! რა ეს მოისმინა მაშინვე ყარამანმა ხელმწიფეს თავი დაუყრა და გარდანქეშანი წინ გამოუძღვა და მოედანსა გამოვიდნენ.

რა ახლოს მივიდნენ, ყარამანმა თავი დაუყრა და არყასმა სალამი არ ჩამოართვა. შუბი დაიტრიალა და ცხენსა ქუსლი ჰკრა. შუბი ყარამანს გულსა მიუტანა. ყარამანმა მარცხენა ფეხით ავეჯანდა დასცულა და მარჯვნივ გარდახდა და შუბი მით გაიციდინა. არყას დიდად განრისხდა თავის იარაღის მოუხმარებლობისათვის, მეორედ მოუხდა და ერთი მძიმე ლახტი ჰკრა თავსა. ყარამანმა ლახტი იფარა და მით აიციდინა, მაგრამ ესეთი ძლიერად მოხედა ლახტი ლახტსა, რომ ორივე ფალავანი ამ ლახტების ცეცხლმან დაჰფარა და ყარამანმა თავის გულში დიდი ქება შეასხა და ეს თქვა: ნეტამც ეს ფალავანნი დაგვემორჩილებოდნენ, რომ ამათი ძლიერი ჰაბუკობა ჩემის ხელით არ მოსწყდებოდესო. მესამეც ძლიერი ლახტი ჰკრა და მასაც უვნებლად გარდაარჩა.

რა რიგი ყარამანს ერგო, შუბი დაიტრიალა და არყასს მოუხდა გულსა საკრავად. არყას მარტორქასა გავაზე გარდაწვა და შუბი გაციდინა. მეორეც ლახტითა სცა, მაგრამ მასაც გარდარჩა. მესამეთაც განრისხებული მოუხდა და უმძიმესი ლახტი ჰკრა. თვითონ უვნებლად გარდარჩა, მაგრამ მარტორქას ამ ლახტის ცემაზე წელი მოსწყდა და ძირს დაეცა და მასვე წამსა არყას ქვეითად მოუხდა. ყარამანც შეშფაობრიდამ გარდახდა და ორნივე ქვევითად დიდხანს იბრძოდნენ და ვერა რომელმან სძლია.

არყას განრისხდა და ხმალსა ბასრსა ხელი მიჰყო და შემოუტია, ყარამანმა თავისი თილი ყამყამი მის ხმალს შეუფარა. მოხვდა არყასის ხმალი, სამად გატყდა. არყას განრისხდა ხმლის გატეხისათვის და რაც ხელში შერჩა, ყარამანს შემოსტყორცნა და არა მცირედ წარბში დაჰკოდა და ლოყას სისხლი გარდმოედინა. რა თავის თავი ესრედ იხილა, განრისხებული მიუხდა არყასს, მკერდსა ერთი ასეთი მჯილი შემოჰკრა, რომ არყას მაშინვე უცნობო შეიქნა და ძირს დაეცა. ყარამანმა მსწრაფლად ხელი თილი ყამყამს მოივლო, თავი მოჰკვეთა და ხელმწიფეს მიულოცა. ნიადაგმცა თქვენი მტერი ესე იძლიოს, ვით ეს ბილწი.

რა სალსალმა თავისი ძმის სიკვდილი მოიხილა, მკერდგარდაგლეჯილი და ძმისათვის დიდად გულდამწვარი, განრისხებული მოედანსა გამოვიდა და ყარამანს შემოსძახა: ჰეი, წყეულო! შენ ჩემის ძმის სიკვდილი როგორ გაბედე! აწ იხილე ჩემგან შენის თავის სიცოცხლის სადალა გარდარჩენა! უბედურსა უშანგსა და იმისის ჯარსაც სულ ქვეყანიდამ აჯაოხრებო! ესე თქვა და განრისხებულმან ბასრსა ხმალსა ხელი მიჰყო. ყარამან სალსალის მოქნეულს ხმალსა თავისი თილი ყამყამი მიაგება და ხმალი სამად გაუტყდა. ყარამანმა ესე უთხრა: პირველსავე მოსვლაზე რომ მესისხლედ მომიხდი, ხლმის შემოკვრა როგორ უნდა. მე გაჩვენებ.

ესე უთხრა და თილი ყამყამსა ხელი მიჰყო. და მიუხდა და შემოუძახა: გამიფრთხილდი და ნახე ძლოერება ჩემი, რომ როგორი ფალავანი უშობივარ ჩემს დედასაო! ესე სთქვა და მოუქნია ხმალი. მანცა ფარი შეაშველა. ფარი ორად გაჰკვეთა და ხმალი თავსა დაემდერა, თვალსა სტუმრად ეწვია და ენასა ემუსიკებოდა, ყელსა გზა იპოვა და გულსა არასიხარულიანი ამბავი მიართვა, ცხენის უნაგირს სალამი მიაგება და ცხენის ქვეშ გამოკრთა. ფალავანი სალსალ ორად გაჰკვეთა და მისი მარტორქაც უვნებლად ველარ გარდარჩა, იგიც



ორად გაიკვეთა და ოთხად კვეთილნი ფალავანი და მარტორქა მოედანსა დაეცნენ.

რა ესე საქმე მოიხილეს, ორმოცმა ათასმა ფალავანმა ყარამანს ერთობით შემოუტყვეს. რა ყარამანმა მათი თავის თავზე მომავლობა დაინახა, ერთის დიდი ხმითა ღვთისა სახელი ახსენა და შიგან შეიქრა, ვითა სონღული წეროთა გუნდსა და ვითა შევარდენი მტრედის გუნდს, ისრე მიეხოცებოდა და სრულებით დაფანტა. რა რომ რაიხამ ხელმწიფემ ესე იხილა და ყოვლის გზით თავისის თავის იმედი გარდაიწყვიტა და საჩქაროდ ბრძანა: რაც რომ მეომარი სპილოები იყოს, სულ ეხლავე ამათზედ მიუშვით და უშანგის ლაშქარი სრულებით ასწყვიტეთო.

რა ესე ბრძანება სინდელთა მოისმინეს, მაშინვე დიდროვანის ჯაჭვებითა სპილოები ერთმანეთსა გარდააბეს, ას ოთხმოცი გასწავლებული, ომის ნაჩვევი სპილოები უშანგის ჯარზე მოუშვეს და ყოველი ფალავანი მოედნისაგან გამოეცალნენ. და ყარამან ხმალ-ხელთ პურობილი უშანგ-შას იახლა და მოახსენა: ხელმწიფეო, როგორ გვიბრძანებთ ამას ოთხმოცის მეომრის სპილოს საქმესაო? ხელმწიფემ ბრძანა: ჩვენც ქეთან-შასი და რაჰინდისეული სპილოები შევაბათო. ყარამანმა მოახსენა: ორსავე მხარეს ამდენი პირუტყვის ერთმანეთზე შეხოცა ხომ დიდი საცოდაობა არის! თქვენ ბრძანეთ და თქვენი ლოცვით ჩვენ შევებნეთო.

რა ეს მოახსენა ყარამანმა, მაშინვე ხოსროვშირს ყათრანს და ბარამ ჯიბილს დაუძახა. საჩქაროდ იახლნენ, ამათ უთხრა: ეხლავე შვიდი ათასი ძლიერად მებრძოლნი ფალავანნი წამოიყვანეთო! და ესეც უბრძანა: მე მომყევით და რასაც დროს ჩემი ძლიერად ხმა გაიგონოთ, თქვენც ერთობით მაშინვე შეჰყვირეთ და ღვთის ძალით გაფრთხებიან და ერთობით უნდა დაეამხო და ტახტი მისი შევმუსროო. რა ეს თქვა, შეუტია და ბრძანებისამებრ უკან მიჰყვენენ.

რა ყარამან სპილოთა ახლოს მივიდა, მარჯვენა ხელი მარცხენასა გვერდსა შემოიხვია და მარცხენა ხელი მარჯვენასა გვერდსა და ღვთისა სახელი ასეთისა ხმითა შესძახა, რომ სარანდიზის მთა და იგი არემარე ასეთი შეინძრა, რომ დიდსა ხანობამდისინ ზანზარებდა. და ყარამანის მიმდევართა ფალავანთა და სარდალთაც ერთობით შეჰყვირეს და ესეთი ხმა გამოხდა, რომ ქვეყანა ირყეოდა, რა ამ მეომართა სპილოთა ესეთი საშინელი გრგვინვა მიესმათ, ასე შეშინდნენ, რომ თრთოლა დაიწყეს. საჩქაროდ გაფრთხნენ. ერთი მეორეს ეცა და რაც

საომარი იარაღი ამით ზურგს მომართული ჰქონდათ, ესეც ჩამოჰყარეს და უკანვე გაიქცნენ თავისავე ჯარს შეუტივეს და მრავალნი ხელისა და ფეხისაგან დამუსრეს და ამოსწყვიტეს. მრავლის ცდითა ლაშქარი ძლივ გარდაურჩა, მაგრამ სპილოთა უკან მიმყოლი ყარამან და ცალ მხარეს ქეთან-შას და ცალ მხარეს რაპინდი, ერთის მხრიდან უშანგ-შას ლაშქარი ესრეთ მიეწივნენ, რომ რაიზამის ლაშქარს რისხვა ღვთისა დასცეს.

რა რაიზამმა თავისი ლაშქარი ესრეთ იხილა, ასრე დიდად შესწუხდა, რომ ცნობა მიეგო და თვალთ დაუბნელდა და აღარ იცოდა, რა ექნა რა გონებას მოეგო და შეხედა, ყარამან დაინახა, რომელ თავისი ფალავნები და დასტები სრულებით აურია და დაუფანტა და ამის სიახლოესაც მიაწია, რა ესე მოიხილა, მობრუნდა და თავის სარდალთა და ვეზირთა უბრძანა: ჰეი, ვეზირნო, ესე გვარი საქმე კეთილი რჩევა არ იყო ჩვენს თავზე. ეხლა ერთი რამ წამალი მოვიპოვოთ რამე ჩვენის სიცოცხლისაო. რა ესე თქვეს, გასაყრელსა ნაღარასა ჰკრეს. ორისავე მხრის ლაშქარი თავ-თავისად მიიქცნენ და საომარი იარაღი აიყარეს.

ყარამან და სხვანი ფალავანნი უშანგ-შას იახლენ და თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ. ხელმწიფემ ყარამანის იმ დღის ისეთის სიმხნისათვის და ისეთის სახელოვნებისათვის დიდი ღონი და მეჯლიში გამართა.

იქით მხარეს რაიზამ დიდად შეწუხებული გაბრუნდა და თავის კარავს დაჯდა და მოუწოდა თვისთა ვეზირთა და დიდებულთა, უბრძანა: ბრძოლით ჩვენ იმათ ვერა დავაკელით და რა ექნათ? მე ხომ იმათ ვერ დავმორჩილდები, რაც უნდა ტანჯვა დამადგეს, მაგრამ ეს დიდად კეთილი იქნება, რომ აქედამ ჩვენსავე ქვეყანაში მშვიდობით მივაწიოთ. რა იქ მშვიდობით მივალთ, იქ სხვარიგად მოვანდენ საქმესა და ასეთ ფალავნებს ვიშოვნო, რომ ყარამანს თითო სილის შამოკვრის მეტი არ უნდოდესო და უშანგც შვილის იყლიმიდამ გვაძეოთ და ყარამანსაც თავი მოვკვეთოთ და რუბი მასქუნის ქვეყანას მე გავხელმწიფდებიო!

ვეზირთ მოახსენეს: ამას ამის მეტი გზა არა გვაქვს, უშანგ-შას რამდენიმე დღის პაემანი ვსთხოვოთ. მერე თქვენ ყოველნი ვეზირნი შემოიკრიბეთ და ჩვენის თავის კეთილად ცხოვრების საქმე ისე გავმოვარჩიოთ და კიდევ წავიდეთ ჩვენს ქვეყანასაო.

რა დილა გათენდა, ვეზირი სართავ და ეგრეთვე რამდენიმე სხვა-

ნი უშანგ-შასთან მოციქულად გაგზავნა პაემნის სათხოვნელად და შეეხვეწა ამ ვეზირთ, როგორც იყოს, ეცადნით, რომ პაემნის მოცემას დაიყოლოთ, რომ აქედამ გავეცალოო. რა უშანგ-შას ეს ვეზირნი იახლენ და ყაჰყაი ფილურსავარ იხილა, მასვე წამს ხელმწიფეს იახლა და მოახსენა: რაიაზამის ვეზირნი გიახლენ ელჩადო. რა ხელმწიფემ მოისმინა, დიდად იამა და დიდებულნი მიაგება და ხელმწიფეს აახლეს. ამ ვეზირთ მძიმედ თავი დაუტკრეს და ტახტსა ეამბორნენ. ხელმწიფემ შესაფერს ალაგს გარდაიწვია, მოიკითხა და შაქარლამა მიიღეს. ხელმწიფემ უბრძანა: ვეზირნო, რას საქმეზე გარჯილხართო?

რა ესე მოისმინეს, ზე აღგნენ და მძიმედ თავი დაუტკრეს და ქება შეასხეს: ჰეი, ქვეყნისა მპყრობელო და ერანისა და თურანის მეგვიდრეო, დიდო და სწორუპოვარო ხელმწიფეო! ჩვენ რაიაზამ წინაშე თქვენსა წარმოგვავლინა სავედრებლად და გვეედრებით, რათა ისმინოთ ვედრება მისი. და ძმანიცა მისნი წინაშე თქვენსა წარმოავლინა სავედრებლად და პირობასაცა სდებს და თავის ნაქმართა ინანის და გვეედრებათ, რომ თავისი დანაშაული მიუტყევოთ და თქვენც პირობა უბოძოთ, რომ თქვენ რომელნიც სუათნები გახლავან, ისიც იმათთან იმსახუროთ და იმან თავისი ქვეყანა თქვენ მოგართვათ და თქვენ ნებაზე მოაგდოს თავისი ცხოვრებაცაო.

ესე ასე მოახსენეს და გულხელმოკდობილნი ხელმწიფეს თავს აღგნენ და პასუხის ბრძანებას ელოდნენ. მერე ხელმწიფემ უბრძანა: ვეზირნო, რადგან თავისნი ძმანი წარმოუგზავნიან სავედრებლად, ჩვენცა შევიწყალეთ ვედრება მისი, წადით და მოიყვანეთ, რომ ცოტას ხანს ერთად შევექცეთ და მასუკან წავიდეს, თავის ქვეყანასაც ისევ იმასვე მივცემ და მეც ერანისაკენ წავალო. ხელმწიფემ ამათ ყველას ხალათები უბოძა და პირობის წიგნიც დაუწერა, დაბეჭდა და გარდანქეშანსა უბოძა და იმათ გააყოლა. მათცა თავი დაუტკრეს და წავიდნენ და გარდანქეშანმა თავისი შვილი შეგირდი თან გაიყოლა.

რა რაიაზამს იახლენ, ამათაც მძიმედ თავი დაუტკრეს. ხელმწიფემ გარდანქეშანი კაის ალაგს გარდაიწვია და ვეზირნი წინ წარსდგნენ და უშანგისაგან ბრძანებული ყოველივე თვითეულად მოახსენეს. მერე გარდანქეშანმა ამოიღო უშანგისაგან მიწერილი პირობის წიგნი და მიაართვა, მობრუნდა და თავისსავე სკამს დასჯდა. და ამას შვიდი თავისი თანგაყოლილნი შეგირდნი აიარნი ხელთა ნაჯახის მპყრობელნი თავს აღგნენ. გარდანქეშანმა ამ აიარებს უთხრა და ანიშნა:

სანამ რაიაზამ ამ წიგნს წაიკითხავდეს, თქვენ იმის ტახტს რაც ძვირფასი თვალი ამკობდეს, ის მოიპარეთო. ამათ მიუგეს: სანამ შენ გვეტყობდი, ჩვენ სულ ადრევე დავიპარეთ, რაც მურასა თვლები იყო. რა ეს გაიგონა, ამათი ხელოვნება დიდად მოეწონა გარდანქეშანს.

რა ხელმწიფემ წიგნი გახსნა და წაიკითხა, ბრძანა: სამხიარულოსა საკრავსა ჰკარითო და გარდანქეშანს უბრძანა: აიართა სარდალო, შენ წადი და ხვალ მეც ხელმწიფეს ვიახლები და მადლობასაც ჩემის პირით მოვახსენებო. გარდანქეშან ზე აღგა, თავი დაუტკრა და რა გამოეთხოვა, ათასი ფლური აჩუქა და საჩქაროდ უშანგ-შას იახლა თავი დაუტკრა და მოახსენა: ხელმწიფევე, რა თქვენი ბეჭედი და წიგნი რაიაზამმა იხილა, დიდად გამხიარულდა ამჟამად, თორემ სააბყარანისაგან დიდად შეშინებული გახლდნენ, მაგრამ ახლა გული დააჯერეს, რომ ყარამან იმათ აღარას ავნებს.

მე რომ შესული მნახეს, დიდის გამოჩვენებით მომეგებნენ და რაიაზამ ხელმწიფეშეცა ერთი საუცხოო ძვირფასით მორთული ტახტი დადგა და მაზე დაბრძანდა. ასეთი ძვირფასის მურასას თვლებით იყო მორთული, რომ კაცს თვალს მოსტაცებდა იმ ტახტის მორთვა. ხელმწიფემ უბრძანა: გარდანქეშანო, დიდად მოგწონებია იმ ტახტის მორთვა, მაგრამ ეს დიდად მიკვირს შენგან, რომ ვერა მოგიპარავს. რაო. გარდანქეშანმა მოახსენა: როგორ უნდა მოგვეპარა? მეჯლისი ჰქონდა და რაიაზამ ზედ იჯდა. მაგრამ მაინც კი არა დავაკელით რა. რაც პირველი და ძვირფასი თვლები იყო, ის კი სულ ფარვით ავაქრევიეთო. რა ეს მოახსენა, მაშინვე ამოიღო და მოართვა.

რა ხელმწიფემ ეს ნახა ამათი ხელოვნება დიდად მოეწონა. მერე ყარამანმა უბრძანა გარდანქეშანო, შენ იმათთან მშვიდობის ამბის მისათხრობლად გაგისტუმრეთ და შენ ტახტი გაუძარცვეო?! რაიაზამ რაკი ამას შეიტყობს, ხომ აღარ მოვაო?! გარდანქეშანმა მოახსენა: სააბყარანო, თქვენთან და ხელმწიფესთან ასე შეშინებულა, რომ მათი ხაზინაც რომ ერთიანად მომეპარა და წამომეღო, მაშინაც ის აქ მოუსვლელი არ დადგება და თუ არ მოვა, ხვალ მოედანზე ვილას გამოგზავნის, რომ იმისნი ფალავნები, თუ გარდარჩენია ვინმე, თხათებრ წელში მოკაკულან, ასე შეშინებულანო.

რა ეს გარდანქეშანისაგან მოისმინეს, იქ მყოფთა სარდალთა და ფალავანთა ყოველთავე მრავალი იცინეს. მერე მეჯლისი გამართეს და დიდსა მხიარულებასა მიეცნენ.

იქით მხარეს რა რაიაზამ აღგა და ტახტის ასაღებლად ფარეშნი

მივიდნენ, ნახეს, რომ ტახტი გაძარცვილია. მივიდნენ და რაიაზამს მოახსენეს. რა რომ მანცა ესე ასე იხილა, დიდად განრისხდა და ბრძანა: ეს სწორედ გარდანქეშანის საქმე არისო! გულსა მჯიღისა მალი-მალ იცემდა და ბრძანა: სულ ხმელეთის აიარებს შემოვიბირებ და შენ ამ საქმეს არ შეგარჩენ, შეგიპყრობ და თავდალმა ჩამოგატყუებო.

რა გათენდა, რაიაზამმა ფეშქაშები მოამზადა უშანგ-შასათვის, ყარამანისათვის და ეგრეთვე სხვათა ფალავანთ და სარდალთათვის, დიახ გამოჩენილი და ფასდაუდებელი ფეშქაშები შეამზადა და წარმოემართა. რაიაზამ რა უშანგ ხელმწიფეს დაუახლოვდა, აიარნი შევიდნენ და მოახსენეს რაიაზამის მომავლობა, ხელმწიფემ ბრძანა: ჩაუშნი მიაგებეთო! მათცა საჩქაროდ ოქროს ჩოგანი ხელთა იპყრეს და წინა მოეგებნენ. და რა კართა მოახლოვდნენ, შემდგომად ამისა, რაიაზამის ძმები, რომელნიც უშანგ ხელმწიფეს ახლდნენ, ქეთან-შა და სარჯან ინდი და სხვანი ხელმწიფეთა შვილნი, ეგრეთვე სარდალნი და ფალავანნი, ყოველივე თავ-თავისის დაწყობით მოაგება.

რა კარაესა ახლოს მოიყვანეს, ყარამანიცა მოეგება და საყვარლად ერთმანეთსა მიესალმნენ, და რა ხელმწიფესთან შევიდნენ, უშანგ-შა ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა. რაიაზამ სამჯერ მიწას დაემხო და უშანგ ხელმწიფემ ხელი მიაშველა, აზიდა და ერთმანეთს მიესალმნენ. ხელი მოსჭიდა და ყოველთა მეფეთა თავს გარდაიწვია და სხვანი თავ-თავის შესაბამს ალაგს დასხდნენ. რაიაზამ ფეშქაშები მოიღო ყოველთათვის და დიდად მოეწონათ სიმრავლეს გარდა ძვირფასობითაც.

მერე შარბათი მოიღეს და შეექცნენ, ამის შემდგომაც გამართეს მეჯლისი და შექნეს სმა და მოვიდნენ ღვინის მწდეველნი უცხო სახისანი და მშვენიერად მორთული ურისა და ფერის მსგავსნი. ხელთა მინა ეპყრათ. ყოველთავე და თავ-თავისის ნებისამებ მიაართმევდიან, ისე, რომ ფალავანნი ორის მიზეზით ითვრებოდნენ, ერთი მერიქიფეთ ეშხით და მეორე — ღვინის სმით. რა რომ ფალავანთა და სარდალთა ღვინის შუღლი თავსა ეწიათ, რაიაზამ ზე აღდა და ხელმწიფის უშანგის წინ მოვიდა და თავისი ხაზინის გასაღებები ამოიღო და მოართვა და ხელმოჭდობილი დიდის მოწიწებით ევედრებოდა. მოახსენა: ხელმწიფეო, რაც დანაშაული მქონდეს, ყოველივე თქვენს დიდებულეებას აპატიეთ და ეს მოწყალეობა მოიღეთ, რომ მეც თქვენი შონა შევიქნაო.

უშანგ-შამ უბრძანა: რაიაზამ, რაც რომ თხოვილია თქვენი, ყველა აღვისრულდება და თქვენი დანაშაულიც მიპატივებია და შენი ხაზინა და შენი ქვეყნებიც ისევ შენთვისვე მიბოძებიაო. და მრავალი იმედინი სიტყუაც სხვა უბრძანა. რა ამისთანა მოწყალებიანი სიტყუები მოისმინა, რაიაზამ ასეთის მხიარულის გულისა იყო, რომ ცოტას დაუჟკლდა, ესეც თათრების სარწმუნოებაზედ არ მოვიდა, მაგრამ რადგან თავის გულით ამათი მუხთლობა ეწადა, იმაზედ დაბრკოლდა. შვიდი დღე და ღამე სულ მეჯლისში და შექცევაში ბრძანდებოდნენ. მერმე უშანგ-შამ ინდოეთის დიდებულთა და სულთნებს უბრძანა: თქვენ ერთობით ინდოეთის ხელმწიფის რაიაზმისათვის მიმიბარებიხართ და ის კიდევ ღვთისათვის! ჩვენც ამდენი ხანია ერანიდან წამოვსულვართ და ახლა კი წავალთო. იქითაც ქიშმირის ხელმწიფე უკუ-მდგომია, უნდა მივიდეთ და თავისი დანაშაული შევანანო და მამიჩემის ნახვაც მსურსო.

რა ესე ბრძანება მოისმინეს, ყოველთა ირწმუნეს, რომ წაუსვლელობა აღარ იქნებოდა. მერე ბარამ ჯიბილს უბრძანა: ახლავე ჯარს გამოუტხადე, რომ ჩვიდმეტი დღე მზადება იწყონო ერანისაკენ წასვლისა. მეთვრამეტე დღეს უნდა ავიყარნეთო, მაშინვე ყოველთავე გამოუტხადა და რა დილა გათენდა. უშანგ-შამ თავისის არმიდამ გამობრძანდა და სარდალნი და ფალავანნი სალამში იახლენ. და რაიაზამ ხელმწიფეს უბრძანა: მწადას, რომ სანამ მე აქ ვიყო, თქვენ თქვენსავე მშვიდობით გაგისტუმროთო, რაიაზამ წამოდგა და მადლობა მოახსენა და უშანგს გამოესალმა. აგრეთვე ყარამანს და თავის ძმებსა ყოველთავე გამოესალმა.

რა თავის კარავს მივიდა, მაშინვე აირნი დაიბარა ფარანდგი ჯანსუზ და ეგრეთვე სხვანი და უბრძანა: თქვენ აქ უნდა მოიცადოთ, სანამ უშანგ-შამ აიყრებოდეს და ან საით წავა, ეს უნდა საჩქაროდ შემატყობინოთ, რომ მეც იმ გზით უშანგ-შამს სიკვდილის თადარიგი ვნახო. თქვენის ამბის მაყურებელი ვარო, რა ეს თქვა, ჩასხდნენ გემში და თავის ქვეყნისაკენ გაემართნენ.

უშანგ-შამ უბრძანა სარჯან ინდსა, გურგენ-ბელანდ-ქამანდს და სხვათა, ვინცა ვინ მათი მხრისანი იყვნენ, ყველანი დაითხოვა. იახლენ ხელმწიფესა და ყარამანს ხელთა აკოცეს. გამოეთხოვნენ და დიდად მგლოვიარენი შინ წავიდნენ, მცირეს ხანს გულჩინ თავის მამას გაჰყვა და ისევ მალე მობრუნდა. იქამად ხელმწიფე და რაჰინდი შეექცეოდნენ. რაჰინდმა მოახსენა: ხელმწიფეო, თუ ინებებთ, ცოტას ხანს

სარანდობის მთისაკენ ნადირობას შევექცეთო, წავიდნენ და სამი დღე და ღამე შევექცენ და ურიცხვი ნადირი მოსრეს.

რა ჩვიდმეტი დღე გავიდა, რაპინდი ვევედრებოდა: სააბყარანო, წყალობას ვითხოვ, რომ სარვიხურამან აქ ჩვენთან დაავდოთ იმისის მიზეზისათვის, რომ თუ ეს აქ გეყოლებათ, აღარც ჩვენ დაგვივიწყებთო. ყარამანმა ცნება დართო: დიახ, აქ გახლდესო. მე მინდა წავიდე და ქიშმირის ხელმწიფეს დიახ ავად მოვეპყრა და იქიდან რომ მოვბრუნდები და მოვალ, მწადას, რომ ერთი ციხე ავაშენო და სახელად ყარამანია დაერქვას. ასეთი რამ მინდა გავაკეთო, რომ ჩემი სახელი დარჩეს ქვეყანაზედ. თქვენ ნურაზე შესწუხლებით, მეც მალე მოვალ ღვთის მოწყალებითაო.

მცირეს ხანს უკან სარვიხურამან და ამისივე მამა ორნივე ერთად ხელმწიფეს იახლენ და სარვიხურამან ხელმწიფეს ეაჯა: წყალობას ვითხოვ, რომ ცოტას ხანს დასტური მიბოძოთ, რომ დედაჩემს ვნახავ და ჩემს შვილსა და ისევ მალე გიახლებითო. ხელმწიფემ დიათხოვა და აგრეთვე რაპინდიც დაითხოვა და მერე ყაპარიზამიც დაეთხოვა და იგიცა დაითხოვა.

რა იმჟამად რაპინდი და სარვიხურამან ხელმწიფეს გამოეთხოვნენ, ყარამანს შეეხვეწა სარვიხურამან: გვედრები, არ დამვიწყო მე. მონა და მხევალი შენიო. რა ეს მოახსენა, თვალთაგან ცხარე ცრემლი გარდმოუტევა. რა ყარამანმა შემოხედა, იგიცა შესწუხდა და უთხრა: ჰეი, სიცოცხლისა ჩემისა სულისადგმავო, შენი ჩემგან დავიწყება ვითარ ეგებისო?! მცირეს ხანს ქიშმირის ხელმწიფესთან მივალ და რა იმის საქმეს მოვრჩები. მაშინვე გამოვბრუნდები და თქვენ გიახლებით. მაგრამ ჩემს მოსვლამდისინ თქვენ ღვთისათვის მიმიბარები-ხართო.

იმავე ჟამად უშანგ ხელმწიფე ერანელთ და თურანელთ ფალავნებითა და დიდითა შექცევითა ხან ზღვითა და ხან ხმელითა ჩინეთის სამზღვარზედ მივიდა. რა ჩინეთის ხელმწიფემ შეიტყო, დიდს მხიარულებას მიეცა და ქალაქი დიახ საუცხოვოდ მორთეს და ათის დღის სავალზე წინ მიეგება. ეს ხელმწიფე რა ახლოს მივიდა, ცხენთაგან გარდახდა და მიწას დაემხო. მაშინვე უშანგ ხელმწიფემ ზედ ააყენა და პირსა აკოცა. მოიკითხა და მერე ყარამანსა ხელსა აკოცა და ეგრეთვე სარდალნი და ფალავანნი მოიკითხა. მერე ხელმწიფეს წინ გაუძღვა დაფი ჩინეთისაკენ წავიდნენ.

მიმავალსა გზასა უშანგ ხელმწიფის შვილს არღევან-შას გარდან-

ქეშანმა მოახსენა: ხელმწიფის შვილო, მიხარებია თქვენთვის, რომ ამ ჩინეთის ხელმწიფეს ერთი ქალი ჰყავს, იმისთანა მშვენიერი ქვეყანაზე არავინ შობილაო. ამდენი ქება მოახსენა, რომ ეს არღევან-შა უნახავად იმისი აშუიკი გახადა. არღევან-შამ უთხრა: ძმად გარდანქეშან, არ შეგიძლიან, რომ მამაჩემთან ერთის გზით შემიტყო რამე, რომ მე ის ქალი ვითხოვო?! გარდანქეშანმა მოახსენა: დიახ, ადვილია, იმ ქალისაც შემცილებელი არავინა გყავსო.

ამ ლაპარაკით და შექცევით ჩინეთსაც მიახლოვდნენ. ქალაქს გარეთ ერთი მძიმე სახელმწიფო ტახტი დაედგათ და ერთი კარგი კარავიც. ასეთრიგად უმასპინძლა, რომ ყოველთავე უკვირდა. ერთს თვეს იქ განისვენეს ღზინითა და შექცევითა. ერთსა ღამესა გარდანქეშანი უშანგ-შასთან შევიდა და ხალვათად მოახსენა: თქვენი შვილი არღევან-შა ჩინეთის ხელმწიფის ქალს შამშას გაარშიყებია და თუ თქვენი ნება იქნება, იმისთვის ვითხოვოთო.

რა ეს ხელმწიფემ მოისმინა, დიდს მხიარულებას მიეცა და სიცილით უბრძანა: გრდანქეშანო, ჯერ ჩვენც აქ ვართ და ისინიცა. ვნახოთ და როგორც სჯობდეს, ისე მოვახდინოთ და კიდევ უთხოვოთო! რა ეს გარდანქეშანმა მოისმინა, მაშინვე არღევან-შასთან მივიდა და მიულოცა, მამითქვენისაგან დასტური მოგართვი და ნებაც დაგართო. ამასაც დიდად იამა და ათასის თუმნის ოქრო უბოძა და ესეც უბრძანა, თუ რომ მართალს მეუბნები და არ მატყუებ, უფრო მრავალს გაჩუქებო.

იმავე ჟამს უშანგ-შამ შარიბ-შა და თავისი ვეზირნი ჩინეთის ხელმწიფეს მიუგზავნა და თავისი შვილისათვის ქალი სთხოვა რა ჩინეთის ხელმწიფემ ეს მოისმინა, დიდად გამხიარულდა და მადლობა მოახსენა, რადგან უნებებიაო თავისის შვილისათვის ჩემი ქალი, მეც ნება დამირთავს და მიმიციაო. მოვიდნენ და უშანგ ხელმწიფეს ასე მოახსენეს. მერე ხელმწიფემ ბრძანა: სჯობს, რომ რაც ჩვენი სამძიმო ბარგია ან ხაზინა, ესენი აქ გაუშვათ და ჩვენ მსუბუქად წავიდეთ, ქიშმირის ქალაქი ავიდოთ, სულ ავაოხროთ, მერე აქა მოვიდეთ და ქორწილი უყოთო.

რა დიდებულთა სარდალთა და ფალავანთა ესე მოისმინეს, შეიქნა ორსავე მხარეს სიხარული და მილოცვა, მერე ჩინეთის ხელმწიფე შინ წაბრძანდა და თავის ცოლ-შვილში შევიდა და იმათაც გამოუცხადა ქალის მიცემა და ამ თავის სასიძოს ასეთი ქება დაუწყო, რომ



ხმელეთზე ფალავანი აღარავინ შეადარა. და ამ ქალმა რა ეს მოისმინა, დიდად იამა. მერე უშანგ-შამ თავისი ხაზინა გახსნა და ესოდენი სიმდიდრე მისცა ჩინეთის ხელმწიფეს, რომ ყოველთავე უკვირდათ. აგრეთვე მისთავე მოხელეთა და სარდალთა მრავალი უბოძა, რომ ჩინეთი გაამდიდრა.

არდევან-შას გულისათვის ათი დღე კიდევ იქ განისვენეს ღზინითა და შექცევითა და მერე ხელმწიფემ ბრძანა: მოემზადენით, ახლავე უნდა ქიშმირის ქალაქი ავაოხროთ და იმისი მეფე თან უნდა წამოვიყვანოთ და აქავე უნდა მოვიდეთ და ქორწილი გარდავიხადოთ. აქედამ ერანში გავიდეთ და დემტი ყივჩაყში მამაჩემი ვნახოთო. მერე ჩინეთის ხელმწიფემ მოახსენა: თუ თქვენი ნება იქნება, მეც თან გიახლები ქიშმირსაო. უშანგ-შამ მიუგო: თქვენი წამოსვლა როგორ ეგების, რაც ჩვენი სამძიმო ხაზინებია, სულ აქ უნდა დავაგდო და თქვენც რომ აქ არ იყუეთ და მტერი მოვიდეს და სულ აიკლოს, დიდი სათაკილო იქნებაო. მერე ჩინეთის ხელმწიფემ მოახსენა: თქვენ რომ ინდოეთში ბრძანდებოდით, მაშინაც ვერავინ იკადრა აქ მოსვლა სამტეროდ და თქვენის ბედნიერებით ვერცა ვინ ახლა გაბედავსო.

რა ეს მოისმინა, შირვან-შამ ნება დართო წასვლის და ამ ჩინეთის ხელმწიფემაც ერთს თავის გამოჩენილს და დიდად სახელოვანს ფალავანს ჩააბარა ეს ქალაქი და თითონ წასვლის მზადება იწყო. უშანგ-შა ერთობით ხაზინები თავისი და საბუარანისა და ეგრეთვე ბარგი სხვათა და სხვათა ყოველთავე იქ მიაბარეს. უშანგ-შამ თავისი არამი და ეგრეთვე ხოსროვშირმა თავისი ცოლი გულჩინ იქ გაუშვა და თითონ წავიდნენ და რომელსაც ქვეყანას და ქალაქებში შევიდნენ, ყოველგან ქიშმირის ხელმწიფის მოჩივარნი დაუხვდნენ და უშანგ-შა ესრეთ განრისხებული მიდიოდა, რომ ველარავინ იცნობდა მეტის მრისხანებისაგან ასე ჯავრობდა.

ესე ამბავი დაუტევოთ და მცირე რამ რაიაზამის აიარების ამბავი მოვიხსენოთ! იმჟამად, რომ რაიაზამ ხელმწიფემ უშანგ-შას ჯარში თავისი აიარები ჯაშუშად დააყენა ამბის საცნობელად. უშანგ-ხელმწიფემ თავისი ხაზინა და აგრეთვე ყარამანმა თავისი ხაზინა და ყოველთავე თავისი ბარგი დაუტევეს და ხელმწიფემაც თავისი არამი და ხოსროვშირმაც თავისი ცოლი. ესენი რა ესრეთ ჩინეთის დაიგულეს, ამ აიარებმა თქვეს: ჩვენ რაიაზამს ამაზე უკეთესს ამბავს რალას მიუტანთ, ახლავე წავიდეთო!

ესე ამბავი დაუტევოთ და მცირე ამბავი რაიაზმისამოიხსენეთ: ამჟამად რაიაზამ უშანგ-შას რომ გამოეთხოვა, ხომალდით წავიდა. რა ქალაქს დაუახლოვდნენ, რაიაზამის შვილს მოახსენეს: ზღვაში ხომალდები გამოჩნდა და ვგონებთ, რომ მამათქვენი რაიაზამ მობრძანდებაო. რა ეს მოისმინა, მაშინვე წინ მიეგება და მიესალმა. ცოტას ხანს იმუხსაიფეს და მერე შინათყენ წამოვიდნენ. ჯავანბახტ თავის მამას რაიაზამს ყურება დაუწყო და ნახა, რომ დიდად შეწუხებული ბრძანდებოდა და მოახსენა: რას სწუხართ, ხელმწიფეო? უშანგის საქმე როგორ მოხდა და ან ყარამან მოაკვლევინეთ თუ ვერაო? რაიაზამმა ყოველივე თვითეულად მოახსენა, როგორც მომხდარიყო, ან იმისთანას უსწოროს ფალავნების ამოწყვეტა, ან ამათგან ძლივს გარდარჩენა, — ყველა გამოუცხადა.

რა ჯავანბახტ ეს სცნა, მაშინვე ორის ხელით თავში შემოიკრა და ტირილი დაიწყო მალღის ხმითა. მერე ისევ მამა შეეხვეწა და ნუგეში სცა: ნუ შესწუხდები, მე იქ ჩემნი აიარები ჯამუშად დავაყენე, რომ ამ ცოტა ხანს ამბავს მომიტანენ და სერე ასეთის თადარიკით წავალ, რომ უშანგ-შა სულ დავამხო და ან ჩემს სიცოცხლეს იქ დავასრულებო. ვინცა ვინ იქ ჯარში ჰყოლოდა, ყველანი თავ-თავის სახლში დაითხოვა და რაიაზამ ყოველთვის უშანგის საგონებელში იყო.

ერთს დღეს ეშიკაღასიბაში შევიდა და მოახსენა: თქვენნი აიარები მოვიდნენო. მაშინვე მიაყვანიინა და თაყვანი სცეს და ყოველივე ამბავი, როგორც მომხდარიყო უშანგის ჯარში, თვითეულად მოახსენეს. რა ეს მოისმინა, მაშინვე ბრძანა ცხრაასი ათასი ლაშქრის შეყრა და მსწრაფლად შეჰყარეს.

თავის შვილს ჯავანბახტს უბრძანა: ახლავე ამ ჯარით საჩქაროდ ჩინეთს წადი, უშანგ-შას ცოლ-შვილი და ხაზინა სრულებით აიკელ და წამოდი და ყარამანია ციხესა იქ დადექო. ჯავანბახტ მოახსენა: ჩვენ რომ იმ ციხეში არ შეგვიშვან, მას უკან რა უნდა ვქნათო? ხელმწიფემ უბრძანა: ის ციხე ქიშმირისა არის და იმას უჭირავს და ახლაც ისიც უკუსდგომია უშანგ-შას და თითონ ფარვანიაც თან არ გაჰყოლია და ახლა ვგონებ, რომ ის ფარვანია იმ ციხეში იყოსო. რა რომ მიხვალ, მაშინვე შეგიშვებენ და აიარები გაგზავნე იქილამ კიდევ უშანგის ჯარის ამბის საცნობელადა. რა რომ იქიდან ამბავი

მოგიტანონ, მერე უშანგ-ხელმწიფეზე მიდი და ისიც შეიპყარ და ყარამანც მოჰკალ და იმათი სახელმწიფოც შენ უნდა დაიპყარო. რა ეს დაასრულა, მერე გზის თადარიკი იწყეს და დიახ მრავალი ხაზინა გაატანა და ყარაიაფ ვეზირი და სარდაფ ვეზირიც თან გაატანა. ჯავანბახტ თავის მამას გამოესალმა და წავიდა. ამათ ცხრა ათარი ხომალდით წინ გაისტუმრეს და ათასი კაცი გააყოლეს და საჩქაროდ იარეს.

იმეამად ქიშმირის ხელმწიფე ქეიან უშანგ-შას რომ უკუსდგომოდა, იგი ქვეყნები სულ მას დაემორჩილებინა. ამას განიზრახავდა, უშანგ-შა აქ ველარ მოვა და ეს ქვეყნები სულ მე დამრჩებო. ერთ დღეს მოახსენეს, რომ უშანგ-შა ჩინეთს მოსულა და იქილამ თქვენზე აპირობს მოსვლასაო. რა ეს მოისმინა, დიდად შესწუხდა და მაშინვე თავის ვეზირთ უხმო და უბრძანა: ჩვენ ამაზე მეტი სხვა გზა არა გვაქვს, ახლავე ცოტას ჯარით რაიაზამს ვიახლნეთ ამისთვის, რომ ის ხომ სწორეს გულით უშანგ-შას არ შერიგებია და ჩვენ იმას მივმართოთ და იმისის შემწეობით ამას ნულარ დავანებებთო.

ეს თქვა, ცოტაოდენი ლაშქარი შეყარა და თავისი ხაზინაც თან წაიღო და რაიაზამის მხრისაკენ წავიდა. რა ჯავანბახტ ზღვიდან გამოვიდა, ერთის მხრისაკენ მტვერი დაინახეს. მაშინვე ათარნი გაგზავნეს ამბის საცნობლად. მაშინვე მივიდნენ და შეიტყვეს, ვინც იყო. მობრუნდნენ და მოახსენეს, რა ეს მოისმინა ჯავანბახტ დიდად გამხიარულდა და საჩქაროდ კაცნი მიაგება და მოაბრუნა. ერთმანეთს მიესალმნენ, მოიკითხეს და მერე ჯავანბახტს ქეიან-შამ ჰკითხა რაიაზამის ამბავი და ყოველივე თვითეული უამბო, როგორც მომხდარიყო და ესეც გამოუცხადა: ახლა ამისთვის მოვა, რომ უშანგ-შას ცოლ-შვილი და ხაზინა ჩინეთს გაუშვია და იმისის ასაკლებად მოვალო.

მერე ქეიან-შამ მოახსენა: მეც ეგ მინდოდა. ამ საქმით უშანგ-შას ასეთს დაღს დავასვამთ გულზედ, რომ ამ მწუხარებას იმან ველარ შეუძლოსო, რა რომ მისი ხაზინა და ცოლ-შვილი ავიკლოთ, გამოვბრუნდეთ და მოვიდეთ და ყარამანიას ციხეში დავსდგეთ და იქიდან რაიაზამს კაცნი ვაახლოთ და ეს ამბავი ასე შევატყობინოთო ჯავანბახტ ჰკითხა: ყარამანიას ციხე მაგარი არისო? ქიშმირის ხელმწიფემ მიუგო: ასეთი მაგარი ციხე არის, რომ არას ხელმწიფეს იმისი გატეხა არ შეუძლიანო. რა ესე მოისმინეს, დიდად გამხიარულდნენ. იმ დღეს იქ განისვენეს და მეორეს დღეს ჩინეთისაკენ გაემართნენ.

რა ჩინეთის სიახლოვეს მივიდნენ და რაიაზამის შვილის ჯავან-ბატის მიხვდა შეიტყვეს. დიღსა მწუხარებასა მიეცნენ, მაგრამ ღონე ველარა ჰპოვეს რა. არცა ჰყვანდათ ხელმწიფე იქ და არცა მეომარი ფალავანი. იმჟამად ჯავანბატმა წიგნი მისწერა ბარამ-ჩინისა და ააარს მისცეს და გაისტუმრეს. საჩქაროდ ჩინეთის ციხეში შევიდა და წიგნი მიართვა. ბარამ წიგნი ჩამოართვა, მოუწოდა ყოველთა სარდალთა და წაუკითხა. ესრეთ მოეწერა: მე ჯავანბატ რაიაზამის შვილი, გიწერ შენ, რომელიც ბარამ ჩინი ხარ და ჩინეთის ნაიბი! უშანგ-შას ხაზინა და საქონელი და აგრეთვე სხვათა ფალავანთა ბარგი სულ ახლავე ჩვენ უნდა მოგცე და შენ ჩინეთის ხელმწიფედ დაგსვამთ და თუ რომ ახლავე ჩვენს ბრძანებას არ შეისმენ, მოვალ და ჩინეთსაც ავაოხრებ და შენც თავს მოგკვეთო.

რა ეს დაასრულა, მაშინვე აიარს ერთი საუცხოვო ძვირფასი ხალათი ჩააცვა და უთხრა: რაც უბრძანებია, ყოველივეს აღვასრულებ და შენ წადი და მეც ხუალე გიახლებიო. აიარი მოვიდა და ისე მოახსენა. რა ეს ჯავანბატმა შეიტყო, დიდად გამხიარულდა, რა დილა გათენდა, ერთობ ჩინეთის საზოგადოება და დიდებულნი შეკრბენ და შეამზადეს ურიცხვი ფეშქაშები და ჯავანბატს იახლენ. მანცა ინახვნა, ვითა ხელმწიფური წესი იყო, თავ-თავის ალაგს გარდიწვია, მოიკითხა და მერე ბარამ ჩინს უბრძანა: უშანგის ხაზინა სადა გაქვსთო? ზე აღგა, თავი დაუკრა: ხელმწიფეო, როდესაც ჩინეთში შემობრძანდებით, იმის ქონებას სულ მოგართმევთო.

რა ეს მოისმინა, ბარამს ერთი მძიმე საუცხოვო ხალათი უბოძა: იმ ღამეს იქ მოისვენეს. მეორეს დღეს ჩინეთში შევიდნენ უშანგის ხაზინა აჩვენა და დიდად გაჰკვირდნენ ხაზინის სიმრავლისა და ძვირფასის თვლების სიმრავლემ მეტად გააკვირვა. უშანგისა და ყარამანის ხაზინა რაიაზამისათვის გადასდევს და სხვათა ფალავანთა და სარდალთა ხაზინა რაც იყო, ეს სულ ქეივან-შას უბოძა ორმოცდაათი ფალავანი უშანგ-შას არამს დააყენა ყარაულათა. მერე ბრძანა და მეჯლისი მოიღეს. სამი თვე, დღე და ღამე სულ ლხინში ბრძანდებოდა. მერე ქეთან-შას ჰკითხა: ახლა წასვლის დრო გვაქვს, რომ ყარამანიას ციხეში მივიდეთო. ქეივან-შამ მოახსენა: სჯობს, რომ გავეშურნეთ, თორემ რა ამ საქმეს უშანგ შეიტყობს, დღესა და ღამეს გაასწორებს და ისე მოვაო.

აიყარნენ მეორეს დღეს და გაზიდეს ეს ხაზინები და უშანგის ცოლი თავისის არამ-ხანით და ხოსროვშირის ცოლი გულჩინი და აგ-

რეთვე ახალი ნათხოვნი, ამ ჩინეთის ხელმწიფის ქალი არდევან-შას საცოლო ესეც ტყვედ ჰყვეს აიყარნენ და რა ყარამანიას ციხეში მივიდნენ, სიხარულით წინ მოეგებნენ. მაშინვე ეს ბაზინანი და უშანგ-შას ცოლშვილი ციხეში აგზავნეს და ყარაულები დააყენეს თითონ წყალს გავიდნენ და მაგარს ალაგს დადგნენ. ზურგი ციხეს მიაყუდეს და მეორე მხარეს არა ეფიქრებოდა რა. ეს ამბავი ყოველივე რაიაზამს აცნობეს და იმისი მაყურებელნი იყვნენ.

ესე ამბავი დაუტევოთ და მცირე ამბავი უშანგისა მოიხსენეთ: რა რომ უშანგ ხელმწიფე ქიშმირის სიახლოვეს მივიდა, გზაზედ მოახსენეს, რომ რა ქე-ვან-შამ თქვენო მრისხანედ მომავლობა შეიტყო, მაშინვე თავისი ქონება, რაც ხაზინა ჰქონდა და ცოლ-შვილიც სულ ერთიანად აპყარა და რაიაზამს მიმართა. და ესეც შეიტყეთ. რომ რაიაზამს მოუტყუებობხართ. ჯერ ხომ შეგირიგდათ და მერე კი აგშლიათო. ამაზედ ხელმწიფე დიდად შესწუხდა და თავის დიდებულთა უბრძანა: მერწმუნეთ. მე მაშინვე ვატყობდი, რომ რაიაზამ ჩვენს შერიგებაზედ გვატყუებდა, მაგრამ მეტად შემებრალა და ამისთვის იმისი სახელი ქვეყანაზე არ ავხოცეო. მაგრამ მაინც რა შეუძლიათ? რასაც ამისთანა უმგავსო საქმეს დამანახებენ, უდიდესად დაისჯებიან და ესეც არის, თუ რომ მართლა რაიაზამ ქეთან-შას მოეხმარება რასმე: აღარც ერთისა სიცოცხლე აღარ იქნებაო!

იმყამად ქიშმირის დიდებულნი და მცირებულნი სულ ერთად შეიყარნენ და უშანგ-შას მიეგებნენ წინათ, მიწას დაეცნენ. დანაშაულის მიტევებას ევედრებოდნენ და მრავალი ქვირთასი თვალ-მარგალიტი მოართვეს. ხელმწიფე მიბრძანდა და ქეთან-შას ტახტზედ დაბრძანდა და ეგრეთვე ყარამან და სხვანი დიდებულნი თავ-თავის განწესებულს ალაგს იახლენ და შეიქნა მეჯლისი და ლხინი. მაგრამ იმ დამეს რაიაზამის და ქეთან-შას მოთხრობაში იყვნენ და იმათ ზრახებდნენ.

მერე ხელმწიფემ უბრძანა ქიშმირის დიდებულთა: ამ ქვეყნის ჰავა როგორი რამ არის, ან მთა, ან ველი, ან სანადირო, ან წყალი, როგორი რამ აქვსო? მათ მოახსენეს: ხელმწიფეო, აქ ერთი ბალი არის, სულეიმანის ბაღს უწოდებენ. იმის უკეთესი სახილველი არა იქნება რა ქვეყანაზედ, მაგრამ იმისი ნახვა არას კაცისაგან არ შეიძლება, რამდენიც უნდა ეცადოსო. სიდიდითაც ესრეთი დიდია, რომ ორმოცი ალაჯი სიმრგვლე აქვს, და ოცი ადლი სიგანე მისვე კედელს

აქვს და ორმოცი მწყურთა სიმაღლე. მაგრამ იგი კედელი სრულიად ლალის მადნის ქვით აუშენებიათ. იმ კედელს სიახლოვეს ვერაფერს მიუღებდა და არცა რათი გაიკვეთებოდა, ცალის მხრივად წყალი ჯეოპნიდი იქნა ერთად შეერთვის. მეორე მხარეს, სადაც ეს წყლები იყრება, იქ გუბდება და ის გუბე ერთსა მხარეს. ზღვისოდენი არის, ცალის მხრივად შედის ბაღში და იგი წყლები რწყავს იმ ბაღსა ცალს მხარეს გარდა. მაგრამ ხანდისხან ასეთი საშინელი და საზარო ხმა გამოხდება ხოლმე იმ ბაღივად, რომ მსმენელნი დიდად გაოცდებიან.

ერთსა დღესა ქეთან-შას მამამ ზამბირმა იხედა იმ ბაღის ნახვა და რამდენთამე გამოჩენილთა ფალავანთა თავს იდევს დაქადებით: ამ ბაღის ამბავს ჩვენ შევიტყობთო! ჩაცვივდნენ წყალში, სამი დღე ამ წყალში უჩინო იქმნენ. მეოთხე დღეს იხილეს, რომ ორად გაკვეთილები ეყარნენ. რა ის ფალავნები ისე იხილეს, მას დღეს აქეთ ამ ბაღის ნახვა აღარავის მოუნდომებია. ექვსასი წელიწადია, რომ ამ ბაღის ამბავი არავინ იცის და არც ამას იქით ეგება მისი ამბის ცნობაო. ესე თქვეს და ყველანი ხელმწიფეს მაყურებელნი იყვნენ.

რა ესე ყარამანა მოისმინა, არა დიდად იამა ამ ბაღის ამბის მოსმენა. განრისხებულმა შეხედა იმ ქიშპირის დიდებულთა და ფალავანთა და უთხრა: რა დიდად აქებთ ერთსა მიწისა ალაგსა და მიწაზედ შენსა? რატომ არ შეიძლება კაცისაგან მისი ნახვა? რამდენი მაგაზე უძლიერესი ფოლადით ნაშენი ციხე და რამდენი თლილის ქვით ნაშენი თილისმანი გურჯით შემირღვევია და ამიღიაო. ესე თქვა და თავდადებით დასჯდა. ასეთი მრისხანების სახით იხილეს ყარამ ქიშპირის დიდებულთა, რომ არა მკირედი უკლდათ, უცნობო არ შეიქნენ. ყარამან განრისხებულნი იქდა იმ მეჯლისში და ითმენდა.

რა მეჯლისი მოიშალა, ყარამან თავის სადგომისაკენ წავიდა, თავისის იარაღით შეიჭურვა და შეშფაიბარზედ ამხედრდა. წავიდა და რა მივიდა, სულემანის ბაღს ოთხსავე მხარეს თვალი მოავლო და კარი ვერა ჰპოვა. განრისხებულმან შეშფაიბარი ზედ მიაგლო და ქემურ-შას ნაქონი ლახტი დაჰკრა განრისხებულმან მის ბაღისა კედელსა. მის კედლისაგან ესეთი ხმა გამოხდა, რომ ასე ეგონათ, ქიშპირი სულ მოგლჯდა და ანუ მთა მთას ეცაო. დიდხანობამდისინ ალაგი იძროდა. განრისხებულმან მეორედაც ძლიერი გურჯი ჰკრა ამავე კედელსა და ასეთი საშინელი ხმა გამოხდა ამ ბაღივად, რომ მეორედ მოსვლის ხმა ეგონათ. ზღვა შედგა და შიგ საშინელება რამ გამოჩნდა და კიდევ აღელდა. ასე ეგონათ, ქვეყანა დაინთქმისო. სპილონი დაფრ-

თხნენ, მარტორქათ დაწყვიტეს და გაცვივდნენ. ფალავანნი საომრითა იარაღითა შეიჭურვნენ და ხელმწიფეს იახლუნ.

რა უშანგ-შამ ესე ესრეთ მოიხილა, თვითც ამხედრდა და სულეიმანის ბალისაკენ წაბრძანდა. რა ახლოს მივიდნენ, იხილეს, რომ ყარამანს გურზი ხელთა უპყრია და მესამეთცა უპირებს დაკვრასა, მერე მიხედნენ, რომ ის ხმები ამ გურზის ცემისაგან თურმე გამოხდებოდა. რა კედლის სიახლოვეს მივიდნენ, შეხედეს, მალა კედლის თავზე ურიცხვნი კაცის სახედ რკინის კაცი გაეყეთებინათ თილისმითა და ყოველთავე ხელთა დიდროვანი რკინის ბურთი ეჭირათ და ყარამანის სროლასა ლამობდნენ.

რა ხელმწიფემ ესრეთ იხილა, საჩქაროდ მიეჭრა ყარამანს და ხელი მოჰკიდა და წამოიყვანა. ამ კედლიდამ რკინის კაცთა ასტეხეს სროლა თილისმათა და რამდენიმე საუტხოვო ფალავანი მოჰკლეს ამ ბურთების სროლითა. ამ ფალავნების დახოცვისათვის ხელმწიფე დიდად შეწუხდა. და რა ყარამანმა ხელმწიფე შეწუხებული იხილა, შინ აღარ მიბრუნდა და შაშვიაბარსა ქუსლი ჰკრა და ხვარასტანის მხრისაკენ წავიდა და არა მცირედი საქმე ჰქნა გზასა ზედა.

ყარამან ხვარასტანსა შიგან მრავალნი და ურიცხვნი საქმენი ჰქმნა და მისი მოთხრობა მოგხსენდებათ.

უშანგ-შა მოვიდა და თავის ტახტზე დაბრძანდა და დიდხანობამდისინ ფიქრსა მიეცა და მერე ბრძანა: დღეს რას დღეს შევესწარით, რომ ყარამანც გაგვმორდა და ფალავნებიც დაგვეხოცა და ვერცა რა იმ ბალისა შევიტყვეთო?! ვინც ამ საქმეს შეიტყობს, ასე იტყვიან: უშანგ-შა ერთსა ბალის კედელს მიადგა, ყარამანც იქ ახლდა და ფალავნებით ამოუწყდა და ვერცა რა ბალისა შეიტყო. ყველანი ასე დაგვძრახავენო. ეს თქვა და დიდად ფიქრობდა.

იმ ემას გარდანქეშანი ზე ადგა და ხელმწიფეს თავი დაუქრა და მოახსენა: ხელმწიფეო, მე მონა თქვენი, ამა საქმესა თავს ვიღებ. რომ ამა ბალისა საქმესა ანუ შევიტყობ, რომ რა ბალი ანუ რა არის, და ან არა. — თავსა ჩემსა გარდავაგებო. ხელმწიფემ უბრძანა: მე იმ ბალის საქმეზე ხელი ამიღია, არც ვინმე შენზე უკეთესი მე მყავს და არც იმა ჭირსა შეგაბამ. ვიცი. გარდანქეშანო. ამგვარს საქმეს სწორედ გულით შეუდგები და სწორედაც შეიტყობ, მაგრამ მე კი ვერ გამოგიმეტებო.

გარდანქეშანმა ხელმწიფის დასტური რომ ვერ აიღო, დიდად შფოთივდა და მერე ერთობით ყოველთა სარდალთა და ფალავანთა

დაუშალებს და ეხვეწებოდნენ: სახელოვანი ფალავანი და სარდალი ხარ და ამისთანას საქმეზე თავს ნუ წააგებო. მერე გარდანქეშანმა მიუგო: დიდებულნო ფალავანნო და სარდალნო, მეცა მეშინის, განა არა?! მაგრამ რა ვქნა, ხელმწიფემ სხვას დროს ვაითუ კიდევ თავის გულში ამ ბალის ამბის უცნობელობა იღარდოს და ავნოს რამე ამის-მა მწუხარებამა. მე ამისის სიცოცხლისათვის გარდავსდებ ჩემს თავსაო.

ხელმწიფემ რა გარდანქეშანისაგან ესრეთ მოწადინება ნახა, თავის გულში თქვა, ვიცი, ეს აღარ დაიშლის და არამც ჩემად გამეპაროს, ბარემ სახალხოდ დავითხოვ, რომ ყველამ ღმერთს შევხვეწოთო. მერე ხმამალა უბრძანა: გარდანქეშანო, ხომ არ დაიშალე და წადიო! და ჩემის ღვთისათვის მიმიბარებიაჩარო. გარდანქეშანმა ხელსა აკოცა ხელმწიფესა, ყოველთავე გამოესალმა და საჩქაროდ გამობრუნდა, თავის სადგომს მოვიდა. შირთანჯა იხმო და თავისი ანდერძი მას უთხრა: აჰა, ძმაო ჩემო, ყოველი სააიარო იარალი შენთვის დამიტევებია. გეხვეწები, სანამ ცოცხალი იყო, ჩვენს ხელმწიფეს კარგად ემსახურე და გაუფრთხილდი, რომ არავისგან რამ ევნოსო. იმ დამეს სულ იმის ერთგულებაზე არიგებდა.

რა დილა გათენდა, გარდანქეშანი ხელმწიფეს იახლა, გამოესალმა, წასვლა ესწრაფებოდა და მოახსენა: ხელმწიფეო, ათის დღის პაემანი მომირთმევია მე თქვენთვისაო. თუ რომ ათ დღემდინ მოველ, ხომ ის არის. თუ ვერ მოველ, მე იქ ცოცხალი ნულარ გეგულებით. და ამას კი გევედრებით, რომ თქვენს ძლიერს ლოცვაში მომიგონებდეთ ხოლმეო. რა ეს მოახსენა, ხელმწიფე და ყოველნი დიდებულნი ერთობით გარდანქეშანს გამოჰყვენენ და სულეიმანის ბალისაკენ წავიდნენ. და ერთობით იმ ქალაქის ხალხი მოსკდა და მისდევდნენ და ერთიმეორესა თითითა გარდანქეშანს ანიშნებდნენ და ყოველი სული სწუხდა მისთვის და ებრალებოდათ და იტყოდნენ: ამისთანა საუცხოვო ფალავანი როგორ გამოუმეტნიათო. ზოგნი იტყოდნენ: თუ ეს არა, არას ხმელეთზე მცხოვრებს კაცს არ შეუძლია იმ ბალის ნახვა ამის მეტსაო.

რა ბალის სიახლოვეს მივიდნენ, სადაც რომ ის ორი წყალი ერთად იყრება და ბალში შედის, და ეს საზარელი ხმა და საშინელი სანახევები ხელმწიფემ იზილა, დიდად შესწუხდა გარდანქეშანის დასტურის დაცემას და წასვლასა. ხელმწიფემ გული ველარ შეიმაგრა და თვალთაგან ცრემლი მოუვიდა და უბრძანა: გარდანქეშანო, კარგია და ხელი აიღე ამ საქმისაგან! ვერ გამოგიმეტებ და ვერც გაგიშვებო.



გარდანქეშანი მუხლს მოეხვია, შეეხვეწა, ნულარ დამბარუნებთ და ათს დღემდინ სრულის ამბით აქავე გაიხლებითო. რადგან არ დიშალა, ხელმწიფემ ყოველთავე უბრძანა: გთხოვთ დიდსა და პატარასა, რომ ყველამ მხურვალის გულით ღმერთს შეავედროთო. რა ეს მოისმინეს, შეიქნა ერთი გოდებისა და ტირილის ხმა. საჩქაროდ გაიხადა ტანთა გარდანქეშანმა ტანისამოსი, თავსა მოიხვია და ამ ორსავე საშინელსა წყალსა ჯგოჯნსა და დიჯილაში ჩახლტა და ცურვით ბალის კედელთან მივიდა. რა მივიდა, ნახა, რომე ის ორივე წყლები ბალის ძირსა მიწასა ჩასდის. და რა სიახლოვესა მივიდა, მალღისა ხმითა ხელმწიფე დალოცა და უჩინო იქნა.

რა ესე იხილეს, ყოველნივე დიდად შეწუხდნენ და თავ-თავის სადგომს წავიდნენ. ოთხი და ხუთი დღე გამოვიდა, რომ ამბავი ვერა სცნეს რა გარდანქეშანისა. ხელმწიფე დიდად შეწუხებული ბრძანდებოდა. რა ქიშმირის დიდებულთა ხელმწიფე ესრეთ შეწუხებული იხილეს, მოახსენეს: ხელმწიფეო, ნუ სწუხართ, გარდანქეშანი ცოცხალი გაზღავთს და ამ ცოტას ხანში სრულის ამბითაც გაიხლებათო. ხელმწიფემ უბრძანა: როგორ იცითო? მათ მოახსენეს. თუ რომ ცოცხალი არ იყოს, სამს დღეს უკან ბალის ბოლოსა ორად გაკვეთილი წყალში ეყრებოდა და ჩვენ ის ალაგი ვნახეთ, რომ არა იყო რა და ამითი ვიცით, რომ ის ცოცხალი გარდურჩაო.

რა ხელმწიფემ მათგან ესე ამგვარი ამბავი მოისმინა, არა მცირე მხიარულებასა მიეცა და ბრძანა: ღმერთო, კიდევ იქნება, რომ გარდანქეშანი ცოცხალი ვიხილოო?! რა დიდი საამო იქნებაო. ესე თქვა და მისის ამბის მაყურებელნი იყვნენ. რა გარდანქეშანი უჩინო შეიქმნა წყალში, წყალი იგი კედელსა განვლიდა და მის კედლისა განი იყო ოცი მწყრთა. გარდანქეშანი სანამ წყლისაგან იმ კედელსა განვლიდა, ასე შესწუხდა, რომ კნინდა სიკვდილსა მიეცა. რა დიდის ცდითა კედელს განვიდა, ნახა, რომე წყლისა პირსა ორსავე მხარეს კედლები იდგა. მის კედლებისა სიერცეს და სიმაღლესა კაცის თვალი ვერ მისწვდებოდა. წყალსა შიგან ორი ბასრი ხმალი მოემართათ მანქანებითა, რომ ერთი თავქვე დადიოდა და მეორე აღმა უსვამდა და რაც მათ შუა გაუვლიდა, გაუკვეთელი არ გადაურჩებოდა. ასეთი მკვეთელი ხმლები იყო, რომ მათ შუა თუნდა დიდროვანს მთას გაველო, იმასაც გაჰკვეთდა.

რა გარდანქეშანმა ესე იხილა, დიდად შესწუხდა და თავისის თავისაგან უიმედო შეიქნა და უფალსა შევედრა. შეწუხებულმა თვა-

ლი მიავლო, მიიხედ-მოიხედა, იხილა, ამ ორსავე ხმალს საშუალებდ წყალს ზევიდამ ერთი დიდი სანიშინი სახლი ადგა. ცადაქნილი მოაჯირი ოქროსი და უცხოდ მორთული სასახლე იყო. მას მოაჯირსა ერთი რგოლი ება. რა ეს რგოლი დაინახა, გარდანქეშანი თევზსავით წყლიდამ შეფრინდა და მას რგოლსა ხელი მოავლო და მათ ხმლების მანქანებასა ესრეთ გარდაურჩა. განვლო წყალსა და ავიდა მას სახლსა შიგან და მეტის დაღალვისაგან უცნობო შეიქნა.

რა გონებას მოეგო, მიმოიხედა, ნახა, რომე იგი წყლები ორმოცად იყოფა და თითოს მხარეს მიმავალსა ბაღის საშუალსა ადგილსა დიდროვანი ტბების ოდენი აუზები გაუყეთებია და წყლები შიგ ჩადის მას აუზებში. რა ესრედ იხილა გარდანქეშანმა, მის აუზების ხელოვნება სულემანისაგან დიდათ მოეწონა. მერე ძირსა ჩამოვიდა ბაღის სანახავად. მიმავლობაში ნახა, რომ ერთი ხიდი გაედგათ. მას საშუალს ხიდსა ექვსი ცხენოსანი კაცნი დგანან, სამნი შავს ცხენსა ჰსხდომარენი და შავით მოსილნი და იარაღით შეჭურვილნი, სამნი ჭრელსა ცხენსა მსხდომნი და იარაღითა შეჭურვილნი და ჭრელისა ტახისამოსითა მოსილნი.

რა ესე იხილა, მაშინვე მიხვდა, რომ თილისმის ხელოვნება იყო. რა ამ ხიდისა საშუალსა მივიდა გარდანქეშანი, მათაც ერთობით საშინელთა ხმითა შემოსძახეს და ლახტებითა შემოუტივეს და არა მცირედ შეშინდა. სახელი ღვთისა ახსენა, ასეთი შეჭხტა მალლა, რომ ხიდს გარდახტა და მათი მოქნეული ლახტი აიციდინა და რა ხიდი უვნებლად განვლო, შემოხედა და ნახა, რომ ეს ცხენოსნები სულ ქვის თილისმით იყო ნაკეთები. და გარდანქეშანმა დიდი ქება შეასა, რა კარგად გასინჯა.

მერე უდიდესს ბაღსა შევიდა. რა მცირე წარვლო, იხილა, რომ ერთი უცხოდ ნაშენები კოშკი იდგა და მას კოშკთან ორი უცხო ტბები იდგა. ერთი ოქროსი იყო და მეორე ვერცხლისა. ამასთან უცხო ფერად-ფერადი ყვავილები იდგა ასეთი, რომ სურნელებითა კაცსა გონებას მისტაცებდა. რა ეს განვლო და მცირე რამ წარვლო, ორმოცი უცხო და უცხო მძიმის თვალ-მარგალიტით ნაშენი კოშკები დაინახა, ერთმანეთზედ საუყეთესოდ ნაშენი იყო და ამ კოშკებისათვის ერთიანი ციხე შემოევლოთ, ესეც მშვენიერად ნაშენი იყო, დიახ დიდის სივრცის და სიმაღლის მქონე იყო. და მას ციხესა ზედა ერთი უცხოდ მორთული მფრინველი დაესვათ. ერთი ფრთა ოქროსი ჰქონდა და მეორე ფრთა ვერცხლისა, დიახ მშვენიერი სახილველი რამ იყო.

მას კოშკსა ერთი კარი ება, ერთსა მხარეს განვლოდა, ორსავე მხარეს სასხლომი გაეკეთებინათ. ერთსა მხარესა შვიდნი შავად მო-  
თულნი დედაკაცი იხსდნენ და მეორესა მხარესა შვიდნი თეთრით  
მოსილნი, თეთრნი დედაკაცი იხსდნენ მძიმედ მურასად შეკაზმულ-  
ნი და ყოველთავე თავი თავთა ედგა და ყოველთა ოქროს ჩოგანი  
ხელთა ეპყრათ. რა გარდანქეშანმა ესენი ესრეთ იხილა, დიდად გამ-  
ხიარულდა და ასე ეგონა, რომ ცოცხალნი არიანო. რა სიახლოვეს მი-  
ვიდა, ყველამ ერთობით შემოუტივეს. რა გარდანქეშანმა ეს სცნა.  
უკუმოიქცა და ისინიც ისევ თავ-თავის ალაგს დასდნენ. გარდანქეშა-  
ნი დაფიქრდა და თავის თავს გმობა დაუწყყო, დედაკაცებსაც გამოვე-  
ქცე, ფუი, ამისთანა კაცობასაო! მაგრამ რა ვქნა, ეს თორმეტი ჩოგანი  
რომ ერთად მომხვდეს, არ ვიცი როგორ ვარდაურჩებიო. მაგრამ თუ  
ასე არ მინდოდა, ამისთანას ალაგს რად მოველ, რა მრჯიდაო?! ესე  
თქვა და ერთი ძლიერად მალლა შეხლტა, თავს გარდაეველო და ჩოგ-  
ნებიც აიციდინა და მათ უვნებლად გარდარჩა.

რა მცირე წაიარა და კარის სიახლოვეს მივიდა, ნახა, რომე და-  
კეტილი იყო და კარის მცველად დიახ მრავალნი დედაკაცი იყვნენ.  
რა ესე გარდანქეშანმა იხილა, დიდად შესწუხდა და თქვა: ვაჟო, ეს  
რა უყავ ჩემს თავსა და ამისთანას განსაცდელში რად შემოვარდი?  
ერთსა კაცსა სხვასა რომ არავის უნახავს ეს ბალი, მე რაღა მრჯიდა?  
ხელმწიფე და დიდებულნი რამდენს მეხვეწნენ და არავისგან შევის-  
მინე. სამართალია, რომ მე აქედამ ცოცხალმა ველარ ვიხილო ხელ-  
მწიფე და მისნი დიდებულნი. ახლა ამაზე მეტი აღარა გაეწყობა რა.  
მე ღმერთსა აღთქმა უნდა დაუდვა, რომ აქედამ მშვიდობით გარდა-  
მარჩინოს და სხვას დროს ამისთანა საქმეში აღარ გაეუბაო.

დაფიქრებული (იყო), ცოტას ხანსუკან ერთმა მათგანმან ხაღუნ-  
მან ხელი დაუქნია და წინ დადგა და კარი გაუღო. შევიდა და იხილა,  
რომ სულ ხეები იდგა. იგი ხეები სულ ოქროსი და ვერცხლისა იდგა.  
მის ხის ფურცელნი უცხოსა და მშვენიერის სახით გამოეყვანათ და  
მას ხეთა რტოთა დიახ მრავალნი მშვენიერის ფერით სხვადასხვარიგი  
მფრინველის სახედ გაეკეთებინათ და რტოებზე იხსდნენ. და იმ სახ-  
ლისათვის მრავალი ფანჯარა დაეტანებინათ. რა ცოტა ნიავე შემო-  
ვიდოდა, მათ მფრინველთაგან უცხო და მშვენიერი, საამო, ტკბილი  
ხმები გამოვიდოდა.

რა გარდანქეშანმა ესე იხილა, დიდსა განკვირვებასა მიეცა და  
თქვა: ამ მფრინველთაგან ერთსა ჩამოვიყვან და ხელმწიფეს ფეშქა-

შად მივართმევო. შეხედა და მათში ერთი მოეწონა. იგი მფრინველი ოქროსი იყო და ფრთები სხვადასხვარიგად შეეწყოთ, რომ არც კი ეტყობოდა. თვალეები ლალისა ჰქონდა და ნისკარტი ზურმუხტისა. დიახ მშვენიერი რამ იყო. იგი ჩამოიყვანა. რა ამ მფრინველთა იგრძნეს, ერთობით გარდანქეშანს შემოუტივეს და ზოგნი ნისკარტითა აგლეჯდნენ ხორცსა და ზოგნი ფრთითა სცემდნენ და ზოგნი ფერხითა და მათ მფრინველთა ფრთისა ცემითა იგი ბალი სრულიად იძროდა. თუ რომ გარდანქეშანს იგი ფოლადის ჯაჭვი არა სცმოდა, სულ ნისკარტით დაგლეჯდნენ. გარეთ გამოსვლა დააპირა და გზა შეუკრეს მფრინველთა. სხვა ღონე ველარა მოიპოვა რა, იგი მფრინველი ხელთაგან გაუშვა და იგიცა მოვარდა და ნისკარტითა ცემა დაუწყო. მერე დიდის ცდითა კარებს ძლივს გამოასწრა და ცოტას ხანს დაჯდა და დაისვენა. მერე შემოხედა და ნახა, რომ იგი მფრინველნი ისრევე თავ-თავის ალაგს დამსხდარიყვნენ. ამანაც დიდად ქება დაუწყო მათსა გამკეთებელსა.

მერე ცოტა რამ წაიარა და ნახა, ერთი დიდი ფოლადის კარი არის და გასაღები არსად უჩანს. დიდად შესწუხდა და თქვა: ღმერთო, ეს კარი საიღამ უნდა გავაღოო. ცოტას ხანს დაფიქრდა და ნახა, რომე ამა კარიღამ ერთი საშინელი ხმა გამოხდა და შემოუძახა: ჰეი, შენ, კაცო, ასი წელიწადია აქ კაცი არავინ მოსულა და შენ აქ ვინ მოვიყვანა? არამც თუ შენ სულიემან იყო, ჯანიბეჟანის შვილი და შენს ბაღში სასეირნოდ დადიოდეო?! შიგნით შემოდი და გვნახეო! გარდანქეშანმა მიუგო: კარი დაკეტილია და საიღამ უნდა შემოვიდეო. მერე მან მიუგო: კარს ზევით შეიხედე და როგორც ეწეროს, ისე ჰქენო.

რა ზევით შეხედა, იხილა, რომ ორი-სამი ტაეპი ესრეთ ეწერა: ჰე, ფალავანო, შენ გარდანქეშანი ხარ და აქა მოხველ. მაგა კარისა რგოლსა ხელი მიჰყავ და მარჯვნივ დაატრიალე. მაგრამ რა მაგ რგოლს დაატრიალებ, იქიღამ ერთი ორმოცდაათი მწყართ მქონე ძლიერი ფალავანი მოგიხდება. მძიმე ლახტი ხელთა უჭირავს და შენდა დასაკრავად განემზადება და ნუ შეშინდები, იგი შენ ვერას გავნებს. რგოლსა ძალი დაატანე და კარი გაიღება, შედი შიგნით და ჩემი საპყრობილე ნახე, მაგრამ გაფრთხილდი, ჩემი სიკვდილი დევებს არ შეატყობინო, ამისთვის, რომ არასდროს დევნი კაცის ერთგულნი არ შეიქნებიან. რა ამ კარის რგოლს ხელი მიჰყო, ძლიერად დაატრიალე და როგორც გაიღოს, საჩქაროდ შევარდი და ამ კარს მოშორდი.

თორემ თუ ასე არ ეცადე, იმ ფალავნის ლახტის დაკვრასა მთაც ვერ შეუძლებს. და თუ რომ ასეთი სიმხნე არ გქონდეს, უკანვე გაბრუნდი, განსაცდელში არაში შევარდეთ.

რა ესე წერილი ამოიკითხა, დიდსა შეწუხებასა მიეცა და თქვა, რამდენჯერ უნდა ჩემი თავი ამისთანას განსაცდელს მივცეო, და ლამობდა უკმოქცევასა. მაგრამ თქვა, რახან აქ მოველ, უკმოქცევა რაღა ნამუსიაო. ესე სთქვა და რგოლის სიახლოვეს მივიდა, ღვთისა სახელი ახსენა და ხელი მიპყო. ნახა, რომე მარცხნივ ერთი ასეთი საშინელი ხმა მოვიდა, რომ იგი ბალი სრულიად შეიძრა. რა მისკენ შეიხედა, ერთი ორმოცის მწყურთის სიმაღლის მქონებელი ფალავანი იხილა და ხელთა მძიმე ლახტი ეპყრა და გარდანქეშანს დაკვრას უპირებდა და სწრაფისა სიარულითა მოაშურა.

რა ესე მრისხანედ მომავალი ნახა, ასე შეშინდა, რომ რგოლს ხელიდამ გაშვებას უპირებდა. მაგრამ ისევ სიმხნე იხმარა, რგოლსა ძლიერად გარდმოსწივა და კარი გაეღო და საჩქაროდ შიგან შეიჭრა და ორმოცს ნაბიჯს გარდაბტა. კარს მოსცილდა. რა უკან მოიხედა და მის კაცისაგან თავისი თავი უვნებლად დარჩომილი იხილა, დიდად იამა და ღმერთს მადლობდა. მერე მოუბრუნდა, ხანჯალს ხელი მოივლო და მას კაცს უკან მისდია საომრად. რა იმ ალაგებს თვალი მოავლო, ველარსად იხილა და უჩინო იქმნა.

მერე კარსა ზევით შეხედა და იხილა, რომ ორმოცდაათი ტაეპი დაეწერათ. რა გარდანქეშანმა ესე წერილი აღმოიკითხა, ესრეთ დაეწერათ: ჰე, აქა მოსრულო ფალავანო და უცხოსა მნახაო, ესეცა იხილე, რა უცხო სანახავია და სცნობ, ვითარი ხელმწიფე ვიყავ! მთელი ხმელეთი ჩემს ბრძანებას ქვეშ იყო და საბაოთ ღმერთი მწამდა და ღვეებს ვერ ვეწყობოდი. რომელიცა დევი კაცს აწყენდა, მას დავიჭერდი და აქ დავაბამდი. ეს ღვეები, რომელიც აქა დამიბამს, თითო და თითოს სამეფოს ამაოხრებელი არის. ეს ქაღალდზე დაწერილი რომელიც არის, ახლავე აიღე და მაგრა შეინახე და ეცადე, რომ არსად დაჰკარგო, თორემ შენ ამ ბალიდამ ცოცხალი ველარ გახვალ, ასე იცოდეთ.

რა ეს წიგნი ამოიკითხა, დიახ მაგრა შეინახა და სულეიმანს ლოცვა დაუწყო და მერე ცოტა რამ წინ წასდგა და იხილა, რომ სამოცდაჩვიდმეტი დევი დიდროვანის ჯინჯილებით დაუბამს და იგი ღვეებიც ესრეთ შეუწუხებია ტუსალობას, რომ სიტყვის თქმა აღარ ძალუძსთ. გარდანქეშანმა მცირეს ხანს ყურება დაუწყო და იმათაც ერთობით

შეძობედეს. ნახეს, რომ ერთს პირუცითელს კაცსა ბილები მხარზედ გარდაუყრია და თავსა მძიმე თაჯი ჰხურავს და ფოლადითა შექურვილია. მარჯვენო და მარცხნივ თორმეტი ხანჯალი გაუწყვია და ხელოა ბასრი ნაჯახი უპყრია. ესრეთი მსწრაფი მქცევია, რომ თუმცა მოინდომა, ცაში აფრინდება და ესეთის მრისხანებით დგას, რომ მნახველთათვის საზაროდ კმაროდა.

რა დევთა ესრეთ მრისხანედ მდგომი გარდანქეშანი იხილეს, დიდად შეშინდნენ და ქება დაუწყეს. მერე ერთმან მათ დევთაგანმან უთხრა გარდანქეშანსა: ჰეი, ფალავანო, ჩვენ შეიდას სამოცდაჩვიდმეტი დევნი ვიყვენით და თითოს და თითოს თითო სახელმწიფოს აოხრება შეგვეძლო და ყოველთვის აღამიანთ მტერი ვიყავით. სულეიმან შეგვიპყრა და აქა დაგვატუსალა. ახლა ამას გკითხავთ, სულეიმან ცოცხალი არის თუ არაო? გარდანქეშანმა მიუგო: ცოცხალი არის. მე და ის ეხლა ერთად ვიყავით და მე მოვახსენე, ამდენი ხანია დევნი პყრობილად გყავს-მეთქი და მე ვეაჯე თქვენს განთავისუფლებას. მერე ასე მიბრძანა: წადი და ყველანი განიკითხე! რომელმაც აღთქმა არ დასდვას, ისევე პყრობილად ამყოფე და რომელმაც მტკიცედ აღთქმა დადვას, ის კი აუშვი. მე ამაღ მოველ თქვენთანაო.

რა დევთა ესრეთ მოისმინეს, დიდად იამათ და მერე ყოველთავე ერთობით ხმა ჰყვეს და მოახსენეს თავ თავისი დანაშაული რაც ყოფილიყო და ან სულეიმანისათვის როგორ ემტროთ. რა გარდანქეშანმა ამათი ლაპარაკი ყოველივე მოისმინა, დიდად გაუკვირდა ამათი ხელიდამ განმომავლობა და საქმის შემძლეობობა. პირველად რომ გარდანქეშანს დევი ელაპარაკა, აწცა მანვე მოახსენა: გარდანქეშანო, აქედამ კი განგვათავისუფლე, მაგრამ მე კი დანაშაული არა მაქვსო. გარდანქეშანმა პასუხად უგო: ჰე, ბერო დევო, თუ რომ დანაშაული არა გაქვს რა, მაშ რას მიზეზითა ხარ ხარ აქ პყრობილი და ან სახელად რა გეწოდებო? მან დევმა მოახსენა: მე სახელად მაქილ მქვია და ჩემი დანაშაული ეს არის, ეს ბალი და თილისმები სულ მე გავაკეთე. ესდენი ჯაფა და ჰირნახული გავსწიე, რომ სხვას არავის უქნია და ამისთანა თილისმებსაც ვერავინ შეიძლებს, რომ გააკეთოს ვინმემ. ეს ბალი დიახ საუცხოვო და მშვენიერი სანახავი რომ არის და საკუთრად სულეიმანის შესაქცევად გავაკეთე. რა რომ იგი მოკვდება, ამ ბალს ველარავინ იხილავს და ვერც ვინ ახლოს დაეკარება და ახლა კი სწორედ გული დაეაჯერე, რომ სულეიმან ისევ ცოცხალი ბრძანდება, რომ შენ აქ მოსულხარო.

მერე გარდანქეშანმა უთხრა: მაქილ, თუ ეს ბალი და ამდენი თილისმები შენი გაკეთებულია, აქ ტუსადად რად გყვესო?! რა უფრო შინაყმა უნდა იყო სულეიმანისაო? მაქილ უთხრა: გარდანქეშანო, ეს თილისმები და ეს ბალი სულ ჩემს სახელზედ არის გაკეთებული. მე თუ აქ არ ვიყო, ამ ბალში ვერაფერს შემოვა და თუ შემოვა, მაშინვე ცეცხლში დაიწვის. რა ეს თქვა, მერე ერთობით ევედრებოდნენ განთავისუფლებასა. მერე გარდანქეშანმა უთხოვა: ამ ბალს სულ მოვივლი და მერე აქავე მოვალ და ყველას აგიშვებთო. ამათაც დიდად მაღლობა მოახსენეს.

გარდანქეშანმა ჰკითხა: ამ ბალში რა უფრო კაი სანახავი არისო? მაქილ მოახსენა: ამ ბალში მრავალი საუცხოოვო სხვა და სხვა სანახავები არის. რომ რიცხვი არ ეგების, მაგრამ უოველთა ამათსა უკეთესი ერთი კოშკი ავაშენე, დიახ საკვირველი მაღალი არის და მას კოშკსა თორმეტი კარი უყავ და ოცდაოთხი ფანჯარა. იმისთანა სანახავი არა არის და ვეშვობ, არც უკეთესი თქვენ დღეში გენახოს. რა შიგ შესვალ და დაივლი, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდისინ რაც რომ ხმელეთზედ საქმე იქნება ან ამბავი ან სახნავი რამ, სულ ყველას იქილამ დაინახავ და შეიტყობ. მე იმისი ქება არ შემიძლიან, ასეთი რამ არისო.

მერე გარდანქეშანმა იმ კოშკის გზა ჰკითხა და მანცა ასწავლა. წავიდა და რა მივიდა, ნახა, რომე ოქროს კარი ამია და ერთი მძიმე კლიტე აძევს. გარდანქეშანი მივიდა და მას კლიტესა ყურება დაუწყო. მერე მას კარიდამ ერთის საშინელის მწუხარებისა და ვაების ხმა მოესმა. სამოცდაცამეტი სხვადასხვაგვარი ლაპარაკი და გოდება ისმოდა. ამ ხმაზედ გარდანქეშანი არა მცირედ შეშინდა და თავის თავს უთხრა: კარგია, იკმარე, ჩემო თავო, ამდენს განსაცდელში სიარული. რა ამ ბალში შემოვსულვარ, ასეთ ალაგს ფეხი არ გავსდგი. რომ სიკვდილს არ მივსცემოდე. ახლა აქ მოველ, ამისი ნახვა ამიჩემებია, იქნება ასეთი საქმე გამიჭირდეს, რომ ცოცხალმა ველარ გამოვასწრო. დევების სიტყვას კაცი არ უნდა ენდოს. ამისთვის, რომ ყოველთვის აღამიანთ მტერნი არიანო.

ამა სიტყვაზედ უკან გამობრუნდა და ცოტა ხანს ფიქრსა მიეცა და ესე თქვა: მე რომ ხელმწიფესთან მივალ, ამ ბალის ამბავსა მკითხავენ და ხომ ასე უნდა მოვახსენო ამ კოშკისა, რაღაც გლოვის ხმები გამოდიოდა მის კოშკის კარიდამ და შიშით ვერ შეველ და მის კოშკის ნახვა ველარ გავბედე-მეთქი. მარტო სააზხარანის სასაცილოდ

აგდებას ველარსად გარდაურჩები. თავის დღეში ამ სასაცილოდ აგდებისაგან აღარ მომასვენებსო. და მეტი ღონე არ მაქვს იმისგან, იქ იმდენს დიდებულებთან დარცხვენასა აქავე მოვკვდე, ისა სჯობსო.

მობრუნდა და კლიტესა ხელი მიჰყო. გააღო კარი და შიგან შევიდა. იხილა, რომ იგი კოშკი ოთხს კუთხედ იყო გაკეთებული და ოთხსავე კუთხეს ჩარხნი მოემართათ. ოთხსავე ჩარხსა დიდროვანი ჯაჭვები ესხათ და წვერი ჯაჭვებისა მიწაში ჩაეშვათ. რა ეს ჩარხები დაბრუნდებოდა, იგი დიდროვანი ჯაჭვები მათ აქონდათ აღმა და დაღმა და თურმე იგი სამგლოვიარო ხმა ამ ჩარხებიდამ მოისმოდა. და რა იგი კოშკი სრულებით იხილა და ოთხსავე მხარეს თვალი მოავლნა, იხილა, რომ ოთხსავე მხარეს ერთმანეთში განრთხმულნი ჯინჯილნი კლიტეებითა დაკეტილნი იყო და ჰგონებდა, კარნი ესე უნდა იყოსო და ლამობდა შემუსრვასა.

რა ახლოს მივიდა, იხილა, რომ ერთსა ლომსა კლიტისათვის მკერდი მიუყრდნია და საკვირველი საზარო სანახავია. რა გარდანქეშანმა ესრეთ იხილა, დიდად შესწუხდა, ინანდა იქ შესვლას, მაგრამ ყარამანის სირცხვილით მორიდებას გზა ველარ აუქცია და ბასრსა ხანჯალსა ხელი მიჰყო და მას ლომსა შეუტია და მანცა შემოუტია, ერთმანეთს დიან მდგრად ებრძოლეს. რა ამ ლომმა გარდანქეშანის ესეთი სიმხნე იხილა, ხელი აიღო, კარი დაანება და თითონ ერთის ჩარხის უკან გარდაიმალა და უჩინო შეიქნა.

რა ამ ლომის საქმეს მორჩა, დიდად გამზიარულდა გარდანქეშან და მიიხედ-მოიხედა. ნახა, რომ ამა კოშკის ძირსა რამდენიმე ფეხის კიბე ჩავიდოდა. რა რომ ესრეთ იხილა, ღვთის სახელი ახსენა და მას კიბესა ჩავიდა. იხილა, რომ ერთის დიდის მოედნის ოდენი ალაგი სრულიად ოქროთი და ვერცხლითა მოეფინათ და მისს საშუალსა ალაგსა ერთი მინარის სიმალლისოდენი კოშკი დაუდგამთ. რა გარდანქეშან მის კოშკის სიახლოვეს მივიდა, იგი კოშკის კარი მას წამსვე გაეღო და შევიდა.

რა გარდანქეშან მაღლა ავიდა, ამა კოშკმა ასეთი რყევა შექმნა, რომ სწორედ ძირიდან აღმოფხვრა ვისმე ეგონებოდა და გარდანქეშანიც არა მცირედ შეშინდა და ღმერთს ევედრებოდა. ცოტას ხანს უკან კოშკი რყევისაგან დადგა და მის კოშკსა კიბე, რომელიცა ათას ხუთასის ფეხის კიბე ჰქონდა ზე ასასვლელი, იგი კიბე შევლო და მცირე მოისვენა. მერმე ზე ადგა და ერთის ფანჯრიდამ ძირს ჩამოი-



ხედა და იხილა, რომ მის კოშკიდან დიდროვანი მთები კვერცხის ოდნათა სჩნდა, ესრეთ მაღალი იყო.

რა გარდანქეშანმა ესრეთ იხილა, დიდსა მხიარულებასა მიეცა და თქვა, ახლა თუნდა აქ მოვკვდე, აღარას ვინაღვლო და ბაღსა ყურება დაუწყო. მას ბაღსა ორმოცრიგად წყლები შემოსდიოდა, ორმოცი ტბები ჰქონდა და მას ტბებსა საშუალსა ორმოცი კოშკი დაედგათ, და მის კოშკებისა სიმაღლე ოთხმოც-ოთხმოცი წყრთა იყო. იმა ბაღისა სურნელება იმ კოშკში მყოფს კაცს უცნობოს გახდიდა. იმ ბაღის გარეშემოსა ყურება დაიწყო. და ქიშპირის ქალაქი იხილა. ან როგორი მდებარეობა ჰქონდა და ან ჯეოჰნი როგორ ჩასდიოდა, ან ხელმწიფის ლაშქარი მის წყლის პირსა როგორ ჩარიგებულნი იდგნენ და ან ხელმწიფე უშანგ როგორ გამგეობდა, — ყოველივე თვითეულად დაინახა და კარგად გასინჯა. ხელმწიფის ან გარეთ გამოსვლა ან შინავე შესვლა და თავისთა დიდებულთა სალაშში მისვლა, ესე ყოველივე დიახ სიახლოვით მოიხილა. რა ესრედ განიცადა, თვალთაგან მდულარე ცრემლი გარდმოუტევა და თქვა: ნეტამცა მეცა ეხლა ხელმწიფის წინ მამყოფა. მე ვინა და თილისმის დამტვრევა და შემუხვრა ვინაო! მცირეს ხანს თამაშას უყურებდა.

მერე მობრუნდა და ნახა, რომ ერთი დიდი ფანჯარა იყო და მის ფანჯრისა თავსა რამდენიმე ტაეპი დაეწერათ და ესრეთ ეწერა: პეი, შენ, რომელი აქა მოხვალ, რომელსაც გარდანქეშანი გეწოდების და ხარ, ამდონს თილისმებსაც გარდარჩენილხარ უენებლად აქაც ამოსულხარ. გარდანქეშანო! შენი აქ მოსვლა ჩემთა ვეზირთა წინასწარ ვარსკვლავთმრიცხველობითა მაცოდინეს, რომ შენ აქ მოხვიდოდი და სრულიად ბაღსაც დაივლიდი. ესე წერილი მისთვის დაეწერე, რომ შენც სცნა, რომ ქვეყანა ოთხი ნაწილი არის და ოთხი ნაწილისაგან სამი წილი ზღვა არის და ერთი წილი ხმელეთი არის, — აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთს და ჩრდილოეთს. ამ ოთხსავე სახელმწიფოს შვიდი ზღვა აქვს. ამ შვიდს ზღვას რამდენი კუნძული აქვს და ან თითო კუნძულს რამდენი ალაჯი სივრცე და სიგრძე აქვს. ერთი ალაჯი სამი მილი და სამი მილი ოთხასი ნაბიჯი. ერთი ნაბიჯი ნახევარი ადლი არის და ნახევარი ადლი ექვსი მუჭია. თითო მუჭი ოთხი თითია და თითო თითი ორი ქერის მარცვალია. და ესეთის მეცნიერებით არის ქვეყანა გაზომილი და ზღვებიცა. დიდის ჩინის ზღვასა აქვს კუნძული ექვსი. ერანის ზღვასა აქვს კუნძული ოცდაათი. გარდანქის ზღვასა აქვს კუნძული ხუთი. მეოთხე — ურუმის ზღვასა აქვს

კუნძული ათი. მეხუთე — მარასტანის ზღვასა აქვს კუნძული შვიდო. მეექვსე — ინდოეთის ზღვა არის, მას აქვს კუნძული ათას ორასი, მეშვიდე ზღვა არის (თურქესტანისა), რომელსაც აქვს კუნძული ორასი. ესე ზღვებიცა და სხვათა სულ უკიანეს ზღვიდამ გამოდის და მასვე ერთვის. უკიანეს ზღვა იმას ეწოდების, რომელსა ქვეყანა სრულიად მოუცავს. რომელიც ხმელეთზედ ქვეყნები არის, ეს ქვეყნებიც შვიდს იყლიმად გაუყვიათ და თითოს იყლიმისათვის თითო ვარსკვლავი მიუჩემებიათ და იმ ვარსკვლავის ხასიათით ცხოვრობენ და მოქმედებენ. რომელნიცა იმ ვარსკვლავისა მონებასა ქვეშე ქალაქნი და მდინარენი არიან, მათი სივრცე და სიდიდე ესრეთ არს: მეშვიდე იყლიმს აქვს მთა ათი და ორმოცი დიდროვანი მდინარე, ოცდაროი დიდრონი ქალაქი. მეშვიდე იყლიმი ნაწილია აღმოსავლეთით. მეექვსე იყლიმი ნაწილია, რომელ არს ჩრდილოეთი, მას აქვს მთა ოცდაროი და ორასი დიდნი ქალაქები, ოცდათორმეტი მდინარე. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის შუა არის ქვეყნები სისტანი, ჩინეთი, იქილამ მოეკიდება, ვიდრე კონსტანტინეს პოლამდე. რაც რომ ქვეყნები არის დასავლეთის ზღვამდე, ამ მექვსეს იყლიმის რიცხვში არის ჩავარდნილი. მეხუთე იყლიმსა აქვს მთა ოცდაათი, ქალაქი — ას ათი, მდინარე ოცდაროი. და სხვათა იყლიმთა ესრეთ აქვს მთა ქალაქი და მინდორი.

რა გარდანქეშანმა წერილი ესრედ აღმოიკითხა, ღმერთსა მადლობა მისცა და სულეიმან ჯანის ბეყანის შვილს ლოცვა დაუწყო. მობრუნდა და სხვასა ფანჯარასა მივიდა. ფანჯრის გაღებასა ლამობდა, მაგრამ ვერ გააღო. მობრუნდა და ოთხსავე მხარეს ყურება დაუწყო. და ერთს ალავს მცირე რამ წერილი იხილა და ესრეთ აღმოიკითხა: ჰეი, გარდანქეშანო! შენ თუ ამ ფანჯრის გაღება გნებაეს, შენ რომ წერილი გაქვს, ფანჯარაზედ დაჰკიდე და გაიღებო. მასვე წამსა იგოსულეიმანის ნაწერი მას ფანჯარასა დაჰკიდა და გაიღო. გაიხედა შიგადა და თურქისტანს ზღვა, მთა და ბარი და ქალაქნი, სოფლები სრულეებით იხილა. ახლა ერანის მთასა და ბარსა და ზღვასა ყურება დაუწყო და შავს ზღვაში რაც ამბები იყო, ყველა იხილა. იმ დიდროვანს ქალაქებში რაც რომ მოხდებოდა, ან ქურდობა ან მძლავრობა და ან ლაშქრობა, ან თვით მისი ხელმწიფე როგორ ბრძანდებოდა და ან რას განაგებდა, ყოველივე მოიხილა.

მერე მობრუნდა და სხვას ფანჯარასთან მივიდა და იგიცა მის წერილითა გააღო და რა გარდაიხედა, იხილა ერთი თვალგარდუწე-

დენელი მინდორი და უცხო სახილველი. ესრეთ ბრწყინვალე იყო მის მინდვრისა ბალახი, რომ ელვარეს ცეცხლივით სჩანდა. რა გარდანქეშანმა ესრეთ იხილა. დიდად გაუკვირდა და სთქვა: ეს რა უნდა იყოსო? კარგად გასინჯა და სცნა, რომ ოქროსფერი ბალახი იყო და იგი მინდორი ათსა აღაჯსა შორავს ქიშმირის ქალაქსა. ამ მინდორსა დასასრულზედ ერთი ზღვა იხილა და მის ზღვასა კიდესა ერთი კუნძული. და ამა კუნძულსა შიგა კაცნი იხილა ასეთნი, რომ მათ კაცთა სპილონი მხართა ეტვირთათ და მიჰქონდათ და ამ კაცთა ძლიერება დიდად მოეწონა.

მერე ინდოეთისა და ჩინეთის მხარისაკენ ყურება დაიწყო. და ერთსა მხარესა ერთი კლდე იხილა და მას კლდესა ზედა ქალაქი და ციხე. მას ციხეს ცალ მხარეს ერთი მდინარე ჩამოსდიოდა და თვით ციხე ესრეთ მაგარი იყო, რომ არავის უხილავს მისთანა სიმაგრე. რა გარდანქეშანმა ციხე კარგად გასინჯა, დიდად მოეწონა. კიდევ კარგად ჩხრეკა დაუწყო და ამ სინჯვაში იხილა, რომ უშანგ ხელმწიფის ცოლი თავის ჰარამით აქ იყო. რა ეს იხილა, დიდად გაუკვირდა და თქვა: ღმერთო, არამც მომეჩვენა რამე, თორე იმათ იმ ციხეში რა ხელი აქვთ? ჩვენ ხომ ჩინეთში დაუტევეთ და აქ ვინ მოიყვანაო?

კვალად ყურება დაუწყო და სწორედ სცნა, რომ უშანგ ხელმწიფის ცოლი თავის ჰარამხანით იქა ჰყავთ, და მეორეს მხარეს იხილა, რომ ხუთი ათასის ლაშქრით ქეითან-შა სდგას ამავე ციხესთან. მერე თქვა: ქეითან-შას ამოდენა ჯარს ვინ მისცემს და ან ეს რა ამბავი არისო? მობრუნდა და სხვასა ფანჯარასა მივიდა და ყურება დაუწყო. მას ფანჯარასა პირი ყათვის მთისაკენ ჰქონდა. და რა ყათვის მთა სრულეებით გასინჯა, იგი მთა ესრეთ დიდი იყო, სრულეებით ხმელეთს გარს შემორტყმოდა და ან რამდენი ქალაქი იყო დევებისა, ან რაც რომ სანახავეები იყო, სულ გასინჯა. ფერიათა და ჯინისტანის ქვეყნებიც სრულეებით გასინჯა.

იგი სულეიმანის ნაწერი ხელთა ეპყრა და ამა კოშკიდან ძირსა ჩამოსვლა და სადაც დევნი იყვნენ პყრობილნი, იქ მისვლა ეწადა, მაგრამ ამა კოშკისა გზამ სხვას მხარეს გაიყვანა. მივიდა და მეორე კოშკი სხვა იხილა. დიახ მშვენიერად ნაშენი იყო. სულ ლაყვარდის ქვით აეშენებინათ. და მის კოშკსა კარი ოქროსი შეებათ და მძიმე მურასის თვლებით მოეჭედათ. რა კართან მივიდა და ხელი შეახო გასაღებად, იგი კარი შიგნიდან იყო დაკეტილი. მას კარსა იგი ლოკვის წიგნი მოუსვა და მაშინვე გაიღო. შიგან შევიდა და იხილა

ერთი უცხოდ ნაშენი სასახლე. სასახლის კედელი სულ ოქროს აგურით იყო ნაშენი. იგი სასახლე რა სრულებით გასინჯა, ოცდაცხრამეტი სხვა სახლი იყო.

რა შიგნით შევიდა და განიხილა ეს სასახლე, ასე მოეწონა, რომ თავის ჟამს ამისთანას სასახლის ქებაც არავისაგან გაეგონა, არა თუ მას სხვა უკეთესი ენახა სადმე. მას კოშკის ძირსა ერთი უცხო და მშვენიერი აუზი გაეკეთებინათ. მას აუზსა შიგან რაც ქვეყანაზე. პირუტყვი ნადირი არის, სრულებით მათი სახე ოქროთი და ვერცხლით შეექმნათ და იგი აუზი ავესოთ. იმა აუზსა საშუალზე ერთი ოქროს ძროხა დაედგათ და მის ძროხისა სიდიდე სპილოს შეუსწორდებოდა. იგი ძროხა იმა აუზისა წყალსა პირით სმიდა და ცხვირით აღენდა. ესრეთ ხელოვნებით იყო ნაშენი იგი აუზი, დიდად მოეწონა.

ამა სახლიდამ კოშკისა კარსა ფარდა ეფარა, ასწივა და შიგნით შევიდა და იხილა, ერთი დევი ორმოცის ჯაჭვით იყო დაბმული. იგი დევი ორმოცდაათის მწყრთის სიმაღლის მქონებელი იყო, თავი დათვის უგვანდა. რა გარდანქეშანმა იხილა, დიდად გაუკვირდა და რა იმა დევმა იხილა დაუძახა; ჰეი, ადამიანის შვილო, სულეიმან ჯანი ბეჟანის შვილი ცოცხალი არის? ამდენი ხანია დაგვივიწყა და აღარ მოგვხედა და ესრეთს ტანჯვაში ვართო! გარდანქეშანმა მიუგო: მე იმან გამომგზავნა, რომელნიც აქ პყრობილნი ხართ, ვინც ღირსი იქნებით, აგიშვებთ და რომელნიც არა, აქვე დარჩებით ისევ პყრობილად. და შენც სწორედ უნდა მითხრა, რის მიზეზითა ხარ აქა პყრობილად, ყველა მიამბეთ და ან სახელად რა გქვიანო.

დევმა უთხრა: მე სახელად შაჰყუნარა მქვიან. იმჟამად, სულეიმან რომ ეს ბალი გააკეთა, მე მიბრძანა: შეგიძლია, რომ უკიანე ზღვიდამ ერთი ნაწილი ამ ბაღში წყალი ცალს მხარეს შემოიყვანო და მეორეს მხარეს გავიდესო? მე შიშით მოვახსენე: შემიძლია და აღვასრულებ-მეთქი. მან მიბრძანა: ახლავ წადი და ეს საქმე აღასრულე-მეთქი. მან მიბრძანა: ახლავ წადი და ეს საქმე აღასრულეო! მაშინვე წამოველ. უკიანეს ზღვას თვალი მოვაველე და ვნახე. წყლის ამოყვანა არ შეიძლებოდა. დავლონდი, დავსწუხდი დიდად, რომ სამსახური თავს ვიდევ და ვერ აღვასრულებ-მეთქი. სულეიმანისაგან მეშინოდა, აქ ვეღარ მოველ, უკიანეს ზღვის ძირს ჩაველ და იქ ერთი შავის ქვით ნაშენი მაგარი ციხე ვნახე და ოცდაათი წელიწადი იქ ვიყავ დამალული. სულეიმანს სრულებით მოველო.

ხმელეთი და ჩემი ამბავი ვერა შეეტყო რა. ამ ბაღში ჯგონი და დიჯლა ორივე შემოეყვანათ.

რა ამ წყლების საქმეს მორჩენილიყო, მერე სულეიმანს ებრძანებინა ერთობით დევთათვის: ან უნდა სუყველანი ამოსწყდეთ და ან იმასი შემიტყოთ რამე და აქ მომგვაროთო! მაშინვე წამოსულიყვნენ, ზოგნი ზღვით, ზოგნი ხმელეთს. მრავალი დღე მეძებეს, ბოლოს დაჰბად დევმა მიპოვნა. შვიდი დღედაღამე მებრძოლა. მერე შემიპყრა და აქ მომიყვანა, როგორც დამინახა სულეიმანმა, მაშინვე განრისხებულმა მიბრძანა: შენგან მოტყუება ვის ეკადრებოდაო? მე შიშით თავი ველარ ვიმართლე და მას დღეს აქეთ აქ ტუსაღად ვარო. და ევედრებოდა, განმათავისუფლეო.

გარდანქეშანმა რა ესე მოისმინა, დიდად შეებრაღა და იგი წერილი ამოიღო, მას ორმოცსავე ჯაჭვებს მოუსვა და ყოველივე დასცვივდა და პყრობიღობისაგან განთავისუფღდა. მერე გარდანქეშანმა ჰკითხა: ახღა საღ წახვღლო? მან მოახსენა: ისეღ უყიანეს ზღვაში წავღლ, ჩემი სამყოფი იჰ არისო. ამა აუზის პირთან მივიღდა, ძვირფასი თვღლი ამოიღო და მოართვღ და მოახსენა: ამაზე უკეთესი თჰვენთვის საძღვნო სულეიმანს არღ დაუღღია რღ. თჰვენთვის ეს დიახ ძვირფასი რღმ არის და ამა ტიღისმიღამ სხვღს ვერღს გავიღან მაგაზე უკეთესსღო. მერე შეეხვეწღ: ფღღავანო, დასტური მიბოძეთ, რომ წავიღდე. ახღა ამ ძროხის პირში უნღღ შევიღდე და კუღღთან უნღღ გავძვრე და ისე უნღღ განეთავისუფღღდე. თუ რომ ეს ასე ვერ შევიძელ, სულ საუკუნოღ აჰვე დავრჩებიო. გარდანქეშანმა იგი წიგნი ძროხღს მუცელსღ მოუსვღ და დევი განთავისუფღღდა და წავიღდა.

გარდანქეშანი მობრუნღდა და საღაც რომ პირვეღად დეენი იხიღღ, იმათს ასღშვებღდ გავმართღ. რღ მათთან მივიღდა, მათთაც დიღად გავხარღდათ და მოახსენეს; ფღღავანო, მოწყღლება მოიღდე და აჰედამ განგვათავისუფღღდეო. გარდანქეშანმა მიუვღ: მე თჰვენ აჰედამ განგვათავისუფღღებთ და მეც თჰვენ ამ თიღისმიღამ გამიყვანეთო. და მათ დეეთღ თავის სჯულზღედ შეჰფიციეს და აღუთჰქვეს, ჩვენ გავიყვანთო. გარდანქეშანმა იგი წიგნი აღმოიღო, მათ ყოვეღღთავე ჯაჰვეთღ მოუსვღ და ყოვეღღნი ერთღდ განათავისუფღღღღ. მერე მათცღ მადღღობღ მოახსენეს და ფერხთღ ეხვეოღღენ. ერთობით გარეთ გამოვიღღენ და დიღი კისკისი და მადღღლი სიციღი შეჰენეს. ხელი ხელს შეიტყუბეს და ნავარღი შეჰენეს.

მერე გარდანქეშანმა უთხრღ: მე თჰვენ ამა პყრობიღებისღგან ხომ

განგათავისუფლეთ და მეცა თქვენი აღთქმა აღმისრულეთ და ამა თილისმიდამ გამიყვანეთო! მაქილ დევმა მიუგო: სანამ ეგ წიგნი შენ ხელთ გაქვს, ჩვენ ვერას მოგიდგებითო. გარდანქეშასმა მიუგო: თუ რომ ამ თილისმის წიგნით გამიყვანთ, ხომ ჩემით თქვენზედ გარჯილობის მაგიერის გარდახდა იქნება. და თუ არა და წადით, სადაც გინდათ. და იმ ჩემის გარჯილობის მაგიერს ღმერთი არ მომაკლებს და მეც აქედამ გამომიხსნისო! რა ესე დევთა მოისმინეს, ფრთა ფრთასა შემოპკრეს და თავ-თავის სამყოფს წავიდნენ.

რა ეს მათგან უიმედო დარჩა, დიდად შესწუხდა და ღმერთს ევედრებოდა. მერე თავის გულში თქვა: ჭირსა მოთმენა შევინისო. გამობრუნდა და გამოემართა. იქავე ერთი დიდი კარი მაგრა დაკეტილი იხილა. ამოიღო იგი წიგნი და მას კარსა მოუსვა და მსწრაფლ განელო. რა შიგ შევიდა ერთი დიახ ბნელი და გრძელი ორმო დაუხვდა, მას საჩქაროდ გაუარა. რა გასცილდა, ერთი მოედნის ოდენი ალაგი ნახა. მას ალაგს დიახ მრავალი ხის ძელნი აემართათ და მას ზედა ფერიანი იყვნენ დამოკიდებულნი, რამდენიმე მკლავით, რამდენიმე თმით და რამდენიმე ფეხით. ამ მძიმე სასჯელისაგან ასე შესწუხებულ იყვნენ, რომ ერთი მეორეს ხმას ველარ აგონებდა.

რა ესე მოიხილა გარდანქეშანმა, დიდად გაუკვირდა და თქვა: ღმერთო, ამისთანა ძლიერი ხელმწიფე კიდევ იქნება ვინმე, როგორც რომ ეს ჯანი ბეჟანის შვილი სულეიმან ყოფილა?! რა ის მომკვდარა, მას აქეთ რამდენს წელიწადს, გაუვლიაო, კიდევ იმისის შიშით ამ ბაღში ვერავის გაუვლია და ვერავის ეს ტუსაღნი აუშვიაო. დიდად უკვირდა. რა ახლოს მივიდა, მათ ფერიათა იხილეს ერთი ძლიერი ფალავანი, იარაღითა შეჭურვილი, მშვენიერებითა მარინის ვარკვლავს შეუსწორდებოდა, პირი ვარდსავით გამოპკრთოდა.

რა ესე იხილეს იმა პყრობილთა, დიდად მოეწონათ და ჰკითხეს: ჰეი, სწორუპოვარო ჭაბუკო, სულეიმან კიდევ ცოცხალი არის, რომ ასე დაგვივიწყა და აღარ მოგვიგონაო? ამდენი ხანია ამ სასჯელში ვართ, ღვთისაგან არ ეშინიანო? მერე გარდანქეშანმა მიუგო: სულეიმან ამა სოფლიდამ განვიდა და მოკვდაო. რა ესე მოისმინეს, ერთობით დიდი გლოვა და ტირილი იწყეს და ამას იტყოდნენ: ვაჩვენა ბრალი, რადგან ის მომკვდარა, ჩვენ სულ საუკუნოდ აქ დავრჩით, აქედან გამოხსნა აღარავის შეუძლიანო.

გარდანქეშანმა ჰკითხა: ფერიანო, თქვენი დანაშაული რა იყო და ან რის მიზეზითა ხართო ამისთანას საპყრობილეში? მათ მოა-

ხსენეს: ჩვენი შეცოდება ამაზე მეტი არა არის რა, როდესაც სულეიმანმა ეს ბალი გააკეთა, ჩვენ ვსტყვი, წავიდეთ და ის ბალი ჩუმად ვნახოთ, რომ არავინ შეგვიტყოსო. მაშინვე ყაფის მთილამ მოვედით და ეს ბალი ვნახეთ. ჩუმად თურმე ჩვენ ვენახებით, სულეიმანისათვის ამბავი მიეტანათ. მაშინვე ღვეები გამოგვისია, დაგვიჭირეს და შიგვასხეს. რა გვიხილა, დიდად განრიხნდა და ბრძანა ამა საპყრობილეში მიცემა და დავრჩით მას დღეს აქეთ აქა. ჩვენ კიდევ ამისი იმედი გვქონდა, რომ ერთხელაც არის მოგვიგონებს და განგვათავისუფლებს. ახლა რადგან გარდაცვლილა, ჩვენი აქედან გამოხსნა ვითლა შეიძლება?! ესე თქვეს და ერთობით ტირილი იწყეს.

მერე გარდანქეშანმა მიუგო: ფერიანო, ამ პყრობილობისაგან მე განგათავისუფლებთ, თუ რომ მე ამ პირობას მომცემთ, რომ მეცა ამა თილისმილამ გამიყვანთო. რა ესე ფერიათ მოისმინეს, ყოველთავე ერთობით შეჰფიცეს და პირობა დაუდეს: თუ რომ ამ პყრობილობისაგან გამოგვიხსნი, ჩვენ საუკუნო თქვენნი მონანი შევიქნებით და აღარსად მოგშორდებითო. რა ესრეთ შეჰპირდენ. გარდანქეშანმა იგი თილისმისა წიგნი აღმოიღო და მათ ყოველთავე ჯაჰკეთა მოუსვა და ერთობით აეშენენ. მოვიდნენ და ყველანი ფერხთა მოეხვიენენ და მადლობა მოახსენეს.

მერე გარდანქეშანმა უთხრა: აბა, ახლა მეც თქვენგან მოცემული პირობა აღმისრულებთ და ამ ბაღს გამიყვანეთო! მივიდა ერთი ფერია, რომელიც რომ მათში უმხნესი იყო, და გარდანქეშან ზურგთა დაისვა და სხვანი აქეთ-იქით მოიყენა და ზოგნი წინ გაუძღვენენ და ფერინდნენ და ბალის გარეთ წყლის პირს მივიდნენ. რომელსაც გარდანქეშანი ესვა ზურგთა, მან ფერიამ უთხრა სხვათა: ჩვენ ეს საქმე ავადა ვქენით. რომ ამას თილისმის წიგნი უბეში უძს და რაკი ამ წყალსაც გავიყვანთ, მაგა თილისმის წიგნისაგან ჩვენს დღეში ამისნი მონანი დავრჩებით, როგორც იყოს, ის წიგნი ახლავე უნდა გამოვართვათო.

ეს ლაპარაკი სხვათა ფერიათა ყველას მოეწონათ და მან ფერიამა გარდანქეშანს უთხრა: ჰე, ფალავანო, მე დიდის ხნის ტუსალობამ მეტად დამასუსტა და ღონე სულ აღარა მაქვსო. და დაბლა წყლისაკენ დაეშვა. გარდანქეშანმა მათის განზრახვისა არა იცოდა რა. მერე კიდევ უთხრა ამ ფერიამა: რა ვქნა, სწორეს გეტყვი, ლამის ეხლავ ამ წყალში ორნივე ჩავსცივდეთო. და რა ესრეთ უიმე-

დობა გაიგონა, გარდანქეშანი დიდად შესწუხდა და უთხრა: მაშ რა გვეშველებაო? მან ფერია მითუგო და უთხრა: შენ რომ თილისმის ნაწერი წიგნი გაქვს, ეგ უბიდან ამოიღე და ზურგზე დამადე და შენ მაგრა მომეჭიდე და უფრო მალე გავალთო. ამანაც თავის თავის მორჩენისათვის ამოიღო წიგნი უბიდან და ზურგსა დააკრა.

მერე ამა ფერიამაც ფრენას მოუმატა და დიან მალსა აფრინდა, ასე რომ გარდანქეშანმა მეტისა ქარისა ძლიერებისაგან თვალი ვეღარ აახილა. მერე მოვიდა მარცხნივ ერთი სხვა ფერია წიგნის მოსაპარავად. მან ხელი ვერ მიაწვდინა, მერე ფრთა შემოჰკრა და წერილი წყალში ჩააგდო. რა ეს გარდანქეშანმა მოიხილა, დიდად განრისხდა და ბასრსა ხანჯალსა ხელი მიჰყო და შემოუტყეხა: ჰე, თქვენ წყუელნო, განა დრო მიპოვეთ ამ ჰაერში და აქ მილატეთო. ომსა აპირობდა და რა ფერიათა ესრეთ განრისხებული იხილეს. ყველანი გაექცნენ და იგი ფერიაცა ცდილობდა, რომ ზურგიდამ გარდმოეგდო. გარდანქეშანმა ვეღარ მოითმინა და მას ფერიასა ხანჯალი დასცა და მკერდსა გაავლო და ორნივე მალლიდამ ტრიალით ძირს წამოვიდნენ წყალში ჩასავარდნელად.

იმჟამად პყრობილობისაგან დევნი რომ განათავისუფლა, ყველანი შინ წამოვიდნენ, მაგრამ მაქილ დევი კი არ წასულიყო და იღუმალ მათ ფერიათ და გარდანქეშანის მიძევალობასა სჭვრეტდა და იტყოდა: ვნახოთ, როგორ უენებლად გაიყვანენ. თუ რომ იმათ ვერ შეძლეს, მე უშველი და მე გავიყვანო. რა რომ გარდანქეშანი ესრეთს გაჭირვებაში იხილა, მსწრაფლ ჰაერში მიეგება, მხარსა შეისვა და წყალს გავიდა და ბალის კედელს გარეთ, სადაც რომ ყარამანმა იმ კედელს გურზი სცა, სწორედ იქ ჩამოსვა და იგი ფერია წყალში დაიჩჩვა.

ცოტას ხანს გარდანქეშანი უცნობოსავით შეიქნა. მერე გონებას მოეგო და თვალი აახვნა და იხილა, რომ მაქილ დევი წინ უდგას და ამ ალაგსა გამოსულა. დიდად იამა და მაქილს უთხრა: ჰეი, დევთა უაღრესო, მე შენი მადლობის თქმა არ შემიძლია, რომ ამისთანას გაჭირვების ჟამს მომშველებიხარო. ცოტას ხანს იმუხაიბეს. მერე მაქილ გამოეთხოვა და თავის სამყოფს წავიდა და გარდანქეშანიც შინათკენ გამოემართა.

რა სიახლოვეს მივიდა, ცოტა ხანს მოიცადა. რა დაღამდა, თავისის კარავის სიახლოვეს მივიდა. ესრეთ შემოხვეოდნენ გარსა, რომ ფრინველი ვერ გარდაფრინდებოდა აიარების შიშით. რა კარსა მო-



ვიდა, იხილა, შირფანჯა აიარსა ნაჯახი ხელთა ეპყრა და მთვრალის ლომსავით იღდა. გარდანქეშანმა შესვლა ვეღარ გაბედა და დაუძახა. ამა ხმაზე შირფანჯა ზე წამოვარდა, მსწრაფლ მიეგება, ნახა, რომე ერთი შავით მოსილი კაცი კარავს წინა დგას, შირფანჯა აიარსა აღმასის ხანჯალსა ხელი მიყო და შემოუძახა: შენ ვინა ხარ, რომ ამ დროს ასე გულუშიშრად ამას ალაგს სდგეხარ? ეხლავე გაგათავებო!

რა ასეთი ძლიერად გულოვნობა იხილა, გარდანქეშანს დიდად იამა და დაუძახა: შაბაშ შენსა გულოვნებასა, რომ შენთვის ღამე და ღლე ერთითა! რა შირფანჯამ გარდანქეშანის ხმა იცნა, ხანჯალი ხელიდამ შორს გარდაადგო და მიწასა დაემხო და თაყვანი სცა და მუხლსა მოეხვია. გარდანქეშანმა მკლავსა ხელი მოავლო, ზე ააყენა, მკერდსა მიიყრდნა და შუბლსა და პირსა მრავალი აკოცა და ორნივე კარავსა შევიდნენ.

მერე ასიმ და სხვანი აიარნი ერთობით მოვიდნენ და მოესალმნენ და ხელთა აკოცეს. მერე ბალის ამბავი ჰკითხეს. გარდანქეშანმა მიუგო: ჯერ ამბის თქმის დრო არ არის. თქვენ ეს უნდა ჰქნათ, რომ ამას ღამეს ჩემი მოსვლა არავის გამოუტყხადოთ. ამაღამ კაი ლხინი უნდა ვნახოთ და შევექცეთო. შირფანჯამ მაშინვე სუფრა მოაღებინა და მშვენიერად მორთულნი ღვინის მწდენი წარმოაყენა და დასხდნენ და ასეთი ლხინი ნახეს, მის უკეთესი კაცის თვალს აღარა ენახა რა.

რა ესრეთ შექცევაში იყვნენ, გარდანქეშანმა წამოიჩოქა და ბალის ამბავს მოჰყვა და რაც გარდახდოდა, ყოველივე თვითუღლად უამბო და რა ეს მოისმინეს, დიდად განჰკვირდნენ მის ამბის სმენაზედ და ესრეთ უთხრეს: ფალაფანო, ეგეგვარი საქმე დიდად შეუძლებელია კაცთაგან და არც არავინ იშოვება შენებრ ფალაფანიო! რა გათენდა, გარდანქეშანი დიახ უცბოს ბრწყინვალეს ტანისამოსით შეიმოსა და ერთობით აიარნი თან გაიყოლა და ხელმწიფეს იახლა.

იმეამად ხელმწიფე თავის არამხანაში ბრძანდებოდა და ყაყუი ფილურსავარ ქეშიკად იღდა. და იხილა, რომ ეს აიარები ერთობით დიდის მხიარულობით ხელმწიფისაკენ მოდიან. ცოტას ხანს ყურება დაუწყო და მათს საშუალზე გარდანქეშანი იხილა, დიახ მძიმედ მორთული. მაშინვე საჩქაროდ ხელმწიფესთან შევიდა და მოახსენა: მომილოცავს, ხელმწიფეო, სწორუპოვარი ჰაბუკი გარდანქეშან გეახლათო. რა ხელმწიფემ ეს მოისმინა, დიდის მხიარულებით მა-

შინვე წამოდგა და კარსა მოეგება. რა გარდანქეშანმა ხელმწიფე წინ მოგებებული იხილა, მსწრაფლ გაექანა და ხელმწიფეს მუხლს მოეხვია და მოახსენა: ჰე, ქვეყნისა მპყრობელო ხელმწიფეო, მე მონა თქვენი რას ვლარს ვარ თქვენს წინა მოგებებასო?! ხელმწიფევი გარდანქეშანი მკერდსა მიიყრდნა და შუბლსა აკოცა და უბრძანა: ო-იღუენი ათასი წელიწადი უნდა გამოვიდეს, რომ შენისთანა ქვეყანაზედ არა დაიბადოს რაო. ხელი მოჰკიდა და შინ შეიყვანა, ერთი ხელი დიახ საუცხოვო ძვირფასი ხალათი უბოძა

რა ხელმწიფე თავის ტახტს დაბრძანდა, გარდანქეშანი თავის განწესებულს ალაგს ხელმწიფეს თავს დაადგა. და აგრევე აიარნი თავ-თავის ალაგს დადგნენ. რა რომ დიდებულთა, სარდალთა და ფალავანთა გარდანქეშანისა ხელმწიფესთან მოსვლა შეიტყვეს, ყველანი ხელმწიფის კარს მოვიდნენ და გარდანქეშანს მიესალმნენ, მერე ხელმწიფემ ბრძანა და სამხიარულოს ნალარას ჰკრეს და დიახ დიდი მხიარულება შეიქნა. მერე ხელმწიფემ უბრძანა გარდანქეშანს: ჰეი, ქვეყანასა ზედა უწარჩინებულესო და თავისა გამომჩენელო! დღეს ასეთი საქმე ჰქენ, რომ აღამიღამ მეორედ მოსვლამდისინ მაგ საქმეს სხვა ვერავინ შეიძლებს. მე შენი იმედი გარდაწყვეტილი მქონდა და რადგან მეორედ შენი თავი კიდევ ღმერთმა მომცა, ახლა ბალის ამბავი მიაშბეო! გარდანქეშან მსწრაფლ წინ იახლა და ბალის ამბავი ყველა თვითეულად მოახსენა.

რა ესე მოისმინეს, ყოველნი დიდსა განკვირვებასა მიეცნენ. მაგრამ გარდანქეშანმა კვალად ერთი მინარის ქება მოახსენა. იმ ბალში ერთი მინარა ვნახე, მე იმისთანა საკვირველი სანახავი არა მინახავს რა. იმა მინარიდამ ერთი საკვირველი ციხე დავინახე, იმის უმაღლესი არა მინახავს რა. ცალს მხარეს ზღვა აქვს. მეორეს მხარეს ერთი დიდი მინდორი უძევს და მას მინდორსა ზედა ერთი დიდი მძლავრი ჯარი დგას და ზურგი ციხისათვის მიუყუდებიათ და პირი ქიშმირისაკენ აქვსო. ხელმწიფის წინ სათქმელად დიდად საძნელოა, მაგრამ, ხელმწიფეო, არც უთქმელობა სჯობს. ხელმწიფე, თქვენი არამი იმ ციხეში პყრობილად ვნახეო.

რა ხელმწიფემა ესე მოისმინა, დიდად შესწუხდა და თვალთაგან წყაროსავით ცრემლმან დენა დაუწყო. ხოსროვშირმა რა ხელმწიფე ასე შეწუხებული იხილა და მასაც თავისი გულჩინ იქ ეგულებოდა, ესეც დიდად შესწუხდა და მეტის მწუხარებისაგან ხან ადგის, ხან დაჯდის და მთვრალს ლომსავით ბრდღვინევდა. არ იცო-

და, რას იქმნოდა. არღევან-შამაც რა ესე მოისმინა, მკერდსა ხელი იკრა, საყულო გარდაიხია და თავსა ცემა დაიწყო. ეგრეთვე ყათრანს მეტის მწუხარებით თვალეზი სისხლის ცრემლითა ავესო.

ერთობითი სხვანი ფალავანი ლომავით ბრღვინავდნენ და ზე წამოიჭრენ და ხელმწიფეს მოახსენეს: ხელმწიფეო, ბრძანე და იქი საჩქაროდ მივალთ და ქეივან-შას ის ციხე თავს დავაქციოთ და იგინი სრულიად ამოვსწყვიტოთ! შარიფ ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფეო, ნუ სწუხართ, იმათი დღე შემოკლებულა. ხელმწიფემ ტირილით მიუგო ამაზე: როგორ არ უნდა შევწუხდე? ყარამან დაკარგული მყავს და ცოლ-შვილი მტერმა წამართვა. მე ამაზე მეტი მოთმენა ილარ შემიძლიან, ხვალ უნდა წავიდეთო.

მერე შარიფმა მოახსენა: ხელმწიფეო, ჯერ უნდა გავსინჯოთ და კარგად შევრტყოთ, რომ როგორი ციხეა და ან როგორი ადგილია და მერე წაბრძანდითო. ხელმწიფემ ზე აიხედა და ქიშმირის დიდებულთა უბრძანა: ამის სიახლოვესა იმისთანა მაგარი ციხე კიდევ არისო? ამათ მოახსენეს: ხელმწიფეო, იმისთანა მაგარი ციხე ირას ქვეყანას არ იქნებო. იმა ციხესა სახელად ყალა ყარამანია ქქეიანო. შირფანჯას უბრძანა ხელმწიფემა: მსწრაფლ წადი და იმა ციხისა ამბავი ყველა წვრილად მომიტანეო. მანცა თავი დაუყრა და წავიდა. ხელმწიფემ მეჯლისი მოშალა მწუხარებით და შირფანჯას ამბის მაცურებელი იყო.

ესე ამბავი დაუტეტოთ და მცირე რამ ყარამანისა მოვიხსენოთ: რა ყარამან გაჯავრებული გაბრუნდა და დღემ და ღამემ განვლო, ერთსა წყაროსა პირსა ჩამოხდა. იმ ღამეს გაჯავრებულმა არცა სეა და არცა ჭამა და არც დაიძინა. გათენებამდისინ სულ ილოცვიდა. და რა დილა გათენდა, ლამოდა თავის შეშფაიბარზე ამხედრებასა. ერთის მხრიდამ ფრთის ცემის ხმა შემოესმა. ზე აღგა და იარალი მოიმარჯვა. ყურება დაუწყო, ნახა, რომ შვიდნი დიდებულნი ჯინისტის სარდალნი მოვიდოდნენ. რა ყარამან დაინახეს, ძირსა ჩამოხდნენ და დიდის შიშითა და მოწიწებითა ყარამანისაკენ წამოვიდნენ.

რა იგინი ყარამანმა სრულებით გასინჯა, იმათში ერთი ორმოცდა ცამეტის მწყურთის სიმაღლის მქონებელი ახალი ყრმა კაცი ფოლადისა ჯაპკითა და იარალითა შეჭურვილი იხილა. ოთხი ფრთე მწვანე ჭქონდა და თითონაც დიახ მშვენიერის სახისა იყო და თვალთა წყაროსაებრ ცრემლი გარდმოსდიოდა. და რა სააბყარანის სიახლო-

ვეს მივიდა, დავარდა და ფერხსა მოეხვია. ყარამანმა ზე ააყენა და უთხრა: ძმაო, რა გიკირს, რომ სტირი და ეგრეთ შესწუხებულხარ? შენი ამბავი მიაშბე, რომ ვინც შენ აგრე შეგაწუხა, მე იმას ამ ქვეყნიდამ მოვსპობო.

რა ეს იმედიანი სიტყვა ყარამანისაგან მოისმინა, შერე აშანაც მოახსენა: მე საბზაფარის სულტანის სეილან-ხანის ძმისწული ვარ და სახელად დალანჯინ მეწოდება. ბიძაჩემს ერთი ქალი ჰყავდა, სახელად ჰურილან ერქვა. ეს ქალი მამაჩემმა ჩემთვის ითხოვა, იმანაც მომცა. როდესაც ქორწილის მზადებაში ვიყავით, იმეამად თქვენც მობრძანდით და აქვალი დევი მოჰკალით და აპანგი ყალა ანგურ დევს უბოძეთ, იმეამად საადათის მთაში სურხაბ დევი იმყოფებოდა. ის მოვიდა, ანგურ დევი დაატუსალა და ანყაფუზ დევი მოკლა. აპანგის ციხესა და ქუი-სურხაბის მთას ის ჰპატრონობს და იმას ჰურილანის მშვენიერება სმენოდა და იმისი აშუკი შექნილიყო. სამასი ათასი ცეცხლის მფრქვეველი დევნი შეჰყარა, მოვიდა და ყაფის მთაში დასდგა. იქიდან სეილან-შას მოციქული გამოუგზავნა და ჰურილანი სთხოვა. სეილან-შამ ეს პასუხი მისცა: ჩემს ძმისწულს მივეციო.

რა იმას ეს პასუხი მისვლოდა, განრისხებულიყო და მაშინვე აპანგის ციხეში კაცი გაგზავნა და მაშინვე შეიდასი ათასი ცეცხლის მფრქვეველი დევთა ლაშქარი შემოიყარა და სავზაბარში მოვიდა. რა ბიძაჩემმა მისი მოსვლა შეიგნო, მაშინვე თავის საბძანებელიდაჲ და ფერიებისაგანაც შეწევნა ითხოვა და ესდენი ჯარი შეჰყარა, რომ რიცხვი არ შეიგებოდა. მაგრამ სურხაბ დევის პირდაპირ ვერავინ გაბედა. ფალავანო, იგი სურხაბ დევი ერთი საზარო სანახავი არის, მის ყურებას მისი წინააღმდეგი ვერ გაბედავს. ასორმოცდაცხრა მწყრთა სიმაღლე აქვს და ქვეყანაზედ იმისის მკლავის ძლიერებას ვერავინ გაუძლებს. და რა ბიძაჩემმა მისი შემბმელი ველარავინ იშოვნა, შეშინდა და ასე თქვა: ეს ჩვენც გაგვწყვეტს და ქვეყანასაც სულ აგვიოხრებსო. მაშინვე შეეხვეწა ორმოცი დღის პაემანი მომზადებისათვის.

რა სურხაბ დევმა ეს მოისმინა, მანცა ნება დართო და ლხინსა და შექცევასა ხელი მიჰყო. და მე ბიძაჩემმა სეილან-შამ მითხრა: თუ შენის თავისათვის კეთილი რამ გინდა, ახლავე წადი და ყარამანს იახელ და ეცადე, რომ აქ მობრძანდეს. როგორც მაშინ აქვალი დევი მოკლა და მუშთარი ბანო ისევ ჩემს შვილს მისცა, ახლაც ამ სურხაბ

დევს ის მოჰკლავს და ჰურიალანს შენვე გებოძებს. და თუ რომ შენ ის აქ ვერ მოიყვანე, ასე იცოდე, რომ შენ აღარა გეშველება რა, და ამ შენს დანიშნულსაც იმა დევსა მივეცე! რა ეს ბიძის ჩემისაგან გავიგონე, მაშინვე გამოვბრუნდი. ეს ექვსნივე დიდის კაცის შვილნი იმ ჩვენის სახელმწიფოდამ გამოვარჩივე, წაწოველ ქიშმირს, უშანგ-შასთან მიველ და რა თქვენ იქ ვერ გინილეთ, წამოველ და ახლა აქ თქვენს ნალახს მიწას ვეამბორე და ახლა ნება თქვენია. რა ემ მოახსენა, გულ-ხელი დაიკრიფა და დადგა.

რა ყარამან მისგან ეს მოისმინა, მაშინვე უბრძანა: თქვენ წამოყვანეთ და იქ ჩქარა მიიყვანეთ და ნახავთ, მე იმას რას უზამო! ამა სიტყვასა ზედა მოვიდნენ ჯინნი და თვით დალანჯინმა ყარამან შეისევა და მეორემ მისი შემფაიზარი და საბზათარისაკენ გაემართნენ. ხუთი დღე და ღამე იარეს და მეექვსეს დღეს უცხო მშვენიერს ალაგს ჩამოხდნენ, კარგად განისვენეს და ყარამანს მოახსენეს: აქედამ სამს დღეზედ მივალთო. ამათ უბრძანა: მე იქ დღისით ნუ შემიყვანთ, ღამე შემიყვანეთ, თორემ თუ შეიტყობს, უთუოდ გამეპარებაო.

ესე თქვა და მაშინვე სწრაფის ფრინვეთ წავიდნენ და მეოთხე ღამეს სეილან-შას ლაშქრის გვერდზედ ჩამოხდნენ, სეილან-შას მოახსენეს: სააბყარანი მობრძანდაო. მასვე წამსა ზე ადგა და თავისნი დიდებულნი თან იახლა და დიდის მზიარულებით მიესალმა. თავის ურდოში მიიწვია და კარგად განუსვენეს და მოახსენა: ვმადლობთ ღმერთსა, რომ თქვენის აქ მოსვლით ჩვენი მტერნი დაემხოზიან და იმათგან თქვენის მოწყალებით განთავისუფლდებითო. ესოდენი საუბარი მოილაპარაკეს და მერე შინ მიიწვია და ტახტსა დასხდნენ.

ზორაბ-შაჰ მოვიდა და ხელსა აკოცა და ყარამანმაც მას პირსა აკოცა და სეილან-შამ მოახსენა: ფალავანო, თუ რომ თქვენ არ მოგვსწრებოდით, სრულებით აღგვაოხრებდნენო. ამ ქამამდისინ კიდევ ძროხისფეხიანი და მარტორქის თავიანი დევნი იბრძოდნენ, რაც შეეძლოთ და ამქამამდღე იმათ შეგვამაგრეს და ახლა გმადლობთ ღმერთსა, რომ თქვენს საფარველს ქვეშ გველირსა მოწვევა და ახლა კი აღარ მეშინის მათი.

ყარამანმა გოვიფას დიდი მადლობა უბრძანა და ახლა ამათ უთხრა: ხვალ თქვენ სურხაბ დევს კაცი გაუგზავნეთ და შეუთვალეთ, რომ ქალს შენ გაძლევდი, მაგრამ ჩემი ძმისწული წასულა

რუბი მასქენს და ყარამან მოუყვანია. ახლა ამ ქალს ყარამან შენ კი აღარ გაძლევს და ჩემს ძმისწულს აძლევსო და შენ თუ იფრითის შვილი ხარ და ან ნამუსი გაქვს, ყარამანს ეს არ უნდა შეარჩინო და შენის ძალით ჰურიალანი უნდა წაართვა ყარამანსა და კიდევ მოპკლაო! ამგვარი სიტყვები შეუთვალე, ეგებისინ გაჯავრდეს და ხვალ მოედანზე საომრად გამოვიდეს და მერე მე ვიცი და იმანაო. ესე თქვეს, ღვინისა სმასა და ლხინისა ხელი მიჰყვეს. რა დილა გათენდა და ქვეყნის მაშვენებელმა მზემან სიბნელისა ფარდა დახია და თავისი სხივი ქვეყანაზე მოჰფინა, ბრძანა სეილან-შამ და სამხიარულოსა ნალარასა ჰკრეს.

რა დევთა ესე ხმა გაიგონეს, სურხაბმა იკითხა, ესე რა ამბავიაო? მათ მოახსენეს: დიდებულო და სწორუპოვარო ხელმწიფეო, ქორწილისა და პირობისა დრო მოახლოვდა და თქვენისთანა სახელოვანი მოყვარე იშოვეს და რა საკვირველია, რომ ახლა მხიარულად იქნებიანო. ამ სიტყვებზედა დიდად გაამაყდა და თქვა: ჩემისთანა ძლიერი, ვეჭობ, ხმელეთზე არავინ შობილიყოსო. ამა სიტყვაზედ სეილან-შას ელჩი მოვიდა, მდაბლად თავი დაუქრა და სეილან-შას და ყარამანის შემოთვლილობა ყოველივე თვითეულად უამბო.

რა იმ წყეულმა. დევმა ესე ამბავი მოისმინა, დიდად განრისხდა და მხრებსა კბილითა გლეჯა დაუწყო და დევთა უთხრა მოედანთა გასვლა. და ურიცხვი დასტა და დასტა გავიდა. ამ დევთა ხეთქებამ მტვერი აუშვა, რომ ჰაერი სულ შეჰკრა. რა სეილან-შამ ესე საქმე მოიხილა, თვისთა დიდებულთა უბრძანა და ყოველნიც საჩქაროდ მოედანსა გამოვიდნენ. ცალსა მხარესა დევთა ლაშქარი დააყენა და შუას ალაგს, სადაც ნალარა იკროდა, იქ ყარამან მივიდა.

რა სურხაბ ყარამან იხილა, დიდად განრისხდა და მსწრაფლ ცხენით მოედანსა გამოეთამაშა და დიდის ხმითა სეილან-შას შემოსძახა: ჰეი, შე უმსავესო, შენ ყარამანით როგორ მაშინებ? შენი ქვეყანა რომ სულ მაგისთანებით აავსოო, მაინც მე ვერას მავნებო. ყარამანს ეგება ამისთვის მოსწონდეს თავი, რომ ათარ დევი მოკლა. აბა თუ კი ფალავანია, მოედანზედ გამოვიდეს და თამაშას გაჩვენებო. ყარამანმა შესძახა: ჰე, შენ წყეულო, ამათსავით შენც თავში იწევ, მაგრამ ძალითა საბოთისათა შენც მათს კვალს გამოგიყენებო.

რა ესე თქვა. ყარამან მოედანსა გამოვიდა საომრად. იმჟამად გოვიფამ დაასწრა და მარტორქა გაქუსლა და სურხაბს მიუხდა. სურხაბმა დიდად გაიკასკასა და უთხრა: შენც შენი თავი ფალავანი

გგონია და მოედანსა გამოხველ საომრადაო? ესე უთხრა და თავსა ერთი მძიმე რკინის კეტი დაჰკრა და სიმხნით გარდაურჩა. მეორეცა და მესამეცა დაჰკრა და მასცა გარდაურჩა. რა რიგი გოვიფას ერგო, თავისი მძიმე რკინის კეტი მანცა თავსა დაჰკრა. სურხაბ ცალი ხელი მის მოქნეულსა კეტსა მიაშველა, მაგრამ ვერ შეიმაგრა და შუბლსა მოხვდა. და ოთხი თითის ოდნად შეჰკვეთა და წელშიაც მოჰხარა. მერე ეს წყეული განრისხდა. ცალის ხელით კეტი მოუქნია, ესეთი ძლიერად დაჰკრა, რომ გოვიფას ცხვირიდამ და პირიდამ სისხლი შესქდა და მარტორქასაც წელი მოსწყდა და ორნივე მიწასა დაეცნენ, ლამოდა სურხაბ, რომ მეორეც დაეკრა და მოეკლა.

რა ეს ყარამანმა მოიხილა, ესეთისა საშინელითა ხმითა შესძახა, რომ სრულიად იგი ლაშქარი ერთმანეთსა ეცა. რა სურხაბს ესე ხმა ესმა, იგიცა უცნობო შეიქნა და გოვიფაზედ ხელი აიღო და განცვიფრებული იდგა. ყარამანმა გოვიფა წამოაყვანიდა და თვით სურხაბის სიახლოვეს მივიდა და სალამი მისცა. მან წყეულმა სალამი არ ჩამოართვა და ესრეთ უთხრა სიცილითა: ყარამან, თუ ეგრე გეშინიან, ადამიანთ სამყოფიდამ აქ რად მოხველ ჩემად საბრძოლად? თუ რომ შენ აქ არ მოსულიყავ, მე იქ შენს სახლში ვაპირებდი მოსვლასა და იქ უნდა მომეკალო!

რა ყარამანმა ესრეთ მოისმინა, დიდად განრისხდა და შეუძახა: ჰეი, შენ წყეულო სატანავ, ჩემგან შენ სალამის მოცემა ასე გგონია, რომ შენის შიშით მომსვლოდეს?! ესრეთ სალმის მიცემა ფალავანთა წესია. შე უმსგავსო, ცოტა მომიცადე და შენს თამაშას ნახავო. რა ყარამანისაგან ესე მოისმინა, იგი ბილწი დიდად განრისხდა და თავის მძიმე კეტი თავსა შემოივლო და ლამოდა თავსა დაეკრასა. ყარამანმა ქეიმორას ხელმწიფის ნაქონი გურზი მის კეტსა შეუფარა და ესე ძლიერად მოხვდა. რომ ორნივე მისმა ცეცხლმა დაჰვარა და შეშფაიბარ კოკებამდის მიწაში დაეფლა. და საჩქაროდ ქუსლი ჰკრა და განზე გაიყენა.

რა წყეულმან ყარამანის ესე უვნებლად გარდარჩომა იხილა, კვალად მეორეცა და მესამეცა უძლიერესად დაჰკრა, მაგრამ უვნებლად გარდაურჩა. რა რომ რიგი ყარამანს ერგო, თვისსა გულში თქვა: მოდი, ამას ასე ნუ მოვკლავ და ეგებ ისინი დამმორჩილდესო. ყარამანმა თვისი გურზი რამდენიმე მსუბუქად დაჰკრა და ლამოდა იმა ღვეისა დამორჩილებასა. საღამომდინ ესრეთ იბრძოლეს და ოცდამოთხი იარაღი ერთმანეთსა დააღეწეს.

სურხაბმა უთხრა ყარამანსა: დღეს შენმა ბედმა გამსახურა, რომ ცოცხალი გარდამიჩრი. და თუ მამაცი მებრძოლი ფალავანი ხარ, ხვალ ნუ გამეჭყევი, მოედანსა გამოდიო! ამა ხმისა გამგონი ყარამან სიცილითა გამობრუნდა და ორისავე მხრის ლაშქარი თავ-თავის მხარეს წავიდნენ. რა შინ მივიდა, სეილან-შამ მრავალი თვალმარგალიტი ყარამანს თავს დააყარა და იგი ღამე ლხინით გაატარეს.

რა დილა გათენდა. ორსავე მხარეს დასტები დააწყვეს. და იგი ფალავნები საღამომდინ იბრძოდნენ. ამ ბრძოლით სამი დღე შეუსრულდათ. მეოთხეს დღეს ყარამანმა შესძახა: სამი დღე მისთვის გაცალე, სურხაბ, და არ მოგკალი, შენი დამორჩილება მეწადა და საბოთ ღმერთი გეცნაო და აწ მე უბრალო ვარ, ახლა კი გამიფრთხილდი! რა სურხაბმა 'ესე მოისმინა, დიდად განრისხდა და შემოუძახა: ჰოი, შე უმსგავსო, შენ რა შეგიძლია, რომ მე შენ მულათი მომეც და ამ შუას მოედანზე მაგისტანა სიტყვით მელაპარაკებო?!

ყარამანმა შეატყო, რომ ის უხმლოდ არ დამორჩილდებოდა და თავის ბასრსა ჰმაღლა ხელი მიჰყო, რომელსაც სახელად თილი ყამყამი ეწოდა, და შესძახა: გამიფრთხილდი, შენი აღსასრული მოვიდაო! მან რკინის კეტი თავსა იფარა და იგი კეტი ორად განკვეთა და თავსა მოხვდა და მარტორქის მოსართავსა დაემღერა და იგი დევო და მარტორქა ოთხად გაჩეხილნი მიწასა დაეცნენ. და სანამ დევო მიწას დაეცემოდა, სიტყვით ეს მოისწრა: შაბამ შენი მკლავის ძლიერებას, რომ შენისთანა ძლიერი ფალავანი ხმელეთზედ არ გამოსულაო! ესე თქვა და იგი ბილწი მსწრაფლ მოკვდა.

რა ესრეთ იხილეს სურხაბის დევთა, ერთობით ყარამანს შემოუტიეს. და რა სეილან-შამ ესრეთ იხილა, თვისთაც ლაშქართაც ანიშნა და ერთმანეთსა შეუტიეს. და შეიქნა სრვა ორივე მხარედამ. მერე ყარამანმა ერთის მადლისა ხმითა სახელი ღვთისა ახსენა და დევთა შეუტია. რა დევთა მისი მრისხანე სახე იხილეს, დიდად შეშინდნენ და ყველამ ხვეწნა დაუწყო: სააბყარანო, შეგვიწყალე, ნუ ამოგწყვეტ! ჩვენ აჰანგის ციხელნი ვართ და შენნი მონანი. ერთმან წყეულმან ძალად დაგვიმონა და ჩვენ დანაშაული არა გვაქვს რა. მოვიდნენ ყველანი და ყარამანს ხელთა აკოცეს და დამორჩილდნენ.

მერე ყარამანმა მათ დევთა უბრძანა: ჰე, დევნო, ანგური ნარა ტუსალად სად არისო? დევთა მოახსენეს: იგი აჰანგის ციხეში არის ტუსალად. ბრძანა: ორი უფროს დევი წავიდეს და ახლავე იგი ტუსალი აქ მომგვარეთო! საჩქაროდ გაცვიდნენ. მერე სეილან-შა მო-



ვიდა და ყარამანს თაყვანი სცა და გამარჯვება მიულოცა. წინ გაუძღვა და თავის სადგომს მიიყვანა. ყარამანმა დილანჯინს თავისი საცოლე მისცა და ქორწილის თადარიკში შევიდნენ.

ლხინსა და განცხრომსა შეექცეოდნენ და რამდენსამე ხანს უკან ანგურ ნარა მოიყვანეს და ყარამანს მუხლსა აკოცა და ყარამანმა თავისი ციხე ყალა აპანგი მასვე უბოძა. მერე დევი მოიყვანა და სეილან-შას სპასალარად დაუდგინა და იმისი ჯარი მას მიაბარა. ორმოცი დღე ქორწილის ლხინი ნახეს და გარდაიხადეს. მეორემცეს დღეს დალანჯინს ყარამანმა ხელი ჩამოართვა და იგი მნათობი ჰურიალანი სადაც იმყოფებოდა, იმის სადგომს მიიყვანა და იგი ორნი ერთმანეთის აშიკნი ერთად შეჰყარნა და დალოცა და გამობრუნდა და ლხინსა შეექცა და განსვენებასა.

ყარამანის ამბავი აქა დაუტევეთ და ახლა იმავე ყარამანია ციხის ამბავი მოიხსენეთ: იმჟამად უშანგ-შამ შირფანჯა ყარამანია ციხისაყენ რომ გაგზავნა ამბის საცნობელად; რა შირფანჯა ყარამანია ყალაში შევიდა და შიმალ-რაიაზამ ხელმწიფის შვილი ჯავანბახტისა ყოფაქცევა და ყოველივე ამბავი წვრილად შეიტყო, ძაწრათლ წამოვიდა და უშანგ ხელმწიფესა მოახსენა. მასვე წამსა ბრძანება გასცა და საომარისა იარაღითა შეიჭურვნენ და მოემზადნენ. ყათრანს უბრძანა: ათსაოღე დღეს შენ აქ მოიცადე, ეს ქვეყანა დაიცე! და მერე იქილამ კანს დროს დაგებარებო. ყათრანს ქიშმირი ჩააბარეს და თითონ საჩქაროდ გასწივეს და ყალაიე ყარამანისკენ ვლეს.

იქით მხარეს ქეივან-შა და ჯავანბახტ ციხის სიახლოვეს იდგნენ სიმავრეში და უშანგ ხელმწიფის მოლოდინი ჰქონდათ. და რა უშანგ ხელმწიფე მიბრძანდა, ნახა, რომ უკიანეს ზღვის პირსა ერთი მყარი კლდე ამოსულიყო და წვერი ცისათვის შეესწორებინა, და სამკუთხედ კედელი ჰქონდა და საშუალ კლდეზე ერთი ციხე აეშენებინათ, შემხედავი თვალს ვერ შეაწვდენდა. იმ ციხეს ცალ მხარეს უკიანეს ზღვა ჰქონდა და მეორეს მხარესაც ირმალის ზღვა. და ამ ციხეს მეოთხეს მხარეს დიდი მინდორი ჰქონდა წინ მდებარე, ცხრაასი ათასი კაცი იყო ჩამომხდარი და იდგა იანე მოწყობილობითა და ურდოებით. იქილამ ციხემდის შვიდასი ფეხის კიბე იყო ასავლელი.

რა უშანგ ხელმწიფემ და მისთა ლაშქართა იგი ციხე ესრეთ გასინჯეს, დიდს მწუხარებას მიეცნენ და ეს თქვეს: ამ ციხის აღება არას კაცისაგან არ შეიძლებაო. და ამას დიდად სწუხდნენ: იგი ჩვე-

ნი ტყვეთქმნილნი ბანოვანნი როგორ დავიხსნათო? ესე თქვეს და არა მკარე მწუხარებას მიეცნენ. უშანგ ხელმწიფეც მობრძანდა და ცალ მხარეს ზღვის პირს ჩამოხდა და ორივე ლაშქარი ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ. რა ციხეში მყოფთა ხალუმთა უშანგის მოსვლა იხილეს, დიდად გამხიარულდნენ და თქვეს: გარდანქეშანი ამ პყრობილობიდან ყველას გვიშველისო. დიდი იმედი დაიდევს.

იქით მხარეს ინდნი შემოკრბენ და სრულებით ჯავანბახტს იახლენ და უშანგის ჯარის ამბავს ლაპარაკობდნენ. მერე მოახსენეს: ყარამან და ყათრან აქ არ არიანო. რა ეს შეიტყვეს, დიდად იამათ და მსწრავლ ყარაიაფმა, რომელიც რომ ინდოეთის სპასპეტი იყო, იმან მოახსენა: ხელმწიფეო, ბრძანეთ და ლაშქარი საომრად მოედანს გავიდეს, რომ უშანგის სახელი ეხლავე ქვეყანაზე ავხოცო! რა ეს მოისმინა, ქიოვან-შამ დიხა შორს დაიჭირა და უთხრა: ფალავანო, ყარამან თუ აქ არ არის, ხოსროვშირ ხომ აქ არის?! შენ კარგად იცი, რომ ყარამიჯინი, იმისთანა ძლიერი ფალავანი, იმან დაიმონა?! და თუ რომ ყათრან აქ არ არის, ბარამ ჯიბილი ხომ აქ არის?! და ესეც ხომ კარგად იცით, რომ უშანგს მრავალი სწორ-უპოვარი სხვადასხვა ფალავანნი ახლავან და ჩვენ რომ ცოტა მოვიცადოთ, ისი სჯობსო. რა ეს მოისმინეს, ყველას იამათ და დიდად მოეწონათ.

რა დილა გათენდა, უშანგ ხელმწიფე და ფალავანნი შესხდნენ ცხენსა და ციხის სიახლოვეს მოკიდნენ და კარგად გასინჯეს, მაგრამ ვერას მხრიდამ იმ ციხეზე მისვლის გზა ვერ იპოვეს. და ამაზე დიდს მწუხარებას მიეცნენ და გამობრუნდნენ და შინ მოვიდნენ. და საომარისა იარაღითა შეიჭურვნენ და მივიდნენ ერთობით, მაგრამ ვერც ამათ გაბედეს იქით მხარეს გასვლა, და ვერც ამათ გაბედეს აქეთ გამოსვლა. სამი თვე ისე იბრძოლეს და ვერა რომელმა აჯობა. მათ ინდთა ზურგი ციხისათვის მიეყრდნათ. და წინ ერთი წყალი ჩამოუდიოდათ, ასე რომ უშანგის ლაშქრისაგან უფიქრებლად იდგნენ. და უშანგ ხელმწიფე დიდად შეწუხებული იყო, რომ ვერას ბრძოლით ვერც ის ციხე აიღო და ვერც სირცხვილით თავისი არამხანა იქ გაუშვა. და ამაზე დიდად სწუხდა და იცრემლებოდა ხელმწიფე.

რა გარდანქეშანმა ხელმწიფის ესრეთ შეწუხება მოიხილა, მივიდა და მუხლსა მოეხვია და ეაჯა: ხელმწიფეო, ნუ შესწუხდებით, ამ სამს დღეს დამითხოვეთ, ან იმ ციხეს ავიღებ და იმ პყრობილით

განვათავისუფლებ და ან ჩემს თავს თქვენს სამსახურზე წარვაგებო! მერე ხელმწიფემ უბრძანა: გარდანქეშანო, ცალ მხარეს ჩემის ცოლ-შვილის მწუხარება მკლავსო და მეორე მხარეს ახლა კიდეც ეგ შენა მწუხარებაც ზედ დამერთვის და ეგ არ შეიძლება, დამეხსენო! გარდანქეშანი კიდეც შეეხვეწა და მოახსენა: ხელმწიფეო, ამ სამს დღეს დასტური მიბოძეთ, ასე ვსთქვათ, რომ სულეიმანის ბაღში მომკვდარვარ, თავი დამანებეთო! ესე მოახსენა და გარეთ გამოვიდა.

რა გარდანქეშანისაგან ფალავანთა ესრეთ მოიღმინეს. დიდად გაოცდნენ. გარდანქეშან შინ მივიდა და რამდენიმე თავის აიარნი თან გაიყოლა. ამ ციხეს გარს შემოუარა, მაგრამ ვერას მხარეს შესვლის გზა ვერ ჰპოვა, მერე ცოტას ხანს დაფიქრდა და ეგრეთვე ციხეს ჩხრეკა დაუწყო და ნახა, რომე ერთი მდინარე იმავე ზღვას ერთვის და იმ ზღვის შესართავ ალაგსა ერთი დიდი ქვა არის და ამ კიხილამ იმ ქვასთან ერთი ვიწრო გზა ჩამოვა; და იმ კლდის თავს ერთი ფანჯარა არის იმავე ციხისა. გარდანქეშანმა სრულებით იგი ფანჯარა გასინჯა და ნახა, რომე ესრეთ მაღალი იყო, ქვევიდამ კაცი თვალს ვერ შეაწვდენდა. იმ დღეს სულ იმ ფანჯარას უყურა.

რა დაღამდა, ციხილამ ერთი კაცი გამოვიდა და იმ კლდის პირსა მოვიდა, იგი ფანჯარა გააღო და რამდენიმე წყლის ჭურჭელი ჩამოუშვა და ზღვიდამ წყალი აზიდა. და რა ესე გარდანქეშანმა იხილა, დიდად გამხიარულდა და ღმერთსა ცრემლით მადლობა შესწირა და თავის აიართ უთხრა: ჰეი, ძმანო, მე ამა ციხის აღების წამალი ვიპოვეო! შირფანჯამ მოახსენა: როგორ იპოვნე, ჩვენც გვაცნობეო! გარდანქეშანმა იგი ფანჯარა დაანახვა შირფანჯასა და იქილამ წყალი ვითარ აქონდათ ყველა აჩვენა და უთხრა: ეს მდინარე ამა კოშკისაკენ რომ მიდის. მე ამას ცურვით გავყვები და იმა ალაგსა მივალ, სადაც რომ ფანჯრიდამ თოკი ჰკილია. იმ თოკზე გავალ და იქილამ იმ ციხეში შევალ და იმ ციხეს ავიღებ და ჩვენს ხელმწიფეს ვასახელოვნებ და ან ამ საქმეზე ჩემს თავს წავაგებო!

შირფანჯამ უთხრა: გარდანქეშანო, ეგე რჩევა მეტად ძნელი რამ არის. პირველი ეს, რომ ამ წყლის სიგანეს ხომ კარგად ხედავ, როგორი თვალმიუწოდომელია? მეორე, სიღრმე იმ წყლისა, და მესამეც, ამისივე ასე ჩქარა მომდინარეობა, რომ კაცი თვალს ვერ მოასწრებს! სწორედ რომ იქამდისინ ცურვით მიაწიო, იმ ალაგს ან კლდეს შეგავლეჯს, ან ზღვას შეგრთავს და ხომ დაითრგუნება შენი ძლიერი ჭაბუკობა? და თუ რომ ვინ იცის, იხმარე დიდი ძლიერება

და მიაღწიე იმა თოკამდისინ, ვსთქვათ, რომ თოკზედაც გახვალ, ვა-  
ჟო, იმ ფანჯარასთან ვინც კაცი დაგიხვდება, ხომ მაშინვე ქვას და-  
გიშვებს და იმითი მოგკლავს? ჩვენ მაგა რჩევის ყაბული არა  
გვაქვს, მაგ საქმეს ნუ იქო!

შეატყვეს, რომ არ იშლიდა, მერე ერთობით მივიდნენ და მუხლს  
მოეხვივნენ და ეაჯებოდნენ ტირილით: ამა საქმეზე ხელი აიღეო!  
არ დაიშალა და საჩქაროდ ტანთ გაიხადა, თავსა დაიხვია, ამათ ყვე-  
ლას გამოსალა და ანდერძი უთხრა: ხელმწიფე და ყარამან და  
ხოსროვშირი ნუ დამივიწყებს და ეგრეთვე სხვანი ფალავანნიო! და  
ესეც უთხრა: ჯერ ცოტას ხანს მიყურეთ და მერე თქვენს გზაზედ  
წადით და ხვალ ამავე ალაგს მოდით და იმა ფანჯარას უყურეთ. თუ  
რომ მე ცოცხალი იქ ავსულვარ, იცოდეთ, რომ მე იქილამ თქვენ  
ნიშანს მოგცემთ. და თუ ცოცხალი ვერსად გარდავრჩები, ამაზე  
თქვენც ასე სცანით და თქვენს თავს გაუფრთხილდითო!

ესე უთხრა და მსწრაფლვე წყალში შესცურდა. მცირეს ხანს  
უყურეს. რა თვალთ ველარ დაინახეს, ესენი შინათკენ წავიდნენ და  
ესე ამბავი ყოველივე ხელმწიფეს მოახსენეს. რა რომ შეიტყვეს,  
ხელმწიფე და დიდებულნი ერთობით დღღსა მწუხარებასა მიეცნენ  
და ღმერთსა ევედრებოდნენ და მის ფანჯარისაკენ თვალი ექირათ.

გარდანქეშანი რა თვალთა მიეფარა, დიდის ცდითა და გარჯით  
იმა ალაგს მიაწია, სადაც რომ ფანჯრილამ წყალს იღებდნენ თოკი-  
თა. რა იქ მივიდა, საჩქაროდ თოკსა ხელი მოავლო და მკლავს გარ-  
დაისვა და მითი შემაგრდა. ცოტას ხანს მოისვენა დაღალულობისა-  
გან. მერე იმა თოკსა გავიდა და ფანჯარის პირდაპირ აცურდა. მას-  
თანვე ფანჯრის სიახლოვეს იხილა ერთი რკინის რგოლი, კედელ-  
ზედ დემაგრებინათ, თოკი ხელილამ გაუშვა და მას რგოლსა მოე-  
ქიდა და ცალის ხელით ჩამოეკიდა. რა ძირს ჩაიხედა. ასე მალსა  
ამოსულიყო, რომ იქიდან წყალს ველარ ხედავდა და ამ სიმაღლეთ  
ამოსვლამ დიდად შეაშინა და თქვა: ვაი, ჩემო თავო, რა ულაგოს  
ალაგს მოგკალო!

ამასვე ეამსა იგი წყლის ამომღები კაცი, რომელიც აქ მიეჩინათ,  
მას წყლის ქურჭელი გასტეხოდა და სხვის მოსატანად გაიქცა. რა  
გარდანქეშანმა იგი კაცი ამ სახლიდამ გასული იხილა, ჩუმად  
ღმერთსა მადლობა მისცა და საჩქაროდ ამ ფანჯარის პირს გამო-  
სწვდა. ხანჯლის წვერით ფანჯარა გამოადო და ღვთის სახელი  
ახსენა და ამ სახლში შეიჭრა. საჩქაროდ ტანთა ჩაიცვა, მიიხედ-მოი-

ხელა. ამავე ფანჯარასთან ოთხასი ცარიელი ქვევრი იდგა. ამა ქვევრის პირზედ ჩარხი მოემართათ და მას ჩარხსა ერთი ცხენი აბრუნებდა და წყალი ამითი აპქონდათ. გარდანქეშანმა რა ესენი ასე მოიხილა, საჩქაროდ ფანჯარა ისევ დაკეტა და თითონ ერთს ქვევრს ამოეთვარა.

მცირეს ხანს უკან იგივე წყლის ამომღები კაცი მოვიდა. ხელთა ორი წყლისა ჭურჭელი ეჭირა და თითონ მასვე ერთი დასტა კაცნი უკან მოსდევდნენ წყლის წასაღებად. რა მოვიდნენ, ქვევრიდამ წყალი ამოავსეს და წავიდნენ. გარდანქეშანმაც ერთი ძველი წყლის ჭურჭელი იპოვნა. მანცა წყალი ამოიღო და მათში გაერია. რა ციხეში შევიდნენ, ყველანი თავ-თავის მხრისაკენ წავიდნენ და გარდანქეშანიც ერთის ნასახლარისაკენ წავიდა და სალამომდინ იქ მიეთვარა.

რა დადამდა, ესევე წყლის ჭურჭელი ხელთ იპყრა და ციხის კარისაკენ წავიდა. რა მიახლოვდა, იხილა, ამ სალამოთიც იქიდამ წყალი ამოაქეთ. რიგი მიდის და რიგი მოდის, ესეც წავიდა და რა მას სახლში შევიდა, ერთს ქვევრს ამოეთვარა. ყველანი გამოვიდნენ: ის იქ დარჩა და ვერ იხილეს, ცოტა ხანს უკან გარდანქეშანი ამ ფანჯარასთან მოვიდა, გამოაღო და შამ-ჩირაღი აანთო და მათ აიართა დანახვა.

რა მათ ამ ფანჯარაში სანთელი იხილეს, მსწრაფლ შირფანჯამ ტანთა გაიხადა და ზღვასა შეტურდა და იმა კოშკისა ალაგს მიაწია და თოქსა ხელი მოავლო. გარდანქეშანმა საჩქაროდ თოქსა აზიდა და ფანჯარაში შეიყვანა, ერთმანეთს მიესალმნენ და გარდანქეშანმა შირფანჯას უთხრა: ამალამ შენ აქ დასჯექ, ნუ გეშინია, არავინ მოვა. მე საჩქაროდ ჯარში წავალ და რამდენსამე ფალავანს აქ მოვიყვანო. საჩქაროდ თოქს ხელი მოავლო და ძირს ჩავიდა. იქით იმ აიარებს მიესალმა და საჩქაროდ ხელმწიფეს იახლა. ყაჰყაი ფილურსავარ შევიდა და ხელმწიფეს ამახარობლა, გარდანქეშანს გაიხლათო. ხელმწიფეს დიდად იამა და მკერდსა მიიყრდნა და ორსავე თვალსა აკოცა. და მერე ციხესა შესვლის ამბავი მოახსენა და ყოველთა სარდალთა და ფალავანთა დიდად გაუყვირდათ. და ქება შესასხეს და ხელმწიფეს მოახსენეს: ამბადაც არავისაგან გაგვიგონია, რომ ამისთანა სწორუბოვარი აიართა სარდალი თქვენ გახლავანთო.

რა ესრეთ მოიუბნეს, გარდანქეშანმა მოახსენა: ხელმწიფეო, ოთხასი ფოლადით შეჭურვილი ფალავანი ახლავე უნდა მიბოძოთო. ხელმწიფემ უბრძანა, რომელიც შენი ნება იყოს, ისინი აღარჩიე და

თან გაიყოლო. გარდანქეშანმა პირველად ხოსროვშირი აღარჩია, მერე ჯავანბახტი და ყაზანფარ ხათაი და სხვანი ოთხასნი ჩინებულნი ფალავანნი ფოლადითა შეჭურვილნი წაიყვანა. რა მას კოშკისა სიახლოვეს მივიდა, აღრევე ჰქონდა ნავების ალაგი შეთვალეიერებული. საჩქაროდ ტანთ გაიხადა, ზღვის ტოტსა გაცურდა და რამდენიმე მეთევზეთ ნავები ჰპოვა და ერთმანეთს მიაკრა და იგი ფალავანები იმავ კოშკის ძირში მიიყვანა, სადაც თოკი იყო დამოკიდებული. პირველად გარდანქეშან აიყვანა შირფანჯამ, მერმე ერთობით თავის აიარნი და სარდალ-ფალავანნი საჩქაროდ აასხეს.

რა რომ ერთობით თოკი მოიყარეს, მერე გარდანქეშანმა მოახსენა: სარდალნო და ფალავანნო! ახლა გათენებამ მოატანა და უნდა დავიმალნეთ. წყლის მზიდველნი მოვლენ და თუ რომ შეგვამცნიეს, ველარც ერთი ცოცხალნი ველარ გარდაუტრჩებით. აგი პირველი წყლისა ამომზიდავი კაცი როგორც მოვიდეს, მასვე წამს უნდა მოვკლათ და ტანთ გავხადოთ, და ზღვაში გარდავადოთ და მისი ტანისამოსი ჩვენ უნდა შევიმოსოთ და ხელთა წყლის ჭურჭელი უნდა დავიკვიროთ, წყლით ავავსოთ და ამა ციხეში ისე უნდა შევიდეთ. რამდენი მეწყლე მოვიდეს, ამას ალაგს ერთი ცოცხალი არ გაუშვათ. ხუმრობა არ არის! მათი ტანისამოსი თქვენ უნდა შევიმოსოთ და აგრევე წყლის ჭურჭელიც თქვენ უნდა ხელთ იპყრათო.

ამათაც დიდად მოეწონათ და ხოსროვშირმა უთხრა: რომელიც შენი ნება იქნება, ჩვენ იმას აღვასრულებთო! რა ეს ლაპარაკი დაასრულეს, იგი უბედური წყლისა ამომღები მოვიდა და ამა სახლში შემოვიდა. რა ესენი ამა ალაგს იხილა, გაოცდა და მალლისა ხმით დაძახებას აპირებდა, რომ მეციხოვანთ შეეტყოთ, მაგრამ მსწრაფლად შირფანჯა აიარმა ყიასა ხელი სტაცა და სული ამოართვა, გააშიშვლა და ზღვაში გადაუძახა. მერე უმრავლესნი იმა ციხეში მცხოვრებნი ჩვეულებისამებრ წყლის მოსატანად მას სახლსა მოვიდნენ. და ამათ ჭურჭელი ჩამოართვეს, თავი მოჰკვეთეს და წყალში გადაუძახეს.

რა რომ მათის ხოციით მოიცალეს, მერე იგი ძველებური მათი ტანისამოსი ჩაიცვეს და ყველამ ხელთა წყლის ჭურჭელი დაიკირა და ციხის კარისაკენ გარდანქეშან გაუძღვა და ციხეში შევიდნენ. ვერაინ რას მიხვდა. ამათ ერთი ნასახლარი უპოვა, ერთობით იქ მიიყვანა და უთხრა: თქვენ აქ მომიცადეთ, მე წავალ და პყრობილთ სახლს მოვსძებნი და იმათ ვნახავო. საჩქაროდ გამოვლო. ერთ ბანში

ჩაიხედა, დიხახა დილმად დედოფალი, გულჩიხი და სხვახი სულ ერთად შეყრილან და ყველანი თავ-თავის მწუხარებას ერთი მეორეს მოუთხრობდა და ტიროდნენ. იმეამად დილმად ხათუნმა უბრძანა მათ პყრობილთა: ეს არ გიკვირთ, რომ გარდანქეშანმა ასე დაგვივიწყაო, რომ აღარ მოგვიგონა. ის შემძლებელი არის, რომ მოინდომოს, ერთს ცამდინ ავა და თუ უნდოდეს, აქ როგორ ვერ გვხანავდლაო?

რა ეს გარდანქეშანმა მოისმინა, მაშინვე იდუმალ ძირს ჩამოვიდა და კარი გააღო და მათ პყრობილთა მიესალმა და მოახსენა: თუ რომ ერთს ცამდე ასვლა მართლა არ შემეძლოს, აქაც ხომ ვერ ამოვიდოდით?! რა გარდანქეშან ასე უცბად გამოეცხადათ ამა ლაპარაკზე, დიდად შეჰკრთნენ და მერე მსწრაფლ სიხარულის გონება შემოიკრიბეს და ყოველნი მიესალმნენ და ერთმანეთსა თავიანთი გარდასავალი უამბეს. გარდანქეშანმა მოახსენა: დილმად ხათუნო, ჯავანბახტ და ქეივან-შა მომგვარეთ აქ, რითაც გზით იყოსო! ამათ მიუგეს გარდანქეშანსა და უთხრეს: ყოველს ღამეს კაცს გვიგზავნის ჯავანბახტ და ქეივან-შა და გვეხვეწება, გულჩინს ჯავანბახტ ითხოვს საცოლოდ და ქეივან-შა ჩინეთის ხელმწიფის ქალსა, მაგრამ ჩვენ ნება არ დავრთვეითო.

გარდანქეშან რა ესე გაიგონა, დიდად მზიარულებას მიეცა და ვედრებით მოახსენა: ნება დართევით და ახლავე მოიწვიეთ და მე აქ დავიმალევი, ეგების მოვიდნენო. დილმად ბანოვანმა ერთსა მხევალსა უბრძანა: შენ ახლავე საჩქაროდ წადი და ჯავანბახტს და ქეივან-შას ამხარობლე. რომ ნება დაგვირთავს-თქო და ახლავე საჩქაროდ ორნივე აქ მობრძანდნენ. რა ესე მან მხევალმა მოისმინა, თავი დაუტკრა და საჩქაროდ ციხის კართან მივიდა და მეკარეთ უთხრა: მზად იყვენით, რომ ხელმწიფის შვილი უნდა მობრძანდესო. აქ ამათ ეს უთხრა და ხელმწიფის კართან მივიდა.

რა მათ ესე იხილეს. დიდად იამათ და ხელმწიფეთ აახლეს, და რა მოახსენა ბანოვანთაგან ნების დართვა. დიდად დამზიარულდნენ და ორნივე საჩქაროდ მოემზადნენ და ორასი ყულუხჩი თან გამოიყოლეს და მას სასახლეში მობრძანდნენ, სადაც ეს ბანოვანი იდგნენ. იგინიც წინ მოეგებნენ და პატივი თავ-თავის ალაგს გარდაიწვიეს. დასხდნენ და მეჯლიში გამართეს.

იმეამად გარდანქეშანმაც იგი ფალავანნი მოიყვანა ერთობით და იმ სასახლისა ერთსა მხარესა დამალა და ესრეთ უთხრა: როდესაც

ჩემგან ნარას გაწევის ხმა მოგესმათ, მაშინვე საჩქაროდ ციხის კარებს მიაშურეთ და როგორც შეგეძლოთ, ისე ხოცეთო. ესე უთხრა და შიგნით შევიდა. იღუმალ ყურებით გასინჯა, რომ ჯაენაბახტ და ქეივან-შა დამხსლარან და ეგრეთვე ბანოვანნი და გულჩინსაც ეხვეწებინან, რომ იმათთან დაბრძანდეს.

დიღმად დედოფალმა უკუმოიხნედა ფარვით და გარდანქეშან ჩქ მდგომი იხილა. ზე ადგა და ამა დედოფალმა მათ ორთა ხელმწიფეთა ესრეთ მოახსენა: ამა ბანოვანთა ერთობით დიდად სურთ, რომ თქვენ სიახლოვეს ისხდნენ და თქვენთან შეექცნენ, მაგრამ ჩვენ ერთობით გარდანქეშანისა დიდად გვეშინიანო. ამათ დიახ მრავალი იცინეს და უთხრეს: თუ რომ თქვენგან კი წყალობა დაგვემართება, გარდანქეშან რას გვიზამსო?! ჯერ კი შემოგეთვალათ და ახლა კი გაგვიმტყუნდით? სიკეთე გვიყავით, აქ მოგვასხით და ახლა კი სატანჯველში ჩაგვყარეთო! დიღმად დედოფალმა უთხრა: მაგ სიტყვას რომ ლაპარაკობთ, გარდანქეშანისა არ გეშინიათ და ან თქვენს თავს რა მოსავალიაო, არ იციითო? მერე მათ უბრძანეს: რას ამბობ, გარდანქეშან ათასის ხელოვნებით რომ ეცადოს, ამ ციხიდან ერთს ქვასაც ვერ გაიტანს. და იმისთანა ბიჭს ჩვენ მოსამსახურედ არც კი ვიკადრებთ, თუ არ წყლის მზიდველადო!

რა ეს გარდანქეშანმა მოისმინა, ასე ეწყინა, რომ მთვრალს სპილოს დაემსგავსა და ერთის საშინელის ხმით ნარა გასწია და შეჰყვირა და ამ ორთავე ხელმწიფეთ შემოუტია და უთხრა: მე ვარ გარდანქეშანი და უწყალოდ თქვენისა სისხლისა დამღვრელიო! რა ესრეთ იხილეს, ორნი ესრეთ შეშინდნენ, რომ ძრწოლა შექნეს და ომი ვედარ გაუბედეს. მსწრაფლ გულხელი დაიკრიფეს და ეხვეწებოდნენ, ნუ დაგვხოცო. მათ საჩქაროდ ორთავე ხელები მაგრა დაუკრა.

რა მათ ფალავანთა გარდანქეშანის ხმა გაიგონეს, ძსწრაფლ მასთან შეცვოდნენ და ნახეს, რომ აქ მასთან გაჰირვებული საქმე აღარა იყო რა, და საჩქაროდ გარეთ გამოვიდნენ. და თითო ყველამ ძლიერად შეჰყვირეს და მიესივნენ და ხოცდნენ ვითა ლომი თხათა. სრულიად მოსრეს და ესე ხმა იყო, ერთი მეორეს უძახდა: კარ, მოკალ, შეკარ, შეიპყარ! ყოველნი ციხის მცველნი სულ ამოსწყვიტეს, გააღეს ციხის კარი და გარეთ გამოვიდნენ.

იქითა მხარეს, რომელ ცხრაასი ათასი კაცი იდგა, დიდად ჰკვირობდნენ, ამ ციხეში ეს რა არეულობა არისო. მერე გარდანქეშანმა დიდის ხმით გარდმოსძახა იმა ლაშქართა ამა სიტყვითა: მე



ვარ გარდანქეშანი და ამა ციხისა დამრღვევი და ჯავან-შა და ქეი-  
ვან-შა ორივე დაეხოცე და თქვენცა ცოცხალი ვერსად გარდამირ-  
ჩებიოთ! რა ესე გაათავა, ხოსროვშირს წინ გამოუძღვა და ეგრე-  
თვე სხვათა და ამა ლაშქართა მომართეს.

რა ახლოს მოვიდნენ, ხოსროვშირმა ჩვეულებისამებრ ერთი დი-  
დის ხმით შესძახა და ესე უთხრა ამა ლაშქართა: მე ვარ ხოსროვში-  
რი და ჩემის ხლმისა ნაკრავსა ახლა ნახავთო! ეგრეთვე ამა სხვათა  
ფალავანთაცა ყველამ ნარა გასწია და დაერივნენ ამა ზღვისოდენს  
მძინარეს ლაშქარსა და სრვიდნენ უწყალოდ. იგივე ლაშქარი ასე  
შეიშალა, რომ ერთმანეთს ხოცდნენ. მამა შეიღსა და შეილი მამასა  
ერთმანეთს ველარ არჩევდნენ. რა ყარაიფ ესრეთ მოიბილა, საჩქა-  
როდ ზღვისაკენ გაღვიდა, ერთი ხომალდი მოიმარჯვა და ცოტაო-  
დენი ხაზინა, რაც მოიწრა, ისიც შეიტანა და საჩქაროდ ინდოეთი-  
საკენ წავიდა. მაგრამ გარდანქეშანმა სართფ ვეზირი კი შეიპყრა და  
ჯავანბახტთან მოიყვანა ციხეში და იმასთან დააბა. და სხვათა ლაშ-  
ქართა ხვეწნა შექნეს, ნუ ამოგვწყვეტთ და თქვენი მონანი შევიქნე-  
ბითო. და შემოირიგეს, აღარ დახოცეს.

იქით მხარეს უშანგ ხელმწიფეს მოახსენეს: ყარამანია ციხილამ  
ასეთი ზრიალის ხმა ისმის, რომ ზეცას აღისო. საჩქაროდ გამობრ-  
ძანდა და ყურება დაუწყო და იხილა, რომ რისხვა ღვთისა დასცე-  
მოდა მათ ლაშქართა. და მერე მობრუნდა და სკამზე დაბრძანდა და  
თავის დიდებულთა უბრძანა: ეს არ გიკვირთ. რომ გარდანქეშანი  
რასაც დაიქადებს, აღუსრულებელს არ გაუშვებსო?! მათცა დიდი  
ქება მოახსენეს და სწორუპოვრობა.

რა რომ იგი ლაშქარი დაამარცხეს, მერე ისევე ფალავნები ციხე-  
სავე ავიდნენ. ხოსროვშირ ჯერ დედოფალს მიესალმა და მერე  
გულჩინ მკერდსა მიიკრა და დიდხანს ერთმანეთს ესვეოდნენ. გარ-  
დანქეშანმა მოახსენა, ხელმწიფეს უნდა ვახაროთო. ხოსროვშირმა  
რამდენიმე ფალავანი იქ თავისთან ციხეში დაიჭირა და სხვანი ერ-  
თიანად გარდანქეშანს ხელმწიფესთან გამოაყოლა სამახარობლოდ.

რა ხელმწიფეს იახლენ და გარდანქეშანმა ყოველივე თვითეუ-  
ლად მოახსენა, დიდად დაუმაღლა და შუბლსა აკოცა და დალოცა  
და ერთი ხელი ძვირფასი ხალათი უბოძა და ესრეთ უბრძანა: ეს  
ისეთი სახელოვნება მოგივიდა, რომ მეორედ მოსვლამდინ შენი  
სახელი არავის დაავიწყდება და ჩვენც დიდი ვალი გვაძევს ახლა

შენიო! და რა ეს მოიუბნეს, მასვე წამს ხელმწიფე და დიდებულნი ციხისაყენ წავიდნენ.

რა რომ ციხესთან მიახლოვდა, ხოსროვშირ წინ მიეგება, ხელ-  
პწიფეს მეხლსა აყოცა. წინა გაუძღვა და ჯავანბასტისა ტახტსა და-  
აუა და სხვანი დიდებულნი თავ-თავის ალაგს იახლენ. უშანგ ხელ-  
პწიფისა ხაზინა, რომელიცა იავარ ექმნათ, ისი ერთად შეპკრიბეს  
და ეგრეთვე სხვაც მრავალი შემატეს და ეგრეთვე ყარამანის ხაზი-  
ნასაც მრავალი შემატეს. იმჟამად, ვისაც რამ დაჰკლებოდა, ერთი  
ისად მისცეს. და რაც მათ გარდაჩა, ჯავანბასტის ხაზინა სულ  
ჯარს გაუყო. მერე ხელმწიფე თავის არამხანაში შებრძანდა და  
დიღშად დედოფალს მიესალმა და ეგრეთვე სხვანი ერთობით ხელ-  
პწიფეს იახლენ და ხელსა აყოცეს და თავიანთი გარდასავალი ყვე-  
ლა ხელმწიფეს მოახსენეს.

რა დილა გათენდა, ხელმწიფე ტახტსა დაბრძანდა და დიდებულ-  
ნი თავ-თავის განწესებულსა ალაგს იახლენ. იმჟამად ერანის მსრი-  
დამ ერთი ჩაფარი იახლა და ხელმწიფეს წიგნი მიართვა. შარიფ-შამ  
იგი წიგნი წაიკითხა და ესრეთ ეწერა: რა თქვენ ერანის მსრიდამ  
წაბრძანებულხართ. სამი რიგი მტერი გაგვიჩხნდა და ესრეთ ძალა  
დაგვატანეს, რომ თუ თქვენ ამ ცოტას ხანში არ მოგვეშველეთ, დი-  
დად საქმე გაგვიძნელდებაო!

რა ერანისა ესეთი საქმე მოხსენდა, ხელმწიფე არა მცირედ შე-  
აწუხდა და ბრძანა ჯავანბასტისა, ქეივან-შასი და სართაფ ვეზირი-  
სა მოყვანა. გარდანქეშანმა საჩქაროდ მოასხნა. და ხელმწიფემ მე-  
ტისა მრისხანებითა ჯავანბასტ აღარ ალაპარაკა და ციხის კარსა  
ზედა ძელზედ ჩამოარჩობინა და ეგრეთვე ქეივან-შაც, ორნივე  
დაახრჩობინა. სართაფ ვეზირმა მოახსენა: აღამალლოს ღმერთმა  
ხელმწიფობა შენი და რომელსაცა ღმერთსა შენ თავყვანსა სცემ, მე-  
ცა იგი ღმერთი მიწამებია და მეცა მონათა თქვენთა თანა აღრა-  
ცხილ ვარ, თუ რომ ჩემს სამსახურს ინებებთ და ჩემი შეცოდებაც  
ღმერთს აპატიეთო. ესე მოახსენა და გულ-ხელი დაიკრიფა და  
ქედლადრეკილი იდგა.

რა ესე გვარი ლაპარაკი ხელმწიფემ მოისმინა და ამისი თავის  
სარწმუნოებაზედ მისვლა იხილა, დიდად იამა და მაშინვე ერთი  
ხელი ძვირფასი ხალათი უბოძა. მერმე ხოსროვშირს უბრძანა: ჩემი  
შვილი არდევან-შა, გარდანქეშანი, შირფანჯა და სართაფ ვეზირი  
ეგრეთვე ორმოცი ათასი ლაშქარი გამოირჩიეთ და თქვენ აქავე

დასდევით და აქაურობა გაამაგრეთ. და მე რომ წავიდე, მას უკან თქვენც ჩემთან წამოღით და ჩემი ცოლ-შვილიც თან წამოიხსითო. ამათთან ეს ბინა დასდვა და თითონ წაბრძანდა.

## აქა უშანგ ხელმწიფის წასვლა ერანში და მისი ამბავი

უშანგ ხელმწიფე ერანის მხრისაკენ წაბრძანდა და არღევან-შა თავის მოადგილედ დააგდო. ყარამანის საჯდომს ტახტსა ხოსროვ-შირ დაბრძანდა და აგრეთვე იქ დანარჩენნი დიდებულნი სართავ ევ-ზირით ორმოცი ათასი ლაშქარი სალამში იახლენ და მეჯლისი გამართეს. რა რომ ლხინსა და შექცევაში შევიდნენ, ნახეს, რომც ჰაერით ერთმა საშინელმა ნისლმა და ღრუბელმა მოატანა და დიდად გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ. რა სიახლოვეს მოვიდა, იმ ღრუბელს შინა ერთი ხელი გამოჩნდა, სწრაფად არღევან-შა შეიპყრა და აღიტაცა.

რა ესრეთ იხილეს. დიდსა გოდებასა და თავში ცემას მიეცნენ ერთობით ყველანი. მერმე გარდანქეშანმა მოახსენა: ნუ სწუხართ. მე დამაცალეთ! ამ ცოტას ხანს იმის ამბავსაც შეგიტყობ და არღევან-შასაც აქ მოვიყვანო. ამა იმედით ხოსროვშირმა და სხვათაც ნუგეში იცეს. ახლა არამხანაში დედოფალს შეეტყო და ეგრეთვე გულჩინს და სხვათა ბანოვანთა. ერთობით შექნეს თავთა ცემა და თმათა გლეჯა, რომ მეტის მწუხარებისაგან უცნობოდ შეიქნენ. მერე ამათ შეეხვეწა გარდანქეშანი: მწუხარებით თქვენს თავს ნუ რას აუტეხთ, იმას არაფერი არა უშავს. სანამ ყარამან ცოცხალია ხმელეთზედა, იმას ერთს ბეწვს ვერავინ რას ავნებს! ეს ხომ კარგად გახსოვთ, რომ სულყველანი იმისის ხელისაგან მრავალჯერ ვართ გამონხსნილი დევებისაგანო!

ამგვარის ლაპარაკით მათცა ნუგეში სცა და მერე ხოსროვშირმა ირჩია: ახლავე ხომალდები მოამზადეთ, რომ დედოფალს და ამათ ბანოვანთა ყოველთავე ქიშმირს ყათრანთან გავგზავნიო. ორმოცი ხომალდი მოამზადეს. ყათრანს წიგნი მისწერეს და იქაური ამბავი ყველა წვრილად შეუთვალეს. ერთს ხომალდში დედოფლები და ბანოვანნი ჩასხდნენ და სხვაში ლაშქარი გააყოლა და უკიანეს ზღვაში შევიდნენ. შვიდი დღე მშვიდობით იარეს და ხოსროვშირიც იმავე ციხეში გაბრუნდა და იქ განისვენა.

ამ ხომალდებს მერვეს დღეს სოფლის სიმუხთლის საქმით კეთილი ჰავა ბოროტად შეეცვალათ და იგი უკიანე ზღვა აღელდა საშინლად, რომ ცა დაბნელდა და იმა გემებში მსხდომთა თავიანთი თავის მორჩენის იმედი აღარა ჰქონდათ. ხომალდები დაიფანტა. მეოთხეს დღეს ზღვა დასდგა. ხომალდები ისევ შემოკრბენ. მაგრამ ერთი ხომალდი აკლდათ, რომელსაც ხომალდში უშანგ ხელმწიფის ცოლი იჯდა და ერთობით ბანოვანნი. და ის ხომალდი ვედარ იპოვეს. მერე ქიშპირს მივიდნენ და ხოსროვშირის წიგნი ყათრანს მიართვეს და რაც მიეწერა, წაიკითხა, მათ ჰკითხა: დედოფალი სადა ბრძანდებოა? მათ მოახსენეს, როგორც ყოფილიყო, ზღვის აღელგება და ამა ხომალდის დაკარგვა. ესე ამბავი დიდად ეწყინა და მაშინვე მენავენი გაგზავნა მრავალნი ხომალდის მოსაძებნად.

მის ხომალდისა საქმე ასე მომხდარიყო: ყარამანისა ციხიდან რომ ყარაიფთ გამოექცა ხომალდით მათ ლაშქართა, იმყამად ამ ზღვის ლელვამ ეს უშანგ ხელმწიფის ცოლ-შვილი ყარაიფის ხომალდს უკან მოსწია და ზედ მიიტანა. რა შემოხედეს, დიდად იამათ და თქვეს: ამისთანა ბედი ვის დამართვიაო? იგი ხომალდი თავის ხომალდზე მიაკრეს და ყარაიფთ მათს ხომალდში გარდავიდა და ნახა იგი ხადუმნი და ნუფეში სცა. მერე საჩქაროდ ინდოეთისაკენ იარეს ორმოცი დღე.

რა რომ დაუახლოვდნენ, ყარაიფთ რაიაზამ ხელმწიფეს ერთი წიგნი მისწერა და როგორც მომხდარიყო, ყოველივე გამოუცხადა და ამა უშანგის ცოლ-შვილის დაჭერა მისწერა და საჩქაროდ გაგზავნა და თითონ იქ მოიკადა, სანამ ეს წიგნი მიუვიდოდა. ადრევე ჩინეთის აღების ამბავი და მათზე გამარჯვება, როგორც მომხდარიყო, სულ ის ამბავიც იმის უბედურს შვილს ჯავანბახტს მიეწერა და რაიაზამ ამაზე მხიარულობდა. რა ესე წიგნი მიუვიდა და წაიკითხა, მაშინვე საყულო გარდაიხია და თავი ძირსა დაახეთქა და მრავალი იცა თავსა და პირში. მერე ვეზირნი და მისნი დიდებულნი იასლენ და ნუგეში სცეს და მოაბრუნეს.

მერე განრისხებულმა ბრძანა: რაც ხმელეთზე აიარნი არიან და ან ლაშქარი, იმათ სულ ერთიანად შევეკრებ. და წავალ და უშანგის სახელს ქვეყნიდამ აღმოვზოც და იმის სამეფოსაც სულ ავაოხრებ, ყარამანს თავს მოვკვეთ და გარდანქეშანს ასო-ასოთ დავხსნი! და თუ რომ ეს ასე არა ვქნა, ჩემი სახელი რაიაზამ ნუ მერქმევაო! რა ესე ბრძანა, მაშინვე ყარაიფთ მოაყვანიდა.

რა ხელმწიფეს ეახლა, კალთას აკოცა და როგორც მომხდარიყო იქაური ამბავი, სულ თვითეულად მოახსენა. და მერე უშანგ ხელმწიფის ცოლის შეპყრობა და ეგრეთვე მისის შვილის არღვევან-შას ცოლის იქ მიყვანა, ესენიც მოახსენა, და მერე ბრძანა ხელმწიფემ: ისინი არამხანაში შეიყვანეთ და მოსამსახურედ დაიყენონ და დიდის ტანჯვითაც იმსახურონო! რა რაიაზამის დედოფალმა ჯავანბახტის სიკვდილი გაიგონა, თავს მოიხადა, თმანი გარდიშალა, პირსა ხელი იცა და ლოყათაგან სისხლი უხვად სდიოდა.

რა ამა ტირილით მოგჯერდნენ, მერე უშანგ ხელმწიფის ცოლი მათ არამხანაში შეიყვანეს. რა რაიაზამის ცოლმა ამა სიმწარისა ეპასა ესენი განიხილა, დიდად განრისხდა და ხაღუმნი მიუსია, რაც რომ მძიმედ მორთულობა რამ ჰქონდათ, ყველას გაძარცვეს და ძველი ძონძი ტანისამოსი მოაღებინა და მათით შემოსეს. ისინი ერთობით ხაღუმთ მოსამსახურეთ დაურიგა და უბრძანა: ტანჯვით იმსახურეთ ეგენიო! მერე რაიაზამ ბრძანა: მოემზადენით, რომ ახლავე უნდა წავიდეთ და ჩვენს კერპს მანათს თაყვანი ვსცეთ და ჩვენი საჩივარი ყველა მას მოვახსენოთ და ვნახოთ, რას გვიბრძანებსო.

სადაც რომ მანათ კერპი იყო, იგი ქალაქი დიდად უზომოდ მდიდარი იყო. იმ ქალაქში ერთი დიდი ბომონი დაედგათ და მას ბომონში ერთი დიდი ოქროს კაცი აეშენებინათ და მრავლის ძვირფასის თვლით და მარგალიტით მოექვედათ და მას თაყვანს სცემდნენ. მას კერპს ოთხი ათასი კაცი მცველად ჰყვანდა და წელიწადში ერთხელ შეკრებებოდა ერთობით ინდოეთი და მათ საზოგადოდ ხალხთა ესრეთისა ეშმაკურის ლაპარაკითა აცთუნებდნენ. რა რომ რაიაზამ თავის ცოლ-შვილით წამოვიდა და ამა კერპის ქალაქში მობრძანდა, სამი დღე და ღამე ეხვეწებოდნენ და ღამეს უთევდნენ. არცა სმიდნენ, არც სკამდნენ და ევედრებოდნენ, რომ ბრძანება შემოსელოდათ რამე.

### ამა ესე ამბავი დაუბთოთ და ხოსროვშირისა და გარდანქვანის ამბავი და ეგრეთვე სართავ ვეზირის ამბავი მოიხსენათ

რა იმჟამად უკიანეს ზღვამ ხომალდი დაფანტა, სამს დღეს უკან ესენიც ჩასხდნენ და ზღვასა შევიდნენ. ხოსროვშირ და გარდანქვანი და სართავ ექიმი ერთს ხომალდში ისხდნენ და სამი დღე იარეს და

ინდოეთის მამულში შევიდნენ. რაიაზამის ქალაქს მიატანეს, რომელსაც სახელად ჰქვიან შაპარირევან ქალაქი. იმა ქალაქს ხომალდი მოაყენეს. გარდანქეშანმა ჰკითხა, სართაფ ვეზირსა, ესე რა ქალაქიაო? მან უთხრა: ეს ქალაქი შაპარირევან ქალაქია და ამა ინდოეთისა ქვეყანაში დიდად გამოჩენილია.

გარდანქეშანმა უთხრა სართაფ ექიმსა: შენთან ერთი ვედრება გვაქვს და ის უნდა აღგვისრულო. შენ სრულის გულით ჩვენი ერთგული უნდა იყო და არ გვიღალატო. სართაფმა დიდის ფიცით შეჰფიცა, რომ უშანგ ხელმწიფისა დიდი ერთგულობა მსურს და არც თქვენ გიღალატებთ. რა რომ სწორედ გულით შეჰფიცა, მერე გარდანქეშანმა უთხრა: სართაფ, შენ ამ ინდოეთის ხალხი სულ გიცნობენ და შენი აშკარა სიარული არ შეიძლება. თუ რომ შენი ნებაც იქნებაო, დღისით ერთს დაკეტილს ზანდუქში ჩაგსვამთ და ღამე ამოგიშვებთ და რაც სჯობდეს, ის ვარჩიოთ ხოლმე. ჩვენ ვაჭრულად მოვიართობით და ან რა ვიყიდოთ, ან რა გავყიდოთ, ამაების საქმე შენ უნდა დაგვანახეო.

რა ეს ვეზირმა მოისმინა, მასცა დიდად მოეწონა და ესრეთ უთხრა: შაბაშ შენსა დიდსა გონიერებასაო! ამა ვეზირმაც კიდევ თავის ერთგულობა დაუმტკიცა და ესრეთ უთხრა: მე ამ ხოსროვშირის დოვლათით და შენის მეგობრობით რაკი ამა ინდოეთში მოვალწიე, რომელსაც ღმერთს მე თაყვანი ვეც და თქვენი სარწმუნოება ვიწამე, იმის მადლს ვფიცავ, ასეთ საქმეს უზამ რაიაზამს, რომ ხმელეთზე სულ საიციხავად დაიდვას და უშანგის ღალატობა შევანანოღ მაშინვე ერთი მოდიდო ზანდუქი მოიღეს და ვეზირი შიგ მაგრა დაკეტეს. აიყარნენ და რომელიც ქარვასლა ანიშნა ვეზირმა, იქ ჩამოხდნენ.

მერე ამა ქალაქისა ვაჭარნი მოვიდნენ და მათ მიესალმნენ. სანოვაგე რომ უთავაზეს და შეექცეოდნენ, ამავე ჟამსა ამ ქალაქის ტარულათა და გზირებმა შექმნეს ძახილი ყოველ მხარეს: ვაი იმ კაცსა, რომელიც კაცი ხვალ რაიაზამ ხელმწიფეს წინ არ მიეგებებაო! გარდანქეშანმა იკითხა: ხელმწიფე აქ რად მობრძანდებო? მათ უთხრეს: სოვდაგარო ხოჯავ, აქ ერთი სალოცავი არის, ოქროთი და თვალთა მოქედილი, სახელად მანათ ჰქვია. ხელმწიფეს როდესაც გაუჭირდება, ჯარით მოვა, შეგხვეწება და რასაც ეტყვის, იმასა იქს. ახლა ერანის ხელმწიფის ცოლ-შვილი ხელთ ჩაიგდო და დაატყვევა. ახლა იმის საკითხავად მოვა, თუ რა ტანჯვით დახოცოს.

რა გარდანქეშანმა ესე ამბავი მოისმინა და იმათი სიცოცხლე შეიტყო, ღმერთს მადლობა მისცა. მერე ესე ჰკითხა: ძმაო, ისინი აქ ვინ მოასხა და ან სად იჯდეს ხელშიო? მათ უთხრეს. ყარაიფს აქეთ მომავლობაში ზღვა აღელვებოდათ და წინ შემოჰყაროდათ და ხომალდით გამოებრუნებინათ და ხელმწიფეს მოართვეს ერთიანადო. ესე თქვეს და თავ-თავის სადგომს წავიდნენ.

რა შელამდა, სართათ ვეზირი სანდუკილამ ამოიყვანეს და დასხდნენ. მერე გარდანქეშანმა ხოსროვშირს მოახსენა: ჩვენი საქმე მეტად გაძნელდა და ვერც ამ ინდოეთილამ ჩვენ ცოცხალი გავალთო. მერე მათ მიუგეს: აიარების სპასალარო, რას ხელაე მაგისტანას საძნელოს საქმესო? ამან მიუგო: იმა წყეულმა მანათის კერამა რომ ეშმაკობით უთხრას ჩვენი აქ ყოფნა, ხომ მაშინვე დაგვიჭერენ და დაგვხოცენ და ველარც არას იმ ტყვეებს უშველითო.

მერე ხოსროვშირმა უთხრა: მაშ რა ვქნათ. რა გვეშველებაო? გარდანქეშანმა მოახსენა: ჩვენი სიცოცხლის საქმე ახლა სართათ ვეზირზე ჰკიდია. ახლა ასე სჯობს, რომ ამან ერთი ძველი ტანისამოსი ჩაიცვას და ერთი ძველი ქული დაიხუროს და სადაც ხელმწიფე იჯდეს, იმის წინ მივიდესო. რა რომ ხელმწიფე დაინახავს, მაშინვე ამბავს ჰკითხავს. ამან ასე მოახსენოს: ყარაიფს რომ უშანგის ცოლ-შვილი აქეთ წამოეყვანა, მე იქ მიმიყვანეს და თავს მჭირდნენ-თქო.

მერე კარისკაცთ შევეხვეწე, ნუ მომკლავთ, რაიზამ ხელმწიფეს მიმყიდეთ. მერე გარდანქეშანმა ასე მითხრა: ჩვენ თეთრი არ გვინდა, თუ შეგიძლია, შენ წადი და რაიზამს უთხარ, ეგ ტყვეები ისე გამოუშვას, თორემ სწორედ უშანგ ხელმწიფე და ყარამან მაგათის გულისთვის ახლავე მოვლენ-თქო და სულ აგაოხრებენ-თქო. თითონ უშანგ-შამ ასე დაიფიცა: ჩემს რჯულს ვფიცავ და საამყარანის თავს, რომ თუ ეს ასე არ აღასრულა, ინდოეთს სრულიად აგაოხრებ. და თუ რომ გამოგზავნის. მეც ჩემი ერანისკენ წავალო.

გარდანქეშანმა უშანგის დასტური ამართვა და აქეთ გამომისტუმრეს და ახლა ისინიც აქეთ გამომგზავრებული არიან. მე ასე გირჩევ-თქო: რა ერთიც ეხლა აქ ჯარი გახლდეს, ამათ უბრძანეთ და იმათ მოსავალს გზებზე დადგენ. და თქვენც ახლავე თქვენს ტანტზე მიბრძანდით და შორილამ თუ ახლოდამ ლაშქარი მოაწვიეთ. კარგად და რიგიანად მოემზადდებით და სადაც სჯობდეს, იქ მივეგებნეთ და ერთის გზით გარდავწყვიტოთო.

რა ეს სართათ ვეზირმა მოისმინა ამა გარდანქეშანისაგან, ესეთი

რჩევა დიდად მოეწონა. და უთხრა: რა ამა საქმეს აღვასრულებ, მერე კიდევ ასეთს საქმეს უზამ, რომ ყველას უკვირდესო. იმ ღამეს მოისვენეს. მეორე დღეს ძველ-ძული ტანისამოსი იშოვნა და მით შეიმოსა, წაეიდა და ერთსა ალაგსა დასჯდა, სანამ ხელმწიფე მობრძანდებოდა; რა კარისკაცთა სართათ ვეზირი ესრეთ იხილეს. ყოველივე მივიდნენ და მიესალმნენ და ჰკითხეს: ეს რა დაგმართებია, როგორი ტანისამოსი ვმოსიაო? მათ პასუხად ეს უთხრა: ჩემი ამბავი დიდად გრძელი სალაპარაკო იქნება და როდესაც ხელმწიფეს ვიახლები, მაშინ თქვენ მოისმენთ ჩემსა ამბავსაო.

რა რაიაზამ ხელმწიფემ ვეზირის მოსვლა შეიტყო, მასვე წამსა გარედ გამობრძანდა და წინა მიეგება, მოეხვია და დიდხანს მიესაყვარლა. მერე ხელი მოჰკიდა და შეიყვანა და თავის ტახტზე დაისვა და უბრძანა: ჩემო საყვარელო გულითალო, ეს რა დაგმართნია და ან როგორი ტანისამოსი გაეციაო? მაშინვე ერთი ხელი საუცხოვო ხალათი მოატანინა და ჩააცევს. მერე სართათ ვეზირმა ერთი მძიმედ ამოიოხრა და როგორც გარდანქეშანმა დაარიგა, ამან უკეთესის სიტყვით წამოიწყო ლაპარაკი და ყველა თვითუღლად უამბო ხელმწიფესა სართათმან. ამდენი რომ მოახსენა გარდანქეშანისა, ხელმწიფეს მეტის წყენით პირისახე ზაფრანის ფერად შეეცვალა და უთხრა: ვეზირო, მაშ როგორ უნდა ვქნათო? ვეზირმან მოახსენა: ჯარი გავისტუმროთ ერანის ჯარზედაო. ხელმწიფემ ბრძანა და მსწრაფლ სამარს ნალარასა ჰკრეს და ჯარი გაისტუმრეს ერანის მხარისაკენ და რაც მანათისათვის შესაწირავი წარმოელო, სრულიად გლახაკთ განუყო. და მერმე შაჰრიზადარ ქალაქს მიბრძანდა. დღე და ღამე სულ ჯარის მზადებაში იყო.

გარდანქეშანმა რა რაიაზამის დაბრუნება შეიტყო, დიდსა მზიარულებასა მიეცა. ხელმწიფესთან გამოჰყვა და რომელსაცა ქალაქსა ხელმწიფე მოვიდა, გარდანქეშანიცა იმა ქალაქსა მიჰყვა. და ერთსა ქარვასლაში ჩამოხდა. ერთსა დღესა სართათ თავის სახლსა შინა მომავლობდა. გზასა ზედან გარდანქეშან იხილა და ანიშნა, ჩემთან წამოდიო. მივიდნენ და ერთსა ხალვათსა სახლსა ერთად შეიყარნენ. გარდანქეშანმან სართათს უშანგის დედოფლისა და ბანოვანთა ამბავი ჰკითხა. სართათმან უთხრა: მე ასე შევიტყე, რომ ისინი რაიაზამის დედოფალს მოახლედ ჰყავსო. რა ეს გარდანქეშანმა გავიგონა, დიდად ეწყინა.

მერე გარდანქეშანმა უთხრა: ვეზირო, ეგების იმა სასახლეში



ერთი ცარიელი სახლი რამ გეგულებრდეს, რომ მე და ხოსროვშირ იქ იღუმალ შევიდეთ და დავიმალნეთო. ვეზირმა უთხრა: ამალამ იქ ჩემს სახლში მოდით ჩუმად და ყველა ადვილიაო. გაუძღვა, სახლი აჩვენა და ჩუმად ვეზირისას მოვიდნენ. ხოსროვშირს წინ მოეგება და თავის სასახლეში შეიყვანა. რა რომ დაბინავდნენ, გარდანქეშანი წამოსდგა და მაშინვე თავის ხელოვნებას მიჰყო ხელი და რაიაზამის სამტეროდ მოემზადა. მერე სართათს უთხრა: მე ასე გირჩევე. ახლავე შენის ცოლ-შვილის თადარიგი ნახო, რომ ახლავე ერანისაყენ გააპარო, რომ არავინ შეგვიტყოს ჩვენ რა მათ პყრობილთ გამოვიხსნით და რაიაზამსაც აუტეხთ რასმე, მერე შენ ამ საზოგადოდ არა გაენონ რაო.

ეს სართათს დიდად მოეწონა და მაშინვე თავის პირველს ცოლთან შევიდა და ყველანი იქ შემოჰკრიბა და მათ ესრეთ გამოუცხადა: ჩემო ამ სოფლის დიდებანო და ჩემო სასურველნო მუღლენო! მე უშანგ ხელმწიფის ყმა შევიქენ და იმათს სარწმუნოებაზედ მოვიქეც და თქვენ რას იტყვით, დამმორჩილდებით თუ არაო?! მათ ესრეთ მოახსენეს: როგორც თქვენი ნება იქნება, ჩვენც იმას აღვასრულებთ და არც საუკუნოდ თქვენი მოშორება შეგვიძლიანო. რა ეს ვეზირმა მოისმინა, დიდად იამა და ორ დღეზე თავის საქმე მოახერხა და გარდანქეშანმა ორი ზიარი გაატანა და დაარიგა: ესენი უშანგ ხელმწიფესთან კარგად, მართებულად, შეუწუხებლად მიასხიოთ, რომ არასფერს არაზე შეაწუხოთო.

რა ესენი ერანისაყენ გაისტუმრა, სართათ მოვიდა და ხელმწიფეს იახლა. და თავის გაწესებულს ალაგს დასჯდა. მერე ხელმწიფესთან არჩევა შეექმნათ. ლაშქართაც ოთხისავე მხრიდამ დენა შექნეს და ხელმწიფეც დიდად გამხიარულდა და სართათს უბრძანა: მე ერთი საქმე გამოვარჩიე და შენც გასინჯე, სჯობს თუ არაო. სართათმა ხელმწიფეს აღარ დააცალა და ასე მოახსენა: ჯერ ჩემგან მოისმინე. რომელნიც რომ პყრობილნი არიან, ისინი საპყრობილეში ჩაპყარეთ და ჯავანბახტზედ ჩვენი დამწუარი გული იმათის ტანჯვით ვავიგრილოთ და ვერცა რას ის წყეული გარდანქეშანი გაიგებს.

ეს რჩევა ხელმწიფეს დიდად მოეწონა და ბრძანა: მე ჩემს ძმასავით უნამუსო არა ვარ, რომ შიშისაგან ყარამანისთანა უსჯულოს კაცს თავისი მშვენიერი ქალი მისცა. მე არც უშანგისა მეშინია და არც ურჯულო ყარამანისა! მე მრავალს სასჯელს მივაყენებ მათ პყრობილთა და მერე მოვიდეს გარდანქეშანი, გამოიხსნას თუ კა-

ციო! ესე თქვა და პერობილნი მოასხმევიანა. ას-ასი მათრახი ჰკრეს, მერე ყველა დააბორკილეს: და სახლში ერთი დიდი ხარო იყო, ასი ადლი სიღრმე ჰქონდა, ამაში ჩაჰყარეს და ზეიღამ ერთი დიდი ქვა დაადეს. მერე სართავს უბრძანა: აბა აქედამ ის წყეული გარდანქე-შანი როგორ მოგვეპარება და ან ამათ რას უშველისო?

მერე ყარაიფს უბრძანა: შენ ამ ლაშქარს უნდა გაუძღვე და მიხვიდე და ჩვენს უბრძანებლად კი არ შეება, ამისთვის, რომ ჩვენი მანათ კერპი დიდად გიწყრება და დაწყევლილი სარდალიცა ხარ! მე გაგიყოლე და შენი ბედუქეთურობით ლაშქარი და ფალავანნი სულ ამომიწყდა და დიდის ცდით ძლივს გამოვეცალენით. მერე ჩემს შვილს გაგატანე და იქავ მომიკვლევინე. თუ შენ ნამუსი გქონდეს, შენი თავი აღარც კი უნდა გეცოცხლებინაო.

რა ესე ამ ხელმწიფისაგან ყარაიფ-შა შოისმინა, რომ ამდენს შეკრებილებაში ესრეთ ამხილა, თავის სკამიდან ადგა და გულ-ხელი დაიკრიფა და უკან დაჯდა. მერე კიდევე ხელმწიფემ უბრძანა: არა, შენი წასვლა ამ ჯარში არ იქნებაო. მერე ყარაიფ ამბობდა თავის გულში: შენც წყეული იყავ და შენი კერპიცა! მე ამ ცოტას ხანში აქედამ გავეპარები და უშანგს ვეყმობი და იმათს ღმერთს თავყვანსა ვცემ. და როგორც მე ამ შეკრებილებაში შემარცხვინა და ჩემი სამსახური არ დაინახა, ამის მაგიერს მეც იქილამ ვავნებ ამას მრავალრიგადაო!

მერე ცოტა ხანს უკან კრებაც დაიშალა და ყველანი თავ-თავის სადგომს წავიდნენ რა სართავ ვეზირი შინ მივიდა, იქაური ამბავი ყველა ხოსროვშირს და გარდანქეშანს უამბო. რა ესე მოისმინა, დიდად ეწყინა და თქვეს: ახლავე უნდა მოვემზადნეთ და სასახლეში უნდა შევიდეთო. მერე სართავმა უთხრა: ამ ციხეში შესვლა რით შეგიძლიათ? ასეთი მაღალი გალავანი აქვს, რომ მფრინველიც ძლივს გადავა და დიდადაც ფრთხილობენო. მერე გარდანქეშანმა უთხრა: ვეზირო, შენ ახლავე ეცადე, რომ ცამეტი დედაკაცის ტანისამოსი მიშოვო და ღმერთი მოწყალეა, ჩემს ხელოვნებას გაჩვენებო!

მაშინვე მოატანინა სამი ქალის ტანისამოსი, გადმოარჩია და ცალკე დააწყო. მივიდა და ხოსროვშირს დაუჩოქა და შეეხვეწა: ხელმწიფის შვილო, გთხოვ, რომ ამ საქმეს ნუ ითაკილებ, იმა პერობილთა გამოხსნისათვის ქალურად უნდა მოგროთო. მერე მანცა ნება დართო და პირველი ეს მორთო თავის მძიმის იარაღით და საქალო ტანისამოსით. მერე შირფანჯას ჩააცვა და აგრეთვე თითონ მოირ-

თო. რადგან სართათ ვეზირს სამი ქალი ჰყავდა, ესენიც სამნივე იმათს სახედ შეიცვალნენ და ის ათი აიარი მოახლის სახედ შეცვალა და მათი ტანისამოსი ჩააცვა.

რა ვეზირმა ესრეთ იხილა, დიდად გაჰკვირდა და ესრეთის ზელოვნებისათვის დიდად აქებდა. მერე გარდანქეშანმა უთხრა: ვეზირო, რაიაზამის პირველს ცოლთან ახლავე კაცი გაგზავნეთ და აქ დაიბარეთ. შენ ერთ ხალვათ სახლში დაჯექი, გარს წიგნები შემოიყარე და ხელთა სტროლაბი დაიჭირე. ის რომ მოვიდეს, შენ დიდად მწუხარედ დაუხვიდი და ხან წიგნებს წაიკითხავდე და ხან სტროლაბს სჩხრეკდე! ესეთს გვარს მწუხარებას მიჰყავ ხელი, რომ ისიც შეაწუხო. მერმე დაუძახე და უთხარ: ეშაქალაბაშო, რა ვქნა, ხელმწიფეს მოვახსენე და არ დამიჯერა. ამ ჩემს სტროლაბში და რამლში ვხედავ, რომ იგი აიარი ამა ქალაქში შემოსულა. იმისი წადილი პირველად ჩემი მტერობა არის და მერე ხელმწიფისა. ამაღამ ჩვენ თავზე მოსასვლელი განსაცდელი არის. ჩემგან თქვენი აქ მოწვევის მიზეზი ეს არის. ჩემნი სიცოცხლენი ეს სამნი ქალნი არიან. მეშინია, რომ გარდანქეშანმა ამაღამ ამათ არა აუტეხოს რა. ამ მოწყალებას ვითხოვ ხელმწიფისაგან, რომ ამაღამ თავის საფარველს ქვეშ ამყოფოს. ერთს სახლში შეასხით და გარედამ კარი დაუკეტეთ და ორსაოდენ დღეს იქ ახლდნენ და ხვალ რაც ამბავია, ხელმწიფეს მე წვრილად მოვახსენებო.

რა ეს დაასრულა, სართათ ვეზირმა საჩქაროდ კაცნი გაგზავნა და ხელმწიფის პირველი ხათუნი დაიბარა. იგიცა საჩქაროდ მობრძანდა და როგორც ვარდანქეშანმა დაარია, ყველა ისე აღასრულა. და ამ ხელმწიფის ცოლმაც დიდად დაუმაძღლა და უბრძანა, რომ იგი ქალნი ახლავე თავის ქალების მაგიერად გამოეყვანა და ამ დედოფალს შემოატყუა და ეგრეთვე ის ათნი აიარნიც, მოახლის სახედ მორთულნი, ისინიც მითომ მოახლენი არიან.

რა გარეთ გამოვიდა, გარდანქეშანი სწორეთ ქალურის სიარულით წინ გაუძღვა დედოფალსა. რა ციხეს შევიდნენ, ესენი ერთს კაის სახლში შეგზავნა და ვარედამ კარები დაუკეტეს. მერე ეს რაიაზამის ცოლი გაბრუნდა და ხელმწიფეს იახლა და ესე ამბავი ყველა მოახსენა და მანცა დაუმაძღლა და მოხელეთ უბრძანა: ჩემის სამზარეულოდამ ყოველთვის სადილ-ვახშამი არ დააკლოთო სართათის ქალებსაო.

იმავე ღამეს ხოსროვშირი და გარდანქეშანი საომარის იარაღით

შეიჭურვნენ და ხოსროვშირს უთხრა გარდანქეშანმა: ამაღამ აქ უნდა დავიყოვნოთ და ხვალ მიყურეთ, რაიაზამს რა უყვო. რა ეს ლაპარაკი გაათავეს, გარედამ კარს ღება დაუწყეს და გარდანქეშანმა ამათ ჩუმად უთხრა: არიქა, ყველამ ჩადრები მოისხით და კუთხეებში მისხედით! ისინი სწორედ რაიაზამის ხონჩების მომტანნი არიანო.

საჩქაროდ ჩადრები წამოისხეს და გარდანქეშანი მივიდა და კარსა მიაწვა და ქალურის წმინდის ხმით ამათ გამოელაპარაკა: რა გინდათ, ვინა ხართ, ამ დროს კარს ვინ გვიღებთო? მათ ხადუმთ დაუძახეს: ჩვენ ქალები ვართ და ხელმწიფემ საკმელი გამოგვატანა ხონჩებით თქვენთანაო. ამან უთხრა ისევე ქალურის ხმითა: ჩვენ შინიღამ საკმელი მამაჩვენმა გამოგვატანა, ამ ორის დღის სამყოფი აქა გვაქვს. გაისარჯენითო, მადლობელნი ვართ! ჩვენ ამ კარს ამისთვის ვერ ვაღებთ, რომ გარდანქეშანისა გვეშინია, ვაითუ თქვენს შემოსვლაზე ისიც თან შემოგყვესო?!

იგი ხადუმნი გაბრუნდნენ დიდად განრისხებულნი. მიმავლობაში ამათ ლანძღევდნენ და ესრეთ იტყოდნენ: ეს ქალებიც იმ თავის მამასავით მუხთაღნი არიან, თორემ აქ გარდანქეშანს ვინ შემოუშვებსო. რა ეს ხადუმნი გაბრუნდნენ, წამოდგა ხოსროვშირი და გარდანქეშანს ქება შეასხა და დიდი მადლობა უთხრა. იმ ღამეს ისე გაათენეს.

რა დილა გათენდა, ხელმწიფე რაიაზამ საგარეოში გამობრძანდა და ყოველნი სარდალნი და ფალავანნი საღამოში იახლენ და შეექნათ ვეზირობა და რჩევა და ბაასობდნენ. რა სართაფ ვეზირი შევიდა და საღამოში იახლა, მაშინვე ყველამ ამ სართაფს დაუწყეს ბაასი და ლაპარაკი და ესე უთხრეს: შენ წუხელის ხელმწიფეს რად მოახსენე, რომ ამაღამ ერანელთაგან მრავალი რამ გვევენებო? სართაფმა უთხრა: მე აქ საჯარო ბაასი არ შემიძლია, ერთი ხალვათი არის და იქ შევიდეთ და ვილაპარაკოთ და ვნახოთ, თუ ჩემი რჩევა და მოხსენება არ აღსრულდეს, ჩემი სისხლი ალალი იყოსო თქვენზედაო!

ხელმწიფემ მოიწონა იგი რჩევა და ბრძანა: ამაღამ შევიდეთ იმა ცარიელს ოთახში და იქ ვილაპარაკოთო. იმა ოთახსა ერთი კარი ზღვისაკენ ჰქონდა და სადაც ხოსროვშირი სახლში დამალული იყო, ის სახლიც იმ სახლს ზედ ეკრა და ეს სახლი ამ ვეზირმა ოსტატობით გამოარჩივა. რა შეღამდა, ხელმწიფე იმა ოთახში შებრძანდა და ევრეთვე ყოველნი ვეზირნი იახლენ და სხვანი სულ დაითხოვეს. მერე

ყველამ სტროლაბი ხელთ დაიჭირეს და რამლი ჰყარეს და დიდი ბა-  
ასი შეექმნათ.

იმუამად გარდანქეშანმა ხოსროვშირი და სხვანი აიარნი იმ სახ-  
ლისა კართან მიიყვანა და იქ დააყენა. მათ უთხრა: ძმანო, თქვენ აქ  
მომიცადეთ, მე ავალ და იმათ ვნახავ, რას იქმონენ და როდესაც  
მე თქვენ იქილამ განიშნოთ, მაშინვე თქვენც გარედამ შემოდითო.  
გარდანქეშან მივიდა, სადაც ხელმწიფე ბრძანდებოდა და რამდენი-  
მე ვეზირნი ერთმანეთს ებაასებოდნენ და სართაფს ეჩხუბებოდნენ:  
შენ რომელს რამლში ნახე, რომ ხელმწიფეს ეზიანებოდა რამე? ჩვენ  
ვერა ვხედავთ და არცა რა ჩანს, შენ ხელმწიფეს ტყუილად რად  
მოახსენეო?

რა რომ რაიაზამმან ესეთი სიტყვები ამა ვეზირთაგან მოისმინა,  
სართაფს განრისხებულმან ესრეთ უბრძანა: თუ დილა გამითენდა,  
მე შენ ცეცხლში დაუწვავს არ გაგიშვებ და რალასაც შენ გარდან-  
ქეშანი გიშველისო, მეც ვნახავო. რა ესე ამა ვეზირთა ხელმწიფე  
განრისხებული იხილეს, ყველამ ამ საბრალოს სართაფს გინება და-  
უწყეს. სართაფმა უკან მიიხედა და გარდანქეშანს თვალი შეასწრო.  
მერე თავისივე რამლს ჩხრეკა დაუწყო და უთხრა: ვეზირნო,  
თქვენც ხომ იცით, რომ ასეა და რატომ ხელმწიფეს არ მოახსენებთ,  
რომ ის აიარები სწორედ ამ სასახლეში არიან და ახლავე ყქელანი  
ამათის ხელით დავსტყვევდებითო?

რა რაიაზამმან ესეცა ამავე უამად ამისგან გაიგონა, მაშინვე  
ცეცხლსავით აენთო და დაიძახა: დაიჭირეთ ეგ უმსგავსო, ერანელ-  
თაგან შეშინებას მე ვაჩვენებო! ზე აცვივდნენ, დაქერას უპირობ-  
დნენ; ნახეს, რომ ბუხრის მხრიდამ ერთი ფოლადით შექურვილი  
კაცი, ხელთა აღმასის ბასრი ნაჯახით მეხივით მსწრაფლ ძირსა და-  
ეცა და იქ მყოფნი დიდად განჰკვირდნენ, მეტი შიშისაგან ცნობა  
მიეღოთ. გარდანქეშანმა სართაფს შემოხედა და შემოუძახა: ჰეი,  
შენ, ყოვლის სიაყვაცით და ბოროტებით სრულო, უპიროვ. მა-  
გას მაკვებებდი, რომ მივალ და ახლავე ჰყრობილთ გამოგიგზავნიო?  
აქ მოხველ და აღარც კი მოიგონე, შენ ჩემის ხელით ცოცხალი  
საღლა გარდამირჩები, ახლავე შუაზე გაგსხეპო!

მაშინვე სართაფ მივიდა და გარდანქეშანს მუხლსა მოეხვია და  
შეეხვეწა, შეკფიცა: მე რა იქილამ მოვსულვარ, სულ ამას ვეხვეწე-  
ბოდი, რომ გაუგზავნეთ, თორემ არ მოგვეშვებიან-მეთქი და არ და-  
მიჯერეს და რა ვქნა? აი ხელმწიფე და ეგ შენა! სართაფ კართან

მოდგა და ხოსროვშირს და აიარებს ანიშნა და ელვის მსგავსად გაჩნდნენ. საჩქაროდ მისცივიდნენ, ესე ვეზირი ერთობით დააბორკილეს და მერე გარდანქეშანმა სართათს უთხრა: იგი პურობილნი სად არიანო? მან მიუგო: არ ვიციო. გარდანქეშანმა მიუგო: თითონ შენ იმჟამად იქ არ იდექ, რომ მათ ას-ასი მათრახი ჰკრეს და ხაროში ჩაპყარეთო?

რა ესე ხელმწიფემ მოისმინა, დიდად გაუკვირდა და თქვა: ესე აიართა სპასალარი სწორედ გულთმისანი ყოფილაო. საჩქაროდ სართათ წინ გაიძღვარა და იმა ხაროსთან მივიდხენ. სანთელი აანთეს. საბლით გარდახქეშანი შიგა ჩაეშვა. რა ხათუნთა ესრეთ იხილეს, დიდად შეშინდნენ და ეგონათ, რომ სხვას სასჯელით რითიმე დაგვხოცნო. რა კარგად გასინჯეს, იცნეს, რომ მათი მრავალჯერ ტყვეობისაგან გამომძანელი გარდანქეშანი იყო. საჩქაროდ ყველანი მისცივიდნენ და მუხლს მოეხვივნენ და ლოცვა დაუწყეს. საჩქაროდ ყველანი აასხეს. რა ხოსროვშირმა და სხვათა აიართა უშანგ ხელმწიფის ცოლი. დედოფალი ცოცხალი იხილეს, დიდსა მხიარულებას მიეცნენ. მერე მიბრუნდნენ და რაიაზამ ხელმწიფე და აგრეთვე ერთობით მისნი ვეზირნი. სულ ხელფეხშეკრული აჩვენეს ამ დედოფალსა.

რა ესე მოიხილა, დიდად გაოცდა და ჩვენება რამე ეგონა. მერე გარდანქეშანს მიუბრუნდა და ამა სიტყვით უბრძანა: ჰე, სპასალარო და სწორედ ჩვენის ხელმწიფის მარჯვენე მკლავო, ვითარ შეიძლება კაცისაგან, რომ შენი შესაბამი ქება სწორედ ითქვასო? მერე დედოფალმა და ამა ბანოვანთა ერთობით დაუწყეს პირში გინება რაიაზამს და ეგრეთვე ამა ვეზირთა და ესრეთ. უთხრეს: აი შენ ძაღლის სჯულისაჲ, არა გრცხვენოდა, რომ რადგან დედაკაცები ვიყავით, თქვენ იმდენი სასჯელი მოიღეთ ჩვენზედაო? ბანოვანნი შესცივიდნენ რაიაზამს ზედა და ცემა დაუწყეს თავსა და პირში.

მერე დედოფალმა უბრძანა: თქვენ მაგას ხელი არ შეახოთ, ეგ ხოსროვშირის საქმე არის და რაც შეგეძლოთ, აი ამ ვეზირებს ურტყითო. მერე გარდანქეშანმა უთხრა შირფანჯას: ახლავე ჩემთან წამოდი და რაიაზამის ცოლ-შვილს უნდა სალამში ვიახლნეთო. რა მათსა არამხანაში შევიდნენ, ბანოვანთა შემოხედეს, ნახეს, რომ ორს ძლიერის გმირის ტანის მქონეს ჰაბუთ ხელთა შანდლები უპყრიათ და მრისხანეს ვარსკვლავსავით კარები შეაღეს. რა თავისკენ მიმავალი იხილეს, ერთობით დიდად შეშინდნენ და შექმნეს

თავში ცემა და ტირილი. მერე გარდანქეშანმა შემოუძახა: ჰეი, თქვე უნამუსონო, ნუ ჰყვირით, თორემ ეხლავე ყველას დაგზოცთო! მაშინვე გაჩუმდნენ და გარდანქეშანმა უთხრა: ადექით და ყველანი მე მომყევითო! ერთობით ეს რაიაზამისა ცოლი თავის ხალუმებით უკან გამოჰყვენ და უშანგის ცოლთან მოიყვანა ყველანი.

რაიაზამის ცოლმა რომ იხილა ეს თავისი ხელმწიფე ქმარი ასე შეურაცხად, ავად მოპყრობილი და ხელფეხშეკრული, მსწრაფლვე თვალი დაუბნელდა და პირქვე დაეცა. მერე თავისთა ხალუმთ მოაბრუნეს და რა გონებას მოეგო, გარდანქეშანს ასრეთ უთხრა: ყოვლის ქვეყნის ამაოხრებელო და სწორუპოვარო, გეხვეწები, რომ ახლავე მომკალო! მერე დაღწად ხათუნ დედოფალმა გარდანქეშანს უბრძანა: არ გაცდუნოს, მამაცი დედაკაცსა როგორ მოჰკლავს? მე ასე გირჩევთ, ესენი ყველა ერთობით იმ საპყრობილეში ჩაჰყარე, სადაც ჩვენ ვიყავითო. მაშინვე წაასხეს ერთობით და იმა საპყრობილეში ჩაუშვეს და ერთი დიდი ქვა თავს დაათარეს.

მერე გარდანქეშანმა თქვა: გათენებამ მოატანა და თუ არ გავისარჯენით, ღმერთო, საქმე საჭიროდ გაგვიხდება. სართავს უთხრა: დილაზე შენ მიდი ადრე და თქვენის სასახლის კარსა დასდექ, სადაც ჩვეულება აქვთ საღამოში მოსვლისა, და ვინც მოვიდეს, ყველას ასე გამოუცხადე, მათ სულთნებსა თუ სარდლებსა ყოველთავე ასე უთხარ: დღეს ხელმწიფეს თქვენთვის არა სცალია, საღამოში ვერ გამობრძანდება-თქო. თავისნი ესე და ეს ვეზირნი ახლავან და გამორჩევა აქვსთ რისამე-თქო. და ესეც უთხარ, აქ ამას ალავს მომიცადეთ-თქო. მე შევალ და ხელმწიფეს მოვასენებ და ვნახოთ კიდე თქვენს ნახვისას რასა ბრძანებსო. იმათ იქ კარზე მოაცდევინე, აქეთ გამობრუნდი და ცოტას ხანს უკან იმათ ესრეთვე პასუხი გაუტანე. და ორი ფალავანი გამოირჩიე და თან გამოიყოლე, რომ ისინიც დავაბორკილოთ და ამას უფრო ეცადე, რომ უწინ ყარაიფ შემოიტყუო, რომ მაგიერი ჩვენგანაც მიეგოს, დაესტანჯოთო.

რა ეს სართათმა მოისმინა, დიდად მოეწონა ესეგვარი რჩევა. და რა დილა გათენდა. კარსა საღამისასა შემოკრბენ ყოველნი დიდებულნი სარდალნი და ფალავანნი, ამათ ნახეს, რომ ჯერ არც ხელმწიფე გამობრძანებულა საღამოში და არც არავინ ვეზირნი არიან გამოსულნი. იმჟამად სართათ ვეზირი გამოვიდა კარზედა და მცირეს ხანს მათთან დასჯდა და როგორც გარდანქეშანმა დაარიგა, ამათ ყველა ასე გამოუცხადა ხელმწიფის მაგიერად.

მერე ამათვე უთხრა: ცოტა ხანს კიდეც მომიცადეთ, ერთი შევალ, ხელმწიფეს ვაცნობებ თქვენს აქ მოსვლასო. საჩქაროდ წამოვიდა. ცოტას ხანს უკან ისევ გამობრუნდა, ამათი დათხოვნის დასტური გამოუტანა და ყარაიაფს და მეორეცა ერთსა დიდებულსა უთხრა: ხელმწიფე გიბრძანებთო! იმათაც დიდად იამათ. სართაფ გაუძღვა და შეიყვანა. რა ამათ იხილეს, რომ ერთი მშვენიერი, ძლიერი ყმაწვილი კაცი ფოლადითა შეჭურვილი ტახტზედ ბრძანდება და აქეთ-იქით ხაღუმნი უსხედან, ესენი დიდად გაჰკვირდნენ და მერე საჩქაროდ ყარაიაფმა იცნა, რომ იგი ხოსროვშირი იყო. მაშინვე გაექანა და მუხლსა მოეხვია. ევედრებოდა თავის დანაშაულის მიტევებასა და აღუთქვამდა უშანგის მონობას.

ხოსროვშირმა რა ესრეთ შეხვეწილი იხილა, დიდად შეებრალა, ხელი მოსჭიდა ააყენა და უთხრა: შენი სიკვდილი ამ დედოფლისათვის მიპატიებიაო! საჩქაროდ გარდანქეშან მიეჭრა კბილების მტკრევით, ხელები მაგრად შეუკრა და საპყრობილეში იგინიცამათთან ჩაჰყარეს. ხოსროვშირს მოახსენა: რატომ მიყავი, რომ იმისთვის მოკვეთა არ ბრძანეთო? ხოსროვშირმა მიუგო: უიარაღოდ ღალატით კაცის სიკვდილი არ ვარგაო.

რალა გრძლად მოგახსენოთ, ამ დღეს რაიაზამს ყოველნი დიდებულნი სარდალნი და ფალავანნი სულ ასე მოიტყუა სართაფ ვეზირმა და ყველა ხარობებში ჩაჰყარეს. მერმე ხოსროვშირმა უბრძანა გარდანქეშანსა: იგი ფალავანი ყარაიაფ ამოაყვანიანე საპყრობილედამ, თორემ ჩვენ ღმერთთან მოვალენი შევიქნებით, ამისთვის, რომ იმან ჩვენს რჯულზედ მოსვლა მოინდომა და ჩვენიცა ერთგულობაო. საჩქაროდ ამოაყვანიანა, მიიყვანეს, ხოსროვშირს მუხლსა აკოცა და მათსა რჯულზედ მიიქცა და საბოთ ღმერთი იწამა და პატივისცემით მიიღეს.

მერე სართაფ გამოვიდა გარეთ და ყოველთა მოლარეთ-ხუცესსა და მოლარეთ მოუწოდა. რა შიგნით შეასხა, მასვე წამს აიარნი მოსცივდნენ და იგინიცა დაატუსაღეს. რა მათგან მოიცალეს, მერე გარდანქეშანმა თქვა: წამოდიოთ, ძმანო, ჩემთან რაც რომ ჩემს მამობილს რაიაზამს ჩემთვის დაუგდია საქონელი ან ნივთი, რაც რომ იქნება ამ სასახლეში, სულ ყველამ საქმოდ გავიყოთო.

რა შევიდნენ ამა სასახლეში, ასეთი სიმდიდრე იხილეს, რომ ყველანი გაოცებულნი იყურებოდნენ. მერე ხაზინები დაიარეს და მისგან შეკრებილს უნჯსა რიცხვი არ ეგებოდა, მერე სართაფს



უთხრა: ახლავე განაწესე ხელმწიფისათვის და ყარამანისათვის მისართმევად ცალ-ცალკე ხაზინები და რაც დარჩეს, ჩვენ ყველამ საძმოდ გავიყოთო. რა მას მორჩნენ, მერე ხოსროვშირმა სართათ ვეზირს უთხრა: ამაზედაც დიდად უნდა გაისარჯო, რომ იგივე ჩვენი მეხომალდენი გვიპოვო და ახლავე ხომალდები იქ მოაყენებინო. სართათ საჩქაროდ წავიდა და ხომალდები იქ მოაყენეს. მეხომალდებს ყველას ძვირფასი ხალათები უბოძა და კაცის თავს ათას-ათასი ოქრო მისცა.

მერე ხოსროვშირმა უბრძანა სართათსა: შენა და ეს ჩემი ახალი ძმობილი ყარაიფ ახლავე წადით ციხეში და ერთი მაგარი ხომალდი გამოარჩიეთ, აქედამ მიიტანეთ და რაც ხაზინებია სულ ამ ხომალდში შემოიღეთ და ახლავე საჩქაროდ ამავე ალავს მოაყენეთო. ამათ თავი დაუკრა და ესე საქმე საჩქაროდ აღასრულეს. მერმე ერთობით სასახლის სიმიდირე გამოაზიდინა. და შემდგომად მოვიდნენ ხომალდები და ერთში ბანოვანნი შებრძანდნენ და მეორეში თითონ თავკაცად ჩასხდნენ. მერე გარდანქეშანმა თქვა: მომიცადეთ, ჯერ ხომალდი არ აუშვათ, ჩემს მამობილს რაიაზამს უნდა გამოვესალმნეთო.

საჩქაროდ ხაროს პირს მივიდა და რაიაზამ ხელმწიფე ხელებშეკრული ხოსროვშირს ახლო მიუყვანეს და იქიდან კიცხვეით სალამი მოსცეს და სართათ ვეზირმა და ყარაიფმა მრავალი აყვედრეს და განკიცხეს. თითონ თავდაკიდებული იდგა და პასუხს ველარას უგებდა. მერე გარდანქეშანმა უთხრა: შენი ხაზინა და საცხოვრებელი სულ მე მიმაქვს და აბა თუ შენს მანათს კერპს შეუძლია რამე, გიშველოს! ამათის პატივისათვის მე შენ არ მოგკლავ, მაგრამ აქვე საპყრობილეში შეგაგდებ ამისთვის უფრო, რომ ეგების შენც მოიქცე და შენი სამეფოც მოაქციო და საბაოთ ღმერთი იწამოთ, იმარხე და ილოცო! ესე უთხრა, გამობრუნდა და თოკი მოაბა და იმავე ხაროში ჩაუშვა. გამობრუნდა და შევიდა ხომალდში. აუშვეს და გასწივეს ერანის მხრისაკენ.

იმ ღამეს ასეთი ნობათი დაუდგათ, რომ ოთხასი ალაჯი გაევილოთ. რა დილა გათენდა, მეხომალდეთა ჰკითხეს სართათ ვეზირსა: რომელს მხარეს წავიდეთო? ამათ უთხრა, ხოსროვშირს მოახსენეთო. იმას იახლენ და მოახსენეს, ამათ უთხრა, ცოტა დაგვაცალეთო. გარდანქეშანი აქ არ იყო; ისიც მალე მოვიდა და მოახსენა: ხომალდის თავზე აველ და დიდხანს უყურე, მაგრამ არც ერთს მხარეს

ჩვენი მომდევარი არავინა სჩანსო. მერე გახედეს და ერთი კუნძული დაინახეს, ხოსროვშირმა უბრძანა: ა, იმ კუნძულთან ხომალდები დააყენეთო. მათ მეხომალდეთ მოახსენეს: იგი კუნძული ავი სამტერო ალაგი არის და სახელადაც ბურუნჯი ეწოდებისო. მეორედაც უბრძანა: მე გიბრძანებთ, მანდ გაუსვლულობა არ იქნებაო! საჩქაროდ მოუმართეს და მას კუნძულს დააყენეს ხომალდები და იქ გარდახდნენ.

ამათი ამბავი ამა კუნძულზე და ხომალდების დაყენება აქა დაუტევოთ და რაიაზამის ამბავი მოიხსენეთ იქავე იმის სასახლეში: რა ხოსროვშირი და გარდანქეშანი მას ადგილიდამ გამოეცალხენ, რაიაზამ თავის ცოლ-შვილით და იმდენის ვეზირებით ხუთი დღე და ღამე იმა საპყრობილეში ეყარნენ. მეექვსეს დღეს მზარეულნი და მეშარბათენი შეიყარნენ და ერთმინეთს მიუთხრეს: დღეს მეექვსე დღე არის, რომ ხელმწიფეს ხონჩა აღარ მოუთხოვნიაო. თუშბალი წინ გამოუძღვა ამა მოსამსახურეთ და ყაფიჩიბაშთან მივიდნენ და მასცა ასე უთხრეს. მერე ყაფიჩიბაშმა უთხრა: არც რა მე ვიცი ხელმწიფისა. მხოლოდ ეს სართაფ ვეზირი მოვა ხოლმე და მეტყვის, რომ აქ არავინ შემოუშვათ, ხელმწიფეს არა სცალია. ახლა მე ასე მინდა, რომ ყველანი ერთად მივიდეთ და შევიტყოთ, ამდენ ხანს ხელმწიფის შიმშილი რაღა არისო?!

ყველა ესენი ერთობით სასახლეში შევიდნენ. დიდხანს იარეს და ამ სასახლეში ვერავინ ჰპოვეს. დიდად გაკვირვებულნი იყვნენ. რა გაჯერდნენ მათის ძებნით და ვერა გაიგეს რა, მერე ამა საპყრობილესა პირსა მივიდნენ. ქვა ახადეს და შიგ ჩაიხედეს. სცნეს, რომ ხელმწიფე თავის არამხანით და ყოვლის თავის ვეზირებით და ფალავნებით და კარის მოხლეებით სულ იმ ხაროში მოუშყვედევიათ. რა ეს საქმე ასე იხილეს, საჩქაროდ გარეთ გამოცვიდნენ და შექნეს ძახილი. შეკრბა ერი და ამოიყვანეს იმა ხაროდამ დახოცილთ გარდა ცოცხალნი რიცხვით ორი ათასი. ხელმწიფე და ხელმწიფის ცოლი მოაბრუნეს მრავლის ცდითა და სასუნებლის წამლებითა და საჩქაროდ საჭმელი მოართვეს.

რა ხელმწიფე მობრუნდა და გონებას მოეგო, ამა მოსამსახურეთა განურისხდა და ესე უთხრა: თქვენვე იცით, რომ მეც ხორციელი კაცი ვარ. ეს ერთი კვირა რომ საჭმელი აღარ მოგიტანიათ, ერთიც არის, როგორ ვერ შემოხვედით და არ მომძებნეთო? მერე მათ მო-

ახსენეს: ხელმწიფეო, მაგაში ჩვენ დანაშაული არა გვაქვს რა ამისთვის, რომ რამდენჯერაც შემოსვლას მოვინდომებდით ხოლმე, იმდენჯერ სართაფ გვეტყოდა, ჯერ დრო არა აქვს ხელმწიფესაო და არავის გვიშვებდა.

მერე ხელმწიფემ ბრძანა: რაც საქმე მომიხდა, სულ სართაფ ვეზირმა მიყო, სხვისა არავისა ბრალია და ვნახოთ, ეგება მეც ხელში ვიგდო სადმეო. იმეკამად მოლარეთ-ხუცები და მოლარენი იახლენ ხელმწიფესა და მოახსენეს: ხელმწიფეო, თქვენი ხაზინანი და სალაროები ასე აუკლიათ, რომ აღარაფერი შიგ არა დაუგდიათ რა. რა ესე მოისმინა, ამა მწუხარებას ველარ გაუძლო და ველარც ექიმებმა მოაბრუნეს და მიიცვალა.

აქა რა იაზამის გარდაცვალების ამბავი დაუტევოთ და ხოსროვ შირის ამბავი მოიხსენეთ: ხოსროვ შირიდან ხომალდები სადაც რომ მიიმუნების სამყოფი ალაგი იყო, იმა კუნძულზედ გააყენა და მცირეს ხანსა იქ განისვენეს. იქიდან იხილეს იმავე ალაგს ესოდენი მაიმუნთა ჯარი მოდიოდა, რომ მათს სიმრავლესა რიცხვი არ ეგებოდა. დიდის ხლტომითა და თამაშობითა ამათკენ მოდიოდნენ და იმათის ხმიანობით აღარავის რა ესმოდა. მერე გარდანქეშანმა თქვა: მეც წავალ და იმათ გამოვეთამაშები და ჩემს ჰუნარს ვაჩვენებო. ესე თქვა და ხომალდიდან გამოვიდა, მათ მიუხდა და რამდენიმე მაიმუნი მოკლა. რა ესე მათ მაიმუნთა დაინახეს, სულ ერთობით გარდანქეშანს შემოუტივეს. ზოგი მხარსა შეახლტა და ზოგნი ზურგსა, ზოგნი სხვასა და სხვას ალაგს ეჭიდებოდნენ და ასე შეაწუხეს, რომ მეტი აღარ შეეძლო მათ მაიმუნებისაგან. ამანაც ორმოცდაათი მაიმუნა დახოცა და რა მაიმუნთა იგი დახოცილი ამხანაგნი იხილეს, კაცთაებრ ტირილი და გლოვა შექნეს და გარდანქეშანზე კი ხელი აიღეს, და იგი საჩქაროდ გამოეცალა და ხომალდში შემოვიდა. ხოსროვ შირმა დიახ მრავალი იცინა.

მერე ხომალდები აუშვეს. გაემგზავრნენ. რამდენიმე დღე მშვიდობით იარეს და მერე ერთი კუნძული კიდევ გამოჩნდა. ხოსროვ შირმა სართაფ ვეზირსა ჰკითხა: თუ იცით, ეს კუნძული რა ადგილია და ან სახელად რა ეწოდებაო? სართაფმა მოახსენა: ამა კუნძულსა სახელად საგსარან ჰქვიაო. ამას ალაგს საკვირველი სანახავი იხილეს: რა კუნძულს დაუახლოვდნენ, გამოჩნდნენ მხეცნი, ტანი, ხელი და ფერხი ყველას კაცისა ჰქონდათ, თავი და თვალები ძაღლისა

ებათ. რა ხომალდი თვისა სიახლოვესა იხილეს, ყოველთავე ძალ-  
ღვიით ღმუილი შექნეს და ზღვაში შეცურდნენ და ხომალდს მია-  
შურეს. რა ხოსროვშირმა ესრეთ იხილა, მეხომალდეთა უთხრა: ნუ  
შეგეშინდებათო! მათ ფიცხლად ყველამ ისარი დაუშინეს და მრავალი  
დანოცეს და გამოსცილდნენ მშვიდობით. ოცი დღე და ღამე იარეს.  
მერმე აღმოსავლეთის მხრიდან ერთი რაღაც დაინახეს. მერე სარ-  
თაფს ჰკითხეს: ეს რა ალაგი არისო? მან მოახსენა: ეაე ალაგი ის  
არის, რომ ამა უკიანეს ზღვას ინდოეთის ზღვა აქ შემოეყრება და  
ამავე შესართავს ზღვას საშუალს ალაგს ერთი საშინელი მორვეი  
ტრიალებს, რომ ოთხსა ალაჯიღამ ხომალდს იზიდავს და ჩვენც  
დიდი ვაფრთხილება გვმართებსო. რა ეს დაასრულა, ხომალდებმა  
მის მორვეისაკენ წვეა დაიწყეს და საჩქაროდ იმა მორვემა შეითრია  
და შეიგდო შუა გულში და შექნეს ამათაც ერთობით ტირილი და  
ერთმანეთის გამოსალმება. და ამა მორვეში იხილეს რამდენიმე ხო-  
მალდი ადრინდელი შემოტანილი და აოხრებული და. კაცნი დახო-  
ცილნი.

მერე ეს ხომალდები ერთმანეთს მოაკრეს და ერთს ხომალდში  
ხოსროვშირმა ყველანი ერთად შემოჰკრიბა და სართაფს უთხრა: გა-  
მოარჩიე რამე, რომ აქედამ გავიდეთო. სართაფმა მოახსენა: ამა მო-  
რვეის შუაგულსა, რომელსაც რომ თქვენ ხედავთ, მინარა დგას  
ცადაქნილს სახლსავით. აქედან ერთი ძლიერი ფოლადის გულის  
მქონე კაცი უნდა იყოს, რომ ის შეცურდეს და იქამდისინ ცურვით  
მიაწიოს. რა იქ მივა. მერე მას მინარაზე ავა, კარს გააღებს. რა შიგ  
სახლში შევა. იქ ერთი დიდი დაფი ძევეს და ჩოგანი გვერდით უძევეს.  
მას ჩოგანს აიღებს და ერთს ძლიერად მას დაფს დაჰკრავს და იგი  
მინარა და დაფი ესეთს საშინელს დაიქუხებს, რომ ეს მორვეი სულ  
მთლად შეიძვრის და ღელვასაც დაიწყებს. მერე დიდროვანის ტალ-  
ღების ცემით ამა მორვეში რაც რამ იქნება, ან ძველი და ან ახალი  
შემოტანილი, სულ ტალღის ცემით ნაპირას გაიტანს.

რა. ეს მოისმინეს, ხოსროვშირმა თქვა: იმ კაცს ვილა გამოიყვან-  
სო? მან მოახსენა: იმ კაცის გამოყვანა აღარავისგან შეიძლება, იქ  
უნდა მოკვდესო. მერე კიდევ ხოსროვშირმა დაიძახა: აბა ვინა ხართ  
ამისთანა ჰაბუკობის მქონე, რომ ამდენი სული გამოგვიხსნათ და  
თქვენ დარჩეთო? რა ესე სიტყვა მოისმინეს, ყოველთავე თავი  
ძირს დაჰკიდეს და პასუხი ვერაინ მოახსენა.

ცოტას ხანს უკან გარდანქეშანი წამოდგა და ხოსროვშირს მოახ-

სანა: ხელმწიფის შვილო, მაგა საქმესა მე აღვასრულებ და მე შევიქნები თქვენის ჭირის სანაცვლო. ეს კი მიყავით, როდესაც თქვენ ხელმწიფესთან მიხვიდეთ, ხელმწიფესაც შემახვეწეთ და ყარამანსაცა და აგრეთვე ყოველთა თქვენთა დიდებულთა სარდალთა და ფალავანთა, რომ თავიანთ ლოცვაში ღმერთთან ნუ დამივიწყებენ უფრო ამისთვის, რომ ამდენის სულის გამოხსნისათვის ჩემი თავი წარვაგო, არას ვინაღვლიო!

რა ეს მოისმინეს, ერთობით უთხრეს: შენ ვერ გაგიშვებთო. არ დაიშალა. მერე ხოსროვშირ შეეხვეწა: ჩემის ცოცხალის თავით შენი მოშორება არ შემძლიანო! გზა არ დაანება. მერე ერთობით ბანოვანნი შემოეხვეწნენ. და ცოტას ხანს ამათ მიეფარა, ტანთა გაიხადა, თავზე შემოიხვია. ხანჯალაც თან წაიღო. მომზადებული ამათთან მოვიდა და შემოჰტყვიცა ყველას: თუ კიდევ დამიშალეთ, ამა ჩემის ხანჯლით თავს მოვიკლავო! რა ეს თქვა, ყველანი გაჩუმდნენ. მერე მოუბრუნდა, ერთობით ყველას გამოესალმა და საჩქაროდ ამა ზღვაში შეცურდა და გასწივა.

რა მას მინარასა მივიდა დიდის სიმხნითა, ერთი რკინის რგოლი დაინახა. მას ხელი მოავლო, ავიდა, კარი გააღო და შიგან შევიდა. მასვე ალაგს ერთი ქვის კიბე დახვდა და მასზე ავიდა. და რა ავლა დაასრულა, მალლა ბანზე ასულიყო. იქ დაისვენა, ტანთ ჩაიცივა, მერე წამოდგა, გამობრუნდა. იგი კიბე ვეღარ იხილა და არც კარი სჩანდა. ხუთასი ფეხის კიბე კიდევ აიარა. იმა მინარისა თავზედ ერთი ცადაქნილი სახლი იყო ბროლის გუმბათიანი. ოთხსავე მხარეს თორმეტი ფანჯარა დაეტანებინათ და საშუაღს ალაგს ერთი დიდი ოქროს დაფი დაედგათ და ერთი ვერცხლის ჩოგანი გვერდთა მოედვათ.

გარდანქეშანმან ესე სახლი დაათვალიერა. ამდენი კაცის ძვლები ეყარა, რომ რიცხვი არ ეგებოდა. მერე თავის თავს უთხრა: ვაი ჩემო თავო, მეც ხომ ამას ალაგს ასე უნდა მოვკვდეთო! მერე ხელი მიჰყო იმა ჩოგანსა და სამი ესეთი ძლიერად დაჰკრა ამა დაბლასა, რომე ასეთი ხმა გამოსკდა, ცის ქვეყანაზე დაცემასა გვანდა. ესოდენი ქარი ადგა, რომ კაცს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო და ზღვამ ღელვა და ქუხილი შექნა. გარდანქეშანმა იგი ჩოგანი აქავე დასდვა და მივიდა და ფანჯარიდამ ზღვას ყურება დაუწყო. ნახა, რომე ღელვას ამა მორევიდამ იგი ხომალდები გაუტანია და დიდს ზღვაში შესულან და დასავლეთისაკენ გამგზავრებულან. სანამ თვალი მიუ-

წვდებოდა, მათ ხომალდსა უყურა და რომ ვეღარ იხილა, მობრუნდა. იმავე გუმბათსა შინა ორმოცი დღე და ღამე დაჰყო. სასმელ-საჭმელი რაცა ჰქონდა, ისიც სულ გაუთავდა. გარდანქეშანმა გული დააჯერა თავის თავზედა სიკვდილისა.

იმ ღამეს ღვთის ვედრებით გაათენა. მეტისა ვედრებითა და მწუხარებითა დაიღალა და მიერულა და იმ ძილში ანგურ ფერია ეზმანა და ესე უთხრა: შენ თუ აქედამ განთავისუფლება გინდა, ღმერთსა მიენდე და ფეხის ცერებით უკან კალთა დაიჭირე და წელი გაიმაგრე. ღვთისა სახელი ახსენე და ასე გახლტი მაგა ფანჯარაში, რომ არას მოჰხვდეს, სიკვდილისაგან ნუ შეშინდები. ღვთის მოწყალებით არა გიშავს რა. ამა მინარიდამ ღვთის ბრძანება ასე არის, რომ სამი ვინმე უნდა მორჩეს და იმ სამისაგან ერთი შენა ხარ. და სხვას დროს ამას ალაგს ორმოცი ათასი კაცი აქ უნდა ამგვარის მიზეზით მოკვდენო. ესენი ასე ამხილა და უჩინო შეიქმნა.

რა გამოიღვიძა, იმა ფანჯარიდამ ძირსა დაიხედა და იხილა, რომ საშინელი ორი ზღვა ამას ალაგს ერთმანეთსა ეყრება და თითო დიდრონის მთის ოდენი ტალღები დგება. ესე თქვა: ამა ალაგსა სიკვდილსა ისევე ზღვაში სიკვდილი მიჯობსო! ილოცა მსურვალედ, ღმერთსა შეევედრა, მერე, როგორც სიზმარში ფერიას დაერიგებინა, ასე ჰყო. ღმერთი ახსენა, თვალები დახუჭა და ამა ფანჯარიდამ ზღვაში გარდაეარდა. რა წყალზე დაეცა, თვალთ დაუბნელდა და უცნობო შეიქნა. მერე, ბრძანებითა ღვთისითა, გარდანქეშან ერთს კუნძულზედ ამა ზღვამ გაავდო. მერე, რა ცნობას მოეგო, იხილა თავისი თავი იმა კუნძულსა ზედა, რომელსაცა სახელად უშველებელი ეწოდების.

რა გარდანქეშანმა იგი კუნძული იცნა, დიდად შესწუხდა და სთქვა: ნეტამც იმავე მინარაში მომკვდარიყავ და მე აქ ამ ალაგს არ გამოვეგდეო. ამა სიტყვასა ზედა მერე მოიგონა ყარამანთან ყოფნა და იქ შექცევა და ამოიოხრა და თქვა: ღმერთო, კიდევ იქნება, რომ იმათთან ცოცხალმა მოვალწიო? მერე წამოდგა, მიიარ-მოიარა და ვერა იპოვა რა საჭმელი. მხოლოდ ბალახის ძირი მოსთხარა და ჰამა დაუწყო და ვერათი გაძღა. მერე თქვა: ჩემთვის სატანჯავად ეს კუნძული გაკეთებულა. აღრევე ხომ შვიდი წელიწადი თილისმა შემკრეს და სავათად გარდამაქცივეს და აქ მომიყვანეს და გამიშვეს და ერთს ხანს ვიტანჯე და ახლა კიდევ ეს დამემართაო! და დიდად შეწუხებულმა ხანჯალი ამოიღო, თავით დაიდო, მიწვა და განსვე-

ნებას მიეცა და მარადეამს განუშორებლად ღვთისა მკვედრებელი იყო ძილსა თუ ღვიძილში.

ესე ამბავი აქა დაუტეოთ და იმავე ამბავში მივიდეთ, როდესაც უშანგ ხელმწიფე ყარამანი ციხილამ წაბრძანდა. იმეამად, უშანგ ხელმწიფემ რომ ყარამანია ციხეში ხოსროვეშირ, არდევან-შა და გარდანქეშანი დააგდო და თითონ ერანისაკენ წავიდა ლაშქრით, იმეამად ხომ ერთი ღრუბელი წამოსულიყო. იმ ღრუბელში ერთი ხელი გამოჩენილიყო და არდევან-შა ღრუბლით მოეტაცნათ და უჩინო შექნილიყო. იმავე ქამად რომ ყარამანმა სულეიმანის თილისმის ბალის კედელს ძლიერად თავისი გურზი ჰკრა და იგი კედელი ვერ გახეთქა, მაშინვე ხომ განრისხებული გამობრუნდა და უჩინო შეიქნა. იმეამად სეილან-ხანი მოსულიყო და ყარამან ჯინისტანში წაეყვანა, სურხაბ მოეკვლევინებინა.

იმ სურხაბ დევს ერთი ძმადფიცი დევი ჰყოლოდა, დიდად სახელოვანი, რომ ყაფის მთაში იმისთვის ვერავის ეჯობნათ. ასოცდაცხრა მწყურთა სიმაღლე ჰქონდა. სახელად ზართის-შირა ერქვა. რა ყარამანმა სურხაბ დევი მოკლა, ამას დიდად სწყყნოდა და ეთქვა: იქნება ჩემის მეგობრის სისხლი ყარამანს ვაზღვევინოო. ორი თვე გლოვასა და მწუხარებაში იყო და ამას ფიქრობდა: მივალ და ყარამანის ერთსა და ერთს ან სარდალს ან ფალავანს მოვიტაცებ და აქ მოვიყვან. იმას ბევრი ფერია და ჯინისტანელი მეგობრად ჰყავს. რა ისინი აქ მოყვანილს ვისმე იხილავენ, მაშინვე ყარამანს ამბავს მიუტანენ და ის აქეთ წამოვა. რა იმას აქ ხელში ვიგდებ, თავს მოვჰკვეთ და რა იმას მოვკლავ, მერე წავალ და სულ ადამიანთ ნათესავს ხმელეთზე ამოვსწყვეტ და მათს ალაგს სულ დევებს დავასახლებ და ჯავრს ასე ამოვიყრიო.

ესე თქვა და მივიდა და არდევან-შა მოიტაცა და მოიყვანა თავის სამყოფს. ამის მოყვანა ყარამანის ბანდას უშულაეთის სულთანს შეეტყო. ჯარი შენოიყარა და მიხდომას უპირებდა. მერე თავის დიდებულთ დაუშალეს: ძლიერ ბილწია ეგე დევი, ჩვენ მაგისა ბრძოლა არ შეგვიძლიაო, ყარამანს შევატყობინოთო. მაშინვე წიგნი მისწერეს და სამი ფერია მოიყვანეს და უბრძანეს: ახლავე ეს წიგნი სააბყარანს მიართვითო. ესენი ფრინვეთ წავიდნენ და გზაზე მიმავლობაში იმა კუნძულზე გაიარეს, რომელსაც სახელად ბეფირად ეწოდების. ძირს დაიხედეს, კაცის სახედ რამ იხილეს. საჩქა-

როდ ჩამოხდნენ. მიახლოვდნენ და იცნეს, რომ ამა უალაგო ალაგს გარდანქეშანს სძინავს.

რა ესრეთ იხილეს, დიდად გაუკვირდათ და კიდევ იამათ მისი ხილვა. მერე ჩუმად მიეპარნენ და წყნარა გამოაღვიძეს. რა გარდანქეშანმა შემოხედა ამა ფერიათა, მაშინვე იცნა, რომ შაფალხანის ფერიანი იყვნენ. დიდად იამა და ღმერთსა მადლობა მისცა. მათ მიესალმა. მერე ერთმანეთს თავგადასავალი მიუთხრეს. წიგნი ამოიღეს და გარდანქეშანს უჩვენეს ყარამანთან როგორც მიეწერათ, წაიკითხა და არდევან-შას სიცოცხლის ამბავი შეიტყო. ამისთვისაც უფრო დიდად გამხიარულდა და უთხრა: მღვთის მადლსა, სადაც ის ბილწი დევი არის, სწორედ იქ მიმიყვანეთო. ამათ უთხრეს: გარდანქეშანო, შენ იმას ვერას უზამ, შენი ნათქვამი დევი არ არისო. გარდანქეშანმა უთხრა: მაშ რა ვქნა, სააბყარანი ხელმწიფესთან არ არის. ეს მივა და იმათ აუტეხს რასმეო. მე ახლავე იქ მიმიყვანეთ და თუ რომ მე იმან მომკლას, ყარამანს მერე შეატყობინეთ და ჩემს სიკვდილს ის შეანანებსო.

რა რომ აღარ მოეშვა, მათ ფერიათა გარდანქეშანი ზურგსა შეისვეს და საჩქაროდ უშუღაეთის ქვაბებთან და მალნარის პირზედ დასვეს. და მათ საჩქაროდ გაბრუნება მოინდომეს. გარდანქეშანმა უთხრა: აქ მოშვიცადეთ ცოტას ხანს. თუ მე ის წყეული მოვკალ, თქვენც იქ დაესწართ და თუ იმა წყეულმა მომკლას, ყარამანს შეატყობინეთო. ესე თქვა და ქვაბში შევიდა და იმა წყეულისა ტახტისა პირთან მივიდა. ნახა, რომე არდევან-შა, დიდი ჯაჭვებით შეკრული, ტახტისა ძირსა ეგდო, გარდანქეშანი მივიდა და მუხლსა მოეხვია. არდევან-შამ ჰკითხა: შენ აქ ვინ მოგიყვანაო? გარდანქეშანმა მოახსენა: ხელმწიფეო ჩემო, ჯერ საუბრის დრო არა მაქვს, ეგების ამ წყეულს აუტეხო რამეო.

წინ დადგა და იხილა, რომ მეტად საზარელი სანახავი რამ იყო და დიდადაც შეშინდა. ისევე გული შეიმაგრა, ხანჯალი ამოიღო და გულსა დაცემასა უპირობდა. მერე თქვა: ყარამანის სასაცილოდ აგდებას ველარ მოურჩები. ასე მეტყვის, მძინარეს როგორ მიეპარე და ისე მოჰკალ? იმისგან ამდენს ფალავნებში მოყივნებასა ამისივე გამოღვიძება მიჩვენიაო. მივიდა, შემოუძახა და ერთი ძლიერად ყბაში შემოჰკრა. მასცა გამოეღვიძა და ერთი ასეთი საშინლად დაიქექა, რომ გარდანქეშანს ცნობა მიეღო და იმა ტახტიდამ ძირს გარდმოვარდა



რა ამა წყეულმა თვალი აახილა და გარდანქემან იქ დაინახა, ფეხზე აღგომ: აღარ იკადრა, იმა ტახტიდამ ხელი გამოშალა, გარდანქემანს საყელოში გაავლო და თავის წინ მიითრია. შეხედა და მაშინვე იცნა, რომ ყარამანის სული და გული და იმისი მეგობარი გარდანქემანი იყო. ამა ბილწმა დიდად გაიხარა და ესრეთ უთხრა: მე ვნატრობდი, რომ თითონ ყარამან ხელში ჩამეგდო და წამებით მომეკლა და ახლა იმის ჯავრსაც შენზე ამოვიყრი. ასე გტანჯავ, რომ სიკვდილს მეხვეწებოდეო! ხელები შეუკრა და კარზე გამოიყვანა.

ფერიათ შემოხედეს და დიდად შესწუხდნენ. მერე ერთმანეთს უთხრეს: წავიდეთ, ამა წყეულსა გავეცალოთ, ჩვენ არა დაგვებრალოს რაო. მერე მეორემ უთხრა: ცოტას ხანს უყუროთ, მოჰკლავს თუ ტუსაღად შეინახავს, ეს შევიტყოთ და მერე ისე წავიდეთ. ამა დევმა გარდანქემანი ხელში იპყრა და მალლა ჰაერში აიტაცა, რომ კაცი თვალით ვეღარ განიცდიდა. მერე მის სიმაღლიდამ გაუშვა ხელიდამ და წამოვიდა გარდანქემანი თავდაღმა ტრიალითა. სანამ ძირს დაეცემოდა, ამა ბილწმა ხელი მიაშველა და დაიჭირა. ალაგზე არ დასცა. ეს საქმე მრავალჯერ უყო და სტანჯა საბრალო გარდანქემანი.

მერე გარდანქემანი შეეხვეწა და უთხრა: მომკალ და მომარჩინე ამდენს ტანჯვასაო! მან უთხრა: ამა ტანჯვით მოგკლავო. გარდანქემანმა თქვა: მე ხომ ამას ცოცხალი ვეღარსად გადატურჩები და უგება ამასაც აუტეხო რამეო. ხელი შეიხსნა, ხანჯალი აღმოიწოდა და იმა მომავლობაში სახელი ღვთისა ახსენა და ესეთი ძლიერად დასცა ზურგსა, რომ მკერდსა გაავლო. მას საშუალის ალაგიდამ. გარდანქემან ხელიდამ გაუშვა და ორნივე ძირს დასაცემად წამოვიდნენ. რა მათ ფერიათა ესრეთ იხილეს, მსწრაფლად გარდანქემანს ხელი მიაშველეს და ძირს აღარ დასცეს, ჰაერში დაიჭირეს. და იგი ბილწი დევი როგორც მიწას დაეცა, მაშინვე სული ამოხდა.

მერე გარდანქემანიც მათ ფერიათა მოაბრუნეს. თვალი აახილა და თავის წინამდგომნი იგბე ფერაანი იხილა. დიდად იამა და ღმერთსა მადლობდა. მერე მათ ფერიათა დიდი ქება შეასხეს. ადგნენ და დევისაკენ მივიდნენ, ნახეს რომ იგი სამაგელი მომკვდარიყო. მერე მის ქვაბის კარსა მივიდნენ და არდევან-შას ყური მიუგდეს ჩუმად და იგი დიდის ხმით გარდანქემანს სტიროდა და მოსთქვამდა: ჩემის კულისათვის მანცა თავი მოიკლაო! საჩქაროდ გარდანქემან შევიდა

და მოეხვია და იმ საძაგელის დევის სიკვდილი ახარა. საჩქაროდ ჯაჭვები დაგლიჯეს და არდევან-შა აუშვეს.

მერე გარდანქეშანმა ამა ფერიათა უთხრა: აბა, ახლა გაგიჩნდებათ ჩვენი შემწეობა. უკიანეს ზღვაში ჩვენი ორი ხომალდი მიდის და საჩქაროდ იმათ უნდა მიგვწიოთო. მაშინვე ზურგთა შეისვეს და ერთი წინ წაუძღვა. გასწივეს და დიდის შრომით მათ ხომალდებს დაუახლოვდნენ. იმა ხომალდებში მსხდომნი დიდი და პატარა ყველანი გარდანქეშანს იგლოვდნენ და ყველას შავები ჩაეცვათ მისთვის.

ამა მიმავლობაში ხომალდიდამ იხილეს ჰაერიდამ მათზე მისული რაღაც. სართაფ ვეზირმა თქვა: არამც ესენი დევები იყვნენ და ჩვენს სამტეროდ წამოსულიყვენ და გვაენონ რამეო! საჩქაროდ ხოსროვშირმა და ყარაიადმა ხლმები აღმოიწოდეს და გემების თავს დადგნენ. რა ახლოს მოფრინდნენ, ერთმა ფერიამ შესძახა: მოყვრები ვართ და არა მტერნიო! გარდანქეშან მათცა საჩქაროდ იცნეს. ხოსროვშირმა მაშინვე ხმალი ხელიდან გააგდო მეტის სიამოვნით და გარდანქეშანს მოეხვია, მკერდსა მიეყრდნა. მეტის სიამოვნით ხან სტიროდა და ხან იცინოდა. ეგრეთვე არდევან-შანს მიესალმნენ და შექნეს ერთი დიდი სიხარული და სიამოვნე.

მერე გარდანქეშანმა თავისი თავს გარდასავალი ყველა თვითოეულად უამბო. გარდანქეშანმა შაფალი ფერის წიგნი მისწერა და თავისი თავს გარდასავალი ყველა წვრილად შეატყობინა და მათ ფერიათა მრავალი წყალობა უყვეს და გაისტუმრეს, ამა მიმავლობაში შორით ოთხი ხომალდი გამოჩნდა. ხოსროვშირმა სართაფს ჰკითხა: ესე რა ალაგია და ანუ ისინი ვინ მოდიანო?

სართაფ მოახსენა: ესენი კაცის მკამელნი ზანგნი არიან და ამა კუნძულსა მკვიდრობენ და ამათ უფროსსა სახელად შაჰია ზანგი ჰქვია და ესრეთი ძლიერი კაცი არის, რომ იმისი ომის გასწორება არას ფალავანს არ შეუძლია და ვერც ვერავინ გაუძლებსო. რამდენიმე გემი ამათი ასე დადის ამა ზღვაში და ხუთას-ექვსასი მეომარი კაცი შიგ სხედან და სადაც გემს მოასწრებენ, მაშინვე აიკლებენ და კაცთ დახოცენ და სულ დასჭამენ. მე აღრევეც ღმერთს ვევედრებოდი, რომ ამათ არ შემოვეყროდით და ახლა რაღა გვეშველება, არ ვიცითო!

მერე ხოსროვშირმა უთხრა: სართაფ, შენ ამათგან ნუ გეშინია და ღვთის შეწევნით შენ მათ არ შეგაკმევთ და ბევრსაც გაციებო-

ესე თქვა და საომარისა იარაღითა შეიჭურვა და ეგრეთვე სხვანიცა. გარდანქეშანმა თქვა: მე ერთი რჩევა მაქვს მოსახსენებელი, თუ რომ დამიჯერებთო. ხოსროვშირმა მიუგო: ვის შეგვიძლია, შენი რჩევა არ მოვისმინოთ და ან არ დავიჯეროთო. გარდანქეშანმა უთხრა: ისინი იმა ხომალდებში სულ მეკობრენი სხედან და იმათი მორევა ყველას შეგვიძლია და ვერც მოგვიციდიან და ეგრეთვე იმათი უკან გამოკიდება ჩვენ რა ხელს მოგვცემს?! თუ დამიჯერებთ, ასე ვქნათ: ყველამ ქალური ტანისამოსი ჩავიცვათ და ქალურად მოვივითოთ. ისინი მოვლენ და მათს ნებას ჩვენც მივყვეთო. მერე ისინი ხომ იმა ციხეში შეგვასხამენ! და რა თქვენი, გარდანქეშანი მათ ციხეში შეეტყუება, გაცნობებთ მათ თამაშას, რა რისხვა ღვთისა დაეცეს მათზედაო.

სართაფმა უთხრა: გარდანქეშანო. რით ვერ გასძელ ამდენის კაცის ხოციტა? იმა ციხეში რომ შეხვალ, ხოსროვშირ თუ გიშეელის და შემოგეწევა, თორემ ჩვენ ხომ არა შეგვიძლიან რაო! და კაცი რომ თავის შემკმელს თვალით უყურებდეს, ძნელია. მერე გარდანქეშანმა უთხრა: ვეზირო, დიახ დიდი ხანია, რომ ისინი ქვეყანას აოხრებენ და მრავალი ხაზინაც ექნებათ. და რასაკვირველია, ჩვენ იმათ საქმეზე ღმერთი შეგვეწევაო!

მერე ხოსროვშირმა უთხრა: გარდანქეშანო, შენი რჩევა ხომ ეს არის, რომ ყველანი მაგ კაცის მკამელთ ხელშეკრული მიგვცე და დაგვკამოსო. გარდანქეშანმა უთხრა: სანამ სამს-ოთხს დღეს არ შეგვინახავენ, არ დაგვკამენო. ხოსროვშირმა თვალი უყო და ჩუმად უთხრა: ახლავე მოემზადე და ღმერთა შეგვეწევაო. ადგა. წავიდა. შირფანჯა თან გაიყოლა. მივიდნენ, ორი ქალის ტანისამოსი მოიღეს, ჩაიცვეს ქალურად, მოირთენენ და მივიდნენ და დედაკაცებში ჩასხდნენ.

მერე ზანგის ხომალდები მოადგათ და უთხრეს: თქვენ ვინა ხართ და ან საით მიზჯარ თო? სართაფმა უთხრა: ბეზირგნები ვართ და ესე ხომალდი სულ აქონლით სავეს გვაქვს და მეორეს ხომალდში ჩემი მოსამსახურენი და მოახლენი არიან. ქიშმირისაკენ მოვალთო. მათ მიუგეს: ჩვენ შაჰია ზანგის კაცნი ვართ და აქ ვემეკობრობთ. ვინცა ვინ ჩვენი წინააღმდეგი შეიქნება, სულ ამოვწყვეტო, და რომელიც არა — იმათ არას ვერჩით და მშვიდობით ციხეში წავასხამთო. სართაფმა უთხრა: ჩვენ თქვენი წინააღმდეგი არა ვართ და არ-

ცა არა შეგვიძლია. როგორც თქვენი ნება იყოს, ისე ჰქენითო! მათა დიდად იამათ.

ხომალდები იმა ციხისაკენ გააბრუნეს და იმათაც ორი-სამი ზანგი მახარობლად გაგზავნეს იმა თავის უფროსთა და შეუთვალეს: დიახ მრავალი უცხო და უცხო მსუქანნი ნადირნი ვიპყართ და კაი მასპინძლობა გმართებთო. რა ეს ზანგი მახარობლად მივიდა, იუზბაშს დიდად იამა და უთხრა: ვინ არიან და ან რას მხრისაკენ მიდიოდნენ? ან ხომ არ შემოვბმითო? მათ მოახსენეს: ერთი ხოჯა ბერიკაცი სოვდაგარი არის და დიდი მდიდარიც ყოფილა. რა დაგვიხანსა, მაშინვე თავი დაგვიკრა და დაგვემორჩილაო.

რა ესე მოისმინა, დიდად იამა. მოვიდა და ციხისა კართან დასჯდა და მერე ხომალდებიც მოიტანეს და დააყენეს. სართავ შეეხევეწა იმათში ერთი უფროსი ზანგი იყო, იმას: ჯერ მე წამიყვანე და თქვენი ხელმწიფე მაჩვენე და როგორც გვიბრძანოს, მერე ისე ჰყავითო. საჩქაროდ ხელი მოსჭიდა ვეზირსა. მოიყვანა და შაჰია ზანგს თავი დაუკრა და მოახსენა: ყოვლის ზანგების ხელმწიფევე, მე თქვენის ერთგულობის უარის მყოფელი არაოდეს არა ვყოფილვარ და არც თქვენ ზანგთა შემოვბმევარ, და ვითხოვ წყალობას, თქვენც ჩემდა შესაბამად პატივით მიმიღოთ. დიახ სახელოვანი ხოჯა ვარ და კაი ცოლ-შვილიცა მყავსო. მივიდა და მუხლსა მოეხვია და მოახსენა. სულ თქვენთვის მომირთმევია, მაგრამ ეს წყალობა უნდა მოიღოთ, რომ მეც მიცნობდეთ და თქვენთან მეც მოსვლის ალაგი მქონდესო.

ამანაც მაშინვე ხალათი ჩააცვა და დიდი იმედი უბრძანა და ზანგებს ბრძანება მისცა: ეხლავე ხოჯა სოვდაგარს ჩემს არამხანაში სახლები მოუშზადეთ და კარგა რიგიანად დაასვენეთ და რაც საქონელი იყოს, შაჰიას ხაზინაში შეინახეთო. ასე გამხიარულდა, რომ რაც ზანგნი იყვნენ, სულ იქ შემოჰკრიბეს და მეჯლისი გამართეს. რა რომ საღამო ეამი შეიქნა, გარდანქეშანმა სართავს უთხრა: ვეზირო, წადი შენა და იმა მეჯლისში შედი. ისინი ხომ ლხინსა და შექცევაში არიან ჩვენის შოვნისთვის. შენ იმა ზანგთან თამამად მიდი. მძიმედ თავი დაუქარ და მოახსენე: ორი კარგი ლამაზი მოახლე მყავს და საუცხოვო საკრავი იციან-თქო და თუ ბრძანებთ, მოვასხამ იმათ აქა და დიახ უცხოდ შეგაქცევენ-თქო.

საჩქაროდ ვეზირი იმათთან მივიდა და მძიმედ თავი დაუქარა და დადგა, ზანგთა ხელმწიფემ შემოხედა და უბრძანა: მოდი, ჩემო ხო-

ჯავ, რას საქმეზე გარჯილხარ და ან ხომ არ გშიახ, შენი აშბავი შე-  
მატყობინეო. სართათუმა თავი დაუკრა და მადლობა მოახსენა: მე  
თქვენი წყალობა არა მაკლია რა, მაგრამ რადგან თქვენ ლხინსა და  
შექცევაში ბრძანდებით, მე ორი მოახლე მყავს, დიახ უცხო მომღე-  
რალნი და მოთამაშენი. ბრძანეთ. მოაყვანიეთ და შეექციეთო. მანცა  
დაუმაღლა, დიახ კარგი იქნება, ახლავე მოიყვანეთო.

ისინიც საუცხოვოდ ქალების სახედ შეცვლილი იყვნენ. რა  
ბრძანება მიუვიდათ, მაშინვე გარდანქეშან და შირფანჯა გამოჰყვა  
და თავის საკრავი ხელთ ეპყრათ. რა იმა ალაგს შევიდნენ, მძიმედ  
თავი დაუკრეს და ცოტა ხანს უკან საკრავი დაუკრეს და ზედ  
უცხოს ტკბილის ხმით დაემღერნენ. რა მათ ზანგთა ამისთანა საუ-  
ცხოვო ხმა მოისმინეს, მეტის სიამოვნებისაგან თითქმის უცნობონი  
შეიქნენ. თანდათან უფრო განამშვენიერეს საკრავის ხმა. მერე ზე  
აღგნენ და ქილიკობა რამ დაიწყეს ამა ორთა.

შირფანჯა მივიდა და ზანგთა სულთანს მოახსენა: ხელმწიფეო,  
ჩვენში განწესება ასე არის, სადაც მეჯლისში მიგვიწვევენ და სა-  
კრავს დაუკრავთ, თუ რომ კარგად მოეწონებათ, მერე ჩვენ ღვინოს  
ჩამოგვარიგებინებენ. ყველას რომ მივართმევთ, მერე თავს დაუ-  
კრავთ, დავსხდებით და მას უკან უფრო პირველი ტკბილი ხმები  
უნდა დაუკრათ. და თუ რომ ჩვენგან შექცევა რამ მოგეწონათ, მაშ  
ღვინო უნდა ჩვენ მოგართვათო. მაშინვე ნება დართო და ამათ ორ-  
თა აიღეს თასები და პირველად მას სულთანს შეატყუეს ძალიან  
ბეუშდარიანი ღვინო და აგრეთვე ყოველთავე ასვეს თავიანთის  
ხელით ბეუშდარიანი ღვინო, რომელსაც ეწოდების სახელად ბანგა.

რა ღვინის სმა გაათავეს. მაშინვე ყოველთავე ძილი მოევიდათ  
და ერთიმეორეზე მიეყარნენ. მერე ვეზირმა უთხრა სიცილით: აბა  
ახლა რაღას უყურებთ, ამათ თავი დაჰკვეთეთ ერთიანადო! მერე  
გარდანქეშანმა უთხრა: ამათს მძინარეს დახოცას როგორ ვიკადრებ.  
ამათ თავის ღროზე გამოელვიძებათ და თავის ნაქნარს საქმესა მათვე  
შევანანებო. მიუხდა პირველად მას ზანგსა და მძიმედ დააბორკილა  
ხელით და ფერხით და ეგრეთვე სხვანიცა ყოველნივე და სულ ერთ-  
მანეთზე შეახორავა. რა მათგან მოიცალა, დასხდნენ და ლხინი  
ნახეს.

რა დილა გათენდა, ყველას გამოუნელდათ ბეუშდარი და რა  
თვალი გაახილეს, თავიანთი თავი იხილეს ესრედ პყრობილი. დიდად  
შეწუხდნენ. მერე იმა ზანგთა სულტანმა შაჰიამ ერთი ძლიერად

დაიჭექა და წამოიჩოქა და ცდილობდა, რომ ჯაჭვები დაეგლიჯა, მაგრამ მეტად მძიმედ იყო შეკრული. და გარდანქეშანმა შემოუძახა: ჰეი, შენ ეშმაკის სადგურო, შენ როგორ შეგიძლია უშანგ ხელმწიფის მონის გარდანქეშანის ხელისაგან ცოცხალი გარდარჩეო? მათ აიართა თვალი უყო და მასვე წამსა ყველას თავები დაჰკვეთეს, ამ სულტანსა და მეორეს ამის ფალავანს გარდა.

მერე ამა შაჰიამ ამოიობრა და თქვა: მე სიკვდილი არად მიმანინია, ნეტამც ჩემი ომი გენახა, მაშინ იტყოდი, რომ უსწორო რამ ყოფილაო! გარდანქეშანმა უთხრა: შაჰრიარო, მე აქ ერთი ფალავანი მყავს, ამას ეხლავ აქ მოვიყვან და ხელებს გაგიხსნი, თუ შენ იმას მოერევი, აგრე იყოს, ისევ შენი ტყვენი ვიქნებითო! ამანაც დიდად დაუმაძღლა. მერე ვეზირს უთხრა: წადი, ხოსროვშირს მოახსენე, იარალით შეიპურვოს და ეხლავე აქ მობრძანდესო! ვეზირმა დაუშალა: დამეხსენ, მაგას ეხლავე თავი მოჰკვეთეო.

მერე აიართ ანიშნა და საჩქაროდ ხოსროვშირ იქ მობრძანდა და ეგრეთვე ყარაიაფ. მათ რა ესრეთ იხილეს, დიდად გაუკვირდათ. ხოსროვშირ უბრძანა: აუშვით ეგე ხმელეთის შემამარწუნებელი, რომ ჯოჯონეთში მისვლა დაგვიანებია და ახლავე გავგზავნიო. საჩქაროდ შეხსნეს და ერთი მაღალის ხმით გაიკასკასა. თავისი მძიმე ლახტი თავსა შემოივლო და ხოსროვშირსა ესე ძლიერად დაჰკრა, რომე არავისგან ახსოვდა ისე ძლიერად ლახტის დაკვრა და თვისსა ლახტსა ატაკინა, ეგრეთვე მეორეცა და მესამეცა და მეოთხედ ხელი მოავლო ხოსროვშირსა. უნდოდა, რომ ხელში აეყვანა და ფეხიც ვერ მოუტევალა.

რა რიგი ხოსროვშირს ერგო, სარტყელსა გაავლო ხელი, ღვთისა სახელი ახსენა, აზიდა, თავსა შემოივლო და ესეთი დასცა მიწასა, რომ მან საძაგელმა მაშინვე სული განუტევა. საჩქაროდ თავი მოჰკვეთა და მას მეორე ფალავანს შემოსტყორცნა და იგიცა მით მოჰკლა.

მერე გამობრუნდნენ და იგი ციხე სრულებით მოვლეს, მაგრამ მისი ცოლ-შვილი ვერსად ჰპოვეს. მერე ხაზინაში შევიდნენ. თავისი ბანოვანნი ჰპოვეს და ესოდენი თვალ-მარგალიტი, ოქრო, ვერცხლი იყო, რომ რიცხვი არ შეიგებოდა. დიდად განკვირდნენ და არდევანშას მიართვეს საქორწილოდ იგი ხაზინა. და სამი დღე და ღამე ზიდეს აიარებმა იგი ხაზინა. ორს ხომალდში იმა ზანგის დანარჩენი საქო-

ნელი შეიტანეს და მესამეს ხომალდში ისევ უშანგის ხაზინა ჩააწყვეს. შვეიდნენ და ჩასხდნენ.

მშვიდობის ქარი და ჰაერი დაუდგათ და ორმოცი დღე იარეს. ქიშმირში მივიდნენ, ხოსროვშირმა ყათრანს მახარობელი გაუგზავნა და წიგნი მისწერა. რა მახარობელი მიუვიდა, დიდა იამა, საჩქაროდ წინა მოევება და დიდის დიდებით თავის სასახლეში მიიწვია. ერთი თვე იქ დაჰყვეს შექცევითა. მერე წასვლის თადარიგში შევიდნენ. ქიშმირში ყათრანის მაგიერად ერთი იქაური დიდებული კაცი დასვეს და ნაიბადა და ისინი აიყარნენ და ერანისაკენ წავიდნენ მშვიდობით.

ესე ამბავი ამა მომავლობაში დაუტოოთ და მის ამბავსა შინა მივიდეთ იმავე ჟამად უშანგ რომ წავიდა. უშანგ ხელმწიფე რომ ყარამანია ციხილამ წავიდა, ამა ციხეში არღევან-შა, ხოსროვშირი, გარდანქეშანი და თავისი ცოლ-შვილი იმჟამად იქ დაჰყარა და დაარიგა, ცოტას უკან თქვენც წამოდითო. არღევან-შასი და თავის ცოლ-შვილის დაკარგვა ხელმწიფეს მოხსენებოდა და დიდს მწუხარებასა და გლოვასა შინა იყო. მაგრამ მოახსენებდნენ: ნუ შესწუხებდით, გარდანქეშანი იქ ახლავსთ, არავის არა ევენება რაო. რა უშანგ-შა ერანში მისულიყო, იმჟამად დეშტი ყივჩაღში თავის მამას მალაილისათვის წიგნი მიეწერა და გაეგზავნათ. მათს მტერთაც შეტყობთ უშანგის ერანში შესვლა, მაგრამ მტერობაზედ ხელი არ აელოთ. ლაშქარისა და ჯარის თადარიგის მზადებაში იყვნენ. მაგრამ ხელმწიფეს არც კი ახსოვდა. თავისის ცოლ-შვილის დაკარგვის ჯავრი აწუხებდა და არავისთვის ეცალა.

იმავე ჟამად ერთი კაცი მოვიდა და მოახსენა: ხელმწიფეო, მიხარებია, თქვენი ცოლ-შვილი და აგრეთვე ყველანი ერთობით მშვიდობით აქ მოვიდნენო. რა ესე მოისმინა, ხელმწიფე დიდად გამხიარულდა და ბრძანა: სამხიარულოსა ნალარასა ჰყარითო. მაშინვე ხელმწიფე და მისნი დიდებულნი წინა მიეგებნენ. რა მათ ხელმწიფე ახლოს მიმავალი იხილეს, ერთობით წინა მიეგებნენ და მუხლთა ეამბორნენ და ხელმწიფეც მათ საყვარლად მიესალმა ყველას თავ-თავის შესაბამად. მერე გარდანქეშანს მრავალი მადლობა უბრძანა: ღმერთმან შენი სიცოცხლე ნუ მომაკლოს და ნურც შენი ნაკლებობა მაჩვენოსო!

მერე მობრუნდნენ სასახლეში და ბრძანა: ამაღამ ჩირალოვანი

მეჯლიში უნდა გაიმართოსო. რა ლხინში შევიდნენ, მერე ხელმწიფემ გარდანქეშანს ინდის ამბავი ჰკითხა. გარდანქეშან ზე ადგა, თავი დაუკრა და რა ხელმწიფეს გაჰყროდა, იმ დღილამ ამბავი ყველა თვითეულად მოახსენა. რა გარდანქეშანისაგან ესოდენი ამბავი მოისმინა. დიდად გაჰკვირდა ამ ამბავსა. მერე სართაფ ვეზირს დიდი მადლობა უბრძანა და ეგრეთვე დიდი პატივი მიაპყრა და ჩინებულსა ადგილსა დასვა. ეგრეთვე ყარაიფ მოიკითხა და კარგს ადგილსა დასვა და მრავალი წყალობა უბოძა მათ ორთავე.

შემდეგ გარდანქეშანმა შაჰია ზანგის საქონელი მოიტანა, ხელმწიფეს მოართვა. რა ეს ამდენი საქონელი იხილეს, ყველანი დიდსა განკვირებასა მიეცნენ ესოდენის საქონელის შეკრებისათვის. მერე რაიაზამის ხაზინა თავის ხაზინას შეუმატა და შაჰია ზანგის ხაზინა ჩინეთის ხელმწიფეს უბოძა საქორწილოდა. მანცა მადლობა მოახსენა და უშანგ-შას ხელზე აკოცა. სამი თვე, დღე და ღამე სულ ქორწილსა, ლხინსა და შექცევაში გაატარეს.

შემდეგ უშანგ-შამ თავის შვილს არდევან-შას ხელი დაუჭირა და თან გაიყოლა და ეგრეთვე ყოველნი დიდებულნი თან იახლენ. მიიყვანა ეს თავისი შვილი და ტახტზე დასვა და ხელმწიფედ აკურთხა და დალოცა. სახელმწიფო სულ ერთობით ხელთა ჩააბარა. შემდეგ ერთობით მათ დიდებულთა არდევან-შას მიულოცეს. მანცა ყველას მადლობა მოახსენა. შემდეგ გამობრუნდნენ და დიდს ლხინსა და განცხრომაში შევიდნენ. მაგრამ ყარამანის ამბის უსმენელობისათვის დიდი და პატარა ყველა სწუხდა.

## აჰა უშანგ-შას ამბავი და მისი ერანში წასლვა

რა უშანგ-შა ჩვიდმეტის ასი ათასის ერანელთა და თურანელთა ლაშქრით ხომალდსა შევიდნენ და დეშტი ყივჩაღისაკენ გაემართნენ, თერამეტი დღე ზღვითა იარეს და მეცხრამეტეს დღესა ერთსა ზღვისა კუნძულსა გავიდნენ და დადგნენ. მერე ამა ჯარმა მრავალი იარეს, მაგრამ ერთი ვერა იხილეს რა ამა კუნძულსა შინა თვალითა. იმ ღამეს აქავე განისვენეს და მეორეს დღეს ორმოცი ხომალდი გამოჩნდა მომავალი, რომელიც ამათ მოშორებოდათ. დიდად იამათ.

შემდეგ ხელმწიფემ გარდანქეშანს უბრძანა: ყოვლისა ალაგსა



გამოჩენილო და სწორუპოვარო! ყოელისა ქვეყნისა ამბავი შენს წინაშე სულ ყოფილა. მხოლოდ ამა ჰალაყის საქმე გრჩება და ეს ვერ შევიტყვეთ, ეს რა ციხეა და ან ეს ჰალაყის ზანგნი ასე საჩქაროდ სად გარდაიკარგენ? მინდოდა, რომ მენახა ვინმე და ისე წავსულიყავო. რა ხელმწიფისაგან ესე მოისმინა, მდაბლად თავი დაუკრა და საჩქაროდ თავის სადგომს მივიდა და ზანგის ტანისამოსით შეიმოსა და ეგრეთვე სახეც. სადგომს მივიდა. ხელმწიფეს ისე იახლა.

რა შემოხედეს, ხელმწიფეს დიდად შეზარდა მისი ეგრე ნახვა და აგრეთვე ყველანი თვალს არიდებდნენ. ხელმწიფემ უბრძანა: გარდანქეშანო, რა აზრია შენი მაგა სახის შეცვლაო? მე რე მან მოახსენა: ხელმწიფეო. თუ რომ მე იმათს სახელ ესე არ შევეტყუები, იმა ციხეში მაშ როგორ შეუვიდო? მაშინვე მომკვლენ და შემკამენო. რა ესე სიტყვა დაასრულა, ხელმწიფემ დიდად დალოცა. მანცა თავი დაუკრა და გამობრუნდა და მის ჰალაყის ციხის ძირს მივიდა და იგი ციხე გასინჯა. საკვირველსა განკვირებასა მიეცა. არას დროს კაცის თვალს მის უკეთესი არა ენახა რა. იგი ციხე სულ ოქროს აგურით იყო ნაშენი და ასეთი სიმალლე ჰქონდა, რომ კაცი თვალს ვერ შეაწვდენდა.

რა გარდანქეშანმა იგი ციხე სრულებით გაშინჯა, დიდად განჰკვირდა და თავის თავს უთხრა: ჰეი, ჩემო თავო, სრულიად ხმელეთი მოგივლია და ეგრეთვე ზღვა და ამისთანა აბა სად რა გინახავსო? იმა ციხისა ადგილს ორი დიდი კლდე იყო და თავები ერთმანეთისათვის მიებჯინათ. საშუალ დიდი ოქროს, გალავანი იყო ატანილი და კარი არსაით იპოვებოდა. მრავალგზის ეცადა, მაგრამ კარის ვერა გაიგო რა. რამდენჯერაც მის სიმალლისა ცნობას ცდილობდა, უფრო და უფრო იმ სიმალლეს იჩენდა.

მერე შეორეს მხარეს შემოუარა. შეხედა და ნახა, რომე მის გალავნისა საშუალსა ერთი რაღაც სარტყელსავით შემოევლოთ და ქონგურები დაეტანებინათ და იგბცა ოქროსავით ბრჭყვინავდა. ქონგურების საშუალ ორმოცდაათი ფანჯარა გამოსჩნდა კარსავით, იგიცა სულ ოქროსი. რა გარდანქეშანმა იგი იხილა, მრავლის ფიქრით რამდენჯერმე შემოუარა იმა გალავანსა, მაგრამ იქ ასვლის გზა ვერცა ეგრე იპოვა. სავდებლის გდებასა ლამოდა და შეხედა, რომ ის სავდებელი არ შესწვდებოდა.

გამობრუნდა და დიდის მწუხარებით ტირილი მორთო და ეს-

რეთ იტყოდა: ვაი; ჩემო თავო, რომ ქვეყანაზე სხელოვანი გამოჩენილი კაცი ვარ, ხმელეთზე და ზღვაში მე არაფერი სანახავი არ გამიძაგრდა, მხოლოდ ამა ციხის მეტიო. ამისი ასე უცნობო შევიქენ, რომ გარნა თუ ნახვასლა ვნატრობ, ნეტამც კარი მეპონეა და მისი ამბავი მომეტანა. ახლა ასე უსახელო ჩემს ხელმწიფესთან მისვლას სიკვდილი არა სჯობია?

ამა მწუხარებასა და ფიქრში ძილი მოუვიდა. სიზმარი იხილა. ერთმა ბრწყინვალე ქალმა იმ ციხეში შესვლის წამალი ასწავლა. ამა გალავნის კიდესა ერთი მალალი ფანჯარა სჩანდა. კარგად გასინჯა და ნახა, რომე ერთსა ადგილიდამ საგდებელი შესწვდებოდა. ახსენა ღმერთი და საგდებელი შესტყორცნა და ერთსა ფანჯარასა მოეხვია. ხელი კარგად შეიმაგრა და მას თოქსა საჩქაროდ ზედ გავიდა, ვითარცა კაკაბი. მას ფანჯარისა პირსა ცოტას ხანს მოისვენა. მერე ყური მიუგდო და არას მხრიდამ ხმა არ ისმოდა. დიდად შეშინდა და ესრეთ თქვა: თუ რომ შევიდე აქა, უცილოდ ესე ზანგები უჩინოდ მომკლენ. თუ არ შევიდე და რა ამბავი მივიტანო?

ახსენა ღვთისა სახელი, შიგნით შევიდა. მიმოიხედა და ერთი დიახ უცხოდ ნაშენი მშვენიერი სასახლე იხილა, ოქროს თახჩებით და სევადით მორთული იყო. კაცი მის ქებას ვერ დაასრულებდა. იმა სასახლესა საშუალს ალაგს ერთი დიდი ოქროს ტახტი დაედგათ და იგი ტახტი მშვენიერის ინდის საფენით მოეფინათ. და იმა ტახტზედა ერთი საშინელი მთისოდენი ზანგი იწვა და ეძინა. და იმ ტახტისა ძირსა ექვისის ჯინჯილითა შეკრული უცხო მშვენიერი ქალი ძირსა ეგდო შებნედილი.

რა ესე გარდანქეშანმა იხილა, დიდად შეებრაღა იგი ქალი და საჩქაროდ ბასრი ხანჯალი აღმოიწოდა. მიუხდა მას ბილწსა ზანგსა და მძინარეს თავი მოკვეთა და ერთი დიდის გუმბათის ოდენი თავი ძირსა დაეცა იმა ტახტიდამ, მერე ის ქალი აუშვა მის პყრობილობისაგან. მოასულიერა. წყალი აკურა. რა ესე მშვენიერი ქალი ცოტას გონებას მოეგო, ერთი დიდად ამოიოხრა და თვალი აღახილა, მიმოიხედა. იგი ზანგი თავმოკვეთილი ძირსა ეგდო, წინ დაიხედა, რომლითაც ჯინჯილებით შეკრული იყო, თავისი თავი გახსნილი იხილა.

აღმა აიხედა, ნახა, ერთი ძლიერ გოლიათი ზანგი თავსა ადგია. ხანჯალი ხელთა უპყრია და სისხლით შესვრილა. ღმერთსა მადლობა მისცა. ზე ადგა და გარდანქეშანს მუხლსა მოეხვია და მადლობა

მოახსენა, როგორც რომ მე ამა სიძაგელის ვეშპის პირისაგან და-  
მისხენ, ღმერთმააც შენ ორსავე სოფელს თავისი წყალობა ნუ მო-  
გაკლოსო. რა გარდანქეშანმა მის ქალის ლაპარაკი მოისმინა,  
შეატყო, რომე დასავლეთის ენით ლაპარაკობდა, და მანცა დასავ-  
ლეთის ენით ჰკითხა მას ქალსა: შენ ვინ ხარ და ანუ სადაური ხარო?  
ამა ქალმა ერთი მძიმედ ამოიოხრა და მოახსენა: მე საწყალობელი  
შიდღუქამის ხელმწიფის ასული ვარ და სახელად გულმეჰრიბანუ  
მქვია. მამაჩემს მეტი შვილი არა ჰყვანდა. დიდად უყვარდი და მა-  
ნებიარებდა. ერასა დღესა ვნახე ძილში, რომე ერთი საზარელი  
გრგვინვის ხმა მომესმა. რა თვალები ავახილე, ვნახე, რომე ერთი  
საშინელი ჯადო ჩემსა საწოლს შემოვიდა და მითხრა: ჰე, ქვეყნი-  
სა მანათობელო! რა შენ გიხილე, მას აქეთ ჩემი გული გაგიაშვიკდა.  
მოდი, ახლავე ჩემს ქვეყანაში უნდა წაგიყვანოო. ესე თქვა და სა-  
ყელოში ხელი მომავლო. შეძახება მოვინდომე. მან საჩქაროდ ერთი  
თილისმა მიყო, შემილოცა და შემიბერა. მაშინვე თურმე უცნობო  
შევიქენ.

რა თვალი გავახილე, ერთს უცხოს ბაღში ვიყავ კოშკსა შინა  
მწოლარე. იმა კოშკიდან რა ოთხსავე მხარეს გარდმოვიხედე, ასე-  
თი ბალი ვნახე. რომ მის უკეთესი არა მენახა რა. ასეთი ხეხილი და  
ფრინველნი მას ზედა იხსდნენ, რომ მნახველთა კაცთა სიცოცხლეს  
მოსტაცებდა. იმა კოშკთან ერთი აუზი იყო გაკეთებული და ოქროს  
შადრევანი ამოდიოდა. იმ შადრევანის პირსა ერთი მაღალი ოქროს  
ტახტი დაედგათ და იგი ტახტი უცხოს დიბითა და სტავრით მოეფი-  
ნათ. ამიყვანა და მას ტახტზე დამსვა. რა რომ ჩემი თავი ესრეთ ვი-  
ხილე, დიდად გამიკვირდა.

რა ტახტზე დავსჯექ, ერთი უცხოდ მორთული და სახითაც  
მშვენიერი ყმაწვილი კაცი მოვიდა. მძიმედ თავი დამიკრა და და-  
სავლეთის ენით გამომელაპარაკა. მეცა თავაზით მადლობა მოვახსენ-  
ე და რა შემატყო, რომ მის სახის მშვენიერება მომეწონა, მოვიდა  
და დიდის ბოდიშით გვერდსა მომიჯდა და მერე ხვეწნა დამიწყო  
და მითხრა: ამაზე ნუ გამიწყურები, რომ თქვენს უნებურად აქ  
მოგიყვანეთო.

რა ეს მოვისმინე, ვკითხე: ფალავანო, ან შენ ვინ ხარ და ან მე  
აქ ვინ მომიყვანა-მეთქი? მერე მან მითხრა: მე ერთის დიდებულის  
ხელმწიფის შვილი ვარ და სახელად ფარვიზ შაჰიჯინი მქვია. დიდე-  
ბული ხელმწიფე ვარ. მე რამდენისამე დიდებულის ჯინის თავადე-

ბით და ფალავანებით ჰაერში შევექცეოდი. ვნახეთ ერთი ჯადო ერთ-სა ქვევრზედ იჯდა და მოდიოდა. დავაჭირეთ ის ჯადო და მოგვალით და მას ქვევრიდამ შენ ამოგიყვანეთ. რა გიხილე, მე შეგატყე, რომ ადამის ტომი იყავი და დიდებულის ვისიმეს ასული და ჩემი გული დიდად შეგეტრფო, უბრძანე ჯინებსა და აქ მოგიყვანეს. ეს ბალი ჩემა შესაქცევი არის. აქ მოვალ ხოლმე და ამან ბალში შევექცევი ხანდისხანაო.

მე საბრალომა, რა ესე მოვისმინე, მართალი მეგონა. მეწადა, რომ მივსულიყავ და ფერხსა მოვხვეოდი, მაგრამ ისევ მოთმინებას ვეცადე. რა იგი გაუნამუსოვდა, მოვიდა და ორის ხელით მომეხვია და ლამოდა ჩემსა კოცნასა. მაგრამ მისის პირიდან ასეთი საზარელი სიმყარლე მეცა, რომ სულ ცნობა მიმელო და სიკვდილად მივეწურე. მაშინვე მივხვდი, რომ ესე ჯადო იყო და უთხარ: ფალავანო, ესე შენს მამაცობას როგორ ეკადრება-მეთქი? მიდი, მამაჩემს ჩემი თავი შენ ცოლად სთხოვე და მერე როგორც შენი ნება იყოს, ისე აღასრულე-მეთქი!

ამის პასუხად ესრეთ მითხრა: ჰე, ქვეყნისა მანათებლო! მამა-შენი დიდებული ხელმწიფე და მეფეთ მეფე ბრძანდება და ის თავის ნებით მე შენს თავს არ მომცემს. დამმორჩილდი, თორემ მოგკლავო! მერე მე შევეხვეწე და უთხარ: შეიღის დღის პაემანი მიბოძე, ამითაც არის შემოწყალე-მეთქი და მას უკან შენი ნება აღსრულდეს-მეთქი! რა ესე მოისმინა, იმანაც ნება დამართო. მას უკან ღვინის მეჯლიში ბრძანა და ლხინი გაიმართა. სალამომდინ ილხინა, სალამოს ერთი შემოილოცა და კარში გავიდა. მეც უცნობო შევიქენ და დავეცი.

ფალავანო, რა ხანი გავიდა, არ ვიცი. როდესაც თვალი გავახილე, იგივე ჭაბუკი ვიხილე, მან მითხრა: მოდი, ღვინო ვსვათ და ვილხინოთო. რა სმასა და ლხინსა შევიდნენ, ერთი ბასრი ხანჯალი მქონდა, ასეთი დავეც გულსა, რომ ერთი მტკაველი განვლო ბეჭებში. იმ წყულმა ერთი ამოიოხრა და პირქვე დაეცა რა იგი დაეცა, აღარც ის ტახტი გამოჩნდა. იგი წყეული ერთს დიდს შავს კლდედ შეიცვალა. იგი ბალიც განჰქარდა.

ერთსა ვერანას ნაქალაქევი საშუალს ალაგას ერთი უცხოდ ნა-შენი კოშკი იდგა და მის კოშკის პირდაპირ ერთსა ქვაზედ რამდენიმე ფალასი ედინა. მის ქვისა ძირსა მცირე წყალი გამოდიოდა. რა იმა წყეულისა სახესა დავხედე, დიდად შემეზარა, წვერი და ულვა-

ში, თმა და წამწამი სულ ერთმანეთში ჰქონდა გართხმული და ასეთი შავი სახე ჰქონდა, ვითა ზანგი და მის უსაძაღლესს კაცის თვალი ველარას ნახავდა. იგი წყეული დიდის მწუხარებით ჰკენესოდა. მიველ და რამდენიმე წიხლი თავში დავეც.

რა თვალი აახილა, მე დამინახა და ესრეთ მითხრა: ჰეი, შენ თმა ისაკვეცო, ესე რა საქმე მიყავ, რომ შენის სიტყვით ასე მომლორე და ასე უეცრად მომკალო? მერე მე მიუგე და უთხარ: შე წყეულო, სანამ მოჰკვდებოდე. მითხარ, შენ ვინა ხარ და ან რა გქვია? მან ესრეთ მითხრა: ჰეი, შე თმა ისაკვეცო როსკიპო! მე სახელად ჯაბილ ჯადუ მქვია. რამდენი ხელმწიფენი ჩემის ხელისაგან შეწუხებულა! შენი ხელმწიფე მამა დიდად დაუძინებელი მტერი იყო ჩემი, რამდენჯერმე ჯარი შემოვიყარე და მიველ მის წასახდენად, მაგრამ იმას ერთი ბერი ვეზირი ჰყავს, სახელად ასარუნ აქიმი ჰქვია. იმ სახელგასაწყვეტელმა ასმილ ჯადუს რაები უყო და ამას გარდა რამდენიმე პირველნი ჯადოთ ფალავანნი მან ამოსწყვიტა. მე იმათის ჯაბრით და სისხლის აღებისათვის მოველ და შენ მოგიტაცე. ჩემი ნება ეს იყო, რამდენსამე დღეს შენთან შექცევა მეწადა. მერე უნდა მიმეყვანე და მამის შენის წინ მომეკალ. მაგრამ რა ვქნა, შენმა ლამაზად ლაპარაკმა მომლორაო.

მერე მრავლის უშვერის სიტყვით მეც ლანძღვა დამიწყო. შევატყე, რომ აღარავისი ბრძოლის თავი მას აღარა ჰქონდა, მისივე ხანჯალი ამოვიღე, მიუხე, გული გავიმაგრე და თავი მოვკვეთე. და მაშინვე იმა ალაგიდამ წაველ და ზღვის პირს მიველ. შვიდი დღე და ღამე მშიერ-მწყურვალნი და უძილო დავდიოდი. და თურმე ამა ციხის ძარს ამოვსულიყავ, მე რა ვიცოდი, თურმე ეს წყეული ზანგი რამდენისამე ჯარით სანადიროდ ყოფილიყო და როდესაც მოვიდა, მე თურმე გულშემოყრილი და შიმშილისაგან დასუსტებული ვეგდე. როგორც ვენახე ამა წყეულსა, მაშინვე თურმე გამიაშვიდა. წყალი მაპყურეს.

რა გონებას მოვეგე, ვნახე, რომ ერთი დასტა ზანგი თავს მადგანან. მეტის შიმშილით დასუსტებისაგან ხმა ველარ ამოვიღე და ხელით ვანიშნე მათცა. ცოტა პური და ხმელი თევზი მომიტანეს. რა რომ იმითი მოვსულიერდი, მერე ამან უბრძანა და ამა სასახლეში მომიყვანეს. ამა წყეულს თურმე თავისი საკადრისი ერთი ბებერი ჯადო ჰყვანდა, სახელად აჯლუნ მარდომხორს ეძახდნენ. ის წყეული თურმე ავად გამხდარიყო და ადამიანის ხორცს აჭმევდნენ.

მე რომ დამინახა, მაშინვე დაიძახა: ეგ დამიკალით და შემიწვი-  
თო. მაშინვე მომცვიდნენ ზანგნი და დაკვლას რომ მიპირებდნენ,  
მერე ამან აღარავის დამანება. აქ ამომიყვანა და ამას ალაგს შემინ-  
ნახა. იმა ბებრისათვის ამბავი მიეტანათ, არ დაგვანებო, და მაშინ-  
ვე ჯავრით სული ამოსვლოდა. მერე ამან ერთსა ღღესა თავის სა-  
წოლს მიმიწვია და ენება, რომ მას ცოლად ვყოლოდი, მე საწყა-  
ლობელი დიდად შევსწუხდი. მიველ და მუხლს მოვეხევიე და ორ-  
მოცის ღღის პაემანი ვთხოვე. მე რომ ესრეთ შეწუხებული მიხილა,  
იმანაც ნება დამართო.

რამდენსამე ღღეს უკან იმ ზანგებს ერთი საკვირველი მტერი  
მოუხდათ ყაფის მითს მხრიდან: სახე მაიმუნისა ჰქონდათ, ტანი  
კაცისა, ხელი და ფეხი როგორც რომ ლომის ჩანგი, სამოცის  
მწყრთისა სიმაღლის მქონებელნი იყვნენ. მამალთ თავი ორი ჰქონ-  
დათ და დედალთ ერთი. ესეთი სიმრავლე ჰქონდათ, ზღვამ ღელვა  
(დაიწყო). და იმ საკვირველ მხეტთა ოროლი ფრთაცა ჰქონდათ. ეს  
ზანგნი გაეგებნენ და საკვირველი ომი ჰქონდათ ასე, რომ ერთმანე-  
თის სისხლში დაისვარნენ. ეს ზანგები როგორც ხმელზე ომობდნენ,  
ისე ზღვაში მავლობდნენ. ამა ციხეზე თორმეტჯერ ასი ათასი ზან-  
გი იღვა. გავიდნენ და სულ იმათგან ამოსწყდნენ. იმდენის ზანგისა-  
გან ორმოცი ათასი ძლივს მორჩა, მოვიდნენ და ამა ციხეში გაუ-  
მგარდნენ. ისინიც გარს შემოადგნენ და დიდად შეაწუხეს ამა ციხეში  
მყოფნი.

ღღესა ერთსა მე გამოველ თამაშად და მათ ყურება დაუწყე. რა  
რომ დამინახეს, მოვიდნენ და არაბულის ენით სალაში მომცეს. მე-  
რე მითხრეს: პა, ქვეყნის მნათობო. თქვენ ამა წყეულთ ხელში რო-  
გორ ან საიდან ჩავარდნილხართო? მეც თავისა ჩემისა გარდასავალი  
ყველა წვრილად უამბე. მერე მათ მითხრეს: მნათობო, ნუ შესწუხ-  
დები, შეწევნითა ღვთისათა, რომ მოგბრუნდებით, მაშინ ამათის  
ხელიდამ შენც გაგანთავისუფლებთო! მერე მე უთხარ: ძმანო, თქვენ  
ვინ ხართ და ან წასვლას საით აპირებთ-მეთქი? მათ მითხრეს: ჩვენ  
ადამის სარწმუნოებაზე ვსდგევართ და ადამიანი დიდად გვიყვარს,  
მაგრამ ერთი მტერი გვყავს და ღვთისა ბრძანებით იმაზე მივალთ  
სალაშქროდ. ერთს ზღვის კუნძულში არიან, სახელად მაისარი  
ჰქვია, რომელ არს თავ-თევზიანი, იმათზე მივალთო. ესე თქვენს და  
აიყარნენ და წავიდნენ. იმათი წასვლა ღღეს თორმეტი დღე არისო.

რა ასე დაასრულა, მერე გარდანქეშანმა პკითხა: პე, მნათობო,

წელან რომ სთქვი ამა ზანგთა ამბავი, როგორც ხმელეთზე დადიან, ეგრეთვე ზღვაზე მავლობენო, ესე როგორ იქნებაო? ამ ქალმა მიუგო: ფალავანო, აქა ერთი წყარო არის, სახელად ეინმურა ჰქვიანო. იმ წყაროდამ წელიწადში ერთი მხეცი გამოვა, სიდიდით სპილოსოდენი იქნება. იგი მხეცი რასაც დაინახავს ამათსას, მაშინვე მოჰკლავს. ესენი ერთობით საჩქაროდ შეიყრებიან და რალაც მანქანებით მოჰკვლენ. მერე ყველანი იმის ქონს ფეხზე მოისმენ და მის ქონის ხასიათით წყალზე ფეხით ასე ივლიან, როგორც მშრალზედაო.

მერე გარდანქეშანმა ამა ქალს ამბის მოსმენისათვის მადლობა უთხრა. ამა ქალმა უთხრა: ფალავანო, მე ნუ დამიძალავ და შენ ზანგს არა გეუბარო, შენ ასეთი რამა ხარ, რომ ვეკობ, სწორუპოვარი იყო. და ამას გევედრები, თქვენი ვინაობა და თქვენი სახელი ყველა გამომიცხადოთ და ამა ადგილს თქვენ ვითარ ჩამოეარდითო?! გარდანქეშანმა უთხრა: შაბაშ შენსა ეგოდენსა სიბრძნესა! კარგად შემატყე, რომ ზანგი არა ვარ. მე ვარ დიდებულის ხელმწიფის უშანგ-შას მონა და მისის აიარების სპასალარი და სახელად გარდანქეშანი მქვია. ჩემმა ხელმწიფემ ქვეყნის მპყრობელმან თავისი სახელმწიფო ყარამანს უბოძა და თითონ ერან-თურანის მხრისაკენ მიბრძანდებოდა. რა ხომალდებში ჩავსხედით, ზღვა აგვიღელდა, ხომალდები დაგვიფანტა და თვით ხელმწიფე ამა კუნძულსა გამობრძანდა. მერე მე მიბრძანა: წადი და ამა ციხის ამბავი შემიტყევე რამეო! ვიარე და ვერას სულდგმულს ვერ შეეყარე. ამას ადგილსა ქამანდი ვესროლე, აქა ამოველ.

რა იმ ქალმა ესე მოისმინა, დიდსა მხიარულებასა მიეცა. მერე გარდანქეშანს მოახსენა: ჰეი, ქვეყანაზე სწორუპოვარო ფალავანო! მე თქვენის ხელმწიფის უშანგ-შასი და თქვენი სახელი მრავალჯერ გამიგონია, დიდი ქება მამისა ჩემისა მეფეთ მეფისგანო. ასე ბრძანებს ხოლმეო, ამქამებში უშანგისთანა ამაღლებული ხელმწიფე დღეს ხმელეთზე აღარავინ არისო. აწ ვმადლობ ღმერთსა, რომ მისის ბედნიერის კალთის თაყვანისცემა მეღირსაო! მდაბლად მადლობა მოახსენა.

გარდანქეშანმა წყალი მოიღო და პირზე შეისხა. იგი ზანგის სახე მოეცალა. რა იმ ქალმან გარდანქეშანის სახე და მშვენიერება იხილა, დიდად მოეწონა და ქება შეასხა. მერე გარდანქეშანმა ჰკითხა მას ქალსა; ჰეი, ქვეყნისა მანათობლო! ამა ციხეში იგი გარდარჩე-

ნილნი ზანგნი სადა არიანო? იმა ქალმა მოახსენა: ფალავანო, ამათი წესი ეს არის: ორმოცს დღესა და დამეს სულ სძინავთ და მერე გამოიღვიძებენ და წლამდისინ აღარ დაიძინებენო. დღეს თორმეტი დღე არის, რომ სძინავთ, ფალავანო, ჩემი შიში და ფიქრი ამა წყევლისაგან იყო, თორემ სხვათაგან საფიქრებელი არა მაქვს რაო. იმა სახლიდამ გამოვიდნენ და საბყრობილესა კართან მიუძღვა, იმა საბყრობილეს კარი გააღეს და ხუთასი პყრობილი ადამიანის შვილნი განათავისუფლეს.

გულმეპრიბანუმ ყველას თითო ხმალი მისცა და მის ზანგების გაწყვეტა უბრძანა და სრულებით გააწყვეტინა, რომ მას ციხეში ცოცხალი აღარავინ გააშვებინა. რა გარდანქეშანმა ამა ქალისა ესრეთ სიმხნე იხილა. დიდად მოეწონა და ქება შეასხა. მერე მოვიდნენ და ციხის კარი გააღეს და გარეთ გამოვიდნენ. მან ქალმა მოახსენა გარდანქეშანსა: ქვეყანაზედ სახელგანთქმულთ ფალავანო, რა იქნება, რომ ხელმწიფესა მოახსენოთ, ამა ციხის ნახვა ინებოსო?

რა გარდანქეშანმა ესე მოისმინა, თავი დაუჯრა, გამოეთხოვა და საჩქაროდ ხელმწიფეს იახლა. მერე ეს ქალი გამობრუნდა, ამა თავის ხუთასის ნატუსადარი კაცებით ციხეშივე შებრძანდა და რაც გაეწყობოდა, ხელმწიფის მასპინძლობას ემზადებოდა კარგად.

აქა უშანგ ხელმწიფისაგან ზანგის ციხეში მისვლა: იმჟამად ხელმწიფე გარდანქეშანის დაგვიანებისათვის დიდად სწუხდა და ბრძანებდა: ვაი თუ ზანგებისაგან აუტყდა რამეო. ამა ლაპარაკში ბრძანდებოდა და იმ დროს გარდანქეშანიც შევიდა და მძიმედ თავი დაუჯრა და იმა ციხის ამბავი ყველა თვითეულად მოახსენა. რა ესე ამბავი ყველა ასე მოისმინეს, დიდად განჰკვირდნენ და გარდანქეშანსაც დიდი ქება შეასხეს. მერე ხელმწიფემ აყრა ბრძანა და იმა ციხეში დადგომა. საჩქაროდ აიყარნენ.

რა ხელმწიფე მას ციხის კართან მიბრძანდა, დიდად მოეწონა და იხილა, რომ ქვის მაგიერად სულ ოქროს აგურით იყო ნაშენები. რა შიგნით შებრძანდა, იგი მშვენიერი ქალი მთვარისა მსგავსად გამობრწყინებული ამა ხუთასისა კაცით მოვიდა და ხელმწიფესა მღაბლად თავყანი სცა და მუხლთა მოეხვია და ქება შეასხა, ხელმწიფემაც მადლობა უბრძანა და საყვარლად მოიკითხა. მერე მის ციხის ზანგების ამბავი ჰკითხა: როგორ მოხდაო ან იგი წყევლნი რა იქნენო? მან ქალმან მოახსენა: სულ მძინარენი დავახოცინეო. ხელმწიფემ ბრძანა: არ უნდა მძინარენი დაგეხოცათო, ცოლდა არისო. მერე



ამა ქალმა მოახსენა: ხელმწიფევე, რა ისინი შეგვიტყობდნენ, მაშინვე თილისმით თვალწინ უჩინო იქმნებოდნენ. და მერე უფრო მრავალს ძვირს შეამთხვევდნენ ადამიანსო. ხელმწიფემ უბრძანა: წა-სულს საქმეს ალარა ეშველება რაო.

რა ხელმწიფემ იგი ციხე სრულებით გასინჯა, დიდად მოეწონა და მათ დიდებულთა მოახსენეს: ხელმწიფეო, ამის ამშენებელს ოქროს პატივი არა სცოდნია, რომ მთლად ესე ციხე და სასახლე ოქროთი აუშენებია, და ერთი ქვა არსად ურევიანო. ამა სინჯვასა ზედა კარისაკენ მიმოიხედა და კარის თავზედ რამდენიმე სტრიქონი წერილი ეწერა. რა ესე იხილა, ხელმწიფემ თავის ძმას შარიფ-შას უბრძანა, ესე წერილი ეგება წაიკითხო, რომ ამისი ამშენებელი შევიტყუთო, მაშინვე შარიფ-შა მივიდა და იგი წერილი აღმოიკითხა. ერთს ლექსად ეწერა:

„ჰეი, თქვენ, ხმელეთზე მავალნო ფალავანნო და ხელმწიფენო! თუ რომ ღმერთმან ინებოს და ამა ციხეში მოხვიდეთ ვინმე, სცანთ, რომე მეცა ერთი დიდებული ხელმწიფე ვიყავ და სახელად ქუმრუზ-შაჰ მერქვეო. მრავალნი ხელმწიფენი და მეფენი მახლდნენ და ჩემის წყალობით ვინახავდი, რამდენიმე ციხე და ქალაქი ავაშენე და გავაკეთეო. ერთსა დღესა ერთმა წყეულმან დევმან მიღალატა, ერთი დიდებული ფალავანი და სარდალი მომტაცა და გამექცა. მას გამოუდექ, შვიდი წელიწადი ვსდიე, და ვერას ალაგას იმისი ყოფნა ვერ შევიტყევე. ერთსა დღესა ამა ქალაქში მოველ და ამა ციხეში ვპოვე. გამიმაგრდა, მაგრამ შეწევნითა ღვთისათა შევიპყარ და მოვკალ. და იგი ჩემი სარდალიცა ამა ციხეში ჰყვანდა პყრობილად. იგიცა აუშვი და ესე ციხე და სასახლე მას წყეულს გაეკეთებინა, მეც ოცდაათი სარდალი და ფალავანი ავარჩიე და სამოცი ათასი კაცი აქა დავაყენე და მეცა შვიდი დიდროვანი ქალაქები ავაშენებინე და რამდენიმე ციხეებიცა. მერე მე აქ ამა ქალაქში ღვთისათა და შექცევით გავატარე ესე საწუთრო სოფელი. მაგრამ არაფერია, ამა სოფლის დიდება სულ ამაო! აქა მოსულნო ხელმწიფენო, რა ესე წერილი აღმოიკითხოთ, ნურცა თქვენ გაამაყდებით ხელმწიფობითა თქვენითა, თორემ უფრო ადრე მოისპითო“.

რა უშანგ ხელმწიფემ ესე ასე მოისმინა, ქუმრუზ ხელმწიფეს შენდობა უბრძანა და შარიფ-შას უბრძანა: ამა წიგნის წაკითხვით ერთი-ორად მწუხნარება მომემატაო. და ვერც ესე ვცანით, რომ ვისი აშენებული ყოფილა პირველად იმა დევს გარდაო. ესე თქვა

და ხელმწიფე შიგნით შებრძანდა. იმა ციხეში სულ ოქროს ნაშენობა იყო, მაგრამ იმა საშუალებას ალაგას ერთი მშვენიერი სასახლე იდგა. რა იმა სასახლისა კართან მივიდა, ხელმწიფემ ნახა, რომე მის სასახლის კართან რამდენიმე სტრიქონი წერილი აღმოჩნდა, შარიბ-შა რამდენსაც ეცადა წაკითხვასა, ვერ წაკითხა და რომლის ენით იყო, ვერც ის შეიტყო და დიდად შესწუხდა იმის უცნობელობისათვის. მარჯვნივ და მარცხნივ ჩხრეკა დაუწყო იმა სასახლესა და კიდევ ნახა რაოდენიმე სტრიქონი დაწერილი. წინ წადგა და კარგად აღმოიკითხა, ესრეთ ეწერა:

„ჰეი, შენ, ქვეყანასა ზედა გამოჩენილო სარდალო და ფალავანო! მე რომ ქუმრუზ-შა ვიყავ, მოველ და ამა ალაგს შენობა ჩამოვაგდე და ამ ცახის გალავნის ამშენებელი ვერ შევიტყვე, ვინ იყო. რამდენიმე წელი მოვიცადე ამა საქმისათვის და აქ ვიყავ, მაგრამ ვერა ვცან რა. ესე წერილი ვნახე და წაკითხვასაც მრავალს ვეცადე და ვერ წავიკითხე და ვერც ის შევიტყე, რომლის ენით იყო დაწერილი. მე რომ ქუმრუზ-შა ხელმწიფე ვიყავ, სამოცდათორმეტი ენა ვაცოდი, მაგრამ ის წერილი ვერ წავიკითხე და ვერცა ვცან, რომლის ენითა იყო დაწერილი. დიდი მწუხარება შემექნა. ერთს დღესა შეველ, მრავალი ვილოცე, ღმერთსა შევესტირე იმისის ცნობისათვის. ვნახე, რომე ოთხნი ანგელოზის სახედ ჩემს ხალვათხანაში შემოვიდნენ და სალამი მომცეს, მითხრეს: ქუმრუზ-შაჰო, ადექ და მალა ავიდეთ და ამა წერილისა ამბავს შენ გიამბობთო.

წამოვდექ და მათ გავჰყევი. მივედით იმა წერილთანა. ამა ოთხი-საგან ერთი წინ წადგა და იგი წერილი წაკითხა. მობრუნდა და მითხრა, ამაზე ასე სწერიაო: მეც ერთი ამალეებული ხელმწიფე ვიყავ და სახელად სულეიმან-ხანი მერქვაო. ქვეყანასა ზედა სამი ათასი წელიწადი ვიცოცხლე და ხელმწიფობითა ჩემითა სამასჯერ ჩემს წინააღმდეგს ხმალი ვკარ და დავიმორჩილე ჩემის დიდებულე-ბითა და მრავლის ურიცხვის ფალავნებითა. ერთსა დღესა ამა კუნძულსა გამოვედით და ვნახე, რომე აქა ერთი მდინარე წყალი სდიოდა. სამს წელიწადში ერთხელ ადიდდებოდა და რასაც იგი წყალი მოხვდებოდა, ქვასა და ხესა თუ მიწასა, მაშინვე ოქროდ შესცვლიდა. რა რომ ასე ვნახე, მაშინვე უბრძანე ჩემთა ვეზირთა და ესე ციხე-სასახლე, რასაცა ხედავთ, სულ ხალასის ოქროთი ავაშენებინე. რა ეს ავაშენებინე, ასსამოცდაათი წელიწადი ამას ალაგას აქავე დავყავ და ამისი ჰავა მეტად კარგად მომიხდა. და ახლა კი ვცან,

რომე ამა ქალაქსა და ამა სასახლესა ჩემსა სოფლის სამუხთლოს გამო სხვა ვინმე დაეპატრონებით და ამასა გთხოვთ, რომე თქვენცა ჩემსავით ნუ გაამპარტავნდებით, რომ ჩემსავით ამა სოფლიდამ გაუხარებელნი არ გამოემხოთ სიამპარტავნის გამო“.

რა იგი წერილის თარიღი აღმოკითხეს, იმა ქამიდამ უშანგ ხელმწიფემდინ შეიდას სამოცდაექვსი წელიწადი გასულიყო. შარიფ-შამ უშანგ-შას წააქითხა და მოახსენა. რა რომ ხელმწიფემ ესე იმბავი ასე მოისმინა, დიდად იამა და ღმერთსა მადლობა მისცა. მერე გულმეპრიბანო წაუძღვა წინა ხელმწიფესა და სასახლეში შეიყვანა და ტახტზე დაბრძანდა. რაც შეეძლო ეს ქალი ხელმწიფეს კაის მასპინძლობას ეცადა. მერე ხელმწიფემ უბრძანა: ქვეყანის მნათობო, გულმეპრიბანოვ! შენი წადილი რა არის, სწორედ გამომიცხადეო?! მერე ამა ქალმა მოახსენა: ხელმწიფეო, რახან თქვენის მოწყალებით ამა პურობილობისაგან გამომიხსენით, ეს მოწყალებაც მოიღეთ, რომ თქვენის არმის მოახლეობის ღირს მყოთო და თქვენთან ვიცხოვროო.

მერე ხელმწიფემ უბრძანა: არა, მეფეთ მეფის ასულო და ქვეყნისა მზეო! თუ რომ ინებებ და გუადიან, მამაშენთან შენ სახლში გაგისტუმრებ და თუ არა, ამა ჩემსა დიდებულთ ფალავნებში, რომელსაც შენ მოიწონებ, მე იმას შეგრთავ და რომელიც შენი საწადელია, სწორედ გამომიცხადეო. გულმეპრიბანომ მოახსენა: ხელმწიფეო, აქედან ჩემს ქვეყანამდინ რამდენისამე წლის სავალი არის და ვიშიშვი, რომ კიდევ ერთი განსაცდელი არა შემემთხვას რა და არც მე თქვენის სამსახურის მოშორება შემიძლია, რომელიც თქვენი ნება იყოს, ის აღსრულდეს და იმას მიმეციო! ხელმწიფემა ზოპაქ-ნოვჯევანს უბრძანა: ეს შენ უნდა შეირთოო! ზოპაქ ნოვჯევან საჩქაროდ წამოდგა. ხელმწიფეს კალთას აკოცა და მადლობა მოახსენა. ხელმწიფემ ორთავეს საქორწილო ხალათები უბოძა და დალოცა ორივე და იმ ღამეს უცხო ქორწილი გარდაიხადეს.

რამდენიმე ხანი იმა ციხეში მოიცადა ხელმწიფემ და რაც რომ ზომალდები მოსხლეთოდათ, ისინი იქ შემოიკრიბეს.

რა ხელმწიფემ თავისი ჯარის სანი ნახა, ოცდაათი გემი ჯარით დაჰკლებოდა. ხელმწიფე მათთვის დიდად სწუხდა, არსად გამოსულიყო. ამაზე უფრო დიდად გამწარდა და ყოველსა მხარეს გემები დაფანტა საძებნელად, მაგრამ ვერა გაიგეს რა. მოვიდნენ და ხელმწიფეს მოახსენეს მისი უპოვნელობა. რა ხელმწიფემ ესე მოისმი-

ნა, დიდად შეწუხდა და თავში ორის ხელით ცემა დაიწყო. რა შარბ-შამ ხელმწიფე ესრეთ შეწუხებულნი ნახა თავისის შვილისათვის მასცა რა მართებდა, მაგრამ ხელმწიფეს კიდევ ნუგეშსა სცემდა. ხელმწიფემ ხოსროვშირისათვის იმ ზამთარს დადგომა აქავე ბრძანა. ლაშქარნი იქ დადგნენ იმას ალაგს.

იმეჟამად, რა ჰაერის შეცვლილობის გამო და სოფლის განსაცდელისაგან ზღვა აღელდა და გემები დაფანტა, ხოსროვშირის ხომალდი და ხუთი სხვა ხომალდი უშანგ ხელმწიფის ხომალდს მოშორდა და ერთსა მხარეს ზღვაში დაიკარგა. და ზღვის ღელვის შიშისაგან დიდად შეწუხებულნი იყვნენ ფალავანნი, სამს დღეს უკან ზღვა ღელვისაგან დასცხრა, ნახეს, თავისი ხომალდი საშუალ ზღვისასა მივიდოდა, ასე რომ არას ადგილიდამ ხმელი არა სჩანდა. შვიდსა დღესა და ღამეს ჰარის შემწეობით იარეს. მერვესა დღესა ერთი კუნძული გამოჩნდა ზღვისა. ხოსროვშირმა უბრძანა, ამა ხომალდით იმა კუნძულისაკენ გასწიეთო. რომელიც მეხომალდენი იყვნენ, დიდის ტირილით შეეხვეწნენ: ამა კუნძულს სახელად ღუმაყ ჰქეია და მეტად ავი ალაგი არისო. რაც ხომალდი აქ მოაწევს, აქედან მორჩენა არ იქნებაო. ამა კუნძულში ურიცხვი მხეცი მკვიდრობს. თევზის თავის მქონებელნი არიან და რაც ხომალდი აქ მოაწევს, იმათ წაუხდენელი არ მოურჩებათო. ისინი ადამიანს ასე სჭამენ, როგორც მგელი ცხვარსაო.

რა ფალავანთა ესე ასე მოისმინეს, ხოსროვშირს მოახსენეს: ჩვენც მოვერიდნენ იმათაო. რა ხოსროვშირმა მათი ესრეთ ერთობით შეშინება იხილა, დიდად განრისხდა და ბრძანა: რა მოხდა ამისთანა, რომ თქვენ ამათს უნახავად ასე შეშინდითო? თუ ისინი ეშმაკთ თაყვანს სცემენ, თქვენ ერთობით ღვთის მონანი ხართ! და როგორი ღვთის მონობა გქონიათ, რომ ეშმაკთაგან გეშინიათო? მეხომალდეთ შემოუძახა: ახსენეთ სახელი ღვთისა და იმა კუნძულს გადით! მეხომალდენი ტირილით და ვაებით მას კუნძულსა მივიდნენ.

ნახეს, რომ იგი კუნძული დიახ მწირი ალაგი იყო, არც წყალი, არც ბალახი, სულ არაფერი არა იშოვებოდა რა. ვინც ნახა, დიდად შესწუხდა. გარდმოვიდნენ და სულ მას ჰალაკსა დაებარგნენ. რიცხვით იყვნენ ხუთი ათასნი, იმა სახელოვანს ფალავანებს გარდა. ხოსროვშირმა უბრძანა, ერთობით წადით და ესე ჯაზაირა დაიარეთ და ნახეთ, შენობა არის რამე თუ არა და ამბავი მომიტანეთო. იმა

ფალავნებიდამ მერაბ ასარი და მერან ასფარი, ხორასნელი თამუხ და სხვანი ექვსნი ფალავანნი რამდენსამე ასის კაცით წავიდნენ. ხოსროვშირი მათი მყოფრებელი იყო, რამდენიმე ქამი გამოვიდა, რომ იმათი ამბავი ვერა შეიტყო რა.

მერე თავის ლალას აიარ დაშტს უბრძანა: ოციოდე ფალავანი წაიყვანე და ერთი დასტა კაცნი და იმათი ამბავი საჩქაროდ მაცნობეთო. ესენიც წავიდნენ. რა მცირე წავლეს; ერთი ქალაქი იხილეს და ციხე. ესეთი სიმაღლე ჰქონდა, რომ კაცი თვალს ვერ შეაწვდენდა. მის ციხის გალავანი მაღალი იყო და სულ მარმარილოს ქვით აეშენებინათ. მერმე მეორეს მხრისაკენ მოიხედეს, ერთი დიდი მინდორი გამოჩნდა და მას მინდორსა შუაზე შავს ნისლსავით მტვერი ასულიყო. რა რომ თვალი დააკვირვეს, იმა ალაგიდან კიეინის და ჯარის ხმა გამოდიოდა. აიარ დაშტი მაშინვე მიხვდა, რომ მათგან გაგზავნილს ფალავნებს ებრძოდნენ, მაგრამ ერთის მხრით ის ლაშქარი იხილეს, ასე მრავალი და ურიცხვი იყო, როგორც ქვიშა ზღვისა.

რა ახლოს მივიდნენ და იხილეს იგი ლაშქარი, თავი თევზისა ჰქონდათ, ტანი — კაცისა და ნისკარტი — ფრინველისა. ორი მწვანე ფრთა ჰქონდათ, ხან ჰაერში აფრინდებოდნენ და ხან ზღვაში თევზით სცურავდნენ. თითოს ფალავანს რამდენიმე ათასი ეხვია და სცემდნენ, რომ რიცხვი არ შეიგებოდა და რამდენიმე ფალავანიც მოუკლავთ და იქავე შეუქამიათ. ექვსასის კაცისაგან ორმოცი კაციღა გადარჩენილა და ორი ფალავანი, ესენიც დიდად დაუსუსტებია ამათს სიმრავლესა, რომ გონება აღარა აქვსთ მეტის მათის ხოცვისაგან.

რა რომ აიარ დაშტმა ესე ესრეთ იხილა, ყველამ ნარა გასწივეს, სახელი ღვთისა ახსენეს და შემოუტიეს. ესრეთ მედგრად დაერივნენ, რომე იგი ზღვისა ქვიშის ოდენი მანისრები ორად გასკდნენ და დაიფანტნენ. მაგრამ მათს სიმრავლეს რა გაეწყობოდა? თუ რომ ერთს მოჰკლავდი, ირის სამაგიეროდ ორი ათასი მოგიხდებოდა. იმა ოცის ფალავნიდამა თორმეტი მოკლეს და ეგრეთვე ლაშქარნის კაცნი ამოსწყვიტეს შეიდასი. აიარ დაშტი ცხენისაგან გადმოავდეს, მაგრა შეჰკრეს და თავის ხელმწიფესთან წაიყვანეს. ეს დარჩენილი ფალავნებიც ასრე მოუძღურდნენ, რომ ომის შეძლება აღარა აქვნდათ, ასე დაიღალნენ მათის ხოცითა.

რა მათ აიართა ესე ესრეთი გაქირვება იხილეს, საჩქაროდ ხოს-

როვშირს იახლენ და მოახსენეს. რა ხოსროვშირმა ესე ამბავი მოისმინა, თავისის ლალისათვის დიდად შესწუხდა და ჯარსა უბრძანა, დაემზადენითო. სამი ათას შვიდასის კაცით ხოსროვშირ საჩქაროდ იმა მაისრებს მიუხდა, თავისი ფალავნები დაათვალიერა და ველარავინ იხილა, თუ არ ერთი და ორი. რა ესე ესრეთ მოიხილა, დიდად შეწუხებულმა ამოიოხრა და ახსენა ღვთისა სახელი. ერთი ასეთის საშინელის ხმით ნარა გასწია, რომ ურიცხვი მაისარნი ამა ხმითა დაიხოცნენ. და ზოგნი შიშით ფეხზე ველარ სდგებოდნენ.

რამოდენიმე მათგანი გაიქცა და თავიანთ ხელმწიფეს საგსარს მოახსენა: ჰეი. ქვეყანისა ხელმწიფეო, შენთვის გვიხარებია, ერთის მხრიდამ ვილაც სულიერნი მოვიდნენ და ჩვენ ბრძოლა დაგვიწყეს. მრავალი დავხოცეთ და შევკამეთ, მაგრამ იმათ უგემრიელესი არა გვინახავს რა. წყალობას ვითხოვთ, რომ ჩვენც ერთობით დასტური დაგვეცეთ. წავიდეთ და სულ ერთობით დავიჭიროთ და დავკამოთო. საგსარ ბრძანა: ისინი რა სახისანი არიანო? მათ მოახსენეს: პირმრგვალნი არიან და თვალწერილნი და ფეხბრტყელნიო. როდესაც გაიქცევიან, წყალსავით მირბიანო. ორი ხელი აქვსთ და ერთი რაღაც უჭირავსთო ხელში, რომელსაც შემოჰკვრენ, მაშინვე ორად გასწყვეტენო. და არც ეს ვიცით, რომლის ხმელეთის მხრიდამ მოვიდნენო.

საგსარმა რა ესე მოისმინა, დიდად დაფიქრდა, მერე მათ უბრძანა: ჰეი. თქვენ უმსგავსონო, რაცა თქვენ მათი სახე თქვით, ეგე აღამის ტომთა მსგავსება არისო. იმათგან გაფრთხილდით, თორემ ამა კუნძულს სულ აგვიოხრებენო. ღმერთსა იმათთვის ერთი ლოცვა უსწავლებია. როდესაც დასჭირდებათ, იმა „ისმიაზამს“ იტყვიან და გამხნევდებიანო. იმათი მორიდება თქვენ დიდად გმართებთო. ერთი იმათგანი დაიჭირეთ და აქა მომგვარეთო. საჩქაროდ გაცვივდნენ და ხოსროვშირის ლალა ხელბმეკრული სულ თრევეით მოიტანეს. რა რომ მაისარების უფროსმა აიარ დაშტი თვალით იხილა, ბრძანა, ახლავე ყველანი წადით და სულ ერთობით დაიჭირეთ და აქ მოასხითო!

რა მაისარებმა ამა თავისის უფროსისაგან დასტური აიღეს, უფრო უმრავლესნი წავიდნენ, რომ რიცხვი არ ეგებოდა, ვითა ხის ფურცელს. ხოსროვშირ ესრეთ მედგრად იბრძოდა, რომ მისსა ნაკრავსა ვერავინ უძლებდა. და ეგრეთვე სხვანიცა ფალავანნი უსწოროდ ძლიერად იბრძოდნენ, მაგრამ მათს სიმრავლეს ვერა ავნეს რა.

რა რომ მოიღალენ, ხოსროვშირ და იგი ფალავნები ცხენთაგან გარდასდნენ, დაიქვევითეს და ისრე იბრძოდნენ. ამა მაისართა მეტად ძალი დამართეს და რაც ხელში იგდეს, ცხენი თუ კაცი, შეუქმელი არ გაუშვეს. იმჟამად ამა ხოსროვშირს შერჩომოდნენ თან გამოყოლაზე ოციოდ აიარნი.

რა საქმე გაჭირდა და იმედი აღარსაით ჰქონდათ შემწეობისა, თუ არ ღვთისა, ამჟამად შირფანჯამ და ასიმ აიარმა თავის ოსტატის გარდანქეშანისაგან ნასწავლები ხელობა მოიღეს. საჩქაროდ გემეზიბიამ ნავთი მოაზიდინეს. ამა ოცმა აიარმა ყველამ ხელთ იპყრეს, ერთს მაისარს შესცებდნენ და წუმწუმით ცეცხლს მისცემდნენ. იგი მაისარი მის ცეცხლისაგან გამწარებული თვისავე მაისარებს გარდასწვემდის. ამა ნავთისა და ცეცხლის მოქმედებით მაისარებს დიდად შეწუხება შეამთხვიეს, ასე რომე ურიცხვი მაისარი ამოსწყვიტეს.

მერე რამდენიმე მაისარი მივიდა და თავის უფროსს მოახსენა: სულ ერთიანად უპირობდით დახოცას. და მათგან კიდევ ცოტა დაგვრჩაო, მაგრამ ამ ბოლოს დროს ერთი რაღაც რამ წითელი მტვერი გამოაჩინეს, რომელსაც თქვენს მოლაშქრეს ცოტას მოსცებებენ მას მტვერსა, მაშინვე მოჰკლავს და მეორეც მითივე მოკვდებაო. ამითი დიდი საქმე გაგვიჭირვეს, რომ აგერ ამ ციხემდინ მოგვეყვებთან. თუ თქვენ არ მოგვეშველებით, ჩვენ მათ ველარსად წაუვალთო. ესე თქვეს და ტირილი დაიწყეს. რა ესე საქმე საგსარმა მოისმინა, დიდად განრისხდა და უბრძანა: თქვე წყეულებო, არ კი წელანვე დაგარიგეთ და გითხარით, რომ გაფრთხილდით მათგან, თორემა აგიტყდებათ რამე-მეთქი?!

მაშინვე საჩქაროდ ბრძანება გასცა: ამა ქალაქიდან სულ ერთობით მათზედ მიდითო და ახლავე დახოცეთო. მაშინ უამრავნი ლაშქარნი მოადგათ ამათ. შვიდი დღე და ღამე ასე იბრძოდნენ, რომ მოსვენება არც ერთს მხარეს არ მისცემია. და იტყვიან მსმენელხიცა: ამისთანა ძლიერი ომი დასაბამიდან არავის მოსვლიათ, რაც ხოსროვშირმა მათზე ომი გადაიხადაო, მაგრამ ხოსროვშირს ეს აიარნიც დიდად შეეწივნენ. მათს ნაომარზე რომ კაცს გაეელო, მუხლამდისინ მომდინარეს წყაროსავით მაისართა სისხლი სდიოდა. მაგრამ ზღვას კოვზით, წყლის ამოღებით რა მოაკლდება? ამა აიარებისაგან ათი მოკლეს და ათი კიდევ გარდარჩათ და ისინიც ასე მოიღალენ, რომ საძრაობა აღარც ერთს აღარ ჰქონოდათ. ხოსროვშირსაც ცხენი

მოუკლეს და ქვევითად დარჩნენ. ყველანი და თვითონ ხოსროვში-  
რიც ორს-სამს ალაგს დიახ მძიმედ დაკოდილიყო.

რა დახედა საქმეს, რომ სულ უკანასკნელს განწირულებაში იყე-  
ნენ მიცემულნი ბატონყმინად, ხოსროვშირ ერთსა მყუდროსა  
ალაგსა გარდაეფარა. საომარი იარაღი აიყარა და ძირსა დაჰყარა.  
აილო რამდენიმე მუჭა მიწა და მტვერი და თავსა დაიყარა, დაიხო-  
ქა და ესეთისა მდუღარის ცრემლით ვედრება ადავლინა ღმერთთა-  
ნა, რომ მისი ფიცხლად მონადენი ცრემლი ლოყას ხვდებოდა თუ  
ხელსა, შანთსავით სწვავდა. და იმა ვედრებაში ამას სთხოვდა, არამც  
ამათზე მოხდომა ჩემგან უჯერო საქმე იყო და თქვენი ღვთაებრ  
მოწყალება ამათზე ამისათვის არ შემეწიაო. თავისის შეცოდების  
მოტევენას ითხოვდა.

- რა მოიოხა გული ამა მძიმეს ტირილითა და ღვთის ვედრებითა,  
წამის ყოფით აღმა აიხედა. ჰაერი შეიკრა და წამოიჩრდილა. ნახა  
იგივე ჩრდილს მთლად ჰაერი მოუცავს, და ღვთის რისხვის იასაულ-  
ნი მფრინველის სახედ ამა მაისარების ლაშქართ თავსა დაეცათ. იგი  
მფრინველნი სიდიდით ცხენისოდენა იყვნენ. თავი ლომს უგვანდათ  
და ნისკარტი არწივსა. რა ამა მაისარებს შემოუტივეს, ასე ასწყვი-  
ტეს, რომ ერთი ველარსად გარდაურჩათ. მერე მათ ციხე-ქალაქში  
მიუხდნენ. იგი საძაგელი მათი უფროსიც მოკლეს და ციხე-ქალაქი  
სულ საძირკველით დაარღვიეს. ხოსროვშირმა ეს გარდანარჩენი  
ჯარი და ფალავნები შემოიკრიბა, იმა მაისარების ციხე-ქალაქში შე-  
ვიდა, დაიარა, სულ ველარავინ იპოვნა ცოცხალი. სულ გაეწყვიტათ.  
თავისი ლალა და ეგრეთვე რამდენიმე ფალავანნი ჰყრობილად ჰყო-  
ლოდათ. იგინი გამოიყვანა და ამასთან მათ მაისარებს მრავალი ხა-  
ზინანი დარჩენოდათ, ესენი გაზიდეს.

რა რომ ხომალდებთან მივიდნენ და წასასვლელად მოემზადნენ.  
სანი ნახეს და ოთხი ხომალდის ჯარი აკლდათ. სულ მათ გაეწყვი-  
ტათ. ამაზედაც მრავალი იტირა ხოსროვშირმა. მერე აიარ დაშტმა  
და სხვათა ფალავანთა მოახსენეს: ამა საქმეზე თქვენ კი არ უნდა  
სტიროდეთ, უნდა გიხაროდესთ, რომ თქვენს ლოცვაში საბაოთ  
ღმერთი ასე მოწყალებით შემოგვეწია და ამათი სახელი ამა ქვეყ-  
ნიდამ აღხოცაო. ესე საქმე თქვენდა სახელად გეყოფა, რომ ღმერთი  
აგრე გწყალობსო! ამისთანა საუბარით გული მოუგეს და ჩასხდნენ  
ხომალდებში და ერან-თურანისაკენ გაემართნენ.

მაისარების დანარჩენი ხაზინა ხოსროვშირმა თავის ლალას ჩა-



აბარა და ასე უბრძანა: ესე ხაზინანი სულ გლახაკთ მოწყალებაზე უნდა დაინხარჯოს ამისათვის, რომ ამა ჩვენი ლაშქრიდამ ვინც ამოსწყდა, ეგეც იმათ სულს მოახმარე, თორემ მოვალე შენ შეიქნებიო. მანაც მძიმედ თავი დაუკრა და მიიბარა. და ისეც აღასრულა. კაის აერთო ოცდარვა დღე იარეს და უკიანეს ზღვას მიახლოვდნენ. ამა მიმავლობასა შინა ხოსროვშირმა შორით დაინახა ერთი მინარასავით ამართული ამა უკიანეს საშუალ ზღვაში. მეხომალდეთ ანიშნა, იგი რა მოსჩანსო?

რა მათ ერთობით იგი ალაგი იხილეს, ყველამ თავში ორის ხელით შემოიკრა და ესრეთ თქვეს: ვაი ჩვენი ბრალი, რომ ამისთანას ალაგს ჩამოვსცვივდით, ჩვენი აქედან გამოხსნა ვითლა შეიძლებაო. ეგე მინარა რომელიც სჩანს, უკიანეს ზღვას იმა ალაგას სხვა ზღვები შემოეყრება და ამა მორევეში რომელსაც ხომალდს შეითრევს, იმისი შველა აღარ შეიძლებაო. საჩქაროდ ხომალდებს სხვას მხარეს დაუწყეს წევა, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. როგორც რომ კაცმან მშვილდს მოზიდოს და ისარი გასტყორცნოს და ველარ მოაბრუნოს, მისგვარად ამა მორევემა ასე საჩქაროდ შეიტაცა ესე ხომალდები შიგა.

ხოსროვშირმა შეხედა და იხილა, რომ ესე მორევი ერთის ალაგის ოდენს ალაგას მრგვალად ბრუნავდა. იმა საშუალო ალაგს მიწაში ჩადიოდა და იმა წყლის გრიალი და ხმა სამსა აღაჯზე ისმოდა. ბრძანებითა ღვთისათა, იმა წყლისა პირზედა ერთი კლდე იყო და ამა კლდეზედა ერთი მინარა იყო აშენებული თეთრის მარმარილოს ქვისა ამისათვის, რომ მენავეთ შორიდან დაინახონ და ამა ალაგსა მოსვლისაგან ივლტოდნენ.

რა ესრეთ იხილა, ხოსროვშირმა ღმერთს მადლობა შესწირა და თქვა: ჩემი ბრალისაგან მოხდა ამა ზღვაშიაც გზის დაკარგვა, რომ ესე მენავენი გზას ველარ სცნობენო. ყველანი ღმერთს ევედრენითო! რა რომ ამა ხომალდებმა შექნეს ტრიალი ამა მორევეში, ამათაც სხვა ხომალდები იხილეს, ადრინდელი შემოტანილი. აქა კაცნი სულ ამოწყვეტილიყვნენ და უპატრონოდ ტრიალებდნენ. ამაზე უფრო დიდად შეშინდნენ და ერთობით შექმნეს გლოვა და ვაება.

რა ხოსროვშირმა მათი ესრეთ შეწუხება იხილა, თვითონაც ერთსა საიდუმლო ალაგს მიეფარა და დაემხო პირქვე. ასეთი ოხვრა და ვედრება იწყო ღმერთთან, რომ იმა ხომალდს გრიალი გაჰქონდა მის ხმის გამო და მღუღარის ცრემლით ევედრებოდა ამა

ხალხის გამოხსნას ამა მორევით. სანამ ამ ლოცვას დაასრულებდა, ამა ზღვიდამ ერთი საშინელი მთისოდენა მხეცი ამოვიდა. მოუხდა იმა ძველს ხომალდებსა, მილევწ-მოლევწა და სულ ერთიანად შთანთქა. რა ესრეთ იხილეს. უდიდესსა სასოგანწირულებასა მიეცნენ და ღმერთსა ვევედრებოდნენ. მეშვიდეს: დღეს უკან კიდევ გამოსჩნდა ისევ მხეცი. გამოემართა ამა ხომალდებისაკენ და ლამოდა მათ შთანთქმას. ამათაც ერთმანეთში გამოსალმება შექნეს. იმ დროს ამ მხეცს მეორე მხეცი თავისი წინააღმდეგი გამოუჩნდა, ამაზე უსაშინლესი. მოუხდა მას, აალო მთისოდენა პირი და იგი მხეცი ასე ჩაყლაპა, ვითა ლომმა ხოხბის ლაპო. ამა მხეცსა უგვანდა თავი ვაცსა და ტანი თევზსა. ორსავე თვალს საშუალს ალაგს წარბის ალაგს ორის ალაჯისოდენა სიფართე იქნებოდა. რა იგი მხეცი შთანთქა, განრისხებული მოუხდა ამა ხომალდებსა და თითოს ხელის გაკვრით ამა მორევით ორმოცსა ალაჯს გასტყორცნა. სადაც დამყუდროვებით ზღვაზე სიარული შეიძლებოდა, თვისი გემები იქ იხილეს. მერე ყველანი გონებას მოეგნენ და ამ საქმისათვის ღმერთს დიდად მადლობდნენ და საჩქაროდ გასწივეს და უშანგ ხელმწიფეს მიაშურეს. იქამად ხელმწიფე ჯეზირეის მთაში ბრძანდებოდა და ხოსროვირის ამბავს მიელოდა. ხელმწიფის ამბავიც აქა დაუტევოთ და ხოსროვირის მომავლობაც ერანისაკენ, ისიც აქა დაუტევოთ და ახლა ყარამან ხელმწიფის ამბავი ისმინეთ.

### აჰა ამბავი ყარამან ყათილისა და შვილისა მისისა ნარიმანისა

ამჟამად, ხელმწიფე ერან-თურანისაკენ რომ წამოსულიყო და ყარამან ყათილი რომ ინდოეთის ქვეყანაში, უშანგაბადის ქალაქში დაეგდო, ამჟამად სამი წელიწადი გამოვიდა და სარკიხურამან და-ორსულდა და ვაჟი ეყოლა. რომ სახედ მზესა ჰგავდა. და ახალი და-ბადებული ორის წლისას ჰგვანდა. ამის სახეს ფალავნობა და გულადობა მაშინვე ეტყობოდა. იმის ტირილი ცის ქუხილსა ჰგავდა. რა ყარამანს ვაჟის მახარობელი მიუვიდა, დიდად გამხიარულდა და სარკიხურამანის მშვიდობით მორჩენისათვის ღმერთს მადლობა მისცა და გლახაკთ და ქერივ-ობოლთ მრავალი წყალობა მიანიჭა. მერე რაც დიდებულნი ახლდნენ, სულ დაჰპატიჟა და ორმოცს დღეს ღზინსა და შექცევაში ბრძანდებოდა.

რა ორმოცი დღე შესრულდა, ფალავანმა ბრძანა და ახალი დაბადებული ყმაწვილი მოაყვანეს ბანოვანთა ყარამანის წინაშე. ყარამანმა ჩამოართვა იგი ყმაწვილი დიდის ალერსით და ბურჯ ვეზირს უბოძა; იმჟამად ბურჯ ვეზირი დიდად მეცნიერი იყო, ასე რომ შარიფ-შას მეცნიერებითა და ვარსკვლავთ მრიცხველობით თუ არ სჯობდა, ნაკლები კი აღარ იყო. რა იგი ყრმა ბურჯ ვეზირმა ჩამოართვა, ყარამანს ხელი დაუჭირა და სახეზე ყურება დაუწყო. მერე ორი წინასწარმეტყველთ სავარსკვლავთმრიცხველო წიგნები მოატანა. ხან იმ წიგნს აღმოიკითხავდა და ხან ამ ყმაწვილს სჩჩრეკდა.

რა კარგად გასინჯა: იმას მისცა და წინ დაისვა. მერე სამეცნიერო წიგნებში მისსა ეტლსა ჩჩრეკა დაუწყო და სცნა, რომ მაღლის ეტლის მქონებელი იყო. აიხედა და საბყარანს მოახსენა: ამას სამეცნიეროს წიგნის ძალითა სახელად ნარიმან უნდა უწოდოთო. დიდი უწყალი სისხლის მღვრელი ფალავანი იქნება, რამდენჯერმე ყაფის მთისაყენ საფარი მოუბდება: დევთა და ფერიათა მრავალჯერ სძლევს და მეტად მოჯაბრე კაცი იქნებაო. ბევრს ხელმწიფეს ტახტიდამ ჩამოაგდებს და თავს მოსჭრისო. სააბყარანობის დავასაც დაიწყებს და მრავალს ქალაქებს და ქვეყნებსაც გააკეთებს და ამის გაკეთებული აღარ მოიშლებო. და უფროს ხანს ინდოეთში დაჰყოფს და მრავალი განსაცდელი მიადგებაო. მერე ერთს ქალს გაუარშიყდება და მისის მიზეზით მრავალს განსაცდელს შეიმთხვევს და იმა ქალს შეერთავს. იმ ქალთან ერთი ვაჟი ეყოლება, სახელად ქუჩუყ ყარამანს დაარქმევენო.

ბურჯ ვეზირმა სახის მეტყველებით ეპოდენი მეცნიერება თქვა იმა ყმაწვილისა, რომ ყარამან დიდად განკვირდა და უთხრა: ვეზირო, ეგე სახელი, რომელიც შენა სთქვი, ფიცით გარწმუნებ, მეც პირველად გულში მედვა და რადგან შენცა ამა მეცნიერებისა წერილების ძალით მოიპოვე, მეცა ეგე სახელი დამირქმევი, ერქვას ნარიმანო! ვეზირს ერთი მძიმე ხალათი უბოძა და ეგრეთვე სხვაც მრავალი მოწყალება უბოძა და ეგრეთვე იქ მყოფნი ერთობით საბოძვართ ალაგსო.

მერმე ბრძანა და ორმოცი ძიძა მოჰვეარეს. დღეში ერთი ძიძა აწოებდა და მეორე უვლიდა. რიგით იყვნენ, მაგრამ ასეთი ლამაზი ძიძები დაერჩიათ, რომ მნათობთ უაღრესობდნენ. და ამა ორმოცის სხვადასხვა ძუძუს წოვნის მიზეზი უფრო ეს იყო, რომ სხვათა ფალავანზე ძლიერებაც მეტი გამოჰყებოდა და მშვენიერებაცა. იმა

ყმაწვილს ამა სახით ზრდა დაუწყეს და ყარამან და სარეიხურამან და ეგრეთვე მათნი დიდებულნი სულ მეჯლისში და ლხინში ბრძანდებოდნენ.

ყარამანმა სმასა და ლხინში იფიქრა: მუნეჯიბნი რომ იტყვიან ამ პატარას ნარიმანისაგან ციხე ქალაქების აშენებას, მოდი ერთს ციხეს მეც ავაშენებო და ჩემს სახელსაც დავსდებო! იმ ღამეს სულ ამა ფიქრში იყო. და რა დილა გათენდა, ყოველი ინდოეთის დიდებულნი, მეცნიერნი, ვეზირნი, მოხელენი და ეგრეთვე კალატოზნი დაიბარა და სულ ერთობით შემოკრბენ. მერე მათ გამოუცხადა: მსურს, რომ დღეს ჩემს სახელზე ერთი ციხე გაკეთდეს და ეგრეთვე ქალაქი. ასეთი რამ უნდა ააშენოთ, რომ იმისთანა არავის არ ენახოს! მათ მოახსენეს: რომელს ალაგს გნებავსო? მან მიუგო: თქვენ გამოარჩიეთო. ყველამ თავი დაუქრეს და გამოვიდნენ და ერთს დიდს მინდორს გავიდნენ და იქ იწყეს ბინა.

მერე ორმოცს დევს უბრძანა: საძირკველი გასჭერითო. მიჰყვეს ხელი და ორმოცი დღე სულ საძირკველი სჭრეს ოთხსავე მხარეს. იმ ციხის გალავნის აშენება თორმეტის მადნის ქვითა ბძანა. პირველად მწვანე ქვით უნდა იწყოთო, მეორე რიგი თეთრის მარმარილოთი, მესამე — შავით, მეოთხე — ყვითლითა, მეხუთე — ლაყვარლითა, მეექვსე — ოქროს ლაყვარლითა, მეშვიდე — ვერცხლის ლაყვარლითა, მერვე — სუმახის ქვითა და სხვანიცა სხვას ფერისა ეშმითა.

რა კალატოზებმა ესე მოისმინეს, ასე მოახსენეს: სააბყარანო, ამა ინდოეთში ხუთის მადანის მეტი არ არის. ყარამანმა უბრძანა: თქვენ ხელი მიჰყავით, მე, ღვთის მადლით, შემძლებელი ვარ, რომ სულ ყაფის მთილამ მოვატანინო, არამც თუ სხვას მხრიდანაო. მაშინვე ჯინებს უბრძანა: ახლავე წადით და აქ მომგვარეთ სამან აღამიზადაო. რა სამან თორმეტის თავისის ამხანაგებით ყარამანს ეახლა, სამანს უბრძანა: შენ უნდა ახლავე წახვიდე და ყაფის მთის დევები შეჰყარო და აჰანგ-ყალაში რაც ვერანა ქალაქები არის, იმისი ფერად-ფერადი ქვები სულ აქ უნდა მოატანინო.

მაშინვე თავი დაუქრა, წავიდა და რაც ყაფის მთაში ხვალი დევები იყვნენ, ერთობით შეჰყარა. გაუძღვა და რაც აჰანგის ქვეყანაში ვერანა ქალაქები იყო, იმისი ფერად-ფერადი ქვები სულ იქ მიიტანეს. და რომელიცა აჰანგის ქვეყანაში არ იშობოდა, ყაფის მთილამაც მიიტანინა, მერმე ყარამანმა უბრძანა და დევნი სულ კაცის სახედ შეიცვალნენ და მას ციხეს ისე აშენებდნენო. ამა კალა-

ტობთ ესე არ იცოდნენ, ისინი დევნი იყვნენ თუ ადამიანნი, ერთმანეთში ვერავინ გამოარჩევდა. მიჰყვეს ხელი შენებასა და თორმეტის სხვადასხვას მადნის ქვით ასეთი ციხე და ქალაქი ააშენეს, რომ მისგან უკეთესი აღარა ინახებოდა რა. ყოველითურთ შემკობილი ასეთი რამ იყო, რომ ვინც უნდა ძლიერი ხელმწიფე მოსულიყო, მის ციხე-ქალაქის აღება ყოველითურთ შეუძლებელი იყო.

რა შესრულდა იგი ციხე, ბურჯ ვეზირს უბრძანა ყარამანმა: ვეზირო, ჩემს თავს გაფიცებ, ეს ციხე კარგად გასინჯე და თუ აკლდეს რამე, იგი შენ შეასრულე ასე, რომ მომსვლელმა მტერმა ამა ციხეს ვერა აგნოს რაო. და შენც ერთი ამაგი დასდევ ამა ციხეზე და, რომ ჩემსა და შენს შემდგომად ვინც მოვიდეს, შენი ჭირნახული და მეცნიერება გამოცხადდესო!

რა ბურჯ ვეზირმა ყარამანის ესრეთი ბრძანება მოისმინა, მდებლად თავყვანი სცა და მოახსენა: ორმოცის დღის პაემანი მიბოძეთ და როგორც თქვენი ბრძანება არის, ისე აღვასრულებო. მოვიდა და ერთსა ხელოვნებას ხელი მიჰყო. რა ორმოცი დღე შესრულდა, მივიდა, ყარამანს თავი დაუქრა და თავისი ხელოვნების მოქმედება მოახსენა და მიიწვია: ახლა კი მობრძანდით და ჩემი ხელოვნება ნახეთო. მაშინვე ყარამან თავისის დიდებულებით მის ციხე-ქალაქის სანახავად წაბრძანდა.

რა მივიდნენ, ნახეს, საშუალ ამა ციხისა ერთი მაღალი მინარა აუშენებია ამ ვეზირსა, რომ ხელოვან სკანდარ ზულდარსაც არ შეუძლო ამისთანას აშენება. ამა მინარის თავზე ერთი ოქროს კაცი გაუკეთებია და მეორეს მხარეს კიდევ ოქროს მამალი დაუსვამს. ამას გარდა, მესამეს მხარეს, უფრო პირველს მოსავალს გზაზედ ორი კაცი ოქროსი აუმართავს და ამა ორთაგან ერთსა შავარდნის მსგავსი უზის ხელზე და მეორეს მამლის მსგავსი. ამათ ორთავე ხელზე უსხედს და ამათს პირდაპირ ერთი დიდი ფოლადის სარკე გაეკეთებინა და ამათ წინ ეყუდა.

რა დიდებულთა ესე ესრეთ იხილეს, ბურჯ ვეზირს დასცინეს, რას გაუგოებია, ეს რაღაცეები აუმართავს, ამისის საქმით რა უნდა გახდეს და ან ამათ რა შეეძლებათო? ყარამანმა ჰკითხა: ბურჯ ვეზირო, ამა სახეთა მოქმედება არა ექნებათ რაო? მერე მან მოახსენა: ცოტას ხანს მოიკადეთ და მოგხსენდებათო. ამა შექმნილი კაცის სახე შემოტრიალდა და მამალმა ფრთა შემოჰკრა და მამლის სახედ დაიჟივლა ესრეთს ძლიერს ხმაზე, რომ იქ მყოფთ დიდად გაუკვირო-

დათ. მერე ამა შავარდნის სახემ ერთი ასეთი საშინელი ხმა აღმოუტევა, რომ ამა ინდოეთსა მყოფს ხალხსა ასრე ეგონათ, ცა ქვეყანასა დაეცაო და სულ ინდოეთი აოხრდაო. ცოტას ხანს უკან იხილეს, რომ ისრევე თვისსავე ალაგს ისხდნენ და იგი კაცი მობრუნდა ერთი მათგანი და აღმოსავლეთისაკენ ჰქნა პირი.

ყარამანმა ჰკითხა ვეზირსა: ამათი ასე ხმიანობის მიზეზი რა არისო? მან მოახსენა: ჰე, ქვეყანასა ზედა უნადრესო ხელმწიფეო! ღმერთმან ამათ თავის დაკვირის ანგარიში შეატყობინა. დღეში ხუთი ლოცვა ვანუწესა და დღედაღამ ოცდაოთხი საათი არისო. თითოს საათში ესენი ასე იქმონენ, რომ ქალაქის ხალხმა შეიტყოს, რამდენი საათია გასული, — ღმერთსა მადლობა მისცენ და თავიანთ სამუშაოს ხელი მიჰყონ ხოლმე და მეც ღმერთს შემახვეწონო. ამ კაცის სახეს, რომელსაც დასავლეთისაკენ პირი აქვს, ეს მშვიდობის ნიშანია და როცა სამხრეთისაკენ პირს იქს, ეს ერთს საშინელს დაიძახებს რომ ყოველი სული იმ ხმისაგან შეშინდებაო. მაშინ უნდა სცნან, რომ მათზე მტერი მომავალი იქნება და ესენიც მზად დაუხვდნენო.

რა რომ ესე მოისმინეს ყარამანმა და ერთობით ინდოეთის დიდებულთა — მრავალი ქება შეასხეს და ხელმწიფემ ესოდენი თვალმარგალიტი გადაჰყარა თავსა ამა ვეზირსა, რომე შიგ ალარა სჩანდა. მერე ამა ციხის ამშენებელნი ოსტატებიც ერთიანად შეიყარნენ და ყარამანს მიულოცეს. მოახსენეს, ვმადლობთ ღმერთსა, რომ თქვენის გუნებას ციხე და ქალაქი შესრულდაო. ამა ოსტატებს ყველას მრავალი წყალობა უყო. მერმე ერთობით თავისი დიდებულნი შემოიყარა. მივიდა, იმა ციხე-ქალაქს სჩხრეკდა. შემდეგ ბურჯ ვეზირსა უბრძანა: ყოველთა ფილასოფოსთა და მეცნიერთა თავო. ეგებ ამასაც მოუგვარო რამე, რომ წყალი ვერ მოეჭრასო. ვეზირმა თავი დაუკრა და მოახსენა: ღმერთს ვთხოვოთ და ვნახოთო. ეს უფრო უმძიმესი საქმე არის ყველაზედაო.

ცოტას ხანს ფიქრს მიეცა და მერე წამოდგა ბურჯ ვეზირი, დევებს გაუძღვა და იგი წყალი ორმოც ალაჯზე უფრო უშორესად დაკარგეს. ასე შორს იყო ამა ციხე-ქალაქზე წყალი, რომ ორმოცის დღის სავალზე გარდაკარგეს, ცვარი წყალი აღარ იშოვებოდა. მერმე ამა ბურჯ-აქიმ ვეზირმა იმა წყალზე ერთი რაღაც თილისმის ხელოვნება რამ შეამზადა, რომ ვერა მომსვლელი მტერი ვერ იხილავდა. მელექსენი და მეისტორიენი ასე იტყვიან, რომ ქარიზით და

მილით წყლის გადატანა და გადმოტანა ბურჯ-აქიმ ვეზირისაგან იყოს დარჩომილი, როგორც იმან იმა ციხეში ფარულად შეიტანაო. იმა წყლის გაკეთებაზედ დიდი ხაზინანი და მრავალი საბოძვარ-გასცა.

მერე ბრძანა: ამა ციხესა და ქალაქსა საეღლად რა დავარქვათო? მერე ვეზირთა მოახსენეს: ყოველი კაცი თავისის შენობით მოიხსენება და თქვენს ღვაწლსა ყარამანია ქალაქი დავარქვათო. ვინემდისონ ქვეყანა არის, ესე ქალაქიც შენსა სახელზე ხსენებული იქნებაო. მერე ყარამანმა იკითხა: ესე ქალაქი ვისის სელისაგან უნდა წახდესო? ბურჯ ვეზირმა რა ესე მოისმინა, სავარსკვლავთ-მრავლებელსა წიგნის ჩხრეკასა ხელი მიჰყო და სტროლაბი წინა დაიდვა და კარგა ხანს შინაჯედა. მერე აღმა აიხედა და მოახსენა: ხმელეთზედ უსწორო ხელმწიფეთ! თქვენს შემდგომად აქ სამნი სხვა ვინმე უნდა გახელმწიფდნენ და სამთავე ხმელეთი უნდა იპყრონო. ერთი დავით წინასწარმეტყველის თესლიდამ უნდა წარმოდგეს, მეორე — სკანდარი ზულდარ უნდა იყოს და მესამე ჯიმშედ უნდა იყოსო.

რა ბურჯ ვეზირისაგან ესე მოისმინა ყარამანმა, დიდად ამა და ბრძანა: ჩემი ქალაქი დასასრულამდე ქვეყნისა უნდა იყოსო! მერმე უბრძანა ოსტატებსა და შიგნით და გარეთ ამა ციხე-ქალაქის გალავანებს სულ ოქრო გარდააკვრევიანა. იმა ოქროს გარდაკვრაზედ მუნაჯობთ მოახსენეს: ესეც დიდს ხანს დაჰყოფს, მაგრამ თქვენს უკან ერთი ქვითარ ინდი გამოვა, დიახ ძლიერი რამ შეიქნება და ამა ოქროსა სულ ის შემოსტარცევასო.

რა იგი ყოველითურთ შეასრულა, მერე ბრძანება გასცა და ინდოეთში მყოფნი სარდალნი და ფალავანნი ერთობით იმა ციხეში მოიწვია და მასპინძლობა გაჰართა. სამი წელიწადი სულ სმასა და შექცევაში გაატარა. მეოთხეს წელიწადზე ყველანი თავთავის სახლებში დაითხოვა და წავიდნენ. მერე ყარამანაც უშანგაბადს წავიდა და სარვიხურამანთან შეექცეოდა.

იმჟამად ნარიმან შვიდის წლისა შეიქნა. ასეთი მკლავ-ძლიერი ყმაწვილი იყო, რომ გაჯავრებული რომელსაც კაცს დაჰკრავდა, მიწასთან ვაასწორებდა. ასეთი დღე არ გავიდოდა, რომ ყარამანთან შვიდ-რვა კაცი არ მოსულიყო მოჩივარი. ზოგნი ძმის სიკვდილს შესჩიოდნენ და ზოგნი შვილისა. ამა საქმეზედა ყარამან დიდად სწუხდა ამდენის მოჩივრებისაგან. ერთს ჟამსა ასე განრისხდა ყა-

რამან, რომ ნარიმანს სიკვდილს უპირობდა. რა სარვიხურამანმა ესე ასე სცნა ყარამანისაგან, ერთსა დღესა თავისი ლალა თათულ ინდი და რამდენიმე შინაური ყულები დაარჩივა, ეს ყმაწვილი ერთსა ლამეს ჩუმად ხომალდში ჩაასმევინა და მალვით ყარამანია-ქალაქში გამოგზავნა.

მერე რამდენსამე დღეს უკან ყარამანს მოახსენა: ნარიმან უჩინო იქმნაო. ამაზე დიდსა მწუხარებასა მიეცა და სარვიხურამანს აყვედრიდა: შენი ბრალია, რომ მე ის არ მომაკვლევინეო. ის ასეთი უკეთური რამ გამოვა, რომ მრავალს უებროს სისხლს დააქცევს და ჩემსა და შენს სულს იმ სოფელს წაწყებდსო, ის ახლავე მოისპოს, ისი სჯობსო. სამსა ფერიას უბრძანა: ახლავე ყაფის მთაში წადით და სამან ადამიანის მონათესავე მომგვარეთო.

ესე ფერიანი საჩქაროდ სამანთან მივიდნენ და წამოიყვანეს. და ეგრეთვე სხვანი მრავალნი დევნი გამოჰყვენენ და ყარამანს მრავალე ფეშქაში მოართვეს.

მერე ყარამანმა უბრძანა ამათ ერთობით განრისხებულმა: ყაფის მთის ხელმწიფენო, სულთანო და დიდნო მოხელენო, სულ ერთობით აქა შემოკრებილნო! ყველამ მოისმინეთ ესე სიტყვა ჩემგან! ამ ეამამდე ჩემი შვილი ნარიმან აქა მყვანდა და ახლახანს უჩინო შეიქნა. ესე საქმე თუ არ დევთაგან, სხვა ვერაჲინ შეიძლებდაო. რა ესე ბრძანება მოისმინეს, ყველამ ერთობით ასე მოახსენეს: ჰეი, ხმელეთზე სწორუპოვარო ფალავანთ ფალავანო და დიდო ხელმწიფეო! მაგას ნუ იფიქრებთ, რომ დევები თქვენს ღალატში გაერივნენ ან თქვენი ნათესავი, არამც თუ თქვენი შვილი, დაკარგონ და აწყენინონ რამეო. ეგე საფიქრებელი არ არის, სხვა ამბავი მომხდარა რამეო.

რა ესე ყარამანმა მოისმინა, მსწრაფლად ჯინისტანის ხელმწიფეებს ერთობით წიგნი მისწერა.

მთელის ყაფის დევთა-ქაჯთა სრულებით მოვლეს ყაფის მთა და ვერა გაიგეს რი. მერე ერთობით ჯინთა და ფერიათა უბრძანა: წადით და ხმელეთი მოვლეთ და იმისი ამბავი მოიტანეთ რამეო. სხვანი დევნი სულ დაითხოვა და სამან დევი კი იქ დაიჭირა.

ბურჯ ვეზირს უბრძანა: შვიდის იყლიმისა მპყრობელს უშანგ ბელმწიფეს არაჲი მისწერე და ასე მოახსენე: ყარამანს თქვენი ხლება დიახ სწადის და თუ თქვენი ნება იქნება, ერანში გეახლებით. მანცა საჩქაროდ მისწერა. მეორე წიგნი კიდე თავის სიმამრს



რაჰინდს მისწერა და ესე წიგნები სამან აღამიზადს მისცა და გაისტუმრა. მაგრამ ყარამან ნარიმანის უსიკვილოობას სწუხდა.

რა სარვიხურამან ყარამანისაგან ესე ბეჯითად ძებნა შეიტყო, მალვით ნარიმანის ლალას თათულს წიგნი მისწერა: ორმოცი მწყურთა მიწა მოსთხარე და ეგ ყმაწვილი შიგ ჩასვი, რომ მაგისმა მამამ მაგისი მანდ ყოფნა ვერ შეიტყოსო. იმჟამად ნარიმან ათსუთმეტის წლის იყო. რა თავის მამისაგან ესეთი ამბავი შეიტყო, დიდად განრისხდა და ესრეთ თქვა: თუ რომ ის ყარამან არის, მეც ნარიმან ვარო! ღვთის მადლმა, თავისთვის დადგეს, თორემ იმის სახელს ქვეყანიდამ ავხოცო. ესე თქვა და ერთი წიგნი მოსწერა თავის მამას. და თვითონ ნადირობას და ლხინსა შეექცეოდა.

### აჰა ჰარამანის დისწულის ჟოვლიბაჷ შირჰიანის აზბავი

ჟოვლიბაჷ დიდად ჩინებული ფალავანი იყო. დასავლეთის ქვეყანას თავის მამასთან ანდასტანთან სცხოვრობდა. თავის ბიძას ყარამანთან მოვიდოდა და სარანდიბის მთას ნადირობდა და შეიქცეოდა, მერე ისევ წაივლიდა ხოლმე. ამა ჩვეულებაზე იდგა. იმჟამად ჩვეულებისამებრ, წამოსულიყო ინდოეთს, თავის ბიძის ყარამანის სანახავად. ესე ყარამანს მოხსენდა, ვითა ჟოვლიბაჷ შირჰიანი მოვა თქვენს სანახავადო. ყარამანმა თავის გულში თქვა: მოდი, მე სხვას სახით შევიცვლები და იმას გზაზე დაუხვდები და გამოვსცდიო, ვნახავ, როგორი ჭაბუკი არისო. უშანგ ხელმწიფე და ყათრან ამას დიდად აქებენ და მეც გამოვცდიო.

რა მოახლოვდა, ყარამან სხვა სახედ შეიცვალა და ორი აიარი თან იახლა, ერთი სარჯანი და მეორე ღუზდი. ეს აიარნი წინ გაიმძღვარა და იმ გზის გამოსავალს შივიდა. ნახა, რომე ჟოვლიბაჷ შირჰიანს მოესწრო. იმ ვიწროს ალაგას დაუხვდა ხვად ლომსავით. ნახა რომე ეს ამის დისწული შვიდასის დასავლეთის ფალავნებით შექცევით მოდიოდა. რა რომ ამას ალაგს მოაწიეს, ვინცა ვინ ყარამან ნახეს, ყველას დიდად მოეწონათ. და ერთობით შემოუძახეს განრისხებულთა: შენ ვინა ხარ, რომ ამისთანას ძლიერს და უსწოროს ფალავანს წინა მოეგებე და გზა შეგიკრავსო? არ იცი ესე ფა-

ლავანი ვინ არის და ან ვისი ჩამომავლობისა არისო?! მერე ყარამან-  
მა შემოუძახა: ჰე, თქვენ უმსგავსონო, მე ამა ქვეყნისა მებაჟე ვარ  
და სახელად ჩაფურ ინლი მქვიან. ჩემი ბაჟი მომეცით და ისე წა-  
დით, თორემ თქვენ იცითო.

მერე მათ უთხრეს: აი შენ უგუნურო, გაგიყებულხარ! ესე  
მომავლელი უსწორო ფალავანი ყარამანის დისწულია, ყოვლიბაშ  
შირჟიანი არის და ესე ქვეყანაც იმის ბიძის ყარამანისა არისო.  
შენ ვინა ხარ, ან რას ამბობო?! ყარამანმა შემოუძახა: მე თქვენის  
ლაპარაკისა არა ვიცი რა, ბაჟგამოურთმეველს არ გაგიშვებთო!  
თუ რომ ეხლა ბაჟი არ მომეცით, არც ერთს ცოცხალს არ გაგიშ-  
ვებთო. რა ესე ესრეთ მოისმინეს, ყოველთავე ფალავანთა ერთო-  
ბით ყარამანს შემოუტივეს. და უთხრეს: ვინა ხარ და რას ლაყ-  
ბობო?!

რა ყარამანმაც ესე საქმე ესრეთ მოიხილა, მიაგდო მათზე რაში და  
რომელსაც თითო მუშტი შემოჰკრა, მაშინვე ცხენისაგან ძირს  
გარდმოაგდო და აურია ეს ურიცხვი ლაშქარი, რომ სულ ერთმე-  
ნეთსა ჰკრა. რა რომ ყოვლიბაშ შირჟიანმა დაინახა, დიდად განჰ-  
კვირდა. მერე სხვათა მოახსენეს: ამა ხევისა პირსა ერთი კაცი დაგ-  
ვიხვდა და გვითხრა, მებაჟე ვარო, ბაჟის თხოვნა დაგვიწყო. ჩვენ  
უბრალო კაცი ვინმე გვეგონა, ვეშაპზე უძლიერესი სჩანს და თქვენი  
ლაშქარი სულ ერთი მეორეს ჰკრაო!

რა ესე ესრეთ მოისმინა, მაშინვე თავის თორმეტფერხოვანს  
მხეცსა ქუსლი ჰკრა და მიუხდა და შემოუძახა: ჰეი, შე უმსგავსო  
ინდო! შენ ვინა ხარ, რომ ჩემისთანას კაცს წინ გარდმოუდგები და  
ბაჟსა სთხოვო? მიუხდა და ერთი ასეთი მუშტი დაჰკრა, რომ ყარა-  
მანისთანა ძლიერი ფალავანი დიდად შეაწუხა და კიდევ მოეწონა.  
მერე ყარამანმა მოუქნია მუშტი დასაკრავად და მანც მეტიის გუ-  
ლოვნობით მკერდი მიაგება. დაჰკრა; მაგრამ ვერა ავნო. იმ დღეს  
ორნი ვეშაპნი ხან მუშტით, ხან ლახტით და ეგრეთვე სხვასა და  
სხვას აჩარღებით საღამომდინ იბრძოდნენ და ვერა რომელმან აჯო-  
ბა. ესრეთ ძლიერად იბრძოდნენ, რომ ზღვაში ნიანგი და ზეცად  
მფრინველნი მის ბრძოლის შიშით იმალებოდნენ. მაგრამ ერთმა მე-  
ორეს ვერა სძლივა.

მერმე ერთმანეთს სარტყელსა ხელი სტაცეს და ამითაც დიდხანს  
ირკინნენ, მაგრამ ვერცა ამითი ერთმა მეორეს სძლივა. განრისხდა  
ყოვლი და აღმოიღო ხმალი. ესრეთის ყოფით იქცეოდა, რომ ვინც

ნახავდა მისის სისწრაფით ქცევასა, შიშით ყურებას ვერ გაუძლებდა. მაგრამ ყარამან გამოცდის გულისთვის ვერ იმეტებდა. ვინც იმ ორის ვეშაპის ბრძოლას ნახავდა, დიდად განჰკვირდებოდა.

ყოვლის ერთი აიარი ჰყვანდა, სახელად გარსაშიბ ერქვა და დიდად გრძნეული რამ იყო. იმას ყარამანის ომი რამდენიმე ენახა და იმის ყოფაქცევა ეშინჯა. რა რომ ყარამანისაგან ყოვლის უშიშრად ბრძოლა მოიხილა, მაშინვე თქვა: ეს სწორედ ყარამან ყათილი არის და ესე სხვა სახედ შეცვლილა და ყოვლის გამოსაცდელად იბრძვისო. თუ ამათ არ გაგვყრი, ვიცი, ყოვლი ყარამანისაგან იძლევაო და თვისი ქვეყანა სულ აუოხრდებოა.

წინ წადგა და მალღის ხმით ორთავეს ესრეთ მოახსენა: ძლიერნო და უსწორო ფალავნებო, თქვენ ახლა ერთმანეთზედ ხელი აიღვეით, დიახ დიდი ხანია იბრძვით და კიდევ დაღამდა და ხვალისათვის თქვენი საქმე ღმერთზე მიაგდევითო. ამგვარი სიტყვა მრავალჯერ მოახსენა და ყარამანმაც ყოვლის ბრძოლისაგან ხელი აიღო და ერთის მხრისაკენ წავიდა. ყოვლმაც იმ ღამეს იქ ბრძანა დადგომა. მაგრამ ამაზე კი დიდად სწუზდა და მალი-მალ იტყოდა: ერთმა მებაჟემ რადგან ასე საქმე გამიჭირვა, ჩემი სიცოცხლე რადღა შინდაო?! რა გარსაშიბ აიარმა ყოვლი ესრეთ შეწუხებული ნახა. ფიცით არწმუნა, რომ ისი სწორედ ყარამან იყოო. რა ყოვლიმ ესე ამა აიარისაგან გაიგონა, დიდსა მხიარულებასა მიეცა. მსწრაფლად აიყარა და უშანგბადისაკენ წავიდა თვის ფალავნებით და ლაშქრითა და ყადაღა უყო, რომ ეს ჩვენი ომის საქმე არავის უთხრათო.

იმჟამად, რა ყარამან ყოვლის გაეყარა, წავიდა და უშანგბადს თავის ტახტსა დაჯდა და იმ დღევანდლის თავის ნაქმარს საქმეს ფიქრობდა: ვაი თუ ჩემი ომი ყოვლიბაშ შირყიანმა შემიტყოს, გაბრუნდეს და თავის მამას შეატყობინოსო. მაგრამ გულში ერთიორად სიყვარული მომემატა ყოვლის ფალავნობისა და ძალგულოვნობის ცნობის გამო. სარვიხურამანმან თავის შვილს ნარიმანს ყოვლის ომი საიღუმლოდ შეატყობინა.

რა ნარიმანმა თავისის დედისაგან მოწერილი წიგნი წააქითხა, დიდად განრისხდა და ესრედ სთქვა: ღმერთმან ჩემი სახელი ქვეყანაზედ აპხოცოს, თუ რომ მე ყოვლის თავი არ მოგჭრა და ძალღებს არ შევაქამოო. თავის დედას ესე პასუხი მისწერა. სარვიხურამან ამისი გამგონე დიდსა მწუხარებასა მიეცა.

რა ყოვლი უშანგაბადის ცინესა და ქალაქსა შევიდა, ყარამან წინ მოეგება და ტკბილად მოიკითხა. თავის სასახლეში ჩამოახდინა. მაშინვე მეჯლიში გამართეს და დღე და დამე სულ ლხინსა და შექცევაში იყვნენ. იმჟამად რომ ყარამანმა თავის სიმამრს რაჰინდს წიგნი მისწერა, მაშინვე რამდენიმე ფალავნებით და მცირეს ჯარით წამოსულიყო და ყარამანს იახლა. ერთი წიგნიც კიდევ ყოვლიბაშ შირეიანის მამასთან მიეწერა. იმჟამად იმისი პააუხიცი მოუვიდა და მრავალი სწავლაებიც მოეწერა ყარამანისათვის. გავიგონე, რომ თქვენს შვილს ნარიმანს თურმე დიდად განსწყრომიხართო. თუ ღვთის ნება არა არის, შენ უბრალოს სისხლში ნუ გაერევი და მაგისთანას საქმეს ნუ იქმ. ეგე ფალავნობის საკადრისი საქმე არ არის, ღვთის განმარისხებელს საქმეს ნუ იქმ და თქვენს ოჯახს სისხლით ნუ შესვრი, თორემ მართებული კაცი შენთან პურს აღარ სჭამსო.

რა ყარამანმა ამგვარი საშუამავლო დიდროვანის კაცების წიგნი მოისმინა, მათის პატივისღებისათვის ნარიმანის სიკვდილზე ხელი აიღო და აღარ მოკლა. რა სარვიხურამანმან გული დააჯერა, რომ ყარამანმა თავის შვილზედ გული მოიბრუნა, დიდად გამხიარულდა და მის დღისათვის ღმერთსა მადლობდა და მრავალნი შემცოდენი და პურობილნი განათავისუფლა და მოწყალება მისცა გლახაკთა. მერე თავის მამას რაჰინდს თავისგან ჩუმად ნარიმანის გაპარება გამოუტყადა და რაჰინდმა დიდად დაუმაღლა და დიდადაც გამხიარულდა. მაგრამ ყარამანს შიშით ვერ გამოუტყადა ნარიმანის დამალვა სარვიხურამანისაგან.

რაჰინდმა და სარვიხურამანმა ყარამანის მალვით ერთი ინდი დავრიში მოიყვანეს და მრავალი მისცეს და ნარიმანთან გაგზავნეს და შეუთვალეს: მორჩილებას და ამის მონებას იწვართიდე და შენი გული ამპარტავანებისაგან გამოიხსენ, რომ ეს ხელმწიფე მამაშენი კვლავ აღარაზე განარისხო და ახლა კი მოგიტევაო. ამ დავრიშს მრავალი რამ სწავლაები დაარიგეს და ახალს აშენებულს ყარამანი-ქალაქში გაგზავნეს. ესე დავრიში წავიდა და ინდოეთში, ყარამანი-ქალაქში მივიდა და ნახა, რომე ნარიმან სანადიროდამ მოდიოდა. ესე დავრიში წინ შემოეყარა, დალოცა და ქება შეასხა და მოახსენა: უტხო კაცი ვარ და სტუმარი და ღვთის გულისთვის ამადმ ერთი ოთახი მომეცით სადმე, რომ იქ დავსდგეო. ნარიმანმა იგი დავრიში თავისას წაიყვანა. თუმცა უწყალო იყო, მაგრამ ის ერთი დავრიში კი ისტუმრა და თავისას დააყენა.

ამ დავრიშმა იმ ღამეს მრავალი უცხო და უცხო ამბავი მოახსენა ომებისა, ნადირობისა და შექცევისა. ამისთანას ამბებით შეაქცივა. ასე იამა ამ ნარიმანსაცა ეს მოთხრობა, რომ ეს დავრიში სულ ველარ მოიშორა. მერე ერთსა დღესა რაც რომ გარდასცვალებულნი საბყარანები იყვნენ, სულ იმათი ამბები მოახსენა: მე ერთი ყარიბი დავრიში ვარ და ქვეყანა არ დამიგდია, რომ არ მენახოსო და ვინც საბყარანები ყოფილა ქვეყანაზე, ისინი სულ მინახავს და იმათი ამბავი სულ წიგნად წამიკითხავს. მაგრამ რაც ყარამანისაგან ამა ქალაქში ნაქმარი საქმეები ვნახეთ, მარტო იმ ერთი საქმისთანა ძნელი საქმე იმ ძველის საბყარანებისაგან და დიდროვანის ფალავნებისაგან არ მინახავს და არც წერილში მომისმენიაო.

მეჯლისში და ლხინში როდესაც გამხიარულდებოდა, ორმოცს უღელს ზღვის ხარს თურმე შეაბმევინებდის, მათს თურმე ორმოცს დიდროვანს რკინის ჯაჭვებს მოაბამდის და ერთს დიდს კლდეს მოსდებდის. მერე დაუშენდის იმ ხარებსა და იმ კლდეს თურმე მოაგლეჯინებდის. მერმე ამა ორმოც ჯინჯილს თურმე ახსნიდის და თვითონ წელზე მოიბის. ამ ორმოც უღელს ხარს თურმე ძალიან გააწევინებდნენ, მაგრამ ფეხს ვერ მოაცვლევინებდნენ. მასუკან აიღის იგივე ქვა და თავისავე ალაგს თურმე დასდვის.

მეორეც კიდევ, რომელიც ციხე გაუმაგრდებოდა ასაღებად, ამა ციხეს რომელიც დიდი ბურჯი ექნებოდის, იმას თურმე ქამანდს ესროდის, მოსწევდის და ერთიანად თურმე მოარღვევდის. თერამეტს ალაგას იმისგან ამისთანა ნიშნები ვნახე და დიდად მომეწონა მე იმისი ფალავნობა და ისეთი გულოვნობაო. ვინცა ვინ ან უწინდელი გარდაცვლილი ფალავნები ყოფილან და ან დღეს ხმელეთზე არის ვინმე, ამისთანა არავინ იქნება და არც ძველად ყოფილაო. მრავალი ამისთანა სწავლები უთხრა, მაგრამ იმან მაინც არ მოიშალა თავისი ამაყი გული და დავრიში შეწუხებული უკანვე გამობრუნდა და სარვიხურამანთან მოვიდა.

იმჟამად ყარამანმა ქალაქს გარეთ კარვები დაადგმევინა დიდროვანი და რაც იმ ქალაქში დიდებულნი იყვნენ ანუ მცირენი, სულ ერთობით მოიწვია. ხან ლხინით შეექცეოდნენ, და ხან ნადირობითა. ამ ყოფით ცხოვრობდნენ. ერთი წელიწადი სულ ამა შექცევაში იყო.

იმეამად სამან აღამიზადი რომ უშანგ ხელმწიფესთან გაეგზავნა ყარამანსა და წიგნი მიეწერა, ერთსა დღესა დეშტი ყივჩაყში მი-სულიყო.

უშანგ ხელმწიფე იქ არ ბრძანებულყო. მერმე ერანს გასულიყო და სულ მთლად დაეელო და ვერსად ებოვნა. მობრუნდა და ისევ ყარამანთან მოვიდა. უშანგის უბოვნელობის ამბავი მოახსენა. ფა-ლავანი მცირე ხანს დაჟიქრდა და მერე ბურჯ ვეზირი მოაყვანინა. ყარამანმა უბრძანა: ვეზირო, არ გიკვირს, ხელმწიფე აღარსადა სჩანსო? რა ვეზირმა ესე მოისმინა, დიდად შეწუხდა და თავსა ცე-მით ტირილი დაიწყო. მერე სამანს შეხედა და უთხრა: მამ ახლა დეშტი ყივჩაღში ხელმწიფედ ვინა ზისო? სამან მიუგო: ახლა მას აღაგს არღევან-შა ზისო. და ესეც გავიგონე, რომ უშანგ ხელმწიფის მამა მაღაილ-შაც აჟიერ სოფლით გარდაცვალებულაო.

ვეზირმა რა ესე მოისმინა, მაშინვე სტროლაბში ჩახედა და სთქვა: უშანგ ხელმწიფე მშვიდობით არის, მაგრამ იმის სიკვდილის ჟამიც მოახლოვებულაო. მერე ყარამანმა უბრძანა: ქვეყანაზე უწარჩინებულესო ფილოსოფოსო და მუნეჯიბო! მე მწადს, რომ ერან-თურანისკენ წავიდე და ხარაჯა ავიღოო. აქამდისინ თავაზა მეყო, მემკვიდრე მე ვარ და უშანგს-შას ჩემს სახელმწიფოს ველარ უთავაზებ ამისათვის, რომ უშანგ-შასაგან მე უფრო დიდის კაცის შვი-ლი ვარო, აქამდისინ რაც უთავაზე და ხელმწიფობა დავანებე, ისე აღარ იქნებო! იმის დრო წავიდა და ახლა ჩემი დრო არის! მე მწადს, რომ ვინც მე ერანში არ დამმორჩილდება, ქვეყანაც წავარ-თვა და ხელმწიფობიდანაც გადმოვამხო. და თუ რომ მებრძოლი გამოჩნდება ვინმე, იმასაც პასუხი მოხსენდებაო. ეს როგორ მიყო უშანგ-შამ. რომ ჩემი სამკვიდრო მამული ერანი ხოსროვშირისათვის უბოძება და თურანი ყათრანისათვის. ეს ასე არ უნდა ექნა, ჩემ-თვის უნდა ეთხოვნა და მე უნდა მებოძებინა და გამეცაო. უშანგ-შას რაც აქამდისინ ცხოვრება სჭირდა, სულ ჩემი წყალობა იყო. მე როგორი სააბყარანი ვიქნები, რომ რაც მოვინდომო, ისე ვერ აღვასრულო?! ახლავე წავალ და ერან-თურანს სულ აღვაოხრებო!

რა ვეზირმა ესრეთ მოისმინა, დიდად შეწუხდა და მოახსენა: ხელმწიფეო, მოწყალება მოიღეთ და ყური მომიგდეთო. უშანგ ხელ-მწიფე შენი ნათესავიც არის და თქვენზედაც ჭირანაული აქვს და

შენის ჩამოვავლობისა არის ისიცაო. რა ყარამანმა ესე მოისმინა, ვეზირსა უბძანა: ღმერთს გაფიცებ, სწორედ მითხარ, ჩემზედ უშანგ ხელმწიფე როგორ ახლოს ნათესავი არის და ან საიდან მეყვისო?

მერე იმავე ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფეო, ღმერთთან რომ პირველად ადამ და ევა დაბადა და ჯერ ყველანი იმის შვილები ვართო და ერთ ნათესავად ვიხსენებითო. და იმ ადამისა და ევას ნათესაობიდან რამდენიმე შტო არის ჩამოვლილიო. მერმე თქვენის ჩამომავლობის სიამაქ-შას მამა ერთს ქალს გაუაშიკდა და უქორწილოდ ერთი ვაჟი ეყოლა. და იმას ლამექ-შა დაარქვა და იმ ლამექ-შას ჩამომავლობა ესე უშანგ-შა არის და სიამაქ-შას ჩამომავლობა შენ ხარო. მართალია, ის სწორედ შვილი არ იყო, ხასასთან ჰყავდა, მაგრამ კიდევ შენის გვარისშვილობა ეთქმისო. ის დიახ ღვთის მოყვარე ხელმწიფე ბრძანებულა, თქვენის პაპის მამაო. იმას ქვეყანაზედ სამოცდათვრამეტი ქალაქი გაუქეთებია და ეგრეთვე უშანგ ხელმწიფეც ღვთისმოშიში კაცი ბრძანდებაო. და თქვენ ერთმანეთს ძმათა შვილებად მიხვდებითო. ახლა რომ თქვენ ერთმანეთზე სამტეროდ აღიძრათ ორთავე, ღმერთი განგირისხდებათო. ამჟამად უშანგ ხელმწიფე მოხუცებული შეიქნა. დღეს-ხვალობით მოკვდება და შენც იმისი გულისათვის მრავალი სისხლი დაგიქცევია და ამდენი ღვაწლი მიგიძღვის. ახლა რომ იმას სამტეროდ მიუხდე, სხვანი ყოველნი ხელმწიფენი რა ამა ამბავს მოისმენენ. სულ შენ დაგიწყებენ გმობასაო. ყათრან ხომ სწორედ შენი ბიძაშვილია, იმისათვის რომ თურანის ხელმწიფობა მიუცია, რა სიტყვა გაქვსო? ხოსროვშირც ხომ შენი სწორედ დისწული არის და რა გენაღვლება, ისიც ბედნიერი იყოსო? ამა ვეზირმა რამდენიმე ამისთანა სწავლაები ყარამანს წინა დაუდვა და მოახსენა.

რა ყარამანმა ვეზირისაგან ესე სწავლაები მოისმინა, თავი ძირს დაჰკიდა და დიდხანს ფიქრს მიეცა. რა რომ თავისი ახლოს ნათესაობა და ჩამავლობა შეიტყო, ამა ბურჯ ვეზირსა დიდად დაუმაღლა და ესრეთ უბრძანა: შაბაშ, შაბაშ შენსა ეგეოდენსა ნიბრძნესა და ღვთის მოშიშებასა! მარტო ძლიერება რა სახმარიო! მაშინვე სამან ადამიზადას უბძანა: კიდევ უნდა გაისარჯო და ახლავე წახვიდე და უშანგ ხელმწიფე იპოვნო, იმის ამბის მოუხსენებლობა არ შემიძლია. ახლა სულ ყოველი ზღვის კუნძულები დაიარე და სადაც იყოს, მისი ამბავი შემატყობინეო!

სამანმა თავი დაუქრა, გამობრუნდა და ზღვისაკენ გზამან გაი-

ყოლა. ჯეზაირის მთისაკენ წავიდა. ნახა, რომ უშანგ ხელმწიფე იქ ბრძანდებოდა, თავი დაუკრა და ყარამანის მიწერილი წიგნი მიაართვა. უშანგ-შამ სამანის დაჯდომა ბრძანა. მოუტანეს ერთი მურასა სკამი და დასვეს. ხელმწიფე უცხოდ გაუმასპინძლდა. რა სამანმა ხელმწიფის ყოფაქცევა ესრეთ ნახა, დიდად მოეწონა და თავის გულში ესრეთ თქვა: შენ შენის კაის ყოფაქცევით და დიდის ჭკუით დაგიმორჩილებია ამდენი სახელმწიფოები, მაგრამ ცოდვა არ არის, რომ შენ ინდოეთის სახელმწიფო გაუშვი და სხვას სახელმწიფოში გახველო?!

რა ყარამანის წიგნი წაიკითხა, მასთანვე ნარიმანის ამბავი მოეწერა. რა ხელმწიფემ ესე მოისმინა, მრავალი სწავლაები და ნუგეში მისწერა. სამან მსწრაფლად მივიდა და ყარამანს თავი დაუკრა და ხელმწიფის ჯეზაირის მთაში პოვნა და იქაური ამბავი ყველა წვრილად მოახსენა და წიგნებიც მიაართვა. რა ყარამანმა უშანგის მშვიდობის ამბავი მოისმინა, დიდად გამხიარულდა და მეჯლისი გამართა.

### აქა ყარამანისა და ნარიმანის ამბავი

დღესა ერთსა ყარამან სანადიროდ წაბრძანდა. იმ ნადირობაში ერთმან აიარმან ნარიმანის სარკიხურამანისაგან მალვით გაპარება და ყარამანია-ქალაქში ყოფნა სულ საიდუმლოდ უამბო და მოახსენა ყარამანსა. რა ესე ამბავი მოისმინა, ყარამანს ასრე ეწყინა, რომ ცეცხლივით აენთო. მაშინვე სადავე დაიბრუნა და შინ მოვიდა. განრისხებულმან სარკიხურამანს შემოუძახა და უთხრა: ჰე, შენ დედაკაცებში უგუნურო! ეს რა საქმე იყო, რომ შენ მე მიყავ? ყოველს ქვეყანაზე წიგნები მიმაწერინე, რომ ნარიმან დაეკარგემეთქი და შენ დამიმალე და ქვეყანაში შემარცხვინეო?

რა სარკიხურამანმა ყარამან ესრეთ განრისხებული ნახა, მივიდა. ფერხს წინ მიწას დაემხო და მოახსენა: ჩემი შეცოდება მაპატიე, მე მეშინოდა შენგან იმისის სიკვდილისა და ამისთვის დავმალეო. როგორც შენი ნება იყოს, ისე აღსრულდეს, მაგრამ ამას კი ნუ მიზამ, რომ ნარიმან სასიკვდილოდ გამოგემეტებინოსო! გთხოვ ვედრებით, რომ უწინ მე მომკლა და ამისი სიკვდილი არ გამაგონო! ამა საქმესა დიდად ეაჯებოდა.



რა ყარამანმა სარეხურამანისაგან ესრეთი სიმდაბლე და მორჩი-  
ლება იხილა, რომ დაჩოქებული და ქედღადრეკილი ევედრებოდა  
და მუხლთა ეხვეოდა, ყარამანს მისი სიმდაბლე დიდად მოეწონა და  
თავის გულში სთქვა: ვმადლობ ღმერთსა, რომ ამისთანა ცოლი შე-  
მეყარაო. სარეხურამანს ხმა აღარ გასცა. საჩქაროდ თავდაღუნული  
შინ შებრუნდა და ტახტზე დაბრძანდა და შეექცეოდა.

იმჟამად ვეზირი იახლა და მოახსენა: ყოვლიბაშ შირკიანი გე-  
თხოვებათ, შინათკენ მიდისო. ყარამანმა ყოვლიბაშს მრავალი ფეშ-  
ქაშები უბოძა და მის მამასაც მრავალი გაუგზავნა და გაისტუმრა.  
რა ამ საქმისაგან მოიცალა, მაშინვე სამან აღამიზანს უთხრა: ახლა-  
ვე მსწრაფლად წადი და თათულ ინდს უთხარ, ჩემი შვილი ნარიმან  
აქ მომგვაროსო. საჩქაროდ მივიდა და რაც ბრძანება ჰქონდა, გამო-  
უტყხადა თათულ ინდსა. რა სამანისაგან ესრეთ მოისმინა, მივიდა და  
ნარიმანს მოახსენა. რა ნარიმანმა თავისის მამის ბრძანება მოისმინა,  
მცირე ხანს დაფიქრდა და უთხრა: ფალაევანო, მე მამაჩემს ვერა ვნა-  
ხავ და არც წამოვალ. მე ბიძაჩემის ყოვლიბაშ შირკიანთან წავალ  
დასავლეთის ქვეყანაში, იმასთან ვიქნები ცოტას ხანს და ვნახოთ,  
ზოფლის საქმე როგორ მოხდებაო.

თათულ ინდმა რა ყმაწვილისაგან ესრეთი უარი შეიტყო, დიდად  
შეწუხდა და ცდილობდა, რომ არ გაეშვა. მაგრამ იმჟამად ნარიმან  
ათჩვიდმეტისა წლისა იყო და იმის მიზეზით დაბრუნება ვერ შეიძ-  
ლო იმისი. მერე მივიდა და სამანს შესჩივლა: მიშველე რამე, ვერ  
დავაჯერე, არ მომდევსო. რა სამანმა ესრეთ მოისმინა, გაჰყვა მას  
და ორნივე ნარიმანთან შევიდნენ. სამან დიახ მრისხანეს სახით ეჩვენ-  
ნა; იარაღით შექურცილი იყო და მძიმე გურზი ხელთა ეყარა. რა  
ნარიმანმა შემოხედა, იგიცა შეკრთა და საჩქაროდ ისევ გული გაი-  
მაგრა.

სამანმა ძლიერ მრისხანედ შემოსძახა:

ჰეი, ნარიმან, მამაშენი გიბრძანებს, ესლავ ადექ და საჩქაროთ  
იახლო! ნარიმან მსწრაფლად ფეხზე წამოდგა, ბასრსა ხანჯალსა  
ხელი მიჰყო და სამანს გულმეისისხლედ მოუხდა და რომ უნდა დაე-  
ცა გულზედ, ამ დროს სამან უჩინო შეიქმნა. რა ნარიმანმა სამან  
ვეღარ იხილა, მობრუნდა და თავის ლალას თათულ ინდს უთხრა:  
ჰე, შე წყეულო, შენ მე ახლა დევები მომისივო! ესე უთხრა და  
ერთი ასეთი ხანჯალი დასცა გულში, რომ ბეჭებში გავლო და  
მსწრაფლად მოკვდა.

რა იქ მყოფთა ესრეთ იხილეს, დიდსა მწუხარებას მიეცნენ და ესრეთ სტიროდნენ: ვაი ჩვენი ბრალი, რომ ამისთანა უსამართლო სისხლისმღვრელი მემკვიდრე გვრჩებაო! რა სამანმა ესე საქმე ესრეთ იხილა, საჩქაროდ წავიდა და ყარამანს მოახსენა ყველა, როგორც მომხდარიყო. რა რომ ყარამანმა თათულ ინდის სიკვდილი შეიტყო, ესრეთ განრისხდა, რომ მესხავით მკვება შექნა, საჩქაროდ ორმოცი ათასი ლაშქარით ცხენსა შეჯდა და ყარამანია-ქალაქისაკენ წავიდა, რამდენსამე დღეს უკან მიბრძანდა და იმ ყარამანიას სიაზლოვეს ჩამოხდა. ესე წარმანს მოხსენდა, რომ მამაშენი ორმოცი ათასის ლაშქრით შენზედ მოდის და თათულ ინდის სიკვდილისათვის შენზედ დიდად განრისხებული არისო.

რა წარმანმა ესრეთ მოისმინა, თხუთმეტი კაცი გაგზავნა და იმა ციხის ბურჯი დააქეტინა. მერე რამდენიმე ათასი შინაყმანი და ყულეები საომრად მოამზადა. ყარამანს ამბავი მიუტანეს, რომ შენი შვილი უკუგიდგა და ციხე გაამაგრაო. დიდად განრისხდა და ბრძანა: ორმოცი ათასი ლაშქარი დაემზადოს და ციხეს შემოადექით! ასე განრისხდა, რომ ცეცხლსავით ენთებოდა და თვალებს მრისხანეს ვეშაპივით აპრიალებდა. დასტა-დასტა დაეწყო და მერმე ყარამანც საომარის იარაღით თიღი ყამყამით შეიჭურვა და თავის შემუთაიბარსა შეჯდა და იგი ქალაქის კარსა მიუხდა და ერთი ასეთი საშინელი ხმით შესძახა, რომელ მან ციხე-ქალაქმან რყევა დაიწყო. იგი ხმა თორმეტს ალაჯზედ გაეგონათ მოგზაურთა და იმა ხმით გამოელაპარაკა: ჰაი, შე ავო თესლო და ავის გვარისა, შე უმსგავსო! ეხლავე საჩქაროდ კარი გამიღე, თორემ შენ იცი! შენ ნუ გგონია, რომ მე ეს ციხე ვერ ავიღო. ამ ციხეს სამს დღეზე ავიღებ და ღვთის მადლმა, ასეთს საქმეს გიზამ, რომ არავის არ დამართოდესო!

რა წარმანმა მოედანზე ესე საშინელი ხმა გაიგონა და თავისი მამაც იხილა საომარის იარაღით შეჭურვილი, დიდად შეშინდა და შეწუხდა და არც თავისი მამა ყარამან ენახა და არც იცოდა, თუ ვითარი ძლიერი ფალავანი იყო, მაგრამ თავისის თავის სიკვდილის შიშისაგან ნაილაჯობით ისევ სიკვდილს მისცა თავისი თავი და ესრეთ დაუძახა: მამაჩემო, მტრის სიტყვას ნუ აპყოლიხარ, ჩემს დავაზედ ხელი აიღე, თორემ ჩემგან ბევრს ზიანს ნახავ და სარგებელს ვერაო. ასი ათასი შენისთანა რომ მოვიდეს, ამ ციხეს ერთს ქვასაც ვერ გამოაძრობს და შენ მარტო სამს დღეზე როგორ აიღებო.

რა ყარამანმან ესე გაიგონა, მცირეს ხანს დაფიქრდა და მერე

ჯარს უბრძანა: ციხეს შემოეცალენით! ჯერ წავიდეთ, ჩამოვხდეთ და მერე, როგორც ლეთის ნება იყოს, ისე იქნასო. წავიდნენ და მოშორებით ერთს მხარესა ჩამოხდნენ. ყარამანი დიღსა საფიქრებელში ჩაეარდა და თქვა: ამისთანა ციხე ჩემის თავის ჭირად რად გავაკეთე, რომ ვინც უკუმიდგება, ამა ციხეს გაამაგრებს და აღება არ შეიძლებაო. იმ დამეს სულ ამა ფიქრში იყო. რა დიღა გათენდა, ნარიმან საქურდალის კარიდამ სამოცდაათის ფალავანით იარაღით საომრად შეჭურვილი, იმა ლაშქრისაკენ წავიდნენ და ყარამანის პირდაპირ მივიდნენ და დადგნენ.

რა ყარამანმა ესრეთ იხილა, რომ ნარიმან საომრად გამოსულა, საჩქაროდ ყარამანც მოედანზე გამოვიდა. რა პირდაპირ შეიყარნენ, ნარიმანმა ერთი ძლიერად დაიძახა ასე, რომც ცისა ქუზილსა ემსგავსებოდა. რა ყარამანმა ნარიმან ესრეთისა სიმხნით იხილა, დიდად მოეწონა და ესრეთ თქვა: ჩემისთანას ვეშაპსავით საშინელის ფალავანისაგან ამას შეშინება არაში ეტყობაო. დმერთო, ეს მეტად გულოვანი რამ უნდა გამოვიდესო! მერე ყარამან მობრუნდა და ყარუნ აჯადს უბრძანა: გადი ამა მოედანზე და ნარიმან გამოითხოვე. მაგრამ გაფთხილდი, ნარიმანმა არა აგიტეხოს რაო! რა ამა ფალავანმა ესე ბრძანება მოისმინა, დაფიქრდა, დიდად ითაკილა და თავის გულში თქვა: გუშინდელის გამომძვრალის ბიჭისაგან როგორ მფრთხილებს? ასეთ ლახტს დავჭკრავ, რომ მოვაჭკვიანებ, მეტად თავში იწევსო. საჩქაროდ თავის რაშსა ქუსლი ჰკრა, მოედანზე გამოაგდო. და ერთი საშინელის მაღალის ხმით ნარიმანს შემოსძახა.

რა ნარიმანმა ესე ესრეთ იხილა, იკითხა: ესე რომელი ფალავანია, რომ ასე გაამაყებელი გამოიჭრაო? მერე ჰეითალ ინდმა მოახსენა: ესე კაი საქმე ვერა ჰქენ, რომ მამაშენს უკუუდექ და ესე ფალავანი გამოვიდა და შენ გამოგიტხოვო, სახელად ყარუნ აჯად ჰქვიანო. მერე ნარიმანმა შემოუძახა და ესრეთ უთხრა: თუ იმას ყარუნ აჯად ჰქვია, მე ნარიმან მქვია სახელადო. ესე თქვა და ყარამანის წინ ცხენი გაქუსლა და რამდენიმე საფალავნოს იარაღი ინავარდა და ყარამანს თავისი სიმხნე დაანახვა. რა ყარამანმა ესე ესრეთ იხილა, დიდად მოეწონა. ნარიმან გამობრუნდა და ყარუნ აჯადს სალაში მოსცა და უთხრა: გაბრუნდი, მიდი მამაჩემს მოახსენე, გაბრუნდეს, უშანგ-შასთან წავიდეს, თორემ ჩემთან ზიანს ნახავთქო.

ყარუნ უთხრა: ნარიმან, შენ რა აგრეთი ძლიერი ხელმწიფე შეი-

ქენ გუშინდელი ბიჭი, რომ მამაშენს ასე აწუხებ და კიდევ უკუ სდგომიხარო?! დამიჯერე, ჩამოხე ეხლავე ძირს, ყელზე ხმალი ჩამოიკიდე და ქვევითად მამაშენს იახელ და შენდობა ითხოვე, თორემ ძალით მიგიყვანო! რა ესე ნარიმანმა მოისმინა, დიდად განრისხდა და ესრეთ უთხრა: ჰეი, ფალავანო, რადგან ძალსა იქადი, ეგე შენი ლახტი დამყარ და მერე მე გაჩვენებ ჩემს ჭაბუკობასაო. რა ყარუნმა ლახტი მოუქნია, ნარიმანმა ხელი შეაშველა და წაართვა. მერე ნარიმანმა ერთი ესრეთი ძლიერი ლახტი დაჰკრა ამა ფალავანსა, რომ მიწასთან გააწორა და მოკლა.

რა ყარამანმა თავისი შვილის ესრეთ ფალავნობა ნახა, ყარუნის სიკვდილისათვის დიდად შეწუხდა და ამოიოხრა და ეწადა, რომ თითონ გასულიყო მოედანზედ. ნახა, რომ ყარუნის ძმამ გურჯმა ერთი დიდად ამოიოხრა, სპილო გაიგდო და ნარიმანს მიუხდა, სამჯერ თავისი ლახტი მძიმედ დაჰკრა თავსა და სიმზნით სამივე თავის ფარსა აატანინა. რა რიგი ნარიმანს ერგო, ერთი ასეთი მძიმედ ჰკრა თავსა, რომ შებნედილი სპილოდამ ძირს დაეცა. საჩქაროდ ცხენისაგან გარდახტა და თავი მოჰკვეთა.

რა ესე ესრეთ უწყალობა იხილა ნარიმანისაგან, საჩქაროდ ყარამანმა შეშფაიბარსა ქუსლი ჰკრა და ნარიმანს მოუხდა. რა რომ ნარიმანმა ესე საქმე იხილა, მოახსენა: მამაჩემო, თქვენ მეტად ძალას გაუამაყებხარ, რომ ჩემზედ სასიკვდილოდ მოხველი. მე ასეთს საქმეს გიზამ, რომ ესე ჩემთან ნაქმარი საქმე ყოველმან ხელმწიფემ ძეგლად დაიდვას: რომელსაცა ხელმწიფეს შვილი ეყოლოს, თავისი საუფლისწულო მისცეს და ცალკე დააყენესო. და იმ შვილმაც აღარა შესცოდოს რაო.

რა ყარამანმა ესრეთ მოსმინა, ასრე განრისხდა, რომ თვალები სულ სისხლით აღევსო. შეშფაიბარს ქუსლი ჰკრა და ნარიმანს სიკვდილს უპირებდა. რა ნარიმანმა ყარამანს ესრეთ განრისხებულთი ნახა თავის თავზედა, მოუხდა და ერთი ლახტი დაჰკრა თავზედა თავის მამასა. მანაც გურზი იფარა და მას ატკინა, მაგრამ ასე ძლიერად დაჰკრა სამი ერთმანეთზედ, რომ ყარამანს სხვათა ფალავანთაგან ასე ძალა არ დასდგომოდა. მერე ყარამანმა თავის გულში თქვა: ეს მამაძალი კიდევ ამ ძლიერების მქონებლობისაგან არის ასე გაამაყებული. მე ასეთი საქმე უნდა ვუყო, რომ ქვეყანა თვალწინ უნდა დაუბნელო!

ყარამანმა თავის მძიმე ლახტი სამჯერ თავსა შემოივლო და ეს-

რე ძლიერად დაჰკრა, რომ თუმცა ცა და ქვეყანა თავსა დასცემოდა, ეგრეთ ეგონა. მაგრამ ნარიმან სიმხნითა და მამაცობითა იმას გადაურჩა. რამდენჯერმე ამან და ეგრეთვე იმან ერთმანეთზედ იარაღები იხმარეს. იმ დღეს მამა-შვილთ საღამომდინ იბრძოლეს. ყარამანმა რომელსაც იარაღებში თავისი შვილი გამოსცადა, ყველაში უცხოდ მოეწონა. იმ დღეს მათი ომი ესრეთ საშინელი რამ იყო, დევთა და ფერიათა მათ ყურებას ვერ გაუძღეს.

რა საღამო ეამი შეიქნა, ნარიმანს სწაღდა, რომ გაბრუნებულიყო და ციხეში მისულიყო. ყარამანმა ჯარსა ანიშნა: ნუ გაუშვებთო. მივიდნენ და წინ გარდაუდგნენ. ნარიმანმა თორმეტი ფალავანი ჩამოაგდო და შიგ ციხეშიაც შევიდა. რა სარკიხურამანმან ნარიმანისაგან ყარამანის ბრძოლა გაიგონა, დიდად შეწუხდა და ღმერთსა ევედრებოდა მშვიდობით გადაარჩენასა.

რა მშვიდობით გადაარჩნენ, ღმერთსა მადლობა მისცა და ნარიმანს წიგნი მისწერა: „მალვით მოვალ მანდ შენთან და არამც და არამც შენ კიდევ გამოსულხარ და მამაშენს შებმინარ! ესე სწავლა დაიჯერე. მე, დედაშენი გვედრები, მამიშენისთანა ძლიერი ფალავანი. დღეს ხმელეთზე არავინ არის და შენ ამას როგორ ებრძვი?! ჯერ შენის სიბრალულისათვის თავის ძალას არ გამოიჩენს, თორემ ერთის ხელის დაქნევით ქვესკნელს შთაგნთქავსო. არამც და არამც შენ კიდევ საბრძოლად გამოსულხარო. მარტო ქვეყნისაგან არა გრცხვენიან, რომ შენს მამას ებრძვი? აგერ ყოვლიბაშ შირყიანი დაიბარა. იმას დღე-ხვალობით აქ შემოველით. იმისთანა ძლიერი ფალავანი ამას წინეთ ასე შეაშინა, რომ მამიშენის შიშით თრთის. ჯერ ხომ შენი სოფელში შემოსვლა არც არვინ იცის. რა დაგეშართა. საგინებელი რატომ გამოხველ, შვილო, რას გვეშართლები?!“

რა ნარიმანმა თავისის დედისაგან ესრეთი მოწერილი წიგნი წაიკითხა, დიდად შეწუხდა და თავის დედის მცნება დაიჯერა და ყარამანს აღარ ებრძოლა. საქურდალის კარიდამ გამოვიდა და ყარამანის ჯარში შევიდა. მარჯვენა მხარე მარცხენას მხარესა ჰკრის და მარცხენა მარჯვენას მხარეს და მრავალი ლაშქარი ამოუწყვიტა ამა ჩუმად მისვლით. რა რომ ყარამან ცხენსა შეჯდის და მივიდის საომრად, ნარიმან ციხეში შევიდის. სამი წელიწადი ამ ყოფაქცევით იყო და ჯარში მუხთლად სიარული არ დაიშალა და ვერც ყარამანმა ამ ციხის აღება შეიძლო და ველარც ნარიმან ხელში ჩაიგდო და ამისათვის ყარამან დიდად შეწუხებული ბრძანდებოდა.

აქა ყოვლიბაშ შირქიანის მოსვლა შარამანის  
მოსახმარებლად, მისგან ნარიმანის დამორჩილება და  
შარამანთან შუამავლობით შერიგება

ამეჲმად ესე ამბავი ყოვლისა ქვეყანასა მოეფინა, რომ ნარიმან თავის დედას დაუმაღავეს და ყარამან გასწყყრომია და ციხეს გარს ადგია და ებრძვისო. ყარამანს კი არ ეომება და სხვანი ფალავნები სულ ამოუწყვიტაო. რა ესე ამბავი ყოვლიბაშის მამას გარშასბს გაეგონა, ყოვლიბაშ შირქიანს დაუძახა: ჩემო ორისავე სოფლის სიცოცხლევ, ახლავე საჩქაროდ წადი და ბიძაშენს ყარამანს მიეშველეო. საჩქაროდ მიდი, რომ ყარამანმა თავისი შვილი ნარიმან ხელთა არ ჩაიგდოს და არ მოჰკლასო. წიგნი მოსწერა ყარამანსა და ყოვლიბაშს გამოატანა.

ყოვლიბაშ წამოვიდა და საჩქაროდ ყარამანს ეახლა. ყარამანსაც დიდად ეამა. წინა მიეგება და თავის კარავსა ჩამოახდინა. მეორეს დღეს ყარამანის სანახავად მიბრძანდა და გარშასბის წიგნი მოართვა და ტკბილად ესაყვარლენ ერთმანეთსა. ყოვლიმ მოახსენა: ქვეყანაზე წარჩინებულო ფალავანო და უსწოროვ სააბყარანო! ამისათვის რას შესწუხებულხარ, ნარიმანს ხვალვე დავიჭერ და თქვენს წინაშე მოვიყვანო. ის თავის ფალავნობაზედ გაამაყებულნი არის. მე არად ჩამაგდებს, გამოვა და შემებმისო.

რა დილა გათენდა, ყოვლიბაშ შირქიანი მოემზადა და მოედანსა გამოვიდა და შესძახა მალღისა ხმითა: ნარიმან, გამოვედ ჩემად საბრძოლადო! რა ნარიმანმა ესე ხმა გაიგონა, იკითხა: ვინ არისო? მოახსენეს: ესე ყოვლიბაშ შირქიანი არისო. რა ესე მოისმინა, დიდად განრისხდა და მსწრაფლ მოედანზე გამოვიდა და ყოვლი არად ჩააგდო და ერთმანეთსა რკენა დაუწყეს. იმ დღეს სალამომდინ ნარიმან თორმეტჯერ ცხენიდან ჩამოაგდო ყოვლიმ, მაგრამ არ დამორჩილდა და ყარამანთან არ მიჰყვა. გაბრუნდა და ისევ ციხეში შევიდა.

რა ყარამანმა იხილა, რომ ყოვლი ნარიმანს მოერია, დასტური დასცა და ისევ ციხეში შეგზავნა, დიდად ეწყინა და უთხრა: ჩემო მარჯვენავ მხარო ყოვლიბაშ, ხვალ კი უთუოდ უნდა ნარიმან დაჭერილი აქ მომგვარო. მაგრამ უფრთხილდი, მე იმისგან დიდად გულდამწვარი ვარ, მრავალი ჩემი საყვარელნი ფალავნები დამიხოცაო. რა ის ფალავნები მოიგონა, მაშინვე თვალთაგან ცრემლი გადმოს-

ცვივდა. რა ყოვლიბაშმა ყარამან ესრედ შეწუხებული ნახა, მოახსენა: დღეის გაშვებისათვის ნუ გამიწყრებით და ხვალ თქვენს წინაშე ხელშეკრულს მოგართმევო.

რა დილა გათენდა, ნარიმან გამოვიდა და ამ თავის მამის ლაშქარს მოეჭრა ცალს'მხარეს და მრავალი ლაშქარი ამოწყვეტა. რამდენჯერაც ყარამანმა მოინდომა ნარიმანის ომი, რომ ერთი კიდეც შებმოდა, ნარიმან ახლოს არ დაეკარა! და ესეც იცოდა, რომ რადგან ისე განრისხებული იყო იმაზედ, ამას ფიქრობდა: რასაც დროს ხელში მიგდებს თილი ყამყამით შემომკრავს და ორად გამკვეთსო. და თავის დედის მცნებასაც იმარხებდა და პირდაპირ არ ეჩვენებოდა და მალვით ლაშქარს ასრე უზოცდა.

ყოვლიბაშ შირქიანი განრისხებული მიმობრბოდა და ნარიმანს ეძებდა. ამა სირბილში ნარიმანს შეხვდა, რომ ერთსა ალაგს იბრძოდა. მივიდა და უთხრა: გუშინ ხომ გითავაზე და გაგიშვი, მაგრამ დღეს შენი გაშვება აღარსად იქნებაო. მამაშენს უნდა იახლო, ახლავე გამობრუხნდით! რა ეს ნარიმანმა მოისმინა, დიდად განრისხდა და ერთმახეთს დიდხანობამდე ებრძოლეს. მერე ყოვლიბაშ შირქიანი განრისხდა და სარტყელსა ხელი ჩაავლო და აიყვანა და მიწასა დასცა არაძლიერად. საჩქაროდ ხელები შეუტყრა და წამოიგდო წინა. მერე ნარიმან შემოეხვეწა: ბიძაჩემო, შემიწყალე. მამაჩემთან ხელშეკრულს ნუ მიმიყვანო, თორემ მაშინვე მომკლავსო, თავისის თილი ყამყამით თავს გამავდებიხბსო!

ესე თქვა და ტირილი ამოუშვა მაღლისა ხმით და ეხვეწებოდა და ეფიცებოდა: ღმერთსა ვფიცავ, ცისა და ქვეყნის შემოქმედსა და მამიჩემის თავსა, რომ ამას იქით მამაჩემს აღარ უუჟუღვე და აღარც იმის საწყენი ვქნა რამე, და აღარც იმის წინააღმდეგად კარში გამოვიდეთ! მიდი შენ, მამაჩემს შეეხვეწე, რომ ჩემი ამდენი შეცოდება მომიტეოს და შენს მოსვლამდე ამ მოედნიდამ ფეხს არ გავადგამო. ღმერთი თავდებად მომიცია შენთვისაო. ესეც მიენდო, ხელები შეუხსნა, იქ მოაცდევინა, მაგრამ კი დიდად ეშინოდა ყოვლიბაშს, ვაითუ არ დამინდოს და ისეც ციხეში შემეჭრას, მერე სულ აღარ გამოვა ჩემს საბრძოლადო. მაგრამ რა უნდა ექნა, მეტად შეებრალა, ხელი გამოართვა და მტკიცედ შეიპირა და ის შუას მოედანზე დააყენა და თითონ მარტო ყარამანისაკენ წავიდა.

იქიდან ყარამან ხელადედა, რომ ნარიმან იქვე დგას და დიდად გაკვირდა. რა ყოვლიბაშ ყარამანს იახლა, მძიმედ თავი დაუტყრა,

დაიჩოქა და ვედრებით მოახსენა: ხელმწიფეო, გვედრებით, რომ ნარიმანის შეცოდება და დანაშაული შემომიტევოთ და თქვენის მამისა და დედის საფლავს აპატიეთო. ღმერთი თავდებად მამცაო, როდ უშანგაბადის ქალაქს სარვიხურამანთან გაისტუმრა და უთხრა, ხოსო.

რა ყარამანმა ყოვლიბაშის ესრეთი გულმოდგინედ ვედრება მოიხილა, მანაც ფიცით აღუთქვა, შენთვის მიპატიებიო, აღარ ვერჩიო. მერმე იმის პაპა რაჰინდ და ინდოეთის დიდებულნი კიდეც შუა შემოვიდნენ და ნარიმან მიიყვანეს და შეარიგეს. მივიდა ნარიმან და მუხლსა აკოცა და თავის დანაშაულს ეაჯდა. ყარამანმაც მამობრივის მოწყალებით მოხედა და მიიყვანა და მკერდსა მიიყრდნო, და ეამბორა. ნარიმან და ყოვლიბაშ შირკიანი ორნივე საჩქაროდ უშანგაბადის ქალაქს სარვიხურამანთან გაისტუმრა და უთხრა, ჩემს მოსვლამდისინ იქ მომიცადეთო და თითონ თავის ქალაქში შებრძანდა.

### აჲა ეშმაკისაგან ყარამანის გამოცდა.

ერთსა დღესა ყარამან დიდად შეწუხებული იჯდა და ამას ფიქრობდა: რა ვქნა, ეს რა ჩემს ჭირად მოვიგონე ამისთანა ციხის გაკეთება, რომ ვინც უკუმიდგება და აქ შემომასწრებს, აღების წამალი აღარა აქვსო. ამა ფიქრსა შიგან ნახა, რომე კედელი გაირღვა და ერთი ბერიკაცი გამოვიდა შავით მოსილი, გარდაიარა და ყარამანს თავს დაუჯდა.

რა ყარამანმა ესრეთ იხილა, განრისხდა და ესრეთ უთხრა: ჰე, შენ უმსგავსო! შენ ვინა ხარ, რომ ჩემს ხალვათხანაში ჩემს უკითხავად შემოხველ და გარდაიარე და თავს დასჯექო? ესე უთხრა, მაგრამ თავაზით მოექცა. რა ამ ბერმა კაცმა ყარამანისაგან პატივი ნახა, გამხიარულდა და ესრეთ უთხრა: ჩემო სიცოცხლევ ყარამან! რატომ აგრე მოწყენილი ბრძანდებით, ეგე კაცის სიცოცხლეს აწყენსო. რა ყარამანმა ამ ბერიკაცისაგან ამისთანა ტკბილად მოუბარი ლაპარაკი მოისმინა, ამან უბრძანა: პატიოსანო ბერიკაციო, შე ამას ვფიქრობ და დავღონებულვარ, რომ ვინც მე ამ ქალაქში უკუმიდგეს, ამ ციხე-ქალაქს ერთი აღების წამალი აღარა აქვს რაო.

რა ყარამანისაგან ესე სიტყვა მოისმინა, გაიცინა და მოახსენა:



ჩემო სიცოცხლე და ჩემი გულის წაძალო! ძაგის უადვილესი რა არის, რომ ეგ აგრე გაგვირეგებია. ორმოცი მენაღმე იშოვე და ამა სასახლის საშუალო ნაღმი აკვრევიენე, მაგრამ გაფრთხილდი, რომ იმ ორმოცის კაცის მეტმა არავინ შეიტყოსო. და იგი ნაღმი, გარეთ რომ წყალი არის, იმის ქვეშ გაატანიეო. და მერმე ის ორმოცი მენაღმე კაცი სულ ჩუმაღ დახოცე და დამარხე, რომ ვერავინ შეიტყოსო. და იმ ნაღმის ხვრელიც შენს მეტმა არავინ იცოდესო. და ამას გარდა მრავალი სხვა სწავლაებიც უთხრა და მოახსენა: მომილოცავს, შეიღის იყლიმის მპყრობელობა და მბრძანებლობა შენ მოგეცაო.

ყარამანმა რა ესეცა მოისმინა, ამა ბერიკაცს უბრძანა: მითხარ სწორედ, შენ ვინა ხარ, რომ ამისთანა სიკეთის ამბავი მითხარო? ამან უთხრა: ჩემო საყვარელო ფალავანო, მე შენი ბედი ვარო. მე აქ ამიტომ მოველ, რომ ყოველი შენი გაჭირვებული საქმეები გაგიაღვილოო. მან უთხრა: ჩემო ბედო და დოვლათო, აქამდისინ რატომ არ მოხველ, თუ რომ მართლა ჩემი დოვლათი ხარო? მან მიუგო: მე ამიტომ არ მოველ, ბრძანება არა მქონდაო. ახლა მებრძანა და მოველო, ესე უთხრა და რომლისაც კედლიდამ გამოსულიყო, იქიღამევე ისევე უჩინო იქმნა.

მერე ყარამანმა თქვა: დავაშავე, რომ უშანგ-შასი არა კვითხე რა იმ ბერიკაცსაო. ესე თქვა და ყარამან დიდად მწუხარე იქმნა. მეორეს დღეს ორმოცი დიახ საუცხოვო მენაღმენი მოაყვანინა და უბრძანა: ერთი საიდუმლო რამ მაქვსო თქვენთანა, რომ არას კაცს არ უთხრათ. აქედამ ნაღმი უნდა ჰკრათ და იმ წყალქვეშ უნდა გაიტანოთო. რა ესე მოისმინეს, პირველად დიდად განკვირდნენ და შეშინდნენ, მაგრამ ბევრის მიცემამ დაახარბა და ხელი მიჰყვეს და ორს წელიწადზედ ყარამანის ბრძანება აღასრულეს.

რა ყარამანმა იგი ეშმაკი იხილა, ფიქრით იმ ღამეს ვერ დაიძინა და რა დილა გათენდა, ბურჯ ვეზირი იხმო და იმღამინდელი ნახული თვითეულად უამბო. რა ამა ვეზირმა მოისმინა, დიღსა მწუხარებასა მიეცა და მოახსენა: როგორ გეკადრება, რომ იმისთანას წყეულის ეშმაკის სიტყვას აპყოლიხარ და აგრე მოუნადირებინხარო?! შენ დიღის ხელმწიფის თახმურადის შვილი ხარ და შენის ჩამომავლობისა სულ არავინ შემეცდარა. და ის რომელიც მაცდური შენთან მოსულა, თუ დიდად არ გაფრთხილდი და ღმერთს არ ევედრე, ასე აგიყოლიებს, რომ ცოლ-შვილსაც ამოგაწყვეტინებს და

შენც შენის ხელით თავს მოგაკვლევინებსო. თორემ კაცის დოვლათიცა და ბედიც სულ ცისა და ქვეყნის შემოქმედი ღმერთი არისო! როდესაც დაიბადება, იმას თავის ღირსებისამებრ ცხოვრებას არ მოაკლებსო. იმ წყეულისაგან ასე როგორ უნდა მოსტყუდვდ? ამაზე მგეტი დოვლათი როგორღა იქნება, რომ ღმერთმან შენ მოგცა? ყაფის მთის დევები შენის შიშისაგან ძრწიან და შენის ხლმით დაგიმონებია და გმორჩილებენო. იმ წყეულისაგან შენი ხელმწიფობის ქადება ეს არის, რომ შენ და უშანგს ერთმანეთს ხმალი გაკვრევინოს და შენი ძმანი ამოგაწყვეტინოს და თითონ შორიღამ თამაშას გიყუროსო. ფალავანო! შენ იმისგან დიდად გაფრთხილდი, თორემ სადაც ის ისე მიაწევს სიტყვის სათქმელად, იმ სახლს ის დაუტყველს არ გაუშვებსო. პაპაშენს ქეიომარსს რა უყო და ეგრეთვე ადამ და ევა სამოთხიღამ მაგან გამოჰყარა და აბელ კენს იმან მოაკვლევინაო!

ბურჯ ვეზირმა რამდენიმე ამისთანა კაი სწავლაები ყარამანს მოასმენინა და დაანახვა. რა ყარამანმა ესე მოისმინა, მერე ვეზირს ჰკითხა: ეშმაკი რა სახისა არის ან როგორია, ან ჩემგან რა უნდა, რომ შემომდგომია საცდელადო? რა ვეზირმა შეატყო ყარამანს, რომ ეშმაკის მახეში გაბმულიყო, გუნებაში დაემარხა. მერე თვითელად მოუყვა და სულ უნამბო ეშმაკის ვითარება, როგორ ანგელოზობიღამ გამოემხნენ ამპარტავენობით და შურიით. და ეგრეთვე ადამის ჩამომავლობისა ყველა წვრილად შეატყობინა. წმინდა კაცნი გამოვლენ ასეთნი, რომ ანგელოსზედ მეტობას იქმონენო და ანგელოზნი ამას თაყვანსა სცემდნენ და რადგან ის ანგელოზნი, რომელნიც ახლა ეშმაკად არიან გარდაქცეულნი, ამის მიზეზით, რომ ამპარტავენების და ურჩების ტვირთი ჰკიდიათ, და სურთო, რომ მრავალნი მოინადირონ და ჩაჰყარონ ჯოჯოხეთშიაო.

ამ ვეზირმა ამდენი რამ სამეცნიერო სწავლაები მოახსენა ყარამანსა, რომ ამ ეშმაკის საფრთხიღამ გამოიყვანა. მერე ყარამანმა ჰკითხა: ვეზირო, ამის რატომ არა შემატყობინე რაო, წელან რომ გკითხე, ბერკაცსავით ჩემს ხალვათხანაში შემოსვლა. მერე მან მიუგო: ღმერთს ამდენი ნება კი მიუცია მათთვის, რომ დიახ მრავალს სახედ შეიცვლებიანო. თუ შემოგადგა და ალაგი იპოვნა შენთანა. შენ რომ საბყარანი არ იყო, ასე შეგაშინებს, რომ კიდევ ეხვეწებოდეო. რა ყარამანმა ამ ვეზირისაგან იმ ეშმაკის ამბის მბობა მოისმინა, დიდად იამა და ერთი ხელი მძიმე ხალათი უბოძა.

ერთს დღეს ყარამანმა იგივე ვეზირი დაჰპატიჟა და ყორულდოჲ ჰქონდა იმასთან და არავინ დაისწრა და უთხრა: ჩემო ვეზირო, მე ერთი საიდუმლო სიტყვა-მაქესო შენთან და ის უნდა აღმისრულო. მერე მან მოახსენა: მიბრძანე და ვეცდები, რომ სამსახური აღვასრულო. ყარამანმა უპასუხა: ჩემი ნება ეს არის, რომ ასეთს სახელ შემეცვალო, ვერავინ მიცნასო. მოახსენა: ეგე საქმე ჩემის ფილოსოფოსობისაგან აღვიღად შეიძლება, მაგრამ თქვენი საწადელი რა არისო? მერმე ყარამანმა მიუგო: მწადს, რომ ჩემს დისწულს ყოვლიბაშ შირეიანს შეეება და ცხენილამ გადმოვავდო და შევიტყო იმისა ფალავნობა როგორი რამ არისო და ჩემს შვილს ნარიმანსაც ასეთი საქმე მინდა ვუყუო, რომ ქვეყანაში შავარტყვინოო. ბურჯ-აქიმმა მოახსენა: ფალავანო, მეშინიან, რომ ყოვლიბაშს არა აუტეხო რაო, რომ ამ ორსა და სამ საუკუნემდის იმისთანა ფალავანი აღარ გამოვაო. ნარიმანც ხომ შენი შვილია და ასეთი საქმე არა ჰქნა, რომ ქვეყანაზედ საკიცხველად არ დაიდვაო. და ამას გარდა სხვაცა მრავალი სწავლაები მოახსენა.

მერმე ყარამანმა ღვთის ფიციტთ არწმუნა და თავისი მამა-პაპა იფიცა, რომ მე ისინი არც ერთი სასიკვდილოდ არ გამოვიმეტო და არც მე იმათი სიკვდილი მინდოდესო. ვეზირო, შენ არ იცი, თორემ მე ყოვლიბაშ ჩემს შვილსაც მიჩვენია და ჩემს თავსაც, მაგრამ ჩემი ნება ეს არის, რომ ჩემი თავი ვაცნობო, ვირემ ცოცხალი ვარ, ჩემის სახელისა და ძალისა და ფალავნობის მხსენებელნი იყვნენო. რა ამა ვეზირმა ასე მოისმინა, მოახსენა: ფალავანო, მოემზადე და ხვალ ამა და ამ მინდორს გამოდი მარტოო. ამანაც თავი დაუკრა და წავიდა.

რა შინ მივიდა, ჯავზისაგან ერთი მაჯუნი შეამზადა, კვერცხისოდენი იქნებოდა. წავიდა და სადაც რომ ყარამან შეიპირა, იქ მივიდა. ყარამანც იარაღით შექურვილი მზად დაუხვდა, მაგრამ ერთი ასეთი მრისხანეს სახით იდგა, რომ მისსა ყურებას კაცი ვერ გაუძლებდა. ვეზირი ეახლა, თავი დაუკრა და ამოიღო იგი შემზადებული მაჯუნი და მოართვა და მოახსენა: ფალავანო, ესე ერთიანად მიიღეთო. და სარკე მისცა, მერე ამაში ჩაიხედეთო. გამოართვა, მიიღო და რა რომ სარკეში ჩაიხედა, ერთი ასეთი შავის ზანგის სახე დასდებოდა, რომ მნახველთათვის საზარო რამ იყო. მერე ყარამან ამა საქმეზე დიდად შესწუხდა და თქვა თავის გულში: ვაი თუ ასე დავრჩეო?!

რა ამ ვეზირმა სცნო, რომ ყარამან სწუხდა, მოახსენა: ფალავანო, რას სწუხარ? თქვენსავე სახედ, თუ გნებავთ, ეხლავე შეგცვლითო. ამისივე მაჯუნი შეშფაიბარსაც შეაჭამა და იგიც ღრუბლის სახედ შესცვალა. რა ყარამანმა ესე შეშფაიბარიც ასე იხილა, უფრო უდიდესი მწუხარება მოემატა და უთხრა: ვეზირო, ეს რა გვიყავ!? დიდი ფიქრი მაქვს, რომ ამ სახედ არ დავრჩეო. მერე ამა ვეზირმა ამოიღო სხვა მაჯუნა და მისცა, მიაღებინა და საჩქაროდ თავისივე ფერზე მოიყვანა. და რა ესრეთ დაჯერებული შეიქნა, დიდი მადლობა უბრძანა. და აგრევე მეორედ იმა პირველის მაჯუნისა მიიღო და შავის ზანგის სახედ დაეყენა.

ამა ვეზირს დიდი მადლობა უბრძანა და გამობრუნდა და უშანგაბადს მივიდა. იქითხა ყოვლიბაშ შირქიანი და დასავლეთს თავის ქვეყანას წასულიყო. განრისხდა და უშანგაბადის სასახლესთან მივიდა და ერთი ასეთი დაიძახა, რომ იმა ციხე-ქალაქმა სულ რყევად შექნა. რა ესე ნარის ხმა გაიგონა ნარიმანმა, სწორედ თავისის მამის ხმა ეგონა. მივიდა და უთხრა: შენ ვინა ხარ, რა გინდა. და ან ეგვი ყვირილი რა არისო? საჩქაროდ გარდახე მაგა ცხენისაგან, ეგ შენი შესაფერი არ არისო! ესე უთხრა და გამობრუნდა და საჩქაროდ იარაღით შეიჭურვა და საომრად გამოეგება.

რა ყარამანმა ნარიმანის ესრეთ სიფიცხე მოიხილა და მის თვალში არად მიჩნევა, ესრეთ განრისხებულმა კიდევ უმაღლესად დაიძახა, რომ იგი ქალაქი შიშით ძრწოდა. და სარკიზურამანს თავისის შვილისა შეეშინდა, არა აუტეხოს რაო და ცხენსა შეჯდა. და იგიც გამოვიდა ათასის კაცითა, მოვიდა და მოედანსა დადგა. სარკიზურამანმა შეხედა და ვერ იცნა, მერმე კიდევ სრულებით ჩხრეკა და უწყო და ესრეთ თქვა: ესე ერთის უცხოს თემის ზანგი ვინმე არის, ახოვანება და სიჭაბუკე სულ ყარამანს უგავს, მაგრამ ამისთანა შავი ზანგი სხვაც ბევრი არ მინახავსო. იმის პირის მშვენიერება მზესავით გამოკრთის, მაგრამ ესეც დიდს გოლიათს ვისმე ჰგავსო და ამისგან დიდი გაფრთხილება გვმართებსო. ღმერთო, შენ იხსენ ჩემი შვილი ნარიმან ამისის ხელისგანაო.

მერე თავის შვილს უთხრა: შვილო ნარიმან, ესე დიახ ძლიერსა და უსწოროსა ფალავანსა ჰგავს. მე დამაცალე, ჯერ მე მივალ და იმის ძლიერებას გამოვსცდი და თუ რომ მომერიოს, მერე შენ იციო. დასტები დააწყო და ნარა გასწია და ყარამანს მიუხდა. და ესრეთ უთხრა: ზანგო, შენ ვითარ იკადრე, რომ ყარამანის სასახლესთან.

მოხველ და იმისი ციხე-ქალაქის აღება მოინდომე და ნარიმანისთანა ფალავანს ეომებიო?! ესლავე ჩამოხე, ცხენილამ ნარიმანთა მიგოყვან და შეგარიგებო და შენს დანაშაულს გაპატიებსო, თორემ ესლავე ორად გაგკვეთო.

რა ყარამანმა ესრეთ გაიგონა, დიდად გაიცინა და ჰკითხა: ფალავანო, შენ ვინა ხარ და ან რა გქვიანო? სარვიხურამანმა მიუგო: მე დარუ ჰინდი მქვია. მე ყარამანისა ერთი უმცირესი მონა და ყული ვარ, შენ რა გინდა აქ მოსვლითაო? რა თალაბი გაქვს, ან საილამ მოხვალ და ან სახელად რა გქვიანო? ყარამანმა მიუგო: მე სახელად ყეითარ ზანგი მქვია და ზანგისტანის ხელმწიფე ვარო. მე ზანგისტანში გავიგონე ყარამანის სახელი და ფალავნობა. იქილამ დავიწყე სიარული და ყარამანია-ქალაქში მივედი. და იქ ვნახე, რომ ყარამან სანადიროდ გამოსულიყო. სამი დღე და ღამე ვიბრძოლეთ და მეოთხე დღეს ყარამან ავიყვანე და მიწაზე დავეც და თავი მოვჭკვეთე და ახლა აქ მოველ, იმისი შვილი ნარიმანიც მინდა მოვკლა და თავი მოვსჭარო. იმას ერთი ცოლი ჰყოლია, სახელად სარვიხურამან თურმე ჰქვია. ის მინდა წავიყვანო და ჩემს ქვეყანაში მივიყვანო.

რა ესე მოისმინა სარვიხურამანმა, ერთი დიდი დაიყვირა და ცხენისაგან გარდმოვარდა და მიწასა ზედა დაეცა და საყულო გაიგლიჯა და უცნობო შეიქმნა. რა ყარამანმა ესრეთი საყვარული იხილა სარვიხურამანისაგან, რაც გულში სიყვარული ჰქონდა, ერთი-ათასად მოემატა. რა ნარიმანმა თავისი ღედა ძირს დაცემული დაინახა, ეწადა, რომ საომრად მიხდომოდა და ცხენიც მოიბრუნა. მაგრამ საჩქაროდ სარვიხურამან გონებას მოეგო, ცხენსა შეჯდა, მიუხდა და თავისი მძიმე გურზი შეუმაღლა თავსა დასაკრავად. ყარამანმა ხელი შეაშველა, გურზი ხელთა წაართვა და შორს გარდაადგო. ერთი ასეთი მუშტი დაჰკრა გულსა, რომ სარვიხურამანისთანა ფალავანი ძირს გარდმოვადგო ცხენისაგან და ცნობა მიეხადა. ყარამანს ეწადა, რომ ქამანლით ხელები შეეკრა.

რა ნარიმანმა თავისი ღედა გარდმოვადგებული იხილა, მუხლსა ხელი დაიკრა და საჩქაროდ მოედანსა ცხენი გამოიგდო და ყარამანსა საომრად მიუხდა და ასეთი შემოსძახა, რომ იმ არემ სულ ზანზარი დაიწყო. და თავისი პაპის ნაქონი გურზი შეუმაღლა. ყარამანმა ფარი იფარა და იმას იტაცინა და თავის გულში ქება შეასხა იმის ძალასა და შეშფაიბარსაც ასეთი ძალა დაადგა, რომ ექვსის ფეხით

კოქებადმდის მიწაში ჩაეფლა. რა ნარიმანმა შემოხედა, რომ ყარამანს არა ევნო რა, ასე განრისხდა, მეხივით ჭეხა დაიწყო. მოუხნდა კიდეც და ერთი მძიმე ლახტი დაჰკრა და ასე ეგონა, რომ თუმცა მთები დასცემოდა თავზედ. მესამეც კიდეც ჰკრა.

რა რიგი ყარამანს ერგო, ქეიომარს ხელმწიფის ნაქონი ლახტი შეუმალდა. ნარიმანმაც ფარი მიაშველა. ლახტი ფარსა მოხედა და ფარი შუა დალეწა, თავი მოარიდა, ბექსა მოხედა ესრეთ ძლიერად, რომ ცხვირიდამ და პირიდამ სისხლი წავარდა და უცნობო შეიქნა, მიწასა ზედა დაეცა. რა ესრეთ სარვიხურამანმა იხილა, ერთი დიდად ამოიოხრა და თავსა შემოიკრა და ერთობით თავის ჯარით მიუხნდა და დაუწყეს ყარამანს ბრძოლა, მაგრამ რა ექნა, ეს კი ვერ იმეტებდა სასიკვდილოდ. ყარამან რომელსაც ფალავანს შემოხედებოდა, აიყვანდა და მიწაზე გარდმოაგდებდა. მრავალნი რომ შემოეხვივნენ, ყარამან განრისხდა და შემოდგომის ფურცელსავით სულ ძირს ჩამოჰყარა და ერთისა მხრისაკენ წავიდა.

რა ნარიმან ცნობას მოეგო, უშანგაბადის ციხეში იყო. აქათ-იქით ფალავნები უხსდნენ, იკითხა, ეს რა დამმართნია, რომ მე ასრე შეწუხებული და შებნედილი ვარო? სარვიხურამანმა უთხრა: შვილო ნარიმან, იმ ზანგმა მე რომ ერთი მუშტით გარდმომავდო, შენც ერთი ლახტით ეგრე გაგხადაო. რა ნარიმანმა დედისაგან ესრეთ გაიგონა, ასე თქვა: ნეტავი იმა ფალავანს მოვეკალ და ცოცხალი არ გავეშვი. და თითონ ისევ მშვიდობით გაბრუნებულიყო!

სარვიხურამანმა უთხრა: ის ჯადო ყარამანი-ქალაქში მისულა, მამაშენი მოუკლავს. ახლა აქ მოვიდა და ჩვენ შეგვებაო. მე რომ ესე გავიგონე, შევბნდი და ცხენიდამ გარდმოვარდი. მე ხომ ერთის მუშტის დაკვრით გარდმომავდო და შენც ერთის ლახტითაო. თითონ დაიწყო სიარული და ერთის მხრისაკენ წავიდა. შვილო, ეს სახელი და უნამუსობა საუკუნოდ უნდა გაგვეყვეს, რომ ჩვენს ქვეყანაზედ უნამუსოდ დავრჩით: ერთი ზანგი მოვიდეს და მამიშენისთანა ფალავანი მოკლას, შენ ერთის ლახტით გარდმოგავდოს და თითონ უვნებლად წავიდესო. რა ესე მოისმინა ნარიმანმა თავის დედისაგან, თავ-ცემით ტირილი დაიწყო.

რა დილა გათენდა, ნახეს, იგი ზანგი მოვიდა და იმავე სასახლესთან დადგა, ნარა გასწია და ფალავანი გამოითხოვა. რა ნარიმანმა მისი ხმა გაიგონა, ამოიოხრა და სთქვა: ერთი ფალავანი არავინ არის, რომ ყარამანია-ქალაქს წავიდეს და მამიჩემის სიკვდილს

რომ ამბობს, სწორედ შეიტყოს და შეგვატყობინოს. ან ეს ვინ არის და ან საიღამ მოვა, ერთი საიღუმლო საქმე არის და ვერ შემიტყვიარ. ერთი ქამუზ სახელდებალი ფალავანი იყო მან მოახსენა: თუ მიბრძანებთ, მე წავალ. მაშინვე თავის მამას წიგნი მიწერა და იქაური ამბავი ყველა წვრილად მოახსენა და ქამუზ ინდი გაგზავნა.

შემდეგ თავის დედას უთხრა: დედაჩემო, მე და ამ ფალავანის საქმე როგორ იქნებაო? დედამ უთხრა: შვილო, ეს ზანგი მცირე კაცს არა ჰგავს. შენ ამას უფრთხილდი, თორემ ამის ხელით მოკვდებო. მერმე ნარიმანმა თქვა: ყველამ ღმერთს შემახსენეთ. მე გავალ იმასთან მოედანზე და რომელიც ღვთის ნება არის, ის აღსრულდესო. ესე თქვა და რაში გაიგდო. იმ დღეს მდგრად იბრძოლეს, ხან იარაღითა და ხან ისრითა მერმე მუშტი დაუშინეს ერთმანეთსა. რა საღამო ჟამი შეიქნა, ყარამანმა უთხრა: ნარიმან, შენ შინ შედი და მე აქ მოედანზედ ჩამოვხდები, დილაზედ გამოდი და ისევ შევიბათო. რა ნარიმანმა ესე გაიგონა, ცხენიღამ ჩამოხდა და ყარამანთან დაჯდა.

რა სარკიხურამანმა დინახა, შვილისაგან შეშინდა და თვითონაც იქ მივიდა და უთხრა: შვილო, შენ ადექ, შინ შემოდი და ეგ ზანგი ხვალაც მოვაო. ნარიმანმა უთხრა: შენ წაბრძანდი და ჩვენ ღვინის მეჯლისი და სუფრა გვიბოძე. ჩემს გულში როგორღაც სიყვარული მოდის ამ ზანგისაო. რა ესე გაიგონა, უბრძანა თავის შინაყმათა და ღვინო და საკმელები მოიღეს. თვითონ სარკიხურამან და სხვანი ფალავანები მოვიდნენ და იმათთან დასხდნენ. მერმე ნარიმანმა უთხრა: ზანგისტანის ფალავანო, რა იქნება, შესც მოხვიდე და ამ მეჯლისში ჩვენთან დასჯდე და ხვალ კიდევ შევიბათო. უარი არ უთხრა, მივიდა და ნარიმანთან დაჯდა და პურის ჰამა დაიწყეს.

რა სარკიხურამანმა იმისი ყოფაქცევა ნახა, ნარიმანს ინდოეთის ენით უთხრა: ამისი ყოფაქცევა, ჰამა და სმა სულ მამაშენისა არის, მაგრამ ეს შავია და ის თეთრ-წითელი კაცი არის და არ ვიცი, რა იქნებაო. ცხენიც შეშვთიბარს ჰგავს, მაგრამ ის ჰრელია და ეს ღრუბლისა ფერიაო. ამღამ არაფერი და დილაზე ვნახოთ, რა იქნებაო. რა სუფრა აიღეს, ნარიმანმა ჰკითხა: ფალავანო, შენ ამ ქვეყანას რად მოხველ და ან სადაური ხარ და ან რა გინდაო? იმ ზანგმა უთხრა: ნარიმან, მე ზანგისტანის ხელმწიფე ვარ. მე მნებავს, რომ ქვეყანაზედ სააბყარანობა დავიმტკიცო. მოველ ყარამანია-ქალაქს, ყა-

რამან მოვკალ და აწ სარვიხურამან მინდა წავიყვანო და სწორედ ცოლად მინდა შევიერთო.

რა ესე ნარიმანმა გაიგონა, ესრეთ განრისხდა, რომ მრისხანებით თვალთაგან ცრემლი მოედინა და ენება, რომე მუშტი შემოეკრა, მაგრამ სარვიხურამანმა დაუშალა. რაღა გრძლად მოგახსენოთ, იმჟამად თორმეტი დღე იბრძოლეს. დღისით იბრძოდნენ და ღამით ერთად შეექცეოდნენ. რა თორმეტი დღე შესრულდა, ყარამან განრისხდა. გურზი გააგდო, სარტყელსა ხელი ჩაავლო, ცხენიდამ გარდმოიღო, მოიტაცა და წაიყვანა. რაც ფალავანნი იყვნენ, ყველანი გამოუდგნენ, მაგრამ თვალითაც ვეღარ იხილეს.

რა ყარამანმა იგი ერთსა ბიაბან ალაგს მიიყვანა, მიწასა დასცა და ხელები შეუკრა. ნარიმანმა უთხრა: ზანგო, რადგანაც შენ ეს მიყავ, რომ მომერიე, ღმერთს გაფიცებო, მომკალო! მე ამ სიციოცხლეს საკვდილი მიჩვენიაო ამისთვის, რომ ახლა ქვეყანაზე ხმა დავარდება, ძლიერის ყარამანის შვილს ერთი ზანგი მოერიდა და ცოცხალი წაიყვანაო. ამას სიკვდილი სჯობსო! მერმე ამან უთხრა: ნარიმან, შენ მამაშენს კიდევ უკუუდგები და ან კიდევ აწყენინებ რასმეო? ვინც თავის მამის წინააღმდეგი იქნება, ასე უნდა იტანჯოსო.

რა ნარიმანმა ესრეთ მოისმინა, მაშინვე სცნა, რომ თავისი მამა ყარამანი იყო. წამოდგა და მაშინვე მუხლსა მოეხვია და თაყვანი სცა. არ ვიცოდით, ღმერთს მიუტევე ამდენი ჩემი დანაშაულიო, ცრემლით ვევედრა. რა ნარიმანისაგან ესრეთ იხილა, ყარამან მოეხვია და მკერდსა მიიყრდნო და მრავალჯერ აკოცა და უთხრა: ჰე, ნარიმან, მე ყარამან არა ვარ, მაგრამ იმისი ძმადნაფიცი ვარო. და სახელად ყეითარ ზანგი მქვიანო. გავიგონე, რომ შენ მამაშენი დიდად თურმე შეაწუხე. ამისთვის მოველ. ახლავე გაბრუნდი და უშანგაბადს მიდი დელაშენთან. თუ რომ კიდევ შეგიწუხებია ვინმე და ან სამართლით და ან უსამართლოდ კაცი მოგიკლავს, მოვალ და მაშინვე თავს მოგკვეთო! რა ნარიმანმა ესრეთ მოისმინა, ხვეწნითა და ვედრებითა უშანგაბადს დაჰპატიჟა, მობრძანდით, მაგრამ ყარამან არ ეწვია. ესე უთხრა: მე თქვენს ლოცვაში ნუ დამივიწყებთ, ჩემს ალაგს მინდა წაეიდეთ. შეშფაიბარს შეჯდა, ქუსლი ჰკრა და დასავლეთისაკენ წავიდა.

იმჟამად ნარიმან რომ გამობრუნდა, მოვიდა და თავის დედას სარვიხურამანს ყველა წვრილად უამბო თავის თავის გარდასავალი.



რა სარვიხურამანმა ესე გაიგონა, დიდად გარცდა და უთხრა: შეილო, ეს რაღაც ამბავი არის, რომელ ქამუზ ინდიც მოვიდა და ყარამანის ამბავიც მოიტანა: კარგა ხანია იმ ქალაქილამ უჩინო ქმნილა და აღარსადა ჩანსო. რა ესე ამბავი გაიგონეს, დიდად შეწუხდნენ. მაგრამ ნარიმან ამას ამბობდა, იგი ზანგი უთუოდ მამაჩემი იყო, მაგრამ ეს მიკვირს, ისრე როგორ გამოიცვალა ის თავისი მშვენიერი ფერიო. მერე სხვათა მრავალთა ჰქონდათ ამაზე ცილობა, მაგრამ ვერა რომელი ამტკიცებდა და ნარიმანს ეს მწუხარება არ ასვენებდა, რომ რად ვინმე მომერიო.

### აქა ნარიმანის გაპარვა და მალვით წასვლა მარტოდ

ერთს ლამეს ნარიმანი გაიპარა მარტო, თავის დედას არ შეატყობინა და არც სხვათა. თავის ოცდაათის იარაღით შეიჭურვა. და ყარამანის ერთი ცხენი იყო, რომელსაც სახელად შაბრანგ ბადთაე ერქვა. სისწრაფით დილის ნიავს ესწორებოდა. ყარამანისა დიახ საყვარელი რამ იყო, იმაზე შეჯდა და რამდენიმე ჯავაირი აიღო და ქალაქილამ კარს გამოვიდა და ერთის მხრისაკენ წავიდა უგზოდა, რომ არ იცოდა, რომლის მხრისაკენ მიდიოდა. უშანგაბადადან რომ წავიდა, მრავალი მთა და ბარი გაიარა და ერთსა წყაროსა პირსა ჩამოხდა, მიწვა და მიიძინა. რა ცხენმა ნარიმან მძინარე დაიგულა, მივიდა და იმ ლამეს თავს დაადგა ქეშიკად.

რა ნარიმან იმ ლამეს შინ აღარ მივიდა, შეექნა დიდი მწუხარება და შესბდნენ ყოველნი იქ მყოფნი ცხენსა და საძებრად გამოვიდნენ. ჩვიდმეტი დღე ძებნეს. მაგრამ ვერა გაიგეს რა. რა მოვიდნენ, სარვიხურამანს მოახსენეს იმის უპოვარობის ამბავი. რა ესე გაიგონა, დიდად შესწუხდა ამის მიზეზით უფრო, რომ ყარამანისა სწორედ დაჯერებული არ იყო და არ იცოდა სიცოცხლე და არც სიკვდილი. ამაზე კიდევ ეს დაერთო და დიდს მწუხარებას ჩავარდა.

რა დილა გათენდა, ნარიმან ზე ადგა, ღმერთს მადლობა შესწირა და ნახა, რომ საცა ის იყო, იმ ალაგს ერთი ქარავანი მოვიდა და ჩამოხდა. თურმე ეს ალაგი ყოვლის ქარავანის ნავთსაყუდელი იყო. იმ ქარავანის კაცთა იხილეს, ერთი უცხო რაში სძოვს. მერე ამ წყაროსთან ნახეს, რომ ერთი უცხო მშვენიერი ყმაწვილი კაცი დგას.

რა ახლოს მივიდნენ და გასინჯეს, სრულებით ყარამანს მიამსგავსეს. თავით ფეხამდის სულ ჯავაირში ჩამჯდარიყო და თავს ასეთი ქოლგა ედგა, რომ მის ბრწყინვალეობას კაცი თვალს ვერ გაუმბართავდა. შვიდი ალმასის ხანჯლები სულ წელთა შეება, რომ მის უკეთესს კაცი თვალთ ველარას იხილავდა. ერთი დიდი სვეტისოდენი შუბი წინ დაერქო და ერთი დიდის კალოსოდენი ფარი მხარ-ილლივ ეკიდა. და იმ მრისხანეს ყარამანისებრ თვალეებით აქეთ-იქით მიმოიხედვიდა. ერთი ასეთი ყოფაქცევით იდგა, რომ მრავალი კაცი შეშინდებოდა.

ამ ქარავნის კაცთ მტერი ეგონათ და ვერა რომელმან გაბედა იმასთან მისვლა. იმ ქარავნის უფროსს მექრან ხოჯა ერქვა. დიახ დიდი მდიდარი კაცი იყო ესრედ, რომე შვიდს იყლიმში პირველი ბეზირგანი კაცი ის იყო. ამ შვიდის იყლიმის ხელმწიფეები თავის სიმდიდრით ასე მოეგო, რომ იმდენს ხელმწიფეებში ყველგან პატივი ედვა. ორასი ფალავანი თავის შინაყმით ახლდა. და თითონ ერთი მოხუცებული კაცი იყო, მაგრამ დიდი მეცნიერი რამ იყო.

შეიყარნენ ამა ქარავნისა სოვდაგრები და ხოჯა მექრანს მოახსენეს ნარიმანის ამბავი. რა ესრეთ ხოჯა მექრანმა მოისმინა, მათ უთხრა: ეგე უბრალო კაცი ნუ გგონიათ, მაგას დიდად გაუფრთხილდით, რომ არ შესცოდოთ რა, თორემ სულ აღგაოხრებდით და ველარავინ ცოცხალი წაუხვალთო. ყველანი ამას დაემორჩილნენ და ჩამოხდნენ და ერთობით ნარიმანს სალამში იახლენ. რა რა ნარიმანმა ისინი დაინახა. ამანაც თავაზა მიიღო, სალამი ჩამოართვა. ხოჯა მექრანი მოიყვანეს და მას ხელსა აკოცა.

რა თვალი შეავლო ხოჯამ. ნარიმან დიდად მოეწონა და მოახსენა: ფალავანო, ესე მოქარავენნი დიდად შეშინდნენ თქვენგანო. და ორს მანძილზე წყალი არის და თუ თქვენი ნება იქნება, უბრძანეთ, რომ აქ ჩამოხდნენ და ამა წყალისაგან ნუგეში იცან და თქვენი დღე ილოცონო. ნარიმანმა უთხრა: რა იქნება, დიახ მოვიდნენ. მეცა გუშინ მოველ, ჩემგან არავისი წყენა არ შეიძლებაო! მოვიდნენ იგი მოქარავენნი და იქ ჩამოხდნენ და იმ ღამეს ხოჯა მექრანმა ნარიმან დაჰპატიჟა.

იმ ღამეს კარგად დაუხვდა და რა მეჯლისი გაიმართა, ხოჯამ მოახსენა: უწარჩინებულესო გოლიათო და ქვეყანაზე სწორუპოვარო ფალავანო! ამა სიტყვისათვის ნუკი გამიწყურებით და ეს მიბრძანეთ, რომ თქვენ ვინა ბრძანდებით და ან აქ რისთვის მოსულხართო?

მერე ნარიმანმა უთხრა: მე ერთის კაის მეომარის კაცის შვილი ვარ, სახელად სარაფრაზ სარაშურ მქვია, მამაჩემს მურსალეი თარასუ- არს ეძახიანო. რომლისამე მიზეზით მამაჩემს შემოვსწყყერ და ერთის მხრისაკენ წამოველ და ინდოეთის ქვეყანაში რომ მოველ, ყარამანის ქება და სახელი გავიგონე და მწადდა, რომ მიესულეყავ და ყარამანისაგან სამამაკო ზნეობა რამე მესწავლა. მაგრამ ყარამანი იქ აღარ დამხვდა. და რამდენიმე ყარამანის ფალავნები დამხვდნენ და იმათ ყველაზე მეტობა ვქენ და მოვერიე. მერემ ყარამანის შვილი ნარიმან ვიკითხე და იმისაც მითხრეს, რომ ნადირობაში დაიკარგა და უჩინო შეიქნაო, მერე შევწუხდი და ერთის მხრისაკენ წამოვედი და გზამ აქ მომიყვანაო.

რა ესე გაიგონა, ხოჯა მეპრანმა მოახსენა: ფალავანო, ჩვენ ახლა ქაბულისაკენ მივალთ და თუ რომ ჩვენთან წამოხვალთ, უცხოთა- მამას ნახავთო. ნამეტნავად კიდევ ის, რომ ქაბულის ხელმწიფე დიახ მაღალი ხელმწიფე და უცხო ფალავანია, მაგრამ ყარამანის მონების ქვეშ არის და ნიადავ წელს ხარაჯას აძლევსო. ქაბულის ხელმწიფეს სახელად არჯასპი ჰქვია. იმ ხელმწიფეს ერთი ასეთი ქალი ჰყავს. რომ ვინც იმას იხილავს, უცნობო შეიქნებაო. იმ ქალის ემუხედა მრავალი ფალავანი და სარდალი ამოწყვეტილა, რომ იმ ქალის სახე ვერ უნახავთ. იმ ქალს სახელად უსნიარა ჰქვიაო.

იმ ქალს წელიწადში ერთი დღე განუწესებია. იმ დღეს გამას- პინძლდება და მთელს ქვეყანას შეჰყრის. თითონ შეიკაზმება, გამო- ვა და ფალავანს გამოითხოვს, რომელიც ფალავანი მე ჩამომადგებს. იმას შევირთავო. რამდენიმე ხელმწიფე და რამდენიმე სარდალ-ფა- ლავანნი ამას გააშიკებია, მოსულან და იმისი ხელისაგან ძლეულან. ზოგნი დახოცილან და ზოგნი სირცხვილეულნი ჰქმნილან, მაგრამ იმისათვის ომი ვერავის გაუსწორებიაო. ეგების ყარამანმა აჯობოს, თორემ სხვისგან არ შეიძლებაო. ხოჯა მეპრანმა ესოდენი ქება თქვა ამა ქალისა, რომ ნარიმან უნახავად აშიკი შეიქნა.

ნარიმანმა რა ესე სიტყვები მოისმინა, მკირე ხანს დაფიქრდა და უთხრა: ხოჯა მეპრანო, ჩემის გულის წადილი სიარული და ომი არისო. რადგან აქ დავესწარ და თქვენთან პური ვჭამე, რა იქნება, მეც თქვენთან წამოვიდე და იმ ქალის საქმე მეც მაჩვენეთო. ხოჯამ უთხრა: ჩემო გულის სიცოცხლეც სარაფრაზ! შენში დიახ მრავალი გოლიათობის ნიშანი ჩანს, და რადგანაც ეგე სიტყვა სთქვი, მე ერთი უშვილო კაცი ვარო და დღეის იქით შვილიც შენ იქნები და

ძმაცაო. მე დიად მრავალი საქონელი მაქვს. ის საქონელიც შენი იქნება და ჩემი ცხოვრებაცაო! მე ეხლა წაგიყვან შენ და არჯასპ ხელმწიფე მე დიდად მწყალობს და იქნება ღმერთმან და ბედმან იმისი ქალი შენ მოგცესო.

რა ნარიმანმა ამა ხოჯასაგან ესე სიტყვები გაიგონა, წამოდგა, მივიდა და ხოჯა მეჰრანს ხელსა აკოცა. იგიც მოეხვია. იმ დღეს დიახ უცხო მეჯლისი გადაიხადეს. მეორე დღეს აიყარნენ და ქაბულისაკენ წავიდნენ. მაგრამ მიმავლობაში იმ მოქარავენთ ნარიმანს სულ იმ ქალის ამბავს იკითხევდა და იმის გონებაში იყო და ვითარებაში. ის მექარავენითა სულ ამა ქალის ქებას მიელაპარაკებოდნენ. სამი დღე ასე იარეს და ერთის მთის ძირასა ჩამოხდნენ. ნარიმანმა ჰკითხა: ხოჯა მეჰრანო, ჯერ ქაბულის სახელმწიფოში არ შევსულვართო? მან მოახსენა: ამას იკით სულ იმის მამული არისო.

რა დილა გათენდა, მოემზადნენ და ქაბულის ქალაქში შევიდნენ. რა ნარიმანმა იგი ქალაქი ნახა, დიდად მოეწონა. რა თვალი მოაელო იმ ციხის და ქალაქის გარშემო, ესოდენი ლაშქარი იდგა, რომ თვალი არ გარდასწვდებოდა და იმათი ხმა ორსა და სამსა ალაჯზედ ისმოდა. რა ნარიმანმა იმა ქალაქის მდებარეობა გასინჯა, დიდად მოეწონა. ერთი გვერდი მთისკენ მიეყრდნა და წინ დიდი მინდორი ჰქონდა. და კიდევ გალავანს უკან დიდი მდინარე ჩამოუდიოდა, ამასთან მრავალი უცხოდ ნაშენი ბაღი და ხეხილი, უცხოს ხმის მთქმელნი მრავალნი მფრინველნი. ამასთანავე ნახა, რომ ციხიდან მრავალი ჯარი გამოდიოდა. მინდორზე ერთს ალაგს დგებოდნენ.

რა ნარიმანმა ესე დაინახა, იკითხა: ეს ჯარი ამ ციხიდან რად გამოდის და ან სამტეროდ სად მიდისო? ხოჯამ მოახსენა: მე რომ ქაბულის ქალაქს მოგახსენებდი, ეს ის არისო. ეს ყრილობა ამისათვის არის, რომ დღეს ის ქალი გამოვა და იფალავნებს. შენ უფროთხილდი, რომ ეს ქალი დიად ძლიერი ფალავანი არისო. მერმე ნარიმანმა უთხრა: ხოჯა მეჰრანო, შენ ღმერთს მახვეწე, მე უთუოდ იმის მოედანზედ ეხლავე გავალ და იმის ომს მე გაჩვენებ და ამდენს ხელმწიფის შვილებს, ამდენს სარდლებს და ფალავნებს ყველას იმისი ხელისაგან მე დაეიხსნისო. საჩქაროდ გავიდა და სადაც იგი ლაშქარი იდგა, იქ ჩამოხდა.

იმ ღამეს ამ ვაჰართაც იქ ერთად განისვენეს და რა დილა გათენდა, ხოჯა მეჰრანმა და ეგრეთვე ერთობით სხვათაც ხელმწიფისათვის ფეშქაშები მოამზადეს მისართმევლად. ხოჯამ უთხრა ნარიმანს: ჩვენ ხელმწიფეს უნდა ვიახლნეთ, ვნახოთ და შენც წამოხვალ

თუ არაო? ამან უთხრა: დიახ წამოვალ, მაგრამ იქ რომ მიკითხონ, შენს შვილად უნდა გამომაცხადო. ხოჯა მეპრანმა უთხრა: სარაფრაზ, ეგე ხომ განა ახალი ამბავია? სულ ქვეყანამ იცის, რომ შენ ჩემი შვილი ხარო. რა საკვირველია, რომ იქაც ჩემს შვილად გამოგაცხადებ, მაგრამ მგონია, რომ ის ქალიც შენი ნასიბი არისო.

ნარიმან ზე ადგა და საქარავნო ტანისამოსი გაიხადა და დიახ უცხოს ტანისამოსით მოირთო, იარაღით შეიჭურვა და ერთობით ხელმწიფის სალამში მივიდნენ. იმ დღეს ხელმწიფეს მეჯლისი ჰქონდა და დიახ მრავალი უცხოს ქვეყნის ხელმწიფის შვილები, სარდალ-სპასალარნი და ეგრეთვე ურიცხვი ფალავანნი იმ დღეს იქ ახლდნენ და იმ ქალის დავასა სწევდნენ. შვიდს იყლიშა ვინც ჩინებულნი ფალავანნი და სარდალნი შეყრილიყვნენ, სულ იმ ქალის ეშუზე მოსულიყვნენ და იმ ქალის ბრძოლაზედ ბაასობდნენ. მერე ხელმწიფემ უბრძანა ამათ ერთობით: ექვსი დღე ლხინსა და სმაში განისვენეთ და მეშვიდეს დღესა ჩემს ქალს უნდა შეებათო.

ამეამად ხოჯა მეპრან მოვიდა და ხელმწიფეს სალამში იახლა და ეგრეთვე ნარიმანიც თან მიიყლა და დიახ საუცხოვო ძვირფასი ფეშქაშები მოართვა. ნარიმანმა თავი დაუყრა ხელმწიფესა და თვალი მოავლო. ნახა, ოცდაოთხსვეტიანი უცხო კარავი იდგა, სამუელ კარვისა ერთი უცხო ტახტი იდგა და მასზედა არჯასპ ხელმწიფე ბრძანდებოდა, სამოცის წყრათის მქონებელი, უცხოდ სახელმწიფოდ მორთული და უცხოდ თვალად-ტანადი. რა ნარიმანმა იგი იხილა, დიდად მოეწონა იმისი ისე ფალავნური მოყვანილობა და სახე. ხელმწიფეს მარჯვნივ სამოცდაათი ფალავანი ისხდნენ, ეგრეთვე მარცხენას მხარესაც სამოცდაათი სკამი იდგა და სამოცდაათი ფალავანი ისხდნენ. ესრეთ მხნე ფალავანნი იყვნენ, რომ მნახველთ კაცთა შეზარებდნენ. იმ ტახტს გარშემო ოცდაოთხი მოხუცებული ვეზირნი უსხდნენ.

რა ნარიმანმა ესრეთ გასინჯა, დიდად მოეწონა. ამეამად ხოჯა მეპრანის მოქარავნენი, ნარიმან და სხვანი შევიდნენ და ხელმწიფეს თავი დაუყრეს, ხელსა აკოცეს: იქ მსხდომთა დიდებულთა და ფალავანთა რა ნარიმან დაინახეს, ესრეთი მრისხანე ფალავნური სახე ჰქონდა, რომ ყველანი სულ იმისის სახისაგან შეშინდნენ. გარდაიარა ნარიმანმა და თავის ალაგს დასჯდა. მაგრამ ფალავანთა რა ნარიმან იხილეს, სულ იმას უყურებდნენ და თვალი არ მოაშორეს, იმეამად ნარიმან სამოცდაოთხთმეტის მწყართის სიმაღლისა მქონებე-

ლი იყო. და ესრეთ უცხოდ მორთული იყო, რომ მკვრეტელნი მის ყურებას ვერ უძლებდნენ. და თითონაც ახალ უღვაშაშლილი იყო და ესრეთ შეენოდა, რომ მისი შეენება მზის ბრწყინვალებასავით კრთებოდა.

იქ მსხდომთ ფალავანთა რა ნარიმან ესრეთ იხილეს, დიდად გაოცდნენ და ერთი მეორეს მიუთხრობდნენ, ესე ფალავანი ვინ უნდა იყოს? რა ხელმწიფემ ნარიმან დაინახა, ხოჯა მეჰრანს ჰკითხა: ესე ყმაწვილი ფალავანი ვინ არის და ანუ საიდამ მოგიყვანიაო? ამას წინათ რამდენჯერაც მოსულხარ, შენ ეს არ მოგიყოლიაო. ხოჯა მეჰრანმა მოახსენა: ჩემი შვილი გახლავსთ, ყმაწვილი კაცი გახლდათ და ფალავნობის სასწაელებლად და თავისის თავის გამოცხადებლად წავიდა და ათი წელიწადი სხვაგან იყო. რა მე ასე ამის ნახვისათვის ნატრული შევიქენ, ახლა მოვიდა და თქვენის სიმალისათვის საჩვენებლად თან წამოგიყვანე. მინდა რომ სანამ ცოცხალი იყოს, თქვენ გახლდესთ და არ მოიშოროთო და თქვენს ფალავნებში ესეც აღირიცხოს. ამას გვედრებით და ეს წყალობაც მოიღეთ, რომ ეხლა ერთი სკამი იმასაც ებოძოს, რომ თქვენის უმაღლესობის პირდაპირი ყურება ეღირსოსო.

რა ხელმწიფემ ესე მოისმინა, დიდად იამა და ნარიმანის სკამის ალაგი მარჯვნივ ფალავნებში განუწერა. იმ მხარეს სამოცდაათი ფალავანი იჯდა. ასეთი უკანასკნელი ფალავანი არ იყო, რომ სამოცდაათის და ოთხმოცის მწყართის მქონებელნი არ ყოფილიყვნენ. ხელმწიფის პირველი ფალავანის აჟად ქაბულსა და ექვსთ კაცთ ქვემოთ მოიტანეს ერთი სკამი და დადგეს. შირაჟიან ფალავანს ქვევით და დარაბი ქაბული ფალავანს ზევით, — იქ დასვეს. სუფრა მოიღეს და შეექნენ. ახლა ღვინის მეჯლისი გაიმართა და სმასა და ლხინში შევიდნენ. მერე ბრძანა და ხოჯა მეჰრანს და ეგრეთვე სხვათა ხალათები უბოძა. ხოჯა მეჰრანს უბრძანა: დიახ უცხოს დროს მოხველ, რომ ხვალ უცხო თამაშას ნახავ და ვნახოთ, ამა ფალავნების ძლიერება ხვალ გამოცხადდებოა. მაგრამ ამ შენს შვილს სად უსწავლია ფალავნობა და ან სად გამოცდილაო?

ხოჯა მეჰრანმა მოახსენა: ხელმწიფემ, დიახ მრავალს ალაგს გხლებიათ და მრავალს ომშიაც გამოცდილა, მაგრამ ინდოეთისაკენ წასულიყო, რომ ყარამანისათვის ეომა, ყარამან იქ არ დახვედროდა და ვინცა ვინ ყარამანის ფალავნები ყოფილიყვნენ, ყველას მორეოდა, ამისი საწადელი ეს ყოფილა, რომ ასეთი ფალავანი შეჰყროდა,

ამისათვის ომი გაესწორებინათ. ამისი საწადელი ყარამან და ნარი-  
მან ყოფილა, მაგრამ ისინი ვერ უნახავს და სხვანი ფალავენები კი  
თვალში არავინ მოსდისო. მაგრამ ამ თქვენმა ფალავენებმა ეგებნის  
ომი გაუსწორონ და აჯობონო.

ხოჯა მეპრანმა რა ესე ასე მოახსენა, სწორე გამსინჯველობით  
გასინჯა ნარიმან ხელმწიფემა და ბრძანა: რაც სახე აქვს, თუ იმა  
სახეს ფალავენობა ექნება, ვერც ჩვენი ფალავენები მოერევიან და  
ვერც სხვას თემისაო. ხოჯა მეპრანო, ვნახოთ, ხვალ გამოჩნდება  
ამისი ფალავენობაო. ამ სიტყვის თქმაზედ დარაბ ფალავენი მოვიდა  
და ხელმწიფეს თავი დაუყრა და თავის სკამზედ დასაჯდომად მი-  
ვიდა. ნახა, რომ თავის სკამს ზევიდამ ერთი სკამი დაუდგამთ და  
ერთი ყმაწვილი კაცი დაუსვამთ.

რა ესრეთ იხილა, დადად ითჳკილა. გამობრუნდა და ხელმწიფეს  
მოახსენა: ხელმწიფეო, თქვენი განწესება ეს იყო — ყველა ფალავენს  
თავის სიმხნით ნაშოვნი ალაგი და პატივი აქვსო. ის განწესება მოშა-  
ლეთ და ახლა სხვა ვანგეწესებიაო?! შირსიბ ინდი რომ მეტის საქმი-  
სათვის ჩემზე გარდაატარეთ და ზევით დამისვით, მაგიერი, ვეკობ,  
კი მივაგე. ახლა ეს ვილაც მოთრეულა, ამისი რა ნახეთ, რომ თავს  
დამისვითო? ერთი და ორი რომელიც უკანასკნელი ფალავენი იყო,  
განა ისინი ვერ გასცემდნენ პასუხს, რომ აქ არ მოგეყვანათ და არ  
დაგესვათო?

ხელმწიფემ უბრძანა: ფალავენო, უცხო ქვეყნის კაცი არის  
და უცხო ქვეყნიდამ მოსული და ხოჯა მეპრანის შვილი და ჩე-  
მის სიყვარულისათვის რა იქნება, ყველამ პატივი სცეთო?! რა დარაბ  
ქაბულმა ესე მოისმინა, მოახსენა: ხელმწიფეო, შენის თავის მზემა  
და ჩემის გურზის მადლმა, რომ ამას არ დაესთმობ! მე ერთს ყმაწ-  
ვილს ქვევით არ დავჯდები. წყალობას ვითხოვ, დასტური მიბოძეთ,  
ივად მოვეპყრა და ჩემს ალაგს მევე დავსჯდებიო. და მასუკან მე მა-  
გის ფალავენობას გამოვსციდი და რადგან მაჯობებს, მერე ჩემს ზევით  
დასჯდესო. სხვამ ფალავენებმაც ყველამ აქეთ-იქით თაქილობა შექ-  
ნეს და ხელმწიფეს მოახსენეს ყვედრება.

შემდეგ ხელმწიფემ ბრძანა: თქვენ იცით, როგორც გინდოდეთ,  
ისე ჰქენითო! არა სწადდა ხელმწიფეს ნების მიცემა, მაგრამ არ  
მოეშვნენ. ხელმწიფემ ბრძანა: თქვე უმსგავსონო, ხომ არ დამიჯე-  
რეთ, და ახლა კი ეგ გიჩვენებთ თავის ძალასა და ფალავენობასაო.  
რა ხელმწიფემ ესე ბრძანება დაასრულა, დარაბ ფალავენს აქეთ-

იქით თვალი უყვეს და ამანაც ნარიმანის მუშტის შემოკვერა მოინდომა. რა ხოჯა მექრანმა ესე იხილა, დიდად შეწუხდა იქ მისვლისათვის, წამოდგა და ხელმწიფეს მუხლთა მოეხვია და შეეხვეწა: წყალობას ვითხოვ; ჩემი შვილი ისევ მიბოძეთ, რომ უკანვე წავიყვანო. ხელმწიფემ უბრძანა: ხოჯა მექრანო, ეს შენ არა გგავს. შენისთანას სახის კაცს ამისთანა გულოვანი ფალავანი სად ეყოლებათ?! ეს დიახ დიდად მიკვირს და ამას ვფიქრობ, რომ ეს სულ ყველას მოერიოს ამისთვის, რომ აქ მსხდომნი ფალავანნი არც ერთი თვალში არ მოსდის, ცოტას ხანს მოითმინე და ვნახოთ, რას იქსო.

რა ეს ბრძანება ხოჯა მექრანმა მოისმინა, ღმერთსა ავედრა და ყურება დაუწყო. ამჟამად დარაბი ფალავანმა უთხრა ნარიმანს: შენ უმსგავსო, ეს ალაგი მამაცობის ალაგი არის, შენ ვინა და აქ ჯდომა ვინაო?! გაჯავრებულმა მაჯას ხელი ჩაავლო და უნდოდა, რომ იმა ალაგიდამ გადმოეგდო. ნარიმანის ამბავი წინათაც ხომ მოგახსენეთ, რომ მეტად უწყალო და მრისხანე ფალავანი იყო. და იმჟამად კიდევ უფრო ასრე განრისხდა, რომ პირის სახე ცეცხლსავით ეღვარებდა. ამა ფალავანმა დარაბმა რომ ხელი მოჰკიდა და იქიდან განდევნას უპირებდა, ნარიმანც დიდად განრისხდა და ერთი ასეთი სილა შემოჰკრა პირში, რომ სულ მთლად კბილები ჩააყრევინა და პირიდან და ცხვირიდან ღვარსავით სისხლი სდიოდა. და ამა შემოკვერაზე მაშინვე რამდენჯერმე გადატრიალდა, დაეცა და უცნობო შეიქნა.

რა ასრეთ საქმე მოიხილეს. აქ მსხდომნი ფალავანნი ყველანი ერთობით წამოდგნენ და ნარიმანს მიუხდნენ. ნარიმანცა სონდულსავით თავისის სკამიდან წამოფრინდა და იმა ფალავნებსა შუა შეიკრა და რომელსაცა მუშტი შემოჰკრის, მსწრაფლივ მიწასა ზედა დასცის. რა რომ მუშტის ცემით ვერა დააკლეს რა, ასორმოცმა ფალავანმა ერთობით ხანჯლებით შემოუტყივეს. რა ნარიმანმა ესრეთ იხილა, თავის მამის მსგავსად ნარა გასწია და ერთი ასეთი დაიყვირა, რომ ყველანი უცნობო შეიქნენ და მრავალთ ხანჯლები ხელიდამ გასცივდათ. განრისხებულმან ოცდათორმეტს ფალავანს თითო მუშტი ისეთი შემოჰკრა, რომ ვეღარც ერთი ცოცხალი ვერ გადაურჩა.

რა პირველმა ფალავანმა აქადი ქაბულმა ესე ნახა, რომ ამდენი ფალავანი სულ მუშტით ამოწყვიტა, განრისხდა და ხანჯალი ამოიღო და ნარიმანს შემოუტია. ქაბულ ფალავანი ნარიმანის ნარისავან.



უცნობი შექნილიყო. რა გონებას მოეგო, ნახა, რომ მეჯლიში მოშლილიყო და იმდენი ფალავანი დახოცილი ეყარნენ. შემდეგ ხელმწიფეც ცნობას მოვიდა, ნახა, რომ აქადი ქაბულს ხანჯალი ამოუღია და ნარიმანისათვის შემოუტევია და სხვანნი ფალავანნი ხანჯალ ხელმოკრული დგანან და უყურებენ და ვერ გაუბედავთ მის სიახლოვეს მისეკლას.

რა ხელმწიფემ ესე საქმე ესრეთ იხილა, დიდად შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა? კვალად ქება დაუწყო ნარიმანსა და თავის ფალავნებს ნიშნს უგებდა, ზე ადგა და ყურება დაუწყო. აქადი ქაბულმა რომ ხანჯალი შეუმაღლა, ნარიმანმა მარცხენა ხელით მაჯაში შესტაცა და მარჯვენეს ხელით ერთი ასეთი მუშტი დაჰკრა მკერდსა, რომ ის უპირველესი ფალავანი მაშინვე უცნობი შეიქნა, რამდენჯერმე ყირამალა გადატრიალდა და მიწასა ზედა დაეცა. ნარიმანს მეტის მრისხანებისაგან ეწადა, რომ თავი მოეკეთათ.

რა ხოჯა მეჭრანმა ესე იხილა, მივიდა და ნარიმანს მუხლსა მოეხვია და შეეხვეწა: შვილო, ხელმწიფის პირველი ფალავანი ეგ არის და ხელმწიფის ტახტს აპატიე, ნუ მოჰკლავ ღვთის გულისათვისო. რა ნარიმანმა ხოჯა მეჭრანისაგან ესრეთი ვედრება მოისმინა, ხელი აიღო და მივიდა და თავის ალავს დაჯდა. ხელმწიფემ ნახა, რომ ნარიმანს ესრეთ უძგერს გული, იმის გულის ძგერის ხმა ერთსა ფარსანგს გაიგონებოდა და ესეთი მრისხანე სახე ჰქონდა, რომ მის წინააღმდეგი მის ყურებას ვერ გაუძლებდა. რა ხელმწიფემ იმის სახეს ყურება დაუწყო, ხელმწიფე დიახ მეცნიერი კაცი იყო, იფიქრა და თქვა: ეს დიდის კაცის შვილსა ჰგავსო. ასორმოცდაათი ჩინებული ფალავანი სულ მუშტით ამოწყვიტა, ეს ხოჯა მეჭრანის შვილი როგორ უნდა იყოსო?

იმ ღამეს ნარიმანს შვიდი ხელი ხალათი უბოძა, თავსა თავი დაჰხურა და საფალავნო მძიმე მურასა ქამარი უბოძა და ფალავნების უპირველეს სკამს დასვა. ნარიმანმა უარი მოახსენა თავს ჯღომისა, მაგრამ ხელმწიფე არ მოეშვა, მივიდა, ხელი მოჰკიდა, მიიყვანა და უპირველეს სკამზე დასვა. იმქამად რომელიმე ფალავანი ნარიმანისაგან შეშინებულნი იყვნენ. რა გონებას მოეგნენ, ნახეს, რომ ნარიმან ფალავნობის უპირატეს სკამსა ზის და ხელმწიფეცა საყვარლად ემუხსაიფებდა. ზე ადგნენ და შიშით და კრძალვით მივიდნენ და ნარიმანს ხელსა აკოცეს. გაბრუნდნენ და თავ-თავის ალავას დასხდნენ. ნარიმანის ფალავნობას აქებდნენ.

აქადი ქაბული რა გონებას მოეგო, ნახა, რომ ამის ალაგს ნარი-  
მან იჯდა. სიტყვის თქმას ლამობდა, მაგრამ შიშით ველარ გაბედა.  
მოუტანეს სკამი და ნარიმანს ქვევით დადგეს. ქვემოთ ჯდომა დი-  
დად ეთაკილებოდა, მაგრამ ჯაბანი შეიქნა. ადგა და ნარიმანს ხელს  
აკოცა და შეურვიდა. დარაბ ფალავანი პირველად რომ ნარიმანს  
წაეკიდა. მობრუნდა, მაგრამ ასე დასუსტდა, რომ იქ ჯდომის თავი  
ალარა ჰქონდა. ასწივეს ფალავნებმა და წაიყვანეს თავის სახლში.  
ხელმწიფე დიდად გამხიარულდა და მეჯლიში გაიმართა.

მერე ნარიმანს უთხრა: ფალავანო, ერთი სიტყვა მაქვს შენთან  
საკითხავი და წყალობას ვითხოვ, რომ მიბრძანო! მერმე ნარიმანმა  
მოახსენა: მიბრძანეთ და რაც ვიცი, ყველას მოგახსენებო. ხელმწი-  
ფემ ჰკითხა ნარიმანს: ვინა ხარ და ან ვისი შვილი ხარ? საბაოთ  
ღმერთს გაფიცებ, სწორედ მითხარ, ვინა ხარო? მერე ნარიმანმა ც-  
ალარ დაუმალა და თავისი ამბავი ყველა წვრილად უამბო. იქ  
მსხდომ ფალავანთ ყველამ მოისმინეს. შემდეგ ერთობით წარმოდ-  
გნენ და ბოდიში მოითხოვეს და ყველამ ხელს აკოცა. ხელმწიფეც  
დიდად გამხიარულდა და თავის გულში თქვა: რადგან ეს საბაყი-  
რანის შვილი ასე ხელთ ვიგდე, უთუოდ ჩემს ქალს ამას მივსცემო.

ხელმწიფის ქალს უსწიარასაც გაეგონა, რომ ხოჯა მეჰრანის  
შვილი გამოჩენილა და სახელად სარათრაზ ჰქვიანო, მოსულა და მა-  
მიშენის ფალავნები სულ მუშტით დაუხოციაო. რა ამა ქალმა ესე  
მოისმინა, დიდად შეშინდა. ცოტას ხანს უკან მოვიდნენ და მოახსე-  
ნეს: ქვეყნის მნათობო ბანოვანო, ის ხოჯა მეჰრანის შვილი არა ყო-  
ფილა, ყარამან ყათილის შვილი ნარიმან ყოფილაო. სახელი შეუცუ-  
ლია და ბეზირგნულის ტანისამოსით აქა მოსულა სახელის გამოჩე-  
ნისათვისო. მამათქვენმა საბაოთ ღმერთი აფიცა და თავისი ჩამო-  
მავლობის საფლავები და ველარ უარყო და სწორე მოახსენაო.  
ღღეს მამითქვენის სახლში ასეთი ღზინი არის, რომ კაცის ენისაგან  
არ ითქმისო.

რა ესე სიტყვა უსწიარამ მოისმინა, დიდსა მხიარულებასა მიეცა  
ამისათვის, რომ ყარამანის და სარვიხურამანის სახელი ქვეყანაზე  
მოფენილი იყო. უსწიარამ იქ მზვერავი გაგზავნა და თითონ იარაღს  
ხელი მიჰყო და შემოირტყა. ხელმწიფემ ნარიმანს უბრძანა: ჩემო-  
თვალის სინათლევ ნარიმან, რადგან შენ ამ ქვეყანაში მობრძანდი,  
მე სხვა საფიქრებელი არა მაქვს რაო. მაგრამ ერთი ქალი მყავს,  
დიახ საუცხოვო რამ არის. რაც ხელმწიფეები არიან, შორს თუ ახ-

ლოს, სულ იმის ეშყით მთვრალნი არღანო. მოვლენ და ამ ქალს ცოლად მთხოვენ. მაგრამ ჩემს ქალს ერთი განწესება აქვს: რომელიც იმისი მთხოვნელი გავა და შეებმის, მაშინვე უწყალოდ თავს მოჰკვეთს და ამასაც ამბობს, რომელიც მე მომერევა, იმას შევირთავო. ამქამად შვილის იყლიმის ფალავნები აქ არიან შეყრილი. სახვალიოდ, ფალავანო, შენ მოემზადე და თუ ჩემს ქალს აჯობებ, შენ მოგცემო!

რა ნარიმანმა ესე გაიგონა, ვარდივით აყვავდა და სიხარულით აიქრა. მივიდა და არჯასპ ხელმწიფეს ხელსა აკოცა. მერმე ფალავნები გამოეთხოვნენ და თავ-თავის სადგომს წაიღნენ. ხელმწიფეც ხალვათხანაში შებრძანდა, ვეზირები იამო და მათ გამოუცხადა ესე ამბავი და ესეც ბრძანა: ამქამად ნარიმანისთანა ფალავანი აბა ვინ გეგულებათო? აქ ამ გზით მოვიდაო. ამის მამას ყარამანს რამდენი ჩემისთანა მოსამსახურე ჰყავს, რომ მეც იმას ხარკს ვაძლევეო. ყაფის მთაში მყოფნი იმისის შიშისაგან ვერ იძინებენ და ამანაც რომ მოინდომოს, ამ ქაბულის სახელმწიფოს სულ ააოხრებს. და ასეც მგონია, რომ ჩემს ქალს უსნიარასაც ეს მოერიოსო. ახლად თქვენ რას მიჩრევთ, მივსცე თუ არაო?!

ვეზირებმა მოახსენეს: ხელმწიფეც, თქვენ ხომ მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაზე ყარამანის წინააღმდეგი აღარავინ არის, და ეს სისხლისმსმელი იმისი შვილი რომ უკუსდგომია, შერიგებამდინ ვინ იცის, რამდენი ასი ფალავანი მოუკლავს. და თქვენი პირობაც ხომ ეს არის, რომ ვინც თქვენს ქალს მოერევა, იმას მისცემთო. ესეც ხომ იცით, რომ უთუოდ მოერევა და ხუმრობა არ არის. უარი არა სთქვათ, თორემ ყარამანს ველარ მოურჩებით და აღარც ეს შვილია იმაზე ნაკლებიო. ვეზირთა სიტყვა ხელმწიფესაც დიდად მოეწონა. მერე ბრძანა და ხვალისათვის ყველას შეატყობინეს ომი, და ეგრეთვე თავის ქალს შეუთვალა ეს ამბავი, შენც მოემზადე, ნარიმანს უნდა შეებო.

რა დილა გათენდა, მოემზადნენ და მოედანზე შვილსა ალაგსა ნალარა იკროდა და შვილის იყლიმის დიდებულნი სულ იმ მოედანზე შემოკრიბა. ხელმწიფეც მობრძანდა და ერთსა მხარესა დაბრძანდა. მერე ნარიმან შეჯდა ცხენსა, და ხოჯა მეჰრანი და ეგრეთვე თავის მოყოლილნი მოქარავნენი ერთობით თან გამოიყოლა, მოედანს გამოვიდა და ხელმწიფეს იახლა და თავი დაუკრეს ამათ ერთობით და თავ-თავის ალაგს დადგნენ. მცირე ხანს უკან ნახეს,

რომ ციხის კარი გაეღო და შვიდასის ფალავნით ხელმწიფის ქალი უსნიარა გამოვიდა. თავს ზურმუხტის თაჯი ეხურა, მოედნის პირს დაღა და თავის მამას კაცი აახლა, რომელიც ჩემს საქრმოდ იყოს, საფალავნოდ იგი გამომიგზავნეთ, ერთმანეთს შეებან ეგე ფალავნებიო. მაგათში ვინც ერთი მეორეს აჯობებს და ყველას ფალავნებს მოერევა. მერე იმას მე შევებმიო.

ხელმწიფემ ესე ამბავი ამა მოედანსა მყოფთა ყველას გამოუცხადა. გამოვიდნენ ფალავნები და ერთმანეთს ბრძოლა დაუწყეს. შვიდთ ფალავანთ ყველას აჯობეს და შვიდნილა დარჩნენ. ეს შვიდნიც დიახ დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთსა და ვერა რომელმან აჯობა. რა ისინი ერთმანეთს ერკინებოდნენ, ნარიმანს ამათს ყურებზედ გული მოუვიდა და განრისხებული ცხენსა შეჯდა და მათს საომრად გამოვიდა.

**აჰა ნარიმანისაგან მოედანში გასვლა და შვიდს  
ფალავანს შეგმა, ჯოზნა და მერე ხელმწიფის  
ძალის გამოსვლა და ერთ-ერთმანეთის რკინება,  
ნარიმანისაგან ჯოზნა და ცოლად შეერთვა**

რა ნარიმანმა ის შვიდნი ფალავანნი ნახა, რომ ერთმანეთს ებრძოდნენ, ამან ველარ მოითმინა და ერთი ნარა გასწია, თავის შაბრანგს ქუსლი ჰკრა და იმ შვიდს ფალავანთ მიუხდა. რა იმ ფალავანთა ნარიმანი იმათზე მისული ნახეს, შვიდთავ ერთად შემოუტყეს და მსწრაფლად შვიდნივე ცხენილამ. ჩამოჰყარა. ამ შვიდის მხრის ლაშქართა ნარიმანის ფალავნობა დიდად მოეწონათ და ქება დაუწყეს.

რა იმ ხელმწიფის ქალმან ნარიმანის ასეთი სიმხნე ნახა, ცხენსა ქუსლი ჰკრა და ნარიმანს მიუხდა. ნარიმანმა ნახა, რომ ერთი ფალავანი თვალსა და მარგალიტში მჯდომი გამოვიდა და პირს ნილაბი ეხურა და ორმოცის მწყურთის სიმაღლის მქონებელი იყო. ერთი ასეთის მრისხანე სახით მოუხდა, რომ კაცს შეზარავდა და ნარიმანს ბრძოლა დაუწყო. ასრე იბრძოდნენ, რომ მნახველთ გაუკვირდებოდათ და იქ მყოფნი სარდალნი და ფალავანნი დიდ განკვირვებას მიეცნენ.

რა ნარიმანმა იმისგან ომის გასწორება ნახა, ღვთისა სახელი ახ-

სენა, სარტყელს ხელი ჩაუგდო, ცხენიდან აგლიჯა, თვისსა ცხენსა ქუსლი ჰკრა, მიიყვანა და იმის მამას მიართვა. რა ხელმწიფემ ესრეთ მოიხილა, დიდად გამხიარულდა და ნარიმანს მრავალი თვალმარგალიტი გარდააყარა თავსა. ამა მოედანზე მყოფნი და დროს მაყურებელნი სარდალნი, ფალავანნი და შორით მხრიდამ მოსულნი მეფის შვილები ესენი სულ უიმედონი დარჩნენ და დიდად შეწუხებულნი თავ-თავის ქვეყნებში წავიდნენ გულდამწვარნი. ხელმწიფემაც ამა მოედანზე გამოცხადებით თავისი ქალი მიიყვანა და ხელში მისცა ნარიმანს ცოლად.

შემდეგ შინ მოვიდნენ და ქორწილის თადარიკში იყვნენ. ახლოს მყოფნი და შორს მყოფნი ხელმწიფენი, სარდალნი, სულთანნი, ფალავანნი ერთობით ურიტხენი და უანგარიშონი მოიწვიეს. ორმოცს დღეს და ღამეს ასეთი ღვინი ნახეს და ასეთი ქორწილი გადაიხადეს, რომ მისთანა არავის არა ენახა. მერე ორმოცის დღის უკან ყველანი თავ-თავის ქვეყანაში წავიდნენ და ხელმწიფემ ნარიმანს ხელი მოჰკიდა და ახლა ორივე ცოლ-ქმარი ერთად შეჰყარა და ღვინსა და მეჯლისში შევიდნენ.

### აჰა ამბავი ყარამანისა სახის შეცვლის შემდეგ

იმჟამად, ყარამანმა რომ შავის ზანგის სახე მიიღო და ნარიმანს გაეყარა, დასავლეთის მხრისაკენ, სიამ ქალაქში მივიდა. იქ ყოვლიბაშ შირკიანი იკითხა და უთხრეს: ზანგო, ყოვლიბაშ თავის მამა გარსაშიბთან წავიდაო. დღეს ორმოცი დღე არის, რომ წასულაო. რა ყარამანმა მათგან ესე პასუხი გაიგონა, მსწრაფლ გაბრუნდა და მარიჯ ქალაქისაკენ წავიდა. იგი ქალაქი ინდოეთსა და დასავლეთის სამზღვარზედ არის. მივიდა და იმ ქალაქში ყოვლიბაშ იკითხა და უთხრეს: ამა და ამ ბაღში თავის მამას გარსაშიბთან არისო, ბაღში სმენ და შეექცევიაო.

გაბრუნდა და იმ ბაღში მივიდა და კართან დადგა და ასეთი ნარა გასწია, რომ იმ ბაღმა და მისმა არემარემ სულ ზანზარი დაიწყო. და ყოვლიბაშ შირკიანი გამოითხოვა და უთხრა: ყოვლო, გამოდი, შეგება და ჩემი ყალაენობა გაჩვენო. თუ არ გამოხვალ, ახლავე ჩემის გურზით ამა ბაღის კარებს დავამტკრე და მანდ შემოვალო.

რა ყოვლმა და გარსაშიბმა ესე ხმა გაიგონეს, დიდად გარცდნენ. და თქვეს: ესე ზანგი ვინ არის, რომ ჩვენთან ასე მოსულა და რაღაცას ლაპარაკობს და ლაყბობსო?! ყოვლი წამოდგა და თქვა, გავალ და ვნახავ, ვინ არის? აქ მომსვლელი და ჩემი გამომთხოველი კაცი უბრალო არავინ იქნებაო. ყოვლი გამოვიდა და უთხრა: ზანგო, მე ჩემს დღეში ცხენ-და-ცხენ არავის შევბმეივარ. ჩამოხე, ქვეითად მუშტებით შევიბათ და შენის ბედის უკულმა დაბრუნებას მე გაჩვენებო.

რა ყარამანმა ესე გაიგონა, ცხენისაგან გარდახდა და ყოვლთან შვიიდა. რა გარსაშიბმა ყარამან ცხენისაგან გარდამხდარი, ქვეითად გავლილი იხილა, მაშინვე სიარულზე იცნა, რომ ყარამანი იყო, მაგრამ ამ პირის სახის სიშავე და ეგრეთვე ამ შაშფაიბარის ფერის შეცვლა მეტად კვალს უკარგავდა მცნობთა და მეცნიერთა. გარსაშიბ მეტად შეშინდა და იტყოდა: ეს რა მომეჩვენა! ღმერთო, შენ დაიფარე ყოვლი ამ საზარელის ვეშაპის ხელიდამაო. ის ორნივე ლომგულნი მრისხანეს მარისხავით ერთმანეთს მიუხდნენ და საშინლად მუშტით ერთმანეთს ცემა დაუწყეს ესრეთ, რომ იმათის შიშით და მუშტის ცემით ხმა ორსა და სამს ალაჯზე ისმოდა. საღამომდისინ ესრეთის ყოფით იბრძოლეს.

რა საღამო ჟამი შეიქნა, სიბნელემ გაჰყარა. ყოვლი შინ წავიდა და ყარამანიც შეჯდა ცხენსა და ერთის მხარისაკენ წავიდა. შევიდა ყოვლი, მამას ხელსა აკოცა და მოახსენა: შენსა თავსა ვფიცავ, რომ ჯერ მე ამისთანა ფალავანი არ შემყრიოო. რამდენჯერაც მუშტს დამკრევედის, იმდენჯერ ასე მეგონის, რომ დიდი მთა დამეცა-მეთქი. ხელმწიფევე, მართალია, სახე შავი აქვს, მაგრამ ის სწორედ ყარამან არისო და ყოვლმა ამდენი ქება თქვა ყარამანისა, რომ კაცი სმენისაგან გაშტერდებოდა.

რა იგი ღამე გავლეს და დილა გათენდა, ნახეს, რომ იგი ზანგი მოვიდა და იმავე ალაგს დადგა. ყოვლი გამოითხოვა და მრავალი საფალავნო იარაღი ივარჯიშა. რა ყოვლმა დაინახა, ეწყინა, რომ მეტი წყენისაგან აღმური ასდიოდა. ერთის საშინელის ხმით შესძახა და ყარამანს მიუხდა და მუშტი მოუღერა და მხარსა ერთი ასე ძლიერად დაჰკრა, რომ ყარამანისთანა ფალავანი დიდად შეაწუხა. იმ ორმა ფალავანმა საღამომდინ კიდევ იბრძოლეს და საღამოზედ გაიყარნენ. გარსაშიბ მათს ბრძოლას რომ უყურებდა, ყარამანის ქცევაზედ გაშტერებული იყო. ხან იტყოდა, ყარამან არისო, და ხან ექვეში ჩავარდებოდა. იმის უცნობობისათვის დიდად სწუხდა. და

ამაზე უფრო ამტკიცებდა, ყარამანს მთელი ყაფის მთა ხელთ უპყრია და იმათში მრავალჯერ ომში ყოფილა და იმათგან ისწავლიდა ამგვარად სახის გამოცვლას, თორემ ამისთანა ძლიერება ფალავანისა ვის უნახავს, თუ არ იმისაო?! და ესეც არის, რომ ამ ჩემს შვილს, ყოვლის, სცდის ფალავნობაშიო. იცის, რომ თავისის სახით რომ მოსულიყო, ყოვლი იმას ომს ვერ გაუბედავდა და ვერც აკადრებდაო.

მერე სხვათა ფალავანთა მოახსენეს: ეგე რა ბრძანება არის. ყარამანისთანა ფალავანი დღეს დედამიწის ზურგზე არავინ დაბადებულა და ამას როგორ იკადრებს, რომ სახე შეიცვალოს და ჩუმიად ვისთანმე საბრძოლად მივიდესო. ამაზე დიდი ბაასი ჰქონდათ. ამ ყოფით ხუთი დღე იბრძოლეს. მერმე ყარამან ღმერთსა ევედრა: ხვალ გამომეტებით შევებმი და ასეთი შენი მოწყალება მომეც, რომ ყოვლის ჩემის ხელით არა ევნოს რა და ვსძლიოო.

მუნეჯიბთ და მესტროლაბეთაგან თქმულა, რომ როდესაც ყარამან გულსმოდგინედ შევედრებოდა, ღმერთიც შეუსმენდა იმის ვედრებასაო. იმ დამეს რომ ყოვლიბაშ შირჟიანის უსიკვდილობას შევედრა, შეისმინაო. როგორც ნარიმან დასწყევლა და დღე შეუმოკლდა, ყოვლისათვის ამისი ვედრება ღმერთმან შეისმინაო. ყარამანს თუმცა ეძლივა, დასძლევდა ყოვლის, მაგრამ ვარსკვლავთმრიცხველთ მოთხრობით, ყოვლის სიკვდილი ნარიმანისაგან იყო, იმისის ხელით უნდა მომკვდარიყო, ყოვლიბაშ შირჟიანის სიკვდილიც თავის ჟამზედ მოგხსენდებათ.

რა დილა გათენდა, ყარამან იმა საომარს ალაგს მოვიდა და დადგა, რა ყოვლიმ ყარამანის მოსვლა შეიტყო, დიდად განრისხდა და თავის მამას გარსაშიბს მოახსენა: ამდენი ხანია, მე და ის ზანგი ვიბრძვით და დღეს ის დღეა, რომ იმ უმსგავსოს თავს ტანისაგან მოვაშორებო. გამოვიდა და ყარამანს მედგრად შემოუძახა და თავისი მძიმე გურზი თავსა დასაკრავად შეუმძალა. ესრეთ ძლიერად დაჰკრა, რომ ვითამც დიდი მთა თავსა დასცემოდა. ესრეთ მედგრად იბრძოდნენ, რომ მნახველნი მათს ყურებას ვერ უძლებდნენ.

რა ყარამან ბრძოლაში გაცხარდა, ერთის საშინელის ხმით ღვთისა სახელი ახსენა. ასეთს მაღალს ხმაზედ შესძახა, რომ ორს აღაჯამდინ სულ არეშარე იძროდა. სარტყელსა ხელი გაავლო, ცხენი-დამ აზიდა, მიწასა ზედა დასცა, ორივე ხელები შეუჰკრა, ცხენსავე შესვა, ჰკრა ქუსლი და ერთის მხრისაკენ გაიქცა. გარსაშიბმა რა

ყოველი ხელეშეკრული და მოტაცებული იხილა, დიდად განარისხდა და მეტის მწუხარებისაგან უცნობი შეიქნა და ყარამანს მუქარა დაუწყო და მისძახოდა: ყოველი გაუშვი, თორემ შეგანანებო. მოუბრუნდა და ყარამანმა შემოსძახა: მე ომში მოვერიე და წავიყვანე. თუ კაცა ხარ, შენც მოდი, მომერიე და წავიყვანეო. თუ არა, მე ზანგიბარის ქვეყანას მინდა წავიყვანო.

რა შეკრულმა ყოვლიმ სინჯვა დაუწყო, თიღი ყამყამი იცნა და მოახსენა: ფალავანო, გამიშვიო, ახლა კი კარგად შეგიტყუეთ, ვინცა ბრძანდებითო. მე ჩემი თავი ვიცან, სააბყარაასო, რომ შენი ბრძოლა არ შემეძლოო. ამან უთხრა: მე ყარამან არა ვარ, ყეითარ ზანგი ვარ და ზანგისტანის ხელმწიფე, მაგრამ ყარამან დიდი მეგობარია ჩემი და ძმადღეციც ვარო მე იმისაო. ყოვლმა უთხრა: თავს ნუ იმაღლავთ, რომ გებრძოდი, შენის გულის ძგერისაგან ჩემი ხორცი კანკალებდაო. ახლა თავს არაღად იმაღლავთ, აღარ გეკადრებათ თავის დამალვაო. მივიდა და ხელსა აკოცა ყოვლმა.

რა ყარამან სწორეს ზრით იცნა, ვეღარც იმან გარდაუფიცა. მივიდა საჩქაროდ და ორივე ხელეში შეუხსნა ყოვლის და მერე მკერდსა მიიყრდნო და დიახ მრავალი აკოცა. ყარამანმა დალოცა დიდად და მერე ქეითმარისისეული ხანჯალი აჩუქა. მერე დასხდნენ და ერთმანეთს საყვარლად ემუსაიბნენ. ყარამანმაც ნარიმანის ბრძოლა და გაშვება და იმის თავის გარდასავალი ყველა თვითეულად უამბო.

გარსაშიბმა რა ყოვლის წაყვანაზედ გული დააჯერა, საჩქაროდ ცხენსა შეჯდა და გამოუდგა. და რა ახლოს მივიდა, დაზვერა. ნახა, რომ ყარამან და ყოველი ერთმანეთს საყვარლად ემუსაიბებოდნენ. მაშინვე ჩუმად გაბობრუნდა და ისევ თავის სახლში მოვიდა. მცირეს ხანს ყარამან და ყოველი იქ შეექცნენ. მერე ესენიც ამავე ქალაქში შემოვიდნენ. ბურჯ ვეზირისეული მაჯუნი შექამა და ისევ თავისავე სახედ შეიკვალა. რა ესე იხილეს ყოვლმა და სხვათა, დიდად გაუკვირდათ და ვეზირს დიდი ქება შეასანეს ამა ხელოვნებისათვის. ყარამანს თუმცა უყვარდა ყოველი, მაგრამ კიდევ ესრეთ შეიტკბო, რომ ერთს წამს ვერ მოიშორებდა. რამდენიმე ხანი დაჰყო იქა და ლხინსა და ნადირობას შეექცეოდა.

ერთსა დღესა ყარამან და ყოველი და გარსაშბ ერთის მთისაქენ სანადიროდ წავიდნენ. იმ მთას არღამ დაღს ეძახდნენ. იმ მთაში თურმე ერთი საშინელი ვეშაპა ბუდობდა ესრეთი, რომ ვერც ყოვ-



ლი შებმოდა და ვერც გარსაშიბ. იმა ვეშაპის ვითარება ყარამანს ყოვლმა თვითეულად უამბო. ყარამან ღიდად გაკვირდა და თქვა: ერთს რასმე რომ ყოვლი და გარსაშიბ ვერ შებმოდეს, თურმე ღიდი რამ იქნებაო. ამ ლაპარაკით იმ ვეშაპის ალაგისაკენ წავიდნენ. ბრძანა ყარამანმა და რამდენიმე ნადირი დახოცეს და მოართვეს, გაატყავეს და ხანჯლით და შუბებით გაატენინა, მიატანინა და ვეშაპის მოსაგაღს გზაზედ დააწყობინა. თითონ მშვილდ-ისარს ხელი მიჰყო და მას ვეშაპს ერვენა.

რა ყარამან დაინახა მან ვეშაპმან, მაშინვე ამისკენ წაშოვიდა. შეხედა ამა ვეშაპსა. ასეთი ღიდი რამ იყო, რომ მაღალს მთაზედ უდიდესი ჩანდა. ყარამანს თუმცა ვეშაპი ბევრი მოეკლა, მაგრამ ამ სიდიდე არა ენახა რა. იგი ვეშაპი იქ მოვიდა, სადაც ის დახოცილი ნადირები დაუწყვეს. მათზე მოვიდა და ერთი მკვდარი ირეძი ჩაყლაპა მთლად და ეგრეთვე მეორე და ამა ვეშაპს ახლა ყარამან ერვენა. რა რომ დაინახა; ეწადა ყარამანისათვის შემოგეტია, მაგრამ რომელიც გატყავებული ნადირი შთანთქა, იგი შუბები შიგნიდამ გულსა და ღვიძლს ხევდა და შექნა თავისა და ფეხებისა ალაგზე წყვეტება. და იმას ბრძოლის თავი აღარა ჰქონდა. რა ყარამანმა ამ ვეშაპის საქმე ასე დაინახა, საჩქაროდ გამოექანა, ერთი საშინელის ხმით ამა ვეშაპს შემოუძახა, ამოიღო თილი ყამყამი, შემოჰკრა და ორად განჰკვეთა.

რა ესე ვეშაპი ასე ორად გაკვეთილი ნახეს, გარსაშბ ხელმწიფეს და ყოვლის ღიდად გაუკვირდათ და ყარამანის ძალგულოვნობას ყველანი აქებდნენ. მერე იმავე ალაგს ნადირობას შეექცეოდნენ. გარსაშბ ხელმწიფე შეუძლებლობის მიზეზით შინ დაეთხოვა. წავიდა და შვიდი დღე შინიდან კარში აღარ გამოვიდა. ყარამან და ყოვლი ისევე იმავე მთაში ნადირობდნენ. გარსაშბ ხელმწიფემ თავის გელთა აიარი იხმო და უბრძანა: მაშინ მე რომ წამალი მითხარ, რომ ყარამანის სახედ შეეცვლილიყავ, რა უყავო? ამანაც ამოიღო ერთი კოლოფი და მოართვა და მოახსენა: მაგაში ერბო ძვეს, ამოიღეთო და ხელებზე წაისვით და საკვირველს რამეს ნახავთო.

გარსაშბმა ამოიღო, ხელზედაც წაისვა და ცოტა პირზე და ასეთი საზარელი სანახავე შეიქნა, რომ ვინცა ვინ ნახავდა, ყველას შეზარებდა მისი ნახვა. მეორე კოლოფი ამოიღო, გახსნა და იქიდან ერთი რაღაც წამალი ამოიღო ერბოსავით, თავ-პირზე წაისვა და ასე გაყვითლდა, რომ სწორედ ზაფრანის ფერად შესცვალა. ასეთი სახე

დაედვა, რომ მნახველთ შეზარდებოდათ. მერე ჟებრძანა: აიარო, როგორც ყარამან სხვა სახის შეცვლის მიზეზით მოვიდა და ჩემი შვილი ყოვლი ფალავნობაში გამოსცადა, მეც მინდა ყარამან გამოვცადო ახლავე ჩემად ცხენი მომგვარეთო. საჩქაროდ აიარმა ცხენი მოჰკვარა, შეჯდა და ეს აიარიც წინ გაუძღვა, წავიდნენ და სადაც რომ ყოვლი და ყარამან ნადირობდნენ, იმას ალაგს მივიდნენ.

გარსაშიბი რა მათ მიუახლოვდა, ერთი საშინელი ნარა გასწია: ყოვლის შემოუტია და ამანაც გურზით შეუტია. კარგა ხანს იბრაქოლეს, მერმე გარსაშიბმა თავისი მძიმე ლახტი თავსა შემოვიღო და ყოვლის ესრეთ ძლიერად მოხვდა ბეჰსა, რომ ამისთანა სახელოვანი ფალავანი დასუსტდა და თვალთ დაუბნელდა და ცხენის ყელს მოეხვია და ყარამანისაკენ წაიყვანა.

რა ყარამანმა ესე დაინახა, ერთი საშინელის ხმით შემოსძახა და უთხრა: შენ უმსგავსო, ვინა ხარ, რომ ჩემისთანას ფალავანს წინ მოხველ და ყოვლისთანა ფალავანი ასრე უწყალოდ გახადეო? ესე სთქვა და ყარამან განრისხებული მოუხდა და რამდენიმე ლახტი ამან და რამდენიმე იმან ერთმანეთს დაჰკრეს. ესრეთ მედგრად ებრძოდა გარსაშიბ ყარამანსა, რომ სხვა მებრძოლი ამისებრივე აღარც არავინ კი ახსოვდა. საღამომდინ იბრძოლეს.

რა საღამო ეამი შეიქნა, ყარამანმა იმისი ომის გასწორება ითაკილა. განრისხებულმა ქეიომარსისეული გურზი მოუქნია. მანაც გურზი იფარა. ერთმანეთსა მოხვდა და ამა გურზებისაგან ასეთი ცეცხლი დაეკეთა, რომ ორივე ესე ფალავნები ცეცხლმან დაჰფარა. იგივე გურზი ასცდა და მარცხენას ბეჰსა ხელმწიფეს მოხვდა და მაშინვე თვალთ დაუბნელდა და უცნობო შეიქნა. ეწადა. რომ მეორეც კიდევ დაეკრა და მიწასთან გაესწორებინა. მაგრამ ამა გარსაშიბის აიარმა მოახსენა: ფალავანო, არ მოჰკლა, თორემ ბევრს ინანებო.

რა ესე მოისმინა, მაშინვე ხელი აიღო, გაბრუნდა და ყოვლიც გონებას მოეგო და ყარამან ელაპარაკა: ეს ვინ უნდა იყოსო? იმა აიარის ლაპარაკმა როგორღაც ეჭვიში შემოიყვანაო. ამა აიარმა საჩქაროდ გარსაშიბ გააბრუნა და თავისავე სადგომს ჩუმად მიიყვანა, გონებას მოეგო. მეორე წამალი მისცა, ისრევე თავის ფერზედ დააყენა. მერე ამა აიარს ჰკითხა აქაური ამბავი და ამანაც ყველა წვრილად უამბო. რა ამაზედ გული დააჯერა, რომ ყარამან მომრევიო, ამაზედ ღიღად შეწუხდა, ასრე, რომ სიკვდილად მიწურვილიყო, ასე სწყენოდა. მერმე ამა აიარსა ჰკითხა: ესე სახის შეცვლის წამალი

ვინ გასწივლაო? მან მოახსენა: ესე წამალი ჩემმა ოსტატმა გარდან-  
ქეშანმა მასწავლაო. და შვიდი-რვა ამისთანა სხვადასხვა რიგი ვი-  
ციო. გარდანქეშანს დიდი ქება შეასხეს.

გარსაშიბ ხელმწიფე დიდად შეწუხებული იყო. იმჟამად ყარა-  
მან და ყოვლი ორივე ერთად მოვიდნენ. ყოვლიმ იგრძნო, რომ იგი  
იმათი მეომარი გარსაშიბ ყოფილიყო. ყარამანს ჩუმიად მოახსენა.  
მოვიდნენ და გარსაშიბს მიესალმნენ და ბოდიში მოითხოვეს. ხელ-  
მწიფემაც ბევრი სწავლები ასწავლა ორთავეს და უთხრა: ფალანგო-  
ბისა და ძლიერობის გამო ნუ გაამყდებით, თორემ ყოველი ამაყო-  
ბა ამპარტავნობის საფუძველიაო. და ამპარტავანს მთასა თუ ზღვასა  
ღმერთი აღაოხრებსო. და ჩვენ კაცთ სიმშვიდე და სიმდაბლე გემარ-  
თებსო. ამგვარები ორთავეს მრავალი ასმინა.

შემდეგ ყარამან ამითთან რამდენსამე ხანს შეექცა და მას უკან  
გარსაშიბს გამოეთხოვა და ინდოეთისკენ წავიდა და უშანგაბადს  
მივიდა. სარკინურაჲან დიდად შეწუხებული და მგლოვიარე დაუხვდა.  
რა იგი მწუხარე დახვდა, თითონაც შეწუხდა და იკითხა: რისათვის  
ესე შეწუხებულა ჩემი სიცოცხლეო? ამით მოახსენეს: რამდენიმე  
ხანია, რომ ნარიმან უჩინო შეიქნა და დაიკარგა და ეგრეთვე თქვენ-  
თვის უფრო სწუხდაო. რა ყარამანმა ესრეთ მოისმინა, ასრე შეწუხ-  
და, რომ ტირილისაგან დიდხანობამდე გული ველარ დააყენა. მერე  
საჩქაროდ ყოველსავე მხარეს აიარები გაგზავნა საქმებრად.

იმჟამად, რომ ყარამან ინდოეთისაკენ წამოვიდა, გარსაშიბ და  
ყოვლი იქ დარჩნენ. მაგრამ გარსაშიბს ყარამანისაგან მორევა ეს-  
რედ სწყენოდა, რომ დღე შემოჰკლებოდა. მას უკან აღარც ლხინსა  
და აღარც ნადირობაში სულ აღარ გაეკლო. ერთსა დღესა ყოვლი  
შეხვეწნოდა და სანადიროდ გასულიყო. თავის მამის სიამქაშის ხელ-  
მწიფის დარჩომილს და ბოძებულს თორმეტფერხოვანს მხეცსა შე-  
ჯდა. ესე საჯდომი მხეცი იგი იყო, რომ ამის მიზეზით ყარუნ დევს  
ჩაპყვა დედამიწაში. იგი ყარუნ დევი იქ მოკლა და ორმოცი წელი-  
წადი იქ იბრძოდა ქვესკნელში, შვიდკეცს დედამიწას ქვეშაო. დევ-  
თა და გრძნეულთა ზედა ქვევითად ესდენი იბრძოლა, რომ შეწუხე-  
ბული მრავალჯერ სიკვდილად მიწურულიყო.

ღმერთსა ეკედრებოდა ცხენის ბოძებისათვის. და ღვთის განგე-  
ბით ცხენის მაგიერად იგი მხეცი ბოძებოდაო. და ღვთის შეწევნით  
ყოველთ მანქანება და მაცდურობა სულ დაერღვია და ეჯობნა და  
რუხ სახელდებულს ფერიას მოეყვანა იგი ცხენი და ეთქვა: ამ ცხე-  
ნის ქერისა და თივის მაგიერი საჭმელი სულ გველი და ვეშაპი არი-

სო. თუ ამის შოვნა შეგიძლიათ, ასრე უნდა შეინახოთ და თუ არა, ისევე უკანვე წავიყვანო. გარსაშიბმა უთხრა: რუხ ფერი, შენ ამისათვის ნუ შესწუხლები, იმ ქვეყანას გველი და ვეშაპი დიას მრავალი არის და მე კარგად შევინახავო. ესე თქვა და ქვეყანაზედ ამოვიდა დასავლეთის ქვეყანაში.

იმეამად იმ ქვეყნის ხელმწიფეს ქეიმურას მალრიბს ეძახდნენ. იგი მოკლა და თვითონ გახელმწიფდა. გარსაშიბ მალრიბისტანში დარჩა, ნადირობდა და შეექცეოდა. გველსა და ვეშაპსა ხოცდა და თავის ცხენს აჭმევდა. ამ ყოფით ღზინსა და შევებაში იყო. ერთსა დღესა ცრემლით ღმერთს ევედრა ზეგარდმო ძლიერებით ძალის მოცემასა და ღმერთმაც შეისმინა იმის ვედრება. ერთი ასეთი სამკლავი საბუხარი მიეცა, რომ როდესაც, იმას შემოიცვამდა, არაფერი არა მოეკარებოდა რა. იმ ფოლადის სამკლავის ძლიერებით მრავალს გველსა და ვეშაპსა ჰხოცდა და თავის ცხენს აჭმევდა.

ერთსა დღესა ერთი ვეშაპი გამოუჩნდა და ჩვეულებისამებრ გარსაშიბ ამა ვეშაპსა გულოვნად ბრძოლა დაუწყო. მიეჭრა, სამკლავე ყბაში გაუგდო და ამა ვეშაპს ყბები გაუგლიჯა. იგი ვეშაპიც მოიღვლარქნა, გარსაშიბს კუდი წელსა შემოარტყა. ამა ვეშაპმა ისეთის ძლიერებით მოუჭირა და დასცა ძირსა, რომ ყოველი ძვალი შემუსრა. გარსაშიბ უცნობი დაეცა და იგი ვეშაპიც მოკლა. აიარები მისცივიდნენ, გარსაშიბსა წყალი აპკურეს და ველარ მოაბრუნეს. მერე ყოვლის შეატყობინეს, იგიცა საჩქაროდ მივიდა, დიდად შეწუხდა. ასწივეს, შინ მოიტანეს, მრავალი აქიმი მოასხეს, მაგრამ ვერა არგეს რა. სამი დღე კიდევ იტოცხლა და მერე მოკვდა. მეოთხეს დღესა იმისი ტახტი და გვირგვინი იმის შვილს ყოვლის დაულოცეს და ესე ამბავი ყარამანსაც შეატყობინეს. ყარამანც დიდად შეწუხდა. ტირილი და მგლოვიარობა მიიღო. შავები ჩაიცვა. ორმოცი დღე მძიმედ იგლოვა.

რა ასე დიდად შეწუხებული ნახეს ამა დიდებულთა, მოიღეს მრავალი უცხო და უცხო ფეშაშები შავების გამოსაცვლელად. ამა დიდებულთა და ფალავანთა წინ ბურჯ ვეზირი გაიმძღვარეს და მიართვეს. ყარამანმაც ნება დართო და გლოვიდამ გამოვიდა. ხან ყარამანია ქალაქის მხრისაკენ ინადირის და ხან უშანგაბადისაკენ. ამა ყოფითა მრავალს ხანს შექცევაში იყო. მასუკან ხელმწიფენი და დიდებულნი ფალავანნი ყველანი დაეთხოვნენ და თავ-თავის ალაგს წავიდნენ.

ერთსა დღესა ყარამან თავისის შვილის ნარიმანის დაკარგვას ფიქრობდა და მწუხარედ იჯდა. შემოვიდნენ და დუზდი ავსარ აიარის მოსვლა მოახსენეს. მაშინვე მოაყვანინა. იახლა, ხელსა აკოცა და ქება შეასხა და მოახსენა: ყოველთა ხელმწიფეთა უწარჩინებულესო ფალავანო და ხმეცუთის სააბყარანო! მე თქვენთვის მიხარებია, თქვენი შვილი ნარიმან ქაბულის სახელმწიფოში მისულა და იმა ხელმწიფის ქალს გააშიკებია. ის შეურთავს, ქორწილი უქნია და მშვიდობით უქირველად ცოცხლებით გახლავსთო. ამაზე ხათრიჯამი ბრძანდებოდეთ!

რა ყარამანმა ესე მოისმინა, მაშინვე სწრაფად სარვიხურამანს თითონ ახარა და ამა აიარს შვიდი ხელი სახელმწიფო ხალათი უბოძეს და ამა ამბის მოსმენისათვის, ღმერთს მადლობდნენ. მაშინვე აემზადნენ და წასვლის თადარიგი ნახეს, და ბრძანა თვრამეტი ათასი ლაშქრის მოწვევა და ათას ოთხასის ფალავნის თან გაყოლა. ყარამან და სარვიხურამან დიდის დიდებით ქაბულისტანისაკენ წავიდნენ.

იმუამად, რა ნარიმანმა ქორწილი ქნა, ერთი ვაჟი ეყოლა და სახელად ქუჩუქ ყარამან დაერქმიათ და სამსავარსაც ეძახდნენო. რა სამის წლისა შეიქნა, ასეთი ფალავნური სახე დაედვა, რომ მნახველთათვის სასიამოვნო იყო. სამის წლისა ათის წლისასა ჰგავდა და იმა ფალავნობის სახეს გამო ყოველს კაცს უყვარდა. იმუამად შევიდნენ და ნარიმანს მოახსენეს: ფალავანო, თქვენთვის გვიხარებია, მამათქვენი სააბყარანი და დედათქვენი სარვიხურამან და ეგრეთვე მთელის ინდოეთის დიდებულნი თქვენს სანახავად შობრძანდებიანო.

რა ნარიმანმა ესე მოისმინა, დიდად იამა და მახარობელს მრავალი უბოძა. საჩქაროდ მოემზადა. ამა ქაბულის დიდებულნი თან იახლენ. ქაბულის ხელმწიფე და ნარიმან დიდის გამოჩვენებით მიეგებნენ წინა ერთს მანძილზედა. რა დაუახლოვდნენ ერთმანეთსა, ნარიმან ცხენიდან გარდახდა, გაექანა და თავის მამას ცხენის აყუანდას მრავალჯერ ეამბორა. მერე ფერხსა და მუხლსა აკოცა. ყარამანმაც მკერდსა მიიყრდნა და ვითა მამაშვილობის სიყვარული აწვევდა. მოეხვია. და მერე ქაბული ხელმწიფე მივიდა და ხელსა აკოცა ყარამანსა და ქება შეასხა. გარჯისა და იქ წვევისათვის დიდი მადლობა მოახსენა.

შემდეგ ქაბულისტანის დიდებულნი და ფალავანნი სულ ერთობით მივიდნენ და ყარამანს მიესალმნენ და დიდი ქება შეასხეს. წავიდნენ და ქაბულის ქალაქში შებრძანდნენ. მერე ამ ქალაქის დიდუაჭარნი მოვიდნენ და ყარამანს მრავალი ძვირფასი თვალ-მარგალიტი გადააყარეს თავსა და ერთსა ალაჯზედა ძვირფასი სტავრა ფიანდაზად დაჰფინეს და დიდის დიდებით შემოიყვანეს. და თავისის შვილის სასახლეში მიბრძანდა და ტახტსა დაჯდა. მერე თავისის შვილიშვილის მიყვანა ბრძანა და მოიყვანეს.

რა ყარამანმა და სარვიხურამანმა თავისი შვილიშვილი ნახეს, დიდად მოეწონათ და უბრძანა: ნარიმან, მე ამისათვის ქუჩუყ ყარამან უნდა დამერქმევიან და თქვენ რა დაარქვითო? ნარიმანმა მოახსენა: თქვენი ბრძანებული დავარქვითო. მერე ბრძანა და ვინცა ვინ მეცნიერნი და ვარსკვლავთმრიცხველნი იყვნენ სულ შემოჰკრიბეს. ეგრეთვე ბურჯ-აქიმ ვეზირი და მასთან შვიდნი კიდევ დიდნი ფილოსოფოსნი და მეცნიერნი ვეზირნი იახლენ და ამა პატარის ქუჩუყ ყარამანისათვის ყველამ სტროლაბი ხელთ აიღო და ჩხრეკა დაუწყო. და ამა ყმაწვილის სახესაც სინჯავდნენ და სტროლაბსაც სჩხრეკდნენ.

ყველამ ამისი ეტლის სიმაღლე და დიდფალავანობა სცნეს და მოახსენეს: ყოველთა ფალავანთა უწარჩინებულესო ფალავანო, ამას დიახ მაღალი ძალგულოვნების ეტლი აქვს და ერთის წინასწარმეტყველის სააბყარანი უნდა იყოს და იმ წინასწარმეტყველმა ქვეყანა უნდა იპყრას და ღვთის ბრძანებით დევნი, ქაჯნი, ფერიანი და ჯინნი უნდა დაიმორჩილოსო. ესე იმისი ფალავანი უნდა იყოს. მრავალს ძლიერს ომსა გარდაიხდის და სააბყარანობის სახელსაც მიიღებსო. მერმე ეს ერთს ზღვის კუნძულში ჯეზირეი თარაში ჩავარდება და იქ, განგებითა ღვთისათა, ერთი ცხენი მოეცემა და იმ ცხენს სახელად საამ ერქმისო. იმ ცხენს გარდა ამას იმა ჭალაკიდამ სხვა ვერავინ გამოიყვანს და იმ ცხენის შემწეობით ქვეყნად გამოვაო.

რა ამა ცხენზედ შეჯდება, ამას სახელად სამსაფარ დაერქმევაო. დევნი და ფერიანი ამას ვერას ავნებენო. ყველას დაიმონებსო. რამდენსამე წელიწადს ეს ქვესკნელს ჯინისტანის ხელმწიფეს ბრძოლას დაუწყებს და ჯინისტანს დაიპყრს და დაიმორჩილებსო. რამდენსამე წელიწადს უკან ისევ ამოვაო. ესოდენი ქება თქვეს ამა ფილოსოფოსთა იმ ყმაწვილისა, რომ ყარამან დიდად განჰკვირდა. შემდეგ თავის წინ მიყვანიან და ყარაუნ ხელმწიფის თილისმიდამ გამოტა-

ნილი ხანჯალი სამსავარსა წელსა შეაბა და ერთი მარგალიტით შე-  
ჭედილი შამ-ჩირაღი, რომელ არს ქართულად სპეკალი, ძვირფასი  
თვალი, მკლავსა შეაბა. მერმე ბურჯ ვეზირი მოიყვანა ყარამანმან  
და იგი მას მიაბარა და უბრძანა: რაც შენ მეცნიერება იცი. ამასაც  
სულ უნდა ასწავლო! რამდენსამე ხანს ქაბულ ხელმწიფესთან  
ლხინსა და ნადირობას შეექცა.

ერთსა დღესა ქაბულის ხელმწიფე, სოფლის ჩვეულებისამებრ,  
ჰმიერ სოფლით გარდაიკვალა. რადგან სხვა შეილი არ ჰყვანდა ამ  
ერთის ქალის მეტი და ის ქალიც ნარიმანს ჰყვანდა, იმ ქვეყნის დი-  
დებულნი, სარდალნი, ფალავანნი სხვანი სულ ერთობით შეიყარნენ,  
მივიდნენ, ყარამანს მოახსენეს და ნარიმან ხელმწიფედ სთხოვეს.  
ნარიმანმა დიახ შორს დაიჭირა იქაური ხელმწიფობა. მაგრამ ყარა-  
მან არ მოეშვა და იქ ხელმწიფედ დასვა. დიდებულნი ფალავანნი  
გარს შემოეხვივნენ.

იმჟამად ყარამან ერთს ხალვათ სახლში ილოცევდა. ის ორი-  
სავე სოფლის მაცდური ეშმაკი ერის ყმაწვილის სახედ შეიკვალა  
და იქ ყარამანთან ხალვათხანაში შევიდა. რა ყარამან ამა ყმაწვილს  
შემოხედა, მაშინვე უთხრა: შენ საიღამ შემოხველ, რომ ან კარის  
მცველთა და ან ჩემმა ყულუხჩებმა ვერა გნახესო? შენ ვინა ხარ,  
რომ ჩემთან მოსვლა გაბედე და აქ შემოხველო? არ შეგეშინდა,  
რომ დამე შემოხველო? იმ ყმაწვილმა გაიცინა და უთხრა: ყარამან,  
მე ვერ მიცნობ ვინა ვარ? მე შენი ბედი ვარო. რა მალე დამი-  
ვიწყევო. ყარამანმა უთხრა: წარსულს წელიწადებში რომ გნახე, მა-  
შინ ბერიკაცი იყავი და ახლა რამ გაგაყმაწვილაო. ამის მიზეზი რა  
ჰრისო? მან მიუგო: მაშინ შენი ბედნიერება დიახ დაჩაგრული იყო  
და იმისათვის ვიყავ ისე ბერიკაცი და ახლა შენი ბედი დიახ სი-  
მადლეში არის მიწვენილი და ამან გამაყმაწვილაო. მერე ეს უთხრაჲ  
ჰე, ყარამან ის ჟამი არისო, რომ ლაშქარი შეიყარო და უშანგ ხელ-  
მწიფე მოჰკლა და ტახტიღამ გარდმოავლო და შენ გახელმწიფდეო.

ყარამანმა რა ესე გაიგონა. მაშინვე ბურჯ ვეზირის სწავლეები  
მოაგონდა. ყარამანმა ერთი მუჰა მიწა აიღო და უთხრა: თუ ამას  
თაყვანსა სცემ. მაშინ დავიჯერებ, რომ სწორედ შენ ჩემი ბედი  
ხარო. მან მიუგო: მე მაგას ცოცხალს თაყვანი არ ვეც, გინდა რომ  
მკვდრისათვის თაყვანი მაცემინოთო. მერმე ყარამანმა შეუძახა და  
უთხრა: ჰაი, შე წყეულო, ღმერთსა ჩემთვის ასეთი ბედნიერება  
მოუციბ, რომ სრულად ყაფის მთისა და ბარისა სააბყარანი ვარ.

ღმერთიც ჩემი მწყალობელია და ხელმწიფენიც. ესე თქვა და ჩუმაღ თილი ყამყამს ხელი მოავლო და ეშმაკს საკვდავად მოუქნია. ეშმაკი მსწრაფლად უჩინო შეიქმნა.

ესრეთ შეშინდა იმისგან, რომ ჯოჯოხეთამდინ სულ ერბინა. ჯოჯოხეთში რომ ჩავარდა, სხვათა ეშმაკთა ამბავი ჰკითხეს და მან უთხრა: ყარამანთან ვიყავი, მინდოდა მომენადირებინა, მაგრამ ვერ ვაცდენინეო. ყარამანმაც შეიტყო, რომ იგი ეშმაკი იყო. შესძახა: ღვთის სახელსა ვფიცავ, თუ კიდევ მოხველ, სწორედ ორად გაგკვეთო! მერე კიდევ ილოცა და ღმერთს ევედრა, რომ ეშმაკის საფრთხისაგან დამიხსენო. და ბურჯ ვეზირს აქებდა, რომ იმისის სწავლით მიხვდა, რომ იგი მაცდურნი იყო.

რა დილა გათენდა, ყარამან ნარიმანთან გამოვიდა და ერთობით დიდებულნი სალამში იახლენ. მეჯლისი გაიმართა და ყარამანმა იმ დამის ეშმაკისაგან გამოლაპარაკება ყველა წვრილად ბურჯ ვეზირს უამბო. ვეზირმა ყარამანს დიდი ქება შეასხა და იმ ეშმაკის სიტყვის მიუყოლობისათვის მადლობა მოახსენა და დიდად მხიარულებაში შევიდნენ. ამავე ჟამად ყარამანს შაფალი ფერისაგან წიგნი მოერთვა. ყარამანმა ბურჯ ვეზირს უბოძა, ვეზირმა ხმამალა წაიკითხა. იმა წიგნსა შიგან ესრეთ ეწერა: „ქვეყანასა ზედა უსწორო ფალავანო, თქვენის შვილიშვილის სამსავარის დაბადება ყაფის მთაში ყველგან გაითქვა და ყოველი სული ამას ცდილობს, რომ მაგას გრძნებით აუტეხონ რამე. მეც ამისათვის საჩქაროდ მოგახსენეთ. რომ ეს ამბავი თქვენც ასე იცოდეთ, რომ მაგ პატარას არავინ არ ავნოსო“.

ყარამანმა რა ესე მოისმინა, შაფალი ფერის დაუმაღლა და დიდსა მხიარულებასა მიეცა და ბურჯ ვეზირს უბრძანა: შენ რომ ადამისა და დავით წინასწარმეტყველის ლოცვები იცი, იგი ლოცვები ამა ყმაწვილს ასწავლე და ეგრეთვე მხარზედაც შეაბი, რომ გრძნეულობით არავინ არ ავნოსო. ყარამანმა და სარეიხურამანმა იმა ყმაწვილის გულისათვის ერთი წელიწადი იქავე შეიცადეს, რომ არავინ არ ავნოსო. მერე ნარიმანს გამოეთხოვენ და ინდოეთისაკენ წაუდნენ. რა ინდოეთს მიახლოვდნენ, სრულებით ინდოეთის დიდებულნი წინა მიეგებნენ და დიდის მხიარულებით დაუხვდნენ და ყარამან თავის ამალღებულს ტახტს დაბრძანდა და მეჯლისი მოიღეს.



დღესა ერთსა ფერაათ დიდებულნი და ჯინისტანის მეფენი მოვიდნენ ინდოეთსა და ყარამანის წინ თაჯები მიწასა დაახეთქეს და გლოვა და ტირილი დაიწყეს და ჰაზარიექ დასტისა დიდის მწუხარებით შესჩიულეს. ყარამანმა უბრძანა: ვინ არის, ან რას სჩივით, ამას ამბავი სწორედ შემატყობინეთო! მოახსენეს: ყათის მთაში ერთი დევი გამოჩნდა, სახელად ჰაზარიექ დასტი ჰქვიანო. ათას ერთი ხელი აქვს, მაგრამ თითო და თითო ხელი დიდი ჩინარის ხის სიგრძე აქვს და თვით ერთის დიდის მთისოდენი სიმაღლე და სისქე აქვსო. იმა ათას ერთის ხელითა სულ სხვადასხვა საომარ იარაღს ხმარობსო. თქვენის პაპის ქეიომარს ხელმწიფის ღროშაც იმასა აქვს და ყათის მთაში მრავალი უსამართლობა უქნია ამასაო.

ერთსა ღროსა ყათის მთაში მყოფთა, სულ ერთიან პაპის თქვენისათვის შეეჩივლათ იმა წყეულის გამო. ზეჲ ხელმწიფე წაბრძანებულიყო, მიხდომოდა ყათის მთაში და, შეწვევითა ღვთისითა, დაემარცხებინა და შეეპყრა. ერთსა დღესა ფირსანღრის ფარვით განეთავისუფლებინა ეს წყეული და მაშინვე წავიდა და გარდაყარგულიყო. ზულუმისტანში ჩაპრილიყო, რომელ არს ბნელეთის ქვეყანა. იმ დღიდან ამ დღემდის ხელმწიფის ქეიომარსის შიშით ვეღარ ამოვიდა. ახლა ის წყეული ყათის მთაში შემოსულა და სულ მთლად დაუმონებია. რომელიც თქვენ დევნი მოაქციეთ, ისინიც დიდად გვედრებინან, რომ თქვენს სარწმუნეობაზე ვართ მოსულნი და საბაოთ ღმერთს ვილოცავთო. და თუ რომ ამა წყეულსა ხელიდან არ გვიბნისით, ჩვენც ამოგვწყვეტს და ეგრეთვე ჯინისტანს და ფერაათ სულ ააოხრებსო. დღეს ყათის მთაში იმისი მოპირდაპირე არავინ არისო. ესე თქვეს და გულხელი დაიკრიფეს და ტირილი იწყეს.

რა ყარამანმან ესე მოისმინა, მცირე ხანს დაფიქრდა და მერე ბურჯ ვეზირს უბრძანა: იგი წყეული ჰაზარიექ დასტი ვინ არის და ან მისი ცხოვრება რაგვარია, მითხარო! ვეზირმა მოახსენა: საბაყარანო, ამჟამად იმისი მომრევი არც დევნი, არც ფერაიანი და არც არავინ სხვანიაო. იმას ომს ვერავინ გაუსწორებს ამისათვის, რომ ათას ერთი ხელი აქვს და თითოს და თითოს ხელით სხვასა და სხვასა იარაღს იხმარებსო. ის წყეული მეტად ძალიანი რამ არისო. პაპაშენმა სძლია და იმ გზით გარდაურჩაო. ახლა, ამჟამად გარდარჩომილი გამოჩენილა, მაგრამ, ფალავანო, იმას შენის ხელით სიკვდილი არ უწყრიანო.

ის სოლომონ ბრძნის ღრმდინ უნდა იყოსო ცოცხალიო. ფალავანო, შენ იმისგან დიდად უნდა გაფრთხილდეო. და მრავლის გზით უქადავა და მრავალი მცნებაც მოახსენა.

ყარამანმა უბრძანა: ვეზირო, ამას გეხვეწებო, რომ შენს კეთილს ლოცვაში არ დამივიწყო, მაგრამ ამაზედ კი ხათრიჯამი იყავ, რომ მე იმაზედ მიუსვლელობას ვერ მოვიტმენო. მე რომ იქ არ წავიდე, ამას იტყვიან, ყარამან საბაბყირანობის დავასა სწევს და საბაბყირანი დაირქვაო, ფერიანი და ჯინისტანის დიდებულნი მივიდნენ და ერთის დევისაგან ასრე შესჩივლეს და არ წავიდაო. ამ სიტყვის თქმას სიკვდილი მიჩვენიაო!

საჩქაროდ თავისის თორმეტის დევებისაგან ერთი სამან დევი დაიბარა და მეორე რადინარა. საჩქაროდ მოვიდნენ. ფალავანმა სამანდურ ჰაზარიექ დასტის ამბავი ჰკითხა სამანსა. და ამან მოახსენა: ფალავანო, თუ თქვენგან მოწყალეა არა დაგვემართა რა და არა გვიშველეთ რა, სულ ხმელეთს ააოხრებსო. ყარამანმა უბრძანა ამა დევთა: თქვენ თორმეტი ახლავე მოემზადენითო და სხვა ამაზე მომატებული არავინ წაიყვანა. სხვათა უთხრა: საითაც ის წყეული გამოჩნდეს, მაცოდინეთ, რომ მაგიერი მივაგოო. მერე თავის ვეზირს დავედრა: მე წავალ ჰაზარიექ დასტის შესაბამელად. თუ ვინ იცის, მე იქ ამიტეხოს რამე, ჩემს შვილს ხარიმანს უთხარ, იმის ბრძოლას დაეხსნას და პატარა ქუჩუყ ყარამან ასე ფრთხილად შეინახოს, რომ დევთა და ფერიათა გრძნებით არა აუტეხონ რაო. თუ მე იმან ამიტეხა რამე, ჩემის სისხლის აღება იმას შეუძლიანო. და შენ ღმერთს შემავედრე ხოლმეო!

ეს ბრძანა და თავის საომარი იარაღი მოითხოვა და მოართვეს. თილი ყამყამი წელთა შემოირტყა. თახმურად ხელმწიფისეული ხანჯალი შეიბა და ეგრეთვე ქეიომარს ხელმწიფისეული გურზი ხელთა დაიჭირა. ყარამან ადამიზადზედ შეჯდა. ეგრეთვე რადინარა დევმა მისის საომარი იარაღი აიღო. აწყაფუზ დევმა მისი შემფაიბარი შეისვა, ილაილ ავთას დევი და ეგრეთვე სხვანი ყარამანს შემოეხვივნენ და ჰაერში აფრინდნენ და სამანდურ ჰაზარიექ დასტისაკენ გაემართნენ და წარვიდნენ. სარვინურამან დიდის ტირილით გამოესალმა ასე, რომ ძლივს მოაშორეს. ეგრეთვე ინდოეთის დიდებულნი ყველანი ცრემლით ღმერთს ავედრებდნენ და ყოველი პყრობილნი თავისუფალ ჰყვეს და გლახაკთა მრავალი უბოძეს. და ესენიც ყარამანის სიცოცხლეს ღმერთს სთხოვდნენ.

მათ ჰაერით ასე მალლა იარეს, რომ ყარამანია-ქალაქის პირდაპირ რომ მივიდნენ, იგი ვეება ქალაქი მცირეს ფარისოდნად გამოჩნდა. შვიდი დღე და ღამე ასე მალლად იფრინეს. მერვესა დღესა ცოტა რომ ძირს დაიწიეს, ყარამანმა ერთის მინარის სიმალლისოდენი რაღაც დაინახა. ერთი მინდორი ასეთი იყო, რომ მშვენივლით სამოთხეს ემსგავსებოდა. იმა მინდორსა საშუალსა ალაგსა მწვანე ზურმუხტითა გუმბათი აეგოთ. ესრეთი უცხოოდ და წმინდად იყო ნაგები, რომ ამა დევთა მიმავლობის სახე სულ იქილამ სჩანდა.

რა ყარამანმა იხილა, დიდად მოეწონა და სამან დევსა უბძანა: ესე ვისი აშენებული არის და ან ამის აშენებელს რა ერქვა, არა იცი რა ამისი ამბავი? მითხარო! სამან დევმა მოახსენა: ესე სულეიმანის გაკეთებული არისო, სულეიმან ხელმწიფე დიხს დიდებული რამ იყო. ამა გუმბათსა შიგან ერთი საზარელი დევი აბია. ასეთი საზარელი რამ არის, რომ აქედამ აეშვას, სულ ქვეყანას გაოხრებს ასე, რომ იმისი წინააღმდეგობა აღარავის შეუძლიანთ. ყარამანმა რა ეს მოისმინა, მაშინვე იქ ჩამოხდომა ბრძანა და ჩამოხდნენ და კაის განსასვენებელს ალაგს დადგნენ. მსწრაფლად დევთა მრავალი უცხო და უცხო ნანადირევი მოიტანეს. იმ დღეს, იმ ღამეს იქ განისვენეს.

რა დილა გათენდა, ყარამანმა ილოცა და დიდის ვედრებით ღმერთსა სთხოვა ძალი და იმ დევის შორევა. რა ლოცვა გაათავა სამან და თორმეტი თავისი დევები იხმო და სულეიმან ხანის გაკეთებულის გუმბათისაკენ მისვლა ბრძანა. და მივიდნენ. დიდად განჰკვირდნენ, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერას ნახავდა. რა ყარამანმა იგი გასინჯა, ჯაჰვის კალთა სარტყელსა ჩაირჭო და იმა გუმბათსა სრულებით შემოუარა და კარი ვერსაით უბოვა. მერმე შეხედა, ჩრდილოეთის მხრისაკენ ერთი ბანი დაინახა. მაშინვე სამანს და თორმეტს თავის დევს უბრძანა: თქვენ აქ იყავით, მე წავალ და იმას გავსინჯავო. რა ეს გაიგონა. მაშინვე სამანმა დაიჩოქა და შეეხვეწა: ყარამან, საბოთ ღმერთს გაფიცებ და შენს ჩამომავლობას, რომ იგი პერობილი დევი არ განათავისუფლო, თორემ სულ ქვეყანას ააოხრებს. ყარამანმა უთხრა: სამან, ნუ მათიცებ, ჯერ ავალ, ვნახავ და მერე იქნება დაგიჯერო.

ყარამანმა თავისი ქამანდი შესტყორცნა და იმა ბურჯისა ერთსა კუთხესა მოსდვა და, ვითა დედა ზარდლი, მას ქამანდსა ზედა ეგრე მსწრაფლად აირბინა. რა დევებმა ყარამანისა ეგრე მსწრაფლად ასვლა და სიმსუბუქე იხილეს, დიდად გაოცდნენ და თქვეს, ეს-

რეთ დიდი ფალავანი ასრე მსწრაფლად და მსუბუქად როგორ ავი-  
დაო?! მოეწონათ და მრავალი ქება შეასხეს. რა ყარამან გუმბათს  
ავიდა, თავისი ქამანდი ეროსა კუთხეს მაგრა მოაბა და თითონ იმ  
ქამანდით გუმბათს ჩაეშვა.

ინიდა, რომ იგი გუმბათი სულ ლაქვარდით იყო გაღესილი და  
მრავლის უცხოს და უცხოს ხელოვნებით იყო ნაშენები და დიდად  
მოეწონა. ოთხივე მხარე მოვლო და იგი პყრობილი დევი ვერსად  
ჰპოვა. მერე თქვა: სამანმა მომატყუა, თუ რა არისო? ამოსვლას ლა-  
მობდა. ამავე ჟამს ერთი კვენისის ხმა მოესმა, დიდნანს მიმოიხედვი-  
და და იგი კვენისის ხმა საიღამ ისმოდა, ვერა გაიგო რა. სრულებით  
რომ გასინჯა, ნახა, რომ სადაც თითონ იდგა, იმის ფეხქვეშ სამა  
აღყა ეყარა. და დიდის ოსტატობით იყო გაკეთებული ასე, რომ თუ  
არ დიდის მეცნიერებით, მის ხელოვნებას კაცი ვერ მიხვდებოდა.  
ყარამანმა ხანჯლის წვერით იგი აღყები გამოაჩინა და ასეთი მოს-  
წია, რომ იგი მოკირწყლული ალაგი მოგლიჯა.

რა იგი მარმარილოს ქვა მოგლიჯა, ერთი დიდი ზარბაზანი გა-  
მოჩნდა და ორმოცდაათის ფეხის კიბე ჩავიღოდა. რა ყარამანმა იგი  
ნახა, ღეთისა სახელი ახსენა, იგი კიბე ჩავლო და შიგ ჩავიდა. ნახა,  
რომე ასეთი ბნელი იყო, რომ არაფერი არა სჩანდა რა. მერე ქეიო-  
მარსისეული გურზი ამოიღო, ხელთა დაიჭირა და იგი საპყრობილე  
სრულებით განათლდა. ყარამან ერთის ფოლადის კართან მივიდა  
და ნახა, რომ დიახ მაგრა იყო დაკეტილი. ყარამანმა დიდის ცდით  
გააღო. ამა კარისა გაღებაზედ ისეთი საშინელი ხმები გამოვიდა,  
რომ კაცი გაოცდებოდა. შერე მას საპყრობილეში შევიდა.

იმა სახლისა ძირსა დიახ დიდი და საუცხოვო რამ ტუსალხანა იყო  
გაკეთებული თლილის ქვისა და იმ ტუსალხანას ასსამოცდაათი  
რკინის ფოლადის სარტყელი ჰქონდა შემოკრული მაგრად. ამა  
სარტყელზედ სამი გურზი იყო გაკეთებული. ამა ტუსალხანის სა-  
შუალ ალაგს ერთი მარმარილოს ტახტი იყო დადგმული. იმ ტახტსა  
თორმეტი ფეხი ჰქონდა. იმ ფეხებს საშუალო ერთი დიდი ხედი-  
დევი იყო დაბმული. ასეთი საზარელი სანახავე იყო, რომ კაცს შეა-  
ზარებდა. იმა დევსა ოთხასი იწყრთა სიმადლე ჰქონდა და ეგრეთვე  
ოთხასი თავი ჰქონდა. თისო თავი დიდი მთისოდენა ჰქონდა. ერთი  
თავი სპილოს მსგავსი თავი ჰქონდა და მეორე თავი ლომის მსგავსი  
თავი ჰქონდა, მესამე მარტორქის თავს უგავდა და მეოთხე — მა-

მალს უგვანდა. და სამას ოთხმოცდაცხრამეტი ხელი ჰქონდა. თითო და თითო ხელი თითოს მინარის ოდენა ჰქონდა. თვალები ფარის ოდენი ეყარა, პირები დიდს გამოკვეთილს ქვაბებს უგვანდა, ფეხები კაცს უგვანდა და კუდიცა ქონდა ვეშაპის თავის სახედ და ხმაც ვეშაპის ხმას უგვანდა. იმ თორმეტს სვეტზედან იმისი სამას ოთხმოცდაცხრამეტი ხელები დიდროვანის ჯაჭვებით მიბმულიყო და იმ ტახტსა და სვეტებზე განრთხმული იყო. და იმა ჯინჯილებით მაგრა შეეკრათ.

რა ფალავანმა ესრეთ იხილა, დიდად გაუკვირდა და ღმერთსა მადლობა მისცა ამისთანას საკვირველის სანახავეებისათვის. მერნე წინ წადგა და იმა დევსა დევურის ენით ელაპარაკა. მაგრამ დევმა პასუხი არ გასცა. ყარამან დიდად განრისხდა და ერთი ესეთი შესძახა, რომ ამა არემარემ სულ რყევა შექნა. რა დევმან იგი ხმა გაიგონა, მოიხედა და ნახა, რომ ყარამან წინ უდგა. დევაც განრისხდა. ერთი ასეთი მიიწივ-მოიწივა, რომ ჯაჭვები დაწყვიტა. შეორედაც ლამოდა, რომ რაც დარჩენილი იყო, იგიც სულ დაეწყვიტა.

იმჟამად ჰაერით ერთი კაცი გამოცხადდა. მშვენიერის სახისა იყო, ხელთა ფოლადისა მათრახი ეპყრა. ეგოდენი სცა თავსა იმა დევსა, რომ დაბნიდა. მერნე მობრუნდა იგი კაცი და ყარამანს თავი დაუკრა და მოახსენა: სააბყარანო წვილიობა შენი ნახეაო, მუმბარაქი იყოს თქვენი აქ მოსვლაო! რა ყარამანმა გასინჯა იგი კაცი, მეტად მოეწონა, რომ იმისთანა მშვენიერი არა ენახა რა. კაცი ეგონა, მაგრამ ორი ფრთა ჰქონდა. ყარამანმა ჰკითხა: ძმაო, ვინ ხარ და ან ესე დევი ვისი დაბმულიაო? ამისი ამბავი ბრძანეო.

მან უთხრა: ეს დევი სულემან მეფის დაბმულია და სულემანის ამბავი ხომ გაგიგონია, რომ დიდი ხელმწიფე იყოო?! ესე დევი იმის მტერი იყო. ამა დევმა ჯარი შეიკარა და სულემანს მიუხდა. ბრძანებითა ღვთისათა შეიპყრა და აქა დაატუსადა. მერნე სულემან მხურვალის გულით ღმერთს ევედრა, ამა დევისათვის ერთი ქეშიკი დაეყენებინა, რომ ეს დევი ამა საპყრობილიდამ აღარსად გაჰპაროდან. მხურვალედ ვედრება ღმერთმან უსმინა და შვიდნი ანგელოზნი გაუჩინა მცველად. იმა შვიდთაგანი ერთი მე ვარ და სახელად შამილ მქვიანო. ყოველდღივ მოკალთ და ამ წყეულს სატანჯველს უმატებთო. ესე დევი ღვთის ბრძანებით დავით წინასწარმეტყველის შვილის სოლომონის დრომდის ამა საპყრობილესი უნდა იყოსო.

ყარამანმა ჰკითხა: ჰეი, შამილ, ხელმწიფევე ჩემო, ესე დევი ამა

საპრობილიდამ რომ გავანთავისუფლო და მე დავიმორჩილო, არ იქნება? შამილმა უბრძანა: ესე ის წყეული დევი არის, რომელიც სულეიმან ხელმწიფისთანა წინასწარმეტყველს არ დამორჩილდაო. მას სახელად საფი ჩარსარ ჰქვია. შენ ამის სიგამხდრეს და ასე ძაბუნობას ნუ უყურებო. ეს თუ ამ საპრობილიდამ განთავისუფლდა, ქვეყანას ააოხრებსო.

რა ყარამანმა ესე ესრეთ მოისმინა, ხელი აიღო. მერე ეს ჰკითხე შამილს: მე სამანდურ ჰაზარიეჟ დასტის საომრად მივალ და შენ რას მიბრძანებო? შამილმა უთხრა: შენ სულეიმან ხანისეული გურზი გამოიჭანე. ის წაიღე და იმ გურზის ძლიერებით იმ დევს სძლე-ვო. იმა საპრობილიდამ გამოვიდნენ და მეორეს სახლში შევიდნენ. ნახა, იმ სახლსა საშუალ ერთი გურზი იდვა და სამას ოთხმოცდა-თორმეტი ფოლადის ბურთები ეკიდა. ესეთის ხელოვნებით იყო გა-კეთებული, რომ ყარამან დიდად გაკვირდა. მერმე ხელში აიღო, ღვთისა სახელი ახსენა და ხელში მსუბუქად შეითამაშა და ისევ ძირს დასდვა. შამილს დიდად მოეწონა ყარამანის ძლიერება და ლოცვა ჰყო.

მერე უბრძანა: აიღე ეგე გურზი და ღმერთი გიძლოდესო. ყარამანმა მადლობა მოახსენა და იგი გურზი ხელთა იპყრა და კარში გა-მოვიდა და შამილს გამოესალმა. სადაც იგი ჭამანდი იყო დამოკი-დებული, იმ ჭამანდს მოეხვია და მალა ამოვიდა და იგი გურზი ძირს ჩამოაგდო. იმა გურზის ძირს დაცემაზედ ასეთი ხმა გამოვარ-და, რომ ამა ხმის გაგონებაზედ სულ ჰკუთისაგან შეიშალნენ. დევები გაქცევას აპირებდნენ. მერმე სამან დევმა დაუშალა: არ იქნებაო, არსად წახვიდეთ სწორეს ამბის შეტყობამდინაო! ვინ იცის, ყარამან ისევ ცოცხალი გარდარჩენოდეს იმ დევსა და აჟ მოვიდეს და ჩვენ აჟ აღარ დაუხვდეთო, მერე ღმერთთან რა პასუხი გავცეთო? ჭრავინ გაუშვა. ყველას გული შეუმაგრა.

ამას სიტყვაზედ მიხედეს და ყარამან ჭამანდით იმა ალაგიდამ ძირს კი ჩამოეშვა. რა ამათ დაინახეს, დიდად იამათ და მივიდნენ და ხელსა აკოცეს. მერე ყარამანმა იმა საპრობილის ამბავი ყველ-ს ვითელულად უამბო. დიდად გაუკვირდათ. მერმე სამანმა მოახსენა: ჟალავანო, ასემც ღმერთი იყოს თქვენი მადლიერი, როგორც იმ დე-ვის გამოუყვანლობისათვის მე ვარ თქვენი მადლიერი. თუ იქიდან გამოგეშვათ, ქვეყანას ააოხრებდაო. მერე ამავე დევთა ჩვეულები-სამებრ ზოგმა შეშვიაიბარი მოიკიდა, ზოგთ იარაღი აიკიდეს და სა-

მანდურ აზარიეკ დასტისაკენ წავიდნენ. შვიდი დღე და ღამე იარეს და ფასკუნჯის სამყოფს ალაგს მივიდნენ. ფასკუნჯი საჩქაროდ წინ მოეგება. ყარამანმა ფასკუნჯი შორით მომავალი იხილა და მის ფრთის ცემა და მომავალობა ცასა ფარავდა.

რა ახლოს მივიდა, ფალავანს სალამი მიართვა და ერთმანეთს მიესალმნენ. რა ყარამანთან მყოფთა დევთა ფასკუნჯი იხილეს, დიდად განკვირდნენ და გაოცდნენ მის ეგრეთს სიღრდესა და სიტურფესა. იგი ფასკუნჯი ისრეთი დიდი იყო. რომ ტანი ერთს დიდს მთას უგვანდა. იმა ტანისა შესაფერი ორი მწვანე ფრთა ესხა აქეთ და იქით და ტანს სულ ყვითლის ზაფრანის ფერი ბუმბული ესხა. თავი წითელს იაგუნდს უგვანდა. ორი თავი ება; ერთი თავი ანდამატის ქვას უგვანდა, მეორე — მფრინველის თავსა. იმა თავიღამ ადამიანის ენას ლაპარაკობდა, ნისკარტი აღმასისგვარა ჰქონდა. თუმცა იგი ნისკარტი ფოლადის კლდისათვის შემოეკრა, შუა გაუჩხელს არ გაუშვებდა. და ტანის ბუმბული უცხო სხვადასხვა ყვავილების ფერი ჰქონდა.

ყარამანმა ესრეთ მოიკითხა და მოახსენა: ეი. ყოველთა მფრინველთა ხელმწიფეო, კმადლობ ღმერთსა, რომ თქვენის პირის ხილვა კიდევ გვეღირსაო! მანაც მადლობა მოახსენა და უთხრა: საბუყარანო, თქვენგან ფეხდადგმული ალაგი დიდს ბედნიერებას მიიღებსო. თქვენ რომ აქ მობრძანდით, მე დიდად მადლობელა ვარ ღვთისა. მერე წინ გაუძღვა და თავის ბუდესთან მიიყვანა. იგი ფასკუნჯის ბუდე ესრეთ დიდი იყო, ერთს დიდს ქარვასლასა ჰგვანდა. მაგრამ ყარამანს თუმცა პატარა ბროლი აზამის მთა გარდაეკლო, მაშინაც ენახა და მას აქეთ ესენი მეგობრობდნენ და იგი ბროლი აზამის მთა ამა ფასკუნჯს ვარდაეტარებინა და ჯამი ჯუნუშის ციხეში მიიყვანა. რომელიც ყარამანის პირველს წიგნში არის მოხსენებული, მაგრამ მცირე რამ ამა ფასკუნჯის დასასრულის ამბავი აქაც მოისმინეთ.

### აქა ფასკუნჯისა და ყარამანის უმუხარა და მცირე რამ ამათი ამბავი

ყათის მთაში დიახ უცხო საკვირველი მთები იყო. იმ ფასკუნჯის სამყოფს ალაგს ფერა ზურმუხტისა ჰქონდა. ასეთი რამ იყო, რომ ზეგარდმო ღვთის მიერ გაკეთებულსა ჰგვანდა. იგი კლდეები და იმა კლდისა გარეშემო მრავალი უცხო და მაღალი ხეები იდგა და იმა

ხეებზედ მრავალს უცხოს დიდროვანს მფრინველთ ჰქონდათ ბუდე-  
ები და იმ ფასკუნჯის მონებასა და მორჩილებას ჰქვეშ იყვნენ. იმა  
კლდისა საშუალ ერთი მაღალი და საკვირველი კლდე იყო. თუმცა  
კაცსა ყურება დაეწყო, ამას იტყოდა, ამ კლდის წვერი სწორედ ცაში  
არისო მიბჯენილი. იმა კლდესა ერთი უცხო მდინარე წყალი გა-  
მოსდიოდა. ასეთი წყალი იყო, რომ რომელიც იმას დაღვედა, მა-  
შინვე სნეულებისაგან განიკურნებოდა.

რა ფასკუნჯმა ყარამან თვისსა სამყოფსა მიიყვანა, მერმე წარ-  
ვიდა და მრავალი უცხო და უცხო მფრინველი ინადირა და მოარ-  
თვა. მოახსენა: ჩვენ თქვენებური შეწვა არ ვიცითო და მზარეულთ  
უბრძანეთ და თქვენ ნებად გააკეთონო. მერმე კიდევ წავიდა და  
მრავალი უცხო სხვადასხვა ხილი ტოტებით დაამტვრია და მოიტა-  
ნა და წინ დაუწყო. მერმე ყარამანმა მადლობა მოახსენა და უთხ-  
რა: მე შენთან შექცევისა და მუსაიფობის მეტი არა მაკლია რაო.  
იგი ღამე სულ შექცევით გამოიარეს. მერმე ფასკუნჯმა მოახსენა:  
ფალავანო, ნუ გამიწყრებით და თქვენის აქა მოსვლის მიზეზი რა  
არისო? ყარამანმა მიუგო: ყოველთა მფრინველთა ხელმწიფეო, მე  
სამანდურ აზარიეჟ დასტისაკენ საომრად მივალო. მრავალი სული  
მოვიდა და იმის მაგიერ შემომჩივლეს ასე, რომ ყაფის მთა სულ  
გაუოხრებია და წაუხდენიაო. ყოველთა მფრინველთა ხელმწიფეო!  
თუ რომ ამ ძმობასა და ამ სიკეთეს მიზამ, რომ ჩემთან წამოხვალ,  
დიდს ძმობასა და ამჰანაგობაში ჩაგიგდებ და დიდად დაგიმადლე-  
ბო. წავიდეთ, ეგებისინ წყეული მოვკლათ და ჰქვეყანა იმისის შეწუ-  
ხებისაგან დავიხსნათო.

რა ფასკუნჯმა იგი სიტყვა გაიგონა, დიდხანს დაფიქრდა და მო-  
ახსენა: სააბყარანო, მოდი, თქვენ ამ სოვდაგრობაზედ ხელი აიღეთ  
ამისათვის, რომ იმას ათას ერთი ხელი აქვს და თითო-თითოს ხე-  
ლით სხვადასხვა იარაღს ხმარობსო. შენ რომლის ერთის მაგიერს  
რასმე მოუგებო? ორი ხელი გაქვსო და იგი წყეულიც თურმე დიდი  
ძლიერი არისო. მერმე ყარამანმა მიუგო: მაგას ყველას სწორედ  
მირჩევო. მაგრამ მე ასეთი სევდა დამემართა, თუ რომ იმას არ შე-  
ვები. უთუოდ ეს სევდა მე მომკლავსო. მე ამას გთხოვ, რომ ამა  
წყეულის სამყოფს ალაგამდისინ მიმიყვანო და იმის ომსაც ღმერთი  
შემაძლებინებსო.

ფასკუნჯმა მოახსენა: ფალავანო, მე სულეიმან წინასწარმეტყვე-



ლისაგან მაქვს თქმული, რომ ამისი აღსასრული შენის ხელით არ არისო. იმან სოლომონ წინასწარმეტყველის დრომდინ უნდა იცოცხლოსო და იმ სოლომონ წინასწარმეტყველის დროს ერთი სააბყარანი იქნებაო, დიდი ძლიერიო და სახელადაც მას ქუჩუყ ყარამან ერქმევის და მეტი სახელი კიდევ სამსაყარ ერქმევისო. სააბყარანობასაც ისი იქსო და ის წყეული დევიც იმისგან მოკედებაო. და ოთხმოცდარისი სამეფოს წინააღმდეგი და დამამშვიდებელი იქნება; რომ ვერც ერთი მხარე იმის ომს ვერ შეიძლებს და უსწორო ფალავანიც გამოვა და ყველას თავის ხლმით დაიმორჩილებსო. სამანდურ პაზარიექ დასტი და ის დიდხანს იომებსო. მერე ქუჩუყ ყარამან დაიჭერს და სოლომონ ბრძენს მიპკვრისო. და ამა დევის დაკერის უკან სამასი წელიწადი კიდევ ქვესკნელს ჯინისტანთ და ეშმაკთ თესლთ უნდა ებრძოლოს და სულ დაიმონოსო. საკვირველი რამ იქნებაო.

რა ყარამანმა ესე მოისმინა, შეიტყო, რომ, რომელიც ბურჯ ვეზირმა თავის შვილიშვილის ქუჩუყ ყარამანისა უწინასწარმეტყველა, ამანაც ესე უამბო. მერე ყარამანმა უთხრა: ყოველთა მფრინველთა ხელმწიფეო, რომელიც ფალავანი შენ მითხარი, ისი ფალავანი ღეთისა მოწყალებით დაიბადაო, ჩემის შვილის ნარიმანის შვილი არისო. ახლა შვიდის წლისა შესრულდაო. რა ფასკუნჯმა ესე გაიგონა, დიდად იამა და მოახსენა: ფალავანო, გაუფრთხილდი, რომ დევთა და გრძნულთა არა აუტეხონ რაო და ღმერთმან დააფაროსო. ყარამანმა პკითხა: ჩემი შვილის ნარიმანისას რაღას მეტყვიო? ფასკუნჯმა მიუგო: ნარიმან იმისი მსგავსი არ არისო. ნარიმან ამპარტავანი, ავგული და ავსული, ხარბი და კაცის შეურჩომელიაო.

ესე სიტყვები დასრულდა და ფალავანი წასასვლელად მოემზადა. ფასკუნჯმა კიდევ შლა დაუწყო. ყარამანმა შეჰფიცა: ჩემგან დაბრუნება აღარ ეგებისო. თუ შენ ამა მთას არ გარდამატარებ, სწორედ ქვეითად წავალო. რამ ფასკუნჯმა ყარამანისაგან ესრეთ გულმოდგინედ წასვლა მოიხილა, ამანაც დიდი ქება შეასხა და მოახსენა: დიახ ვიახლები და არც მოგშორდებიო. რა დილა გათენდა, ფასკუნჯი განზედ გავიდა და ლოცვად დადგა და ღმერთს მხურვალედ ევედრებოდა. ამის ლოცვის ხმაზედ ასეთი საშინელი მაღალი კრჩიალის ხმა ისმოდა, რომ კაცი ერთიმეორეს ველარას გააგონებდა.

ამა სიმრუდისაგან უარამანის წაყვანა სამანღურ  
აჯარინა ღასტის ღევისა, რომელსა ათას ერთი  
ხელი აჰვს, მის შესაგმელად

რა ყარამანმაც ლოცვა დაასრულა, მოვიდნენ დევნი ჩვეულები-  
სამებრ. ზოგმა ყარამანის იარალი ზურგთა აიკიდეს, ზოგმა შეშფი-  
ბარი და ზოგთა სხვა, ვით ჩვეულება ჰქონდათ, აიკიდეს და წაიღეს.  
ჰაერში დადგნენ და ყარამანის მისვლას ელოდნენ. მერე ყარამანიც  
შეიჭურვა საომარის იარალითა. სიმრულსა შეჯდა და ჰაერში შეფ-  
რინდნენ და წავიდნენ, მაგრამ იგი ფასკუნჯი თითოს ფრთისა მოქ-  
ნევაზედა რამდენსამე აღაჯს გაივლიდა. შეიდი დღე და ღამე ჰაერ-  
ში იარეს და მერვესა დღესა ცეცხლის მთასა მიაწიეს. იგი მთა ასე-  
თი დიდი რამ იყო, რომ თვალი არ გარდღუწვდებოდა. ყარამანმა  
ჰკითხა: ამა მთას იქით რა თემი უნდა იყოსო? ფასკუნჯმა მოახსენა:  
ამ ცეცხლის მთას იქით ბნელეთის ქვეყნის სამძღვარი არისო და თუ  
მიბძანებთ, იქა ჩამოვხდეთო. ღიახ კარგი იქნებაო.

იარეს და ერთსა გორაზე ჩამოხდნენ. ის დღე და ღამე იქ განისვენ-  
ნეს. მერე ყარამანმა ჰკითხა: ამა სიახლოვეს შენობა არის რამეო?  
მან მოახსენა: ამა ცეცხლისა მთის სიახლოვეს ღიახ მრავალნი დევნი  
და ფერიანი ცხოვრობენო. მაგრამ ამა ახლო ყამებში ერთმა დევმა  
იბუდა აქაო, რომელსაც სახელად სამნარა ჰქვიანო. ჩემი ღიახ მო-  
სისხლე მტერი არის და ნიადაგ მტერობსო. ერთხელ ქუბულურს მი-  
ვიდოდი და მე და ის შევიბენითო. მე ერთი ფრთა შემოვკარ და  
შევბნიდეთო. და შებნედილი წავიდა თავდაღმა. მე ჩემის გზას მივე-  
შურებოდი. უკან გამომდგომოდა და ველაბ: მომწეოდაო. თუ შენ  
იმას აუტეხ რასმე, ამა ქვეყნის მადლით აივსებო. სამანმაც მრავა-  
ლი საჩივარი რამ მოახსენა იმ დევისა:

მერმე ყარამანმა უთხრა: თქვენ ღმერთსა ეხვეწებით, რომ იგი  
წყეული ხელში ვიგდო, თორემ იმით ჯავრს კი ამოვყრითო. ფას-  
კუნჯს ჰკითხა: იმისი სამყოფი სწორედ იციო? მან მოახსენა: ამა  
ცეცხლისა მთის სიახლოვეს მრავალი ქვაბები არის გამოჭრილი და  
ქალაროები და იქ იმყოფებაო. ყარამანმა ჰკითხა: ფასკუნჯო, რო-  
ჰელსაც მალაროში არის, ვიპოვითო? ფასკუნჯმა მოახსენა: ვიპოვი-  
თო. და თუ რამ იმას მოვკლავთ, ამ ქვეყნებსაც დიდად შეემატება  
ამისთვის, რომ ნიადაგ ადამიანის ხორცის მჭამელი არისო. წავა და  
რამდენსამე ადამიანს შეიპყრობს და იმა მალაროებში მიიყვანს და  
დიდის წვალებით მოჰკლავსო და მერმე შესტამსო.

რა ესე მოისმინა, ფალავანი აღივსო გულის წყრომითა და სამანს უბძანა: ეხლავე ამა ყაფის მოიხა ლაშქარი, დევნი თუ ფერიანი. სულ აქ უნდა მოაწვიო. საჩქაროდ დევნი გაგზავნეო! მანაც თავი დაუკრა და ბრძანებული აღასრულა. საჩქაროდ იწყო დევთა ლაშქარმა მოსვლა და თორმეტი ათასი ხვალი დევი ყარამანის სალამში იახლენ და ხელთ აკოცეს. შერე კიდევ სამანს უბძანა: შენ უნდა ახლავე წახვიდე და რამდენიმე დევნი თან გაიყოლე და იმა წყეულის სადგომი ეხლავე მიპოვეთო. სამანმა თავი დაუკრა, გამობრუნდა. ორმოცი დევი გაიყოლა და წავიდნენ.

ამა ქვაბებისა და მალაროების წინ ერთი წყალი ჩამოდიოდა. იმა წყლისა პირსა ჩამოხდნენ და სამანმა ოცი დევი გაგზავნა მალაროებისაკენ იმა დევის დასაზვერაჲად, შეიტყევეითო, რომელსა მალაროში იმყოფებო. იმა დევთა იგი ალაგი სრულებით მოვლეს და მის დევის სადგომი ვერ იპოვეს. სამანისაკენ წამოვიდნენ. მომავლობაში ერთსა დიდსა ქვაბსა და მალაროს შეხედეს. იმის გასინჯვაც პოინდომეს. შევიდნენ და ველარ გამოვიდნენ. სამანმა ეს დიდად იწყინა და ათი დევი კიდევ გაგზავნა. ისინიც შევიდნენ და ველარ გამოვიდნენ. რა რომ ისინიც ველარ მოვიდნენ, შერე სამან წაიდა ათის დევებითა. იგი ქვაბები დაიარეს, მაგრამ ამა დევებისა სულ ვერა გაიგეს რა.

გამობრუნებას ლამობდა და სამანმა სთქვა: ამათის ამბის შეუტყობრობასაო სიკვდილი მირჩვენიაო. ამათ ერთობით ყველამ ჰეჯითად ძებნა დაუწყეს და საითაც მათ დევთა გაეცლოთ, სამანმა მათი კვალი იპოვა. მას კვალსა გაჰყვნენ. იარეს და ეს ოცდაათი დევი, ამათგან გაგზავნილი. სულ ერთს ალაგს მკვდრები. ეყარნენ. რა რომ ესრე იხილეს. სამანმა ორი ზელი თავში წაიშინა და მრავალი იტირა. ეგრეთვე სხვათაც. განვლო იგი ალაგი და მრავალი უცხო გამოკვეთილი შენობები ნახა. ამა მალაროში ერთი ვალავანი შემოევლოთ, რომ სიმაღლითა იმა კლდისა პირდაპირ შეესწორებინათ. და იმა კლდისა საშუალსა ალაგსა დიან დიდი და მაგარი ფოლადის კარები ება.

რა სამანმა ესე იხილა, შეიტყო, რომ იგი წყეული დევი სამნარა იქ იმყოფებოდა. სამანმა თქვა: თუ რომ შევიდე, ვაი თუ შემიტყოს და გამოვიდეს და გამექტეს, სადლა ვიპოვნიო? თუ რომ არა — აქ მოვიცდიო. ამა თავიკისა დევებისაგან რამდენიმე გაგზავნა ყარამანთან და მოახსენა, რომელსა დევსა ვეძებდით, იგი წყეული დევი

აქა ვპოვეთ და ჩქარა წამობრძანდით. სანამ თქვენ მოხვალთ, თუ გამოვიდა, მე შევებმიო.

რა იგი დევები ყარამანს ეახლნენ და ესე ამბავი მოახსენეს და ოცდაათის დევის სიკვდილიც შეატყობინეს, დიდად განრისხდა და საჩქაროდ წამოიჭრა. თიღი ყამყამი წელსა შემოირტყა. იგი დევნი წინა გაუძღვნენ და მალაროებისაკენ გაემგზავრნენ. სიმრული ყარამანს ქვევითად წინ მიუძღვოდა, დიდის სიხარულით სულ მიგოგავდა და ყარამანსაც დიდად უკვირდა იმსიდიდე მთისოდენი ფრინველის ეგრეთ მსუბუქად სიარული. იმა ქვაბისა მალაროსა კართან მივიდნენ. ფასკუნჯმა მოახსენა ყარამანსა: მე მწუადს, რომ შენტან შემოვიდე, შენი და სამნარა დევის ომი მინდა მოვიყურო, მაგრამ შეფიქრება, არამც კარში გამოგეჭრას, მე აქედამ არსად გაუშვებო. ყარამანმა უთხრა: შენ ღმერთს შეჰვედრე, თორემ მე იმას აღარსად გაუშვებო.

ესე თქვა და იმა მალაროში შევიდნენ და ნახეს, რომ ოცდაათი დევნი დიახ უწყალოდ იყვნენ დახოცილნი. რა ყარამანმა ესრეთ იხილა. დიდად განრისხდა და სწრაფლად განვლო და ნახა: რომ სამან ადამიზადა ხანჯალხელმოკრული ერთსა ფოლადის კართან სდგას. სამან წინ მიეგება და მდებლად თაყვანი სცა. ყარამანმა ჰკითხა: სამან, იგი წყეული დევი აქა ჰპოვეო? მან მოახსენა: იგი ოცდაათი დახოცილი დევი აქა ვნახე და ვგონებ, რომ იგი წყეული სწორედ ამაში იყოსო. ყარამან მივიდა და იმა კარებისა ალყებსა ესრეთ ძლიერად გამოსწივა. რომე ორივე კარები გამოგლიჯა და იქით დაყარა. ყარამანმა რა შიგნით შეიხედა, ნახა, რომ დიახ უცხო სასახლე იყო გამოკვეთილი კლდისა ეგეთი, რომ კაცთა გონებასა განაკვირვებდა. იმა სახლის საშუალს ალაგს ერთი სახელმწიფო ტახტი იდგა და ზედ ვეშაპის ტყავები ეფინა. იმა ტახტისა ძირსა თორმეტი ბრწყინვალე ქალნი იყვნენ, დიდროვანის ჯაჭვებით დაბმულნი. ესრეთნი რამ იყვნენ, რომ ბრწყინვალეს მთვარეს ემსგავსებოდნენ. მაგრამ ყველანი გულშემოყრილნი ეყარნენ.

რა იგი პყრობილნი იხილნა, მივიდა და „ისმიაზამი“ ილოცა, შეუბერა და იგინი გონებას მოეგნენ. ექვსი ფერის ქალი იყო და ექვსი ადამის ტომისა. რა მათ თვალი აახილეს, იხილეს, რომ ყარამან იმათ წინა დგას და ერთობით მოახსენეს: უსწოროვ ფალავანო ყარამან, მრავალი განგითავისუფლებია ტყვეობისაგან და ჩვენცა წყალობას ვითხოვთ, რომ ამა პყრობილობისაგან გვიხსნათო. რა ეს

ყარამანმა მოისმინა, დიახ ტკბილის ხმით უთხრა: ჩემო შვილებო. თქვენ მე რას მიცნობთ, ვინა ვარ და ან ჩემი სახელი ვინ გასწავლათო? მათ მოახსენეს: წუხელის სიზმარში ერთი თეთრწვერა ბერი ფერია მოვიდა და იმან გვითხრაო: ერთი ფალავანი არის, სახელად ყარამან ჰქვანო. ახლავე მოვა და ამა საპყრობილიდამ ის განგათავისუფლებსთ და ყველანი თავ-თავის სახლებში წახვალთო. ესე გვითხრა და თვალწინ დაგვეკარგაო. ეხლა თვალი ავახილეთ და თქვენ განახეთო.

ყარამანმა ჰკითხა: მნათობნო, თქვენ ვინა ხართ და ან სადაურნი ხართ და ან ამა წყეულმა დევმა როგორ შეგიპყროთო? მათ მოახსენეს: ჩვენ ექვსნივე ფერიანი ვართ და დანიო. მამა ჩვენს თამუზ ჰქვია და რიგრევანის ხელმწიფეაო. ერთსა დღესა ჩვენს ბაღში შევექცეოდით და ვნახეთ, რომ შავს ღრუბელსავით რაღაც დაგვეცა და ექვსნივე მოგვიტაცა და წამოგვიყვანაო. და მას აქეთ აქა ვართო. ვაი ჩვენს ბედსაო! იქიდან აქ მოსვლამდისინ ხომ უცნობონი ვიყავით და რომ აქ მოგვიყვანა, გონებას მოვეგენით და ვნახეთ, რომ ერთი საძაგელი ბილწი დევი იყო, რომელსაც სახელად სამნარა ჰქვია და იმან ჩაგვეყარა საპყრობილეთო.

ესე თქვეს და გულამოხვრით ტირილი დაიწყეს. მერე იმა ადამიანთა ტომთა მოახსენეს: ჩვენც ათნი დანი ვიყავით, ინდოეთის დიდის ვაჭრის შვილნი. ამა წყეულმა მძინარენი დაგვიპარა და აქ მოგვიყვანაო. ვაი ჩვენს ამ დროთ შესწრებასაო! დღეს დილას იგი წყეული შემოვიდა, ჩვენი დები, რომელნიც ჩვენზე უმშვენიერესნი იყვნენ, ოთხი იგინი გამოარჩია და შესაქმელად წაიყვანაო. ესე თქვეს და ამა დარჩენილთა ექვსთა დათა თავში ცემა და ტირილი იწყეს. მერე ყარამანმა ჰკითხა: იგი წყეული სად წავა ხოლმე და ან ახლა რასა იქსო? მათ მოახსენეს: ფალავანო, პირდაპირ ეგე კარი რომ სჩანს, მაგას გააღებს ხოლმე და მანდ შევა. და იმას იქით კუარ ვიცით, საით წავაო?

რა ფალავანმა იგი მოისმინა, მივიდა და იგი ჯინჯილები დასჭრა. იგინი ერთობით გაანათვისუფლა. მერმე ნახა, რომ ერთი კარა იყო, დიახ უცხოს ძვირფასის თვლითა გაექეთებინათ. იგი კარი საჩქაროდ გააღო და შიგნით შევიდა, სამან ადამიზადაც უკან მიჰყვა. ნახეს, იგი სასახლე უცხოდ ნაშენები იყო, უცხოს თაღებითა და უცხოს აივნებით მოწყობილი. იმა სახლის საშუალს ალაგს კიდევ ერთი ტახტი იდგა. იგიცა მოფენილი იყო და ზედ იგი წყეული დე-

ვი იწვა და ასეთსა წვრიანავდა, რომ კაცსა შეზარავდა მისი გაგონება. ასორმოცდარვა მწყურთა სიგრძე და სიმაღლის მქონებელი იყო. თავი სპილოს უგვანდა და თვალები დიდის ქურახანის მსგავსი ეყარა, პირი დიდსა გამოკვეთილს ქვაბს უგვანდა და ოთხი ხელი ჰქონდა. ლომის ჰანგების მსგავსი და ტანი ვეფხვის მსგავსად ჰქონდა. ორი კბილი უკან რქასავით გაშვერილი ჰქონდა. ასეთი საზარელი სანახავი რამ იყო, რომ კაცს შეზარავდა.

რა ყარამანმა ესრეთ იხილა, დიდის მრისხანების სახე დაედვა და საომრად გულმა ძგერა დაუწყო. სამანმა მოახსენა: ფალავანო, სანამ გამოიღვიძებდეს, მაგას ოჯი მოჰკვეთე, თორემ თუ შეგვიტყობს, მაგას ხელში ვეღარ ივლებთო. რა ესე ყარამანმა მოისმინა, სამანს შემოხედა ესრეთ მრისხანედ, რომ თრთოლა დააწყებინა და უთხრა: როგორ ეკადრებო კაცსა, რომ მძინარე მტერი მოკლასო. სამან საჩქაროდ მივიდა და ყარამანს მუხლსა მოეხვია და ბოდიში მოითხოვა, შევსცილო. მერე ამა წყეულისა თავს წინ მივიდა ყარამანი და ახსენა ღვთისა სახელი და ერთის ასეთის მაღალის ხმით შემოუძახა ამა ბილწსა დევსა, რომ იგი მთა და ქვაბი სულ შეიძრა.

ამა ხმისა გაგონებაზე იმა წყეულსა დევსაც გამოეღვიძა. და რა მოიხედა, ნახა, რომე ერთი ვეშაპის მსგავსი ფალავანი თავს ადგას, ოთხმოცდახუთის მწყურთის სიმაღლე, და თავით ფეხებამდე ჯაქვში ჩამჯდარი, უცხოსა და საკვირველის იარაღით შექურვილი. რა დევმა ყარამან ესრეთ იხილა, თავის გულში თქვა: ეს უმსგავსო და უსახელო საიღამ გამოჩნდა, და არც ამისთანა ადამიანი მე არ მინახავსო?! ვაი თუ ყარამანს რომ ამბობენ, ეს იყოსო? რა თვალი მოავლო, სწორედ გასჩხრიკა და თილი ყამყამი წელთა დაუნახა და ეგრეთვე ქეიომარსისეული გურზი ხელთა ეპყრა: რა სწორედ გასინჯა, თქვა: ესე სწორედ ყარამან უნდა იყოსო.

რა გული დააჯერა, საჩქაროდ წამოიჭრა, ერთი ძლიერად ვეშაპისავით შესჰყვივლა, მივიდა და ერთს მთისოდენს გურზსა ხელი მოავლო. ყარამანს მოუქნია, იგი გურზა აიცილინა, მიწასა დაეცა და სულ შიგ ჩაიჭრა და ყარამან უვნებლად გადარჩა. მას წყეულს კი ასე ეგონა, რომ იმა გურზმა მიწაში თან ჩაიტანაო. მობრუნდა და დიდის ხმით გაიკასკასა და ესრეთ თქვა: ჰაი, შენ უმსგავსო, მიწისგან შექნილო, შენ რა გრჯიდა, რომ ჩემს სამყოფს ალაგს მოხველ და ჩემისთანას ვეშაპის ომი მოინდომეო? მობრუნდა, სამანს შემოხედა და შემოუძახა: ჰაი, შე უმსგავსო და უმართებულო, ჩემის-

თანას ვეშაპის ხელიდამ შენ ცოცხალი საღლა გინდა წახვიდო? ესე უთხრა და ერთი მძიმე გურზი მასაც დასაკრავად შეუძალა.

რა ესე ყარამანმა იხილა, ერთი საშინელის ხმით შემოუძახა: ჰეი, შე წყეულო, მაგაზე ხელი აიღე, არა ავნო რაო, თორემ ჩემგან ზარალს ნახავო! და რა ესე თქვა, ყარამან მისკენ გაექანა. რა ამა წყეულმა ყარამან თავის წინ იხილა, დიდად განრისხდა და ესრეთ უთხრა: ჰაი, შე მიწის შვილო, აბა აქ მომიცადე და არსად გამექცე და მე გიჩვენებ ჩემს ძლიერებასაო. ყარამანს თავსა დასაკრავად მოუქნია. მანცა გურზი ბფარა და მით აიციდინა. რა ყარამანის ესრე უვენებლად გადარჩომა იბღლა, გაბრუნდა და ერთის მხრისაკენ ამა ძალაროში მიმოვიდოდა. ყარამანმა მიაძახა: შენ მე ცოცხალი ველარსად გარდამიჩრებო! მერე მან მოაძახა: აი ეხლავე მანდავე მოვალო! მივიდა და ოთხის ხელათ სხვადასხვა იარაღები აიღო და იქავე მიუხდა.

რა ყარამანმა ესე ესრეთ იხილა, მარჯვენა ხელი მარცხენას გვერდსა შემოიხვია, მარცხენა მარჯვენასა გვერდსა და ერთი ასეთი საშინელის ხმით დვთისა სახელი ახსენა, რომ იმა ძალარომ სრულებით რყევა შექნა და იმა წყეულსაც ასე შეეშინდა, რომ ფოთოლსავით თრთოლა დაიწყო. და ამა ოთხი ხელით რაც იარაღები ეპყრა, სულ ძირს გაყარა მეტის შიშითა. მერე საჩქაროდ ყარამან მიეჭრა და ერთი მუშტი გულსა შემოჰკრა და იგი წყეული მსწრაფლად მიწასა დაეცა. ცხვირიდამ და პირიდამ სისხლი წაეარდა. ფალავანი მივიდა, მკერდსა მუხლი დააქირა. რამდენსაც მეცადინებოდა, რომ წამოსდგომოდა, ვერ აუღდა. მერე ყარამანს შეეხვეწა. ამიშვი, ნუ მომკლავ და სანამ ცოცხალი ვარ, შენი მონა ვიქნებიო. მერე ყარამანმა უთხრა: საბაოთ ღმერთი იწამე, მას თაყვანი ეცო და არ მოგკლავო. ამა წყეულმა მიუგო: ვერ მოგატყუებ, მე ჩემს ეშმაკს ვერ ვგმობ, რომელსაც შეიხბახტი ჰქვია, იმას ვერ შევაგინებო. თუ ამიშვებ, ასე დაგმორჩილდებიო.

ყარამან განრისხდა მის მოუქცევრობისათვის. აღმოიღო ბასრი ხანჯალი და მას წყეულსა თავი ტანისაგან წარჰკვეთა და მისი სული ჯოჯოხეთს მიაბარა. მერმე ზეადგა და იმა ტახტისაკენ მიმოიხვინდა და ერთი საუცხოვო შამ-ჩირალი თვალი იღვა და დიდად ბრწყინვიდა და ანათებდა. იგი ყარამანმა აიღო და მერე სამანმა მის ხაზინას ძებნა დაუწყო. იპოვა და რომელიც საუკეთესო რამ იყო, თვალმარგალიტი ძვირფასი, სულ დაარჩივა და გამოიტანა. რა კარი გაა-

დეს და გამოვიდნენ, შეხედეს ამა თორმეტმა ქალმა, რომ იგი ბილ-წი დევი თავმოკვეთილი ეგდო, მივიდნენ საჩქაროდ და ყარამანს ფერხთა მოეხვივნენ და ქება შეასხეს. ღმერთს ავედრებდნენ მხურვალეს გულითა. მერე სამანს უბრძანა: ამა თორმეტს ქალსა მზათევი სულ ამა წყეულის დანარჩენის საქონლიდამ უნდა მისცეო. აჰა, ამა თვალსა მეც ამათ მივსცემო. სამანმაც ბრძანებული აღასრულა.

ფასკუნჯი კართან იდგა და ყარამანის ნარის ხმა და იგი დევის ხმა ესმოდა, მაგრამ არ იცოდა, თუ რას იქმოდნენ. დიდად გაოცებული და შეწუხებული იყო. ნახა, რომ ყარამან იმა წყეულის დევის თავი ფასკუნჯის წინ დააგდო და მოულოცა. მერე ფასკუნჯმაც მოულოცა და მადლობა მოახსენა. ყარამანმა უბრძანა სამანსა: ესე ფერიათ ქალები ეხლავე თავის პატრონს ჩააბარე და მერე ამა ინდოეთის ქალების საქმეს უნდა შეუდგეთო. სამანმა თავი დაუკრა. ესე ფერიათ ქალები დევთა ზურგთა მოჰკიდა და საჩქაროდ თავის პატრონს მიაბარა და მიბარების წიგნი მოართვა. მერე ფალავანი დაფიქრდა ამა ექვსი ქალის ინდოეთს გასტუმრებისათვის და სწუხდა.

სამანმა მოახსენა: სააბყარანო, მე ვიცი, თქვენ ამა ქალების გაუსტუმრებლობას სწუხართო, რომ გზაზე არა ევნოს რაო, ექვსის დღის მულათი მიბოძეთ, ამათაც მშვიდობით თავის დედ-მამას ჩავაბარებ და მეც აქავე გიახლებიო. ყარამანმა დიდად დაუმაღლა. სამანმა საჩქაროდ ექვსი დევი მოიყვანა. ეს ქალები მათ აიყვანეს სამან წინ გაუძღვა და თვალთა წინ დაიკარგნენ. ინდოეთს ესე ქალები თავის დედ-მამას მიაბარეს და მათგან მადლობის წიგნი აქავე მოართვეს. იმ ღამეს იქვე განისვენეს და მეორე დღეს აიყარნენ. ყარამან ისევ ფასკუნჯსა ზედა შეჯდა. დევთა ჩვეულებისამებრ იარაღი მოიკიდეს. სამანმა შეშფაიბარს ერთის ბალახისათვის ასუხებინა და უცნობი დაეგდო. მოიყვანა ერთი ხვალი დევი და ზურგსა მოჰკიდა. თითონ წინ გაუძღვა. ამა დევთა ლაშქარსა და ესრეთ მალა ავიდნენ ჰაერით, რომ ძირს ქვეყანა აღარა სჩნდიყო.

მერე ყარამანმა ჰკითხა სიმრულსა: მფრინველთა ხელმწიფეო, რა არის, რომ შენ ასე მალა მიჰფრინავ და კიდევ, რაც შეგიძლია, მალა იწევო, და დევნი საშუალოს ალაგს მოდიან ჰაერითაო? და ჩვენ ასე მალა ვართო, რომ რაღაც რამ საკვირველების ხმა მესმისო? მერე სიმრულმა მოახსენა: ამა სიმაღლეთ ამოსვლა სულ შე-



ნის გულისთვის მომდის ამისათვისაო, რომ ძირს თვალი რომ დააკვირვო, ცეცხლის მეტს ვერას იხილავ და იმის მხურვალეობა თუ მოგხვდა, შენ ცოცხალი ვეღარ გადაურჩები, და დევთა კი არა უშავთ რაო. შვიდი დღე და ღამე იარეს. ყარამანმა უთხრა სიმრულსა: დიდად შევწუხდიო და ეგება ცოტას ხანს განვისვენოთ სადმეო. მერე ამან უთხრა: მეც აგრე ვარო, მაგრამ ცოტას ხანს კიდევ მოითმინეო, რომ ამა ცეცხლის მთას გავსცილდეთო.

ერთი ღამე კიდევ იარეს. მეორეს დღეს რა ამა ცეცხლს გასცილდნენ, ერთსა მაღალსა მთისა წვერზე დაეშვა და იქ ჩამოხდნენ. მეტის დაღლილობისაგან სიმრულს გულს შემოეყარა და ძირს დაეცა. დიდხანს უცნობო იდგა. ყარამანმა ისევ სიმხნე იხმარა, ამა მთაში რამდენიმე ნადირი დახოცა, მოიტანა, ზოგი თავისთვის შესწვა და ზოგი ამა ფასკუნჯს მოუმზადა საჭმელად. მოვიდა და ყარამან ფასკუნჯს თავით დაუჯდა. რა რომ ფასკუნჯი გონებას მოეგო და თვალი აახილა, ნახა, რომ ამისთვის დიას მრავალი ხორცი უცხოდ სუფთად მოუმზადებია და თითონაც თავით უზის. რა ესე იხილა, დიდად გაჰკვირდა და დიდი ქება შეასხა. მერმე იმა ნადირისა ხორცს ხელი მიჰყვეს, კარგად შეექცნენ.

მერე იქილამ აიყარნენ და ერთსა კარგსა ჩრდილოვანსა ალაგსა ჩამოხდნენ. სამან და დევთა ლაშქარიც მოვიდა და იქ ჩამოხდა. სამს დღეს იქ განისვენეს, მეოთხეს დღეს ყარამან დილით ადრე წამოდგა და თავის ჩვეულებისამებრ მხურვალედ ილოცა, ცრემლით ღმერთს ევედრა და რა ლოცვა გათავდა, წყლის პირს ჩავიდა და ცოტა ხანს იქ დაჯდა და სინჯვა დაუწყო. და საუცხოვოდ მოეწონა ხეხილი მწვანე და ეგრეთვე მდებარეობა მამულისა, სადაც ესენი ჩამომსხდარიყვნენ. იმა ალაგსა ქუი ყამარ ერქვა, ის ერთს უცხოს ხევებით იყო შემკობილი. ასეთი ყვავილის სურნელება იყო, რომ კაცი ვერ გაუძლებდა. ყარამანმა ჰკითხა: ყოველთა მფრინველთა ხელმწიფეო, ამა ხეობასა და მთაში ვინ იმყოფებიან, მითხარო!

ფასკუნჯმა მოახსენა: ამა მთაში მრავალნი უცხო და უცხო დევთა და ფერიათა ქალაქები და შენობები არისო ასეთი, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერსად ნახავს და იგინი იქ იმყოფებიანო. ამას წინათ თქვენ რომ ათარ დევი მოჰკალით, ეს ის ალაგი არის და მას ეჭირაო. აქედამ თქვენი ინდოეთი ასე შორს არის, რომ ქვეითმა კაცმა რომ იაროს, სწორედ ოცის წლისა სავალი არისო. თქვენ რომ ათარ დევი მოჰკალით, ესე ციხე და მთა ის არისო, რომელსაც

ქუი ყამარი ქვიანო. სამანს უბოძეთო და სანამ აზარიექ დასტი მოვილოდა, ამას ეპირაო. და როდესაც აზარიექ დასტი მოვიდა, წაართვა სამანსა და თავის მოყვარეს მუშთაყი ნარას მისცაო. რა იმა წყეულმა ესე ქვეყნები ხელში ჩაიგდო, მრავალი სიაყვაცე ჰქნა და უსამართლობა, რომ ქვეყანა შეაწუხაო.

რა ესე მოისმინა ყარამანმა, სამანს გაჯავრებულმა შემოხედა და ესრეთ უთხრა: ჰეი, სამან, რასაც ეს ლაპარაკობს, სწორეო თუ არაო? რატომ არ გითქვამს შენ აქამდინ თუ ეს ასე იყოო? მერე სამანმა მოახსენა: ფალავანო, ესე ქუი ყამარის მთა დიახ დიდი მთა არისო და მრავალი ქვეყნები და ქალაქები აქვსო. მაგრამ თქვენ რომ ბრძანებულხართ, ეს ის არ არისო. ის აღმოსავლეთის მხრისაკენ არისო, მართალია, ეს ქვეყნები სამანდუნ თავის მოყვარეს მუშთაყი ნარას უბოძა. მაგრამ რომელიც მე თქვენგან ქვეყნები მებოძა. იქილამ აქამდისინ რამდენსამე წლის სავალი არისო. მაგრამ რა რომ ეს ამ ქვეყანაში დაჯდაო, მეც მრავალი ქვეყნები და ციხეები წაძართვა და დიდი უსამართლობა მიყოო. ფალავანო, მინდოდა მოვსულიყავ და თქვენს სიმალლისათვის შემომეჩივლა ამისგან ამგვარი საქმეებით, მაგრამ რადგან თქვენ საფარი სამანდუნ აზარიექ დასტისკენ გქონდათ, ამისათვის აღარ მოგახსენეთო.

ფალავანო, ესე მუშთაყი ნარა დევი და სამანდუნ ორივე ერთად გამოვიდნენ ბნელეთის ქვეყნილამ და ამა ქვეყანაშიაც ერთად მოვიდნენო. ქეიომარს ხელმწიფის დროს ესენი ქვეყნად არ იყვნენო. ზულუმისტანში იყვნენო, რომელ არს ბნელეთის ქვეყანა. რომელსაც ეშმაკი შეადგებოდა და უქადაგებდა ქვეყნად გამოდითო, ამას ეტყოდნენ: რად უნდა გამოვიდეთო, ქეიომარს ხელმწიფეს უნდა ვებრძოლოთო და ჩვენ იმის ბრძოლა არ შეგვიძლიანო. და რომელსაც დევს ძალა დაადგება, მოვაო და ჩვენ გვემსახურებაო, და რად უნდა გამოვიდეთო. ერთს დღეს ქეიომარს ხელმწიფის სიკვდილი გაეგონათ და ქვეყნად გამოსულიყნენ და მას აქეთ აქ არიანო. ფალავანო, შენი ხლმის გამარჯვებასაო, ამა წყეულის ხელისაგან დავვისხენო. ასე ბრძანეთ, რომ სწორედ სიკვდილილამ დახსნა იქნებაო. აქამდინ, მანამ ეს არ იყო, ჩემი თქვენს წინაშე წარმავლობის გზა სულ ეს იყო და რა ეს გაჩნდა, ზულუმისტანზედ წამოვალ ხოლმე და გზაზედ მრავალს ჯაფას ვნახავ ხოლმეო. ამის შიშითა ამ, გზაზედ ვერ გამომივლიაო.

რა ყარამანმა ესე გეიგონა, სამანს უბრძანა: სამან, თუ ჩემი

სიყვარული გაქვს, ნულარც მოიციდი და ნულარც დასჯდები, ახლავე წადი და იგი წყეული დევი სად არის, სწორედ შემიტყვეო. რა ესე მოისმინა, სამან მოვიდა და მუხლსა აყოცა. საჩქაროდ თავისი თორმეტი დევი თან გამოიყოლა. წავიდნენ და მალაროები სულ დაჩხრიკეს და ვერსად ჰპოვეს. მომავალბაში ნახეს, რომ ერთსა ხევში ცეცხლის კვამლი ამოდიოდა. სამანმა რა იგი ნახა, თავის ამხანაგებს უთხრა: სააბყარანის მზესა ვფიცავ, რომ სწორედ იმა წყეულის ალაგი ის არისო და თითონაც იქ იქნებაო.

მივიდნენ, ნახეს, რომ იგი წყეული ცეცხლთან იჯდა და მრავალი გარეულის კანჯარების მწვადი ეწყოთ, შამფურებითა სწვევდნენ და მრავალი გულხელმოქდობილნი დევნი ადგნენ თავსა და ემსახურებოდნენ და ბრწყინვალენი ქალნი ღვინოს თასებით აწვდიდნენ. და მთვრალს ვეშაპსავით ღვინსა და შექცევაში იყო. ასოთხმოცდაათის ხელის მქონებელი იყო. თითო ხელი დიდროვანს ჩინარებს უგვანდა, თვალეები ქურბანას. რა ესე იხილეს, მივიდნენ და ყარამანს მისი ამბავი მოახსენეს. ყარამანმა სამანს უბრძანა: სამან, თუ იცი; ის წყეული სამნარა უფრო ძლიერი იყო, თუ ეს უფრო ძლიერი არისო? სამანმა მოახსენა: იმ წყეულზედ ეს ძლიერი არისო. ამას ასოთხმოცდაათი ხელი აქვსო. და თითოს და თითოს ხელით სხვა და სხვას იარაღს ხმარობსო. და ეპას ეს როდის შეეძლოო.

რა ესე გაათავა, ყარამანმა უბრძანა: სამან, შეგიძლია, რომ სადაც იმას მეჯლისი აქვს, მიმაყვანო და იქ დამსევო? სამანმა მოახსენა: ფალავანო, ეს როგორ შეიძლება, რომ ასე მიგიყვანო იქამდისინ, რომ არ შეგვიტყონო? მერე ფასკუნჯმა მოახსენა: მე ასე მიგიყვან იქა, რომ იმ წყეულმა სულ ვერა გაიგოს რაო. ყარამანმა რა ესე ფასკუნჯისაგან გაიგონა, დიდად დაუმაძღა და მაშინვე სულეიმან ხამფისეული გურჯი, რომელსაცა სამას ოთხმოცდაცხრამეტი ფოლადის ბურთი ჯინჯილებით ეკიდა, იგი წელთა გაიჩქო და თვისითა იარაღითა შეიჭურვა. წაიყვანა ფასკუნჯმა და ერთს წამს იმა წყეულთან მიიყვანა.

იგი წყეული დევი თავის დევებს შეჰკვებდა: ჩემისთანა ძლიერი ფალავანი ქვეყანაზედ კიდეც იქნება სადმეო? ამა სიტყვისა თქმაზედა ნახეს. რომ ჰაერი ერთმან შავმა ნისლმა მოიცვა და ნახეს, რომ ფასკუნჯმა ერთი ფალავანი ჩამოიყვანა და იმა მეჯლისში შუა დასვა. რა ყარამან ფასკუნჯიდან გარდმოხდა, ამა ფასკუნჯმა ერთი ასეთი იყივლა, რომ იმა მეჯლისში მსხდომნი დევნი სულ

უცნობონი შეიქნენ. და მუშთაყი ნარა დევთან მისცვიდნენ. იმა წყეულმა რა ესე იხილა, შეკრთა და თქვა: ეს რა ამბავი არისო? შეხედა, ფასკუნჯი იხილა და ეგრეთვე ყარამან. მაშინვე მუქარით წამოიჭრა: მე თქვენ არც ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთო! მიიჭრა, იმდენის ხელებით სულ სხვა და სხვა იარაღები აიღო და ყარამანს მიუხდა და შემოუძახა.

რა ყარამანმა ესრეთ იხილა, ცალის ხელით ფარი დაიჭირა და მეორეს ხელით — სულეიშან ხამფისეული გურზი. იმა მოქნეულსა იარაღებსა ესრეთ ფიცხლად მოექცა, რომე იგი იარაღები ზოგი ფარსა. ზოგი გურზსა, ზოგი ჯინჯილებსა ატაკინა და თითონ უვნებლად გარდარჩა. ამა წყეულსა ეგონა, რომ ყარამან ერთის დაკვრითა მიწასთან გავასწორეო; მობრუნდა და ფასკუნჯისაკენ შეტევას აპირობდა. რა ყარამანმან ესრეთ იხილა, ერთის ასეთის მალაღლის ხმით შესძახა და ახსენა ღვთისა სახელი, რომ იგი მთა და ბარი სულ რყევას მოჰყვა და იგი წყეული მუშთაყი ნარა დევიც ასე შეშინდა, რომ რაც ხელთა იარაღები ჰქონდა, სულ ძირს დასცვიდა და თათონაც შიშით წაქცევას ლამობდა. რა გონებას მოეგო, იხილა, რომ ყარამან ისე უვნებლად გარდარჩენოდა და ეწადა, რომ ბეორეც დაეკრა.

მერე ყარამანმა შემოუძახა; ჰეი, შე წყეულო, მომიცადე და ახლა მე გიჩვენებ, თუ როგორი ფალავანი ვარო! მერე თავისი გურზი ესრეთ მრისხანედ შემოივლო, რომ იგი დაკიდებული ფოლადის ბურთები სულ დაწყვეტას ლამობდა. მოუქნია და დაკვრას ლამობდა. რა ესე იხილა მუშთაყი ნარამ, მეტის აჩქარებისაგან უცნობოსავით შეიქნა და ოთხმოცდაათის ხელით ნაჭერი იარაღები მას გურზსა მიაშველა. ყარამანმა რა იგი გურზი დაჰკრა, იმა გურზისა დამოკიდებული ბურთები ფოლადისა მას დევსა, ზოგი შებლსა მოხვდა, ზოგი კბილებსა, ზოგი გულსა, მკერდსა და ზურგსა სეტყვასავით დაეყარა იმა წყეულსა. ოთხსა და ხუთს ალაგსა თავი გაუსკდა და ლამობდა კიდევ თავის შემაგრებასა. ყარამან მიუხდა, მოედნისოდენსა მკერდსა ერთი ასეთი მუშტი ჰკრა, რომ ის წყეული მასვე წამს დაეცა და ელვის მსგავსად მსწრაფლად ზედ შეჯდა და დიდი მთიანოდენი თავი ტანისაგან განაშორა.

რა სიმრულმა ყარამანისაგან ესრეთ ძლიერება იხილა, დიდად გაუკვირდა. ყარამანს წინ მიეგება, მიულოცა და ესრეთ მოახსენა. ყარამან, საბაოთ ღმერთსა ვფიცავთ, შენს გარდა სამას სამოცდა-

ექვსი სააბყარანი მინახავს, დევისა, ფერიისა და ადამიანთა ხომ უფრო ბევრიო, მაგრამ შენისთანა ძლიერი არ მინახავსო! ეს როგორ არის, რამდენსაც დაიღლები, იმდენი უფრო ძლიერება გემატებაო? მერმე ყარამანმა მიუგო: სიმრულ, მე არც თქვენგან ვარ ქების ღირსი და არც სხვათ ვისმე უნდა მოვსწონდე ამისთვისაო, რომე მე ესე ვარო. ხელში ერთი მუჭა მიწა აიღო და მას დაანახვა, მე ესე ვარო. მე რა შემძლია, მაგრამ უხილავი საღვთო ხელი მაძლევს ამა ძლიერებასაო, ამისთვის უფრო, რომ ადამიანი დიდად უყვარს ღმერთს და ამა მაცდურთ არ განამრავლებსო, რომ ხმელეთი ამათ არ მოიცვანო. თითო ჩემისთანა ამათ არ მოაკლდებათ ზეგარდმოო.

რა ესე დაასრულა, სამანს უბრძანა: შედი ამა წყეულის საღვთმს და რაც ადამიანთ პყრობილნი იყვნენ, მათ ესე საქმე ასე ახარე და სულ განათავისუფლეო. საჩქაროდ შევიდნენ, დაძებნეს და სამასი ადამიანი ქალი და კაცი ტუსალობიდამ გამოასხეს. ყარამანს იახლენ, მუხლს აკოცეს, ქება შეასხეს. მერე მათ ჰკითხა სადაურობა და მოახსენეს: ზოგი ინდოეთიდამ დაეპყრა, ზოგნი ურუმიდამ, სხვისა და სხვის თემისანი იყვნენ. სამანს უბრძანა: ამა წყეულის ხაზინიდამ ამა პყრობილთ ყველას თავ-თავისი შესაფერად საჩუქარი მიეციო. და სამასი დევი გამოარჩიე და ესენი თავ-თავის სახლებში მიიყვანონო. და ყველას წერილთ ანგარიში შენ უნდა იმათ მოსთხოვოო. თავი დაუკრა და ბრძანებული ესე ასე აღასრულა. მერე კიდევ სამანს უბრძანა: ახლავე ამა მხარეზე დევნი საჩქაროდ გაგზავნე და ესე ამბავი ყველას გამოეცხადოსო და ჩემი აქ ყოფნაცაო. საჩქაროდ დევნი აფრინა ამა ყაფის მთაში და ყველგან ახარეს მის წყეულის სიკვდილი.

რა ესე შეიტყვეს დევთა, ფერიათა დიდად იამათ. მოვიდნენ და ყარამანს თავყანი სცეს და მიულოცეს. მერე კიდევ სამანს უბრძანა: ახლავე გამოუცხადე დევთა და ფერიათა, რომ სამოცი ათასი დევი და ფერია ეხლავე უნდა შეკრბენო და საჩქაროდ აქ მოვიდნენო. იგი ლაშქარი საჩქაროდ შეკრიბა და მოვიდა. ყარამან თავის იარაღით შეიჭურვა, ფასკუნჯსა შეჯდა და სამანდუნ აზარიექ დასტისაკენ წავიდნენ. ზულუმისტანიდამ გამოვიდნენ და შარი სამანდუნია ქალაქის სიახლოვეს მივიდნენ და ჩამოხდნენ.

დღესა ერთსა სამანდუნ აზარიექ დასტი ზულუმისტანის ქვეყანაში, შარი სამანდუნია ქალაქში იმყოფებოდა. მრავალნი დევნი

და ფერიანი ახლდნენ. დიდს შეებასა და განცხრომაში იყო. ესეოდენი ლაშქარი შეეყარა, რომ რიცხვი არ ეგებოდა, რაც უღვთონი, უსჯულონი და კერპთმსახურნი იყვნენ, სულ იქ შეეყარა და მასლა-ათი ჰქონდა. იმა წყეულის სამანდუნის რჩევა ეს იყო: რაც ამა ყაფის მთაში მეფენი იყვნენ ანუ სულთნები, სულ იმას დაემორჩილებინა და ამისი ხარაჯა დაედვათ, რომელიც არ დამორჩილებულიყო, იგი ჰვეყანა ცეცხლით დაეწვათ.

ამა რჩევაში ნახეს, რომ ერთი არეულომა შეიქნა. ბრძანა: რა ამბავი არისო, შემიტყვეთო! საჩქაროდ მრავალნი დევნი და ფერიანი შევიდნენ, თავები მიწასა ზედა დაახეთქეს და მოახსენეს: ხელმწიფეთ ხელმწიფეო, ერთი წამალი დაგვადე რამეო. სამანდუნ უბრძანა: დევნო და ფერიათ სარდლნო, ვის უჩივით, ვის რა უსამართლოება უქნია, შემატყობინეთო?! მათ მოახსენეს: ერთი მიწისაგან შექმნილი კაცი მოსულა რუბე მასკუნინდამ, რომელ არს ადამიანთ საძყოფი, და სახელად ყარამან ყათილი ჰქვიანო. რამდენისამე დევნო და ფერიათ ოჯახი დაუვსიაო, თქვენის ესოდენის ლაშქრის შემოყრა და ყაფის მთაზე წასვლა ყაფის მთის დევნო და ფერიათა შეუტყვიათ. აშკარი ფერიას რამდენიმე ფერის სულთნები და მეფეები შეუყრია, რუბე მასკუნში მისულან და თქვენის ხელისაგან უჩივლიათ. ყარამანც დიდად განრისხებულა ამა საქმეზედა და თქვენკენ წამოსულაო. მომავლობაში გზაზედ სულეიმან ხამფის თილისმა გაუტეხია და იმისი გურზი გამოუტანიაო.

იქილამ წასულა და ქუი ბროლის მთაში მისულაო. იქ სიმრუდს შემოჰყრია. იმ წყეულს ფასკუნჯს შეუსვამს და ცეცხლის მთა გარდამოუტარებიაო. იმა მთის კალთაში სამნარა დევი მოუკლავს და იქილამ ქუი ყამარის მთაში მოსულაო. შენი მოყვარე მუშთაყი ნარა დევი თავისთვის ადამის ტომის ქალებში შექცევაში ყოფილაო. იქამად ეს წყეული მიწისაგან შობილი კაცი მარტო ამა მეჯლისში შესჭრია, მისთვის საჩქაროდ თავი მოუკვეთია. ის უმსგავსო ასეთ ძლიერი თურმე არის, რომ რასაც ხელითა ხოცს, თურმე ორ იმოდენს — ხმითო. დაიქუხებს და ვერა ფალავანი იმ ხმაზე ფეხზე თურმე ვეღარ დასდგება. ეს რა თქვენის სალოცავის ეშმაკის რაჯაბის რისხევა არისო ჩვენზედაო. თორემ ეს როგორ იქნებაო, არვიციო. იგი მოუკლავს და ქუი ყამარის მთა დაუპყრია და ახლა შენკენ წამოსულაო. გაუფრთხილდი, თორემ შენც ისე გიზამსო!

რა სამანდუნ ესე მოისმინა, ასრე განრისხდა; რომ აღგზნებულს

სახმის დაემგზავსა და ცხვირიდამ და პირიდამ ესეოდენი ცეცხლი გამოსცივდა, რომ იმა ცეცხლისა კვამლმა იქა მსხდომნი დევნი და ფერიანი სულ დაპფარა. და იქ მყოფნიც ერთობით დიდად შეშინდნენ. მერე ამათ შემოუძახა: ჰაი, თქვე წყეულნო დევნო, მაგას მართლა ამბობთ, თუ არაო. თუ მართალი არ არის, სულ გაგწყვეტთო! ვირემ ამა ამბავს დაასრულებდნენ, კიდევ სხვა დასტა მოვიდა და მოახსენეს: ხელმწიფეო, იგი მიწისაგან შობილი ყარამან ყათილა ფასკუნჯზედა ზის და ქეიომარს ხელმწიფის სატუსალოში რომ თორმეტი დევი იყო, და ეგრეთვე სამან ადამიზადი, ისინიც თან ახლავანო და სამოცი ათასის დევთა ლაშქრითა აგერ მოვიდაო.

რა ესე გაიგონა, დიდად განრისხდა და ბრძანა: დევნო და ფერიანო, ყარამან ასეთი რა არის, რომ ჩემგან არ ეშინოდეს და ჩემისთანას ვისთანმე საბრძოლად მოვიდესო და ან სამან ადამიზადიო და ეგრეთვე ის თორმეტი დევნი საპყრობილიდამ ვინ გაანთავისუფლა, ამის ამბავი შემატყობინეთო! დევთა მოახსენეს: ხელმწიფეო, ყარამან, რომელიც სააბყარანობის დავასა სწევსო, იგი ქეიომარს ხელმწიფის გვარისა არისო და ის დევებიც იმან განათავისუფლა და შამბასარ დევიც მაგან მოკლაო. აქვალ დევი და ათარ სულ მაგან დახოცაო. ფარმან ბარყუშზედ შემჯდარა და ბროლი აზამის მთა ისე. გარდმოუვლიათ, ჯამი ჯანუმაის ქვეყანაში მრავალი სახელოვანი საქმეები უქნიათო და მრავალი სხვა ქებაებიც კიდევ თქვეს ყარამანისა.

რა სამანდუნმა ესრეთ მოისმინა, დიდად განრისხდა და ბრძანა: ამა ამბის მომტანნი და ყარამანის მაქებარნი სულ გაწყვიტეთო! და სულ ამოწყვიტეს. რა სხვათა დევთა ასე განრისხებული იხილეს, დიდად შეშინდენ და მიეფერნენ და ასე მოახსენეს: ყარამან ვინ არის, რომ თქვენისთანას ძლიერს ხელმწიფეს შემოებასო? რა ამათგან ამგვარი სიტყვა მოისმინა, დიდად იმა და მრისხანებისაგან დასცხრა და იმათაც უბრძანა: საომრად თქვენც მოემზადენით, წინ მივეგებნეთ და რუბი მასკუნიდამ აქ მოსვლა შევანანოთო. ბრძანა და ოცდათორმეტჯერ ასი ათასი დევთა და ფერიათა ლაშქარი შემოკრბა, გავიდნენ და ვეშპის ტყავების კარები დაიდგეს და დევნი ყველანი საომარისა იარაღით შეჭურვილნი დასტა-დასტა იდგნენ.

## სპა დიდი ბრძოლა სამანდუნ აზარიეჲ დასტისა და შარამანისა

იმჟამად ყარამან შვიდს აღაჯზედ სამანდუნ აზარიეჲ დასტის სიახლოვეს მოვიდა და დევთა ლაშქართა უბრძანა და თითონაც ერთსა მწვანესა და წყლიანსა ალაგსა ჩამოხდა და დასაზვერავად იმა წყეულთან დევნი და სამან გაგზავნა: ახლავე ამბავი მაცოდინეთო! საჩქაროდ წავიდნენ და იმის ამბავი შეიტყვეს. მოვიდნენ და მოახსენეს: ფალავანო. სამანდუნ აზარიეჲ დასტს ესოდენი დევთა და ფერიათ ლაშქარი შეუყრია, რომ რიცხვი არ ეგებოსო. თქვენად საომრად აღჭურვილანო. ქალაქს გარეთ გამოსულან და იქ მიგელისთო. მაგრამ, ფალავანო, იმან ასეთი თილისმები იცის, რომ იმას იარაღები არ მოეკიდებო. რა ესე მოისმინა ყარამანმა, არა დია დაუმაღლა და სამანს უბრძანა: შენ საბაოთ ღმერთი, ვეჭობ, სწორედ არა გწამსო. მასვე წამსა აყრა ბრძანა და აიყარნენ და სამანდუნია ქალაქში მივიდნენ.

რა იმა ლაშქარს დაუახლოვდნენ, ყარამანმა ბრძანა, იმა ლაშქარისა პირისპირ ჩამოხედითო. და მივიდნენ და პირისპირ ჩამოდნენ.

ყარამანმა ბრძანა: ახლავე დასტები გაეწყოს და საომრად მოემზადენითო! რა რომ დასტები დაეწყო, ორსავე მხარეს პირისპირ იდგნენ და ყარამანმა შეშფაიბარი მოითხოვა და მსწრაფლად მოჰგვარეს. მერე თავისი სამოცდასამი საომარი იარაღი მოითხოვა და შეიჭურვა. შეშფაიბარსა შეჯღია და უშიშრად მოედანსა ზედა გამოვიდა. ვინემ ყარამან მოედანსა საშუალს ალაგს მოვიდოდა, ესოდენი ვარჯიშები ჰქნა, რომ ორისავე მხრის ლაშქარნი დიდად განკვირდნენ ამის ფალავნურს სიმხნესა.

რა სამანდუნმაც ყარამან ახლოს იხილა, მეტად მოეწონა იმისი თვალტანადობა და ფალავნური მოყვანილობა. ეს თქვა: რაჯაბ ეშმაკისა არ მერიდებოდეს, ამას ახლავე შევრიგდებოდითო. ამა ლაპარაკში რომ იყო, იქილამ ყარამანმა ერთის საშინელის ხმით დაიქუხა და ღვთისა სახელი ახსენა, ასეთი ხმა გამოხდა, რომ ამ დევთა ლაშქარი შიშისაგან ორად გასქდა და მრავალს დევს სული ამოხდა. იგი წყეულიც გაოცებული იყურებოდა. რა დედამიწა ზანზარისა და ქუხილისაგან დადგა, იმან იკითხა: რა ხმა იყო ამისთანა საში-



ნელიო? მერე მათ მოახსენეს: იგი ფალავანი, რომელიცა მოედანსა გამოვიდა, მან დაიყვირაო.

რა ამა ლაპარაკში იყვნენ, ყარამანმა ერთი საშინელი ნარა კიდევ გასწია და შემოუძახა: სამანდუნ, ჰეი, შენ უსჯულო, უსახელო და უმსგავსო, ჩემი სახელი არ გაგიგონიაო? ჩემი ფალავნობა არ იციო? და ან ჩემი შიში არ გქონდაო, რომ ყაფის მთაში მოხველ და ამგვარი უსამართლობაები ჩაიდინეო? ჩემგან არ გეშინოდაო? ახლა თუ კაი ფალავანი ხარ, გამოდი და მოედანზედ შემეხი და რაც შენ მაგ ხალხისათვის საქმეები გიქნია, იმას სულ შეგანანებ და ასეთს საქმეს გიზამ, რომ მეორედ მოსვლამდისინ ქვეყანას აბსოვდესო! ერთი კიდევ შემოსძახა: გამოდი, შე ჯოჯოხეთის შვილო! იგიცა ლამობდა გამოსვლასა და შებმასა.

დევთა სარდლებმა მოახსენეს: თქვენ როგორ გეკადრებათ მასზედ გასვლაო?! ჩვენ გვიბრძანეთ და დასტური მოგვეციოთ, გავალთო და ასეთს საქმეს უზამთ, რომ არავის დამართებოდესო. და წამოდგა ერთი ყალუნარ სახელდებული, დევი ასოცის მწყურთის სიგრძის მქონებელი, სამანდუნს თავი დაუკრა და მოედანზედ გამოვიდა. ვინემდისინ საშუალ მოედანს მოვიდოდა, თავისი გურზი ჰაერში აავდო და დაიჭირა. მრუდის თვალით ყარამანს შემოხედა და შემოუძახა: ჰაი, შე უმსგავსო, შენ რა ქარა ხარ, რომ სამანდუნ ჰაზარიეჟ დასტისთანა სპასალარის ქალაქის სიახლოვეს ლაშქრით მოხვედიო და უმსგავსო საქმეები იკადრეო? ყარამანმა რა ეს გაიგონა, განრისხებულმა შემოუძახა: ჰაი, შე წყეულო და უსჯულო. სამანდუნ ვინ არის და ან შენ ვინა ხარ, რომ აგრე ლაყბობ და უმსგზავსოდ ლაპარაკობო? აბა, თუ კაი ფალავანი ხარ, არ გამექცევი და მანდავე მომიციდიო!

რა დევმა ყარამანისაგან ესე სიტყვა გაიგონა, ერთის მაღალის ხმით დაიძახა: ვაიმე, მიწისაგან შობილი კაცი ჩემისთანას დიდს სპასალარს და ძლიერს ფალავანს ამგვარს სიტყვას როგორ უნდა ეუბნებოდესო! განრისხდა და გურზი თავზე შემოივლო. ყარამანს მიუხდა და თავს დაკვრას ლამობდა. ყარამანმა მაჯას ხელი შეატაცა. იგი მოქნეული გურზი ხელთაგან წაართვა და თვისივე გურზი მასვე წყეულს ესრეთ ძლიერად ჰკრა მკერდსა, რომ გურზი და გულის ფიცარი ორივე ბეჭებში გავარდა და მას წამსვე მოკვდა. სამანდუნმა რა ესრეთ იხილა, თქვა: ვაიმე, რა ჰქნა ამა კაცმაო?! დევთა მოახსენეს: სავაჭრო ჰქონდა გასასყიდელი და გა-

ყიდაო და თუ სხვა ვინმე გყავსო, გაგზავნეთ სავაჭროდაო, თორემ ეს საომარი მოედანი გაცხელებას აპირებსო. სამანდუნ დევთა ათვალიერებდა და ლამოდა სხვის გაგზავნასა.

რა ყალუნარ დევის ძმამ ფალანგსარმა თავის ძმის სიკვდილი იხილა. ერთი დიდად ამოიოხრა და ასოცდაჩვიდმეტის მწყურთის სიმალლის მქონებელი მოედანსა გამოვიდა. რა ყარამანის სიახლოვეს მივიდა. დიდის ხმით შეჰძახა და უთხრა: აი შე უმსგავსო და უსაჯელო, ჩემის ძმისთანა ფალავანს ისე მსუბუქად სიკვდილს როდის შეგარჩენო, ასეთს საქმეს გიზამო, რომ ყათის მთაში არავის დამართებოდესო! თავის ძმის სიკვდილის სიანჩხლის და სიმწარის გამო მყრალი პირი მალაროსავით გააღრინა და კბილებს ჩახჩახი დააწყებინა. კანკალისაგან მოსვენება აღარ ჰქონდა, ჩინარის მსგავსის მკვლავებით ლამოდა, რომ ყარამან ცხენილამ გარდმოელო და მიწას ზედა დაეცა.

რა ყარამანმა მისი წადილი შეამჩნია, შეშფაიბარსა ქუსლი შემოჰკრა, მიუხდა მას წყეულსა, ერთი ასეთი სილა შემოჰკრა, რომ მასვე წამსა თვალთ დაუბნელდა და ცხენისაგან გარდმოვარდა. მიწასა დაეცა და მასცა საჩქაროდ თავი წარჰკვეთა. შეშფაიბარსა შეჯდა და შუას მოედანზედ ნევარდი შექნა. რა იმა წყეულმა სამანდუნ ესე საქმეც ასე იხილა, დიდად შეწუხდა და ერთობით ყველას უბრძანა: ვერა ხედავთ, რას ჩადისო? ერთი კაცი არავინა ხართ, რომ გახვიდეთ და ამას პასუხი მისცეთო?

საჩქაროდ ტახტის პირველი ფალავანი საყათურ ნარა წარმოსდგა. ასორმოცდაათის მწყურთისა სიმალლის მქონებელი იყო და ერთსა დიდსა მარტორქაზედ იჯდა. მოედანზედ გამოვიდა და ერთი საშინელი ნარა გასწია. ყარამანს მიუხდა და თავისი ცული თავსა შემოივლო და თავსა დასაკრავად შეუმალლა. ყარამანმა ორისავე ლაშქარის დასანახებლად ბეჟან ჯანისეული ფარი გარდაიფარა და ზურგი მიუშვირა და დააკვრევინა ასე, რომ ორთავე ლაშქართა დაინახეს. სამანდუნმა და მისთა ლაშქართა თქვეს: ცოდვა არ არის, რომ ყარამანის სახე ვერ გავსინჯეთ, თუ როგორი სახისა იყო. საყათურ ნარას ფალავანის მახვილმა ესრეთ შეაშინა და შეშალა, რომ ვერა გაიგო რა და ზურგი მიუშვირა, ვნახოთ, ახლა როგორ იქნებაო. საყათურ ნარამ რა ყარამან ზურგშეშვერილი იხილა, დიდად განრისხდა და შემოჲუძახა: ჰაი, შე უმსგავსო, შენ რა ხარ, რომ ჩემისთანას ძლიერის ფალავანის ცულის მოქნევას ზურგი მი-

უმვირეო? ერთი ასეთი ცული დაჰკრა, ამა ფარიდამ ასეთი ცეცხლი გამოსცივდა, რომ ყარამანის ოთხივე მხარე ცეცხლმა მოიცვა.

იგი ფარი თილისმით იყო გაკეთებული და იმა ცულის მოხვედრაზედ ერთი ასეთი საშინელი ხმა გამოხდა ამა ფარიდამ, რომ ორისავე მხრის ლაშქარი სულ აირია და მრავალნი უსულო შეიქნენ იმა ხმისა შიშისაგან. ყარამანს იმა დაკვრით არა ევნო რა. მაშინვე შეშფაიბარს ქუსლი ჰკრა და იქით გაიხტუნა. რა ყარამან უვნებლად გარდარჩენილი იხილეს, ორისავე ლაშქრიდამ ქების ხმა ისმოდა. საყათურ ნარამ რა უვნებლად გარდარჩენილი იხილა, შემოუძახა: ჰაი, შე უმსგავსო, შენ როგორ გარდაურჩიო ჩემს ნაკრავსაო?! მოუხდა და მეორედ გურზი მოუტანა დასაკრავად. ყარამან მივარდა, მაჯაში ხელი შესტაცა და გურზი წაართვა. აგივე გურზი ასეთი ძლიერად დაჰკრა ორსავე ბეჭს შუა, რომ წისქვილის ღარსავეთ პირიდამ სისხლი ამოჰქუხდა. რა ძირს დაეცა, მასცა საჩქაროდ თავი მოჰკვეთა და მათს ლაშქარს შემოსტყორცნა.

რა ესრეთ იხილეს, იმის შემდგომად ყანათურ იფრით დევი გამოვიდა და იგიცა მოკლა. მერე ქაბუსუნ ნარა დევი გამოვიდა და იგიცა მოკლა. რაღა გრძლად მოგახსენოთ, ყარამანმა იმ დღეს შუადღემდინ ასოცდატორმეტი ტახტის ფალავნები სულ პირველნი დევნი ამოწყვიტა და ამათის სიკვდილის შემდგომ მოედანზედ აღარავინ გამოვიდა. რა ყარამანმა ესრეთ იხილა, რომ მოედანზედ დევნი ველარ გამოვიდნენ საომრად, ერთის საშინელის ხმით ნარა გასწია. ამა ხმაზედ ასე შეშინდა ამა დევთა ლაშქარი, რომ სულ ერთიმეორეს ეცნენ და შიშით მრავალს დევს ნადველი გაუსქდა.

მერე სამნარა დევმა უთხრა: არა გრცხვენიათო, უმსგავსო მიწის ნაშობი კაცი მოსულა და სააბყარანობის დავასა სწევს და ამას ომი ველარავინ გაუსწორეთო? ბრძანა და ხუთასი ფალავანი ზვადი დევი მოედანსა საომრად გამოვიდნენ და ყარამანს ერთად შემოუტივეს. რა ყარამანმა ესრეთ იხილა, მსწრაფლად შეშფაიბარიდამ ჩამოხდა და შევიდსა ალავსა მოსართავები და იარაღები გაუმაგრა და ესრეთ წამოახტა, რომ შეშფაიბარსა შევიდსა მწყრთაზედ მალა ასცილდა და შეჯდა. და თილი ყამყამსა ხელი მიჰყო და მარცხენას ხელით ჯანი ბეჯანისეული ფარი დაიჭირა და ერთს წამსა სამასი დევი ჩამოჰყარა. სხვათა დევთა რა ესრეთ იხილეს, შებმა ველარ გაბედეს და შიშით უკანვე გაბრუნდნენ და გაიქცნენ.

რა სამანდუნმა ყარამანისაგან ესოდენი დევნი დახოცილნი იხი-

ლა, დიდად განრისხდა და ვაქცეულთა უთხრა: თქვე წყეულნო, ყარამანს ერთს ნაწილად აარ აგდებლით და ამდენმა დევმა იმის ბრძოლას როგორ ვერ შეუძელითო? ესე ბრძანა და ორასი ათასი დევი გამოვიდა და ყარამანს ერთად შემოუტივეს. მანცა სახელი ღვთისა ახსენა, შეუტია და ერთსა საათსა სულ ერთიანად ყათლანი უყო და მას წყეულამდინ ხოცით მიჰყვა, მერე კიდევ ბრძანა და შვიდი ათასმა ხვადმა დევმა ერთად შემოუტივეს. იგინიც ამოსწყვიტა და რაც გაქცა, სულ გარდაიკარგნენ, იმასთანაც აღარ მივიდნენ. იმ დღეს ასეთი რისხვა ღვთისა დასცა ამა დევთა, რომ მოედანზედ სულ სისხლის რუები სდიოდა.

რა რომ გამოსვლა ველარ გაბედეს, მერე ყარამან გადგა შუას მოედანზედა და ერთის მაღალის ხმით დაუძახა: ჰაი, შე წყეულო, სამანდუნ, ამ დევებს რა დანაშაული აქვსო, ასე უწყალოდ გამაწყვეტინეო? ამათ რას ემართლებოდი, შენ ჩემგან შეგეშინდაო და იმიტომ არ გამოხველო. მე ორი ხელი მაქვს და ჩემისთანას საბრალოს კაცისაგან როგორ შეშინდიო? თუ გეშინიან, გამოდი და ჩემს წინ საბაოთ ღმერთს თაყვანი ეცო და არ მოგკლავ, განგათავისუფლებო! ეს სიტყვები ასეთის მაღალის ხმითა თქვა, რომ ორისავე მხრის ლაშქარმა კარგად გაიგონა.

რა სამანდუნმაც ესე სიტყვები ყველა ასე გაიგონა, დევთაგან დიდად შერცხვა და მეტი რაღა გზა ჰქონდა გაუსვლელობისა. ზე აღგა და დევთა უთხრა: თქვენ ნურავინ გამომყვებით, ამისთვის რომ იმის ომი არავის შეგიძლიანთო. მერემ თავის ვეშაპის დაწნული ჯაჭვები ჩაიკვა და ათას ერთი ხელით სხვადასხვა იარაღები აიღო და მოედანსა ქვევითად გამოვიდა და საშინელის ხმით ერთი ასეთი ნარა გასწია, რომ ორისავე მხრის ლაშქარნი ერთმანეთს ეცნენ. და ქვევითად ამისთვის გამოვიდა, რომ ასეთი მძიმე რამ იყო, მის ზიდვას მარტორქა ვერ შეუძლებდა. ზოგი მოამბენი ასე ამბობენ: ყაფის მთილამ ერთი მხეცი მოჰგვარესო და მასზედ შესვესო. რამდენიმე დღენი თან გამოჰყვენო და ძლივს შუა მოედნამდინ მოიყვანაო. და მერე გარდახდაო. და უკანვე გააბრუნაო.

რა ყარამანმა იგი ბილწი მოედანსა გამოსული ნახა, საჩქაროდ წინ მიეგება. რა ერთმანეთსა დაუბირდაიბრდნენ, ყარამანმა გასინჯა და იგი წყეული ასეთი საძაგელი სანახავი იყო, რომ კაცი გაჰკვირდებოდა. თავი ერთის დიდის გორასოდენი ჰქონდა და თვალები საკირესავით ეგზნებოდა. იმ ტანისა და ხელების შესაფერც

სიმაღლეც ჰქონდა. ათას ერთის ხელით ათას ერთი იარაღი ეჭირა და ყარამანის საომრად იღვა. რა ყარამანმან იგი იხილა, დიდად განჰკვირდა და ღმერთსა მადლობა მისცა ამისთანას საკვირველას წყეულის სიდიდისათვის.

რა სამანდუნ ყარამანის სიახლოვეს მივიდა, ყარამან თვალში ეფუქსავატა. თავი დაღმა დაჰკიდა და ოხვრა და ბრძღვინვა დაიწყო და მერმე შემოუძახა და უთხრა: შე მიწისაგან შექმნილო, არ გეშინიან, რომ ჩემს საომრად გამოსულხარო? შენ არაო და მთელის ყაფის მთის დევნი და ფერიანი რომ შეკრბენო, ისინიც ვერ მოუცდიან ჩემის ერთის იარაღის მოქნევაზედაო, არამც თუ შენ არ შეგეშინდა, ჩემთან საბრძოლველად მოხველო. თუ შენის თავის მშვიდობით დაცვა გინდა, თილი ყამყამი და ჯანი ბეჯანისეული ფარი და სხვა რაც იარაღები გაქვს, მომეცი და შენ არ მოგკლავ და განგათავისუფლებო. თუ არ დამმორჩილდები და არ დაიჯერებ, იმ ჩემს სალოცავს შირბახტის მადლს ვფიცავ, რომ ერთის იარაღის ხმარებით ეხლავე მოგკლავო.

რა ყარამანმა სამანდუნისაგან ესე გაიგონა, მანცა ესრეთ შემოუძახა და უთხრა: ჰაი, შე წყეულო, შენის ეშმაკისა როდის გეშინიანო, რომ შენ იმისგან შეწევნას იქაღიო. შე წყეულო, ეშმაკნი თუ კარგნი ყოფილიყუნენ, ღმერთი მათ არ განურისხდებოდათო. მაგრამ იგინი იყუნენ ღვთის წინააღმდეგნი და მათთვის სატანჯველად ჯოჯოხეთი განუწესაო. იმ ღმერთსა ვფიცავ. რომელიც რომ ცისა და ქვეყნის დამაარსებელი არისო, ასეთს საქმეს გიზამო, რომ ყაფის მთაში არავის დამართებოდეს და მოთხრობაშიაც ესე ამბავი დაიწეროს და მეორედ მოსვლამდისინ შენზე იციონონო.

ესე თქვა და შემოუძახა: აი შე წყეულო, თუ შეგიძლიან, მოდიო და პირველად შენ იხმარე იარაღებითო. ყარამან ესრეთ განრისხებული იღვა, რომე იმისი გულის ძეგრა ორსავე მხარეს ამა ლაშქართ ესმოდათ. რა მანცა ესრეთ გაიგონა, დიდად განრისხდა და მეხსავით ჰქეჟა დაიწყო და ასეთი შეხლტა, რომე შვიდი ადლი იმა მხეცსა უმაღლესად ჰაერში ასცილდა. და ყარამანს შემოუძახა და ათას ერთი ხელით ყველა იარაღებით მოუხნდა და დასაკრავად მოუტანა და შეუმალლა. ყარამანმა შეხედა, რომ ჰაერით იარაღები წვიმასავით თავსა დაესხმოდა, თავის გულში მოიფიქრა: თუ ამა იარაღებს გარდაუხლტე და გავექეცე, ჩემი ამდენის ხნის ამაგი სულ ფუჟად ჩაივლისო. და თუ რომ არაო და რომელს ერთს იარაღს

პასუხი მივეცო. უნამუსოდ სიკვდილსა ისევ ნამუსიანი სიკვდილი სჯობიაო.

ესე სთქვა და ღვთისა სახელი ახსენა და სკანდარი ზულდარისეული ფარი თავსა დაიდვა. მარჯვენას ხელით სულემან ხამფისეული გურზი დაიჭირა, მარჯვენეს ხელით თილი ყამყამს ხელი მოივლო და იმა მომსვლელს იარაღებს შემოჰკრა და იმა წყეულს სამოცდაათი მკლავი მოსწყვიტა და დიდრონის ჭანდრისოდენნი მიწაზედ დასცივდა და სხვა იარაღები ზოგი ფარსა და ზოგი სხვას იარაღებს აატანინა, და ღვთისა მოწყალებით თვითონ უვნებლად გარდარჩა. და აქათს მხარეს იმა წყეულის მოწყვეტილის მკვლავებიდამ თითოს წყაროსოდენი სისხლი სდიოდა. მეორედ კიდევ გამწარებული მიუხდა ყარამანსა და დაჰკრა. მანცა ისევ ფარი თავსა იფარა და მარჯვენას ხელით თილი ყამყამი ესრეთ განრისხებულმა შემოჰკრა, რომა იმა წყეულს ასოცდასამი მკვლავი თავისის იარაღებით მოსწყვიტა.

რა ყარამანისაგან ისევ უვნებლად გარდარჩომა იხილეს, ორისავე მხრის ლაშქარი დიდად განჰკვირდნენ. სამანდუნმაც ეს მოწყვეტილი მკლავები ერთად მოაგროვა და თითონ რაც იარაღებუ ჰქონდა მესამედ შემოუტივა და რა რომ ყარამანმა მისი მესამედ მოსვლა იხილა, ერთი ასეთი ნარა გასწივა, რომ ამა ხმის შიშისაგან ველარც იარაღები იხმარა და ჰკუა და გონებაც სულ დაეფანტა. მრავალმა სისხლის დენამაც დიდად დაასუსტა. რა რომ რიგი ყარამანს ერგო, შეუძახა და ესრეთ უთხრა: ჰაი, შე წყეულო, შენ რომ ადამის ტომთ არად აგდებდიო! თუ რომ მამაცი ხარ, მომიცადე და ჩემს ძალას და ფალავნობასაც გიჩვენებო.

რა სამანდუნმა ყარამანისაგან ესე მოისმინა, დანარჩომის ხელეებით ფარები დაიჭირა და ქვეშ ამოეფარა. რა ყარამანმა ესრეთ იხილა, განრისხებულმან შეშფაიბარსა ქუსლი შემოჰკრა და გააფიცხა. დილის ნიავსავით მიუხდა, მოუქნივა და დაჰკრა და იმა გურზზედ მოკიდებული ბურთები ჰაერში მოქნევაზედ ზოგი თავსა, ზოგი მკვლავსა, ზოგი სხვასა და სხვასა ალაგსა მოხვდა და თავიც დიდად გაუხეთქა და რაც რომ იარაღები ეჭირა, სულ ხელთაგან დასცივდა და გონება მიეხადა და ლამოდა ყარამანის წინ თავის შემაგრებასა, მაგრამ ფალავანმა აღარ დააცალა და მსწრაფლად მიუხდა და თილი ყამყამი შემოჰკრა და ოცდათვრამეტი მკლავი კიდევ მოსწყვიტა. სამანდუნ ჰაზარიქ დასტ აზარმა ველარ შეუძ-

ლო და დიდს მთასავით ძირს დაეცა და ლამოდა, რომ ყარამან საჩქაროდ ცხენილად გარდმომხდარიყო და თავი მოეკვეთა, ოცდაოთხეათასმა იმა დევის ლაშქარმა ყოვლის მხრილად ყარამანს შემოუტევს.

რა ყარამანმა იმა ლაშქრის ერთად შემოტევება ნახა, მსწრაფლად შეშფაიბარსა მოახლტა და გურზი ხელთა დაიჭირა და ლაშქარსა შემოუტივა. აქედამ სამან აღამიზადამ თორმეტის თავისის ამხანაგებით და ორმოცი ათასის დევთა ლაშქრით სამანდუნის ლაშქარს შემოუტივეს და მსწრაფლად იგი ზღვისოდენი ლაშქარა ბოლუქ-ბოლუქად დაფანტეს. რა რომ ფასკუნჯმა ესრეთ იხილა, მანცა ერთი ასეთი საშინელი დაიყვილა, რომ ვინცა ვინ ის ხმა გაიგონა, სულ გაიოცდნენ. მერე აფრინდა, იმა სამანდუნის ლაშქართ მიუხდა და დევთა ხოცდა და ხევდა. გასაოცებელი რამ იყო ამისი ომი. ასე ძლიერად იბრძოლა, რომ ღვთის რისხვის იასაულს ჰგვანდაო.

ასე იტყვიან მეისტორიენი: ორმოცი ათასი ხვალი დევი ყარამანს მიუხდნენ და გარს შემოეხვივნენ და ბრძოლა დაუწყეს. და სხვათა ლაშქართა სამანდუნ მოიტაცეს და გააქცივეს. შარი სამანდუნისაკენ წავიდნენ. ყარამანმა სამი ნარა ერთად გასწია და უკან მიიძახა: შენ ძროხის კულში ანუ ხარის რქაში რომ შესძვრე, ღვთის მოწყალებით იქაც გიპოვნიო. სამანდუნის გაქცევა ყარამანს დიდად ეთაკილა და ეწყინა. განრისხებულმან იმის ლაშქარს შემოუტია და სამი დღე და ღამე უწყალოდ ხოცა ესრეთ, რომ რისხვა ღვთისა მოაწია მათზედა. მეოთხეს დღეს იმა ლაშქრისა ერთსა მხარესა გავიდა და ხალვათად ჩამოხდა, თავსა მიწა დაიყარა და ღმერთსა მიმართა. ესრეთ გულმხურვალედ ევედრებოდა, რომ მის თვალთაგან მოხადენი ცრემლი მიმდინარეს წყაროსავით მოკამკამებდა.

რა ლოცვა დაასრულა და გული მოიოხა, საჩქაროდ კიდევ შეშფაიბარსავე შეჯდა და ამა დევთა ლაშქარს შემოუტია და ერთის ასეთის მრისხანებით საშინელის ხმით ნარა გასწივა და ღვთისა სახელი ახსენა, რომ მის-ხმის გაგონებაზედ მრავალი დევი მოკვდა და მრავალნი უცნობო შეიქნენ. მოუხდა და რაც რომ ვეშპის ტყავისა ანუ ლომის ტყავისა ბაირალები იყო მათი, სულ ერთიანად დამუსრა და დახია. რა ესრეთ მრისხანება მოიხილეს ყარამანისა ამა დევთა, დიდად შეშინდნენ და ერთმანეთს მიუთხრეს: სამანდუნმა ძლივს ცოცხალმა ამის ხელისაგან თავი მოიჩინა და გაიქცა და

ჩვენ ამას როგორ რასმე დავაკლებთო? ამდენს ვეცადნეთ, რომ ჩვენც გავქეცეთო. ესე თქვეს და ყველანი ცალ-ცალკე დაიფანტნენ ესრეთ, რომ ერთი მეორესთან ვერ დასდგა.

ყარამანმა რა ლაშქარი გაქცეული იხილა, ცხენილამ ჩამოხდა და ღმერთს მადლობა მისცა და მიწასა ზედა დადრკა და ეამბორა მიწასა. მერე ზე ადგა და თავისსა ორმოცი ათასსა ლაშქარსა უბრძანა, მათ ლაშქართა დარჩომილი ბარგი სულ ააკლებინა და ოთხმოცი ათასი დევი სულ ხელეშეკრული ყარამანს მოართვეს. მათთვის სამანს ასე უბრძანა: ამ პყრობილთაგანი ვინცა მოიქცეს, ასწერე და სწორედ შეიტყვეო, რომ საბაოთ ღმერთი იწამოსო, მათ წყალობა ებოძოს და განათავისუფლეთო, და ვინცა არა მოიქცეს, სულ დახოცეთო. მან თავი დაუტკრა, ამა პყრობილთ ერთობით გამოუცხადა და ოცდაათი ათასი მოიქცა, საბაოთ ღმერთის თაყვანისცემა ასწავლეს და წყალობაც უყვეს, მრავალი აჩუქეს. და ვინც არ მოიქცა, სულ გასწყვიტეს.

ფასკუნჯი და ის თორმეტი დევი მივიდა და ყარამანს გამარჯვება მიულოცეს. ფასკუნჯმა მოახსენა: ფალავანო, რაც შენ სამანდუნ ჰაზარიექ დასტის საქმეები უყავ, ამგვარი საქმეები შენს ჩამავლობათ სააბყარანებს არ უქნიათო. რამდენი ხელი მოსხიპე და ესოდენი ლაშქარი ასწყვიტეო! ღმერთმან შენი სიცოცხლე ნუ მოგვაკლოსო! ყარამანმა მიუგო: ფასკუნჯო, რასაც ჩემგან ამა ძლიერებას ხედავთ, მე არა ვარ რაო. სულ უხილავი საღვთო ძლიერება ნთქამს იმათ, თორემ მე ესე ვარო; აილო ერთი მუჭი მიწა და თავზე დაიყარა. მე რა უნდა შემეძლოს, თუ არ იმის შეწევნითაო?!

რა ფასკუნჯმა ყარამანისაგან ესეთი დიდი სიმდაბლე იხილა და შემუსვრილება, გულისა მეტის სიამოვნებით გაექანა ფასკუნჯი და ყარამანს ფერხთა ეამბორა და ლოცვა ჰყო. მერე იქილამ აიყარნენ და სამანდუნის სასახლეში მიბრძანდა და მის ტახტს დაბრძანდა. მერე ოთხსავე მხარეს სამანდუნის ამბის შესატყობელად დევნი გაგზავნა და თითონ დღე და ღამე ლხინსა და შექცევაში იმყოფებოდა. ამავე ჟამად ყაფის მთილამ მრავალნი დიდებულნი ფერიანი მოვიდნენ და ყარამანს გამარჯვება მოულოცეს.

ფასკუნჯმა მოახსენა: ყოვლად გამოჩენილო ფალავანო, რაც საქმე შენ აზარიექ დასტს უყავი, თუ თქვენც ბრძანებთ, მგონია, კვლავ არ დამართებოდესო. ყარამანმა ბრძანა: სიმრულ, ყოველივე ღვთის განგებულობა არისო. ამ სიტყვაზედ ფასკუნჯი იმის სიმ-



დაბლეს ჰკვირობდა და თქვა: კიდევ მაგგვარი სიმდაბლე ჰქონია, რომ ღმერთიც იმისთვის სწყალობსო. შემდეგ იქილამ აიყარნენ და სამანდუნის საჯდომს ტახტთან მივიდნენ, ყარამანი მის ტახტზედ დაბრძანდა და მაშინვე ოთხსავე მხარეს, სამანდუნის საძებნელად დევები დაფანტა და თვითონ იმ დღეს ღინსა და შებებაში იმყოფებოდნენ. იმეამად, რა სამანდუნ აზარიექ დასტი დევებმა მოიტაცეს, შარი-სამანდუნია ქალაქში მიიყვანეს, მუნ დააწვინეს და დაჭრილობის წამლები დაუწყეს, იმ ქალაქის ციხეები და ბურჯები ყოველივე გაამაგრეს და შიგ დადგნენ. აზარიექ დასტი სამს დღეს უსულო ეგდო, და რა გონს მოეგო, სიკვდილად მიწურვილი იყო. ნახა, რომ ასსამოცდარვა ხელი აკლდა. შეშლისაგან ველარა გაეგო რა და იკითხვიდა, ეს რა ამბავიაო და ან რა დამმართებიაო და ან ვინ იყოო?

დევთა მოახსენეს: ხელმწიფეო, ჩვენ არცა რა გვიწყენია და არცა რა დაგვიშაგებიაო. მაგრამ ვინც ჩვენს რაჯაბის სიტყვას დაიჯერებს, აგრე დაემართებაო, წყეულმც არს მისი სახსენებელა, კაი ღმერთი ის არისო. იმ წყეულმა ყარამანისთანა სისხლია მღვრელს ფალავანს გადაგვიკიდა და საქმე ესრეთ გაგვიჭირა, რომ თუ ჩვენ დიდის ცდით იმისგან არ მოგვეტაცნე, უსიკვდილოდ ვერ მოურჩებოდითო. ჩვენი სამოცი ათასი ჯარი სულ გაწყვიტაო, და იმ დღის ამბავი სულ ყველა მოახსენეს. სამანდუნმა ერთი დიდი ამოიოხრა და ჰკითხა: ჩემი ხელები რა იქნაო? მათ მაშინვე მობრთვეს, დათვალა და თორმეტი აკლდა. ჰკითხა: ის თორმეტი რაღა იქნაო? მათ მოახსენეს: ყარამანის დევებმა წაიღესო. ამაზედ სამანდუნ დიდად შეწუხდა, შემდეგ დევებს უბრძანა: თქვენ უნდა წახვიდეთ ზულუმათისტანში, რომელიც ბნელეთის ქვეყანა არის. იმ ზულუმათის ზღვის კუნძულში უნდა მიმიყვანოთო. იმ ზულუმათისტანში ერთი მდინარე წყალი იმყოფებოდა. რომელიც, რაც უნდა ჭრილი ყოფილიყო, იგი წყალი რომ დაესხათ, მსწრაფლ გამრთელდებოდა.

რა, აზარიექ დასტმა ბრძანა ზულუმათისტანში წასვლა, დევთა მსწრაფლ წაიყვანეს და თავის დაჭრილი ხელებიც თან წააყოლეს. რა მივიდნენ იმ მკურნალ წყალთან, აზარიექ დასტმა იგი დაჭრილი ხელები ზედ მიიწყო, იგი წყალი დაისხა და გამრთელდა ისე, როგორც მრთელი ხელები ჰქონდა. შემდეგ ისევ თავის ქვეყანაში მოვიდა. სამანდუნმა თავისი ლაშქარი დაათვლევიანა და რიცხვით

ოცდაოთხი ათასილა დარჩომილიყო, სხვანი კი დახოცილიყვნენ. რა ამდენი დევის დახოცვა იხილა, მრავალი იწუხა, იტირა და თქვა: წყეულო ყარამან, ეს საქმე შენ არ შეგრჩებო! და მაშინვე ყარამანის ამბვის საცნობელად დევნი გაგზავნა და დანარჩომთ საომარის იარაღით შექურვა უბრძანა. თვით ქალაქიდან გარეთ გამოვიდა. ზურგი ციხე-ქალაქს მიაყულა და დადგა.

ჯარი ამას ჰფიქრობდა გუნებაში, თუ ყარამანი კიდევ მოვიდა საბრძოლველად, გაქცევის მეტი გზა აღარა გვაქვსო, ამისთვის, რომ დიდად შეშინდნენ. იმ დღეს სამანდუნმა მეჯლისში გაამართვინა, სარდალნი და ფალავანნი იხმო და სულ ერთობით შემოიკრიბნენ. ამჟამად რაჯიბ ეშმაკიცი შემოვიდა, რომელსაც ღმერთად აღიარებდნენ, საშულ მეჯლისში წამოდგა. სამანდუნმა ზურგი შეაქცია და უთხრა: აი, შე წყეულო, კიდევ იმისთვის მოხველ, რომ ერთა შფოთი ასტეხო? დაიწყევლოს ამას იქით შენის სიტყვის ამყოლიც და დამჯერებელიცაო. ასე თქვა და პირზედ შეაფურთხა. რა ეშმაკმა იხილა, რომ სამანდუნ შემოსწყრომოდა და მრავალს სამღურავსაც ეუბნებოდა, მაშინვე გარდაიარა და სამანდუნს გვერდით მოუჯდა და უთხრა: შენი ფიქრი და მწუხარება ზღვასავით გუნებაში დაგიგუბებია და ზინარო, არამც შენ თავს ერთი ბალა მოსვლიყოს რამეო. მე მითხარ და იმ განსაცდელისაგან გაგანთავისუფლებო. სამანდუნმა უთხრა: რაღას განმათავისუფლებ, შენ დაამცირე ჩემი თავიო, მე რაც ყარამანისაგან დამემართა, სულ შენი ბრალიაო. მან უთხრა: როგორაო? სამანდუნმა უთხრა, რაც ყარამანისაგან გარდასეღოდა.

რა ეშმაკმა ყველა გაიგო, გუნებაში ქება შეასხა ყარამანს და თქვა: იმას დიდი შემწე ჰყავსო. მაგრამ მე ამდენს უნდა ვეცადო. რომ ყარამანს ისევ შევბაო. ეს მოკვდება თუ ისა, სულ ჩემს სასარგებლოდ იქნებაო. შემდეგ სამანდუნს შეხედა და უთხრა: შენ რაც ამისთანა საქმე მოგივა, სულ ჩემის წყენისაგან მოგივაო, ამისთვის, რომ ჩემს მცნებას და სწავლას არ ასრულებო, შენგან გულს მაკლია და იმიტომ დამგართვია. თუ შენ გულს არ დამაკლებ და რასაც მე გირჩევ, დაიჯერებ, ათასი ყარამანისთანა რომ იყოს, შენის ერთის ბეწვის შესლასაც ვერ შეიძლებსო. იმ წყეულმა ეშმაკმა სამანდუნს ასეთი ამგვარი სიტყვები უთხრა, რომ დევს გუნებაში კიდევ ომი გააბედვინა. სამანდუნი მობრუნდა და უთხრა: შირბახტ, აბა რას მეტყვიო და რას დამარბებო, რომ ის ვსძლიო? მე ამას

გირჩევ, რომ ერთი ფოლადის ლახტი გააკეთებინო, ასეთი მძიმე, რომ რაც ხელები გაქვს, სულ ყოველით ძლივს დასძრავ და იმ ლახტის ერთის დაკვრით მიწასთან გაასწორებო. მე ასე გირჩევ, და თუ არ იმითი, მგონია, შენ იმას ვერ სძლევეო. სამანდუნმა მაშინვე იმისთანა ლახტის გაკეთება უბრძანა. მსწრაფლ გააკეთეს და მოართვეს. სამანდუნმა ეს ლახტი დიდად მოიწონა. ასეთი დიდი იყო, რომ მთასა ჰგვანდა. ხელებით აიღო და ათამაშა.

იმჟამად ყარამანი აზარიექ დასტის ტახტზე მჯდომი იყო. და აზარიექ დასტის საძებნელად დევები დაეფანტა. და თვითონ ლხინში იყო. სამან შევიდა, ყარამანს თავი დაუკრა და მოახსენა: ფალავანო, თქვენ რომ ის დაამარცხეთ და გაგექცათ, თავის ქალაქში მისულა, იქილამ ბნელეთის ზღვის კუნძულში წასულა და აწ მზად არის და ბრძოლას გიპირობსო. ყარამანმა ჰკითხა: საჰმან, აქედამ იქამდინ, საცა რომ ის არის, რა ერთი ხნის სავალიაო? საჰმანმა მოახსენა: სამის დღისაო. რა ყარამანმა ესე მოისმინა, მაშინვე ჯარის სანი ნახეს. ჯარის სანი იყო რიცხვით ასოცი ათასი დევი, მაშინვე აიყარნენ და სამანდუნია ქალაქისაკენ წავიდნენ და მუნ ჩამოხტნენ. რა სამანდუნმა იგი ლაშქარი მოსული ნახა, თქვა: დევნო, ვერ ხედავთ, ყარამანი კიდევ უკან მომდევსო! აწვე საომრად მოემზადენითო. სამანდუნი დიად ხათრიჯამი შექმნილიყო, რომ ეშმაკმა იმ გურზის ძალით ყარამანის ძლევა აღუთქვა. რა დილა გათენდა, ყარამანმა ჩვეულებისამებრ ილოცა და დამბადებელ ღმერთს მადლობა შესწირა და მტრისა ზედა ძლევის ევედრებოდა. რა ტირილსა და ღვთს ვედრებისაგან დასცხრა, გამობრუნდა და ბედნიერი საომარი იარაღი მოითხოვა, ჯანი ბეჟანის ფარი მხარსა გარდიგდო, თიღი ყამყამი წელთა შემოირტყა, ქეომარსის გურზი წელთა გაირჭო, სულეიმან ხაფისეული გურზი ხელში დაიჭირა. შემუფაიბარზედ არ შეჯდა. საჰმან ადამიზად წინ გაუძღვა, მივიდა და ქვევითად თავის ბაირალის წინ დადგა.

მაშინ ფასკუნჯი მივიდა და მოახსენა: ფალავანო, ქვევითად გამოსვლის მიზეზი რა არისო? ყარამანმა უპასუხა: სიმრულ, ამას გეხვეწები, რომ შენ ჩემს უვნებლად ფარვას ღმერთს ევედრე და იმისივე ძალით ჩემი წადილი ეს არის, რომ ეგების შევიპყრა ის წყეული დევიო. იქით მხარეს აზარიექ დასტს საშინელი მხეცი მოჰგვარეს და შესვეს. შემდეგ იგი მთისოდენი ლახტი მოართვეს. იმან ხელში დაიჭირა და ბრძანა: დევნო, თქვენც ხომ იცით, რომ ის

ფალავანი სისხლის მღვრელია. მე იმისი ბრძოლა არ მეწადა, მაგრამ რაჯიბის სიტყვით შევებმი და ვინიცობა თუ ომი გამისწოროს, მზად იყავით, მომიტაცეთ და ქუი-სამთუის მთამდის ნუ დასდგებით, მე ამისთვის უფრო გეუბნებით და ეკვი მაქვსო, რომ არა სააბ-ყირანის, არა ხელმწიფის და არა დევის მორჩილი არა ყოფილა. ფაშკუნჯიო და არც არავისი მონა ყოფილა აგრეთვე საჰამან ადამიზადი და იმისნი ამხანაგნი. ახლა კი იმისი მონანი არიან. ამან უფრო შემაფიქრინა და მგონია, რომ ვერცარავინ ამ ჩვენს ციხე-ქალაქში გაუსწოროს ომიო.

რა ესე სიტყვა დაასრულა, შვიდი ათასი დევი თავისი თავის საშველად დააყენა, თუ საქმე გაჭირდებოდა, მოსატაცებლად. რა ესე გაარიგა, შემოხედეს. ნახეს, რომ ყარამანს საჰამანი და ფასკუნჯი წინ მოუძღვიან, და თერთმეტნი ზვადნი დევნი უკან მოსდევნენ. წოდანზედ დიდის პატივით გამოიყვანეს. ყარამანი მობრუნდა და ფასკუნჯს მადლობა უთხრა და ყველანი დაითხოვა, მოვიდნენ და თავ-თავის ალაგს დადგნენ. როცა ესენი ყარამანმა დაითხოვა, უთხრა: გაბრუნდით, თქვენც ყველანი თავ-თავისად დადექით, თქვენც ღვთისათვის მიმიბარებინართო და მეც ნუ დამივიწყებთო! შარიფჯიმი ასე მოგვითხრობს: ყარამანმა რომ ამ მოედანზედ გამოსვლის დროს უნრები ჩაიდინა, ამისთანა უნრები არას ჟამს არ უქნია, ისე რომ ორსავე მხარეს გაოცდნენ და მის ყოფაქცევაზედ და მრისხანებაზედ შიშით ცნობამიხდილნი იყვნენო. ყარამანმა პირი სამანდუნის ლაშქრისაკენ მიიბრუნა და ასეთი საშინელი ნარა გასწია, რომ ორსავე ლაშქრიდამ ამის ხმის მსმენელნი მრავალნი ცხენებიდამ გადმოცივიდნენ და მრავალთ ცნობა დაეფანტათ. ყარამანმა შესძახა: ჰეი, გამოდით! თუ არა, უბრალოდ დევებს ნუ ამომაწყვეტინებთ. აზარიექ დასტო, სახელგანთქმულო ხელმწიფეო, თუ მოედანზედ გამოხვალ, რალას უცდიო და თუ არ გამოხვალ, დამმორჩილდი, საბოთ ღმერთი იწამე და გაგანთავისუფლებო.

რა სამანდუნმა ესე სიტყვები მოისმინა, ნამუსსა ჩავარდა, იგი ლახტი მხარზედ გარდაიდვა, მობრუნდა და დევთა უბრძანა: ფალავანო და დიდებულნო, დღეს რომ იგი წყეული ყარამანი ჩემად საომრად ქვევითი გამოვიდა, იმისი წადილი რა უნდა იყოსო? მათ მოახსენეს: ეტყობა, რომ თქვენს დამორჩილებას აპირებს და თავის ნაქნარს საქმეს ინანისო და შენდობას ითხოვს შეცოდებისასაო; და ამისთვის ქვევითად გამოვიდაო. სამანდუნმა უთხრა: თუ კი აგრე

არის, მაშ იგი წყეული რას გვაგინებსო? ამათ მოახსენეს: იბატობ, რომ ვითომ თქვენ განრისხდეთ და მოედანზედ გახვიდეთო, იქ კი შემოგეხვეწებათო. ამგვარი მრავალი უთხრეს და დააჯერეს და ყარამანის ომისათვის გული გაუმაგრეს. ეს დევთაგან თქმული სიტყვები რაჯაბ ეშმაქმაც მოიწონა და თქვა, სამანდუნს ჩემი რჩევა აღარ ექირვებაო. შემდეგ სამანდუნმა კვლად დევთა ჰკითხა: მწადს, რომ რადგან ყარამანი ქვევითად გამოვიდა, მეც ქვევითად გავიდეო, თორემ არამც ასე თქვან, ყარამანი ქვევითი იყო და სამანდუნ იმიტომ მოერიო. იმათაც ქვევითობა ურჩიეს, მსწრაფლ მხეცილად ჩამოხტა, იგი მძიმე ლახტი მხარს გადიგლო და მოედანს ქვევითად გამოვიდა.

რა ყარამანის სიახლოვეს მივიდა, განრისხებულმა სალამი მოსცა და უთხრა: უეცრაგად, ამას წინად უეცრივ მომივიდა და ახლა სრული საომრის იარაღით მოვსულვარ შენთანაო. თუ შენი თავის უვნებლად გადარჩენა გინდა, მოდი, დამმორჩილდი, ჩემს რაჯაბს ღმერთს თავყანი ეციო. ყარამანმა განრისხებულმა შესძახა: ჰეი, წყეულო, ბევრს ნუ ლაპარაკო, ისა სჯობს, რომ შენ მოიქეცე და ჩემი საბაოთ ღმერთი იწამო, თორემ იმას ვფიცავ, ასეთს საქმეს გიზამ, რომ არას ხორცშესხმულს არ დამართებოდესო და სიკვდილამდის ის საქმენი იხსენებოდეს. სამანდუნმა ნახა, რომ ყარამანი ფიცხად იყო და სამშვიდობოს არას ამბობდა. მაშინვე თავის მთისოდენს ლახტს ხელი მიჰყო და ყარამანს დასაკრავად შეუმალლა და შესძახა: ჰეი, შენ მიწავ, მე ხომ არ დამიჯერე, ახლა შენს ჰუნარს გიჩვენებო. რა ყარამანმა ლახტი შემალლებული იხილა, შესძახა: ჰეი, აზარიეჟ, თუ მამაცობის დავასა სწევ: სწორედ წესზედ დადექო, ამისთვის, რომ შენ ერთი იარაღის ხმარება გმართებს წინანდელიო, რომელიც ერთი უნდა მეტი ვიხმარო. ამისთვის, ჯერ ჩემი რიგია და მერე შენიო. სამანდუნმა უთხრა: შენ რა ხარ, რომ შენი დაკვრა რა იყოსო, მოდი, თუნდა ასი ათასჯერ იხმარე იარაღიო. იმ დღესაც უეცრად ვიყავ, თორემ არც ერთს იარაღს არ ვახმარებინებდიო.

რა ესე თქვა, ფარი აიღო და ერთს მხარეს დაიფარა და დადგა. ყარამანმა ქეომარსისეული ბედნიერი გურზი წელთაგან გამოიღო და ხელთა მიიკა, ორმოცს ნაბიჯზედ ბოშორდა და დასაკრავად შეუმალლა. სამანდუნს ეგონა, ლახტს დამკრავსო, ყარამანმა ქარის უსწრაფესად გურზი მარცხენა ხელში მიიკა და მარჯვენა ხელით ასეთი მუშტი დაჰკრა გულზედ, რომ თვალთ დაუბნელდა და უც-

ნობო შეიქმნა და მიწასა დაეცა. ყარამანი ლამობდა, რომ მივარდნოდა და თავი ტანიდამ განეშორებინა, მაგრამ მსწრაფლ შვილი ათასნი დევნი მისცვივდნენ და სამანდუნ ყარამანის წინილამ მოიტაცეს. ყარამანი განრისხდა და თილი ყამყამს ხელი მოივლო და ამ დევთა ლაშქარში გაერია. ერთს ჟამამდინ სამი ათასი დევი მოსრა იმ შვილი ათასილამ და ოთხი ათასმა კი ის მოიტაცეს და მსწრაფლ ქუის მთისაკენ წაიყვანეს. სამან-ადამიზად და თერთმეტნი დევნი მოედნის თავს იდგნენ და ყარამანს ზურგს უნახავდნენ. იმ დღეს ყარამანმა ასეთი ომი გარდაიხადა, რომ იგი საშინელი მინდორი დევის სისხლით შევლბა.

რა ყარამანმა სამანდუნის მოტაცება იხილა, ერთი ამოიოხრა და თქვა: ვაიმე, ვაიმე, რომ იმის ბრძოლა კიდევ გამიგრძელდაო. და განრისხებულმა ასრე ძლიერად იბრძოლა, რომ რისხვა ღვთისა მათ დევთა ზედან მოაწია. მრავალნი დაიხოცნენ და სხვანი დაიფანტნენ და გარდაიხვეწნენ. ამ ყარამანის თერთმეტს დევს სამი ათას ხუთასი ცეცხლის მფრქვეველნი დევნი შეეპყრათ საჰმანის სარდლობითა. და ყარამანის წინაშე მოიყვანეს. შემდეგ ყარამანმა საჰმანს უბრძანა: წადი, საჰმან, და ციხე-ქალაქი დევებს სთხოვე. საჰმანი წარვიდა და სთხოვა. მათ არ მისცეს. ყარამანმა ბრძანა: მცირე დავიცადოთ და მათ ციხე-ქალაქისას ომი გაარიგებსო. შემდეგ პყრობილნი დევნი მოასხმევინა და უბრძანა: მოიქეციოთ, საბოთ ღმერთი იწამეთ, თუ არა, უნდა დაიხოცნეთო! მათ სიხარულით თავი დაუკრეს, თავიანთი ბილწი ღმერთი და სჯული დაუტევეს და ჰეშმარიტი ღმერთი იწამეს, ყარამანმა მათ დიდი წყალობა მისცა. შემდეგ საჰმანს უბრძანა: წადი, ჯარი წაიყვანე და ციხეზედ იერიში მიიტანეთო. იერიშიც მიიტანეს, მაგრამ ის ციხე-ქალაქი მაინც ვერ დაიპყრეს.

რა დაღამდა, ყარამანმა ფაშკუნჯს უბრძანა: ამ ციხის აღებას ერთი წამალი რამ დასდეთ. ფაშკუნჯმა მოახსენა: ფალავანო, ღმერთმა მშვიდობით გაგვითენოს და ხვალ მე წაგიყვან და ციხის საშულალ ალაგს დაგსვამო. შიგნიდამ შენ იბრძოლე და გარედამ ამათ იერიში მიიტანონ და ასე აიღებთო. რა ესე თათბირი გამოარჩიეს, ყარამანმაც მოიწონა. იმ ღამეს იქ განისვენეს, რა დილა გათენდა, თვითონ ფასკუნჯზედ შეჯდა, საჰმანს და იმის ამხანაგებს კი უბრძანა გარედამ იერიშის მიტანა და იერიში მიიტანეს. იმ ქალაქშიც მყოფთ დევთა, რა ჯარი მისული იხილეს, თვითონაც ბურჯებზედ და

გალავანზედ გარდმოდგენენ და დიდი ომი შეექმნათ. იქამად ფაშ-  
კუნჯი ციხეს გარდავიდა და ყარამანი გარდაიყვანა. და ასეთი ყვი-  
რილი შექმნა ფაშკუნჯმა, რომ იმ ქალაქში მყოფნი იმ ხმისაგან  
უცნობო შეიქმნენ. ფაშკუნჯი მივიდა და ყარამანი ერთს ციხის  
საშუალ ალაგს ჩამოახდუნა. მაშინ ყარამანმა საშინელი ნარა გას-  
წია, ისე, რომ დევნი შიშით დაწყალდნენ, შემდეგ ქალაქის კართან  
მივიდა და ასეთი ძლიერი გურზი დაჰკრა, რომ იგი კარი ლუქმა-  
ლუქმად დაამსხვრია და იმ კარიდამ საჰმანი და თერთმეტი დევნი  
შევიდნენ. რა ესენიც შევიდნენ, რისხვა ღვთისა მათ ზედ მოაწიეს.  
მეციხოვნეები ერთს წამზედ ზოგი დაიფანტნენ და ზოგი გარდაიხ-  
ვეწნენ. ყარამანის ბრძანება ის იყო, რომ სულ დაეხოცათ და ქა-  
ლაქიც დაეხრიათ. ვინც მეციხოვნეთაგან ყარამანის სარწმუნოება-  
ზედ მოქცევა ინებეს, მივიდნენ და ყარამანს მდაბლად თაყვანი სცეს.  
საბოთ ღმერთი იწამეს და ყარამანმაც ივინი შეიწყალა.

შემდეგ ბრძანა და აზარიეკ დასტის სასახლე დააქევიანა და მის  
საპყრობილეში შევიდა. ნახა, რომ შეიღბ ათასი ადამის ტომნი ქალ-  
ნი და თორმეტი ათასნი ვაჟნი, პყრობილად იყვნენ. ფალავანმა ეს  
პყრობილნი გაათავისუფლა, მრავალი წყალობა უბოძა და თავ-თა-  
ვის ალაგს გაისტუმრა. შემდეგ ყარამანმა ბრძანა და იმ ქალაქის  
ნაქცევი სულ ზღვაში ჩააყრევინა. თუ მიწა, თუ ძელი, არა გააშე-  
ვინა რა. აზარიეკ დასტის დევები, რომელნიც ყარამანს დაემონა-  
ვნენ, რიცხვით ოცდაშვიდეჯერ ასი ათასი იყვნენ. ყარამან ასეთნაი-  
რად იყო განრისხებული, რომ ის ნაქალაქევი მოახვნევიანა და ქერი  
დაათესინა. შემდეგ საუკეთესოს ალაგს კარვები დააცემინა და შიგ  
დაბრძანდა. დევები საჰმანმა აზარიეკ დასტის საქმენელად დაჰფან-  
ტა. დევები წავიდნენ და ჩვიდმეტი დღე იარეს, მეთვრამეტესა  
დღესა მოვიდნენ და ყარამანს თავი დაუკრეს და მოახსენეს: ფალა-  
ვანო, სამანდუნ გაქეუული ქუის მთაში მისულაო, ფალავანმა  
ჰკითხა: იქამდის რამდენის დღის სავალიაო? საჰმანმა მოახსენა: ფა-  
ლავანო, ადამის ტომის სიარულით თორმეტის წლის სავალია, მაგ-  
რამ დევნი და ფერიანი ორმოცს ან ორმოცდაათს დღეს მივლენო.  
ყარამანი ძალიან დაღონდა, თავი ჩამოჰკიდა და ერთს ჟამამდის  
ფიქრობდა, შემდეგ მალლა აიხედა და ბრძანა: მე ჩემს ღმერთთან  
აღთქმა მაქვს დადებული. რომ მანამდინ სამანდუნ აზარიეკ დასტი  
ხელში არ ჩავიგდო, ჩემს ცოლთან და შვილთან არ მივალო და წა-  
სვლის თადარიგი ნახეთო. შემდეგ სიმრულმა მოახსენა: ფალავანო.

რადგან არ იშლი წასვლას და ემზადები, მე რაღას მიბრძანებო? მე შინ მინდა წავიდეთ. ყარამანმა მოახსენა: ღმერთთან ჩემი თხოვნა ეს არის, რომ შენ არ მომშორდე, რომ შენვე მიმიყვანო, თუ შეიძლება, ქუის მთამდინაო.

### აჰა ყარამანის კვალად წასვლა აზარიმ ადსტინსაკენ

რა იმ ღამემ განვლო, ამ დევთა ლაშქართაგან ასი ათასი ზვადი დევი და იფრითნი ცეცხლის მფრქვეველნი გამოარჩიეს, ასეთნი, რომ მანამ ყარამანი გამოჩნდებოდა, ესენი თვითო და თვითო სააბყირანობის დავასა სწევდნენ ყარამანის მსგავსად. შემდეგ ყარამანმა აყრა ბრძანა. მცირეს ხანს თვითონ ილოცა, შემდეგ სახელი ღვთისა ახსენა, ფაშკუნჯზედ შეჯდა და საჰმან ადამზადი ნაჯახ-მჭრელი წინ გამოუძღვა. აწყაბუზ ნარამ შემუფაიბარი აიკიდა, რადი ნარამ იარალის ზანდღჯა. რადგან შემუფაიბრის წაყვანა ძნელი იყო, ერთი ბალახი ჰქონდათ, იმას ასუნთქებიანებდნენ და დაეძინებოდა ხოლმე და როცა აღგილს მივიდოდნენ, ძმარს ცხვირში ასხამდნენ და გაიღვიძებდა ხოლმე. ამ სხვა დევთა აზარიმის ხაზინა აიკიდეს და ისრე შეფრინდნენ ჰაერში, ურიცხვი მთა და ბარი გაიარეს. ფაშკუნჯი გზადაგზა იმ მთების ამბავს უამბობდა და ისე შექცევით მივიდოდნენ. ყარამანმა ერთი მთა დაინახა, ასეთი მაღალი იყო, რომ წვერი თითქმის ცისათვის მიებჯინა. ის მთა სულ მაღაროებით იყო სავსე და ამ მაღაროებიდამ დევების და ცხენებისოდენნი ცხოველნი გამოდიოდნენ და შედიოდნენ. მაგრამ იმ არემარეში ისრეთ ფიცხად დადიოდნენ, რომ ფრინველის ფრენას ემსგავსებოდა. რომელნიმე ხეებზედ ასულიყვნენ და ხილსა სჭამდნენ. ყარამანს შორიდამ ცხენნი და აქლემნი ეგონა და ფაშკუნჯს უთხრა, ეს კარგი დიდი ადგილები ყოფილაო და უმეჯობესი არ იქნებოდა, რომ ადამიანთ სამყოფი ყოფილიყო, ვიდრე ცხენებისა და აქლემებისაო? ფაშკუნჯმა მოახსენა: ფალავანო, იმ მთას სახელად ქუი-მურუთის მთა ჰქვიანო და ღმერთს ეს მთა ჯინჯველებისთვის გაუჩენიაო. შენ რომ ცხენნი და აქლემნი გგონია ისინი ჯინჯველები არიანო. და ეს მაღაროებიც იმათთვის არის გამოჭრილიო. მაგრამ ღმერთს ამათი მებრძოლი და წინააღმდეგნი არა დაუბადებია რაო, ყველას ღვთისაგან დაბადებულს, ფერიას, თუ დევსა, თუ ქაჯსა, ყველას ამათგან ეშინიანთო, და თუ ხელთ იგდეს ვინმე, შეუჭმელს არ გაუშვებნო.



ყარამანი დიდად გაჰკვირდა და ღვთის განგებულება ადიდა. ეს მთაც ძალიან მაღალი იყო. ყარამანმა ჰკითხა: ჰეი, სიმრულე, ამ მთას რა ჰქვია? ამას ქუი-აზამი ეწოდებაო. მაგრამ ასეთი დიდი მთა არის, რომ ყაფის მთა ხომ გინახავთ, იმ ყაფის მთას ათი ათას რვა-ისი გორები აქვსო და თვითო გორა შვიდის წლის სავალიაო. მაგრამ ეს ასეთია, რომ ათის წლის სავალიაო. ამ მთის ქვა და მშვენიერება სხვა მთათაგან უკეთესიაო. ეს მთა ადამის ტომის აგებულებას ძლიერ არგებს, ისე, რომ რაც გინდა სნეული იყოს, განიკურნებაო. ამ მთაზედ ერთი საშინელი ხე არის, უწინ ჩემი ბუდე აქ იყო და იქ ვიმყოფებოდიო. რა დევებმა გააცოდვილეს და არ მომასვენეს, იქედამ ავიბარგე და ქუი-ბორჯათის მთას დავემკვიდრეო. მაგრამ იქავ მინდა მოსვლაო, ამისთვის, რომ თუ შენი თავი უვნებლად მყავს, მე აღარავისი მეშინიაო. ყარამანმა უთხრა: ღვთის მოწყალეობით ეგ ეგრე არისო, მაგრამ გვედრები, რომ საცა შენი სამყოფი ხე არის, იმის ქვეშ ჩამოვხდეთო. მაშინვე სიმრული იმ ხის ძირში მივიდა და იქ ჩამოხდნენ. რა ყარამანმა ის ხე გასინჯა, სისქე გა-ზომინა და რიცხვით ორი ათას სამოცდაშვიდი მწყურთა იყო. და იმის ძირში ოცდაათი ათასი კაცი მოიჩრდილებდა. მუნ ერთი მშვენიერი უკვდავების მსგავსი წყარო გამოდიოდა და იმ წყაროს პირზედ მრავალნი მშვენიერნი სასმენელნი ფრინველნი იყვნენ,—თუთო-ყუშნი, ბუღბუღნი, და ყოველნი თავთავის ხმაზედ გალობდნენ. მრავალნი ვარდნი და სუნოვანნი ყვავილნი იყო, ასე, რომ ამათი სურნელება კაცს გონებას მისტაცებდა. მაშინვე საჰმანმა იქ უტბო და უტბო ფარჩები გაშალა, შემდეგ წარვიდა და ყარამანისთვის და ფაშქუნჯისთვის მრავალი ფრინველი მოიტანა, შეწვეს და ნადიმი დაიდვეს და შეექცნენ. მაგრამ ბევრი რამ აკლდათ თავიანთ საკადრის სუფრაზედ.

ყარამანმა უთხრა: ჰეი, ერთგულო ძმაო საჰმან, კარგი არ იქნებოდა, რომ აღამიანთ-ტომური სუფრის სამზადისი და სუფრის იარაღი გვექონდეს და რამდენსამე დღეს აქ შევექცეთო? მაშინვე ბრძანებისა მორჩილი საჰმან ზე წამოიჭრა და მოახსენა: წყალობას ვითხოვ, მიბრძანოთ და საიდამაც იქნება, ვიშოვნო. მანცა ბრძანება დართო. საჰმანმა თვისი თერთმეტი ამხანაგი წარიყოლა, შეფრინდნენ ჰაერში და ხუთს საათზედ ზანგიბარში მივიდნენ. საჰმანმა იხილა, რომ ზანგიბარის ხელმწიფე ერთს მწვანოვანს ალაგს მეჯ-

ლისზე იჯდა. ეს თორმეტნივე უეცრად დაესხნენ, სუფრა, ღვინო, სუფრის იარაღი და სამზადისი ყოველივე მოიტაცეს და მსწრაფლად წამოვიდნენ. ამაზედ ზანგიბარის ხელმწიფე შესწუხდა. დიდებულთა მოახსენეს: აკი მოგახსენეთ, რომ ეს ადგილი დიდად საშიში არისო. ამ სიტყვაზედ აიყარნენ და თავის სადგომს წავიდნენ.

რა ვახშმის დრო შეიქმნა, საჰმანმა სუფრის სამზადისი, ღვინო და სხვანი ყარამანს მოართვა. ყარამანს დიდად იამა და ქება შეასხა, ჰკითხა: საჰმან, ასე მსწრაფლად საიღამ მოიღეთო? საჰმანმა ყოველივე მოახსენა, როგორც მოეტაცნა. ამაზედ მრავალი იცინეს, დასხდნენ, ლხინსა და შევებას შეექცნენ. ამ ლხინსა და შექცევაში შვიდი დღე და ღამე იყვნენ. ამ ლხინის დროს უეცრად ერთი შავი ღრუბელი იხილეს; აღმოსავლეთიდან მომავალი, იქედამ მრავალი სხვადასხვა ფერი იხილვებოდა და სხვა და სხვა ხმები ისმოდა საკრავებისა. ყარამანმა ფაშკუნჯს ჰკითხა: ეს რა ღრუბლები უნდა იყოსო? მან მოახსენა: მგონია, რომ ეს ფერიათ ჯარი უნდა იყოსო, იმასა ჰგავსო. მაგრამ მტერია თუ მოყვარე, ის კი არ ვიცით. მაშინვე გაცეცხლებული საჰმანი ზე წამოიჭრა, ნაჯახი მხარზე გადიდვა. შეფრინდა და მომავალს ღრუბელს წინ მიეგება. სიმრული ამ საჰმანის სისწრაფემ გააკვირვა და დიდი ქება შეასხა. რა საჰმანი მიუახლოვდა, ნახა, რომ ფერიათ ჯარი იყო. ამ ფერიათაგანი ერთი მოიტაცა და ყარამანთან მოიყვანა.

რა ფერიათ ყარამანი დაინახა, გაჰკვირდა, შემდეგ ფრინველს შეხედა და ნახა, რომ ისა და თავისი დამკერი დევიც იმას ემსახურებოდნენ. გაშტერდა და თქვა: ეს ვეშპის მზგავსი ფალავანი ადამიანი ვინ უნდა იყოსო? მაშინ ყარამანმა უთხრა: ფერიათ, ეს ლაშქარი სადაურია, ან მათი უფროსი ვინ არისო, ან სად მიდიან? სწორედ მითხარი, თუ სიცოცხლე გინდაო! ფერიათ ცახცახით მოახსენა: ჩვენ ფერიათი ვართო, რიცხვით თვრამეტი ასი ათასი და ჩვენი ხელმწიფე, საბზაბარის სულთანის სეილან-შაჰა არისო. ამას ერთი ბრწყინვალე ქალი ჰყავსო, სახელად უმაინ ფერია ეწოდებოდა. ეს ქალი დაუნიშნავს დარუნ-შაჰას შვილზედ მარუნ-შაჰაზედ და ახლა მოდიან, რომ ქორწილი ქუთი-აზამის კალთაში გარდაიხადონო, რომელსაც სახელად საჰა-ჯარ ჰქვიათო. და თქვენ კი ამას მოგახსენებთ, რომ ეს ადგილი დაავდევით, თორემ არამც ზიანი გეწვიოსთ რამეო. ყარამანმა უთხრა: ფერიათ, შენ წადი და იმათ უთხარ, ყარამან საჰა-ჯარ მუნთს დგას და მოგახსენათ, თუ ინებებთ, მობრ-

ძანდით და მეც აქა ვარ და ქორწილი ჩემთან გარდაიხადეთ-თქო. რა ფერია გაანთავისუფლეს, თავი დაუქრა და წავიდა. მსწრაფის სიარულით მათ მოეწია და მოახსენა: ჰეი, ხელმწიფეო, მუნთის ხის ქვეშ ყარამან ყათილი სახელწოდებული იმყოფებაო და ათი ათასზედ მომეტებული დევის ლაშქარი ახლავსო. და ლხინსა და შექცევაში არიანო. თორმეტნი დევნი, რომელნიც ყარუნ-შაჰას თილისმაში იყვნენ და ფარმან ბაყყუშიც სულ იმას მსახურებენო. და ამის გარდა, რაც ყარამანს დაებარებინა, ყოველივე მოახსენა.

რა მათ ყარამანის იქ ყოფნა შეიტყუეს, ასე გამზიარულდნენ, რომ თავიანთ დღეში იმისთანა სიხარული არ მისდგომოდათ. შემდეგ სეილან-შაჰმა თავის ქალს უმაინ ფერიას შეხედა და უთხრა: ჰეი, საყვარელო ასულო ჩემო, ყარამანის ნახვა რომ გინდოდა, აწ ნახავო, თურმე აქ ბრძანებულა, საცა ჩვენ მივდიოდით და ესე სჯობს, რომ იმის საკადრისი ფეშქაშები გავაკეთოთო და უწინ შენ და მარუნ-შაჰ წახვიდეთ, ნახოთ და ჩვენც მოგეწევითო. ესე სიტყვა აძოროთა დიდად იამათ, რომ ორნივე ყარამანის ნახვის მოწადინებო იყვნენ. მაშინვე ფეშქაშები წამოიღეს და ყარამანის წინაშე მოვიდნენ. რა ყარამანმა იგინი დაინახა, სიხარულით წინ მოეგება და ერთმანეთი ძმურის და მამაშვილურის სიყვარულით მოიკითხეს. ყარამანმა იგი ორნი ქალ-ყრმანი თავის ტახტსა დასვა. რა ქალმან ყარამანი გასინჯა, მის მშვენიერებას გაჰკვირდა და სთქვა: მე ამაზე უმშვენიერესი ფალავანი არ მინახავსო. მაშინ ფეშქაშები მოიღეა და დიდის თავაზით ყარამანს მიართვეს და ყარამანმაც დიდი მადლობა უთხრა. შემდეგ აგრეთვე სეილან-შაჰამ და მარუნ-შაჰამ ურიცხვი ფეშქაშები მოამზადეს და ესენიც ყარამანს წინ მიეგებნენ და ერთმანეთს სახელსა და პირს ეამბორნენ. სიყვარულით მოიკითხეს, ფეშქაშები მიართვეს მოვიდნენ და დასხდნენ.

ყარამანმა თავიანთ იქ მოსვლის მიზეზი ჰკითხა. მათ ქორწინება გაშოუტხადეს. შემდეგ სეილან-შაჰამ მოახსენა: ფალავანო, თქვენი აქ მოსვლის მიზეზი და განმზადება რა არისო? რა ყარამანმა ესე გაიგონა, ამოიოხრა და აზარიექ დასტის ამბავი უამბო, მისი ბრძოლა, ორჯელ დამარცხება და გაქცევა. რა სეილან-შაჰამ ესე მოისმინა, მოახსენა: ფალავანო, ვაქებ შენს დამბადებელსა, რომ სამანდუნ აზარიექ დასტიც დაგიმარცხებია და ვაქებ მშობელთა შენთა, რომელმაც გშვა ეგვიეთარი ფალავანი, რომელ დასაბამიდაც სოფელზედ არ ყოფილა, და ვგონებ, არც იყოს! ფალავანო, რად სწუ-

ხართ? იმას ისეთი შარბათი დაუღევია თქვენგან, რომ ვინ უწყის, სად გარდაიკარგა და მგონია, იმის პოვნაც შეუძლებელი არისო. ამაზედ ყარამანმა მოახსენა: სულთანო, თუმცა მართალია, შეუძლებელია, მაგრამ მე ეს აღთქმა დამიდვია, რომ მანამ არ ვიპოვნო და იმის საქმეს არ გადავწყვეტ, მე ვერც ჩემს ქვეყანაში მივალ, ვერც ცოლსა და ვერც შვილსა ვნახავო. და რადგან აქ დაგესწარით, ჯერ ქორწილი გარდავიხადოთ და მერე იმის საქმეს ღმერთი გამარიგებინებსო.

მაშინ ქორწილს მიჰყვენენ, თორმეტი დღე და დამე ქორწილი იყო. ყარამანი მათ ეჯიბად გაუხდა და მეცამეტეს დღეს სიძე-რძალი ერთმანეთს მიაბარეს. მაგრამ რადგანაც ამისთანა სამხიარულ საქმე იყო, მწუხარებაც მოხდებოდა, ამისთვის, რომ დევნი, თუ ქაჯნი, თუ ჯადონი, ასტყდებოდნენ და ყარამანს ამისაგან ეშინოდა. იმ დამეს რომ ქალ-ყრმანი ერთად შეიყარნენ, ყარამანმა თავისი კარავი იმათის საწოლის წინ დაადგმევინა და საპმანი თავის თერთმეტის დევით იქ იყოლია, და უქეშიკებდნენ. რა დილა გათენდა, იგი ქალ-ყრმანი აბანოში წაიყვანეს, აბანოს კარი დახშეს და კარზედ უქეშიკებდნენ.

### აჰა ჯადოთაგან ყარამანის დაბრმავების ამბავი

იმ მთის სიახლოვეს ზღვა იყო, იმ ზღვაში დიდი კუნძული იყო, რომელსაც ჯეზირ-ვახვანი ეწოდებოდა. იმ კუნძულში ერთი დევი ცხოვრობდა, სახელად ყეითნუსარა ერქვა. იმას ერთი შვილი ჰყვანდა, სახელად უყნუსარა ერქვა. ამ უყნუსარას კიდევ ერთი შვილი ჰყვანდა, სახელად ჰეყნუსარა ერქვა. ეს სამნივე ჯადონი იყვნენ და ყოვლის გრძნებით სავსენი იყვნენ. ამ უყნუსარას სამოცდაათი წელიწადი ეშმაკისათვის ემსახურნა და ჯადოობა იმისაგან ესწავლა და იმას თავის შვილისთვის და შვილიშვილისთვის ესწავლებინა. და ფალავნობითაც ძლიერნი იყვნენ. ესენი ამ ჯეზირ-ვახვანში ცხოვრობდნენ, ლხინსა და შექცევაში იყვნენ.

დღესა ერთსა რამდენიმე დევენი შევიდნენ და მოახსენეს: ჰეი ფალავანო, ჯერ შეგიტყვიათ, რომ ქუი-აზამის კალთაში საპა-ჯარმუნთის ხის ქვეშ ლხინი და ქორწინება არისო? სეილან-შაჰა და მარუნ-შაჰა ჩვიდმეტჯერ ასი ათასის ჯარით იქ არიანო, სააბყირანიც ასი ათასის ჯარით იქ იმყოფებაო და ქეიომარს ხელმწიფის

საპრობილეში რომ საკმან და თერთმეტნი დევნი იყვნენ ქვეყნის ამორბებელნი, ისინიც ყარამანს ახლავანო და სიმრულიცა. დიდს ლხინში და შექცევაში არიანო და დღეს თუ ხვალ იმ ქალ-ყრმათ ერთად შეჰყრიანო. რა ჰყენუსარამ ესე გაიგო, თქვა: ნახეთ, თუ რა გახსაცდელში ჩავცვიენულვართო. ესე თქვა და ამოიხრა, თურმე რამდენიმე წელიწადი იყო, რომ ეს საძაგელი ამ სეილან-შაჰას ქალს უშიან-ფერიას გაარშიყებოდა და იმის მამასაც მოციქულს უგზავნიდა, რომ ცოლად მომეციო, მაგრამ რამდენჯერაც სეილან-შაჰას იმისგან მოციქული მოუფიქროდა, იმის მეტს პასუხს არ აძლევდა, რომ ჩემი ქალი ჯერ ყმაწვილიაო და ამის მიზეზით ვერ მოგცემო, მაგრამ ეს წყეული ნიდაგ აჰ ცდაში იყო, რომ ის ქალი მოეტაცნა. მაგრამ მამა უშლიდა და ეუბნებოდა, ჩვენ სეილან-შაჰას ერთის ქალის გულისთვის მტრად ნუ გადავიკიდებთო, ამისთვის რომ იგი მიწისაგან შექმნილი ყარამანი ქომაგადა ჰყავსო. მაგრამ რაკი ახლა ჰყენუსარამ იმათი ქორწინობა შეიტყო, ველარ მოითმინა. თავისთან მსხდომთ დევთ შეხედა და უბრძანა: თქვენ წადით და ეცადენით როგორც იყოს, ის ორნი ქალ-ყრმანი მოიტაცეთ და აჭ მომგვარეთო, მე ამაზედ მრავალს წყალობას გიზამთო. მაგრამ იმათ პასუხი ვერ მისცეს. ამაზედ ჰყენუსარა განრისხდა და უთხრა: თქვენ წყეულნო, მე თქვენს მუნათს რად გავწევ, მე ხომ არ დამიჯერეთ და ამას იქით ჩემის მეტი მტერი აღარ გინდათო.

რა ესე სთქვა, მსწრაფლ აფრინდა და საცა ქალ-ყრმანი აბანოში იყვნენ, იქ მივიდა; უჩინრად აბანოში შევიდა, იმ ქალ-ყრმათ წამალი რამ უყო, უსულო ჰქმნა ორნივე და მოიტაცა. და ჯეზირ-ვახვახში წაიყვანა, იგი ყრმა მარუენ-შაჰა საპრობილეში დაკრძალა და მნათობი ქალი კი თავის სახლში მიიყვანა. რა უშიან ფერიაჰ თვალეზი აახილა, ნახა, რომ ერთი საძაგელი მყრალი დევი წინ უდგას და თვითც სხვა სახლში იჯდა. რა ქალმა ესე იხილა, სცნა, რომ აღარა გაეწყობოდა რა, სიმხნე იხმარა და ხერხიანის სიტყვებით ლაპარაკი დაუწყო ესრეთ: ჰეი, დევთა ხელმწიფეო, ან ეს ალაგი რა არის, ან შენ ვინა ხარ და რა გქვიანო? ჰყენუსარამ უთხრა: მნათობო, ეს ადგილი ჯეზირ-ვახვახი არისო, მე ჰყენუსარა მქვიან, მამაჩემს უყნუსარას უწოდებენ და მე ამ ჯეზირ-ვახვახის ხელმწიფე ვარო. მე შენი არშიყი ვიყავ, მამაშენს ბევრი მოციქულები გაუგზავნე, მაგრამ არა ჰქნაო, და ახლა დრო ვპოვე, შენ და მარუენ-შაჰა აბანოლამ მოგიტაცეთ და ახლა შენს დროს ამ ფუჰს

ქვეყანაში მწუხარებით ნუ გაატარებო და განსვენებას ნუ დაჰკარგავო. ქალმან ჰკითხა: მარუნ-შაჰა რაღა უყავიო? მან წყეულმან უთხრა: შენ მარუნ-შაჰას ველარ ნახავო, ის საპყრობილეში დაეკრძალეო. ქალმა ამოიხრა და უთხრა: ჯადოთ ხელმწიფეო, რა ვქნა. მეც არ მინდოდა ის ქმრადა, მაგრამ მიწისაგან შექმნილის ყარამანის შუამავლობით მაგას მიმცესო და ახლა რა შენ გიხილე, ჩემი გული დიად შეგეტრფაო და შენი სიყვარული გულში ჩამივარდაო, მაგრამ რადგან შენთვის გინდივარ და მეც შემიყვარდი, ძალითაც რომ გამავდო, მე შენ ველარ მოგშორდებიო და მხოლოდ ამ წყალობას ვითხოვ, რომ ამ ორმოცს დღეს მულათი მომცეო. და მეორე ესა, რომ მარუნ-შაჰა გავათავისუფლოთო. ამისთვის რომ ამ ორმოცს დღეს მე ერთს წამალს მოვამზადებ, რომ კაცის მომკვლელი იყოს, ის წამალი ყარამანს როგორც იყოს დავალევინოთ, ის მოვკლათ და რა ის მოკვდება, რუბი-მასკუნიც ჩვენი იქნება, ყაფის მთაც, ზღვაცა და ხმელეთიცაო, მერმე მხიარულობას და შვებას მივეცეთო. ჯადოს ეს დიდად იამა და ნება დართო, მაგრამ მარუნ-შაჰა უარეს ალაგას დაკრძალა და რამდენიმე დღევი ქეშიკად დაუდგინა, მოვიდა და უთხრა: მნათობო, მარუნ-შაჰა გავათავისუფლეო. ამ ქალმა მაშინვე შეიტყო, რომ არ გაეთავისუფლებინა, მაგრამ მეტი ვერა ჰქმნა რა, და მარადის ცისა და ქვეყნის დამბადებელს ევედრებოდა იმ ჯოჯოხეთიდან დახსნას. ამ ჯადომ ქალს ერთი წრე შემოუვლო და შიგ დააყენა. და მარადის ორმოცის დღის გასვლის მაყურებელი იყო.

აქა ყარამანისა და სელიან-შაჰას ამბავი მოიხსენეთ: იმ დღეს, რა ქალ-ყრმანი აბანოში გაგზავნეს და დევი და ფერიანი ქეშიკად დაუყენეს, მრავალი უცადეს, მაგრამ აბანოდამ აღარ გამოვიდნენ. ამაზე განკვირვებულნი შევიდნენ და ნახეს, რომ აღარც ქალია და აღარც ყმაწვილი. მაშინვე საძებნელად დევი და ფერიანი დაფანტეს, მაგრამ ვერა გაიგეს რა და თავ-პირკემით მოვიდნენ და იმავ დღე-მამას და ყარამანს შეიტყობინეს. რა მათ ესე შეიტყეს, მეორედ მოსვლის მსგავსი გლოვა და ტირილი ატეხეს, აბანოში მოვიდნენ და ნახეს, რომ არავინ იყვნენ. აქეთ-იქით ეცნენ, მაგრამ რაღას გააწყობდნენ, წამოვიდნენ და თავ-პირ კემით ყარამანთან მოვიდნენ. ყარამანი დიდად შეწუხებული იყო, ასე რომ მრისხანებით ანთებულსა ჰგვანდა. მაგრამ იმათ დიდი ნუგეში მისცა და უთხრა: ნუ შეწუხდებით, ღვთის

ძალით იპოვებო, ცოტა გლოვა დააწყნარეთ, რომ სიტყვა მაქვს სათქმელიო. ამათაც გლოვა დააწყნარეს. ყარამანმა თქვა: ამ ახლოს ალაგებში ან დევნი ან ჯადოები იპოვებიან ვინმეო? თუ არის მაგვარი ვინმე, უთუოდ იმ ქალს გაარშიყებია ადრევე და ეს მათგან იქნებო. შემდეგ სეილან-შაჰამ მოახსენა: ჰეი, სააბყირანო, ჩემს მტერს რიცხვი არ შეეგებო, მაგრამ რადგანაც თქვენნი ხელდებულნი ვართ, ჩვენ მტრობა ვერავენ გავგიბედაო და ახლა კი ეს განსაცდელი შეგვემთხვაო და არ ვიცით, ვისგან არისო. მაშინ ყარამანმა აიხედა და საჰმანს უბრძანა: ჰეი, ჩემო ერთგულო და გაჭირვებაში ჩემთვის თავდადებულო საჰმან! შენ შენის თერთმეტის ამხანაგებით წადი, ეს მთები და კალთები სულ დაიარეთ, და ეგები ღვთის ძალით იმ დაკარგულებისა შეიტყუოთ რამეო.

მაშინვე საჰმანმა თავის ამხანაგები შეჰყარა და ამ მთებისაკენ ფიცხლად წარვიდნენ, ყველა ალაგები დაიარეს, მაგრამ მნახველიც ვერა ჰპოვეს, არამც თუ დაკარგულები ეპოვნათ. ამასობაში შვიდი დღე და ღამე გავიდა, დაბრუნდნენ და წამოსვლა დააბირეს. ამ მომავლობაში ჯეზირ-ვახვახს გვერდით გამოუარეს. საჰმანმა თქვა: მოდი, ესეც გავსინჯოთ და ისე წავიდეთო. მაგრამ, ძმანო, ნიადაგ უამს გაფრთხილებულნი იყავით, ამიტომ რომ ბრძოლის მხარი მერჩისო: შემდეგ ჩხრეკა დაუწყეს. ერთს მალაროში შევიდნენ და ნახეს, რომ ერთს დევს კანჯარი დაუჭერია, შამფურზედ აუგია, თან სწვავს და თან სჭამს. საჰმანი ფარვით მივიდა, ნაჯახი შუა თავში სცა და იგი დევი შებნიდა, შეკრა და კარზედ გამოვიდა. რა ეს დევი ცნობას მოვიდა, საჰმანი და თერთმეტნი დევნი იხილა და ცახცახი დაიწყა. შემდეგ საჰმანმა უთხრა: ნუ კი შეშინდი, ბერო დევეო, შე ერთს სიტყვას გკითხავ, თუ სწორეს მეტყვი, გაგათავისუფლებო. დევმა კანკალით მოახსენა: თუ ვიცი რამე, სწორეს მოგახსენებო. საჰმანმა ჰეყუნუსარას ამბავი ჰკითხა და იმ ქალ-ყრმის მოტაცებისა. იმ დევმა რაც იცოდა, ყველაფერი სწორედ მოახსენა. რა საჰმანმა ყოველივე შეიტყო, ის დევიც საბოთ ღვთის სჯულზედ მოაქცია, გახსნა და გაუშვა. რა იმ დევმა მცირე წაიარა, რადი ნარა მოეწია, დასტაჩუბი სცა და მიწასთან გაასწორა. საჰმანმა და სხვათ ამაზედ სიცილი იწყეს და ჰკითხეს, რისთვის მოჰკალო? მან უპასუხა: ჰეი ძმანო, საბოთ ღმერთს ვფიცავ, თუ ეს ცოცხალი წასულიყო, საქმე ავად მოგვივიდოდაო.

შემდეგ საჰმანმა დევებს უთხრა: ჰეი, ძმანო, დღეს გარჯის დღე

არის და სააბყირანის ერთგულებაც ღღეს უნდა გამოვიჩინოთო. თქვენ აქ მომიცადეთ, მე ამ სასახლეში შევეალ და ნუთუ მოწყალე-ბითა ღვთისათა იგი ჯადო ვბოვო. მაგრამ ნიადაგ უამს გაფრთხი-ლებულნი იყავითო. საჰმანი სხვა სახედ შეიცივალა და ჰყენუსარას სასახლეში შევიდა და ერთს კუნჭულში მიიმალა. იმჟამად იგი წყე-ული მარუნ-შაჰას სატანჯველად შესულიყო. რა გამოვიდა, საჰმანმა იმ წყეულს თვალი მიადევნა. იმან ერთი ფოლადის კარი გააღო და შიგ შევიდა, იქ მცირე ხანი დაჰყო, მერე გამოვიდა და თავის სამ-ყოფს ქალაქში შევიდა. რა ეს წყეული გასცილდა, მაშინ საჰმანი გულუშიშრად მივიდა, ის ფოლადის კარი გააღო და შიგ შევიდა. მუნ ერთი ზარზამინი იყო ჩასასვლელი. რა იმ ზარზამინში ჩავიდა, უცხო სასახლე იყო. რა მიიხედ-მოიხედა, ნახა, რომ მარუნ-შაჰა ოთხსავე ხელ-ფეხით გართხმული ძელებზედ ჯაჭვებით ეკრა. ამას გარდა, ორას თხუთმეტი დევთა და ფერიათა სარანდინნი ფალავან-ნი თავდაღმა ეკიდნენ. ესენიც ყარამანის ჯარისაგან იყვნენ. საჰმა-ნი მივიდა და რაღაც ასუნებინა, მარუნ-შაჰ ცნობას მოიყვანა. რა მან თვალნი აახილა და საჰმანი დაინახა, ასე ეგონა, ახლა დავიბა-დეო და მაშინვე უმაინ ფერიის ამბავი ჰკითხა. საჰმანმა მოახსენა. რა ვქნა, ბევრს ვეცადე, მაგრამ ვერა ვბოვეო და შენ ნუ შესწუხ-დები; თუ ღვთის მოწყალებით სააბყირანი ცოცხალი მყავს, იმას ის ოპონისო.

მერმე მივიდა და მარუნ-შაჰ და ყოველნი ჰყრობილნი გაათავი-სუფლა, გამოიყვანა და თავის ამხანაგებთან მიასხა. ესენი დიდს მხიარულებას მიეცნენ და საჰმანს ქება შეასხეს და მაშინვე ყარა-მანისაკენ წამოვიდნენ და ყოველნივე თვითეულად მოახსენეს. რა მათ მარუნ-შაჰ იხილეს, ცოტა მწუხარება დაუქმსებუქდათ. მარუნ-შაჰამ სიმამრს, სიღერს და დედ-მამას ყველას ხელზედ აკოცა და თავის ამბავი უამბო. მაშინ სეილან-შაჰ ტირილით მიიჭრა და საჰ-მანს ჰკითხა: საჰმან, სად არის ჩემი ასული უმაინ ფერიათ? საჰმან-მა მოახსენა: ნუ შესწუხდებით, მე ვიცი, სადაც არის და ღვთით სააბყირანი გაათავისუფლებსო. შემდეგ ვარამანმა უბრძანა: ხელ-მწიფეო, ნუ სწუხარ, მცირე მომიცადე და შენს ასულს მე გიჩვენებო. სეილან-შაჰამ მოახსენა: სააბყირანო, ჩვენც ჯარით გიახლე-ბითო. ყარამანმა მიუგო: ჯარით წასვლა არა სჯობსო, ამისთვის, რომ ჯადოს ჯარი ვერას დააკლებსო. არ განსოვო, ოჰყალი ჯადომ



უშანგ-ხელმწიფეს რა უყო? მთელი ერანი ერთმა ჯადომ გააოხრაო. და მაინც ის ჯადო ღმერთმან დაამხო. ამისთვის ჯარით წასვლა არა სჯობსო. მერმე ყარამანი ზე წარმოსდგა, იარალი მცირე წაიღო, მხოლოდ ტანსაცმლის ქვეშ თილი ყამყამი შემოიკრა და ყველა ტანისამოსზედ ჯადოს განმქარვებელი ლოცვა დასწერა და საჰმანს უბრძანა: მარტო შენ უნდა წამომყვეო. საჰმანმა თავი დაუკრა. ყარამანმა საჰმანს შუბლზედ აკოცა. საჰმანმა ფალავანი ზურგზედ შეისვა და ჰაერში აფრინდა. ათს დღეს ჰაერით იარეს, მეთერთმეტეს დღეს ჯეზირ-ვახვანში მივიდნენ და ერთს კარგს ალაგს ჩამოხტნენ.

აქა დევის ამბავი მოიხსენეთ: იმ დღეს ჰეყნუსარა მნათობ ქალთან შევიდა და უთხრა: ჰეი, მნათობო, შეიდი დღე კიდევ დარჩომილა ვადამდის, მაგრამ მე მოთმენა აღარ შემიძლია. დღეს თუ ჩემს ნებას არ აასრულებ, არ იქნებაო. მივიდა, მოეხვია და კოცნას ლამობდა. ქალმა მაშინვე თავი სასიკვდილოდ გამოიმეტა და ერთი ასეთი სილა შემოჰკრა იმ ჯადოს, რომ ცხვირ-პირი-დამ სისხლი წასქდა. ჯადო განრისხდა და უთხრა: ჰეი, შენ როსკი-პო, იქნება მართალი გეგონა მარუნ-შაჰას გაშვება, დამაცალე, წავიდე, გამოვიყვანო და შენ წინ ლუქმა-ლუქმად დაგვლიჯო! მე მანამ ასე არა ვიქ, შენ არ დამმორჩილდებიო. რა იმ წყეულმა ესე თქვა, ქალი სიკვდილად მიიწურა, მაგრამ სიმხნეს თავი მისცა და თქვა, ჰირს გაძლება უნდაო, და ღმერთს მხურვალის გულით ვედრება დაუწყო, იმ ადგილიდგან განთავისუფლებისათვის. რა ჰეყნუსარა საპყრობილეში შევიდა, ნახა, რომ არც მარუნ-შაჰა არის იქ და აღარც სხვანი პყრობილნი. ამაზედ გაშტერდა, გამოიქცა და იმ ქალთან მოვიდა, ჰკითხა: მარუნ-შაჰა და სხვანი პყრობილნი ვინ გაათავისუფლათ? ქალმა უპასუხა: მე კი არ ვიცი და თუ მართლა ისინი გაათავისუფლა ვინმემ, ახლა შენგან აღარას ვიშიშვიო. და დიდს მხიარულებას მიეცა. რა დევმა იმისი მხიარულება ნახა, განრისხებულმა დაუძახა: ჰეი, როსკი-პო, ასეთს ადგილს წავიყვან, რომ თუნდა ზღვა და ხმელი ყარამანად იქცეს, იქილამ ვერავინ გამოვიყვანსო.

რა დევი ამას ამბობდა, ერთი ასეთი ხმა მოესმა, რომ ეგონა. ცა ქვეყანას დაეცაო. იმ ჯეზირ-ვახვანის არემარემ რყევა დაიწყო. ამ ჯადომ ჰკუთა დაკარგა. რა გონებას მოეგო, თქვა: ნეტარ ეს რა უნდა იყოსო? იმყამად რამდენიმე დევნი შემოვიდნენ და უთხრეს:

ნეტარ რას გამტერებულხარ და დგეხარო, ავერ კარზედ მიწისაგან შექმნილი წყეული ყარამანი მოსულა და ლამის ქვეყანა გააოხროსო. რა ჰყენუსარამ ესე გაიგონა, მაშინვე კარზედ გამოვიდა, ნახა რომ იმ ქვეყნის დევნი შეყრილან და ყარამანს ებრძვიან, მაგრამ ყარამანს ეგოდენი დაეხოცა, რომ იმათი სისხლი დიდ მდინარე წყალსავით მოდიოდა. რა მარცხნივ მიიხედა, ნახა, რომ ქვეყნის ამოხრებელი საჰმანი, ნაჯაჰ-ხელთმპყრობელი უწყალოდ ხოცს და საშინელის ხმებით ნარასა სწევს. რა ჰყენუსარამ ესე იხილა, ამოიოხრა და შესძახა: ხვადნო დევნო, ნუ გაუშვებთ მაგ მიწისაგან შექმნილსაო. მაშინ დევთა სიმხნე იხმარეს და კვალად შემოუტიეს. ყარამანს ხმალის ბევრი სცეს, ლახტიცა, მაგრამ ვერა ავენეს რა. თვითონ კი თილი ყამყამისაგან შეიმუსრნენ და იმათი ხმლები და ლახტებიც თილი ყამყამზედ იმტვრეოდა.

იმჟამად საჰმანი ომიდამ გამოვიდა და ჰყენუსარას სასახლეში შევიდა, ერთს გამოთხრილს ხეში შეჯდა და დაიშალა. იმჟამად ჰყენუსარამ რამდენსამე დევს უთხრა: წადით და ის ქალი ერთის მხრისაკენ გააქციეთო. ეს დევნი მსწრაფლ წამოვიდნენ და ქალთან შევიდნენ. საჰმანი ხილამ გამოვიდა და იმ დევებს უკან მიჰყვა. ნახა, რომ იმ ზარზამინში უმაინ ფერია ჯაჰვეებით აბია და ესე დევნი მივიდნენ და იმის წყევანას ლამობდნენ. ქალმა სიმხნე იხმარა, ხანჯალი წაართვა ერთს დევს და იმასვე მოუქნია. მანამ ეს ქალი ხანჯალს მოუქნევდა. საჰმანი მიუხტა და იმ დევს ასეთი ნაჯაჰი სცა, რომ შუა გაწყვიტა: მეორეს ხელი წაავლო, მოიქნია და კლდეს მიაარტყა. შემდეგ რა სხვა დევთა ესე იხილეს, გარდაიხვეწნენ. საჰმანი მივიდა, ჯაჰვენე შემუსრა და უმაინ ფერია გაათავისუფლა. რა ამ ქალმა საჰმანის ესეთი სიმხნე იხილა, დიდს მხიარულებას მიეცა, მივიდა, ხელსა აკოცა და უთხრა: ბედნიერიმც არის სახელი ყარამანისა და სახელი შენიო, ამანაც მადლობა მოახსენა და საცა ყარამანი იბრძოდა, იქ მიიყვანა.

რა გამოვიდნენ, ნახეს, რომ ყარამანს დევები დაუხოცია, ზოგნა დაუფანტავს და ჰყენუსარა ცდილობს დევების ფეხის შემაგრებას, მაგრამ ვერა გაუწყვია რა. ჰყენუსარა სასახლეში შეიჭრა, ლამობდა ის ქალი მოეტაცნა, მაგრამ ნახა, რომ იმ ქალის ჯაჰვეები დამტვრეულია და არც ქალი სჩანს. იმ წყეულმა შიშით ველარა გააწყო რა და იქ ველარ დადგა, ერთი ამოიოხრა და ჯეზირის მთისაკენ გაიქცა. იმჟამად ამისი მამა ჯეზირში იმყოფებოდა. ჰყენუსარა მივიდა.

მამას ხელსა აკოცა და თავისი გარდასავალი უამბო და ყარამანისა-  
გან შესჩივლა. რა უყუნუსარამ ესე მოისმინა, უთხრა: შვილო, ეკ  
კარგი საქმე ვერა ჰქენ, რომ ყარამანი აიბტერეო, ხომ ხელავ, რომ  
ზღვა და ხმელი იმისი არისო და ყველას ისა ჰყავს ქომავადაო, იმას  
ვერცა რა ჯადო მოეკიდება და ვერცა რა ფალავანი გაუძლებსო.  
მაშინვე ცამეტი ათასი ჯადოსი და დევის ლაშქარი შეჰყარეს და  
ყარამანისაკენ წამოვიდნენ. აქეთ ვინც ყარამანის მებრძოლნი იყუ-  
ნენ, სულ დაიფანტნენ, ყარამანმა საჰმანი ველარ იხილა, ამაზედ  
ძლიერ შეწუხდა. რა მარცხნივ მხარეს მიიხედა, ნახა, რომ საჰმანს  
უმაინ ფერია მოჰყავს. ყარამანს დიდად გაეხარდა. საჰმანმა რო-  
გორც გაათავისუფლა, ყოველივე მოახსენა. იგი მნათობიც მივიდა,  
ყარამანს ხელსა აკოცა და მადლობა მოახსენა. ყარამანმა საჰმანს  
უბრძანა: აწვე უმაინ ფერია წაიყვანე, თავის დედ-მამას ჩააბარე და  
ჯარი აქ მოიყვანეო, რომ ეს ჯეზირ-ვახვანხი ავაოხროთო და ეგებო  
აზარიეჟ დასტთან წასვლა აღარ დაგვიგვიანდესო. მაშინვე საჰმანმა  
თავი დაუტრა, უმაინ ფერია მხარსა შეისვა და წაიყვანა.

მაშინ ყარამანი მარტო დარჩა და ერთს წყლის პირს განისვენა.  
იქილამ წყეული ჰყუნუსარა და იმისი მამა უყუნუსარა ცამეტი ათა-  
სის ლაშქრით იმ მინდორს მოვიდნენ. ნახეს, რომ ყარამანი მარტო  
არის. იმის მარტო ყოფნისათვის დიდად გამხიარულდნენ და ოთხსავ  
მხარეს ალყად შემოერტყნენ. რა ყარამანმა ესე იხილა, გულხელი  
დაიკრიფა და ღვთის სახელი ესრეთ მაგრად შესძახა, რომ ოთხსავ  
მხარემ ზრიალი დაიწყო. თილი ყამყამს ხელი მოავლო და ამ ჯარ-  
ში გაერია და დაუწყო ხოცვა. ნარას მალ-მალ სწევდა და ამ ნარას  
სმაზედ მრავალნი უსულოდ შეიქმნებოდნენ. თუმცა ეს ჯარი ყა-  
რამანს გარს შემოერტყა, მაგრამ დასაკრავად ერთიც ვერ მიუდგა  
ახლოს თილი ყამყამის შიშით. და ყარამანი კი უწყალოდ ხოცდა,  
რომ მკვდრების მთები შეაყენა. მაშინ ჰყუნუსარამ შესძახა: ჯადო-  
ნო, იმოქმედეთ თქვენი ხელოვნება! ამათ მოახსენეს: რაც ვიცო-  
დით, სულ დავასრულეთ, მაგრამ ამას არა მოეკიდა რაო და არც  
ამისი ბრძოლა შეგვიძლიანო, და თუ შენ შეგიძლიან რამეო, მანდ  
შენ და მანდ ყარამანიო. ესე თქვეს და ყველანი თავის მხარეს გარ-  
დაიხვეწნენ. უყუნუსარამ თავის შვილს უთხრა: აკი გითხარ, რომ ყა-  
რამანის გადაკიდება ჩვენ არ გვარგებს-მეთქი, მაგრამ ახლა რაღა  
გაეწყობა.

რა ესე თქვეს. მამა-შვილთა შემოუტყის. ვიდრე ახლოს მოვი-

ლოდნენ, ყარამანი არ აჩქარდა. რა ახლოს მოვიდნენ, ყარამანი შეხვდა და მამას თილი ყამყამი ესრეთ შემოჰკრა, რომ თავი კიტრით გააგდებინა და იმისი სული ჯოჯოხეთს გაისტუმრა. მაშინ ჰყენუსარა მოუხტა და ყარამანს გამწარებულმა მძიმე ლახტი დაჰკრა. ყარამანმა რა ის ნახა, შეშინდა, ამისთვის, რომ იმაზედ უსაბავლესი, უბილწესი და უმყრალესი არა ენახა რა. და დიდად შეეზიზნა. ის ლახტი თილი ყამყამს აატანინა. მაშინ ქარის უსწრაფესად შეახტა და იმ მოედნის მსგავს გულზედ ასეთი მუშტი დაჰკრა, რომ ჰკუა შეეცვალა და მიწაზედ წაიქცა. მანამ ყარამანი მეორედ შემოაჰკრავდა, რაღაც თილისმა ჰქმნა და მსწრაფლ თვალთაგან უჩინო იქმნა. ამაზედ ყარამანი დიდად შეწუხდა, საომარის ალაგიდამ გამობრუნდა და ერთს ბაღში შევიდა. და რადგან გრძნებისა ეშინოდა, თილი ყამყამი არ შემოიხსნა, ფარი თავქვეშ დაიდვა, ერთს ხის ქვეშ მშვენიერს ადგილს წრე შემოივლო, დაწვა და მოსვენებას მიეცა.

ჰყენუსარ ჯადო მარადის ცდილობდა, რომ ყარამანზედ დრო დაეცა და ევნო რამე. და ახლა რა ყარამანი მძინარე იხილა, დიდად გამზიარულდა და იმ წრის ახლოს მისვლას ცდილობდა, მაგრამ ვერ შეიძლო. რა წრეში ველარ შევიდა, ერთი ღორის ტყავი მოიღო და გრძელი ლელწამი შეულოცა. შორიდან ის შელოცვილი წამალი მძინარეს პირზედ შეაყარა და იქვე დადგა. მცირე ხანს შემდეგ ყარამანს გამოეღვიძა, იგრძნო, რომ ქვეყანა თვალსაწინ დაუბნელდა და ველარა დაინახა რა. ხელსახოცით თვალებს წმენდა დაუწყო, მაგრამ მაინც სინათლე აღარა ჰქონდა და უფრო უარესი ემართებოდა. მაშინვე წამოიჩოქა და ღმერთს ესრეთ დაუწყო ვედრება: გმადლობ ცათა და ქვეყნის შემოქმედო ღმერთო, გადიდებ და გაქებ შენ! უმჯობესად იცი, რომ ღირსი ვიყავ და ამისთვის მომეკლინა შენი რისხვა; არც ჯადოს ვაბრალე, არც ქაჯსა, მხოლოდ ჩემს თავს და ჩემს ცოდვას, და როგორც შენი ნება იყოს, ისრე აღსრულდეს!

რა ეს ვედრება გაათავა, შემდეგ დაფიქრდა და იმედი გარდაუწყვიტა და დაიწყო ტირილი და თქვა: ვა, ღვაწლო! ვა, შრომაჯ! რა ტყუილად დაკვარგე ამდენი ჭირნახული და ღვაწლი. მრავალი ჯადონი, მრავალი ჯინნი გარდამეკიდნენ და ყოველთავე ვძლიე და დავნთქე. ვა, შენს ბედსა, სარვიხურამან! ვა, შენს დაბადებასა, ნარამან! ვა შენს აღზრდასა, სამსავარ! მე ჩემს სიკვდილს არა

გწუხვარ, მაგრამ ვა, ცოლო და შვილო, დატყვევებულნო! ვა, ქვეყანავ დაქეულო! ახლა აღსდგებიან შენზედ ბტერნი და მწუხარყბასა ნახავ, აგაოხრებენ და გაგატყავებენ და გაგცრციან. მაშინ სადლა გეყოლება შენი ერთგული ყარამანი?

ახ, საჰმან, სადა ხარ? საყვარელო, ერთგულო და ჩემთვის თავდადებულო! თი! დიდ არს სახიერება შენი, დიდ არს განგებულობა შენი, უფალო! რა ვიყავ და რა ვარ?! ფუ, წარმავალო სოფელო, ეჰ გეწადა ჩემთვის? თუ ეს გეწადა, ბარემ სრულიად წარმავლენდი და სიკვდილს მიმცემდი. რაღაა სიცოცხლე, რაღაა შვება, რაღაა სიქადული ჩემი? ჩამშხამდა, მანანია, ბოლოს გამიმწარდა.

თი, მტერნო, დევნო და ქაჯნო! დრო არს თქვენის გამარჯვებისა, მაგრამ ვა ყარამანსა! ვა თქვენს ყოფსა, ერთგულნო! ვა თქვენს ცხოვრებასა! ჩემთვის თავდადებულო სიმრულ, ჩემის იმედით ჯეზირ-ვახვასში დგომის მოიმედე, ფუქად ჩავიარა შენმა განზრახვამ, ვგონებ, შენზედაც მოიცლიან მტერნი ჩემს გამო. სადა ხართ, ძმანო საყვარელნო? ყათრან, ბარამ ჯიბილ, გარდანქეშან, უმეტესად ხელმწიფეო ჩემო, გიკვდება საყუთარი ერთგული შვილი შენი ყარამანი. ხელმწიფეო ჩემო უშანგ, გევედრები, მოიგონო ჩემი ერთგულება შენზედ, მე რომ შენთვის თავგანწირული ვიყავ, ნუ ატირებ ჩემს სარვიხურამანს, ნუ შეაწუხებ და ნურას დააკლებ. როგორც ხელმწიფურად არის გაზრდილი, ხელმწიფურად პატივი ეც. მაგრამ ვა იმის სიცოცხლესა, რომ ყარამანი აღარ ეყოლება! ღმერთი სულგრძელ არს და მეც ვისულგრძელებ. და თუ არა მეშველა რა, ან შიმშილი მომკლავს, ან მხეცი შემჭამს და აა მტერნი მომკლავენო. აქედამ ჩემი წასვლა არსაით შეიძლება.

საყვარელო ძმაო, ხოსროვშირ, მომაგოდა შენი სიბრმავე. თჰ! რა ძნელი ყოფილა და რა ლხინია ამ დროს სიკვდილი. შაბაშ, შაბაშ შენს სიმხნესა და მამაცობასა, რომ იმდენი ხანი სიბრმით საპყრობილეში გასძელ. სადა ხარ, საყვარელო ძმაო, რომ ჩემთვის თავი დასდო და ამ ძნელს სატანჯველს გადამარჩინო? ჩემი სიცოცხლე ბრძოლაში დავალამე, ჩემი დღე მტერობაში გავატარე, ჩემს საყვარელს სარვიხურამანს და ხელმწიფე უშანგს მრავალჯერ გავშორდი, ყველას ვპატრონობდი. და ახლა მეგონა, მცირე ხანს სიხარულში და მოსვენებაში ვიქმნებოდი. ნახე, ჩემმა ბედმა და წუთისოფელმა როგორ მიღალატა და როგორ დამამხო, როგორ მალე დამიბნელდა?! ჰეი, ყარამანია ქალაქო! ვგონებ შენც იტირო ჩემთვის,

მაგრამ ნუ იტირებ, ჩემი სარკიხურამანი მანდ არის და იმისი შემწე ნარიმანი, იმათთვის მიმიბარებიხარ. მოიგონე ჩემი შენზედ სამსახური და შენც ემსახურე ჩემი გულისთვის საყვარელთა ჩემთა. ვერვინ მოგერევა, ოღონდ გაფროთხილებული იყო. ჩემი შვილი-შვილი ქუჩუქ ყარამანი არღევან-შაჰისათვის მიმიბარებია და ვევედრები, რომ როგორც მე უშანგ-ხელმწიფე პატივსა მცემდა, ისე არღევან-შაჰამ სამსავარს პატივი სცესო. ღმერთო, ცისა და ქვეყნის დამბადებელო, ჩემის ცოდვილის პირით გევედრები, ეს ჩემი ლაპარაკი ცოდვად არ მიიღო და რომელიც შენს ღმერთობას ჰგმობს, გევედრები, იმას ჩემზედ ნუ გაახარებ! ღმერთო ჰეშმარიტებისავ, ღმერთო კაცთა მოყვარევე, აწ შემეწიე და ნუ დამივიწყებ! შემდეგ დაჯდა და სთქვა: საჰმანმა როგორ ვერ იგრძნო, რომ მწუხარებაში ვარ? მოდი, ჩემო ერთგულო მეგობარო და მომიარე შენს დამხსნელსა, ოდეს ყარუნ-შაჰას თილისმიდამ გამოგიხსენ.

რა ყარამან ამას ესე მოსთქვამდა, ჰეყნუსარა იქ იდგა და შესძახა: ჰეი, ყარამან! ახლა შეშინდი? აბა ქვეყანაზედ რომ არავის იღრიდი, არ იცოდი, რომ ეგრე დაგემართებოდა? აბა ვის აბრალებ შენს დაბრმავებასა? მე ვარ შენი მკვლელი და შენი თვალთა მთხრელი, დღეში რომ ათი ათასჯერ ილოცო, შენ არა გეშველება რა და საუკუნოდ აგრე უნდა დარჩე. ვა, თუ ამ წრეს შემოვიდოდე, მე ვიცი შენი ყოფაო, მაგრამ შენი ბედი კიდევ მუშაობს, რომ ჰეკუა გიხმარია და ეგ წრე შემოგივლია. ყარამანმა მიუგო: წყეულო, შენ ამაზე ნუ გიხარინაო, თუმცა მე მომკლავ, ნარიმანი ცოცხალია, და თუ ნარიმანიც არ იყოს, სამსავარ ხომ ცოცხალია! თავად ჩემის დამბადებლის ღმერთისაგანა მაქვს იმედი, რომ არ გამწიროს და თუ გამწირავს, ისინი მუქაფას მოგაგებებენ.

ჯადომ ხარხარით გაიცინა და უთხრა: მე შეტყობილი მაქვს, რომ ამ სამი ათას წლამდინ შენისთანა სააბყირანი არც გამოსულა და არც გამოვა. და რადგანაც შენ ასე დაგმართე, ისინი რას მავნებენ? შემძლებელი ვარ, რომ იმათთვის ქვესკნელ მიწა გავიადრო. ყარამანმა მიუგო: ჰეი, ჯადოვ, მე იმედს არ გარდავიწყებე და მგონია, რომ ჩემის ხელითვე აგისრულდეს ამ სოფელში ყოფნა. დევმა მიუგო: წყეულო მიწავ, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, შენი მორჩენა არც კაცს და არც შენს ღმერთს შეუძლიან და ტყუილად რად იქადი? ყარამანმა მიუგო: წყეულო, მე ჩემის დამბადებლის ღვთის ძალით ვიქადი, რომელიც შენ არა გწამს და ის შენს სიცოცხლეს გააქარ-

ვებს. ამ ჯადოს ეს სიტყვები ეწყინა, განრისხდა და ყარამანს შემოუტია, მაგრამ წრეს ვერ შეუვიდა. რა რომ წრეს ვერ შეუვიდა. უფრო განრისხდა და შესძახა: ჰეი, ყარამან, შენ ხომ ამაზედ ხათრიჯამი შეიქენ, რომ მაგ სიბრძავისაგან ველარ მორჩენი; ლამიჯერე, ჩემს სალოცავს ღმერთს თაყვანი ეც, მე დამემორჩილე და აი მოგკლავ, წაგიყვან ჩემს სახლში, გინსაჯურებ და პურს გაჭმევ. რა ყარამანმა ესე გაიგონა, ამ სიტყვებზედ ასე განრისხდა, რომ ალგზნებულს ცეცხლს დაემსგავსა. იმ ჯადომ თვალი ვერ შეუშართა, რომ სწორედ შეეხედა. ყარამანმა შესძახა: ჰეი, საძაგელო! როგორ თუ ჩემი დამბადებელი დაუტეო და წყეულს ეშმაკს თაყვანი ვსცე? წყეულიმც არს სახსენებელი მისი და იმისნი თაყვანისმცემეღნიცა. და უნდოდა, რომ ამ ჯადოსთვის შემოეტია, მაგრამ თქვა თავის გულში, თუ წრიდამ გავიდე, ვაითუ საქმე უარესად წამიხდესო; და იქავ დადგა.

კვალად ჯადომ უთხრა: ყარამან, აღვირწაგდებულ ცხენივით ნუ დარბი. თუ შენის თავის სიციოცხლე გინდა, მე დამიჯერე, დაძმორჩილდი და კარგად შეგინახავო. ყარამანს იმის ახლოს მიდგომა უნდოდა და თქვა თავის გუნებაში: ეგება ის წყეული ხერხით როგორმე ხელში ვიგდო და მერე მე ვაჩვენებ იმას თამაშასაო. შემდეგ უთხრა: ჯადოთ ხელმწიფეო, ამ ერთს ადგილს დგომამ დიდად შემაწუხა და მაინც რალა ღონე მაქვს, რომ არ დაგმორჩილდე? სიბრძავეით გზა ველარ გამიგნია, მოდი, მაჯა დამიჭირე და საცა გინდა, იქ წამიყვანე. ჯადომ ხარხარით გაიციინა და უთხრა: ყარამან, ჩემი ოსტატი უხორცო ეშმაკი იყო და შენ უნდა მომატყუო, დამიჭირო და მომკლაო? არა, ეგ არ იქნება. მაგრამ თუ შენ ჩემთვის არ გემტერა, მეც არ ავიმტერებოდი, და თუ ამ ჩემს ჯადოსაც არ გაეჭრა, მაშინ ამ ჯადოს მასწავლებელს დავსწყევლიდი, რატომ არ მასწავლა იმისთანა ჯადო, რომ შენისთანა სწორუპოვარი ფალავანი შემეპყრაო. და მე იმედი მაქვს ჩემის ღმერთისაგან, რომ უფრო უმეტესი საქმე დაგმართო. აბა, ახლა უყურე შენს ყოფასა, ამ წამსვე წავალ და სამანდუნ აზარიეკ დასტს შევატყობინებ, მოვიდეს და ერთის დაკვრით მიწათან გაგასწოროსო. რა ესე თქვა, ჯადო წარვიდა. შემდეგ სხვა მრავალნი დევნი და ქაჯნი მიუტცივიდნენ ყარამანს სამტროდ, რა რომ შეეტყუოთ ყარამანის დაბრძავება. მაგრამ ვერც ისინი შევიდნენ იმის წრეს და თილი ყამყამისა ძლიერ ეშინოდათ და ამის მიზეზით ახლოს ვერ უდგებოდნენ.

## ამ სჰმან ალაშიანთ-მონათესავის აგზავი

იმჟამად საჰმანი ქუი-აზამში მივიდა და მნათობი უშინ ფერია თავის მამას სეილან-შაჰას მიჰგვარა. რა სეილან-შაჰამ თავისი ქალი იხილა, ზე წამოიჭრა, წინ მიეგება და საჰმანს პირს აკოცა, აგრეთვე საჰმანი მიესალმა, შემდეგ თავის ქალს გარდაეხვია და ერთს ჟამადინ უცნობოსავით იყვნენ. მერჰე უშინ ფერიას ყველანი მიესალმნენ და მიულოცეს თავის განთავისუფლება იმ ადგილიდან, შემდეგ დიდს მხიარულებას მიეცნენ. საჰმანმა ყარამანის ბრძანება გამოუცხადა, რომ ჯარი დაებარებინა. მათ უთხრეს: ფალავანო საჰმან, შენ წადი ყარამანთან და ჩვენს მაგიერ თაყვანისცემა და ფერხთ კოცნა მოახსენეო. და აწვე ჩვენც ჯარით ავიყრებით და უკან მოგვწევითო. საჰმანმა იმათ თავი დაუკრა და მაშინვე ჰაერში შეფრინდა და ჯგზირ-ვახვანში ყარამანისაკენ წარვიდა. რა იქ მივიდა, ნახა, რომ ყარამანს ეგოდენი დევი დაეხოცა, მათი სისხლი ზღვასავით მდგომარე იყო. ყარამანი ეძება და ბოლოს ერთს ბაღში იხილა, საცა ყარამანი ხის ქვეშ იყო მჯდომარე. შორიდან საჰმანმა ყარამანი ნამტირალევი და გულხელდაკრეფილი დაინახა. საჰმანი შიშისა და მწუხარების ალმა აღიტაცა და გონება დაეფანტა. რა მიახლოვდა, ნახა, რომ ყარამანი ველარასა ჰხედავს. საჰმანმა თავის ნაჯახის ყუა თავში იცა და დაბნედილი ძირს დაეცა. რა გონებას მოვიდა, შესძახა: ჰეი, ხელმწიფეო, ეს რა ღვთის რისხვა არის და ჩემი თვალების დადგომას ვხედავ, რომ თქვენ მაგგვარ ჰირში ბრძანდებით? მიბრძანე, რომ ქვეყანა სრულიად აღვაოხრო! უშენოდ მე ჩემი თავის სიცოცხლე აღარ მინდა და თუ თავი არ მინდა, ქვეყანა რაღად მინდა?

ყარამანმა ტირილით მიუგო: ძმაო საჰმან, წყეულმა ჰეყნუსარამ დამაბრმავა იმ ქალის გულისთვინ, რომელიც ტყვეობიდან გამოვიხსენით და არ ვიცი, რა უყო.

რა საჰმანმა ესე გაიგონა, გული ცეცხლით აევსო, თვალთაგან წყაროსებრ ცრემლები გარდმოზდიოდა, თავსა და პირს იცემდა, გორავდა და იძახდა: ვა, პერობილნო გამოუხსნელნო და ქვეყანავ დატყვევებულო! ოი, სამანდუნია ქვეყანავ, მტერთათვის ასაოხრებელო და დასაქცევო. ოი, რუბი მასკუნო დამხობილო; გამქრალი იქნება თქვენი სანთელი და გამშრალი იქნება თქვენი მომდინარე წყარო, დაბნელებულა თქვენი ცხოველი მზე, ძალი მოჰკლებია



თქვენს აღმყვავებელსა. რადღა გინდათ სიცოცხლე, რადღა გინდათ სიხარული. რადღა გინდათ თქვენს მზეს სხივი მოჰკლებია, ვილა ააყვავებს თქვენს ნორჩ ყვავილს? ვაითუ ამ ცოტას ხანსაც დაგჭირდეთ. ოი, სარვიხურამან, ნარიმან, სადა ხართ? არ იცით, თუ მზე დაგბნელებიათ, არ იცით, თუ თქვენი ქვეყანა დაობლებას აპირებს. ოი, ხელმწიფეო ყარამან, თუ ბოლო ასე ჩაგვშხამდებოდა, ორად უმჯობესი იყო ჩემი ყარუნ-შაჰას თილისმაში ყოფნა. ხელმწიფეო, რას მიჩქევ? წავალ ზღვასა და ხმელეთს მოვივლი, ნუთუ მკურნალი ვპოვო? და თუ არა, მიბრძანე ყაფის მთის და რუბი-მასკუნის ღევეებს შევყრი და ქვეყანას გავაოხრებო. შემდეგ ყარამანმა მიუგო ლექსად:

საჰმან ჩემო ერთგულო, მწუხარებითა დაგულო!  
ჩემი მკურნალი ღმერთია, ცისა და ქვეყნის მპყრობელი.  
მე ღვთისაგან მაქვს იმედი, არვისგან მოსაშველია,  
და თუ შენც კვალად ეცდები, არვისგან დასაძახია.

რა საჰმანმა ყარამანი კარგად გაშინჯა, ნახა, რომ სრულებით ვერასა ჰხედავდა და თქვა: ეს რომ აქ უპატრონოდ გაუშვა, ამას უარესი დაემართებაო. გაგიჟებული პირქვე დაეცა, კვილისა და ღრიალს მოჰყვა და იტყოდა: ჰეი! საბაოთ ღმერთო, მარადის შენს გზაზედ მავალია, შენის მცნების და ბრძანების აღმასრულებელია, უღვთოდ და უსჯულოდ შენს სადიდებლად მომქცევია, შენ შეეწიე ყარამანს და დაიხსენ ამ განსაცდელიდგან. ჰეი! მუხანათო წუთოსოფელო, ქვეყანას რომ ამისთანა ყვავილს ართმევ, აბა რას აძლევ მაგიერს სანუგეშოდა?

ყარამანმა საჰმანს დაუძახა: ჰეი, ძმაო საჰმან, აქ მოდი! რა საჰმანი მივიდა, ფალაევანმა უთხრა ლექსად:

ნუ სტირი საჰმან მოთქმითა, გულსა ნუ იხეთქ ბოდმითა,  
რა მესმის მწუხარებანი, მე კვალად გულსა მღონდება.  
იმედსაც ნუ დაიკარგავ, ყველა ჯადოსგან-ა ვნება,  
და ჩემსა ამ დღეში ჩამგდებსა, ვგონებ, სისხლი დაეღვრება.

საჰმანმა მოახსენა: ხელმწიფეო ყარამან! იმედი მაქვს შენგან შეყვარებულის ღვთისაგან, რომ მალე განთავისუფლდე. მაგრამ აშეამად ჩემი მწუხარება ეს არის, რომ ვაი თუ იმ წყუელმა აზარიექ დასტმა შეიტყოს, მოვიდეს და ვინ არის მისი პასუხის გამცემიო? ყარამანმა უპასუხა: მაშინაც ღმერთი მოწყალეაო. მაგრამ ახლა, ძმაო საჰმან, მეშვიდე დღე არის, მე არა მიგემებია რა, მშვიერი მაინც

არ მოკვდეს, წადი სანადიროდ, მომიტანე რამე და მაჭამეო. საკმანსა თუმცა სიცოცხლე აღარა ჰქონდა და აღარც სიცოცხლე მოსდიოდა თვალში, მაგრამ მსწრაფლ ფრთა ფრთასა ჰკრა, წარვიდა და ღვინო, პური და შემწვარი ფრინველი მოართვა. შემდეგ ყარამანმა საკმანს უბრძანა: შენ ჯარს წინ მიეგებე, რომ ღვეთა და ჯადოთაგან არა ევნოსთ რა და ყველანი გაათრთხილე, რომ „ისმიაზამს“ ნუ გასწყვეტენო, იმიტომ, რომ ჩვენი მტერი ახლა მოიცილისო. მაშინვე საკმანი წარვიდა და ჯარს წინ მიეგება. რა სეილან-შაჰამ საკმანს შემოჰხედა, მკვდრის ფერი დასდებოდა და შესძახა: საკმან, რა ამბავს იტყვიო? მან ტირილით ყარამანის დაბრძვება აუწყა. რა ესე შეიტყეს, მეორედ მოსვლის გლოვა შეჰქმნეს, ისე, რომ იმათი ტირილისაგან ის არემარე ირყეოდა. ის თერთმეტნი ღვენი, რომელნიც საკმანის ამხანაგნი იყვნენ, ზოგმა დოლით თავში იცა, ზოგმა სიმწარისაგან დიდროვანი ხენი დაგლიჯეს ძირითურთ და თავში ცემდნენ და საშინელი ხმით გლოვა და ღრიალი შეჰქმნეს. სიმრულმა ფრთებით სამსავე თავში ეგოდენი იცა, რომ რუსაებრ სისხლი გარდმოედინა. აგრეთვე სეილან-შაჰამ, ჭმინ ფერამ და სხვათა საშინელი გლოვა შეჰქმნეს. შემდეგ საკმანმა უთხრა: ხელმწიფენო და ჩემნო ძმანო, ტირილით ვერას მოუმატებთ, ამდენს უნდა ვეცადოთ, რომ ის ჯადო მოკვლათ, თორემ თუ ის არ მოკვდა, ყარამანის მორჩენა არ შეიძლებაო. ახლა ყველამ ფიქრი და რჩევა ნახეთო, რადგან იმის ერთგულნი ხართ, ეგები უშველოთ რამეო. აწ მე ქვეყნის ხელმწიფე ყარამანი ბრმად გამიშვია მარტოკა და მე თქვენთან წამოვსულვარ, მე მსწრაფლ იმასთან წავალ და თქვენც სიფრთხილით და „ისმიაზამის“ თქმით ერთიანად წამოდიოთ. საკმანმა თავისნი თერთმეტნი ამხანაგნი და სიმრული წამოიყვანა, მაგრამ აღარც ერთს ღონე აღარა ჰქონდა, სულ წელგზდაწყვეტილნი იყვნენ, მაგრამ რაც შეეძლოთ მსწრაფლ ყარამანისაკენ მიდიოდნენ.

### აქა ჯადოს ამბავი

იმეამად, რა ჰყენუსურამ ყარამანს ესე განსაცდელი მიაყენა. დაიწყო სიარული და თავის პაპის ყეითნუსარისაკენ წავიდა. რა ყეითნუსარამ თავის შვილისშვილი მიმავალი იხილა, დიდის მხიარულებით წინ მიეგება და ერთმანეთს მიესალმნენ. ყეითნუსარამ უთხრა: ჰეი, ჩემის გულის სიხარულო, რასა იქს მამაშენი უყენუსა-

რაო! ჰყენუსარამ ერთი დიდად ამოიოხრა, ერთი მოქნილი ვირის ტყავი ხელსახოცად ჰქონდა, იგი ამოიღო და თვალებს წმენდა და უწყო და რაც გარდახედოდა, ყოველივე უანბო, ყარამანის თვალების დაბრმავება და ჯეზირ-ვახვანში იმის დაგდება. რა ყეითნუსარამ თავისი შვილის სიკვდილი გაიგონა, ძალღვივით ყეფა დაიწყო, შემდეგ განრისხებულმა ჯარი შეჰყარა, რიცხვით ოთხჯერ ასი ათასი და განრისხებული ყარამანის სასიკვდილოდ გამოემართა. საპიღლე იარეს და მეოთხეს დღეს ჯეზირ-ვახვანში მოვიდნენ და ნახეს, რომ ყარამან მარტოდ დარჩომილი და გულხელდაკრეფილი ლოცულობს, მაშინვე ყეითნუსარამ შეტევა უბრძანა და დევთა ერთობით შეუტეეს. რა ყარამანმა შემოტევაების ხმა გაიგონა, თქვა: ღმერთო, ცისა და ქვეყნის დამბადებელო, ჩემი თავი შენთვის მომინდვიაო და წყეულთაგან განმარინეო, შენ დამიხსენ და შენ დამიფარეო. რა ესე დაასრულა, ზე წამოხტა და თიღი ყამყამს ხელი გაიკრა. ყეითნუსარის დევთ ჯერ ყარამანის ბრძოლა არ ენახათ და თამამად იყვნენ. ყარამანმა ერთი საშინელის ხმით ღვთის სახელი ახსენა, ასე, რომ იმ ხმის შიშით დევთ ჰკუა დაეფანტათ და თავის ლაშქრისაკენ გაბრუნდნენ და ერთმანეთს ხოცვა დაუწყეს. მაშინ განრისხებული ყარამანი წრიდამ გარდმოხტა, დევთა ლაშქრის ჯგუფში გაერია და ეგოდენი დევთა ლაშქარი დახოცა, რომ რიცხვი არ შეიგებოდა. ერთს წამს რისხვა ღვთისა მათ თავს მოაწია და რაც ჯარი იყო, სულ დაფანტა, შემდეგ გამობრუნდა იმდენი ეცადა, რომ თავის წრე იპოვა და შიგ ჩადგა.

რა წყეულმა ყეითნუსარამ თავისი ჯარი ესრეთ დაფანტული იხილა, განრისხდა და შემოსძახა: ჰეი, დევნო, არა გცხვენინანთ, რომ ერთს უთვალოს კაცისაგან აგრე შეშინდითო და იხოცებითო და მაგგვარად დაიფანტეთო! ეს საქმე სირცხვილი არ არის თქვენის მამაცობისათვისაო? მაგას ეხლა რა შეუძლიან, ეცადენით, რომ ხელდახელ ცოცხალი შეიპყრათო. მაშინვე დევნი გამობრუნდნენ და ზღვის ღელუვასავით გარშიმო ალყასავით შემოერტყნენ. ამ ყოფით შვიდი დღე და ღამე იბრძოლეს და ახლოს კი ვერ მიუღვნენ. რა გაბეზრდნენ, ერთად შეიყარნენ და ყეითნუსარასთან მივიდნენ და მოახსენეს: ეს რა ძლიერი რამ ყოფილაო, შვიდი დღე და ღამე ვებრძოლეთ და ვერა დავაკელით რა, და თუ კიდევ ვებრძოლეთ, ჩვენ იმას ერთიც ვერ გადურჩებით ცოცხალი და იმას კი ვერას ვავნებთო. ჰყენუსარამ და ყეითნუსარამ უთხრეს: დევნო, ერთი კი-

დევ შეუტეით და ჩვენ ლოცვას მოვყვებითო და ეგების როგორმე შევიპყროთ. იმეამად არას დროს ყარამანის პირილამ „ისმიაზამის“ ლოცვის თქმა არ გასწყდებოდა. ამ ჯადოებმა ბევრი შეულოცეს, მაგრამ ვერა ავნეს რა. რა ჯადოებმა ნახეს, რომ იმათმა ლოცვამაც ვერა ავნო რა, ყეითნუსარა განრისხდა და თქვა: რაც მე ამას ჯადო შეულოცე, თავსა ჩემსა ვფიცავ. რომ თუმცა დიდრონის მთისათვის შემელოცა, ისიც სრულიად დაინგრეოდა, მაგრამ ამ მიწისაგან შექნილს ვერა დავაქელ რაო. შემდეგ ჰყენუსარას უთხრა: შვილო, ეს მერვე დღე არის, რაც ამ წყეულს ვებრძვიტ, ამას არც უსვამს და არც უჭამია და ხედავ, როგორ გაუძღურდა; აწ მე წავალ და შეეებში და მე გაურიგებ იმას საქმესაო.

ესე თქვა და უყანიდამ მოუყარა და მთის ოდენი ლახტი ყარამანს დასაკრავად შეუმალლა. რა ყარამანმა ლახტის მოქნევის ხმა გაიგონა, ჰყენუსარა ეგონა და ცდილობდა, რომ ეგები ხელში ჩაევიგდოვო, წაექანა და იმ მოქნეულს ლახტს ხელი შესტაცა, მაჯას ხელი წაავლო და ასეთი მოუჭირა, რომ ყეითნუსარამ ღრიალი დაიწყო. რა ყარამანმა იმის ხელი ხელში იგდო, ასე მოუჭირა გამწარებულმა, რომ მარჯვენა ხელი მოფშვინტა. მსწრაფლ ხელი კისერში ჩაავლო, ასწია და დედამიწას დასცა და ასეთი მუშტი მიაყოლა, რომ ტვინის ქვალი და ძარღვი ერთმანეთში აურიო და იმ ბილწის სული ჯოჯოხეთს გაისტუმრა. ყეითნუსარა თურმე გამოჩენილი ფალავანი ყოფილიყო და დიდად ძლიერი. რა ყარამანმა ისე ძღვილად მოკლა, დევთა ძლიერ გაუქვირდათ. ამაზედ ჰყენუსარამ შესძახა: ჰეი, წყეულო ყარამან, რად გასჩნდი მაჭირებლად ჩვენდა, მამაჩემი ხომ ადრე მოჰკალ და ეგეც პაპაჩემი იყო, ახლა რომ მოჰკალო. ყარამანმა მიუგო: ჰყენუსარ, შენ მეგონე, თორემ არ მოვკლავდიო. რა იმ წყეულმა ესე გაიგონა, თვითონაც მიუხტა და ჯარსაც შემოატევებინა, მაგრამ ვერცარაფერი მაშინ დააკლეს. და რა ნახეს, რომ ყარამანი უწყალოდ ხოცს, დაიფანტენ და ჯეზირვახვანის მთისაკენ წავიდნენ. რა ყარამანმა დევთა ბრძოლისაგან მოიცილა და სწორედ შეიტყო, რომ გაიქცნენ, მივიდა თავის ხის ქვეშ და დაიჩოქა და ღმერთს მადლობა შესწირა. რა ლოცვა გაათავა, დაწვა, ძილსა და მოსვენებას მიეცა.

იმეამად საჰმან-ადამიზადი თავისის თერთმეტის ამხანაგებით და ფაშუნჯით ჯეზირვახვანში მივიდა, მაგრამ საჰმანმა დაარკია, არამც და არამც ტირილი ამოუტევოტ და ან გაგისხენებით რამეო,

თორემ შეაწუხებთო და იმას რაღა შეწუხება უნდაო. რა ჩამოხ-  
დნენ, ნახეს, რომ ურიცხვი დევთა ლაშქარი ამოუწყვეტია ყარამანს.  
რა ახლოს მივიდნენ, იქამად ნახეს, რომ ყარამანს გამოელვია და  
ილოცვიდა. ეს თერთმეტნი დევნი მივიდნენ და ყარამანს ფერხთ  
მოეხვივნენ. და რადგან საჰმანისაგან დარიგებულნი იყვნენ, ხმას  
ველარ იღებდნენ. მაგრამ რუსაებრ ცრემლი სდიოდათ და რამდენ-  
ჯერაც ყარამანს პირს შეხედავდნენ, გულში მარადის მწუხარება  
უფრო და უფრო ემატებოდათ. ბოლოს გულემა ველარ გაუძლეს  
და მოჰყვნენ საკვირველ ტირილსა: ჩვენო მხსნელო ხელმწიფეო  
ყარამან, ვა ჩვენს ფალავნობასა და ქვეყნის დაბნელებასა, სარვი-  
ხურამანი ერთგულ მონას გვეძახდა და ახლა როგორნი ერთგულნი  
ვართ, რას მოგებმარენით ან რა გიშველეთო? ჩვენთვის დიდად  
ამაგ-დებულო ხელმწიფეო. ყარუნ-შაჰას თილისმაში შვიდი დღე და  
ღამე თავქვე იარე ჩვენის გამოხსნისათვის, თავი სასიკვდილოდ გა-  
დასდე ჩვენთვის და დედამიწის შვიდი ნაწილი ჩაიარე და იმ ძნე-  
ლის ტანჯვისაგან გამოგვიხსენ. ვა, თუ ბოლო ასე მოხდებოდა,  
ნეტავ ჩვენ არც გვენახე და არც გაგვეცან და იქავ თილისმაში  
ჩავმპალვიყავით და შენი ყოველთვის კეთილშობილმედი თავი ჰაგ შე-  
კირებებში არ გვენახა. ხელმწიფეო, გვიბრძანე, ქვეყანა ავაოხრო-  
თო და დავაქციოთო და ზღვაში დავანიოთ, თუნოდ ქვეყანა რად  
უნდა იყოს? საჰმანი და ბარყუში ეხვეწებოდნენ დევებს დაჩუმე-  
ბასა და ძლივს დააჩუმეს.

შემდეგ ყარამანმა უბრძანა: მე, ძმანო, ბევრი გლოვა ვერას  
მიშველის და თქვენთვისაც საწყენი საქმე არისო. მხოლოდ ამასა  
გთხოვთ, ძმანო, რომ ვინც ჩემნი ერთგულნი ხართ, სარვიხურამანს  
და ნარიმანს არ შეატყობინოთ. და თქვენ ჩემთვის ნუ სწუხართ,  
ღმერთი მოწყალეა. მერე საჰმანი და სიმრული მოიკითხა, ისინი წინ  
წადგნენ და ხელსა აკოცეს, სიმრულმა მოახსენა: ხელმწიფეო და  
საბუყირანო, ნუ მისცემ თავს მწუხარებასა, აი ჩვენ შენნი ერთგულ-  
ნი აქ გახლავართ და მტერი შენის დოვლათით ვერ დაგვიბრძოვებ-  
სო და ღმერთი მოგვხედავს და ამ განსაცდელიდამ ის განგვათავი-  
სუფლებსო. ყარამანმა მიუგო: სიმრულ, ამ სოფელს ასე სჭირს,  
რომ გულოვანს ფალავანთა ამგვარი განსაცდელი ყოველთვის  
სდევსო; და ამიტომ ჩვენც არ უნდა ვიწუხოთო. და შენთან ეს  
ვედრება მაქვს, რომ საცა ის ჯაღოა, იქ მიმიყვანო, რომ ეგები  
აუტეხო რამე. შემდეგ საჰმანმა მოახსენა: ფალავანო, ჩვენი აქეოამ

დაძვრა არ შეიძლება; ან ის ჯაღო ჩვენვე მოგვცემბნის, ან არა და ჯარს მოუტადლოთ, მოვიდნენ, ვარჩიოთ და რომელიც უმჯობესა იყო; ისრე აღვასრულოთო. ყარამანმა ცება დართო. შემდეგ კვალად საჰმანმა მოახსენა. გეტყობათ, რომ კიდეც ბრძოლაში ბრძანებულხართო. ყარამანმა მიუგო: საჰმან, წყეული ჰყენუსარა რომ წარვიდა, რამდენიმე ათასი დევთ ლაშქარი მოიყვანა, და თავისი პაპა ყეითნუსარაც. მოვიდნენ, შემომებნენ, რვა დღე და ღამე მშიერმა და მწყურვალემ ვიბრძოლე, ყეითნუსარა მომეპარა და ლახტი დასაყრავად მომიტანა. რა ლახტის ხმა გავიგე, მე ჰყენუსარა ჯაღო მეგონა, მივწვდი, ღმერთმან ძალი მომცა, შევიპყარ და მოვკალ. რა იგი მოვკალ, ყოველნე გაიქცენ. შემდეგ იმ წყეულმა ჰყენუსარა ჯაღომ შემომძახა, მამა ხომ მომიკალ და პაპაც ეგ არის რომ მოჰკალო, ახლა ასეთს საქმეს გიზამ, რომ არავის დამართოდესო. რა ესე თქვა, თვითონაც გაიქცა და სხვანიც გარდაიხვეწნენ. რა ფასკუნჯმა ესე გაიგონა, დიდი ქება შეასხა და მოახსენა: სააბყარანო, შენ რომ საქმე გიქმნია, ის საქმე ღვთის გარდა არავის შეუძლიანო, ასე, რომ ქვეყანა იმ წყეულის მანქანებისაგან დაგიხსნიაო. მე მარტო იმისაგან ძალიან შეწუხებული ვიყავ და ახლა ვმადლობ ღმერთსა, რომ ის ქვეყნიდამ გამოაალომე.

შემდეგ საჰმანმა მოახსენა: ხელმწიფეო ყარამან, გვიბრძანე, წავიდეთ და ჰყენუსარა ვიპოვოთ და ბრძოლით აუტეხოთ რამეო. ყარამანმა უბრძანა: ეგ კარგია, მაგრამ მცირე საქმელი მომიტანეთ, ჯერ ვჰამო და მაგის პასუხს მერე გეტყვით, თორემ ეს მეცხრე დღე არის, რაც უზმო ვარ, ამან უფრო შემაწუხაო. მაშინვე საჰმანმა ფრთა ფრთასა ჰკრა, წარვიდა და შემწვარი ფრინველი, ღვინო და პური მოართვა, ყარამანმა ფასკუნჯი გვერდით მოისვა და პურს ჰჰა დაუწყო. საჰმანმა კი თავის თერთმეტი ამხანაგი ცალკე იხმო და რჩევა იწყეს და მსწრაფლ ჯეზირ-ვახვახისაკენ წავიდნენ. იმჟამად ის წყეული ჰყენუსარა ჯეზირის მთაში იყო, თავის მამისა და პაპის სისხლის საქმეს არიგებდა და ამასაც ფიქრობდა, რომ ყარამანს ხომ თავისი დაემართა, მაგრამ საჰმან და ფასკუნჯი როგორ უნდა შევიპყარო. რა ამ ფიქრში იყო, ნახა, რომ ჰაერიდამ ცეცხლმა ყრა დაიწყო. შეიტყო ამ წყეულმა, რომ საჰმანი და იმისნი ამხანაგნი იყვნენ და ცეცხლსა ჰყრიდნენ. მაშინვე ჯაღომ ჯარი მოამზადა და საჰმანის საომრად გამოვიდა. იმ დღეს საშინელი და

საზარელი ომი გარდაიხადეს, მაგრამ მოკლედ მოგახსენოთ, იმ წყუ-  
ულმა საჰმანის ამხანაგები ჯადოთი დაიქირა და დაატყვევა. საჰმან-  
მა სამი თვე დღე და ღამე იბრძოლა, ბევრი ლაშქარი დაუზოცა და  
ბოლოს რა ველარა გააწყო, დიდად მგლოვიარე და მწუხარე გამობ-  
რუნდა და ყარამანთან ცარიელი მოვიდა.

იმჟამად ყარამანს ფასკუნჯიც სანადიროდ გაეგზავნა და მარტო  
იჯდა და ღმერთს ევედრებოდა თავისი თავის მორჩენისათვის. საჰ-  
მანი მოვიდა, თავი დაუქრა და თავისი თავის გარდასავალი უამბო. ყა-  
რამანმა ერთი ამოიოხრა და თქვა: ნახე, იმ წყუულმა რა საქმე მოგვიე-  
ლინაო, რომ ღამის ერთობით გაგვაოხროსო. მაგრამ, ძმაო საჰმან,  
ზოგჯერ ძალი უნდა, ზოგჯერ ოსტატობა, ნუ იფიქრებ, რომ ჯა-  
დოს ძალი მოეკიდოს ვისმეს. თორემ შენ ამაების დამსწრე ხარ,  
პირველად გარდანქეშანმა რომ აზრად მეთილისმე მოჰკლა, ჯარი  
არ ჰყოლია. მე ოჰყალი ჯადო მოვკალ, თუმცა დიდი ჯარი მყვანდა.  
მაგრამ იმისთვის უსარგებლონი იყვნენ. ფალანგსარ მოვკალ, იქაც ჯა-  
რი არ მიხმარია, კვლავ ზღვაში ჯადო მოვკალ, რომ ჯარი არ მომიშვე-  
ლებია; ესენი დიდრონნი და წვრილები ურიცხვი. უყნუსარა რომ  
იმ ღამეს მოვკალ მარტო და მერე ამ უსინათლობის დროს ქვეყნის  
მაოხრებელი ყეითნუსარა მოვკალ ჯადოთი და გრძნეულობით სავ-  
სე. იმ დღეს მე შენ ველარა გაწყენინე რა, თორემ რა ჯარი გაეწყო-  
ბა ჯადოს. კარგად გახსოვს, რომ ოჰყალი ჯადომ მთელი ერანი  
გააოხრა. ახლა მე ჩემს თერთმეტის დევისათვის ვჩივი, რომ ვაი თუ  
იმ წყუულმა შებნედილნი დახოცოს. თორემ ეს კი მაქვს იმედად,  
რომ თუ თავის მდგომარეობაში არიან, იგი თერთმეტნი ყაფის მთა-  
საც გააოხრებენ, თორემ იმათი ბრძოლა ვერვის შეუძლიან. შემდეგ  
საჰმანმა მოახსენა: რა უყო, მოვიდა მოულოდნელი საქმე. ყარამანმა  
მიუგო: საჰმან, ნუ შესწუხდები ღმერთი მოწყალეა. კვლავ საჰმანმა  
მოახსენა: წავალ რუბი-მასკუნსა და ყაფის მთას შეეყრი და აქ მო-  
ვიყვანო, ყარამანმა კვალად მიუგო: ნუ, ძმაო საჰმან, მე იმათ შეწვე-  
ნას არ ვთხოვ, ჩემი შემწე ცისა და ქვეყნის დამბადებელია, ის უფ-  
რო უდიდესი და მძლავრია ყველაზედ. მცირედი მოიცადეო. ყარამა-  
ნი შვიდს თვეს და თერთმეტს დღეს იქ იყო უსინათლო და თვალთა  
დაბნელებული.

## აქა სეილან-შაჰსი და იმის ასულის უმანი ფერიის ამბავი

იმჟამად სეილან-შაჰ და მნათობი უმანი ფერია და იმის ქმარი შარუნ-შაჰ დახოცილივით იყვნენ, რა შეიტყეს ყარამანის სიბრმავე, და არ იცოდნენ, თუ ყარამანისთვის რა წამალი ეშოვნათ. დღესა ერთსა პურის ჭამაზედ ისხდნენ და უმანი ფერიას ყარამანის სიბრმავე მოაგონდა და ღვინის სასმელი ხელიდამ გავარდა და მდულარეს ცრემლებით ტირილი დაიწყო. შემდეგ მამასა და ქმარს უთხრა: ხელმწიფენო ჩემნო, ერთი რამა მაქვს სათქმელი, გამოგიცხადებთ და გთხოვთ, რომ სამართალი თქვენ გასაჯოთ. სააბყირანი არც ჩვენი ნათესავია და არც ჩვენი გაზრდილი და არც ნაღვაწი, მოვიდა, სასიკვდილოდ თავი გადადო, ჩვენ ტყვეობიდამ გამოგვიხსნა და ჩვენის მიზეზით ამ ძნელს განსაცდელსა მიეცა. თუ ჩვენვე ახლა იმას არ უშველით, ან შველას არ ვეცდებით, ღმერთი არასდროს არ დაგვიმადლებსო. ჩვენი ვალია, რომ რითაც გზით უნდა იყოს, იმისი მორჩენის წამალი ვეძებთ, ეგების ღმერთმა ხელი მოგვიმართოს და ამით ჩვენი ვალი გარდავიხადოთო. მაშინ მამამ და ქმარმა უპასუხეს: ჩვენი სიცოცხლის დამწარების დღე დღეს არისო და ჩვენი ფიქრი მის მორჩენის წამალზედ არისო. აწ, ჩვენო საყვარელო, თუ რამეს იფიქრებ, ჩვენ კმაყოფილნი ვართ შეწვევისათვისაო, ოღონდ იმას ეშველოს რამეო. რა უმანი ფერიამ მათგან ესრეთ მოისპინა, ქმარს უთხრა: ჰეი, საყვარელო, ქამი არის გარჯისაო, ჩვენ წავიდეთ და ეგები უშველოთ რამეო. ორნივე შავის ფოლადით შეიჭურვნენ და იწყეს სიარული და ჯეზირ-ვახეახში მივიდნენ, საცა ყარამანი იყო.

რა მნათობი უმანი ფერია ყარამანის სიახლოვეს მივიდა, თავის სახურავი მოიგლიჯა, თავზედ მიწა გარდაიყარა და მოსთქვა: ჰეი, ქვეყნის მზეო, რამ დაგაბნელა? ჰეი, ყოველთა ტყვეთ გამომხსნელო, ვინ დაგატყვევა? ჰეი, სწორუპოვარო ფალავანო, ვინა გძლია? ჰეი, ჯადოთ ამომწყვეტო, ვინ შეიძლო შენი ეგრეთ შექმნა? შენ ყოველთვის თავდადებულო, ჩემს სიცოცხლის ბედნიერებას შენგან მოველოდი და აწ რალა ვყო? ვისგანაც გამომხსენ ტყვეობიდგან, ხომ კვალად წამიყვანს?! ვა, რომ ასე მცირეს ხანსა მქონდა ბედნიერება. თუ ცრუ სოფელი ასე მსწრაფლ მილაღატებდა, უმჯობესი იყო იმ ჯადოსთან დავმპალეიყავ და ქვეყნით არ გავოხრებულვიყავ. ჰეი,



სწორუბოვარო ფალავანო, ეგ განსაცდელი რომ ჩემის მიზეზით შეგმთხვა, მე სარკიხურამანი და ნარიმანი რაღას მაყოცხლებენ? უმეტესად ჩემს თავს ესტირი, მაგრამ, სააბყირანო, მე თვითონ ან თავსა ჩემსა მოვიკლავ, ან ამ ჯადოს აუტებს რასმესო.

შემდეგ ყარამანმა მიუგო: ჰეი, მნათობო უმან, ნუ სწუხხარ. სააბყირანის დავის გამწვევს ბევრი ამგვარი განსაცდელი შეემთხვევა და რად გიკვირთ? შემდეგ რა დამშვიდდნენ, ყარამანმა მოახსენა: მნათობო, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთვის შენ თავს არ დაზოგავ მეორედ დატყვევებისთვის, მაგრამ ისევ ჩემი ჭირი იქნება. საქმეს ნულარ გაიკირვებ. ქალმა მიუგო: ფალავანო, შენ ჩემს მეტი სხვა ვერავენ მოგარჩენსო. მე ერთი რჩევა მომიგონია, თუ თქვენც დამეთანხმებით, დღესვე უნდა აღვასრულო და მანამ დავბრუნდებოდე, ჩემთვის ილოცე, და თუ იქილამ ვეღარ მოვედი, ჩემს სულს ნუ დაივიწყებთო. შემდეგ რაც გულში რჩევა ჰქონდა, ყარამანს ყოველივე მოახსენა. ყარამანს ეს რჩევა ძლიერ მოეწონა და უთხრა: წარვედ, საბაოთ ღმერთი იყოს შენი წინამძღვარიო. მაშინ ქალმა თავის ქმარს უთხრა: რაც გითხრა, იმის უარის თქმა არ შეიძლება, უნდა აღასრულოო. იმანაც ნება დართო.

მაშინ უმან ფერიამ თავის ქმარს ხელ-ფეხი შეუკრა, თვითონ კი საკვირველად შეიკაზმა, პერანგს და ახალუხს შუა ერთი ბასრი ხანჯალი გაირჭო, შემდეგ თავისი ქმარი აიკიდა და ჯეზირის მთისაკენ გაემგზავრა და საცა ჰეყნუსარა იყო, იქ მიიყვანა. რა ჰეყნუსარამ ქალი დაინახა, გაფეთებული წამოხტა და წინ მიეგება და უთხრა: ჰეი, საყვარელო, ეგ რა არის? განა ქმრის სიყვარულა ეგრე უნდაო? მაშინ უმან ფერიამ მიუგო: ჰეი, გრძნეულთა ხელმწიფეო, მე რომ შენ ტყვედ გყვანდი, მაშინ დიდი ტრფიალი შევიქმენ შენი და საკვირველად შემიყვარდი. თუმცა ბევრჯერ გაწყენინე, მაგრამ ისიც სიყვარულით ვქენი, შენც ხომ კარგად იცი, რომ შირბანტისაგან წყეულმა მიწის შვილმა ყარამანმა ამ საძაგელს ძალით მიმცა, მაგრამ აკი შენის ხელით მიეგო მაგიერი, იმას ხომ საუკუნოდ აღარ ეშველება რა, რამდენსამე დღესაც იყოცხლებს და შემდეგ მოკვდება. მე ერთს ღამეს დრო დავეცე. ეს ჩემი ქმარი ასე შევკარ და აქ შენთან მოვიყვანე. ახლა მწადს, რომ ჩემი დღენი შენს სამსახურში დავადამოვო. რა ჰეყნუსარამ ესე გაიგონა, ასე გაიხარა, რომ გახეთქას ცოტა უკლდა. შემდეგ თავის გუნებაში თქვა, ნახე, ჩემმა ლოთმა ეშმაკმა რა სიხარული მომაყენაო. ეს ჩემი

სახე რომ ყავის მთის დევებმა ნახონ, შიშით და ზიზლით დასქდებიან და ასეთს მნათობს როგორ შევეყვარებივარ, რომ ჩემის სიყვარულით მოსვენება აღარ ჰქონია და თვითონ და თავის ქმარიც აქ მომგვარა. ეს უფრო ერთგულობაა, რომ თავისი ქმარი შეუქრავს და წინ მომგვარაო.

შემდეგ უთხრა: ჰეი, მნათობო, მეც შენი მორჩილი ვიქნები და ჩვენი ცხოვრება სიხარულში გავატაროთო. ხელი დაუჭირა და სასახლეში შეიყვანა. მარუნ-შაჰა ჩამოხდა, წაიყვანა და დაატყვევა. იმ დღეს, რაც შეეძლო, უცხოდ დაუხვდა და ლხინი გარდაიხადა. რა ლხინს მორჩნენ, დევები დაითხოვა და მოსვენებას უპირებდა. ქალმან მოახსენა: ჯადოთ ხელმწიფეო, არც მე ვარ უბრალო კაცის ქალი და არც შენა ხარ უბრალო კაცი. მე დიდებულის ხელმწიფის სეილან-შაჰას ქალი ვარ და შენც დიდებულის კაცის შვილი ხარ. რა საკადრისია! გვარ-მართებულის ქორწილის თადარიგი ნახე, პატიოსანი და ჩვენი საკადრისი ქორწილი გარდავიხადოთ და შემდეგ ჩემი თავი შენი იქნება და შენი ჩემიო.

მაშინვე სიხარულით იმ წყეულმა ჰეყნუსარამ ქორწილის თადარიგი ნახა, შვიდი დღე და დამე ქორწილი ჰქონდათ. ამ ქალმაც იქ ყოფნა მოითმინა და ვითამ თვითონაც ლხინობდა. მერვეს დღეს რამდენიმე მყრალნი და საძაგლნი ბებუარნი დევის ქალები შეიყარნენ და როგორც იმათი ბილწი წესი და ჩვეულება იყო, ეს ქალი ისე მორთეს. შემდეგ ჰეყნუსარ ჯადო დევებმა დიდის დიდებით გამოიყვანეს და რომელ სასახლეშიაც ქალი იყო, იქ მიიყვანეს. მერე დევები ყველანი თავ-თავის სადგომში წავიდნენ. იმ სასახლეში ის წყეული ჰეყნუსარა და მნათობი უმაინ ფერია მარტოკადარჩნენ. დევი მივიდა და ლამობდა, რომ ჩინარის მსგავსის მკლავებით მოხვეოდა. მაშინ უმაინ ფერიამ სახელი ღვთისა ახსენა. ახალუხსა და პერანგს შუა შენახული ხანჯალი ამოიღო და იმ მოედნის მსგავს მკერდს ასე მედგრად დასცა, რომ მეორეს მხარეს ორი მტკაველი გარეთ გამოჰყო. დევი მიწასა დაეცა და საშინლად დაიწვილა. უმაინ ფერიამ მსწრაფლ თავი ტანიდამ განაშორა და იმისი მყრალი სული ჯოჯოხეთს გაამგზავრა. მსწრაფლ აიჭრა. ერთი მინა იშოვა და იმისი სისხლით აავსო. შემდეგ გამოვიდა და თავისი ქმარი მარუნ-შაჰა გაათავისუფლა. იმ დამეს ესე მსწრაფლად იარეს, რომ გათენებამდის ყარამანთან მოვიდნენ. რა ყარამანმა იმ ჯადოს სიკვდილი შეიტყო, დიდს მხიარულებას მიეცა. შემდეგ

პინით სისხლი მოუტანეს. მარუნ-შაპამ და უმაინ ფერიამ ახსენეს აახელი ღვთისა და ყარამანს თვალები დააბანინეს. ყარამანის თვალებს სიბნელის ზეწარი მსწრაფლ დაუხია ჰეყნუსარას სისხლმა და ახილა ქვეყნიერება ისე, როგორც პირველად ჰქონდა. რა ისევ ყარამანის თვალები ახელილი ნახეს, დიდი მხიარულება შეექმნათ.

მაშინ ყარამანმა დიდის ლოცვით ღმერთს მაღლობა მისცა. მერმე უმაინ ფერიას უთხრა: შაბაშ შენსა ძლიერებასა, რომ იგი დევი საძაგელი ესრეთ ადვილად მოჰკალო. ჰეი, მნათობო, დღეს ასეთი საქმე ჰქმენ შენა, რომ მეორედ მოსვლამდინ დაუვიწყარი იქნებო. ესე ამბავი მაშინვე შენოსაროს ახარეს, იგი დიდის სიხარულით წამოვიდა, მოვიდა და ყარამანს მორჩენა მოულოცა და დიდი სიხარული შეიქმნა. აქედამ სარეიხურამანს და ნარიმანს წიგნი მისწერა და თავისი ამბავი ყოველივე გამოუცხადა; აგრეთვე უშანგ-ხელქ-წიფესაც აცნობა წიგნით თავისი თავს გარდასავალი. შემდეგ ყარამანმა აყრა ბრძანა და ჯეზირ-ვახვანში მივიდნენ. რაც მუნ დევნი ჰპოვეს, სულ გაწყვიტეს, ისე, რომ ერთიც ცოცხალი არ გადარჩათ. იმჟამად საჰმანიც თან ახლდა. შემდეგ საჰმანი წარვიდა და თავისნა ამხანაგნი თერთმეტნი დევნი იპოვა და ყარამანის წინაშე მოასხა. რა მათ ყარამანი თვალხილული იხილეს, დადს სიხარულს მიეცნენ, მოვიდნენ, მოულოცეს, თაყვანი სცეს და ხელსა აკოცეს. ყარამანმა იგი ქალაქი შუა გაჰყო, ნახევარი ათორმეტთ დევთ უბოძა და ნახევარი უმაინ ფერიას და სეილან-შაპას უბოძა. შვიდი დღე და ღამე ჯეზირ-ვახვანში იარეს, საცა დევი ან ჯადო მოახელეს, სულ გაწყვიტეს.

შემდეგ ყარამანმა სიმრულს მოახსენა: ფრინველთ ხელმწიფეო, ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ერთი ვალი კიდევ დაგვდო და ქუის მთისაკენ წაგვიყვანო, ეგების ის წყეული აზარიექ დასტი ხელთ ვიგდოთ. სიმრული მაშინვე იმის ბრძანებას დაემორჩილა. იმ ღამეს იქ განისვენეს. რა დილა გათენდა, აიყარნენ. სიმრულზედ ყარამანი შეჯდა, სეილან-შაპ, დარუნ-შაპ, მარუნ-შაპ და უმაინ ფერია, ესენიც თან წაიყვანა, არც შეშფაიბარი დაუტევა და წარვიდნენ. რა მცირე ხანი იარეს, ყარამანმა სეილან-შაპა დაითხოვა და თავის სადგომს გაისტუმრა, იგინი ლხინსა და განცხრომაში იყვნენ. თითონ კი შვიდი დღე და ღამე ჰაერში ვიდოდა. მთაზედ მიმავლობაში ერთა გუმბათის მსგავსი რალაც დაინახა, რომლისა საძირკველი მწვანაჲ იაგუნდით იყო ნაშენი. ესრეთ შემკული იყო, რომ კაცის თვალი

უკეთესს ვერას ნახავდა. ყარამანმა სიმრულს ჰკითხა: ფრინველთ ხელმწიფეო, იმ გუმბათში რა უნდა იყოსო? მან მოახსენა: ფალავანო, ის გუმბათი პაპიშენის სიამქაშის საფლავიაო. ის ერთს დღეს შალნარში ღვთის მიმართ ილოცვიდა, იმ დროს დევებმა ჟამი დაიციეს, მოვიდნენ და ჰაერიდამ იმდენი ქვა დააყარეს, რომ ჩაქოლეს და მოჰკლეს. სამს წელს უკან პაპიშენის მამა ქეომარს-შაპ მივიდა და იმისი გვამი იპოვა. და რადგანაც ის უსჯულოთაგან წმიდა ლოცვაში მოკვდა, იტყვიან, რომ ჯერეც იმის გვამიდან სისხლი სწვეთსო. ქეომარსს ისრეთი ხედვა ჰქონდა სააბუიარანობისა, რომ თავისი სიცოცხლე ყაფის მთის ბრძოლაში დააღამა. დიდად ღვთის მლოცავი კაცი იყო და მუდამ ღვთის ვედრებაში იმყოფებოდა. ქეომარსი თავის სიცოცხლეში ტახტსა და სააბუიარანობას თავის შვილს სიამქაშს აძლევდა, მაგრამ ამას ეუბნებოდა; რომ არა მშვენიის შენს სიცოცხლეში მე სააბუიარანობა დავიპყრაო. ამის მიზეზით წარვიდა და მარტო ილოცვიდა და იმყოფებოდა. ისრეთი კაცი იყო სიამქაში, რომ დევნი იმის შიშით ვერ იძინებდნენ. ერთს დღეს ლოცვაში რომ იმყოფებოდა, წარვიდნენ ეშმაკნი და დევებს შეატყობინეს და იმ წყეულთ დევთა ლოცვაში მოჰკლეს, როგორც მოგახსენეთ, შემდეგ აქ დასაფლავეს და ეს საფლავიც ქეომარსმა გააკეთებინა.

ყარამანმა ამაზედ მიუგო: სიმრულ, მე იქ უნდა მიმიყვანო, მინდა პაპიჩემის საფლავი ვნახო. სიმრულმაც თხოვნა აღუსრულა. რა კართან მივიდნენ, ნახეს, რომ შიგნიდან იყო დაკეტილი, ესრეთ; რომ კაცისაგან იმის გაღება არ შეიძლებოდა. მობრუნდა, სიმრულს და საჰმანს უთხრა: ყველა-ყველა და ეს კარი როგორ უნდა გავაღოთო? ამათ მოახსენეს: ფალავანო, მცირეს ხანს უყურეთ და ვნახოთ, როგორ გაიღებათ. რა ყარამანმა კარს ზევით შეიხედა, ნახა, რომ რამდენიმე სტრიქონი დაწერილი იყო. ფალავანმა იგი წაიკითხა. რა ის წაიკითხა, კარები გაიღო, მაგრამ ისეთი სუნნელების სუნი გამოვიდა, რომ კაცის გონებას დაჰფანტავდა. ყარამანმა ღვთის სახელი ახსენა და შინ შევიდა, ნახა, რომ სიამქაში ერთს კუბოში მდებარე იყო. მერმე აქათ-იქით მიიხედა, ნახა, რომ იგი აკლდამა სრულიად თლილის ქვით იყო ნაშენი და სამარის ძირი ქვით იყო მოკირწყლული, ფერი წითელს იაგუნდს უგვანდა. ისრეთი სუნნელების სუნი უდიოდა, რომ არც მუშკისა და არც ამბრის სუნი იმასთან არ მოვიდოდა. და ის გუმბათი სრულიად იმითი იყო ნაშენი და იმ სუნნელების სუნი იმ ქვათაგან გამოდიოდა.

სიამქაშს თავისი იარაღები სულ თავით ეწყო. ყარამანი წინ წარსდგა და იგი კუბო მხრით გაზომა, სამოცდახუთი ყარამანის მხარი იყო. იმის სივრცე და სიმაღლე დიდად მოეწონა. შეხედა, ნახა, რომ ერთი აღმასის ლახტი თავით ედვა და რამდენი ლიტრაც იყო, ტარზედ ეწერა. წაიკითხეს, გაიგეს, რომ შვიდი ათასი ლიტრა იყო. ყარამანმა დიდის თავაზით აიღო, რამდენჯერმე თავს შემოიფლო და თავისავე ალაგს დასდვა. შემდეგ მივიდა და იმისი ჩასაცმელი ჯაჭვი ნახა, სრულიად აღმასით იყო შეთხზული. ისრეთი უცხო რამ იყო, რომ კაცი იმის ქებას ვერ იტყოდა. მერმე ხმალი გასინჯა და იგიც დიდად მოეწონა, ყუაზედ ეწერა, ექვსასი ლიტრა არისო. მერმე ქარქაშიდამ ამოიღო და პირი გასინჯა, მისი სიწმინდე და მკვეთლობაც დიდად მოეწონა. იმ ხმლის ბრწყინვალება მზის სხივივით ანათებდა. ხმალი აგრეთვე ქარქაშსა შეაქცია და თავის ადგილს დასვა. მოკლედ მოგახსენოთ, ყარამანმა სიამქაშის სამოცდაორი იარაღი გასინჯა, მოსაწონიც იყო და დიდადაც მოეწონა.

შემდეგ წინ წარსდგა და იმის თავქვეშ რამდენიმე დაწერილი სტრიქონი იხილა. ფალავანმა იგი წერილიც წარიკითხა. ესრეთ ეწერა: „ჰეი, შენ, ქვეყნის მპყრობელო ხელმწიფევე შაჰრიარ, აბდენი წელიწადია ქვეყანაზედ კარგის ცხოვრებით ვიცხოვრე, ბოლოს კიდევ სიკვდილმა კალთა დამიჭირა. მრავალს ვეცადე იმისაგან დასხნასა, მაგრამ წამალი არ დამედვა რა და ჩემი სიცოცხლის დასასრული სიკვდილი იყო“. რა ესე დაასრულა, მეორეს მხარეს შეიხედა, ნახა, რომ ორი კუბო ძეგს უცხოდ შემკული. დიახ დიდის ზომისა იყო, ორსავ თავზედ სტრიქონები ეწერა. პირველზედ ეწერა ესრეთ: „ჰეი, კაცო, აქ მოსულო. თუ ხარ ჩემის გვარისა, ესრეთ შეიტყე, რომ მე ვიყავ სიამქაშის შვილი თახმურად ხელმწიფე, ამაღლებული და მძლავრი. ჩემს სიცოცხლეში რაც ქვეყანაზედ ხელმწიფენი იყვნენ, სულ მე მმორჩილობდნენ. არაფერი არა მქონდა ნაღველი, ერთი შვილი მყვანდა. ეს ჩემს გვერდით ჩემი ძმა გვარჯასპი არის, ერთი შვილიც იმასა ჰყვანდა. ჩემი შვილი უფრო პატარა იყო და სახელად ყარამანი ერქვა, იმეამად დევებმა მომტაცეს და წარიყვანეს. მისმა ნაღველმან გამათავა და ველარ გაგძელ. რა ვნახე, რომ ჩემი სიკვდილი მოწეულა, ეს ანღერძი დავადე, რომ როცა მოკვდე, მამაჩემთან დამმარხონ. აგრეთვე ჩემი ძმა გვარჯასპი, რადგანაც წმიდა ალაგია. აჰა, შვილო ყარამან, ჩემი თვალი შენს გზაზედ დარჩა და შენმა ნაღველმა გამათავა. ნეტავი

შენ ქვეყანაზედ ცოცხალი იყო და მე შენის ჰირის სანაცვლოდ შევიქმენო. აჰა, შვილო ყარამან, ვინიცობა არის, აქ სადმე მოხვიდე. ეს ჩემი და პააიშენის საფლავი იხილო, შენდობა გვაღირსე. საყვარელო შვილო, არამც ამპარტავნობამ მოგატყუოს და ღმერთი დაივიწყო, თორემ მიწაც არ გელირსება და ღმერთთან პირშავი იქმნები. შვილო, მე ველარ მოვასწარ, რომ ეს ალაგი სასაფლაოდ გამეკეთებინა და დარჩა ერთი კოშკის ანაბარად. აჰა, შვილო, ან ჩემის გვარისანო, ჩემი ანდერძი ეს არის, რომ როგორც მე, მამაჩემსა და ჩემს ძმას ეკადრება, იმისთანა სასაფლაო გააკეთეთ. მეორედ ეს არის ჩემი დარიგება, რომ თუ იყო ძლიერი, უღმერთოდ ძალას ნუ დაიკვებებ და თუ იყო ხელმწიფე, მოწყალე და მოსამართლე იყავ და ჭეშმარიტი ღმერთი გიყვარდეს. თუ იყო სააბუირანი, თავმდაბლად იყავი და უღმერთოდ საქმეს ნუ დაიქერო. აჰა, შვილო, თუ ჩემი შვილი ხარ, შენთვის ეს სამოცდასამი იარაღი ანდერძად დავადე, რომელიც პატარა ოთანში აწყვილაო“.

რა ყარამანმა ეს აღმოიკითხა, ცრემლები გარდმოუშვა და მამისა და პაპის საფლავზედ ლოცვა თქვა და შენდობა მოახსენა. წერძე მობრუნდა და საჰმანს უთხრა, ეგრეთვე სიმრულსა: კარგი ბედი იყო, რომ ჩვენ ამას აქ შევხვდითო და მმართვებს მამიჩემის ანდერძის შესრულებათ. ამაზედ სიმრულმა და საჰმანმა მოახსენეს: სააბუირანო, დიად გმართვებს ისრეთი რამ აღაშენო, რომ არას ქვეყანაში არავისგან არც აღშენებულ იყოს და არც აღშენდესო. სხვა ესე იარაღებიც ქუჩუქისათვის კარგი იქნებო. ყარამანმა ბრძანა: ჩვენ აქ ბალი და სასაფლაო გავაკეთოთ და მანამ ეგები იმ წყეულმა ჰაზარიექ დასტმა ჩემი დაბრმავება შეიტყოს და აქეთკენ წამოვიდეს და ჩვენი გრძელი გზა შემოკლდეს და ეგები ჩვენი ქვეყნიდამაც ერთი რამ ამბავი მოგვივიდესო. რა ესე დაასრულა, თავის ერთგულთ თორმეტს დევებს დაუძახა და პირველად საჰმანს უბრძანა: შენ წადი ქუი-ათემის მთაში და რაც იქ დევები არიან, სულ აქ მოახსიო. მერე მეორე დევს უბრძანა: შენ წადი ანგურ და შაჰყუნ ნარა დევებთან და უბრძანე, რომ თავიანთ ლაშქრებით აქ მოვიდნენო. მესამეს უბრძანა: შენ წადი და ქუი-ყათის დევები აქ მოახსიო. მეოთხეს უბრძანა: შენ წადი, ანყაფუზ დევს უბრძანე, რომ თავის ლაშქრით აქ მოვიდესო.

რალა გავაგრძელოთ, ესენი ყოველს მხარეს გაგზავნა და რაც თავისნი ხელქვეითნი დევნი იყვნენ, სრულიად თავისთან მოიწვია

და დევთა ლაშქარმა ყოვლის მხრიდამ დენა დაიწყეს. თუ დევნი, თუ ფერიანი ყოველნი მოვიდნენ და თაყვანი სცეს. ვინც დაჯდომის ღირსნი იყვნენ, მათ დაჯდომა უბრძანა. მაგრამ ყველას უკვირდათ და თავიანთ გუნებაში ამბობდნენ, რად უნდა, ამდენი დევთა და ფერიათ ლაშქარი რომ მოგვაგროვავო. შემდეგ უმაინ ფერიაც დაიბარა ოა იგიც მაშინვე მოვიდა, ყარამანს მიესალმა და ერთმანეთი მოიკითხეს. შემდეგ დიდი მეჯლისი გამართეს.

რა მეჯლისში ყველა გაქიხიარულდნენ, ყარამანმა ბრძანა: დიდებულნი და მცირებულნი, იცით, აქ რისთვის შეგყარენით? ჰე მწადს მამოჩემის ანდერძი აღვასრულო და დიდი კარგი ალაგიც არისო. მე მნებავს აქ ისეთი სასაფლაო გაეკეთო, რომ ქვეყანაზედ იმისთანა არავის გაეკეთებინოს, სულ თილისმებით შეზავებული, ისე, რომ არა სააბყირანს და არა ხელმწიფეს იმისთანა არა გაეკეთებინოს რა, რომ ჩემი სახელი მეორედ მოსვლამდინ იხსენებოდეს და რამინის საფლავსაცა სჯობდესო. დიდებულნი, თქვენთვისაც სახელი იქნება. ამას იტყვიან, რომ ამისთანა ხელოვანნი, დევნი, ჯინნი და ფერიანი მეგობარნი ჰყოლიაო, გამკეთებელს ცხონებას ეტყვიან და მე დიდად დამავალებთ, როგორც სულეიმანის ბაღის სახელია და გამკეთებელის სახელი იხსენებაო. ახლა თქვენზედ მომიგდია, ისრეთი რამ უნდა გააკეთოთ, როგორც ჩემს სააბყირანობას ეკადრება. ისრეთი დიდი უნდა გააკეთოთ, რომ ექვსი ალაჯი სიგრძე ჰქონდეს, ექვსი განი და კედლის განი ოცდაათი მწყრთა უნდა იყოს და ორმოცი მწყრთა სიმაღლეო. თორმეტის რივის მადნის ქვით: უნდა შეაზავოთ და ისრეთი თილისმები უნდა გააკეთოთ, რომ არა იარაღი არ მოეკიდებოდესო, არა ხელმწიფეს, არა სააბყირანს და არა დევს იმის სიახლოვეს მისვლა არ შეეძლოს. ეს იმისათვის უნდა იყოს ასეთი სასაფლაო ესრეთ, რომ ჩვენ და ჩვენნი მიცვალებულნი ნათესავნი აქ განვისვენებდეთო.

რა დევთა და ფერიათა ყარამანისაგან ესე გაიგონეს, ყველანი ფეხზედ წარმოდგნენ, თაყვანი სცეს და მოახსენეს: აღიდოს ღმერთმან ძლიერება თქვენი და სააბყირანობა ჩვენზედ უკლებლივ ჰყოს. სააბყირანო, ჩვენ ესრეთ ვიცით, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდინ შენისთანა სააბყირანი არც დაბადებულა და არც თუ დაიბადება. თქვენი სახელი და ძლიერება სამას წელიწადს წინათ შეტყობილი გვაქვს რამლითა და რადგანაც თქვენი საწადელი ეგ არის, ისრეთს რასმეს გაგვიკეთებთ, რომ ქვეყანაზედ არც გაკეთებული-

ყოფს და არცთუ გაკეთდეს. ვითა თქვენნი სახელი ამალღებულია, ისრე თქვენის გაკეთებულის ბალისა და სასაფლაოსი უნდა იყო.

რა ყარამანმა მათგან ესე სიტყვები მოისმინა, ვინც კარგნი ოსტატნი იყვნენ, შაჰყუნ ნარა დევსა და სხვათა მრავალს ზალათები დაურიგა და თქვა: მიკვირს, საჰმანმა რად დაიგვიანაო? მაშინ შაჰყუნ ხარა დევმა ირძანა და ასი ათასი დევი ოკიახის ზღვაში გაგზავნა მადნის ქვისათვის, ასი ათასი დევი ყაფის მთაში წარვიდნენ და ათი ათასიკ ჯანი-ჯუნუმის ქვეყანაში... პირველად ოკიანის ზღვაში რომ წარვიდნენ, რაც იქ ქალაქები იყო, სულ დაანგრიეს, ოთხი ფერი უცხო მადნის ქვა იპოვეს, გამოზიდეს და მოიტანეს. ისრეთი რამ იყო, რომ აღმასივით ელავდა. ოთხი ფერი მადნის ქვაც ყაფის მთილამ მოიტანეს, ოთხიკ — ჯანი-ჯუნუმილამ. შესრულდა თორმეტი ფერი მადნის ქვა. რა ესე შეასრულეს, მას შემდეგ ოთხი ათასი დევი დააყენეს და საძირკველი ათხრევიდნეს, ესრეთ, რომ წყალზედ დადგა. რა საძირკველის თხრას მორჩნენ, მაშინ შაჰყუნ-ნარა დევმან გააკეთა სპილენძის ჩარხები და მიღები თილისმითა. სამი საძირკველის ძირი ესრეთის დიდრონის კლდის ქვით აღავსო და ტყვიით. ის მიღები და ჩარხები შიგ ჩაატანა, ესრეთ, რომ დედამიწამდინ ამოიტანა. ყოველმა ნახეს, რომ ამ საძირკველილამ ისრეთი ხმები ისმოდა, მეორედ მოსვლასა ჰგვანდა. რა ყარამანმა ამისთანა ოსტატობა ნახა. შაჰყუნ ნარა დევს დიდი ქება შეასხა და ერთი ისრეთი ხალათი უბოძა, რომ ერთის ქვეყნის წლის ხარაჯა იყო.

### აჰა ფარვან დევის ამბავი

რა საჰმანი წავიდა და დევებს შეატყობინა, თვითონ ბროლი-აზამის მთის კალთაში ერთს მალაროს შეხვდა. ნახა, რომ ამ მალაროს კარებთან ორნი ბერნი დევი იდგნენ. რა ახლოს მივიდა, იმათ საჰმან დაინახეს. მაშინვე მოვიდნენ და თაყვანი სცეს. საჰმანმა თავის გუნებაში თქვა: ნეტარ ესენი ვინ უნდა იყვნენო? საჰმანმა შესძახა: დევნო ვინა ხართ, ანუ ამ მალაროში ვინ იმყოფებო? მათ მიუგეს: ჩვენი ხელმწიფის ბიძის ძეო. მადლობა ღმერთსა, რომ თქვენ ყარუნ-შაჰას თილისმილამ გამობრძანებულხართო, ნუთუ არ გვიცნობთ? თქვენის ბიძის ძის ფარვან დევის ყმანი გახლავართო. რა საჰმანმა ფარვან დევის სახელი გაიგონა, არა მცირედ



იამა და მაშინვე მალაროში შევიდა. რა დარბაზს შევიდა, ნახა, რომ მრავალი დევთა ყრილობა იყო. რა საკმანმა ფარვან დევი დაინახა, მაშინვე იცნა, რომ თავისი ბიძის ძე იყო. რა მათ დევთა იხილეს, რომ ერთი საკვირველი და საშინელი დევი შევიდა, მათგან ერთი წინ წადგა და ფარვან დევს მოახსენა: მიხარებია, თქვენი ბიძის-შვილი საკმან ადამიხადი გაიხლათო. რა ფარვან დევმა საკმანის მისვლა შეიტყო, ადგა და წინ მოეგება. მიესალმნენ და ერთიერთ-მანეთს მოეხვივნენ და სიყვარულით მოიკითხეს.

შემდეგ დასხდნენ და ფარვან დევმა მოახსენა: მადლობა ღმერთსა, რომ იმ ძნელ საგნისაგან დახსნილხარ, ნეტარ იმისთანა ღვთიანი და ძლიერი ვინ ყოფილა; რომ იქ მიღწეულა და თქვენ განუთავისუფლებიხართ? საკმანს რაც თავს გარდახედოდა, ყოველივე უკლებლად მოახსენა: ყარამანის ძლიერება, დევთა ზედა და სრულიად ქაჯთა და ფერიათა დამორჩილება და ახლა საფლავის გაკეთება და თავის ყარამანის მონობა. მრავალი ქება მოახსენა ყარამანისა. შემდეგ ფარვან დევმან უთხრა: მაშ ახლა ჩემი შაგირდები შაჰყუნ ნარა და მაქილ იქ იქნებიან? საკმანმა მოახსენა: „ღიახ, იქ არიანო, და სხვანიც მრავალნი. რა ფარვან დევმა ყარამანის ამდენს ქება მოისმინა, საკმანს მოახსენა; ჩემო ბიძის ძეო, რადგან ყარამანი ეგოდენი მიქე, მეც გული გამოვიცვალე და მნებავს, თან გახლო ყარამანთან და ჩემს სიცოცხლეში მას ვემსახურო. რა ესე მოიუბნეს, მეჯლიში გამართეს და სამი დღე-ღამე ლხინობდნენ. მეოთხესა დღესა ფარვან დევმან ბრძანა და ოცი ათასი დევი მოამზადა და რაც თილისმის იარაღი ჰქონდა, ყოველი ამ დევთა აჰკიდა და თვითონ წინ გამოუძღვნენ. ოცი დღე იარეს და ყარამანს მოახლოვდნენ. ორის დღის სავალზედა. მუნ ჩამოხტნენ. ფარვან დევმან მოახსენა საკმანს: ამ დევთ ნუ მოშორდები და მნებავს, რომ ამ მთაზედ მკირე ვინადირრო. საკმანმა მოახსენა: ბიძისა ჩემის ძეო, წაბრძანდი, მაგრამ ჩვენის მხრის დევებს გაუფრთხილდი, იქნება ვერ გიცნან, ფათერაკი არ წაგეკიდოს. რა ესე სიტყვა დაასრულა. მაშინვე ფარვან დევი თავისის იარაღით შეიჭურვა, თავის რკინის კეტო მხარზედ გაიდო და მთის წვერზედ გავიდა.

იმჟამად, რა ფარვან დევი სანადიროდ წავიდა მთაზედ, ყარამანიც იქით მხარეს ნადირობდა მასვე მთაზედ. ფარვან დევმა იხილა, რომ ერთი კაცი დადის საკვირველი, სამოცდაორის იარაღით შეჭურვილი და რამდენიმე დევნიც მას უკან ნადირობდნენ. ფარვან

დევი საკვირველებას მიეცა და თქვა: ნეტარ ვინ უნდა იყოსო? და იქება, რომ საჰმანის ნათქვამი ეს იყოსო, მოდი, ამას გამოვცდი და თუ მოპერევა. შეეხვეწები, განმათავისუფლებსო; ამაღ, რომ საჰმანმა მითხრა, მოწყლე არისო, და არც თუ მსწრაფლად მომკლავს. რა ფარვან დევი ამ განზრახვაში იყო, ყარამანმა იქილამ შემოხედა. ნახა, რომ ერთი საშინელი დევი დადის მრავლის იარაღით შექურვილი და მხარზედ რკინის კეტი უდევს, და ორი თავი აბია და შეუპოვრად დადის. ყარამანმა თქვა: ღმერთო, ეს ვინ უნდა იყოსო? ეს დევი ამის მეტად არსად მინახავს და ესეც იქნება ჰეყნუსარას ნათესავი იყოსო. მე ამას დავიჭერ და წვალებით მოვკლავო.

ესე თქვა და შესძახა: ჰეი, შენ დევო, ვინა ხარ, რა გეწოდება და ანუ რას დადიხარ? გამიფრთხილდი, მიწასთან მნებავს შენა გასწორება. რა ეს სიტყვა დაასრულა, ფარვან დევისაკენ წამოვიდა. რა მან დევმან ყარამანის ესეთი განრისხება იხილა, თუმცა მცირედ შეშინდა, მაგრამ ფარვან დევს ენება მისი გამოცდა; და იქილამაც დევმან შემოსძახა: ჰეი, შენ მიწიდგან ნაშობო, როგორ გაბედე ამ მთაზედ მოსვლა? გამიფრთხილდი, მინდა მიწასთან გაგასწოროო.

ესე თქვა და ორთავემ მძიმე ლახტები ურთიერთს შეუშალეს. პირველ ფარვან დევმა დაჰკრა და არა მცირე ძალა დაადგა. მისი ძლიერება მოეწონა ყარამანს. მეორეც და მესამეც დაჰკრა, მაგრამ ყარამანს დიდი ძალა დაადგა. რა რიგი ყარამანს ერგო, თავისი მძიმე ლახტი შეუშალდა. ფარვან დევმა ფარი იფარა, მაგრამ ისე ძლიერად მოხვდა, რომ ფარმან ველარ გაუძლო, შუა გახეთქა, თავსა მოხვდა და ორსა ალაგს გახეთქა, ასე რომ დაბნედას ლამობდა, მაგრამ ძალა იხმარა და ჰკუა შემოიკრიბა. რა მეორეც უნდა დაეკრა, მაშინ ფარვან წინილამ უჩინო შეიქმნა. რა ყარამანმა ესე იხილა, არა მცირედ ეწყინა და თქვა: ესეც ჰეყნუსარას ბიძაშვილი იქნება და ან ნათესავი, თორემ ამგვარი საქმე არავის შეეძლო. შემდეგ დაუძახა: ჰეი, ბილწო, აბა სად წახვალ ხელთა ჩემთაგანო? და თუმცა ოკიანეს ზღვაში შთახვიდე, იქილამაც კი გამოგიყვანო.

რა ფარვან უჩინო იქმნა, მივიდა, ერთს ალაგს დაჯდა და დიდი ხანი უსულოდ ეგდო. რა გონებას მოეგო, თქვა: უთუოდ ესე ყარამანი იყო, როგორც საჰმანი მიქებდა, კიდეც ყოფილაო. თუ მეორედაც დაეკრა, კიდეც მომკლავდაო. შემდეგ იფიქრა და თქვა: ერთსაც გამოვსცდი და ვნახოთ, ვითარის გულისა არისო. ესე თქვა და ერთს საშინელს შვილთაგიან ვეშაჰად გარდაიქცა, ერთი დიდი მთის

ოდენი შეიქმნა და მაშინვე ყარამანისაკენ წამოვიდა. ყარამანი გან-  
რისხებული მიმოიხედვიდა მთაზედ, რა იგი დევი უჩინო შეექმნა.  
მაშინ ესმა ერთი საშინელი ხმა და ოთხსაგ მხარეს ყურება დაიწყო.  
იხილა, რომ მთის წვერიდამ ერთი ასეთი საშინელი ვეშაპი მოდის,  
რომელსაც შვიდი თავი ება. ასე მრისხანედ მოდის, რომ შეეზარე-  
ბოდა კაცს, კული ზეცამდის აუწევია, პირიდამ ცეცხლსა ჰყრის და  
გაცეცხლებული ყარამანზედ მოდის. ყარამანმა თქვა: ეს ვეშაპი  
ბიძაჩემ გარსაშობთან რომ მოვკალ, იმასა ჰგავსო და ამისაგან სი-  
ფრთხილე მმართვესო.

ამ განზრახვაში იყო და უყურებდა. ნახა, რომ თავის დევებთა-  
გან რამდენიმე წინ დაუხვდნენ. მან წყეულმა ხუთი დევი იხელთა  
და ერთად ჩაყლაპა, სხვანი კი გაიქცნენ და დაიძახეს, სააბყირანო,  
გაუფრთხილდიო, რომ ამისთანა ვეშაპი ჩვენ არ გვინახავსო. ყარა-  
მანმა შეხედა, რომ ვეშაპი თანდათან მოახლოვდა. ყარამანმა შვილდ-  
ისარი მოიმარჯვა. ენება, რომ შეეტყორცნა. მაშინვე იგი ვეშაპი  
ასე ამალდა, რომ ისარი ველარ მისწვდებოდა. ყარამანი გაკვირვე-  
ბული მას უყურებდა. ნახა, რომ იმ ვეშაპის პირიდამ ეგოდენი  
ცეცხლი გადმოდის, რომ ჰაერი სრულიად ცეცხლივით სჩანს და  
მას ზედან ჩამოდის. ამაზედ ყარამანი არა მცირე ფიქრსა ჩავარდა.  
ფარვან დევმა ჩამოიხედა, ნახა, რომ ყარამანი მთასავით დგას და  
არ გაქცეულა. მაშინ ცეცხლის ყრა დააყენა. მაშინ ყარამანმა ნახა,  
რომ იმ ვეშაპს პირიდამ ერთი რაღაც ჩამოვარდა. მივიდა და  
მსწრაფლ ხელში აიღო. ნახა, რომ ერთი ასეთი ბეჭედი იყო, თუ  
ვსთქვათ, მისი ფასის დადება არ შეიძლებოდა. ყარამანი დიდად გაჰ-  
კვირდა ამ ბეჭდის ნახვით. რა იგი ბეჭედი აიღო, გაკვირვებულმა იმ  
ვეშაპს ყურება დაუწყო. ნახა, რომ იგი მთის ოდენი ვეშაპი ერთს  
მტრედად გარდაიქცა და გაფრინდა.

რა ყარამანმა ესე იხილა, არა მცირესა საკვირველებას მიეცა და  
წამოვიდა. გზაზედ ნახა, რომ ის ხუთი ჩაყლაპული დევები მოდიან.  
რა ყარამანთან მოვიდნენ, თაყვანი სცეს. ყარამანი გაშტერებული  
უყურებდა ამ ხუთთა დევთა და უთხრა: დევნო, თქვენ აკი იმ ვე-  
შაპმა ჩაგყლაპათო? მათ მოახსენეს: სააბყირანო, ჩვენ ამისთანა  
საქმე არა გვსმენია და არცა თუ გვიხილავს სადმე. რა ჩვენ დაგვი-  
ჭირა, ერთიც ვნახეთ, რომ იქ ვიდექით და იგი ვეშაპი ამალდა,  
ცეცხლით მორთო ჰაერი და შემდეგ ველარ ვიხილეთ, საით წარვი-  
და და ჩვენც აქეთკენ გამოვეშურენით. ამისთანა საუბრით თავიანთ

ბინაზედ წამოვიდნენ, მაგრამ ყარამანი დიდს საგონებელს ჩავარდა და ასე იტყოდა, თუ იგი ჯაღო იყო, ეს რაღა არისო?

რა ფარვან დევმა იგი ბეჭედი ჩამოაგდო და თვითონ მტრედან გარდაიქცა, წავიდა, საჰმანთან მივიდა თავისავე სახით და დაჯდა. საჰმანმა ჰკითხა: ბიძას ძეო, სად იყავ ანუ რა ინადირეო? ფარვანმა მოახსენა: რა აქედამ წაველ, ერთსა კაცსა შემოვხვდი, რომ ჩემსა უამში მისთანა გულოვანი არა მინახავს რა და არცა თუ ამბად მსმენია. მგონია, რომ იგი შენი ნათქვამი ყარამანი იყოსო. და კიდევ გაჰოვცადე, მაგრამ თუ იმას თვალწინ არ დავკარგოდი და მეორეც დაეკრა, მიწასთან გამსწორებდა. შემდეგ ვეშპად ვიქეც და ვერცა თუ მაშინ შევაშინე. ბოლოს, რომ არ იქნა, მაშინ ჩემი ბეჭედი ჩაუგდე და მე წამოველ, რაღა ნადირი ან სხვა რამ მაგონდებოდა. საჰმანმა მოახსენა: ბიძისა ძეო ჩემო, კარგია, დროზედ წავიდეთ. თორემ მე მისი ზნე და ხასიათი ვიცი, ძალიან შეწუხდება, მანამ აჰ საქმეს შეიტყობს. მაშინვე აიყარნენ და ყარამანისაკენ წამოვიდნენ.

რა ორი დღე იარეს, ყარამანის სამყოფს მოახლოვდნენ. რა ყარამანის დევთა ნახეს, რომ საჰმანი მოღის და ერთი ორთავიანი დევიც მოსდევს, ყოვლის თილისმის იარაღებით შექურვილი, მაშინვე შევიდნენ და ყარამანს გამოუცხადეს და მოახსენეს: სააბყირანო, საჰმანი გაიხლებათ და თან ერთი საკვირველი ორთავიანი დევიც მოჰყავსო და ოცი ათასი დენიცი სხვა თან მოსდევნო სულ თილისმის იარაღით შექურვილნიო. რა ყარამანმა ორთავა დევის სახელი გაიგონა, ერთი ასეთი ამოიოხრა, რომ იმ არემარემ ზანზარი დაიწყო. ყარამანს ის დევი მოაგონდა, რომელიც მთაზედ ეომა და გაქცა. ყარამანი მაშინვე კარზედ გამოვიდა. ნახა, რომ საჰმანიც მოახლოვდა. რა ამათ ყარამანი დაინახეს, ფარვან დევმა მაშინვე იცნა, რომ თავის ზარის დამცემი იყო. საჰმანი მივიდა და კალთასა აკოცა. აგრეთვე ფარვან დევიც წარსდგა, თაყვანი სცა ყარამანს და ხელსა აკოცა. შემდეგ წინ დაუჩოქა და დანაშაულობის მიტევება ევეღრა.

რა ყარამანმა იგი დევი იხილა, იცნა. რომელიც მთაზედ შემოეყარა და ბრძოლა დაუწყო, იგი იყო. ამისთვის ყარამანმა დიდად გაიხარა, იმიტომ, რომ იმის უცნობლობისათვის მწუხარებოდა. ახლა ამისთვის ყარამანს დიდად იამა, მაშინვე ის ბეჭედი ამოიღო, უჩვენა და უთხრა: მეგობარო ხეაღო დევო, ეს ბეჭედი შენია თუ არაო? ფარვან დევმა მოახსენა: სააბყირანო, ეგ ბეჭედი ჩემი გახ-

ლავსთ, მაგრამ მაღლიდამ თქვენდა საქებრად მოგართვით და სხვა-  
ცა მრავალი სამსახურიც მაქვს თქვენთვის. რა ყარამანმა ზისი ვი-  
ნაობა შეიტყო, მაშინვე ხელი მოჰკიდა, ააყენა და ბრძანა თავის  
გვერდით მისთვის კარვის დადგმა. და მაშინ საჰმანმა მოახსენა:  
სააბყირანო, ქვეყანაზედ რასაც ჩემის გუნებისას ვეძებდი, ამა რომ  
ეს არის, ბიძისა ჩემისა შვილი და სახელად ფარვან დევი ჰქვია.  
ამისთანა მოთილისმე და ჯადო ქვეყანაზედ არცა ყოფილა და არც  
თუ დღეის წაღმად იქმნება. ეგე მაქილ დევი და შაჰყუნ ნარა ამის  
შაგირდნი არიან, და მხოლოდ თითო წელიწადს უმსახურნიათ. რა  
ესე ვიპოვე, ასე მგონია, ქვეყანა მე მიპოვნია. რა თქვენი ქება  
მოვახსენე, მაშინვე თქვა, რადგან მაგისთანა ძლიერი და მოწყალე  
სააბყირანი ბრძანდებო, მეც თან გიახლებიო. რადგან ერთის ცი-  
ხის გაკეთება მოუნდომებია თქვენთვის, ერთს ასეთს ციხეს გააკე-  
თებს, რომ ქვეყანაზედ არც გაკეთებულიყო და არც გაკეთდესო.  
შემდეგ იქილამ წარმოვედით და აქ გიახელით. ფარვანმა მითხრა:  
საჰმან, შეიძლება, რომ სააბყირანთან გიახლოთო? მაშინ მე დიდის  
სიხარულით მოვიყვანე თქვენთან და ვიცოდი კიდევ, რომ თქვენ  
დიდსა საგონებელსა იქნებოდით, მანამ შეიტყობდით ამისსა ვინაო-  
ბას. და მეცა გთხოვთ, სააბყირანო, რომ ამას თავის შეცოდება მო-  
უტეოთ.

რა ყარამანმა ფარვან დევის ვითარება შეიტყო და ხელოვნება,  
არა მცირედ იამა და მაშინვე მეჯლიში გამართეს. რა დევთა შეი-  
ტყეს, რომ ფარვან დევი მოსულა, მსწრაფლ ყოველნი მოვიდნენ  
და ფარვან დევს ხელსა აკოცეს. რა ყარამანმა ფარვანისა ასეთი  
უფროსობა იხილა, ყარამანმაც უცხო ხალათები უბოძა და მრავა-  
ლი დევთა ქვეყნები დაჰპირდა. და უთხრა: ფარვან დევო, ამას შემ-  
დეგ ჩემი საყვარელი და ერთგული შენც უნდა იყო, ვითარცა საჰ-  
მანი და მისნი ამხანაგნი. ამ ციხის უფროსობა შენთვის მომიცია და  
ახლა შენ იციო. რა ფარვან დევმა ყარამანისაგან ამისთანა წყალო-  
ბიანი სიტყვა მოისმინა, მივიდა, თაყვანი სცა და კალთას კოცნას  
ლამობდა, მაგრამ ყარამანმა არ ინება. და მოახსენა ფარვანმა: სააბ-  
ყირანო, ადიდოს ღმერთმან ძლიერება თქვენი და აღამაღლოს  
სახელი თქვენი, ვითა მზისა და მთვარისა. ვგონებ, ორა ათას წლის  
წინათ თქვენებრ სააბყირანი არცა ყოფილა და არცა თუ დაიბადე-  
ბა, ამიტომ მე მმართველს თქვენი ერთგულად სამსახური. ასეთი ცი-  
ხე, ბალი და სასაფლაო გაგიკეთო, რომ აღმოსავლეთიდან დასავ-

ლეთამდე არ იპოვებოდეს. როგორც თქვენი სახელი და ძლიერება არს ამადლებული, იმ ციხის სახელიც ისე უნდა ავამადლო, ისე. რომ სულეიმანის ბაღი მასთან ერთის კუთხის ტოლიც არ იყოსო.

რა ყარამანმა ფარვან დევისაგან ამისთანა სიტყუანი მოისმინა. მაშინვე ბრძანა და ერთი უცხოდ გაკეთებული თაჯი მოიღეს და თავსა დახურეს, რომელიც დევთ ხელმწიფის ღირსი იყო და ერთი დევთა ქვეყნის ხელმწიფობაც უბოძა, და წლიურ ჯილდოდ ასი ათასის თუმნის ოქრო გაუჩინა. რა ფარვან დევმა ასეთი წყალობა მოისმინა, მეორედ თავყვანი სცა, ხელსა აკოცა და მოახსენა: სააბყირანო, თქვენსა მოწყალების ნაათაღსაც არა ვღირსვარ, მაგრამ აჯა და ჩემი მოხსენება ეს არის, რომ ამ ორსა წელიწადს თქვენ განსვენებაში და ნადირობაში ბრძანდებოდეთ. შემდეგ ამ ორისა წლისა თქვენს ციხესა და ბაღში ისეირნეთ. ამ სიტყვის თქმაში მაქილ და შაჰყუნ ნარამ ერთმანეთს უთხრეს: ეს დიად შემძლებელია ყოველის ფერის აღსრულებისა. ჩვენთვის უმჯობესია, რადგანაც მრავალს თილისმებს ვისწავლით. მაშინვე ყოველნი დევნი და ფერიანი ყველა ფარვან დევს მიიბარა და გამოუცხადა ყოველთა. მისი მორჩილება. მათ ყოველთა თავი დაუქრეს და თითონ სააბყირანი ნადირობასა და შექცევაში იმყოფებოდა. ფარვან დევმან მაქალ და შაჰყუნ ნარა თან წაიტანა და ყოველი დევთა ჯარი. და რაც ნაკლები რამ ჰქონდათ, ყოველს მხარეს დევნი გაგზავნა და მოატანინა მრავალნი თვალნი, აღმასნი და ოქრო, ვერცხლი და სპილენძი. ასი ათასმა დევმა ყოველს ღღეს სულ ამისთანა ნივთი ზიდეს და ფარვან ჰდევამაც ზელი მიჰყო ბაღის კეთებასა.

## ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

აბანოზი — ძვირფასი ხე, ტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებული შავმერქნიან ხე.

ადამიზადი (სპ. ადამი — ადამიანი, ზადე — შვილი, შობილი) — ადამიანის შვილი, „ადამიანთ მონათესავე“.

აზარიექ დასტი (სპ. ჰაზარ — ათასი, იაქ — ერთი, დასთ — ხელი) — ათასერთხელიანი (საკ. სახ.).

აზატი — თავისუფალი. ზოგნი ე ა ზ ა ტ ე ბ ი ნ ა, გაეთავისუფლებინა.

აიარი — ჯადოსნური არსება, თვალთმაქცი (იხ. წინასიტყვაობა).

აღუა — რგოლი, წრე.

ამაგდებული — მოამაგე, ამაგდარი.

ამბარი — ამბრა, სურნელოვანი საქმეველი.

არზი — არზა, წერილობითი თხოვნა, საჩივარი.

აფერუმ (სპ. აფერან) — ყოჩაღ, ვაშა.

აღაჯი — სიგრძის ერთეული, „ერთი საათის სავალი“ (ჩუბ.).

აღმოსავალი — აღმოსავლეთი.

აღსრულებული — შემკული დადებითი თვისებები.

აჯა — თხოვნა, ხვეწნა, აქედან: ს ა ა ჯ ო — სათხოვარი.

აჯალი (არ.) — სიკვდილის დრო. „აჯალს უწინ არავინ მომკვდარაო“.

ბაბრი (სპ.) — ვეფხვი.

ბალა (არ.) — უბედურება. „შენ თავს ერთი ბალა მოსვლიყოს რამეო“.

ბალთი — ბალთა, სარტყელის შესაკრავი.

<sup>1</sup> ლექსიკონში კონტექსტის მიხედვით განმარტებულია მხოლოდ დღეს ძნელადგასაგები ან მნიშვნელობაცვლილი სიტყვები. ახსნისას მიემართაველით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეაქტომეულს, სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებს. გამოვიყენეთ აგრეთვე სხვადასხვა ძეგლს დართული ლექსიკონები (განსაკუთრებით, „რუსულდანიანისა“) და სპარსული, თურქული, არაბული ლექსიკონები. რამდენიმე სიტყვის განმარტებაში დაგვეხმარნენ პროფ. სერგი ჯიქია, დოც. ვლადიმერ ფუთურიძე, დოც. ივანე გიგინეიშვილი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

სამიბელები დაერთვის მეორე ტომს.

ბანდა (სპ.) — მონა.

ბანოვანი (სპ. ბანუს მრ. რიცხვი) — ქალბატონი.

ბარყუში (თურქ.) — ზღაპრული ფრინველი. იხ. ს ი მ უ რ ლ ი.

ბასრის ხმალი — შქრელი, ბასრი ხმალი (ქ. ბასრიდან, რომელიც განთქმული იყო ფოლადით).

ბეზარი (სპ.) — მობზერებული; მოშორებული. „ბეზარი შევიქენ და მოვბრუნდი“.

ბეზირგანი (სპ.) — დიდვაჭარი.

ბეთალმანი (არ.) — ოხერი, ტიალი, უპატრონო. „საქონელი ბეთალმან არისო“.

ბუეშლარი, ბუეშტარო — ბანგი, ძილის წამალი (სპ. ბუქუშ — უგრძნობელი, დარუ — წამალი) „ამას ბუეშლარს მიეცემო, დაბნედავ, მოვიბარავ და წაიყვანო...“

ბიაბანი (სპ.) — უდაბნო.

ბიდი (თურქ.) — განზე გაბზევილი გრძელი ულვაში. „ბილები მხარზე გადაუტრია...“

ბოლუჯი — რაზმი, ჯგუფი, ბოლუქ-ბოლუქად, ჯგუფ-ჯგუფად, გუნდ-გუნდად.

ბომონი — სალოცავი კერპი.

ბრალი — საბრალი, ცოდვა. „ბრალი იგი დრაჰკანი, რომელ ხელმწიფესა თქვენდამიზუნად მიუცემიაო“.

ბუთი, ბაბუთი (სპ.) — კერპი.

ბუცი — საყვირი.

ბურჯი — ზოდიაქო, ცის სფეროს წარმოსახვითი სარტყელი, რომელზედაც გადის მზის გზა. „მესამეს ბურჯში აღიყვანა“.

გაბასრული გასერილი — იიარაღი იხილა, რომელ სისხლითა გაბასრული იყო“.

გაზრახება — ჩავონება, გააზრახეთ, რისამე ჩადენა ურჩიეთ, წააქეზეთ, შეაუგლიანეთ, ერთი ჯადო მუნთლად მოგიყვანიათ, გააზრახეთ და ეს ხილათი მომეცით“.

გამტვერება — გაეამტვერიანო მტვრად ვაქცევიანო, გავაეამტვერებინო.

განრინება — განგარინონ, აგარიღონ, მოგაცილონ.

განრომა — განრომილ იყო, გადარჩენილიყო.

განქარება — გაქრობა, მოსპობა, „ამოსწყვიტა და განქარავა“.

განშორებული — განდეგილი.

გარდაგება — თ ა ვ ს ა ჩ ე მ ს ა გ ა რ დ ა ვ ა გ ე ბ ე, წავაგებ.

გარე-შექცევა — უკან გაბრუნება.

გაცლა — გაიცადა, დაინახა. „რა ხსროროვირმა იმის სილამაზე გაიცადა...“

გაჯერება — „რა გაჯერდნენ მათი ძებნით“ რა დაიღალნენ, გული ოჯერეს მათი ძებნით.

გებრანნი — ლებრნი, ცეცხლთაყვანისმცემენნი (ნაწარმოებია სპ. გებრ-ის მრავლობითიდან).

გუნებიერ — გემრიელად, ტკბილად. „გუნებიერ დაიძინეს“.

გუება ეგუებოდა — ენთებოდა.

გოვიფა (სპ. გოვ — ძროხა, ფა — ფეხი) — ძროხისფეხა.

გოზა — „მშვილისრის რქა“, „მშვილდის მწვერვალი“ (საბა). „ყარამან მშვილდის ისე მოზიდა, რომ გოზა გოზასა მიაწვდინა“ (ე. ი. ისე მოხარა, რომ ბოლოები ერთმანეთს მიწვდა).



გულმისისხლედ — გამეტებით, გაშმაგებით.

ვუმბათი — კონსუსიებულითაღიანი შენობა. „მის მინდვრისა შუაგულობასა ერთი

გუმბათი იდგა, კარნი და კედელნი სრულად ოქროსი ჰქონდა“.

ჯურჯი — ლახტი, რკინის კეტი.

დაბეჭდილი — დაკეტილი.

ღვა — კამითი; პრეტენზია. „ფალავნობის დავაზე ხელი აულია“ (ე. ი. ფალავნობის პრეტენზია აღარა აქვს).

დავრიში — დერვიში, მუსლიმანი ბერი, ზოგჯერ — მოხეტიალე მათხოვარი.

დაკვეთა — დააკვეთეს დაატეხეს.

დაკილავება — დაუკილავა, ისრის კილო (ბოლო, კდე) გამოსდო საბელს, მოხიდა.

დაკრძალვით — ფარულად, საიდუმლოდ.

დამბურა — სიმებიანი მუსიკალური საკრავი.

დასავალი — დასავლეთი.

დასტა — ჯგუფი, რაზმი, ჯოგი.

დასტაჩუბი (სპ. დასთა — სახელური, ჩუბ — ჯოხი) — ხელკეტი, მოკლე შუბი.

დასტური — ნებართვა.

დასწორება — დაუსისწორა დაუმისწრა, გაუსწორა.

დაფი — ცალმხრივი დოლი, დაირა.

დაშვრომა — გარჯა, დაღლა.

დაწუხვა — დახუქვა. „რა გიხილვ, დავიწუხებ...“

დედა-ზარდლი — ობობა.

დიბა — მალალი ხარისხის კრელი აბრეშუმეი.

დიჯლა — მდინარე ტიგროსი.

დოვლათი — ბედი, ბედნიერება.

ეთერი — ჰაერის ზედა სფერო (სპარსულშია ფალაქ-ზეცა).

ერთობა — შეერთება, შერიგება.

ეფუქსავატა — ეცოტავა, ეპატარავა. „ზოსროვშირ თვალში ეფუქსავატა“.

ეშოკადაბაში (თურქ.) — კარის მოხელე, მესტუმრე.

ეჯიბი — კარისკაცი, მეკარე.

ვერანა — პარტახი, ნანგრევი.

ზამბურაკი (სპ. ზამბურაკ) — მკრელი იარაღი; სამალი, კონდახიანი მშვილდი.

ზარზამინი — სარდაფი, ქვეცხნელი.

ზარზოში (სპ.) — მთვრალი, ნასვამი.

ზაფრანა — ყვავილი ყვითელი ფერისა.

ზვარაკი — მსხვერპლი, შესაწირავი.

ზოსტერი — ქამარი.

თაბლა (არ.) — ტაბლი, დოლი, „ძლიერად დაპკრა ამა თაბლასა...“

თადარიკი — თადარიგი, მზადება, ზომის მიღება, ღონისძიება.

თავაზა — დარბაისლური ყოფაქცევის წესი. თავაზით ექცეოდნენ, პატივისცემით, მოკრძალებით ეპყრობოდნენ.

თავის აწვევა — ყოყონობა, მედაღურობა. „შენ ვინ ხარ, რომ აგრე თავს იწვეო...“

თავში გამწევი, ყოყონა, ტრაბახა.

თალაბი (არ.) — სურვილი, მოთხოვნა. „რა თალაბი გაქვს...“

თამაშა — თამაში, ვართობა, დათვალეობა, სანახაობა.

თაქა (სპ.) — ნაქერი, ლუკმა, ნაწილი, ცოტა. „წავალა, ქორწილში ერთს თაქას გაუკეთებ...“

თაჯახანა — სპ. ვეირგვინის სახლი (?)

თაჯი (სპ.) — ვეირგვინი.

თვალახმული — თვალახელილი.

თილოსმა — ტილისმა, შელოცვილი შეკვრა; გრძნება, მომგადობელი რამე ნივთი ან ქანდაკება.

თილი ყაშყაში — მახვილი (სპ. თილ-მახვილი ყაშყაში) (უფრო ხშირად გვხვდება დამახინჯებული ფორმით: „თილი ყაშყაში“).

თმა-ახაკეცი — ნაწნავებმოსაპრელი (სპ. გისუბორიდე), უსირცხვილო, უნამუსო. თულუხი (თურქ.) — წყლის საზიდი რუმბი, ტიცი.

თუშბალი (სპ. თუშბალი) — კარის მოხელე. მეკარე. „თუშბალი წინ გამოუძღვა“.

იადგარი — სახსოვარი, მოსახსენებელი. „ჩუმად იადგარად დარჩომილ იყო“.

ინამო, ინაში — საჩუქარი. „ყველას ინამო უბოძა“.

ირიხე — ცისარტყელა.

ისმიაზაში — ლოცვა ღვთისა, შელოცვა (სრ. სპ. ისმა აზამ — დიდებული სახელა). „შემდეგ ყველას უბრძანა, რომ ისმიაზაში ეთქვათ“.

იუზბაში (თურქ.) — ასისთავი.

იფრითი (არ.) — ავი სული, დემონი.

იულიში (არ.) — ქვეყანა; ხმელეთის ნაწილი.

კალამ-დანაკეთილობა — კალმის მოსმა.

კანჯარი — გარეული ვირი.

კერძო-კენ — სამხრით კერძო — სამხრეთისაკენ.

კინლა — კინლამ, თითქმის.

კრონოსი — პლანეტა სატურნი, ზუალი.

კრჩიალი — შეშინებულ ფრინველთა ხმიანობა.

კუბო — ტახტრევიანი.

ლალა — გამზრდელი.

ლაპო — ბარტყი (ხობობისა).

ლახვა — დალაბა, გათელა, დაადგა ფეხი.

ლახტი — საომარი რკინის კეტი.

ლაჯვარდი — ლაქვარდისფერი.

მადანი (სპ.) — შალარო.

მაისარი (სპ.მამ — თევზისარი — თავი) — თევზისთავა.

მალიად — მალე, სწრაფად.

მამაცი — მამაკაცი. „ამ ქალაქის მამაცინი თუ დიაცინი ყოველნი... მათკენ მობოდნენ“.

მანზილი — მანძილი (არ.). სადგომებს შორის მანძილი, სივრცის საზომი ერთეული. „სამს მანზილზედ ჩამოსხდნენ“.

მანქანა — ეშმაკობა, გრძნეულება, ხერხი, ვერაგობა. „მოეწონა თავისი მანქანები“.

მარდუშხორი (სპ. მარდუმ—ხალხი, ხორ—შქამელი) — კაცის შქამელი.

მარხი — პლანეტა მარსი.

მაქა — მუსლიმანთა სალოცავი, მუჰამადის სამშობლო ქალაქი.

მაღნარი — ხშირი ტყე მაღლობ ადგილას.

მალრანი — ყვავი.

მაჯუნი — წაშალი, ბანგი.

მებრძოლი — მოწინააღმდეგე, მტერი. „ჩემსა მებრძოლსა დავემალო...“

მერწყული — „წყალთ შიდავი“ (საბა).

მეტყვე — დამატყვევებელი, მჩაგვრელი.

მეცნიერი — მცოდნე, მცნობი. მეცნიერება — ცოდნა, შეძლება.

მეჯედვე — მარეკი, ნადირის გამომდენი.

მეჯღოსი, მეჯღიში (არ.) — ღვინო, წვეულება, საკრებულო, შეკრებულობა.

მეჯუფთარე — ტოლი, სწორი. „ქალნი ისხდნენ მშვენიერნი, მთვარისა მეჯუფთარენი და შინსა მოკამათენი“.

მთიები — ცთომილი, პლანეტა.

მინა — ემალი, მინანქარი. აქ: ქიქა, მინის კურკელი; შუშა.

მინარა — მინარეთი, კოშკი, საიდანაც მუიძინი სალოცავად უხმობდა მუსლიმანთ.

მირულება — მიერულა, მიეძინა, ჩათვლიმა.

მიწურვა — მიმწურავს მიმაახლოვებს.

მიხლომა — მიუხე, მიეუხტი, მივეარდი.

მოარნა (თვალნი) — მოავლო, მოატარა.

მოვაჰრება—შექენა, შესყიდვა. „იგი მოივაჰრე და შენ ხელმწიფესა მიჰყიდეო“.

მოზიდვით — თრევით.

მოის — აქეთობისას.

მონათის მთა — უბედურების მთა (სპ. ქუქე მექნათ).

მორკმული — მდიდარი, სახელოვანი.

მოუბნება — საუბარი, ლაპარაკი.

მოღება — მოტანა, მორთმევა. „თავი ჩემა წინაშე შენსა მომიღია“.

მოღორება — მოტყუება, შეცდენა.

მოყივება — შერკხვენა, სახელის გატენა.

მოშთობა — მოხრჩობა, მოკვლა, გაგუღვა.

მოხელება — მოახელა, მოასწრო, წაასწრო.

მოხილვა — მოიხილა ნახა.

მუასარი (არ.) — საპყრობილე; გირავი. მუასარი გაუხდიათ, დაუბყრიათ. გაუთელიათ.

მულათი (არ. მოკლათ) — ვადა, დრო „ექვსის დღის მულათი მიბოძეთ“.

მუმბარაქი (არ. მუმბარაქ) — ბედნიერი, წმინდა. „მუმბარაქი იყოს თქვენი აქ მოსვლაო“.

მუნათი — ყვედრება, დამადლება, საყვედური. „მე თქვენს მუნათს რად გავწევ“.

მუნაჯიმი — ვარსკვლავთმრიცხველი.

მურანსა — შემკული, მოოქვილი.

მუსაიბობა — საუბარი, ურთიერთობა. „ნახვა და მუსაიბობა კმა არს“.

მუტრები — მუსიკოსი, დამკვრელი და მომღერალა.

მუქაფა — სამაგიერო, საზღაური.

მუყანთი — დაჟინებული, დაბეჯითებითი. (?) „მუყანთი ხეწნა რად გინდა“.

მუშთარი — პლანეტა იუპიტერი.

მუშკა — სურნელოვანი ნივთიერება.

მცვედანი — ცვედანი, იმპოტენტი.

მწღე — მერაქიფე.

მწვე, მწე — ძალიან, ძლიერ.

მწოდველი (ლენის) — მწღე, მერაქიფე.

მხეც-რეული — მხეცმერეული, შექალაქავებული. „მისსა სიახლოვესა მხეც-რეული ვინმე კაცი მოვიდოდა“.

მჯიღვი — მუშტი.

ნაიბი — ნაცვალი, მოადგილე.

ნაილაჯობა — ილაჯის გაწყვეტა, გაპირება. „ნაილაჯობით ისევ სიკვდილს მის-ცა თავი“.

ნალახი — ნატერფალი, ნაკვალევი. „მისს ნალახსა ეთაყვანებოდნენ“.

ნარა<sup>1</sup> — ხვადი (სპ. ნარრა).

ნარა<sup>2</sup> — ყვირილი, ღრიალი (სპ. ნარრე).

ნასიბი — ბედი, იღბალი. „ის ქალიც შენი ნასიბი არისო“.

ნაფაზი (არ.) — სუნთქვა, სული. „ნაფაზი შეეკრა და ვერ ამოისუნთქა“.

ნაქაში — ნაკვალევი, ნაქდევი. „მათთა ფერხთა ნაქაშნი ნაპარალსა ემსგავსებოდა“.

ნიჭი — სიმდიდრე, საბოძარი (საბა). „მიიღე ჩვენგან ნიჭი დიდი“.

ნობათი — რიგი, ჯერი.

ნუზლი — საგზალი.

ნული — ტკბილეული, მახა.

ნჩქრევა — წყლის ლელვა.

ოროლი — საბრძოლო იარაღი, შუბი.

ოყაბი — არწივი.

პემანი — პირობა, შეთანხმება, ზავი, დაპირება. „ქალმან პემანი გასცა“.

პერეული, პერული, პერი — ქაფი „პირით პერეულსა ყრიდა“.

რაი (სპ.) — რაჯა, ინდოელი დიდებული, მეფე.

რამლი — ქვიშა, სილა; ქვიშაზე მკითხაობა. აქედან: მერამლე, მკითხავი, წინაა-წარმეტყველი.

რაუამი — ბრძანება, წერილი.

რეცა — თითქოს. „რეცა არა სცემოდა რა, ქალმან ეგრემცა არა შეიმჩნია“.

რვალი — ბრინჯაო, სპილენძი.

რიტორი — მკვერმეტყველი.

რუბაბი — სიმებიანი მუსიკალური საყრავი.

სააბუარანი, საბუარანი, სააბუირანი, საბუირანი — ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული; ძღვეამოსილი. აქედან: სა ა ბ უ ი რ ა ნ ი ბ ა ძღვეამოსილება.

საავო — სადარბეგლი; ავი საფექრალი.

საარი (სპ. საარა) — ველი, მინდორი. „პეიათის საარისაყენ“.

სახელი (მშვილდთა) — ლარი, მშვილდზე გადაკიბული.

საბოძარი — საჩუქარი, ჯილდო.

საბუხარი — „საფუხარი, ხელსაცვაში“ (საბა), სამკლავე ფრინველით ნადირობისას. სავლებელი — ქამანდი, მარყუებიანი სასროლი თოკი.

საგსარი (სპ. საგ—ძალი, სარ—თავი) — ძაღლისთავა.

სადალა (არ.) — მოწყალება, მსხვერპლი.

სავათი — გარეული ფრინველი.

საზანდარი (სპ.) — მუსიკალური საკრავი; მუსიკოსი, მესაკრავე. „მესაკრავეთ-საზანდართ რუბაბი უცხოს ხმით დაუკრეს“.

სალბუნი — მალამო.

სამარხი — აკლამა, „საფლავი წმიდათა“ (ჩუბ.).

სამყოფი — სახლი, საცხოვრებელი.

სანგარაჴ (სპ. სანგ — ქვა, ანაზ — მსროლელი) — ქვისმტყორცნელი.

სანგარი — თავშესაფარი თხრილი.

სანი — რიცხვი, რაოდენობა. „რა ხელმწიფემ თავისი ჯარის სანი ნახა, ოცდაათი გემი ჯარით დაჰკლებოდა“.

სარაია — სასახლე, სრა.

სარანდინი — მეთაური „ორას თხუთმეტი ღვეთა და ფერათა სარანდინნი ფა-ლავეანნი თვედამა ეკიდნენ“.

სარაფარდა, ხაღაფარდა (სპ.) — ფარდა, რომელსაც შემოაულებენ სამეფო კა-რავს; თვით სამეფო კარავი.

სარსარდალი — სარდალი და სარსარდალი (ასეა სპარსულშიც: ს ა რ ს ა რ დ ა რ.).

სარჩე — რჩეული, უმჯობესი. „სიცოცხლისა ჩემისა სარჩეთ“.

სასურველი — სატრფო, საყვარელი.

საუკუნო — მარადი ქვეყანა, საიქიო. „ღმერთსა საუკუნოსასა დაფიციყა“.

საფარი — მოგზაური, მგზავრობა, ლაშქრობა. „რამდენჯერმე ყაფის მთისაკენ სა-ფარი მოუხდება“.

საფი (არ. საფ. რიგი, მწკრივი) — საფი გასწიეს ჩამწკრივდნენ, გასწორდნენ.

საღამური ტანისამოსი — საუჩაღო ტანისამოსი. იხ. წინასიტყვაობა.

საშინელი — შემზარავი ზოგჯერ დიდს, კარგ სანახავსაც ნიშნავს: „უშანგმა გურ-განს თვალი დააკვირვა... საშინელი სანახავი იყო. დიდად მოეწონა...“

საძნიალო — ძნელი, მძიმე.

საძლო — ძღვენი, საჩუქარი.

საწადი — საწადელი, სურვილი.

საქირო — მძიმე, ძნელი.

სახარელი — გასახარებელი. „ესე სახარელი ამბავი შენდა მებარებია“.

სახშილი — ცეცხლი (ღუმელისა) „აბანოს საგზებელი“ (საბა).

სახურავი (თავისა) — თავსაბურავი, ჩაღრი. „თავის სახურავი მოიფიციყა...“

საჯდომი — ცხენი, სახედარი (რაზეც უნდა შეჯდნენ).

საჯილდაო — „ჯილდოდ მიცემული მისაცემელი“ (საბა). „გამარჯვება მოულოცა და საჯილდაო მრავალი აღუთქვა“.

სეირი (არ.) — სეირნობა, მიმოსვლა.

სერი (სპ. სერ — გამძლარი) — გამძლოა, ვაზში. „მისსა ხორცსა ზედან ნადირ-თათვის სერი დამეგო“.

ბეფე — აქ: სამეფო მაგიდა (სპარსულში შესატყვისია „სუფრა“). „ჭრთი დიდი ხეფე დადგეს, ყოველნი მეფენი და უფლისწულნი მოვიდნენ და დასხდნენ“.

ხიამოვნე — ხიამოვნება, ლხინი.

სივრცე — სივანე. „ქუი ბროლისა სივრცე და სივრცე არ შეიგებოა“.

ხიამღლე — დიდებულება, აღმატებულება. „თქვენს სიამღლეს მოხსენდეს...“

ხიმურლი, სიმრუდი — ზღაპრული ფრინველი, ფასკუნჯი.

ხირინოზი — ზღაპრული არსება, ნახევრად ქალი, ნახევრად თევზი.

ხიქა — ტვიფარი ფულზე, თეგა, ბეკელი.

ხიუმელი — შიმშილი.

ხკანდარ ზულდარი — ხკანდარ ზულყარანი, ალექსანდრე ორბქიანი (მაკედონელი).

ხოვდაგარი — დიდვაქარი.

ხონღლო — შტაცებული ფრინველი.

ხოფელი — ქვეყანა, საქაო. „ამ სოფელს ხომ დავიკარგე, ვაი თუ ამის ცოდვიო საიქიოსაც დავიკარგოვო“.

ხპასალარი — მხედართმთავარი, სარდალი.

ხპეკალი — „თვალი პატოსანი“ (საბა), ძვირფასი თვალი.

ხრვა, ხვრა — მოსპობა, ხოცვა.

ხტავრა — ძვირფასი ქსოვილი, „სირმის ნაქსოვი“ (საბა).

ხტრატილატი — მხედართმთავარი (საბა).

ხტროლაბი — ხელსაწყო ვარსკვლავებზე სამკითხაოდ. აქედან: მ ე ს ტ რ ო ლ ა ბ ე მკითხავი, ასტროლოგი.

ხუბათი (არ. სუბათ) — მოსვენება, განმარტოება. (?) „თვითონ სუბათ არის ორის ხელმწიფით დარჩომლი“ (სხვები დაფანტა).

ხულჯუი — „ამ ერანღლოთა სულჯუი არა ჰქონითო. (?)“

ხუმბული — ყვავილი (შროშანისებურთა ოჯახიდან).

ხჯა — საჯეედა, სჯიდა.

ტაბაკი — ხონჩა.

ტალა — ღამის დარაჯი.

ტარულა — ქალაქის თავი.

ტახტი — ქარქაში „(ხანჯლის) ტახტზედ ესრეთ ეწერა...“

ტოტი<sup>1</sup> — თათი (მხეცისა).

ტოტი<sup>2</sup> — ნაკადი (ზღვისა).

ტუსალხანა — საპატიმრო.

ტუება — თავში ცემა გლოვის ნიშნად.

უეცარი — უეცრად ვიყავ, არ ვიცოდი. „უეცი — უვიცი“ (საბა).

უკუსაყრელი — გამოსაფხიზლებელი. „უკუსაყრელი წაშალი“.

ულამოდა — უპირებდა, უნდოდა.

უნჯი — განძი, საქონელი. „უნჯსა რიცხვი არ ეგებოდა“.

ურვა — მწუხარება, დარდი.

ური — ჰური, ზღაპრული არსება ღამაზი ქალის სახისა.

უსულიანი — ღამაზი, სურნელოვანი. „(ვარდი) თავ-მოხრით უსულიანი ფალავნის მაქებელია“.

უსწორო — შეუდარებელი, სწორ-უპოვარი.  
უფასო — ფასი რომ არა აქვს, ძვირფასი, უასდაუდებელი.  
უშველებელი — რომ არაფერი ეშველება.  
უჩინო — დაფარული, დამალული.  
უცნობო — უგონო, უგრძნობი.  
უპირველად — ადვილად, გაპირვების გარეშე.  
უჯგრო — დაუჯერებელი, დიდი. „ესოდენი უჯგრო ქება რა არის...“  
უღანგი — ლეობარდი.  
ფაღანგსარი — ლეობარდისთავა.  
ფალაური — საშუალსპარსული ენა.  
ფანოსი — სანათი.  
ფარალათი, ფადარათი (არ.) — მოსვენება, თავისუფლება. ფარალათად ეძინა მოს-  
ვენებულად, მშვიდად ეძინა.  
ფარმანი — ბრძანება, ნებართვა.  
ფარმანი (სპ. ფარენა) — მფრინავი, შიყრიკი. იხ. სიმურდი.  
ფარსანგი — სიგრძის საზომი ერთეული, 5—6 კმ.  
ფასკუნჯი — ფაშკუნჯი ზღაპრული ფრინველი.  
ფერია — ზღაპრული არსება ლამაზი ქალის გარეგნობისა, გრძნეული, კეთილი  
სული.  
ფიანდაზი (სპ. ფაი — ფეხი, ანდაზ — სასროლი) — ფეხქვეშ გასაშლელი ქსოვილი.  
„ერთსა აღაჯზედა ძვირფასი სტავრა ფიანდაზად დაჰფინეს...“  
ფლასი — უხეში ქსოვილი, ძაძა.  
ფლური — ოქროს ფული.  
ფრეწა — ხევა, გლეჯა.  
ფუშიანი — თიაქრიანი. ფუში — „ფერდის ქარი“ (ჩუბ.).  
ფშვა — ფშვინვა, ქშენა.  
ქადილი — მუქარა.  
ქამანდი იხ. საგდებელი.  
ქარა — „უყურო ცხოვარი“ (საბა); ნაფოტი; (სპ. ქარა — ტალახი). „შენ რა ქარა  
ხარ...“ (?).  
ქარვასლა — ქარაენის სადგომი, სასტუმრო  
ქარიზი (სპ.) — მიწისქვეშა არხი (სპ. ქარიზ).  
ქეიანური (სპ. ქეიანი) — სამეფო, მეფური.  
ქეშიკი (თურქ.) — წარჩინებული პირის მცველი, დარაჯი.  
ქვაბი — გამოქვაბული.  
ქვეყანა — მიწა, დედამიწა.  
ქილიკობა — ხუმრობა, ოხუნჯობა, დაცინვა.  
ქუი (სპ. ქუჰ) — მთა.  
ქულბაქი — სავაქრო ბაზარი, დუქანი.  
ქურახანა (სპ.) — ლუმელი, გამოსაწვავი ან გამოსადნობი ადგილი .  
ქურსი (სპ.) — სამეფო ტახტი; სყამი, რომლის ქვეშ ეცხლია ვალვივებული.  
ყაბული — თანხმობა, მოწონება. „ჩვენ მაგა რჩევის ყაბული არა გვაქვს“.  
ყადალა — აკრძალვა, აღკვეთა. ყადალა უყო, აუკრძალა.

ყათილი (არ.) — მკვლელი, გამანადგურებელი.

ყათლანი — ყათლანი უყო ღახოცა, ამოწყვიტა (არ. ყათლამი — ერთიანი განადგურება).

ყალა — ციხე, ციხე-სიმაგრე.

ყარაზი — ავბედითი (?) (თურქ. ყარაიაზ — ავი ბედი). „იმისი ყარაზი მტერი იყო“.

ყაფის მთა — ზღაპრული მთა სპარსული ფოლკლორიდან. ზოგჯერ კავკასიონს უწოდებენ.

ყაფიჩი — კარისკაცი, წვრილი მოხელე (თურქ. ყაფუჩი — მეყარე).

„... მე იმათ ჩემის ყაფიჩის ალაგსაც არ ვაგდებო“. ყაფიჩობაში — კარიბაკეუფროსი.

ყირმიზი — წითელი ფერის საღებავი. „ესრეთ წითელ იყო, რომ ყირმიზის შეღებილს ემსგავსებოდა“.

ყოლაუზი — გზის მაჩვენებელი, ეტიკი.

ყოლე — სრულიადსავეით (საბა). „მათ თანა შიში ყოლე არა არისო“.

ყორული — ნაკრძალი; აკრძალვა, აღკვეთა.

ყორჩიბაში — მცველთა რაზმის უფროსი.

ყული — მონა, მსახური.

ყურსი (არ.) — ნამცხვარი, ფუნთუშა.

შაბაშ — ვაშა (მოწონების შორისდებული).

შაბრანგ ბაღჯი (სპ.) — ღამისფერი ფეხქარინი (ცხენის საკ. სახ.).

შადლუხი (თურქ.) — საზეიმოდ ხშირი სროლა, სალუტი. „ორმოც დღეს და ღამეს შადლუხის გაცემა და მილოცვა იყო“.

შათარი (თურქ.) — მალმსრბოლი, წინ გაგზავნილი მეგზური, გზის გამკაფავი, შიკრიკი. Ⴖ

შამდანი, შანდანი (სპ.) — სასანთლე. „ოქროს შამდნებით სანთლები ენთო“.

შამ-ჩირალი — სპ. სანთელ-მაშხალა, ბრწყინვალე; ძვირფასი თვალი. „ერთი მარგალიტით შექმნილი შამ-ჩირალი, რომელ არს ქართულად სვეკალი, ძვირფასი თვალი, მკლავსა შეაბა“.

შარბათი — ღვინო, ბადაგი, ხილის წვენი.

შაშფაიბარი, შეშფაიბარი (სპ.) — ექვსფეხიანი ცხოველი.

შაჰადა (სპ.) — უფლისწული.

შაჰრი, შარი (სპ.) — ქალაქი.

შაჰრიარი, შარიარი, შარიელი (სპ.) — ხელმწიფე

შეგება — შეიგებოდა, გაიგებოდა, შეიტყობოდა.

შედეგით — შემდგომად.

შეზარება — შეზარდა, შეეზარა, შეეზიზლა.

შენი — შენობა, ნაგებობა.

შეტყუბება — „ხელი ხელს შეიტყუბეს“ ტაში შემოჰკრეს.

შეუძლებლობა — შეუძლოდ ყოფნა, ავადმყოფობა. „გარასაშბ ხელმწიფე შეუძლებლობის მიზეზით შინ დაეთხოვა“.

შეკვირება — გასაქირი, ტანჯვა.

შეჯერება — დარწმუნება, დაჯერება. „მე იგინი ფიციოთა შევაჯერე“.



შთახდომა — ჩასვლა. „რა მზე შთახდა“.

შირსარი (სპ. შირ — ლომი, სარ — თავი) — ლომთავა.

შუალი შუილი (?) — „ღვინის შუალი თავსა ეწითა“.

ჩანგი (ლომისა) — ჰანგი, თათი.

ჩარხი — ბორბალი, თილისმის ნაწილი.

ჩაუში (თურქ.) — სამხედრო პირი, გამრიგებელი.

ჩაუარი (თურქ.) — მსტოვარი, შიკრიცი.

ჩინებული — დიდებული, დიდგვაროვანი.

ჩინჩხვარი — წვრილი ტოტები, ფიჩხი.

ჩირაღოვანი (მეჯლისი) — ბრწყინვალე.

ჩორსო — ოთხკუთხედი, მოედანი (სპ. ჩარსუ — ბაზრის გზაჯვარედინი). „ჩორ-სოს ოდენი გურზი ხელთ ეკირა“.

ჩული — „ცხენთა და ძაღლთ სახურავე“ (ნ. ჩუბ.) „ერთი ჯეირანი წამოხლტა და ზედ ერთი ატლასის ჩული ეხერა“.

ცილი — კამათი, ცილობა.

ძალიანი — ძლიერი, მძლავრი.

ძე — შვილი (ვაჟი და ქალიც) (მაგ, ქალს მიმართავენ: „ძეო დისა ჩემისაო).

წამისყოფა — თვალის ჩაყრა.

წყარა — ბ ე კ ე დ ი წ ა ყ ა რ ა, ბეჭედი წააძრო.

წინაღობა — წინააღმდეგობა.

წყრთა, მწყრთა — სიგრძის ერთეული. — „იდაყვითგან თითის წვერამდე“ (საბა).

ქახრაკი — ხრახნი საკრავისა. „დამბურა ჰქონდა ქახრაკით“.

ქირნახული — გაკირვება, წვალბა. „ესოდენი ქირნახული და სახელი წაუხდებო“.

ქლანკვი — ქლაკვი, ხახვის სახეობა.

კრილი — კრილობა. „რაც უნდა კრილი ყოფილიყო... გაკრთელდებოდა“.

ხაღა, ხ ა ღ ო დ ნ ე ნ — თელიდნენ.

ხაღუმი — მსახური, მოახლე.

ხათრიჯამი (სპ. ხათერე ჯამი) — იმედიანი, დარწმუნებელი; ხათრი.

ხაღვათი — თავისუფალი, განმარტოებული.

ხაღვათხანა — განმარტოებული ადგილი, მოსასვენებელი.

ხანდაგი — ორმო, თხრილი.

ხარაჯა — გადასახადი, ხარკი.

ხედნა — ვხედნი ვხედავ. „რაც გეპირება მონასა თქვენსა ზედან, ვხედნი“.

ხელგამომავალი — მოხერხებული, ხელმარჯვე.

ხელი — გივი, გადარული.

ხელის შენახვა — ხელის აღება, შეჩერება, თავის შეკაება. „ხოცვისაგან ხელი შეინახეო“.

ხვივილი, — ხივილი, „ხვივინი, კიხვინი (ცხენისა, მარტორქისა).

ხოწჩა — ხის მოგრძო მავიდა, ტაბაკი.

ხოწროვიანი — სამეფო, მეფური.

ჯაბახანა (სპ.) — იარაღის ჩამოსასხმელი და შესანახი ადგილი, არსენალი.

ჯაბრი — ჯიბრი, ეინი, ძალა.

ჯავარი (მრ. — ჯავაჰირი, ჯაეაირი მარგალიტი, ძვირფასი თვალი.

ჯავზი — ნიგოზი, თესლი.

ჯაზირა — კუნძული.

ჯანგი-ჯუი (სპ.) — ომის მძებარი.

ჯაქვი — რკინის პერანგი. „ჯაქვის კალთა სარტყელსა ჩაირკო“.

ჯილაკი — სადავე (?) (სპ. ჯილაეი; თურქ. ჯილალუკ — სადავით, კვნებით). „რა  
გასაყარსა ნალარასა ჰკრეს, მაშინვე ჯილაკი ასწიევს“.

ჯინი — დემონი, ავი სული.

ჯინჯილი — ჯაქვი.

ჯურღმული — კა. „ჯურღმულით წყალსა იღებდა...“

ჯუფთი — ტოლი, წყვილი.

ჰერი, აერი — ამინდი.

ჰუნარი, უნარი — ვაჟაკობა. „ბევრი ჰუნრები ჰქმნა“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	3
ყარამანიანი	23
აქა ყარამანის ქაჯთა და დევთაგან მოტაცების ამბავი	24
აქა უშანგ-შას გახელმწიფება	25
აქა უშანგ-შას ინდოთა ხელმწიფეზედ გალაშქრება და გზასა ზელან ყარამანის შეყრა	26
აქა ამბავი ყარამანისა და ყათრანის ერთად შეყრისა	34
აქა გარდანქეშანისაგან ბარამის გ:ქე:ე:ვების ამბის თქმა ყარამანთანა	41
აქა გარდანქეშანისაგან აზრად მეთილისმის ამბის მბობა	43
აქა გარდანქეშანისაგან აზრად მეთილისმეზე წასლვა	46
აქა გარდანქეშანისაგან აზრად მეთილისმის შეპყრობა	49
აქა უშანგ-შასაგან ყარამანის თანა ხლება და ჰინდოთ ხელმწიფე რაჰინდზე წასლვა	55
აქა ამბავი ჰინდოთ ხელმწიფისა რაჰინდისა	59
აქა დუზლი აესარ გრძნეულისა და ყარამანისაგან ომი ილიერი	68
აქა სარვიხურამანის მოსლვა	79
აქა ომი ყარამანისა და ჰინდოთ მეფის ასულის სარვიხურამანისა	90
აქა ერანელთა და თურანელთა ფალაქანთა და სარვიხურამანის ომი ძლიერი	93
აქა სპანდიერ ბარის მოსლვა ჰინდოთ ხელმწიფის შემწედ	97
აქა ყარამანისა და გარდანქეშანისაგან ერანელ და თურანელ ფალაქანთა გამოხნა	101
აქა გარდანქეშანისაგან ბედ-კეთილობის წალკოტთა ამბის თქმა	119
აქა ყარამანისაგან ბარამის მამის მისაშველებლად წასლვა	124
აქა ჯიბილ გაბირის სულტანის ბამან-შას ამბავი	139
აქა ყარამანისაგან და სხვა ფალაქანთაგან შაფალი ფერის შემწედ მისლვა და ომთა ძლიერთა ამბავი	147
აქა ათარ დევის ასულის ბაჰმანრასაგან სიზმრის მბობა ყარამანის წინაშე	166
აქა ყარამანისაგან მრავალთა დევთა ამოწვევტა, რამინის საფლავის გახსნა და მის მშვილდ-ისრის გამოტანა	172
აქა ყარამანისა და სხვათა ყოველთა დეარ-ციხეს მოსლვა, ყარამანისაგან გარდანქეშანისა და საჰმანის გავზავნა უშანგ-შას წინაშე	190
აქა ყარამანისა და სხვათა სანადიროდ წასლვა და ამ ნადირობაში ყარამანისაგან ნადირის ნახვა და დაკარგვა	194
აქა ყარამანის საქებნელად ათორმეტთა დევთა წასლვა	195
აქა ზორაბის მოსლვა ყარამანის წინაშე, თვისის ამბის მბობა და ყარამანისაგან მისი შემწეობა	202
აქა აქვანისაგან ჯინისტრის სულთნების შეპყრობა და აქვანის გახელმწიფება	205
აქა ყარამანის წასლვა შაჰრი-ჯანანში აქვანი დევისაგან ზორაბის ცოლის მუშოარის გამოსახსნელად	210

აქა საჰმან ადამიანთ მონათესავეს მოსლვა ყარაჰანის წინაშე . . . . .	213
აქა ყარაჰანისა და ანყაფუზ დევის ომი და ყარაჰანისაგან მისი დამორჩილება და ახყაფუნისაგან ერთგულად მსახურება . . . . .	214
აქა ყარაჰანის ანყაფუზ დევისაგან აჰანგის ციხეში მიყვანა მუშთარის გამოსახსნელად და აქვალის დევის სასიკედლილოდ . . . . .	216
აქა ყარაჰანისაგან აჰანგის ციხეში აქვალი დევის მოყვლა, მუშთარი ბანოს და სხვათა ჰყრობილთა გამოხსნა . . . . .	220
აქა ყარაჰანისაგან ზღვის კუნძულში წასლვა, იმ ზღვიდამ მხეცის გამოსლვა და იმ მხეცის კილილი . . . . .	222
აქა ყარაჰანისაგან ზღვაში ჩასლვა და საკვირველების ნახვა . . . . .	227
აქა ყარაჰანისაგან ჯინისტანში მისლვა და ოკიანეს ზღვიდამ ბერის დევის გამოყვანა . . . . .	230
აქა მცირე რამ ყარაჰანის ამბავი . . . . .	233
აქა ქაბუნ ნარას და საჰმანის ომი ძლიერი . . . . .	234
აქა მცირე რამ შაჰფალ-შაჰის და სარვიხურამანის ამბავი და ყარაჰანის გულისტამს მოსლვა . . . . .	239
აქა ხოსრავეშირისა და გულჩინის ამბავი . . . . .	243
აქა ყარაჰიჯინის მოსლვა ქეთან-შაჰის შემწედ . . . . .	245
აქა ხოსრავეშირისაგან ნადირობაში გულჩინის შეყრა . . . . .	247
აქა ხოსრავეშირისა და გულჩინის ომი ძლიერი სარანდობის მთასა ზედან . . . . .	250
აქა ოთხის სულთანის მოსლვა უშანგის შესაწევნელად . . . . .	267
აქა სინდელთა და ერანელთა ომი . . . . .	275
აქა ხოსრავეშირისაგან ასიმის გაგზავნა სინდელთა ლაშქარში გულჩინის საცნობელად . . . . .	284
აქა ხოსრავეშირისა და გულჩინის ერთად შეყრა . . . . .	290
აქა ყარაჰიჯინის მოსლვის ამბავი . . . . .	300
აქა ხოსრავეშირისაგან ქეთან-შაჰის მეჯლისისაყენ გამგზავრება და ყარაჰიჯინის ლახტის აღება . . . . .	304
აქა ომი უშანგის ლაშქართა და ყარაჰიჯინისაგან მრავალთა ფალავანთა დახოცა . . . . .	309
აქა ხოსრავეშირისა და ყარაჰიჯინის ომი ძლიერი . . . . .	312
აქა ოჰჟული ჯადოს ამბავი . . . . .	319
აქა ომი უშანგისა და სინდელთ ხელმწიფისა . . . . .	321
აქა ხოსრავეშირისა და გულჩინის შეპყრობა ოჰყალი ჯადოსაგან . . . . .	324
აქა ქეთან-შაჰასაგან გურგანისა უშანგთან გაგზავნა და ოჰყალი ჯადოს თან გაყოლა საღალატოდ . . . . .	326
აქა ოჰყალი ჯადოსაგან მრავლის ჯადოების შექმნა . . . . .	333
აქა ყარაჰანისა, სარვიხურამანისა და სხვათა ხელმწიფეთა და ფალავანთა წასლვა ერანისაყენ . . . . .	339
აქა ყარაჰანისაგან სარვიხურამანისა და მუშთარის გამოხსნა საჰყრობილედამ . . . . .	352
აქა ყარაჰანისაგან ფალანგსარ ჯადოს სიკედლილი და მერმე ხოსრავეშირისა და გულჩინის და სხვათა ფალავანთა თვალების ახილვა . . . . .	357
აქა ყარაჰანის ჯართა, ხელმწიფეთა და ფალავანების ერთად შეყრა და	

სიხარული	360
აქა ყათის მთილამ ყარამანისა და სხვათა ჯგართა, დიდებელთა და მცირეთა აყრა და ერანისაკენ გამგზავრება	364
აქა ყარამანისაგან დეშტი-ყოფჩალის ქალაქში წასლვა	367
აქა ყარამანისაგან უშანგბადის ქალაქს წასლვა უშანგის მოსახმარებლად	370
აქა ყარამანის ლაშქრის მოსვლა ჰაერითდამ	372
აქა განკოიხვა უშანგ ხელმწიფისაგან ქეთან-შაჰასი, სარჯანი პინდისა და გურგან-ბელანდ-ქამანისა	393
აქა აღრათ ჯადოს სიყვდილი და ფალავნებისა და ქალების გამოხსნა	395
აქა ამბავი ინდოეთის ხელმწიფის რაიაზამისა	398
აქა რაიაზამისა პირველის ფალავნის ყაპარისა და ხოსროვშირის ომი ფიცხელი	400
აქა სარეისურამანისა და ყაპარის ომი ოდეს ყარამან სანადიროდ წავიდა	402
აქა უშანგ ხელმწიფის წასლვა ერანში და მისი ამბავი	501
აქა ესე ამბავი დაუტეოთ და ხოსრავეშირისა და გარდანქემანის ამბავი და აგრეთვე სართათ ვეზირის ამბავი მოიხსენეთ	503
აქა უშანგ-შას ამბავი და მისი ერანში წასლვა	530
აქა ამბავი ყარამან ყათილისა და შვილისა მისისა ნარიმანისა	548
აქა ყარამანის დისწულის ყოვლიბაშ შირგიანის ამბავი	555
აქა სამანის ამბავი	560
აქა ყარამანისა და ნარიმანის ამბავი	562
აქა ყოვლიბაშ შირგიანის მოსლვა ყარამანის მოსახმარებლად, მისგან ნარიმანის დამორჩილება და ყარამანთან შუამავლობით შერიგება	563
აქა ეშქაკისაგან ყარამანის გამოკლა	570
აქა ნარიმანის გაპარვა და მალეით წასლვა მარტოდ	579
აქა ნარიმანისაგან მოედანში გასვლა და შვიდს ფალავანს შეხმა, ჯობნა და შერე ხელმწიფის ქალის გამოსლვა და ერთ-ერთმანეთის რყინება, ნარიმანისაგან ჯობნა და ცოლად შერთვა	590
აქა ამბავი ყარამანისს სახის შეეცლის შემდეგ	591
აქა დაყარგულის ნარიმანის პოვნის ამბავი	599
აქა ჰაზარიეკ დასტის ამბავი	603
აქა ფასკენჯისა და ყარამანის შეყრა და მცირე რამ ამათი ამბავი	609
აქა სიმრულისაგან ყარამანის წყუენა სამანდურ აზარიეკ დასტის დევისა, რომელსა ათას ერთი ხელი აქვს, მის შესაბმელად	613
აქა დიდი ბრძოლა სამანდურ აზარიეკ დასტისა და ყარამანისა	625
აქა ყარამანის კვალად წასვლა აზარიეკ დასტისაკენ	642
აქა ჯადოთაგან ყარამანის დაბრძალების ამბავი	644
აქა სამან ადამიანთ-მონათესავის ამბავი	658
აქა ჯადოს ამბავი	660
აქა სეილენ-შაჰისი და იმის ასულის უშანგ ფერიის ამბავი	666
აქა ფარვან დევის ამბავი	674
ლექსიკონი	681

განწორება

606-ე გვერდზე „ზარბაზანის“ ნაცვლად უნდა „ზარზამინი“

## Караманиანი

(На грузинском языке)

Под редакцией А. Гвахария и С. Цаишвили

Издательство „Литература და Хელოვნება“

Плеханова 179

Тбилиси 1965

მხატვარი ლ. გულიაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჩხაიძე  
მხატვრული რედაქტორი ირ. ჯანაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი კ. რუსია  
კორექტორი ც. ქაროსანიძე

\* \*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/111-65 წ. ქალაქის  
ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნაბეჭდი თაბახი 43,37. სააღრიცხვო-

საგამომცემლო თაბახი 38,65.

ტირაჟი 30.000 შეკვეთა № 1063.

ფასი 2 მან. 47 კაპ.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.